

ცარიელი

გეორგ ებერსი

ვეორგ ეკერსი

უკრდა

თარგმნა ლუარსაბ კვიჟინაძემ



ნაწილი პირველი

თავი პირველი

უძველეს ასკარიან თებესთან ნილოსის ნაპირები განზე იწევს. ერთმანეთზე გადაგრეხილი მთები, მარცხნიდან და მარჯვნიდან რომ ჩასდევენ ამ ძალუმ მდინარეს, აქ უფრო მკვეთრ მოხაზულობას ღებულობენ; განცალკევებული, თითქმის წვეტიანი მწვერვალები მკაფიოდ გამოხატულან ლურჯი ცის ფონზე და მაღლა წამოწეულან მრავალფეროვანი კირქვიანი მთების დამრეც ფერდობებზე, სადაც არათუ ნაყოფიერი, დაგოჯილი მცენარეულობაც კი არ იზრდება. კლდოვანი ნაპრალები და ხეობები ღრმად შეჭრილან მთების გულში, ამ მთებს, იქით კი გადაშლილა უსიცოცხლო, ქვებით დაფარული ქვიშიანი სივრცე, რომელიც დაღუპვას უქადის ყოველ

არსს. ალაგ-ალაგ ფრიალო და ტიტველი ბორცვებიც მოჩანან.

მთების იქით, აღმოსავლეთით, ეს უდაბნო მეწამულ ზღვამდე გრძელდება, დასავლეთით კი მარადისობასავით უსასრულოა. ეგვიპტელთა რწმენით აქ იწყებოდა სიკვდილის სამეფო.

ამ ქედებს შორის, რომლებიც ციხის კედლებივითაა აღმართული და უდაბნოდან დაქროლილი ქვიშის ქარიშხლის მძვინვარე დაწოლას ირეკლავენ, დიდებულად მოედინება წყალუხვი ნილოსი, მრავალი მილიონი ცოცხალი არსების მშობელი და მარჩენალი, რომელსაც სიგრილე და ნაყოფიერება მოაქვს. მის ორსავე ნაპირზე გადაჭიმულან ნაყოფიერი მიწებით გადაშავებული ველები, ხოლო მის წყალში ათასი ჯურის ქერცლიანი და ჯავშნიანი არსებანი დაბორიალებენ. მის სარკისებურ ზედაპირზე ლოტოსის ყვავილები დაცურავენ, ხოლო ნაპირებზე, პაპირუსების ბარდებში, აუარებელი წყლის ფრინველი ბუდობს. ნილოსის გამჭვირვალე წყალსა და პირქუშ მთებს შორის გადაშლილია ზურმუხტისფრად მობიბინე ყანები, რომლებიც, მომკის დრო რომ დადგება, ბაჯაღლო ოქროსფერს ღებულობს. ჭებისა და წყლის ბორბლების გარშემო მოდებულია ტოტებგაშლილი სიკომოროები; ისინი ფართო და ხშირ ჩრდილს ჰფენენ გარემოს, ხოლო მათ გვერდით მზრუნველ ხელს ფინიკის პალმები გაუშენებია, რომლებიც საამო ჩრდილოვან წარაფს ქმნიან.

ნაყოფიერი მიწის სწორი ზოლები, ყოველ წელიწადს მდინარეთა ადიდების დროს რომ ირწყვება და პოხიერდება, ისევე მკვეთრად გამოირჩევა მახლობელი ქვიშნარი მთისძირებისაგან, როგორც ყვავილთა კვლებით დაფარული შავი მიწა ყვითელი ხრეშით მოფენილი გზებისგან.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნეში, — დიახ, დიახ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რადგანაც მკითხველი ესოდენ უძველეს დროში გადაგვყავს, — ადამიანის ხელებმა თებეში აააგეს მაღალი ქვის ჯებირები და კაშხალები, რომლებსაც კალაპოტიდან გადმოხეთქილი მდინარე ვერაფერს აკლებდა. ეს ჯებირები და კაშხალები წყალდიდობისგან იცავდა ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს, ტაძრებსა და სასახლეებს. ფართო, მჭიდროდ ჩასაკეტი არხები ჯებირებიდან შუა ქალაქში შედიოდნენ, ხოლო დატოტვილი, შედარებით პატარა არხებით წყალი თებეს ბაღებში მიედინებოდა.

ნილოსის მარჯვენა, აღმოსავლეთის ნაპირიდან მაღლა მიემართებოდნენ ფარაონთა სახელგანთქმული დედაქალაქის ქუჩები. მდინარის პირას აღმართული იყო ამონის ქალაქის[1] ნაირფერად მოელვარე უშველებელი ტაძრები, ხოლო მათ იქით, აღმოსავლეთის მთებთან, თითქმის ამ მთებისვე ძირში, უდაბნოს ნაპირას იდგნენ მეფეებისა და დიდებულების სასახლეები, ხოლო გაწელილ ჩრდილოვან ქუჩებზე კი ერთმანეთს მიჰკვროდნენ ქალაქელთა ვიწრო და მაღალი სახლები.

ხმაურიანი და სიცოცხლით სავსე ცხოვრება ჩქეფდა ფარაონთა დედაქალაქის ქუჩებში.

სულ სხვა სურათი იშლებოდა ნილოსის დასავლეთ ნაპირზე. აქაც კმაროდა ლამაზი სახლები და ყველგან უამრავი ხალხი ირეოდა, მაგრამ თუ აღმოსავლეთ ნაპირზე შენობები მჭიდრო რიგებად იდგა და იქ მცხოვრებნი მხიარული ფუსფუსით მიიჩქაროდნენ თავ-თავიანთ საქმეზე, ამ მხარეს მხოლოდ ერთი-ორი მდიდრული ნაგებობა მოჩანდა; პატარ-პა-

[1] ამონის ქალაქი, ანუ ნუტ-ამონი, — ასე უწოდებდნენ ეგვიპტელები თებეს მას შემდეგ, რაც ღმერთი ამონი-რა („ღმერთთა მეფე“) ოფიციალურად გახდა მთელი ეგვიპტის ღმერთი.

ტარა სახლები და საცოდავი ქოხმახები ისე მიტმასნოდნენ მათ, როგორც ბავშვები ეკვრიან დედას რაიმე საშიშროებისგან თავდასაცავად. ნაგებობათა ეს ჯგუფები არაფრით არ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

თუ მათ ზემოდან, მთიდან, დახედავდით, გეგონებოდათ, დაბლა უამრავი პატარ-პატარა სოფელი მიმობნეულიყო, რომელთა შუაგულშიც მემამულეთა მდიდრული სახლები იდგა, ხოლო ზემოთ, დასავლეთ მთაგრეხილის აღმოსავლეთ ფერდობებზე, ასობით ჩაკეტილი ჭიშკარი მოჩანდა, ზოგი ცალცალკე და ზოგიც გრძელ რიგებად ჩამწკრივებული. ბევრი მათგანი ბორცვების ძირას იყო შეფენილი, უფრო მეტი — ფერდობებზე, ზოგიერთი კი მთლად ბორცვის წვერზე იდგა.

რა ცოტა მსგავსება იყო ამ ქუჩების გამოზომილ, თითქმის საზეიმო ცხოვრებასა და გაღმა გამეფებულ აჩქარებულ და მოუწესრიგებელ ფაციფუცს შორის იქ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე ყველაფერი მოძრაობაში იყო: ხალხი მუშაობდა და ისვენებდა, ხარობდა და დარდობდა, გაცხარებული საქმიანობით იყო გატაცებული, და ყველგან მხიარული ხმები ისმოდა. აქეთ, მარცხენა ნაპირზე კი ცოტას ლაპარაკობდნენ, თითქოს რაღაც იდუმალი ძალები აიძულებდნენ მიმავალს ნაბიჯი შეენელებინა, თვალების მხიარულ ბრწყინვალებასა და ღიმილს უქრობდნენ მას.

თუმცა ხანდახან აქეთაც მოადგებოდნენ ხოლმე მდიდრულად მორთული ნავები, ისმოდა გუნდური სიმღერები, მთის ფერდობებისკენ დიდი პროცესიები მიედინებოდნენ. ამ ნავებს ნილოსზე მიცვალებულთა გვამები გადმოჰქონდათ.

ნაღვლიანი სიმღერა მიცვალებულების ტირილს ნიშნავდა, ხოლო მწუხარე ნათესავები მწკრივებად მიაცილებდნენ სარკოფაგს უკანასკნელ გზაზე.

მკითხველო, ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით თებეს მკვდართა ქალაქში, მაგრამ აქაც ჩქეფს სიცოცხლე, რადგან ეგვიპტელებს წმინდად სწამდათ, რომ მათი მიცვალებულები არ კვდებიან. ისინი მკვდარს დაუხუჭავდნენ თვალებს და გადაიყვანდნენ ნეკროპოლში,[2] კოლხიტების ანუ ეგრეთ წოდებულ მებალზამეთა სახლში,[3] იქიდან კი აკლდამებსა და საძვალეებში. ამ დროს ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მკვდართა სულები განაგრძობენ სიცოცხლეს და საიქიო სამეფოს მიერ გამართლებულნი, ოზირისის[4] სახით მოგზაურობენ ზეცაში,

---

[2] ნეკროპოლი ანუ „მკვდართა ქალაქი“ (ბერძნ.) — ძველად დიდი სასაფლაო ქალაქების მახლობლად.

[3] კოლხიტები — სულის მოსახსენებელი კულტის მსახურთა, ძველი ეგვიპტელი ქურუმების ბერძნული სახელწოდება. ავტორი მათ მებალზამეებს უწოდებს, მაშინ, როცა უფრო გვიანდელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მებალზამეებს „ტარიქევტები“ ეწოდებოდათ.

[4] „...ოზირისის სახით...“ — ეგვიპტელთა რწმენით ყველა მიცვალებული იქცეოდა ოზირისად, ე. ი. მაგიური შელოცვების მცოდნედ; ეს შელოცვები იცავდნენ საიქიო მტრებისგან და უზრუნველყოფდნენ ოზირისის სამსჯავროზე გამართლებას.

ძველი ეგვიპტის თითოეულ ღმერთზე არსებობდა მითების მთელი ციკლი. ამ მითებმა ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია, რომლებიც ხშირად უფრო გვიანდელ ეპოქებს განეკუთვნებიან. ერთ-ერთ ყველაზე რთულ და უთავბოლო მითს წარმოადგენს მითი ოზირისზე; არსებობს მისი რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით დედამიწის ღმერთმა ჰებემ და ზეცის ქალღმერთმა მუთმა გააჩინეს ორი ვაჟიშვილი — ოზირისი და სეთხი, და ორი ქალიშვილი იზიდა და ნეფტიდა. იზიდა ცოლად გაჰყვა ოზირისს, ხოლო ნეფტიდა — სეთხს. ოზირისი და იზიდა მშვიდობიანად მართავდნენ ქვეყანას, ადამიანებს დაუწესეს კანონები, ასწავლეს როგორ ეხმარათ გუთანი და ა. შ. მათი თანაშემწეები იყვნენ პირველი ვეზირი თოთი და ომის ღმერთი ვეპუატი. სეთხი კი ყოველნაირად ცდილობდა ტახტის ხელში ჩაგდებას. ერთ-ერთ დღესასწაულზე სეთხი ძვირფასი სკივრით მოვიდა და შესთავაზა იმას, ვისაც ზომით მოერგებოდა. ოზირისს ეჭვიც კი არ აუღია, ისე ჩაწვა სკივრში, რომელიც ზუსტად მოერგო მის ტანს. სეთხმა სახურავი დაახურა და სკივრი ნილოსში გადააგდო. დამწუხრებულმა იზიდამ ტირილით შემოიარა ქვეყანა ოზირისის ძებ-

სახეცვლილნი კვლავ მოევლინებიან დედამიწას და შეერევიან თავიანთ თვისტომთა ცხოვრებას. ამიტომ ყოველი ეგვიპტელი ცდილობდა, მკვდარი ნათესავი რაც შეიძლება ღირსეულად დაესაფლავებინა. პირველ რიგში, გვამის საიმედოდ დაბალზამებასა და მსხვერპლშეწირვაზე ფიქრობდნენ. მიჰქონდათ მასთან ხორცი და ფრინველი, სასმელები და ნელსაცხებლები, ხილი და ყვავილები; ყოველივე ამ სანოვაგის განახლება განსაზღვრული დროის შემდეგ ხდებოდა.

ისევე როგორც დაკრძალვას, მსხვერპლშეწირვასაც უთუოდ ქურუმები უნდა დასწრებოდნენ. ამიტომ მკვდართა ქალაქი ყველაზე შესაფერის ადგილად ითვლებოდა ქურუმთა სკოლებისა და ბრძენთა სავანისთვის. ნეკროპოლის ტაძრებთან ქურუმთა მთელი საზოგადოებები სახლდებოდნენ, ხოლო რიგებად ჩამწკრივებული საბალზამო შენობების მახლობელ სახლებში კოლხიტები ცხოვრობდნენ, რომლებიც თავიანთ ხელობას მემკვიდრეობით გადასცემდნენ შვილებს.

გარდა ამისა, ნეკროპოლში უამრავი სხვადასხვა სახელოსნოები და დუქნები იყო. სახელოსნოებში ქვისგან კვე-

---

ნაში და ბოლოს ქალაქ ბიბლოსთან იპოვა კედარის ხის ტანში შეზრდილი სკივრი მეუღლის ცხედრით. თავის დასთან ნეფტიდასთან ერთად მან მეუღლე დაიტირა; იზიდამ შეძლო ცოტა ხნით გაეცოცხლებინა ქმარი, მაგრამ სულ მალე ოზირისი ისევ კვდება და იზიდა ასაფლავებს მას. ქალაქ ბუტოში მისულ იზიდას ჰორე შეეძინა, რომელიც ოზირისის მცირე ხნით გაცოცხლების დროს ჩაესახა. სეთხის დევნას რომ გადარჩენილიყო, იზიდამ ახალშობილ შვილთან ერთად ჭაობს შეაფარა თავი. დავაჟკაცებული ჰორე შეერკინა სეთხს, რათა შური ეძია მამისთვის. ორივე მოწინააღმდეგემ საოცარი სიმამაცე გამოიჩინა. ჰორემ ბრძოლაში თვალი დაკარგა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა. მაშინ, ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, ბრძენი თოთი, ღმერთების გადაწყვეტილებით, უყოფს მათ ქვეყანას: ჰორეს აძლევს ჩრდილოეთს, ხოლო სეთხს — სამხრეთს. ჰორეს მამა ოზირისი ქვესკნელის სამეფოს მეფე ხდება. ასეთია ამ მითის ერთ-ერთი ვერსია.

თავდნენ ან ხისგან ჭრიდნენ სარკოფაგებს, ამზადებდნენ მუმიის შესაკვრელ ლენტებს და ყოველგვარ ავგაროზებს. დუქნებში სოვდაგრები ვაჭრობდნენ ნელსაცხებლებითა და ესენციებით, ყვავილებით, ხილით, ბოსტნეულითა და ნამცხვრებით. იქვე ახლოს, სპეციალურად შემოღობილ საძოვრებზე რქიანი საქონლის მთელ ჯოგებს, უამრავ ბატსა და სხვა შინაურ ფრინველს ასუქებდნენ. აქ მოდიოდნენ გარდაცვლილის ნათესავები, ამოირჩევდნენ ცხოველებს, რომლებსაც ქურუმები საღვთოდ გამოაცხადებდნენ და დამღას ადებდნენ. ბევრნი სასაკლაოზე მხოლოდ ხორცის ნაჭრებს ყიდულობდნენ. ღარიბები კი საერთოდ არ მოდიოდნენ აქ. ისინი იძენდნენ ამა თუ იმ ცხოველის ფორმის გაფერადებულ კვერებს, რომლებიც სიმბოლურად ცვლიდნენ ძვირადღირებულ ხარსა და ბატს, რადგან მათი ყიდვის საშუალება არ გააჩნდათ. ყველაზე მდიდრულ დუქნებში დიდკაცურად ჩამომსხდარი ქურუმების მსახურნი დიდის ამბით იწერდნენ დაკვეთებს პაპირუსის გრძელ გრაგნილებზე, ხოლო შემდეგ ტაძრების განსაკუთრებულ სადგომებში ამავე გრაგნილებზე წერდნენ საღმრთო ტექსტებს, რომლებიც აუცილებლად უნდა სცოდნოდათ მკვდრების სულებს, რათა მათი წარმოთქმისას თავი დაეცვათ სხვა ურიცხვი სულებისგან, შეეღოთ საიქიოს სამეფოს კარი და გამართლებულიყვნენ ოზირისისა და მისი ორმოცდაორი მოსამართლის მიერ საიქიო სამსჯავროზე.

ყველაფერი, რაც ტაძრებში ხდებოდა, საიმედოდ იყო დაცული ცნობისმოყვარეთა თვალისგან, რადგან ყოველ ტაძარს გარს ერტყა მაღალი გალავანი, ხოლო მაგრად ჩაკეტილი ჭიშკრები მხოლოდ დილაადრიან და საღამოთი იღებოდა, როცა იქიდან ქურუმები გამოდიოდნენ და გუნდ-გუნდად საღ-

ვთო ჰიმნებს მღეროდნენ იმ ღმერთის პატივსაცემად, რომელიც ჰორეს სახით ამოდის და ჩადის როგორც ტუმი.[5]

როგორც კი მწუხრის ჰიმნის უკანასკნელი ხმები მიწყდებოდა, ნეკროპოლი ცარიელდებოდა. მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე გამცილებელი ნათესავები და აკლდამის მნახველები თავ-თავიანთ ნავებში სხდებოდნენ და მკვდართა ქალაქს ტოვებდნენ. ხალხი, რომელიც დილას საზეიმო სვლით გადადიოდა დასავლეთ ნაპირზე, ახლა უწესრიგოდ მიიჩქაროდა მდინარისკენ, რადგან მათ მცველთა რაზმები ერეკებოდნენ, მძარცველებისგან რომ იცავდნენ აკლდამებს. სოვდაგრები კეტავდნენ თავიანთ დუქნებს, კოლხიტები და ხელოსნები ამთავრებდნენ სამუშაო დღეს და შინ მიეშურებოდნენ, ხოლო ქურუმები ტაძრებში ბრუნდებოდნენ. ნათესავების საფლავების სანახავად შორიდან მოსულნი, თუკი არ სურდათ თავშესაფარი მდინარის გაღმა, ხმაურიან ქალაქში ეძებნათ, იქვე საფლავების ახლოს ეწყობოდნენ ღამის გასათევად.

წყდებოდა მოტირალთა ხმა; ურიცხვი მენიჩბეების სიმღერა, თავიანთი ნავები აღმოსავლეთ სანაპიროზე რომ გადაჰყავდათ, თანდათან იკარგებოდა შორეთში, მხოლოდ ქარს მოჰქონდა დროდადრო რაღაც გაუგებარი ბგერები და ბოლოს ყველაფერი ღამის წყვდიადში იძირებოდა.

---

[5] ცაზე დღის მნათობის მოძრაობას ადამიანის სიცოცხლეს ადარებდნენ. როგორც ყრმა (ჰორე) ამოდიოდა მზე, შუადღისას ის უკვე გმირ ღმერთ რად იქცეოდა და მზად იყო გველ ურეოსს შერკინებოდა, რომელიც დიადემას უმშვენებდა; საღამო ჟამს კი დღის მნათობი მოხუც ტუმის (ატუმის) სახით ჩაესვენებოდა. ამგვარად წყვდიადიდან აღმოცენდებოდა სინათლე, და ატუმიც, შესაბამისად, ჰორეზე და სხვა ღმერთებზე უფროსად ითვლებოდა. (ავტ. შენიშვნა).

მიწყნარებულ მკვდართა ქალაქის თავზე უღრუბლო ცა ჩამოწვა, რომელზედაც ხანდახან უხმაუროდ ჩაიქროლებდნენ ხოლმე ღამურების მქრქალი ლანდები. ისინი ნილოსიდან აკლდამებსა და მთის ხეობებში ბრუნდებოდნენ, სადაც ყოველ საღამოს ნადირობდნენ ქინქლებზე, წყალსაც ჩაყლაპავდნენ, მოღონიერდებოდნენ და დღის ძილისთვის ემზადებოდნენ. მიწაზე კი აქა-იქ რაღაც შავი არსებები დაცოცავდნენ და მუქ წაგრძელებულ ჩრდილებს ტოვებდნენ. ეს ტურები იყვნენ, რომლებიც მდინარისკენ მიიპარებოდნენ წყლის დასალევად და ხშირად გუნდ-გუნდად მოურიდებლად მიადგებოდნენ ხოლმე ბატებისა და თხების ბაკს.

ღამის ამ მტაცებლებზე ნადირობა აკრძალული იყო, რადგან ისინი საფლავების მცველის — ღმერთ ანუბისის[6] — ცხოველებად ითვლებოდნენ. ისინი აკლდამებშიც უხვად შოულობდნენ საჭმელს და ადამიანისთვის საშიში აღარ იყვნენ. პირიქით, როცა ისინი საკურთხეველზე მიტანილ ხორცს მიირთმევდნენ, ამით უდიდეს ნუგეშს აძლევდნენ მკვდრის ნათესავებს; როცა მეორე დღეს ვეღარ ნახავდნენ მათ მიერ მოტანილ ხორცს, ღრმად სწამდათ, რომ მათი მსხვერპლი ესიამოვნათ მიცვალებულებს. ამასთან ერთად ტურები საიმედო დარაჯებიც იყვნენ: ისინი დევნიდნენ ყველა დაუპატიჟებელ სტუმარს, ვინც კი ღამის სიბნელეში შეეცდებოდა აკლდამაში შეძვრომას.

---

[6] ანუბისი — ტურის თავით გამოსახული ოზირისისა და ნეფტიდას ვაჟიშვილი; ტურა მისი წმიდათაწმიდა ცხოველი იყო. როგორც უძველეს დროში თვლიდნენ, ის ქვესკნელის სამეფოს კარიბჭესთან იდგა. ანუბისი ხელმძღვანელობდა დაბალზამებას, ინახავდა ცხედრებს, დარაჯობდა ნეკროპოლს და გზას უჩვენებდა განსვენებულთა სულებს. პლუტარქეს მიხედვით, მას „ღმერთების გუშაგად უნდა ემსახურა, როგორც ძაღლი ემსახურება ადამიანს“. (ავტ. შენიშვნა).

1352 წლის ზაფხულის იმ საღამოსაც, როდესაც მკითხველს ვიწვევთ ჩვენთან ერთად ინახულოს მკვდართა ქალაქი თებეში, ნეკროპოლში, ჩვეულებისამებრ, როგორც კი მწუხრის ჰიმნის ხმა მიწყდა, სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

ის იყო, მცველები პირველი შემოვლის შემდეგ საყარაულო სადგომში დაბრუნებას აპირებდნენ, რომ უეცრად მკვდართა ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ძაღლები აყეფდნენ... რაზმის უფროსმა თავისი ხალხი შეაჩერა, და როცა ყეფა გაძლიერდა, უბრძანა სასწრაფოდ იქით წასულიყვნენ, საიდანაც ძაღლების ხმა მოისმოდა.

მცირე რაზმი მყისვე გაჩნდა ნილოსიდან გამოყვანილი არხის მაღალ მიწაყრილზე. აქედან მცველებმა კარგად დაათვალიერეს ნაყოფიერი მიწის მთელი ზოლი თვით მდინარემდე და ნეკროპოლის ჩრდილოეთი მხარე. ვერაფერი საეჭვო რომ ვერ ნახეს, შეჩერდნენ; აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ამ დროს, სწორედ იმ მხრიდან, საიდანაც ძაღლის ძლიერი ყეფა მოისმოდა, ჩირაღდნის შუქი გამოკრთა. მცველები სასწრაფოდ გაემართნენ იქით და სიწყნარის დამრღვევთ ახლანდელი მეფის, ფარაონ რამზეს II, აწგანსვენებული მამის, სეთი I მიერ აშენებული ტაძრის პილონებთან[7] შეხვდნენ.

ამომავალი მთვარის შუქი ეფრქვეოდა დიდებულ ტაძარს, რომლის კედლები წითლად ღვიოდნენ ჩირაღდნების ცეცხლზე, შავკანიან მსახურთა ხელში რომ ხრჩოლავდნენ.

ზედმიწევნით მდიდრულად ჩაცმული, საშუალო ტანის კაცი ისე ძლიერად უბრახუნებდა მათრახის რკინის ტარს ტაძრის სპილენძაკრულ ჭიშკარს, რომ მისი ხმა შორს იფანტებოდა ღამის წყვდიადში. იქვე გვერდზე ტახტრევანი და ეტლი იდგა,

[7] პილონები — დახრილკედლებიანი მაღალი კოშკები, რომელთა შორის მოთავსებული იყო ტაძარში შესასვლელი ჭიშკარი. (ავტ. შენიშვნა).

რომელშიც ჩინებული ცხენები იყვნენ შებმული. ტახტრევანში ახალგაზრდა ქალი იჯდა, ხოლო ეტლზე, მეეტლის გვერდით, მეორე დიდგვაროვანი მანდილოსნის ფიგურა მოჩანდა. ისინი გარშემორტყმული იყვნენ მამაკაცთა დიდი ჯგუფით, რომლებიც გარეგნობის მიხედვით პრივილეგირებული წოდებისა უნდა ყოფილიყვნენ, და მრავალი მსახურით. ყველანი დუმდნენ. მხოლოდ ძალიან იშვიათად თუ გადაუჩურჩულებდა ხოლმე ვინმე გვერდით მდგომს. ამ უცნაურად განათებული ჯგუფის მთელი ყურადღება ტაძრის ჭიშკრისკენ იყო მიპყრობილი. თუმცა ამ ადამიანთა ფიგურებს წყვდიადი ფარავდა, ჩირაღდნების ალით გაძლიერე ბული მთვარის შუქი მაინც საკმარისი იყო, რათა მეკარეს, რომელიც ერთ-ერთი კოშკიდან დაჟინებით უყურებდა სიმშვიდის დამრღვევთ, გაერჩია, რომ ყველა ისინი უეჭველად თებეს დიდგვაროვანთ და, შესაძლოა, სამეფო გვარსაც კი მიეკუთვნებოდნენ. კაცს, რომელიც ჭიშკარზე აბრახუნებდა, მეკარე ხმამაღლა გამოეპასუხა და ჰკითხა, რა უნდოდა. მან ზევით აიხედა და ისე უკმეხად და აგდებულად გამოლანძღა მეკარე (რითაც უხეშად დაარღვია მკვდართა ქალაქის სიწყნარე), რომ ტახტრევანში მჯდომი ქალი შიშისგან შეხტა.

— რამდენ ხანს უნდა გელოდოთ, შე ზარმაცო ძაღლო? ჯერ ჩამოდი, ჭიშკარი გააღე და მერე მოგვეცი შეკითხვები! თუ ეს ჩირაღდნები არ კმარა იმისათვის, რომ გაარჩიო, ვისთან გაქვს საქმე, მაშინ მათრახით დაგაწერ ზურგზე, ვინცა ვართ და გასწავლი, როგორ უნდა მიიღო წარჩინებული ხალხი!

სანამ მეკარე ბურტყუნით კიბეზე ჩამოვიდოდა და ჭიშკართან მოვიდოდა, ეტლზე მდგომი ქალი მათრახიან კაცს მიუბრუნდა და მელოდიური ხმით, მაგრამ მტკიცედ და მკაცრად, უთხრა:

— ჩანს, დაგავიწყდა, პააკერ, რომ ჯერ ისევ ეგვიპტეში ხარ და საქმე არა ველურ შასუებთან,[8] არამედ მშვიდობიან ქურუმებთან გაქვს. ეგეც არ იყოს, ჩვენ ხომ მათთან დახმარებისთვის მოვედით! ისედაც ყველა შენს უხეშობას უჩივის, ხოლო ახლა, როცა განსაკუთრებულმა გარემოებებმა გვაიძულა მოვსულიყავით ამ წმინდა ტაძარში, სრულიად უადგილოდ მიმაჩნია შენი უკმეხობა.

ქალის ასეთმა სიტყვებმა, ეტყობა, ძლიერ იმოქმედა მის თავმოყვარე თანამგზავრზე. ცხვირის ფართო ნესტოები აუთრთოლდა, მარჯვენა ხელის თითები ძალუმად მოუჭირა მათრახის ტარს, ფარისევლური მორჩილებით დახარა თავი და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტიტველ ფეხებზე მათრახი გადაუჭირა გვერდით მდგომ მონას. მონა ტკივილისგან ახტა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს, რადგან კარგად იცოდა თავისი პატრონის მკაცრი ხასიათი.

ამასობაში მეკარემ ჭიშკარი გააღო და გარეთ გამოვიდა. მას თან გამოჰყვა ახალგაზრდა ქურუმი, რომელსაც ჩაცმულობაზე ეტყობოდა, მეტად მაღალი წოდების პირი უნდა ყოფილიყო, რათა გაეგო, რა უჭირდათ ღამის სიმშვიდის კადნიერ დამრღვევთ.

პააკერს უნდოდა ლაპარაკი დაეწყო, მაგრამ ეტლზე მდგომმა ქალმა დაასწრო:

— მე ბენტ-ანატი,[9] ფარაონის ქალიშვილი ვარ, — უთხრა მან, — ეს ქალი კი, ტახტრევანში რომ ზის, ნეფერტია, მამაჩე-

---

[8] შასუ — ასე უწოდებდნენ ეგვიპტელები სემიტ-ბედუინთა ტომებს, რომლებიც სინის ნახევარკუნძულზე, პალესტინასა და სირიაში სახლობდნენ.

[9] ბენტ-ანატი — ისტორიული პიროვნება; კლდეში ნაკვეთი ტაძრის აბუ-სიმბელის (ნუბია) შესასვლელში არის რამზეს II ქალიშვილის ბენტ-ანატის კარგად შემონახული გამოსახულება სისტრით ხელში.

მის მეეტლის, კეთილშობილი მენას მეუღლე. ჩვენ ამ წარჩინებული ბატონების თანხლებით ნეკროპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში გავემგზავრეთ ახლახან ჩატარებული სამუშაოების დასათვალიერებლად. ხეობისკენ მიმავალ გზაზე, კლდეებს შორის, ვიწრო გასავალი ხომ იცი? ჰოდა, უკან რომ ვბრუნდებოდით, ცხენები თავად მიმყავდა და, ჩემდა საუბედუროდ, გოგონას გადავუარე, რომელიც გზის პირას იჯდა ყვავილებიანი კალათით. საბრალო ძლიერ დაშავდა და ვშიშობ, მისი სიცოცხლე საფრთხეშია. მენას მეუღლემ თვით თონ შეუხვია ჭრილობები და გოგონა პაპას შინ მივუყვანეთ. პარასქიტია,[10] მგონი, პინემს ეძახიან. არ ვიცი, იცნობ თუ არა მას.

— და შენ შეხვედი მის ქოხში, მეფის ასულო? — ჰკითხა ქურუმმა.

— დიახ, მე ვალდებული ვიყავი ასე გამეკეთებინა, წმინდა მამაო. თუმცა ჩემთვის ცნობილია, რომ ვინც მათი ქოხის ზღურბლზე გადააბიჯებს, ის წაიბილწავს თავს, მაგრამ...

— მაგრამ, — სიტყვა ჩამოართვა მენას ცოლმა და ტახტრევანზე წამოდგა, — ბენტ-ანატი დღესვე გიბრძანებთ შენ ან სასახლის ქურუმმა ჩაუტაროთ მას განწმენდის წეს-ჩვეულება, ის ბავშვი კი, ღმერთმა იცის, ცოცხალი დაურჩება თუ არა უბედურ მამამისს!

— ვიცი პარასქიტის ქოხი უწმინდური ადგილია, — შეაწყვეტინა პენსებამ, ფარაონის ქალიშვილის შინაკაცმა, — მე წინააღმდეგი ვიყავი, როცა ბენტ-ანატმა გადაწყვიტა პირადად შესულიყო იმ დაწყევლილ ბუნაგში. ვურჩიე განკარგულება გა-

---

[10] პარასქიტი — ადამიანის სხეულის გამკვეთი, რომელიც მიცვალებულს აცლიდა მთელ შიგნეულს შემდგომი დაბალზამებისთვის.

ეცა, რომ გოგონა შინ მიეყვანათ, — მიმართა მან ქურუმს, — ხოლო მამამისისთვის ძვირფასი საჩუქარი გაეგზავნა.

— მერე, როგორ მოიქცა მეფის ასული? — ჰკითხა ქურუმმა.

— როგორც ყოველთვის, მოიქცა ისე, როგორც თვითონ ესმოდა, — მორჩილად უპასუხა პენსებამ.

— რაც ყოველთვის უკარნახებს მას, მოიქცეს სამართლიანად! — წამოიძახა მენას ცოლმა.

— იყოს ნება ღვთისა, — ძლივსგასაგონად წაიჩურჩულა ბენტ-ანატმა. მერე ქურუმს მიუბრუნდა და განაგრძო:

— შენთვის, წმინდა მამაო, ცნობილია ღვთის ნება, შენ ადამიანთა გულებში კითხულობ, მე კი ერთი ვიცი მხოლოდ: სიამოვნებით გავიკითხავ ღარიბებს, მაშინაც კი, როცა მათ სხვა დამცველი არა ჰყავთ, გარდა საკუთარი სიღატაკისა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც იმ უბედურებს შეემთხვათ, მე თვითონ მჭირდება დახმარება!

— შენ? — გაუკვირდა პენსებას.

— დიახ, მე! — მტკიცედ უპასუხა ბენტ-ანატმა. ქურუმმა, რომელიც აქამდე უხმოდ იდგა, მარჯვენა ხელი ისე ასწია, თითქოს პირჯვარი უნდა გადაწეროს ვინმესო და წარმოთქვა:

— შენ სამართლიანად მოქცეულხარ! ხატორებმა[11] მკერდში კეთილშობილი გული ჩაგიდეს, ჭეშმარიტების ქალღმერ-

---

[11] ხატორი — ქალღმერთ იზიდას სიმბოლური განსახიერება. ის ითვლებოდა მოწმენდილი და გამჭვირვალე ცის ქალღმერთად; მას გამოსახავდნენ ძროხის თავით ან რქებიანი ადამიანის თავით მზეს დისკოთი რქებს შორის. მას „პირმშვენიერი“ შეარქვეს და ყველა წმინდა სიხარულს მისგან მონიჭებულად მიიჩნევდნენ. მოგვიანებით იგი მუზად იქცა, რომელიც ცხოვრებას სიხარულით, სიყვარულით, სიმღერითა და ცეკვით ალამაზებს. კეთილი ფერიის სახით იდგა იგი ყრმის აკვანთან და მის ბედ-იღბალს განაგებდა. მას რამდენიმე სახელი ჰქონდა, და, ჩვეულებრივ, შვიდ ხატორს გამოსახავდნენ, რომლებიც მისი ღვთაებრივი მოღვაწეობის მთავარ მხარეებს განასახიერებდნენ. (ავტ. შენიშვნა).

თი კი ხელმძღვანელობს მას. მართალია, ღამის ლოცვაში ხელი შეგვიშალეთ, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ დასახიჩრებული გოგონასთვის ექიმი გჭირდებათ?

— დიახ, სწორედ ასეა!

— მაშინ ვთხოვ მთავარ ქურუმს, ყველაზე კარგი მკურნალი შეგვირჩიოს და მაშინვე გავგზავნით ავადმყოფთან. ჰო, სად არის პარასქიტ პინემის სახლი? მე მას არ ვიცნობ.

— ხატშეფსუტის ტაძრის ჩრდილოეთითაა, — აუხსნა ფარაონის ქალიშვილმა, — თვით... თუმცა ვუბრძანებ ვინმეს ჩემი ხალხიდან გააცილოს ექიმი, თანაც დილით აუცილებლად უნდა ვიცოდე ავადმყოფის მდგომარეობა. პააკერ!

კაცი, რომელსაც მან დაუძახა, სწორედ ის გახლდათ, ვინც ასე უხეშად აბრახუნებდა ტაძრის ჭიშკარზე. მან მდაბლად დაუკრა თავი მეფის ასულს.

— რას მიბრძანებ? — ჰკითხა მან.

— ექიმები უნდა გააცილო. ვიმედოვნებ, ფარაონის მზვერავს არ გაგიჭირდება პარასქიტის ქოხის მოძებნა! შენც ხომ ჩემი დანაშაულის თანამონაწილე ხარ, რადგანაც... — ბენტანატი ქურუმს მიუბრუნდა:

— უნდა გამოგიტყდე: ეს უბედურება მაშინ მოხდა, როცა ვცდილობდი პააკერის ჩორთით მოსიარულე სირიული ცხენებისთვის გამესწრო. ის იკვეხნიდა, რომ ისინი უფრო ფეხმარდები არიან, ვიდრე ჩემი ეგვიპტურები... ეს იყო თავბრუდამხვევი ჭენება!

— დიდება ამონს, რომ უფრო ცუდად არ დამთავრდა ეს ყველაფერი! — წამოიყვირა პენსებამ. — პააკერის ნაფოტებად ქცეული ეტლი ხევში აგდია, ხოლო მისი საუკეთესო ცხენები მძიმედ დასახიჩრებულია.

— ექიმებს რომ მიიყვანს პარასქიტთან, გოგონას ნახვასაც მოისურვებს, — თქვა ბენტ-ანატმა. — შენ კი, პენსება, უგუნური ქალიშვილის მზრუნველო მეურვევ, იცოდე: ძალიან მიხარია, მამაჩემი აქ რომ არ არის და შორეულ სათის[12] ქვეყანაში ომობს.

— მართლაც, დღეს ალბათ თავზე არ გადაგისვამდა ხელს, — ჩაიცინა პენსებამ.

— კი მაგრამ, აქამდე სად არიან ექიმები? — მოუთმენლობა დაეტყო ბენტ-ანატს. — მაშ ასე, პააკერ, გააცილებ ექიმებს და დილით აუცილებლად მაცნობებ ავადმყოფის ჯანმრთელობის შესახებ.

პააკერმა მდაბლად დაუკრა თავი. ბენტ-ანატმა კი ოდნავი თავის შერხევით უპასუხა. ამასობაში ტაძრის ჭიშკართან გამოსულმა ქურუმმა და მისმა თანამოძმეებმა ცისკენ აღაპყრეს ხელები დალოცვის ნიშნად და ღამის პროცესია ნილოსისკენ დაიძრა.

პააკერი ტაძარში დარჩა ორი მონით. მეფის ასულის დავალება დიდად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ რას იზამდა. ნაღვლიანად გააყოლა თვალი მენას მეუღლის ტახტრევანს, სანამ მისი გარჩევა შეიძლებოდა ღამის წყვდიადში და თან გზას იგონებდა პარასქიტის ქოხამდე. ღამის გუშაგთა უფროსი კი ჯერ ისევ ჭიშკართან იდგა თავისი რაზმითურთ.

— შენ ხომ არ იცი, სადაა პარასქიტ პინემის ქოხი? — მიმართა მას პააკერმა.

— მერედა შენ რად გინდა?

— შენი საქმე არ არის! — შეუღრინა პააკერმა.

---

[12] სათის ქვეყანა — აზია. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

— უხეში ყოფილხარ! — გაბრაზდა გუშაგთა უფროსი, — ჰეი, რაზმელებო, მომყევით! ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება!

— შესდექ! — ღვარძლიანად დაიღრიალა პააკერმა, — შენ იცი, რომ მე ფარაონის მახორი ვარ?

— მით უკეთესი, უფრო იოლად იპოვი იმ ადგილს, საიდანაც მოსულხარ. მომყევით!

გუშაგთა უფროსს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ექოსავით გაისმა მრავალხმიანი ხარხარი. ამ ხმამაღალ ხარხარში ნათლად ჟღერდა აშკარა თავხედობა, რამაც ისე შეაძრწუნა პააკერი, რომ მათრახი ხელიდან გაუვარდა; და სწორედ ის მონა, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ შიშველ ფეხებზე გადაჰკრა, მათრახს დასწვდა და უსიტყვოდ შეჰყვა თავის პატრონს ტაძრის ეზოში. ორივეს ისევ ჩაესმოდა დამცინავი ხარხარი. იგი ისე ავბედითად ჟღერდა მკვდართა ქალაქის სიწყნარეში, რომ უნებლიეთ ღამის მოუსვენარ სულებს მიაწერეს. ეს უტიფარი ხმები არც მოხუც მეკარეს გამოჰპარვია, რომელიც ყველაზე კარგად იცნობდა იმ დამცინავ ხალხს; დინჯი ნაბიჯებით გაემართა ტაძრის ჭიშკრისკენ, შევიდა პილონის უკან ჩრდილში და თავისი გრძელი ჯოხით მიწაზე ბაკუნი დაიწყო,

— ჰეი, სეთხის[13] ბინძურო ნაშიერებო, უსაქმურებო და ცოდვილებო! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!

ღვარძლიანი სიცილი მიწყდა. რამდენიმე პატარა ფიგურა გამოძვრა ჩრდილიდან. მოხუცი ხვნეშითა და კვნესით გამო-

---

[13] სეთხი — ბოროტების ღმერთი, რომელსაც ბერძნები ტიფონს უწოდებდნენ; იგი ოზირისის ძმა იყო, ამასთანავე მისი დაუძინებელი მტერიც, და საერთოდ, მტერი ყოველივე ლამაზისა და მშვენიერისა, არეულობა და უწესრიგობა რომ შეჰქონდა ბუნებაში. თავისი მამის ოზირისის დასაცავად მასთან ნიადაგ მორკინალმა ღმერთმა ჰორემ შეძლო მისი მიწაზე დანარცხება, დასახიჩრება, მაგრამ მისი განადგურება არ ძალუძდა.

უდგა მათ და სულ მალე მოზარდების მთელმა ჯგრომ დურთა თავი ტაძრის ჭიშკარში, მაგრამ მეკარემ მაინც მოახერხა ერთი ცამეტიოდე წლის დამნაშავის დაჭერა, რომელსაც ისე მაგრად ჩაავლო ხელი ყურში, რომ საწყალმა ბიჭმა თავი მხარს მიაჭირა ტკივილისაგან.

— ყველაფერს გადავცემ უფროს მასწავლებელს, თქვე კალიებო, მყრალო ღამურებო! — ყვიროდა იგი და თან ხვნეშოდა. ათობით მოსწავლემ დრო იხელთა, თავიანთი დილეგიდან გამოძვრნენ, მოხუცს შემოეხვივნენ, მლიქვნელური სიტყვები მიაყარეს და არწმუნებდნენ, რომ გულწრფელად მოინანიებდნენ დანაშაულს, მაგრამ მათ თვალებში მაინც ცბიერება გამოკრთოდა, ხოლო როცა ერთ-ერთი უფროსი მოწაფე მოხუცს მოეხვია და დაჰპირდა, მამაჩემის გამოგზავნილ ღვინოს მოგიტანო, მეკარემ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ტყვე გაუშვა. სანამ იგი ნატკენ ყურს ისრესდა, მოხუცმა უფრო მეტი სიმკაცრე მისცა თავის ხმას და დაიყვირა:

— აბა, ცოცხლად, გაქრით აქედან! თქვენ გგონიათ, უყურადღებოდ დავტოვებ თქვენს ასეთ საქციელს? არა! ცუდად გიცვნიათ მოხუცი ბაბა. მასწავლებელთან კი არა, ღმერთებთან გიჩივლებთ, შენს ღვინოს კი, ყმაწვილო, ღმერთებს შევწირავ, რომ ცოდვები მოგიტევონ.

თავი მეორე

ტაძარი, რომლის ეზოშიც პააკერი ექიმთან წასული ქურუმის დაბრუნებას ელოდა, „სეთის სახლად“ იწოდებოდა. იგი ყველაზე დიდი იყო მკვდართა ქალაქში და თავისი სიდიადით ჩამოუვარდებოდა მხოლოდ დიდებულ ტაძარს, აგებულს წარსული დინასტიის დროს, ახლანდელი ფარაონის პაპამ რომ დაამხო. მისი მშენებლობა თუტმოს III დაიწყო, ხოლო ამენხოტეპ III უშველებელი კოლოსებით[14] მორთო იგი. სეთის სახლს პირველი ადგილი ეკავა ნეკროპოლის უწმინდეს ნაგებობათა შორის. ამიტომ რამზეს I, როგორც კი ეგვიპტის ტახტი ძალით ხელში ჩაიგდო, დაიწყო მისი აღდგენა, ხოლო მისმა შვილმა — სეთი დიდმა — დაამთავრა ეს სამუშაოები. ტაძარი მიძღვნილი იყო ახალი დინასტიის განსვენებულ ფარაონთა სულის კულტისადმი და ქვესკნელის სამეფოს ღმერთების პატივსაცემად გამართული ზეიმების მოსაწყობად იყენებდნენ. ტაძრის მორთულობაზე, ქურუმებისა და სამეცნიერო დაწესებულებების შენახვაზე ყოველწლიურად დიდძალი თანხა იხარჯებოდა, რათა ეს სამეცნიერო დაწესებულებანი არ ჩამორჩენოდნენ ქურუმთა უძველეს სიბრძნის კერებს ჰელიოპოლისსა და მემფისში, უფრო მეტიც, ისინი მათი ნიმუშის მიხედვით იყო მოწყობილი და მოწოდებული ზემო ეგვიპტეში

[14] მემნონის კოლოსები — ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ III ორი მონოლითური ქანდაკება თებეში. ანტიკური ხანის ავტორები ამ ქანდაკებებს ცისკრის ქალღმერთის ავრორას ვაჟის — ეთიოპიის მითიური მეფის მემნონის გამოსახულებად თვლიდნენ.

მკითხველთა ლიგა

ფარაონთა ახალი დედაქალაქის თებეს განსადიდებლად ქვემო ეგვიპტის მთავარ სამეცნიერო ცენტრებთან შედარებით.

სეთის სახლის სამეცნიერო დაწესებულებათა შორის განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა სკოლები და, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი სკოლა, სადაც ქურუმებს, ექიმებს, მოსამართლეებს, მათემატიკოსებს, ასტრონომებს, ფილოლოგებსა და სხვა სწავლულთ შეეძლოთ არა მარტო ცოდნის მიღება, არამედ, მიაღწევდნენ რა განათლების უმაღლეს საფეხურს და მიიღებდნენ „მწერლის“ წოდებას, იქვე პოულობდნენ მუდმივ თავშესაფარს. ისინი აქ უზრუნველად ცხოვრობდნენ ფარაონების ხარჯზე და მუდმივ ურთიერთობაში იყვნენ სხვა დარგის სწავლულებთან, რითაც საშუალება ეძლეოდათ, მთელი შესაძლებლობით ჩართულიყვნენ სამეცნიერო კვლევებსა და დაკვირვებებში.

სწავლულთა განკარგულებაში იყო მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც ათასობით ხელნაწერი გრაგნილი ინახებოდა, ხოლო მის გვერდით პაპირუსის დამამზადებელი სახელოსნო მდებარეობდა. ზოგიერთ სწავლულს მინდობილი ჰქონდა დაწყებითი სკოლების უმცროს მოსწავლეთა აღზრდა; ეს სკოლებიც სეთის სახლის გამგებლობაში შედიოდნენ. ასეთ სკოლაში სწავლა შეეძლოთ ყველა თავისუფალი მოქალაქის შვილებს. ტაძარში ასობით მოწაფე ცხოვრობდა, რომელთა მშობლები ვალდებულები იყვნენ ან მათი შესანახი ღირებულება ეხადათ, ანდა საჭმელი ეგზავნათ შვილებისთვის.

ცალკე შენობაში მოთავსებული იყო ტაძრის პანსიონი, სადაც ქურუმები დიდი თანხის ფასად ზრდიდნენ ყველაზე წარჩინებული ოჯახების შვილებს. თვით ამ პანსიონის დამაარსებელმა სეთი I აქ მისცა აღსაზრდელად თავისი ვაჟიშვილები, უფრო მეტიც, თავისი მემკვიდრე რამზეს II.

დაწყებით სკოლებში ძალიან ბევრი მოსწავლე იყო და ჯოხი მათ აღზრდაში ისეთ თვალსაჩინო როლს თამაშობდა, რომ ერთ-ერთმა მასწავლებელმა თქვა: „მოწაფეს ყურები ზურგზე აქვს, რადგან, როცა სცემენ, უფრო კარგად ესმის“.

ყმაწვილებს, რომელთაც სურდათ დაწყებითი სკოლიდან უმაღლესში გადასვლა, სპეციალური გამოცდები უნდა ჩაებარებინათ; ვინც წარმატებით ჩააბარებდა, უფლება ეძლეოდა ცნობილ სწავლულთაგან აერჩია დამრიგებელი, რომელიც ხელმძღვანელობდა მის სამეცნიერო მუშაობას, ხოლო ყმაწვილი თავისი დამრიგებლის ერთგული რჩებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე. მეორე გამოცდის ჩაბარების შემდეგ იგი „მწერლის“ წოდებას და საზოგადოებრივი თანამდებობის დაკავების უფლებას ღებულობდა.

ასეთი სკოლების გარდა მომავალ სწავლულთათვის არსებობდა კიდევ დაწესებულება, სადაც ის ახალგაზრდები სწავლობდნენ, ვისაც დიდი მიდრეკილება ჰქონდა ხუროთმოძღვრების, ქანდაკებისა და ფერწერისადმი. აქაც თითოეული მოწაფე ირჩევდა თავის დამრიგებელს.

ყველა მასწავლებელი მიეკუთვნებოდა სეთის ტაძრის ქურუმთა კასტას, რომელიც რვაასზე მეტ წევრს ითვლიდა და დაყოფილი იყო ხუთ კლასად. თითოეულ კლასს სათავეში სამ-სამი ეგრეთ წოდებული წინასწარმეტყველი ედგა.

პირველი წინასწარმეტყველი იყო სეთის ტაძრის მთავარი ქურუმი, რომელიც ამავე დროს თებეს მკვდართა ქალაქში მცხოვრებ ათასობით დაბალ და მაღალ ღვთისმსახურთა უფროსადაც ითვლებოდა.

სეთის ტაძრის მთავარი შენობა აგებული იყო კირქვის მასიური ფილებისაგან. სფინქსების გრძელი ხეივანი ნილოსის ნაპირიდან ტაძრის გალავნამდე აღწევდა და პირველი ფარ-

თო პილონით მთავრდებოდა, რომელიც დიდ ეზოში შესასვლელად იყო გამოყენებული; ეზოს ორივე მხრიდან მაღალი სვეტები ჰქონდა შემოვლებული, ხოლო იმის იქით მეორე ჭიშკარი მოჩანდა. წაკვეთილი პირამიდის ფორმის ორ კოშკს შორის მოთავსებული ჭიშკრით შედიოდნენ შიდა ეზოში, რომელიც მწყობრი სვეტებით იყო გარშემორტყმული და უკვე ტაძრის მთავარი შენობის ნაწილს წარმოადგენდა.

იმ ღამეს ტაძარი რამდენიმე ფარნით სუსტად იყო განათებული.

ტაძრის უკან ნილოსის უბრალო აგურით ნაგები მაღალი შენობები მოჩანდა, რომლებიც იაფი სამშენებლო მასალის მიუხედავად, მეტად ლამაზად იყვნენ მორთული, რადგან კედლები შეელესათ და ნაირფერი ფიგურებითა და იეროგლიფებით მოეხატათ.

ყველა შენობის შიდა მოწყობილობა ერთნაირი გახლდათ. თითოეული სახლის შუაში მოთავსებული იყო ღია ეზო, სადაც გამოდიოდა ქურუმებისა და სწავლულთა ოთახების კარები; ეზოს ორივე მხარეს ეკრა დახურული ხის შუშაბანდები, ხოლო ცენტრში გაეკეთებინათ აუზი, რომელიც დეკორატიული მცენარეებით იყო გარშემორტყმული. მოსწავლეთა ოთახები მოთავსებული იყო ზემოთ, მეცადინეობა კი ჩვეულებრივად მოკირწყლულ ეზოში დაგებულ ჭილოფზე ტარდებოდა.

სეთის ტაძრის უკან ასიოდე ნაბიჯის მოშორებით მწვანე წარაფსა და გამჭვირვალე წმინდა ტბას შორის იდგა წინასწარმეტყველთა საცხოვრებელი. ეს სახლი ყველა სხვათაგან მოპირკეთების სილამაზით გამოირჩეოდა და ხასხასა მოფრიალე დროშებით იყო მორთული. თუმცა ეს წინასწარმეტყველთა დროებითი სამყოფელი იყო, სადაც ისინი მხოლოდ სამსახურის დროს მოდიოდნენ, ხოლო სასახლეები, სადაც

ისინი ცოლ-შვილით ცხოვრობდნენ, თვით თებეში, ნილოსის მეორე ნაპირზე მდებარეობდა.

დაგვიანებული სტუმრები, რა თქმა უნდა, სწავლულებმაც შეამჩნიეს. მათი სახლები მოიცვა ამ დროისთვის უჩვეულო, ჭიანჭველების ბუდეში ამტყდარი ალიაქოთის მსგავსმა გამოცოცხლებამ. ამ ამბავმა არა მარტო მოწაფეები, მასწავლებლები და ქურუმებიც კი ააფორიაქა. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ტაძრის გალავანთან, სხვადასხვა შეკითხვებს იძლეოდნენ, გამოთქვამდნენ ყოველნაირ ვარაუდებს. ვიღაც ამბობდა: ფარაონისგან ცნობა მოსულა, რომ მეფის ასულ ბენტანატს კოლხიტები თავს დასხმიანო. გარეთ გამოცვენილი მოწაფეებიდან რომელიღაც მასხარა მსმენელებს არწმუნებდა, ფარაონის მახორი პააკერი ძალით მოუყვანიათ ტაძარში, რათა უკეთესი წერა ასწავლონო. და აი, სეთის სახლის აღზრდილი ისევ დაცინვის ობიექტი შეიქმნა, რადგან მოწაფეთა უმცროს თაობამდეც კი მოეღწია მართლწერაში მისი ცოდვების თავშესაქცევ ამბავს, რითაც მას სახელი გაუთქვამს სკოლაში. ამიტომაც ამ ცნობას მოწონების შეძახილებით შეხვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მასში სიმართლის ნატამალიც არ იყო. ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ პააკერს არმიაში მაღალი პოსტი ეკავა. მაგრამ, როცა ერთმა ახალგაზრდა, მეტად სერიოზულმა და პირქუშმა ქურუმმა დაადასტურა, ფარაონის მახორი ნამდვილად ვნახეო ტაძრის ეზოში, მოწაფეთა ლაპარაკი ისევ სიმართლედ მოეჩვენა ყველას.

გამხიარულებულ მოწაფეთა სირბილმა და ხორხოცმა ამ უდროო დროს მთავარი ქურუმის ყურამდეც მიაღწია.

ამენი, ნებკეტის შვილი, უძველესი და წარჩინებული გვარის ჩამომავალი, სრულიადაც არ იყო უბრალო მღვდელმსახური. მისი უფლებამოსილება იმ ქურუმთა წრის საზღვრებს

გარეთ ვრცელდებოდა, რომელსაც იგი ბრძნულად და მტკიცედ ხელმძღვანელობდა ტაძარში. მთელი ქვეყნის ქურუმთა საზოგადოებები ცნობდნენ მის უფროსობას, რჩევას სთხოვდნენ მას და არასდროს დაუშვებდნენ რელიგიური განაწესის დარღვევას, რომელიც სეთის სახლიდან და მაშასადამე, თვით ამენისგან მოდიოდა.

მასში განგების განსახიერებას ხედავდნენ, და თუ ის საზოგადოებებს მძიმე, ზოგჯერ უცნაურ მოთხოვნებსაც კი წარუყენებდა, უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, რადგან გამოცდილებით ყველამ იცოდა, რომ მას მუდამ ერთი და იგივე მიზანი აწუხებდა: ქურუმთა მთელი კასტის ძალისა და ძლიერების განმტკიცება. თვით ფარაონიც ფრიად აფასებდა ამ გამოჩენილ კაცს და არაერთხელ უცდია მეფის კარზე მისი მიზიდვა, სადაც ბეჭდის მცველის პოსტს სთავაზობდა. მაგრამ არავის და არაფერს შეეძლო აეძულებინა ამენი, დაეტოვებინა თავისი თითქოსდა მოკრძალებული თანამდებობა. იგი ზიზღით უყურებდა გარეგან ბრწყინვალებას და დიდებულ ტიტულებს. ხანდახან მტკიცე წინააღმდეგობასაც კი უწევდა „დიადი სახლის“ მბრძანებლებს და არც უფიქრია, თავისი უსაზღვრო ძალაუფლება სულებზე ამქვეყნიურ საქმეებში შეზღუდულ უფლებებზე გაეცვალა, ჩაუდგებოდა რა სამსახურში თავნება და ქედმაღალ ფარაონს, რომელიც ძნელად თუ დაემორჩილებოდა სხვის გავლენას. ყველაფერი ეს მეტად წვრილმანად მიაჩნდა მთავარ ქურუმს.

გამოირჩეოდა რა ჩვეულებათა განსაკუთრებული სიმტკიცით, ამენიმ მეტად უცნაურად მოაწყო თავისი ცხოვრება. ათი დღიდან რვა დღეს თავის ტაძარში ატარებდა, ხოლო ორ დღეს უთმობდა ოჯახს, რომელიც ნილოსის გაღმა ცხოვრობდა. თანაც არასდროს და არავის აგებინებდა იმ ათი დღიდან,

კერძოდ, რომელ დღეებში იმყოფებოდა სახლში. ეძინა მხოლოდ ოთხი საათი, ჩვეულებისამებრ დღისით, ფარდებჩამოშვებულ ოთახში, სადაც ხმაური ვერ ატანდა. ღამე არასოდეს იძინებდა, რადგან მიაჩნდა, ღამის სიგრილე და სიწყნარე ეხმარებოდა მუშაობაში, თანაც ამ დროს საშუალება ეძლეოდა ვარსკვლავებიან ცას დაჰკვირვებოდა.

მისი წოდებისთვის შესაფერის ყველა წეს-ჩვეულებას განბანა იქნებოდა ეს, განწმენდა, პარსვა[15] თუ მარხვა — განუხრელი სიმკაცრით ასრულებდა და მთელი მისი გარეგნობა სავსებით ეხამებოდა მის ბუნებას.

ამენი ორმოცს დიდი ხნის გადაცილებული, ახოვანი და ტანადი კაცი იყო. მას სრულებით არ აწუხებდა ისეთი სიმსუქნე, რომელიც აღმოსავლეთში ამ ასაკის ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი. მისი წმინდად გაპარსული თავი გლუვი, რამდენადმე წაგრძელებული ოვალის ფორმისა იყო, შუბლი — საშუალო სიმაღლისა, ხოლო სახე იშვიათი, ფაქიზი ნაკვთებით გამოირჩეოდა. ყურადღებას იქცევდა მისი მშრალი ტუჩები და დიდრონი თვალები, სქელი წარბები რომ ფარავდა. ეს თვალები მშფოთვარედ კი არ უელავდა, პირიქით, მუდამ დახრილი, ყველას თავიანთი სიწმინდითა და სიმშვიდით აოცებდა, როგორც კი ამენი თავს ოდნავ ასწევდა, რათა ყურადღებით შეეხედა მოსაუბრისთვის.

სეთის ტაძრის ახალგაზრდა პოეტი პენტაური კარგად იცნობდა ამ თვალებს, აკი უმღერდა კიდეც თავის ლექსებში. მან ისინი საგანგებოდ გაწვრთნილ მეომრებს შეადარა, რომლებსაც სამხედრო მეთაური ასვენებს ბრძოლის წინ, რათა შემ-

[15] ქურუმები უბრალო მოკვდავთაგან იმით გამოირჩეოდნენ, რომ თავს იპარსავდნენ და თავსაბურავს არ ატარებდნენ.

მკითხველთა ლიგა

დეგ, ნებისმიერ დროს შეძლონ განახლებული ძალით ეკვეთონ მტერს.

მისი ხასიათის კეთილშობილური ზომიერება, ნაწილობრივ თანდაყოლილი, ნაწილობრივ კი მუდმივი სულიერი თვითსრულყოფით მიღწეული, იმდენად დიდი იყო, რამდენადაც ეს ქურუმს შეეფერებოდა. ცოტა მტერი როდი ჰყავდა ამენის, მაგრამ რაიმე ცილისწამებას მის მიმართ ადგილი არასოდეს ჰქონია.

ტაძრის ეზოში ატეხილი ხმაურით გაკვირვებულმა მთავარმა ქურუმმა თავი ასწია მაგიდიდან და სამუშაო მიატოვა.

ფართო ოთახში, სადაც ამენი იჯდა, სასიამოვნოდ გრილოდა. კედლები ქვემოთ ქაშანურის ფილებით იყო მოპირკეთებული, ხოლო ზემოთ — გალესილი და მოხატული. ამ მოხატულობას, რომელიც სამხატვრო სკოლის მოწაფეების მიერ იყო შესრულებული, თითქმის მთლიანად ფარავდა ხის თაროები. დიდი მაგიდა, ავაზას ტყავგადაფარებული მაღალი საწოლი, სკამი ფეხების დასაწყობად, ნახევარმთვარის ფორმის სასთუმალი,[16] რამდენიმე სკამი, თარო ფიალებითა და დოქებით, იქვე — მეორე, რომელზეც ათასგვარი ბოთლები, ქილები და სხვა ჭურჭელი ეწყო, წარმოადგენდნენ ამ ოთახის მოწყობილობას. ოთახი ზეთის სამი ლამპით იყო განათებული, რომელთაც ფრინველის მოყვანილობა ჰქონდათ.

ამენის ეცვა ფართო ქათქათა თეთრი ტილოს სამოსელი, რომელსაც წვრილ-წვრილი ნაკეცები ჩასდევდა. თეძოებზე შემოვლებული ჰქონდა წინიდან შეკრული ფართო ფოჩიანი

---

[16] ნახევარ მთვარის ფორმის სასთუმალი. — ასეთ სასთუმალს ეგვიპტელები ბალიშის ნაცვლად იყენებდნენ. მათ დიდი რაოდენობით პოულობდნენ აკლდამებში. მსგავს მოწყობილობას დღესაც ხმარობენ ნუბიაში. (ავტ. შენიშვნა).

ბაფთა, რომლის მაგრად გახამებული ბოლოები მუხლებამდე ეშვებოდა. ტანსაცმელს იჭერდა თეთრი ფარჩის სამხარიღლიე, რომელიც ბეჭზე ჰქონდა გადაგდებული. მთავარ ქურუმს კისერზე საყელოს მაგივრად მტკაველზე ფართო ყელსაბამი ეკეთა, რომელიც წინიდან გაღეღილი მკერდის შუამდე იყო ჩამოშვებული; ყელსაბამში მარგალიტის თვლებს ძვირფასი ქვები ენაცვლებოდა; ხელზე კი მასიური ოქროს სამაჯურები უბზინავდა.

ამენი წამოდგა შავი ხის სავარძლიდან, რომელსაც ლომის თათების მსგავსი ფეხები ჰქონდა და ნიშანი მისცა კედელთან ჩაკუნთულ მსახურს, რომელმაც უსიტყვოდ გაუგო მბრძანებელს: გაპარსულ თავზე ფრთხილად ჩამოაცვა გრძელი, სქლად დახუჭუჭებული პარიკი,[17] ხოლო ბეჭებზე წამოასხა ავაზას ტყავი, რომლის თავი და ბრჭყალები ოქროს ფოლგით იყო გადატკეცილი. მეორე მსახურმა რკინის სარკე მიართვა. ამენიმ შიგ ჩაიხედა და ტყავი და მკერდის დამამშვენებელი ყელსაბამი გაისწორა.

ის იყო, მესამე მსახური მისი უმაღლესი წოდების სიმბოლოს — კვერთხის მისაწოდებლად მოემზადა, რომ ქურუმმა მწერალ პენტაურის მოსვლა აუწყა.

ამენიმ თავის დაქნევით ანიშნა და ოთახში შემოვიდა სწორედ ის ახალგაზრდა ქურუმი, რომელსაც მეფის ასული ბენტანატი ესაუბრებოდა ტაძრის ჭიშკართან.

პენტაურმა მუხლი მოიყარა და ეამბორა მთავარი ქურუმის ხელს. დალოცვის შემდეგ ამენიმ მჟღერი ხმით უთხრა:

---

[17] წარჩინებული ეგვიპტელები პირწმინდად იპარსავდნენ თავს და პარიკს ატარებდნენ. რამდენიმე ასეთი პარიკი დაცულია მუზეუმში. (ავტ. შენიშვნა).

— ადექი, შვილო ჩემო. შენი მოსვლა გადამარჩენს შინიდან ასე გვიან გასვლას. თუ შეგიძლია ამიხსენი, რამ შეაშფოთა ასე გვიან ჩვენი მოწაფეები?

მისი მეტყველება, რომელსაც დიალექტის ნატამალიც არ ემჩნეოდა, ისე მაღალფარდოვნად ჟღერდა, თითქოს წიგნიდან კითხულობსო.

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, წმინდა მამაო, — უპასუხა პენტაურმა, — არ მინდოდა დამერღვია შენი მყუდროება. მოწაფეებმა სრულიად უმიზეზოდ ატეხეს ხმაური, თუმცა ტაძარში თავად ასული ბენტ-ანატი მოვიდა და ექიმი გვთხოვა. უდროო დრო იყო და თანაც ამალას, რომელიც მას ახლდა...

— ნუთუ ფარაონის ქალიშვილი ავადაა? — შეაწყვეტინა ამენიმ.

— არა, მამაო. იგი სრულიად ჯანმრთელია და თანაც მეტისმეტად ხალისიანი. თავისი ცხენების სიმკვირცხლე რომ ეჩვენებინა, პარასქიტ პინემის შვილიშვილი გადათელა, და კეთილმა გულმა აიძულა დასახიჩრებული გოგონა თავისი ხელით გადაეყვანა პაპამისის სახლში.

— და ის უწმინდურის სახლში შევიდა?

— დიახ, წმინდა მამაო!

— და ახლა გვთხოვს განწმენდის წეს-ჩვეულება ჩავუტაროთ?

— ვფიქრობ, უფლება არა გვაქვს, მეფის ასული გავამტყუნოთ, მამაო. მას ხომ მხოლოდ კაცთმოყვარეობა ამოძრავებდა. თუმცა კი ჩვენი ადათი დაარღვია, მაგრამ...

— რა მაგრამ? — მრისხანედ ჰკითხა მთავარმა ქურუმმა და აქამდე დაბლა დაშვებული თვალები ნელ-ნელა ასწია.

— მაგრამ, — თვალები დახარა ახალგაზრდა ქურუმმა, — ეს ხომ დანაშაული არ არის... როცა რა — მზის ღმერთი — თავისი ოქროს ეტლით ცის ტატნობზე დასეირნობს, მისი სხივები ხომ ერთდროულად ანათებს ფარაონის სასახლესაც და შერისხული მონის ქოხსაც! ნუთუ ჩვენმა გულჩვილობამ უნდა აუკრძალოს დაბალი წარმოშობის ადამიანს სიყვარული და შებრალება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ღარიბია?

— მე მესმის ხმა პოეტ პენტაურისა, — წყნარად ჩაილაპარაკა ამენიმ, — და არა ქურუმ პენტაურისა, რომელიც ღირსად ჩათვალეს ზიარებოდა ცოდნის უმაღლეს სფეროებს, ადამიანისა, რომელსაც მე ჩემს ძმად და ტოლად ვრაცხ. მე არავითარი უპირატესობა არა მაქვს შენთან შედარებით, ყმაწვილო, გარდა ცოდნისა, რომელიც ჩვენი სარწმუნოების ქურუმებმა ისევე დააგროვეს შენთვის, როგორც ჩემთვის; ზოგიერთი დაკვირვებისა და ცდების გარდა, რომლებიც ქვეყანას ახალს არაფერს მატებენ, მაგრამ გვასწავლიან ჩვენი წინაპრების წეს-ჩვეულებათა გაცოცხლებასა და შენახვას. სულ რამდენიმე კვირის წინ შენ მიეცი იგივე აღთქმა, რაც მე მრავალი წლის წინ წარმოვთქვი ყოვლისშემძლე ღვთაების წინაშე, — ეს იყო აღთქმა ცოდნის გაფრთხილებისა, საგანძურისა, რომელიც მხოლოდ კურთხეულთ ეკუთვნის. სხვაგვარად ცოდნა ცეცხლსა ჰგავს, რაც გამოცდილებით დაბრძენებულის ხელში სასარგებლო მიზნებისთვის გამოიყენება, მაგრამ ბავშვის ხელში — ხალხი, ბრბო კი ყოველთვის ბავშვის სადარია — ყოვლისგამანადგურებელ ძალად გარდაიქმნება, რომელსაც ვეღარც შეაჩერებ და ვერც ჩააქრობ, ისე შთანთქავს ყველაფერს გარშემო და მოსრავს ყოველივე უმშვენიერესს, რაც კი ქვეყნისთვის წინაპრებს დაუტოვებიათ. როგორ მოვიქცეთ ჩვენ, ქურუმები, რომ ტაძრის მყუდროებაში, მისი კედლებით

საიმედოდ დაცულებმა, გავაღრმავოთ და განვაახლოთ ჩვენი ცოდნა? შენთვის ეს ცნობილია და აკი აღთქმაც მიეცი — ემსახურო ცოდნას! შევუნარჩუნოთ ხალხს ჩვენი მამების სარწმუნოება — ეს არის შენი წმინდა მოვალეობა, ესაა თითოეული ქურუმის ვალი. დრო შეიცვალა, შვილო ჩემო! ძველი მეფეების ხელისუფლების დროს ცეცხლი, რომელიც შენ, პოეტს, ესოდენ ლამაზად აგიწერე, ბრინჯაოს კედლით იყო გარშემორტყმული და ბრბო ისე ჩაუვლიდა, ვერც კი ამჩნევდა მას. ახლა ამ უძველეს კედლებში ბზარებს ამჩნევ და უმეცართა მზერამ, რომელთა სულებიც ვნებათა ღელვას მოუცავს, განჭვრეტის უნარი შეიძინა, და ერთი უყვება მეორეს, რომ კინაღამ დაბრმავდა ამ ცეცხლისგან, რადგან, როგორც მას ჰგონია, შეძლო გაბრწყინებულ ბზარებში შეეხედა.

ამენის ხმა ოდნავ აუთრთოლდა. თავისი მბრძანებლური მზერა დაბნეულ პოეტს მიაპყრო და განაგრძო:

— ჩვენ შევაჩვენებთ და ჩვენი საზოგადოებიდან განვდევნით ყოველ კურთხეულს, რომელიც ამ ბზარებს აფართოებს. ჩვენ სასტიკად ვსჯით მეგობარსაც კი, როცა იგი თავისი უყურადღებობით ხელიდან უშვებს შემთხვევას, ბრინჯაოზე ეროს დარტყმით ამოქოლოს ეს ბზარები.

— ოჰ, მამაო ჩემო! — შეჰყვირა პენტაურმა, შეტორტმანდა, უკან დაიხია და სირცხვილისგან სისხლი მოაწვა სახეზე.

ამენი მიუახლოვდა ახალგაზრდა ქურუმს და მხარზე ხელი დაადო.

ორივენი ერთი სიმაღლისა იყვნენ, ორივე ტანადი და სახითაც კი ჰგავდნენ ერთმანეთს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერავინ იტყოდა, რომ ისინი შორეული ნათესავებიც კი იყვნენ, იმდენად განსხვავებული სახის გამომეტყველება ჰქონდათ. ერთის გამოხედვაში ჩანდა ნებისყოფა და ძალა, რითაც უწყა-

ლოდ იმორჩილებდა ირგვლივ ყველაფერს, მეორის გამოხედვაში კი — მხოლოდ ჟინიანი სურვილი, თვალები დაეხუჭა გაჭირვებასა და სიმწარეზე და ცხოვრება ისეთნაირად დაენახა, როგორიც პოეტის სულის ჯადოსნურ სარკეში ჩანს. სიცოცხლე და მხიარულება გამოსჭვიოდა მისი მოელვარე თვალებიდან, მაგრამ საუბრის დროს მის ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი ან წამიერი მღელვარება ამტკიცებდა, რომ პენტაური შორს იყო გულუბრყვილო უდარდელობისგან და მის სულს, წარსულში მწარე ეჭვებით გატანჯულს, ბევრი წინააღმდეგობისთვისაც გაუძლია.

აი, ახლაც პოეტში სრულიად საწინააღმდეგო გრძნობებმა იფეთქა. თითქოს უნდა შეპასუხებოდა კიდეც, მაგრამ ამენის მბრძანებლურობამ მორჩილებაში გაზრდილ ქურუმზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ენის დაძვრაც ვერ მოახერხა და მხოლოდ ოდნავ შეიშმუშნა, როცა მთავარი ქურუმის ხელი მხარზე შეეხო.

— მე ვგმობ შენს საქციელს, — მკაცრად განაგრძო ამენიმ და ყმაწვილს მხარზე ხელი მოუჭირა. — ძალიან ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ დაგსაჯო... მაგრამ მაინც...

მხოლოდ ახლაღა გაუშვა ხელი, მკლავზე მოჰკიდა და განაგრძო:

— მაგრამ მაინც მიხარია, რადგან მიყვარხარ და დიდად ნიჭიერ და დიადი საქმეებისთვის მოწოდებულ კაცად მიმაჩნიხარ. სარეველა შეიძლება ან სულ ამოძირკვო, ანდა გაზრდის საშუალება მისცე, მაგრამ შენ კეთილშობილი მცენარე ხარ, მე კი ჩემს თავს მებაღეს ვადარებ, რომელსაც თავის დროზე ამ მცენარის ახვევა დაავიწყდა და ახლა, დაინახა რა, რომ გადახრილიყო, მადლობელი დარჩა, რადგან მცენარემ თვითონ მოაგონა მისი უყურადღებობა. შენს გამოხედვაში

კითხვა სჩანს, ხოლო სახეზე გატყობ, მეტისმეტად მკაცრ მსაჯულად მიგაჩნივარ. იცი, რაში გამტყუნებ? შენ თავს ნება მიეცი უარგეყო წინაპართა კანონი! წინდაუხედავი და ქარაფშუტა ადამიანი იტყოდა: ეს ხომ არც იმდენად საშიში დანაშაულიაო, მე კი ვამბობ, რომ შენ ორგზის დამნაშავე ხარ, თუნდაც იმიტომ, რომ კანონი დაარღვია ფარაონის ქალიშვილმა, რომელსაც უყურებს ყველა, დიდი და პატარა, ამიტომ მისი ქცევა სამაგალითო უნდა იყოს ხალხისათვის. თუ იმ ადამიანის შეხება, ვინც ოდითგანვე შერისხულია, არ წაბილწავს ფარაონის ქალიშვილს, მაშ სხვას ვისღა წაბილწავს? გაივლის ცოტა ხანი და ყველა დაიწყებს ლაპარაკს: პარასქიტები ისეთივე ხალხია, როგორც ჩვენ, ხოლო უძველესი კანონი, რომელიც გვავალებს ვერიდოთ მათ, — უგუნურებააო! მაგრამ საქმე ამით არ დამთავრდება. ასევე ადვილი შესაძლებელია, თითოეულმა უთხრას თავის თავს: ვინც შეცდა ერთხელ, შეუძლია შეცდეს მეორედაც. სარწმუნოების საქმეში, შვილო ჩემო, წვრილმანი არ არსებობს. საკმარისია მტერს მისცე ერთი კოშკი, რომ სულ მალე მის ხელში მთელი ციხესიმაგრე აღმოჩნდება, ახლანდელ აწეწილ დროში ჩვენი სარწმუნოება მთის კალთაზე მდგარ ურემს ჰგავს, რომელსაც ბორბლის ქვეშ ქვა აქვს შეყენებული და ბავშვმაც რომ გამოაცალოს ეს ქვა, სულ ერთია, იგი უფსკრულში გადაიჩეხება და ნამსხვრევებად იქცევა. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ბავშვი არის ფარაონის ქალიშვილი, ხოლო ქვა ბორბლის ქვეშ პური, რომლითაც მშიერი გლახა უნდა დააპუროს. მისცემ თუ არა ამის ნებას, თუ გეცოდინება, რომ მამაშენი, დედაშენი, ყველა, ვინც შენთვის ძვირფასი და ახლობელია, იმ ურემზე იმყოფებიან? მაშ ასე, ხვალ ფარაონის ქალიშვილი უეჭველად მივა პარასქიტთან. შენ იქ დახვდები და გადასცემ, რომ მან კანონი

დაარღვია და აუცილებლად უნდა შეასრულოს განწმენდის წეს-ჩვეულება. ამჯერად განთავისუფლებ უფრო მძიმე სასჯელისაგან. ზეცამ მოგანიჭა ნათელი გონება და აღზარდე შენში ის, რაც გაკლია: ძალა, რომელიც აუცილებელია, რათა ჩაახშო შენში ყველაფერი, გულში ჩასახული ცდუნებანიცა და გონების მაცდუნებელი სწრაფვანიც. და კიდევ რა: გაგზავნე ექიმები პარასქიტთან და უბრძანე, ისე მოუარონ გოგონას, როგორც დედოფალს.

— ვინ იცის, სად ცხოვრობს ის კაცი?

— ფარაონის ქალიშვილმა მამამისის მახორი პააკერი დატოვა ტაძარში, ექიმს გააყოლოს პინემის სახლში, — უპასუხა პენტაურმა.

— პააკერი ვეღარ დაიძინებს ვიღაც პარასქიტის გომბიოს გულისთვის! — ჩაიცინა მრისხანე მთავარმა ქურუმმა.

პენტაურმა, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში თავდახრილი იდგა, ამის გაგონებაზე თავი ასწია, ამოიოხრა და თქვა:

— პენტაურმა, მებაღის შვილმა, კი ფარაონის ასულს განწმენდის წეს-ჩვეულებანი უნდა შეასრულებინოს! — ამ სიტყვებში მოკრძალებაც ჟღერდა და დაუფარავი ცბიერებაც მოისმოდა.

— პენტაურს, ღვთაების მსახურსა და პენტაურს — ქურუმს საქმე ექნება არა ფარაონის ასულთან, არამედ ჩვენი სარწმუნოების წეს-ჩვეულებათა დამრღვევთან! — მრისხანედ მიუგო ამენიმ, — პააკერს გადასცენ, რომ მისი ნახვა მსურს.

ყმაწვილმა მდაბლად დაუკრა თავი და ოთახიდან გავიდა. მარტო დარჩენილმა მთავარმა ქურუმმა ჩაილაპარაკა:

— ჯერ ისეთი არ არის, როგორიც უნდა იყოს, ამიტომაც ჩემმა სიტყვებმა არ მოახდინეს მასზე ჯეროვანი ზეგავლენა.

რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. ფიქრებში ჩაფლული ამენი უხმოდ დააბიჯებდა ოთახში. „ეს ყმაწვილი უფრო დიდი საქმეებისთვისაა მოწოდებული. რა აკლია მას კიდევ? — ბუტ-ბუტებდა თავისთვის, — კარგადაც სწავლობს, აზროვნებს, არც გრძნობის უნარსაა მოკლებული, ყველასი და, მათ შორის ჩემი გულიც, ადვილად მოინადირა. მან შეძლო ბოლომდე შეენარჩუნებინა სიწმინდე და თავმდაბლობა...“

მთავარი ქურუმი შეჩერდა, მის წინ მდგომი სკამის ზურგს ხელი დაჰკრა და ხმამაღლა წამოიძახა:

— აი, რა აკლია მას! მას ჯერ კიდევ არ ანთებია გულში პატივმოყვარეობის ცეცხლი. მაშ, ავანთოთ მასში ეს ცეცხლი, ჩვენსა და მის საკეთილდღეოდ.

თავი მესამე

პენტაური გამოვიდა მთავარი ქურუმის ოთახიდან და სწრაფად გაემართა მისი ბრძანების შესასრულებლად.

მან მსახურს უბრძანა, ამენისთან მიეყვანა პააკერი, რომელიც ტაძრის ეზოში იცდიდა, თვითონ კი ექიმებთან წავიდა, რათა ეთხოვა, დასახიჩრებული გოგონასთვის მზრუნველობა არ მოეკლოთ.

სეთის სახლში ბევრი მედიკოსი სწავლობდა,[18] მაგრამ „მწერლის“ წოდებაზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ ცოტაღა რჩებოდა ტაძარში. ყველაზე ნიჭიერებს ჰელიოპოლისში აგზავნიდნენ, სადაც უძველესი დროიდან იმყოფებოდა ქვეყნის ცნობილი სამედიცინო ცენტრი. იქ სრულყოფდნენ თავიანთ ხელოვნებას და ბრუნდებოდნენ თებეში, რათა საბოლოო პროფესიად გაეხადათ ქირურგია, თვალის სნეულებათა მკურნალობა ან მედიცინის სხვა დარგი. დაბრუნების შემდეგ სამსახურს იწყებდნენ ფარაონის სასახლის ექიმებად ან მუშაობდნენ მასწავლებლებად, ხოლო განსაკუთრებით რთულ შემთხვევაში კონსილიუმზეც იწვევდნენ მათ.

რა თქმა უნდა, ექიმების უმრავლესობა ნილოსის მარჯვენა ნაპირზე, თვით თებეში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად საკუთარ სახლებში, მაგრამ ყოველი მათგანი მიეკუთვნებოდა ქურუმთა რომელიმე საზოგადოებას. ამიტომ, თუ ვინმეს დახმა-

---

[18] ყველაფერი, რაც აქ ექიმებზეა ნათქვამი, ნასესხებია უშუალოდ ეგვიპტელთა სამედიცინო ტრაქტატებიდან, აგრეთვე ანტიკური ხანის მწერალთა — ჰეროდოტეს, II, 84 და დიოდორეს, I, 82 — თხზულებებიდან. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

რება ესაჭიროებოდა, ექიმთან სახლში კი არა, ტაძარში აგ-ზავნიდნენ. აქ გამოკითხვის შემდეგ, თუ რა აწუხებდა ავად-მყოფს, ტაძრის მთავარი ექიმი შეარჩევდა მოცემული შემ-თხვევისთვის შესაფერის მკურნალს.

ქურუმების მსგავსად ექიმებიც თავიანთი ადგილ-მამულე-ბის შემოსავლის ხარჯზე ცხოვრობდნენ, ამასთანავე მეტად არსებით როლს თამაშობდა მათთვის ფარაონის საჩუქრები, მორწმუნეთა გადასახადები და სახელმწიფო ხაზინის დახმა-რება. ავადმყოფებისგან ექიმები, როგორც წესი, ფულს არ იღებდნენ, თუმცა გამოჯანმრთელებულს, ჩვეულებისამებრ, მიჰქონდა საჩუქარი იმ ტაძრისათვის, საიდანაც ექიმი გამო-უგზავნეს. ამიტომ მედიკოსი-ქურუმები ხშირად ამტკიცებ-დნენ, რომ ავადმყოფის გამოჯანმრთელება მის მიერ ტაძრი-სათვის შეწირულებაზეცაა დამოკიდებულიო.

ეგვიპტის ექიმებს საკმაოდ ღრმა ცოდნა ჰქონდათ, მაგრამ სრულიად ბუნებრივია, რომ, როცა ავადმყოფთან მიდიოდ-ნენ, როგორც „ღვთის მსახურნი“, ისინი არ სჯერდებოდნენ მარტო რაციონალურ მკურნალობას. პირიქით, ასეთ მკურნა-ლობას შეუძლებლად თვლიდნენ ლოცვებისა და შელოცვე-ბის მისტიკური ზემოქმედების გარეშე.

სეთის სახლის მასწავლებელ-ექიმებს შორის მეტად სხვა-დასხვა უნარისა და ჭკუა-გონების ადამიანები იყვნენ, მაგრამ პენტაური ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, ვისთვის დაევა-ლებინა პარასქიტის გოგონას მკურნალობა.

ექიმი, რომელზედაც მან არჩევანი შეაჩერა, იყო სახელი განთქმული, დიდი ხნის გარდაცვლილი ექიმის ნებსეხტის შვილიშვილი, მასაც ნებსეხტს ეძახდნენ. ეს ახალგაზრდა ექი-მი პენტაურის სკოლის ამხანაგი და მისი საუკეთესო მეგობა-რიც იყო.

სიყრმიდანვე ეს ყმაწვილი, რომელსაც პაპისგან მემკვიდრეობით ერგო ბრწყინვალე ნიჭი, შეუპოვრობა და სიყვარული მეცნიერებისადმი, მთელი სულითა და გულით ერთგული იყო მედიცინისა. ჯერ კიდევ ჰელიოპოლისში ყოფნისას თავის სპეციალობად ქირურგია აირჩია და უეჭველად მასწავლებელი გახდებოდა, ენაბლუ რომ არ ყოფილიყო, რის გამოც არ შეეძლო ხმამაღლა წაეკითხა ლოცვა და შელოცვები. თუმცა ამ ნაკლმა, ასე რომ აწუხებდა ნებსეხტის მშობლებსა და მასწავლებლებს, მას სარგებლობა მოუტანა. როგორც ცხოვრებაში ხშირად ხდება, მოჩვენებითი უპირატესობა ზოგჯერ საზიანოა, მოჩვენებითი ნაკლი კი ხშირად ნამდვილი ბედნიერების მომტანია. იმ დროს, როცა ნებსეხტის ტოლები საგალობლებში და დეკლამაციაში ვარჯიშობდნენ, ის, ამ შესაძლებლობას მოკლებული, თავდავიწყებით მიეცა თანდაყოლილ მისწრაფებას — ბუნების ორგანულ სიცოცხლეზე დაკვირვებას. მასწავლებლები ნაწილობრივ უქებდნენ კვლევის ასეთ მისწრაფებას და საქმის სასარგებლოდაც იყენებდნენ მის მარჯვე ხელებსა და ღრმა ცოდნას ადამიანისა და ცხოველთა ანატომიაში.

მეცნიერების მისტიკური მხარისადმი მის ზიზღს შეეძლო საშინელი სასჯელი და გაძევებაც კი გამოეწვია, ოდნავადაც რომ გამოეხატა იგი ლაპარაკითა თუ ქცევით, მაგრამ ნებსეხტი ისეთ მეცნიერებს მიეკუთვნებოდა, უმეტესწილად რომ დუმან და მთლიანად ჩაფლულნი არიან მეცნიერებაში; მათ არა აქვთ აღზევების პატივმოყვრული სურვილი. ის უდიდეს კმაყოფილებას პოულობდა კვლევით მუშაობაში, მორჩილებით ასრულებდა ყველა მოთხოვნას, საჯაროდ ეჩვენებინა თავის ცოდნა და უნარი, მაგრამ ამავე დროს ვერ იტანდა თავისი,

როგორც მეცნიერის, მოკრძალებული და მძიმე ცხოვრების ხელყოფას.

სკოლის ამხანაგებიდან პენტაური ყველაზე მეტად ამ კაცს დაუახლოვდა. ის მოხიბლული იყო მისი ცოდნითა და საექიმო ხელოვნებით; როცა ნებსეხტი, სუსტი აგებულებისა, მაგრამ ჭეშმარიტად დაუცხრომელი, დაეხეტებოდა მცენარეების ან ცხოველების საძებნელად პაპირუსის ბაღებში ნილოსის პირას, უდაბნოსა თუ მთებში, პენტაურიც დიდი ხალისით მიჰყვებოდა ხოლმე და ამ გასეირნებიდან ნიადაგ დიდ სარგებლობასაც ნახულობდა თავისთვის. მისმა თანამგზავრმა ბევრი ისეთი რამ აჩვენა, რაც იმის გარეშე სამუდამოდ შეუცნობელი დარჩებოდა პოეტისთვის, ხოლო ის საგნები, რომლებსაც მხოლოდ გარეგნულად იცნობდა, ახალგაზრდა მკვლევარის განმარტების წყალობით, ახალი შინაარსსა და მნიშვნელობას იძენდნენ; და ენაბლუობაც მაშინვე სადღაც ქრებოდა, როცა იგი მეგობარს ამა თუ იმ არსების პირველად შემჩნეულ თავისებურებებზე უამბობდა.

პოეტს მთელი გულით უყვარდა თავისი მეგობარი. ნებსეხტსაც უყვარდა პენტაური, რომელიც ფლობდა ყველაფერს, რაც თვითონ აკლდა: მამაკაცურ სილამაზეს, ბავშვურ მხიარულებას, გულახდილობას, მხატვრის აღტაცების უნარს და ნიჭს, სიტყვით გამოეხატა ყველაფერი, რაც მის გულს აღელვებდა.

პენტაური სრულიად უნიჭო იყო მეცნიერებაში, რომელიც ესოდენ სრულყოფილად შეისწავლა მისმა მეგობარმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გააჩნდა განსაკუთრებული უნარი, გაეგო თუნდაც ყველაზე ძნელი და რთული. ბოლოს და ბოლოს ანგარიშს უწევდა მეგობრის აზრს, ვიდრე თავისი პროფესიის ამხანაგების მსჯელობას, რადგან იქ, სადაც პენტაური მსჯე-

ლობდა თავისუფლად და დამოუკიდებლად, ისინი ტრადიციისა და წინასწარშექმნილ აზრთა ტყვეობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

ახალგაზრდა მეცნიერის ოთახი, დაშორებული სხვა საცხოვრებელი ბინებიდან, სეთის სახლის ბეღლის გვერდით იმყოფებოდა, თუმცა ზომით ის დარბაზს უფრო მოგვაგონებდა. პენტაური ყოველ ნაბიჯზე სხვადასხვა ბალახების კონებს ეჯახებოდა, ფეხებში ებლანდებოდა პალმის ტოტებისგან დამზადებული აჩხორილი გალიები, რომლებიც ერთმანეთზე იყო შემოდგმული ოთხ-ოთხ და ხუთ-ხუთად, რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ დიდ და პატარა ქოთანზე, რომლებსაც დახვრეტილი ქაღალდები ჰქონდა შემოხვეული. ყველა ამ გალიებსა და ქოთნებში მრავალნაირი ცხოველი ფუთფუთებდა — მიწის კურდღლით, ნილოსის დიდი ხვლიკებითა და ყვითელი ბუთი დაწყებული და ბაყაყებით, გველებით, მორიელებითა და სხვადასხვა ხოჭოებით დამთავრებული.

ერთადერთ მაგიდაზე, რომელიც ოთახის შუაში იდგა, საწერი მოწყობილობის გვერდით ცხოველების ძვლები და სხვადასხვა სახისა და ფორმის ბრინჯაოსა და კაჟის ბასრი დანები ეწყო. კუთხეში გაშლილი იყო ჭილოფი, ხოლო მასზე მოწყობილი ხის სასთუმალი მიგვანიშნებდა, რომ ის მეცნიერის ლოგინს წარმოადგენდა.

როგორც კი ამ უცნაური სადგომის შესასვლელში პენტაურის ნაბიჯების ხმა გაისმა, მასპინძელმა იმ მოსწავლესავით, მასწავლებელს აკრძალულ სათამაშოს რომ უმალავს, მაგიდის ქვეშ შეტენა რაღაც საგანი, საბურველი დააფარა და სამოსის ნაკეცებში ნაჩქარევად შემალა კაჟის წამახული ნატე-

ხი, რომელიც ხის ტარში იყო ჩამაგრებული,[19] შემდეგ დაჯდა, ხელები გულზე დაიწყო და ისეთი სახე მიიღო, თითქოს უმიზნო ფიქრებშია ჩაძირულიო.

სკამის გვერდით, მაღალ საყრდენზე დამაგრებული ერთადერთი ლამპა ოდნავ ანათებდა ოთახს, მაგრამ ეს ძუნწი შუქიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ პენტაური, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცოდა მეგობრის ჩვეულებანი, მიმხვდარიყო, რომ მან ხელი შეუშალა ნებსეხტს აკრძალულ საქმიანობაში. იცნო თუ არა შემოსული, ნებსეხტმა თავი დაუკრა მისალმების ნიშნად და უთხრა:

— ოჰ! რომ იცოდე, როგორ შემაშინე!

შემდეგ დაიხარა და გამოიღო მაგიდის ქვეშიდან ის, რაც პენტაურის შემოსვლამდე შეინახა. ეს იყო ფიცარი, რომელზეც ცოცხალი ბოცვერი იყო დაბმული; მის გადახსნილ და ხის ჯოხებით გადაჭიმულ მკერდში გული ფართხალებდა. ნებსეხტს მეტად აღარ მიუქცევია მეგობრისთვის ყურადღება და თავისი შეწყვეტილი დაკვირვებები განაგრძო.

რამდენიმე ხანს პენტაური ხმისამოუღებლად უყურებდა მკვლევარს, შემდეგ ხელი მხარზე დაადო და უთხრა:

— გირჩევ მომავალში, როცა აკრძალული საქმით იქნები დაკავებული, კარი მაგრად ჩაკეტო.

— მმ... მ... ათ... მმ... ოაძ... ვრეს... — ენის ბორძიკით ჩაიბურტყუნა ნებსეხტმა, — მას შემდეგ, რაც ფატმის საბუთების

[19] ეგვიპტელი ქირურგები ალბათ ყველაზე ხშირად კაჟის იარაღებს ხმარობდნენ, ყოველ შემთხვევაში, სხეულის გაკვეთის დროს მაინც. გათხრებისას დიდი რაოდენობით იყო აღმოჩენილი კაჟის ასეთი სკალპელები (ავტ. შენიშვნა).

გამყალბებლის[20] ხელის გაკვეთაზე წამასწრეს, ჩემს კარებს ურდული მოაძვრეს.

— მაშასადამე, იმ უბედურის მუმია მარჯვენა ხელის გარეშე დარჩა?

— საიქიოში ის აღარ დასჭირდება!

— უშებტის ქანდაკებები[21] მაინც თუ ჩაუდე საფლავში?

— სისულელეა!

— შენ ძალიან ღრმად შეიჭერი, ნებსეხტ, და თანაც გაუფრთხილებლად იქცევი! ვინც უმიზეზოდ აწვალებს უწყინარ ცხოველს, ქვესკნელის სამეფოს სულები ზუსტად ასევე მოექცევიან მას — ამას გვასწავლის ჩვენი კანონი. ვიცი, რისი თქმაც გინდა! შენ დასაშვებად მიგაჩნია წვალება მიაყენო ცხოველს, თუ ეს შენს ცოდნას გაამდიდრებს, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ტანჯვა შეუმსუბუქო ადამიანს...

— და შენ არ მეთანხმები ამაში?

პენტაურმა გაიღიმა, ბოცვერისკენ დაიხარა და თქვა:

---

[20] ყოველგვარი სიყალბისა და ოფიციალურ საბუთებში მცდარი ჩანაწერებისათვის კანონი ორივე ხელის მოჭრას ითვალისწინებდა — დიოდორე, I,78. (ავტ. შენიშვნა).

[21] უშებტი — ხის ფიგურები, რომლებიც გამოსახავდნენ მიცვალებულს მუმიის სახით. თავდაპირველად მათ „უშებტის“ ხისგან ამზადებდნენ, საიდანაც სახელწოდება მიიღეს. ეგვიპტელთა წარმოდგენით, მიცვალებულთა მბრძანებელი ოზირისი მიწათმოქმედებას ეწევა „საუკუნო ნეტარების მინდვრებში“, თავის ქვეშევრდომებს ანუ მიცვალებულებს ამუშავებს. იმისათვის, რომ გარდაცვლილს ასეთი ხვედრი არ ერგოს, აკლდამებში განსაკუთრებულ სამგლოვიარო ქანდაკებებს დებდნენ, რომლებსაც „მიცვალებულთა წიგნის“ VI თავის თანახმად ქვესკნელის სამეფოში მიცვალებული უნდა შეეცვალათ — „მინდვრების დამუშავებასა და საძოვრების მორწყვაში“. ამ ქანდაკებებს ხელში ეჭირათ (ან ცალკე ეწყო) თოხები, ბარები, სამხრეები და შრომის სხვა იარაღები, რომლებიც ნათლად მიუთითებდა, თუ რა სახის სამუშაო უნდა შეესრულებინათ მათ თავიანთი ბატონის ნაცვლად საიქიოში.

— რა უცნაურია! ცხოველი ისევ ცოცხალია და სუნთქავს, ადამიანი კი ასეთი წვალებით დიდი ხნის მკვდარი იქნებოდა. ალბათ ადამიანის ორგანიზმი უფრო სუსტი და სათუთია, ამიტომაც უფრო ჩქარა იღუპება.

— შეიძლება, — მხრები აიჩეჩა ნებსეხტმა.

— მე კი მეგონა, შენ უკვე იცოდი ეს!

— მე? საიდან? ხომ გითხარი, ისინი იმის ნებასაც კი არ მაძლევენ, დავადგინო, როგორ მოძრაობს საბუთების გამყალბებლის ხელი.

— ნუ გავიწყდება, რას გვასწავლის წმინდა წიგნი: სულის ნეტარება დამოკიდებულია სხეულის უვნებლობაზე.

ნებსეხტმა ასწია თავისი ჭკვიანი პატარა თვალები და ყოყმანით თქვა:

— არ გედავები. თუმცა ეს მე არ მეხება. ადამიანთა სულებს, რაც გნებავდეთ, გაუკეთეთ, ჩემი მიზანია შევისწავლო მხოლოდ მათი სხეული, რათა შემეძლოს დაზიანების შემთხვევაში მათი შეკეთება... რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება საერთოდ.

— დიდება თოთს,[22] რომ ამ საქმეში მაინც არ გვჭირდება უარყო შენი ოსტატობა.

---

[22] თოთი — მეცნიერთა და ექიმთა ღმერთი; მისი წმიდათაწმიდა ცხოველი იბისია და ამიტომ მას ჩვეულებრივ იბისის თავით გამოხატავდნენ. თვლიდნენ, რომ ღმერთმა რამ შექმნა იგი, როგორც „მშვენიერი ჩირაღდანი“, რომელსაც რას დაუძინებელი მტრები უნდა აღმოეჩინა. თავდაპირველად მთვარის ღმერთი, დროთა განმავლობაში დროის საზომისა და საერთოდ საზომის ღვთაებად გადაიქცა. ღმერთებს შორის თითოეულ სიტყვას წონის, ბრძენია, დამწერლობის, ხელოვნებისა და მეცნიერების ღმერთია. ბერძნებმა მას ჰერმეს ტრისმეგისტოსი ანუ ძალიან დიდი შეარქვეს, ეგვიპტელების მაგალითით, რომლებიც მას თოთს ანუ ტექუტის უწოდებდნენ, რაც „ორჯერ მეტს“ ან ძალიან დიდს ნიშნავს. (ავტ. შენიშვნა).

— ვის შეუძლია თავის თავს ოსტატი უწოდოს ღმერთთან შედარებით? — თავმდაბლობა გამოიჩინა ნებსეხტმა. — მე არაფერიც არ მეხერხება, სწორედ არაფერი! საეჭვოა, ჩემს იარაღებს უკეთესად ვფლობდე, ვიდრე სიბნელეში მომუშავე მოქანდაკე.

— როგორც ბრმა რეზუ, რომელიც გაცილებით უკეთესად ხატავს, ვიდრე ქვეყნის თვალხილული მხატვრები, — გაიცინა პენტაურმა.

— აი, მეც შემიძლია ვიმუშაო „უკეთესად“ ან „უფრო ცუდად“, — მიუგო ნებსეხტმა, — მაგრამ „კარგად“ — არასდროს.

— მაშინ დავკმაყოფილდეთ ამ „უკეთესით“ — მე ხომ სწორედ იმისთვის მოვედი, ამით ვისარგებლო.

— შენ რა, ავადა ხარ?

— არა, დიდება იზიდას! მკლავში ისეთ ძალას ვგრძნობ, ლამის პალმა ამოვძირკვო. მინდა გთხოვო ამაღამ ავადმყოფი გოგონა ნახო, ფარაონის ქალიშვილმა ბენტ-ანატმა..

— ფარაონის ოჯახს თავისი ექიმი ჰყავს!

— მაცალე, დავამთავრო სათქმელი! ფარაონის ქალიშვილმა ბენტ-ანატმა ეტლით გადაუარა ერთ გოგონას და ამბობენ, მძიმე მდგომარეობაშია საწყალი.

— ჰო-ო, — გააგრძელა ექიმმა. — სად არის ავადმყოფი — გაღმა, ქალაქში, თუ აქ, ნეკროპოლში?

— აქ. პარასქიტის შვილიშვილია.

— პარასქიტის? — გაიკვირვა ნებსეხტმა და ბოცვერიანი ფიცარი მაგიდის ქვეშ შეაცურა. — მაშ, მოვდივარ!

— უცნაური კაცი ხარ! იმედი გაქვს, რომ ამ უწმინდურის ქოხში რაიმე საინტერესოს წააწყდები?

— ეს ჩემი საქმეა. მაინც მოვდივარ. რა ჰქვია იმ კაცს?

— პინემი.

— ალბათ ვერც მორიგდება იმასთან კაცი, — წაიბუტბუტა ექიმმა. — თუმცა, ვინ იცის?

ამის თქმაზე წამოდგა, მჭიდროდ დაცული სტრიქნინის[23] შუშა გახსნა, დრუნჩზე წაუსვა ბოცვერს და ცხოველმა იმწამსვე შეწყვიტა სუნთქვა. ნებსეხტმა ყუთში ჩადო იგი და წამოდგა:

— მე მზადა ვარ.

— ო, არა! ამ გათხუპნილი ტანსაცმლით გარეთ ვერ გახვალ!

ექიმმა თავი დაუქნია, ამოიღო სუფთა ტანსაცმელი და, ის იყო ჭუჭყიანზე უნდა გადაეცვა, რომ პენტაურმა სიცილით შეაჩერა:

— ჯერ სამუშაო ტანსაცმელი გაიხადე! მოიცა, მოგეხმარები. მაგრამ ეს რაღაა? ღმერთ ბესს[24] ვფიცავ, იმდენი გაცვია, როგორც ხახვის ბოლქვს.

პენტაური თავის ამხანაგებში ცნობილი იყო, როგორც მეტად ენაკვიმატი და ხუმარა. აი, ახლაც შეხედა თუ არა მეგობარს, რომელიც ისევ ჭუჭყიანზე იცვამდა სუფთა ტანსაცმელს, ისე ხმამაღლა გაიცინა, რომ მისმა ხარხარმა სწავლულის სენაკის თაღებიც კი შეაზანზარა.

უნებლიეთ ნებსეხტსაც გადაედო მეგობრის სიცილი.

---

[23] თავს უფლება მივეცით მოგვეხსენიებინა აქ სტრიქნინი, რომელიც, საეჭვოა, სცოდნოდათ ეგვიპტელებს. (ავტ. შენიშვნა).

[24] ბესი — თავდაპირველად ტანსაცმლის ღმერთი, მოგვიანებით, ოჯახის, მხიარულებისა და ქალთა მორთულობის ღმერთი. გამოსახავდნენ მახინჯი, წვერიანი და ფეხებმოღრეცილი ქონდრისკაცის სახით. ითვლებოდა, რომ მას ქალებისთვის სიყვარულში გამარჯვება მოჰქონდა, ხოლო მამაკაცებისთვის — ბრძოლაში. მკვლევართა აზრით ის არაბეთიდანაა შემოსული; ყოველ შემთხვევაში, ის უცხო ღვთაებაა. (ავტ. შენიშვნა).

— არ გამიკვირდა? რატომ მეჩვენებოდა ტანსაცმელი ასე მძიმე, და თანაც საშინლად დამცხა კიდეც. კარგი, სანამ ამ ტანსაცმელს მოვიშორებდე, ვინმე გაგზავნე მთავარ ქურუმთან, ტაძრიდან გასვლის ნება დამრთოს.

— მან თვითონ დამავალა, ექიმი გამეგზავნა პარასქიტთან და თანაც დასძინა, რომ გოგონას ისე მოუარონ და უმკურნალონო, როგორც მეფის ასულს.

— ნუთუ? კი, მაგრამ მან იცის, რომ საქმე პარასქიტის ქალიშვილს ეხება?

— რა თქმა უნდა.

— მაშინ შემიძლია ვიწამო, რომ ნაღრძობი სახსრის ჩასმა შეიძლება ერთი შელოცვით. ოჰ, ეს ჯადო სიტყვები! შენ ხომ იცი... ალბათ გეცოდინება, რომ მე ახლა აკრძალული მაქვს ავადმყოფთან მარტო მისვლა, ჩემი ენა მეტად მოუქნელი და გამოუსადეგარია ლოცვების წარმოსათქმელად და მომაკვდავისგან რაც შეიძლება გულუხვი შესაწირის წასაგლეჯად ტაძრისათვის. სანამ ტანსაცმელს გამოვიცვლიდე, წინასწარმეტყველ გაგაბუსთან მიდი და სთხოვე პასტოფორი[25] ტეტი გამომაყოლოს, ის ყოველთვის თან მახლავს ხოლმე.

— შენს ადგილას უფრო ახალგაზრდა თანაშემწეს ავირჩევდი.

— რას იზამ! მე მეტად კმაყოფილი ვიქნებოდი, რომ შეიძლებოდეს იმ მოხუცის შინ დატოვება და მარტო მისი ენის წაღება. მისი გული და თავი ხომ არაფრით არ არიან დაკავში-

[25] პასტოფორები — არაკურთხეულ ქურუმთა უმაღლესი კატეგორია, რომელსაც ექიმებიც მიეკუთვნებოდნენ.

რებული მის ენასთან, რადგან ისე ფქვავს ჯადო სიტყვებს, თითქოს ხარი კალოს ლეწავსო.[26]

— ეს მართალია, — დაეთანხმა პენტაური, — ამას წინათ მეც ვნახე, ის ბერიკაცი ავადმყოფის ლოგინთან როგორ ბურტყუნებდა ლოცვას და თან ჩუმ-ჩუმად ნაჩუქარ ფინიკებს ითვლიდა.

— რა თქმა უნდა, ღარიბ პარასქიტთან მისვლა მაინცდამაინც არ ეპიტნავება, და ის ურჩევნია, მორიელებს შეეხოს, აი იმ ქოთანში, თაროზე, ვიდრე უწმინდურ პარასქიტს კვერის ნატეხი გამოართვას. მაგრამ უთხარი, ჩემთან შემოვიდეს, ღვინით გავუმასპინძლდები. კიდევ დამრჩა სამი დღის ხელუხლებელი მარაგი — ხომ იცი, ასეთ სიცხეში ღვინო აჩლუნგებს გონებას. ჰო, სად ცხოვრობს პარასქიტი? ნეკროპოლის ჩრდილოეთ თუ სამხრეთ მხარეში?

— მგონი ჩრდილოეთში. თუმცა გზას პააკერი გასწავლის, ფარაონის მახორი.

— პააკერი? — გაეცინა ნებსეხტს. — დღეს რა დღეა კალენდრით?[27] პარასქიტის ქალიშვილს მეფის ასულივით უნდა მოვუაროთ, ექიმს ისეთი პატივით მიაცილებენ, როგორც თვით ფარაონს! მე მგონია, ჯობს, არ გავიხადო ძველი ტანსაცმელი.

— ძალიან თბილი ღამეა, — დაამშვიდა პენტაურმა.

— ეს კარგია, მაგრამ პააკერს მეტად უცნაური ჩვეულება აქვს. გუშინწინ ერთ საცოდავ ბიჭთან მიმიწვიეს, რომელსაც

---

[26] აკლდამათა კედლებზე არსებული გამოსახულებანი, რომლებიც უძველეს ეპოქებს მიეკუთვნება, მოწმობენ, რომ ძველ ეგვიპტესა და პალესტინაშიც ხორბალს ხარებით ლეწავდნენ. (ავტ. შენიშვნა).

[27] ჩვენამდე მოაღწია იმ ეპოქის კალენდრებმა, სადაც ყოველ დღეზე იყო ნათქვამი, სასიკეთოა ის თუ არა. ტაძრების კედლებზე შემორჩა მრავალი სადღესასწაულო კალენდარი, მათ შორის ყველაზე სრულყოფილი ნაპოვნია მედინეთ აბუში. (ავტ. შენიშვნა).

თურმე ჯოხით ლავიწი გადაუტეხა. მე რომ ფარაონის ქალიშვილის ცხენი ვყოფილიყავი, იმ საწყალ გოგოს კი არა, პაპაკერს მივბეგვავდი ლაზათიანად.

— მეც ასე ვიზამდი! — დაუდასტურა პენტაურმა, გამოვიდა ოთახიდან და ჩქარი ნაბიჯით გაემართა ტაძრის მეორე წინასწარმეტყველთან გაგაბუსთან, რომელიც იმავე დროს სეთის სახლის ექიმების უფროსიც იყო, რათა ეთხოვა ბრმა პასტოფორი ტეტი გაეყოლებინა ნებსეხტისათვის.

თავი მეოთხე

პენტაურმა იცოდა, სად იქნებოდა ეს წარჩინებული ქურუმი, რადგან მიწვეული იყო ნადიმზე, რომელიც გაგაბუმ ხენუს[28] უმაღლესი სკოლიდან სეთის სახლში გადმოყვანილი ორი ახალი სწავლულის პატივსაცემად მოაწყო.

მრავალფერად მოხატული ხის სვეტებით გარშემორტყმულ ღია ეზოში, რომელიც გაჩირაღდნებული იყო უამრავი ლამპით, ორ რიგად ჩამწკრივებულ მოხერხებულ სავარძლებში დიდკაცურად ისხდნენ მონადიმე ქურუმები. თითოეულს წინ პატარა მაგიდა ედგა, და მკვირცხლი მსახურები უხვად არიგებდნენ შუა ეზოში მაღლობზე დაწყობილ სანოვაგეს: ქურციკის ბარკლებს, შემწვარ ბატებსა და იხვებს, ხორციან ღვეზელს, არტიშოკებს, სატაცურსა და სხვა ბოსტნეულს, ყოველნაირ ნამცხვარსა და ტკბილეულს. კათხებს გულუხვად ავსებდნენ ძვირფასი ღვინით, რომელიც არასოდეს ილეოდა სეთის სახლის გრილ საცავებში.[29]

კერძებს შორის შუალედებში მსახურებს მონადიმეთათვის ლითონის ტაშტებით წყალი მიჰქონდათ ხელის გადასაბანად და თხელი ხელსახოცები.

როცა ყველანი დანაყრდნენ, ღვინო კიდევ უფრო უხვად ისმებოდა. ყველა სტუმარს სურნელოვანი ყვავილები მიარ-

---

[28] ხენუ — ქალაქი ნილოსის პირველ ჭორომთან, ნუბიის საზღვრის შორიახლოს, სადაც ჯერ კიდევ უძველეს დროში იმყოფებოდა ქურუმთა ცნობილი სკოლა. (ავტ. შენიშვნა).

[29] ეგვიპტეში სარდაფები სითბოს ინარჩუნებენ. ამიტომ ღვინოს ჩვეულებრივ ბნელ და გრილ საწყობებში ინახავდნენ. (ავტ. შენიშვნა).

თვეს, რათა ქურუმები დამტკბარიყვნენ საუბრის დროს, რომელიც თანდათან უფრო გამოცოცხლდა.

ნადიმის მონაწილეთ გრძელი, ქათქათა თეთრი ტანსაცმელი ემოსათ, ყველა ისინი კურთხეულთა[30] რიცხვს ეკუთვნოდნენ, ანუ სხვა სიტყვებით, სეთის სახლის ქურუმთა საზოგადოების ხელმძღვანელები იყვნენ.

მთავარი ქურუმის მაგივრად, რომელიც ასეთ შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე წუთით გამოჩნდებოდა ხოლმე, საპატიო ადგილზე მჯდომი მეორე წინასწარმეტყველი გაგაბუ პატარა ჯმუხი კაცი იყო ბურთივით ამობურცული გაპარსული თავით. მობერებული სახე, სწორი ნაკვთები და გლუვად გაპარსული მსუქანი ლოყები ჰქონდა. ნაცრისფერი თვალები ცოცხლად და დაჟინებით იმზირებოდნენ, მაგრამ ოდნავ აღელდებოდა თუ არა, მათგან ცივი ელვარება გადმოიფრქვეოდა, ხოლო ენერგიული ავხორცული ტუჩები გაშმაგებით ტოკვას იწყებდნენ.

გვერდით მთავარი ქურუმის ამენის მდიდრული სავარძელი იდგა, ხოლო მარჯვნივ ხენუდან მოწვეული ორი ტანადი, ხანში შესული შავგვრემანი ქურუმი იჯდა.

დანარჩენი სტუმრები თანამდებობების შესაბამისად ისხდნენ, მაგრამ, მიუხედავად ასეთი მკაცრი წესრიგისა, ყველა იქ მყოფი თავისუფლად მონაწილეობდა საერთო საუბარში.

— ჩვენ დიდ მადლობას გწირავთ თებეში მოწვევისთვის, — თქვა ტუაფმა, სეთის სახლში გადმოყვანილ ქურუმთაგან ასა-

---

[30] ქურუმთა კასტა რამდენიმე ჯგუფისგან შედგებოდა: კურთხეულნი — ქურუმთა დიდკაცობა, მთავარი ქურუმები და წინასწარმეტყველები, ტაძრის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონები. შემდეგ მოდიოდნენ სტოლისტები, რომელთა მოვალეობასაც ღვთაების ტანსაცმლისა და სხვა საწესჩვეულებო მხარეების აღსრულებაზე ზრუნვა შეადგენდა. და ბოლოს, მათ მოჰყვებოდა არაკურთხეულ ქურუმთა უმდაბლესი ჯგუფი.

კით უფროსმა, ვისი სამეცნიერო შრომებიც ხშირად გამოიყენებოდა სკოლებში,[31] — ვინაიდან, პირველ რიგში, ეს ფარაონთან გვაახლოებს — დაე მას ღმერთებმა დღეგრძელობა მიანიჭონ — ხოლო მეორეც, ღირსსა გვხდის მივეკუთვნოთ თქვენს წრეს, რადგან ხენუს სკოლის აღზრდილთა შორის არასოდეს ყოფილა დიდი ადამიანი, ამიტომაც ის ვერაფრით გაუტოლდება სეთის სახლს, ჰელიოპოლისი და მემფისიც კი ჩამორჩებიან ამ ტაძარს, და თუ მე, უღირსი, მაინც ვბედავ მოურიდებლად დავუდგე გვერდით ასეთ სახელგანთქმულ პირებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ მტკიცე რწმენის წყალობითაა, რომ თქვენს წარმატებას ეხმარება თქვენი ტაძრის წმიდათაწმიდა ძალა, რომელიც უეჭველად განამტკიცებს ჩემს ცოდნას; და აგრეთვე მე მწამს თქვენი უმაღლესი ნიჭიერება და მუყაითობა, რაც, იმედი მაქვს, არც მე მაკლია. მე უკვე ვნახე მთავარი ქურუმი ამენი — ის შესანიშნავი ადამიანია! ხოლო თქვენ, გაგაბუ და მერიაპუ, ვინ არ გიცნობთ!

— თქვენში ვის შეგვიძლია მივესალმოთ, როგორც ავტორს ამონის უმშვენიერესი ჰიმნისა, რომლის მსგავსიც არასოდეს უმღერიათ სიკომოროების ქვეყანაში? — იკითხა მეორე სტუმარმა. — პენტაური რომელია?

— აი, ის თავისუფალი სავარძელი მას ელოდება, — უპასუხა გაგაბუმ, — ის ჩვენთან შედარებით ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ დიდი მომავალი მოელის.

— ისევე, როგორც მის ჰიმნებს, — დაუმატა ხნით უფროსმა სწავლულმა ხენუდან.

---

[31] რამდენიმე ასეთმა პედაგოგიურმა თხზულებამ ჩვენამდეც მოაღწია. (ავტ. შენიშვნა).

— უეჭველია, — კვერი დაუკრა ასტროლოგთა[32] მეთაურმა, ხანდაზმულმა ჭაღარათმიანმა კაცმა; მის უშველებელ ხუჭუჭა თავს ძლივს იჭერდა წვრილი კისერი, რომელიც ვარსკვლავებზე მუდმივი დაკვირვებისგან უფრო წაგრძელებოდა. — უეჭველია, — გაიმეორა მან და მისმა თვალებმა ფანატიკურად იელვეს, — ღმერთებმა გულუხვად დააჯილდოვეს ჩვენი მეგობარი, ოღონდ მე არ შემიძლია წინასწარ განვსაზღვრო, როგორ გამოიყენებს იგი მომავალში თავის უნარს. ამ ყმაწვილში თავისუფალი აზროვნებისადმი მიდრეკილება შევნიშნე, რაც მეტად მაშინებს. მართალია, ჰიმნების შეთხზვის დროს ის თავის მოქნილ მეტყველებას უმორჩილებს დაწესებულ ფორმებს, მაგრამ მისი აზრები მაღლა მიიწევს ჩვენი უძველესი ადათების საზღვრებს იქით. ხოლო ხალხისთვის განკუთვნილ ჰიმნებში ისეთი გამოთქმებს ვაწყდებით, რომლებსაც შეიძლება აშკარად ვუწოდოთ საიდუმლოების ღალატი. თუმცა მოგაგონებთ, რომ სულ რამდენიმე თვის წინ მან შეჰფიცა წმინდად შეენახა ეს საიდუმლოება. აი, მაგალითად, ჩვენ ვგალობთ მის სიტყვებს და ხალხიც გვისმენს:

ჰე, ღმერთო ერთო, რომელმან შეჰქმენ არსი ყოველი,
ერთიანია, ყოვლისშემძლევ, ქმნილება შენი.

და შემდეგ:

იგი ერთია, უბადლო და სწორუპოვარი,
მარადი მკვიდრი ადგილისა წმიდათა წმიდის.[33]

---

[32] ასტროლოგები — ქურუმთა ერთ-ერთი კატეგორია. (ავტ. შენიშვნა).
[33] სიტყვები ღმერთ ამონის სადიდებელი ჰიმნიდან. ჩვენამდე მოაღწია პაპირუსის სახით, რომელიც ბულაკში ინახება. (ავტ. შენიშვნა).

ასეთი სიტყვების საჯაროდ წარმოთქმა არ შეიძლება, განსაკუთრებით ახლა, როცა უცხო მხარეებიდან ჩვენში იჭრება სხვადასხვა სიახლენი, აღმოსავლეთიდან მოვარდნილი კალიების მსგავსად.

— სწორედ ჩემი სანუკვარი აზრი გამოთქვა მან! — წამოიძახა ტაძრის ხაზინადარმა.

— მეტად ადრე აზიარა ამენიმ ეს ყმაწვილი საიდუმლოებას!

— მან ეს ჩემი წინადადებით გააკეთა, მე ვიყავი პენტაურის მასწავლებელი, — თქვა გაგაბუმ. — უნდა გვეამაყებოდეს, რომ ჩვენ შორის არის ადამიანი, რომელიც ასე ბრწყინვალედ ამრავლებს ტაძრის დიდებას. ხალხი უსმენს მის ჰიმნებს, მაგრამ ვერ სწვდება მათ აზრს. ჩემს ცხოვრებაში არ მინახია იმაზე მეტი მოწონება მლოცველთა სახეებზე, ვიდრე კიბის დღესასწაულის დროს,[34] როცა ამ აღელვებულ და მშვენიერ ქებათა ქების ჰიმნს გალობდნენ.

— პენტაური მუდამ შენი გამორჩეული მოწაფე იყო! — შეაწყვეტინა ასტროლოგების მეთაურმა. — რასაც მას აპატიებ, სხვას არასოდეს შეარჩენ. და მეც, ისევე, როგორც სხვები, საშიშად ვთვლი მის ჰიმნებს. ან, იქნებ, ისიც თქვა, რომ არავითარი მიზეზი არ გაგვაჩნია სერიოზული სიფრთხილისათვის? რომ ჩვენ გარშემო არაფერი ხდება ისეთი, რაც გვემუქრებოდეს და შეიძლება ჩვენი დაღუპვის მიზეზიც გახდეს, თუ დროულად არ გავილაშქრებთ მის წინააღმდეგ უფრო გაბედულად, სანამ გვიანი არ არის?

---

[34] კიბის დღესასწაული — დიდი დღესასწაული, რომელსაც ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ თებეს ნეკროპოლში მედინეთ აბუს ტაძარში.

მკითხველთა ლიგა

— შენ ქვიშა მიგაქვს უდაბნოში და ფინიკს თაფლით რწყავ! — გაცხარდა გაგაბუ და ტუჩები აუკანკალდა. — ახლა სრულყოფილი უკვე აღარაფერია, და სასტიკი ბრძოლა გველის, მაგრამ ხმალი კი არ გადაწყვეტს საქმეს, არამედ, აი, რა! — გაგაბუ ხელით შუბლსა და ბაგეს შეეხო. — ვინ არის მომზადებული ასეთი ბრძოლებისათვის ჩემს მოწაფეზე უკეთესად? ის იქნება ჩვენი საქმისთვის მებრძოლთა პირველ რიგებში, ის მეორე ჰორ-ხუთია,[35] რომელმაც ფრთოსანი მზის დისკოს სახით გაანადგურა ჯოჯოხეთის ავი სულები. თქვენ კი გინდათ მას ფრთები მოაჭრათ და ბრჭყალები დააგლიჯოთ! ვაი თქვენ! ნუთუ ვერასოდეს უნდა გაიგოთ, რომ კატა ლომივით ვერ იღრიალებს და ჩირაღდანი მზესავით ვერ იკაშკაშებს. დაეხსენით პენტაურს, მე თქვენ გეუბნებით, თორემ იმ ადამიანს დაემსგავსებით, რომელმაც კბილის ტკივილის შიშით ყველა საღი კბილი დაიძრო. ო, ალბათ მალე ისეთი წაკინკლავება მოგვიხდება, რომ ნაფლეთები დაგვცვივა და სისხლისგან დავიცლებით, თუ დროზე არ მოხვალთ გონს!

— არც ჩვენთვის დარჩენილა შეუმჩნეველი ის საშინელება, — თქვა ხენუელმა მოხუცმა ქურუმმა, — თუმცა შორეულ სამხრეთში მაინც გადავურჩით იმას, რაც ჩრდილოეთში კიბოს სიმსივნის მსგავსად ხრავს სხეულს. ყველაფერი უცხოური ხომ აქ უფრო უწმინდურად და ცოდვილად ითვლება, ვიდრე იქ.

— უფრო ცოდვილად? — წამოიყვირა ასტროლოგების მეთაურმა. — არა! აქ ყველაფერს უცხოურს მეტისმეტად გულთბილად ღებულობენ, ის აქ დიდ პატივშია! ისევე, როგორც უდაბნოს მძვინვარე ქარისგან წამოღებული მტვერი ხის ქო-

[35] ჰორ-ხუთი — ღმერთ ჰორეს ერთ-ერთი სახელი.

მკითხველთა ლიგა

ხის ღრიჭოებში შედის, ისევე იჭრება იგი ჩვენს ადათებში, ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს მეტყველებაში,[36] ჩვენს სახლებში და, თუ გნებავთ, ჩვენს ტაძრებშიც. ხოლო ღმერთ რას შთამომავალთა ტახტზე... ნაშიერი დაბრძანებულა.

— ხმა ჩაიწყვიტე, თავხედო! — მოულოდნელად გაისმა მთავარი ქურუმის ხმა, რომელიც შეუმჩნევლად მოსულიყო ქურუმებთან. — ენა ჩაიგდე და არ გაბედო ხმის ამოღება იმის წინააღმდეგ, ვინც ჩვენ გვმბრძანებლობს, და როგორც ღმერთ რას ნაცვალს, თავისი კვერთხი გადაუწვდენია ამ მიწებისათვის!

ასტროლოგების მეთაურმა თავი ჩაქინდრა და დადუმდა. ყველანი ფეხზე ადგომით მიესალმნენ ამენის, რომელმაც ალერსიანად და ღირსეულად დაუკრა თავი ყველას, დაიკავა თავისი ადგილი, გაგაბუს მიუბრუნდა და ხმადაბლა უთხრა:

— ვხედავ, აღელვებული ხართ, რაც არ ეკადრება ქურუმს. რა მოხდა, რამ დაარღვია თქვენი სულების სიმშვიდე?

— უცხოურის გავლენაზე ვმსჯელობდით, რომელიც უფრო და უფრო ძლიერად იჭრება ეგვიპტეში და მისდამი წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობაზე.

— მაშინ მე მებრძოლთა წინა რიგებში მიგულეთ, — საზეიმოდ წარმოთქვა ამენიმ. — ბევრი რამ გადაგვხდა თავს, მაგრამ ახლა ჩრდილოეთიდან ისეთი არასასიამოვნო ამბები მოვიდა, ნამდვილად სერიოზულად შემაშფოთა.

— ნუთუ ჩვენი ჯარები დამარცხდნენ?

— არა, პირიქით, გაიმარჯვეს, მაგრამ ჩვენი ხალხის ათასობით შვილი დაეცა ბრძოლის ველსა თუ ლაშქრობაში. რამ-

---

[36] არც ერთ ეპოქაში არ გამოუყენებიათ ეგვიპტელ ავტორებს სირიელებისგან ნასესხები იმდენი სიტყვა, როგორც რამზეს II და მისი შვილის მერნეპტას დროს. (ავტ. შენიშვნა).

ზესი დამატებით ჯარს ითხოვს. მახორმა პააკერმა გადმომცა მეფის ამალაში მყოფი ჩვენი თანამოძმეების წერილი, ხოლო მეფის ნაცვალს ფარაონის უსტარი ჩააბარა ბრძანებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ორმოცდაათი ათასი მეომარი. მაგრამ ვინაიდან მეომართა მთელი კასტა და დამხმარე ჯარები უკვე დიდი ხანია ჩაებნენ ბრძოლაში, ნაბრძანები გვაქვს, შევაიარაღოთ ყველა მიწათმოქმედი, რომლებიც ტაძრებს ეკუთვნიან და ჩვენს მიწებს ამუშავებენ, და აზიაში გავგზავნოთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე უკმაყოფილო ბუზღუნი ატყდა, ხოლო ასტროლოგების მეთაურმა მეტისმეტი აღშფოთებისგან ფეხები დააბაკუნა.

— შენ რას აპირებ? — ჰკითხა გაგაბუმ.

— შევასრულო ფარაონის ბრძანება, — აუღელვებლად უპასუხა ამენიმ. — ოღონდ პირველ რიგში აქ უნდა მოვიწვიო სათათბიროდ ტაძრების ყველა წინამძღვარი. დაე, თითოეულმა მათგანმა ლოცვით გამოსთხოვოს თავისი ტაძრის ღვთაებას ბრძნული გადაწყვეტილება. ხოლო როცა გადაწყვეტილება მიღებული იქნება, ის მოგვეხმარება მერყევი ვეზირის გამხნევებაში. გუშინ ვინ ესწრებოდა მის ლოცვას?

— ჩემი რიგი იყო, — უპასუხა ასტროლოგების მეთაურმა.

— ნასადილევს ჩემთან შემოდი, — უბრძანა ამენიმ. — ჰო, მართლა, ჩვენს პოეტს ვერ ვხედავ.

სწორედ იმ წუთში ეზოში პენტაური შემოვიდა. ძალდაუტანებლად, მაგრამ ღირსეულად დაუკრა თავი ყველა დამსწრეს, ამენის თაყვანი სცა და ნებართვა სთხოვა ბრმა პასტოფორი ტეტი გაეგზავნათ ექიმ ნებსეხტთან ერთად პარასქიტის ქალიშვილთან.

თანხმობის ნიშნად ამენიმ ოდნავ დაუკრა თავი და უთხრა:

— ცოტა აჩქარდნენ — პააკერი ელოდებათ მთავარ ჭიშკართან და ჩემი ეტლით წაიყვანს.

ის იყო, პენტაური გაშორდა მონადიმეთ, რომ მოხუცმა ხენუელმა სწავლულმა მიმართა ამენის:

— ზუსტად ასეთად წარმომედგინა თქვენი პოეტი, წმინდა მამაო. მზის ღმერთსა ჰგავს და თანაც რა ღირსეული მიხრა-მოხრა აქვს! უეჭველად წარჩინებული ჩამომავლობისა უნდა იყოს.

— მამამისი უბრალო მებაღეა, — უპასუხა ამენიმ. — მართალია, უნარიანად და მუყაითად იყენებს ჩვენი ტაძრისგან ნაბოძებ მიწას, მაგრამ მის გარეგნობაში არაფერია კეთილშობილური, ხასიათი კი მეტად უხეში აქვს. მან პენტაური ნაადრევად მისცა სკოლაში[37] და ჩვენ აღვზარდეთ ეს ნიჭიერი ბიჭი.

— რა თანამდებობა უჭირავს თქვენს ტაძარში?

— უმაღლესი სკოლის აღსაზრდელებს ასწავლის გრამატიკასა და მჭევრმეტყველებას. გარდა ამისა, შესანიშნავად ეხერხება ვარსკვლავიან ცაზე დაკვირვება და სიზმრების ახსნა, — უპასუხა გაგაბუმ. — აი, ისიც! მითხარი, გეთაყვა, ვისთან უნდა წაიყვანოს პააკერმა ჩვენი ენაბლუ ქირურგი და მისი თანაშემწე?

— პარასქიტის დასახიჩრებულ შვილიშვილთან, — უპასუხა პენტაურმა, — რა უხეში კაცია ეს პააკერი, ხმაც კი არასასია-

[37] პაპირუსების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მდაბიო ხალხის შვილებსაც ჰქონდათ უფლება შესულიყვნენ ქურუმთა საზოგადოებაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებდნენ აუცილებელ მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველ ეგვიპტეში არ არსებობდა ისეთი კარჩაკეტილი კასტები, როგორც ინდოეთში.

მოვნო აქვს. ისე შეხვდა ჩვენს ექიმებს, თითქოს მისი მონები ყოფილიყვნენ.

— განაწყენებულია ფარაონის ქალიშვილის დავალებით, — შერიგების კილოთი წარმოთქვა ამენიმ. — ვერავითარმა ღვთისმოსაობამ ვერ შეძლო, სამწუხაროდ, მისი უკმეხი ხასიათის შერბილება.

— სხვათა შორის, — შენიშნა ერთ-ერთმა მოხუცმა ქურუმმა, — მისი ძმის მასწავლებელი ვიყავი, რამდენიმე წლის წინ რომ სწავლობდა, მეტად გულკეთილი და დამჯერე ყმაწვილი იყო.

— ხოლო მამამისი ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული, ენერგიული და ჭკვიანი კაცი იყო თავის დროის მოღვაწეთა შორის.

— მაშინ, ის ალბათ, დედას დაემსგავსა?

— არავითარ შემთხვევაში. ის მეტისმეტად წყნარი და გულკეთილი ქალია.

— ნუთუ ვაჟიშვილი ხასიათით აუცილებლად მშობლებს უნდა ჰგავდეს? — იკითხა პენტაურმა. — აკი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, წმიდათაწმიდა ხარის არც ერთ ვაჟიშვილს არ ჰქონია მამისეული განმასხვავებელი ნიშნები?[38]

---

[38] წმინდა ხარის აპისის კულტი განსაკუთრებით განვითარებული იყო მემფისში, სადაც მას „პტას ცოცხალ განსახიერებას“ უწოდებდნენ. მას, როგორც ორაკულს, რჩევისთვის მიმართავდნენ, მიცემულ შეკითხვაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხი განისაზღვრებოდა იმით, მიიღებდა თუ არა ხარი საჭმელს შემკითხველის ხელიდან. ქალაქ მემფისის ახლოს არქეოლოგებმა აპისების 64 აკლდამა აღმოაჩინეს: ეს იყო სერაპეუ — წმინდა ხარების სასაფლაო, წმინდა ხარის აპისის სიკვდილის გამო სახალხო გლოვა ცხადდებოდა; მას ზარ-ზეიმით ასაფლავებდნენ. მთელ ქვეყანაში ეძებდნენ მის შემცვლელს და საზეიმო ცერემონიაზე, რომელიც მთელი კვირა გრძელდებოდა, აცხადებდნენ მას აპისად ან ღვთიურ პატივს მიაგებდნენ. აპისი რომ გახდეს, ხარს უნდა გააჩნდეს ოცდარვა ნიშანი: ნალების გან-

— მაშასადამე, შენი აზრით, პააკერის მამა აპისი რომ ყოფილიყო, მისი ადგილი, ჰოი, საშინელება გლეხის ბაგაზე იქნებოდა?!

პენტაური არ შეპასუხებია, მხოლოდ ღიმილით დააყოლა:

— სრულებით არ შეცვლილა სკოლის შემდეგ, როცა ბიჭებმა სიკერპისთვის გარეული ვირი შეარქვეს. თუმცა ის მათზე ღონიერი იყო, მაგრამ ყველას მეტად სიამოვნებდა, როცა მას აგულისებდნენ და აცოფებდნენ.

— ბავშვები ხშირად სასტიკები არიან, — დასძინა მთავარმა ქურუმმა. — ჩვეულებრივად ისინი მხოლოდ გარეგან მხარეს ამჩნევენ და არასოდეს კითხულობენ მოვლენის მიზეზებს. უუნარო ადამიანს ისინი ისეთივე დამნაშავედ თვლიან თავის ნაკლოვანებებში, როგორც ზარმაცს, პააკერს კი არაფრით შეეძლო თავის გამოჩენა, რათა მათი პატივისცემა დაემსახურებინა. — ამენიმ ხენუდან ჩამოსულ ქურუმებს გადახედა და განაგრძო: — მე მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენი აღსაზრდელების წრეში თავისუფლება და მხიარულება სუფევდეს, რადგან მათი ბავშვური სილაღის შებოჭვით ჩვენს თავს ყველაზე საუკეთესო თანაშემწეებს ვუკარგავთ! არსად ისე მტკიცედ და უვნებლად არ შეიძლება ამოიძირკვოს ბავშვების ცუდი ჩვევები, როგორც მხიარული თამაშების დროს — მოწაფეთა ყველაზე კარგი აღმზრდელი თავისი ტოლისთვის.

— მაგრამ პააკერს ამხანაგების არც სილაღემ უშველა და არც სიცქვიტემ, — შეეპასუხა ქურუმი მერიაპუ, — მასთან განუწყვეტელ შეხლა-შემოხლაში უხეშობა, რაც მეტად აშინებს მის ხელქვეითებს და აიძულებს მოერიდონ მას, თანდათან უფრო იზრდება.

საზღვრული შეხამება და ფერი, ტყავის განსაკუთრებული ფერი. რქების ფორმა და სხვა ნიშან-თვისებები, რაც მხოლოდ ქურუმებმა იცოდნენ.

— ის ყველაზე უბედური იყო იმ ბიჭებს შორის, რომლებიც კი ოდესმე ყოფილან ჩემი ზედამხედველობის ქვეშ, — თქვა ამენიმ. — მგონი, ვიცი კიდეც ამის მიზეზი: ჯერ კიდევ ბავშვს მას მოზრდილი ადამიანის სული ჰქონდა და ღმერთებმა აღარ მიანიჭეს ბავშვური უდარდელობა. ბავშვს მცირედიც უნდა ჰყოფნიდეს, პააკერს კი ბავშვობიდანვე თავი ვერ დაეღწია დაუკმაყოფილებლობის გრძნობისთვის. ამხანაგების ხუმრობას სერიოზულად ღებულობდა, მათ გართობას სიბრიყვედ თვლიდა, ხოლო მასხრად აგდებას — მტრობის გამომჟღავნებად. მამამისი კი, რომელიც კარგი აღმზრდელი ვერ გამოდგა, ყოველნაირად უწონებდა ურჩობას, თვლიდა, რომ ეს გამოაწრთობდა მას და მოამზადებდა მახორის მკაცრი ცხოვრებისთვის.

— ხშირად მსმენია მახორების გმირობაზე, — თქვა უფროსმა ქურუმმა ხენუდან, — მაგრამ აქამდე ვერ გავიგე მათი მოვალეობა.

— ყველაზე გაბედულ მებრძოლებთან ერთად მახორმა მტრის ზურგი უნდა დაზვეროს[39], — აუხსნა გაგაბუმ. — იგი აგროვებს ცნობებს მოსახლეობის რაოდენობისა და საქმიანობის შესახებ, სწავლობს მდინარეების, ხეობებისა და მთების განლაგებას, შემდეგ ჩაიწერს ყველა თავის დაკვირვებას და გადასცემს მათ ომის სახლის მმართველს,[40] რომელიც ადგენს ჯარის გადაადგილების გეგმას.

— მაშასადამე, მახორი ანუ მზვერავი ერთდროულად უნდა იყოს გამოცდილი მეომარიცა და განათლებული მწერალიც?

---

[39] მახორის მოვალეობანი ცნობილია ბრიტანეთის მუზეუმში დაცული პაპირუსიდან (ეგრეთ წოდებული ანასტაზი I პაპირუსი). (ავტ. შენიშვნა).

[40] ომის სახლის მმართველი — თანამდებობა, რომელიც შეიძლება შევადაროთ სამხედრო მინისტრს. (ავტ. შენიშვნა.)

მკითხველთა ლიგა

— ზუსტად ასეა. პააკერის მამა კი არა მარტო გმირი იყო, არამედ ჩინებულადაც წერდა. მისი მოკლე, მკაფიო მოხსენება ისე თვალნათლივ წარმოგვიდგენდა დაზვერილ მიდამოს, თითქოს თავად დგახარ მთის წვერზე და ათვალიერებ იმ ადგილებს. პირველს მას მიენიჭა მახორის წოდება და ისეთ პატივში იყო, რომ მხოლოდ თვით ფარაონისა და ომის სახლის მმართველის ბრძანებებს ემორჩილებოდა.

— წარჩინებული გვარისა იყო?

— დიახ, ერთ-ერთ უძველეს და დიდგვაროვან ოჯახს ეკუთვნოდა, — უპასუხა ასტროლოგების მეთაურმა, — მამამისი დიდი მეომარი ასა იყო. როგორც კი მაღალ თანამდებობას მიაღწია და არნახული სიმდიდრეც დააგროვა, ცოლად შეირთო ფარაონ ქარემხების დისშვილი, რომელსაც ისეთივე სამემკვიდრეო უფლება ექნებოდა, როგორიც ვეზირს, რამზესის პაპას ძალით რომ არ წაერთმია მისი გვარისთვის ტახტი.

— დაუფიქრდი, რას ლაპარაკობ, — შეაჩერა გულფიცხი მოხუცი ამენიმ. — რამზეს I, ჩვენი ფარაონის პაპის, ძარღვებში ხომ მზის ღმერთის ჭეშმარიტი შთამომავლის — დედამისის სისხლიც ჩქეფს.

— მაგრამ ვეზირის ძარღვებში ის უფრო მეტია და ამასთანავე, უფრო წმინდაც, — შეჰკადრა ასტროლოგების მეთაურმა.

— მაგრამ ფარაონების გვირგვინი რამზესს ადგას თავზე! — ხმას აუწია ამენიმ. — და ის მის თავზე დარჩება მანამ, ვიდრე ამას ღმერთები ინებებენ. ფრთხილად იყავი, ჭაღარა კაცი ხარ და გახსოვდეს, მეამბოხის სიტყვები ნაპერწკლებს ჰგავს, რომლებსაც ქარი ფანტავს და სახლს დაწვით ემუქრება. ისიამოვნეთ, მეგობრებო, მხოლოდ გთხოვთ, დღეს მეტს ნუღარ ილაპარაკებთ ნურც ფარაონზე და ნურც მის ახალ ბრძანებებ-

ზე. შენ კი, პენტაურ, არ დაგავიწყდეს, რომ ხვალ ჩემი ბრძანების ბრძნულად და განუხრელად შესრულება მოგიწევს.

მთავარი ქურუმი წამოდგა, თავი დაუკრა ყველას და მონადიმენი დატოვა. წავიდა თუ არა, ხენუელმა ქურუმმა თქვა:

— ყველაფერმა, რაც ახლა ფარაონის მზვერავზე მოვისმინეთ, კაცზე, რომელიც ესოდენ მაღალი ღირსებითაა შემკული, მეტად ამაღელვა. შეიძლება ის რაიმე უჩვეულო ნიჭით გამოირჩევა?

— მოწაფეობაში თავნება და უგერგილო იყო.

— მაშინ მახორის თანამდებობა, ჩანს, მემკვიდრეობით გადაეცემა, როგორც, მაგალითად, ვეზირის თანამდებობა?

— არავითარ შემთხვევაში!

— აბა, როგორ, მაშინ...

— მართლაც ასე გამოვიდა, — შეაწყვეტინა გაგაბუმ ქურუმს. — ერთი სიტყვით, მევენახის შვილს პირი ყურძნით აქვს გამოტენილი, ხოლო მეკარის ბავშვი მთელი დღე კლიტეებს აჩხარუნებს.

— ყველაფერი ეს მართალია, — შენიშნა ერთმა ხანში შესულმა ქურუმმა, რომელიც აქამდე საუბარში არ ჩარეულა. — მაგრამ პააკერი კარგი მახორია. მას აქვს ზოგიერთი დამსახურება და ისეთი თვისებები, რომლებიც მოწონების ღირსია. ის დაუღალავია, შეუპოვარია, არ იბნევა საფრთხის წინაშე და ამასთანავე ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოირჩეოდა გასაკვირი ღვთისმოსაობით. იმ დროს, როცა სხვა მოწაფეები ტაძრის ჭიშკართან ხილითა და ტკბილეულით მოვაჭრეებთან გარბოდნენ, ის ბატებს ყიდულობდა, ხოლო თუ ხანდახან დედისაგან მეტ ფულს მიიღებდა, მაშინ პატარა ქურციკებსაც კი, რათა ღმერთების საკურთხეველზე მიეტანა. მთელ ქვეყანაზე არც ერთ დიდებულს არ ექნება ავგაროზებისა და ღმერთების

გამოსახულებების ისეთი მდიდარი კოლექცია, როგორც მას. დიახ, ახლაც ის ერთ-ერთი ღვთისმოსავი კაცია. ხოლო, რაც შეეხება გარდაცვლილი მამის პატივსაცემად მის შეწირულებას, თამამად შეიძლება მეფური ვუწოდოთ.

— ჩვენ მადლობელი ვართ მისი ასეთი საჩუქრებისთვის, — თქვა ტაძრის ხაზინადარმა, — ხოლო მამისადმი პატივისცემა სიკვდილის შემდეგ ჩვენს დროში ძალიან იშვიათი შემთხვევაა და ქებათა ქებას იმსახურებს.

— დიახ, დიახ, ის ყოველთვის ცდილობს მიჰბაძოს მამას, — ჩაეცინა გაგაბუს, — თუმცა ვერაფერში კი ვერ უტოლდება, მაგრამ ცოტ-ცოტა ემსგავსება მას. მაგრამ როგორ ჰგავს? როგორც ბატი — გედს ან ბუ — არწივს! იქ იყო სიამაყე, აქ — ყოყოჩობაა, იქ — სამართლიანი სიმკაცრე, აქ — უხეში სისასტიკე, იქ — ღირსება, ხოლო აქ — ქედმაღლობა, იქ — სიმტკიცე, აქ — სიჯიუტე. დიახ, ის ღვთისმოსავია და ჩვენც ვსარგებლობთ მისი გულუხვი საჩუქრებით, დაე, გაუხარდეს ხაზინადარს, მოღრეცილი პალმის ფინიკებიც ხომ ისევე ტკბილია, როგორიც ტანკენარისა! მაგრამ მე რომ ღმერთი ვიყო, მათ ოფოფის ფრთაზე იაფად შევაფასებდი. ხომ უნდა შეგეძლოს ჩაიხედო, რა ხდება საჩუქრების მომტანის გულში! ჭექა-ქუხილი და გრიგალი მხოლოდ სეთხს მიეკუთვნება, ხოლო მის სულში კი აი, აქ... — და მოხუცმა მუშტი ჩაირტყა მკერდში, — აქ ავდარი მძვინვარებს და ბობოქრობს! და იქ ღმერთ რას ცის ლაჟვარდის პატარა ნაგლეჯიც კი არ ციალებს, რომელიც მშვიდად ელვარებს ყოველი მორწმუნის სულში.

— შენ გამოიკვლიე მისი გული? — ჰკითხა ასტროლოგმა.

გაგაბუმ მაგიდიდან დიდი პრიალა ფიალა აიღო და ხმამაღლა განაგრძო:

— მე ჩავიხედე მასში, როგორც ამ ფიალაში! მე ამას ვაკეთებდი თხუთმეტი წლის განმავლობაში! თუმცა ეს კაცი ჩვენთვის სასარგებლო იყო, ის სასარგებლოა ახლაც და სასარგებლო იქნება მომავალშიც. ექიმებსაც ხომ ავადმყოფების სამკურნალოდ თევზის მწარე ღვიძლი და საწამლავიც კი სჭირდებათ, რომელიც ადამიანს კლავს, ხოლო ისეთი ხალხი, როგორიც ისაა...

— შენ სიძულვილი გალაპარაკებს, — შეაწყვეტინა აბობოქრებულ მოხუცს ასტროლოგმა.

— სიძულვილი? — გაიმეორა გაგაბუმ და ტუჩები აუკანკალდა. — სიძულვილიო? — მან ისევ ჩაირტყა მუშტი მკერდში. — დიახ, ის მართლაც ჩაკეტილია ამ ბებერ გულში, მაგრამ მომისმინე, ასტროლოგო, და თქვენ ყველამ მომისმინეთ! არის ორი სახის სიძულვილი: ერთი — ადამიანის სიძულვილი ადამიანის მიმართ, რაც ჩემში ჩავახშე, მოვახრჩე, მოვსპე. ჰოი, ღმერთებო, რა სულიერი ბრძოლა გადავიტანე ამისთვის. თუმცა დიდი ხნის წინათ მომიწია სრულად მეგემა მისი სიმწარე და მზად ვიყავი მოვქცეულიყავი ისევე, როგორც უგუნური ბზიკი, რომელიც დაგესვლის შემდეგ მაშინვე კვდება. მაგრამ მე, როგორც ჩანს, დიდხანს სიცოცხლე და შემეცნების წლები მეწერა და ახლა ვიცი, რომ ყველა გულის წადილიდან განუყოფლად მხოლოდ ერთი ეკუთვნის სეთხს და ბოროტებას, და მას ადამიანისადმი ადამიანის სიძულვილი ჰქვია. სიხარბეს შეუძლია შრომისმოყვარეობა წარმოშოს, გულისთქმას ზოგჯერ მშვენიერი ნაყოფი მოაქვს, მაგრამ სიძულვილით აღვსილი გული ანადგურებს კაცს, ყველაფერი წმინდა და კეთილშობილი წყვდიადში იძირება, იმის ნაცვლად, რომ მიისწრაფოდეს სინათლისაკენ. ყველაფერი შეუძლიათ გვაპატიონ ღმერთებმა, ყველაფერი, სიძულვილის გარდა. არის კიდევ

სხვა სახის სიძულვილიც, ღმერთების სასურველი, რომელიც საჭიროა თქვენც იცოდეთ, ისევე როგორც მე ყოველთვის ვეღოლიავებოდი მას ჩემს გულში. ეს არის ყველაფრის სიძულვილი, რაც ხელს უშლის სინათლის, სიკეთისა და სიწმინდის გაფურჩქვნას, ჰორეს სიძულვილი სეთხისადმი. დაე, დამსაჯონ ღმერთებმა სწორედ იმისთვის, რომ მახორი პააკერი მძულს, რომლის მამაც ესოდენ მიყვარდა. დაე, წყვდიადის ღმერთებმა მკერდიდან ამომგლიჯონ ბებერი გული, თუ მე მოვიშალო ზიზღი უზნეო და ხარბი შემწირველისადმი, რომელიც ისწრაფვის ცხოველის ბარკლით და დოქი ღვინით ღვთაების გული მოიგოს და მიწიერი ნეტარება მოიპოვოს, ისევე როგორც ჩვენ ვყიდულობთ მედუქნისგან ტანსაცმელს ან ვირს. მას მოაქვს შესაწირი, ხოლო მის გულში ბნელი ძალები ზეიმობენ. პააკერის საჩუქრები ღმერთებს ვერ ასიამოვნებენ, ისევე როგორც შენ, ასტროლოგო, ვერ გაგახარებს ვარდის ზეთით სავსე თასი, თუ მასში მორიელები, მრავალფეხები და გველები იფუთფუთებენ. წლების მანძილზე წარვმართავდი მის ლოცვებს და ერთხელაც არ გამიგია, რომ ღმერთებისთვის ეთხოვოს რაიმე წმინდა და კეთილშობილი, სამაგიეროდ ათასჯერ ულოცია იმ ხალხის დაღუპვისთვის, ვინც სძულს.

— ღმერთებისადმი აღვლენილი უძველესი წმიდათაწმიდა ლოცვები ახლაც შეიცავენ თხოვნას: მლოცველთა ფეხთით დაამხონ მტერი; ისიც კი არაერთხელ მომისმენია, როგორი გულმოდგინებით ლოცულობდა პააკერი თავისი მშობლებისათვის.

— შენ ხომ ქურუმი ხარ, და თანაც კურთხეული, — წამოიძახა გაგაბუმ. — მართლა არ იცი, თუ არ გსურს იცოდე, რომ მტრებად, რომელთა განადგურებისთვის ვლოცულობთ, მიგ-

ვაჩნია წყვდიადის შავბნელი ძალები და ეგვიპტისთვის საშიში უცხოელები! პააკერი თავისი მშობლებისთვის ლოცულობსო? იგი ამას თავისი შვილებისთვისაც იზამდა, რადგან შვილები მისი მომავალია, ისევე როგორც მშობლები — მისი წარსული. მას რომ ცოლი ჰყავდეს, ის მისთვისაც ილოცებდა, რადგან ის მისი არსების ნახევარს შეადგენდა.

— შენ მაინც მეტად მკაცრად ექცევი პააკერს, — არ ცხრებოდა ასტროლოგი სეფტა, — თუმცა ის ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, მაგრამ ხატორებმა წაართვეს ყველაფერი, რაც სიყმაწვილეს ბედნიერსა ხდის. ხოლო მტერი, რომლის მოსპობასაც ის ღმერთებს ევედრება, მენაა, ფარაონის მეეტლე. და ჭეშმარიტად გაუგონარი კეთილშობილება ანდა კაცისათვის მეტად სამარცხვინო სისუსტე იქნებოდა, თუ ის სიკეთეს უსურვებდა იმ კაცს, ვინც ულამაზესი საცოლე მოსტაცა.

— კი მაგრამ, როგორ მოხდა ეს? — იკითხა ხენუელმა ქურუმმა. — ნიშნობა ხომ წმიდათაწმიდაა.

— პააკერს მთელი თავისი მკაცრი, მაგრამ მგზნებარე გულით უყვარდა დეიდაშვილი ნეფერტი, — თქვა ასტროლოგმა, — თებეს ულამაზესი ქალიშვილი დეიდამისის, ქათუთის შვილი, მასზე იყო დანიშნული. პააკერის მამა, რომელსაც ლაშქრობაში თან ახლდა, სასიკვდილოდ დაიჭრა, როცა ისინი სირიაში იყვნენ. თვით ფარაონი იდგა გმირის სასიკვდილო სარეცელთან და მოისმინა რა მისი უკანასკნელი თხოვნა, პააკერს გადასცა მამის ტიტული. პააკერმა მამამისის მუმია თებეში ჩამოიტანა, მეფურად დაასაფლავა და გლოვის დამთავრებისთანავე ისევ სირიაში წასასვლელად გაემზადა. ეგვიპტეში დაბრუნებულმა ფარაონმა ახალი მხარეების დაზვერვა დაავალა, რაზედაც მას ბევრი დრო დასჭირდა. ბოლოს, როცა ყველაფერი მოათავა, პააკერი სირიიდან დაიმედებული წა-

მოვიდა, რომ თებეში დაბრუნებისთანავე იქორწინებდა ნეფერტზე. გამეტებით მოაქროლებდა ცხენებს, რადგან საცოლესთან მოიჩქაროდა, მაგრამ რამზესის ქალაქ ტანისშივე[41] გაიგო, რომ ნეფერტი სხვას — ულამაზეს და მამაც მეომარს, კეთილშობილ მენას გაჰყოლია ცოლად. რაც უფრო ძვირფასია ნივთი, რომლის შეძენის იმედიც გვაქვს, მით უფრო მეტი საფუძველი გვეძლევა შეგვჯავრდეს ის, ვინც სადავოდ ხდის ჩვენს უფლებას ამ ნივთზე და, ბოლოს და ბოლოს, ახერხებს კიდეც მის დაუფლებას. პააკერს მენასათვის რომ ეპატიებინა, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მის ძარღვებში ბაყაყის სისხლი ჩქეფდა. ასობით სული საქონელი შესწირა ჩვენს ღმერთებს, ოღონდ მათ თავიანთი რისხვა მისი ბედნიერების მომტაცებლისადმი მიემართათ.

— და თქვენც მიიღეთ ის შეწირულება, თუმცა იცოდით, რისთვისაც იყო ის მოტანილი! — შეიცხადა გაგაბუმ. — ეს ხომ უგუნურებაა! მე რომ საქმეში ჩაუხედავი ვიყო, ალბათ მაშინაც კი ფრთხილად ვიქნებოდი ისეთი ღვთაების სამსახურში, რომელიც გარკვეულ საფასურად მზად იქნებოდა ადამიანის დასახმარებლად მის ყველაზე სულმდაბლურ მისწრაფებაში. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ყოვლისმცოდნე სულმაც, მარადიული კანონებით რომ განაგებს სამყაროს, არაფერი იცის ამ შეწირულებაზე, რომელიც მხოლოდ უფსკრულის სულს შეიძლება ეამოს. ხაზინადარს უხაროდა, როცა მსუქანი საქონელი მომრავლდა ჩვენს ბაკებში, ხოლო სეთხი კი,

[41] ჯერ კიდევ ხეთებთან ომამდე რამზეს II სატახტო ქალაქი თებედან ეგვიპტეს ჩრდილოეთში გადაიტანა. აქ, აღმოსავლეთ დელტაში, ფარაონმა ახალი ქალაქი ააგო — „რამზესის ქალაქი“, ცოტა მოგვიანებით კი ტანისი. იმ ეპოქაში ნილოსის დელტის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს „რამზესის ქვეყანა“ ეწოდებოდა.

ვფიქრობ, კმაყოფილებისგან თავის წითელ თათებს ისრესდა, რადგან შესაწირს თვითონ ღებულობდა. მეგობრებო, მე მომიწია ყველა იმ წყევლა-კრულვის მოსმენა, რომელიც პააკერმა დაანთხია ჩვენს წმინდა სამსხვერპლოზე. რა აღარ უსურვა მენას — შავი ჭირი, წყლული, ტანჯვა-წვალება და სიკვდილი, ხოლო მის უბედურ ლამაზ ცოლს — უშვილობა და სულიერი წამება. როგორ გავამტყუნო ქალი, ვინც ბედაური არჩია ბეჰემოთს და მენა ამჯობინა პააკერს.

— მე კი ვფიქრობ, რომ ღმერთებს მისი საჩივარი არც მთლად უმართებულოდ ჩაუთვლიათ და უფრო მკაცრად შეუხედავთ ნიშნობის დარღვევისათვის, ვიდრე შენ, — მიუგო ხაზინადარმა, — ცოლქმრული ცხოვრების ოთხი წლიდან მან თავის ქმართან მხოლოდ რამდენიმე თვე გაატარა და უშვილოდ დარჩა. მე არ მესმის, გაგაბუ, შენ, ცოდვების მიმტევებელი, როცა ჩვენ ერთხმად ვწყევლით ცოდვილს, რად ექცევი ასე დაუნდობლად ჩვენი ტაძრის ერთ-ერთ უდიდეს კეთილისმყოფელს?

— მე კი მშვენივრად მესმის, თქვენ, ჩვეულებრივად წყევლა-კრულვაზე ესოდენ გულუხვები, რატომ ხმარობთ ყოველ ღონეს, გაამართლოთ ეს... ეს... უწოდეთ მას, რაც გნებავდეთ! — წამოიძახა მოხუცმა.

— ამ მძიმე ჟამს იოლად ვერ წავალთ უმისოდ, — შენიშნა ასტროლოგმა.

— მართალია! — დაეთანხმა გაგაბუ და ხმადაბლა გააგრძელა: — მეც ასე ვფიქრობ, ჯერჯერობით უნდა გამოვიყენოთ ის, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ მთავარმა ქურუმმა გააკეთა, როცა საჭირო იყო ჩვენი საქმის გადარჩენა. ტალახიანი გზაც ხომ კარგია, თუ მას მიზნისკენ მივყავართ. თავად ღვთაებაც ხომ ხშირად ბოროტების გზით აღწევს ხსნას. მაგ-

რამ ნუთუ ჩვენ ამის გულისათვის ბოროტებას კეთილი უნდა ვუწოდოთ? და მახინჯს მშვენიერი? გამოიყენეთ პააკერი, როგორც გნებავდეთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მასზე მისი გრძნობებისა და ქცევის მიხედვით უნდა განსაჯოთ, თუ გინდათ, გაამართლოთ თქვენი მაღალი წოდება. დაე, ტაძარში თუნდაც მთელი თავისი ნახირი მორეკოს, და მთელი თავისი ოქრო ჩვენს სალაროებში ჩაყაროს, მაშინაც კი ნუ შებილწავთ თქვენს თავს იმ აზრებით, რომ ასეთი გულითა და ხელებით მოტანილი საჩუქარი სასურველი იქნება ღვთაებისათვის! მაგრამ მთავარია, — მოხუცის ხმა გულში ჩამწვდომად გაისმა, — მთავარია, არ დაარწმუნოთ გზააბნეული — თქვენ კი ყოველთვის ამას ცდილობთ, — რომ ის მართალ გზას ადგას, რამეთუ ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, ჩემო მეგობრებო, სიკეთისა და სიმართლისკენ წარვმართოთ ყველა ის, ვინც თავისი სული მოგვანდო.

— ო, მასწავლებელო, — წამოიძახა პენტაურმა. — რამდენი მორჩილებაა შენს სიმკაცრეში!

— მე თქვენ წინაშე გავაშიშვლე ამ კაცის საზიზღარი იარები, — თავშეკავებულად ჩაილაპარაკა მოხუცმა და წამოდგა. — თქვენი შექებით ისინი უფრო შემზარავი გახდება, ხოლო გაკიცხვა კი მათ მოაშუშებს. მაგრამ თუ არ გსურთ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა, მაშინ გახსოვდეთ, რომ დადგება დრო, როცა მოხუცი გაგაბუ მოვა დანით ხელში, წამოაწვენს სხეულს და ამოაჭრის ყველა წყლულოვან ადგილს.

გაგაბუმ თავი დაუკრა დამსწრეთ და წავიდა.

ასტროლოგების მეთაური უსმენდა და დროდადრო მხრებს იჩეჩავდა, გაგაბუს წასვლისთანავე მიუბრუნდა ხენუელ ქურუმებს და უთხრა:

— გაგაბუ სუსტი, მაგრამ ფიცხი მოხუცია. თქვენ ეს-ესაა მოისმინეთ ქადაგება, რომელსაც თქვენში ალბათ მხოლოდ ახალგაზრდა მწერალი თუ წარმოთქვამს, რათა სულებზე მზრუნველობა იკისროს. მისი გულის წადილი სუფთაა, მაგრამ მცირედის გულისთვის ადვილად შეუძლია დაივიწყოს უფრო დიდი. ამენი დაგიდასტურებთ, რომ, როცა ლაპარაკია მთლიანის გადარჩენაზე, მაშინ სულების რაოდენობას, ათი იქნება თუ ასი, მნიშვნელობა აღარ აქვს.

თავი მეხუთე

გავიდა ღამე, როცა ფარაონის ქალიშვილმა ბენტ-ანატმა თავის თანამგზავრებთან ერთად დაარღვია სეთის სახლის სიმშვიდე.

დილის საამო სიგრილე შუადღის პაპანაქებამ შეცვალა. მზის მცხუნვარე სხივები ციმციმებდნენ და ირეკლებოდნენ მკვდართა ქალაქის დასავლეთით აღმართული მთების კალთებზე შეფენილი უთვალავი აკლდამის თავზე ჰაერში ჩამოკიდებულ უწვრილეს თეთრ მტვერში. თვალისმომჭრელად ელვარებდნენ კირქვიანი კლდეები, გავარვარებული ჰაერი ირწეოდა და იფრქვეოდა, ჩრდილები თანდათან მოკლდებოდნენ, ხოლო მათი მოხაზულობა უფრო და უფრო მკვეთრი ხდებოდა.

ნეკროპოლში ღამით მოხეტიალე მხეცები სოროებში მიიმალნენ. მხოლოდ ადამიანი არ ეპუებოდა ზაფხულის პაპანაქებას, თავისი საქმით დაკავებული, ის დროდადრო მხოლოდ წუთით მიაგდებდა იარაღს და სულს მოითქვამდა, როცა წყალუხვი ნილოსიდან მაცოცხლებელი გრილი ნიავი დაუბერავდა.

ნავმისადგომთან, სადაც აღმოსავლეთ ნაპირიდან გადმოსული გემები დგებოდნენ, უამრავი საზეიმოდ მორთული ორჩხომელი და ნავი იდგა.

ქურუმთა საზოგადოებების კუთვნილი ნავების მატროსები, წარჩინებულთა მესაჭეები და შკიპერები ისვენებდნენ, ხოლო გაღმა ნაპირიდან გადმოსული ხალხი მწკრივებად მიემართებოდა აკლდამებისკენ.

ტოტებგაშლილი ლეღვის ჩრდილში მოკალათებულიყო ხორაგით მოვაჭრე, რომელიც მყიდველებს ღვინოსა და ძმარს სთავაზობდა, რითაც წყალს შეამჟავებდნენ ხოლმე, მოვაჭრის მაგიდის გვერდით ყვიროდნენ და კამათობდნენ მორას[42] თამაშით გართული მატროსები.

მატროსების ნაწილი თავიანთი ნავების გემბანზე წამოწოლილიყო, ხოლო დანარჩენები მდინარის ნაპირზე მოწყობილიყვნენ; ვინ პალმების ძუნწი ჩრდილის ქვეშ, ვინ კიდევ პირდაპირ მზისგულზე და თავს რაღაცით იჩრდილავდნენ მცხუნვარე მზისგან. მძინარეთა შორის ფრთხილად დააბიჯებდნენ ტვირთის სიმძიმისგან წელში მოხრილი შავკანიანი მონები. ისინი ეზიდებოდნენ ტაძრებში შეწირულებასა და მკვდართა ქალაქის ვაჭრების მიერ შეკვეთილ საქონელს. მშენებლები მარხილებით მიათრევდნენ გათლილი ქვის ფილებს, რომლებიც ხენუსა და სუანის[43] ქვის სატეხებიდან იყო გამოტანილი ახალი ტაძრის ასაგებად. რამდენიმე მონა წყალს უსხამდა მძიმედ დატვირთულ მარხილს, რათა გამომშრალ ხეს ცეცხლი არ წაჰკიდებოდა მიწასთან ხახუნისგან.

ასეთ მძიმე შრომაში მყოფ მონებს ზედამხედველები ჯოხებით მიერეკებოდნენ და განუწყვეტლივ აჩქარებდნენ. სიმწრისგან მღეროდნენ საწყლები, რითაც თითქოს შრომას იიოლებდნენ, მაგრამ მოძახილიც კი, რომელიც წკრიალით იღ-

---

[42] მორას თამაში, ცნობილი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მოთამაშე თვალებამდე სწევს დამუშტულ ხელებს, ერთდროულად შლის რამდენიმე თითს, და თითოეული ასახელებს რაღაც ციფრს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ყველა გაშლილი თითის ჯამს. მოგებულად ითვლებოდა ის მოთამაშე, ვინც სწორად გამოიცნობდა; თუ ორივემ სწორად გამოიცნო, ან ორივე შეცდა, თამაში ფრედ ითვლებოდა. ეს თამაში ძალიან უყვარდათ ძველ ეგვიპტეში ამას მოწმობს უამრავი გამოსახულება აკლდამებისა და ტაძრების კედლებზე.

[43] სუანი — ახლანდელი ასუანი. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

ვრებოდა საღამოობით, როცა ძუნწი ვახშმის შემდეგ ბოლოს და ბოლოს დასვენების ჟამი დგებოდა, ყრუდ და ხრინწიანად მოისმოდა. შუადღის პაპანაქების შემდეგ ხმა აღარ ამოდიოდა გამშრალი ყელიდან.

ქინქლების მთელი გუნდები მისდევდა ტანჯულთა ბრბოს, რომლებიც ისევე უდრტვინველად და მორჩილად იტანდნენ მათ კბენას, როგორც ზედამხედველების გულუხვ დარტყმებს. მკვდართა ქალაქის ცენტრში ქინქლებს უამრავი ბუზი და კრაზანა უერთდებოდა, რომლებიც მრავლად ირეოდნენ სასაკლაოებთან და ფარდულებთან, სადაც ხორცით, ბოსტნეულით, თაფლით, პურითა და სხვადასხვა სასმელებით ვაჭრობდნენ. მიუხედავად შუადღის პაპანაქებისა, როცა ათასნაირი სუნითა და მწველი მტვრით გაჟღენთილი გახურებული ჰაერი სუნთქვას აძნელებდა, ამ ფარდულები თან მაინც მხიარული ფუსფუსი გამეფებულიყო.

ლიბიის მთებთან მიახლოებისას ხმაური წყდებოდა. ჩრდილო-დასავლეთით გაწოლილი ფართო ხეობის თავზე, სადაც ჯერ კიდევ მმართველი ფარაონის მამის ბრძანებით სამხრეთ კალთაზე მისთვის გამოუკვეთიათ ღრმა მიწისქვეშა აკლდამა, ხოლო ახლა კი ქვის მთლელები ახლანდელი ფარაონისათვის სადღაც მიწისქვეშ აწყობდნენ აკლდამას, სამარისებული სიჩუმე სუფევდა.

ამ წმიდათაწმიდა ხეობაში გამავალი გზა არცთუ ასე დიდი ხნის წინ გაეყვანათ. ალაგ-ალაგ თითქმის შავად გარუჯული ციცაბო მოყვითალო-წაბლისფერი ფერდობები თითქოს აკლდამებიდან წამომდგარი ქვესკნელის სამეფოს უხორცო სულების ბრბოებით იყო მოფენილი.

ხეობის შესასვლელში კლდის ლოდები ერთგვარ ჭიშკარს ქმნიდნენ, რომელშიც, პაპანაქების მიუხედავად, ნელ-ნელა

შედიოდა მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანების დიდი ჯგუფი.

ოთხი გამხდარი ყმაწვილი, თითქმის ბავშვები, რომელთაც მხოლოდ პატარა წინსაფარი ემოსათ და თავზე ოქროსფერი ფარჩის ლენტი ჰქონდათ შემოხვეული, რომლის ბოლოებიც თითქმის წელამდე სწვდებოდათ, კვერთხით ხელში პროცესიის წინ მირბოდა. მათი მოწითალო-მოყავისფრო კანი შუადღის მზეზე ბზინავდა, ხოლო მარდი და წერწეტა ფეხები თითქოს არც კი ეხებოდნენ ქვიან მიწას.

მათ კოხტა ეტლი მოსდევდა, რომელშიც ორი ფიცხი წაბლა ცხენი იყო შებმული; მათ პატარა თავებზე წითელი და ლურჯი პლუმაჟები ქანაობდნენ, ხოლო თვითონ ბედაურები, ლამაზად კისერმოღერებულები და კუდების ქნევით, თითქოს ამაყობდნენ ვერცხლითა და ძოწეულით მოქარგული საძაგრავითა და ოქროთი მოვარაყებული კაზმულობით.

უფრო მეტად კი პატრონის, ფარაონ რამზესის ქალიშვილის ბენტ-ანატის ეამაყებოდათ. საკმარისი იყო, ძლივგასაგონი შეძახილიც კი, რომ ყურები დაეცქვიტათ, ხოლო პატარა ხელების ოდნავი მოძრაობაც კმაროდა, რათა მყისვე დამორჩილებოდნენ მის ნებას.

ორი ყმაწვილი, ზუსტად ისევე ჩაცმული, როგორც ისინი, ეტლის წინ რომ გარბოდნენ, მისდევდა ეტლს. მათ ხელში გრძელ ლატანზე დამაგრებული თოვლივით თეთრი სირაქლემას ფრთების დიდი მარაოები ეჭირათ, რითაც თავიანთ მბრძანებელს სახეს უჩრდილავდნენ მზისგან.

ბენტ-ანატის გვერდით, სადაც გზის სიგანე ამის შესაძლებლობას იძლეოდა, რვა შავკანიან მონას მენას მეუღლე ნეფერტი მოჰყავდათ ოქროთი მოვარაყებული ტახტრევნით. სწრაფი გამოზომილი სირბილი მათ საშუალებას აძლევდა არ

ჩამორჩენილიყვნენ მეფის ასულის ჩორთით მორბენალ ცხენებსა და მარაოიან ყმაწვილებს.

ორივე ქალი საოცრად ლამაზი იყო, მაგრამ მათი სილამაზე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

მენას მეუღლე ყმაწვილ ქალს ჰგავდა. მისი ფართო ნუშისებური თვალები გაკვირვებით და მეოცნებედ იყურებოდნენ ხშირი და გრძელი წამწამებიდან. ნაზსა და მშვენიერი აგებულების სხეულს ოდნავი სიმრგვალე დასტყობოდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ უკარგავდა ახალგაზრდულ სიტურფეს. მის ძარღვებში არ ერია არც ერთი წვეთი უცხო სისხლისა, ამას მისი კანის მოშავგვრემანო იერი და მოყვითალო-ოქროსფერი ლოყების თანაბარი სიწითლე მოწმობდა, რაც ყოველთვის ამშვენებდა აბისინიელ ქალიშვილებს. სისხლის სიწმინდეზე მეტყველებდნენ აგრეთვე მისი სწორი ცხვირი, კეთილშობილური შუბლი, უკან გადაყრილი, მაგრამ ხეშეში, ყორნისფერი თმა და სამაჯურებით მორთული მოხდენილი ხელფეხი.

მის გვერდით მდგომი ცხრამეტ წელს მიტანებული ფარაონის ქალიშვილი, მთელი თავისი არსებით მოწიფული, თავის თავში დაჯერებული ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თავის მეგობარზე ის მთელი თავით მაღალი იყო, სახის კანი უფრო ღია ფერის ჰქონდა, ხოლო მის კეთილსა და ჭკვიან ცისფერ თვალებში მეოცნებეობის კვალიც კი არ მოსჩანდა, სამაგიეროდ, მისი გამოხედვა ნათელი და მტკიცე იყო. კეთილშობილური, მკვეთრად მოხაზული პროფილით ის იმდენად წააგავდა მამამისს,[44] რამდენადაც რბილი მთვარის შუქით მოფენილი ლამაზი პეიზაჟი ჰგავს იგივე პეიზაჟს, გაბრწყინებულს შუ-

[44] ჩვენამდე მოღწეულია ფარაონ რამზეს II მრავალი ქანდაკება; მათ შორის ყველაზე ცნობილია ტურინში დაცული მშვენიერი ქანდაკება.

ადღის მზის კაშკაშა სხივებით. ოდნავ კეხიანი ცხვირი და ხშირი ხვეული წაბლისფერი თმა მემკვიდრეობით ჰქონდა მომადლებული სემიტი წინაპრებისაგან. თავზე თეთრი, ცისფერ-ზოლებიანი აბრეშუმის ლენტი ჰქონდა წაკრული, რომლის სწორი ნაკეცები გარს ევლებოდნენ წინიდან ურეოსის[45] თავით მორთულ ოქროს დიადემას. ლამაზად გადაღუნულ რქებს შორის გველის თავზე ლალის დისკო ბრწყინავდა. მკერდის მარცხენა მხარეზე ოქროს ძაფებჩაწნული სქელი ნაწნავი — სამეფო წარმოშობის ნიშანი ჰქონდა გადმოგდებული. ტანზე მეწამული ფერის, თითქმის გამჭვირვალე, თხელი ქსოვილის კაბა ეცვა ოქროს ქამრითა და ორი განიერი ლენტით. კისერს ფართო საყელოს ფორმის მარგალიტისა და ძვირფასი ქვების ყელსაბამი უმშვენებდა, რომელიც მკერდზე ეყრებოდა.

ბენტ-ანატის უკან მისი მეეტლე — ძველი მხედართმთავარი, წარჩინებული გვარიშვილი იდგა.

ეტლს სამი ტახტრევანი მოჰყვებოდა, რომელთაგან თითოეულში სასახლის ორ-ორი მოხელე იჯდა; მათ შემდეგ — დუჟინი მონა, რომლებიც ყოველწამს მზად იყვნენ ნებისმიერი ბრძანების შესასრულებლად, და ბოლოს, ჯოხებიანი ზედამხედველები, დაუდევართა გასამხნევებლად და მსუბუქად შეიარაღებული მეომრები, რომელთა სამოსს მხოლოდ წინსაფრები და თავსაკრავები წარმოადგენდა. ქამარზე ხანჯალივით მოკლე მახვილი ეკიდათ, მარჯვენა ხელში ჩუგლუგი,

---

[45] ურეოსი — შხამიანი გველის კობრას გამოსახულება, ფარაონის ძალაუფლების სიმბოლო. ნიადაგ გამოსახული იყო გვირგვინზე ან დიადემაზე. ეს საშიში შხამიანი გველი ერთნაირად განაგებდა სიკვდილ-სიცოცხლეს, და ამიტომაც არჩეულ იქნა ფარაონის ძალაუფლების სიმბოლოდ. (ავტ. შენიშვნა).

ხოლო მარცხენაში, მშვიდობიანი სამსახურის ნიშნად, პალმის რტო ეჭირათ.

საკმაოდ სწრაფად მიმავალ მთელ ამ პროცესიას, როგორც ღია ზღვაში გემს დელფინები, გარს ეხვეოდნენ პერანგივით გრძელკაბიანი პატარა გოგონები. მათ პატარა წყლის ჭურჭლები ედგათ თავზე და საკმარისი იყო, მოწყურებულს მხოლოდ ხელით ენიშნებინა, რომ იმწამსვე მასთან გაჩნდებოდნენ. ქურციკივით მარდი ფეხები ჰქონდათ და ზოგჯერ მორბენალ ცხენებსაც კი უსწრებდნენ. სირბილის დროს გოგონები განსაცვიფრებელი ოსტატობით ინარჩუნებდნენ თავზე დადგმული წყლიანი ჭურჭლის წონასწორობას.

კეთილსურნელოვანი მარაოებით გაგრილებული და მათ ჩრდილში განცხრომაში მყოფი მოხელეები მშვიდად ბაასობდნენ, თითქოს შუადღის პაპანაქებას სულაც არ გრძნობენო. ბენტ-ანატს კრაზანებით გაბეზრებული ცხენები ებრალებოდა, ხოლო ჩორთით მორბენალი ყმაწვილები, ჯარისკაცები, მსახურები, რომელთაც ტახტრევანი და მარაოები მიჰქონდათ, გოგონები დოქებით თავზე და სულშეხუთული მონები, ყველანი ერთად თავიანთი პატრონების სამსახურში ისე ძაბავდნენ მთელ ძალას, რომ იფიქრებდით, ეს-ესაა ძარღვები დაუსკდებათ და ფილტვები დაეგლიჯებათო.

იქ, სადაც გზა ცოტა ფართოვდებოდა, ხოლო მარჯვნივ ხეობის ციცაბო კედლები მოჩანდა, სადაც დამხობილი დინასტიის უკანასკნელი ფარაონები იყვნენ დაკრძალულნი, სვლა ბენტ-ანატის შესახვედრად გამოსული პააკერის ნიშანზე შეჩერდა. ის ისე სასტიკად და უმოწყალოდ ეპყრობოდა თავის ფიცხ სირიულ შავრა ცხენებს, რომ დრუნჩებიდან სისხლიანი ქაფი ჩამოსდიოდათ.

მახორმა სადავე მსახურს გადასცა, ეტლიდან ჩამოხტა და მისალმების წეს-ჩვეულების შესრულების შემდეგ ფარაონის ქალიშვილს მიმართა:

— აი, იმ ხეობაში იმყოფება იმ ხალხის ბინძური ბუნაგი, რომელთაც, შენ, მეფის ასულო, უპირებ უდიდესი წყალობა უბოძო. ნება მომეცი გაგაცილო, რამდენიმე წუთში იქ ვიქნებით.

— მაშინ ფეხით წავიდეთ, ამალა კი აქ დავტოვოთ, — უთხრა ბენტ-ანატმა.

პააკერმა უხმოდ დაუკრა თავი. ბენტ-ანატმა სადავე მეეტლეს გადაუგდო და მსუბუქად ჩამოხტა ეტლიდან, მენას ცოლი და კარისკაცებიც გადმოვიდნენ ტახტრევნებიდან, მსახურები, რომლებთაც მარაოები მიჰქონდათ, მოემზადნენ თავიანთი მბრძანებლის გასაცილებლად, მაგრამ მეფის ასული მიუბრუნდა მათ და უბრძანა:

— თქვენ აქ დარჩებით. ჩემთან ერთად მხოლოდ პააკერი და ნეფერტი წამოვლენ.

ბენტ-ანატი სწრაფად გაემართა მზით გახურებული ხეობისკენ, მაგრამ ისევ მალე შეანელა ნაბიჯი, რადგან შეამჩნია, ნაზი ნეფერტი ვერ ეწეოდა.

გზის მოსახვევთან ჯერ მახორი, ხოლო შემდეგ ბენტ-ანატი და ნეფერტიც შეჩერდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთს ხმა არ ამოუღია.

ხეობა მდუმარე და უდაბური იყო. კლდოვან გამონაშვერებზე, მათგან მარჯვნივ, ძერების მთელი გუნდი იჯდა უძრავად, თითქოს შუადღის პაპანაქებამ მოუდუნათ ფრთებიო.

პააკერმა თავი დახარა თებეს ქალღმერთის[46] ამ წმინდა ფრინველების წინაშე და ქალებმაც მას მიბაძეს.

— აი, იქ, — თქვა მახორმა და ორ, გვერდიგვერდ მდგომ ქოხზე მიუთითა, აგურით რომ იყვნენ აშენებული და ნილოსის ლამით გალესილი. — მისი ქოხი აი, ისაა, უკეთესად რომ გამოიყურება, გამოქვაბულის შესასვლელთან.

ბენტ-ანატი გულისფანცქალით გაემართა იმ განმარტოებული ქოხებისკენ. პააკერმა წინ გაუშვა ქალები. რამდენიმე ნაბიჯიც და ისინი ლერწმის, პალმის ტოტების, ასკილისა და ჩალის უხეში ღობის წინ აღმოჩნდნენ. უეცრად ქოხიდან გულშემზარავი კივილი შემოესმათ. ქალები ადგილზე გაირინდნენ. ათრთოლებული ნეფერტი თავის უფრო გულად მეგობარს ჩაეკრა, მოეჩვენა, თითქოს მეფის ასულის გულისცემაც კი ესმოდა. კარგა ხანს მონუსხულებივით იდგნენ. შემდეგ ბენტ-ანატმა მახორს უბრძანა:

— შეგვიძეხი ქოხში!

პააკერმა მდაბლად დაუკრა თავი და უთხრა:

— მეფის ასულო, პინემი აქ გამოვიძახოთ. ხომ იცით, მისი სახლის ზღურბლზე გადაბიჯება ყველას წაგვბილწავს.

ნეფერტმაც მუდარით შეხედა ბენტ-ანატს, მაგრამ მან ისევ თავისი ბრძანება გაიმეორა:

— გამიძეხი, წაბილწვისა არ მეშინია!

მახორი მაინც ფეხს ითრევდა:

— შენ გინდა განარისხო ღმერთები, მეფის ასულო, შენ გინდა შენს თავს...

---

[46] თებეს ქალღმერთი — მუთი ამონთან და ხონსუსთან ერთად შეადგენდნენ თებეს სამებას; მათ პატივსაცემად იყო აგებული სახელმწიფო სალოცავი — თებეს უდიდესი ტაძარი (კარნაკი). (ავტ. შენიშვნა).

ბენტ-ანატმა აღარ დაამთავრებინა სათქმელი და თავის დაქნევით ანიშნა ნეფერტს, მომყევიო, მაგრამ იმანაც თავ-ზარდაცემულმა ხელები მაღლა აღაპყრო. მაშინ ფარაონის ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა, ნეფერტი მახორთან მიატოვა და ღობეში დატოვებული ხვრელით პატარა ეზოში შეძვრა. ეზო-ში ორი წაბლისფერი თხა იწვა, ცოტა მოშორებით დაბორკი-ლი ვირი იდგა, ხოლო ღობის ძირში რამდენიმე ქათამი გააფ-თრებით ქექავდა ნაგავს, ამაოდ ეძებდნენ საკენკს და მტვრის კორიანტელს აყენებდნენ.

ბენტ-ანატი პარასქიტის ქოხის ყურთამდე გაღებული კა-რის წინ აღმოჩნდა. ვერავინ ამჩნევდა მას. თავად ის კი, სიმ-დიდრეს მიჩვეული, თვალს ვერ აშორებდა შავბნელ, მაგრამ განუმეორებელ სანახაობას, რომელიც მის თვალწინ გადაშ-ლილიყო. ბოლოს და ბოლოს ქოხის დაბალ კართან მივიდა. გული საშინლად შეეკუმშა, მოუნდა მოკრუნჩხულიყო და თა-ვისი მდიდრული მორთულობის ნაცვლად მათხოვრის ძონძე-ბი ჩაეცვა. ის ოქროს სამკაულებითა და ძვირფასი ქვებით მორთული უნდა შესულიყო ამ ქოხში. მაგრამ რა ბოროტი და-ცინვა იქნება! იგი ხომ იმ მტარვალს დაემსგავსება, რომელიც ხორაგით სავსე სუფრაზე ქეიფობს და დამშეულ მათხოვრებს აყურებინებს მის ნადიმობას. მისმა სათუთმა და სათნო სულ-მა მთელი სიმწვავით აღიქვა აღმაშფოთებელი წინააღმდეგო-ბა მის გარეგნობასა და ქოხის უბადრუკ მოწყობილობას შო-რის. გული ეტკინა; არ შეეძლო, არ აღეარებინა, რომ აქ, სა-დაც გამეფებულია სიღატაკე და სიღარიბე, მისი სიდიადე სრულიადაც არ გამოჩნდება ამაღლებულად, პირიქით, — სა-საცილოდ და უხამსად, — ისევე, როგორც გოლიათი ქონ-დრისკაცებში.

მაგრამ ახლა, როგორც არ უნდა მოეწადინებინა, აღარ შეიძლებოდა უკან გამობრუნება. რაც უფრო მეტ ხანს უყურებდა ქოხის კარში, მით უფრო ცხადად გრძნობდა თავისი განძეულობის უძლურებასა და უბადრუკ არარაობას იმ მდიდრული საჩუქრებისა, თან რომ წამოიღო. მისი აზრით, მას უფლება ჰქონდა გადაებიჯებინა უბადრუკი სადგომის ზღურბლზე მხოლოდ და მხოლოდ პატიების დამამცირებელი ხვეწნა-მუდარით.

მის თვალწინ გადაშლილი ოთახი იყო დაბალი, მაგრამ არც ისე ვიწრო. ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული სხივთა კონა უცნაურად და არათანაბრად ანათებდა მას. სინათლე ღია კარიდან და ჭერში დატანებული სანათურიდან შედიოდა. როგორც ჩანდა, ამ ქოხში არასოდეს შეკრებილა ამდენი მნახველი.

ყველას ყურადღება ადამიანთა იმ ჯგუფისკენ იყო მიპყრობილი, რომელსაც კარიდან შესული მზის სხივები ანათებდა.

ქოხის ჭუჭყიან იატაკზე მოკრუნჩხული იჯდა გარუჯული შავგვრემანი მოხუცი ქალი, რომელსაც ჭაღარა თმა ასწეწოდა. მუქი ლურჯი ბამბის კაბის გულისპირი, რომელიც პერანგს უფრო ჰგავდა, გახსნოდა და დამჭკნარ მკერდზე ცისფერი ამოსვირინგებული პატარა ვარსკვლავი მოუჩანდა.

ქალის მუხლებზე გოგონას ედო თავი, რომელიც მოხუცს მზრუნველობით ეჭირა, ხოლო მისი ჩამოსხმული ტანი უძრავად ესვენა ვიწრო დაგლეჯილ ჭილოფზე. მისი პატარა თეთრი ფეხები თითქმის ზღურბლამდე წვდებოდა. გოგონას გვერდით ჩაცუცქულიყო კეთილი სახის ბერიკაცი, რომელიც ღრმა ფიქრებში იყო წასული; მთელ მის ტანსაცმელს მხოლოდ უხეში ქსოვილის წინსაფარი წარმოადგენდა. დროდადრო დაიხრებოდა, რათა თავისი დაკოჟრილი ხელებით გოგონასთვის

ფეხისგულები დაეზილა და თან რაღაც სიტყვებს ბუტბუტებდა თავისთვის.

ავადმყოფს მხოლოდ უხეში ქსოვილის ცისფერი მოკლე ქვედატანი ეცვა. მრგვალ და სწორ სახეზე მშვენიერება აღ-ბეჭდვოდა; თვალები ისე ებლიტებოდა, როგორც ბავშვებმა იციან ტკბილი ძილის წინ, დროდადრო ტკივილისგან ტუჩები ემანჭებოდა.

გოგონას ხშირი წითური თმა, შიგ ჩაწნული გამხმარი ყვა-ვილებით უწესრიგოდ ეყარა მოხუცი ქალის მუხლებზე და ძველ ჭილოფზე. ფერმიხდილს, მხოლოდ ყვრიმალებზე დას-თამაშებდა ციებ-ცხელების სიწითლე. როცა მის გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ექიმი ნებსეხტი თავის ბრმა თანაშემ-წესთან ერთად ყრუდ ბუტბუტებდა ლოცვებს, დახეულ სახვევს აცლიდა, რომელიც დაზიანებულ გულ-მკერდს უფარავდა, ან როცა გოგონა მკლავს ამოსწევდა და თავისი კანის სითეთ-რეს გამოაჩენდა, იმ ჩრდილოეთელ ქალიშვილებს წააგავდა, რომლებიც ფარაონის ტყვეობაში ჩავარდნილნი თებეში აღ-მოჩნდებოდნენ ხოლმე.

სეთის ტაძრის ორივე ექიმი გოგონას მარცხნივ, პატარა ხალიჩაზე იჯდა. ხან ერთი და ხან მეორე ხელს ადებდა დაშა-ვებული გოგონას მკერდს და გულის ცემას უსინჯავდა, ან თავდახრილი უსმენდა მის სუნთქვას. ზოგჯერ რომელიმე მათგანი წამლების ყუთს ხსნიდა, რათა გოგონას მკერდზე და-დებული კომპრესი მოთეთრო სითხეში დაესველებინა.

კედელთან ფართო ნახევარწრედ ჩაცუცქულნი ისხდნენ ახალგაზრდა და ხანში შესული ქალები — პარასქიტის ოჯახის მეგობრები, რომლებიც დროდადრო გულგანგმირავი კივი-ლით გამოხატავდნენ თავიანთ თანაგრძნობას. ხანდახან ერთ-ერთი მათგანი დგებოდა და ახალი წყლით ავსებდა თი-

ხის დოქს, ექიმს რომ ედგა გვერდზე. ცივი კომპრესის დადებისას გოგონა შეკრთებოდა ხოლმე, თვალებს გაახელდა და ჯერ შეშინებულ, და შემდეგ კი მოწიწებით აღსავსე მზერას ყოველთვის ერთსა და იმავე მხარეს მიაპყრობდა.

მაგრამ მისი მზერა შეუმჩნეველი რჩებოდა იმისთვის, ვისკენაც ის იყო მიმართული.

მარჯვნივ, კედელს მიყრდნობილი ქურუმის თეთრ სამოსელში გამოწყობილი პენტაური იდგა — ის ფარაონის ქალიშვილს ელოდებოდა. თავით ოთახის ჭერს სწვდებოდა, ხოლო სანათურში შემოღწეული სინათლის ვიწრო სხივი მკვეთრად ანათებდა მის ლამაზ სახესა და მკერდს.

აი, გოგონამ ისევ გაახილა თვალები და ამჯერად მისი მზერა ახალგაზრდა ქურუმის მზერას შეხვდა; მან ხელი აღაპყრო და უნებლიეთ ლოცვა-კურთხევის სიტყვები აღმოხდა, მერე ისევ დახარა თვალები და კვლავ ფიქრებს მიეცა.

რამდენიმე საათი გავიდა მას შემდეგ, რაც მთავარი ქურუმის ამენის ბრძანებით აქ მოვიდა, რათა ბენტ-ანატი გაეფრთხილებინა, რომ მან თავი წაიბილწა პარასქიტთან მისვლით და განიწმინდება მხოლოდ და მხოლოდ ქურუმთა ლოცვების წყალობით.

უხალისოდ შევიდა იგი ქოხში. მძიმე დარდად აწვა იმის შეგნება, რომ სწორედ მას ხვდა წილად კეთილშობილური და ღრმად ადამიანური საქციელის დაგმობა და მისი ჩამდენის ულმობელ მსაჯულთა ხელში გადაცემა. ექიმ ნებსეხტთან მეგობრობის წყალობით პენტაური ნაწილობრივ განთავისუფლდა სასულიერო ბორკილებისგან და თავისუფლად გამოთქვამდა თავის შეხედულებებს, რისთვისაც მასწავლებლები უეჭველად ცოდვილად ან მეამბოხედაც კი ჩათვლიდნენ. მიუხედავად ამისა, ის მაინც აღიარებდა უძველესი დოგმების

ურყევ სიწმინდეს, რომლებიც საფარს წარმოადგენდნენ იმათთვის, ვისაც თაყვანს სცემდა, როგორც ხალხის სულიერი სიმდიდრის დამცველთ და თვით ღმერთების რჩეულთ. გარდა ამისა იგი არც კასტურ სიამაყესა და ქედმაღლობას იყო მოკლებული, რასაც ესოდენ კეთილგონივრული წინდახედულებით უნერგავდნენ ქურუმებს. მდაბიოს, ალალი და მძიმე შრომით რომ არჩენს ოჯახს, ვაჭარს, ხელოსანს და გლეხს, მეომარსაც კი და, რაღა თქმა უნდა, გარყვნილებას გადაყოლილ უსაქმურსაც, მათ ყველას გაცილებით დაბლა აყენებდა თავის თანამოძმეებზე, რომლებიც სულიერი სრულყოფისკენ მიისწრაფოდნენ.

მათ კი, ვისაც სარწმუნოების კანონი სამარცხვინოდ გმობდა, იგი გულწრფელად თვლიდა უწმინდურად. ან კი შეეძლო სხვანაირად ეფიქრა?

ის ადამიანები, რომლებიც მიცვალებულთა გვამებს კვეთავდნენ, რათა მუმიები გაეკეთებინათ, ეზიზღებოდათ თავიანთი ხელობის გამო,[47] რადგან ისინი სულის წმინდა გარსის მთლიანობას არღვევდნენ; თუმცა პარასქიტობა თავისი სურვილით არავის უნდოდა. ეს ხელობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე და პარასქიტად დაბადებულებს, როგორც დოგმები განმარტავდნენ, თავიანთი დანაშაული უნდა გამოესყიდათ, ოდითგანვე ტვირთად რომ აწვა მათ სულს,

[47] „თავდაპირველად მიცვალებულის გვამს მიწაზე დებენ, სპეციალური მწერალი მუცელზე, მარცხნივ, მოხაზავს გასაჭრელ ადგილს. შემდეგ გამკვეთი ეთიოპური ქვის (კაჟის) დახმარებით ისეთი სიგრძის განაჭერს აკეთებს, როგორიც კანონითაა გათვალისწინებული, და იმავე წამს მოკურცხლავს, იქ დამსწრენი წყევლა-კრულვით მისდევენ და სეტყვასავით უშენენ ქვებს, თითქოსდა მისი ბრალი ყოფილიყოს ყველაფერი. მათი აზრით, სიძულვილის ღირსია ყველა, ვინც უხეშად შეეხება ადამიანის სხეულს, დაჭრის მას ან დაასახიჩრებს“ (დიოდორე, II, 91).

მკითხველთა ლიგა

როცა ის სხვა სხეულის გარსში იყო მოთავსებული და საიქიოში პატიება ვერ მიიღო. მრავალი ცხოველის სხეულში დაჰყო ამ სულმა, რათა შემდგომში ახალი ცხოვრება დაეწყო პარასქიტის შვილში და სიკვდილის შემდეგ ხელახლა წარმდგარიყო საიქიოს სამეფოს სამსჯავროს წინაშე.

დიდი შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდა პენტაურს, ვიდრე პარასქიტის სადგომში შევიდოდა. ქოხს რომ მიუახლოვდა, ბერიკაცი ქალიშვილს ფეხთით ეჯდა და დაინახა თუ არა ქურუმი, წამოიყვირა:

— კიდევ ერთი თეთრსამოსიანი! ნუთუ უბედურებას ძალუძს განწმინდოს უწმინდური?

პენტაურს არაფერი უპასუხია და აღარც ბერიკაცს მიუქცევია მისთვის ყურადღება, რადგან ექიმის მითითებით ფეხებს უზელდა ავადმყოფს. მისი ნაზი და მზრუნველი ხელები შეუჩერებლად მოძრაობდნენ.

„ნუთუ უბედურებას ძალუძს განწმინდოს უწმინდური? — ეკითხებოდა თავის თავს პენტაური. — დიახ, უბედურებაში ალბათ არის განმწმენდი ძალა... ნუთუ ღმერთს, რომელმაც ცეცხლს მისცა ლითონის გაწმენდის უნარი, ხოლო ქარს — ღრუბლების გაფანტვისა, შეეძლო მოესურვებინა, რომ მისმა მსგავსმა ადამიანმა დაბადებიდან სიკვდილამდე ატაროს სირცხვილის წარუხოცელი დამღა?“

პარასქიტს შეხედა და მოეჩვენა, რომ ბერიკაცის სახე მამამისის სახეს ჰგავდა. პენტაური შიშმა შეიპყრო.

ხოლო როცა დედაბერს უყურებდა, მუხლებზე გოგონას თავი რომ ედო და შეშფოთებული თავს დასტრიალებდა ავადმყოფს, როგორ დაძაბული უსმენდა მის სუნთქვას, თვისდა უნებურად მოაგონდა ბავშვობა, როცა ციებ-ცხელებით გათანგული ლოგინში იწვა. დიდი ხანია დაავიწყდა ყველაფერი,

რაც მის გარშემო ხდებოდა მაშინ, მაგრამ ერთი რამ ღრმად ჩაებეჭდა სულში: მის თავთან დახრილი დედა, რომელსაც სახეზე შემზარავი შიში აღბეჭდვოდა. მის თვალებში მაშინ არანაკლები სინაზე და მზრუნველობა იყო, ვიდრე ახლა ამ ყველასგან შერისხული ქალის გამოხედვაში, რომელიც გატანჯული გოგონასკენაა მიმართული.

„ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთია თავგანწირული, სუფთა და წმინდა სიყვარული, — ფიქრობდა ის, — ეს იზიდას სიყვარულია ჰორესადმი, დედის სიყვარული შვილისადმი. თუ ეს ადამიანები მართლაც უწმინდურები არიან და ერთი შეხებისთანავე ყველაფერს წაბილწავენ, მაშინ როგორღა შეძლეს ასეთი სუფთა, ნაზი და წმინდა გრძნობების შენარჩუნება მთელი თავისი უბიწოებითა და სილამაზით? მაგრამ ღმერთებმა ხომ, — განაგრძო ფიქრი პენტაურმა, — დედა ლომისა და ქვესკნელის მოციქულის — ბეჰემოთის მკერდშიც დედობრივი სიყვარული ჩადეს!“

ერთხელ კიდევ შეხედა სინანულით პარასქიტის ცოლს და დაინახა, როგორ აიღო ქალმა თავი გოგონას მკერდიდან, მის გულის ცემას რომ უსმენდა! ბედნიერმა ღიმილმა გაუბრწყინა დანაოჭებული სახე. ჯერ ექიმს დაუკრა თავი, შემდეგ შვებით ამოისუნთქა და ქმარს გადახედა. ბერიკაცს, რომელიც ისევ ფეხებს უზელდა გოგონას, თავისი საქმიანობისთვის თავი არ დაუნებებია, მხოლოდ მარჯვენა ხელი აღაპყრო ლოცვად; დედაბერმაც მას მიჰბაძა.

პენტაური თითქოს ხედავდა კიდეც, ერთი წმინდა სურვილით გაერთიანებული მათი სულები როგორ დასტრიალებდნენ თავს პატარა არსებას, რომელიც მჭიდროდ აკავშირებდა მათ. მას ხელახლა მოაგონდა მშობლიური სახლი და ის დღე, როცა ერთადერთი და უსაყვარლესი და მოუკვდა. მო-

აგონდა შვილის უძრავ სხეულზე დამხობილი აქვითინებული დედა და მამა, სასოწარკვეთილი ფეხებს რომ აბაკუნებდა და გოდებით მუშტებს ირტყამდა უკან გადაწეულ თავში.

„როგორ გულწრფელად ერთგულები და მადლიერები არიან ღვთაებისა ეს უწმინდურები, — გაიფიქრა პენტაურმა და მთელი მისი არსება უძველესი დოგმების მიმართ გულისწყრომამ მოიცვა. — დედობრივი სიყვარული ხომ აფთარსაც შეუძლია, მაგრამ ღვთაების ძებნა და მისი ნახვა მხოლოდ ადამიანს ძალუძს. უკუნითი უკუნისამდე — ღვთაება მარადიულია — ცხოველებს უარი ეთქვათ აზროვნების უნარზე, უფრო მეტიც, მათ ხომ გაღიმებაც არ შეუძლიათ. ეს არც ახალშობილებს ძალუძთ, რადგან მათში ერთადერთი, ცხოველური ძალა არსებობს, მხოლოდ ცხოველის სული, მაგრამ მალე მათშიც იღვიძებს მსოფლიო სულის, სხივმოსილი გონის რაღაც ნაწილი, რაც უპირველესად გაღიმებაში გამოვლინდება. ეს გაღიმება არა ნაკლებ სუფთაა, ვიდრე ის ჩირაღდანი და ის ჭეშმარიტება, მას რომ წარმოშობენ. პარასქიტის ბავშვი ზუსტად ისევე იღიმება, როგორც ქალის მიერ შობილი ყოველი ცოცხალი არსება, მაგრამ ხანში შესულთაგან, თავად „კურთხეულთა“ შორისაც კი, ყველას როდი ძალუძს გაიღიმოს ასეთი ნათელი ღიმილით, როგორც ეს, უსაზღვრო სიმწარეში დაბერებული, ქალი იღიმება“.

პენტაურს ღრმა თანაგრძნობით აღევსო გული, მან მუხლი მოიყარა გოგონას გვერდით და ხელებაპყრობილმა დაიწყო ლოცვა. ლოცულობდა იმისთვის, ვინც შექმნა ზეცა და მართავს სამყაროს, ვისი სახელის წარმოთქმაც საიდუმლოებით იკრძალებოდა; მხოლოდ მას, ერთადერთს, აღუვლინა ლოცვა-ვედრება და არა იმ მრავალრიცხოვან ღმერთებს, რომელთაც ხალხი თაყვანს სცემდა. პენტაურისთვის ეს ღმერთები

გაადამიანურებული და ამიტომაც საქმეში ჩაუხედავთა გონებისთვის უფრო ადვილად შესაცნობი იყვნენ, ვიდრე „კურთხეულთა“ ერთადერთი ღვთაების თვისებები, რომელთა რიცხვს თავად მიეკუთვნებოდა.

საშინელი მღელვარებით მოცულმა ღვთაებას მიმართა. იგი ლოცულობდა არა გოგონასა და მისი გამოჯანმრთელებისთვის, არამედ პარასქიტების მთელი შერისხული წოდებისთვის, ოდინდელი წყევლა-კრულვისგან მათი ხსნისათვის. ლოცულობდა ეჭვით დაფლეთილი სულის საცხონებლად, ღვთაებას შესთხოვდა მოენიჭებინა ძალა, რითაც გონივრულად გადაწყვეტდა დაკისრებულ მძიმე ამოცანას.

თავის პირვანდელ ადგილს როცა დაუბრუნდა, დარწმუნდა, რომ გოგონა თვალს არ აცილებდა მას. ლოცვამ შეუმსუბუქა მღელვარება და დაუბრუნა სულის მხნეობა. ახლა ის უნდა მოეფიქრებინა, როგორ მოქცეულიყო ფარაონის ქალიშვილთან.

ბენტ-ანატთან მისი გუშინდელი შეხვედრა პირველი არ იყო. არა! ის ხშირად ხედავდა მას საზეიმო პროცესიების დროს, დიდ დღესასწაულებზე ნეკროპოლში და თავისი ყმაწვილი თანამოძმეებივით ისიც მოხიბლული იყო მისი სილამაზით. ის შესტრფოდა ისევე, როგორც შეჰხარიან ვარსკვლავების უსასრულოდ შორეულ ციმციმს, როგორც ტკბებიან საღამოს ცისკრით ცის კამარაზე.

და აი, ახლა ამ ქალისათვის უნდა მიემართა მკაცრი საბრალდებო სიტყვით. მან თავი წარმოიდგინა იმ წუთში, როცა ბენტ-ანატის შესახვედრად გამოვიდოდა და უნებურად მოაგონდა თავისი პატარა მასწავლებელი ხუფუ. ჯერ კიდევ ბიჭუნა პენტაური ორი თავით მაღალი იყო მასზე, ის კი ქვევიდან ზემოთ უყურებდა და ასე არიგებდა ჭკუას. პენტაური ტა-

ნით მაღალი იყო, მაგრამ რატომღაც ეჩვენებოდა, რომ დღეს ბენტ-ანატის წინაშე სწორედ იმ პატარა სასაცილო კაცს დაემსგავსებოდა.

ამის გახსენებაზე ენაკვიმატმა პენტაურმა ლამის გადაიხარხარა, მიუხედავად მის გარშემო გამეფებული მწუხარებისა და სიმწარისა. ადამიანის ცხოვრება ხომ წინააღმდეგობებითაა სავსე, და ყველაზე ძლიერი ბუნების ადამიანიც კი ვერ გაუძლებდა ამას ისევე, როგორც ხიდი, რომელზედაც ჯარისკაცები მწყობრი ნაბიჯით მიდიან, თუ მას ნიადაგ მოუწევდა საკუთარ თავზე გამოეცადა მწარე ფიქრებისა და ძლიერი გრძნობების სიმძიმე. მუსიკაში ყველა ძირითად ტონს აქვს დამატებითი ელფერი და ზუსტად ასევე, თუ გულში მეტისმეტად დიდხანს ვაჟღერებთ ერთ სიმს, ერთბაშად წარმოიქმნება რაღაც უცხო მოულოდნელი ხმები.

პენტაურმა თვალი მოავლო ხალხით გაჭედილ ქოხს და თავში იმწამსვე აზრმა გაუელვა: „როგორ მოთავსდება აქ პრინცესა თავისი მრავალრიცხოვანი ამალით?“ პენტაურის გონება გაცხარებით ამუშავდა და მას თვალნათლივ წარმოუდგა, თუ როგორ ამაყად და კაბის შრიალით შემოვიდოდა ამ წყნარ სავანეში ფარაონის ქალიშვილი მხიარულად მოსაუბრე კარისკაცების თანხლებით, რომლებიც გაყრიან კედელთან მსხდომ ქალებს, ავადმყოფთან მოსულ ექიმებსა და ბამბასავით თეთრ კატას, რომელიც უშფოთველადაა გაწოლილი სკივრზე. ატყდება ერთი ალიაქოთი. წარმოიდგინა გამოპრანჭული კაცები და ქალები, დამფრთხალები თავს რომ არიდებენ „უწმინდურებს“, ნაზ ხელებს ცხვირ-პირზე იფარებენ და ჩურჩულით არიგებენ მოხუცს, როგორ მოექცეს მეფის ამაყ ასულს. დედაბერმა მიწაზე უნდა დაუშვას გოგონას თავი, ბერიკაცმა თავი დაანებოს ბავშვის ფეხების დაზელვას, პირქვე

დაემხოს და მტვერს აკოცოს ბენტ-ანატის ფეხთით. ამ დროს, ფიქრობდა ყმაწვილი ქურუმი, კარისკაცები სხვადასხვა მხარეს განზე გადგებიან, რათა შემთხვევით არ შეეხონ პარასქიტს. ბოლოს და ბოლოს მეფის ასული დაუგდებს მოხუცებს და, შეიძლება გოგონასაც, რამდენიმე ვერცხლის ან ოქროს ბეჭედს; მას თითქოს მოესმა კიდეც კუთხეში მიჭუჭყული კარისკაცების შეძახილები: „დაილოცოს მზის ქალიშვილის მოწყალებაო“! ეჩვენებოდა, რომ ესმის ქოხიდან გამოყრილი ქალების სიხარულის შეძახილები, ხედავს ოქროსფრად მანათობელი აჩრდილი როგორ ტოვებს საზიზღარ სამყოფელს და სულთმობრძავი გოგონას ნაცვლად უკვე მდუმარე ცხედარი ძევს გვერდზე გაწეულ ჭილოფზე, ხოლო მზრუნველი მომვლელების მაგივრად — ორი ღრმად დამწუხრებული ადამიანი, რომელთა გოდებამ იქაურობა გააყრუა.

პენტაურს რისხვით აევსო მგზნებარე გული და გადაწყვიტა, როგორც კი ხმაურიანი სვლა ქოხს მოუახლოვდება, კარებში ჩადგეს, გადაუღობოს მეფის ასულს გზა და მგზნებარე სიტყვით მიმართოს.

„საეჭვოა, რომ მას მხოლოდ კაცთმოყვარეობის გრძნობა ეწეოდეს აქ! — გაიფიქრა პენტაურმა. — ადამიანებს ესაჭიროებათ მრავალფეროვნება. სასახლეში სიხარულით ხვდებიან ყოველნაირ ახალ გასართობს. ახლა ხომ, როცა ფარაონი თავისი ლაშქრით შორეულ მხარეში იმყოფება, სასახლეში ცხოვრება მეტად ერთფეროვანი გახდა. გარდა ამისა, წარჩინებულმა პირებმა ოღონდაც თავიანთი პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილონ, როცა ცოტა ხნით მაინც ყველაზე მდაბიო ხალხთან მოხვდებიან და ამასთანავე მეტად სიამოვნებთ, როცა მათ გულკეთილობაზე ლაპარაკობენ. ასე რომ, ეს პატარა შემთხვევა, მეტი რომ არ შეიძლება, დროზე მოხდა. მაგ-

რამ იმაზე ფიქრით კი თავს არ იწუხებენ, მათი წყალობა სარგებლობას მოუტანს თუ ზიანს ამ საცოდავ ადამიანებს“.

კრიჭაშეკრული პენტაური უკვე აღარ ფიქრობდა ბენტ-ანატის შებილწვაზე პარასქიტის სადგომში. არა! მას მოსვენებას არ აძლევდა შეურაცხყოფა, რომელსაც ის თავისი მოსვლით მიაყენებდა ამ მყუდრო ქოხში გამეფებულ წმინდა გრძნობებს.

ასეთი აზრებით აღშფოთებული პენტაური, რომელიც ზედმიწევნით ფლობდა მჭევრმეტყველებას, მზად იყო მეფის ასულისათვის გულშიჩამწვდომი სიტყვებით მიემართა.

ბნელეთის მოციქულის განსაგმირავად, ვით მახვილშემართული სინათლის სული, იდგა იგი ამაყად წელგამართული, მძიმედ სუნთქავდა და ცდილობდა გაეგონა მაცნეთა კიჟინა და ბორბლების ხმაური, რაც მეფის ასულის მოახლოებას აუწყებდა იქ მყოფთ.

უეცრად ვიღაც ჩამოეფარა წამიერად კარში შემოღწეულ შუქს, გულხელდაკრეფილი, დაბლა თავდახრილი შემოვიდა ოთახში და ხმაამოუღებლად დაეშვა მუხლებზე გოგონას წინ. ექიმები და მოხუცები შეიშმუშნენ და ასადგომად მოემზადნენ, მაგრამ შემოსულმა უსიტყვოდ ანიშნა, რომ ყველანი თავიანთ ადგილებზე დარჩენილიყვნენ. მისი ბრიალა მეტყველი თვალები დიდხანს ნაზად უყურებდნენ გოგონას სახეს, შემდეგ მან ფრთხილად გადაუსვა ხელი მის ფერმკრთალ ხელს, დედაბერს გადახედა და ძლივგასაგონად ჩაიჩურჩულა:

— რა მშვენიერია!

პარასქიტის ცოლმა მხოლოდ თავი დაუქნია, ხოლო გოგონამ გაუღიმა და ტუჩები აამოძრავა, ალბათ ეს სიტყვები გაიგონა და თვითონაც მოინდომა რაღაცის თქმა.

ბენტ-ანატმა თმიდან ვარდი ამოიძრო და გულზე დაადო გოგონას.

მოხუცი პარასქიტი გოგონას ფეხებს უზელდა და თან თვალს არ აშორებდა ფარაონის ქალიშვილის თითოეულ მოძრაობას.

— დაე, გწყალობდეს მაღალი ხატორი, ეგ სილამაზე რომ გიბოძა, — ჩაიჩურჩულა მან.

ბენტ-ანატი, ჯერ ისევ მუხლებზე მდგომი, მიბრუნდა მისკენ:

— მაპატიე, — უთხრა მან. — ჩემდა უნებურად მოგაყენეთ ეს უბედურება.

ბერიკაცი წელში გასწორდა, ხელი გაუშვა გოგონას ფეხებს და ხმამაღლა ჰკითხა:

— მაშ, შენ ბენტ-ანატი ხარ?

— დიახ, — უპასუხა მან ისე ჩუმად, თითქოს თავისი სახელის გამხელის შერცხვა და მდაბლად დაუკრა თავი.

ბერიკაცის თვალებმა გაიელვეს, და მან წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა:

— ახლავე დატოვე ჩემი ქოხი, რამეთუ შეგბილწავს იგი!

— მე არსად არ წავალ, სანამ არ მაპატიებ, რაც უნებლიეთ შემემთხვა.

— ჰო, უნებლიეთ, — გაიმეორა პარასქიტმა. — მე მჯერა შენი! შენი ცხენების ჩლიქები წაიბილწნენ, როცა ამ თეთრ მკერდს შეეხნენ! შეხედე! — ბერიკაცმა თავშალი გადააძრო გოგონას და მეფის ასულს საშინელი, გასისხლიანებული ჭრილობა აჩვენა. — შეხედე! ესაა პირველი ვარდი, რომელიც ჩემს შვილიშვილს დაადე მკერდზე, ხოლო მეორე აი, ეს...

ბერიკაცმა ხელი დაავლო ბენტ-ანატის მოტანილ ვარდს, მოიქნია გადასაგდებად, მაგრამ იმწამსვე მასთან გაჩნდა პენ-

ტაური და თავისი რკინისებური თითები მოხუცს ხელზე მოუჭირა.

— სდექ! — შეჰყვირა მან მთრთოლარე, მაგრამ ჩუმი ხმით, რათა ავადმყოფი არ შეეწუხებინა, — ნუთუ დაკოდილი გული და უბადრუკი გონება ხელს გიშლის, რომ ამ კეთილშობილური ხელით გამოწვდილი მესამე ვარდიც შეამჩნიო? არადა, უნდა შეგემჩნია, რამეთუ სწორედ ახლა ყველაზე მეტად გჭირდება იგი. მეფის ასულმა შენი ბავშვის მკერდზე და შენს ფეხებთან დადო წაუბილწავი ადამიანობის მშვენიერი ყვავილი! არა მარტო ოქროთი, არამედ დამამცირებელი ვედრებით გულში მოვიდა შენთან, ხოლო იმან, ვისთანაც რამზესის ქალიშვილი მიდის, როგორც თანასწორთან, მის წინ თავი უნდა დახაროს, თუნდაც პირველთაგანი იყოს ამ ქვეყნის წარჩინებულთა შორის. ჭეშმარიტად, ღმერთები არასდროს დაივიწყებენ ბენტ-ანატის ასეთი საქციელს! შენ უნდა აპატიო მას, თუ გინდა, რომ შენც გეპატიოს მამებისაგან მემკვიდრეობით მიღებული დანაშაული შენი საკუთარი შეცოდებისთვის.

ამ სიტყვების გაგონებაზე პარასქიტმა თავი ჩაღუნა, ხოლო როცა ხელახლა ამოიხედა, მის სახეზე უკვე აღარ ჩანდა გულისწყრომა. ხელი დაიზილა, რომელიც პენტაურის ხელის მოჭერით ეტკინა, და როცა ლაპარაკი დაიწყო, მის ხმაში აუტანელი სიმწარე ჟღერდა:

— ძლიერი ხელი გქონია, ქურუმო, ხოლო შენი სიტყვები კი უროს დარტყმასავით აბრუებს ადამიანს. ეს მშვენიერი ქალი კეთილია და მოწყალე, ვიცი, განზრახ არ მიუშვია ცხენები ჩემს პაწაწინაზე. ეს გოგო ჩემი შვილი კი არა, შვილიშვილია! ის რომ შენი ცოლი იყოს, ან იმ ექიმისა ან თუნდაც აი, იმ ღარიბი ქალის შვილი, რომელიც მსხვერპლად შეწირული ფრინველების ფრთებსა და ფეხებს აგროვებს და იმით იკვე-

ბება, არათუ ვაპატიებდი, არამედ ნუგეშსაც ვცემდი, იმიტომ რომ მაშინ მეც ისევე, როგორც ის, ადამიანი ვიქნებოდი. სრულიად უდანაშაულოდ ბედისწერამ იგი მკვლელი გახადა, ზუსტად ისევე, როგორც მე ჯერ კიდევ აკვანში, როცა განგებამ უწმინდურის დამღა დამასვა. დიახ, მე მას ნუგეშს ვცემდი! მე ხომ არც მაინცდამაინც მგრძნობიარე ვარ! ვფიცავ თებეს წმინდა სამებას, ან საიდან უნდა ვიყო მგრძნობიარე? ყველა, დიდი თუ პატარა გამირბის, ეშინიათ ჩემი შეხებისა და ყოველდღე, როგორც კი სამუშაოს დავამთავრებ, ქვებს მესვრიან. სხვებს შრომა, რითაც ლუკმაპურს შოულობენ, სიხარულსა და პატივისცემა, ანიჭებს, ჩემთვის კი ყოველ დღეს მხოლოდ ახალი სირცხვილი და დამცირება მოაქვს. მაგრამ მაინც გული არავისზე მწყდება; ვალდებული ვიყავი მეპატიებინა მანამ, სანამ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი, რაც ხალხმა დამმართა, თითქოს გარდაუვალიც გახდა როგორც მცხუნვარე მზე ზაფხულში ან მტვერი, რომელსაც გამუდმებით მაყრის ქვენა ქარი. რა თქმა უნდა, არც ისე ადვილი იყო ყველაფერი ეს, მაგრამ რას იზამ? მე ყველას ვაპატიე...

პარასქიტს ხმა აუკანკალდა და ბენტ-ანატმა, რომელიც მღელვარებით შესცქეროდა, მოულოდნელად წამოიძახა:

— მაშინ მეც მაპატიე, უბედურო! — და მის ხმაში სინანული გაისმა.

ბერიკაცმა, რომელიც შეგნებულად თვალს არიდებდა ბენტ-ანატს, პენტაურს მიმართა:

— უბედუროო? დიახ, მე მართლაც უბედური ვარ. თქვენ გამომაგდეთ იმ სამყაროდან, რომელშიც ცხოვრობთ და ამ ქოხში შევქმენი საკუთარი სამყარო — მხოლოდ ჩემთვის. თქვენს წრეს არ ვეკუთვნი და როცა ამას ვივიწყებ, თქვენ უფრო შორს მაგდებთ, როგორც ქეციან ცხვარს, უფრო მეტიც —

როგორც თქვენს ბაკში შემოჭრილ მგელს. მაგრამ თქვენი გზაც ხომ ჩემთან მოდის, ამიტომ ახლა უნდა გაგიძლოთ, იმიტომ რომ თქვენ ინებეთ ითამაშოთ მგლის როლი და თავს დამესხათ.

— მორჩილად, შენი დახმარების მიზნით შემოვიდა ფარაონის ქალიშვილი შენს ქოხში, — უთხრა პენტაურმა.

— დაე, დამსჯელმა ღმერთებმა ჩაუთვალონ მას ეს სიკეთე, თუ მათ მისი დასჯა სურთ იმ ბოროტებისათვის, რაც მე მამამისმა მომაყენა! — წამოიძახა მოხუცმა. — შეიძლება მე ამ სიტყვებისთვის ქვის სატეხშიც გამიშვან, მაგრამ მაინც ყველაფერი უნდა ვთქვა: შვიდი ვაჟიშვილი მყავდა, შვიდივე რამზესმა წამართვა და სასიკვდილოდ გასწირა — მათ ხომ მაშინ ვახსენდებით, როცა მეომრები შემოაკლდებათ. ახლა კი მისმა ქალიშვილმა უმცროსი ბიჭის შვილი მომიკლა — აი, ეს გოგონა, ჩემი ბნელი ქოხის მანათობელი მზე!

სამი ვაჟიშვილი ფარაონის წყალობით ურწყული დაიღუპა საკატორღო სამუშაოზე, იქ ქვემოთ — ტენატში, სადაც ნილოსი მეწამულ ზღვას უერთდება; სამი — ეთიოპელებმა მომიკლეს და ნაბოლარა კი, ჩემი თვალის სინათლე, ალბათ, აფთარმა დაფლითა შორეულ ჩრდილოეთში.

ამ სიტყვებზე დედაბერმა, რომელსაც მუხლებზე ავადმყოფი გოგონას თავი ედო, გულსაკლავი ქვითინი ამოუშვა, მას სხვა ქალებმაც მხარი აუბეს.

ავადმყოფი შიშისგან შეხტა, თვალები გაახილა და ჩუმად იკითხა:

— ვის დასტირით?

— უბედურ მამაშენს, — მიუგო დედაბერმა.

გოგონამ ისეთნაირად გაიღიმა, როგორც ბავშვები იღიმებიან ხოლმე, როცა ხვდებიან, რომ უფროსები სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებენ:

— განა მამაჩემი აქ არ იყო? ის ხომ თებეშია, უკვე მნახა და მითხრა, მდიდარი ნადავლით დავბრუნდი და ამიერიდან აღარაფერი გაგიჭირდებათო. სწორედ მის ნაჩუქარ ოქროს ბეჭედს ვკრავდი კაბის კალთაში, როცა ეტლი დამეჯახა. ის იყო, გამოკვანძვა მოვასწარი და დამიბნელდა კიდეც თვალებში. შემდეგ აღარც არაფერი მახსოვს. აიღე ბეჭედი, ბებია, ის შენია. შენთან მომქონდა. გაყიდე და შესაწირი საქონელი იყიდე, პაპასთვის ღვინო, ხოლო შენთვის თვალების მალამო[48] და დანამასტაკის ტოტები,[49] რამდენი ხანია, აღარ გიყიდია.

პარასქიტი ხარბად უსმენდა შვილიშვილის ბაგეთაგან მოწყვეტილ თითოეულ სიტყვას. კვლავ სალოცავად ასწია მარჯვენა ხელი და პენტაურმა დაინახა, როგორ გადახედეს მოხუცებმა ერთმანეთს; მძიმე, ცხელი წვეთი ჩამოუგორდა დედაბერს ყვრიმალზე და დაკოჟრილ ხელზე დაეცა. უეცრად შეშინებულივით შეკრთა: ეგონა, ავადმყოფი ბოდავდა, მაგრამ მისი კაბის კალთაზე მართლაც აღმოჩნდა ნასკვი. ხელის კანკალით გახსნა დედაბერმა კვანძი, და მიწაზე ოქროს ბეჭედი გადმოგორდა.

ბენტ-ანატმა ბეჭედი აიღო, პარასქიტს გაუწოდა და უთხრა:

---

[48] „თვალების მალამოში“ იგულისხმება ჯერ კიდევ უძველეს დროში აზიიდან ეგვიპტეში შემოტანილი სურმა, რომელმაც იქ ფართო გავრცელება ჰპოვა. (ავტ. შენიშვნა).

[49] დანამასტაკი — ფსტის ჯიშის მარადმწვანე ბუჩქნარი; მისი ფისი გამოირჩევა სასიამოვნო სუნით, რაც ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყო ცნობილი, და ქალები ხშირად ღეჭავდნენ მას, რათა სუნთქვას სურნელება ჰქონოდა. გარდა ამისა, ეგვიპტეში გავრცელებული იყო სპეციალური სურნელოვანი საღეჭი აბები; მათი დამზადების რეცეპტები მოცემულია ებერსის პაპირუსში. (ავტ. შენიშვნა).

— ბედნიერ ფეხზე მოვსულვარ; ვაჟიშვილიც დაგბრუნებია და შენი შვილიშვილიც მალე გამოჯანმრთელდება!

— დიახ, მალე გამოჯანმრთელდება! — დაუდასტურა ექიმმა, რომელიც აქამდე უხმოდ ადევნებდა თვალყურს, რაც იქ ხდებოდა.

— ჩვენთან ერთად იქნება, — ძლივგასაგონად ჩაილაპარაკა პარასქიტმა, მუხლებზე ხოხვით მიუახლოვდა ბენტ-ანატს და მუდარით მიაპყრო ცრემლიანი თვალები.

— მაპატიე, მეფის ასულო, როგორც მე გაპატიე, და თუ კეთილი სურვილი უწმინდურის პირში წყევლად არ გადაიქცევა, მაშინ ნება მომეცი დაგლოცო.

— მადლობელი ვარ, — უთხრა ბენტ-ანატმა, როცა ხელაპყრობილი ბერიკაცი ლოცავდა.

შემდეგ მეფის ასულმა ექიმს უბრძანა მზრუნველობა არ მოეკლო ავადმყოფისათვის, დაიხარა, შუბლზე აკოცა გოგონას და გვერდით თავისი ოქროს სამაჯური დაუდო. პენტაურს წასვლის ნიშნად თავი დაუკრა და ორივენი გავიდნენ ქოხიდან.

თავი მეექვსე

ამასობაში ფარაონის მახორი და მეეტლე მენას ახალგაზრდა ცოლი მეფის ასულს ელოდებოდნენ.

როცა ბენტ-ანატი პარასქიტის ეზოში შევიდა, მზე ზენიტში იყო.

ხეობის ორივე მხარეს ჩაყოლებული კირქვიანი ტიტველი კლდეები და მათ შორის მომწყვდეული ქვიშიანი ფსკერი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა მზეზე. ჩრდილის ნაგლეჯიც კი არ ჩანდა სადმე, მსახურნი კი ბენტ-ანატის ბრძანებით მარაოებიანად ეტლებსა და ტახტრევნებთან დარჩნენ. ერთხანს უხმოდ იდგნენ პააკერი და ნეფერტი, შემდეგ მშვენიერმა ნეფერტმა დაღლილი ნუშისებრი თვალები ასწია და ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

— რამდენ ხანს დარჩა ბენტ-ანატი იმ უწმინდურებთან! მეტი აღარ შემიძლია! რა ვქნათ?

— უნდა ველოდოთ, — მოკლედ მოუჭრა პააკერმა და ახალგაზრდა ქალს ზურგი შეაქცია. მერე კლდეზე აძვრა, მიდამოს მახორის თვალი მოავლო, და ისევ ნეფერტთან დაბრუნდა.

— ჩრდილიანი ადგილი ვიპოვე. აი, იქ!

ნეფერტმა იქით გაიხედა, საითაც პააკერი მიუთითებდა, და თავი დაუქნია, მისი ოქროს სამკაულები ჩუმად აწკრიალდნენ. ნეფერტს შემცივნულივით გააჟრჟოლა.

— სეხეტი[50] მძვინვარებს ზეცაში, — თქვა პააკერმა. — მაინც გირჩევ იმ ჩრდილში მივიდეთ, თუმცა პატარა კია. ასეთ პაპანაქებაში შეიძლება დაისიცხოს კიდეც კაცი.

— მართალია, — უპასუხა ნეფერტმა, კეფაზე ხელი დაიდო და ორი უშველებელი ქვის შვერილისაკენ გაემართა, სახურავივით რომ იყო გადმოწეული. სწორედ ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც თავის შეფარება შეიძლებოდა.

პააკერი დაწინაურდა, იმ თავისებურ ქვის კარავში კირქვის ფოროვანი ნატეხი შეაგორა, რამდენიმე მორიელიც მოსრისა ფეხით და მაგარ დასაჯდომს თავისი თავსაბური გადააფარა.

— აქ მზე არაფერს დაგვაკლებს, — უთხრა ნეფერტს. ნეფერტი მოწყვეტით დაეშვა ქვაზე, თან თვალს არ აშორებდა დადუმებულ მახორს, რომელიც ბოლთას სცემდა. ბოლოს ეს გაუთავებელი სიარულიც აუტანელი გახდა ისედაც გაბეზრებული ნეფერტისთვის; მან თავი ასწია და შესძახა:

— თუ ღმერთი გწამს, შეწყვიტე სიარული!

პააკერი მაშინვე დაემორჩილა, ზურგი შეაქცია და პარასქიტის ქოხისკენ დაიწყო ცქერა.

გაიარა კიდევ რამდენიმე გულის გადამლევმა წუთმა.

— მითხარი რამე, — სთხოვა ნეფერტმა.

---

[50] სეხეტი (სოხმეტი ან სეხმეტი) — ძუ ლომი ან კატისთავიანი ქალღმერთი, რომლის თავს ზემოთ გამოსახული იყო მზის დისკო გველით. ამ ქალღმერთს რას ქალიშვილს უწოდებდნენ, და მამამისის დიადემაზე ურეოსის სახით იყო გამოსახული, როგორც შუადღის მომაკვდინებელი პაპანაქების სიმბოლო. ადამიანის ცხოვრებაში მგზნებარე და აულაგმავ ვნებას განასახიერებდა, ხოლო ქვესკნელის სამეფოში კატის ან ძულომისთავიანი ქალღმერთის სახით უმოწყალოდ შანთავდა მსჯავრდებულთ. იგი ადამიანებს ანიჭებდა თავდავიწყებასა და ვნებას. (ავტ. შენიშვნა).

პააკერმა მისკენ მოაბრუნა თავისი ფართო სახე და ნეფერტმა ველური ცეცხლის გაელვება დაინახა მის თვალებში. ქალმა ელდანაცემივით თავი დახარა.

— უმჯობესია გავჩუმდე, — თქვა პააკერმა და ხელახლა დაიწყო წინ და უკან სიარული, სანამ ისევ ნეფერტმა არ შეაჩერა.

— ვიცი, ჩემზე გაბრაზებული ხარ, — უთხრა მან, — მაგრამ მე ხომ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა დაგვწინდეს. მე მუდამ კარგ დამოკიდებულებაში ვიყავი შენთან. როცა თამაშის დროს დედაშენი შენს პატარა ცოლს მეძახდა, გულწრფელად მიხაროდა. წარმოდგენილი მქონდა, რა შესანიშნავი იქნებოდა, როცა შენს სახლს, რომელიც ასე ბრწყინვალედ მოაწყვე ჩემთვის მამის სიკვდილის შემდეგ, თქვენს დიდებულ ბაღს, წმინდა ჯიშის ცხენებს, ყველა მონას ჩემი სახელი ერქმებოდა.

პააკერმა გადაიხარხარა, მაგრამ მისი სიცილი იმდენად ნაძალადევი და ღვარძლიანი იყო, რომ ნეფერტს თითქოს დანა გაუყარესო გულში, ისე შეაჟრჟოლა, მაგრამ არაფერი უპასუხა და ისევ წყნარად განაგრძო:

— ვხედავ, ბრაზდები, რადგან ჩემი გულუბრყვილო ნათქვამიდან დაასკვენი, რომ ჩემი მიზანი მხოლოდ შენი მდიდარი მემკვიდრეობის დაუფლება იყო. მაგრამ მე ხომ უკვე გითხარი, რომ შენთან მუდამ კარგ დამოკიდებულებაში ვიყავი! ნუთუ დაგავიწყდა, შენთან ერთად რომ ვტიროდი, როცა სკოლის ბოროტ ბიჭებზე ან მამაშენის სიმკაცრეზე მიყვებოდი? მერე მამა მოგიკვდა... შენ კი აზიაში წახვედი...

— ხოლო შენ, — მკვახედ შეაწყვეტინა პააკერმა, — ჩვენი ნიშნობა დაარღვიე და მეეტლე მენას გაჰყევი ცოლად. ყველაფერი ეს ვიცი! რაღა საჭიროა ახლა ამაზე ლაპარაკი?

— მეტად მწყინს, გაჯავრებული რომ ხარ ჩემზე, აღარც დედაშენი დადის ჩვენთან. ოჰ, რომ იცოდე, რა ემართება სიყვარულით ალმოდებულ ადამიანს, როცა შენი თავის მარტოდ წარმოდგენაც კი არ შეგიძლია, მუდამ მასთან ხარ, მხოლოდ მის მკერდზე მიხუტებული! როცა ღამით გულის დაუოკებელი ბაგაბუგი გაღვიძებს და სიზმარშიც საყვარელ ადამიანს ხედავ.

— შენ გგონია, რომ მე ეგ არ ვიცი! — შეჰყვირა პააკერმა და გულხელდაკრეფილი დაუდგა წინ, — შენ გგონია, რომ მე არ ვიცი! შენ თვითონ არ მასწავლე ეს გრძნობა? საკმარისი იყო შენზე გამეფიქრა, რომ გულში ცეცხლი მიწყებდა ბობოქრობას, ახლა კი საწამლავით ამივსე იგივე გული. და აქ, ამ მკერდში, სადაც შენი ხატება ადრე ისე ციალებდა, როგორც სხივოსანი ქალღმერთი ხატორი თავის ტაძარში, ამიერიდან ყველაფერი სირიის მიწაზე არსებულ, ეგრეთწოდებულ „მკვდარ“ ზღვასა ჰგავს, სადაც ყოველი არსი იღუპება!

ამ სიტყვებზე პააკერის თვალებმა ველურად გაიელვეს და მან ჩახრინწული ხმით განაგრძო:

— თუმცა მენა უფრო ახლოსაა ფარაონთან, ჩემზე გაცილებით ახლოს, ხოლო დედაშენი...

— დედაჩემი, — შეაწყვეტინა ნეფერტმა და მღელვარებისგან ხმა გაებზარა, — დედაჩემს არ აურჩევია ჩემთვის ქმარი. მე ის დავინახე, როცა მზის ღმერთის დარად ჩაიარა ფარაონის ეტლით. მანაც შემომხედა და მისმა მზერამ შუბის წვერივით გამიარა გულში. ხოლო როცა ფარაონის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე გამომელაპარაკა, მომეჩვენა, თითქოს ხატორებმა მზის სხივების ნაზად ჟღერადი ოქროს ძაფები შემომახვიესო. მერე მიამბო, როცა უკვე მისი ცოლი გავხდი, — თურმე იმ დროს მენასაც იგივე განუცდია. შენი გუ-

ლისთვის დედაჩემმა იგი უარით გაისტუმრა. მე დარდისგან ჩამოვხმი და გავყვითლდი. მანაც დაჰკარგა ჩვეული სიმშვიდე და ისე დასევდიანდა, ფარაონსაც კი შეუმჩნევია და უკითხავს, რატომ ხარ ეგრე დაღონებულიო; რამზესს ხომ შვილივით უყვარს იგი. მენაც გამოუტყდა, რომ სიყვარული აბრმავებს და მკლავში ძალღონეს ართმევს. მაშინ დიდმა ფარაონმა თვითონ შემრთო თავის ერთგულ მსახურს. და დედაჩემმაც დაუთმო. ამგვარად ჩვენ ცოლ-ქმარი გავხდით... მთელი ის ნეტარება, რომელიც იალუს ყანებში[51] წმინდანებს ატკბობთ, ვერ შეედრებოდა ჩვენს ბედნიერებას.

როცა ნეფერტი ამ სიტყვებს ამბობდა, ცად აპყრობილი მისი ფართო თვალები ბედნიერებისგან ციალებდნენ. ქალმა თავი დახარა და ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა:

— მაგრამ ხეთებმა[52] იმ დროს ხელშეკრულება დაარღვიეს, ფარაონი საომრად გაემართა და მენაც თან წაიყვანა. თხუთმეტჯერ აღმოხდა მთვარე ჩვენი ბედნიერების ჟამს, მერე კი...

— მერე ღმერთებმა მისმინეს და ჩემი შესაწირი მიიღეს, — თქვა პააკერმა ხმის კანკალით. — ის მკერდიდან მოგაგლიჯეს და ახლა თქვენს გულებს სევდის ცეცხლი სწვავს. შენ გეგონა, ისეთ რამეს მომიყვებოდი, რაც არ ვიცოდი? ერთხელ კიდევ გავიგონე, რომ თხუთმეტი მთვარის განმავლობაში მენა შენ გეკუთვნოდა, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ის ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა აზიაში გაჩაღებული ომიდან.

---

[51] იალუს ყანები — წმინდანთა ყანები, სადაც უცოდველი სულები ხვდებოდნენ. „მიცვალებულთა წიგნში“ არის წმინდანთა გამოსახულებანი, რომლებიც ცივ წყაროსთან ჩრდილში განცხრომას ეძლევიან, ან თესავენ და მკიან. (ავტ. შენიშვნა).

[52] ხეთები — ხეთების სახელმწიფოს გაბატონებული ტომი, ოდესღაც მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით რომ იყო განლაგებული.

— მაგრამ დაბრუნდება! — წამოიყვირა ახალგაზრდა ქალმა.

— შეიძლება ვერც დაბრუნდეს, — სიცილით მიუგო პააკერმა. — ხეთებს მრისხანე იარაღი აქვთ, ხოლო ლიბანში ბევრი ძერაა; ვინ იცის, ეგებ ამ წუთშიც მენას სხეულს ჯიჯგნიან, ისევე როგორც თქვენ ორივემ დაფლითეთ ჩემი გული.

ამის გაგონებაზე ნეფერტი ნაკბენივით წამოხტა, ულმობელი ხელით ნასროლი ქვასავით მოხვდა მის გულს პააკერის სიტყვები, სურდა თავშესაფარი დაეტოვებინა და ბენტ-ანატთან წასულიყო პარასქიტის ქოხში, მაგრამ მოულოდნელმა სისუსტემ ნაბიჯიც ვერ გადაადგმევინა, სხეული ერთიანად აუკანკალდა და ისევ უსასოოდ დაეშვა ქვაზე. სიტყვებს ეძებდა და ენა არ ემორჩილებოდა. საშინელი სევდით მოცულს, შეშინებულსა და მარტოდმარტოს ხმის ამოღებაც აღარ შეეძლო.

აუტანელი ტკივილი და შეურაცხყოფა უღრღნიდა ნეფერტს გულს, თანდათან უფრო ძლიერად ჯიჯგნიდა და სულს უხუთავდა. ბოლოს ეს გრძნობები მწარე და გულამომჯდარ ქვითინში გადმოიღვარა, რამაც მთელი მისი არსება შეძრა. ვეღარაფერს ამჩნევდა, აღარაფერი ესმოდა, ხოლო თვალთაგან ღვარად სდიოდა ცრემლი... იმ წუთში იგი ყველაზე უბედური იყო ამქვეყნად.

პააკერი მდუმარედ იდგა მის წინ.

სამხრეთში არსებობს ხეები, რომლებზედაც მჭკნარი ნაყოფის გვერდით უცბად იშლება თეთრი ყვავილები; არის დღეები, როცა კაშკაშა მზესთან ერთად ცაზე ფერმკრთალი მთვარე მოჩანს, ხოლო ადამიანის გულს ზოგჯერ შეუძლია ერთიდაიგივე ადამიანისადმი ერთდროულად იგრძნოს სიყვარულიც და სიძულვილიც.

ცხოველმყოფელი ნამის წვეთებივით აღწევდა ნეფერტის ცრემლები პააკერის შურისძიებამოწყურებულ სულსა და გულში — იგი ტკბებოდა მისი მძიმე ოხვრით. ნეფერტის მწუხარება ნამდვილად ატკბობდა, ხოლო ახალგაზრდა ქალის სიმშვენიერე კი ცხოველ ვნებას ანთებდა მასში. მონუსხულივით იდგა და თვალს ვერ აშორებდა ქალის მშვენიერ ტანს. პააკერი მზად იყო მსხვერპლად შეეწირა სამუდამო ნეტარება, ოღონდაც კი ერთხელ მაინც გულში ჩაეკრა ნეფერტი და მისი ბაგედან სიყვარულის სიტყვები გაეგონა.

ბევრმა გულის გადამლევმა წუთმა განვლო და ნეფერტს ცრემლი გაუშრა. დაღლილი, თითქმის უღიმღამო მზერა მიაპყრო მან პააკერს, რომელიც ისევ გაუნძრევლად იდგა მის წინ და ჩუმად შეევედრა:

— პირი გამიშრა, ერთი ყლუპი წყალი მომიტანე საიდანმე.

— ყოველ წუთს შეიძლება დაბრუნდეს მეფის ასული, — მიუგო მან.

— კი მაგრამ, მანამდე წყურვილისაგან მოვკვდები, — წაიჩურჩულა ნეფერტმა და ისევ ჩუმად ატირდა.

პააკერმა მხრები აიჩეჩა და ხეობისკენ გაემართა, რომელსაც საკუთარი სახლივით იცნობდა. აქ ხომ დედამისის წინაპართა აკლდამები იყო, სადაც ჯერ კიდევ ბავშვობაში ბადრი მთვარისა და ახალი მთვარის დროს ლოცულობდა და მსხვერპლი მიჰქონდა საკურთხეველზე.

პარასქიტის ქოხში შესვლა პააკერმა ვერ გაბედა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ იმ ადგილიდან, სადაც ნეფერტი დატოვა, ასიოდე ნაბიჯში ცხოვრობდა ერთი დედაბერი, რომელზედაც ცუდი ხმები დადიოდა. მის მღვიმეში ნამდვილად იშოვნიდა წყალს.

მოზღვავებული გრძნობებით გაბრუებული პააკერი სწრაფად მიიწევდა წინ. აბობოქრებული ვნება ტვინს უბნელებდა.

მღვიმის კარი, რომელიც დედაბერს ღამღამობით ღორმუცელა ტურებისგან იცავდა, ყურთამდე იყო გაღებული. ტილოს დახეული ნაჭრის ჩრდილში, ერთი ბოლოთი გამოქვაბულის შესასვლელის თავზე, პირდაპირ კლდეზე რომ იყო დამაგრებული, ხოლო მეორეთი — ორ უხეშად გათლილ ლატანზე, იჯდა თვით დიასახლისი, რომელიც კალთაში ჩაყრილ რაღაც ყვითელ და ყავისფერ ფესვებს არჩევდა. მის გვერდით პააკერმა შენიშნა ხის ორკაპებზე დაყენებული ბორბალი, ძეწკვით მიბმული ჩიტი მანიდან მანზე ხტუნაობდა და შეუჩერებლივ ატრიალებდა ბორბალს. ნახშირივით შავი კატა დედაბერს ეჯდა ფეხთით და ყვავისა და ბუს თავებს ყნოსავდა, რომლებსაც, ეტყობოდა, ახალამოცლილი ჰქონდათ თვალები.

მღვიმის თავზე, რომლის შესასვლელშიც ორი ქორი იჯდა, კლაკვნით ამოდიოდა მბჟუტავი ღვიის კენკრის ბოლი. დედაბერი მას წვავდა, რათა გამოქვაბულში შენახული ყოველნაირი შინაური წამლის სუნი ჩაეხშო.

როცა პააკერი მიუახლოვდა, დედაბერი მღვიმისკენ შებრუნდა და დაიყვირა:

— ცვილი დუღს?

პასუხად რაღაც ბუნდოვანი ლუღლუღი გაისმა.

— მაშინ ჩაყარე მაიმუნის თვალები, იბისის ფრთა და შავნიშნებიანი ტილოს ჭინჭი, და ცოტა კიდევ ურიე! აი, ახლა კი ჩააქრე ცეცხლი. აიღე დოქი და წყალზე წადი, დაუჩქარე, თორემ აქეთ ვიღაც მოდის!

მღვიმიდან კუპრივით შავკანიანი და თხელთმიანი ზანგი ქალი გამოვიდა, რომელსაც გამხდარ თეძოებზე უფერული

დაგლეჯილი ძონძი შემოეხვია, ჭაღარა თავზე დიდი თიხის კოკა დაედო; პააკერს ისე ჩაუარა, არც კი შეუხედია მისთვის.

დედაბერს ეტყობოდა, ოდესღაც ნამდვილად ტანადი და ლამაზი ქალი იქნებოდა; მაგრამ წამებით განვლილ წლებს წელში გაეტეხა იგი. მისი დამჭკნარი, უამრავი ნაოჭით დაღარული სახე თავის დროზე ალბათ მეტად მიმზიდველიც იყო. ფაციფუცით ემზადებოდა პააკერის შესახვედრად: ჭრელი თავსაფარი მოიხურა, ცისფერი კაბის გული შეიკრა

და ყვავებისა და ბუების თავებს გახეხილი ჭილოფი გადააფარა.

პააკერმა დაუძახა, მაგრამ დედაბერმა თავი მოიკატუნა, თითქოს არაფერი ესმისო. მხოლოდ, როცა პააკერი სულ ახლოს მივიდა, მან თავისი ჭკვიანი მოელვარე თვალები ასწია და წამოიძახა:

— ბედნიერი დღეა დღეს, ნათელი დღეა, დიდებული სტუმრებისა და დიდი პატივის მომტანი დღეა!

— ადექი! — უბრძანა პააკერმა ისე, რომ არც უპასუხია მისალმებაზე, კალთაში, პირდაპირ ფესვების გროვაში ჩაუგდო ვერცხლის ბეჭედი[53] და უთხრა:

— ცოტა წყალი მომეცი, მხოლოდ სუფთა ჭურჭლით და გულუხვად გადაგიხდი.

მყისვე მოძებნა მოხუცმა ფესვებში ჩავარდნილი ბეჭედი, თვალებთან ახლოს მიიტანა და აღტაცებით წარმოთქვა: — კარგია, ნამდვილი ვერცხლია, მეტისმეტად ბევრია უბრალო წყლისთვის, მაგრამ მეტისმეტად ცოტაა სასიკეთო სასმელისთვის.

---

[53] ალექსანდრე მაკედონელამდე ეგვიპტელებს მონეტები არ ჰქონდათ; გამოწონილ ვერცხლისა და ოქროს ნაჭრებს აძლევდნენ ბეჭდის ფორმას. (ავტ. შენიშვნა).

— ბევრს ნუ ყბედობ, ბებერო კუდიანო, დროზე გაინძერი! — შეუღრინა პააკერმა და კიდევ ერთი ბეჭედი დაუგდო მუხლებზე.

— მეტად გულუხვი ყოფილხარ, — უთხრა დედაბერმა. ის მდაბიოსავით კი არ ლაპარაკობდა, არამედ სრულიად გამართულად. — შენთვის ყველა კარი ღია იქნება, ბატონო, ოქრო ხომ, როგორც გასაღები, ყველა კლიტეს ერგება. მაშასადამე, ამ ბეჭდებში წყალი გინდა, მაგრამ როგორი? ავი თვალისგან რომ დაგიცვას? თუ ისეთი, რომელიც დიდებას მიგაღწევინებს? ანდა რომელიც საიდუმლო ბილიკებს მიგასწავლის? მე ხომ ვიცი, შენი მოვალეობა გზების დაზვერვაა. ან იქნებ საჭიროა ამ წყალმა ცხელი გული გააცივოს, ხოლო ცივი გაახუროს? ან შენ მოგცეს უნარი სხვის გულში ჩაიხედო? ან მშვენიერი სიზმრები მოგივლინოს? ეგებ შემეცნების წყალი გჭირდება, რათა გაიგო, ვინაა შენი მტერი და ვინ მოყვარე... თუ — ხი-ხი-ხი! გინდა შეიტყო, ჩქარა მოკვდება თუ არა შენი მტერი? ანდა გსურს განიმტკიცო მეხსიერება? ან იქნება გინდა მარცხენა ფეხზე მეექვსე თითი მოიჭრა?

— შენ მიცნობ? — ჰკითხა პააკერმა.

— საიდან უნდა გიცნობდე? — უპასუხა გრძნეულმა, — არა! მაგრამ მე მახვილი თვალი მაქვს და შემიძლია სასიკეთო წყალი მოვუმზადო დიდკაცობასაც და მდაბიო ხალხსაც.

— სისულელეა! — მოუთმენლად შეაწყვეტინა პააკერმა და ხელი წაავლო ქამარზე ჩამოკიდებულ მათრახს. — აბა, ჩქარა, თორემ ქალი იქ, ქვემოთ...

— აჰ, შენ წყალი ქალისთვის გინდა? — შეაწყვეტინა დედაბერმა. — აქამდე როგორ ვერ მივხვდი. თუმცა სასიყვარულო სასმელებს უფრო ხშირად ახალგაზრდები კი არა, მოხუცები მთხოვენ. მეც კარგ სამსახურს გაგიწევთ. ჰო, ჰო, აი, ნახავ.

ამის თქმაზე დედაბერი მღვიმეში შევიდა და მალევე უკან დაბრუნდა, ხელში ალებასტრის თხელი ცილინდრული ჭურჭელი ეჭირა.

— აჰა, აიღე, — უთხრა მან და ფლაკონი გაუწოდა, — ამის ნახევარი წყალში ჩაასხი და იმ ქალს დაალევინე. თუ ამ ულუფამ არ იმოქმედოს, მაშინ მეორე იმოქმედებს. ეს წყალი ბავშვსაც კი შეიძლება მისცე — მაწყინარი არაა, ხოლო თუ მოხუცი მიიღებს, ძალა და მხნეობა მოემატება. აი, ნახე: თავად გავსინჯავ შენი თანდასწრებით. — დედაბერმა თეთრი სითხით დაისველა ტუჩები. — უვნებელია, მაგრამ მეტს აღარ დავლევ, თორემ ბებერი ხექტი შენი სიყვარულით აინთება, რაც, საეჭვოა, მოეწონოს შენისთანა წარჩინებულ ვაჟბატონს! ხი-ხი! თუ ამ წამალმა არ გაჭრას, ჩათვალე, რომ მთლიანად გადახდილი გაქვს საფასური, არადა, თუ იმოქმედოს, მაშინ სამ ოქროს ბეჭედს კიდევ მოიტან. აქ მოსვლა კიდევ მოგიწევს — ნამდვილად ვიცი!

პააკერი უხმოდ უსმენდა დედაბერს. მერე უხეშად გამოგლიჯა ხელიდან ფლაკონი და ქამარზე ჩამოკიდებულ ქისაში ჩაიტენა. შემდეგ კიდევ რამდენიმე ბეჭედი დაუგდო ფეხებთან და ისევ ერთი თასი ნილოსის სუფთა წყალი მოითხოვა.

— ნუთუ მართლა ასე გეჩქარება? — ჩაიბურტყუნა დედაბერმა და მღვიმეში მიიმალა. — ის კი მეკითხება, ვიცნობ თუ არა მას? მას კი ვიცნობ, მაგრამ მისი ტურფა ვინაა? ან სადაა იგი? იქნებ პატარა უარდა, პარასქიტის ასული? ლამაზი გოგო კია, მაგრამ ახლა რომ ეტლისაგან დათეთქვილი ჭილოფზე კვდება? ვნახოთ, რა განზრახვა აქვს ამ ჯიბესქელ ვაჟბატონს! მე ის ჩემს ახალგაზრდობაშივე არ მომწონდა, მაგრამ თავისას მაინც მიაღწევს! მეტად ჯიუტია და ამავე დროს ხელგაშლილიც.

დედაბერი თავისთვის ბუტბუტებდა და თან ფორებიანი თიხის კოკიდან კარგად გაწურული ნილოსის წყლით შეავსო ლამაზი ქაშანურის თასი. ანკარა წყალში დაფნის ფოთოლი ჩააგდო, რომელზედაც შვიდი ხაზით შეერთებული ორი გული იყო ამოკაწრული, და გარეთ გავიდა.

როცა პააკერმა წყლიანი თასი ჩამოართვა და დაფნის ფოთოლს დაუწყო ყურადღებით დათვალიერება, დედაბერმა უთხრა:

— ასე აერთებენ გულებს. შვიდიდან სამი ხაზი მამაკაცს ნიშნავს, ოთხი კი ქალს, ხოლო შვიდი — განუყოფელი რიცხვია. ხა-ხა-ხა-ხახ, ხარხარახახა!

ეს ჯადო სიტყვები ოსტატურად ჩაიღიღინა დედაბერმა, მაგრამ მახორს მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, მას ფრთხილად მიჰქონდა თასი ხეობაში, სადაც ნეფერტი ელოდებოდა.

სანამ იმ კლდემდე მივიდოდა, რომელიც ნეფერტისაგან ფარავდა, შეჩერდა, თასი ბრტყელ ქვაზე დადო და ჯიბიდან სიყვარულისწამლიანი ფლაკონი ამოიღო. თითები უკანკალებდა, თავი მთვრალივით უბრუოდა. ეჩვენებოდა, თითქოს ათასი მოზეიმე ხმა ჩასძახოდა ყურში: „იჩქარე! იმოქმედე! გამოიყენე წამალი! ახლა ან არასდროს!“

გულზე ჯავრი შემოაწვა. ისეთ ეულ მგზავრს დაემსგავსა, რომელმაც გზაზე გარდაცვლილი ნათესავის ანდერძი იპოვა და ხედავს, რომ მისი იმედები მემკვიდრეობაზე ჩაიფუშა. რა ქმნას? ეს ანდერძი სასამართლოს გადასცეს თუ აიღოს და გაანადგუროს?

პააკერი არა მარტო თავგამოდებით ასრულებდა ყველა წეს-ჩვეულებას, არამედ მტკიცედაც სწამდა, რომ კაცმა ყოველთვის წინაპართა რელიგიურ მცნებებს უნდა უერთგუ-

ლოს. სხვისი ცოლის ხელყოფა — მძიმე ცოდვაა, მაგრამ განა მას უფრო ადრე არ ჰქონდა უფლება ნეფერტზე, ვიდრე ფარაონის მეეტლეს?

შავი მაგიის დაუფლება სიკვდილით ისჯება — ამას კანონი ითვალისწინებს; სწორედ ამ მზაკვრული ხელოვნების გამო იყო, რომ დედაბერს ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მაგრამ განა ის აქ სიყვარულის წამლისთვის მოვიდა? ნუთუ არ შეიძლებოდა მომხდარიყო ისე, რომ მის განსვენებულ თვისტომთ, ან თუნდაც მისი ლოცვითა და შესაწირით გულაჩვილებულ ღმერთებს სასწაულებრივი შემთხვევის წყალობით ექციათ იგი ამ წამლის მფლობელად? მას ხომ ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი მის სასწაულმოქმედ ძალაში!

ამხანაგები გაბედულ კაცად თვლიდნენ პააკერს და, მართლაც, ნებისმიერი მდგომარეობიდან მყისვე პოულობდა გამოსავალს. მაგრამ ამ დროს მას გამბედავი და კარგად ნავარჯიშები ჭკუა კი არ შველოდა, არამედ ხერხიანობა, რომელიც კითხვა-პასუხობანას თამაშის დროსაა საჭირო.

კისერზე და წელზე უამრავი ავგაროზი ეკიდა. ყველა ქურუმების მიერ იყო ნაკურთხი და თავიანთი ღირებულების წყალობით განსაკუთრებით ქმედითად ითვლებოდა. ასე მაგალითად, თუ ლილაქვის თვალი, რომელიც ქამარზე ეკიდა, ძირს დაგდებისას ისე დადგებოდა, რომ თვალის გუგა მიმართული იქნებოდა ცისკენ, ხოლო ავგაროზის გლუვი მხარე — მიწისკენ, ეს ნიშნავდა „კი“, თუ პირიქით, მაშინ — „არა“. მის ბეჭდების ქისაში ყოველთვის იდო ღმერთ აპუატუს[54] ტურისთავიანი ქანდაკება, ხალხის რწმენით ის უხსნიდა მას ყველა

[54] აპუატუ — ღმერთ ანუბისის სახესხვაობა; მას ტურისთავიანადაც გამოსახავდნენ და ქალაქ ლიკოპოლისის (ახლანდელი სიუტის) ადგილობრივ ღვთაებად ითვლებოდა. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

გზას. გზაჯვარედინზე პააკერი ამ ქანდაკებას ძირს დააგდებდა და იმ გზას ირჩევდა, საითაც მისი წვეტიანი დრუნჩი იყო მიმართული. მაგრამ ყველაზე ხშირად რჩევისთვის გარდაცვლილი მამის ბეჭედს მიმართავდა ხოლმე, რომელიც ამავე დროს დოკუმენტის დასამოწმებელი ბეჭედიც იყო. ეს ძველებური ბეჭედი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მას შემდეგ, რაც აბიდოსის მთავარმა ქურუმმა ოზირისის თოთხმეტი აკლდამიდან[55] ყველაზე უწმინდესზე მიიტანა იგი, ბეჭედმა სასწაულთმოქმედი ძალა შეიძინა. წვრილ ოქროს სალტეზე დამაგრებულ ბეჭედზე შეიძლებოდა ამოგეკითხათ დიდი ხნის წინათ გაღმერთებული ფარაონის თუტმოს III სახელი, რომელმაც ეს ბეჭედი პააკერის წინაპარს აჩუქა. როცა პააკერი ბეჭედს რჩევას სთხოვდა, თავისი ბრინჯაოს სატევრის წვერით ალალბედზე უნდა შეხებოდა ბეჭედზე ამოკვეთილ ნიშნებს, რომელთაგან სამი აღნიშნავდა ღვთაებას, და სამიც — ბოროტ სულებს. თუ ხანჯლის წვერი პირველ სამ ნიშანს მოხვდებოდა — ის თვლიდა, რომ ოზირისად ქცეული მამამისი გადაწყვეტილებას უწონებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხელს იღებდა თავის განზრახვაზე. ხშირად გულზე ბეჭედმიკრული ელოდებოდა რომელიმე ცოცხალ არსებასთან შეხვედრას. თუ ის მარჯვნიდან მოვიდოდა — მას ბედი გაუღიმებდა, ხოლო თუ მარცხნიდან — ესე იგი გარდაცვლილი მამის შიკრიკი აფრთხილებდა მოსალოდნელ საშიშროებაზე.

---

[55] სეთხ-ტიფონს ვითომდა ოზირისის ცხედარი თოთხმეტ ნაწილად დაუჭრია და მთელ ეგვიპტეში მოუფანტავს. ყველგან, სადაც კი იზიდა მათ იპოვიდა, ქმრისთვის აკლდამას აგებდა. მაგრამ იმ თოთხმეტი აკლდამიდან განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ ოზირისის აკლდამას აბიდოსში. წარჩინებული ეგვიპტელები ანდერძს ტოვებდნენ, მათი მუმიები აბიდოსში, ოზირისის გვერდით დაესვენებინათ. (ავტ. შენიშვნა).

დროთა განმავლობაში პააკერმა ავგაროზებით სარგებლობის მთელი სისტემა შეიმუშავა. ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა, ეხებოდა მას პირადად და მისი ცხოვრების მოვლენებს. გულის ამაჩუყებელი და შესაბრალისი სანახავი იყო, თუ როგორ მჭიდროდ დაუკავშირა მან თავისი ცხოვრება გარდაცვლილი ნათესავების სულებს. არცთუ მდიდარი, მაგრამ მეტისმეტად ცხოველი ფანტაზიის წყალობით, მის წარმოდგენაში ცოცხლდებოდნენ მამისა და უდროოდ გარდაცვლილი უფროსი ძმის სახეები. თუმცა მას არასოდეს მიუმართავს საყვარელი მიცვალებულების სულებისთვის ხვეწნა-მუდარით, როცა მისი ტანჯვა-წამების ეკლის ბუჩქზე ოცნების თვალით ნაზ ყვავილს ხედავდა. არა! ის მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში ევედრებოდა, როცა მისი თავმოყვარეობა ილახებოდა. მან გამოცდილებით იცოდა, რომ ერთ შემთხვევაში ყველაზე ქმედითი მამის სულისადმი ხვეწნა-მუდარა აღმოჩნდებოდა ხოლმე, მეორე შემთხვევაში კი — ძმის სულისადმი. და ახლა ის გამოცდილი დურგლის მსგავსად, რომელიც ერთ შემთხვევაში ნაჯახს ხმარობს, ხოლო მეორეში — ხერხს, დახმარებისთვის ხან ერთს მიმართავდა და ხან მეორეს.

ასეთი წესი ღმერთების საამებლად მიაჩნდა და დარწმუნებული იყო, რომ მამისა და ძმის სულები საიქიო სამსჯავროს შემდეგ განასახიერებდნენ რა ოზირისს, იქცეოდნენ მსოფლიო გონის შემადგენელ ნაწილად, რომელიც სამყაროს მართავს, ამიტომაც მსხვერპლს სწირავდა მათ არა მარტო საოჯახო აკლდამაში, არამედ წინაპართა კულტისადმი მიძღვნილ ნეკროპოლის ტაძრებშიც და განსაკუთრებული გულმოდგინებით კი სეთის სახლში.

ყველაზე ხშირად პააკერი რჩევას ამენისა და ამ ტაძრის სხვა ქურუმებს სთხოვდა და მათგან გაკიცხვასაც მორჩილად

ისმენდა. ასე ცხოვრობდა ის, ამაყობდა თავისი სათნოებითა და სარწმუნოების საქმეში გულმოდგინებით, ხელო მისი მასწავლებლები გულწრფელად თვლიდნენ, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული და ღმერთებისათვის მაამებელი მორწმუნეა მთელ ქვეყანაზე. პააკერს მუდამ თან ახლდა და მის მოქმედებას წარმართავდა ზებუნებრივი ძალები, ამიტომაც მას არ სჭირდებოდა არც მეგობარი და არც მესაიდუმლე. როგორც ბრძოლის ველზე, ისე მშობლიურ თებეშიც მხოლოდ თავის თავზე იყო ნიადაგ მინდობილი, რისთვისაც კარჩაკეტილ, პირქუშ და ამაყ, მაგრამ შეუდრეკელ და დიდი ნებისყოფის ადამიანად ითვლებოდა.

პააკერს შეეძლო წარმოდგენაში მოეხმო არა მარტო მამისა და ძმის სახეები, არამედ დაკარგული სატრფოს ხატებაც. ამას აკეთებდა არა მარტო ღამის სიწყნარეში, არამედ უდაბნოს მდუმარე ქვიშაში ხანგრძლივი მოგზაურობის დროსაც. და ყოველთვის დაუოკებელი ბოროტება იღვიძებდა მასში ფარაონის მეეტლის მიმართ, რომლის დაღუპვასაც შესთხოვდა იგი ღმერთებს თავის მხურვალე ლოცვებში.

როცა პააკერმა წყლიანი თასი, რომელიც ნეფერტისთვის მიჰქონდა, ქვაზე დადო და სიყვარულის წამლით სავსე ფლაკონი ამოიღო, ისეთმა ჟინმა მოუარა, რომ მეტოქის სიძულვილისთვისაც კი მის გულში ადგილი აღარ დარჩა. მაგრამ ერთი აზრი მოსვენებას არ აძლევდა, რომ გრძნეული წამლის გამოყენებით მძიმე ცოდვას ჩადიოდა. ამიტომ გადაწყვიტა, ვიდრე ამ საბედისწერო სითხეს წყალში ჩაასხამდა, მაინც თავისი ბეჭდისათვის ეკითხა რჩევა. სატევარი არც ერთ წმიდა ნიშანს არ შეხებია. სხვა დროს ეს საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ პააკერს ხელი აეღო თავის განზრახვაზე, მაგრამ ამჯერად განაწყენებულმა ჩააგო ხანჯალი ქარქაშში და გულ-

ზე ბეჭედმიკრულმა იწყო თავისი ძმის ოზირისის სახელის ბუტბუტი პირველი ცოცხალი არსების გამოჩენის მოლოდინში; დიდხანს არ უცდია: მთის ფერდობიდან ფრთების ნელი ქნევით ჰაერში ორი ძერა აფრინდა. პააკერი შეშინებული შეჰყურებდა, როგორ მაღლა-მაღლა მიიწევდნენ ისინი. წამიერად ჰაერში ჩამოეკიდნენ, რამდენიმე წრე გააკეთეს, მარცხნივ შებრუნდნენ და ისევ მთებში გაუჩინარდნენ, რაც იმას მოასწავებდა, რომ პააკერის სურვილს ახდომა არ ეწერა.

სწრაფად დაავლო ხელი ფლაკონს და მოიქნია გადასაგდებად... მაგრამ სისხლში აბობოქრებულმა მძვინვარე ვნებამ გამბედაობა დააკარგვინა. მის გულში ნეფერტის მომხიბლავი სახე გაცოცხლდა. რაღაც უხილავი ძალები აიძულებდნენ უფრო მაგრად ჩაევლო ხელი ფლაკონისთვის და მისთვის ჩვეული ქედმაღლური სიჯიუტით წამლის ნახევარი წყალში ჩაესხა. თასს ხელი დაავლო და თავისი მსხვერპლისკენ გამოექანა.

ამასობაში ნეფერტი თავისი ჩრდილოვანი თავშესაფრიდან გამოსულიყო და პააკერის შესახვედრად მოდიოდა. უხმოდ ჩამოართვა თასი და ხარბად გამოსცალა ბოლომდე.

— მადლობელი ვარ, პააკერ, — ჩაილაპარაკა მან, როგორც კი სული მოითქვა. — ძლივს ჯანზე არ მოვედი. რა მაცოცხლებელია ეს მომჟავო წყალი! კი, მაგრამ, ხელები რად გიკანკალებს? თანაც გაოფლილხარ ჩქარი სიარულისგან! საბრალო, ძალიან გაწვალდი, არა? და ეს ყველაფერი ჩემი გულისათვის!

ამ სიტყვებზე თავისი დიდრონი შუქმფენი თვალები შეანათა და ხელი გაუწოდა. პააკერმა ფიცხლად დაავლო ხელი მის ხელს და ტუჩებით დაეკონა.

— აჰ, მომიტევე, — უთხრა ქალმა ღიმილით. — აგერ მეფის ასულიც გამოვიდა იმ უწმინდურის ქოხიდან ვიღაც ქურუმთან ერთად. შენ დღეს ძალიან შემაშინე იმ საშინელი სიტყვებით, თუმცა მე თვითონ მოგეცი გაბრაზების საბაბი. ახლა კი გულ-კეთილობა გამოიჩინე, გესმის, პააკერ, რაც იყო იყო, დედა-შენი მოიყვანე ჩვენსა! არც ერთი სიტყვა! ნუთუ ჩემი დეიდაშ-ვილი არ გამიგონებს!

ნეფერტმა ეშმაკურად თითი დაუქნია, მერე ისეთნაირად შეხედა, პააკერს გული შეეკუმშა ტკივილისა და სიხარულის-გან და უკვე სერიოზულად მიმართა:

— აბა, კმარა გაჯავრება! მშვიდობიანი ცხოვრება არ სჯო-ბია! — და ნეფერტი პარასქიტის ქოხისკენ გაემართა, ხოლო გულხელდაკრეფილმა პააკერმა თავისთვის წაიბუტბუტა:

— წამალმა გაჭრა. ჩემი უნდა გახდეს. ჰოი, ღმერთები, მად-ლობა თქვენდა!

მაგრამ დღევანდელი ღმერთების სამადლობელი, რო-მელსაც ის წარმატებისას არასდროს ივიწყებდა, ბაგეზე შე-აცივდა. მიზანი ახლოს იყო. კიდევ ცოტაც და აუწერელი ნეტა-რებით — სიყვარულის ბედნიერებითა და შურისძიების ექსტა-ზით დატკბება!

მიჰყვებოდა მენას მეუღლეს და გულდაგულ მალავდა ფლაკონს ტანსაცმლის ნაკეცებში, რათა წვეთიც არ დაღვრო-და: დედაბერმა ხომ დაუბარა, სასმელი ორჯერ უნდა შეისვა-სო. უცებ რაღაც გამაფრთხილებელი ხმები ჩაესმა. სხვა დროს პააკერი ამ ხმებში მამის შეგონებას ამოიცნობდა, მაგ-რამ ახლა ის მასხარად იგდებდა ამ ხმებს. ღვინის კასრისკენ მიმავალ ლოთს დაემსგავსა მაღლა აწეული მარჯვენა ხე-ლით, რომელიც მეგობრების რჩევა-დარიგებას აინუნშიც არ აგდებს. იგი მთლიანად მიეცა დამატყვევებელ გრძნობას.

ვნებას ჯიუტად ჩაევლო მისთვის კლანჭები და ფიქრმა იმ ხანმოკლე გამოკრთომაზე, როცა პატიოსანი კაცი მოულოდნელად დამნაშავედ ხდება, მხოლოდ ბუნდოვნად გაუელვა ტვინში. ის ვერც კი გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში გარდატეხის დღე დამდგარიყო.

გრძნეულმა ხექტმა გაიშლიგინა მის გვერდით, იმ ქალის ნახვა ეწადა, ვისთვისაც სიყვარულის წამალი მისცა. მის დანახვაზე პააკერი შეკრთა, მაგრამ ის უკვე ფრიალო კლდეს მიეფარა ბუტბუტით:

— ამ ექვსთითას დამიხედეთ, ასას მემკვიდრეობის ხელში ჩაგდება არ მოინდომა!

ნეფერტი და პააკერი ხეობაში შეხვდნენ ბენტ-ანატსა და მის თანმხლებ პენტაურს.

პარასქიტის ქოხიდან გამოსულნი, მეფის ასული და ქურუმი ერთხანს უხმოდ იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ.

ბენტ-ანატმა მარჯვენა ხელი მკერდზე მიიდო და ხარბად ჩაისუნთქა მთის სუფთა ჰაერი. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უშველებელი ტვირთი მოეხსნა და სასიკვდილო საფრთხეს გადაურჩა.

ბოლოს თავის თანამგზავრს მიმართა, რომელიც პირქუშად ჩასჩერებოდა მიწას.

— რა მშვენიერი დღეა!

პენტაურმა არაფერი უპასუხა. თითქოს ძილ-ბურანშიაო, ნელა დაუკრა თავი.

ბენტ-ანატმა მხოლოდ ახლაღა დაინახა იგი პირველად კაშკაშა დღის სინათლეზე. გაკვირვებით შეხედა და ჰკითხა:

— შენ ის ქურუმი ხარ, რომელმაც გუშინ, პარასქიტის ქოხში პირველად ჩემი მისვლის შემდეგ, ესოდენ გულიანად შემომთავაზე წაბილწვისაგან განწმენდა?

მკითხველთა ლიგა

— დიახ, მე გახლავართ, მეფის ასულო.

— ხმით გიცანი. მადლობელი ვარ შენი, შენ მომანიჭე ვაჟკაცობა, გულის კარნახით კიდევ ერთხელ მოვსულიყავი აქ აკრძალვის მიუხედავად. შენვე უნდა დამიცვა, როცა სხვა ქურუმები გამკიცხავენ.

— მე კი აქ იმისთვის მოვედი, რომ, პირიქით, უარი გითხრათ განწმენდაზე.

— მაშასადამე, გადაიფიქრე? — ამაყად ჰკითხა ბენტ-ანატმა და დამცინავმა ღიმილმა გადაუქროლა ბაგეზე.

— მე უზენაეს ბრძანებას მივყვები, რომელიც ჩამაგონებს, რომ წმინდად დავიცვა ძველთაძველი ადათი. თუ პარასქიტის შეხება რამზესის ქალიშვილს არ შებილწავს, მაშინ სხვას ვიღას წაბილწავს? რამეთუ მეფის ასულის ტანსაცმელი ხომ ყველას ტანსაცმელზე თეთრია და სუფთა!

— მაგრამ ის ღატაკი ხომ გულკეთილი და პატიოსანია, — შეაწყვეტინა ქურუმს ბენტ-ანატმა. — პატიოსანია, მიუხედავად საძრახისი ხელობისა, რითაც ლუკმაპურს შოულობს! დაე, მომიტევოს ცხრავე უდიდესმა ღმერთმა, მაგრამ იმ კაცის მკერდში სიყვარულით აღსავსე გული ძგერს, ღვთის მოსავია და ვაჟკაცი... მე მომწონს იგი... შენ კი... გუშინ ხომ მზად იყავი უყოყმანოდ ჩამოგერეცხა მისი უწმინდური შეხება... მაშ, რაღამ გაიძულა დღეს კეთროვანივით უარეყო იგი?

— ერთი ბრძენი კაცის გაფრთხილებამ, რომელმაც შთამაგონა, რომ არ შეიძლება უძველესი ადათის არც ერთი რგოლის შეწირვა, თორემ მთელი ჯაჭვი, ისედაც უკვე გახეხილი, შეიძლება გაწყდეს და ჩხარუნით დაცვივდეს მიწაზე.

— მაშასადამე, შენ არა ჩემი საქციელის გამო მრაცხავ შებილწულად, არამედ ძველთაძველი ცრურწმენებისა და ბრბოს გულისთვის? სდუმხარ? მიპასუხე!.. თუკი შენ ისეთი

თავისუფლად მოაზროვნე და ალალ-მართალი კაცი ხარ, როგორადაც მე გთვლი. ამაზეა დამოკიდებული ჩემი სულის სიმშვიდე!

პენტაური უხმოდ იდგა და მძიმედ სუნთქავდა. ეჭვი გულს უღრღნიდა. როგორც იქნა, ალაპარაკდა, ჯერ ჩუმად, შემდეგ კი მისი მგზნებარე სიტყვები თანდათან ხმამაღლა აჟღერდა:

— შენ მაიძულებ აზრი გამოვთქვა იმაზე, რაზედაც ფიქრის უფლებაც კი არა მაქვს. მაგრამ დაე, უმჯობესია შევცოდო საკანონო აღთქმის წინაშე, ვიდრე თვით ჭეშმარიტების წინაშე, მზის წმინდა ასულო, რადგან ჭეშმარიტება შენს სახეშია ხორცშესხმული, ბენტ-ანატ! შენ გინდა იცოდე, არის თუ არა პარასქიტი თავისი წარმოშობის გამო უწმინდური. განა ვინ ვარ მე, რომ ეს გადავწყვიტო? ამ კაცს ისეთივე თვალით ვუყურებ, როგორც შენ. ჩემი აზრით, მას იგივე მაღალი და წმინდა ზრახვები ამოძრავებს, რაც ყველა ჩვენთაგანს აღელვებს: მეც, ჩემიანებსაც, შენც და ალბათ ყველას, ვინც დედამ შობა ამქვეყნად. უფრო მეტიც, მე მეჩვენება, რომ პარასქიტის ქოხში გატარებულმა რამდენიმე საათმა არა თუ წაგვბილწა, არამედ, პირიქით, განწმინდა ჩვენი სულები. თუ ვცდები, დაე, მაპატიოს მრავალსახოვანმა ღმერთმა, რომლის სუნთქვა ისევე ცოცხლობს პარასქიტის სხეულში, როგორც შენში და ჩემში. მე ღრმად მჯერა ეს და ამისთვის სულ უფრო ხმამაღლა და ხალისიანად ვიმღერებ ჩემს მოკრძალებულ ჰიმნებს, რადგან ყველაფერი, რაც სუნთქავს და ცოცხლობს, ტირის და მხიარულობს, მისი წმინდა არსების განსახიერებაა, და თანაბრად არის გაჩენილი ბედნიერებისა და მწუხარებისთვის.

პენტაურის მზერა, რომელიც აქამდე ზეცისკენ იყო მიმართული, ბენტ-ანატის ამაყ და სიხარულით აღსავსე გამოხედ-

ვას შეხვდა. ფარაონის ასულმა აღფრთოვანებით გაუწოდა ხელი, ის კი მხოლოდ მისი კაბის კალთას ემთხვია.

— არაა საჭირო, — უთხრა ქალმა. — ლოცვა-კურთხევით დაადე შენი ხელი ჩემსას! შენ ნამდვილი მამაკაცი და ღირსეული ქურუმი ხარ. ახლა კი მზად ვარ წაბილწვის დანაშაული ჩემს თავზე ავიღო, რადგან მამაჩემიც მომხრეა, წმინდად ვიცავდეთ ძველ ადათ-წესებს, ვიცავდეთ მხოლოდ ხალხის გულისთვის. მოდი ერთად შევთხოვოთ ღმერთებს, რათა გაათავისუფლონ ეს უბედურები იმ წყევლის სიმძიმისაგან. რა მშვენიერი იქნებოდა ეს წუთისოფელი, ადამიანი რომ ისეთივე დარჩენილიყო სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, როგორადაც ის ღმერთებმა შეჰქმნეს! ჰო, მართლა, პააკერი და საწყალი ნეფერტი ალბათ ისევ მელოდებიან ამ პაპანაქებაში. წავიდეთ!

ბენტ-ანატი წინ წავიდა, მაგრამ მალე ისევ მიუბრუნდა თანამგზავრს და ჰკითხა:

— რა გქვია შენ?

— პენტაური.

— აა, მაშ შენ ხარ სეთის სახლის პოეტი?

— დიახ, ასე მეძახიან იქ, — ჩუმად წარმოთქვა ქურუმმა.

ბენტ-ანატი ისევ შეჩერდა და ფართოდ გახელილი თვალებით ისე შეხედა მას, თითქოს ეს კაცი მისი სისხლით ნათესავი ყოფილიყოს და პირველად ახლა ენახოთ ერთმანეთი.

— ეტყობა, გულუხვად დაგაჯილდოვეს ღმერთებმა, — უთხრა ბენტ-ანატმა, — და შენი თვალებიც გაცილებით შორს და ღრმად იცქირებიან, ვიდრე სხვა ადამიანებისა. შენ კარგად გეხერხება ჩვენი გრძნობების სიტყვებით გამოთქმა. გწამდეს, დღეიდან შენთან ვარ ყველაფერში!

პენტაური პატარა ბიჭივით გაწითლდა, ხოლო ვიდრე პააკერი და ნეფერტი მათ გაუსწორდებოდნენ, მაინც მოასწრო თქმა:

— აქამდე ჩემი ცხოვრება თითქოს ბინდბუნდში გავატარე, ახლა კი სხვა თვალით შევხედე მას. დავინახე მისი ღრმა ჩრდილები... თურმე როგორ თვალისმომჭრელად შეძლებია მას ციალი... — ძლივგასაგონად დაუმატა მან.

თავი მეშვიდე

ერთი საათის შემდეგ ბენტ-ანატი თავისი ამალით სეთის ტაძრის ჭიშკართან შეჩერდა.

მამაკაცის ღონიერი ხელით გასროლილი ბურთივით გავარდა წინ ერთ-ერთი სწრაფმავალი და მთელ პროცესიას გადაუსწრო, რათა ფარაონის ასულის მოახლოება ეცნობებინა მთავარი ქურუმისთვის.

ბენტ-ანატი მარტო იყო თავის ეტლში, რომელიც ყველაზე წინ მიდიოდა, პენტაური კი პააკერის ეტლს გამოჰყვა.

ტაძრის ჭიშკართან ასტროლოგების მეთაური შემოეგებათ.

პილონების დიდი ჭიშკარი ყურთამდე იყო გაღებული, რაც ტაძრის შიგნითა ეზოში შეხედვის საშუალებას იძლეოდა. ეზო ქვის პრიალა ფილებით იყო მოკირწყლული და სამი მხრიდან ორმაგი კოლონადა ერტყა გარშემო.

კედლები და სამერხულები, სვეტები და ჩუქურთმიანი ლავგარდანი ლამაზად მოეხატათ. ეზოს შუაში უშველებელი სამსხვერპლო საკურთხეველი იყო აღმართული, სადაც კედარის შეშის კოცონზე კიფის[56] სურნელოვანი ბურთულები იწ-

[56] კიფის ბურთულები — ძველ ეგვიპტეში მეტად გავრცელებული სურნელოვანი საკმევლის სახეობა. მისი დამზადების რეცეპტი შემონახულია ებერსის პაპირუსში და სხვა ძეგლებში. თავს დროზე ერთ ბერლინელ მეაფთიაქეს დაუმზადებია ასეთი სურნელოვანი ბურთულების სამი სახე. საუკეთესოდ ითვლებოდა ის კიფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ქიშმიში, ღვინო, ღვიის კენკრა, მური, ბურგუნდიული ლეღვი, თაფლი და სხვ. (ავტ. შენიშვნა).

ვოდა. მათი გამაბრუებელი სურნელება მთელ ეზოს ედებოდა.

თეთრ სამოსელში გამოწყობილი ასზე მეტი ქურუმი საკურთხევლის უკან ნახევარწრედ მოწყობილიყო და მოახლოებული ფარაონის ქალიშვილისკენ შემობრუნებულნი, საწყალობლად გალობდნენ.

ნეკროპოლის მკვიდრნი სფინქსებჩამოყოლებული გზის პირას შეკრებილიყვნენ, რომლითაც ფარაონის ქალიშვილს უნდა გამოევლო.

არავის უკითხავს, რას ნიშნავდა ეს სამგლოვიარო ჰიმნები, რადგან გულსაკლავი ქვითინი და სხვა საიდუმლოებით მოცული წეს-ჩვეულებები აქ ჩვეულებრივ მოვლენა ითვლებოდა.

— დიდება რამზესის ქალიშვილს! თაყვანი ეცით მზის ასულს ბენტ-ანატს! — ისმოდა ათასობით ხმა. ყველა დამხვდური თითქმის მიწამდე ხრიდა თავს მეფის ასულის ეტლის მოახლოებისას.

პილონებთან მეფის ასული ეტლიდან ჩამოხტა და ასტროლოგების მეთაურს გაჰყვა, რომელიც მკაცრად და უხმოდ მიესალმა მას.

ის იყო ეზოში შეაბიჯა, რომ ქურუმების გალობა თანდათან გაძლიერდა და გრგვინვაში გადაიზარდა. ბანების აკომპანემენტის თანხლებით გულმხურვალე მოთქმად ჟღერდა მოწაფეთა დისკანტი.

ბენტ-ანატმა შიშისგან ნაბიჯი შეანელა, მაგრამ მერე ისევ ჩქარა და გაბედულად წავიდა წინ.

მაგრამ ჭიშკარშივე მას ქურუმის სამოსელში გამოწყობილმა ამენიმ გადაუღობა გზა. თითქოს მისგან თავს იცავსო,

ისეთნაირად გაიშვირა ბენტ-ანატისკენ მოღუნული კვერთხი, და მრისხანე ხმით შესძახა:

— ლოცვა-კურთხევას მოუტანს ჩვენს ტაძარს რამზესის წმინდა ასულის მობრძანება! მაგრამ ღმერთების თავშესაფარი ჭიშკარს უხურავს წაბილწულთ — მონები იქნებიან ისინი თუ მეფეები. უმაღლესი ღვთაების სახელით, ვისი ჩამომავალიც შენ ხარ, გეკითხები, ბენტ-ანატ, წმინდა ხარ თუ შერისხვის ლაქა გაძევს და შენი მეფური ხელი შებილწულია უწმინდურის შეხებით?

ალმური მოედო ქალწულის ლოყებს. ყურებმა ისეთი შუილი დაუწყო, თითქოს აბობოქრებული ზღვის პირას მდგარიყოსო. მკერდი გაშმაგებით აუდ-ჩაუდიოდა, ძარღვებში მეფური სისხლი აუდუღდა. იგრძნო, უღირსი როლი მოახვიეს თავს განზრახ წინასწარ გათამაშებულ სპექტაკლში. განზრახვა, თვითონ მოენანიებინა დანაშაული ქურუმების წინაშე, დავიწყებას მიეცა. ის იყო, დააპირა საკადრისი პასუხი გაეცა ქურუმების აღმაშფოთებელი თავხედობისთვის, რომ უეცრად ამენიმ თავი ასწია და სიმკაცრით აღსავსე თვალები მიაპყრო მას.

ბენტ-ანატი გაჩუმდა, მაგრამ ვაჟკაცურად შეხვდა მის მზერას და ამაყი და გამომწვევი პასუხიც მისცა.

ამენის სიბრაზისგან შუბლის ძარღვები დაებერა და მთლად გაულურჯდა, მაგრამ მაინც დაიოკა შავი ღრუბელივით გულში ჩამოწოლილი რისხვა; თუმცა კი მის ხმაში უკვე აღარ იგრძნობოდა ჩვეული სიმტკიცე და სიმშვიდე, როცა შესძახა:

— ღმერთები, რომლებმაც თავიანთ შუამავლად მე ამირჩიეს, ერთხელ კიდევ გეკითხებიან: განა იმისთვის არ შემოხვე-

დი ამ ტაძარში, რომ განიწმინდო სიბილწისაგან, ლაქა რომ მოსცხო შენს სხეულსა და სულს?

— ამაზე მამაჩემი გიპასუხებს! — მოკლედ და ღირსეულად მიუგო ბენტ-ანატმა.

— მე კი არა, — შეეპასუხა ამენი, — მე კი არა, ღმერთებს, რომელთა სახელით გიბრძანებ დატოვო ეს წმინდა ტაძარი, რადგან ჩირქსა სცხებ მას შენი აქ ყოფნით!

ფარაონის ასული შეკრთა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— კარგი, მივდივარ.

ის იყო, ნაბიჯი გადადგა პილონებისკენ, რომ უეცრად პენ-ტაურის მზერას შეხვდა.

წმინდანივით, რომლის თვალწინ სასწაული ხდებოდა, აღელვებული და აღტაცებული იდგა ის ქალწულის წინაშე.

ბენტ-ანატის საქციელი პენტაურს გმირულ გამბედაობად მიაჩნდა და მთელი გულით თანაუგრძნობდა მის წრფელსა და კეთილშობილურ აღტყინებას. მასთან შედარებამ ჩააქრო ად-რე მის მიერ გაღმერთებული ამენის სახე. ხოლო როცა მეფის ასული წასასვლელად მოემზადა, ქურუმს ხელი აღარ და-ემორჩილა მის შესაჩერებლად, ხოლო როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ხელი მღელვარებისგან ათრთოლე-ბულ გულზე მიიდო.

მთავარმა ქურუმმა იოლად, თითქოს წიგნი აქვსო გადაშ-ლილი, ამოიკითხა ის, რაც იმ წუთში ამ ორი წმინდა არსების სახეზე აღიბეჭდა. იგრძნო მათი ერთსულოვნება, ხოლო ორი-ვეს გამოხედვამ, ცოტა არ იყოს, შეაშინა კიდეც, რადგან ამ ქედუხრელმა ქალწულმა ისე გადახედა პოეტს, თითქოს მის-გან ელისო გამარჯვებული მხარდაჭერას და კიდეც იპოვა იგი პენტაურის თვალებში.

მხოლოდ ერთი წამით შეყოყმანდა ამენი და შემდეგ შესძახა:

— ბენტ-ანატ!

მეფის ასული შემობრუნდა და გაკვირვებით შეხედა ქურუმს.

ამენიმ ნაბიჯი გადადგა წინ და ქალიშვილსა და პოეტს შორის ჩადგა.

— შენ ღმერთებს იწვევ ბრძოლაში, — თქვა მკაცრად. — ამისათვის კი გამბედაობაა საჭირო, მაგრამ, ვფიქრობ, შენ ეს იმ იმედით გაბედე, რომ გგონია მოკავშირე შეიძინე, რომელიც ისევე დაახლოებულია ღმერთებთან, როგორც მე. მაშინ ნება მომეცი გითხრა: გზააბნეულ ბავშვს შეიძლება ბევრი აპატიო, მაგრამ ღვთისმსახური, — მან მრისხანედ გადახედა პენტაურს, — ქურუმი, რომელიც თვითნებობასა და კანონს შორის ორთაბრძოლის დროს მოწინააღმდეგის მხარეზე გადადის, ივიწყებს თავის მოვალეობასა და წმიდათაწმიდა ფიცს, ვერ შეძლებს დიდხანს მხარი დაგიჭიროს, თუნდაც ღვთისგან გულუხვად ჰქონდეს მომადლებული ნიჭი და უნარი. ის შეჩვენებულია! ჩვენ გავაძევებთ მას ჩვენი წრიდან, ჩვენ დავწყევლით მას, ჩვენ...

აღშფოთებისგან აკანკალებული ამენიდან ბენტ-ანატმა მზერა პენტაურზე გადაიტანა. სისხლი ხან მოაწვებოდა ქალის სახეს, ხან გადაუვლიდა, როგორც სინათლე და ჩრდილი შუადღეზე ქარისგან აღელვებული პალმების წარაფში. პოეტმა ბენტ-ანატისკენ გადადგა ნაბიჯი.

ქალმა იგრძნო, რომ პენტაური ახლა ალაპარაკდება, მისი საქციელის გამართლებას დაიწყებს და თავს დაიღუპავს.

მეფის ასული ღრმა თანაგრძნობით განიმსჭვალა, აუწერელი შიში შეეპარა გულში და სანამ პენტაური ხმას ამოიღებდა,

მან მუხლი მოიყარა ამენის წინ და ძლივსგასაგონად ჩაიჩურ-ჩულა:

— მე კანონი დავარღვიე და წავიბილწე, ასე გითქვია შენ, და პენტაურმა ეს პარასქიტის ქოხთან მამცნო. გთხოვ მომა-ცილო წაბილწვის ლაქა, რამეთუ უწმინდურს შევეხე!

უმალვე ჩაუქრა რისხვა თვალებში ამენის. ახლა ალერსია-ნად უმზერდა მის ფეხთით მუხლმოყრილ მეფის ასულს, მერე დალოცა და საკურთხეველთან მიიყვანა, სადაც ბენტ-ანატი საკმევლის კვამლში გაუჩინარდა. ქურუმებს დაავალა ცხრა-ნაირი ნაკურთხი ზეთი წაეცხოთ მისთვის და უბრძანა სასწრა-ფოდ წასულიყო ფარაონის სასახლეში. დანაშაული ჯერ არ უპატიებიათ, თქვა ამენიმ, მაგრამ იმას მალე შეიტყობს, თუ რა ლოცვითა და წეს-ჩვეულებით შეძლებს საბოლოოდ სი-ბილწის ჩამორეცხვას. ამას ამენი ღმერთებს შესთხოვდა ტა-ძარში.

მთელი ამ ცერემონიის განმავლობაში ქურუმთა გუნდი შე-უსვენებლად გალობდა ეზოში ნაღვლიან ჰიმნებს.

ჭიშკართან თავმოყრილი ხალხი ისმენდა ამ ლოცვებს და დროდადრო გამკივანი, შესაბრალისი ქვითინი ახშობდა ქუ-რუმთა ხმებს. ბრბოში უკვე დაირხა ხმა ტაძარში მომხდარ ამ-ბავზე.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა. მკვდართა ქალაქის მნახ-ველთა წასვლის ჟამიც ახლოვდებოდა. ბენტ-ანატი კი, რომ-ლის გამოჩენასაც ასე მოუთმენლად ელოდა ხალხი, ჯერ ისევ ტაძარში იყო. გაავრცელეს ჭორი, თითქოს ფარაონის ასული შერისხულია იმისთვის, რომ წამალი მიუტანა პარასქიტის ავადმყოფ შვილიშვილს. მშვენიერ, პირთეთრ უარდას კი იქ მყოფთა უმრავლესობა იცნობდა.

ტაძრის ჭიშკართან შეკრებილ ცნობისმოყვარეთა შორის უმეტეს ნაწილად ნეკროპოლში მცხოვრები მებალზამეები, კალატოზები და სხვა უბრალო ხალხი იყო. მათში უკვე გაიღვიძა მეამბოხე სულმა ეგვიპტელებისა, რომლებიც პროტესტს უცხადებდნენ ყოველგვარ უსამართლობას; ყოველ წუთს მატულობდა მათი გულისწყრომა. წყევლა-კრულვა ისმოდა ქედმაღალი ქურუმების მისამართით, ხალხი გმობდა უგუნურ და დამამცირებელ ადათს. ვიღაც შეზარხოშებული სალდათი, რომელიც გამოსვლისთანავე ისევ საჩქაროდ შებრუნდა ღვინის სარდაფში, გახდა ამბოხების მოთავე: მან პირველმა დაავლო ხელი დიდ ქვას, რათა ტაძრის ბრინჯაოაკრული ჭიშკრისთვის ესროლა. რამდენიმე ბიჭმა ყიჟინა ასტეხა და მას მიბაძა. ქალების კივილისგან გაცეცხლებულმა დარბაისელმა ხალხმაც დაუშინა ქვები ჭიშკარს; მათი წყევლა-კრულვა იქაურობას იკლებდა.

ტაძრის ეზოდან ისევ ისმოდა ქურუმების გულისგამაწვრილებელი გალობა, მაგრამ, როცა ბრბოს ხმაური თანდათან გაძლიერდა, უეცრად ჭიშკარი გაიღო და იქიდან საზეიმოდ შემოსილი ამენი გამოვიდა ოცი ქურუმის თანხლებით, რომლებსაც მხრებით ღმერთების გამოსახულებანი და წმიდათაწმიდა სიმბოლოები მოჰქონდათ.

ბრბო გაინაბა.

— რად გვიშლით ხელს ლოცვაში? — ხმამაღლა და მშვიდად იკითხა ამენიმ.

პასუხად აქა-იქ შეძახილები გაისმა, ხმაურში მხოლოდ ბენტ-ანატის სახელის გარჩევა შეიძლებოდა, რადგანაც მას ხშირად იმეორებდნენ.

ამენიმ ურყევი სიმშვიდე შეინარჩუნა, მოღუნული კვერთხი მაღლა ასწია და ომახიანად შესძახა:

— გზა მიეცით რამზესის ასულს! ის ყველაზე წარჩინებულთა და ყველაზე მდაბიოთა დანაშაულის ერთნაირად მხედველ ღმერთებთან ეძიებდა სიბილწისგან განწმენდას და ჰპოვა კიდეც. ღმერთები ასაჩუქრებენ ღვთისმოსავთ, მაგრამ ისინივე სჯიან ყველას, ვინც კანონს დაარღვევს. მაშ, მოიყარეთ მუხლი და შევთხოვოთ ღმერთებს, რათა გაპატიონ შეცოდება და თქვენ და თქვენს შვილებს თავიანთი წყალობა მოგანიჭონ.

ამენიმ ერთ-ერთ ქურუმს უბრძანა წმიდა სისტრი[57] მიეწოდებინა მისთვის, ჩამოართვა და მაღლა ასწია. მის უკან მდგომმა ქურუმებმა საზეიმო ჰიმნი დაამღერეს. ბრბო მუხლებზე დაეცა და გაირინდა, სანამ გალობა არ ჩათავდა და ისევ მთავარი ქურუმი არ ალაპარაკდა.

— ღმერთები მათი მსახურის — ჩემი მეშვეობით გლოცავენ თქვენ. წადით სახლებში და გზა მიეცით რამზესის ასულს!

ამის შემდეგ ის ტაძარში შევიდა, ხოლო ჩაფრებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაწმინდეს ბრბოსგან ნილოსისკენ მიმავალი სფინქსების ხეივანი. როცა ბენტ-ანატი თავის ეტლზე ავიდა, ამენიმ უთხრა:

— შენ ფარაონის ასული ხარ და უნდა იცოდე, რომ მამაშენის სასახლე ხალხის მხრებს უჭირავს. საკმარისია ოდნავ შევარყიოთ უძველესი კანონები, რომელთა წყალობითაც ხალხი მორჩილებაში გვყავს, ბრბო მაშინვე აღელდება, აი, ამ უგუნურების მსგავსად.

ამენი წავიდა. ბენტ-ანატი აუჩქარებლად არჩევდა სადავეებს და თან თვალს არ აშორებდა პოეტს, სვეტს მიყრდნობილი რომ იდგა და ბედნიერებით მოცილე თვალებით შეჰყუ-

[57] სისტრი — ერთგვარი მუსიკალური საკრავი, რომელსაც ეგვიპტელი ქურუმები ღვთისმსახურების დროს იყენებდნენ.

მკითხველთა ლიგა

რებდა ქალწულს. ბენტ-ანატმა განზრახ დააგდო მათრახი მიწაზე, რათა პენტაურს აეღო და მიეწოდებინა, მაგრამ ქურუმს ეს არც შეუმჩნევია. ერთ-ერთმა სწრაფმავალმა მოირბინა და მეფის ასულს მათრახი მიაწოდა. ცხენები მსწრაფლ მოსწყდნენ ადგილიდან და ჭიხვინით გაქროლდნენ ხეივანში.

პენტაური მოჯადოებულივით იდგა სვეტებთან, სანამ სფინქსების ხეივანში ეტლის ხმაური არ მიწყდა, და ჩამავალი მზის სხივებმა მთების აღმოსავლეთი ფერდობები ნა ვარდისფრად არ შეღება.

საღამოს სიწყნარეში ბრინჯაოს დისკოზე ძლიერმა დარტყმამ გამოაფხიზლა პოეტი ფიქრებიდან. მარცხენა ხელი გულზე მიიდო, მარჯვენა — შუბლზე და ასე ცდილობდა აზრის მოკრებას.

გონგის ხმა მოვალეობის აღსასრულებლად მოუხმობდა პენტაურს — მას ლექცია უნდა წაეკითხა რიტორიკაში ახალგაზრდა ქურუმებისთვის.

თავჩაქინდრული წალასლასდა ღია ეზოსკენ, სადაც მოწაფეები ელოდნენ. ამჯერად ლექციის წინასწარი მოფიქრებაც კი ვერ მოასწრო — მისი გონება და გული სასიამოვნო მოგონებებს ვეღარ იტევდა.

მის სულსა და გულში ერთი შთაგონებული ხატება იყო გამეფებული. ეს იყო მშვენიერი, მეფური სიდიადით გაბრწყინებული, შელახული თავმოყვარეობისგან აკანკალებულ ქალის სახე, რომელიც მისი გულისთვის მთავარ ქურუმს ჩაუვარდა ფეხებში.

პენტაურს ეგონა, რომ მეფის ასულის საქციელმა რაღაც ახალი კეთილშობილება შეჰმატა მთელ მის არსებას, ხოლო მისმა გამოხედვამ რაღაცნაირი შინაგანი შუქით აღავსო იგი.

ეჩვენებოდა, თითქოს უფრო თავისუფლად სუნთქავს და ფეხებსაც ფრთები გამოესხაო.

ასეთ მდგომარეობაში იყო ის, როცა მოწაფეებთან შევიდა.

როგორც კი ნაცნობ სახეებს გადაავლო თვალი, მაშინვე მოაგონდა, რაზედაც უნდა ელაპარაკა. პენტაურის საყვარელმა მოწაფემ ანანამ ტექსტი მიაწოდა, რომელზედაც დაპირების თანახმად დღეს უნდა ელაპარაკა.

კედელს მიყრდნობილმა გახსნა პაპირუსის გრაგნილი,

ნაწერს ჩახედა და იგრძნო, რომ ლექციის წაკითხვას ვარ შეძლებდა.

თავს ძალა დაატანა გონს მოსულიყო, ერთ წერტილს ჩააშტერდა, შეეცადა მოეგონებინა, რაზე შეჩერდა გუშინდელ ლექციაზე, მაგრამ ამაოდ; ეჩვენებოდა, თითქოს გუშინდელ და დღევანდელ დღეს შორის უშველებელი ზღვა გაწოლილიყო. მისმა ბობოქარმა ტალღებმა გადაუარეს ქურუმის გონებას და ფიქრის უნარი დააკარგვინეს.

მის წინ, ჩალის ჭილოფზე ფეხმორთხმული მოწაფეები გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ყოველთვის ენაწყლიან, დღეს კი რატომღაც დამუნჯებულ მასწავლებელს და გაოცებულნი უცქეროდნენ ერთმანეთს.

ერთმა ყმაწვილმა ქურუმმა თავის მეზობელს ჩასჩურჩულა:

— ლოცულობს.

ანანა ჩუმი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს მასწავლებლის ძლიერი თითების მოძრაობას, რომლებიც ისე უჭერდნენ გრაგნილს, რომ ისედაც სუსტი პაპირუსი ლამის დაშლილიყო.

პენტაურმა თვალები დახარა. სალაპარაკო თემაც უკვე იპოვა: როცა ზემოთ იყურებოდა, კედელზე დაწერილი ფა-

რაონის სახელი და ტიტული — „კეთილი ღმერთი“ დაინახა, ჩაებღაუჭა ამ სიტყვებს და თავის მსმენელებს მიმართა კითხვით:

— როგორ შევიცნობთ ღვთაების სიკეთეს?

ის ეკითხებოდა ყველა მოწაფეს და წინადადებას აძლევდა ეს თემა ისეთნაირად განევითარებინათ, თითქოს თავიანთი მომავალი საზოგადოების წინაშე გამოდიანო.

მოწაფეები რიგრიგობით დგებოდნენ და მათ გამოსვლებში მეტნაკლებად იგრძნობოდა გულწრფელობა და სითბო. ბოლოს ანანას ჯერიც დადგა. ღრმად მოფიქრებული იყო მისი თითოეული სიტყვა, როცა დიდებით მოსავდა იმ სულიერ და უსულო არსებათა ბრძნულ სილამაზეს, რომლებშიც ამონის,[58] რას,[59] პტასი[60] და სხვა ღმერთების სიკეთეა განსახიერებული.

---

[58] ამონი — ე. ი. ფარული — თებეს ღმერთი; მისი მფარველობის ქვეშ ნილოსის ხეობიდან ჰიქსოსთა განდევნის შემდეგ, ის შეაერთეს ჰელიოპოლისის ღმერთ რასთან და მას მიაწერეს დანარჩენი ღმერთების ატრიბუტები. დროთა განმავლობაში იგი სულ უფრო მეტად გააღმერთეს და ბოლოს, რამესიდების დროს, გაუტოლეს ყოვლისშემვსებ და მომწესრიგებელ გონს. იგი „დედამისის მეუღლეა, თავისი თავის საკუთარი მამა და საკუთარი შვილი“; „ცოცხალი ოზირისის“ სახით სულს შთაბერავს ყოველ არსს, მარტოოდენ მისი საშუალებით რომ აღწევენ არსებობის უმაღლეს ფორმას. მას უწიდებდნენ „კეთილისმყოფელს“, „მშვენიერს“, „უბადლოს“, მაგრამ ამავე დროს „ბოროტების მძლეველსაც“. მასში თაყვანს სცემდნენ იდუმალ ძალას, რომელიც სიკეთეს განადიდებს და ბოროტებას თრგუნავს. მას გამოსახავდნენ ხოლმე გრძელი, ორმაგი ფრთით გვირგვინზე. (ავტ. შენიშვნა).

[59] რა — თავდაპირველად მზის ღმერთი; მოგვიანებით პანთეისტურ მოძღვრებაში მისი სახელით აღნიშნავდნენ ღმერთს, რომელიც სამყაროს განასახიერებდა. (ავტ. შენიშვნა).

[60] პტა — ბერძნულად ჰეფესტოსი — უფროსი ღმერთებს შორის, პირველმატერიის შემქმნელი. მას შვიდი ხნუმი — არქიტექტორი ეხმარებოდა. მას „ჭეშმარიტების უფალსაც“ უწოდებენ. მან შექმნა სინათლის ჩანასახი, ამიტომაც უდგას მზის ღმერთებს სათავეში. მას კვერცხის შემქმნელსაც უწო-

გულხელდაჭდობილი პენტაური დიდი ყურადღებით უსმენდა ჭაბუკს. ხან გაკვირვებული შეხედავდა მას, ხან თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევდა. შემდეგ, როცა ანანამ დაამთავრა, თვითონ დაიწყო ლაპარაკი და უფრო გააღრმავა მოწაფის ნათქვამი.

უეცრად, მონადირე შავარდენივით, რომელიც მწვრთნელის ძახილზე მზადაა თავს დაესხას სამსხვერპლოს, აზრთა კორიანტელი დატრიალდა პენტაურის თავში. გულში გაღვიძებულმა წმინდა შთაგონებამ გააცისკროვნა და გრძნობით გაათბო მისი მგზნებარე სიტყვები. სულ უფრო თავისუფლად იღვრებოდა აზრები მის ბაგეთაგან, მღელვარებით შეპყრობილი პოეტი აღტაცებით ხოტბას ასხამდა ბუნების სიდიადეს. ალმასივით მოელვარე, ანკარა წყაროსავით მოედინებოდა სიტყვები, როცა ის განადიდებდა საგანთა მარადიულ წესრიგსა და სამყაროს შემოქმედის მიუწვდომელ სიბრძნეს, — სიბრძნეს იმ ერთადერთისას, ბადალი რომ არა ჰყავს ქვეყნიერებაზე.

— ასევე შეუდარებელია სამშობლოც, რომელიც ღმერთებმა გვიბოძეს, — თქვა მან ბოლოს, — ყველაფერი, რაც შემოქმედის მიერაა შექმნილი, მისი სულითაა გამსჭვალული და მისი სიკეთის დამადასტურებელია. ვისაც მისი პოვნა ძალუძს, ის მას ხედავს ყველგან და ყოველთვის მასთანაა, მაშ, თქვენც ეძიეთ იგი და როცა იპოვით — პირქვე დაემხეთ და

დებენ, საიდანაც, როცა გატეხა, მზე და მთვარე გამოვიდნენ. აქედან მომდინარეობს კიდევ ერთი მისი სახელი „აღმომჩენი“. მისი კულტის ცენტრი მემფისი იყო, წმიდათაწმიდა ცხოველი კი აპისი. მოძღვრებაში სულთა უკვდავების შესახებ და ქვესკნელის სამეფოში იგი პტა-სოკარ-ოზირისის სახით გვევლინება, სადაც ჩამავალ მზესა და მიცვალებულთა სულებს ხელახალი ამოსვლისა და მკვდრეთით აღდგომის პირობებს უქმნის. (ავტ. შენიშვნა).

ხოტბა შეასხით. ოღონდ განადიდეთ უმაღლესი ღვთაება არა მარტო მის მიერ შექმნილის სიდიადისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ მის მიერ შექმნილით აღფრთოვანების უნარიც მოგვანიჭა. ადით მთის მწვერვალზე და მზერა მოავლეთ თქვენ წინაშე გადაშლილ სივრცეს, მუხლი მოიყარეთ, როცა დაისი ლალისფრად გიზგიზებს, აისი კი გაშლილ ვარდსა ჰგავს. ღამე გარეთ გამოდით და შეხედეთ ვარსკვლავებს, რომლებიც მარადიულ, დინჯ და განუზომლად უსასრულო მოძრაობას ასრულებენ ვერცხლის ნავებით თავის გზაზე ლურჯ ცაზე; დადექით ჩვილის აკვანთან ან გასაშლელ კოკორთან და შეხედეთ, როგორ იხრება დედა ბავშვისაკენ, ან ბრჭყვიალა ნამი როგორ ეცემა ყვავილს. თუ გინდათ იცოდეთ, სად უფრო სრულად იღვრება ღვთიური სიკეთის ნაკადი, შემოქმედის წყალობა სად აფრქვევს თავის ყველაზე გულუხვ ნობათს ან თუ გსურთ დაინახოთ მისი ყველაზე წმინდა საკურთხეველი, მაშინ იცოდეთ, რომ ეს ყველაფერი თქვენს გულშია, თუ ის ჭეშმარიტად წმინდაა და სიყვარულით აღსავსე. ასეთ გულში ბუნება ისე აირეკლება, როგორც ჯადოსნურ სარკეში, რის წყალობითაც მშვენიერი სამმაგად მშვენიერად მოგეჩვენებათ. მაშინ თქვენი თვალთახედვა გასცდება ჩვენს მდინარეს, ყანებსა და მთაგრეხილებს, თქვენ დაინახავთ მთელ სამყაროს, ხოლო აისი და დაისი უკვე ლალისფრად და ვარდისფრად კი აღარ ანათებენ, არამედ ალისფრად აგიზგიზდებიან, როგორც სილამაზის ქალღმერთის ღაწვები. მაშინ ვარსკვლავები უხმოდ კი არ იცურებენ ცაზე, არამედ თან გაჰყვებათ უსასრულოდ სუფთა ჰარმონია, მაშინ ბავშვი ყრმა ღმერთივით გაიღიმებს, ხოლო კოკორი ჯადოსნურ ყვავილად გაიშლება, და მხოლოდ მაშინ დაიღვრება სრულად ჩვენი სამადლობელი, ლოცვა გახდება გულში ჩამწვდომი და ღვთაებაც გულში ჩაგ-

ვიკრავს — მეტი როგორღა აგიწეროთ მისი სიდიადე! — ღვთაება, რომელსაც ცხრა უზენაესი ღმერთიც კი ლოცვებს აღუვლენს, მსგავსად იმ საცოდავი გლახაკებისა, დახმარებას რომ თხოულობენ.

საუბარი გონგის ხმამ შეაწყვეტინა, რომელიც მეცადინეობის დამთავრებას იუწყებოდა. პენტაური გაჩუმდა, სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ არც ერთი მოწაფე არ დაძრულა ადგილიდან.

ბოლოს პოეტმა პაპირუსის გრაგნილი დადო, გახურებული შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ნელი ნაბიჯით გაემართა ჭიშკრისკენ, რომელიც ტაძრის წმინდა წარაფში გადიოდა. ის იყო ჭიშკარში უნდა გასულიყო, რომ უეცრად მხარზე ვიღაცის მძიმე ხელი იგრძნო. პენტაური შემობრუნდა. მის წინ ამენი იდგა.

— შენ სწორედაც რომ მოხიბლე მოწაფეები, მეგობარო, — ცივად უთხრა მან, — ნეტავ ქნარიც გჭეროდა ხელში.

როგორც სიცხიან ავადმყოფს გააკანკალებს, როცა გავარვარებულ მკერდზე ყინულს დაადებენ, ისე გააჟრჟოლა ამენის სიტყვებზე ისედაც აღელვებულ პენტაურს. მისთვის კარგად ნაცნობი იყო ამენის ასეთი ტონი; ასე ლაპარაკობდა მაშინ, როცა სასტიკად სჯიდა ცუდ მოწაფეებს ან დამნაშავე ქურუმებს, მაგრამ პენტაურთან ასე არასოდეს ულაპარაკია.

— მართლაცდა, — განაგრძო მთავარმა ქურუმმა სუსხიანი კილოთი, — შეიძლებოდა მეფიქრა, ისე იყავი გატაცებული, რომ დაგავიწყდა როგორ უნდა ლაპარაკობდეს მასწავლებელი. სულ რამდენიმე კვირის წინ შემომფიცე წეს-ჩვეულების საიდუმლოებას შევინახავო, დღეს კი როგორც გასაყიდი, ბაზარზე გამოგაქვს ერთიანობის გამოუთქმელი საიდუმლოება. ის ხომ მხოლოდ კურთხეულთა უწმინდესი საკუთრებაა.

— შენი სიტყვები დანასავით მისერავენ გულს, — მიუგო პენტაურმა.

— ღმერთმა ჰქნას, ისეთი ბასრი იყოს ეს მახვილი, რომ შენი სულიდან მთლიანად ამოკვეთოს უმწიფარობა და პირწმინდად გათიბოს სარეველები. შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, მეტად ახალგაზრდა! მაგრამ არც ისე ახალგაზრდა, რომ შენი შეცვლა ისევე შეიძლებოდეს, როგორც ნაზ ხეხილის ნერგს ზრდიან და შემდეგ მყნობით აკეთილშობილებენ. არა! შენ მიწაზე ჩამოვარდნილი უმწიფარი ნაყოფივითა ხარ, რომელიც საწამლავად იქცევა ბავშვებისთვის, თუ მას შეჭამენ, წმიდათაწმიდა ხიდანაც რომ იყოს ჩამოვარდნილი. კურთხეულთა უმრავლესობის აზრის მიუხედავად გაგაბუმ და მე მიგიღეთ ჩვენს რიგებში. ჩვენ, როცა მათ ვეკამათებოდით, ვისაც ეჭვი ეპარებოდა შენს მოწიფულობაში, თავს იმით ვიმართლებდით, რომ შენ ახალგაზრდა ხარ. შენ კი მადლობის ნიშნად წეს-ჩვეულებებისა და საიდუმლოების შენახვა შემომფიცე. და აი, სკოლის კედლებიდან ცხოვრების ასპარეზზე გაგიშვი. შეძელი თუ არა შენ ჩვენი დროშის ღირსების დაცვა?

— მე მეგონა, რომ ჩემს ქცევას ჭეშმარიტება და სამართლიანობა წარმართავდა, — უპასუხა მეტად აღელვებულმა პენტაურმა.

— სამართლიანობა შენთვის ისევე, როგორც ჩვენთვის, ისაა, რასაც კანონი გვიბრძანებს. შენი აზრით, რა არის ჭეშმარიტება?

— ჯერ არავის აუხდია მისი საბურველი, — მიუგო პენტაურმა, — ჩემი სული კი — სამყაროს ცოცხალი სხეულის ნაწილაკი, ღვთაების უცოდველი სულის მარცვალი — ცოცხლობს ჩემს მკერდში და როცა ის იწყებს ჩემს მართვას...

— რა ადვილად ვღებულობთ თავკერძობის პირმოთნე ამოძახილს ღვთის ბრძანებად!

— ნუთუ ღმერთს, რომელიც ჩემში, თითოეულ ჩვენთაგანში მოქმედებს და ლაპარაკობს, ძალა არ შესწევს თავისი თავი და თავისი საკუთარი ხმა იცნოს?

— ახლა რომ ბრბო გისმენდეს, — შეეპასუხა ამენი, — თითოეული მათგანი თავის პატარა ტახტზე მოიკალათებდა, თან გამოაცხადებდა, რომ მას ღვთის ხმა ხელმძღვანელობს, რომელიც მის მკერდში ჟღერს, დახევდა პაპირუსებს, რომლებზედაც კანონებია დაწერილი, და ნაგლეჯებს აღმოსავლეთის ქარს გაატანდა, რომელიც მთელ უდაბნოში მოფენდა მათ.

— მე კურთხეული ვარ და შენ თვითონ მასწავლიდი მეძებნა და მეპოვა ერთიანი ღვთაება. ნეტარების ღირსი სინათლე, რომელსაც ვუმზერ მე, არ უარვყოფ, ბრბოს მართლაც დააბრმავებდა, ხალხისთვის მისი ჩვენება რომ მომენდომებინა!

— და მიუხედავად ამისა, შენ აბრმავებ ჩვენს მოწაფეებს ამ საშიში ციალით?

— მე მათგან მომავალ კურთხეულთ ვზრდი!

— და ამას სიყვარულით გაბრუებული გულითა და მგზნებარე საუბრით აკეთებ?

—ამენი!

— თუმცა შენ ჩემთვის არ მოგიხმია, მაგრამ მე მაინც აქა ვარ, შენს წინაშე, შენი მასწავლებელი, რათა კანონი შეგახსენო. ყოველთვის და ყველგან კანონი ადამიანზე უფრო ჭკვიანია და მისი დამფუძნებელი ფარაონიც კანონის ძალითაა ბრწყინვალე ტიტულით შემკული. როგორც კურთხეულმა, ისე უბრალო მოკვდავმა, რომელთაც ბრმა რწმენით ვზრდით, თავი უნდა დახარონ მის წინაშე. მე გელაპარაკები. როგორც მამა, რომელსაც ბავშვობიდანვე უყვარხარ. არც ერთი ჩემი

მოსწავლისგან არ ველოდი იმდენს, რამდენსაც შენგან. სწორედ ამიტომაც არ მინდა დაგკარგო, არ მინდა ხელი ავიღო იმ იმედებზე, შენზე რომ ვამყარებთ. მოემზადე, ხვალ ალიონზე ჩვენს წყნარ სავანეს დასტოვებ. შენ უფლება არა გაქვს მასწავლებელი იყო — დაე, ცხოვრებამ მიგიღოს თავის სკოლაში, სანამ კურთხეულის წოდების მისაღებად მომწიფდებოდე, რომელიც ჩემი შეცდომის გამო ნაადრევად მოგანიჭეთ. წახვალ შენს მოწაფეებთან გამოუმშვიდობებლად, როგორც არ უნდა გიმძიმდეს ეს. სოტის[61] ვარსკვლავის ამოსვლისას გადმოგცემენ წერილობით ბრძანებას: უახლოეს ხანში სათავეში ჩაუდგები ქურუმთა საზოგადოებას ხატშეფსუტის ტაძარში და იქ, ჩემი ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ, ხელახლა შეძლებ დაიმსახურო ჩვენი ნდობა, რომელიც ვერ გაამართლე აქ. ხმა არ ამოიღო, ნურც შემეპასუხები! ამაღამ ჩვენს ლოცვა-კურთხევასა და სათანადო უფლებამოსილებას მიიღებ. მზის ამოსვლას ხატშეფსუტის ტაძრის სვეტებთან შეხვდები ალბათ. დაე, უზენაესმა აღბეჭდოს კანონი შენს სულში.

* * *

თავის ოთახში დაბრუნებული ამენი აღელვებული ბოლთას სცემდა. პატარა მაგიდაზე სარკე იდო. სარკე აიღო, ჩაიხედა პრიალა ლითონის დისკოში და მაშინვე ადგილზე და-

---

[61] სოტი (ანუ სოტისი) — სირიუსის თანავარსკვლავედი. ქალღმერთ იზიდას წმინდა ვარსკვლავი. ფარაონთა ეპოქაში მისი მოძრაობა ზუსტად შეესაბამებოდა ასტრონომიულ მზის წელიწადს, ამიტომაც უძველესი დროიდანვე სირიუსი და მისი მიმოქცევის პერიოდი საფუძვლად დაედო ეგვიპტურ წელთაღრიცხვას.

დო. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ვიღაცის საზიზღარი სახე დაენახოს მასში.

მეტად შეშფოთებული იყო ყოველივე მომხდარის გამო და ეჭვი ეპარებოდა ადამიანებსა და მოვლენებზე საკუთარი მსჯელობის უტყუარობაში.

ნილოსისგაღმელი ქურუმები ბენტ-ანატის სულიერი მოძღვრები იყვნენ და მას არაერთხელ სმენია, როგორ განადიდებდნენ ისინი მეფის ასულს, როგორც ღვთისმოსავსა და ყოველმხრივ გამოჩენილ ქალიშვილს.

კანონის წინდაუხედავად დარღვევით მან, როგორც ამენი ფიქრობდა, დიდი ხნის ნანატრი საბაბი მისცა ქურუმს, ხმა ჩაეკმენდინებინა რამზესის გვარეულობის ზოგიერთი წევრისთვის.

და, აი, ახლაც საკუთარ თავს ესაუბრებოდა: მან ჯეროვანად ვერ შეაფასა ეს ნორჩი ქმნილება, მოქმედებდა უხეიროდ და ალბათ სულელურადაც კი. თავის თავს ერთი წუთითაც არ უმალავდა, რომ ბენტ-ანატის მოულოდნელი გარდატეხის მიზეზი იყო მასში აფეთქებული მხურვალე თანაგრძნობა და იქნებ სინაზეც კი პენტაურის მიმართ, მაგრამ არამც და არამც საკუთარი უმართებულო საქციელის აღიარება. ამენის წარმატებით შეეძლო ესარგებლა ბენტ-ანატის შეცდომით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ნამდვილად სცნობდა თავს დამნაშავედ.

ამ დროს ის მაინც იმდენად ვერ ამაღლდა, რომ განთავისუფლებულიყო პატივმოყვარეობისგან, და სწორედ ეს გრძნობა შეულახა ამენის რამზესის ასულის ამაყმა ქედუხრელობამ.

როცა ამენიმ პენტაურს უბრძანა მეფის ასულის წინაშე წარმდგარიყო როგორც დამსჯელი მოსამართლე, მას იმედი

ჰქონდა, რომ ამა ქვეყნის უძლიერესებზე თავისი ძალაუფლების ამაყი შეგნება გააღვიძებდა პოეტში პატივმოყვარეობას.

რა გამოვიდა? მისმა მხურვალე თაყვანისმცემელმა, რომელზედაც ყველაზე დიდ იმედებს ამყარებდა თავის მოწაფეთა შორის, ვერ გაუძლო გამოცდას!

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთავარი ქურუმის მთელი ცხოვრების იდეალი — ქურუმების განუსაზღვრელი ძალაუფლება სულებზე და უპირატესობა თვით ფარაონზედაც კი, მაინც გაუგებარი დარჩა ამ ახირებული ყმაწვილისთვის.

რადაც უნდა დაჯდომოდა, იგი უნდა აეძულებინა შეესმინა ეს!

„აქ ის უკანასკნელია ასობით უფროსთა შორის, მის აღტყინებულ სულს განუწყვეტლივ გესლავენ, — ეუბნებოდა ამენი თავის თავს. — ხატშეფსუტის ტაძარში ის თვითონ იქნება მბრძანებელი მასზე დაბლა მდგომ წმინდა მსხვერპლის დამჭრელებზე და მეცეცხლურებზე, და მოსთხოვს რა მათ მორჩილებას, მიხვდება კანონის დაცვის აუცილებლობას. ტახტზე შემთხვევით მოხვედრილი მეამბოხეც ხომ უთუოდ მტარვალი ხდება!“

„პენტაურის პოეტური სული, — ფიქრობდა ის შემდეგ, — მყისვე დაატყვევა ბენტ-ანატის სიტურფემ. ან კი რომელ ქალს არ მოხიბლავს ეს ნიჭიერი ყმაწვილი, რომელიც სილამაზით რა-ხარმახისს[62] ჰგავს და თექუტივით[63] ტკბილმოუბარია. ერთმანეთს მეტად აღარ უნდა შეხვდნენ, რათა არც ერთი ძაფი არ აკავშირებდეს პენტაურს რამზესის სახლთან“.

ამენიმ ხელახლა დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული და თავისთვის ბუტბუტებდა:

---

[62] რა-ხარმახისი — მზის ღმერთის ერთ-ერთი სახელი.

[63] თექუტი — იგივეა, რაც ღმერთი თოთი.

მკითხველთა ლიგა

— რას ნიშნავს ეს? როგორც პალმები უსწრებენ წინ ზრდაში ბუჩქებსა და ბალახებს, ისევე გაუსწრო სულიერად ჩემმა ორმა მოწაფემ თანატოლებს. მათში ჩემი საქმის გამგრძელებლებს ვხედავდი, ჩემი მისწრაფებებისა და იმედების მემკვიდრეებად ვზრდიდი მათ... მესუ[64] გადაუდგა რჯულს და პენტაურიც მის გზას ადგას! ნუთუ ჩემი მიზანი ისე უღირსია, რომ არ შეუძლია მიიზიდოს ყველაზე კეთილშობილური გულები? არა, შეუძლებელია. ისინი გრძნობენ, რომ გამორჩეულნი არიან თანამოძმეთაგან, ქმნიან საკუთარ კანონებს და არ სურთ მცირეში დაინახონ უდიდესი. მე კი სხვაგვარად ვაზროვნებ და ლიბანის მდინარის წითელი წყალივით ვუერთდები ცხოვრების დიდ მდინარეს და ჩემს ფერზე ვღებავ მას.

ამენის ფიქრების ჯაჭვი გაუწყდა და ოთახში სიარული შეწყვიტა.

შემდეგ დაუძახა თავის პირად მდივანს, ერთ-ერთს იმ ქურუმთაგან, რომელნიც წმინდა მამებად იწოდებოდნენ, და უთხრა:

— დაუყოვნებლივ დააგზავნე ქურუმთა ყველა საზოგადოებაში ეპისტოლე და ჩაწერე შიგ, რომ რამზესის ქალიშვილმა უხეშად გაქელა სარწმუნოების კანონი და წაიბილწა. დაავალე ყველა ტაძარში გამართონ საჯარო — გესმის? — საჯარო პარაკლისები მის განსაწმენდად, ერთ საათში მომიტან ეპისტოლეს ხელმოსაწერად! თუმცა არა! მომიტანე აქ ლერწმის კალამი და პალეტი — წერილს თავად დავწერ.

---

[64] მესუ (ე. ი. „დაბადებული“)— ეგვიპტური ფორმა სახელისა „მოსე“. ჩვენ გაგვაჩნია ყველა საფუძველი, ჩავთვალოთ მოსე წინასწარმეტყველი რამზესის თანამედროვედ, ხოლო ებრაელების გამოსვლა ეგვიპტიდან მოხდა, როგორც ჩანს, მისი მემკვიდრეებს დროს. (ავტ. შენიშვნა).

წმინდა მამამ მიართვა მთავარ ქურუმს საწერ-კალამი და გავიდა. ამენიმ კალამი აიღო და თავისთვის წაიბუტბუტა:

— ფარაონს სურს ჩვენზე ჯერ არნახული ძალმომრეობა იხმაროს. მაშ, კარგი! დაე, ეს ეპისტოლე გახდეს პირველი გაშვებული ისარი მისი შუბის დარტყმის საპასუხოდ!

თავი მერვე

ნილოსის გაღმა ნაპირზე, ზუსტად ნეკროპოლის პირდაპირ გადაშლილ „ცოცხალთა ქალაქის“ თავზე მთვარე ამოვიდა. სფინქსების ხეივნებითა და პილონებით ერთმანეთთან შეერთებულ ურიცხვ ტაძრებში მიწყდა მწუხრის ჰიმნები, მაგრამ ქალაქის ქუჩებში თითქოს ახლა გაიღვიძაო ნამდვილმა სიცოცხლემ. სიგრილემ, რომელმაც ზაფხულის დღის აუტანელი პაპანაქება შეცვალა, ხალხი სახლებიდან გამოიყვანა. ზოგნი სახლის კარებთან, სახურავზე ან კოშკურებზე მოწყობილიყვნენ, ზოგნიც მაგიდასთან მოკალათებულნი ლუდს, ღვინოსა და ხილის ტკბილ წვენს წრუპავდნენ და თან მეზღაპრეებს უსმენდნენ.

დაირისა და ფლეიტის თანხლებით მღეროდა ერთი მოკრძალებული მომღერალი, ხოლო მის გარშემო, პირდაპირ მიწაზე ჩამომსხდარი მდაბიონი ბანს აძლევდნენ მას.

ამონის ტაძრის სამხრეთით ფარაონების სასახლე იყო აღმართული. იქვე ახლოს, ჩრდილოვან ბაღებს შორის, მოჩანდა დიდებულთა სახლები. მათ შორის ერთი გამოირჩეოდა თავისი სიდიდითა და სიმშვენიერით. ეს იყო პააკერის სახლი, რომელიც მისი მითითებით ყველაზე დახელოვნებულმა არქიტექტორმა ააგო წინაპართა უშველებელი სახლის ადგილზე, მამამისის გარდაცვალებისთანავე, როცა პააკერი თავისი დეიდაშვილის — ნეფერტის ცოლად შერთვას აპირებდა.

ოდნავ აღმოსავლეთით მეორე, ასევე დიდებული, ოღონდ ძველი და ნაკლებად მდიდრული შენობა იდგა. ეს იყო ფარაონის მეეტლის სახლი, რომელიც მენამ მამისგან მემკვიდ-

რეობით მიიღო. აქ ცხოვრობდა მისი მეუღლე ნეფერტი დედასთან — ქათუთისთან ერთად, თავად მენა კი შორეული სირიის მიწაზე ფარაონთან ერთად საველე კარავში ცხოვრობდა, რადგან ამავე დროს რამზესის მცველიც იყო.

ორივე სახლის ჭიშკართან ჩირაღდნებიანი მსახურები იდგნენ თავიანთი პატრონების მოლოდინში.

ჭიშკარი, რომელიც პააკერის კედლით შემოღობილ სამფლობელოს ეკუთვნოდა, უჩვეულოდ, კადნიერად მაღალი იყო და ფერადი ნახატებით უხვად მოხატული. ჭიშკრის ორივე მხარეს დროშების ანძების მაგიერ ორი უშველებელი კედარის ტანი იყო აღმართული. ეს ხეები პააკერის ბრძანებით სპეციალურად მოჭრეს ლიბანში და ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე, პელუსიონში გადმოიტანეს, ხოლო იქიდან ნილოსზე დააცურეს თებემდე.

ჭიშკრიდანვე იწყებოდა მოკირწყლული დიდი ეზო, რომლის გარშემო ცალი მხრიდან კედელამოშენებული ტალანები იყო გადაჭიმული, რომელთა სახურავები ხის წვრილ სვეტებს ეყრდნობოდა. ეს ტალანები წარმოადგენდა ცხენების სადგომს, აქ ინახებოდა მახორის ეტლები, აქვე ცხოვრობდნენ მონები და ინახებოდა ხორბლისა და სურსათის ერთი თვის მარაგი.

სამეურნეო ეზოს უკანა კედელში უფრო მომცრო ჭიშკარი იყო დატანებული, რომელიც ვრცელ ბაღში გადიოდა. ბაღს ამშვენებდა სწორი, მოვლილი ხეივნები, ვენახი, ბუჩქები, ყვავილები და ბოსტნეულის კვლები. განსაკუთრებით კარგად ხარობდა აქ პალმები, სიკომოროები, აკაციის, ლეღვისა და ბროწეულის ხეები, ჟასმინის ბუჩქები, და ეს ყველაფერი პააკერის დედის სეთხემის დამსახურება იყო, რადგან იგი თავად ხელმძღვანელობდა და წარმართავდა მებაღეთა საქმია-

ნობას. ბაღის შუაგულში გადაშლილ დიდ გუბურაში არასოდეს ილეოდა წყალი კვლებისა და ხეების მოსარწყავად, გუბურა ივსებოდა ორი არხიდან, რომლებშიც ხარების მიერ მოძრაობაში მოყვანილი უშველებელი ბორბლების საშუალებით წყალი დღედაღამ ნილოსიდან ამოდიოდა.

ბაღის მარჯვენა მხარეზე გადაჭიმული იყო ერთსარკმლიანი, ძალიან გრძელი შენობა, რომელიც უამრავი ოთახებისა და სენაკებისგან შედგებოდა. თითქმის ყველა ოთახს საკუთარი კარი ჰქონდა; ეს კარები ნაირფერად მოხატულ ხის სვეტებზე დაყრდნობილ, სახურავიან ვერანდაზე გამოდიოდა. ვერანდა შენობას მთელ სიგრძეზე გასდევდა.

მასთან სწორი კუთხით იყო განლაგებული სხვადასხვა საკუჭნაოები, სადაც საკუთარ ბაღში მოყვანილი ხილი და ბოსტნეული ინახებოდა, იქვე იყო ღვინის ჭურები, ქსოვილები, დამუშავებული ტყავი და სხვა სამეურნეო მარაგი.

მასიური თლილი ქვით აგებულ ერთ-ერთ ასეთ საკუჭნაოში, საიმედოდ ჩაკეტილი ინახებოდა პააკერის წინაპართა და თვითონ მის მიერ შეძენილი მდიდრული საუნჯე: ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, ცხოველთა ქანდაკებები და კეთილშობილი ლითონისგან დამზადებული ჭურჭელი, აგრეთვე სპილენძის ზოდები, ძვირფასი ქვები, განსაკუთრებით ლილაქვა და მალაქიტი.

ბაღის შუაში ლამაზი ფანჩატური და ღმერთებისქანდაკებებიანი სამლოცველო იყო მოწყობილი. სამლოცველოს უკანა კედელთან კი იდგა პარკერის წინაპართა ქანდაკებები ოზირისის შეხვეული მუმიების სახით. ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ სახეებით განსხვავდებოდნენ, რომლებშიც პორტრეტული მსგავსება შეინიშნებოდა.

ეზოს მარცხენა ნაწილი გაუნათებელი იყო, მაგრამ მთვარის ფერმკრთალ შუქზე მაინც გაარჩევდით ნახევრად შიშველი მონების მუქ ფიგურებს. ისინი ჯგუფ-ჯგუფად პირდაპირ მიწაზე ისხდნენ ან ერთმანეთის გვერდით პალმის ბოჭკოსგან მოქსოვილ თხელ ჭილოფებზე იწვნენ.

ეზოს მარჯვენა ნაწილში, ჭიშკართან ახლოს, რამდენიმე ლამპა შავგვრემანი ადამიანების ჯგუფს ანათებდა. ესენი პაკერის მსახურნი იყვნენ. მათ მოკლე, პერანგისმაგვარი ტანსაცმელი ემოსათ. ისინი სამ მტკავლამდე სიმაღლის მაგიდის გარშემო იყვნენ ჩაცუცქულნი და ვახშმობდნენ. მაგიდაზე შემწვარი ქურციკი და დიდი ბრტყელი კვერები ეწყო. მათ რამდენიმე მონა ემსახურებოდათ, რომლებიც თიხის ჯამებს ყვითელი ლუდით უვსებდნენ.

სახლთუხუცესმა ქურციკი დაჭრა, ბაღის ზედამხედველს გადააწოდა ბარკლის ნაჭერი და ჩაილაპარაკა:

— საშინლად მტკივა ხელები. მონები მთლად გაზარმაცდნენ, ეს არამზადა კი სულ უფრო და უფრო ჭირვეული ხდება.

— მე ამას პალმებზე ვატყობ, — თქვა მებაღემ. — თქვენ იმდენ ჯოხს ხარჯავთ, რომ მათი ვარჯები გაიქუცა როგორც ფრინველი ბუმბულის ცვენის დროს.

— ჩვენი ბატონივით ჩვენც ჯოხები აბანოზისგან უნდა გამოვჭრათ, — ჩაურთო მეჯინიბემ, — უფრო დიდხანს გვეყოფა!

— ყოველ შემთხვევაში, ადამიანის ძვლებზე მეტხანს გაძლებენ, — სიცილით მიუგო უფროსმა მწყემსმა, რომელმაც პარკერის მამულიდან შესაწირი საქონელი, ერბო და ყველი ჩამოიტანა. — ჩვენ რომ მართლა მივბაძოთ ჩვენს ბატონს, მაშინ სულ მალე ეზოში მარტო კოჭლები და ხეიბრები დაგვრჩება.

— აი იქ ერთი ახალგაზრდა წევს — პატრონმა გუშინ ლავიწი გაუტეხა, — თქვა სახლთუხუცესმა, — მეცოდება ბიჭი, მერე რა მარჯვედ წნავდა ჭილოფებს. ეჰ, ჩვენი ძველი ბატონი ასე უწყალოდ როდი გვექცეოდა.

— შენ საკუთარ თავზე გაქვს გამოცდილი, არა! — მოულოდნელად დაიწრიპინა ვიღაცის დამცინავმა ხმამ მოსაუბრეთა უკან.

ისინი შემობრუნდნენ და იცნეს რა უცნაური სტუმარი, ასე შეუმჩნევლად რომ წამოადგათ თავზე, ხმამაღლა გადაიხარხარეს.

ეს იყო ხუთი წლის ბიჭის ტანის პატარა კუზიანი დიდთავა; მას ბებრული, მაგრამ არაჩვეულებრივად მეტყველი სახე ჰქონდა.

წარჩინებული ეგვიპტელების უმრავლესობას შინ მასხარები — ჯუჯები ჰყავდათ გასართობად და ეს პატარა მახინჯიც მენას მეუღლეს ემსახურებოდა. მას ნემუ ერქვა, რაც „ჯუჯას“ ნიშნავს. ხალხი თუმცა ერიდებოდა მის მახვილ ენას, მაგრამ მუდამ ალერსიანად ხვდებოდნენ, რადგან ის მეტად ჭკვიან და ენაწყლიან კაცად ითვლებოდა.

— ნება მომეცით მეც თქვენთან ჩამოვჯდე, მეგობრებო, — თქვა ჯუჯამ, — დიდ ადგილს არ დავიკავებ და თქვენს ლუდსა და შემწვარ-მოხრაკულსაც დიდი ხარჯი არ მოუვა, მე ხომ ბუზისოდენა კუჭი მაქვს.

— სამაგიეროდ ღვარძლი გაქვს ბეჰემოთივით! — წამოიძახა მთავარმა მზარეულმა.

— და ის კიდევ უფრო მატულობს, როცა ისეთი ოინბაზი აღიზიანებს, რომელიც შენსავით კოვზებითა და თეფშებით ჟონგლიორობს, — გაიცინა ჯუჯამ. — აი, მეც დავჯექი.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — უთხრა სახლთუხუცესმა. — აბა, კარგს რას შემოგვთავაზებ?

— საკუთარ თავს.

— ეს არც ისე ბევრია.

— აქ ისე არ მოვიდოდი, — მიუგო ჯუჯამ. — მაგრამ სერიოზული საქმე მაქვს თქვენთან. მოხუცმა ქალბატონმა, კეთილშობილმა ქათუთიმ და ვეზირმა, რომელიც ჩვენთან მობრძანდა, გამომგზავნეს მეკითხა, პააკერი ხომ არ დაბრუნებულა. დღეს ის მეფის ასულსა და ნეფერტს ახლდა მკვდართა ქალაქში და აქამდე არა ჩანან. ჩვენები წუხან, ასე რომ დაიგვიანეს.

სახლთუხუცესმა ცას შეხედა და თქვა:

— დიახ, მთვარე უკვე ამოვიდა, ბატონი კი შეგვპირდა, მზის ჩასვლამდე დავბრუნდებიო.

— რამდენი ხანია, სადილი მზადაა, — ამოიხვნეშა მზარეულმა, — და თუ ბატონი გვიან დაბრუნდა, თავიდან მომიხდება მომზადება.

— ვითომ რათაო? — ჰკითხა სახლთუხუცესმა. ის ხომ ბენტანატს ახლავს.

— და ჩემს ქალბატონს, — დაუმატა ჯუჯამ.

— ისინი ახლა ტკბილად ბაასობენ! — სიცილით ჩაურთო მებაღემ. — ტახტრევნის უფროსი მეჯინე ყვებოდა, რომ გუშინ ნეკროპოლის გზაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვისო.

— როგორ ბედავთ გაამტყუნოთ ჩემი ბატონი იმისათვის, რომ გულმოსულია ქალზე, რომელიც მასზე იყო დანიშნული და ცოლად კი სხვას გაჰყვა? როგორც კი ის დღე მომაგონდება, როცა პააკერმა ნეფერტის ღალატი შეიტყო, ხან მაციებს და ხან მაცხელებს.

— ყოველ შემთხვევაში, შეეცადე, რომ ზამთარში შეგახუროს და ზაფხულში შეგამცივნოს, — გესლიანად შენიშნა ჯუჯამ.

— ეგ რა არის! ეს საქმე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა! — წამოიძახა მეჯინიბემ. — პააკერი ასე იოლად როდი ივიწყებს შეურაცხყოფას... დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, იმასაც ვნახავთ, როგორ გადაუხდის მენას სამაგიეროს, როგორც არ უნდა აღზევდეს მეეტლე.

— ჩემი ქალბატონი ქათუთი, — მეჯინიბეს სიტყვა შეაწყვეტინა ნემუმ, — ახლაც თავისი სიძის ვალებს ისტუმრებს. სხვათა შორის, მას დიდი ხანია სურს აღადგინოს მეგობრობა თქვენს სახლთან, ვეზირიც ურჩევს დაამყარონ მშვიდობიანობა. სახლთუხუცესო, ერთი ნაჭერიც მომაწოდე, გეთაყვა, რაღაც მომშივდა.

— ქისა, რომელშიც მენას ვალებს აწყობენ, მთლად გაფხეკილია! — ჩაიცინა მზარეულმა.

— გაფხეკილიო! — შეუღრინა ჯუჯამ. — ზუსტად ისე, როგორც შენი ოხუნჯობა. სახლთუხუცესო, კიდევ მომაწოდე, გეთაყვა, ერთი ნაჭერი ხორცი. ჰეი, მონა, ერთი ლუდიც დამისხი.

— აკი თქვი, ბუზისოდენა კუჭი მაქვსო! — წამოიძახა მზარეულმა. — ახლა კი იმოდენა ხორცსა ნთქავ, როგორც ნიანგი ზღვისპირეთის წმინდა გუბურაში! ალბათ ჯილაგით ისეთი ქვეყნიდან ხარ, სადაც ყველაფერი უკუღმაა — ხალხი ბუზისოდენაა, ხოლო ბუზები უზარმაზარი, უძველესი გოლიათის ტანისანი არიან.

ჯუჯა მშვიდად განაგრძობდა ღეჭვას და თან იკრიჭებოდა.

— შენ კი უსაშველოდ ძუნწი ყოფილხარ, ჩემთვის მესამე ნაჭერი არ გემეტება, აი, ის, ქურციკს ზურგიდან რომ აჭრის

სახლთუხუცესი, რომელიც ასე გულუხვად დააჯილდოვა ცეფამ.[65]

— აჰა, შე გაუმაძღარო, ოღონდ ქამრის მოშვება არ დაგავიწყდეს, — ჩაიცინა სახლთუხუცესმა, — ჩემთვის შემოვინახე ეს ნაჭერი, პირდაპირ მაოცებს, როგორი მგრძნობიარე ცხვირი გქონია.

— დიახ, დიახ, ცხვირი, — ჩაილაპარაკა ჯუჯამ. — ცხვირი ხომ ჰოროსკოპზე უფრო ზუსტად მეტყველებს, თუ რას წარმოადგენს თვით ადამიანი.

— ჰმ! — წარმოთქვა მებაღემ.

— მერე რაო, ამოალაგე შენი სიბრძნე, — სიცილით უთხრა სახლთუხუცესმა. — ლაპარაკის დროს ცოტა მაინც გააჩერებ ყბას.

— ერთი მეორეს არ უშლის, — მიუგო ჯუჯამ. — მაშ, მომისმინეთ! მოღუნული, კავისებური ცხვირი, რომელსაც ძერას ნისკარტს ვადარებ, თვინიერ ხასიათს ვერასოდეს შეეგუება. მოიგონეთ, გეთაყვა, ფარაონი და მთელი მისი ამაყი გვარი! ვეზირს კი, პირიქით, სწორი, ლამაზი და საშუალო სიდიდის ცხვირი აქვს, როგორც ამონის ქანდაკებებს ტაძარში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირდაპირი ხასიათი აქვს და გულიც ღვთაებრივი გულკეთილებით აღსავსე. ის არც დიდგულობს და არც მლიქვნელობს, არამედ პირუთვნელია, როგორც პატიოსან კაცს შეეფერება. ის არც წარჩინებულებთან მეგობრობს და არც მდაბიო ხალხთან, მხოლოდ ჩვენისთანებთან აქვს ნაცნობობა. რა მეფე იქნებოდა ჩვენისთანებისთვის!

---

[65] ცეფა — სიუხვის ქალღმერთი.

— ცხვირთა მეფე! — წამოიყვირა მზარეულმა. — არა! ჩემის აზრით, მაგას ისევ არწივი რამზესი სჯობია. რა მაგის პასუხია და, შენი ქალბატონის ნეფერტის ცხვირზე რაღას იტყოდი?

— ის ნაზი და კოხტაა, ყოველგვარი დახვეწილი აზრი ისე ათრთოლებს, როგორც ქარის მსუბუქი ქროლა ყვავილის ფურცელს; მისი გულიც ასეთნაირადვეა მოწყობილი.

— პააკერის? — ჰკითხა მეჯინიბემ.

— მას ფართო მრგვალნესტოებიანი ბლაგვი და მაგარი ცხვირი აქვს. როცა სეთხი ქვიშის კორიანტელს აყენებს და სილა ნესტოებში ღიტინს უწყებს, ის საშინლად ცოფდება. ამიტომაც მხოლოდ და მხოლოდ პააკერის ცხვირს უნდა უმადლოდეთ თქვენს დალურჯებულ გვერდებს. დედამისს სეთხემს კი, ჩემი ქალბატონის ქათუთის დას, პატარა, მომრგვალებული და ფაფუკი ცხვირი აქვს...

— მომისმინე, ჩემო კარგო! — შეაწყვეტინა სახლთუხუცესმა ჯუჯას. — შენ აქ გვარიანად გამოძეხი, კარგადაც გაგვჭორე, მაგრამ თუ შენ ახლა ჩვენს დიასახლისსაც გადასწვდები, ჩაგავლებ ხელს ქეჩოში და პირდაპირ ცაში აგისვრი, ისე, რომ მაგ კუზით ვარსკვლავებს მიეწებები.

ჯუჯა წამოდგა, უკან დაიხია და თავმდაბლად უპასუხა:

— მე მათ საგულდაგულოდ ჩამოვიცლი ზურგიდან და ყველაზე ლამაზ პლანეტას პირადად შენ გაჩუქებ ცვრიანი მწვადისთვის მადლობის ნიშნად. ოჰო, აი, ეტლებიც გამოჩნდნენ. მშვიდობით, მეგობრებო! თუ ძერას მოკაკულმა ცხვირმა რომელიმე თქვენგანი ომში გააგდოს სირიაში, მაშინ მოიგონეთ პატარა ნემუს სიტყვები. მან ხომ კარგად იცის ცხვირებისა და ადამიანების ფასი.

* * *

მახორის ეტლმა მაღალი ჭიშკარი გაიარა და ეზოში შეგრიალდა. მწევარ-მეძებრებმა მხიარული ყეფა ასტეხეს. მეჯინიბეები და სახლთუხუცესი თავქუდმოგლეჯილი გაექანენ პაპაკერის შესახვედრად და სწრაფად ჩამოართვეს სადავეები, უფროსი მზარეული კი სამზარეულოსკენ გაემართა პატრონისთვის საჭმლის მოსამზადებლად.

პააკერმა ბაღის ჭიშკრამდე მისვლაც კი ვერ მოასწრო, რომ ამონის უზარმაზარი ტაძრის პილონებიდან სპილენძის გონგის ხმა და მასთან ერთად საზეიმო მრავალხმიანი გალობა მოისმა.

მახორი შეჩერდა, მზერა ცას მიაპყრო და მსახურებს დაუყვირა:

— სოთის წმინდა ვარსკვლავი ამოსულა!

მან მუხლი მოიყარა და სალოცავად აღაპყრო ხელები, მონებმა და მსახურებმაც მას მიჰბაძეს.

ქურუმები, რომლებიც ეგვიპტელ ხალხს ხელმძღვანელობდნენ, ბუნების არც ერთ მოვლენას არ უგულებელჰყოფდნენ. რაც არ უნდა მომხდარიყო დედამიწაზე ან ცაში, ისინი ყველაფერს ისე ეგებებოდნენ, როგორც ღვთის გამოჩენას. ალიონიდან გვიან ღამემდე, ნილოსის ადიდების დაწყებიდან მიწების სრულ გამოგვალვამდე, ისინი ნილოსის ხეობის ცხოვრებას გაუთავებელი ჰიმნებითა და მსხვერპლშეწირვებით, საზეიმო სვლებითა და დღესასწაულებით ავსებდნენ, რითაც მტკიცედ აკავშირებდნენ ადამიანის პიროვნებას ღმერთებთან და მათ წარმომადგენლებთან მიწაზე.

ბატონი და მისი მსახურები რამდენიმე წუთს უხმოდ იდგნენ მუხლმოყრილნი, ისინი თვალს არ აშორებდნენ წმინდა

ვარსკვლავს და ქურუმების გალობას უსმენდნენ. ბოლოს ხმები მიწყდა, პააკერი წამოდგა, დანარჩენები კი ისევ მუხლებზე იდგნენ, მხოლოდ მონების სადგომთან ბოძზე მიყრდნობილი, მთვარის შუქით კარგად განათებული ვიღაც კაცი იდგა უძრავად. მახორის ნიშანზე მსახურნი ფეხზე წამოდგნენ, ხოლო თავად კი მტკიცე ნაბიჯით იქით გაემართა, სადაც საღამოს ლოცვების უგულებელმყოფელი იდგა, რადგანაც თვითონ განუხრელი სიმტკიცით იცავდა ყველა წესჩვეულებას.

— სახლთუხუცესო! ასი ჯოხი ქუსლებში ამ ცოდვილს! — დაუყვირა მან.

სახლთუხუცესმა მდაბლად დაუკრა თავი და შეჰბედა:

— ბატონო, ეს ჭილოფების მქსოველია. ექიმმა აუკრძალა მოძრაობა და თან ხელის განძრევაც კი არ შეუძლია, ძლიერი ტკივილები აწუხებს — გუშინწინ ლავიწი რომ გადაუტეხეთ, ის გახლავთ, ბატონო.

— ახია მაგაზე, — ისე ხმამაღლა დაიღრიალა პააკერმა, რომ იმ უბედურმაც კი გაიგონა მისი სიტყვები. შემდეგ შემობრუნდა და ბაღში შევიდა. იქ მემარნეს დაუძახა და უბრძანა:

— ამ საღამოს ლუდი დაურიგე მონებს! განურჩევლად ყველას, და არ იძუნწო!

რამდენიმე წუთში პააკერი უკვე დედამისის წინ იდგა. მან ის სახლის სახურავზე იპოვა, სადაც კასრები იდგა შიგ ჩარგული მცენარეებით. დედამისი სწორედ ამ დროს თავის ორი წლის შვილიშვილს — უმცროსი ვაჟის გოგონას, ძიძას გადასცემდა ხელში, რათა ბავშვი დასაძინებლად წაეყვანა.

პააკერი მოწიწებით მიესალმა დედას. ის კეთილი და სანდომიანი სახის მოხუცი ქალი იყო. მის ფეხთით რამდენიმე ლეკვი დახტოდა.

პააკერმა ძლივს მოიშორა დედამისის საყვარელი ლეკვი, რომელიც წარამარა გულზე ახტებოდა. მოხუცი ქალი დიდი ხნით რჩებოდა ხოლმე მარტოდმარტო. პააკერმა ლეკვები გაყარა და ძიძას მიუბრუნდა, რათა ბავშვი გამოერთმია და მოფერებოდა, მაგრამ პატარა გოგონა ისე ჭირვეულობდა და ჭყიოდა, რომ იძულებული გახდა იატაკზე დაესვა და გულმოსულმა დაიყვირა:

— რა ჯიუტი გოგო ყოფილა!

— მთელი საღამო ხმა არ ამოუღია და თანაც ყველაფერს მიჯერებდა, — უთხრა დედამ. — ნუ ბრაზობ, ბავშვი ძალიან იშვიათად გხედავს!..

— მერე რა, — შეეპასუხა პააკერი. — ეს უკვე მერამდენედ მესმის შენგან, ძაღლებს ვუყვარვარ და ბავშვი კი ხელის შეხებისთანავე კივილს იწყებს.

— შენ ისეთი მძიმე ხელი გაქვს...

— წაიყვანე ეს წრიპინა აქედან! — დაუტატანა პააკერმა ძიძას. — დედა, შენთან სალაპარაკო მაქვს.

სეთხემმა ბავშვი დაკოცნა, დააწყნარა და გაგზავნა დასაძინებლად. მერე ვაჟიშვილთან მივიდა, მოფერებით ხელი მოუთათუნა ყვრიმალებზე და უთხრა:

— ეს პაწაწა შენი რომ იყოს, თვითონ გამოექანებოდა შენკენ, შენც მაშინ იგრძნობდი, რა არის ბავშვი. — ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რაც კი ღმერთებს ადამიანებისთვის მოუნიჭებიათ.

პააკერმა ჩაიცინა.

— განა ვერ ვხვდები, რისი თქმაც გინდა, მაგრამ მოდი, ახლა ამას თავი დავანებოთ. მე სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რაღაც უნდა გითხრა.

— რა არის ასეთი? — შეწუხდა სეთხემი.

— დღეს, იმის შემდეგ პირველად, — იცი რაზეც გეუბნები, — შევხვდი ნეფერტს. დროა დავივიწყოთ წარსული! შენი და ხომ გენატრება? წადი და მოინახულე — მე აღარ გიშლი.

სეთხემმა დაუფარავი გაკვირვებით შეხედა შვილს და ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— დავუჯერო კი ყურებს? — გაუბედავად იკითხა მან. — ჩემო ბიჭიკო, ნუთუ შენ...

— მე მინდა, რომ შენ კეთილი დამოკიდებულება აღადგინო შენს ნათესავებთან, — მტკიცედ თქვა პააკერმა. — უთანხმოება ისედაც დიდი ხანი გაგრძელდა.

— ჰო, მართლაც, მეტისმეტად დიდი ხანი! — აიტაცა შვილის სიტყვები სეთხემმა.

პააკერი გაჩუმდა და თვალები დახარა.შემდეგ დედის თხოვნით მის გვერდით ჩამოჯდა.

— მე ვიცოდი, რომ დღევანდელი დღე უსათუოდ სიხარულს მოგვიტანდა, — უთხრა დედამ და მკლავში მოჰკიდა ხელი. — მამაშენი ოზირისი ვნახე სიზმარში, მერე ტაძარში მიმავალ გზაზე ჯერ თეთრი ძროხა შემხვდა, შემდეგ საქორწილო მაყრიონი. ხოლო ამონის წმინდა ვერძი ტუჩებით შეეხო ჩემ მიერ მიწოდებულ ხორბლის კვერს.

— ეს კეთილის მომასწავებელი ნიშანია, — დინჯად მიუგო პააკერმა.

— დიახ, შვილო ჩემო. მაშ, ვიჩქაროთ და მადლიერებით მივიღოთ ღმერთებისგან მონიჭებული! — სიხარულით წამოიძახა სეთხემმა. — ხვალვე წავალ ჩემს დასთან და ვეტყვი, რომ ჩვენ წინანდებურად კარგი განწყობა გვექნება, ისევ ერთად ვიქნებით ჭირსა და ლხინში. ჩვენს ძარღვებში ხომ ერთი სისხლი ჩქეფს. როგორც წესრიგი და სისუფთავე იფარავს სახლს განადგურებისგან და მოყვრის თვალს ახარებს, ისე ერთობა

უნარჩუნებს ოჯახს ბედნიერებას და მეზობლებს ურთიერთპატივისცემას შთააგონებს. რაც იყო, იყო, დავივიწყოთ წარსული! თებეში ნეფერტის გარდა ხომ სხვაც ბევრია ქალი. ქვეყნის ყველა წარჩინებული ინატრებდა შენისთანა სიძეს.

პააკერი წამოდგა და ჩაფიქრებული ბოლთის ცემას მოჰყვა. დედამისი კი განაგრძობდა:

— ვიცი, შენი გულის ჭრილობას შევეხე, მაგრამ მან ხომ უკვე პირი შეიკრა და მთლად შეხორცდება, როცა მენაზე ბედნიერი გახდები. მაშინ მის სიძულვილსაც დაივიწყებ. ნეფერტი კარგი და კეთილია, მაგრამ იგი მეტად ნაზია და ვერ შეძლებდა ესოდენ დიდი მეურნეობის გაძღოლას. მე უკვე ხანში შევედი, მალე ჩემს მუმიას სუდარაში შეახვევენ, და თუ შენი მოვალეობა ისევ სირიაში მოგიხმობს, ჩემს ადგილზე აქ გონიერი დიასახლისი უნდა დარჩეს. ეს ადვილი საქმე როდია! პაპაშენი ასა ხშირად ამბობდა, რომ კარგად მოწყობილი სახლი ოჯახის სახეაო, ისეთი ოჯახის, რომელზედაც ძვირს ვერავინ იტყვის, სადაც ყველაფერი გონივრულადაა მოწყობილი, სადაც თითოეული დარწმუნებულია თავის თავში, იცის თავისი ადგილი და თავისი უფლება-მოვალეობა. ოჰ, ჩემს ლოცვაში რა ხშირად შევთხოვდი ხატორებს, ღირსეული მეუღლე ეჩუქებინათ შენთვის!

— სხვა სეთხემს, სულ ერთია, ვერსად იპოვი, — წამოიძახა პააკერმა და დედას შუბლზე აკოცა, — ისეთი ქალები, როგორიც შენ ხარ, დედა, აღარ არიან ამ ქვეყანაზე.

— ნუ პირფერობ, — გაუღიმა სეთხემმა და თან თითით დაემუქრა. — თუმცა მართალია! ახლანდელი ქალები ფუფუნებისკენ მიისწრაფვიან, ფინიკიური ქსოვილებით ირთვებიან და ლაპარაკში წარამარა სირიულ სიტყვებს ხმარობენ; ყველაფერში სახლთუხუცესებსა და მსახურებს მიენდობიან,

იქაც კი, სადაც საჭიროა თავად განაგებდე. აი, ჩემი და ქათუ-თიც და ნეფერტიც...

— ნეფერტი სხვა ქალებს არა ჰგავს, — შეაწყვეტინა დედას პააკერმა. — ის რომ შენთან აღზრდილიყო, ის კიდევაც გა-ალამაზებდა სახლს და მეურნეობის წარმართვასაც შესძლებ-და.

სეთხემმა გაკვირვებით შეხედა შვილს და ისე ჩუმად ჩა-ილაპარაკა, თითქოს თავის თავს ეუბნება:

— კი, კი, ნეფერტი მართლაც საყვარელი ბავშვია, საკმარი-სია ერთხელ მაინც ჩახედო თვალებში და მასზე გაბრაზება უკვე შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მასზე მაინც გაჯავრე-ბული ვიყავი იმიტომ, რომ შენ შეიძულე იგი... თუმცა რაღა საჭიროა... შენ ხომ თვითონაც კარგად იცი! მაგრამ რადგან ახლა შენ უკვე აპატიე, მეც სიამოვნებით ვაპატიებ ნეფერტსაც და მის მეუღლესაც.

პააკერი მოიღუშა, დედასთან ახლოს მივიდა და ულმობე-ლი კილოთი წარმოთქვა:

— ის უდაბნოში მოკვდება და ჩრდილოეთის აფთრები დაგ-ლეჯენ მის დაუმარხავ გვამს!

ამ სიტყვების გაგონებაზე სეთხემმა შიშისგან სახეზე სა-ბურველი ჩამოიფარა, გაშმაგებით იტაცა ხელი კისერზე ჩა-მოკიდებულ ავგაროზზე და ძლივგასაგონად ჩაიჩურჩულა:

— რა საზიზღარი ხარ ხოლმე, პააკერ! მე კარგად ვიცი, რა უსაზღვროდ გეჯავრება მენა — რამდენჯერ მინახავს შენი სა-წოლის თავზე დაკიდებული შვიდი ისარი წარწერით: „სიკვდი-ლი მენას“. დაე, ამ სირიულმა ჯადო სიტყვამ დაღუპოს ის, ვის წინააღმდეგაცაა იგი მიმართული. ჰოი, რა პირქუში გამოხედ-ვა გაქვს! დიახ, ეს ჯადო სიტყვები ღმერთებსაც არ უყვართ, და ვინც მას მიმართავს, ავი სულების ხელში აღმოჩნდება. მე

და მამაშენი ღმერთების პატივისცემას გინერგავდით. დაე, მათ დასაჯონ ბოროტმოქმედი! ოზირისი ხომ არ სწყალობს იმას, ვინც მის მტერს შეიწყალებს.

— ჩემი შეწირულება სავსებით საკმარისია ღმერთების გულის მოსაგებად, — მიუგო პააკერმა, — მენა კი უნამუსო ყაჩაღივით მომექცა და სწორედ ამიტომ ვანდობ მის ბედს ავ სულებს. ისიც ხომ მათი წაქეზებით მოქმედებდა ჩემს წინააღმდეგ. მაგრამ, კმარა ამაზე ლაპარაკი! თუ გიყვარვარ მეტად ნუღარასოდეს მიხსენებ ჩემი მტრის სახელს! განა არ კმარა, ნეფერტსა და დედამისს რომ ვაპატიე.

სეთხემმა თავი გადააქნია და წამოიძახა:

— რითი დამთავრდება ყველაფერი ეს? ომი ხომ მუდამ არ იქნება და მენა რომ დაბრუნდება, ჩვენი ახლანდელი შერიგება ასჯერ უფრო სასტიკ მტრობაში გადაიზრდება! მე აქედან მხოლოდ ერთ გამოსავალს ვხედავ. ნება მომეცი, ღირსეული საცოლე მოგიძებნო!

— ახლა ამის დრო არ არის! — მოუთმენლად შეაწყვეტინა პააკერმა. — რამდენიმე დღეში მე ისევ მტრის ქვეყანაში უნდა წავიდე და არ მინდა ჩემი ცოლი მენასავით სიცოცხლეშივე დავაქვრივო. რად ავჩქარდე? შენ რძალი გყავს — ჩემი ძმის ცოლი, და მათი შვილები. ჯერჯერობით ამით დაკმაყოფილდი!

— ღმერთებმა იციან, როგორ მიყვარს ისინი, — უპასუხა სეთხემმა, — მაგრამ შენი ძმა ჰორე ჩემი უმცროსი ვაჟიშვილია, შენ კი უფროსი ხარ. შენ გეკუთვნის მთელი ჩვენი ქონება. შენი პატარა ძმისშვილი ჩემთვის მხოლოდ ლამაზი სათამაშოა, მაშინ როცა შენს ვაჟიშვილს აღვზრდიდი, როგორც გვარის მომავალ გამგრძელებელსა და ოჯახის უფროსს. აი, კიდევ რა გითხრა: ჩემთვის წმიდათაწმიდაა ყველაფერი, რაც

მამაშენს სურდა. იგი უსაზღვროდ გაახარა ნეფერტთან შენმა ნიშნობამ და იმედოვნებდა, რომ მისი უფროსი ვაჟიშვილის ერთ-ერთი ვაჟი გააგრძელებდა ასას გვარს.

— რა ჩემი ბრალია, რომ მის ერთ-ერთ სურვილს არ უწერია აღსრულება! — უპასუხა პააკერმა. — ეჰ, ვარსკვლავები უკვე მაღლა არიან, ღამე ნებისა, დედა. ხვალ, როცა ნეფერტთან და შენს დასთან მიხვალ, უთხარი, რომ ჩემი კარი მუდამ ღიაა მათვის. ჰო, მართლა! ქათუთის სახლთუხუცესმა შემოგვთავაზა მათი საქონლის ჯოგი ვიყიდოთ, თუმცა, რამდენადაც ვიცი, მენას არც ისე ბევრი საქონელი უნდა ჰყავდეს. ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— შენ ხომ იცნობ ჩემს დას, — უპასუხა სეთხემმა. — მენას მამულს ახლა ის განაგებს და კარგად მოგეხსენება მისი გაზრდილი მოთხოვნილებანი. მას სურს ყველას აჯობოს ბრწყინვალებით. ამასთანვე ვეზირიც მათი ხშირი სტუმარია. თანაც ამბობენ, მისი ვაჟიშვილიც ზედმეტად ხელგაშლილიაო, ამიტომ ზოგჯერ ყველაზე აუცილებელიც კი არა აქვთ.

პააკერმა მხრები აიჩეჩა, ერთხელ კიდევ დაემშვიდობა დედას და წავიდა.

* * *

სულ მალე პააკერი უკვე თავის ფართო ოთახში იყო, სადაც იძინებდა ხოლმე, როცა საშუალება ეძლეოდა თებეში დარჩენილიყო. ოთახის კედლები უბრალოდ იყო შეთეთრებული, ხოლო ბაღში გამავალი კარისა და ფანჯრების თავზე წმინდა გამონათქვამთა იეროგლიფები იყო გამოსახული.

უკანა კედელთან ლომის მსგავსი საწოლი იდგა. მხეცის თავი სასთუმლად ჰქონდა გამოყენებული პააკერს, ხოლო კუდი კი მის ფეხებთან იკეცებოდა. საწოლი გაწყობილი იყო მშვენივრად გამოყვანილი ლომის ტყავით. სასთუმალთან, მაღალ საფეხურებიან სკამზე იდგა აბანოზის დაფა, რომელზედაც ლოცვის სიტყვები იყო ამოკვეთილი.

საწოლის თავზე მკაცრი წესრიგის დაცვით ჩამოკიდებული იყო ძვირფასი იარაღები. მათ შორის ის შვიდი ისარიც, რომლებზედაც სეთხემმა ამოიკითხა: „სიკვდილი მენას“. გადაჯვარედინებული ისრები გამონათქვამის სიტყვების ზემოთ ეკიდა, რომლებიც მოუწოდებდნენ: დააპურე მშიერი, დაარწყულე მწყურვალი, ჩააცვი შიშველს, იყავ თანამგრძნობი როგორც ძლიერისადმი, ისე სუსტისადმი“.[66]

სასთუმლის უკან მეწამული ფერის ფარდით დაფარული ნიში იყო მოწყობილი.

ოთახის ყველა კუთხეში ქანდაკებები იდგა. სამ კუთხეში — თებეს სამება: ამონი, მუთი და ხონსუ, ხოლო მეოთხე პააკერის გარდაცვლილი მამის ქანდაკება. თითოეული ქანდაკების წინ პატარა სამსხვერპლო საკურთხეველი იდგა, რომლის ღრმულებიც სურნელოვანი ზეთებით იყო სავსე. ხის კიდობანზე ღმერთების მრავალრიცხოვანი ფიგურები იყო განლაგებული, იქვე ეწყო ავგაროზები, ხოლო უჯრებში ტანსაცმელი, მორთულობა და პაპირუსები ინახებოდა. ოთახის შუაში მაგიდა და რამდენიმე ტაბურეტი იდგა.

გაბდღვრიალებულ ოთახში შესვლისთანავე პააკერს მხიარულად შემოეგება უშველებელი ძაღლი. პატრონმა გულზე შეხტომის უფლებაც კი მისცა მას, მერე ძირს ჩამოაგდო, ხო-

[66] ხშირად ხმარებული მცნება, ნასესხები წმინდა წიგნებიდან. (ავტ. შენიშვნა).

ლო როცა მეორედაც შემოახტა, პააკერმა ჭკვიან დრუნჩზე აკოცა.

საწოლთან ბებერ, ბრგე ზანგს ეძინა. პააკერმა ფეხი წაჰ-კრა და მიუგდო:

— მშია!

ზანგი სასწრაფოდ წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

მარტო დარჩენილმა პააკერმა ქამრიდან სიყვარულისწამ-ლიანი შუშა ამოიღო, ალერსიანად შეხედა და იმ უჯრაში ჩა-დო, სადაც უამრავი ჭურჭელი ეწყო წმინდა სამსხვერპლო ზე-თებით.

მას ჩვეულებად ჰქონდა ყოველ საღამოს შეევსო საკურ-თხევლის ღრმულები სურნელოვანი ზეთით და მუხლმოყ-რილს ელოცა ღმერთების ქანდაკებების წინ.

დღეს, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მხოლოდ მამის ქან-დაკების წინ დაიჩოქა, ფეხისგულებზე აკოცა და წაიბუტბუტა:

— შენს ნება-სურვილს აღსრულება უწერია. ქალი, რომე-ლიც ამომირჩიე, ჩემი გახდება!

შემდეგ წინ და უკან სიარულს მოჰყვა და თან განვლილი დღის ამბებს იგონებდა.

ბოლოს შეჩერდა, გულხელი დაიკრიფა და ღმერთების ქანდაკებებს ისეთი ჯიუტი შეუპოვრობით შეხედა, როგორც მგზავრმა, რომელმაც უცოდინარი მეგზური დაითხოვა და თვითონ აპირებს გზის გაგნებას.

უცბად მან თვალი შეასწრო საწოლის თავზე ჩამოკიდებულ ისრებს. ჩაეცინა, მთელი ძალით მუშტი ფართო მკერდში ჩა-ირტყა და სამჯერ წამოიძახა:

— მე! მე! მე!

ძაღლს ეგონა, მას ეძახიანო და პატრონთან მიირბინა. პააკერმა მოფერების მაგიერ წიხლი ჰკრა და გაბრაზებით უთხრა:

— როცა შენ უდაბნოში აფთარს ხედავ, ისე მივარდები, რომ არც მელოდები, სანამ შუბით განვგმირავდე მას. ჩემი მბრძანებელი ღმერთები კი ძალიან აყოვნებენ. ასე რომ, მე ჩემით უნდა მივაღწიო საწადელს. შენ კი, — მიმართა მამის ქანდაკებას, — შენ კი მომეხმარე!

პააკერს ეს მონოლოგი შემოსულმა ზანგებმა შეაწყვეტინეს, რომლებმაც ვახშამი შემოუტანეს. ნაირ-ნაირ საჭმელს რომ შეხედა, დაიყვირა:

— რამდენჯერ უნდა გიბრძანოთ, რომ ამდენნაირ საჭმელს ნუ მიმზადებთ?! მე ერთი მაძღრისი და მსუყე კერძიც მეყოფა. ღვინო?

— შენ ხომ ღვინოს არასდროს არ სვამ, — შეჰბედა მოხუცმა ზანგმა.

— მართალია, მაგრამ დღეს წყურვილი მინდა მოვიკლა. იმ ძველი ჭურიდან მომიტანე, რომელშიც კაენკემური[67] წითელი ღვინო ასხია,

გაკვირვებულმა მონებმა ერთმანეთს გადახედეს. მოუტანეს ღვინო და პააკერიც სასმელს მიეძალა, ფიალას ფიალაზე სცლიდა. როცა მონები ოთახიდან გავიდნენ, მათგან ყველაზე გამბედავმა თქვა:

— ჩვეულებრივ ჩვენი პატრონი თქვლეფავს ლომივით და სვამს ბუზივით, მაგრამ დღეს კი პირიქით...

---

[67] კაენკემი — ადგილი საფეხურებიანი პირამიდის მახლობლად საკარას ველზე მემფისის ნეკროპოლში, სადაც, ეტყობა, ჯერ კიდევ უძველეს დროში ეწოდნენ მეღვინეობას, რამეთუ კაენკემური წითელი ღვინო ხშირადაა ნახსენები წყაროებში. (ავტ. შენიშვნა).

— ენა დააყენე! — მიუგო მეორემ, — უმჯობესია, ეზოში წავიდეთ და ლუდი ვსვათ, რომელიც პააკერმა გაიმეტა ჩვენთვის. ის ნამდვილად ხატორებს შეხვდა დღეს!

უთუოდ დღევანდელმა ამბებმა თავგზა აუბნიეს მახორს, არადა, რამზესის მეომართა შორის ერთ-ერთი უფხიზლესი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო სიმთვრალე, და ყოველთვის ერიდებოდა ამხანაგებთან ნადიმობას, პააკერი ახლა მარტო იჯდა სუფრასთან შუაღამისას და კისრის მოწყვეტამდე სვამდა.

ბოლოს და ბოლოს, თავს ძალა დაატანა, წამოდგა, საწოლთან მივიდა და სწრაფად გადასწია ფარდა, რომელიც საწოლის თავთან არსებულ ნიშს ფარავდა. იქ იდგა შეფერადებული კირქვის ქანდაკება ღმერთქალ ხატორის ჯიღითა და სხვა განმასხვავებელი ნიშნებით. მისი სახე ძალიან ჰგავდა მენას მეუღლის სახეს, ოთხი წლის წინ ფარაონმა უბრძანა ერთ მოქანდაკეს გაეკეთებინა ღმერთქალის ქანდაკება, რომელსაც მისი მეეტლის ახალგაზრდა ცოლის ნაზი ნაკვთები ექნებოდა. პააკერმა დიდი წვალების ფასად ჩაიგდო ხელში ამ ქანდაკების ასლი.

და აი, ახლა ის თავის საწოლზე მუხლმოყრილი იდგა მის წინაშე და თვალები ცრემლებით ევსებოდა. მიიხედ-მოიხედა და დარწმუნდა რა, რომ ოთახში მარტო იყო, პააკერი დაიხარა და მისი სქელი, მოუხეშავი ტუჩები ქანდაკების ნაზ, ცივსა და უსიცოცხლო ბაგეს შეეხო. მერე დაიყვირა, ლამპები ჩააქრეთო, გაუხდელად მიეგდო ლოგინზე და იმწამსვე ჩაეძინა.

მთელი ღამე მოუსვენარი სიზმრები აწვალებდა. ხოლო გამთენიისას, როცა გარიჟრაჟი შემოიპარა, პააკერის მკერდიდან, რომელსაც მაჯლაჯუნა ახრჩობდა, ისეთმა სასოწარკვეთილმა ქვითინმა ამოხეთქა, რომ მის საწოლთან, ძაღლის

გვერდით მძინარე მოხუცი ზანგი შიშისგან წამოხტა, ხოლო ძაღლმა ხმამაღალი ყეფა ასტეხა. შიშისგან დამფრთხალი მოხუცი სახელით ეძახდა პატრონს, რათა გაეღვიძებინა. როგორც იქნა პააკერმაც გაიღვიძა. თავი ყრუ ტკივილისგან უსკდებოდა. საშინელი ზმანება ჯერ ისევ თვალწინ ედგა და ცდილობდა ყველაფერი დაემახსოვრებინა, რომ მერე რომელიმე ასტროლოგისთვის ეთხოვა სიზმრის ახსნა. მგზნებარე ოცნებების შემდეგ, წუხელ მოსვენება რომ დაუკარგეს, ძლიერ დაღლილად და გულდამძიმებულად გრძნობდა თავს.

თითქოს გაფრთხილებად ჩაესმოდა პააკერს ამონის ტაძრიდან მის ოთახში შემოღწეული დილის ჰიმნები. მაშინვე მტკიცედ გადაწყვიტა ხელი აეღო ცოდვილ ზრახვებზე, უარი ეთქვა შავი მაგიის საშინელ თილისმაზე და ხელახლა მიენდო ღმერთებისთვის თავისი ბედი.

ამის შემდეგ მიიღო აბაზანა, რითაც ჩვეულებრივ მისი დღე იწყებოდა. თბილ წყალში მჯდომი სულ უფრო ღრმად იძირებოდა ნეფერტზე ოცნებებში და ჯადოსნურ წამალზე ფიქრში: მოაგონდა, ჯერ არ უნდოდა ნეფერტისთვის წამლის მიცემა, მაგრამ მერე ხომ მაინც მისცა; ახლა, ვინ იცის, იქნებ სასმელმა უკვე დაიწყო მოქმედება.

სიყვარული ხასხასა ფერებით უხატავდა ყველაზე მაცდუნებელ სურათებს, ხოლო სიძულვილი სისხლისფერს აძლევდა მათ. მთელი ძალით ესწრაფოდა თავი დაეღწია ცდუნებისათვის, სულ უფრო მეტად რომ ეუფლებოდა; ჭაობში ჩავარდნილ ადამიანს ჰგავდა, რომელიც, რაც უფრო შეუპოვრად ფართხალებს, მით უფრო ღრმად იფლობა შიგ.

მზის ამოსვლისას დაუბრუნდა გამბედაობა და თვითრწმენა, ხოლო როცა ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი თავისი ოთახიდან გამოდიოდა, გუშინდელმა ვნებამ ახალი ძა-

ლით იფეთქა მასში. ისევ გადაწყვიტა, ღმერთებისთვის დახმარება აღარ ეთხოვა, და თუ საჭირო იქნებოდა, მათი ნების საწინააღმდეგოდაც ემოქმედა და ყველა ხერხი ეხმარა, ოღონდაც კი საწადელისთვის მიეღწია.

ახლა მახორმა საბოლოოდ აირჩია გზა, ხოლო გზიდან გადახვევა კი მას არ სჩვეოდა; უკან არასოდეს დაიხევდა, თუ დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ არჩეული გზა სწორია და უდავოდ მიიყვანს მიზნამდე.

თავი მეცხრე

მზე ზენიტში იყო. მისი სხივები ვერ აღწევდნენ საცხოვრებელი კვარტალების ვიწრო ჩრდილიან შუკებში, მაგრამ სამაგიეროდ ფარაონის სასახლისკენ მიმავალ, ფართო მოკირწყლულ გზაზე ისეთი ბუღი იდგა, რომ ამ დროს აქ ჩვეულებრივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

მაგრამ დღეს კი ამ გზაზე ფეხითმოსიარულეების, ეტლების, ცხენოსნებისა და ტახტრევნების ტევა აღარ იყო.

შიშველი ზანგები დროდადრო ტიკებით მოტანილი წყლით რწყავდნენ გზას, მაგრამ მტვერი მაინც ისეთ სქელ ფენად იდო, რომ, მიუხედავად მორწყვისა, ირგვლივ ყველაფერი მშრალ და გავარვარებულ ღრუბელში იყო გახვეული. ხალხი აქეთ არა მარტო ქალაქიდან მოიჩქაროდა, არამედ ნავსადგურიდანაც, სადაც მხოლოდ ნეკროპოლის მცხოვრებთა ნავები შემოდიოდნენ.

ფარაონის სასახლეში უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. ელვის სისწრაფით გავრცელებულმა ხმამ ერთდროულად შიში და იმედი გამოიწვია როგორც ღარიბების ქოხებში, ისე წარჩინებულთა სასახლეებში. დილით ადრე ფარაონის ბანაკიდან მოსული სამი ცხენოსანი მაცნე წერილებით[68] სავსე ტომრებით დატვირთული ცხენებიდან ვეზირის ეზოსთან ჩამოხტა.

---

[68] ეგვიპტელებს ძალიან უყვარდათ წერილების წერა, და მრავალმა მათგანმა ჩვენამდეც მოაღწია. ძველ ეგვიპტეში წერილის დამტარებლებიც კი არსებობდნენ. (ავტ. შენიშვნა).

როგორც ხანგრძლივი გვალვისგან განაწამები გლეხები შეჰყურებენ საავდრო ღრუბელს, რომელიც მაცოცხლებელი წვიმას მოიყვანს მათ მინდვრებში, მაგრამ ამასთან ერთად მეხისგან გაჩენილი ხანძრითა და ნათესების გამანადგურებელი სეტყვითაც ემუქრება, ისეთივე შიშნარევი იმედით ელოდნენ ქალაქელები იშვიათ და არარეგულარულ ცნობებს შორეული მხრიდან, სადაც ომი მძვინვარებდა. მთელ ამ უშველებელ ქალაქში ძნელად მოიძებნებოდა თუნდაც ერთი ოჯახი, საიდანაც ფარაონის არმიაში არ ყოფილიყო წასული მამა, შვილი, ძმა ან ახლობელი ნათესავი.

მაცნეებს უფრო ხშირად სამგლოვიარო ცნობები მოჰქონდათ, ვიდრე სასიხარულო. მათ მიერ ჩამოტანილ პაპირუსის გრაგნილებში გაცილებით მეტი ეწერა ჭრილობებსა და სიკვდილზე, ვიდრე წარმატებებსა, ფარაონის საჩუქრებსა და მოტაცებულ ნადავლზე. მიუხედავად ამისა, ომის ამბებს მაინც მოუთმენლად ელოდნენ და აღტაცებით ხვდებოდნენ.

მაცნეთა ჩამოსვლის დღეს ყველა, დიდი და პატარა, მოისწრაფოდა ვეზირის სასახლისკენ; ყოველთვის ჭედვა იყო მწერლების გარშემო, რომლებიც წერილებს არიგებდნენ და ხმამაღლა კითხულობდნენ საერთო შეტყობინებებს, მოკლულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიებს.

არაფერი ისე არ აწუხებს ადამიანს, როგორც ამბის უცოდინარობა, და ამიტომ, ჩვეულებრივ, უფრო მეტად ცუდ ამბავს ელოდება, ვიდრე კარგს. ამასთანავე, უბედურების ცნობა უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე სიკეთისა.

ვეზირი ანი ფარაონის სასახლის გვერდით, მინაშენში ცხოვრობდა. მისაღები გალერეა, რომელიც გარს ერტყა ფართო ეზოს, ეზოს მხრიდან მრავალი ღია სათავსისაგან შესდგებოდა. სწორედ ამ სათავსებში იყო მოთავსებული მწერ-

ლებისა და მათი უფროსების მთელი არმია. ეზოს სიღრმეში ვერანდისმაგვარი ნაგებობა იყო აღმართული, რომლის სახურავი სვეტებს ეყრდნობოდა. აქ, როგორც წესი, ხდებოდა სამართლისა და სასჯელის ქმნა, ანი იღებდა მოხელეებს, მაცნეებსა და მთხოვნელებს.

და, აი, დღესაც ყველას დასანახად დიდკაცურად დაბრძანებულიყო ტახტზე, რომელიც ძვირფასი ქვებით იყო მორთული და ყოველი მხრიდან კარგად გამოსაჩენ ადგილზე იდგა. მრავალრიცხოვანი ამალით გარშემორტყმული თვალს ავლებდა მოზღვავებულ ხალხს. გრძელი ჯოხებით შეიარაღებული გუშაგები ჯგუფ-ჯგუფად უშვებდნენ ხალხს მაღალი ჭიშკრით[69] ეზოში და მერე უკან აცილებდნენ გასასვლელამდე.

მეტად არასასიხარულო სანახაობა გადაეშალა ვეზირს თვალწინ. მწერლების გარშემო თავმოყრილი ხალხის თითოეული ჯგუფიდან დარდისა და მწუხარების შეძახილები მოისმოდა. ძალიან ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელთაც შეეძლოთ მათი ნათესავის მიერ მიღებული ნადავლით ეტრაბახათ.

აქ შეკრებილ ადამიანთა უმრავლესობა თითქოს სევდისა და ცრემლებისგან ნაქსოვ უხილავ ქსელში იყო გახლართული.

დარდისგან გულმოკლული მამაკაცები თავში იცემდნენ ხელებს, ხოლო ქალები ტანსაცმელს იგლეჯდნენ და საბურველთა ქნევით მიდამოს აყრუებდნენ საცოდავი კივილით:

---

[69] მაღალი ჭიშკრები (ასევე მაღალი სახლი, დიდი სახლი) — ძველი ეგვიპტური „პერ-ო“-ს თარგმანი (აქედან ძველი ებრაულით ფარაო და ფარაონი), ანუ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება. ეს სახელწოდება ჯერ კიდევ ძველად აღმოცენდა, როცა თავშეყრისა და სამსჯავროს ადგილად ქალაქის კარიბჭის, ხოლო მოგვიანებით, სასახლის წინ მდებარე მოედნებს იყენებდნენ.

„ვაი, ჩემო საცოდავო ქმარო!“ — „საცოდავო მამაჩემო!“ — „ვაი, ჩემო ძმაო!“

მშობლები, რომლებიც შვილების დაღუპვის ცნობას მიიღებდნენ, ერთმანეთს ტირილით ეხვეოდნენ. თმებს იგლეჯდნენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მოხუცები. ახალგაზრდა ქალები მუშტებს ირტყამდნენ სახეში და გულში ანდა მწერლებს მივარდებოდნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ სიაში სამუდამოდ დაკარგული საყვარელი ადამიანების სახელები.

იქ, სადაც ხმამაღალი ვიშვიში ისმოდა, პატარა კაცუნა ტრიალებდა, რომელიც დაუღალავად გადადიოდ-გადმოდიოდა ჯგუფიდან ჯგუფში. ეს იყო ქათუთის ჯუჯა — ნემუ.

აი, ის შეჩერდა ატირებულ ქალთან, შეძლებულთა ფენას რომ ეკუთვნოდა. მას ქმარი უკანასკნელ ბრძოლაში დაღუპვოდა.

— კითხვა თუ იცი? — ჰკითხა ჯუჯამ ქალს. — იქ ზემოთ, არქიტრავზე, დაწერილია რამზესის სახელი ყველა მისი ტიტულიანად. „სიცოცხლის მომნიჭებელს“ უწოდებს იგი თავის თავს. აბა, კი! ამით იმის თქმა უნდა, რომ შეუძლია ახლის შექმნა, რა თქმა უნდა, ქვრივების „შექმნა“ მისთვის ადვილია, თუ ყველა მამაკაცს სასიკვდილოდ გააგზავნის.

სანამ გაკვირვებული ქალი პასუხს მოიფიქრებდა, ის უკვე დარდით განადგურებულ მოხუცთან გაჩნდა, ტანსაცმელში სწვდა და უთხრა:

— მთელს თებეში არავის უნახავს უფრო ლამაზი და ჯანღონით სავსე ახალგაზრდები, ვიდრე შენი დაღუპული ვაჟები იყვნენ. შენი უმცროსი შვილიც შიმშილით მოკალი ან ცემით დაასახიჩრე, თუ არადა მასაც სირიაში უკრავენ თავს. რამ-

ზესს ახლა ბევრი ახალი ეგვიპტური ხორცი სჭირდება სირიელი ძერებისთვის.

მოხუცმა, რომელიც აქამდე მორჩილად იტანდა თავს დატეხილ უბედურებას, გაშმაგებით მუშტები მოკუმშა, ჯუჯამ კი ვეზირზე ანიშნა და უთხრა:

— სამეფო კვერთხი მას რომ სჭეროდა ხელში, ნილოსის პირას ნაკლები ობოლი და მათხოვარი იქნებოდა. წმინდა მდინარის წყალი ჯერჯერობით მტკნარია, მაგრამ ამდენი ცრემლისგან ალბათ მალე გამლაშდება.

თითქოს ვეზირმაც გაიგონაო ეს სიტყვები: უეცრად ტახტიდან წამოდგა და ხელები მაღლა აღაპყრო, თითქოს მასაც უბედურება დაატყდა თავს.

იქ მყოფთა უმრავლესობამ შეამჩნია მისი მოძრაობა და უცბად საშინელი ქვითინი გაისმა უშველებელ ეზოში, რაც მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რადგან გუშაგებმა მაშინვე გამოიყვანეს ხალხი ეზოდან, რათა ადგილი გაენთავისუფლებინათ ჭიშკართან მომლოდინე სხვა მთხოვნელებისთვის.

სანამ ახალშემოსულები მწერლების გარშემო ირეოდნენ, ამალით გარშემორტყმული ანი მშვიდად და ღირსეულად დაბრძანდა ტახტზე და მოემზადა მთხოვნელთა მისაღებად.

ანი უკვე ორმოცდაათი წლის კაცი იყო. ის ბიძაშვილად ერგებოდა ფარაონ რამზესს.

რამზეს I, მეუფე ფარაონის პაპამ, კანონიერი დინასტია ჩამოაგდო ტახტიდან და ძალით დაეუფლა სამეფო კვერთხს. ჩამომავლობით ის სემიტური ოჯახიდან იყო, რომელიც ჰიქსო-

სების[70] განდევნის შემდეგ ეგვიპტეში დარჩა და თავისი საომარი საგმირო საქმეებით სახელი გაითქვა თუტმოსისა და ამენხოტეპის დროს. მისი სიკვდილის შემდეგ სამეფო კვერთხი მემკვიდრეობით მისი შვილის სეთის ხელში გადავიდა, რომელმაც, ტახტზე თავისი უფლებების გასამტკიცებლად ამენხოტეპ III შვილიშვილი ტუა შეირთო ცოლად. მათ შეეძინათ ვაჟი და პაპის სახელი რამზესი დაარქვეს. ამ მემკვიდრე უფლისწულს, რომლის დედა ჩამომავლობით კანონიერი სამეფო სახლიდან იყო, სრული უფლება ჰქონდა პრეტენზია განეცხადებინა ტახტზე, რადგან ეგვიპტეში დიდგვაროვანთა და თვით ფარაონების წარმოშობას არა მარტო მამის, დედის მხარეც განსაზღვრავდა.

სეთიმ რამზესი თავის თანამმართველად[71] გამოაცხადა, რათა ამ გზით მოესპო ყოველგვარი ეჭვები ტახტზე მისი უფლების კანონიერებაში. თავისი მეუღლის ტუას ყრმა ძმისწული, მომავალი ვეზირი ანი, რომელიც მხოლოდ ორი წლით იყო უმცროსი რამზესზე, მან აღსაზრდელად სეთის სახლში მიაბარა და ღვიძლი შვილივით ეპყრობოდა, მაშინ როცა დამხობილი დინასტიის ყველა სხვა წევრს ჩამოართვეს ქონება ან მოკლეს.

ანი სეთისა და მისი მემკვიდრის ერთგული მსახური გახდა. მეომარი და დიდსულოვანი რამზესი, როგორც ღვიძლ ძმას, ისე ენდობოდა მას, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მის ძარღვებში გაცილებით ნაკლები იყო წმინდა მეფური სის-

---

[70] ჰიქსოსები — მეომარი მომთაბარე ტომი, რომელიც ცხოვრობდა წინა აზიასა და არაბეთის ნახევარკუნძულზე.

[71] სეთი I (მისი წარწერის თანახმად) თავისი შვილი რამზეს II თანამმართველად გამოაცხადა ჯერ კიდევ მისი დაბადებისას, რამაც ამ უკანასკნელს ტრაბახით ათქმევინა ერთ-ერთ წარწერაში აბიდოსში, რომ „მეფე აკვანშივე გახდა“.

ხლი, ვიდრე მისი ბიძაშვილის ანის ძარღვებში. მიიჩნევდნენ, რომ ეგვიპტის ფარაონთა დინასტიები მზის ღმერთ რასაგან მომდინარეობდა, და ფარაონ რამზესს შეეძლო ეამაყა ასეთი მაღალი წარმომავლობით მხოლოდ დედის მხრიდან, მაშინ როცა ანი სამეფო გვარს მიეკუთვნებოდა როგორც მამის, ისე დედის მხრიდანაც.

მიუხედავად ამისა, რამზესი დიდკაცურად იჯდა ტახტზე, მტკიცედ ეპყრა ხელთ სამეფო კვერთხი, ხოლო მისმა ცამეტ-მა ვაჟიშვილმა საუკუნოდ უზრუნველჰყვეს მისი გვარის მბრძანებლობა ეგვიპტეში.

როცა საგმირო საქმეებით სახელმოხვეჭილი მამის სიკ-ვდილის შემდეგ რამზესი საბრძოლო დიდების საძებნელად ჩრდილოეთში წავიდა, თავის ვეზირად ანი დანიშნა, რომე-ლიც იმ დროს კუშის პროვინციის მმართველი იყო.

მგზნებარე ხასიათის ადამიანები ხშირად გადაჭარბებით აფასებენ მშვიდ და თავდაჭერილ ადამიანს. ვერ წარმოუდგე-ნიათ საკუთარი თავი მათ ადგილას, არ ძალუძთ შეიგრძნონ მათი დადებითი თვისებები. სწორედ ასე მოუვიდა მეომარ და დაუდგრომელ რამზესს, როცა თავდაჭერილმა და გულცივმა ანიმ აიძულა ღრმა პატივისცემით გამსჭვალულიყო მის მი-მართ.

ანი ისეთ კაცს ჰგავდა, სრულებით რომ არ გააჩნია არც პა-ტივმოყვარეობა და არც ფხიანობა. როცა მაღალი პოსტი შეს-თავაზეს, მან მეტად უხალისოდ მიიღო იგი. გარდა ამისა, რამ-ზესი ანის საშიშ მოწინააღმდეგეთაც არ თვლიდა, რადგან ანის ცოლისა და შვილის დაკარგვის შემდეგ აღარავინ დარ-ჩა.

ანი საშუალოზე ცოტა მაღალი იყო, არაჩვეულებრივად სწორი, ლამაზიც კი, მაგრამ ამასთან ერთად უმეტყველო და

ნაკლებმოძრავი სახე ჰქონდა. ღია ნაცრისფერი თვალები და თხელი ტუჩები არაფრით არ ამჟღავნებდნენ მისი ბუნების თავისებურებას. პირიქით, მის სახეს ნიადაგ ანათებდა მშვიდი ღიმილი: ხან სუსტი და ხან მკაფიო — ხშირად სხვადასხვა ელფერიც კი გადაჰკრავდა, მაგრამ არაფერს არ შეეძლო მთლიანად წაეშალა ეს ღიმილი ამ კაცის სახეზე.

გულთბილად მოუსმინა ერთ მიწათმფლობელს, რომლის საქონელიც ფარაონის არმიისათვის გარეკეს, და აღუთქვა, ამ საქმეს გამოვიძიებო. მოჩივარი დაიმედებული გაისტუმრა, მაგრამ, როცა ვეზირის ფეხთით მჯდომმა მწერალმა ჰკითხა, ვისთვის დაევალებინა ამ საქმის გამოკვლევა, ანიმ უპასუხა:

— ყველამ უნდა ზიდოს ომის ტვირთი — ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

ქვეყნის სამხრეთით მდებარე სუანის ნომარქოსმა მოითხოვა სახსრები ნომისათვის[72] სასიცოცხლოდ აუცილებელი ახალი ჯებირის ასაგებად. ვეზირმა დიდი გულისხმიერებითა და თითქოს მღელვარებითაც მოუსმინა, მერე კი დ რწმუნება დაუწყო, რომ ომი შთანთქავს სახელმწიფოს მთელ სახსრებს, სალაროები დაცარიელდა, მაგრამ ის მზადაა გაიღოს საკუთარი შემოსავლის ნაწილი, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი, რათა საფრთხისგან გადაარჩინოს თავისი ერთგუ-

---

[72] ნომი — ოლქის ბერძნული სახელწოდება ძველ ეგვიპტეში. თავდაპირველად ნომი შედგებოდა სასოფლო თემებისგან, რომელთაც სათავეში ედგა არჩეული უხუცესი. ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ (დაახლოებით 3000 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ნომი ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული გახდა, ხოლო ნომის მმართველი ნომარქოსი — ფარაონის ნაცვალი. თითოეულ ნომს ჰქონდა თავისი ადგილობრივი რელიგიური კულტი და ინარჩუნებდა გარკვეულ სამეურნეო დამოუკიდებლობას. ნომარქოსის გამგებლობაში შედიოდა ფინანსები, სასამართლო და ტაძრები, გარდა ამისა ის თვალყურს ადევნებდა ადგილობრივ საირიგაციო ნაგებობებს და მეთაურობდა სამხედრო რაზმებს.

ლი სუანის ნომის ნათესები; მის მცხოვრებლებს კი უთვლის საუკეთესო სურვილებს.

ხოლო ნომარქოსის წასვლისთანავე ვეზირმა განკარგულება გასცა სახელმწიფო ხაზინიდან გაეცათ საკმაო თანხა და მისი სახელით გაეგზავნათ მთხოვნელისათვის.

მთხოვნელებთან საუბრისას ვეზირი ანი დროდადრო ტახტიდან ადგებოდა ხოლმე და დარდით განადგურებული ადამიანის პოზას მიიღებდა, რათა ეჩვენებინა უბედურთათვის, თუ რა ღრმად თანაუგრძნობდა მათ.

მზე უკვე გადაიხარა, როცა ხალხში, მწერალს რომ ეხვეოდა გარს, უეცრად ჩოჩქოლი ატყდა, აქა-იქ ხმამაღალი ყვირილიც მოისმოდა.

მამაკაცებისა და ქალების უმრავლესობამ ყველა მხრიდან ერთ ადგილას მოიყარა თავი, და ყველაზე თავდაჭერილი თებელებიც კი დაინტერესდნენ, რა ხდებოდა იქ.

სასახლის გუშაგებმა გაფანტეს მყვირალა ბრბო, ხოლო ლიბიელ მეომართა რაზმს ვიღაც პატიმარი მიჰყავდათ ეზოს გვერდით ჭიშკრისკენ. რაზმი ჭიშკრამდეც არ იყო მისული, რომ მათ ვეზირის მიერ ამბის გასაგებად გამოგზავნილი მწერალი წამოეწიათ.

ლიბიელ მეომართა მეთაური ტახტთან მივიდა.

აღშფოთებისგან აკანკალებულმა მოახსენა ანის, რომ პატარა კაცუნა, ქალბატონ ქათუთის ჯუჯა, მთელი დღის განმავლობაში ეზოში დაყიალობს და ხალხს მეამბოხური სიტყვებით უწამლავს სულს.

ანიმ განკარგულება გასცა, ის „თვალებდავსებული“, ასე უწოდა მან ჯუჯას, დილეგში ჩაეგდოთ. მაგრამ, როგორც კი რაზმის მეთაური წავიდა, ანიმ თავის ერთ-ერთ მწერალს უბრძანა, მზის ჩასვლამდე ჯუჯა მასთან მიეგვარათ.

როცა ვეზირი ამ განკარგულებას იძლეოდა, ხალხი ხელახლა აჩოჩქოლდა. იმ ზღვასავით, რომელიც ბიბლიურ თქმულებაში ისრაელების წინ გაიპო და „წყალი კედელივით დადგა მათ მარჯვნივ და მარცხნივ“, ხალხი უნებლიეთ, თითქოს რაღაც ბრძანებას დაემორჩილაო, შუაზე გაიყო და ფართო გასავლელი წარმოქმნა. ამ გასავლელში, ხალხის ლოცვა-კურთხევითა და რამდენიმე წმინდა მამის თანხლებით, მოაბიჯებდა საზეიმოდ შემოსილი მთავარი ქურუმი.

ვეზირი მის შესახვედრად გაემართა, თავი დახარა ამენის წინაშე, და სულ მალე ორივენი დარბაზის სიღრმეში გაუჩინარდნენ.

— მაშ ასე, წარმოუდგენელია, მაგრამ მაინც უნდა მოხდეს, — თქვა ამენიმ, — მიწათმოქმედთ, ვინც ჩვენი ტაძრების ადგილ-მამულებს ამუშავებს, ნაბრძანები აქვთ ომში წავიდნენ.

— რამზესს მეომრები გამარჯვებისთვის სჭირდება, — მიუგო ვეზირმა.

— ჩვენ კი პური გვინდა არსებობისთვის! — წამოიყვირა ქურუმმა. — და მიუხედავად ამისა, ნაბრძანები მაქვს დაუყოვნებლივ, ესე იგი მკის დაწყებამდე, მეომართა რიგებში გავიწვიო ყველა ტაძრის მიწათმოქმედი. თუმცა მე ძალიან ვწუხვარ, ასეთი ბრძანება რომ მოვიდა, მაგრამ რას იზამ, ფარაონი ხომ ძალაუფლებაა, მე კი — მხოლოდ მისი შემსრულებელი მარჯვენა.

— მარჯვენა, რომელიც მას სურს გამოიყენოს ათასი წლის წინანდელი უფლებების დასარღვევად და გზა გაუხსნას უდაბნოს ნაყოფიერი მიწებისკენ.

— თქვენი მინდვრები დიდხანს არ დარჩება დაუმუშავებელი. რამზესი გაზრდის თავის არმიას და ღმერთების შემწეობით მალეც გაიმარჯვებს.

— ღმერთების, რომლებსაც ის შეურაცხჰყოფს!

— ეჭვი არ მეპარება, ზავის დადების შემდეგ ფარაონი უხვი საჩუქრებით მოულბობს მათ გულს. ის მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ომი ჩქარა დამთავრდება და როგორც მწერს, გადაწყვეტილი ჰქონია პირველი ბრძოლის მოგებისთანავე ზავი შესთავაზოს ხეთებს. იმასაც ამბობენ, ფარაონს ხელმეორედ დაქორწინება განუზრახავსო, ამჯერად, ხეთების მეფის ხეთაზარის ქალიშვილზე.

— მერედა, შენ რას იტყვი ამაზე?

— აი, რას ვიტყვი, — უპასუხა ამენიმ და მის მკაცრ ხმაში მოულოდნელად ეშმაკური კილო გაისმა. — მე ვიტყვი, რომ რამზესს, ჩემი აზრით, მამიდაშენის და დედამისის სისხლი, რაც ტახტის დაკავების უფლებას ანიჭებს ჩვენს ქვეყანაში, არც ისე წმინდა და შეურეველი ჰგონია.

— კი, მაგრამ, ეს ხომ მზის ღმერთის სისხლია!

— და ამ სისხლის მხოლოდ ნახევარია მის ძარღვებში, მაშინ როდესაც შენი მეფური სისხლი წმინდაა და შეურეველი.

ვეზირმა გამაფრთხილებლად ასწია ხელი; გაფითრებულ სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა. მან ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ჩვენ მარტონი არა ვართ.

— აქ ისეთი არავინ მეგულება, ვისაც უფლება არა აქვს, რომ გვისმენდეს. თუმცა ის, რაც მე ვთქვი, ბავშვმაც კი იცის, — მიუგო ამენიმ.

— კი მაგრამ ეს რომ ფარაონის ყურამდე მივიდეს, მაშინ... — ჩაიჩურჩულა ვეზირმა.

— მაშინ ის მიხვდება, რომ უგუნურებაა იმათი უძველესი უფლებების ხელყოფა, ვისაც ხელეწიფება შეამოწმოს ამ ქვეყნის მბრძანებლის სისხლის სიწმინდე. რამზესი ჯერჯერობით

ღმერთ რას ტახტზე ზის და ამიტომაც გადმოუვლენენ ღმერთები აყვავებას მის სამეფოს, ხოლო მას კეთილდღეობას და ძალას სჩუქნიან!

ვეზირმა თავი დახარა, მერე კი ჰკითხა:

— აპირებთ თუ არა დაემორჩილოთ ფარაონის ბრძანებას?

— მაშ რისი ფარაონია! ჩვენს საბჭოს, რომელიც უახლოეს დღეებში შეიკრიბება, მხოლოდ ის შეუძლია გადაწყვიტოს, თუ როგორ უნდა დავემორჩილოთ მის ბრძანებას, და არა ის, დავემორჩილოთ თუ არა საზოგადოდ მას.

— მაშასადამე, თქვენ საქმეს აჭიანურებთ და ფარაონს არ უგზავნით მიწის მუშებს, თუმცა რამზესს დაუყოვნებლივ სჭირდება ისინი. სისხლისმღვრელი ომი ახალ იარაღს მოითხოვს.

— ქვეყნიერებას კი ახალი ბატონ-პატრონი ესაჭიროება, რომელიც ჩვენი ქვეყნის შვილებს მის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ჩვენ ღმერთ რას ჭეშმარიტი შთამომავალი გვჭირდება!

ვეზირი ქანდაკებასავით იდგა მთავარი ქურუმის წინ, ამენიმ კი თავისი მოღუნული კვერთხი ისე დახარა მის წინაშე, თითქოს ღვთაება ყოფილიყოს, და კარისკენ გაემართა.

ანი რომ წამოეწია, სახეზე კვლავ ჩვეული მშვიდი ღიმილი დასთამაშებდა, და იგი ღირსეულად დაბრძანდა ტახტზე.

— შენ ყველაფერი თქვი? — ჰკითხა მან მთავარ ქურუმს.

— ისღა დამრჩა სათქმელი, — უპასუხა მან ისე ხმამაღლა, თითქოს ყველა კარისკაცს მიმართავდა, — რომ ფარაონის ქალიშვილმა ბენტ-ანატმა გუშინ დიდი ცოდვა ჩაიდინა. საჭიროა ქვეყნის ყველა ტაძარში მსხვერპლშეწირვით შევთხოვოთ ღმერთებს მისი განწმენდა წაბილწვისაგან.

ვეზირს მოღიმარ სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. წამით ჩაფიქრებულმა თვალები დახარა და თქვა:

— ხვალ მე თვითონ მოვალ სეთის სახლში. მანამდე კი გთხოვ ნურაფერს წამოიწყებ.

ამენიმ თაყვანი სცა, ვეზირი დარბაზიდან გავიდა და თავისი პალატისკენ გაემართა, ფარაონის სასახლის გვერდით რომ იდგა.

მის მაგიდაზე პაპირუსის დაბეჭდილი გრაგნილები ეწყო. ანიმ იცოდა, რომ მათში მნიშვნელოვანი ცნობები იყო, მაგრამ წადილის დაოკება და თავშეკავების გამოცდა უყვარდა და იმ გურმანივით იქცეოდა, რომელიც ყველაზე გემრიელ ლუკმას ბოლოს იტოვებს.

თავდაპირველად ნაკლებად მნიშვნელოვანი წერილები გადაათვალიერა.

მის ფეხთით მჯდომი ყრუ-მუნჯი მსახური მაყალზე წვავდა ვეზირის მიერ მიწოდებულ გრაგნილებს. მწერალი ანის მოკლე შენიშვნებს იწერდა, რომელთა მიხედვითაც შემდეგ ადგენდნენ პასუხებს წერილებზე.

ბოლოს ვეზირმა ანიშნა მწერალს, მარტო დამტოვეო. აუჩქარებლად გახსნა ფარაონის პირველი წერილი. მინაწერის — „ჩემს ძმას ანის“ — მიხედვით ადვილი მისახვედრი იყო, რომ წერილი პირადია და არა ოფიციალური დოკუმენტი.

ვეზირმა კარგად იცოდა, რომ ამ წერილზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართებოდა შემდგომ მთელი მისი ცხოვრება.

ღიმმორეულმა, თითქოს სულიერ მღელვარებას საკუთარ თავსაც კი უმალავსო, გატეხა ცვილის ბეჭედი, რომელიც თვით ფარაონის ხელით დაწერილ მოკლე ბარათს კრავდა.

„ყველაფერი, რაც ეგვიპტესა და სახელმწიფოზე ჩემს საზრუნავს შეეხება, ისევე როგორც ომის მშვიდობიანი დამთავრება, — სწერდა ფარაონი, — მე უკვე შეგატყობინე ჩემი მწერ-

ლების პირით. ყველაფერი ქვემომოყვანილი კი ჩემს ძმას ეხება, რომელსაც სურს ჩემი შვილი გახდეს, და ამიტომ ამ სტრიქონებს ჩემი საკუთარი ხელით ვწერ. ჩემში არსებული ღვთიური მბრძანებლის სული ჩემი პირით ამბობს „კი“ ან „არა“ და ყოველთვის გადაწყვეტს ისე, როგორც აჯობებს. შენ ცოლად მთხოვ ჩემს საყვარელ ასულს ბენტ-ანატს და მე რამ-ზესი არ ვიქნებოდი, თუკი არ გამოგიტყდებოდი, რომ ჯერ კი-დევ არ მქონდა წაკითხული შენი წერილის ბოლო სიტყვები, რომ უყოყმანოდ წარმოვთქვი გადაწყვეტილი „არა“. მე ვბრძანე გამოეთხოვათ რჩევა ციური მნათობებისგან, შეეს-წავლათ მსხვერპლად შეწირული პირუტყვის შიგნეული, და ყველაფერი შენი თხოვნის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობდა. მაგრამ მე მაინც არ შემეძლო უარი მეთქვა, შენ ხომ ჩემთვის ძვირფასი ხარ და შენს ძარღვებში ისეთივე მეფური სისხლი ჩქეფს, როგორც ჩემსაში. შენი სისხლი უფრო წმინდაც კი არის ჩემსაზე, ეს ერთმა ძველმა მეგობარმა მითხრა, რომელ-მაც გამაფრთხილა, რომ მეტად პატივმოყვარე ყოფილხარ და შენი განდიდება ხიფათით მემუქრება. მაშინ ჩემს გულში მკვეთრი გარდატეხა მოხდა, მაგრამ მე სეთის შვილი არ ვიქ-ნებოდი, თუკი ამაო სიფრთხილის გულისთვის მეგობარს შე-ურაცხყოფას მივაყენებდი. ის კი, ვინც ისე მაღლა დგას, რომ გულად ადამიანებსაც კი ეშინიათ, ვაითუ მან თვით რამზესზე მაღლა მოინდომოსო დადგომა, ჩემის აზრით, ღირსია ბენტ-ანატისა. ეძიე მისი ხელი და თუ ის დაგთანხმდება გამოგყვეს ცოლად, მაშინ ჩემი დაბრუნებისთანავე გადავიხადოთ ქორ-წილი. შენ ჯერ იმდენად მოხუცი არა ხარ, რომ ქალს ბედნიე-რება ვერ მოუტანო. შენი სიმწიფე და სიბრძნე იხსნიან ჩემს შვილს განსაცდელისგან. დაე, ბენტ-ანატმა გაიგოს, რომ ფა-რაონმა, მისმა მამამ, კეთილგანწყობით მიიღო შენი თხოვნა,

შენ კი ხატორებს მსხვერპლი შესწირე, რათა მათ კეთილად განაწყონ შენს მიმართ ბენტ-ანატის გული, რომლის ნებასაც ჩვენ ორივენი დავემორჩილებით“.

წერილის კითხვის დროს ვეზირს რამდენჯერმე შეეცვალა სახე. ბოლოს მხრები აიჩეჩა, წერილი მაგიდაზე დადო, წამოდგა, ზურგით სვეტს მიეყრდნო და ფიქრს მიეცა. რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო პირქუში უხდებოდა სახე. „ეს თაფლით დამტკბარი აბია, რომელსაც ქალებს მიართმევენ ხოლმე“, — ჩაიბუტბუტა თავისთვის. ხელახლა მივიდა მაგიდასთან, ერთხელ კიდევ გადაიკითხა ფარაონის ბარათი და თქვა:

— დიახ, მისგან სწორედაც რომ ისწავლის კაცი, როგორ მისცეს თანხმობა და ამავე დროს უარიც უთხრას, თანაც იმასაც არ ივიწყებს, თავისი კეთილშობილებით მოიწონოს, თავი. რამზესი კარგად იცნობს თავის ასულს. ის ხომ ისევე, როგორც ყველა სხვა, არ გაჰყვება ცოლად მამისტოლა კაცს. რამზესი მწერს, რომ ჩვენ ორივე მის ნებას უნდა დავემორჩილოთო. დავემორჩილოთ! მერედა ვის? თავქეიფა გომბიოს.

ამის გაფიქრებაზე ისეთი გააფთრებით მოისროლა წერილი, რომ ის მაგიდაზე გასრიალდა და იატაკზე დავარდა. ყრუმუნჯმა მონამ აიღო და ბარათი ფრთხილად მაგიდაზევე დადო. ვეზირმა კი ამ დროს ლითონის ბურთულა ჩააგდო ვერცხლის ფიალაში. წკარუნის ხმაზე რამდენიმე მოხელე თავქუდმოგლეჯილი შემოვარდა ოთახში, და ანიმ ბრძანა ქალბატონ ქათუთის ჯუჯა მოეგვარათ მასთან. ფარაონზე გულმოსულს ბრაზი ახრჩობდა — რამზესს აქედან შორს, თავის სალაშქრო კარავში მჯდომს, ჰგონია, თითქოს დიდად გააბედნიერა თავისი მეფური წყალობით.

როცა ვინმეს მიმართ ბოროტი რამ გვაქვს განზრახული, იგი მტრად მიგვაჩნია და ასეთმა კაცმა ვარდიც რომ მოგვა-

წოდოს, გვგონია, სურნელებისთვის კი არა, ეკლისთვის გვაწ-ვდის. როცა ჯუჯა ვეზირთან მოიყვანეს, ის მუხლებზე დაეცა. ანიმ მოხელეებს უბრძანა წასულიყვნენ და ნემუს მიმართა:

— შენ მაიძულე დილეგში ჩამეგდე! ადექი!

ჯუჯა წამოდგა და თან ჩაილაპარაკა:

— დიდი მადლობა ყველაფრისთვის! დილეგისთვისაც მად-ლობა!

ვეზირმა გაკვირვებით შეხედა მას. ნემუმ კი მზაკვრულად განაგრძო:

— მეგონა, საფრთხე ემუქრებოდა, და შენ სიცოცხლე კი არ მომისწრაფე, პირიქით გამიხანგრძლივე კიდეც, რადგანაც დილეგში, მარტოობაში, დრო ნელა გადიოდა და წუთები სა-ათებად იქცა.

— შენი ოხუნჯობა ქალებისთვის შემოინახე, — მოუჭრა ვე-ზირმა. — რომ არ ვიცოდე, შენ ჩემთვის სიკეთე განდა და ქა-თუთის ნება-სურვილით მოქმედებ, ქვის სატეხში გაგიშვებდი.

ჯუჯამ ჩაიცინა.

— ჩემს ხელებს მხოლოდ შაშის ქვების გატეხა შეუძლიათ, მაგრამ ჩემი ენა კი იმ წყალსა ჰგავს, რომელსაც შეუძლია ზოგ მიწის მუშას სიმდიდრე მოუტანოს, ზოგს კი მთლად წა-ლეკოს ნათესები.

— ამ წყალს ჯებირებით მოვათვინიერებთ!

— ჩემს ქალბატონსა და შენ ის ყოველნაირად გეხმარებათ, — მიუგო ნემუმ. — მე დამწუხრებულ ქალაქელებს ვუხსნიდი, ვისი მიზეზით იღუპება მათი სისხლი და ხორცი, და ვისგან უნ-და ელოდნენ მშვიდობასა და ბედნიერებას. მე მარილს ვაყ-რიდი ჭრილობებზე და ხოტბას ვასხამდი იმ ექიმს, რომელიც მათ განკურნავდა.

— კი, მაგრამ, შენ ხომ წინდაუხედავად იქცეოდი და ყველაფერ ამას თვითნებურად აკეთებდი! — შეაწყვეტინა ვეზირმა. — თუმცა ის კი დაგვიმტკიცე, რომ მართლა შეგიძლია სასარგებლო იყო ჩვენთვის. სწორედაც ამიტომ მინდა მომავლისთვის შემოგინახო. მეტისმეტად თავგამოდებული მეგობარი აშკარა მტერზე უფრო საშიშია. როცა დამჭირდები, დაგიძახებ. ჯერჯერობით კი ენას კბილი დააჭირე, ახლა შენს ქალბატონთან წადი და ეს წერილი გადაეცი, რომელიც მის სახელზეა გამოგზავნილი.

— გაუმარჯოს მზის შვილს ანის! — წამოიძახა ჯუჯამ და ვეზირს ფეხებზე ემთხვია. — კი მაგრამ, განა ჩემს მბრძანებელთან — ნეფერტთან არ მატან წერილს?

— მას ჩემი სალამი გადაეცი, — უპასუხა ვეზირმა, — ქათუთის უთხარი, რომ ნასადილევს მოვინახულებ. ფარაონის მეეტლისგან წერილი არ არის, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, კარგად არის. ახლა კი გასწი! და იცოდე, კრინტი არსად დასძრა.

ჯუჯა გაუჩინარდა, ანი კი გრილი დარბაზისკენ გაემართა, სადაც დიდებული სადილი ელოდებოდა; მისთვის ნაირნაირი სანუკვარი საჭმელები მოემზადებინათ. მართალია, მადა დაკარგული ჰქონდა, მაგრამ მაინც ყველაფერს გემო გაუსინჯა და თან თითოეული კერძის თაობაზე თავისი შენიშვნები სახლთუხუცესს მოახსენა.

ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს ანის იმავე დროს ეფიქრა ფარაონის წერილზე, ბენტ-ანატზე და იმაზე, თუ რამდენად გონივრული იყო მასთან მაჭანკლის მიგზავნა, რომელიც შეიძლება უარითაც გამოესტუმრებინათ.

ნასადილევს მსახურმა გულდასმით გაპარსა, შეუღება წარბები და ტუჩები, ჩაცმაში მიეხმარა, მორთულობა ჩამოჭკიდა, შემდეგ კი სარკე მიაწოდა. დიდხანს უყურა ვეზირმა

სარკეში თავის ორეულს და როცა ტახტრევანში ჯდებოდა, რათა თავის მეგობართან ქათუთისთან წასულიყო, დაასკვნა, რომ ჯერ კიდევ ეთქმოდა ლამაზი მამაკაცი. ერთიც ვნახოთ და ბენტ-ანატის თანხმობა მიიღო!

ქათუთისკენ გული იმიტომ მიუწევდა, რომ მან ყოველთვის ჭკვიანური რჩევის მიცემა იცოდა და განსაკუთრებით კი იმ დროს, როცა ანი მერყეობდა და არ შეეძლო გადაწყვეტილების მიღება.

სწორედ მისი რჩევით იყო, ასე შეუპოვრად რომ ცდილობდა ანი ბენტ-ანატის თანხმობა მიეღო. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ქორწინების წყალობით უფრო მეტ პატივისცემას მიაღწევდა, შემოსავალს გაიზრდიდა და, რაც მთავარია, განიმტკიცებდა მდგომარეობას ქვეყნის მმართველობაში. იგი არასოდეს ყოფილა მოხიბლული მეფის ასულით უფრო მეტად, ვიდრე სხვა ნებისმიერი ლამაზი ქალით. ახლაც თვალწინ წარმოუდგა ეს ამაყი და კეთილშობილი ქალიშვილი, და მოწიწება იგრძნო იმ არსების წინაშე, რომელიც გაცილებით მაღლა იდგა მასზე. ვეზირს საკუთარ თავზე ბრაზი მოსდიოდა, ქათუთის რჩევა რომ დაიჯერა და ახლა საბაბს ეძებდა, თავიდან აეცილებინა ეს ქორწინება. ბენტ-ანატთან შეუღლება ახლა უზომოდ მძიმე ტვირთად ეჩვენებოდა. იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც ადამიანი, რომელიც ბრწყინვალე თანამდებობის მიღწევას ლამობს, მაგრამ წინასწარ იცის, რომ ეს თანამდებობა მის ძალ-ღონეს აღემატება, ან იმ პატივმოყვარე კაცს ჰგავდა, რომელსაც მეფის ტიტულს სთავაზობენ იმ პირობით, თუ არასოდეს მოიხდის თავიდან მძიმე გვირგვინს. თუმცა საქმე რომ სხვაგვარად წარმართულიყო... — და ანის თვალები აუელვარდა, — ბედის წყალობით ის რომ რამზესის ადგილას ყოფილიყო... მაშინ ბენტ-ანატთან ქორწინება მას

აღარ შეაშინებდა, რადგანაც ანი მისთვის ბატონიც და მბრძანებელიც გახდებოდა და ვერავინ გაბედავდა დაეჭვებას. იმაში, არის თუ არა ანი მისი ღირსი.

თავი მეათე

ზემოაღწერილი ამბების დროს ფარაონის მეეტლის მენას სახლშიც გამოცოცხლება იგრძნობოდა.

ეს სახლი წააგავდა მის მეზობლად მდგომ პააკერის სახლს, ოღონდ უფრო ძველი იყო. ჭრელი მოხატულობა სვეტებსა და კედლებზე გახუნებულიყო, ხოლო უშველებელი ბაღი მთლად გავერანებული იყო. მხოლოდ სახლის წინ გაშენებულ კვლებში გაფურჩქნულიყო ათასფერი ყვავილი. ღია გალერეა, სადაც ამჟამად ქათუთი და მისი ქალიშვილი იმყოფებოდნენ, მეფურად იყო მორთული.

იქ იდგა კოხტა მოჩუქურთმებული სპილოს ძვლის სკამები, აბანოზის მაგიდები და მდიდრულად ინკრუსტრირებული საწოლები მოოქრული ფეხებით. მაგიდაზე ნაირ-ნაირი, ოსტატურად ნახელავი სირიული ფიალები ეწყო; ლამაზ ლარნაკებში ყვავილები კიაფობდა, ალებასტრის ჭურჭლებიდან ნელსაცხებლების ნაზი სურნელება იფრქვეოდა, იატაკი კი ფაფუკი ხალიჩებით იყო მოფენილი.

ყველა ეს თითქოსდა უწესრიგოდ განლაგებული ნივთი საოცრად თვალწარმტაცი იყო და რაღაც განსაკუთრებული ძალით იზიდავდა ადამიანს..

სარეცელზე წამოწოლილი მშვენიერი ნეფერტი თეთრ აბრეშუმბეწვიან კატასთან თამაშით იყო გართული, ხოლო გვერდით მდგომი ზანგის გოგო მარაოს იქნევდა.

ამ დროს ნეფერტის დედა ქათუთი თავის ქნევით მიაცილებდა ჭიშკრისკენ თავის დასა და პააკერს.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ანუ, სხვა სიტყვებით, მენას ნეფერტზე დაქორწინების შემდეგ, მათ ორივემ პირველად გადმოაბიჯეს ამ სახლის ზღურბლზე და ძველი მტრობა თითქოსდა გზას უთმობდა გულითად თანხმობასა და მეგობრობას.

როცა პააკერი და დედამისი ბაღის ჭიშკართან ბროწეულის ბუჩქებს მიეფარნენ, ქათუთიმ უთხრა ქალიშვილს:

— ოჰ, განა გუშინ შეგვეძლო კი ამაზე გვეოცნება? იცი, მე მგონია პააკერს ისევ უყვარხარ.

ნეფერტი აენთო, კატას მარაო წამოარტყა და საყვედურით წამოიძახა:

— დედა!

ქათუთის გაეღიმა. ეს იყო ტანადი, კეთილშობილური შესახედაობის ქალი. მკვეთრი, მაგრამ მეტად ფაქიზი ნაკვთები და ცოცხალი თვალები ჯერ ისევ ალამაზებდნენ მის სახეს. ტანზე გრძელი, თითქმის იატაკამდე, მუქი ფერის ძვირფასი ქსოვილისგან ნატიფი სისადავით შეკერილი კაბა ეცვა. სამაჯურებს, ბეჭდებს, ყელსაბამებსა და გულსაკიდებს, რომლებითაც საერთოდ ეგვიპტელი ქალები, კერძოდ კი, მისი და და ქალიშვილი დიდი სიამოვნებით ირთვებოდნენ, იგი ყვავილებს არ-ჩევდა. მხოლოდ ერთადერთი უბრალო ჯიღა, როგორც მაღალი წარმომავლობის ნიშანი, დილიდან საღამომდე ამშვენებდა მის მეტისმეტად მაღალი, მაგრამ საოცრად სპეტაკ შუბლს. ეს ჯიღა გრძელ, მოლურჯო შავ თმას უმაგრებდა, რომელიც თავისუფლად ეყარა მხრებზე: ქათუთის არ უყვარდა რთული ვარცხნილობა, მაგრამ მის გარეგნობაში ყველაფერი, ყოველი წვრილმანიც კი გათვალისწინებული იყო. უბრალო ჯიღით, ყოველგვარი სამკაულის გარეშე, სადად ჩაცმული ეს ბანოვანი ყველგან თავდაჯერებით მოქმედებდა; ყველა ყურად-

ღებას აქცევდა, უფრო მეტიც, იყვნენ ადამიანები, რომლებიც მას ბაძავდნენ არა მარტო ჩაცმულობაში, არამედ მიხრა-მოხრაში და სიარულშიც კი.

ეს მაშინ, როცა ქათუთი მრავალი წელი გაჭირვებაში ცხოვრობდა და ახლაც არაფერი ებადა, სტუმარივით იყო სიძის სახლში და ამავე დროს მისი მამულების გამგებელიც. იგი ქალიშვილის გათხოვებამდე შვილებიანად დის, სეთხემის, სახლში ცხოვრობდა.

ქათუთი თავის ღვიძლ ძმაზე იყო გათხოვილი[73] და ძალიან ადრე დაქვრივდა. მფლანგველობისა და ფუფუნებისადმი მისწრაფების გამო მისმა მეუღლემ გაანიავა დიდი წილი თავისი ქონებისა, რომელიც ფარაონთა ახალმა დინასტიამ უბოძა.

პააკერის მამამ, ქათუთის სიძემ, დასავით მიიღო ქვრივი და მისი შვილები. ქათუთი ცალკე ცხოვრობდა პატარა სახლში, შემოსავალს მამულიდან ღებულობდა, რომელიც ძველმა მახორმა აჩუქა, და აღსაზრდელად სიძეს ჩააბარა თავისი ლამაზი და ქედმაღალი ვაჟიშვილი, რომელსაც მდიდარ ოჯახში განებივრებული ყმაწვილის ბატონკაცური ჩვევები ახასიათებდა.

მოხუცი პააკერის სიკეთე უთუოდ დამამცირებელი იქნებოდა ამაყი ქათუთისთვის, წყალობის სახით რომ მიეღო იგი. მაგრამ ნურას უკაცრავად! ქათუთის ღრმა რწმენით, მას უფრო ღირსეული მდგომარეობა შეეფერებოდა. ის მეტად განიცდიდა, როცა მის ქარაფშუტა ბიჭს ჯერ კიდევ სკოლაში ურჩევდნენ, სერიოზული პროფესია აერჩია, რადგანაც მომავალში მას მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და ძალღონის იმედი უნდა ჰქონოდა. ქათუთი შეურაცხყოფად თვლიდა აგრეთვე,

[73] და-ძმას შორის ქორწინება ძველ ეგვიპტეში დაკანონებული იყო. (ავტ. შენიშვნა).

როცა სიძე ურჩევდა უფრო მომჭირნე ყოფილიყო და მისთვის ჩვეული გულახდილობით შეახსენებდა ხოლმე თავის ხელმოკლეობასა და მომავალში თავისი შვილების გაჭირვებულ ცხოვრებას. ამ დროს ქათუთი რაღაც უცნაურ კმაყოფილებას განიცდიდა: ის წრფელი გულით არწმუნებდა თავის თავს, რომ მისი ახლობლები თავიანთი სიკეთით ვერ გამოისყიდიან მის შეურაცხყოფას. ყველაფერი ეს, უკეთესად რომ არ შეიძლება, ისე ასაბუთებდა, რომ ადამიანს ისე ადვილად არავინ შესძულდება, როგორც თავისი მწყალობელი, რომელსაც სიკეთით ვერ გადაუხდის.

ერთხელ, როცა სიძემ სთხოვა ქალიშვილის ხელი თავისი ვაჟისთვის, მიუხედავად ყველაფრისა, ქათუთიმ სიამოვნებით მისცა თანხმობა. ნეფერტი და პააკერი ერთად იზრდებოდნენ და გარდა ამისა ის ამ ქორწინებაში თავისი საკუთარი და შვილების ბედის უზრუნველყოფასაც ხედავდა. სულ მალე პააკერის მამის სიკვდილის შემდეგ მისი ქალიშვილის შერთვა მოინდომა ფარაონის მეეტლემ მენამ, და ქათუთიც უთუოდ უარს იტყოდა, თვით ფარაონს მხარი რომ არ დაეჭირა თავისი თანამებრძოლისა და საყვარელი ამხანაგისთვის.

ქორწილის შემდეგ ქათუთი ნეფერტთან ერთად მენას სახლში გადაბარგდა, ხოლო როცა მენა ომში წავიდა, ის მისი ვრცელი, მაგრამ ჯერ კიდევ მენას მამის დროინდელ ვალებში ჩავარდნილი მამულების გამგებლობას შეუდგა.

თითქოს თვით ბედისწერისგან ერგოო საზღაური ხანგრძლივი გაჭირვების წილ, მაგრამ ქათუთიმ ეს მხოლოდ თავისი თანდაყოლილი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გამოიყენა. ბრწყინვალედ აღჭურვა რა ვაჟიშვილი, მან იმდენს მიაღწია, რომ იგი ყველაზე წარჩინებულ ახალგაზრდა

მეეტლეთა რიგებში მიიღეს, ხოლო მისი ქალიშვილი ფუფუ-ნებით ცხოვრობდა.

როცა ვეზირი, მისი გარდაცვლილი ქმრის მეგობარი, გად-მოვიდა ფარაონის სასახლეში თებეში, ის ხშირად დადიოდა ქათუთისთან სტუმრად. ამ მარჯვე და შეუპოვარმა ქალმა ისე შეძლო მისი გულის მოგება, რომ ბოლოს და ბოლოს აუცი-ლებელიც კი გახდა ამ მოკრძალებული კაცისთვის.

სარგებლობდა რა იმით, რომ ის და ანი ფარაონთა ძველი დინასტიის მოდგმისა იყვნენ, ქათუთი ყოველნაირად აღვი-ვებდა მასში პატივმოყვარეობას და ისეთ მაცდუნებელ სურა-თებს უხატავდა, რაზედაც ანი, მის გაცნობამდე, გაფიქრება-საც კი ვერ გაბედავდა, რადგან ეს დანაშაულად მიაჩნდა.

ვეზირის ბენტ-ანატზე დაქორწინების სურვილიც ქათუთის ოინები იყო. მას იმედი ჰქონდა, რომ ფარაონი ანას უარს ეტ-ყოდა, პირად შეურაცხყოფასაც მიაყენებდა და, აი, მაშინ კი ქათუთის შესაძლებლობა ექნებოდა ანი იმ საშიშ გზაზე და-ეყენებინა, რომელსაც, დიდი ხანია, უმზადებდა მას.

ჯუჯა ნემუ მორჩილი იარაღი იყო თავისი ქალბატონის ხელში. ქათუთის სიტყვაც არ დასცდენია მასთან მომავალ გეგმებზე. ნემუს კი პირიქით, თავისი კადნიერი ლაპარაკით ხშირად გაუმხელია მისი იდუმალი აზრები, რისთვისაც მხო-ლოდ და მხოლოდ მარაოს მსუბუქი ჩარტყმით ისჯებოდა ხოლმე. გუშინაც აკი შეჰბედა და წამოაყრანტალა: ფარაონს რამზესი კი არა, ანი რომ ერქვასო, მაშინ ქათუთი დედოფალი კი არა, ქალღმერთი იქნებოდა და მაშინ აღარც ფარაონს და-ემორჩილებოდა, რომელიც აგრეთვე ღმერთებს მიეკუთვნე-ბა, არამედ პირიქით, წარმართავდა მის საქმიანობას.

აი, ახლაც, როცა ჭიშკარს თვალს არ აცილებდა და ჩაფიქრებული ბუტბუტებდა, ქათუთიმ ვერც კი შეამჩნია, როგორ გაწითლდა მისი ქალიშვილი.

— ნეტა სად დაიკარგა აქამდე ნემუ! ჩვენთვისაც ხომ უნდა ყოფილიყო წერილი ჯარიდან.

— რამდენი ხანია, მენას აღარ მოუწერია, — ჩუმად წარმოთქვა ნეფერტმა. — აგერ სახლთუხუცესიც!

ქათუთი გვერდითი კარიდან შემოსულ მსახურს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რაო, რაშია საქმე?

— ვაჭარი აბშა ახალი სირიული ეტლისა და მეწამული ქსოვილის საფასურს ითხოვს, ქალბატონო.

— გაყიდე ხორბალი და მიეცი! — უბრძანა ქათუთიმ.

— ეს შეუძლებელია. ჯერ ტაძრის შესაწირავიც არ გაგვისტუმრებია, და გარდა ამისა, ისედაც იმდენი გავყიდეთ, რომ, საეჭვოა, თავად გვეყოს ოჯახისთვის და თესლადაც.

— მაშინ პირუტყვით გადაიხადე.

— სადღაა ქალბატონო პირუტყვი? განა დღეს არ მივყიდეთ პააკერს მთელი ჯოგი?! — შეშინებული შეეპასუხა სახლთუხუცესი, — რა გვეშველება უცხენებოდ? წყლის ბორბალს ვინ დაგვიტრიალებს? პურეულიც გასალეწია.. და ამას გარდა შესაწირავი საკლავიც ხომ საჭიროა, სახლისთვის რძე, ერბო, ყველი, ნაკელი გასათბობად.[74]

ჩაფიქრებული ქათუთი იატაკს ჩააცქერდა და მიუგი:

— სულ ერთია ჩვენი გადასახდელია. ერმონტს წადი და ცხენსაშენის მმართველს უთხარი, მენას ათი ოქროსფერი ცხენი გამოგზავნოს.

---

[74] ტყით ღარიბ ეგვიპტეში წივა დღემდე გამოიყენება საწვავად.

მკითხველთა ლიგა

— მას უკვე ველაპარაკე, — უპასუხა სახლთუხუცესმა. — ის ირწმუნება, რომ მენამ სასტიკად აუკრძალა თუნდაც ერთი ცხენის გაცემა. როგორ ამაყობს იმ ცხენებით! მხოლოდ ქალბატონ ნეფერტის ეტლში...

— ის ვალდებულია მე დამემორჩილოს, — მტკიცედ წარმოთქვა ქათუთიმ. — ხვალვე ცხენები აქ იყოს.

— მმართველი მეტად ჯიუტი კაცია, მენა მას უბადლო მუშაკად თვლის და იცის...

— ამჟამად მბრძანებელი მე ვარ და არა ის, ვინც თებეში არ იმყოფება! — წამოიყვირა გულმოსულმა ქათუთიმ. — მე მოვითხოვ ცხენებს, თუნდაც ჩემი სიძის ბრძანების წინააღმდეგ.

ამ დროს ნეფერტმა წამოიწია თავის საწოლზე. ქათუთის ბოლო სიტყვების გაგონებაზე ადგა, წელში გასწორდა, და ისე მტკიცედ, რომ დედამისიც კი სახტად დარჩა, წამოიძახა:

— მე მოვითხოვ, რომ ჩემი ქმრის ბრძანება ზუსტად შესრულდეს. დაე, მისი საყვარელი ცხენები თავის ადგილზე დარჩნენ. აჰა, ეს სამაჯური აიღე — ფარაონის ნაჩუქარია; ოც ცხენზე ძვირი ღირს.

სახლთუხუცესმა ყურადღებით დაათვალიერა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სამაჯური და გაოცებულმა შეხედა ქათუთის. მანაც მხრები აიჩეჩა და თავი გააქნია.

— მიუტანე აბშას, გირაოდ აიღოს, სანამ მენასგან ნადავლს მივიღებდეთ. აგერ უკვე წელიწადი გახდა, სახეირო არაფერი გამოუგზავნია.

როცა სახლთუხუცესი წავიდა, ნეფერტი ისევ საწოლზე გაიშხლართა და გულდამძიმებულმა ჩაილაპარაკა:

— მე კი მეგონა, მდიდრები ვიყავით.

— დიახაც, შეგვეძლო ვყოფილიყავით მდიდრები, — მწარედ მიუგო ქათუთიმ, მაგრამ შეატყო თუ არა, რომ ნეფერტი

ხელახლა აპილპილდა, ალერსიანად განაგრძო: — ჩვენი მაღალი მდგომარეობა დიდ მოვალეობას გვაკისრებს. ჩვენს ძარღვებში სამეფო სისხლი სჩქეფს, და ხალხის მზერაც ფარაონის მეომართა შორის უბრწყინვალესი გმირის ცოლისკენაა მიმართული. არავის უნდა ვათქმევინოთ, რომ მეუღლე მას არაფრად აგდებს! კი მაგრამ, ნემუ სადღა დაიკარგა აქამდე?

— ეზოდან რაღაც ხმაური ისმის, — თქვა ნეფერტმა. — ალბათ ვეზირი მოვიდა.

ქათუთიმ ისევ ბაღისკენ გაიხედა. სწორედ იმ წამს აქოშინებული მონა შემოვარდა და აუწყა, რომ ბენტ-ანატი, ფარაონის ქალიშვილი, მათ სახლთან ეტლიდან ჩამოხტა და ძმასთან — რამერისთან ერთად აქეთ მოდიანო.

ნეფერტი უმალ წამოხტა საწოლიდან და დედასთან ერთად საპატიო სტუმრის შესახვედრად გაემართა. როცა ორივენი დაიხარნენ, რათა მეფის ასულის კაბის კალთას მთხვეოდნენ, ბენტ-ანატმა გვერდზე გაიწია და თქვა:

— შორს დადექით ჩემგან. ქურუმებმა ჯერ ვერ განმწმინდეს წაბილწვისაგან.

— და მიუხედავად ამისა, შენ ისეთივე წმინდა ხარ , როგორც ღმერთ რას თვალი! — შესძახა მეფის ასულის ჩვიდმეტი წლის ძმამ და და გადაჰკოცნა. ეს ყრმა სეთის სახლში იზრდებოდა და სულ მალე უნდა დაეტოვებინა ტაძარი.

— აი, ავდგები და ამენისთან ვუჩივლებ ამ ყაჩაღანას, — სიცილით თქვა ბენტ-ანატმა. — არ მომეშვა, გინდა თუ არა, უნდა გაგაცილოო. შენი ქმარი, ნეფერტ, ხომ ამისი იდეალია. მეც ერთი სული მქონდა, ვიდრე მოვიდოდით. კარგი ამბავი მოგიტანეთ.

— მენასგან? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა და ხელი გულზე მიიკრა.

— დიახ, მიხვდი, — უპასუხა ბენტ-ანატმა. — მამაჩემი ქებას ასხამს მის სიმამაცეს და გვწერს, რომ ნადავლის განაწილებისას მას უფლება ექნება პირველმა ამოირჩიოსო.

ნეფერტმა გამარჯვებულის იერით გადახედა დედას, რომელმაც შვებით ამოისუნთქა.

ბენტ-ანატმა ბავშვივით მოუთათუნა ხელი ლოყაზე ნეფერტს. შემდეგ ქათუთის მკლავი გამოსდო და ბაღის სიღრმეში გაიყვანა. მას დედა ადრე გარდაეცვალა, და ახლა ქათუთის რჩევა სჭირდებოდა ერთ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.

— მამაჩემი, — დაიწყო მან ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, — მწერს, რომ ვეზირ ანის ჩემი ცოლად შერთვა სურს და მირჩევს არ გავაწბილო ეს ღირსეული ადამიანი. ის მირჩევს, შენ გესმის, მირჩევს, კი არ მიბრძანებს.

— შენ რას ფიქრობ? — ჰკითხა ქათუთიმ.

— ანის უარი უნდა ვუთხრა! — უყოყმანოდ უპასუხა ბენტ-ანატმა.

— უარი უნდა უთხრა?

ბენტ-ანატმა გადაჭრით დაუქნია თავი და მიუგო:

— ეს დღესავით ნათელია ჩემთვის. სხვანაირად მე არ შემიძლია!

— მაშინ ჩემი რჩევა რაღად გინდა? მე ხომ კარგად ვიცი, შენ გადაწყვეტილებას თვით მამაშენიც კი ვერ შეგაცვლევინებს.

— და ყოვლისშემძლე ღმერთებიც კი, — მტკიცედ წარმოთქვა ბენტ-ანატმა. — შენ ანის მეგობარი ხარ, და რადგან მე უაღრესად პატივს ვცემ ამ კაცს, მინდოდა ამერიდებინა მისთვის დამცირება. შეეცადე დაარწმუნო ანი ხელი აიღოს თა-

ვის განზრახვაზე. მე კი თავს ისე დავიჭერ, ვითომ არაფერი ვიცი მამაჩემთან მისი წერილის შესახებ.

წამით ჩაფიქრებულმა ქათუთიმ თვალები დახარა, შემდეგ კი უთხრა:

— ვეზირი სიამოვნებით ატარებს ჩემთან თავისუფალ დროს, ვსაუბრობთ, ვთამაშობთ კიდეც, მაგრამ მერწმუნე, არც კი ვიცი, მაქვს თუ არა უფლება ესოდენ მნიშვნელოვან საქმეზე ჩამოვუგდო ლაპარაკი.

— ქორწინებაზე საუბარი — ქალების საქმეა, — გაუღიმა ბენტ-ანატმა.

— კი მაგრამ, ფარაონის ქალიშვილის ქორწინება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, — შეეპასუხა ქათუთი. — თუმცა ამ შემთხვევაში ბიძა ირთავს ცოლად ძმისშვილს. ის მისთვის ძვირფასია და ბიძას იმედი აქვს, რომ მისი მომავალი, რომელსაც შიშით შეჰყურებს, მეფის ასულის წყალობით უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე წარსული. ანი კეთილია და რბილი ხასიათი აქვს. მეუღლეს ნებისმიერ სურვილს შეუსრულებს და დიდი სიამოვნებითაც დაემორჩილება მის მტკიცე ნებას.

ბენტ-ანატს თვალები გაუბრწყინდა და მკვირცხლად წამოიძახა:

— სწორედ ეს გარემოება მაიძულებს გადაწყვეტილი უარი ვუთხრა. ნუთუ ფიქრობ, რომ რაკი დედაჩემის სიამაყე მომდგამს და მამაჩემივით გამბედავი ვარ, ისეთი ქმარი მჭირდება, რომელსაც დავიბრიყვებდი? ცუდად გიცნივარ! დაე, დამემორჩილონ ჩემი ძაღლები, მსახურები, მოხელეები და, თუ ღმერთები ინებებენ, ჩემი შვილებიც. მორჩილ მამაკაცებს, რომლებიც მზად იქნებიან ფეხები დამიკოცნონ, ვიშოვი, სადაც მინდა და შემიძლია ასობით ვიყიდო კიდეც, თუ მოვისურ-

ვებ, მონების ბაზარზე. ოცჯერ უნდოდათ ჩემი გათხოვება, და ოცივე სასიძო გავაგდე, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეშინოდა, ქედი არ მომახრევინონ-მეთქი, არამედ პირიქით, ვგრძნობდი, არ იყვნენ ჩემზე ძლიერები. კაცი, ვისი ცოლიც გავხდები, ჩემზე მაღლა უნდა იდგეს, ჩემზე ჭკვიანი, მტკიცე და უკეთესი უნდა იყოს. მაშინ მეც ავყვები მის აღმაფრენას, გავიცინებ საკუთარ სისუსტეზე და მოვიხიბლები მისი უპირატესობით.

ქათუთი ისეთი ღიმილით უსმენდა ქალიშვილს, როგორც მოწიფული და გამოცდილი ადამიანები იღიმებიან, რათა თავიანთი უპირატესობა დაამტკიცონ მეოცნებეთა წინაშე.

— ასეთი მამაკაცები მხოლოდ ძველად იბადებოდნენ, — უთხრა მან, — მაგრამ თუ შენ ასეთ სასიძოს ჩვენს დროში ელოდები, მაშინ ქალწულობის დალალების[75] ტარება მათ გაჭაღარავებამდე მოგიწევს. ჩვენი მოაზროვნენი სრულებითაც არ არიან გმირები, ხოლო ჩვენს გმირებს ბრძენები არ ეთქმით. გვეყოფა, აგერ შენი ძმა და ნეფერტი მოდიან.

— მაშ, შეეცდები დაიყოლიო ანი უარი თქვას ჩემს შერთვაზე? — ხელახლა ჰკითხა ბენტ-ანატმა.

— რა გაეწყობა, შევეცდები შენი სიყვარულის გულისთვის, — უპასუხა ქათუთიმ.

შემდეგ მეფის ასულთან ერთად მის ძმასაც მიმართა:

— სეთის სახლის მთავარი ქურუმი სიჭაბუკეში სწორედ ისეთი კაცი იყო, ახლა რომ ლაპარაკობდი, ბენტ-ანატ. გვითხარი, ნორჩი სიკომოროების ჩრდილში ნაზარდო, ოდესმე ჩრდილს რომ მოჰფენენ ამ ქვეყანას, რამზესის ძევ, შენი ამ-

---

[75] სამეფო სახლის ქალიშვილის განმასხვავებელი ნიშანი (უფრო გვიან კი ყველა წარჩინებული ოჯახიშვილისთვის), შემოკეცილი და ყვრიმალზე ჩამოშვებული თმის დალალი (ან ნაწნავი) იყო. ასეთივე დალალი აქვს ღმერთ ჰორე-ბავშვის ყველა გამოსახულებას. (ავტ. შენიშვნა.).

ხანაგებიდან ვინ შეგიძლია დააყენო ყველაზე მაღლა? არის თუ არა თქვენს შორის ერთი ყმაწვილი მაინც, გონიერებითა და ზრახვებით გამორჩეული?

ჭაბუკმა რამერიმ სიცილით უპასუხა:

— ჩვენ ყველა ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და მეტნაკლები ხალისით ვაკეთებთ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდეთ, სამაგიეროდ, დიდი სიამოვნებით ვაკეთებთ იმას, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ.

— ნუთუ სეთის სახლში არ მოიძებნება ისეთი ჭკუაგონების ახალგაზრდა, რომელიც შეძლებს გახდეს მეორე სნოფრუ,[76] თუტმოსი ან თუნდაც ამენი? — ხელახლა შეეკითხა ქვრივი.

— არის, — ახლა უკვე სერიოზულად და გადაჭრით მიუგო რამერიმ.

— ვინ?

— პოეტი პენტაური! — წამოიძახა ჭაბუკმა.

ბენტ-ანატი აენთო, მისი ძმა კი გატაცებით განაგრძობდა:

— პენტაური კეთილშობილი და ჭკვიანია, და როცა ლაპარაკობს, ყველა ღმერთი მეტყველებს მისი პირით. სხვის გაკვეთილებზე ძილი გვერევა ხოლმე, მაგრამ მისი მონათხრობი ყოველთვის ისე გვიტაცებს, რომ გასუსულები ვუსმენთ. თუმცა ზოგჯერ არ ძალგვიძს ჩავწვდეთ მისი აზრების სიღრმეს, მაინც აშკარად გვესმის, რომ ისინი მეტად ამაღლებულნი არიან და ჭეშმარიტებას შეიცავენ.

ბენტ-ანატს სუნთქვა შეეკრა და თვალს არ აცილებდა ძმას.

---

[76] სნოფრუ — III დინასტიის უკანასკნელი ფარაონი (მეფობდა 2780— 2680 წლებში ჩვ. წელთაღრიცხვამდე), ნახევრად ლეგენდარული მეფე, რომლის სახელთან იყო დაკავშირებული ძველი ეგვიპტის გმირული წარსული.

— შენ ხომ იცნობ მას, ბენტ-ანატ, — განაგრძობდა რამერი. — ის შენთან ერთად იყო პარასქიტის სახლში და ტაძრის ეზოშიც, როცა ამენიმ შენი წაბილწვის შესახებ გამოაცხადა. ის ღმერთ მონტუსავით[77] მშვენიერი და დიდებულია, და, ჩემის აზრით, ისეთ ადამიანებს განეკუთვნება, რომლებიც, საკმარისია, ერთხელ ნახოთ და მთელი ცხოვრება აღარ დაგავიწყდებათ. გუშინ კი, როცა შენ წახვედი, მჭევრმეტყველებით თავის თავსაც კი გადააჭარბა. მან გზნება შთაბერა ჩვენს სულებს. ნუ გეღიმება, ქათუთი, მე ახლაც კი ვგრძნობ როგორ მწვავს ეს გზნება. დღეს დილით კი გვაცნობეს, რომ ტაძრისგან განუშორებიათ, მაგრამ არც ვიცით, საით. მხოლოდ მოკითხვაღა შემოგვითვალა. ტაძარში ხომ საჭიროდაც არ თვლიან, გაგვაგებინონ, რა მოხდა, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტი ვიცით, ვიდრე ჩვენს დამრიგებლებს ჰგონიათ. ამბობენ, თითქოს საჭირო სიმკაცრით არ მოგეპყრო, ბენტ-ანატ, და ამისთვის დაითხოვესო სეთის სახლიდან. ჩვენ გადავწყვიტეთ ყველამ ერთად მოვითხოვოთ, რომ დაგვიბრუნონ იგი. ჭაბუკი ანანა ადგენს წერილის მთავარი ქურუმის სახელზე, და ყველა მოვაწერთ ხელს. ერთმა რომ დაწეროს, შავი დღე დაადგება, ყველას ერთად კი ვერაფერს დაგვაკლებენ. იქნებ გონს მოვიდნენ და დაგვიბრუნონ კიდეც. არადა, ჩვენს მამებთან ვიჩივლებთ — მათი სიტყვაც ხომ რაღაცას ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში!

— ეს ხომ ნამდვილი ამბოხებაა! — შესძახა ქათუთიმ. — ფრთხილად იყავით, ბიჭებო! ამენისა და სხვა წინასწარმეტყველებს ხუმრობა არ უყვართ.

---

[77] მონტუ — შავარდნისთავიანი ომის ღმერთი.

— არც ჩვენ, — გაიცინა რამერიმ. — და თუ პენტაურს არ დაგვიბრუნებენ, მამაჩემს ვთხოვ სხვა სკოლაში, ჰელიოპოლისში ან ხენუში გადამიყვანოს, და დანარჩენებიც მე მომბაძავენ. წავიდეთ, ბენტ-ანატ! მზის ჩასვლამდე სათაგურში უნდა დავბრუნდე, — მაპატიე, ქათუთი, ასე ვეძახით ჩვენს სკოლას. აი, თქვენი პაწაწა ნემუც მოდის!

და-ძმა ბაღიდან გამოვიდა. როგორც კი ქალებმა ჭიშკრამდე მიაცილეს და უკან გამობრუნდნენ, ბენტ-ანატმა გაცხარებით მოუჭირა ხელი ძმას მკლავზე და ჩასჩურჩულა:

— იცოდე, წინდაუხედავი ნაბიჯი არ გადადგა. თუმცა თქვენი მოთხოვნა სავსებით სამართლიანია და რითიც შემიძლია, დაგეხმარებით!

თავი მეთერთმეტე

როგორც კი ბენტ-ანატი ბაღის ჭიშკარში გამოვიდა, ჯუჯა ნემუ წერილით ხელში ქათუთისა და ნეფერტთან მავიდა. მან ისეთი ენამახვილობით უამბო თავისი თავგადასავალი, რომ ქალები დიდხანს იცინოდნენ და ქათუთიმ, რომელიც მუდამ აფრთხილებდა ჯუჯას, ამჯერად შეაქო კიდეც მისი მოხერხებულობა. შემდეგ, დახედა თუ არა ბეჭედს წერილზე, თქვა:

— დღეს ღირსშესანიშნავი დღეა, ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა მოგვიტანა და უფრო მეტს გვპირდება მომავალშიც.

ნეფერტი დედას ჩაეკრა და სთხოვა:

— ჩქარა გახსენი წერილი, ეგებ მისი ამბავიც შევიტყოთ.

ქათუთიმ ბეჭედი გატეხა, თვალი გადაავლო წერილს, ქალიშვილს ალერსიანად მოუცაცუნა ხელი ლოყაზე უთხრა:

— ჩანს, ეს წერილი შენმა ძმამ მის მაგივრად დაწერა — აქ მისი ხელით დაწერილი არც ერთი სიტყვა არ არის.

ნეფერტმა თვითონაც ჩახედა წერილს, თუმცა არც სურდა მისი წაკითხვა — მხოლოდ მისთვის კარგად ნაცნობ ქმრის ხელწერას ეძებდა.

როგორც ყველა წარჩინებულმა ეგვიპტელმა ქალმა, ნეფერტმაც კარგად იცოდა კითხვა. გათხოვების შემდეგ პირველი ორი წლის განმავლობაში ძალიან ხშირად აკვირვებდა და ახარებდა კიდეც ქმრის რკინისებრი ხელით ოკრობოკრო ნაწერი პაპირუსზე. თავად კი ყოველთვის მტკიცედ ეჭირა თავისი ნაზი თითებით ლერწმის კალამი. ნეფერტმა ერთხელ კიდევ გადახედა წერილს და აცრემლებულმა თქვა:

— არც ერთი სიტყვა. დედა, ჩემს ოთახში წავალ.

ქათუთიმ ნაზად აკოცა ქალიშვილს.

— ჯერ მოისმინე, რას იწერება შენი ძმა, — უთხრა მან.

მაგრამ ნეფერტმა უსიტყვოდ დაუქნია თავი და სახლისკენ წავიდა.

ქათუთის სიძე არ უყვარდა, სამაგიეროდ კი სულთა და გულით ერთგული იყო თავისი ფუქსავატი და ლამაზი შვილისა.

ეს ყმაწვილი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მის განსვენებულ მეუღლეს. ქალებს ძალიან უყვარდათ იგი, ფარაონის მეეტლეებს — წარჩინებულ ახალგაზრდებს შორის მასზე მხიარული და სიცოცხლით სავსე არავინ იყო. ამჯერად მან ვრცელი წერილი გამოგზავნა, თუმცა ჩვეულებრივ სიტყვაძვირი იყო და მფლანგველობის ჟინით შეპყრობილი მხოლოდ და მხოლოდ ფულის გამოგზავნას ითხოვდა ხოლმე.

დედა მისგან მადლობას ელოდა, რადგან სულ ახლახან საკმაოდ მოზრდილი თანხა გაუგზავნა, რომელიც, რა თქმა უნდა, სიძის მამულებიდან მიღებული შემოსავლიდან აიღო.

ქათუთი წერილის კითხვამ გაიტაცა.

მისი მხიარულება ნაძალადევი იყო და წყლით სავსე ჭაობის მუქ ზედაპირზე მოელვარე ცისარტყელას ჰგავდა. საკმარისია, ამ წყალში ქვა ჩავარდეს, რომ მასში მოციაგე მზის ათინათიც უმალვე გაქრება და მღვრიე, ჭუჭყიანი კორიანტელი ფსკერიდან მაღლა ამოვა.

მძიმე ლოდად აწვებოდა დედის გულს ყოველი ახალი ცნობა, შვილი რომ იტყობინებოდა თავის წერილში.

ყველაზე დიდ დარდს ყოველთვის ის გაგვიჩენს ხოლმე, ვისაც შეეძლო ბედნიერება მოეტანა და ყველაზე მტანჯველი ის ჭრილობაა, რომელსაც საყვარელი ადამიანი გაყენებს.

ქათუთი კითხულობდა უხეში შეცდომებით სავსე, მისი საყვარელი ბიჭის ხელით ოკრობოკროდ ნაწერ სტრიქონებს და

სულ უფრო მეტად ეცრიცებოდა სახე. რამდენჯერმე ხელიდანაც გაუვარდა წერილი, და სასოწარკვეთილი ქალი ხელებს სახეზე იფარებდა.

ნემო მიწაზე იჯდა და თავისი პატრონის თითოეულ მოძრაობას ადევნებდა თვალყურს. ხოლო როცა ქათუთი პალმის ხორკლიან ტანს ჩაეხუტა და საშინელი გმინვა აღმოხდა, ჯუჯა მასთან მიხოხდა და ფეხები დაუკოცნა.

— ქალბატონო! ქალბატონო! რა მოხდა? — ისეთი ღრმა თანაგრძნობით ეკითხებოდა, რომ თვით ქათუთიც განცვიფრდა, რადგან ნემუსგან მხოლოდ უტიფარი და კვიმატი სიტყვების მოსმენას იყო ჩვეული.

ტირილით გული რომ იჯერა, შემობრუნდა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ, თავზარდაცემულს, გაფითრებული ტუჩები გახევებოდა, ხოლო დაბინდული თვალები დამბლადაცემულივით უსიცოცხლო ჰქონდა.

— ქალბატონო! ქალბატონო! — გაიმეორა ჯუჯამ, ახლა მისი ხმა ალერსიანად ჟღერდა. — რა მოგივიდა, ქალბატონო? იქნებ საჭიროა შენს ქალიშვილს დავუძახო?

ქათუთიმ უარის ნიშნად თავი გააქნია და ყრუდ ჩაიბუტბუტა:

— არამზადა, სალახანა!

სული ეხუთებოდა, სახეზე სისხლი მოაწვა და თვალები უელვარებდა. წერილს ფეხი დაადგა და ისე ხმამაღლა აქვითინდა, რომ ჯუჯა, რომელსაც აქამდე არასოდეს ენახა ცრემლი მის თვალებზე, შიშისგან შეხტა და საყვედურით წამოიძახა:

— ქათუთი!

ახლა კი მწარედ გაეცინა ქალს და აკანკალებული ხმით თქვა:

— ხმამაღლა რად ამბობ ამ სახელს? მისი პატრონი ხომ შერცხვენილი და სახელგატეხილია! ო, როგორ ნიშნს მომიგებს ყველა! ახლა შური თავის საყვარელ ქმნილებას — ღვარძლიანობას მოგვისევს! მე კი ეს-ეს არის ხოტბას ვასხამდი დღევანდელ დღეს. ამბობენ, ბედნიერება ქვეყანას უნდა მოჰფინო, უბედურება კი არავის არ უნდა გაუმხილოო. მაგრამ არა პირიქით! ღმერთებსაც კი არ უნდა გამოუტყდე, რომ კმაყოფილი და იმედებით აღსავსე ხარ, რამეთუ ისინიც შურიანები არიან და ჩვენი მწუხარება ახარებთ!

ქათუთი ისევ ჩაეხუტა პალმას.

— შენ შერცხვენაზე ლაპარაკობ და არა სიკვდილზე, — უთხრა ჯუჯამ. — განა შენ არ მასწავლიდი, რომ მხოლოდ სიკვდილს მოაქვს უიმედობა?

ამ სიტყვებმა გაამხნევეს სასოწარკვეთილებაში მყოფი ქალი. იგი ფიცხლად შემობრუნდა ნემუსკენ და უთხრა:

— შენ ჭკვიანი ხარ და, იმედი მაქვს, ჩემი ერთგულიც — მაშ, მომისმინე! მაგრამ თავად ამონიც რომ იყო... სულ ერთია, საშველი არა ჩანს! არა... არა...

— შველა თავისით არ მოდის, ის უნდა იპოვო, — შეეპასუხა ჯუჯა და მისი ჭკვიანი თვალები ქალბატონის მზერას შეხვდა. — მე მომენდე, შეიძლება შველა ვერ შევძლო, მაგრამ დუმილი რომ შემიძლია ეს ხომ კარგად იცი.

— მალე ალბათ ქუჩაში ბავშვებიც კი დაიწყებენ ლაქლაქს, თუ რა ამბავი მომიტანა ამ წერილმა, — სიმწრის სიცილით თქვა ქათუთიმ. — მხოლოდ ნეფერტმა არაფერი უნდა იცოდეს ამის თაობაზე. არაფერი! გესმის? კი, მაგრამ, ეს ვიღაა? აა, ვეზირი მოდის? ჩქარა გაიქეცი მის შესახვედრად! გადაეცი, რომ მე მოულოდნელად ავად გავხდი! არ შემიძლია მისი დანახ-

ვა... ახლა არ შემიძლია! და საერთოდ არავინ არ შემოუშვა! არავინ! გასაგებია?

ჯუჯა წავიდა. მან დავალება შეასრულა და როცა დაბრუნდა, ქალბატონი ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული.

— მაშ, ყური დამიგდე, — უთხრა ქათუთიმ, — ჯერ წვრილმანებია, მერე კი ...მერე... საშინელება! საშინელება! რამზესი ავსებს მენას თავისი წყალობით. დაიწყო გასული წლის სამხედრო ნადავლის გაყოფა. ყველა მხედართმთავრის წინ დახვავებული იყო უამრავი განძეულობა და ფარაონის მეეტლეს პირველს მისცეს არჩევანი.

— მერე რა? — ჰკითხა ჯუჯამ.

— მერე რა? — გაიმეორა ქათუთიმ. — მერე... იცი, ოჯახის ამ ღირსეულმა უფროსმა რა იღონა თავისიანებისთვის? როგორ მოეპყრო თავის უბედურ, უპატრონოდ მიტოვებულ ცოლს? როგორ იზრუნა ვალებში ჩაფლულ მამულებზე? ეს სულმდაბლობაა! საძაგლობაა! თურმე ღიმილით ჩაუვლია ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი ქვებისთვის და ლამაზი ტყვე ქალი — დანაელთა მთავრის ასული წამოუყვანია თავის კარავში!

— ვაი, სირცხვილო! — ყრუდ ჩაიბუტბუტა ჯუჯამ.

— საწყალი და უბედური ნეფერტი! — წამოიყვირა ქათუთიმ და ხელები აიფარა სახეზე.

— კიდევ არის იქ ნათქვამი? — პირქუშად ჰკითხა ჯუჯამ.

— კიდევ... — შეყოყმანდა ქათუთი. — კიდევ... მადროვე... მაცალე, გონს მოვეგო. ახლა სრულიად მშვიდად ვილაპარაკებ. ჩემს ვაჟს ხომ იცნობ; ქარაფშუტაა, მაგრამ ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე მე და თავისი და ვუყვარვართ. მე, სულელმა, დაწვრილებით ავუწერე ჩვენი გასაჭირი, უფრო მომჭირნე რომ ყოფილიყო. და აი, როცა მენამ ასე მოგვჭრა თავი, ჩემი შვილი ძლიერ დააფიქრა ჩვენმა მდგომარეობამ. ნადავლში

მისი წილი მეტად მცირეა და, სულ ერთია, არრას გვარგებს. მისმა ამხანაგებმა თურმე ზარის თამაში გააჩაღეს ნაალაფარზე, და ისიც ჩავიდა თავის წილს, რათა სიმდიდრე მოეგო ჩვენთვის, მაგრამ ვაი რომ სუყველაფერი წააგო, სუყველაფერი და მაშინ, — ოჰ, რა საშინელებაა, — დიდძალ ფულზე უთამაშია — ის ხომ მაშინ ჩვენზე ფიქრობდა, დედამისზე ფიქრობდა — და თავისი განსვენებული მამის მუმიაც წაუგია![78] და თუ მესამე მთვარის მილევამდე ამ წმიდათაწმიდა გირაოს არ გამოისყიდის, მაშინ პატივს აჰყრიან და მუმია მოგებულს დარჩება, ჩვენ კი შერცხვენა და განდევნა მოგველის!

ქათუთი გაჩუმდა და ხელები თავზე წაივლო. ჯუჯამ კი თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— უბადრუკი მოთამაშე და ფარისეველი!

როცა მისი ქალბატონი ცოტა დაწყნარდა, მან უთხრა:

— ეს საშინელებაა! მაგრამ ჯერ ხომ ყველაფერი დაკარგული არაა. ბევრია ვალი?

— ოცდაათი ბაბილონური ტალანტი! — ეს სიტყვები წყევლა-კრულვასავით გაისმა.

ჯუჯამ გველნაკბენივით წამოიყვირა.

— ნეტა რომელმა სულელმა დადო ამოდენა ფული? — ჰკითხა მან.

— ქალბატონ ხატორ ანტეფის ვაჟიშვილმა, იმან, ჯერ კიდევ თებეში რომ წააგო მამისეული მამული, — უპასუხა ქათუთიმ.

---

[78] ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, წინაპრის მუმიის თამაშში წაგების პირველი შემთხვევა ძველი სამეფოს იმ ფარაონის დროს ყოფილა, რომელსაც ჰეროდოტე ასესს უწოდებს. „ვინც ამ გირაოს ჩამოდიოდა და ვალს არ გადაიხდიდა, მას სიკვდილის შემდეგ ადგილი არც თავის წინაპრების აკლდამებში მიეცემოდა და არც რომელიმე სხვა საძვალეში. მის შთამომავლებსაც უარი ეთქმებათ დაკრძალვაზე“ (ჰეროდოტე, II, 136) (ავტ. შენიშვნა).

— ეგ ხორბლის მარცვალსაც კი არავის დაუთმობს! — ჩაიბურტყუნა ჯუჯამ. — ჰო, მართლა, მენამ რაო?

— ყოველივე ამის შემდეგ ნუთუ შეეძლო ჩემს შვილს მასთან მისვლა? საწყალი ბიჭი მევედრება, დახმარება ვეზირს სთხოვეო.

— ვეზირს? — გაიკვირვა ჯუჯამ და დიდი თავი გააქნი გამოაქნია. — ეს შეუძლებელია.

— რა თქმა უნდა, მეც ვიცი, მაგრამ მისი მდგომარეობა, სახელი! რომ დაგვთანხმდებოდეს და თავდებად დაგვიდგებოდეს...

— ქალბატონო! — ალაპარაკდა ნემუ და მისი ხმა მკაცრად და სერიოზულად გაისმა. — ნუ ღუპავ მომავალს აწმყოს გულისათვის. თუ შენს შვილს ღირსებას ახდიან ფარაონ რამზესის დროს, გამორიცხული არაა, რომ მომავალი ფარაონის ანის დროს მან კვლავ პატივი დაიმსახუროს. ვეზირმა ახლა რომ ეს უდიდესი სამსახური გაგიწიოს, მაშინ, როცა ჩვენი დაწყებული საქმე წარმატებით დაგვირგვინდება და ის ტახტზე ავა, ჩათვლის, რომ შენთან ანგარიში უკვე გასწორებული აქვს. ახლა მხოლოდ იმიტომ მიჰყვება შენს რჩევას, რომ შენ ის არ გჭირდება და ჰგონია, შენ მისი აღზევებისთვის ირჯები მხოლოდ. მაგრამ საკმარისია, შველა სთხოვო და მან ხელი გაგიმართოს, შენ მაშინვე დაჰკარგავ დამოუკიდებლობას, რომელიც ესოდენ აუცილებელია შენთვის. ის აზრიც კი, რომ შენ განზრახული გაქვს პირადი მიზნებისთვის გამოიყენო იგი, ვეზირისთვის იმდენად უსიამოვნო იქნება, რამდენადაც გაუჭირდება ასეთი დიდი თანხის შოვნა, ან თუნდაც შენი შვილის თავდებად დადგომა. შენ ხომ იცი, რა მდგომარეობაშია ახლა ის.

— კი, ვიცი, მთლად ვალებშია ჩაფლული, — დაუდასტურა ქათუთიმ.

— შენზე უკეთესად, აბა, ვის ეცოდინება! — წამოიძახა ჯუჯამ. — შენ ხომ თვითონ უბიძგებ მას, რომ უზარმაზარი ხარჯი გაიღოს! არნახული ბრწყინვალებით მოწყობილი დღესასწაულების წყალობით მან თებელების გული მოიგო, ხოლო მემფისში კი მან, აპისის მფარველმა, მთელი ქონება დაარიგა, გულუხვად დააჯილდოვა მის ხარჯზე აღჭურვილი, ეთიოპიაში მიმავალი რაზმების მეთაურები, და კიდევ რამდენი უჯდება ჯაშუშები ფარაონის ბანაკში! შენთვის ესეც ცნობილი უნდა იყოს. მას ქვეყნის თითქმის ყველა მდიდრის ვალი აქვს, ესეც ხელს გვაძლევს, რადგან რაც მეტი გამსესხებელი ეყოლება, ჩვენ მით უფრო მეტ მოკავშირეს შევიძენთ. ვეზირი გაკოტრებული მოვალეა, მაგრამ, სამაგიეროდ, ფარაონი ანი მადლიერებით დაუბრუნებს ყველას თავის ვალებს.

ქათუთიმ გაკვირვებით შეხედა ჯუჯას.

— შენ ძალიან კარგად ერკვევი ადამიანებში, — უთხრა მან.

— სამწუხაროდ ასეა, — დაეთანხმა ნემუ. — მაშ ასე, ვეზირს ნუ სთხოვ დახმარებას: მრავალი წლის გარჯისა და საკუთარი მომავალი დიდების შეწირვას, სჯობია შენი ბიჭის ღირსება შესწირო.

— ჩემი ქმრისა და ჩემი საკუთარი ღირსებაც? — შეჰყვირა ქათუთიმ. — ან კი იცი, რა არის ღირსება? ამ სიტყვის წარმოთქმა მონასაც კი შეუძლია, მაგრამ მისი გაგება — არასდროს! თქვენ ოღონდ წყნარად მოისრისოთ ცემისაგან დალურჯებული ადგილები, მე კი თითით საჩვენებელი გავხდები და ყოველი თითი ჩემთვის წვერმოწამლული შუბი იქნება. ჰოი, უკვდავო ღმერთებო, ვის შეუძლია მომეხმაროს? — და შიშისგან ჭკუადაკარგულმა ქალმა ხელახლა აიფარა ხელები სახეზე,

თითქოს ლამობსო საკუთარი სირცხვილი თავისივე თვალებს დაუმალოს.

ჯუჯა სიბრალულითა და თანაგრძნობით შეჰყურებდა მას,

— ის ალმასი თუ გახსოვს, ნეფერტს თავისი საუკეთესო ბეჭდიდან რომ ამოუვარდა? — შეცვლილი ხმით ჰკითხა ჯუჯამ. — რამდენი ვეძებეთ და ვერ ვნახეთ. მეორე დღეს მე შემთხვევით რაღაც მაგარს დავაბიჯე, დავიხარე და რას ვხედავ... დაკარგული ალმასი. ის, რაც ეგზომ კეთილშობილ ორგანოს — თვალს გამოეპარა, კოჟრიანმა, უღირსმა ფეხისგულმა იპოვა. ეგების მონამ — პატარა ნემუმ, რომელმაც არც კი იცის, თუ რა არის ღირსება, შეძლოს იპოვოს გამოსავალი, რომელსაც ვერ პოულობს მისი ქალბატონის ბრძნული გონება.

— მაინც რა მოიფიქრე ასეთი? — ჰკითხა ქათუთიმ.

— გზა ხსნისა! — უპასუხა ჯუჯამ. — მართალია, რომ შენი და სეთხემი შენთან იყო და შერიგდით?

— მართალია, მან ხელი გამომიწოდა და მეც ასევე მოვიქეცი.

— მაშინ მასთან მიდი. ადამიანები ერთმანეთს არასდროს ისეთ სამსახურს არ უწევენ, როგორც შერიგების შემდეგ, წინანდელი მტრობა მათ ახალშეხორცებულ ჭრილობად ეჩვენებათ, რომელსაც უდიდესი სიფრთხილით უნდა შეეხო. სეთხემი ხომ შენი სისხლი და ხორცია, თანაც მეტად ნაზი გული აქვს.

— კი, მაგრამ ღარიბია, — უთხრა ქათუთიმ. — მისი ქმრის დანატოვარი თითოეული პალმა მათ ბაღში ახლა მისი შვილების საკუთრებაა.

— პააკერიც იყო შენთან?

— იყო, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, დედის ხათრით მოვიდა. მას ხომ ძალიან ეჯავრება ჩემი სიძე.

— ჰო, ეს კარგად ვიცი, — ჩაიბუტბუტა ჯუჯამ. — რა იქნება, ნეფერტმა მას რომ სთხოვოს დახმარება?

ამაყი ქვრივი აღშფოთებისგან წელში გასწორდა. უცბად მიხვდა, რომ ძალიან ბევრის უფლება მისცა ჯუჯას, და წავლა უბრძანა. ნემუ კაბის კალთაზე ემთხვია და მოკრძალებით ჰკითხა:

— ყველაფერი დავივიწყო, რაც გამანდე თუ კიდევ ვიფიქრო შენი ვაჟიშვილის გადარჩენაზე?

ქათუთი წამით შეყოყმანდა, მერე კი უთხრა:

— შენ გონივრულად დამარიგე, როგორ არ უნდა მოვიქცე; იქნება, ღმერთებმა შთაგაგონონ, როგორ უნდა ვიმოქმედო ამიერიდან. ახლა კი მარტო დამტოვე!

— ხვალ დილით მოვიდე, დაგჭირდები? — ჰკითხა ჯუჯამ.

— არა!

— მაშინ ნეკროპოლში წავალ და შესაწირს მივართმევ ღმერთებს.

— კარგი წადი, — ჩაილაპარაკა ქათუთიმ და სახლისკენ წავიდა, ხელში იმ ავბედითი წერილით.

ნემუ მარტო დარჩა. ჩაფიქრებული მზერა მიწას მიაპყრო და თან თავისთვის ბუტბუტებდა:

— ისინი შეურაცხყოფას არ უნდა შეეწირონ, — ახლა ეს შეუძლებელია, თორემ ყველაფერი დაიღუპება. კი მაგრამ, რა არის ღირსება? ყველა უმისოდ იბადება და უმეტესობა არც კი ფიქრობს მის არსებობაზე, ისე ჩადიან ღირსეულ ადამიანებად სამარეში. მხოლოდ ცოტანი, მდიდრები და უსაქმურები, იბორკავენ ამ ღირსებით სულებს. ისინი ეთიოპელებივით იქცევიან, რომლებიც ცდილობენ ისე უხვად წაიცხონ თმაზე ცხიმი და ბალზამი, რომ ნაბდის ქუდს დაამსგავსონ იგი. ეს ქუდი ამახინჯებთ, მაგრამ ისინი ისე ამაყობენ ამით, რომ ურჩევნი-

ათ ყურები დააჭრან, ვიდრე ეს საზიზღარი ჭუჭყიანი ნაბადი დასთმონ. მე ვგრძნობ.. მე მგონია... მაგრამ ვიდრე რამეს ვიტყოდე, სჯობს, დედაჩემთან წავიდე. მან ერთმა გაცილებით მეტი იცის, ვიდრე ოცმა წინასწარმეტყველმა ერთად.

თავი მეთორმეტე

მეორე დილით, მზის ამოსვლამდე, ფარაონის მეეტლეს მენას განსვენებული მამისგან დიდი ხნის წინათ ნაჩუქარი პატარა თეთრი ვირით ნემუმ ნილოსი გადალახა. ნეკროპოლში გასამგზავრებლად მან დილის სიგრილე შეარჩია, სანამ მზის სიცხოვლე ძალაში შევიდოდა.

მან კარგად იცოდა მკვდართა ქალაქის ყველა მისახვევ-მოსახვევი და ამიტომ მთავარ გზას კი არ დაადგა, რომელიც პირდაპირ დანიშნულებისამებრ მიიყვანდა, არამედ ვირს ცქვიტი ჩორთით მიაჩაქჩაქებდა მთისკენ, რომელიც ნილოსის სანაპიროს ფარაონთა აკლდამების ხეობისგან ჰყოფდა.

მის წინ მაღალი კირქვიანი ფრიალო კლდეებისგან წარმოქმნილი დიდებული ამფითეატრი გადაიშალა, ხოლო მის ფონზე მთის ტერასებზე — უშველებელი ტაძარი. ეს ტაძარი აგებული იყო ღმერთქალ ხატორის პატივსაცემად დამხობილი დინასტიის ორი ფარაონის თანამმართველის დიდი ქალბატონის ხატშეფსუტის მიერ მისი დიდების უკვდავსაყოფად.

ნემუმ მარჯვენა მხრიდან შემოუარა ტაძარს და ბილიკ-ბილიკ ციცაბოს აუყვა — ეს ხეობისკენ მიმავალი უმოკლესი გზა იყო.

დაბლა ხატშეფსუტის ტაძარი იყო გადაშლილი, ხელმარცხნივ განთიადის სიგრილეში მშვიდად თვლემდა ნეკროპოლი თავისი სახლებით, ტაძრებითა და კოლოსებით; უფრო მარცხნივ დილის ნისლში მოჩანდა თეთრი აფრებით მოფენილი ნილოსის კრიალა წყნარი ზედაპირი. შორს, აღმოსავლე-

თით, მდებარეობდა თებე; ამომავალი მზის სხივებს უკვე შეევარდისფრებინა მისი უზარმაზარი ტაძრები.

მაგრამ ჯუჯა ყურადღებას არ აქცევდა მის წინ გადაშლილ ზღაპრულ პეიზაჟს. ფიქრებში წასული, სადავემიშვებული სახედრის ქეჩოზე დახრილიყო, თავის ნებაზე რომ ჰყავდა მიშვებული, მიჩაქჩაქებდა მთის ბილიკზე და დროდადრო შეჩერდებოდა ხოლმე დასასვენებლად. ნახევარი მთა რომ გადალახა, ზურგს უკან მოახლოებული ნაბიჯების ხმა შემოესმა. მალე მგზავრიც წამოეწია და დილამშვიდობისა უსურვა. ჯუჯამ გულთბილად უპასუხა მისალმებაზე.

მთის ბილიკი ვიწრო იყო, და ნემუმ, შეამჩნია თუ არა, რომ მგზავრი ქურუმი იყო, სახედარი შეაჩერა და მოკრძალებით უთხრა:

— წინ მიბრძანდი, წმინდა მამაო, შენ ორი ფეხით უფრო ჩქარა მიდიხარ, ვიდრე ჩვენ ოთხი ჩლიქით.

— ავადმყოფთან მიმეჩქარება, — უთხრა ექიმმა ნებსეხტმა, პენტაურის მეგობარმა; იგი ისევ პარასქიტის გოგონასთან მიეშურებოდა და ამიტომ ცდილობდა გადაესწრო მხედრისთვის, რომელსაც, ეტყობოდა, არსად ეჩქარებოდა,

ამ დროს მეწამული ჰორიზონტის თავზე მზის მოგიზგიზე დისკო ამოცურდა, და ქვემოდან ტაძრის მრავალხმიანი მამაკაცთა გუნდის საზეიმო გალობა მოისმა.

ნემუ ვირიდან ჩამოცოცდა, მუხლებზე დაეშვა და ხელები ცისკენ აღაპყრო. ქურუმიც ასევე მოიქცა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ჯუჯამ მოწიწებით აღსავსე მზერა აღმოსავლეთის მხარეს მიაპყრო, სადაც მზის ღმერთის აღორძინების საიდუმლოება აღსრულდა, ნებსეხტის თვალები მიწას მიშტერებოდნენ. აი, ხელიც დაუშვა და იშვიათი, გაქვავებული ნიჟარა აიღო, რომელიც ბილიკზე ეგდო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნებსეხტი წამოდგა, ჯუჯამაც მას მიჰბაძა.

— საუცხოო დილაა, — თქვა ჯუჯამ, — დღეს წმინდა მამები იქ, ქვემოთ, რატომღაც ჩვეულებრივზე ადრე ამდგარან.

ექიმმა ღიმილით დაუქნია თავი.

— ნუთუ შენ ნეკროპოლში ცხოვრობ? — ჰკითხა მან. — ნეტა აქ ისეთი ვინ ცხოვრობს, ჯუჯა რომ ჰყავდეს?

— არავინ, — უპასუხა ნემუმ. — ახლა მეც მომეცი ნება გკითხო: ამ მთის იქით მცხოვრებთა შორის ვინაა ისეთი წარჩინებული, რომ სეთის სახლის ექიმს დილის ტკბილი ძილი დაუფრთხო?

— ის, ვისთანაც მე მივდივარ, დიდი კაცი როდია, მაგრამ ტანჯვა კი დიდი აწუხებს, — უპასუხა ნებსეხტმა.

ნემუმ გაკვირვებით შეხედა და ჩაიბუტბუტა:

— ეს მეტად კეთილშობილურია... — მაგრამ სათქმელი არ დაუმთავრებია, თითქოს რაღაც მოაგონდაო, უეცრად ხელი შუბლზე იტკიცა და წამოიძახა:

— შენ მეფის ასულის ბენტ-ანატის ბრძანებით მიდიხარ პარასქიტის შვილიშვილთან, რომელიც მისი ეტლის ქვეშ მოჰყვა. ეგრეც ვიცოდი! ტრაპეზს, რომლის გულისთვისაც ექიმი უთენია დგება, დიდგვაროვნობის ელფერი მაინც უნდა დაჰკრავდეს. როგორაა იმ უბედური გოგონას ჯანმრთელობა?

ჯუჯას უკანასკნელ სიტყვებში მოულოდნელად ისეთი უტყუარი თანაგრძნობა გაისმა, რომ ექიმმა, რომელსაც ნემუს საყვედური სამართლიანად მოეჩვენა, თავაზიანად უპასუხა:

— უკეთესადაა. ვიმედოვნებ გამოკეთდება.

— ქება-დიდება ღმერთებს! — წამოიძახა ჯუჯამ, ექიმმა კი ამასობაში გადაუსწრო და წინ წავიდა.

ნებსეხტი სწრაფად ავიდა მთაზე, დაღმართი ჩაირბინა და უკვე დიდი ხნის მისულიც კი იყო პარასქიტის ქოხში, როცა ჯუჯამ, როგორც იქნა, დედამისის სამყოფელს მიაღწია. ნემუს დედა სწორედ ის გრძნეული ხექტი გახლდათ, რომელმაც პააკერს სიყვარულის წამალი მისცა.

დედაბერი, როგორც ყოველთვის, გამოქვაბულის შესასვლელთან იჯდა, მის გვერდით ფიცარი იდო ბოლოებზე გარდიგარდმო დაკრული ორი თამასით. მათ შორის ჩაჭედილი იყო პატარა ბიჭი, რომელიც თავით ერთ თამასას ებჯინებოდა, ხოლო ფეხებით — მეორეს. ხექტი სრულყოფილად ფლობდა ჯუჯების შექმნის ხელოვნებას! ადამიანის მსგავს ამ სათამაშოებში დიდ ფულს უხდიდნენ და წამების იარაღში ჩაჭედილი ეს საყვარელი ბავშვიც ძვირფას საქონლად უნდა ქცეულიყო.

როგორც კი კუდიანმა მოახლოებული ნემუ დაინახა, ხელი დაავლო ბავშვიან ფიცარს და გამოქვაბულში შეიტანა, თან გზადაგზა მკაცრად აფრთხილებდა:

— ოდნავ გაინძრევი და იცემები. უმჯობესია დაგაბამ.

— ოღონდ ნუ დამაბამ! — შეევედრა ბიჭი. — ჩუმად ვიქნები, სულ არ გავინძრევი.

— აბა, გაიჭიმე! — უბრძანა დედაბერმა და მტირალი ბავშვი მაგრად მიაბა ფიცარზე. — თუ არ გაინძრევი, თაფლის კვერს მოგცემ და წიწილებთან თამაშის ნებას დაგრთავ.

ბავშვი დაწყნარდა და თვალები სიხარულითა და იმედით გაუბრწყინდა. პატარა ხელებით დედაბერის კაბას ჩაებღაუჭა და წვრილი საცოდავი ხმით უთხრა:

— წრუწუნასავით ჩუმად დავწვები, ვერავინ გაიგებს ჩემს აქ ყოფნას. ოღონდ, თაფლის კვერს როცა მომცემ, გამიშვი, ცოტას ვირბენ და უარდასაც მოვინახულებ.

— ის ხომ ავადაა. ესეც არ იყოს, შენ იქ რა გინდა? — ჰკითხა დედაბერმა.

— თაფლის კვერს მივუტან, — ჩაიჩურჩულა ბავშვმა და თვალებზე ცრემლები აუბრწყინდა.

დედაბერის თითები ოდნავ შეეხო მის ნიკაპს, — რაღაც იდუმალმა ძალამ თითქოს აიძულაო, დახრილიყო და ეკოცნა ბავშვისთვის. მაგრამ ტუჩების შეხებაც ვერ მოასწრო, რომ მკვეთრად შებრუნდა და დაუტატანა:

— წყნარად იწექი. მერე ვნახოთ! — და ყავისფერი ტომარა გადააფარა ბიჭს.

შემდეგ გამოქვაბულიდან გამოვიდა, ნემუს მიესალმა და რძით, პურითა და თაფლით გაუმასპინძლდა. ეტყობა, ნემუმ გულთან ახლოს მიიტანა პარასქიტის შვილიშვილის უბედურების ამბავი, რადგან მისვლისთანავე ჯადოქარს გამოკითხვა დაუწყო მისი ჯანმრთელობის შესახებ. დედაბერმაც ყველაფერი უამბო, რაც კი იცოდა და ბოლოს ჰკითხა:

— აქ რაზე მოსულხარ? უკანასკნელად ჩემს სანახავად რომ იყავი მოსული, ნილოსში ჯერ კიდევ ცოტა წყალი იყო, ახლა კი ის ხელახლა იკლებს.[79] შენმა ქალბატონმა გამოგაგზავნა, თუ თავად გჭირდება ჩემი დახმარება? ყველანი ერთნაირები ხართ! მოყვარესთან ისე არ მიხვალთ, თუ სარგებელს არ ელით. რა გაგჭირვებია?

— მე არაფერი არ მინდა, — უპასუხა ჯუჯამ, — ოღონდ...

---

[79] რომანში აღწერილი მოვლენები ნოემბრის პირველ რიცხვებში ხდება. ივნისის დასაწყისში წყალი ნილოსში თანდათან იმატებს, 15-დან 20 ივლისამდე მისი დონე უეცრად მკვეთრად იზრდება, და ოქტომბრის პირველ ნახევარში, და არა სექტემბრის ბოლოს, როგორც ადრე მიაჩნდათ, ხდება ნილოსის სრული ადიდება. ამის შემდეგ წყალი ისევ იკლებს, ჯერ ნელ-ნელა, მერე კი უფრო სწრაფად და სწრაფად. (ავტ. შენიშვნა).

— ოღონდ შენ ვიღაცის დავალებით მოხვედი, — ჩაეცინა კუდიანს. — ეს ხომ ერთი და იგივეა! როცა ვინმე სხვისთვის გთხოვს რამეს, ის პირველ რიგში საკუთარ თავზე ფიქრობს.

— თუნდაც ასე იყოს, — ორჭოფულად უპასუხა ჯუჯამ. — ყოველ შემთხვევაში, შენი სიტყვები მარწმუნებს, რომ მას შემდეგ, როცა უკანასკნელად ვიყავი აქ, სიბრძნე არ მოგკლებია. ეს კი მეტად მახარებს, რადგან შენი რჩევა მჭირდება!

— ეს ადვილია. რა გაგჭირვებიათ?

გულახდილად, ისე რომ არაფერი დაუმალია, ნემუმ უამბო დედას ყველაფერი, რაც მისი ქალბატონის სახლში ხდებოდა, იმ საშინელ სირცხვილზეც, რომელიც ფუქსავატი შვილის გამო ელოდა. დედაბერი უსმენდა და გამკიცხავად აქნევდა ჭაღარა თავს, მაგრამ ერთხელაც არ შეუწყვეტინებია სათქმელი. მოულოდნელად თვალები აუელვარდა და ჯუჯას ჰკითხა:

— ნუთუ თქვენ მართლა ფიქრობთ ბეღურა დასვათ არწივის ადგილზე, ვიღაც ანი — რამზესის ტახტზე?

— ჩვენ მხარს გვიჭერს ეთიოპიაში მეომარი ჯარი! — შესძახა ნემუმ. — ქურუმები ფარაონის წინააღმდეგ აღსდგნენ და აღიარეს, რომ ანის ძარღვებში ღმერთ რას ჭეშმარიტი სისხლი ჩქეფს!

— ეს დიდი ძალაა, — მიუგო დედაბერმა.

— აი, ხომ ხედავ... ბევრი ძაღლი — ქურციკს სიკვდილი, — იხუმრა ჯუჯამ.

— კი, მაგრამ, რამზესი სრულებითაც არ ჰგავს გაუბედავ ქურციკს, პირიქით, ის ლომია. — მიუგო დედაბერმა. — მეტად საშიში თამაში წამოგიწყიათ.

— ეს კარგად ვიცით, —— თქვა ნემუმ. — სამაგიეროდ, ჩვენ მოვიგებთ ყველაფერს.

— ან ყველაფერს წააგებთ, — ჩაიბურტყუნა დედაბერმა და ხელი მოისვა დაძარღვულ კისერზე. — რაც გინდათ, ის ქენით, ჩემთვის კი სულ ერთია, ვინ აგზავნის ყმაწვილებს სასიკვდილოდ, ანდა მოხუცებს ვინ ართმევს პირუტყვს. კი მაგრამ, ჩემგან რაღა გინდათ?

— მე აქ ჩემით მოვედი, — უპასუხა ჯუჯამ, — და მინდა გკითხო, როგორ უნდა მოიქცეს ქათუთი, რომ გადაარჩინოს შვილი და მთელი ოჯახი შერცხვენისაგან.

— ჰე! — ჩაიფრუტუნა ჯადოქარმა, წელში გასწორდა და გაკვირვებით შეხედა ნემუს. — შენ რაღაც მეტისმეტად ახლოს მიგაქვს გულთან იმ წარჩინებული ბატონების ბედი.

ჯუჯა გაწითლდა და ენის ბორძიკით ჩაიბუტბუტა:

— ქათუთი გულკეთილი ქალბატონია და თუ ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც ჩაფიქრებული გვაქვს, მეც და შენც ხეირს ვნახავთ.

დედაბერს გულიანად გაეცინა და ეჭვიანად გადააქნია თავი.

— შენ, შეიძლება, კვერი მაინც შეგხვდეს, მაგრამ მე ალბათ მხოლოდ ნამცეცები! რაღაც სხვა გაქვს აზრად, და მე შემიძლია ისე ჩავიხედო შენს გულში, როგორც, აი, ამ გამოშიგნული ყორნის მკერდში. შენ ხომ ერთ ადგილას გაჩერება არ შეგიძლია, ყველგან ცხვირსა ჰყოფ, ფაციფუცობ და მუდამ რაღაცას წამოიწყებ ხოლმე. შენ რომ ქურუმის შვილი და ტანით სამი თავით უფრო მაღალი იყო, ნამდვილად შორს წახვიდოდი. მაღლა-მაღლა დაფრინავ და სადღაც დაჯდები: ან ფარაონის მეგობარი გახდები, ანდა სახრჩობელაზე ჩამოგკიდებენ!

დედაბერმა გადაიხარხარა, ნემუმ კი კბილები გააღრჭიალა და უთხრა:

— დიახ, კუდიანის შვილი და ჯუჯა რომ არ ვიყო, მაშინ მეც ისე ვათამაშებდი ადამიანებს, როგორც ისინი მათამაშებენ. მათზე ყველაზე ჭკვიანი მე ვარ და წინასწარ ვიცი მათი გულისთქმა. ასი გზაა გახსნილი ჩემ წინ, მათ კი არ იციან, საით გასწიონ. საითაც ისინი უდარდელად მიიჩქარიან, მე უძირო უფსკრულს ვხედავ.

— მიუხედავად ამისა, შენ მაინც ჩემთან მოხვედი, — გესლიანად შენიშნა დედაბერმა.

— მე რჩევისთვის მოვედი, — დასძინა ნემუმ, — ერთი თავი კარგია, მაგრამ ორი სჯობია. ესეც არ იყოს, შორიდან ხომ უკეთესად ჩანს. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ ვალდებული ხარ, დამეხმარო.

— ვალდებულიო? — გაიკვირვა ჯადოქარმა. — ვითომ რათაო?

— შენ ვალდებული ხარ დამეხმარო, — გაიმეორა ნემუმ საყვედურით აღსავსე კილოთი. — შენ ხომ მე ჯუჯად, ხეიბრად მაქციე.

— კი მაგრამ, ჯუჯებზე უკეთესად ახლა არავინ ცხოვრობს, — სიტყვა გააწყვეტინა დედაბერმა.

ნემუმ ნაღვლიანად გადააქნია თავი.

— ეს შენგან პირველად როდი მესმის. სხვის მიმართ, ვინც ჩემსავით სიღატაკეშია დაბადებული, შეიძლება, შენ მართალიც კი იყო. მაგრამ შენ არამარტო სხეული, არამედ სულიც დამისახიჩრე, აუტანელი ტანჯვისთვის გამწირე.

და მან უღონოდ ჩაქინდრა დიდი თავი. დედაბერი მიუახლოვდა და ალერსიანად ჰკითხა:

— რა მოგდის? მე კი მეგონა, შენ კარგად ხარ მენას სახლში.

— და ამას შენ ლაპარაკობ?! — წამოიძახა ჯუჯამ. — შენ, რომელმაც, ეს-ეს არის, როგორც სარკეში, ისე დამანახვე ჩემი თავი, ძალ-ღონით სავსე და დაუცხრომელი? შენ ეშმაკურად მაქციე მახინჯად და რამზესის ხაზინადარს მიმყიდე, მან კი ჩემი თავი სიძეს, მენას — მამას აჩუქა. თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ. სხვა ყმაწვილებს ტოლს არ ვუდებდი, პირიქით, მათზე უკეთაც მიჭრიდა გონება, ფიცხი და მოუსვენარი ხასიათი მქონდა. პატარა მენას სათამაშოდ მაქციეს; სათამაშო ეტლში შემაბამდა ბაფთებითა და ბუმბულით მორთულს, თუ ნაბიჯს შევანელებდი, მათრახსაც გადამიჭერდა ხოლმე. ან როგორ დამცინოდა ერთი გოგონა — მეკარის ქალიშვილი, რომლისთვისაც მზად ვიყავი თავი გამეწირა — როცა მე მასხარის ტანსაცმელში გამოწყობილი, აქოშინებული ეტლს მივაჭენებდი, და ჩემი ახალგაზრდა ბატონის მათრახი ცხვირწინ მიზუზუნებდა, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა სახეზე, ხოლო დაკოდილი გული სისხლში ცურავდა. შემდეგ მენას მამა მოკვდა და ბიჭი სეთის სახლში მიაბარეს, მე კი მისი სახლთუხუცესის ცოლთან მოვხვდი. სახლთუხუცესი მოგვიანებით ქათუთიმ საგვარეულო მამულში — ერმონტში გადაასახლა. რა წლები იყო! გოგონები თოჯინასავით მათამაშებდნენ, ჩამაწვენდნენ აკვანში, მაიძულებდნენ თვალები დამეხუჭა და ისეთი სახე მიმეღო, ვითომ მეძინა. ეს ყველაფერი იმ დროს, როცა ჩემს გულში სიყვარული და სიძულვილი ბობოქრობდა, თავში კი უდიდესი გეგმები მწიფდებოდა. თუ წინააღმდეგობას გავბედავდი, როზგით მიმასპინძლდებოდნენ, ერთხელ კი, როცა გააფთრებისგან გონდაკარგულმა ცემით დავასისხლიანე პატარა ასნათი, ოთახში მენამ შემომისწრო; მან საკუჭნაოში ქამრით ლურსმანზე ჩამომკიდა და იქ დამტოვა... მერე უთქვამს გადამავიწყდაო, მე კი იქ ვირთხები დამესივნენ! აი, მა-

თი ნაკბენები — თეთრი ნაიარევი! შეხედე! ალბათ დროთა განმავლობაში გამივლის კიდეც, მაგრამ გულის ჭრილობები არასოდეს მომიშუშდება! შემდეგ მენამ ნეფერტი შეირთო ცოლად და მასთან ერთად სახლში დედამისი ქათუთიც გადმოვიდა. მან წამომიყვანა სახლთუხუცესისგან, მერე მე საჭირო კაცი გავხდი მისთვის, ისიც ადამიანურად მექცევა, აფასებს ჩემს ჭკუა-გონებას და ჩემს რჩევებსაც ღებულობს. ამიტომაც მინდა მისი განდიდება და მასთან ერთად ძალაუფლების მოპოვება. თუ ანი ტახტზე ავა, ჩვენ ვუხელმძღვანელებთ მას — შენ, მე და ქათუთი! რამზესი უნდა ჩამოვაგდოთ და მასთან ერთად მენაც — ის ბიჭი, რომელმაც ჩემი სხეული გააწამა და გული დამიკოდა.

დედაბერი უხმოდ იდგა ჯუჯას გვერდით და უსმენდა მის მღელვარე სიტყვებს. მერე უხეშად შეკრულ სკამზე ჩამოჯდა, ოფოფის ბდღვნას შეუდგა და თანაგრძნობით თქვა:

— ახლა კი მესმის შენი — შურისძიების ჟინი გაწვალებს, გინდა მაღლა აიჭრა, მე კი დანა უნდა გილესო და კიბე დაგიჭირო. საწყალი ბიჭი! აჰა, რძე მოსვი, დაწყნარდი და მომისმინე, რასაც გირჩევ. შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად ქათუთის ბევრი ფული სჭირდება. ფული მის ჭიშკართან აწყვია, საკმარისია მხოლოდ დაიხაროს და აიღოს.

ჯუჯამ გაკვირვებით შეხედა გრძნეულს:

— მახორი პააკერი მისი დისშვილია, არა?

— დიახ, სწორედ ასეა!

— ხოლო ქათუთის ქალიშვილი ნეფერტი — შენი პატრონის მენას ცოლი. მაშ, იცოდე, რომ ზოგ-ზოგები სიამოვნებით გადმოიბირებდნენ უპატრონო ვარიას თავიანთ ეზოში.

— შენ პააკერზე ამბობ, რომელიც ნეფერტზე იყო დანიშნული ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის მენას გაჰყვებოდა ცოლად?

— პააკერი გუშინწინ ჩემთან იყო.

— შენთან?

— დიახ, დიახ! ჩემთან, ბებერ ხექტთან, რათა სიყვარულის წამალი ეყიდა. მეც მივეცი რაღაც, მაგრამ, როგორც იცი, მეტისმეტად ცნობისმოყვარე ვარ, ავდექი და უკან გავყევი, დავინახე როგორ დაალევინა იმ პაწიას ჩემი სასმელი. თან ისიც გავიგე, ვინ იყო იგი.

— და ნეფერტმა შესვა ის წამალი? — ჰკითხა შეძრწუნებულმა ჯუჯამ.

— კი, დალია ძმრის წვეთი სტაფილოს წვენთან ერთად, — სიცილით მიუგო დედაბერმა. — მაგრამ შეგიძლია დარწმუნებული იყო: თუ მდიდარი კაცი გეხვეწება დაეხმარო ქალის სიყვარულში, ის არაფერზე უკან არ დაიხევს. ამიტომ ნეფერტმა უნდა სთხოვოს პააკერს ფული, და ქარაფშუტა ყმაწვილის ვალებიც გასტუმრებული იქნება.

— ქათუთი ამაყია, მან იმწუთშივე შემაწყვეტინა სიტყვა, როგორც კი მე გავბედე და ეს ვურჩიე.

— მაშინ, რახან ასეა, პააკერმა თავად შესთავაზოს ფული. შენ გადაუკარი, რომ ამით ის ნეფერტის გულს მოიგებს, მოუყევი იმ უბედურებაზე, რომელიც მის ოჯახს დაატყდა თავს, და თუ ის უარს იტყვის, მაშინ აგრძნობინე, რომ შენ რაღაცები იცი ჩემი წამლის შესახებ.

ფიქრებში წასული ჯუჯა რამდენიმე ხანს თავჩაქინდრული დუმდა. მერე თითქოს გამოფხიზლდაო, აღფრთოვანებით შეხედა დედაბერს:

— აი, ეს კი სწორი გზაა!

— არასწორი გზის არჩევა ხომ უჩემოდაც შეგეძლოთ, — ჩაიბურტყუნა დედაბერმა. — მგონი, თქვენი საქმე არც ისე ცუდად უნდა იყოს, როგორც პირველად მომეჩვენა. ქათუთი თა-

ვისი ფუქსავატი შვილის მადლობელი უნდა იყოს, მამის მუმია რომ წააგო. შენ რა, ჩემი არ გესმის? აბა, შენ იქ თუ მართლა ყველაზე ჭკვიანი ხარ, მაშინ სხვები როგორებიღა არიან?

შენ გგონია, ჩემს ქალბატონს ცამდე აიყვანენ იმისთვის, რომ ამოდენა თანხას სწირავს პატიოსანი სახელის გულისთვის...

— რა შუაშია აქ სახელი? განა საქმე ესაა! — მოუთმენლად შეაწყვეტინა სიტყვა დედაბერმა. — ყველაფერი გაცილებით იოლია. ჩვენ წინაშე ორი ადამიანია — პააკერი და მენას ცოლი. თუ მახორი ამ ახალგაზრდა ქალის გულის თვის მთელ ქონებას შეელევა, რაღა თქმა უნდა, მოინდომებს კიდეც დაეუფლოს მას და მაშინ ქათუთი უკვე ვეღარ გაბედავს წინ გადაუდგეს; მას ხომ ეცოდინება, რისთვის გადაიხადა მისმა დისწულმა ამდენი ფული. მაგრამ პააკერს წინ გადაეღობება მენა. ამიტომ საჭიროა მისი მოცილება. მეეტლე მეტად დაახლოებულია ფარაონთან, და როცა მარყუჟს ერთს უგდებენ, ადვილი შესაძლებელია, ის მეორესაც გამოედოს. მაშ ასე, პააკერი მოკავშირედ უნდა გაიხადოთ, გონივრულად გამოიყენეთ ის თქვენს სასარგებლოდ და მაშინ ვირთხის ნაკბენებისთვის ზოგ-ზოგები საზღაურად სასიკვდილო ჭრილობებს მიიღებენ. ხოლო რამზესი, რომელიც პირისაგან მიწისა აღგვის ყველას, ვინც მის წინააღმდეგ აშკარად გაილაშქრებს, და თქვენც მათ შორის, განგმირული იქნება საფარიდან ნასროლი ხელშუბით. როცა ტახტი განთავისუფლდება, მაშინ ალბათ ვეზირი თავისი სუსტი ფეხებით აცოცდება კიდევაც მასზე, რაღა თქმა უნდა, თუ ქურუმებიც დაეხმარებიან. აი, შენ აქ პირდაღებული ზიხარ, მე ისეთი რა გითხარი, რის მოფიქრებასაც თავად ვერ შეძლებდი?

— შენ ნამდვილი სიბრძნის წყარო ხარ! — შესძახა ჯუჯამ.

— აბა, ახლა კი წადი! — უთხრა ჯადოქარმა. — გაანდე ეს აზრი, როგორც შენი საკუთარი, ქათუთისა და ვეზირს, და გააოცე ისინი. დღეს შენ იცი, რომ მოქმედების გზა მე გიჩვენეთ, ხვალ კი უკვე დაივიწყებ, ხოლო ზეგ ისეთი წარმოდგენა შეგექმნება, ვითომდა ცხრა უდიდესმა ღმერთმა შთაგაგონეს ეს. მე ხომ ვიცი! მაგრამ მე მუქთად არაფერს ვიძლევი. შენ ჯუჯა ხარ და თავს ამით ირჩენ, ზოგს ძლიერი ხელები ასაზრდოებს, მე კი ჩემს ლუკმაპურს, აი, ამ აზრების წყალობით ვშოულობ, — დედაბერმა თითი შუბლში იტაკა. — მაშ, მომისმინე! როცა პააკერს თქვენს მხარეზე გადმოიბირებთ და ანი მოისურვებს მის გამოყენებას თავის სასარგებლოდ, შენ ეტყვი: არის ერთი საიდუმლო, რომლის წყალობითაც მახორს თქვენს ნებაზე ათამაშებთ; ეს საიდუმლო კი მხოლოდ ხექტმა იცის და მას სიამოვნებითაც გაყიდის-თქო.

— შესრულებული იქნება! უსათუოდ! — შესძახა ჯუჯამ. — შენ რაღას მოითხოვ ამ საიდუმლოსთვის?

— მცირედს, — თქვა დედაბერმა. — მხოლოდ სიგელს, რომლის ძალითაც უფლება მექნება ჩემი საქმე ვაკეთო და ქურუმებმა ხელი არ მახლონ, და ღირსეულ დასაფლავებას სიკვდილის შემდეგ.

— არა მგონია, ვეზირი დასთანხმდეს ამას: ის ხომ ღვთის მსახურებთან ჩხუბს უნდა მოერიდოს.

— და ყოველნაირად დაამციროს რამზესი მათ თვალში? — შეაწყვეტინა სიტყვა დედაბერმა. — მაშ, მომისმინე: ანი ახალ სიგელს კი ნუ დამიწერს, მხოლოდ ძველი აღმიდგინოს, რომელიც ოდესღაც რამზესისგან მაქვს მიღებული, როცა მისი საყვარელი ცხენი მოვარჩინე. მაგრამ ის სიგელი ჩემს ავლადიდებასთან ერთად დამიწვეს, როცა ქოხი დამირბიეს და მე კუდიანად გამომაცხადეს, ხოლო ჩემი ნივთები — სეთხის ია-

რაღად. დასაფლავება კი არაფერი საჩქაროა. მე მინდა მივიღო რამზესის სიგელი და მეტი არაფერი.

— შენ მას მიიღებ, — დასძინა ჯუჯამ. — ახლა კი მშვიდობით! დავალებული მაქვს ჩვენი სახლის აკლდამებს მივაკითხო, ვნახო, ყველაფერი წესრიგშია თუ არა, არის თუ არა შესაწირავი, ჭურჭლებში კეთილსურნელებას დავამატებ და ვინმეს დავავალებ იქაურობას მიმიხედოს. როცა სეხეტი დაშოშმინდება და ცოტა აგრილდება, კიდევ გამოვივლი თქვენს მხარეში. იცი, როგორ მინდა პარასქიტ პინემთან მისვლა და საცოდავი უარდას ნახვა.

თავი მეცამეტე

იმ დროს, როცა ჯუჯა ჯადოქართან საუბრობდა, პარასქიტის ქოხის წინ ორი კაცი მიწაში გულდაგულ ასობდა მარგილებს და მათზე დაგლეჯილ ტილოს ამაგრებდა.

ერთ-ერთი მათგანი, მოხუცი პარასქიტი, უარდას პაპა დროდადრო შეახსენებდა მეორეს ავადმყოფის შესახებ და სთხოვდა ნაკლებად ეხმაურა. როგორც კი ეს უბრალო სამუშაო დაამთავრეს და ფარდულის ქვეშ ნამჯის საწოლი მოაწყვეს, ორივენი პირდაპირ მიწაზე ჩამოსხდნენ; ისინი ხანდახან ქოხისკენ იყურებოდნენ, სადაც ზღურბლთან ექიმი ნებსეხტი იჯდა და მძინარე გოგონას გაღვიძებას ელოდებოდა.

— ვინ არის ეს კაცი? — ჰკითხა ექიმმა ბერიკაცს და მის დამხმარეზე — ჟღალწვერა მაღალ მზემოკიდებულ მეომარზე მიუთითა.

— ჩემი ვაჟიშვილია, — უპასუხა პარასქიტმა. — სირიიდან დაბრუნდა ახლახან.

— უარდას მამაა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ექიმმა.

მეომარმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და უხეშად, მაგრამ გულთბილად უთხრა:

— რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია: ის ხომ ასეთი თეთრი და ლოყებღაჟღაჟაა. დედამისი უცხო მხრიდან იყო, მეტად ნაზი აგებულება ჰქონდა, და უარდაც სულ მას დაემსგავსა. თითის მიკარებისაც კი მეშინია, იმდენად სუსტია ჩემი გოგონა, ამ დროს კი ეტლმა გადაუარა და მაინც ცოცხალი გადაგვირჩა!

— ამ კეთილი ექიმის დახმარება რომ არა, მას ცოცხალს ვეღარ მოუსწრებდი, — თქვა მოხუცმა პარასქიტმა, ნებსეხტს მიუახლოვდა და მისი სამოსის კალთას ემთხვია. — ღმერთები გიშველიან და გადაგიხდიან, წმინდა მამაო, ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის — უბედური ღატაკებისთვის გააკეთე.

— მაგრამ, ჩვენ მათხოვრები როდი ვართ! — წამოიძახა მეომარმა და ხელი ქამარზე ჩამოკიდებულ სავსე ქისაზე დაიკრა. — სირიიდან მთლად ხელცარიელები არ წამოვსულვართ: ახლა ხბოს ვიყიდი და თქვენს ტაძარს შევწირავ.

— გირჩევნია ცომის ხბო[80] შესწირო, — ურჩია ექიმმა, ხოლო თუ ჩემი პატივისცემა გინდა, ფული მამაშენს მიეცი, რათა შენს შვილს რიგიანი კვება ჰქონდეს და ჩემი ყველა დანიშნულება ზუსტად შეასრულოს.

— ჰმ, — ესღა თქვა მეომარმა, წელიდან ქისა მოიხსნა; ხელში აწონ-დაწონა და მამას გაუწოდა სიტყვებით:

— მე ამას მთლიანად სასმელში გავფლანგავდი! აიღე ეს ფული, მამა, და ჩემს გოგონასა და დედაჩემს მოახმარე.

ვიდრე ბერიკაცი გაუბედავად გაიწვდიდა ხელს გულუხვი საჩუქრისკენ, მეომარმა გადაიფიქრა, გახსნა ქისა და უთხრა:

— ნება მომეცი ჯერ მე ამოვიღო ორი ბეჭედი, არადა დღეს მთლად ცარიელზე დავრჩი, თანაც რამდენიმე ამხანაგი საქეიფოდ მყავს დაპატიჟებული. ეს ხვალ და ზეგაც მეყოფა. აი, ეს კარგია! აჰა, აიღე!

---

[80] ცომის ხბო — ქალღმერთ ნეხებტის პატივსაცემად გამართული დღესასწაულის დროს ღორებს სწირავდნენ მსხვერპლად. ჰეროდოტე ამის თაობაზე წერს: „ღარიბი ხალხი უსახსრობის გამო პურის ცომისგან აცხობს ღორებს და მსხვერპლად სწირავს.“ (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

ნებსეხტმა კმაყოფილებით დაუკრა თავი. ბერიკაცმა მადლობის ნიშნად ხელები დაუკოცნა ექიმს, მეომარმა კი წამოიძახა:

— მომირჩინე ჩემი პაწაწა, წმინდა მამაო! საჩუქრები და შესაწირი მოთავდა, რადგან აღარაფერი დამრჩა ამ რკინის მუშტებისა და ციხის კედელივით მაგარი მკერდის გარდა. მაგრამ თუ ოდესმე გაგიჭირდა, მხოლოდ მიხმე და მარტო დაგიცავ ოცი მტრისაგან ერთად. შენ ხომ ქალიშვილი გადამირჩინე, რახან ასეა სიცოცხლე — სიცოცხლისათვის! ამიერიდან ჩვენ ღვიძლი ძმები ვართ. აი, უყურე!

და ამ სიტყვებზე დანა ამოიძრო ქამრიდან, ოდნავ გაიჭრა ხელი და სისხლის რამდენიმე წვეთი ექიმის ფეხებთან ქვაზე დაეცა.

— აი, ვალდებულებაც, — თქვა მეომარმა. — ამიერიდან კაშტა შენ გეკუთვნის და მისი სიცოცხლეც შენს ხელშია. ჩემი სიტყვა მტკიცეა.

— მე მშვიდობიანი კაცი ვარ, — წყნარად მიუგო ნებსეხტმა, — ჩემი თეთრი ტანსაცმელი მიცავს. აგერ, მგონი, ჩვენმა ავადმყოფმაც გაიღვიძა.

ექიმი წამოდგა და ქოხში შევიდა. უარდას ლამაზი თავი დედაბერს მუხლებზე ედო. გოგონამ დიდრონი ცისფერი თვალები ქურუმს მიაპყრო.

— უარდას ადგომა და ჰაერზე გასვლა სურს. მას ხომ დიდი ხანი ეძინა, — თქვა დედაბერმა.

ექიმმა პულსი გაუსინჯა ავადმყოფს, ჭრილობასაც დახედა, რომელზედაც რაღაც ფოთლები იდო და თქვა:

— გასაოცარია! კი მაგრამ, ვინ მოგცათ ეს სამკურნალო ბალახები?

სანამ უხერხულობისგან დაბნეული დედაბერი პასუხს მოიფიქრებდა, უარდამ ბავშვური გულწრფელობით უთხრა:

— ბებერმა ხექტმა, აი, იქ, გამოქვაბულში რომ ცხოვრობს!

— ჯადოქარმა, — ჩაიბუტბუტა ექიმმა. — კარგი, ეს ფოთლები ცოტა ხანი კიდევ გედოს ჭრილობაზე. რახან გშველის, განა სულ ერთი არაა, ვინ მოგიტანა.

— ხექტმა გასინჯა ის წამალი, შენ რომ მოგვეცი, და თქვა, რომ ეს კარგი საშუალებაა, — გათამამდა დედაბერი.

— მაშასადამე, გამოდის, რომ ჩვენ ორივე ერთმანეთის კმაყოფილები ვართ, — ეშმაკურად ჩაეცინა ნებსეხტს. — ახლა კი, ჩემო გოგონა, შენ ეზოში გაგიყვანთ, რადგან შენთვის ახლა სუფთა ჰაერია აუცილებელი.

— ჰო, ჰო, გარეთ გამიყვანეთ, — კვერი დაუკრა ავადმყოფმა, — კიდევ კარგი, რომ ის მოხუცი აღარ მოიყვანეთ, თავისი ლოცვებით მაშინებდა...

— შენ ბრმა ტეტზე მეუბნები? — უთხრა ექიმმა. — არა, ის აღარ მოვა, სამაგიეროდ ახალგაზრდა ქურუმი მოგინახულებს ხოლმე, რომელმაც პაპაშენი დააშოშმინა, როცა მან მეფის ასულს გაგდება დაუპირა. ის ზედმიწევნით კარგი ადამიანია და შენც უნდა...

— პენტაური მოვა? — გამოცოცხლდა გოგონა.

— დიახ, მალე, ალბათ შუადღემდე მოვა. შენ საიდან იცი მისი სახელი?

— მე მას ვიცნობ! — გაბედულად წამოიძახა უარდამ.

ექიმმა გაკვირვებით შეხედა გოგონას და დაუმატა:

— მეტს ნუღარ ილაპარაკებ; ლოყები ისევ დაგიწითლდა, ციებ-ცხელება არ დაგეწყოს ხელახლა. ეს კი არ უნდა მოხდეს. ქოხთან ფარდული მოგიწყვეთ და ახლავე გარეთ გაგიყვანთ.

— ცოტა დაიცადეთ, — სთხოვა გოგონამ. — ბებია, თმა დამვარცხნე, ძალიან მაწუხებს.

მან დასუსტებული პატარა ხელები თავის სქელ წითურ თმაზე წაივლო, რათა წესრიგში მოეყვანა და ჩახლართული ნამჯა ჩამობერტყა.

— წყნარად იწექი, — თავაზიანად გააფრთხილა ექიმმა.

— როგორ მამძიმებს, — გაიღიმა ავადმყოფმა და თან ისეთი სახით სინჯავდა თმას, თითქოს ძალიან გაბეზრებული იყო მისგან. — ბებია, მომეხმარე.

დედაბერი დაიხარა და ფრთხილად დაუწყო გრძელი კულულების ვარცხნა რქის უხეში სავარცხლით, მზრუნველობით აძრობდა თმაში გაჩხერილ ნამჯას; ბოლოს ორმა ოქროსფრად მოელვარე მჭიდრო და მძიმე ნაწნავმა მხრები დაუმშვენა გოგონას.

ნებსეხტმა იცოდა, რომ ყოველი მოძრაობა საზიანო იყო ავადმყოფისთვის, და ცდილობდა ჩარეულიყო, მაგრამ ახლა ენა აღარ ემორჩილებოდა. სახეალეწილი უძრავად იდგა ქალიშვილის წინ და დაძაბული ადევნებდა თვალს მისი ხელების ყოველ მოძრაობას.

უარდა არც ამჩნევდა ამას.

როცა დედაბერმა სავარცხელი გვერდზე გადადო, უარდამ ღრმად ამოისუნთქა და სთხოვა:

— სარკეც მომაწოდე, ბებია.

დედაბერმა მუქი ფერის, მოჭიქული და გამომწვარი თიხის ნაჭერი მიაწოდა. უარდამ ბრჭყვიალა ზედაპირი სინათლისკენ მოაბრუნა და თავის მკრთალ გამოსახულებას დახედა.

— რამდენი ხანია, ყვავილები აღარ მინახავს, ბებია, — ძლივსგასაგონი ხმით თქვა გოგონამ.

— ახლავე, შვილო, — იმწამსვე შეეხმიანა დედაბერი, ტოლჩიდან ბენტ-ანატის მიერ მოტანილი ვარდი ამოიღო და მიაწოდა, მაგრამ, ის იყო, უარდამ ხელში აიღო ყვავილი, რომ დამჭკნარი ფურცლები ტანსაცმელზე დაეყარა. ნებსეხტი დაიხარა, აკრიფა და ხელისგულზე დაუწყო ფურცლები.

— რა კეთილი ხარ! — უთხრა ქალიშვილმა. — მე უარდა მქვია, როგორც ამ ყვავილს; მე მიყვარს ვარდები და სუფთა ჰაერი. გამიყვანეთ ეზოში.

ნებსეხტის დაძახებაზე ქოხში პარასქიტი და მისი შვილი შემოვიდნენ. მათ გარეთ გაიყვანეს ავადმყოფი და ტილოს ფარდულის ქვეშ დააწვინეს. მეომარს ფეხები უკანკალებდა, როცა სუნთქვაშეკრულს მსუბუქი, მაგრამ უძვირფასესი ტვირთი მიჰქონდა. თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა გოგონა ნამჯის საწოლზე დააწვინა.

— რა ლურჯი ცაა! — წამოიძახა გარდამ. — ჰო! პაპას ჩემი ბროწეულის ხე მოურწყავს, ასეც ვიცოდი! აგერ ჩემი მტრედებიც დაფრინავენ! ხორბალი მომეცი, ბებია, როგორ უხარიათ ჩემი დანახვა!

ნაცარა კისერზე მუქსაყელოიანი ლამაზი ფრინველები უზრუნველად დაფარფატებდნენ უარდას გარშემო და ხორბალს პირდაპირ მისი ტუჩებიდან კენკავდნენ, როცა მან თავშესაქცევად რამდენიმე მარცვალი პირში ჩაიდო.

აღფრთოვანებული შესცქეროდა ნებსეხტი ამ მომაჯადოებელ სანახაობას. მას ეჩვენებოდა, თითქოს მის თვალწინ რაღაც უცხო სამყარო გადაიშალა და მის გულში უჩვეულო, მისთვის აქამდე შეუცნობელი სიმი აჟღერდა. ქოხის გვერდით მიწაზე ჩამოჯდა უხმოდ და ჩაფიქრებულმა ლერწმის ღეროთი ვარდის ხატვა დაიწყო.

ირგვლივ ყველაფერი გაირინდა. მტრედებმაც კი მიატოვეს ავადმყოფი და ქოხის სახურავზე შემოსხდნენ. მერე პარასქიტის ძაღლმაც ხმამაღლა დაიყეფა. გაისმა მოახლოებული ნაბიჯების ხმა, უარდამ წამოიწია:

— ბებია, ეს ქურუმი პენტაურია!

— შენ საიდან იცი? — ჰკითხა დედაბერმა.

— ვიცნობ! — ჯიუტად იდგა თავისაზე გოგონა.

ამასობაში ჟღერადი ხმაც გაისმა:

— აქა მშვიდობა! ჩვენი ავადმყოფი თავს როგორა გრძნობს?

პენტაური უკვე უარდას გვერდით იდგა, გახარებული უსმენდა ექიმის ნაამბობს და გოგონას მიმზიდველი სახით ტკბებოდა. მან თან მოიტანა ყვავილები, ერთმა ბედნიერმა ქალიშვილმა რომ დააწყო ქალღმერთ ხატორის საკურთხეველზე, რომლის ქურუმიც პენტაური გუშინდლიდან გახდა. ყვავილები გარდას გაუწოდა, გოგონა გაწითლდა და დასუსტებული ხელებით თაიგული გამოართვა.

— ამ ყვავილებს დიდი ქალღმერთი ხატორი გიგზავნის, — უთხრა პენტაურმა. — ახლა მე იმ ქალღმერთს ვემსახურები, მისი შეწევნით შენ მალე გამოჯანმრთელდები! შეეცადე ყველაფერში მას მიჰბაძო! შენ მისებრ წმინდა და მშვენიერი ხარ, დაე, მომავალშიც ასეთივე უმწიკვლო იყოს შენი ცხოვრება. როგორც ის ასულდგმულებს მზეს დილის ნისლში, ისევე შენ შემოგაქვს სიხარული და სინათლე ამ პირქუშ ქოხში. შენც შეინარჩუნე შენი სისპეტაკე და მაშინ ყველგან სიყვარულს გააღვიძებ ისევე, როგორც იშლებიან ყვავილები ყველგან, სა-

დაც კი თავის ოქროს ფეხს დაადგამს ქალღმერთი ხატორი.[81] დაე, ულევი იყოს თქვენზე მისი წყალობა!

უკანასკნელი სიტყვები მან არა მარტო უარდას, არამედ მოხუცების მისამართითაც წარმოთქვა. ის იყო, პენტაური წასასვლელად მოემზადა, რომ ხმელი ლერწმის გროვიდან, რომელიც ფარდულის გვერდით ეყარა, შეშინებული ამოძახილი მოისმა და ვიღაც ბავშვიც გამოჩნდა. მაღლა აწეულ პატარა ხელში კვერი ეჭირა. ძაღლი, რომელიც, ეტყობა, კარგად იცნობდა, ბიჭის გარშემო ხტუნავდა და ნახევარი კვერის წართმევაც მოესწრო.

— აქ როგორ მოხვდი, შერაუ? — ჰკითხა პარასქიტმა მტირალ ბავშვს. ეს სწორედ ის უბედური ბიჭი იყო, რომლისგანაც გრძნეული ხექტი ჯუჯას ზრდიდა.

— მე მინდოდა... მე მინდოდა კვერი უარდასთვის მომიტანა, — სლუკუნებდა ბავშვი. — ის ავადაა და მე ასე ბევრი...

— საწყალი ბავშვი, — თქვა პარასქიტმა და თან თავზე უსვამდა ხელს. — აბა ჰა, მოდი და მიეცი კვერი უარდას.

შერაუ ფარდულთან მივიდა და მუხლებზე დადგა, თვალები უელვარებდა.

— აჰა, აიღე, — ჩასჩურჩულა უარდას. — ეს ძალიან კარგი და ტკბილი კვერია. როცა ხექტი კიდევ მომცემს კვერსდა გამომიშვებს, მაშინვე შენ მოგიტან.

— გმადლობ, ჩემო ძვირფასო შერაუ, — უთხრა უარდამ და აკოცა ბავშვს, შემდეგ პენტაურს მიმართა და აუხსნა: — აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ამ ბავშვს არაფერს აჭმევენ,

---

[81] ქალღმერთ ხატორს ბევრგან, მაგალითად დენდერაში, „ოქროსას“ უწოდებდნენ. საერთოდ, ეგვიპტის ამ ქალღმერთს საოცრად ბევრი რამ აქვს საერთო „ოქროსთმიან აფროდიტესთან“. (ავტ. შენიშვნა).

გარდა პაპირუსის ღეროს გულისა[82] და ლოტოსის მშრალი კვერებისა, ხოლო ახლა რომ კვერი მომიტანა, ეს ბებიამ მისცა ბებერ ხექტს გუშინ.

შერაუ წამოწითლდა და ენის ბორძიკით წაილუღლუღა:

— აქ მხოლოდ ნახევარია... მე მისთვის ხელი არ მიხლია... ეს თქვენმა ძაღლმა მოკბიჩა, აი, აქა და აქ... — და კვერიდან ჩამონადენი თაფლი ბიჭმა თითით დაიჭირა და პირდაპირ პირისკენ გააქანა. — დიდი ხანი ვიჯექი ლერწმის გროვის უკან, უცხო ხალხისა მეშინოდა... — და ექიმზე და პენტაურზე მიუთითა. — აბა, ახლა კი დროა შინისკენ მოვუსვა.

ის იყო, ბავშვი უნდა გაქცეულიყო, რომ პენტაურმა ხელში აიყვანა, აკოცა და უთხრა ექიმს:

— რა ბრძენი ყოფილა ის, ვინც ჰორეს ბავშვის სახე მისცა, რომელმაც კეთილს გაამარჯვებინა ბოროტზე და სიწმინდეს — უწმინდურებაზე. ბედნიერი იყავი, პატარავ, შეინარჩუნე შენი გულუხვობა და ყოველთვის გასცემდე სხვას, რაც კი გაგაჩნია. ეს, მართალია, არაფერს შეგძენს, მაგრამ სამაგიეროდ გული გაგიმდიდრდება.

შერაუ პენტაურს მიეკრო და უნებლიეთ თავისი პატარა ხელით მის ლოყას შეეხო. ბიჭმა მოულოდნელად სინაზე იგრძნო პენტაურისადმი და მოიწადინა კისერზე მოხვეოდა პოეტს, მაგრამ... მაგრამ მეტისმეტად შეკრთა.

პენტაურმა ძირს დასვა ბიჭი, და იგი სირბილით გაექანა ხეობისკენ. უცბად შეჩერდა. მზე უკვე თითქმის ზენიტში იყო. ბიჭი ჯადოქრის გამოქვაბულში უნდა დაბრუნებულიყო რათა ისევ გაშოტილიყო თავის ფიცარზე. მას კი როგორ უნდოდა

---

[82] ჰეროდოტეს, დიოდორესა და პლინიუსის გადმოცემის თანახმად ეგვიპტელები კერძში პაპირუსის ფესურას (ღეროს გულსაც) იყენებდნენ, უფრო ხშირად ცეცხლზე გამოშრობის შემდეგ.

მკითხველთა ლიგა

უფრო შორს გაქცეულიყო თუნდაც ფარაონის მომავალ აკლდამამდე მაინც!

აკლდამის შესასვლელთან, პალმის ტოტებისგან საჩრდილობელი იყო მოწყობილი, სადაც ჩვეულებისამებრ ღრმად მოხუცებული მოქანდაკე ბატაუ ისვენებდა ხოლმე. ის ყრუ იყო, მაგრამ სამართლიანად ითვლებოდა თავისი დროის საუკეთესო ოსტატად. წარსულში მან აბიდოსსა და თებეში სეთის ბრწყინვალე ტაძრების კედლები დაამშვენა ჩუქურთმიანი ბარელიეფებითა და უამრავი იეროგლიფით. ახლა კი რამზესის აკლდამის კედლების მოხატვაზე მუშაობდა.

შერაუ ხშირად მიიპარებოდა ხოლმე მასთან და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს მის მუშაობას, ხოლო შემდეგ თვითონაც ცდილობდა თიხისგან ცხოველებისა და ადამიანების ფიგურები გამოეძერწა. მოხუცმა როგორღაც შენიშნა ეს, უსიტყვოდ აიღო ბიჭის მიერ გამოძერწილი ფიგურა, შეათვალიერა და მოწონების ღიმილით უკან დაუბრუნა. ამ დროიდან მოყოლებული მათ შორის თავისებური მეგობრობა დამყარდა. შერაუმ უფლება მიიღო მოხუცის გვერდით მჯდარიყო და მოქანდაკის მიბაძვით ეძერწა. ყოველივე ეს სრულ სიჩუმეში ხდებოდა. ზოგჯერ ყრუ მოხუცი შორს გადაისვრიდა ხოლმე ბიჭის ნამუშევარს, ზოგჯერ კი პირიქით, თითების მსუბუქად დაჭერით ასწორებდა და თან კმაყოფილებით თავს აკანტურებდა.

თუ ბიჭი რაიმე მიზეზით არ მოვიდოდა, მოქანდაკეს რაღაც აკლდა თვალში. ხოლო რაც შეეხება შერაუს, მან თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთები მოხუცის გვერდით გაატარა.

მოქანდაკე ბიჭს ნებას აძლევდა თან წაეღო ხოლმე თიხის ნაჭრები. სახლში მისვლისას შერაუ ბებერი ხექტის მალულად

სხვადასხვა ფიგურებს ძერწავდა და როგორც კი დაამთავრებდა, მაშინვე ანადგურებდა მათ. თავის საშინელ ფიცარზე წოლისას სუსტი ხელებით ცდილობდა აღედგინა ის, რაც მის წარმოდგენაში ცოცხლობდა. ამ საქმით გართულს ავიწყდებოდა კიდეც თავისი მწარე ხვედრი.

მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო, და ბიჭი ვეღარ გაისეირნებდა რამზესის აკლდამისკენ. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი პარასქიტის ქოხს და გულდამწვარი გაიქცა თავისი შავბნელი სადგომისკენ.

თავი მეთოთხმეტე

პენტაურმაც მალე დატოვა პარასქიტის ქოხი. ღრმად ჩაფიქრებული მთის ბილიკით იმ ტაძრისკენ მიდიოდა, სადაც მთავარმა ქურუმმა ამენიმ გააწესა.

ის გრძნობდა, რომ მისთვის უსიხარულო და მკაცრი დრო დადგა.

ტაძარი, რომლის ბატონ-პატრონიც ამიერიდან ის უნდა გამხდარიყო, დიდმა დედოფალმა ხატშეფსუტმა[83] ააგო ქალღმერთ ხატორის პატივსაცემად, და თვით დედოფლის ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი.

ამ ტაძრის ქურუმები განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ, რაც სპეციალურ გუჯრებში იყო ჩაწერილი, და ეს უფლებები აქამდე განუხრელად ხორციელდებოდა. ქურუმის წოდება მემკვიდრეობით გადაეცემოდა მამიდან შვილს, მთავარ ქურუმს კი ხმის უმრავლესობით ირჩევდნენ.

ახლა კი, როცა მთავარი ქურუმი სიკვდილის პირას იყო, ამენიმ, რომლის გამგებლობაშიც ტაძარი შედიოდა, ქურუმთა დაუკითხავად მის ადგილზე პენტაური დანიშნა.

მეტად უხალისოდ მიიღეს ქურუმებმა ამენის ძალაუფლებით თავს მოხვეული უფროსი. ისინი ერთსულოვნად გამოვიდნენ მის წინააღმდეგ, როგორც კი გაიგეს, რომ პენტაურს გადაწყვეტილი ჰქონდა მკაცრი წესრიგი დაემყარებინა და

---

[83] დედოფალი ხატშეფსუტი — ფარაონ თუტმოს I ქალიშვილი, თავისი ძმის თუტმოს II მეუღლე, მეორე ძმის თუტმოს III თანამმართველი. ენერგიული ქალი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი ეგვიპტის ისტორიაში მისივე ბრძანებით მას გამოსახავდნენ ჩაფხუტითა და მიწებებული წვერით. (ავტ. შენიშვნა).

აღმოეფხვრა მთელი რიგი ბოროტებანი, რაც აქ სრულიად ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

ასე, მაგალითად, ამომავალი მზისადმი ჰიმნების გალობა ქურუმებმა მსახურებს დაავალეს. პენტაურმა მაშინვე მოითხოვა, რომ დილის ჰიმნების გალობაში უმცროს ქურუმებს მაინც მიეღოთ მონაწილეობა, და გუნდს თვითონ ხელმძღვანელობდა. ქალღმერთის საკურთხეველზე მოტანილი გულუხვი შესაწირავით ქურუმები გახურებულ ვაჭრობას ეწეოდნენ, ახალმა მეთაურმა კი ეს სასტიკად აკრძალა, ის ვერც საზიზღარ გამოძალვას ითმენდა, აქ კი, როგორც წესი, ამ საშუალებით მოშიშარ ქალებს ატყუებდნენ, რომლებიც ქალღმერთ ხატორის ტაძარში უფრო ხშირად დადიოდნენ, ვიდრე სხვა ტაძრებში.

მაღალი ზნეობრივი სიწმინდის სულისკვეთებით აღზრდილი ახალგაზრდა პოეტი, რომელიც სეთის სახლში საკუთარი თავისადმი მკაცრ მომთხოვნელობას, გულმოდგინებასა და წესრიგს მიაჩვიეს, თავისი წოდების ღირსების ღრმა შეგნებით იყო გამსჭვალული. დაუცხრომელი თავგამოდებით ილაშქრებდა სულისა და ხორცის ყოველგვარი სიზარმაცის წინააღმდეგ. ყველაფერმა ამან თავიდანვე წარმოშვა მასში ღრმა ზიზღი თავისი ხელქვეითების უსაქმურობის, სიცრუისა და თვალთმაქცობის მიმართ. ხოლო მას შემდეგ, რაც პარასქიტის ქოხში მისვლამ აუხილა თვალი მდაბიო ხალხის სიდუხჭირესა და უმძიმეს ხვედრზე, გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, განახლებული ცხოვრების გზაზე დაეყენებინა თავისი ტაძარი.

ის მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ უსაქმურებისა და თაღლითების ბრბო, რომელთა მეთაურადაც ის დააყენეს, მოწოდებულია ნუგეში სცეს ათასობით განაწამებ გულს, შე-

უშროს ცრემლი და სასოწარკვეთილთ იმედი ჩაუნერგოს. სწორედ ეს რწმენა უბიძგებდა მას ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიება გაეტარებინა.

გუშინ მან საკუთარი თვალით ნახა, როგორი ცივი გულგრილობით უსმენდნენ მისი ტაძრის ქურუმები გამოგდებული ცოლის საჩივარს, მოტყუებული ქალიშვილის წუწუნს, დედობის ბედნიერებას მოკლებული ახალგაზრდა ქალის მუდარას, შეწუხებული დედის თხოვნასა და მარტოხელა ქვრივის ოხვრას. ქურუმების სახეზე პენტაურმა ამოიკითხა, რომ მათ ერთადერთი საფიქრალი ჰქონდათ: როგორმე ესარგებლათ ამ ხალხის მწუხარებით და გამოეტყუებინათ შესაწირავი ქალღმერთ ხატორისთვის ან, უფრო სწორად, ჯიბეები და მუცლები აევსოთ.

და ახლაც ის ისევ იმ ველს უახლოვდებოდა, სადაც არაერთი სასტიკი ბრძოლისთვის უნდა გაეძლო.

პენტაურის წინ დიდებული ტაძარი იდგა, რომელიც ხეობის თავზე ოთხ ტერასად იყო აზიდული და მისი მშვენიერი მოხაზულობა მკაფიოდ იხატებოდა მის ირგვლივ ნახევარწრედ შემოვლებული ყვითელი კირქვის მაღალი ციცაბო კედლის ფონზე.

გულდასმით ამოშენებულ კვარცხლბეკებზე იდგნენ ვეება ქვის ქორები სიცოცხლის სიმბოლოებით, ქალღმერთის ვაჟიშვილს ჰორეს რომ განასახიერებდნენ, რომელიც დამჭკნარს ააყვავებს და მომაკვდავს სიცოცხლეს შთაბერავს.

ყოველ ტერასაზე აღმოსავლეთის მხრიდან ღია დარბაზები იყო განლაგებული, და თითოეული მათგანი ოცდაორი ძველთაძველი სვეტით იყო გარშემორტყმული. უკანა კედლებზე მხატვრის საჭრისით ქვაზე გამოკვეთილი მშვენიერი სურათები და წარწერები იყო, რომლებიც თებეს ღმერთების დახმა-

რებით ხატშეფსუტის მიერ ჩადენილ დიდ საქმეებზე მოუთ-ხრობდნენ.

აქვე იყვნენ მის მიერ პუნტში[84] გაგზავნილი ხომალდებიც, რათა ეგვიპტე გაემდიდრებინა აღმოსავლეთის განძეულობით და თებეში ჩამოტანილი არაბეთის შესანიშნავი ნობათით; სურნელებათა ქვეყნის მცხოვრებთა სახლები და მეწამული ზღვის თევზები მეტად ზუსტად იყო გამოსახული.

მესამე და მეოთხე ტერასაზე კლდეებს ხატშეფსუტისა და მისი ძმების—თუტმოს II და თუტმოს III მიერ აგებული პატარა შენობები ეკვროდნენ. მათ წინ გრანიტში გამოკვეთილი ჭიშკარი იყო აღმართული. აქ ხდებოდა განბანა, თაყვანს სცემდნენ ქალღმერთის ქანდაკებებს, მსხვერპლს სწირავდნენ დედოფლის სულს და აღსარებას ამბობდნენ წარჩინებული მლოცველები.

ერთ-ერთ გვერდით მინაშენში ჰყავდათ ქალღმერთის წმინდა ძროხები.

ტაძრის მთავარ ჭიშკართან მისული პენტაური უხამსი სცენის მოწმე გახდა, რამაც რისხვით აღავსო მისი სული.

ვიღაც ქალი ითხოვდა ეზოში შეეშვათ, რათა მძიმედ ავადმყოფი ქმრისთვის ელოცა ქალღმერთის საკურთხეველზე, მაგრამ ჩასუქებულმა მეკარემ უხეშად გამოაგდო იგი.

— ხედავ, რა წერია იქ! — უყვიროდა ის და ჭიშკრის თავზე გამოკრულ წარწერაზე მიუთითებდა. — ამ ზღურბლს უწმინდური ვერ გადმოაბიჯებს. ადამიანის განწმენდისათვის კი სხვადასხვა სურნელების კმევაა საჭირო.

---

[84] პუნტი — ქვეყანა, რომელიც გადაჭიმულია არაბეთის სამხრეთი და, შესაძლებელია, აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროზეც სომალიმდე. ამაზე მიუთითებს თუტმოს III მიერ დამარცხებული ხალხების სიებიც, რომლებიც აღმოჩენილია კარნაკის ტაძრის პილონებზე.

მკითხველთა ლიგა

— შენც მიდი და ააქნიე საცეცხლური და საფასურად ეს ვერცხლის ბეჭედი აიღე, მეტი არაფერი გამაჩნია! — ეხვეწებოდა ქალი.

— ერთი ბეჭედი! — აღშფოთდა მეკარე, — გამოდის, რომ ქალღმერთი შენი გულისთვის უნდა გაღატაკდეს? ანტის[85] მარცვლები, საკმევლად რომ ხმარობენ, მაგ ბეჭედზე ათჯერ ძვირი ღირს!

— კი, მაგრამ მეტი აღარაფერი მაქვს, — იმეორებდა ქალი. — ჩემი ქმარი, რომლისთვისაც უნდა ვილოცო, ავადაა, მას მუშაობა არ შეუძლია, ჩემი შვილები კი...

— და შენ გინდა ქალღმერთს თავისი კანონიერი წილი წაართვა და მით გამოკვებო ისინი? — ჰკითხა მეკარემ. — აბა, ცოცხლად — სამი ბეჭედი, არადა ჭიშკარს ვკეტავ!

— შემიბრალე, — ევედრებოდა თვალცრემლიანი ქალი. — ვინ იცის, რა დაემართება ჩემს ქმარს, ხატორი თუ არ მოეხმარა?!

— რა ვალდებულია ქალღმერთი შენს ქმარს წამალი მისცეს? — ჰკითხა მეკარემ. — მას უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს, ვიდრე მათხოვრების მკურნალობაა. თანაც ეს ხომ სრულიადაც არაა მისი საქმე. იმხოტეპთან,[86] ხონსუსთან[87] ან

---

[85] ანტის მარცვლები — ნელსაცხებლის ხშირად მოხსენიებული სახე.

[86] იმხოტეპი — პტას ვაჟიშვილი, რომელსაც ბერძნები ასკლეპიოსს (ესკულაპს) უწოდებენ, ფარაონ ჯოსერის მხატვარი და არქიტექტორი. მას თვლიდნენ ბრძენად, ჯადოქრად, მიაწერდნენ სხვადასხვა მაგიურ და სამედიცინო თხზულებებს. ხოლო VIII ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე ის ნახევრად ღმერთად, შემდგომში პტას შვილად და მედიცინის მფარველად გამოაცხადეს.

[87] ხონსუ — თებეს სამების მესამე ღმერთი, ამონისა და მუთის შვილი. მას თოთთან აიგივებდნენ და კეთილ მრჩევლად თვლიდნენ ავადმყოფთა მკურნალობის საკითხებში. კარგადაა შენახული მის პატივსაცემად აგებული დიდი ტაძარი კარნაკში. რამზეს II ეპოქაში, როგორც ეგრეთ წოდებუ-

ყველაზე დიდ ტექუტისთან წადი — ისინი ეხმარებიან ავადმყოფებს, აქ კი არ მკურნალობენ.

— მე მხოლოდ ნუგეშისცემას ვთხოვ მას მწუხარებაში, — ქვითინით უთხრა ქალმა.

— ნუგეშისცემას? — გაიცინა მეკარემ, თან თვალს არ აცილებდა ახალგაზრდა ქალის სავსე მკერდს, — ნუგეშისცემა უფრო იაფადაც შეგიძლია მიიღო!

ქალი გაფითრდა და მრისხანედ ჰკრა ხელი მისკენ გამოწვდილ თითებს.

თვალისდახამხამებაში მათთან განრისხებული პენტაური გაჩნდა, ხელები აღაპყრო და ისე დალოცა პირქვე დამხობილი ქალი, შემდეგ დაუმატა:

— ქალღმერთი თავად შეიწყალებს მას, ვინც გულწრფელ ლოცვას აღუვლენს. შენ წმინდა ხარ, შედი, ტაძარში ილოცე!

ის იყო, ქალი ჭიშკარში შევიდა, რომ პენტაური მეკარეს მიუბრუნდა:

— აი, თურმე როგორ ემსახურებით ქალღმერთს! — შესძახა მან, — აი, როგორ ეკიდებით დარდით მოკლულ გულს! მომეცი გასაღები! დათხოვნილი ხარ შენი სამსახურიდან და ხვალვე წახვალ ქალღმერთ ხატორის ბატების სამწყემსავად.

მეკარე აბღავლდა და მუხლებზე დაეცა, მაგრამ პენტაურმა ზურგი შეაქცია, ტაძრის ეზოში შევიდა და კიბეს აუყვა თავისი პალატებისკენ, სულ ბოლო ტერასაზე რომ იყო მოთავსებული.

გზაში ბევრი ქურუმი ხვდებოდა. ზოგნი უბრალოდ ზურგს აქცევდნენ; ზოგიც ხმამაღალი წკლაპუნით რაღაცას ღეჭავდა

ლი პარიზის სტელა მოწმობს, ხონსუს ქანდაკება აზიაში წაიღეს, რათა მისი შემწეობით განეკურნათ რამზესის ცოლისდა — მთავარ ბეხტენის ქალიშვილი. (ავტ. შენიშვნა).

და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მას ვერც კი ამჩნევდა. ისინი გაერთიანებულიყვნენ და გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ თავიდან მოეშორებინათ საძულველი მთავარი ქურუმი.

პენტაური შევიდა ჯერ კიდევ მისი წინამორბედისთვის მოწყობილ მდიდრულ პალატებში, რომელთა ბატონ-პატრონიც ახლა იყო. ახალ სამოსს იცვამდა და თან გუნებაში ნაღვლიანად თავის წარსულს აწმყოსთან ადარებდა.

რა მწარე სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იგი ამენიმ!

აქ, საითაც არ გაიხედავდა, ყველგან ღვარძლსა და ავგულობას აწყდებოდა, სეთის სახლში კი ყოველ ნაბიჯზე აღტაცებით ესალმებოდა ასობით ბიჭი და სიყვარულით ებღაუჭებოდნენ მის ტანსაცმელს. იქ, დიდებისა და პატარების პატივისცემით გარემოცული, დარწმუნებული იყო, რომ თითოეული მისი სიტყვა სასურველ ნიადაგში ხვდებოდა. როცა რამეზე მსჯელობდა, გრძნობდა, როგორ მდიდრდებოდა და ნათელი ხდებოდა ყოველი მისი ნათქვამი ამხანაგებთან თუ დამრიგებლებთან საუბარში, და მისი სულიერი ცხოვრება ახალ აზრს იძენდა. „სიახლე სავსეა იდუმალი მომხიბვლელობით, — ეუბნებოდა იგი თავის თავს, — მაგრამ მაინც რა ძნელია იმის დაკარგვა, რასაც მიჩვეული ხარ!“

მას მოაგონდა ამასწინანდელი ამბები. მის თვალწინ ბენტანატის ხატება აღიმართა, ის სულ უფრო ცოცხლდებოდა და მშვენდებოდა. პენტაურს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, სისხლი აუჩქროლდა, სახეზე ხელებაფარებულს ახსენდებოდა მეფის ასულის თითოეული მოძრაობა, თითოეული მისი სიტყვა. „მე მზად ვარ ყველაფერში შენ გაგყვე“, — უთხრა ბენტანატმა პარასქიტის ქოხთან. და ახლა პენტაური ეკითხებოდა

თავის თავს: არის თუ არა ის ღირსი, რომ იყოს მისი მოძღვარი ცხოვრებაში?

მართალია, მან ხელჰყო ძველი წეს-ჩვეულებანი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ზიანი მიეყენებინა სეთის სახლისთვის, რომელიც მისთვის უსაზღვროდ ძვირფასი იყო, არამედ ისწრაფოდა მხოლოდ ახალი სინათლის სხივით გაენათებინა ეს პირქუში სავანე. „როცა იმას აკეთებ, რაც სწორად მიგაჩნია, შეიძლება ადამიანების გაკიცხვა დაიმსახურო, მაგრამ არამც და არამც ღმერთებისა“, — ეუბნებოდა იგი თავის თავს.

ღრმად ამოისუნთქა და ტერასაზე მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვიდა, რომ აქაც, ამ ტაძარშიც ყოველთვის სამართლიანი იყოს და ისიც ჭეშმარიტების ბურჯად გადააქციოს. „ჩვენ, ადამიანები, ჯერ ჩვენი დაბადებით ვტანჯავთ სხვას, მერე კი სიკვდილით, — ფიქრობდა ის. — ამიტომაც, სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენი ვალია, მოვსპოთ ყოველგვარი ტანჯვა-წამება და ვთესოთ სიხარული. ბევრი ცრემლის შეშრობა მოგვიწევს! მაშ ასე, საქმეს შევუდგეთ!“

ზედა ტერასაზე თავისი ქურუმებიდან არავინ შეხვედრია პენტაურს. ყველას დაბლა მოეყარა თავი, მეკარეს უსმენდნენ და აშკარად იზიარებდნენ მის გულისწყრომას. პენტაურმა კარგად იცოდა, ვისკენ იყო მიმართული მათი აღშფოთება.

მტკიცე და გაბედული ნაბიჯით ჩამოვიდა მათთან და თქვა:

— მე გავაგდე ეს კაცი ჩვენი საზოგადოებიდან, რადგან ის ყველას გვარცხვენს. ხვალ ის დასტოვებს ტაძარს.

— მე ახლავე მივდივარ! — განაცხადა მეკარემ. — და წმინდა მამების დავალებით, — მან შეკრებილთ გადახედა, რომლებიც მოწონების ნიშნად თავს უქნევდნენ, — ვკითხავ მთავარ ქურუმს ამენის, ექნებათ თუ არა უწმინდურთ უფლება ამიერიდან ამ ტაძარში შემოვიდნენ.

ის უკვე ჭიშკართან იყო მისული, როცა პენტაურმა გზა გადაუღობა და მკაცრი, გაბედული ხმით უთხრა:

— შენ აქ დარჩები ხვალ, ზეგ, მუდამ და ბატებს მწყემსავ, სანამ მე თავად არ ჩავთვლი საჭიროდ გაპატიო.

მეკარემ კითხვის თვალით გადახედა ქურუმებს. არავინ განძრეულა.

— შინ წადი! — დაუყვირა პენტაურმა.

მეკარე უსიტყვოდ დაემორჩილა.

პენტაურმა კარი დაკეტა, გასაღები ერთ-ერთ მსახურს გადასცა და უთხრა:

— მის მოვალეობას შენ შეასრულებ. კარგად უყარაულე ამ კაცს, თუ გაგექცა, ხვალ შენც გაგიშვებ ბატების სამწყემსავად. შეხედეთ, მეგობრებო, რამდენი მლოცველია ჩვენს საკურთხევლებთან! მიდით მათთან და აღასრულეთ თქვენი მოვალეობა. მე კი სააღმსარებლოში წავალ, რათა მოვუსმინო ტანჯულთ და ნუგეში ვცე.

ქურუმები დაიშალნენ და მლოცველებისკენ გაემართნენ.

პენტაური ისევ კიბეს აუყვა და ვიწრო სააღმსარებლოში შევიდა, რომელიც ფარდით იყო ორ ნაწილად გაყოფილი, კედელზე გამოსახული იყო ხატორის ძროხის ცურს მიხუტებული[88] ხატშეფსუტი, რომელიც მარადიული სიცოცხლის რძეს დასწაფებოდა. ის იყო, პენტაური დაჯდა, რომ ერთ-ერთმა ნეოკორმა[89] ვიღაც წარჩინებული ქალბატონის მოსვლა აუწყა. ვინ იყო, ვერ გაიგო, რადგან სახე საბურველით ჰქონდა და-

---

[88] კარგადაა შემონახული ბარელიეფი, რომელიც მნახველს აოცებს ცხოვრებისეული სინამდვილით. (ავტ. შენიშვნა).

[89] ნეოკორები — „ტაძრის დამცველები“ (ბერძნ.) მსახურები, რომლებიც ალაგებდნენ შენობებსა და არემონტებდნენ ტაძრებს. დიდ ტაძრებში ეს თანამდებობა საპატიოდ ითვლებოდა.

ფარული და მისი ტახტრევნის მეჯინეებიც თავიდან ფეხებამდე შეფუთნულები იყვნენ. მოსულმა მოითხოვა სააღმსარებლომდე მიეცილებინათ იგი.

მსახურმა გადასცა პენტაურს ნილოსის გაღმა ნაპირზე მდებარე ამონის დიდი ტაძრის მთავარი ქურუმის მიერ გამოგზავნილი ფირფიტა, რომელიც აქ მოსულს უფლებას აძლევდა რექიუს[90] თანხლებით შესულიყო ტაძრის შიდა სავანეში და ესაუბრა ყველა ქურუმთან, მათ შორის კურთხეულებთანაც.

პენტაური შევიდა ფარდის უკან და რაღაც უცნაური მღელვარებით ელოდებოდა უცნობს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი აღსარება ჰქონდა მოსმენილი, ეს შეგრძნება მაინც მისთვის მეტად უჩვეულო იყო. ამენი მას ყველაზე წარჩინებულ დიდებულებსაც კი უგზავნიდა, როცა ისინი სეთის ტაძარს მიმართავდნენ სიზმრების ასახსნელად.

წყნარ და შეხუთულ ქვის საკანში მაღალ-მაღალი ქალი შემოვიდა, მუხლი მოიყარა და ლოცვა დაიწყო ხატორის ქანდაკების წინ. ფარდის იქით მჯდომმა პენტაურმა ცისკენ აღაპყრო ხელები და უმაღლეს ღვთაებას შეევედრა ძალა და სიბრძნე მოენიჭებინა მისთვის, რათა სწორად გაეცა პასუხი ყველაზე რთულ კითხვაზე. როცა მან ხელები დაუშვა, ქალმა თავი ასწია, წამოდგა და სახიდან საბურველი ჩამოიცილა... ის ბენტ-ანატი იყო.

მოზღვავებულ გრძნობებს თავი ვერ გაართვა და ქალთა გულის მესაიდუმლესთან — ქალღმერთ ხატორთან მოვიდა, რომელსაც ხელთ ის ძაფი ეპყრა, ქალს მამაკაცთან რომ აკავშირებს.

---

[90] რექიუ — ეგვიპტელები, რომელთაც უფლება ჰქონდათ ტაძრების შიდა სენაკებში შესულიყვნენ და უმაღლეს საიდუმლოებას ზიარებოდნენ.

მკითხველთა ლიგა

— ზეცის დიდო მეუფეო, — ხმამაღლა ლოცულობდა ბენტ-ანატი, — მრავალსახელიანო და პირმშვენიერო ოქროს ხატორ, მწუხარებისა და ბედნიერების, აწმყოსა და მომავლის განმგებელო! შეიწყალე შენი ასული და შთააგონე შენს მსახურს კეთილი რჩევა. მამაჩემი ღვთაებასავით დიადი, კეთილშობილი და სამართლიანია. ის მირჩევს, კი არ მაიძულებს, არამედ მირჩევს — გავყვე კაცს, რომელსაც ვერასოდეს შევიყვარებ. მე კი სხვას შევხვდი. დიდგვაროვანი არ არის, მაგრამ ჭკვიანი და ნიჭიერია.

პენტაური ენაჩავარდნილი უსმენდა მეფის ასულს. კვლავ დარჩეს თავის სამალავში და ფარულად ყური უგდოს მის საიდუმლოს, თუ გამოვიდეს და დაენახოს? სიამაყის გრძნობა ჩასძახოდა: „ახლა ის შენს სახელს იტყვის! შენ ხარ ამ მშვენიერი და შესანიშნავი ქალის რჩეული!“ მაგრამ ამავე დროს მას მეორე, ხმაც ჩაესმოდა, რომელსაც ყოველთვის ემორჩილებოდა: „ნუ ათქმევინებ უმეცარსა მას დიაცსა სიტყვასა ეგევითარსა, რომელსა სირცხვილითა არა იტყოდა, უკეთე სცოდნოდა!“

სახეალეწილმა ფარდა გადასწია და ბენტ-ანატთან გამოვიდა.

შეშინებულმა ქალმა ერთბაშად უკან დაიხია.

— ვინა ხარ? შენ, პენტაურ, თუ რომელიმე ღმერთი? — შეჰყვირა მან.

— მე პენტაური ვარ, — მტკიცედ უპასუხა ქურუმმა. — ადამიანი ყველა იმ სისუსტით, ადამიანთა მოდგმას რომ სჩვევია, მაგრამ სიკეთისადმი მისწრაფებით აღსავსე. დარჩი აქ და შენი გულისნადები გაანდე ჩვენს ქალღმერთს. მერე კი მთელი ჩემი ცხოვრება შენთვის ვილოცებ!

დაჟინებით ჩააცქერდა ქალს თვალებში და ისე სწრაფად მივარდა გასასვლელს, თითქოს სასიკვდილო საფრთხეს გაურბისო. ბენტ-ანატმა შეაჩერა იგი.

— რამზესის ქალიშვილს არ სჭირდება თავის მართლება ამ ტაძარში მოსვლისთვის, მაგრამ ქალწული ბენტ-ანატი, — ამის თქმაზე მეფის ასულს სახე აენთო, — აქ შენს ნახვას სულაც არ ელოდა, მოხუცი რუი ეგულებოდა და რჩევისთვის მასთან მოვიდა. ახლა კი მარტო დამტოვე, უნდა ვილოცო.

ბენტ-ანატმა ისევ მოიყარა მუხლი, პენტაური კი წავიდა.

როცა მეფის ასული რამდენიმე ხნის შემდეგ სააღსარებოდან გამოვიდა, იმ ტერასის, სადაც ის იმყოფებოდა, სამხრეთი მხრიდან ხმამაღალი შეძახილები მოისმა, და ბენტ-ანატიც ჩქარი ნაბიჯით გაემართა გალავნისკენ.

— გაუმარჯოს პენტაურს! — ისმოდა ქვემოდან.

პენტაურმა ფარაონის ქალიშვილთან მიირბინა. ორივენი გვერდიგვერდ მდგარნი, ყველას დასანახად, იყურებოდნენ ქვემოთ, ხეობისკენ.

— დიდება პენტაურს! — კიდევ უფრო ხმამაღლა ისმოდა იქიდან. — დიდება ჩვენს მასწავლებელს! დაუბრუნდი სეთის სახლს! ძირს პენტაურის მდევნელები! ძირს ჩვენი მჩაგვრელები!

ყმაწვილებს შეეტყოთ რა, თუ სად გადაესახლებინათ პოეტი, რამერისა და ყმაწვილი ანანას წინამძღოლობით გამოპარულიყვნენ სეთის სახლიდან, რათა გამოეხატათ მისდამი თავიანთი ერთგულება. წინა რიგში მდგომმა რამერიმ გახარებულმა თავი დაუკრა თავის დას, ხოლო ანანა წინ გამოვიდა და სიტყვით მიმართა თავის საყვარელ მოძღვარს. ეს იყო საზეიმო, კარგად დაზეპირებული სიტყვა, რომელშიც მოწაფეები აღუთქვამდნენ მას, რომ, თუ ამენი უარს იტყოდა პენ-

ტაურის სეთის სახლში დაბრუნებაზე, მაშინ ისინი სთხოვდნენ თავიანთ მამებს სხვა სკოლაში გადაყვანას.

ისე კარგად ლაპარაკობდა ახალგაზრდა სწავლული, რომ ბენტ-ანატი ვეღარ ფარავდა თავის აღტაცებას მისი მგზნებარე სიტყვით. პენტაური კი სულ უფრო იღუშებოდა, მისმა საყვარელმა მოწაფემ ვერც კი მოასწრო სათქმელის დამთავრება, რომ პოეტმა მკაცრად შეაწყვეტინა.

მისი ხმა ჯერ გამკიცხავად ჟღერდა, შემდეგ მრისხანედ, მაგრამ, რამდენიც არ ეცადა, მის სიტყვებში მაინც არ იგრძნობოდა რისხვა, პირიქით, ისინი ღრმა გულისტკივილით იყვნენ გამსჭვალული.

— ჭეშმარიტად, მე ისღა დამრჩენია, ვინანო ყოველი ჩემი სიტყვა, ოდესღაც რომ მითქვამს თქვენთვის, თუ კი ჩემი ნათქვამი ასეთ უგუნურ ნაბიჯს გადაგადგმევინებდათ... — დაამთავრა მან. — თქვენ ხომ სასახლეში ხართ დაბადებული, მაშ ჯერ მორჩილება ისწავლეთ, რომ შემდეგ მბრძანებლობაც შეძლოთ. ახლა კი დაბრუნდით სკოლაში! რაღას უდგახართ? რახან აგრეა, ჩემს ჩაფრებს დავუძახებ და სეთის სახლამდე სულ კინწისკვრით გაგაგდებენ. ნუთუ არ გესმით, რომ გადამეტებული ქება-დიდება არ გვეკადრება არც მე და არც თქვენ.

გაოცებულმა და გაწბილებულმა მოწაფეებმა პენტაურს ურჩობა ვერ გაუბედეს და უგუნებოდ გამობრუნდნენ უკან.

ბენტ-ანატმა ძმას გადახედა, საგონებელში ჩავარდნილი მხრებს რომ იჩეჩავდა, თვალები დახარა, შემდეგ ისევ ამოიხედა და მოწიწებით დააცქერდა პოეტს. ეს სულ ერთი წამით იყო, რადგან მან მზერა იმწამსვე ისევ ხეობისკენ გადაიტანა, სადაც მტვრის კორიანტელი იდგა, ცხენების თქარათქური და ბორბლების რახრახი ისმოდა. მყისვე ტაძართან ასტროლო-

გების უფროსის სეფტის ეტლი და სეთის სახლის თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ჩაფრების ოთხთვალა გაჩერდა.

განრისხებული მოხუცი ეტლიდან მსუბუქად ჩამოხტა, უკან დახეულ მოწაფეებს დაუტატანა, ჩაფრებს უბრძანა სკოლაში მიეგვარათ ისინი, და ყმაწვილივით გაბედულად გაემართა ტაძრის ჭიშკრისკენ.

ქურუმები დიდი პატივით შეხვდნენ მას და მაშინვე თავთავიანთი საჩივრები ჩაუკაკლეს.

მოხუცმა დაუფარავი თანაგრძნობით მოუსმინა მათ, მაგრამ სათქმელის დამთავრება აღარ აცალა და ძლივძლივობით შეუდგა კიბეს, რომლითაც მის შესახვედრად ბენტ-ანატი ჩამოდიოდა.

მეფის ასული მაშინვე მიხვდა, რომ, თუ ასტროლოგი მას იცნობდა, მაშინ უწყალო გაკიცხვა ელოდა და ათასნაირი მითქმა-მოთქმა ატყდებოდა. ის იყო, საბურველის ჩამოფარება დააპირა, მაგრამ ხელი ისევ უკან წაიღო. ბენტ-ანატმა ღირსეულად გაუძლო მოხუცის მრისხანე მზერას და ამაყად ჩაუარა გვერდზე. ასტროლოგი მიესალმა, მაგრამ არ დაულოცია. მეორე ტერასაზე პენტაურს შეხვდა და უბრძანა დაუყოვნებლივ გაეყვანათ ტაძრიდან ყველა მლოცველი.

რამდენიმე წუთში ბრძანება შესრულებულ იქნა, და ქურუმები ერთი მეტად სამძიმო სცენის მოწმენი გახდნენ, როგორიც ოდესმე თუ გათამაშებულა მათ წყნარ სავანეში.

წეს-ჩვეულებათა საიდუმლოებაში პოეტის ნაადრევად კურთხევის ერთ-ერთი თავგამოდებული მოწინაღმდეგე სეთის სახლის ასტროლოგების უფროსი იყო. მას კარგად ესმოდა, რომ ახალგაზრდა ქურუმის თამამი გონება ისწრაფვის შეარყიოს ის უძველესი საფუძვლები, რომელთა განმტკიცებასაც მათ ურყეობაში ღრმად დაჯერებული, დაუცხრომელი მო-

ხუცი სიყმაწვილის წლებიდანვე ცდილობდა. თავიდათავი მიზეზი იმ უსიამოვნებისა, რაც სეთის სახლში მის თვალწინ ხდებოდა და რაც წეღან ამ ტაძარში ნახა, მისი ღრმა რწმენით, იყო გზააბნეული მეოცნების თავაწყვეტილობა. ამიტომაც მოსწავლეთა „ამბოხებაში“ მთელი პასუხისმგებლობა მან დაუნდობლად პენტაურს დააკისრა.

— შენ არა მარტო ჩვენი ბიჭები, არამედ რამზესის ქალიშვილიც კი შეაცდინე! — ყვიროდა ის. — მეფის ასულმა ჯერ წაბილწვისაგან განწმენდაც ვერ მოასწრო, რომ შენ უკვე პაემანზე შემოიტყუე და ისიც სად — ამ უწმინდესი ქალღმერთის წმიდათაწმიდა ტაძარში!

დაუმსახურებელმა ქებამ მხოლოდ სუსტს შეიძლება ავნოს, მაგრამ დაუმსახურებელ საყვედურს შეუძლია ძლიერიც კი ააცდინოს გზიდან.

პენტაური გაბედულად იგერიებდა მის მიმართ წამოყენებულ უამრავ ბრალდებას, მოხუცი ასტროლოგის ასაკის, წოდებისა და სახელისთვის არასაკადრისს უწოდებდა მათ. ბოლოს, მეტისმეტად გაშმაგებული, იმის შიშით, ჭკუაზე არ შეშლილიყო, პენტაური შებრუნდა და წასვლა დააპირა; მაგრამ მოხუცმა შეაჩერა და მისი თანდასწრებით ქურუმებს დაკითხვა დაუწყო. ისინი ერთხმად ბრალს სდებდნენ პოეტს იმაში, რომ ბენტ-ანატის გარდა მან ტაძარში შემოიყვანა სხვა უწმინდური ქალიც და ციხეში ჩასვა მეკარე, რომელიც ამ მკრეხელობისთვის აუმხედრდა.

ასტროლოგების მეთაურმა ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინათ „უდანაშაულოდ დაზარალებული“, პენტაური წინ აღუდგა ამას, ეყრდნობოდა რა თავის უფლებებს, განმკარგულებელი ყოფილიყო, და აღშფოთებისგან აკანკალებული ხმით უბრძანა მოხუცს ტაძარი დაეტოვებინა.

მაშინ სეფთმა ამენის ბეჭედი აჩვენა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თებეში ყოფნისას ამენი მას თავის მოადგილედ სტოვებდა. ამის შემდეგ მან საზეიმოდ აჰყარა ღირსება პენტაურს, უბრძანა ჯერჯერობით ტაძარში დარჩენილიყო და დატოვა ხატშეფსუტის წმინდა სალოცავი.

თავისი მოძღვრის ბეჭდის დანახვაზე პენტაურმა უხმოდ დახარა თავი და სააღმსარებლოში შევიდა, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ბენტ-ანატს შეხვდა.

ყოველივე მომხდარით თავზარდაცემულს, აზრები ერთმანეთში ერეოდა, ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები ბობოქრობდნენ მის გულში. პენტაური ციებცხელებიანივით კანკალებდა, ხოლო როცა იოლი გამარჯვებით მოზეიმე ქურუმთა და მეკარის ხარხარი მოესმა, იმ დამნაშავესავით შეძრწუნდა, რომელმაც სარკეში შუბლზე დასმული თავისი შეჩვენების დაღი დაინახა.

მაგრამ დრო გადიოდა და პენტაური თანდათანობით მშვიდდებოდა, აზროვნების უნარი უბრუნდებოდა. ხოლო როცა წყნარი სააღმსარებლოდან გამოვიდა, რათა აღმოსავლეთით გაეხედა, სადაც ნილოსის გაღმა უზარმაზარ სასახლეში ბენტ-ანატი ეგულებოდა, ყმაწვილი მტრებისადმი უსაზღვრო სიძულვილით განიმსჭვალა და მთელი მისი არსება სიმამაცისა და ძლიერების შეგრძნებამ მოიცვა. პენტაური საკუთარ თავს არ უმალავდა, რომ ძლიერი მტრები ჰყავდა და სასტიკი ბრძოლის ჟამი დგებოდა, მაგრამ ის არ უშინდებოდა მას იმ ახალგაზრდა გმირივით, რომელიც თავისი საბრძოლო ნათლობის გარიჟრაჟს ეგებება.

თავი მეთხუთმეტე

ჩრდილები უკვე დაგრძელებულიყვნენ, როცა ტაძრის ჭიშკარს მდიდრულად მორთული ეტლი მოადგა.

ეტლზე ფარაონის მახორი პააკერი იდგა და ძლიერ ხელებში ეპყრა წმინდა სისხლის სირიული ცხენების სადავეები. მის უკან მოკრუნჩხული იჯდა მოხუცი მონა, ხოლო ენაგადმოგდებული ნაგაზი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მისდევდა გაჭენებულ ცხენებს.

ჭიშკართან პააკერს ვიღაცამ დაუძახა და მანაც ძლივძლივობით შეაჩერა ცხენები. პატარა კაცუნა აჩქარებით მორბოდა მისკენ. პააკერმა ჯუჯა ნემუ იცნო და გულმოსულმა შესძახა:

— შე ლიფსიტა, შენი გულისთვის გავაჩერე ცხენები. ჰა, რა გინდა?

— მოიღე მოწყალება და მეც თან წამიყვანე გაღმა, როცა მკვდართა ქალაქში შენს საქმეს მოითავებ, — თავმდაბლად სთხოვა ჯუჯამ.

— შენ მეეტლე მენას ჯუჯა ხარ? — ჰკითხა პააკერმა.

— სრულიადაც არა, — უპასუხა ნემუმ. — მე მის მიტოვებულ მეუღლეს, ქალბატონ ნეფერტს, ვეკუთვნი. ჩემი მოკლე ფეხებით მეტად ძნელია ამხელა მანძილის დაფარვა. შენი ცხენის ქაჩაჩები კი ისე შთანთქავენ მას, როგორც ნიანგი თავის მსხვერპლს.

— კმარა ლაყბობა, ამოძვერი! — დაუყვირა პააკერმა. — შენ რა, ნეკროპოლში ფეხით მოხვედი?

— არა, ბატონო, — მიუგო ნემუმ, — ვირით მოვედი, მაგრამ საცოდავ პირუტყვს ეშმაკმა რაღაც სენი შეჰყარა, და ანუბისის ცხოველები დღეს ჩვენზე უკეთესად ივახშმებენ!

— ლაპარაკობენ, რომ შენს პატრონთან ხალხი მაინცდამაინც კარგად ვერ ცხოვრობსო? — ჰკითხა პააკერმა.

— პური ჯერჯერობით გვაქვს, — უპასუხა ჯუჯამ, — ნილოსშიც წყალი ბლომადაა. ქალებსა და ჯუჯას არც ისე ბევრი ხორცი სჭირდებათ, თუმცა ჩვენი პირუტყვი ამ ბოლოს ისე გამოიცვალა, რომ კბილი აღარ ეკარება,

პააკერმა ვერ გაიგო ჯუჯას ხუმრობა და გაკვირვებით შეხედა მას.

— ფულად გადაიქცა, — აუხსნა ჯუჯამ. — კბილს ვერ დაადგამ. მალე ისიც შემოგვეხარჯება და მერე მიწისგან, წყლისა და პალმის ფოთლებისგან ღვეზელების გამოცხობას ვისწავლით. ჩემთვის, რა თქმა უნდა, სულ ერთია — ჯუჯას ბევრი არა უნდა რა, მაგრამ ჩვენს უბედურ, ნაზ ქალბატონს რა ეშველება?

პააკერმა ისე გადაუჭირა მათრახი ცხენებს, რომ ისინი ყალყზე შედგნენ, და თავისი ძლიერი ხელებით ძლივს დაიმორჩილა.

— ლაშები დაეგლიჯებათ, — გააფრთხილა მოხუცმა მონამ. — ცოდვაა, ძვირფასი ცხენებია.

— შენ რა გენაღვლება, — შეუღრინა პააკერმა. შემდეგ ჯუჯას მიუბრუნდა და აღელვებულმა ჰკითხა:

— კი, მაგრამ, ნუთუ მენას არ აწუხებს, რომ ქალები გაჭირვებაში არიან?

— მას აღარ უყვარს თავისი ცოლი, — უპასუხა დაღონებულმა ჯუჯამ და თვალები დახარა. — ნადავლის ბოლო გაყოფისას თურმე ოქრო-ვერცხლზე უარი უთქვამს და კარავში უცხო

ტყვე ქალი წამოუყვანია. როგორც ჩანს, ავმა სულებმა დააბრმავეს, თორემ ნეფერტზე მშვენიერი ქალი განა სადმე მოიძებნება?

— ძალიან გიყვარს შენი ქალბატონი?

— როგორც ჩემი თვალის სინათლე!

ამასობაში ტაძრის ჭიშკარსაც მიადგნენ. პააკერმა სადავე მონას მიუგდო და მას და ნემუს უბრძანა აქ დალოდებოდნენ. თვითონ კი მეკარეს სთხოვა ტაძრის მთავარ ქურუმთან პენტაურთან მიეყვანა და გასამრჯელოდ მთელი მუჭა ბეჭდები ჩაუჩხრიალა.

მეკარემ შეუშვა და სხვის დასანახად საცეცხლურის გამალებით ქნევას მოჰყვა, შემდეგ კი უთხრა:

— მესამე ტერასაზე იქნება, მაგრამ ის უკვე მთავარი ქურუმი აღარაა.

— სეთის სახლში, საიდანაც მე მოვედი, მას ასე უწოდებენ, — შეეპასუხა პააკერი.

მეკარემ დამცინავად აიჩეჩა მხრები.

— პალმაზე ასვლა იოლია, მაგრამ კიდევ უფრო იოლია იქიდან ჩამოვარდნა, — თქვა მან და მსახურს უბრძანა პააკერი პენტაურთან მიეყვანა.

პენტაურმა მაშინვე იცნო მახორი და მოსვლის მიზეზი გამოჰკითხა. პააკერს ერთი უცნაური სიზმრის ახსნა ესაჭიროებოდა.

სანამ თავის სიზმარს მოუყვებოდა, პააკერმა წინასწარ გააფრთხილა, ამ სამსახურისთვის ვალში არ დაგრჩებითო, მაგრამ როგორც კი შეამჩნია, რომ პენტაური მოიღუშა, ჩქარჩქარა დაუმატა:

— თუ ჩემი სიზმარი ბედნიერებას მომიტანს, მაშინ თქვენს ქალღმერთს ყველაზე დიდ ზვარაკს გამოვუგზავნი.

— თუ არა, მაშინ? — ჰკითხა პენტაურმა, რომელსაც სეთის სახლში არასოდეს ჰქონია ლაპარაკი გასამრჯელოსა და შესაწირავზე.

— მაშინ ცხვარს გამოგიგზავნით, — მიუგო პააკერმა, რადგან ვერ მიხვდა, რომ ქურუმი დასცინოდა. მას, საერთოდ, ჩვეულებად ჰქონდა, ღმერთების წყალობისთვის გადაეხედა იმის მიხედვით, თუ რამდენად სარგებლიანი იყო ის მისთვის.

პენტაურს უნებურად მოაგონდა, რას ამბობდა მოხუცი გაგაბუ პააკერზე ამ რამდენიმე დღის წინ, და თვითონ მოუნდა გამოეცადა, რამდენად თვალაბმული იყო ეს კაცი. ამიტომ სიცილი შეიკავა და უთხრა:

— მე რომ ვერც კარგი და ვერც ცუდი გიწინასწარმეტყველო, მაშინ?

— მაშინ ანტილოპასა და ოთხ ბატს შემოგწირავთ, — დაუფიქრებლად უპასუხა პარკერმა.

— საერთოდ რომ არ დაგეხმარო? — იკითხა პენტაურმა. — ქურუმისთვის არასაკადრისად ჩავთვალო, რომ მან მავანსა და მავანს ნება დართოს ღმერთებს გადაუხადოს მათი წყალობის მიხედვით, თითქოს თვით ღმერთები მექრთამე მოხელეები ყოფილიყვნენ. და რომ მოვინდომო და დაგიმტკიცო შენ, სწორედ შენ, რომელსაც ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გიცნობ, რომ არსებობს ისეთი რამ, რასაც მამისეული ფულით ვერ იყიდი?

ამ სიტყვებით გაოცებულმა პააკერმა უკან დაიხია, ხოლო პენტაური მშვიდად განაგრძობდა:

— მე ღვთაების მსახური ვარ, მაგრამ, როგორც გატყობ, შენი უჯიათი ხასიათით გინდა ჩემზე ჯავრი იყარო შენივე თავის საზიანოდ. ღმერთები სიზმრებს იმისთვის კი არ გვიგზავნიან, რომ ბედნიერება ან უბედურება მოასწავონ. არა! ისინი

მხოლოდ და მხოლოდ გვაფრთხილებენ, რათა სულიერად მოვემზადოთ და მორჩილად გადავიტანოთ მწუხარება ან მადლიერებით შევხვდეთ ბედნიერებას, და როგორც ერთი ისე მეორე ჩვენივე სულის სასარგებლოდ გამოვიყენოთ. მე არა მსურს ავხსნა შენი სიზმარი, მოდი ყოველგვარი შესაწირავის გარეშე, ოღონდ მშვიდი გულითა და შინაგანი გასხივოსნების წადილით, — მაშინ მე ვთხოვ ღმერთებს გონება გამინათლონ და ისე აგიხსნი ცუდ სიზმარსაც კი, რომ ის სასიკეთოდ გამოგადგეს. ახლა კი დამტოვე და ტაძრიდან წადი.

პააკერმა მძვინვარებისგან კბილები გააღრჭიალა, მაგრამ თავი შეიკავა და ნელი ნაბიჯით გავიდა ამ სიტყვებით:

— შენ რომ თანამდებობიდან უკვე გადაყენებული არ იყო, მაშინ შენი წოდება ძვირად დაგიჯდებოდა ასეთი კადნიერი პასუხისთვის. ჩვენ კიდევ შევხვდებით, და მაშინ გაიგებ, რომ საიმედო ხელში ჩავარდნილ მამისეულ ფულს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე შენ გგონია.

„კიდევ ერთი მტერი“, — გაიფიქრა პენტაურმა, როცა პააკერი გავიდა. შემდეგ ადგა, წელში გასწორდა და სიხარულით აღსავსემ იმ შეგნებით, რომ სიმართლეს ემსახურება, თავი მაღლა ასწია.

* * *

სანამ პარკერი პენტაურს ელაპარაკებოდა, ჯუჯა ნემუ მეკარესთან მასლაათობდა და მისგან შეიტყო ტაძარში მომხდარი ამბავი. სიშმაგისგან გაფითრებული პააკერი გამოსვლისთანავე ეტლზე შეხტა და სანამ ნემუ საფეხურზე აფოფხდებოდა,

ცხენები გააქროლა. მონამ ხელი ჩაავლო ნემს საყელოში და ფრთხილად დააყენა თავისი პატრონის უკან.

— გაიძვერა! არამზადა! მე კიდევ ვანანებ ჩემს შეურაცხყოფას მაგ ბინძურ ქოფაკს პენტაურს! — ბუტბუტებდა თავისთვის პააკერი.

ჯუჯას არ გამოჰპარვია არც ერთი მისი სიტყვა, და როგორც კი პოეტის სახელი გაიგონა, პააკერს უთხრა:

— ამ ტაძრის მთავარ ქურუმად ვიღაც გარყვნილი დაუნიშნავთ, პენტაურს ეძახიან, მგონი. სეთის სახლიდან თავაშვებულობისთვის გამოუგდიათ, როგორც ამბობენ, თურმე მას წაუქეზებია მოწაფეები აჯანყებულიყვნენ, ტაძარში უწმინდურ ქალებს იტყუებდაო. ენა არ მემორჩილება წარმოვთქვა ეს, მაგრამ მეკარე იფიცებოდა, რომ სეთის სახლის ასტროლოგების მეთაურმა წაასწრო იმ კაცს ფარაონის ქალიშვილთან ბენტ-ანატთან ერთად და იმწამსვე წოდება ჩამოართვაო.

— ბენტ-ანატთან? — გაიკვირვა პააკერმა და სანამ ჯუჯა უპასუხებდა, ჩაიბუტბუტა: — ჰო, ჰო! ბენტ-ანატთან! — მას ის დღე მოაგონდა, როცა მეფის ასულმა კარგა ხანს დაჰყო ქურუმთან ერთად პარასქიტის ქოხში, სანამ პააკერი ნეფერტს ელაპარაკებოდა და გრძნეულთან მივიდოდა.

— არასოდეს ვინატრებდი ამ ქურუმის ადგილას ყოფნას, — თქვა ნემუმ, — თუმცა რამზესი შორსაა, სამაგიეროდ ვეზირი ანია ახლოს. მართალია, ის ისეთი კაცია, რომელიც ძალიან იშვიათად ბრაზობს, მაგრამ მტრედი რომ მტრედია, ისიც კი არავის უშვებს თავის ბუდესთან.

პააკერი შემობრუნდა და ჯუჯას გაოცებით შეხედა.

— მე ხომ ყველაფერი ვიცი, — მიუგო ნემუმ. — ვეზირს რამზესის ქალიშვილის შერთვა უნდა. — პააკერის სახეზე უნდობლობის ღიმილი რომ შეამჩნია, ჯუჯამ განაგრძო: — არც ფარა-

ონია უარზე. ქორწილსაც დიდი სიხარულით გადაიხდის... თუმცა შენ ეს სხვაზე უკეთ მოგეხსენება ალბათ.

— მე? — გაიკვირვა პააკერმა.

— ჰო, განა ფარაონმა არ შეართვევინა ნეფერტი თავის მეეტლეს? ეს თავად ქათუთიმ მითხრა. ამას თვითონაც და გიდასტურებს.

პააკერმა მხოლოდ თავი გადააქნია, ხოლო ჯუჯა იხტიბარეს არ იტეხდა:

— დიახ! დიახ! ქათუთის შენ და მხოლოდ შენ უნდოდი სიძედ, მაგრამ ფარაონმა ჩაშალა თქვენი ქორწინება. მართალია, შენ იმ დროს მაინცდამაინც არ გწყალობდნენ, რადგანაც რამზესი ცუდი თვალით გიყურებდა. ჩვენისთანებს კი, ფარდას ამოფარებული თაგვივით, განა რამე გამოეპარებათ?

პააკერმა მკვეთრად მოზიდა სადავე და ცხენები გააჩერა. ეტლიდან გადმოხტა, სადავე მონას გადაუგდო, ჯუჯა მოიხმო და უთხრა:

— მდინარემდე ფეხით ვიაროთ და გზაში ყველაფერს მომიყვები, რაც იცი. ოღონდ, ერთი სიტყვაც რომ დაგცდეს ტყუილი, ძაღლებს დავაგლეჯინებ შენს თავს.

— ვიცი, შენ სიტყვის პატრონი ხარ და ყველაფერს ასრულებ, რასაც იტყვი, — ამოიხვნეშა ჯუჯამ. ასე ჩქარა ნუ მიდიხარ, თორემ სული გამძვრება. დაე, თვითონ ქათუთიმ გიამბოს, როგორ მოხდა ეს ყველაფერი, როგორ აიძულა რამზესმა, რომ ნეფერტი მეეტლისთვის გაეყოლებინა. არ ვიცი, ფარაონმა კერძოდ შენზე რა თქვა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შენი საქებარი იქ არაფერი თქმულა. საწყალი ჩემი ქალბატონი! მან დაუჯერა ამ მუსუსსა და ქალების მაამებელს, ახლა კი სანანებლად გაუხდა საქმე. როცა მე და ქათუთი შენი სახლის მაღალ ჭიშკარს ჩავუვლით, ის მძიმედ ამოიოხრავს

და ჩივილს იწყებს ხოლმე. და არც თუ ისე უსაფუძვლოდ, რადგანაც ჩვენს დიდებულებას მალე ბოლო მოეღება. ჩვენ ალბათ თავშესაფრის ძებნა მოგვიწევს ქვემო ქვეყანაში ამუთა შორის, ვინაიდან წარჩინებული ხალხი კეთროვანებივით მოგვერიდება. ის უნდა გიხაროდეს, რომ შენი ბედი ჩვენსას არ დაუკავშირე! მაგრამ მე ჩემი ქალბატონის ერთგული ვარ და გადასახლებაშიც გავყვები მას!

— შენ რა ქარაგმებით ლაპარაკობ, — შეაწყვეტინა პააკერმა. — თქვენ რიღასი გეშინიათ?

მაშინ ჯუჯამ უამბო, რომ ნეფერტის ძმამ მამის მუმია წაიაგო, წაგებული თანხა მეტად დიდია, და ქათუთისა და მის ქალიშვილსაც შერცხვენა ელით.

— ვინ იხსნის ახლა მათ? — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ჯუჯამ. — მისი უღირსი ქმარი ქარს ატანს მამულსაც და ნადავლსაც, ქათუთი ღარიბია, ხოლო მისი მეგობრები პირველივე თხოვნაზე აქეთ-იქით გარბიან, როგორც ქორისგან დამფრთხალი ქათმები. საწყალი ჩემი ქალბატონი!

— თანხა დიდია? — ჩაიბურტყუნა პააკერმა.

— მართლაც რომ წარმოუდგენელი, — ამოიოხრა ჯუჯამ, — მერედა ამ გაჭირვების დროს ამოდენა ფული სად ვიშოვოთ? ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა, რომ... დიახ, რომ... აჰ, ჭკუაზე შეიძლება შეიშალოს კაცი. მე მგონია, ნეფერტს არავითარი იმედი აღარა აქვს თავისი მკვეხარა მეუღლისა. და რაც მართალია, მართალია, ნეფერტი ისევე ხშირად გახსენებს შენ, როგორც მას!

პააკერმა უნდობლად და მუქარით გადახედა ჯუჯას.

— კი, კი! — აღუთქვა ჯუჯამ. — იმ დღის შემდეგ მაინც, როცა მკვდართა ქალაქში ერთად იყავით გუშინწინ. სულ შენზე ლაპარაკობს, აქებს შენს უნარიანობას, გამჭრიახ გონებას. თით-

ქოს რაღაც ჯადოსნური თილისმა აიძულებდეს ნიადაგ შენზე იფიქროს.

მახორი ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ ჯუჯამ ხელახლა სთხოვა ნაბიჯი შეენელებინა. მდუმარედ მივიდნენ ნალოსის ნაპირამდე, სადაც პააკერს მდიდრული ოჩხომელი ელოდებოდა. მასზე უკვე აეგორებინათ ეტლი. როგორც კი კაიუტაში მოეწყო, პააკერმა ისევ ჯუჯა იხმო და უთხრა:

— მე ქათუთის ყველაზე ახლო ნათესავი ვარ, ახლა უკვე შევრიგდით. რატომ არაფერი მითხრა თავის უბედურებაზე?

— იმიტომ, რომ ამაყია, მის ძარღვებშიც ხომ შენი სისხლი სჩქეფს. მას ურჩევნია მოკვდეს თავის ქალიშვილთან ერთად, როგორც თვითონ თქვა, ვიდრე დახმარება გთხოვოს, რადგან შენ წინაშე დამნაშავედ გრძნობს თავს.

— მაშასადამე, მას მაინც გავახსენდი?

— პირველ რიგში, და თანაც ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი შენს კეთილშობილებაში, ო, შენ ის მეტად გაფასებს, მე ამას ვიმეორებ! და თუ ხეთის ისარი ან ღმერთების სასჯელი განგმირავს მენას, აღფრთოვანებული ქათუთი თავად მოგგვრის თავის ქალიშვილს. დამიჯერე, არც ნეფერტს დავიწყებია თავისი ბავშვობის მეგობარი. სწორედ გუშინწინ საღამოს, მკვდართა ქალაქიდან რომ დაბრუნდა, წერილი სამხედრო ბანაკიდან მაშინ ჯერ კიდევ მიღებული არ ჰქონდა, სულ შენზე ფიქრობდა. უფრო მეტიც: სიზმარში წარამარა შენ გეძახდა! ეს ყველაფერი მისი შავკანიანი მსახურის — კანდაკისაგან შევიტყვე.

მახორმა თვალები დახარა და ფიქრში წასულმა ჩაილაპარაკა:

— საოცარია! წუხელ სიზმარში შენი ახალგაზრდა ქალბატონი გამომეცხადა. ხატორის ტაძრის იმ თავხედ ქურუმს სწორედ ის სიზმარი უნდა აეხსნა.

— და მან უარით გამოგისტუმრა? რა ბრიყვი ყოფილა! განა ცოტაა ხალხი, ვინც კარგად ერკვევა სიზმრებში და არც მე ვარ მათზე ნაკლები. ჰკითხე შენს მსახურს! ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი ჩემი ახსნილი სიზმარი ზუსტად მართლდება. მითხარი რა ნახე სიზმარში?

— ვითომ ნილოსის ნაპირზე ვდგავარ, — დაიწყო პააკერმა. მას თავი ჰქონდა დახრილი და მათრახის ტარით რაღაცას ხაზავდა იატაკზე დაფენილ ფაფუკ ხალიჩაზე. — ნილოსის წყალი წყნარია, მეორე ნაპირზე ნეფერტს ვხედავ, რომელიც თავს მიქნევს. მე დავუძახე და ისიც წყლის ზედაპირზე ისე წამოვიდა, როგორც ამ ხალიჩაზე. მდინარეზე ისე გადმოდიოდა, როგორც უდაბნოს ქვიშაზე, და ფეხებიც კი არ უსველდებოდა! სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდა, ის იყო, ხელიც გავუწოდე მისაშველებლად, რომ უეცრად გედივით ჩაყვინთა. წყალში გადავხტი მის დასაჭერად, ვხედავ, ისევ წყლის ზედაპირზე გამოჩნდა, ვეხვევი... და აქ ხდება ყველაზე უჩვეულო რამ! ის დნება, დნება, როგორც თოვლი სირიის მთებში, როცა მას ხელში იღებენ. არა, არც მთლად ასე იყო, რადგანაც მისი თმა შროშანად იქცა, თვალებიდან ორი მოელვარე თევზი გადმოუცურდა და იმწამსვე გაქრა, მისი ტუჩები მარჯნის ტოტებად იქცნენ და მაშინვე ფსკერისკენ წავიდნენ, ხოლო სხეული მენასთავიან ნიანგად გადაიქცა — მიცქერის და კბილებდაკრეჭილი იცინის. სიშმაგემ ამიტანა, მახვილი ვიშიშვლე და მისკენ გადავხტი. მან სხეულში კბილები ჩამასო, ხოლო მე მახვილი გავურჭვე ხახაში... ნილოსი ჩვენი სისხლით

შეიღება... და ჩვენ ვიბრძვით, ვიბრძვით დაუსრულებლივ... და ბოლოს მეღვიძება.

პააკერმა დაასრულა და ისე ღრმად ამოიოხრა, თითქოს იმ საზარელმა სიზმარმა ხელახლა შეაძრწუნაო. ჯუჯა სულგანაბული უსმენდა და კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე ხმას ამოიღებდა.

— უცნაური სიზმარია, — თქვა მან. — მაგრამ საქმეში ჩახედულ კაცს არ გაუჭირდება მისი ახსნა. ნეფერტი შენსკენ მოილტვის, მას სურს შენი გახდეს. და შენ შეიძლება მოგეჩვენოს კიდეც, თითქოს ის უკვე შენია, მაგრამ სწორედ ამ დროს ის ხელიდან გაგისხლტება; ყინულივით დადნება და ქვიშასავით გაიფანტება ყველა შენი იმედი, თუკი გზიდან ნიანგის ჩამოშორებას ვერ მოახერხებ.

ამასობაში ოჩხომელი ნავმისადგომს მიადგა. მახორი წამოიმართა და შესძახა:

— აი ჩვენი მიზანიც!

— აი ჩვენი მიზანიც, — გაიმეორა ნემუმ, ისე რომ თითოეული სიტყვა გამოკვეთა. — ვიწრო ბოგირზე გადასვლაღა დაგვრჩა!

როცა ორივენი ნაპირზე იდგნენ, ჯუჯამ უთხრა:

— მადლობელი ვარ შენი სიკეთისათვის. თუ შემიძლია რამით გემსახურო, მიბრძანე.

— მოდი აქ! — და პააკერმა ნემუ ჩამავალი მზის მკრთალი შუქით განათებული სიკომოროს ქვეშ შეიყვანა. — რა იგულისხმე ვიწრო ბოგირში? ქარაგმები არ მესმის და გთხოვ უბრალოდ და გასაგებად მელაპარაკო!

ჯუჯა ერთი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ უთხრა:

— შეიძლება წვრილმანების გარეშე, პირდაპირ და გულახდილად ვილაპარაკო? არ გამიბრაზდები?

— არა, ილაპარაკე!

— ნიანგი — ეს მენაა! მოკალი იგი და ბოგირზე გადახვალ! მაშინ ნეფერტიც შენი იქნება... შენ მხოლოდ ჩემი რჩევის მიხედვით უნდა იმოქმედო.

— რა ვქნა?

— მოკალი მეეტლე მენა!

პააკერს უნდოდა ეთქვა, რომ ეს უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი საქმეაო, მაგრამ მანამდე ისე უნდა შემობრუნებულყო, რომ ამომავალი მთვარე მარჯვნივ მოქცეულიყო, რადგან ეს ბედნიერების მომასწავებელ ნიშნად ითვლებოდა. ჯუჯა კი ამ დროს განაგრძობდა:

— მხოლოდ იცოდე, ნეფერტი ხელში არ შემოგადნეს, როგორც სიზმარში იყო, მანამ სანამ მიზანს მიაღწევდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იხსენი შენი მომავალი დედისა და მომავალი ცოლის ღირსება, თუ არ გინდა ცოლად შეირთო ქალი, რომელსაც სამარცხვინო დაღი აქვს დასმული.

ჩაფიქრებული პააკერი მიწას დაჰყურებდა, ნემუმ კი დასძინა:

— შემიძლია თუ არა მოვახსენო ჩემს ქალბატონს, რომ შენ მზად ხარ იხსნა იგი? ჰო, რასაკვირველია, შემიძლია! ხოლო თუ ეს ასეა, ყველაფერი კარგად იქნება! ვინც სიყვარულის გულისთვის მთელ თავის ქონებას გაიღებს, ის, როგორც კი შემთხვევა მიეცემა, ერთბაშად დაიკმაყოფილოს ვნებაცა და სიძულვილიც, უყოყმანოდ შესწირავს ბრინჯაოს ბუნიკსა და ლერწმის ტარს!

ნაწილი მეორე

თავი პირველი

მზე ჩავიდა და ღამე ჩამოწვა მკვდართა ქალაქის თავზე. მეფეთა ხეობას მთვარე დაჰკაშკაშებდა, და ფრიალო კლდეები მუქ ჩრდილებს ჰფენდნენ ხეობას. შემზარავი სიჩუმე იყო გამეფებული ამ უკაცრიელ და მიყრუებულ მხარეში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ სიცოცხლე ახლა კიდევ უფრო ჩქეფდა, ვიდრე შუადღეზე. ღამის სიბნელეში ღამურები დაქროდნენ, რომლებიც შავი აბრეშუმის ძაფის მსგავს კვალს სტოვებდნენ; ფრთებგაშლილი ბუ უხმაუროდ დაცურავდა ჰაერში, ხეობის ფერდობებზე კი გუნდ-გუნდად დანავარდობდნენ ტურები. სიჩუმეს ზოგჯერ მხოლოდ მათი საზიზღარი ყმუილი და აფთრების გამკივანი ხარხარი არღვევდა.

არც ადამიანებს ეძინათ ჯერ სამეფო აკლდამების ამ ხეობაში.

სუსტი სინათლე გამოკრთოდა ჯადოქარ ხექტის მღვიმიდან. პარასქიტის ქოხის წინ კი კოცონი ენთო, და ავადმყოფი უარდას ბებია დროდადრო წივას შეუკეთებდა ხოლმე, რათა ცეცხლი არ ჩამქრალიყო.

ქოხის წინ ორი მამაკაცი იჯდა. ისინი უხმოდ შეჰყურებდნენ კოცონის მოპარპალე ალს, რომელსაც მთვარის სიკაშკაშე სჯაბნიდა, ხოლო მესამე მამაკაცი — უარდას მამა — იქვე, შორიახლოს დაკლულ ცხვარს შიგნავდა.

— რა საძაგლად ყმუიან დღეს ტურები! — სიჩუმე დაარღვია მოხუცმა პარასქიტმა და შემცივნულმა შიშველ მხრებზე დაგლეჯილი ყავისფერი ქსოვილის ნაჭერი წამოისხა, რომელიც მას ღამის სიცივისა და რთვილისგან იცავდა.

— ახალი ხორცის სუნი სცემთ, — გამოეპასუხა ნებსეხტი. — მათ შიგნეული გადაუგდეთ, ბარკალი და ზურგი კი ჩვენ შევწვათ. ნელა, მეომარო, გული ფრთხილად ამოჭერი! ჰო, აი ისიც! მართლა დიდი ცხვარი ყოფილა!

ნებსეხტმა ხელისგულზე დაიდო ცხვრის გული და ყურადღებით დაუწყო თვალიერება. მოხუცმა პარასქიტმა ალმაცერად გადახედა ექიმს და უთხრა:

— მართალია მე დაგპირდი, რომ ყველაფერს შეგისრულებ, რასაც კი მთხოვ, ოღონდ ჩვენი პატარა გამოჯანმრთელდეს... მაგრამ შენ შეუძლებელს მთხოვ!

— შეუძლებელს? — გაიკვირვა ნებსეხტმა. — რატომ? შენ ხომ გვამებს კვეთ და მებალზამეთა შორის შინაურ კაცად ითვლები. რამე მოიმიზეზე და შეეცადე კანოპებთან[91] ახლოს მოხვდე. ეს ცხვრის გული ჭურჭელში ჩადევი, იქიდან კი ადამიანის გული ამოიღე. გარწმუნებ, ვერავინ შეამჩნევს ამას!

[91] კანოპები — გამომწვარი თიხის, კვარციტის ან ალებასტრის ჭურჭლები (სანაწილე), რომლებშიც მუმიის შიგნეულს აწყობდნენ.

არაა აუცილებელი, ეს გაკეთდეს ხვალ ან ზეგ. შენმა შვილმა ყოველდღე ჩემი ფულით თითო ცხვარი იყიდოს და დაკლას, სანამ მარჯვე შემთხვევა არ მოგეცემა. თანაც ყუათიანი ხორციანი კერძებით შენი შვილიშვილი ჩქარა გამოკეთდება. აბა, შენ იცი, გაბედულად მოიქეცი!

— მე არაფრისა მეშინია, — თქვა ბერიკაცმა. — მაგრამ მაქვს კი უფლება მოვპარო მიცვალებულს მისი სიცოცხლე საიქიო სამყაროში? და ესეც არ იყოს, სიღატაკეში ვცხოვრობდი, ყველასგან შეჩვენებული, და მრავალი წლის განმავლობაში — მათ ხომ არავინ ითვლიდა — ერთგულად ვიცავდი კანონებს, რათა საიქიოში მაინც ვყოფილიყავი ალალმართალი და იალუს ყანებში და მზიურ ნავში მიმეღო მისაგებელი ყოველივე იმისთვის, რაც აქ არ გამაჩნია. შენ კარგი და კეთილი კაცი ხარ, მაგრამ მე არ მესმის, რაღაც ახირებულობის გულისათვის როგორ შეგიძლია შესწირო ნეტარება უბედური კაცისა, რომელსაც თავის დღეში არ გამოუცდია თუ რა არის ბედნიერება და არც შენთვის დაუშავებია რამე.

— ეს გული რისთვისაც მჭირდება, შენ, სულ ერთია, მაინც ვერ გაიგებ, — ჩაილაპარაკა ექიმმა. — მაგრამ თუ შენ მას მიშოვი, ამით დიდსა და სასარგებლო საქმეს გაუწევ დახმარებას. ისიც იცოდე, რომ რისამე ახირება მე არ მჩვევია, იმიტომ, რომ ვიღაც უსაქმური ცუღლუტი არა ვარ! რაც შეეხება შენს ნეტარებას იალუს ყანებში, დარდი ნუ გექნება. მე ქურუმი ვარ და ჩემს თავზე ვიღებ შენს ცოდვასაც და მის ყველა შედეგს, გესმის, ჩემს თავზე და როგორც ქურუმი, გეუბნები, რომ ის, რასაც შენგან მოვითხოვ, კეთილი საქმეა, და თუ მსაჯულებმა საიქიო სამეფოში გკითხონ: რად ამოიღე ადამიანის გული კანოპიდანო, ასე უპასუხე: იმიტომ, რომ ქურუმმა ნებსეხტმა მიბრძანა ეს გამეკეთებინა და შემპირდა, რომ პასუ-

ხისმგებლობას ჩემი ცოდვისათვის თავის თავზე აიღებდა-თქო.

ბერიკაცმა თვალები დახარა და ჩაფიქრდა, ექიმმა კი უფრო დაჟინებით განაგრძო:

— თუ შენ ჩემს სურვილს შეასრულებ, მაშინ... გეფიცები, მე იმაზე ვიზრუნებ, რომ, როცა მოკვდები, შენს მუმიას არც ერთი ავგაროზი არ დააკლდეს, ხოლო გამონათქვამს „გამოსვლა დღისით“[92] თავად დაგიწერ და, როგორც წარჩინებულ კაცს შეეფერება, შენი სუდარის ქვეშ ჩავადებინებ. ის დაგიცავს ავი სულებისგან, მიმზღველი და დამსჯელი მართლმსაჯულების დარბაზში შესვლის უფლებას მიიღებ და ნეტარების ღირსად იქნები აღიარებული.

— მაგრამ გულის მოპარვა ხომ უფრო დაამძიმებს ჩემს ცოდვებს, როცა ჩემს საკუთარ გულს სასწორის პინაზე დადებენ,[93] — ხვნეშით ჩაილაპარაკა ბერიკაცმა.

---

[92] გამონათქვამი „გამოსვლა დღისით“ — XVIII დინასტიიდან მოყოლებული (1570 — 1349 წლებში ჩვ. წელთაღრიცხვამდე) მაგიური ტექსტები, რომლებიც, ეგვიპტელების რწმენით, ეხმარებოდნენ მიცვალებულს საიქიოში კეთილდღეობის მოპოვებაში, მნიშვნელოვნად გამარტივდა. ეს ტექსტები უკვე აღარ ამშვენებენ სარკოფაგების კედლებს, მათ პაპირუსის გრაგნილებზე წერენ. ამ გრაგნილებს სპეციალურ სახელოსნოებში ამზადებენ და კუბოებში ან მუმიის სახვევებს შორის დებენ. ასე გაჩნდა „მიცვალებულთა წიგნი“ — მაგიური გამონათქვამების კრებული, რომელიც ერთგვარ სამახსოვროს წარმოადგენს მიცვალებულისათვის საიქიოში მოგზაურობის დროს. ის 165 „თავისგან“ შედგებოდა, რომლებიც თავის მხრივ შელოცვებსა და სადიდებლებს წარმოადგენენ. თითქმის ყოველ თავს წინ უძღვის თავხატულობა ან ვინიეტი, რომლებიც მიახლოებით გადმოსცემენ შინაარსს და აქვთ მაგიური მნიშვნელობა. პირველ თავს ეწოდება „გამოსვლა დღისით“ ის შეიცავს სურვილს, რომ მიცვალებულს შეეძლოს დღისით „აკლდამიდან გამოსვლა“ და ღამით კი დაბრუნება; მას მხოლოდ წარჩინებულთა სარკოფაგებში დებდნენ.

[93] მიცვალებული ვითომდა დასაცავ სიტყვას წარმოთქვამდა ოზირისისა და მისი ორმოცდაორი მსაჯულის წინაშე; ამას მოჰყვებოდა გულის აწონის

ნებსეხტი ერთი წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კი უთხრა:

— მე სიგელს მოგცემ, სადაც დაგიწერ, რომ მე გიბრძანე ქურდობა ჩაგედინა. შენ კი ეს დასტური ქისაში ჩააკერე და მუდამ კისერზე ჩამოკიდებული გქონდეს. როცა მოკვდები, მას საფლავშიც ჩაგატანენ. ხოლო როცა სულების დამცველი ტეხუთი[94] შენს გამართლებას დაიწყებს ოზირისისა და საიქიოს მსაჯულთა წინაშე,[95] ეს სიგელი მიაწოდე. ის ხმამაღლა წაიკითხავს მას და შენც გაგამართლებენ.

— მე რომ წერა-კითხვა არ ვიცი? — ჩაიბურტყუნა ბერიკაცმა და მის ხმაში უნდობლობა გაისმა.

— ცხრა უდიდეს ღმერთს ვფიცავ,[96] იმ სიგელში მხოლოდ მას ჩავწერ, რასაც დაგპირდი: მოვინანიებ, რომ მე, ქურუმმა

პროცედურა: სასწორის ერთ პინაზე დებდნენ მიცვალებულის გულს, მეორეზე ფრთას — სიმართლის სიმბოლოს.

[94] ტეხუთი — ანუ ღმერთი თოთი; ოზირისის სამსჯავროზე იგი ოქმს ადგენს. ეგვიპტელები მას მოწყალე ღმერთად თვლიდნენ, რადგან ის ცდილობდა მიცვალებულის გამართლებას და ასწავლიდა კიდეც სხვადასხვა მაგიურ ფორმულას.

[95] საიქიოს მსაჯულები — „მიცვალებულთა წიგნის“ 125-ე თავის ვინიეტი; ასახავს სამსჯავროს სცენას საიქიო სამეფოში: ბალდახინის ქვეშ სხედან ოზირისი და ორმოცდაორი მსაჯული, წინ სასწორი უდგათ, გვერდით კი ღმერთ თოთის წმინდა ცხოველი — ძაღლისთავიანი მაიმუნი. სასწორის ერთ პინაზე დებენ მიცვალებულის გულს, მეორეზე — გამოსახულებას ჭეშმარიტების ან სიმართლის ქალღმერთ მატისა, რომელსაც მიცვალებული შემოჰყავს სასამართლო დარბაზში. ღმერთი თოთი ოქმს წერს. სული არწმუნებს მსაჯულებს, რომ მას არ ჩაუდენია ორმოცდაორი მომაკვდინებელი ცოდვა, და თუ მის სიტყვებს ირწმუნებენ, მას მიანიჭებენ „ჭეშმარიტების მთქმელის“ სახელს, ნეტარების ღირსად გამოაცხადებენ, უკან უბრუნებენ გულს, და იგი ცხოვრებას იწყებს უკვე ღვთაების სახით. (ავტ. შენიშვნა).

[96] ცხრა უდიდესი ღმერთი — ჩვეულებრივ ეგვიპტის ღმერთები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ: სამ-სამი (ტრიადა), ცხრა-ცხრა, რვა-რვა, ცამეტ-ცამეტი და თხუთმეტ-თხუთმეტიც კი. ჰელიოპოლისის „ცხრა დიდი ღმერთი“ პირველად შეადგინეს ქურუმებმა; მათ სათავეში ატუმი იდგა, და შედგებოდა მისი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილებისგან. მაგ-

ნებსეხტმა, გიბრძანე გული აგეღო, და შენი დანაშაული — ჩემი დანაშაულია.

— აბა, მაშინ მომიტანე ასეთი სიგელი, — ჩაიბუტბუტა ბერიკაცმა.

ექიმმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და შვებით ამოისუნთქა. ბერიკაცს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ხვალვე მიიღებ სიგელს, ხოლო შენს შვილიშვილს ვუმკურნალებ მანამ, სანამ სავსებით არ გამოვაჯანმრთელებ.

მეომარს, რომელიც ცხვარს ქნიდა, ამ ლაპარაკიდან არც ერთი სიტყვა არ გაუგონია. ახლა ის უკვე კოცონთან იდგა და ხის შამფურზე წამოგებულ ცხვრის ბარკალს წვავდა. როგორც კი ტურებმა შემწვარი ხორცის სუნი იგრძნეს, უფრო ხმამაღალი ყმუილი ატეხეს, ბერიკაცს კი დაბრაწული ბარკლის დანახვაზე უმალვე გადაავიწყდა ის საშიში საქმე, რომელსაც ეს-ესაა ხელი მოჰკიდა, რადგან თითქმის წელიწადზე მეტი მის სახლში ხორცი არ გაესინჯათ!

ექიმმა ნებსეხტმა კვერს ყუა ჩამოატეხა და უხმოდ შესცქეროდა, რა გამალებით ჭამდნენ პარასქიტი და მისი ვაჟი. ისინი კბილებით აგლეჯდნენ ხორცს ძვლებს. ახალგაზრდა მეომარი ხარბად ნთქავდა გემრიელ საჭმელს. ბაგაზე დაბმული ცხენივით ღეჭავდა, ნებსეხტსაც კი ესმოდა მისი წკლაპუნი და ზიზღს ვეღარ იკავებდა.

— საკუთარი გრძნობების მსხვერპლნი! — ბუტბუტებდა ის, — პირუტყვები, რომლებიც ბუნებამ გონებით დაასაჩუქრა. და მაინც ადამიანები არიან! საოცარია! ისინი საკუთარ გრძნო-

---

რამ, ვინაიდან, სხვა ღმერთებიც არსებობდნენ, გაჩნდა „ცხრა მცირე ღმერთიც“, აქ შედიოდნენ იზიდას შვილი ჰორე, თოთი, ანუბისი და სხვები, და მათი რაოდენობა ხშირად ცხრას აღემატებოდა.

ბათა ტყვეობაში იტანჯებიან, მაგრამ მაინც რაოდენ ძლიერია მათი ლტოლვა ზეგრძნობადისაკენ ჩვენთან შედარებით!

— გინდა ხორცი? — ჰკითხა მეომარმა, როცა შენიშნა, რომ ექიმი ტუჩებს აცმაცუნებდა, შემწვარ ბარკალს მოზრდილი ნაჭერი ააგლიჯა და ექიმს გაუწოდა.

მოელვარე კბილებითა და მისი შავგვრემანი სახის ავხორცული გამომეტყველებით შეშინებულმა ნებსეხტმა უნებურად უკან დაიხია. ამ დროს ქოხში ჭილოფზე მწოლარე გოგონას ნაზი და თეთრი პირისახე მოაგონდა და უნებლიეთ იკითხა:

— ის გოგონა, უარდა, შენი ქალიშვილია?

მეომარმა მკერდზე ხელი დაირტყა და წამოიძახა:

— ისევე, როგორც ჩვენი ფარაონი რამზესი — სეთის შვილი!

როცა მამაკაცებმა ყველაფერი შეჭამეს, ბრტყელი კვერებიც კი, დედაბერმა ქონიანი ხელების გასაწმენდად რომ მოუტანა, და ვახშამიც მოათავეს, მეომარმა ამოიოხრა. ეტყობა, სწრაფი აზროვნება არ შეეძლო და კვლავაც დასმულ კითხვაზე ფიქრობდა.

— დედამისი უცხო მხრიდან იყო და სწორედ მან ჩასვა თეთრი მტრედი ყვავის ბუდეში.

— კი მაგრამ, რომელი ქვეყნიდან იყო შენი ცოლი? — ჰკითხა ნებსეხტმა. — ნუთუ არასოდეს გიკითხავს მისთვის, სადაური იყო, როცა მასთან ერთად ცხოვრობდი?

— როგორ არ მიკითხავს! მაგრამ განა შეეძლო ეპასუხა? ეჰ, ეს გრძელი და უჩვეულო ამბავია!

— მიამბე, — სთხოვა ნებსეხტმა. — გათენებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, თანაც მოსმენა უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე ლაპარაკი. მაგრამ ჯერ ავადმყოფს უნდა დავხედო.

უარდას წყნარად ეძინა, სუნთქვაც თანაბარი ჰქონდა და გულდამშვიდებული ექიმი ხელახლა მიუჯდა მამაკაცებს. ჟღალწვერა მეომარმა თხრობა დაიწყო:

— ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ მოხდა. სეთი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ რამზესი უკვე განაგებდა ქვეყანას მის მაგივრად. აი, სწორედ მაშინ დავბრუნდი ჩრდილოეთიდან. მე მუშებთან გამაგზავნეს, რომელთაც რამზესის ქალაქ ცოანში სიმაგრეები უნდა აეგოთ. ექვსი მუშის ზედამხედველად დამაყენეს, ექვსივე ამუ[97] იყო იუდეველთა ტომიდან. რამზესი იმ დროს ტყავს აძრობდა მათ. იმ მუშათა შორის რამდენიმე მდიდარი მესაქონლის შვილიც ერია: მაშინ ხომ არ კითხულობდნენ, რა გაქვსო, კითხულობდნენ მხოლოდ, რომელი ტომისა ხარო. საჭირო იყო სიმაგრეებისა და ნილოსისა და ლერწმის ზღვის შემაერთებელი არხის დამთავრება, ფარაონმა კი — დაე ღმერთებმა მიანიჭონ მას დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ძლიერება! — ყველა ახალგაზრდა მეომარი ომში წაიყვანა და ბრძანა ამ სამუშაოზე მხოლოდ ამუს ხალხი გამოეყენებინათ, აღმოსავლეთში მის მტრებს სისხლით რომ ენათესავებოდა. დიდებულად გავატარეთ მაშინ დრო გოშენში[98] — ამ მშვენიერ ქვეყანაში უხვადაა მარცვლეული, ბალახები, ბოსტნეული, თევზი და ფრინველი. ყველაფერი, მქონდა, რასაც კი მოვინდომებდი, რადგანაც ჩემი ექვსი მუშიდან ორი მეტად მდიდარი ოჯახის შვილი იყო და მათი მშობლები ვერცხლეულს არ მაკლებდნენ. შვილები ვის არ უყვარს, მაგრამ იუდეველებს გაცილებით ნაზად უყვართ ისინი, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხს. ყოველდღე განსაზღვრული რაოდე-

---

[97] ამუ ან აამუ — სემიტები.

[98] გოშენი — მხარე ნილოსის დელტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. (ავტ. შენიშვნა).

ნობის აგური უნდა ჩაგვებარებინა. როცა მზე ძლიერ აცხუნებდა, ჩემს ვაჟბატონებს ვეხმარებოდი და ერთ საათში უფრო მეტ აგურს ვაკეთებდი, ვიდრე სამივე ერთად. მე ახლაც საკმაოდ ძლიერი ვარ და მაშინ კიდევ უფრო ღონიერი ვიყავი.

მაგრამ აი იმ სამუშაოდან გამანთავისუფლეს. თებეში უნდა გავყოლოდი ტყვეებს, რომლებიც ამონის უშველებელ ტაძარს აგებდნენ ნილოსის გაღმა. რადგანაც თან ცოტაოდენი ფული ჩამოვიტანე, ხოლო ღმერთების მეფის სამყოფელის მშენებლობას ბოლო არ უჩანდა, ცოლის შერთვაზე დავიწყე ფიქრი, ოღონდ ეგვიპტელი ქალი არ მინდოდა. პარასქიტებს ქალიშვილები ბევრი ჰყავთ, მაგრამ მე მამაჩემის წყეული კასტიდან თავის დაღწევას ვლამობდი, ხოლო სხვა კასტის აქაური ქალიშვილები, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვარ, ჩვენ, უწმინდურებს გაგვირბოდნენ. ქვემო ქვეყანაში მერჩივნა! იქ ამუსა და დასუს ტომის ქალები სიამოვნებით მოდიოდნენ ჩემთან კარავში. და მეც ამას აქით გადავწყვიტე აზიელი ქალი შემერთო.

ბევრჯერ მოუყვანიათ ჩვენთან ტყვე ქალიშვილები გასაყიდად, მაგრამ ან არ მომწონებია ისინი, ან მეტად ძვირად აფასებდნენ.

ამასობაში ფულიც ნელ-ნელა შემომეხარჯა. სხვათაშორის, დროსაც კარგად ვატარებდით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვისვენებდით მუშაობის შემდეგ, იქ კი, უცხოელთა კვარტალში, ბევრი ლამაზი მოცეკვავე ქალი იყო.

და აი ერთხელ, კიბის წმინდა დღესასწაულზე ახალი ტყვეები ჩამოიყვანეს. მათი უმრავლესობა ქალები იყვნენ. პირდაპირ ნავმისადგომთან გაიმართა საჯარო ვაჭრობა. ლამაზებსა და ახალგაზრდებს ცეცხლის ფასს ადებდნენ, მე კი ჩემი ფულით მათზე ხნიერ ტყვე ქალსაც ვერ ვიყიდდი.

ბოლოს ორი ქალი გამოიყვანეს — ერთი ბრმა, მეორე კი საშინლად გამხდარი და თანაც მუნჯი, როგორც თვითონ ვაჭარმა გაგვაფრთხილა; უნდა ითქვას, რომ მანამდე ძალიან ბევრს აქებდა თავის საქონელს! ბრმას ძლიერი მკლავები ჰქონდა და სამიკიტნოს პატრონმა იყიდა, სადაც ის დღემდე ხელის წისქვილს ატრიალებს. ჰოდა, მუნჯს ხელში ბავშვი ეჭირა და ისეთი გაძვალტყავებული იყო, რომ ვერავინ იტყოდა, მოხუციაო თუ ახალგაზრდა. მართლაც რომ საფლავიდან ამოღებულს ჰგავდა, ბავშვი ხომ იმაზე უარესად გამოიყურებოდა. თმა წითური, სეთხივით ცეცხლისფერი ჰქონდა, სახე — თოვლივით თეთრი, არც ავი, არც კეთილი, მხოლოდ უსაზღვრო დაღლილობას გამოხატავდა. ლურჯი ძარღვებით დაქსელილ დამჭკნარ თეთრ ხელებში ბავშვი ძლივძლივობით ეჭირა. ქარი რომ ამოვარდეს, ბავშვიანად წაიღებს-მეთქი, გავიფიქრე. ვაჭარმა მყიდველებს შესთავაზა ფასი თვითონ დაედოთ, მაგრამ ყველა დუმდა: სამუშაოდ ეს მუნჯი არ ვარგოდა, ცალი ფეხი სამარეში ედგა, დასაფლავებას კი საკმაო ფული სჭირდებოდა.

ასე გაიარა რამდენიმე წუთმა. შემდეგ ვაჭარი ქალთან მივიდა და მათრახი გადაუჭირა, რათა ცოტათი გაემხნევებინა და ასე საწყალი შესახედაობა აღარ ჰქონოდა. ქალი ციებცხელებიანივით აკანკალდა, ბავშვი უფრო მაგრად ჩაიკრა გულში და ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს მშველელს ეძებსო. სწორედ ამ დროს ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, სასწაულს ჰგავს! ასეთი დიდრონი თვალები ჩემს დღეში არ მენახა. მათში რაღაც უძლეველი ძალა გამოსჭვიოდა, რამაც მაშინვე დამიმორჩილა და იმ ქალის სიკვდილამდე ტყვეობაში ვყავდი. და აი იმ დღეს მისმა თვალებმა პირველად მომაჯადოვეს.

სიგრილე იყო, იმ დღეს წვეთიც არ დამილევია, და მიუხედავად ამისა, სრულ ჭკუაზე მყოფმა, ჩემდა უნებურად ვაჭარს მთელი ჩემი ავლა-დიდება შევთავაზე, თუმცა მისი ყიდვა გაცილებით იაფად შემეძლო! მამაკაცებმა დაცინვა დამიწყეს, ვაჭარმა კი მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ფული გადაითვალა. ამასობაში ქალს მივეშველე, ხელში ავიყვანე მისი ბავშვი, ნავით გადმოვიყვანე ნილოსზე, შემდეგ ჩემი საბრალო შენაძენი ურიკაზე დავსვი და კირქვის ფილასავით მოვიყვანე აქ, ჩემს მოხუცებთან.

დედამ თავი გადააქნია, ხოლო მამამ როგორც სულელს ისე შემომხედა და სიტყვაც არ დასცდენია. ქალს მაშინვე თივა დაუგეს, ხოლო მე ჩვენი სადგომის გვერდით აი ეს ქოხი ავაგე: მაშინ ის გვარიან სახლად ითვლებოდა. ღამღამობით ვმუშაობდი, როცა თავისუფალი დრო მქონდა. მალე დედა-ჩემმა შეიყვარა ბავშვი, ის ძალიან პატარა იყო და ჩვენ პენუ — წრუწუნა შევარქვით, რადგანაც მეტად საყვარელი იყო და მართლაც წრუწუნას ჰგავდა. მე უცხოელთა კვარტალში სიარულს თავი დავანებე, სადაც მთელ ჩემს ფულს ვფლანგავდი, დანაზოგით თხა ვიყიდე. როდესაც ქალი ახალაშენებულ ქოხში გადმოვიყვანე, ის თხა უკვე კართან იდგა.

მას ლაპარაკი არ შეეძლო, ისე კი ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ჩვენი ენა არ იცოდა. სამაგიეროდ ავი სული მის თვალებში ლაპარაკობდა და ისმენდა მის მაგივრად. მას ყველაფერი ესმოდა და ლაპარაკობდა თვალებით, ხოლო ყველაზე უკეთესად მადლობის გადახდა ეხერხებოდა. ვერცერთი მთავარი ქურუმი, ვრცელი ჰიმნებით რომ განადიდებენ ღმერთებს ნილოსის დიდ დღესასწაულზე მიღებული მოწყალებისათვის, ვერ შეძლებდა ისე გულწრფელად გამოეთქვა სამადლობელი გამოცდილი ბაგეებით, როგორც ის ქალი გამოხა-

ტავდა თავისი უტყვი გამოხედვით. ხოლო როცა რამეს მთხოვდა, უხილავი ძალა თითქოს კიდევ უფრო მძლავრობდა მის თვალებში.

მართალია, თავდაპირველად მოთმინებას ვკარგავდი, როცა ის უღონოდ კედელს მიეყრდნობოდა ხოლმე, ბავშვი კი ღნაოდა და ძილს არ მაცლიდა, მაგრამ საკმარისი იყო მის თვალებში ჩამეხედა, რომ უმალვე ვმშვიდდებოდი და ბავშვის ჩხავილი სიმღერად მეჩვენებოდა. მართლაც პენუ სული სხვანაირად ტიროდა და თანაც ძალიან ნაზი და თეთრი თითები ჰქონდა.

ერთხელ ბავშვი განსაკუთრებით დიდხანს ტიროდა, მე მისკენ დავიხარე და მინდოდა დავლაპარაკებოდი, მან კი უცბად პატარა ხელები წვერში ჩამავლო. რა სასიამოვნო იყო ეს! მას შემდეგ ბავშვი ხშირად მიწეწავდა ხოლმე წვერს; დედამისმაც კი შეამჩნია, რომ ეს მეტად მსიამოვნებდა. როგორც კი რაღაცით გავახარებდი — მოვუტანდი კვერცხს, ყვავილს ან ნამცხვარს, ქალი მაშინვე ბავშვს აიყვანდა, ჩემთან მოვიდოდა და მის პატარა ხელებს წვერზე დამადებდა.

ჰო, ჰო! სულ რამდენიმე თვის შემდეგ მას უკვე შეეძლო ბავშვის ხელში აყვანა, რადგან დასვენებისა და კარგი მოვლის წყალობით მალე მომაგრდა, თუმცა ფერმკრთალი და გამხდარი მაინც იყო, მაგრამ დღითიდღე ლამაზდებოდა. როცა მე ის ვიყიდე, ოცი წლისა იქნებოდა. მისი სახელი ვერასგზით ვერ გავიგეთ, და არც არაფერი დაგვირქმევია. ის იყო უბრალოდ „ქალი“ და ასეც ვეძახდით.

უკვე რვა მთვარე მიილია, რაც ის ჩვენსა ცხოვრობდა; უეცრად ჩვენი წრუწუნა მოგვიკვდა. მე ძალიან განვიცადე ბავშვის სიკვდილი და დედამისზე ნაკლებად არ მიტირია. როცა პატარა გვამისკენ დახრილი ცრემლად ვიღვრებოდი და წარ-

მოვიდგინე, რომ ის აღარასოდეს გამომიწვდიდა თავის პატარა ხელებს, უეცრად პირველად მაშინ ვიგრძენი კისერზე იმ ქალის თითების სათუთი შეხება. ბავშვივით ნაზად მითათუნებდა ხელს ხეშეშ წვერზე და ისეთი მადლიერებით მიყურებდა, რომ გულში ნათელი ჩამიდგა, თითქოს ფარაონს ზემო და ქვემო ეგვიპტე ერთად ეჩუქებინოს ჩემთვის.

როცა წრუწუნა დავასაფლავეთ, ქალი ისევ ლოგინად ჩავარდა, მაგრამ დედაჩემმა გამოაბრუნა. მე და ის მამა-შვილივით ვცხოვრობდით. ის ყოველთვის ალერსიანად მექცეოდა, მაგრამ საკმარისი იყო მოვფერებოდი, ისე შემომხედავდა, რომ იძულებული ვხდებოდი უკან დამეხია; და მეც ვცდილობდი ფრთხილად ვყოფილიყავი მასთან.

ის თანდათან გამოკეთდა, ჯანზე მოვიდა და დამშვენდა. ბოლოს ისე გალამაზდა, რომ იძულებული გავხდი იგი ყველასთვის დამემალა, თავად კი მის ცოლად შერთვას ვნატრობდი. მართალია, კარგი დიასახლისი მისგან არასოდეს დადგებოდა: მეტისმეტად ნაზი ხელები ჰქონდა და თანაც თხასთან მისვლისაც კი ეშინოდა. ამიტომ ყველაფერს მის მაგივრად დედაჩემი აკეთებდა.

დღისით ქალი ქოხში საქმიანობდა: მეტად გემოვნებიანი იყო ყოველგვარ ხელსაქმეში და ობობას ქსელივით წმინდა არშიებს ქსოვდა. დედაჩემი ჰყიდდა მათ და აღებული ფულით ნელსაცხებელს ყიდულობდა მისთვის, ასე ძალიან რომ უყვარდა. ასევე უყვარდა ყვავილებიც. ჩვენს უარდას ყვავილების სიყვარული დედისგან მოსდგამს.

საღამოობით, როცა მკვდართა ქალაქი დაცარიელდებოდა, ის ღრმად ჩაფიქრებული ამ ხეობაში დაეხეტებოდა და მთვარეს შესცქეროდა, რომელსაც რატომღაც განსაკუთრებულად თაყვანს სცემდა.

ერთხელ — ეს იყო ზამთარში — შინ მოვედი. უკვე ბნელოდა და, მეგონა, კართან დამხვდებოდა. უეცრად მესმის, დედაბერ ხექტის მღვიმის შორიახლოს თვალბედითად შეჰყეფა ტურე-ბის მთელმა გუნდმა. ნამდვილად ადამიანს დაესხნენ-მეთქი თავს, გავიფიქრე და გუმანით ვიგრძენი ვის, თუმცა ჩემთვის სიტყვაც არავის უთქვამს, თვითონ ქალს კი არც ყვირილი შე-ეძლო და არც დახმარებისათვის მოხმობა. შიშისგან აკანკა-ლებულმა მიწიდან სარი ამოვაძვრე, რომელზედაც თხას ვა-ბამდით ხოლმე, კერიიდან მუგუზალი ამოვიღე და მის მისაშ-ველებლად გავვარდი. მხეცები მივფანტ-მოვფანტე და ხელში ატატებული ქოხში მოვიყვანე — ქალი უგრძნობლად იყო. დე-და მომეხმარა და მალე მოვასულიერეთ, ხოლო როცა მას-თან მარტო დავრჩი, სიხარულისგან ბავშვივით ავტირდი, რომ გადამირჩა. ამის შემდეგ უფლება მომცა მეკოცნა მის-თვის და იმავე ღამეს ჩემი ცოლი გახდა... ზუსტად სამი წლის შემდეგ, რაც ვიყიდე!

მას გოგონა ეყოლა და სახელიც თვითონვე დაარქვა — უარდა; მან ჯერ ვარდზე მიგვითითა, მერე ბავშვზე და ჩვენც უსიტყვოდ მივუხვდით. ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა...

თუმცა შენ ქურუმი ხარ, მაგრამ პირდაპირ გეტყვი: როცა მე ოზირისი მომიხმობს და იალუს ყანებში გამიშვებს, მაშინვე ვკითხავ, შევხვდები თუ არა იქ ჩემს ცოლს და თუ მეკარე მი-პასუხებს „არა“, მაშინ, დაე, შერისხულებთან და ცოდვილებ-თან შემაგდონ, ოღონდაც კი ის იქ ვიპოვო.

— ნუთუ არაფერი ნიშანი არ ჰქონდა, მისი წარმომავლო-ბის მაჩვენებელი? — ჰკითხა ექიმმა.

ჯარისკაცი აქვითინდა, ხელები სახეზე აიფარა და შეკით-ხვა არც გაუგია, მის მაგივრად ბერიკაცმა უპასუხა:

— ის ვიღაც წარჩინებული კაცის ქალიშვილი უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ მის ტანსაცმელში ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს სამკაული ვიპოვეთ უცნაური წარწერით. იმ ძვირფას ნივთს ჩემი დედაბერი გულდასმით უნახავს ჩვენს გოგონას.

თავი მეორე

ალიონზე ნებსეხტმა პარასქიტის ქოხი დატოვა. ავადმყოფის მდგომარეობა უკვე აღარ ადარდებდა და ფიქრებში წასული დედოფალ ხატშეფსუტის ტაძრისკენ გაემართა, რათა თავისი მეგობარი პენტაური ენახა და იქ დაეწერა მოხუცისთვის დანაპირები სიგელი.

მზის პირველ სხივებს ტაძართან შეეგება ახალგაზრდა ექიმი. ეგონა, ქურუმების ცისკრის ჰიმნს მოისმენდა, მაგრამ ტაძარში სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. მან დააკაკუნა და ნამძინარევმა მეკარემ ჭიშკარი გაუღო.

ნებსეხტმა იკითხა, სად შეიძლება ეპოვა მთავარი ქურუმი.

— ის წუხელ მოკვდა. — მთქნარებით უპასუხა მეკარემ.

— რას ამბობ? — შეჰყვირა თავზარდაცემულმა ექიმმა. — ვინ მოკვდა?

— ჩვენი ძველი წინამძღვარი, პატივცემული რუი.

ნებსეხტმა შვებით ამოისუნთქა და იკითხა, პენტაური სადაა.

— შენ, როგორც ჩანს, სეთის სახლიდან ხარ და ნუთუ არ იცი, რომ მას პატივი აჰყარეს? — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა მეკარემ. — დღეს წმინდა მამებმა უარი თქვეს მასთან ერთად ხოტბა შეესხათ ღმერთ რას გაჩენისთვის. პენტაური ალბათ ახლა ზემოთ მარტოდმარტო მღერის ჰიმნებს, მას იქ ნახავ.

ექიმმა სწრაფად აირბინა კიბე, რამდენიმე ქურუმმა თვალი მოჰკრა მას; ისინი მაშინვე შეგროვდნენ და ცისკრის ჰიმნის გალობა დაიწყეს, მაგრამ მათ არავინ უსმენდა. სულ ზედა

ტერასაზე ნებსეხტმა იპოვა მეგობარი. პენტაური რაღაცას წერდა.

მალე ექიმმა უკვე ყველაფერი შეიტყო, მან ვერ შეძლო თავისი გულისწყრომის დაფარვა და წამოიძახა:

— სეთის სახლის ბრძენი სწავლულებისთვის შენ მეტისმეტად გულწრფელი ხარ, აქ კი ამ ეშმაკის ნაშიერებისთვის მეტისმეტად გულმოდგინე და წმინდა! ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა. ჩვენთვის, კურთხეულთათვის, ერთი არჩევანია — სიცრუე ან დუმილი!

— ეს ძველი ცდომილებაა, — შეეპასუხა პენტაური. — ჩვენ ვიცით, რომ ღვთაება ერთიანია და მას „ყოველს“, „ყოვლისმომცველს“ ანუ უბრალოდ რას[99] ვუწოდებთ. მაგრამ სიტყვაში „რა“ ჩვენ სულ სხვას ვგულისხმობთ, ვიდრე საკუთარი ვნებების ტყვეობაში მოქცეულნი. ჩვენთვის ხომ მთელი სამყარო ღვთაებაა, და მის თითოეულ ნაწილაკში ჩვენ შევიცნობთ ერთ-ერთ ფორმას უზენაესი არსების გამოვლინებისა, არსებისა, რომლის გარდა აღარაფერია არც ცაში და არც დედამიწაზე.

— რაღა თქმა უნდა, როგორც კურთხეულს, შენ შეგიძლია მითხრა ეს... — შეაწყვეტინა ნებსეხტმა.

— მე განა არაკურთხეულთ ვუმალავ ამას! — შესძახა პენტაურმა. — მხოლოდ იმათ, ვისაც არ ძალუძს ჩასწვდეს მთლიანს, მე მხოლოდ ნაწილს ვუჩვენებ. ნუთუ მაშინაც ვცრუობ,

---

[99] ეგვიპტელთა წმინდა ტექსტები საკმაოდ ხშირად უწოდებდნენ ღვთაებას „ერთიანს“ ან „ერთადერთს“. პანთეისტური მოძღვრება საიდუმლოებათა შესახებ ყველაზე მკაფიოდაა გამოხატული იმ ტექსტებში, რომლებიც აღმოჩენილია თებეს ნეკროპოლის ფარაონთა ყველა აკლდამაში; განსაკუთრებით ხშირად ისინი გვხვდება შესასვლელი დარბაზების კედლებზე. ეს ტექსტები შეიცავენ ღმერთ რასა და მისი სამოცდათხუთმეტი გამოვლინების სახოტბო ფორმულებს (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

როცა ნაცვლად „მე ვლაპარაკობ“, ვამბობ „ჩემი ბაგეები ლაპარაკობენ“, როცა ვამტკიცებ, რომ შენი თვალი უცქერის, მაშინ, როცა შენ იცქირები? როცა ელვარებს შარავანდედი ერთადერთისა, მე გულმხურვალედ აღვუვლენ მას სამადლობელს ჰიმნებად და მის უბრწყინვალეს ფორმას ვუწოდებ რას. როცა მე აი იმ მწვანე ყანებს გავცქერი, მორწმუნეთ მოვუწოდებ მადლი შესწირონ ქალღმერთ რენენეს, ანუ სხვანაირად გამოვლინებას იმ ერთადერთისა, რომლის წყალობითაც მწიფდება პური, თუ მე დედამიწაზე ამ ღვთაებრივ ნაკადად გადმოღვრილი დოვლათის სიუხვე მაოცებს, რომლის წყარო ჩვენთვის უხილავია, მაშინ ვადიდებ ერთადერთს ღმერთ ხაპის[100] სახით — იდუმალს. ჩვენ ვუყურებთ მზეს, სიმწიფეში შესულ ყანას თუ ნილოსს, ვაკვირდებით ხილულ ან უხილავ სამყაროში არსებულის ერთიანობას ან მწყობრ ჰარმონიას, ყოველთვის და ყველგან საქმე გვაქვს მხოლოდ მასთან — ერთადერთიდან და ყოვლისმომცველთან, რამეთუ თავად ჩვენც მას მივეკუთვნებით, როგორც ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც მან თავისი საკუთარი სული შთაბერა. ბრბოს გონებრივი თვალსაწიერი ვიწროა...

— და ამიტომაც, ჩვენ, ლომები, ვფხვნით და საწებელს ვასხამთ იმ ნაჭერს, თითქოსდა ის კუჭმოშლილი ავადმყოფისთვის იყოსო განკუთვნილი, მაშინ, როდესაც თავად ერთბაშად გადავყლაპავდით[101] მას.

---

100 ხაპი ანუ პიური, თავდაპირველად კი ხაპირი — ნილოსის ეგვიპტური სახელწოდება.

101 „ქურუმები, წერდა კლიმენტი ალექსანდრიელი, ·— არავის ახედებდნენ საიდუმლოებაში მეფისა ან თავიანთი წრიდან იმის გარდა, ვინც მამაცობითა და სიბრძნით გამოირჩეოდა“. ამასვე ადასტურებენ სხვა ძეგლების მონაცემებიც. (ავტ შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

— არა! არა! ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვგრძნობთ, რომ ვალდებული ვართ გავაზავოთ და შევატკბოთ ის მაგარი სასმელი, რომელიც მამაკაცსაც კი წააქცევს, ვიდრე მას სულიერად მოუმწიფებელ ბავშვებს მივუტანდეთ. სიმბოლურ სახეებში, ბოლოს და ბოლოს, ლამაზ და ხატოვან მითში უძველესმა ბრძენებმა, მართალია დამალეს უმაღლესი ჭეშმარიტება, მაგრამ ამავე დროს მათ იგივე ჭეშმარიტება ბრბოს გასაგები სახით მიაწოდეს.

— გასაგები სახით? — გაიმეორა კითხვა ექიმმა. — მაშ რაღად ვმალავთ მას?

— შენის აზრით, ბრბო შეძლებდა პირდაპირ შეეხედა დაუფარავი, შიშველი ჭეშმარიტებისთვის[102] და ამასთან სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყო?

— თუკი მე შემიძლია პირდაპირ შევხედო, მაშასადამე, ეს შეუძლია ყველას, ვინც წინ იყურება და არაფერს არ ამჩნევს ჭეშმარიტების გარდა! — შესძახა ექიმმა — ჩვენ ორივემ კარგად ვიცით, რომ ჩვენ გარშემო მყოფი ყველა საგანი ისეთია, როგორიც ჩანს ჩვენი სულის სარკეში, რომელიც ცოტად თუ ბევრად მომზადებულია ამისათვის. მე ნაცრისფერს ნაცრისფერად ვხედავ, თეთრს თეთრად და როცა რაიმე მინდა შევიცნო, ჩვეულებად მაქვს, უკუვაგდო საკუთარი ილუზიები, თუკი ისინი საერთოდ ჩნდებიან ჩემს ფხიზელ გონებაში. შენც ჩემსავით საღად უყურებ საგნებს, მაგრამ შენს სულში ყველაფერი ფერიცვალებას განიცდის, რადგანაც მასში უხილავი

(საისი ეგვიპტურად სა — ქვემო ეგვიპტის დედაქალაქი ეგრეთწოდებულ საისის ეპოქაში). (ავტ. შენიშვნა).

მოქანდაკეები მოქმედებენ, ისინი ასწორებენ მრუდეს, გარდაქმნიან უსახოს და უფრო მეტად ალამაზებენ მიმზიდველს. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ შენ პოეტი, ხელოვანი ხარ, მე კი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტებისკენ მიისწრაფვის.

— მხოლოდ და მხოლოდ? — ჰკითხა პენტაურმა. — სწორედ ამ მისწრაფებისთვის გაფასებ ასე. შენც ხომ იცი, რომ მე მხოლოდ ჭეშმარიტებას ვეძებ.

ექიმმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია მეგობარს.

— ვიცი, ვიცი! მაგრამ ჩვენი გზები გვერდიგვერდ მიდიან და არსად არ იკვეთებიან, ხოლო ჩვენი საბოლოო მიზანია ამოვხსნათ გამოცანა, რომელსაც უამრავი პასუხი აქვს. შენ გგონია, რომ სწორად ამოხსენი, მაგრამ შეიძლება მისი გადაწყვეტა საერთოდ შეუძლებელია.

— რახან ასეა, მაშინ დავკმაყოფილდეთ ყველაზე შესაფერისი და შესანიშნავი გადაწყვეტილებით.

— შესანიშნავი? — გაბრაზებით წამოიძახა ნებსეხტმა.— შეიძლება კი მშვენიერი და შესანიშნავი იყოს ის ურჩხული, რომელსაც თქვენ ღვთაებას უწოდებთ, ეს გიგანტური სხეული, ნიადაგ თავის თავს რომ შობს, მხოლოდ იმისათვის, რომ მერე თვითონვე ჩაყლაპოს? ღვთაება — ეს არის ყველაფერი ის, ამტკიცებთ თქვენ, რაც კმაყოფილდება საკუთარი თავით. ამბობენ, ის მარადიულიაო, და ეს სამართლიანია, რადგანაც მას ყველაფერი უკანვე მიაქვს, რაც მისგან მომდინარეობს, რადგანაც ეს ბუმბერაზი ძუნწი ქვიშის ნამცეცს, პაწაწინა სხივს და ჰაერის ბუშტულასაც კი არავისთვის გაიმეტებს, თუ უკანვე არ წაიღო. ის განაგებს ყოველგვარი მიზნის, გონიერებისა და სიყვარულის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ტირანული აუცილებლობის საფუძველზე, რომლის მონაც თვითონ-

ვეა. მხოლოდ მისივე საშუალებით შეგვიძლია ამოვხსნათ ეს მშიშარა არსება, მიუწვდომლობის საბურველში რომ გახვეულა და ამ საბურველის ჩამოგლეჯა რომ შემეძლოს. აი, როგორ მესმის ის, რასაც თქვენ ღვთაებას უწოდებთ.

— ის საზიზღარია! — დაეთანხმა პენტაური, — და ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ერთი რამე გავიწყდება: ყოველივე არსებულის საფუძვლად და მთელი სამყაროს მამოძრავებელ ძალად ჩვენ ვაღიარებთ გონს, რაც ღვთაების ნაწილთა ჰარმონიასა და თვით ჩვენში ვლინდება, რამეთუ ჩვენც მისი მატერიისგან ვართ შექმნილნი და თავისი სულის ნაწილი მან ჩვენც შთაგვბერა.

— მაშ ნუთუ სიცოცხლის ბრძოლა გონიერია? — ჰკითხა ნებსეხტმა. — ნუთუ ეს გამუდმებული დარტყმები, მიწას რომ გვანარცხებენ, მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ ისევ ფეხზე წამოდგომის საშუალება მოგვცენ, ასე მიზანშეწონილი და ბრძნულია? სამყაროში გონის შეყვანით თქვენ თავს იქცევთ გამოგონილი მეუფით, რომელიც საშინლად ჰგავს იმ მბრძანებელს, რომელსაც თქვენ ხალხს აჩვენებთ.

— ეს მხოლოდ ასე ჩანს, — შეეპასუხა პენტაური. — საქმე ისაა, რომ ზებუნებრივის ახსნა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გრძნობათა აღქმის საშუალებით. იმის გამო, რომ ღვთაება გამოვლინდება როგორც მსოფლიო გონი, ჩვენ მას „სიტყვას“ ვუწოდებთ. მას, ვინც თავის ყველა ნაკვთს სიტყვაში მოაქცევს, როგორც ამაზე წმინდა ტექსტები ლაპარაკობენ, უფლება აქვს ნივთები ფორმის მიხედვით განაცალკევოს. ხოჭო-სკარაბეუსი, რომელიც „საკუთარი შვილივით იბადება“, მოგვაგონებს ბუნებაში ქმნადობის მარადიულ თვითგანახლებად ძალას, რომელიც გაიძულებს ჩვენს ღვთაებას ურჩხული უწოდო. ამ ძალას ვერასგზით ვერ უარჰყოფ, ისევე, რო-

გორც მარჯვედ შერჩეულ ამ სახეს, — ხომ იცი, რომ ხოჭო-სკარაბეუსი მხოლოდ მამრობითი სქესისაა და თავის თავს თვითონ წარმოშობს.[103]

ნებსეხტმა ჩაიცინა და უთხრა:

— თუ თქვენი საიდუმლოებაც ისევე მართალია, როგორც მარჯვედ შერჩეული ეს სახე, მაშინ თქვენი საქმე ცუდად ყოფილა. მე უკვე მრავალი წელია ნეხვის ხოჭოების მეზობლად ვცხოვრობ და კარგადაც შევისწავლე ისინი. გარწმუნებ, რომ მათ ისევე ჰყავთ დედალიც და მამალიც, როგორც კატებს, მაიმუნებს და ადამიანებს. შენს „კეთილ ღვთაებას“ არ ვიცნობ და ვერც გამიგია, საერთოდ რატომ ანსხვავებთ სამყაროში კეთილ და ბოროტ საწყისებს. თუ სამყარო ნამდვილად ღვთაებაა, ხოლო ღვთაება, როგორც წმინდა წიგნი გვასწავლის, ეს სიკეთეა და მის გარდა აღარაფერი არსებობს, მაშინ სადღა პოულობთ ადგილს ბოროტებისთვის?

— შენ მოწაფესავით ლაპარაკობ, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა პენტაურმა. — ყოველი არსებული თავისთავად კეთილი და გონიერია, მაგრამ უსაზღვრო და ერთადერთი ღვთაება, რომელმაც თვითონ დაიწესა ყოფიერების კანონები, განუწყვეტელი განახლების საშუალებით თავის მარადიულ თვისებებს ანიჭებს სასრულს, და ყოველი წამი სასრულის მუდმივად ცვალებად ფორმად იქცევა. ის, რასაც ჩვენ ბო-

---

[103] ჰორაპოლონი ამბობს: „ნეხვის ხოჭოები მხოლოდ მამრისაგან მრავლდებიან“. (ავტ. შენიშვნა).
(ჰორაპოლონი მეცნიერი, წარმოშობით ზემო ეგვიპტიდანაა; ავტორი ცნობილი ტრაქტატისა „იეროგლიფიკა“).
ხოჭო სკარაბეუსი — ნეხვის ხოჭოს სახესხვაობაა; ძველ ეგვიპტეში მზის ღმერთის წმინდა განსახიერებად ითვლებოდა, რადგანაც თავის წინ მიაგორებდა ნეხვის ბურთულას, როგორც რა — მზეს. ახალი სამეფოს ეპოქაში მუმიებს გულის ნაცვლად დიდ ქვის ხოჭოებს უდებდნენ; ასეთ სკარაბეუსებზე გაკეთებული იყო მაგიური წარწერები.

მკითხველთა ლიგა

როტს, უაზროს და ბნელს ვუწოდებთ, — თავისთავად ღვთაებრივია, ამიტომაც არის კეთილი, გონიერი და ნათელი, მაგრამ ჩვენი დაბინდული გონება დამახინჯებულად აღიქვამს, რამეთუ ჩვენ მხოლოდ გზას ვამჩნევთ და არა თვით მიზანს, მხოლოდ ნაწილს და არა მთელს. შენ ახლა გაუწაფავ მსმენელს ჰგავხარ, რომელიც მუსიკალურ პიესას ლანძღავს, როცა მასში შეუწყობელი ხმები ესმის, მეარფე კი თავისი საკრავიდან მათ გამოსცემს მხოლოდ იმისათვის, რომ მსმენელებს საშუალება მისცეს უფრო ღრმად აღიქვან მომდევნო ჰარმონიული აკორდების სიწმინდე. ზუსტად ასევე კიცხავს ბრიყვი მხატვარს, რომელმაც სურათის დახატვამდე ფიცარი შავად შეღება, რადგანაც ნახატი შავ ფონზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდება. ზუსტად ასევე ბავშვი ხეს უწყრება, რომ მისი ნაყოფი ლპება, უამისოდ კი, სხვათა შორის, მისი თესლისგან შეუძლებელი იქნებოდა ახალი სიცოცხლის აღმოცენება. ის, რაც ცუდად მიგაჩნია, მხოლოდ ნაბიჯია უფრო მაღალი სიკეთის გზაზე, ხოლო სიკვდილი ახალი ცხოვრების ზღურბლია, მსგავსად დაისისა, ღამის წყვდიადში რომ ინთქმება, რათა სულ მალე ახალი დღის აისად მოგვევლინოს.

— ოჰ, რამდენად დამაჯერებელია ეს ყველაფერი! — აღშფოთდა ნებსეხტი. — ყველაფერი, საზიზღარიც კი, შენს ნათქვამში მომხიბლველობას იძენს. მაგრამ მე ადვილად შემოვაბრუნებ შენს აზრს სულ სხვა მიმართულებით და დაგიმტკიცებ, რომ ბოროტება განაგებს სამყაროს და მხოლოდ დროდადრო გვაძლევს საშუალებას კმაყოფილების სიტკბო ვიგემოთ, რათა უფრო მწვავედ ვიგრძნოთ სიცოცხლის მთელი სიმწარე. თქვენ ყველგან ჰარმონიასა და სიკეთეს ხედავთ, ჩემი დაკვირვებით კი გამოდის, რომ მხოლოდ ვნება აღვი-

ძებს სიცოცხლეს, რომ მთელი არსებობა ეს არის ბრძოლა, სადაც ერთი ცოცხალი არსება ნთქავს მეორეს.

— კი მაგრამ, ნუთუ ვერ ხედავ იმ სილამაზეს, რომელიც შენ გარშემოა! — აღფრთოვანებით წამოიძახა პენტაურმა. — ნუთუ სამყაროში გამეფებული გარდაუვალი კანონზომიერება არ აღგავსებს მორჩილი აღტაცებით?

— მე არასოდეს მიძებნია სილამაზე, — მიუგო ექიმმა. — ისიც კი მგონია, რომ არ გამაჩნია ის ორგანო, რომლითაც დამოუკიდებლად ჩავწვდებოდი მას, თუმცა შენი დახმარებით სიამოვნებით აღვიქვამ მას; რაც შეეხება კანონზომიერებას ბუნებაში, მე სავსებით ვაღიარებ მას, იმიტომ, რომ ის ნამდვილად არის სამყაროს ჭეშმარიტი სული. ერთადერთს თქვენ უწოდებთ „მას“, რაც ჯამს აღნიშნავს და მრავალი რიცხვების შეკრებით მიიღება. ეს მე მომწონს, რადგანაც სამყაროს შემადგენელი ნაწილები და ძალები, სიცოცხლის წარმმართველები რომ არიან მისი განვითარების გზაზე, ზუსტად განსაზღვრულია საზომითა და რიცხვით; ოღონდ სილამაზესა და სიკეთეს ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

— ასეთი შეხედულება შენი უცნაური საქმიანობის შედეგია, — ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა პენტაურმა. — შენ ყველაფერს ხოცავ და ანგრევ იმის გულისათვის, რომ, როგორც შენ თვითონ ამბობ, თავს დაესხა სიცოცხლის საიდუმლოს ნაკვალევს. დააკვირდი ყოფიერების ჩამოყალიბებას ბუნებაში, უფრო ფართოდ გაახილე თვალები და მთელი სილამაზე, რომელსაც შენ ირგვლივ დაინახავ ჩემი დახმარების გარეშეც, დაგარწმუნებს, რომ შენ ცრუ ღმერთს სცემ თაყვანს.

— მე საერთოდ არავისზე ვლოცულობ, — შეეპასუხა ნებსეხტი, — კანონი, რომელიც სამყაროს ამოძრავებს, ისევე გულგრილია თქვენი ლოცვების მიმართ, როგორც ეს ქვიშის სა-

ათი. ვინ გითხრა, თითქოს მწადია ყოფიერების ჩამოყალიბების კვალის მიგნება? მე ხომ უკვე დაგიმტკიცე, რომ შენზე უკეთესად ვიცი ხოჭო-სკარაბეუსის გამრავლების გზები. მე ნამდვილად მოვკალი რამდენიმე მწერი არა მარტო მისი ორგანიზმის შესასწავლად, არამედ იმის გამოსაკვლევადაც, თუ როგორ ჩამოყალიბდა იგი. მაგრამ სწორედ ამ სამუშაოს დროს სილამაზის აღქმის ორგანომ მიმტყუნა. მერწმუნე, რომ შექმნის ჭვრეტაში ისევე ცოტაა მშვენიერება, როგორც დაღუპვისა და გახრწნის ჭვრეტაში!

პენტაურმა გაოცებით შეხედა ნებსეხტს.

— კეთილი, მეც შევეცდები ხატოვნად გელაპარაკო, — განაგრძო ექიმმა. — შეხედე ამ ღვინოს: როგორი გამჭვირვალეა, რა სურნელოვანი! მაგრამ მეღვინეებმა ყურძენი თავიანთი უხეში, კოჟრიანი ფეხებით დაწურეს. ან ეს მწიფე ყანები! ისინი ბაჯაღლოსფრად ლაპლაპებენ და თოვლივით თეთრ ფქვილს მოგცემენ, თუმცა თავთავი დამპალი თესლიდანაა აღმოცენებული. ამ ცოტა ხნის წინ შენ ცამდე აგყავდა უზარმაზარი, თითქმის დამთავრებული, სვეტებიანი დარბაზის სილამაზე ამონის ტაძარში, ნილოსის გაღმა, თებეში. ამ სილამაზით მომავალი თაობებიც მოიხიბლებიან. მე კი თავად ვნახე, როგორ შენდებოდა დარბაზი: უწესრიგოდ ეყარა ქვის ლოდები, მტვრის ბუღში სუნთქვა ჭირდა. სამი თვის წინ გამაგზავნეს იქ: ასზე მეტი მუშა სასიკვდილოდ იყო ნაცემი ზედამხედველების მიერ; პაპანაქება სიცხეში მათ აიძულებდნენ ეხეხათ ქვის ფილები. მეც შენსავით პოეტი რომ ვიყო, ათასობით მსგავს სურათს დაგიხატავდი, რომლებიც, ვეჭვობ, მოგწონებოდა. მაგრამ უამისოდაც ბევრი საქმე გვაქვს, დავაკვირდეთ არსებულს და შევისწავლოთ ყოფიერების მამოძრავებელი კანონი.

— მე ვერასოდეს შევძელი ბოლომდე გამეგო შენი მისწრაფება და მიკვირს, ასტროლოგიაში რატომ არ დაიწყე მუშაობა; — უთხრა პენტაურმა. — შენ ხომ მიგაჩნია, რომ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრება, რომელიც იცვლება და დამოკიდებულია გარემო პირობებზე, შეიძლება დაყვანილ იქნას კანონებამდე, რიცხვებამდე და საზომებამდე, ისევე, როგორც ვარსკვლავების მოძრაობა?

— და ამას შენ მეკითხები? განა იგივე გიგანტური ხელი, ციურ მნათობებს რომ აიძულებს გამალებით იქროლონ განსაზღვრულ გზებზე, არ შეიძლება იმდენად გაწაფული იყოს, რომ განაპირობოს ფრინველთა ფრენა და ადამიანის გულის ცემა?

— აი ისევ გულთან მოვედით, — ჩაიცინა პოეტმა. — მიუახლოვდი მაინც შენს მიზანს?

ექიმს სახე მეტად სერიოზული გაუხდა, და თქვა:

— შეიძლება ხვალვე მივიღო ის, რაც მჭირდება. მომისმინე, აგერ შენი პალეტი წითელი და შავი საღებავით, პაპირუსი და კალამი; შეიძლება ეს ფურცელი ავიღო?

— რასაკვირველია. მაგრამ ჯერ მომიყევი...

— უმჯობესია, ნურაფერს მკითხავ; სულ ერთია, შენ არ მომიწონებ გადაწყვეტილებას და ხელახლა კამათს დამიწყებ.

— მე მგონია, კამათისა არ უნდა გვეშინოდეს, — მიუგო პოეტმა და მეგობარს მხარზე ხელი დაადო. — აქამდე ის ჩვენი მეგობრობის დამაკავშირებელი რგოლი და მაცოცხლებელი ცვარი იყო.

— დიახ, სანამ საქმე შეხედულებებს ეხებოდა და არა მოქმედებას!

— ნუთუ შენ გინდა ადამიანის გული იშოვო? — შეჰყვირა პოეტმა. — დაფიქრდი, რას აკეთებ! გული ხომ ჭურჭელია, რომელშიც ჩვენში არსებული მსოფლიო სული იღვრება.

— ასე მტკიცედ ხარ დარწმუნებული ამაში? — გაბრაზებით თქვა ექიმმა. — რახან ასეა, დამისაბუთე! გქონია ოდესმე შემთხვევა შეგესწავლა გული? არც რომელიმე ჩემი თანამოძმე მკურნალი მეგულება, ვისაც ეს გაეკეთებინოს. დამნაშავისა და ტყვეს გულიც კი ხელშეუხებლად ითვლება, ხოლო როცა უმწეოდ ვდგავართ ავადმყოფის საწოლთან და ჩვენს წამალს უფრო ხშირად ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა... რატომ ხდება ეს? მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ, ექიმები იძულებულნი ვართ ასტროლოგებს დავემსგავსოთ, რომელთაგან მოითხოვენ ვარსკვლავებს სქელ ფიცარში გახედონ. ჯერ კიდევ ჰელიოპოლისში ყოფნისას მე ვთხოვე ჩვენი წოდების მეთაურსა და ჭეშმარიტ მეცნიერს — დიდ ურმას[104] რახოტეპს, რომელიც დიდად მაფასებდა, ჰო, ვთხოვე ნება მოეცა, ერთი გარდაცვლილი ამუ გამომეკვლია. მან უარი მითხრა, რადგანაც დიდ სოხმეტს მამაცი სემიტებიც შეჰყავს ნეტართა ყანაში,[105] ამასთანავე ჯერ კიდევ ცოცხალია ძველი ცრურწმენა: გულის გაკვეთა, ცხოველისაც კი, ცოდვაა, რადგან მისთვისაც ის ხომ სულის სათავსია, შეიძლება წაბილწული და დაწყევლილი ადამიანის სულისაც კი, და სანამ ხელახლა წარდგებოდეს ერთიანი ღვთაების წინაშე, მანამდე სხვადასხვა ცხოველის სხეულები უნდა გაიაროს და ისე განიწმინდოს. მაგრამ მე აღვშფოთდი და განვუცხადე, რომ ჩემს დიდ პაპას ნებსეხტს უეჭველად შესწავლილი ექნებოდა ადამიანის გული, სანამ დაწერდა თავის ცნობილ ტრაქტატს გულის შესახებ. ურმამ მიპასუხა, რომ ჩემს დიდ პაპას ყველა ნაწერი ღვთაებისგან ჰქონ-

---

[104] ურმა — ან ურ-მაა, ე. ი. „მხედველობით დიდი“ — ჰელიოპოლისის ქურუმის ტიტული.

[105] წარწერა სეთის აკლდამას ცნობილ რელიეფზე, რომელიც ოთხ ხალხს: ეგვიპტელებს, სემიტებს, ლიბიელებსა და ეთიოპელებს გამოსახავდა.

და გარდმოვლენილი, როგორც ზეშთაგონება. ამიტომაც შევიდა მისი შრომები თოთის საღვთო წერილებში, რომლებიც დღესაც მტკიცედ და ურყევად მიაჩნიათ, ვითარცა მსოფლიო გონი. ის სიწყნარესა და სიმშვიდეს შემპირდა ნაყოფიერი მუშაობისათვის, მარწმუნებდა, რომ, რაკი მე გამორჩეული გონებისა ვარ, ღმერთებმა შეიძლება მეც ზეგარდმომივლინონ თავიანთი ზეშთაგონება. მაშინ მე ახალგაზრდა ვიყავი და მთელ ღამეებს ლოცვაში ვატარებდი, მაგრამ... ამისაგან მხოლოდ ვხდებოდი და გონება მებნეოდა, იმის მაგივრად, რომ უფრო ნათელი გამხდარიყო. მაშინ ჩუმად ქათამი დავკალი, შემდეგ თაგვების დახოცვა დავიწყე და ბოლოს კურდღლებზე გადავედი. უკვეთავდი მათ გულებს და ვაკვირდებოდი იქიდან გამომავალ სისხლძარღვებს. ახლა გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე მაშინ, მაგრამ მე უნდა მივაღწიო ჭეშმარიტებას, ამისათვის კი აუცილებლად მჭირდება ადამიანის გული!

— მერე ამით რას მიაღწევ? — ჰკითხა პენტაურმა. — ნუთუ იმის იმედი გაქვს, რომ უბრალო მოკვდავის თვალებით უხილავსა და უსაზღვროს დაინახავ?

— შენ იცნობ პაპაჩემის ტრაქტატს?

— ცოტა, — უპასუხა პოეტმა. — ის იქ ლაპარაკობს, რომ სადაც არ უნდა დაიდოს ხელი — თავზე, მკლავზე თუ მუცელზე, ყველგან გულს პოულობს, რადგანაც მისი სისხლძარღვები სხეულის ყველა ასოშია გახლართული და თვით გული კი მათი დამაკავშირებელი კვანძია. ის დაწვრილებით ხსნის, თუ როგორ არის განაწილებული ეს სისხლძარღვები ადამიანის სხეულში. ამტკიცებს — ასე არაა? — რომ სულის სხვადასხვა მდგომარეობა — რისხვა, სევდა, ზიზღი — აგრეთვე თვით სიტყვის „გული“ არსებობაც კი ადამიანის მეტყველებაში მთლიანად ადასტურებენ მის შეხედულებას.

— სწორედ ასეა! ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამაზე და მე მიმაჩნია, რომ ის მართალია, რამდენადაც საქმე სისხლსა და ქვენა გრძნობებს ეხება, მაგრამ მახვილი და ნათელი გონება სხვა ადგილზე იმყოფება, — და ექიმმა ხელი თავის ფართო, მაგრამ დაბალ შუბლზე მიირტყა. — ასობით თავი გამომიკვლევია, მათ შორის უშუალოდ სიკვდილით დასჯის[106] ადგილზეც, ცოცხალი მხეცების თავის ქალაც კი გამიხსნია. მაგრამ მომისმინე: მოდი რაღაცას დავწერ, სანამ ხელს არავინ მიშლის!

ექიმმა კალამს დაავლო ხელი, შავ საღებავში ჩააწო, რომელიც დამწვარი პაპირუსისგან იყო დამზადებული და ლამაზი იერატიკული დამწერლობით[107] დაიწყო მოხუცი პარასქიტისთვის სიგელის წერა. ამ სიგელში ის თავს დამნაშავედ აცხადებდა იმაში, რომ აიძულა პარასქიტი ადამიანის გული მო-

---

[106] ებერსის პაპირუსით, რომელიც ცხრაასამდე რეცეპტს მოიცავს, ადამიანის ტვინს იყენებდნენ როგორც თვალის სნეულებათა საწინააღმდეგო საშუალებას. (ავტ. შენიშვნა).

[107] იერატიკული დამწერლობა — რომანში აღწერილ ეპოქაში ეგვიპტელებს ორი ტიპის ალფაბეტი ჰქონდათ: იეროგლიფური — ასოები ასახავდნენ კონკრეტულ საგნებს, გეომეტრიულ ფიგურებსა და სხვადასხვა ნებისმიერ ნიშნებს; ამ დამწერლობას ჩვეულებრივ იყენებდნენ ძეგლებზე ამოსაკვეთი წარწერებისთვის, და იერატიკული, რომელსაც პაპირუსზე წერისთვის იყენებდნენ. იერატიკულ ანბანში ასო-სურათებმა გაკრული ხელით წერისათვის მოხერხებულობის მიზნით ისეთი ძლიერი ცვლილებები და გამარტივება განიცადეს, რომ მათი შედარება იეროგლიფებიან ნიმუშებთან საკმაოდ ძნელია, ამასთანავე იერატიკულ დამწერლობაში გამარტივებულია არა მარტო ნიშნების ფორმა, არამედ შემცირებულია კიდეც მათი რაოდენობა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ალფაბეტმა განიცადა კიდევ ერთი, შემდგომი, გამარტივება, რომელსაც ეწოდა დემოტიკური ანუ ხალხური. ამ ანბანმა გავრცელება ჰპოვა კერძო მიმოწერაში. თუ იეროგლიფურსა და იერატიკულ ალფაბეტს რელიგიის ძველი ენა ედო საფუძვლად, დემოტიკური ასოები გამოიყენებოდა მარტოოდენ ხალხური მეტყველების წერილობითი გადმოცემისათვის. (ავტ. შენიშვნა).

ეპარა, და ადასტურებდა, რომ ის თავის თავზე იღებდა ბერიკაცის დანაშაულს ოზირისისა და საიქიოს მსაჯულთა წინაშე.

როცა მან წერა დაამთავრა, პენტაურმა ხელი გაიწოდა, საბუთის წაკითხვა უნდოდა, მაგრამ ნებსეხტმა საჩქაროდ დაკეცა და ქისაში ჩატენა, რომელიც კისერზე ეკიდა და მასში ავგაროზებს ინახავდა, დედამ სიკვდილის წინ რომ აჩუქა, შვებით ამოისუნთქა და დაამთავრა:

— ესეც ასე, მორჩა. მშვიდობით, პენტაურ!

პოეტმა ხელით შეაჩერა მეგობარი, აფიცებდა უარი ეთქვა თავის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ნებსეხტს არც ესმოდა ამხანაგის თხოვნა და მთელი ძალით ცდილობდა გაენთავისუფლებინა თითები პენტაურის რკინის მარწუხივით მოჭერილი ძლიერი ხელისგან.

აღელვებული პოეტი ვერც კი ამჩნევდა, როგორ ტკივილს აყენებდა მეგობარს, სანამ მან კიდევ ერთხელ უშედეგოდ არ გაიბრძოლა და ტკივილისგან სახედაღმეჭილმა არ წამოიძახა:

— ასე თითებსაც დამიმტვრევ!

ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე პოეტს, მან ექიმს ხელი გაუშვა, გაწითლებულ თითებზე ისე მოეფერა, როგორც დედა ბავშვს, როცა ცდილობს ტკივილი დაუყუჩოს და უთხრა:

— არ გამიბრაზდე, ნებსეხტ! ხომ იცი, ჩემი უბედური თითების ძალა, თანაც დღეს მათ განსაკუთრებით მაგრად უნდა დაგიჭირონ, რადგან რაღაც უგუნურება გაქვს განზრახული.

— უგუნურება? — ჩაეცინა ექიმს. — მართლაც რომ ასეა! მაგრამ განა არ იცი, რომ ჩვენ, ეგვიპტელები, განსაკუთრებით ერთგულები ვართ საკუთარი უგუნურებისა და მისი გულისთვის სახლსაც და მთელ ქონებასაც კი შევწირავთ!

— ჩვენს საკუთარ სახლს და საკუთარ ქონებას, — შეუსწორა პოეტმა. — მაგრამ არამც და არამც სხვის სიცოცხლეს და ბედნიერებას!

— მე ხომ გითხარი, რომ გულს სულის სათავსოდ არ ვთვლი-მეთქი, და პირადად ჩემთვის სულ ერთია, ცხვრის გულით დამასაფლავებენ თუ ჩემი საკუთარით.

— მე მიცვალებულებზე კი არა, ცოცხლებზე ვლაპარაკობ, — უთხრა პოეტმა. — თუ პარასქიტის დანაშაულს გახსნიან, ის დაიღუპება; ის საყვარელი გოგონა, იქ, ქოხში რომაა, კი იმისთვის გადაგვირჩენია, რომ მწუხარების მორევში ჩააგდო?

ნებსეხტმა გაკვირვებით და შიშით შეხედა მეგობარს იმ ადამიანივით, რომელიც შუაღამისას უბედურების ცნობამ წამოაგდო; მაგრამ შეძლო თავის შეკავება და წამოიძახა:

— მე დედაბერსა და უარდას ყველაფერს გავუზიარებ, რაც კი გამაჩნია.

— მათზე ვინ იზრუნებს?

— მამამისი.

— ის უხეში ლოთი, რომელსაც დღეს თუ ხვალ, ვინ იცის, სად უკრავენ თავს?

— ის ძალიან კარგი კაცია! — ენის ბორძიკით წამოიძახა მეტისმეტად აღელვებულმა ექიმმა. — მაგრამ უარდას ვინ აწყენინებს? ის ისეთი... ისეთი... ის ისე თავისებური და მომხიბვლელია...

ნებსეხტმა თავი დახარა და ქალიშვილივით გაწითლდა.

— შენ უკეთესად გამიგებ, ვიდრე მე თვითონ, — განაგრძო მან. — შენც ხომ მშვენიერ გოგონად თვლი მას. უცნაურია! არ დამცინო, თუ ვიტყვი — მეც ხომ ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც ყველა სხვა, თუ გამოგიტყდები, რომ ის გრძნობის ორგანო, რომელიც სილამაზეს აღიქვამს, ადრე რომ არ გამაჩ-

ნდა, მგონი, მართლაც მქონია, მგონი კი არა, ნამდვილად მაქვს, იმიტომ, რომ ის უბრალოდ კი არ ვიგრძენი, არამედ ჩემში ხმაური ატეხა, აბობოქრდა, და ცხოვრებაში პირველად თვით ავადმყოფმა უფრო დამაინტერესა, ვიდრე მისმა ავადმყოფობამ. მოჯადოებულივით ვიჯექი ქოხში, თვალს ვერ ვაშორებდი მის თმას, თვალებს, ყურს ვუგდებდი მის სუნთქვას. სეთის სახლში ალბათ უკვე დიდი ხანია მეძებენ და, ყოვლად შესაძლებელია, აღმოაჩინეს კიდეც ჩემი საიდუმლო ცდები, როცა ჩემს ოთახში შევიდნენ. პირველად მივეცი თავს უფლება, ორი დღე და ღამე წამერთმია ჩემი სამუშაოსათვის ამ გოგონას გულისთვის! მე რომ ერის კაცთა რიცხვს ვეკუთვნოდე, რომლებსაც თქვენ ასულელებთ, მაშინ ალბათ ვიფიქრებდი, რომ ავმა სულებმა მომაჯადოვეს, მაგრამ ეს ასე არ არის. — ექიმს თვალები გაუბრწყინდა. — არა, ეს ასე როდია! გულში დამალულმა ქვენა გრძნობებმა, რომლებიც მის საწოლთან მყოფს არ მასვენებდნენ, ყველა მაღალი და წმინდა ზრახვა ჩამიხშო. წინა დღით, როცა ვიმედოვნებდი ყოვლისმცოდნე გავმხდარიყავი ღვთაებასავით, რომელსაც თქვენ ყოველგვარი ცოდნის მეუფეს ეძახით, მე უნდა განმეცადა, რომ პირუტყვი ჩემში უფრო ძლიერია იმაზე, რასაც მე ჩემს ღმერთს ვუწოდებ.

ასეთი მგზნებარე სიტყვის დროს აღელვებული ნებსეხტი ისე ჩაჰყურებდა მიწას, თითქოს არც კი გრძნობდა მეგობრის იქ ყოფნას, ხოლო პენტაური გაკვირვებული და თანაგრძნობით აღსავსე უსმენდა ამ აღსარებას.

ერთხანს ორივე დადუმდა. შემდეგ პენტაური ნებსეხტის ხელს შეეხო.

— ჩემს სულსაც ის აწუხებს, რასაც შენ განიცდი, — გულიჩამწვდომად უთხრა მან. — თუ უფლება მაქვს გავიმეორო შე-

ნი სიტყვები, ჩემი გული და გონებაც აფორიაქებულია, მაგრამ, ვიცი, ეს გრძნობები, ჩვენ რომ გვაღელვებს, თუმცა კი ისინი უცხოა ჩვენი ჩვეულებრივი შეგრძნებებისთვის, მათზე უფრო ამაღლებული და ღირსეულია. შენში, ნებსეხტ, პირუტყვმა კი არ გაიღვიძა, არამედ ღვთაებამ. სიკეთე ღმერთების უმშვენიერესი ატრიბუტია და შენ ხომ ყველას მიმართ, დიდი იყო ეს თუ პატარა, მუდამ კეთილი იყავი; მაგრამ ერთს გეკითხები: ოდესმე გქონია თუ არა წადილი სხვა არსებისთვის გებოძებინა სიკეთის მთელი ოკეანე, უარდას გულისთვის უფრო მეტი სიყვარულითა და თავგანწირვით არ შესწირავდი ყველაფერს, რაც კი გაგაჩნია, ვიდრე დედ-მამისა თუ საუკეთესო მეგობრის გულისათვის?

ნებსეხტმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, ხოლო პენტაურმა დასძინა:

— მაშ ასე! გაჰყევი შენში აღძრულ ამ ახალ ღვთაებრივ გრძნობას და იყავი კეთილი უარდას მიმართ, ნუ შესწირავ მას შენს პატივმოყვარე სურვილებს. ჩემო საწყალო მეგობარო! სიცოცხლის საიდუმლოების შესწავლისას, არასოდეს შეგიხედავს ცხოვრებისთვის შენ გარშემო, ასე რომ გადაშლილა ჩვენ ირგვლივ და იზიდავს ჩვენს ყურადღებას. ჩაუფიქრდი იმასაც, რომ ქალიშვილი, რომელმაც თებეს ყველაზე გულმშვიდი მოაზროვნე აღანთო, ასობით ადამიანის ავხორცული სურვილის ობიექტი გახდება, თუ მას დამცველი არ აღმოუჩნდება. იმასაც გეტყვი, რომ უცხოელთა კვარტალში მოცეკვავე ქალები ათიდან ცხრა შერისხული მშობლების შვილები არიან. შეძლებ კი შეეგუო იმ აზრს, რომ შენი გულისთვის უბიწობა შეიძლება ბიწიერებაში გადაიზარდოს და ვარდი ტალახში გაისრისოს? ახლა კი წადი, ხვალ კი ისევ მოდი ჩემთან, შენს მეგობართან, რომელიც ყველაფერში თანაგიგ-

რძნობს. გახსოვდეს, დღეს შენ ჩემთვის ბევრად ახლობელი გახდი, რადგანაც დიდი სიხარული მომანიჭე გამეზიარებინა შენი ხალასი ბედნიერება.

პენტაურმა მარჯვენა გაუწოდა ექიმს და მანაც, ცოტა არ იყოს შეშინებულმა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ფრთხილად ჩამოართვა ხელი.

მტანჯველი ეჭვებით შეპყრობილი ექიმი მთის გადავლით მეფეთა ხეობაში, პარასქიტის ქოხისკენ გაემართა; ღრმად ჩაფიქრებული შუადღის მზის მცხუნვარე სხივებსაც კი არ ეპუებოდა.

იქ მან გოგონასთან მჯდომარე მეომარი რომ დაინახა, აღელვებული ხმით ჰკითხა:

— მოხუცი სად არის?

— სამუშაოდ წავიდა მებალზამის სახლში, — უპასუხა დამხვდურმა. — შენ შემოგითვალა, რომ თუ მას რაიმე უსიამოვნება შეხვდება, რაღაც წერილი არ დაგავიწყდესო. ვიდრე წავიდოდა, გიჟივით იყო: ტომარაში რატომღაც ცხვრის გული ჩაიტენა და თან წაიღო. დარჩი ჩვენს პატარასთან; დედას არა სცალია, მე კი ტყვეებს უნდა გავყვე ერმონტში.

თავი მესამე

სწორედ იმ დროს, როცა მეგობრები სეთის სახლიდან ხატ-შეფსუტის ტაძარში საუბრობდნენ, აღელვებული ქათუთი ბოლთას სცემდა სიძის სახლის ღია მინაშენში, სადაც მკითხველი თავის დროზე მას გაეცნო. თოვლივით თეთრი კატა უკან დასდევდა და ხან გრძელი, სადა კაბის კალთას ეთამაშებოდა, ხან კი კვარცხლბეკთან მიირბენდა, რომელზეც ადრე ვერცხლის ქანდაკება იდგა, ამ ცოტა ხნის წინ რომ გაყიდეს; ახლა კი მასზე ჩაცუცქული ჯუჯა ნემუ იჯდა.

მას ძალიან მოსწონდა ეს ადგილი, საიდანაც მოხერხებულად შეეძლო ზემოდან ეცქირა თავისი ქალბატონისა და სხვა ნორმალური სიმაღლის ადამიანებისთვის.

— იცოდე, თუ მატყუებ!.. არ გაბედო ჩემი შეცდომაში შეყვანა! — წამოიძახა ქათუთიმ, როცა ჯუჯას გვერდზე ჩაუარა და მუქარით დაუქნია ხელი.

— თუ გატყუებდე, ანკესზე ჩამომაცვი და ნიანგი დაიჭირე. მხოლოდ ერთი მინდა ვიცოდე — რანაირად შემოგთავაზებს პააკერი იმ ფულს?

— შენ ხომ ორჯერ დაიფიცე, რომ ჩემი სახელით არ გითხოვია პააკერისთვის ჩვენი გადარჩენა! — შეაწყვეტინა შეშფოთებულმა ქათუთიმ.

— ორჯერ კი არა, ათასჯერ შემიძლია შემოგფიცო! — წამოიყვირა ჯუჯამ. — თუ საჭიროა, გაგიმეორებ ჩემს გუშინდელ საუბარს მასთან. ეჭვი არ შეგეპაროს: ნეფერტის ერთი ალერსიანი შემოხედვისთვის ის მთელ თავის მინდვრებს და საკუთარ სახლს ჭიშკრიანადაც კი გაიმეტებს.

— მენასაც ისე რომ უყვარდეს, როგორც მას! — ამოიოხრა ქათუთიმ და ხელახლა შეუდგა უხმოდ დარბაზის ნაბიჯებით გაზომვას, ხოლო ნემუ ამ დროს თვალმოუშორებლად გასცქეროდა ბაღის ჭიშკარს. უცებ ქათუთი მის წინ შეჩერდა და ისეთი ავისმომასწავებელი ხმით უთხრა, რომ ჯუჯა უნებლიეთ შეკრთა:

— მე მინდა, რომ ის დაქვრივდეს!

ჯუჯამ ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ავი თვალისგან იცავსო თავს, საჩქაროდ ჩამოცოცდა კვარცხლბეკიდან იატაკზე და წამოიძახა:

— ჭიშკართან ეტლი შეჩერდა და ნაგაზის ყეფაც მესმის.

— არა, — ჩუმად წარმოთქვა ქათუთიმ და სკამის საზურგეს ჩაავლო ხელი, თითქოს დასაყრდენს ეძებსო.

ჯუჯამ მხრები აიჩეჩა და წავიდა, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ პააკერი უკვე მისი ქალბატონის წინაშე იდგა; ქათუთიმ მახორი დიდი თავდაჭერილობითა და მშვიდი ღირსებით მიიღო.

მისი ნატიფი სახის არც ერთი ნაკვთი არ ამჟღავნებდა იმ მღელვარებას, რომელსაც მთელი მისი არსება მოეცვა; მახორის მისალმებაზე მან ალერსიანად და მფარველურად უპასუხა:

— ასეც ვფიქრობდი, რომ მოხვიდოდი. დაჯექი! გულით სულ მამაშენს ჰგავხარ, ხოლო იმის შემდეგ, რაც ხელახლა დაგვიმეგობრდი, მთლად მამაშენივით იქცევი.

პააკერი იმისთვის მოვიდა, რომ ფული შეეთავაზებინა დეიდამისისთვის მისი გარდაცვლილი მეუღლის მუმიის გამოსასყიდლად. მართალია, აქამდე ის დიდხანს მერყეობდა იქნებ დედამისისთვის დაევალებინა ეს საქმე, მაგრამ მას რა-

ღაცნაირი შინაგანი გაუბედაობა აკავებდა, და ნაწილობრივადაც კი — უბრალო პატივმოყვარეობა.

მას ყოველთვის თავი მოჰქონდა, რომ დიდი ქონების პატრონი იყო. დაე, ქათუთიმ იცოდეს, რა ბრწყინვალე შესაძლებლობებიც აქვს და როგორი სიძე უარჰყო. პააკერი დიდი სიამოვნებით ახლავე გამოიტანდა საკუჭნაოდან იმდენ ოქროს, რამდენიც საჭირო იყო და უბრძანებდა თავის მონებს ამ ოქროთი წინ გასძღოლოდნენ მას, სწორედ ისე, როგორც დამპყრობელს მიართმევენ ხოლმე ხარკს დამორჩილებული ბელადები. მაგრამ ვინაიდან ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, მან თითზე იშვიათი ძვირფასი ქვებით მოოჭვილი დიდი ბეჭედი გაიკეთა, რომელიც თავის დროზე ფარაონმა სეთიმ მამამისს აჩუქა და უამრავი აბზინდა და სამაჯური ჩამოიკიდა. სახლიდან გამოსვლის წინ ერთხელ კიდევ შეათვალიერა საკუთარი თავი სარკეში, კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამ სახით, როგორც ახლა გამოიყურება, ის გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მენას მთელი ქონება.

ჯუჯასთან საუბრის შემდეგ, როცა ნემუმ სიზმარი აუხსნა, პააკერმა გარკვევით დაინახა გზა, რომელიც უნდა გაევლო მიზნის მისაღწევად: ახლა ყველაზე მთავარია, ნეფერტის დედა იხსნას შერცხვენისგან, ოქროს ჩხარუნით გადაიბიროს თავის მხარეზე, ხოლო მენა საიქიოში გაგზავნოს. წარმატების მიღწევაში მას თავისი უხეში ძალის — „ურყევი სიმტკიცის“, როგორც ამბობდა ხოლმე, ჯუჯას გამჭრიახი გონებისა და სიყვარულის წამლის იმედი ჰქონდა.

და აი ახლაც ქათუთისთან მოვიდა, სრულიად დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, ისე, როგორც ძვირფასი საქონლის შესაძენად წასული მდიდარი ვაჭარი, რომელიც მზადაა ნებისმიერი თანხა გადაიხადოს.

მაგრამ დეიდის ღირსეულმა სიამაყემ, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა პააკერი. მას სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი: დარდით განადგურებული ქათუთი ფეხებში ჩაუვარდებოდა. ეგონა, რომ თავისი სულგრძელობისთვის მადლიერების მხურვალე სიტყვებს გაიგონებდა ნეფერტისა და დედამისის პირიდან. მაგრამ... მენას მშვენიერი ცოლი საერთოდ არ ჩანდა, ქათუთი სულაც არ აპირებდა მის დაძახებას, მაშინაც კი როცა პააკერმა მისი ჯანმრთელობის ამბავი იკითხა.

ქათუთის არ უცდია შეშველებოდა პააკერს და ფუჭ ლაპარაკს საკმაო დროც მოანდომეს, სანამ პააკერმა ბოლოს და ბოლოს თვითონ არ გადაწყვიტა საქმეზე გადასულიყო. მოულოდნელად, უშნო გულუბრყვილობით, ქათუთიმ ტლანქ მიამიტობაში რომ ჩამოართვა და რაც თითქოსდა ამართლებდა ამგვარ ვითარებაში პააკერის ჩაცმულობის შეუფერებელ აღკაზმულობასაც, მახორმა თქვა, რომ შეიტყო მისი ვაჟიშვილის უგნური საქციელი, და გადაწყვიტა შერცხვენისგან იხსნას ქათუთი და მისი ოჯახი, როგორც თავისი ყველაზე ახლობელი ნათესავები.

ქათუთიმ ღირსეულად და გულითადად გადაუხადა მადლობა, მაგრამ უფრო მეტად შვილების სახელით, რადგანაც მათ, თქვა მან, ცხოვრება წინ აქვთ, მისთვის კი ის, დიდი ხანია, უკვე დამთავრდა.

— კი მაგრამ, შენთვის ახლა ხომ სიცოცხლის საუკეთესო ხანაა, — შეეპასუხა პააკერი.

— შეიძლება, ეს მართლაც ასე იყოს, — დაეთანხმა ქვრივი. — მე მაინც ჩემს არსებობას დიდ ტვირთად ვთვლი, თანაც მეტად მძიმე ტვირთად.

— მე მესმის შენი, ვალებში ჩაფლული მამულის მართვა-განმგებლობა მართლაც დიდი საზრუნავია და ბევრ უსიამოვ-ნებასაც გაყენებს.

ქათუთიმ თავი დააქნია და დაღონებულმა თქვა:

— ყველაფერ ამას კიდევ გავუძლებდი, წილად რომ არ მხვდომოდა მეყურებინა, როგორ იღუპება ჩემი უბედური ქა-ლიშვილი და არც საშუალება მაქვს საქმით ან რჩევით დავეხ-მარო მას. შენ ხომ გიყვარდა ის თავის დროზე და შენვე გე-კითხები: იყო თუ არა თებეში, ან თუნდაც მთელს ეგვიპტეში მასზე უფრო ლამაზი ქალიშვილი, იყო თუ არა და არის თუ არა ახლაც ის სიყვარულის ღირსი? განა იმსახურებს იმას, რომ ქმრისგან მიტოვებული გაჭირვებაში აღმოჩნდეს, მენას კი თავის კარავში ვიღაც ტყვე ქალი ჰყავდეს? შენს აზრებს შე-ნივე სახეზე ვკითხულობ! ყველაფერს, რაც მოხდა, მე მაბრა-ლებ, ხოლო შენი გული მეკითხება: „რატომ ჩაშალე ნიშნო-ბა?“ — და შენივე პატიოსანი გონება პასუხობს, რომ მის ცხოვ-რებას გაცილებით უკეთ მოაწყობდი.

ამ სიტყვებზე ქვრივი წამოდგა, დისშვილს მკლავში ხელი ჩაავლო და ალერსიანი ხმით განაგრძო:

— დღეს შენი სახით ყველაზე დიდსულოვანი ადამიანი ვნა-ხეთ მთელ თებეში, რადგან მწარე უსამართლობა შენ ფას-დაუდებელი სიკეთით გადაგვიხადე. მაგრამ გახსოვდეს, ჯერ კიდევ ბავშვობაშივე გვიყვარდი და გაფასებდით. მამაშენის სურვილი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე საყვარელი ძმა-სავით რომ მეპყრობოდა, მუდამ წმიდათაწმიდა იყო ჩემთვის და მერჩია მე ვყოფილიყავი უკმაყოფილო, ვიდრე შენი კეთი-ლი დედისთვის, ჩემი დისთვის, მეწყენინებინა. მე ვუფ-რთხილდებოდი ჩემს გოგონას, მას იმ ახალგაზრდა გმირის-თვის ვზრდიდი, რომელმაც შორეულ აზიაში დაამტკიცა თავი-

სი ძალა და გამბედაობა, — ერთი სიტყვით, შენთვის და მხოლოდ შენთვის. მაგრამ აი მამაშენი მოკვდა და მასთან ერთად გაქრა ჩემი დასაყრდენი და დამცველი...

— მე ყველაფერი ვიცი, — შეაწყვეტინა პააკერმა, რომელიც პირქუშად მისჩერებოდა იატაკს.

— კი მაგრამ, შენ ვიღამ გიამბო? — ჰკითხა ქათუთიმ. — იმის შემდეგ, რაც წარმოუდგენელი ამბავი მოხდა, დედაშენმაც ცხვირწინ მომიხურა თქვენი სახლის კარი და ყურიც არ მათხოვა. თვით ფარაონმა შერთო ჩემი ქალიშვილი მენას, რომელიც საკუთარ შვილებს ურჩევნია! ხოლო როცა მე შენი პირველობის უფლება მოვაგონე, მაშინ პირდაპირ მიბრძანა მენასთვის გამეყოლებინა ნეფერტი, და აბა, მითხარი, ვინ გაბედავს ორივე სამყაროს მეუფის ბრძანების შეუსრულებლობას, თავის თავს მზის შვილს რომ უწოდებს? მეფეებს მეტად ცუდი მახსოვრობა აქვთ. ვინ მოსთვლის, მამაშენს რამდენჯერ ჩაუგდია საფრთხეში საკუთარი თავი, რამდენჯერ დაჭრილა მის სამსახურში მარტო მამაშენის გულისთვის უნდა აეცილებინა შენთვის ესოდენი შერცხვენა და ტანჯვა.

— განა მეც არ ვემსახურებოდი მას? — მიუგო პააკერმა და ალმური მოედო.

— შენ კარგად არ გიცნობდა, — თითქოს მოუბოდიშა ქათუთიმ, შემდეგ კი ხმა შეეცვალა და თანაგრძნობით ჰკითხა:

— ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე რატომ არ უყვარდი მას, რატომ იყო ფარაონი მუდამ შენით უკმაყოფილო და კიდევ...

— რაო? — შეაწყვეტინა მას აკანკალებულმა მახორმა.

— დავანებოთ ამას თავი, — წყნარად შენიშნა ქათუთიმ. — მეფეები ხომ ღმერთებივით არიან: ჩვენ ან გვახარებს მათი

წყალობა ანდა მორჩილად თავსა ვხრით მათი რისხვის წინაშე.

— უკმაყოფილებისა და მტრობის გარდა კიდევ რა აღვძარი რამზესში? მინდა ვიცოდე! — უფრო გულფიცხად წამოიძახა პააკერმა.

— შენ მე მაშინებ, — ხელახლა შეეცადა მის დამშვიდებას ქვრივი. — შენი დამცირებით მას, რა თქმა უნდა, თავისი საყვარელი კაცის ამაღლება სურდა ნეფერტის თვალში.

— რა გითხრათ? — შეჰყვირა მახორმა და შავგვრემან შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა და თვალები კინაღამ ბუდეებიდან გადმოუცვივდა.

შეშინებულმა ქათუთიმ უკან დაიხია, მაგრამ პააკერი მასთან მიიჭრა, მკლავზე მოუჭირა ხელი და ჩახრინწული ხმით დაიღრიალა:

— რა თქვა მან?

— პააკერ! — შესძახა ქვრივმა და მის ხმაში საყვედური გაისმა. — გამიშვი. შენთვისვე უკეთესია, თუ არ მათქმევინებ იმ სიტყვებს, რითაც რამზესი ნეფერტის გულის მოგებას ცდილობდა. გამიშვი და დაფიქრდი, ვისთან ლაპარაკობ.

მაგრამ პააკერმა უფრო მაგრად მოუჭირა ქვრივს ხელი და მეტი დაჟინებით გაუმეორა თავისი კითხვა.

— გრცხვენოდეს! — შეჰყვირა ქათუთიმ. — ხელი მატკინე. გამიშვი! აჰ, შენ არ გინდა ხელი გამიშვა, სანამ არ შეიტყობ, რა თქვა ფარაონმა? კარგი, ბატონი ბრძანდებით! ოღონდ იცოდე, რომ შენ მაიძულებ გავიმეორო ის სიტყვები. ფარაონმა თქვა: „რომ არ ვიცოდე, რომ დედამისი სეთხემი წესიერი ქალია, მას მამამისის შვილად არ ჩავთვლიდი, რადგანაც ის ისევე ჰგავსო თავის მამას, როგორც ბუ არწივს“.

პააკერმა მაშინვე გაუშვა ქვრივს ხელი და გაცრეცილი ტუ-ჩებით ძლივსგასაგონად ჩაიჩურჩულა:

— აჰა, ასე... მაშ ასე...

— მე და ნეფერტი გამოგესარჩლეთ, მაგრამ... ამაოდ. გულთან ახლოს არ მიიტანო ეს უკეთური სიტყვები. მამაშენი შესანიშნავი ადამიანი იყო, და გარდა ამისა, რამზესს არ ავიწ-ყდება, რომ ჩვენ დამხობილ დინასტიას ვენათესავებით. პაპა-მისიც, მამამისიც და თვითონაც წინამასწარები არიან, მაგ-რამ არის კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც მეტი უფლება აქვს ტახტზე, ვიდრე მას.

— ვეზირი ანი! — მტკიცედ წამოიძახა პააკერმა.

ქათუთიმ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, მიუახლოვდა მახორს და ჩუმად წარმოთქვა:

— ამის შემდეგ მე შენს ხელთა ვარ, თუმცა კი ვიცი, რომ შენ შეგიძლია ისინი ჩემს წინააღმდეგაც აღმართო. დღეიდან შენ ჩემი ერთადერთი მოკავშირე ხარ, ვინაიდან რამზესის იმ საქციელმა, რომელმაც ჩირქი მოგცხო, მეც ვეზირის გეგმე-ბის მონაწილე გამხადა. ფარაონმა შენ საცოლე მოგტაცა, მე კი — ქალიშვილი; მან სულში ქედმაღალი მეტოქის სიძულვი-ლი ჩაგისახლა, მე კი გულში ღადარი ჩამასხა ჩემი ქალიშვი-ლის გაუბედურებით. ჩემს ძარღვებში დედოფალ ხატშეფსუ-ტის სისხლი ჩქეფს და გონება საკმაოდ მტკიცე მაქვს, რომ მა-მაკაცებს ვუმბრძანებლო. მე გავუღვიძე ვეზირს მკერდში მთვლემარე გრძნობები და მისი მზერა ტახტისკენ მივმართე, რადგან თვით ღმერთებმა განაკუთვნეს იგი ამისათვის. ღმერ-თების მსახურნი, ქურუმები, ჩვენს მხარეზე არიან, ჩვენ...

ამ დროს ბაღიდან ხმაური შემოესმათ და დარბაზში აქოში-ნებული მონა შემოვარდა.

— ვეზირის ეტლი ჩვენს ჭიშკართან შეჩერდა! — დაიყვირა მან.

რამდენიმე ხანს პააკერი დარეტიანებულივით იდგა, თუმცა მალე მოვიდა გონს და წასვლა დააპირა, მაგრამ ქათუთი შეაჩერა:

— იყავი. წავალ, ანის შევეგებები, — უთხრა მან. — მას შენი აქ ნახვა გაეხარდება იმიტომ, რომ შენ დიდად გაფასებს და მამაშენის მეგობარი იყო.

ის იყო, ქათუთი გავიდა, რომ ჯუჯა ნემუ თავისი სამალავიდან გამოძვრა, პააკერთან მივიდა და თავხედურად ჰკითხა:

— ჰა, რას იტყვი? კარგი რჩევა არ მოგეცი გუშინ?

პააკერმა არაფერი უპასუხა ჯუჯას, კინწისკვრით მოისროლა გვერდზე და ჩაფიქრებული წინ და უკან სიარულს მოჰყვა დარბაზში.

* * *

ქათუთი ვეზირს ბაღში შეხვდა. მას ხელში ხელნაწერი, გრაგნილი ეჭირა და შორიდანვე ალერსიანად უქნევდა ხელს,

ქვრივი გაკვირვებული შეჰყურებდა მეგობარს. მოეჩვენა, რომ იმის შემდეგ, რაც იგი უკანასკნელად ნახა, თითქოს გამაღლებულიყო და გაახალგაზრდავებულიყო კიდეც.

— დიდება შენდა! — ოდნავი სითამამით წამოიძახა მან და მოწიწებით გაუწოდა ხელები, თითქოს თავზე უკვე ზემო და ქვემო ეგვიპტის მბრძანებლის ორმაგი გვირგვინი ედგასო. — ცხრა დიდი ღმერთი ხომ არ შეგხვედრია ან ხატორებს ხომ არ უკოცნიათ შენთვის სიზმარში? — განაგრძობდა ის. — დღეს ნათელი და ბედნიერი დღეა, ამას შენს სახეზე ვკითხულობ.

— შენ კარგი კითხვა გცოდნია! — მხიარულად, მაგრამ ღირსეულად უპასუხა ანიმ. — აბა ეს უსტარი წაიკითხე.

ქათუთიმ ვეზირს პაპირუსის გრაგნილი გამოართვა, წაიკითხა და როცა უკან უბრუნებდა, ასე უთხრა:

— შენ მიერ გაგზავნილმა ჯარებმა დაამარცხეს ეთიოპელების მოკავშირე არმიები და თებეში მოჰყავთ მათი მთავრები აურაცხელი სიმდიდრითა და ათი ათასი ტყვით, მადლობა ღმერთებს!

— ჩვენ მადლობას ვწირავთ მათ იმისთვისაც, — დასძინა ანიმ, — რომ ჩემი მხედართმთავარი შეშონკი, ჩემი ძუძუმტე და მეგობარი, საღ-სალამათი დაბრუნდა და ახლა შინისკენ მოჰყავს ჩვენი ჯარი. მე ვფიქრობ, ქათუთი, ამიერიდან ჩვენი ოცნებები ხორცს შეისხამენ.

— ისინი გმირები არიან! — წამოიძახა ქვრივმა. — ხოლო შენ, ჩემო მბრძანებელო, ღვთის სუნთქვა შეგეხო! როგორც ღმერთ რას ჭეშმარიტი ძე, შენ ჩემს გვერდით მოდიხარ, მონთუს სიმამაცე ბრწყინავს შენს თვალებში, ხოლო ბაგეზე ძლევამოსილი ჰორეს ღიმილი დაგთამაშებს.

— მოთმინება, მოთმინება, ჩემო მეგობარო, — უთხრა ანიმ, რათა ქვრივის მგზნებარე აღტაცება გაენელებინა. — ახლა ყველაზე უფრო უნდა გავუწიო ანგარიში მიღებული წესს: ჯობს მტრის ძალები შეაფასო გადაჭარბებით, ვიდრე საკუთარი. როცა დარწმუნებული ვიყავი წარმატებაში, ბედი არ მწყალობდა, ხოლო როცა დამარცხებისა მეშინოდა, მაშინ საქმე კარგად შემოტრიალდებოდა ხოლმე. ჩემი წარმატების მზე მხოლოდ ახლა იწვერება!

— მაგრამ უბედურება და ბედნიერება ხომ არასდროს ცალ-ცალკე არ მოდიან, — შენიშნა ქვრივმა.

— სავსებით მართალი ხარ, — დაეთანხმა ანი. — დიდი ხანია შევნიშნე, რომ ცხოვრებაში ყოველ მოვლენას თავისი თანამგზავრი ჰყავს. ბედნიერებაც ასევეა; ის ხომ უბედურების გარეშე არ არსებობს. იქნებ კიდევ ერთ გამარჯვებაზე მითხრა რაიმე?

— ქალები ბრძოლას ვერ იგებენ, მაგრამ სამაგიეროდ მეგობრებს იძენენ, — ჩაიცინა ქვრივმა. — მე ძლიერი მოკავშირე შევიძინე!

— რომელიმე ღმერთი, თუ მთელი არმია? — დაინტერესდა ვეზირი.

— არც ერთი და არც მეორე, — უპასუხა ქალმა. — პააკერი, ფარაონის მახორი, ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. აი, მომისმინე!

და მან ვეზირს უამბო თავისი დისშვილის სიყვარულისა და სიძულვილის ამბავი.

ანიმ უხმოდ მოუსმინა, შემდეგ კი შეშფოთებულმა უთხრა:

— ეს კაცი რამზესის მსახურია და მალე მას დაუბრუნდება. დაე, ბევრმა გაიგოს ჩვენი გეგმები, მაგრამ ყოველი ახალი მოკავშირე ნებისმიერ დროს შეიძლება მოღალატე გახდეს. შენ მეტისმეტად მაჩქარებ, ასე არ შეიძლება. ათასი უძლიერესი მტერი ისე საშიში არაა, როგორც ერთი არასაიმედო მოკავშირე...

— პააკერს შეგიძლია ენდო, — გადაჭრით უთხრა ქათუთიმ.

— ვინ დაუდგება მას თავდებად? — ჰკითხა ვეზირმა.

— იგი მთელი თავისი თავით აგებს პასუხს შენს წინაშე, — მთელი სერიოზულობით უპასუხა ქვრივმა. — ჩემმა ჭკვიანმა ჯუჯამ იცის, რომ მან საიდუმლოდ ისეთი რამ ჩაიდინა, რისთვისაც კანონი სიკვდილით სჯის.

ვეზირს თვალები გაუბრწყინდა და უკვე დამშვიდებულმა წამოიძახა:

— ეს უკვე სულ სხვაა! მან ვინმე მოკლა?

— არა! — უპასუხა ქათუთიმ. — ჯუჯამ დაიფიცა, რომ მხოლოდ შენ გეტყვის, რაც იცის. ის ხომ მთელი სულითა და გულით ჩვენი ერთგულია!

— კარგი, კარგი, — წამოიძახა ჩაფიქრებულმა ვეზირმა. — მაგრამ ის მეტისმეტად გაუფრთხილებელი კაცია, თქვენ ყველანი კი იმ მხედრებს მაგონებთ, რომლებიც დოღში გასამარჯვებლად ცხენს აიძულებენ შუბებს გადაახტეს. თუკი ის წვეტს წამოეგება, მით უარესი მისთვის, თქვენ კი რა გენაღვლებათ, დააგდებთ მას და ფეხით განაგრძობთ გზას.

— ან შუბი განგვგმირავს ჩვენს კეთილშობილ ცხენებთან ერთად, — მკაცრად შეუსწორა ქათუთიმ. — შენ გაცილებით მეტს მოიგებ, მაგრამ ჩვენზე მეტსაც დაკარგავ. მაგრამ ყოველ ცოცხალ არსებას ხომ სიცოცხლე სწყურია. შენ, ანი, უთქმელადაც უნდა ხვდებოდე, რომ მე შენთვის იმიტომ კი არ ვცდილობ, რაიმე სარგებლობა მივიღო, არამედ იმიტომ, რომ შენ ჩემთვის ძმასავით ძვირფასი ხარ და შენში ჩემი წინაპრების გათელილი უფლებების განსახიერებას ვხედავ.

ანიმ ხელი გაუწოდა ქალს.

— ბენტ-ანატსაც ისე ელაპარაკე, როგორც ჩემი მეგობარი? სწორედ მესმის თუ არა შენი დუმილი? — ჰკითხა მან ქათუთის.

ქათუთიმ ნაღვლიანად დაუქნია თავი.

— გუშინ კიდევ ეს ამაღებინებდა ხელს ჩემს გადაწყვეტილებაზე, — მოულოდნელი გამბედაობით განაგრძობდა ანი. — მაგრამ დღეს სიმტკიცე მომემატა და თუ ხატორებიც შემეწევიან, ჩემსას მივაღწევ — ის ჩემი გახდება!

ამ სიტყვებით ქათუთიზე წინ შევიდა დარბაზში, სადაც პაააკერი წინანდელივით მოუსვენრად ბოლთასა სცემდა.

ანი რომ დაინახა, მახორმა თაყვანი სცა. ვეზირმა ხელი გააქნია — ამ მოძრაობაში სიამაყეც იყო და გულითადობაც, შემდეგ სავარძელში ჩაეშვა და პააკერს მისასალმებელი სიტყვით მიმართა, რომელშიც თავისი მეგობრის შვილი და სისხლით ნათესავი უწოდა.

— მთელი ქვეყანა, — თქვა მან, — ადიდებს შენს უანგარო მამაცობას. ვაჟკაცები იშვიათია, მე კი ისინი საერთოდ არა მყავს. მე ვისურვებდი, რომ ჩვენ დავახლოვებულიყავით.. მაგრამ რამზესი ვერ შეგელევა, თუმცა... თუმცა... შენს თანამდებობას ხომ ორი მხარე აქვს: გაბედული უნდა იყო და თანაც კალამი გიჭრიდეს. პირველში ვერავინ შემოგედავება, მაგრამ, რაც შეეხება წერის ოსტატობას... მახვილი და ლერწმის კალამი მეტად განსხვავებული იარაღია: ერთი მაგარ კუნთებს მოითხოვს, ხოლო მეორე — თითების სიფაქიზეს. ადრე ფარაონს არ მოსწონდა შენი პატაკები; ახლა კმაყოფილია?

— იმედი მაქვს, — უპასუხა მახორმა. — ჩემი ძმა ჰორე გამოცდილი მწერალია და ყოველთვის თან მახლავს მოგზაურობისას.

— აი ეს სწორია! — წამოიძახა ვეზირმა. — მე რომ ბრძანების უფლება მქონდეს, შენი თანაშემწეების რიცხვს ერთისამად გავზრდიდი და ოთხ, ხუთ, ექვს მწერალსაც კი მოგცემდი, რათა შეუზღუდველად გემბრძანებლა და მიგეწოდებინა მათთვის მასალები პატაკებისთვის. შენი თანამდებობა გამბედაობასა და წინდახედულებას მოითხოვს, ეს ღირსებები კი ძალიან იშვიათად თავსდება ერთ ადამიანში. კალმის გმირები კი ბლომად გვყავს ჩვენს ტაძრებში.

— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა პააკერი.

ანიმ ფიქრიანად დახარა თვალები და შემდეგ განაგრძო:

— რამზესს უყვარს შენი შედარება მამაშენთან, მაგრამ ეს ხომ არასწორია! მიცვალებულთან არავისი შედარება არ შეიძლება. იგი გმირი მეომარიც იყო და დახელოვნებული მწერალიც. შენ ჯეროვნად ვერ გაფასებენ. მე მეტად მწყინს ეს იმიტომ, რომ დედის მხრიდან ჩემს უბედურ, მაგრამ უკეთილშობილეს გვარს მიეკუთვნები. ვნახოთ, იქნებ შენი საკადრისი რამე ადგილი გამოგინახო. ჯერჯერობით სირიაში ხარ საჭირო, ჰოდა, თუ ფარაონი უწინდებურად მტრულად მოგექცეს, მაშინ — ო, მარადიულო ღმერთებო! — ყველაფერს თავი დაანებე და შენს საგვარეულო მამულში წამოდი! შენ არაერთხელ დაამტკიცე სიკვდილისადმი სიძულვილი და ახლა უფლება გაქვს ცოლთან ერთად დატკბე საკუთარი სიმდიდრით.

— მე ცოლი არა მყავს, — მიუგო პააკერმა და ოდნავ მოიღუშა.

— მაშ, როცა დაბრუნდები, ქათუთი მთელ ქვეყანაზე ულამაზეს ქალიშვილს მოგინახავს, — ალერსიანად უთხრა ვეზირმა და გაიღიმა. — ის მთელი დღე სარკეში იცქირება და კარგადაც იცის ქალის სილამაზის ფასი.

ამის შემდეგ ანი წამოდგა, პააკერს დაემშვიდობა, ქვრივს ხელი გაუწოდა და წასვლის წინ თქვა:

— ჯუჯა ნემუს ხელით... დღესვე გამომიგზავნე ჩემი ცხვირსახოცი.

ბაღიდან გასვლისას კი ერთხელ კიდევ შემობრუნდა და პააკერს უთხრა:

— დღეს ჩემთან რამდენიმე მეგობარი ვახშმობს. გთხოვ მეწვიო.

მახორმა თავი დაუკრა. უეცრად გუმანით იგრძნო, როგორ იხლართებოდა უხილავ ძაფებში. აქამდე ის ამაყობდა თავისი

თავდადებით საკუთარი მოწოდებისადმი, თავისი დამსახურებით, და აი ახლა კი გაიგო, რომ სწორედ იმ ფარაონს, რომელმაც ჯაჭვი უბოძა, ასე რომ უმშვენებდა კისერს, თურმე ეჯავრება იგი. უფრო მეტიც, ყოვლად შესაძლებელია, რომ რამზესი ამ მეტად ძნელ და საშიშ თანამდებობაზე მას მხოლოდ და მხოლოდ მამის ხსოვნის პატივსაცემად აჩერებს. პააკერმა ხომ ნებაყოფლობით დაიწყო ეს საქმე, ყოველგვარი ანგარების გარეშე, მიუხედავად თავისი სიმდიდრისა, რომელიც მას თებეში წყნარი ცხოვრებისკენ მოუხმობს. მან იცოდა, რომ კალამი არ უჭრიდა, მაგრამ ამის გულისათვის განა შეიძლება ადამიანს უპატივცემლოდ მოეპყრონ. რამდენჯერ ეცადა საქმე ისე აეწყო, როგორც ახლა ანი ელაპარაკა, მის თხოვნაზე, ნება დაერთოთ მწერლები აეყვანა, ფარაონმა უარით უპასუხა. ყველაფერი, რასაც მზვერავი შეიტყობს, უთხრა მაშინ ფარაონმა, საიდუმლოდ უნდა ინახებოდეს, უცხო პირს კი თავდებად ვერავინ დაუდგებაო.

როცა ჰორე წამოიზარდა, ძმის დამჯერე თანაშემწე გახდა და ყოველთვის თან ახლდა, მაშინაც კი, როცა დაქორწინდა და ცოლ-შვილი თებეში, დედასთან სეთხემთან უნდა დაეტოვებინა. აი ახლაც ის პააკერის მაგივრად მზვერავად წავიდა სირიაში, თუმცა, მახორის აზრით, საქმეში ცუდად ერკვეოდა; მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ხშირად აქებდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ კალამი მის ხელში მარდად დასრიალებდა პაპირუსზე.

მარტოობას მიჩვეული და გულჩათხრობილი პააკერი ფიქრს მიეცა, მთლიანად გადაავიწყდა, სად იმყოფებოდა, ქვრივსაც კი ვეღარ ამჩნევდა, ბალიშზე დამჯდარი უხმოდ რომ შესცქეროდა.

თვალგაშტერებული ერთ წერტილს მისჩერებოდა; ფიქრები აეშალა. მისი აზრით, უსამართლოდ მოექცნენ, გული დასწყვიტეს. მას სწამდა, რომ უფლება ჰქონდა, და ვალდებულიც კი იყო, სხვაც გაეწირა. ეს გრძნობები ბუნდოვანი, თითქოს ბურუსით მოცული იყო. სიყვარული განუყრელად იყო დაკავშირებული სიძულვილთან, მაგრამ ამასთანავე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მალე მშვენიერ ნეფერტს დაეუფლებოდა.

ყველაფერი ღმერთების ბრალია! რა ბევრი შესწირა მათ და რაოდენ ცოტა მიიღო სანაცვლოდ! მხოლოდ ერთს შეეძლო აენაზღაურებინა მისი ტანჯვა-წამება, და პააკერსაც ისევე მტკიცედ სჯეროდა ამისა, როგორც საიმედო ხელში გირაოდ გაცემული ფულისა.

და მაინც მწარე ფიქრები სჯაბნიდნენ მის ტკბილ ოცნებებსა და იმედებს. ტყუილუბრალოდ ცდილობდა სიმშვიდე და აზრის სინათლე აღედგინა.

ეჭვები მოსვენებას არ აძლევდნენ, აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, აღარც თილისმის იმედი ჰქონდა, რადგანაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რაზე უნდა ჩაეთქვა. აქ საჭირო იყო ფიქრი და გეგმების შედგენა, მას კი ახლა ეს არაფრით არ შეეძლო.

მთრთოლვარე ხელი მიიდო გახურებულ შუბლზე. უეცრად გონს მოვიდა და გაიხსენა, სად იყო. მოაგონდა თავისი სატრფოს დედა, მასთან საუბარი, როცა ქათუთიმ უთხრა, მამაკაცებზე მბრძანებლობაც შემიძლიაო.

— მაშ, დაე ჩემს მაგივრადაც იფიქროს, — ჩაიბუტბუტა მან. — ჩემი საქმე კი მოქმედებაა.

პააკერი ქათუთის მიუახლოვდა.

— მორჩა, გადაწყდა! — წამოიძახა მან. — ჩვენ მოკავშირეები ვართ!

— ჩვენ ანის მომხრენი ვართ, რამზესის მოწინააღმდეგენი, — მტკიცედ წარმოთქვა ქვრივმა და თავისი ნატიფი ხელი გაუწოდა.

— რამდენიმე დღის შემდეგ სირიაში მივდივარ, შენ კი მანამდე მოიფიქრე, თუ რაიმე დავალება გექნება. ფულს შენი ვაჟიშვილისთვის დღესვე, მზის ჩასვლის შემდეგ მოიტანენ. შეიძლება ნეფერტი ვნახო?

— ახლა ვერ ნახავ, ტაძარში ლოცულობს.

— ხვალ?

— რაღა თქმა უნდა, საყვარელო. შენი ნახვა ძალიან გაეხარდება და მადლობასაც გადაგიხდის.

— მშვიდობით, ქათუთი!

— დედა დამიძახე, — უთხრა ქვრივმა და მიმავალ დისშვილს თავშალი დაუქნია.

თავი მეოთხე

ის იყო, პააკერი თვალს მიეფარა, რომ ქათუთიმ ლითონის დისკოს დაჰკრა და მის ხმაზე იმწამსვე მხევალი გამოცხადდა. ქათუთიმ ჰკითხა, ნეფერტი ტაძრიდან ხომ არ დაბრუნებულაო.

— ეს-ეს არის უკანა კარს მისი ტახტრევანი მოადგა, — უპასუხა მხევალმა.

— გადაეცი ჩემთან შემოვიდეს, — უბრძანა ქვრივმა.

მხევალი გავიდა და რამდენიმე წუთში დარბაზში ნეფერტი შემოვიდა.

— შენ დამიძახე? — ჰკითხა მან, როცა დედას მიესალმა და საწოლზე ჩამოჯდა. — როგორ დავიღალე. ნემუ, მარაო აიღე და ბუზები მომიგერიე!

ჯუჯა საწოლთან ბალიშზე დაჯდა და გულმოდგინედ დაიწყო მარაოს ქნევა, სირაქლემას ფრთებისგან რომ იყო დამზადებული, მაგრამ ქათუთიმ შეაჩერა იგი.

— გადი! — უბრძანა მან. — პირისპირ უნდა ვისაუბროთ.

ჯუჯამ მხრები აიჩეჩა და წამოდგა, მაგრამ ნეფერტმა ისე შეხედა დედას, რომ ქათუთის გულმა ვეღარ გაუძლო.

— თავი დაანებე! — ისე რბილად და წყნარად უთხრა ნეფერტმა, თითქოს ამაზე იყო დამოკიდებული მთელი მისი სიცოცხლე. — ძლიერ მაწუხებენ ბუზები. ნემუ კი ენას კბილს დააჭერს.

და ჯუჯას ისე ჩაავლო ყურებში ხელი, თითქოს ოთახის პატარა ძაღლი ყოფილიყოს. მერე თავის თეთრ კატას მოუხმო,

რომელიც გრაციოზულად შეახტა მხარზე, წელში გაიზნიქა და გაიტრუნა პატრონის მოფერების მოლოდინში.

გაოცებით შეხედა ნემუმ თავის ქალბატონს, რომელმაც ქალიშვილს მკაცრად უთხრა:

— მეტად სერიოზულ საქმეზე უნდა გელაპარაკო.

— აი, თურმე რა ყოფილა, — გაიკვირვა ნეფერტმა. — ბუზებს ხომ არ შევაჭმევინებ თავს. მაგრამ რახან ასე დაჟინებით მოითხოვ...

— კარგი, დარჩეს, — ისეთი კილოთი თქვა ქათუთიმ, როგორც ძიძა, რომელიც იძულებულია გაკერპებულ ბავშვს დაუთმოს. — მან ისედაც ყველაფერი იცის.

— ხომ ხედავ! — გაეხარდა ნეფერტს. თეთრ კატას დრუნჩზე აკოცა და ხელახლა მიაწოდა ჯუჯას მარაო.

ქვრივმა ქალიშვილს დანანებით შეხედა, მივიდა მასთან და კვლავაც მისი არაჩვეულებრივი სილამაზით მოიხიბლა.

— საწყალი ბავშვი, — ამოიოხრა მან. — რა სიხარულით გადაგარჩენდი ამ შემზარავ ამბავს, მაგრამ ოდესმე ხომ მაინც უნდა გაიგო. სჯობს, ყველაფერი იცოდე. დაანებე თავი კატასთან ამ სულელურ თამაშს. მეტად სერიოზულ საქმეზე მინდა გელაპარაკო.

— გისმენ, თქვი! — წამოიძახა ნეფერტმა. — დღეს არაფრისა მეშინია, თუნდაც ყველაზე საშინელისაც კი. მენას ვარსკვლავი, როგორც ასტროლოგმა თქვა, ბედნიერებას მოასწავებს, ხოლო ბესის ტაძრის წინასწარმეტყველმა მითხრა, შენს ქმარს საქმე კარგად მისდისო. ვილოცე და გულზეც მომეშვა. ჰა, თქვი, მე ხომ უკვე ვიცი, რომ ჩემი ძმის წერილში სასიკეთო არაფერი იქნება. გუშინწინ მთელი საღამო ტიროდი, ხოლო გუშინ ისეთი საშინელი შესახედავი იყავი, რომ თმაში გაკეთებული ბროწეულის ყვავილიც კი ვერ გაგალამაზებდა.

ქათუთიმ ამოიხვნეშა.

— შენი ძმა ძალიან მამწარებს. მისი მიზეზით სირცხვილი ვერ გადავურჩებოდით, რომ...

— ჩვენ? სირცხვილს ვერ გადავურჩებოდით? — კითხვა გაუმეორა ნეფერტმა და შეშინებულმა კატა მაგრად ჩაიკრა გულში.

— შენმა ძმამ თურმე დიდძალი ფული წააგო... და წანაგების გასასტუმრებლად მამათქვენის მუმია დააგირავა...

— რა საშინელებაა! — შეჰყვირა ნეფერტმა. — ახლა იძულებული გავხდებით ფარაონს ვთხოვოთ დახმარება! მე თვითონ მივწერ, მენას გულისთვის ის ყურად იღებს ჩემს მუდარას. რამზესი დიდია და კეთილშობილი, ის არ დაუშვებს, რომ უგუნური ყმაწვილის ქარაფშუტობის გამო სახელი გაუტყდეს მისთვის თავდადებულ ოჯახს. ჰო, რაღა თქმა უნდა, მე მივწერ მას!

ყველაფერი ეს ბავშვური გულდაჯერებით იყო ნათქვამი, ისე, თითქოს საქმე უკვე გადაწყვეტილიაო. ნეფერტი მაშინვე მიუბრუნდა ნემუს და იმავე კილოთი უბრძანა უფრო ძლიერად დაექნია მარაო.

ქათუთის გულში ორი გრძნობა იბრძოდა: გაოცება და აღშფოთება ქალიშვილის, ცოტა არ იყოს, ცივი გულგრილობით. თუმცა საყვედურისგან თავი შეიკავა და მშვიდი კილოთი დასძინა:

— ჩვენ უკვე დაგვეხმარნენ. ჩემმა დისშვილმა პააკერმა როგორც კი გაიგო, რა გვემუქრებოდა, იმწამსვე შემოგვთავაზა თავისი სამსახური. მან ეს თავისი ნებით გააკეთა, მე არაფერი მითხოვია, მხოლოდ და მხოლოდ თავისი გულკეთილობისა და ჩვენდამი ერთგულების ნიშნად.

— კეთილი პააკერი! — წამოიძახა ნეფერტმა. — როგორ ვუყვარდი. ხომ გახსოვს, დედა, მე ყოველთვის ვიცავდი მას. რასაკვირველია, მან მხოლოდ ჩემი გულისათვის გაგვიმართა ასე დიდსულოვნად ხელი.

ამის თქმაზე ახალგაზრდა ქალმა გადაიკისკისა, კატის გრილი დრუნჩი ცხვირზე მიიდო, მწვანე თვალებში ჩახედა და პატარა ბავშვივით უთხრა:

— აი, ხედავ, ფისუნია, ბოროტი ხალხი თურმე რა კეთილი ყოფილა შენი პატარა ქალბატონის მიმართ!

ქათუთის ძლიერ ატკინა გული ქალიშვილის ბალღურმა ქცევამ, ვეღარ მოითმინა და უსაყვედურა:

— ჩემის აზრით, არ გეკადრება ასე ხუმრობა და ანცობა, როცა სერიოზულ საქმეზე გელაპარაკებიან. დიდი ხანია, შეგამჩნიე, რომ შენთვის სულ ერთია ჩვენი ოჯახის ბედი. თუმცა შენ ჩვენს იქით გზა არა გაქვს, რადგანაც შენი ქმარი შენ...

— რა მოხდა, რა ამბავია? — იკითხა ნეფერტმა და საწოლზე წამოჯდა, თან აჩქარებით სუნთქავდა.

როგორც კი ქათუთიმ ნეფერტს მღელვარება შეატყო, იმწუთშივე ინანა თავისი გაუფრთხილებლობა. მას ხომ უსაზღვროდ უყვარდა შვილი და კარგადაც იცოდა, ყველაზე მეტად რა ეწყინებოდა. ამიტომაც ახლა უკვე ალერსიანად მიმართა:

— წეღან ხუმრობით დაიტრაბახე, რომ ბოროტი ხალხიც კი კეთილია შენს მიმართ. ეს ნამდვილად ასეა! შენ ერთი შეხედვისთანავე მოინადირებ ხოლმე ყველას. მენასაც, რაღა თქმა უნდა, ნაზად უყვარდი, მაგრამ განშორება, ანდაზისა არ იყოს, ერთგულების მტერია და მენამაც...

— რა ქნა მენამ? — ხელახლა შეაწყვეტინა ნეფერტმა დედას, და თხელი ცხვირის ნესტოები აუთრთოლდა.

— მენამ, — ისეთი კილოთი განაგრძო ქათუთიმ, რომ კაცი შეპასუხებასაც კი ვერ გაუბედავდა, — უღალატა შენს ერთგულებას და შენდამი პატივისცემა ფეხქვეშ გათელა...

— მენამ? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა და თვალები დააბრიალა; მკვეთრი მოძრაობით კატა მოისროლა და ფეხზე წამოხტა.

— დიახ, მენამ! — მტკიცედ გაიმეორა ქათუთიმ. — შენი ძმა მწერს, რომ მას უარი უთქვამს ნადავლში თავის წილ ოქროვერცხლზე და კარავში დანაელთა მეფის მშვენიერი ასული წამოუყვანია. ეს უნამუსო არამზადა...

— უნამუსო არამზადაო? — გაიმეორა ნეფერტმა დედის სიტყვები და მის ხმაში მუქარა გაისმა.

ერთი წუთის წინ ბავშვივით უშუალო, მისი ნაზი და სათნო ქალიშვილი უეცრად ისე შეიცვალა, რომ ქათუთიმ შიშისგან უკან დაიხია.

ახლა ნეფერტი შურისმაძიებელ მშვენიერ დემონს ჰგავდა; ცახცახმა აიტანა, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა. მისთვის უჩვეულო ძალით ხელი სტაცა ჯუჯა ნემუს, კართან მიათრია და გარეთ გააგდო. ტუჩებგაფითრებული დედასთან მივიდა:

— შენ მას უნამუსო არამზადა უწოდე? — წამოიძახა მან ჩახრინწული ხმით. — უკან წაიღე შენი სიტყვები, დედილო, თორემ...

ქათუთის სახეზე მკვდრისფერი დაედო. ქალიშვილი როგორმე რომ დაეშოშმინებინა, უთხრა:

— შეიძლება სასტიკი სიტყვები ვიხმარე, მაგრამ მან ხომ უღალატა ცოლქმრულ ერთგულებას და საჯაროდ შეგარცხვინა!

— და მე ეს უნდა დავიჯერო? — ბოროტად გაიცინა ნეფერტმა. — უნდა დავიჯერო მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოგწერა იმ

ღლაპმა, რომელმაც მამის მუმია და ოჯახის ღირსება წააგო? დავიჯერო იმიტომ, რომ ეს გაცნობა ნამდვილმა არამზადამ, რომელსაც ჩემი მეუღლის ერთი სილაც კი სულს გააფრთხობინებდა. შემომხედე, დედა, აი ჩემი თვალები! ეს კვარცხლბეკი მენას კარავი რომ იყოს, ხოლო შენ თვით მენა და ამ კარავში ხელმოკიდებული რომ შემოგეყვანა ყველა ქალთა შორის ულამაზესი და აი ამ თვალებს ეს ყველაფერი კვლავაც და კვლავაც რომ დაენახათ, მე გავიცინებდი ისევე, როგორც ახლა ვიცინი და გეტყოდი: „ვინ იცის, რა უნდა მისცეს ან უთხრას იმ მზეთუნახავს თავის კარავში?“ ერთი წუთითაც არ შემეპარებოდა ეჭვი მის ერთგულებაში, რამეთუ შენი ვაჟიშვილი მატყუარაა, მენა კი ალალმართალი! განა ოზირისმაც არ გატეხა იზიდას ერთგულების ფიცი. მენამ თუნდაც იცოდეს კიდეც, რომ ასობით ქალი შესტრფის, თავის კარავში ჩემ გარდა არავის შეიყვანს!

— ჰოდა, გჯეროდეს შენი ქმრის, — გულისტკივილით მიუგო ქათუთიმ. — მე კი მომეცი ნება, რომ ჩემს აზრზე ვიდგე.

— შენს აზრზე? — გაიმეორა ნეფერტმა, და შეფაკლებული ლოყები ისევ გაუფითრდა. — განა რა იცი ასეთი? შენ დიდი სიამოვნებით ისმენ ხოლმე საზიზღარ ჭორებს იმ ადამიანზე, რომელმაც პირდაპირ წყალობით აგავსო. როგორ არა გრცხვენია მაინც! არამზადასა და უნამუსოს უწოდებ იმას, ვინც თავისი მამული მოგანდო, რომ შენს ჭკუაზე განაგებდე.

— ნეფერტ! — აღშფოთება ვეღარ დაიოკა ქათუთიმ, — მე...

— ქენი, რაც გინდა, — მრისხანედ შეაწყვეტინა ახალგაზრდა ქალმა. — ოღონდ დიდსულოვანი კაცის ჩირქის მოცხება არ გაბედო, რომელსაც არც კი დაუშლია შენთვის გაგენიავა მთელი მისი ქონება, უფრთხილდებოდა რა შენს ვაჟიშვილსა და შენს პატივმოყვარეობას. სამი დღის წინ გავიგე მხოლოდ,

რომ ღარიბები ვყოფილვართ; მე დიდხანს ვფიქრობდი ამაზე და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: რა იქნა ჩვენი ხორბალი და პირუტყვი, ჩვენი ცხვარი და ფული, რასაც მოიჯარადრეები გვიხდიდნენ? არამზადის ქონებას არ თაკილობ. და აი ახლა გეუბნები: კეთილშობილი მენას ცოლობის ღირსი არ ვიყო, თუ მისი სახელის შერცხვენა მოვითმინო მისივე საკუთარ სახლ-კარში. იდექი, ბატონო, შენს აზრზე, ეგ შენი ნებაა, მაგრამ იცოდე, რომ ამ სახლში ან მე უნდა ვიყო და ან შენ...

ნეფერტს ხმა ჩაუწყდა და მწარედ აქვითინდა. საწოლის წინ მუხლებზე დავარდა, ბალიშში ჩაემხო და განაწყენებული უნუგეშოდ სლუკუნებდა.

ქათუთი უხმოდ ადგა თავზე; განცვიფრებული და დაბნეული იყო, ციებიანივით ცახცახებდა. ნუთუ ეს მისი წყნარი და მეოცნებე ქალიშვილია? რომელიმე ქალიშვილს ოდესმე თუ გაუბედავს დედასთან ასე ლაპარაკი? მაგრამ ვინაა მართალი: თვითონ თუ ნეფერტი? ქათუთი შეეცადა გულში ჩაეხშო ეს კითხვა, მუხლებზე დადგა ახალგაზრდა ქალის გვერდით, მოეხვია, ლოყით მის სახეს მიეკრა და ხვეწნით ჩასჩურჩულა:

— ჩემო ბრაზიანო გოგონა, აპატიე შენს საწყალ დედას და ნუღარ აუვსებ სიმწრის ფიალას.

ნეფერტი წამოდგა, დედას ხელზე აკოცა და კრინტიც არ დაუძრავს, ისე წავიდა თავის ოთახში.

ქათუთი მარტო დარჩა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მიცვალებულის ცივმა ხელმა მოუჭირა გულზე.

— მართალი ყოფილა ანი, — ძლივგასაგონად ჩაიბუტბუტა. — კეთილად შემობრუნდება ხოლმე ის, რისგანაც ყველაზე უარესს ელი!

მან შუბლზე ისეთი გამომეტყველებით მიიდო ხელი, თითქოს არ შეეძლო დაუჯერებელი დაეჯერებინა. ქათუთის გული

ქალიშვილისკენ მიუწევდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ამ გულის ძახილს გაჰყოლოდა, მთელი თავისი ვაჟკაცობა მოიკრიბა და ხელახლა გაიხსენა ყველაფერი ის, რაც ნეფერტმა უსაყვედურა. არც ერთი მისი სიტყვა არ გამოუტოვებია და ბოლოს ჩაილაპარაკა:

— მას შეუძლია ყველაფერი გააფუჭოს. მენას გულისთვის ჩემს თავს კი არა, მთელ ქვეყანასაც ანაცვლებს. მენა და რამზესი ხომ ერთნი არიან, და ნეფერტმა გუმანითაც რომ იგრძნოს ჩვენი განზრახვა, მაშინვე გაგვცემს. აქამდე ვერაფერს ამჩნევდა, არ ესმოდა და ხმასაც არ იღებდა. დღეს კი რაღაცამ გაიღვიძა თითქოს მასში, თვალები აეხილა, ენა ამოიდგა და სმენაც დაუბრუნდა, — იმ მუნჯისა არ იყოს, ძლიერი შიში რომ უბრუნებს მეტყველების უნარს. ამიერიდან მოყვარული ქალიშვილი მოთვალთვალედ და, ღმერთო დამიფარე, მსაჯულადაც კი გადამექცევა!

მართალია უკანასკნელი სიტყვები ხმამაღლა არ უთქვამს, ქათუთის ისინი ყურში ჩაესმა. ავბედითმა ხმამ, ეს საშინელი სიტყვები რომ ჩასჩურჩულა, და მარტოობამ შეაძრწუნეს ქალი და მან ჯუჯას უხმო. როცა ნემუ გამოცხადდა, უბრძანა ტახტრევანი მოემზადებინათ მისთვის; გადაწყვიტა ტაძარში წასულიყო და სირიიდან ჩამოყვანილი დაჭრილები ენახა.

— ვეზირის ცხვირსახოცი? — ჰკითხა ჯუჯამ.

— ეს მხოლოდ და მხოლოდ საბაბი იყო, — უპასუხა ქათუთიმ. — მას შენთან საუბარი სურს იმის თაობაზე, რაც, როგორც შენ ამბობ, პააკერზე შეგიტყვია. რა არის?

— ნუ მკითხავ, — სთხოვა ჯუჯამ. — ვერ გეტყვი. ჯუჯების მფარველ ბესს გეფიცები, სჯობს ჯერჯერობით არაფერი იცოდე.

— დღეს კმარა ახალი ამბები — უთხრა ქვრივმა. — მაშ, ანისთან წადი და ეგებ ისიც მოახერხო, ვეზირმა პააკერი ხელში ჩაიგდოს, მაშინ... ვაი, მეტი აღარაფერი მაქვს, რომ გაჩუქო... მაშინ მხოლოდ ძალიან მადლობელი ვიქნები შენი. ხოლო როცა ჩვენს მიზანს მივაღწევთ, გაგანთავისუფლებ და სიმდიდრით აგავსებ.

ნემუ კაბის კალთაზე ემთხვია და ჩუმად ჰკითხა:

— მიზანი რაა?

— შენ ხომ იცი, რისთვისაც იბრძვის ანი, — უპასუხა ქვრივმა. — ჩემთვის კი მხოლოდ ერთს ვისურვებდი.

— რას?

— პააკერი მენახოს მენას ადგილზე.

— მაშ ჩვენი სურვილები ერთმანეთს ემთხვევა, — თქვა ჯუჯამ და დარბაზიდან გავიდა.

ქათუთიმ თვალი გააყოლა და ჩაიბუტბუტა:

— ეს აუცილებლად უნდა მოხდეს! ყველაფერი ისევ უწინდებურად რომ დარჩეს, მენა დაბრუნდება და ანგარიშს მომთხოვს, მაშინ კი... მაშინ... აქ არაფერია საფიქრალი: ეს არ უნდა მოხდეს!

თავი მეხუთე

ვეზირისგან წამოსული ნემუ, ის იყო, თავისი ქალბატონის სახლს მიუახლოვდა, რომ ვიღაც ბიჭმა შეაჩერა და ანიშნა უცხოელთა კვარტალში წამომყევიო. ნემუ შეყოყმანდა, და ბიჭმა მაშინვე ბებერი ხექტის ბეჭედი აჩვენა; ჯადოქარი თურმე ქალაქში თავის საქმეზე ჩამოსულიყო და აუცილებლად სურდა მასთან საუბარი.

ნემუ ძალიან დაიღალა, რადგან ვირით სიარულს იყო მიჩვეული, ახლა ისიც მოუკვდა, ქათუთი კი სხვას ვეღარ უყიდდა. მენას კუთვნილი ჯოგის ნახევარი მიყიდ-მოყიდეს, ხოლო დარჩენილი საქონელი მინდვრის სამუშაოებს ძლივს აუდიოდა.

ყველაზე ხმაურიანი ქუჩების კუთხეებში და ბაზრებთან ბიჭები იდგნენ, რომლებიც მეტად მცირე საფასურად[108] ვირებს აქირავებდნენ. მაგრამ ნემუმ თავისი უკანასკნელი ბეჭედი ტანსაცმელსა და ახალ პარიკში მისცა, რათა ვეზირთან რიგიანად გამოცხადებულიყო. წინათ მას ჯიბე ცარიელი არასოდეს ჰქონია, მენა ხშირად სჩუქნიდა ხოლმე ხან ოქროს ხან კი ვერცხლის ბეჭდებს. მიუხედავად ამისა, მისი მოუსვენარი და პატივმოყვარე სული არ მისტიროდა დაკარგულ კეთილდღე-

---

[108] თანამედროვე (ე. ი. 1869—1872 წ. წ., როცა გ. ებერსი მოგზაურობდა იქ). ეგვიპტის ქალაქებში შეკაზმული ვირები დღემდე ასრულებენ ჩვენებური (ანუ გერმანული) ოთხთვალა ეტლების ფუნქციებს. ძეგლებზე ვხვდებით ვირებზე ამხედრებულ უცხოელთა გამოსახულებებს, და თითქმის ყველა დიდგვაროვანი საკუთარი აკლდამის კედლის წარწერებში აღნუსხავს თავისი კუთვნილი ვირების რაოდენობას. გარდა ამისა, ჩვენამდე მოაღწია ერთ-ერთი დიდებულის გამოსახულებამ, ორ ვირს შორის ლატანზე დამაგრებულ ტახტრევანში რომ ზის. (ავტ. შენიშვნა).

ობას. გულისწყრომით იგონებდა წარსული სიუხვის წლებს და სულშეხუთული, ახლა რომ დაეხეტებოდა მტვრიან ქუჩებში, თავს მაინც ძლიერად გრძნობდა და საკუთარი თავის კმაყოფილიც იყო.

როგორც კი ვეზირმა ლაპარაკის ნება მისცა, მოხერხებულმა ჯუჯამ მაშინვე მიიპყრო მთელი მისი ყურადღება. ხოლო როცა ნემუ პააკერის გიჟურ გატაცებაზე უყვებოდა, ანი სიცილით ჩაბჟირდა, თუმცა, ჩვეულებრივ, ასეთი საუბრების დროს ვეზირი ყოველთვის მეტად სერიოზული და თავშეკავებული იყო.

ნემუ ხმელეთზე გაზრდილი იხვივით გრძნობდა თავს, როცა მას წყალში ჩაუშვებენ, გალიაში დაბადებული ჩიტივით, პირველად თავისუფლად ფრთებს რომ გაშლის და ცაში აფრინდება. არც კი დაიჩივლებდა, წყალში ისე იფათქუნებდა და იყურყუმელავებდა, ან ჰაერში იფრენდა, საკუთარი სიცოცხლის ფასად რაღაც გარემოებებს რომ არ დაედოთ ზღვარი მისი თავგამოდებისა და მოქმედების წყურვილისათვის.

ოფლად გაღვრილმა და თავიდან ფეხებამდე მტვერში ამოგანგლულმა, როგორც იქნა, მიაღწია უცხოელთა კვარტალის[109] იმ ჭრელ ბალაგანს, სადაც ჩვეულებრივ ჩერდებოდა ხოლმე თებეში ჩამოსული ხექტი.

მოხაზა გრანდიოზული გეგმები, აწონ-დაწონა ყველა შესაძლებლობა, მოიფიქრა ათასნაირი ხრიკები, უკუაგდო მეტისმეტად მახვილგონიერი ეშმაკობა და უფრო ადვილად განსახორციელებლითა და ნაკლებად საშიშით შეცვალა ისინი.

---

[109] უცხოელთა კვარტალი — ჰეროდოტე მოიხსენიებს ფინიკიელთა კვარტალს ქალაქ მემფისში, რომელიც მდებარეობდა ღმერთ პტას ტაძრის სამხრეთით. მოგვიანებით ასეთი კვარტალები გაჩნდა ძველი ეგვიპტის ბევრ ქალაქში. (ავტ. შენიშვნა).

ეს პატარა კაცუნა თითქოს ვერც ამჩნევდა მის გარშემო გამეფებულ ფუსფუსს; ჩაუარა ტაძარს, სადაც ფინიკიელები თაყვანს სცემდნენ თავიანთ ასტარტეს,[110] სეთხის ტაძარსაც,[111] სადაც ისინი მსხვერპლს სწირავდნენ თავიანთ ვაალებს, მაგრამ ჯუჯას არც კი მიუქცევია ყურადღება მლოცველთა ყვირილისათვის, ექსტაზში რომ როკავდნენ, არც წინწილის ხმა და ღობის იქიდან მოღწეული ბარბითის ჰანგები ესმოდა.

მოცეკვავე და მეძავ ქალთა კარვები და მსუბუქი ხის ბალაგანები სრულიად არ იზიდავდა მას. თუმცა მათი ბინადარნი, ჭრელაჭრულა კაბებში გამოწყობილნი და იაფფასიანი სამკაულებით მორთულნი, საღამოობით თებეს ახალგაზრდობას ათასნაირი სასიყვარულო გასართობებით იტყუებდნენ. ახლა კი მზის ჩასვლამდე ისინი ისვენებდნენ. მხოლოდ ბანქოს სათამაშო ბუნაგიდან მოისმოდა ხმაური. გუშაგები ძლივძლივობით აშოშმინებდნენ მეომართა ვნებათა ღელვას, ნადავლის თავიანთი წილი რომ წაეგოთ, მეზღვაურთა გააფთრებულ რისხვას, თავი მოტყუებული რომ ეგონათ, და ცდილობდნენ მოდავეები სისხლისღვრისგან გადაერჩინათ.

---

[110] ასტარტე — ფინიკიელთა ეს ქალღმერთი ხშირად გვხვდება ეგვიპტურ ძეგლებზე ქალღმერთ სოხმეტის მაგივრად. ქალაქ ედფუში მას ძუ ლომისთავიანად გამოსახავდნენ, ცხენებშებმულ ეტლზე რომ იდგა. პაპირუსში, რომელიც რომანში აღწერილ ეპოქას ეკუთვნის, მისი სახელი ძალიან ხშირად გვხვდება: მაგალითად, რამზეს II ცხენსა და ძაღლს მისი სახელი უწოდა. (ავტ. შენიშვნა).

[111] სეთხის ტაძარი — ახალი სამეფოს მეორე ნახევრის ეპოქას დროინდელი პაპირუსის თანახმად ჰიქსოსების მეფე აპოპიმ (აპოფისმა) სეთხი აირჩია „თავის მბრძანებლად და ეგვიპტის არც ერთ სხვა ღმერთს არ სცემდა თაყვანს“. მოგვიანებით თავად ეგვიპტელებმა უწოდეს ბაალებს სეთხები, რაზედაც მოწმობს კარნაკში ნაპოვნი რამზეს II საზავო ხელშეკრულება ხეთებთან, რომელშიც, ერთი მხრივ, ნახსენებია ხეთების სხვადასხვა სეთხი, ასტარტე და ა. შ., და მეორეს მხრივ, ეგვიპტელთა ღვთაებები.

დუქნების წინ მთვრალები ეყარნენ; დანარჩენებსაც, გულმოდგინედ რომ ავსებდნენ და ზედიზედ ცლიდნენ სასმისებს, ერთი სული ჰქონდათ მალე დამთვრალიყვნენ. არ ჩანდნენ მემუსიკეები, მეფოკუსეები, ცეცხლისმყლაპავები, ჯამბაზები, გველების მომთვინიერებლები და ტაკიმასხარები, რომლებიც აქ საღამოობით თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ. მაგრამ უამისოდაც უცხოელთა კვარტალი უზარმაზარ, უთავბოლო ბაზარს ჰგავდა.

მიუხედავად ამისა, ჯუჯას გული არ მისდიოდა ამ ცდუნებებზე, რომელთაც ლამის მეათასედ ხედავდა. როსკიპი ქალები და აზარტული თამაშობები, რაზედაც ადვილად მიუწვდებოდა ხელი, სრულიად არ იზიდავდა მას. მოცეკვავე ქალთა და მათი სტუმრების დაცინვისა როდი ეშინოდა, პირიქით ზოგჯერ თვითონაც ცდილობდა სხვების ყურადღება მიექცია, რადგან სიტყვიერი შეხლა-შემოხლა დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა მას და სწამდა, რომ მთელ თებეში არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც მასთან კამათში გამარჯვებულა გამოვიდოდა. თუმცა მარტო ნემუს არ ჰქონდა ასეთი წარმოდგენა საკუთარ თავზე, მის აზრს სახლთუხუცესიც იზიარებდა, როცა ამას წინათ თქვა: „ჩვენი ენები კეტებია, ამ ჯუჯას ენა კი ალესილი დანაა“.

გრძელი და მომქანცველი გზის შემდეგ ერთ დიდ კარავს მიადგა, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა გარშემო მდგომი სხვა მრავალი კარვებისგან. ფართო შესასვლელში უხეში ტილოს ნაჭერი იყო ჩამოკიდებული. ნემუ კარვის კედელსა და ამ თავისებურ კარს შორის შეძვრა. კარავს შიგნიდან მრავალკუთხედის ფორმა ჰქონდა; მისი კონუსისებური სახურავი ხის სვეტს ეყრდნობოდა.

მტვრიან იატაკზე ხალიჩის ჭუჭყიანი ნაჭრები ეყარა, რომლებზედაც ჭრელაჭრულაკაბიანი ქალები ჩაცუცქულიყვნენ; მათ თავს დასტრიალებდა ერთი დედაბერი. ის ხელებისა და ფეხების ფრჩხილებს ნარინჯისფერი ინით უღებავდა ამ მზეთუნახავებს, წარბებსა და ქუთუთოებს სურმით უშავებდა, რათა მათ თვალებს მიბნედილობა შეჰმატებოდა, ლოყებზე ფერ-უმარილსა და თმაზე ნელსაცხებლებს უსვამდა.

კარავში აუტანელი სიცხე იყო და სულშეხუთული ქალები უხმოდ და მორჩილად მინდობოდნენ დედაბერის გაწაფულ ხელებს. მხოლოდ დროდადრო რომელიმე მათგანი იატაკზე დადგმულ დოქს დასწვდებოდა და წყურვილს იკლავდა, ან თავისი კოლოფიდან კიფის აბს ამოიღებდა და ფრთხილად იდებდა ტუჩებშეღებილ პირში.

კედლების გასწვრივ საკრავები ეწყო: დაირები, ფლეიტები და ბარბითები, კარვის შუაში კი, იატაკზე, ოთხი დოლი იდო. ერთ-ერთი დოლის ხბოს ტყავზე ეჟვნებიან სალტეებს შორის მშვიდად ეძინა კატას, ხოლო მისი კნუტები მეორე დოლის ეჟვნებს ეთამაშებოდნენ.

კარვის უკანა კარში განუწყვეტლივ შედიოდ-გამოდიოდა მოხუცი ზანგი ქალი, რომელსაც გაჰქონდა ბუზებ და ბზიკებმიწებებული თიხის ჯამები საჭმლის ნარჩენებით, ბროწეულის ქერქებით, პურის ნაფხვენებითა და შემოკვნეტილი ნივრის ღეროებით, — ეს ჯამები სადილობის შემდეგ უკვე კარგა ხანია ხალიჩაზე ეწყო.

ბებერმა ხექტმა, რომელიც ქალებისგან მოშორებით, უხეიროდ მოხატულ სკივრზე იჯდა, ჯიბიდან პატარა პარკი ამოიღო და მსახურს დაუძახა:

— ჰა, აიღე ეს საკმეველი, ექვსი მარცვალი დაწვი და ყველა უწმინდურობა, — მან ჯამების გარშემო მოფუთფუთე ბუ-

ზებზე მიუთითა, — უმალვე გაქრება. თუ მოისურვებთ, თაგვების გაწყვეტაც და სოროდან გველის გამოტყუებაც შემიძლია — ეს გაცილებით უკეთ გამომდის, ვიდრე ზოგიერთ ქედმაღალ მკურნალს.

— შენთვის შეინახე ეგ ჯადოქრული ოინები, — უთხრა ერთ-ერთმა ქალიშვილმა ჩახლეჩილი ხმით. — მას შემდეგ, რაც შენ ის ჯადო სიტყვები მითხარი და წამალი დამალევინე, რათა ისევ ტანწერწეტა და მოქნილი გავმხდარიყავი, ღამღამობით ხველა მახრჩობს და ცეკვის დროს საშინლად ვიღლები.

— მეტი რაღა გინდა, ტანწერწეტა ხომ გახდი, — შეუღრინა დედაბერმა. — ხველებაც მალე გაგივლის.

— გაუვლის, როცა ფეხებს გაფშეკს, — გადაუჩურჩულა დედაბერს მსახურმა, — მე ხომ ვიცი, მაგათი ბოლო ეგ არის...

ხექტმა მხრები აიჩეჩა და სკივრიდან წამოდგა, როგორც კი კარავში შემოსული ნემუ დაინახა.

ქალიშვილებმაც შეამჩნიეს ჯუჯა და, თითქოს საქათმეს ქორი დაეცაო, ისეთი აუწერელი წივილ-კივილი ატეხეს, აღმოსავლელ ქალებს რომ სჩვევიათ ხოლმე, როცა რაიმე სულიერი წონასწორობიდან გამოიყვანს მათ. ნემუს ყველა კარგად იცნობდა, რადგან დედამისი ყოველთვის მხოლოდ ამ კარავში ჩერდებოდა. ახლაც ყველაზე თამამმა შესძახა:

— ჰეი, ყმაწვილო, შენ გაზრდილხარ მას შემდეგ, რაც ჩვენთან იყავი უკანასკნელად!

— შენც ასევე, — უპასუხა ჯუჯამ დაუფიქრებლად. — პირზე გეტყობა.

— აჰა, შენ მხოლოდ პატარა კი არა, ბოროტიც ყოფილხარ! — შეუღრინა გოგონამ.

— ჰო, მაშინ ჩემში ბოროტების მხოლოდ ერთი წვეთი ყოფილა, — ჩაიცინა ჯუჯამ. — მე ხომ პაწაწკინტელა ვარ. გამარ-

ჯობა თქვენი, გოგოებო! ბესმა მოგიმართოთ ხელი თქვენს მორთვა-მოკაზმვაში! გამარჯობა შენი, დედაჩემო. შენ მეძახ-დი?

დედაბერმა თავი დაუკრა. ჯუჯა სკივრზე აცოცდა, გვერდით მოუჯდა დედას და დაიწყეს ჩურჩული.

— მტვერი დაგდებია და, გეტყობა, ძალიანაც დაღლილხარ, — უთხრა ხექტმა. — ჩანს, ფეხით მოხვედი ამ პაპანაქებაში.

— ვირი მომიკვდა, — უპასუხა ნემუმ. — სხვა რომ ვიქირაო, ფულიც არა მაქვს.

— ასეა, ასე! ესეც შენი მომავალი ბრწყინვალების დასაწყი-სი, — ჩაიხითხითა დედაბერმა. — მართლა, როგორაა იქ, თქვენთან საქმე?

— პააკერმა გვიხსნა, ვეზირთან კი ხანგრძლივი საუბარი მქონდა და იქიდან პირდაპირ შენთან წამოვედი.

— მერე რაო?

— სიგელს ხელახლა მიიღებ, თუკი მახორს ხელში ჩაუგ-დებ.

— კარგი, კარგი! ისე კი მინდოდა, ჩემთან მოსულიყო, რა-საკვირველია, გადაცმული, მე...

— ხომ იცი, რა გაუბედავიცაა, და ასეთი რჩევა უგუნურება იქნებოდა ჩემი მხრიდან.

— ჰმ! — ჩაიფხუკუნა დედაბერმა. — შეიძლება შენ მართა-ლიც იყო: მას, ვისაც ხშირად უხდება თხოვნა, უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ ის, რისი შესრულებაც შეიძლება. ერ-თი კადნიერი თხოვნა მწყალობელს ხშირად სურვილს უკარ-გავს შეგისრულოს მეორე. ვნახოთ, ვნახოთ! ჰო, კიდევ რაო?

— ვეზირ ანის ლაშქარმა ეთიოპელები გაანადგურა და მდიდარი ნადავლით ბრუნდება თებეში.

— სწორედ ამით მოისყიდიან კიდეც ხალხს, — ჩაიბურტყუნა დედაბერმა. — კარგი, კარგი!

— პააკერს მახვილი უკვე ალესილი აქვს. ჩემი ბატონის სიცოცხლისათვის ახლა მივცემდი მხოლოდ იმდენს, რაც ჯიბეში მაქვს; ხოლო აქ რისთვისაც მოვედი მტვერში ამოგანგლული, შენ უკვე იცი.

— უკან ვირით წახვალ, — უთხრა ჯუჯას დედაბერმა და ვერცხლის ბეჭედი გაუწოდა. — შეხვდა თუ არა მახორი შანს ქალბატონს ნეფერტს?

— ჩვენსა უცნაური რამ მოხდა, — უთხრა ჯუჯამ და დაწვრილებით მოუყვა დედას ქათუთისა და ნეფერტს შორის მომხდარი უსიამო ამბავი. ნემუს ჩინებულად ეხერხებოდა ყურის მიგდება და არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია მათი საუბრიდან.

დედაბერი დიდი ყურადღებით უსმენდა და როგორც კი ჯუჯამ თხრობა დაამთავრა, უთხრა:

უყურე, შენ, რა სასწაულია! საერთოდ კი ადამიანის გული ხომ გულისამრევად ერთნაირია სასახლეშიც და ქოხშიც. ყველა დედა მაიმუნსა ჰგავს: შვილებისგან უსიტყვოდ იტანენ ტანჯვა-წამებას, უმადური შვილები კი ამაგს არც უფასებენ. გათხოვილი ქალები პირდაღებულნი უსმენენ ხოლმე, როცა მათი ქმრების თავაშვებულობაზე ლაპარაკობენ. რაც შეეხება შენს ქალბატონებს, ეტყობა, მათ ეს არ ეხებათ.

ჩაფიქრებულმა დედაბერმა თვალები დახარა და დასძინა:

— კაცმა რომ თქვას, ამის ახსნა იოლია, — ყველაფერი ისევე უბრალოდ ხდება, როგორც აი იმ დაღლილი გოგოს მთქნარება. მახსოვს, შენ გითქვამს, როცა ეტლში ერთმანეთის გვერდით მდგომი დედა-შვილი დღესასწაულზე მიდის, მათი შეხედვა გესიმოვნებაო. ქათუთიც ჯერ კიდევ ცდილობს თმაში

ტანსაცმლის შესაფერისი ყვავილი გაიკეთოს. პირველად რომელს ურჩევენ ტანისამოსს?

— ქალბატონ ქათუთის! ის ხომ ყოველთვის მხოლოდ გარკვეულ ფერებს ატარებს, — უპასუხა ნემუმ.

— ხომ ხედავ, — გაეცინა ჯადოქარს. — ასეც უნდა იყოს! ეს დედა ყოველთვის ჯერ თავის თავზე და საკუთარ სურვილებზე ფიქრობს. მაგრამ ის, რაც სწადია, ძალიან მაღლა ჰკიდია და ქალი მზადაა, ყველაფერი ფეხქვეშ გაქელოს, საკუთარი ქალიშვილიც კი, ოღონდაც მას შესწვდეს. პააკერს მენას წინააღმდეგ აამხედრებს, ეს ისევე მართალია, როგორც მე ახლა ყური მიწივის. იმიტომ, რომ ეს ქალი საკუთარ შვილსაც კი არ დაინდობს, ვისზედაც გნებავთ, გაათხოვებს მას, თუნდაც კოჭლ ქარაფშუტაზე, ოღონდ კი იცოდეს, რომ ის დაეხმარება მისი პატივმოყვარე გეგმების განხორციელებაში.

— ნეფერტი კი, — მიუგო ჯუჯამ. — უნდა გენახა, ეს ღუღუნა მტრედი გააფთრებულ ძუ ლომად რომ იქცა.

— იმიტომ, რომ მას მენა ისევე უყვარს, როგორც დედამისს საკუთარი თავი, — უპასუხა დედაბერმა. — როგორც პოეტი იტყოდა: „ის აღსავსეა იმით“. და ეს მართლაც ასეა! იქ უკვე აღარაფრისთვის აღარ რჩება ადგილი. მას სურს მხოლოდ და მხოლოდ ერთს ფლობდეს და ვაი მისი ბრალი, ვინც კი ხელჰყოფს მას!

— მეც მინახავს შეყვარებული ქალები, — თქვა ნემუმ. — მაგრამ...

— მაგრამ... — დედაბერმა უეცრად ისე ხმამაღლა გადაიხარხარა, რომ ყველა ქალმა ერთად გამოიხედა მისკენ. — მაგრამ ისინი შენი ქალბატონი ნეფერტივით როდი იქცეოდნენ! ნამდვილად მჯერა! ათასობით ქალში ძლივს თუ იპოვი ისეთს, რომელიც ასე ძლიერ იყოს შეპყრობილი ამ სენით; ის

ხომ უფრო მწარე ტკივილს აყენებს ადამიანს, ვიდრე ნუბიური ისრის წვერზე წაცხებული შხამი ღია ჭრილობას, ის ცეცხლზე უსწრაფესად ვრცელდება და მისი ჩაქრობა უფრო ძნელია, ვიდრე იმ სენისა, რომლისგანაც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოკვდება აი ის გოგო, რომ ახველებს. ის, ვისაც ეს დემონი დაეუფლა, განდეგილზე უბედურია და იმავე დროს, — ამის თქმაზე ხექტმა მოულოდნელად ხმას დაუწია, — ის ბედნიერია ყველა ღმერთზე, რამდენიც არ უნდა იყოს იქ. სხვაზე უკეთესად მე ვიცი... ყველაფერი, იმიტომ, რომ მეც ათასიდან ის ერთი ვიყავი, გადარეული, და დღესაც...

— რაო? — შეაწყვეტინა გაკვირვებულმა ჯუჯამ.

— არაფერია, — ჩაიბურტყუნა დედაბერმა და ლოგინიდან ახალამდგარივით გაიზმორა. — სისულელეა! ის, ვინც ახლა გამახსენდა, დიდი ხნის მკვდარია, და კიდევ ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემთვის მაინც სულ ერთი იქნებოდა. ყველა მამაკაცი ერთნაირია და მენაც არაფრით ჩამოუვარდება მათ.

— როგორც ჩანს, მახორ პააკერს სწორედ ის დემონი დაეუფლა, წეღან რომ ახსენე, — შენიშნა ჯუჯამ.

— შეიძლება, — დაეთანხმა დედაბერი. — მაგრამ ის, როგორც ამბობენ, ვირივით კერპია. ახლა ის საკუთარ სიცოცხლესაც გასწირავს, ოღონდაც კი მიაღწიოს იმას, რაზედაც უარი უთხრეს. აბა, შენი ქალბატონი ნეფერტი მას რომ ეკუთვნოდეს, ის ალბათ ერთბაშად დაწყნარდებოდა. თუმცა ვის რაში სჭირდება ეს ლაქლაქი? ჰო, მე იმ ოქროს კარავშიც უნდა მივიდე. ქვეყნის ხალხი ირევა იქ, ეტყობა, ქისა ფულით აქვთ სავსე. მეპატრონესთან მაქვს სალაპარაკო...

— კი მაგრამ, მასთან რა საქმე გაქვს? — არ მოეშვა ნემუ.

— პატარა უარდა მალე გამოჯანმრთელდება, — უპასუხა დედაბერმა. — ხომ ნახე იგი! როგორ გალამაზდა, არა? ჰოდა,

მინდა ვიკითხო, რა გასამრჯელო მერგება, თუკი გოგოს მივუყვან. ქურციკივით მოხდენილია, კარგი მასწავლებლის ხელში ორ-სამ კვირაში მისგან ჩინებული მოცეკვავე დადგება.

ნემუ გაფითრდა და მკაცრად და გადაჭრით თქვა:

— შენ ამას არ იზამ!

— რატომ? — გაიკვირვა დედაბერმა. — ამით ხომ კარგ ფულს გავაკეთებ.

— იმიტომ, რომ მე გიკრძალავ ამას. — ჩახლეჩილი ხმით ძლივსგასაგონად თქვა ჯუჯამ.

— ოჰო! ნუთუ? — გადაიხარხარა დედაბერმა. — შენ, გეტყობა, ნეფერტს გინდა მიბაძო, ხოლო მე დედამისის როლი შემასრულებინო! მაგრამ, სერიოზულად ვილაპარაკოთ! შენ რა, გოგონა ნახე და მისი ხელში ჩაგდება მოისურვე?

— დიახაც, — მიუგო ჯუჯამ. — როცა ჩვენსას მივაღწევთ, ქათუთი გამანთავისუფლებს და დიდ სიმდიდრესაც მიბოძებს, მაშინ პინემისგან მის შვილიშვილს ვიყიდი და ცოლად შევირთავ. სასამართლო დარბაზის მეზობლად სახლს ავიშენებ და ჩემი რჩევა-დარიგებით დავეხმარები მომჩივანთა და მოპასუხეთ, როგორც ამას კუზიანი სენტი აკეთებს, — მას ხომ ახლა საკუთარი ეტლიც აქვს!

— ჰმ! — თქვა დედაბერმა. — მართლაც, ურიგო აზრი არ უნდა იყოს, მაგრამ ახლა ალბათ უკვე დაგვიანებულია. როცა ის გოგო ბოდავდა, სულ ვიღაც ქურუმის სახელს ახსენებდა სეთის სახლიდან, ამენის ბრძანებით რომ მოდიოდა მასთან. ჩანს, ის ახალგაზრდა ლამაზია; მე ვფიქრობ, ზრუნვასაც არ მოაკლებს. ამბობენ, მებაღის შვილია და პენტაურს ეძახიანო.

— პენტაურსო! — წამოიძახა ჯუჯამ. — პენტაური! მას ამაყი შესახედაობა აქვს და სახით გარდაცვლილ მახორს ჰგავს,

მაგრამ ეს უფრო მაღლა უმიზნებს; თუმცა მაგასაც მალე მოუგრეხენ კისერს.

— მით უკეთესი, — დაეთანხმა დედაბერი. — უარდა მართლაც შესაფერისი ცოლი იქნებოდა შენთვის. ის კეთილია, თავმდაბალი, და, ამას რომ თავი დავანებოთ, ხომ არავინ იცის...

— რა? — ვერ მოითმინა ჯუჯამ.

— ვინაა დედამისი. ის ჩვენი გვარის შესაფერისი არ იყო, უცხო მხრიდან მოხვდა ჩვენში, რაღაც სამკაულიც უპოვეს უცნაური წარწერით. ის ალბათ ტყვეებს უნდა აჩვენო, როცა უარდა შენი გახდება. ეგებ რომელიმე მათგანმა შეძლოს ამ გაუგებარი ასოების ამოკითხვა. ის რომ მდიდარი ოჯახიდანაა, ზუსტად ვიცი, იმიტომ, რომ უარდა ალი-კვალი დედამისია, ხოლო როცა დაიბადა, ზუსტად წარჩინებული დიდებულის ბავშვს ჰგავდა. შენ კი გეცინება, სულელო! ჩემს ხელში ათასმა ახალშობილმა გაიარა, ძონძებში გახვეულებსაც კი ვატყობდი, მისი მშობლები წარჩინებულნი იყვნენ თუ მდაბიონი. ამას ადვილად გამოიცნობ თუნდაც ფეხის მოყვანილობის მიხედვით, არის კიდევ სხვა ნიშნებიც. მაშ კარგი! ჯერჯერობით უარდა თავის ქოხში დარჩეს, მერე კი მე დაგეხმარები: თუ რაიმე ამბავი გაიგო, მაშინვე შემატყობინე,

თავი მეექვსე

როცა ნემუ, ახლა უკვე ვირზე შემჯდარი, შინ დაბრუნდა, იქ არც თავისი ქალბატონი დაუხვდა და არც ნეფერტი.

ქათუთი ჯერ ტაძარში წაბრძანებულიყო, მერე კი ქალაქში, ხოლო ანგარიშმიუცემელ ლტოლვას აყოლილი ნეფერტი თავის მეგობართან მეფის ასულ ბენტ-ანატთან წასულიყო.

ფარაონის სასახლე პატარა ქალაქს უფრო ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელ სახლს.[112] შენობის ის ფრთა, რომელშიც ვეზირი ცხოვრობდა (ჩვენ უკვე ნამყოფი ვართ იქ) მდინარიდან მოშორებით იყო, ხოლო თვით ფარაონისა და მისი ოჯახის პალატები ნილოსს გადაჰყურებდნენ.

მენავეს, რომელიც თავისი ნავით სასახლეს ჩაუვლიდა, იგი უზარმაზარი და საუცხოო მოეჩვენებოდა. ეს ბაღის შუაგულში ქვისგან აღმართული ვეება შენობა კი არ იყო, არამედ ნაირ-ნაირ არქიტექტურულ ნაგებობათა მთელი ანსამბლი.

ყველაზე დიდ შენობას, სადაც მისაღები და სადღესასწაულო დარბაზები იყო მოთავსებული, ორივე მხრიდან სიმეტ-

---

[112] ბევრ ისტორიულ გამოკვლევაში ვხვდებით არასწორ მტკიცებას, თითქოს ძველი ეგვიპტის ტაძრები ამავე დროს სასახლეებიც იყო. კარგად შემონახულ ტაძრებში (მაგალითად, ტაძრები დენდერასა და ედფუში) ჩვენთვის ცნობილია ყველა სათავსის დანიშნულება, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური წეს-ჩვეულებების აღსრულებისთვის იყო გამიზნული. ძეგლების მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ფარაონები ვრცელ ნაგებობებში ცხოვრობდნენ, რომლებიც მსუბუქი მასალებისგან იყო აგებული და გარშემო დიდი ბაღები ერტყა. ფარაონების სასახლეები ეგვიპტის დიდგვაროვანთა სახლებს ჰგავდა და მათგან მხოლოდ სიდიდით გამოირჩეოდა. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

რიულად სხვადასხვა სიდიდის მსუბუქ ნაგებობათა სამმაგი რიგები ეკვროდა. ყველა ისინი ერთმანეთთან კოლონადებითა და არხებზე გადებული ხიდებით იყვნენ დაკავშირებული; ეს არხები წყალს აწვდიდნენ ბაღებს და სასახლესაც კუნძულებზე გაშენებული ქალაქის იერი ჰქონდა.

სასახლის ანსამბლის შემადგენელი ყველა ნაგებობა აშენებული იყო ნილოსის მსუბუქი აგურისა და ოსტატურად დამუშავებული ხისგან; იგივე მასალისგან იყო აგებული სასახლის კოშკებიანი გალავანიც, რომლის ჭიშკრებთან მუდამ ყარაულში იდგნენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული გუშაგები. კედლებზე და პილასტრებზე, აივნებზე, კოლონადებზე და სახურავებზეც კი ნაირფერი მოხატულობა ელვარებდა, ყველა ჭიშკართან მაღალი ანძები იდგა, მათზე წითელი და ლურჯი ალმები ფრიალებდა, როცა კი ფარაონი სასახლეში იმყოფებოდა. ამჟამად კი მხოლოდ ანძების ბრინჯაოს წვეტები, რომლებიც, სხვათა შორის, მეხამრიდებსაც წარმოადგენდნენ, განმარტოებით იყურებოდნენ ცაში.

მთავარი შენობის ხელმარჯვნივ, მწვანეში ჩაფლულიყვნენ სამეფო ოჯახის ქალთა სახლები; ზოგიერთი მათგანის ანარეკლი ლამაზად ჩანდა არხებისა და ტბების წყნარ ზედაპირზე. საქალებოს თვალუწვდენელ რიგებად ემიჯნებოდნენ საკუჭნაოებიც, ხოლო მთავარი შენობის უკან, სადაც თავად ფარაონი ცხოვრობდა, განლაგებული იყო მისი პირადი გვარდიის ყაზარმები და საგანძურთა სალაროები. მარცხენა ფრთა სასახლის მოხელეთა და ურიცხვ მსახურთა საცხოვრებელს წარმოადგენდა, იქვე იყო საჯინიბოები და ეტლების შესანახი სათავსოები.

მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ფარაონი სასახლეში არ ბრძანდებოდა, აქ დიდი გამოცოცხლება სუფევდა; ასობით მე-

ბაღე მდელობებს, ყვავილნარებს, ბუჩქებსა და ხეებს რწყავდა; გუშაგთა რაზმები აქეთ-იქით დადიოდნენ; მეჯინიბეებს ცხენები გამოეყვანათ და ხედნიდნენ. საქალებოში კი ფუტკრებივით ირეოდნენ მსახურები, მონები, სასახლის მოხელეები და ქურუმები.

სასახლის ამ ნაწილში ყველა კარგად იცნობდა ნეფერტს. გვარდიელებმა და გუშაგებმა ულაპარაკოდ გამოატარეს ჭიშკარში მისი ტახტრევანი და თან მდაბლად უკრავდნენ თავს.

ბაღში ერთ-ერთი კარისკაცი შემოეგება და მთავარ კარისკაცთან მიიყვანა; მან, თავის მხრივ, ნეფერტის მოსვლა მოახსენა და რამზესის საყვარელი ქალიშვილის პალატში შეუძღვა სტუმარს.

ბენტ-ანატის პალატს მთელი ქვედა სართული ეკავა იმ სახლისა, რომელიც ზედ ფარაონის სასახლესთან მდებარეობდა. ამ გრილ და ნათელ ოთახებში თავის დროზე მისი აწგანსვენებული დედა ცხოვრობდა, ხოლო როცა ბენტ-ანატი წამოიზარდა, ფარაონმა მოისურვა, რომ ქალიშვილი მუდამ მის გვერდით ყოფილიყო. ამიტომ თავისი უდროოდ გარდაცვლილი მეუღლის ეს მშვენიერი პალატი მიუჩინა და ამასთან ერთად მთელი რიგი პრივილეგიებიც მისცა, რითაც ჩვეულებრივად მხოლოდ და მხოლოდ დედოფლები სარგებლობდნენ.

ფართო ოთახის ფანჯრები, სადაც ბენტ-ანატი ნეფერტს შეხვდა, მდინარეს გადაჰყურებდა.

კარი, რომელზეც ღია ფერის ფარდები ეკიდა, განიერ აივანზე გადიოდა. აივნის მოოქრული ბრინჯაოს მოაჯირს შემოვლებული ჰქონდა ხვიარა ვარდის ბუჩქები ზედ დიდრონი ყვავილებით.

ზუსტად იმ დროს, როცა მენას მეუღლემ ზღურბლზე გადმოაბიჯა, ბენტ-ანატმა მსახურებს უბრძანა აბრეშუმის შრიალა

ფარდები გადაეწიათ. მზე უკვე გადაიხარა დასავლეთისკენ და საღამო ხანს აგრილდებოდა კიდეც. ბენტ-ანატი განსაკუთრებით უყვარდა ამ დროს აივანზე ჯდომა. ოცნებას მიცემული გასცქეროდა ჩამავალ მზეს — ღმერთ რას, როცა იგი მოხუცი ატუმის სახით, ნეკროპოლს ამოფარებული კი დასავლეთ მხარეს უჩინარდება, რათა თავისი ნათებით ქვესკნელის წმინდანები გააცისკროვნოს.

ნეფერტის ოთახი უფრო ფაქიზად იყო მორთული, ვიდრე მეფის ასულის პალატი. ჯერ დედამისმა, მერე კი მენამ აავსეს იგი უამრავი ნაირ-ნაირი მოხდენილი სამშვენისით. ოთახის კედლებზე ვერცხლჩაქსოვილი ცისფერი სირიული ფარჩა იყო გადაჭიმული, სკამებსა და საწოლზე განსაკუთრებული ქსოვილი ეფარა, ჭრელი ფრინველის მკერდს რომ ჰგავდა და ეთიოპელი ქალების ხელით იყო დამზადებული ბუმბულისგან. ქალღმერთ ხატორის ქანდაკება საოჯახო საკურთხეველზე, ზურმუხტის მსგავსი, მაფკატად წოდებული განსაკუთრებული შენადნობისგან იყო გამოკვეთილი, ხოლო დანარჩენი ღმერთების ფიგურები, რომლებიც მათი მფარველის გარშემო იდგნენ, — ლილაქვის, მალაქიტის, აქატისა და მოოქრული ბრინჯაოსგან. ტუალეტის მაგიდაზე ეწყო ნელსაცხებლების ნაირ-ნაირი ქილები, აბანოზისა და სპილოს ძვლის მოჩუქურთმებული ფიალები. ყველა ნივთი ნატიფი გემოვნებით იყო დალაგებული და საოცრად ეხამებოდა თვით ნეფერტის გარეგნობას.

ბენტ-ანატის ბინაც მეტად შეეფერებოდა მის გარეგნობას. მაღალი, ნათელი ოთახები ძვირფასი, მაგრამ სადა ავეჯით იყო გაწყობილი. კედლების ქვედა მხარე ნაზი თეთრი და იისფერი შორენკეცით იყო მოპირკეთებული, რომელსაც ვარსკვლავების ფორმა ჰქონდა და ზუსტ გეომეტრიულ ფიგურებს

წარმოქმნიდა. ზემოთ კედელზე მუქი მწვანე ფერის, საუცხოო საისური ქსოვილი იყო გაკრული. იგივე ქსოვილი იყო გადაკრული გრძელ დივანებზეც, რომლებიც კედლების გასწვრივ იდგა.

ოთახის შუაში დადგმული დიდი მაგიდის გარშემო შემოწყობილი იყო ლერწმის სკამები და ტაბურეტები. სხვა დანარჩენი ოთახებიც ლაზათიანად იყო მოწყობილი. მათი მნახველი მაშინვე მიხვდებოდა, რომ დიასახლისს დიდად არ იზიდავდა წვრილმანი სამშვენისები, სამაგიეროდ უყვარდა ოთახის ლამაზი მცენარეები. ამ მცენარეების იშვიათი და არნახული ჯიშები მხატვრულად იყო განლაგებული ოთახის ორ კუთხეში დადგმულ საფეხურებიან სადგარებზე. დანარჩენ კუთხეებში ობელისკების ფორმის მაღალ აბანოზის ტუმბებზე ძვირფასი სასაკმევლეები იდგა; ეგვიპტელებს ძალიან უყვარდათ ნელსაცხებლები, და გარდა ამისა, ექიმებიც ურჩევდნენ საკმეველი დაეწვათ ოთახებში.

ბენტ-ანატის საძინებელი ოთახი მამაკაცების საძილესავით სადა იყო. მას მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ფართოფოთლებიანი მცენარე ამშვენებდა. ყველაზე მეტად ბენტ-ანატს ჰაერი და სინათლე უყვარდა. მხოლოდ უმოწყალოდ მცხუნვარე მზე თუ აიძულებდა მას კარ-ფანჯარა დაეხურა, მაშინ, როცა ნეფერტის ოთახებში დილიდან საღამომდე ბინდბუნდი მეფობდა.

ბენტ-ანატი ალერსიანად შეეგება მენას ცოლს, რომელმაც მდაბლად დახარა თავი მეფის ასულის წინაშე, მარჯვენა ხელით მის ნიკაპს შეეხო, ნაზ ვიწრო შუბლზე აკოცა და წამოიძახა:

— ოჰ, ჩემო ძვირფასო! როგორც იქნა, მოხვედი ჩემთან ყოველგვარი დაპატიჟების გარეშე. ეს ხომ პირველი შემთხვე-

ვაა მას შემდეგ, რაც ჩვენი მამაკაცები ომში წავიდნენ. როცა რამზესის ქალიშვილი გიხმობს, უარი რა საკადრისია, მაგრამ ამჯერად შენ საკუთარი ნებით მოხვედი...

ნეფერტმა ვედრებით მიაპყრო მეფის ასულს თავისი დიდრონი თვალები, რომლებშიც ჯერ კიდევ არ შემშრალიყო ცრემლი; ფარული სევდით აღსავსე მისი გამოხედვა იმდენად მშვენიერი იყო, რომ ბენტ-ანატმა სათქმელი აღარ დაამთავრა, მეგობარს ხელი ჩასჭიდა და უთხრა:

— იცი, ჩემი აზრით, ვის უნდა ჰქონდეს კიდევ შენნაირი თვალები? ღვთაებას, მიწაზე დაცემულ მის ცრემლებზე ყვავილები რომ ამოვიდა.

ნეფერტმა თვალები დახარა, ალმური მოედო; მან ძლივგასაგონად ჩაილაპარაკა:

— ნეტა სამუდამოდ დამეხუჭოს ეს თვალები, ისე უბედური ვარ! — და ორი კურცხალი ჩამოუგორდა ღაწვებზე.

— რა მოგივიდა, ჩემო ძვირფასო? — თანაგრძნობით ჰკითხა მეფის ასულმა და ნაწყენი ბავშვივით გულში ჩაიკრა ნეფერტი.

ნეფერტმა შეშინებულმა შეხედა მასთან ერთად შემოსულ ქალებს და სასახლის მთავარ კარისკაცს. ბენტ-ანატი მიუხვდა მას და ყველა დაითხოვა. ისინიც უსიტყვოდ დაემორჩილნენ მის ნებას. დამწუხრებულ მეგობართან მარტო დარჩენილმა ბენტ-ანატმა მიმართა მას:

— აბა, ახლა მითხარი, რამ აღაშფოთა ასე შენი გული? რამ გაგიჩინა ეს ღრმა ნაოჭი შენს ნაზ სახეზე? მითხარი და დარდს გაგიქარვებ, რომ ხელახლა ჩემი მხიარული და უზრუნველი ჩიტუნია გახდე!

— შენი ჩიტუნია! — გაიმეორა ნეფერტმა და წყენისგან სახე დაემანჭა. — მართალი ხარ, ასე რომ მეძახი, — უკეთესს ალ-

ბათ, არც ვიმსახურებ, იმიტომ რომ მთელი ჩემი სიცოცხლე მომწონდა მხოლოდ სათამაშო ვყოფილიყავი ჩემი ახლობლების ხელში.

— აჰ, ნეფერტ! რა გემართება? მე ვეღარა გცნობ! — წამოიძახა ბენტ-ანატმა. — ნუთუ ეს შენა ხარ, ჩემი წყნარი და ალერსიანი მეოცნებე?

— აი სწორედ ის სიტყვა, რომელსაც, რამდენი ხანია, ვეძებ, — ჩუმად თქვა ნეფერტმა. — მე მეძინა და ვოცნებობდი, ოცნების სამყაროში ვცხოვრობდი მხოლოდ, სანამ მენამ არ გამაღვიძა, ხოლო როცა მიმატოვა, ხელახლა ჩამეძინა და სრული ორი წელი სიზმრების ტყვეობაში გავატარე. მაგრამ დღეს გამომაღვიძეს, თანაც ისე უხეშად და უწყალოდ, რომ ამიერიდან ვეღარასოდეს ვეღირსები სიმშვიდეს.

როცა ნეფერტი ამას ამბობდა, ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა. ბენტ-ანატს გული მოუკვდა, თითქოს მენას მეუღლე მისი საკუთარი უბედური ქალიშვილი ყოფილიყოსო. დაუყვავა, დივანზე დასვა, თავად გვერდით მიუჯდა და არ მოისვენა, სანამ ნეფერტმა არ გადაუშალა თავისი გატანჯული გული.

რამდენიმე საათში ქათუთის ქალიშვილს ზუსტად იგივე დაემართა, რაც ბრმადშობილს მოსდის უეცარი თვალის ახელის დროს. ის ხედავს კაშკაშა მზეს, სხვადასხვა საგნებს, მაგრამ მზის სხივები თვალს სჭრიან, ხოლო საგნები, ადრე ხელის შეხებით რომ აღიქვამდა, ახლა მთელი თავისი უხეში რეალობით თავს აბეზრებენ და თვალში ეჩხირებიან, აშინებენ და სტანჯავენ. მხოლოდ დღეს პირველად შეეკითხა ნეფერტი საკუთარ თავს: რატომ დედამისი და არა თვითონ გა-

ნაგებს სახლს, სადაც „სახლის ქალბატონს“[113] მაინც მას უწოდებენ. და თვითონვე ასე უპასუხა: „იმიტომ, რომ მენას ჰგონია, მე არც ფიქრის და არც მოქმედების უნარი არ გამაჩნია!“ ქმარი ხშირად ვარდს ეძახდა და ნეფერტმა ახლა იგრძნო, რომ მართლაც ყვავილს არ ჩამოუვარდება, რომელიც თავისი ხასხასა ფურცლებით თვალს ახარებს და მერე კი ჭკნება.

— დედაჩემს, — თქვა მან, — რა თქმა უნდა, ვუყვარვარ, მაგრამ იგი ცუდად, ძალიან ცუდად უძღვებოდა ჩემი ქმრის მეურნეობას. მე უბედურს კი მშვიდად მეძინა და სიზმარში მენას ვხედავდი, თან წარმოდგენაც არ მქონდა, რა ხდებოდა ჩვენს მამულში. ახლა კი დედაჩემს ეშინია ჩემი მეუღლისა, ხოლო ვისიც ეშინიათ, ბიძაჩემის თქმისა არ იყოს, ის არ უყვართ და ადვილადაც იჯერებენ ყოველგვარ ჭორებს მის შესახებ. ასევე დედაჩემიც გატაცებით უსმენს იმათ, ვინც მენას აუგად იხსენიებს და ცილს სწამებს, ვითომ მე გულიდან ამომიღო და თავის კარავში ვიღაც ტყვე ქალი წაიყვანაო. მაგრამ ეს ხომ ყველაფერი სიცრუეა. ამიტომ არ შემიძლია და არც მსურს თვალებში შევხედო მშობელ დედას, რომელმაც შემიბღალა ის ერთადერთი, რაც დამრჩენია, რაც მასულდგმულებს, შებილწა ჩემი სიცოცხლის სისხლი და ჰაერი — ჩემი მხურვალე სიყვარული ქმრისადმი.

ბენტ-ანეტს ერთხელაც არ შეუჩერებია მეგობარი, ხოლო როცა ნეფერტმა ლაპარაკი დაამთავრა, ის ერთხანს უხმოდ იჯდა მის გვერდით, შემდეგ კი უთხრა:

— გავიდეთ აივანზე! იქ გეტყვი ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, და, შეიძლება, თოთმა ჩემს ბაგეს მხსნელი რჩევაც შთააგონოს. მე შენ მიყვარხარ და კარგადაც გიცნობ. მართალია,

---

113 სახლის ქალბატონი — წარჩინებულ ეგვიპტელთა ცოლების ჩვეულებრივი ტიტული. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

დიდი ბრძენი არა ვარ, მაგრამ თვალი მიჭრის და არც ხელი ამიკანკალდება. დაეყრდენი მას და მომყევი!

როცა ისინი აივანზე გამოვიდნენ, გრილმა ნიავმა დაუბერა მდინარიდან. მოსაღამოვდა და მაცოცხლებელმა სიგრილემ, როგორც იქნა, შეცვალა შუადღის პაპანაქება. ხეებისა და შენობების ჩრდილები დაგრძელდა და ნეკროპოლიდან დაბრუნებული ხალხით სავსე ურიცხვი ნავებით დაიფარა ჩრდილოეთისკენ მდოვრედ მიმავალი მდინარის მოელვარე ზედაპირი.

ირგვლივ მწვანედ ბიბინებდა ბაღი, ზედ აივნის მოაჯირამდე აღწევდა სურნელოვანი ვარდების ხვიარა ყლორტები. ეს ბაღი ჯერ კიდევ დედოფალ ხატშეფსუტის მეფობის დროს დაეგეგმარა ერთმა ცნობილმა მხატვარმა; მის წარმოდგენაში შექმნილმა წარმტაცმა სურათებმა, როცა ის ყვავილებს თესავდა და ნორჩ ყლორტებს რგავდა, მხოლოდ ახლა, მისი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ შეისხეს ხორცი. მას ეს ბაღი წარმოდგენილი ჰქონდა ხალიჩად, რომელზედაც განლაგებული იქნებოდა სასახლის ნაგებობანი. ვიწრო დაკლაკნილი არხები თეთრი გედებით თითქოსდა ნახატების კონტურებს ქმნიდნენ, ხოლო მათ მიერ მოხაზულ ფიგურებს სხვადასხვა სიდიდის, ფორმისა და ფერის მცენარეები წარმოაჩენდნენ. თვალს ელამუნებოდნენ ხასხასა მდელობები; მათ მშვენივრად ეხამებოდნენ ნაირფერი ყვავილნარები და ბუჩქნარები. ხოლო დედოფალ ხატშეფსუტის დროინდელი გემებით არაბეთიდან ეგვიპტეში ჩამოტანილი ძველთაძველი საოცარი ხეები ბუნების ამ სურათს სიმკაცრესა და ღირსებას ჰმატებდნენ.

ყველგან — ფოთლებზე, ყვავილებზე, ბალახზე გამჭვირვალე წვეთები ციმციმებდნენ — ბაღი სულ ახლახან მოერწყათ

სუფთა წყლით გუბურიდან, რომელიც ზედ ბენტ-ანატის სახლთან მდებარეობდა.

ზუსტად ბაღის პირდაპირ ნილოსის წყალი გარს უვლიდა კუნძულს, რომელზედაც შრიალებდნენ ამონის წმიდათაწმიდა მუხნარები.

ბენტ-ანატის აივნიდან კარგად მოჩანდა მდინარის გაღმა მდებარე ნეკროპოლი: სფინქსთა ხეივნები, რომლებიც ნავმისადგომიდან მიემართებოდნენ ამენხოტეპ III კოლოსებიანი ტაძრის უშველებელი შენობისკენ, სეთის სახლისა და ხატშეფსუტის ტაძრისაკენ; მებალზამეთა გრძელი სახლები და მკვდართა ქალაქის მჭიდროდ დასახლებული ქუჩები; ცოტა იქით, დასავლეთისკენ ლიბიის მთები ურიცხვი აკლდამებით, ხოლო მათ უკან მთებს ამოფარებული სამეფო აკლდამების ხეობის ფართო რკალი.

ორივე ქალი უხმოდ იცქირებოდა დასავლეთისკენ.

მზე ჩადიოდა; აი შეეხო კიდეც ჰორიზონტს და მთაგრეხილის იქით გაუჩინარდა. ის იყო, ცა გამდნარი ოქროს, ძოწისა და ამეთვისტოსფრად აგიზგიზდა, რომ ყველა ტაძრიდან მწუხრის ჰიმნების ჰანგები მოისმა. ორივე ქალმა მუხლი მოიყარა, აივნის მოაჯირზე შემოხვეული ვარდების გირლანდებში სახეჩამალულები მხურვალე ლოცვამ გაიტაცა.

როცა ფეხზე წამოდგნენ, დედამიწაზე უკვე ღამე ჩამოწოლილიყო, რადგანაც თებეში საღამოს ბინდი მეტად ხანმოკლეა. ცაზე აქა-იქ მაინც ჩანდნენ ვარდისფერი ღრუბლები, რომლებიც ნელ-ნელა იფერფლებოდნენ, ხოლო შუქურვარსკვლავის გამოჩენაზე სულ მთლად გაქრნენ.

— მე ახლა ისე კარგად ვარ, — წარმოთქვა ბენტ-ანატმა და ღრმად ამოისუნთქა. — შენც ხომ მოგეშვა გულზე?

ნეფერტმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

მეფის ასულმა ხელი ჩასჭიდა და მერხზე დასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა და ხელახლა ალაპარაკდა:

— გული დაგიკოდეს, წარსულიც მოგიწამლეს, ამიტომაც გაშინებს ახლა მომავალი. ნება მომეცი გულახდილი ვიყო, თუმცა შეიძლება გეწყინოს კიდეც. შენ ავადა ხარ, მე კი მინდა გაგკურნო. შეგიძლია ბოლომდე მომისმინო?

— ილაპარაკე, — ჩუმად უთხრა ნეფერტმა.

— ლაპარაკი ჩემი საქმე არაა, მე მოქმედება უფრო მეხერხება, — განაგრძო ბენტ-ანატმა. — მე ვგონებ, ვიცი, გულს რაც გაკლია, და რახან ეგრეა, შევეცდები დაგეხმარო. შენ გიყვარს შენი ქმარი, მაგრამ მოვალეობამ ერთმანეთს დაგაშორათ, და ამიტომ თავს მიტოვებულად და მარტოხელად თვლი. სხვანაირად არც შეიძლება. თუმცა ჩემი საყვარელი ადამიანები — მამა და ძმებიც ხომ ომში წავიდნენ, დედა დიდი ხანია, მომიკვდა, ხოლო რამდენიმე კვირის წინ სიკვდილმა მომტაცა ის ერთგული ქალიც, იმედად რომ დამიტოვა მამამ. შეხედე ამ დაცარიელებულ ქალაქს, სადაც მე ვცხოვრობ. ვინაა ჩვენში უფრო მარტოდმარტო — შენ თუ მე?

— მე! — უპასუხა ნეფერტმა. — ვერავისი მარტოობა ვერ შეედრება მარტოობას იმ ქალისა, რომელსაც გულს უკლავს ქმართან განშორება.

— დარწმუნებული ხარ მენას სიყვარულში? — ჰკითხა ბენტ-ანატმა.

ნეფერტმა გულზე ხელი მიიდო და მხოლოდ თავი დაუქნია.

— ის დაბრუნდება და მასთან ერთად შენი ბედნიერებაც!

— ვიმედოვნებ, — ძლივსგასაგონად აღმოხდა ნეფერტი.

— ვისაც იმედი აქვს, — დასძინა ბენტ-ანატმა, — ის მომავალშიც ბედნიერი იქნება. აბა, მითხარი: შენს ბედს გაუცვლიდი ღმერთებს, სანამ მენა შენს გვერდით იყო? არა! მაშ შენ

უზომოდ მდიდარი ყოფილხარ, რადგან წარსულის უტკბესი მოგონებანიც შენ გეკუთვნის. მერედა რა არის აწმყო? მე ვლაპარაკობ, და აი ისიც უკვე გაქრა! მე გეკითხები: რომელი სანეტარო წუთები შემიძლია მოვიგონო? და ბედნიერების რა იმედი შეიძლება მქონდეს მომავალში?

— შენ არ გიყვარს, — შეეპასუხა ნეფერტი. — მთვარესავით ცივი და მშვიდი მიდიხარ შენს გზაზე. მართალია, შენ არ განგიცდია უმაღლესი ბედნიერება, მაგრამ სამაგიეროდ არც ტანჯვის სიმწარე გინახავს.

— როგორი ტანჯვისა? — ჰკითხა ბენტ-ანატმა.

— სოხმეტის ალით დამწვარი გულის ტანჯვისა! — მიუგო ნეფერტმა.

მეფის ასულმა ჩაფიქრებულმა დიდხანს უყურა იატაკს, მერე მკვირცხლად შეხედა მეგობარს და წამოიძახა:

— შენ ცდები! მე ვიცი, რა არის სიყვარული და სევდა საყვარელ ადამიანზე. მაგრამ თუ შენ ელოდები სასიხარულო დღეს, როცა ისევ მოირთვები იმ სამკაულით, რომელიც შენ სამართლიანად გეკუთვნის, ჩემი ძვირფასეულობა კი ისევე მეკუთვნის მე, როგორც ის მარგალიტი, რომლის ციალს ზღვის ღრმა ფსკერზე ვხედავ.

— შენც გიყვარს? — სიხარულით წამოიძახა ნეფერტმა. — ჰოი, მაშინ მე მადლობას ვწირავ ხატორს იმისათვის, რომ ბოლოსდაბოლოს ის შენს გულსაც შეეხო. რამზესის ქალიშვილს მყვინთავების მოხმობა არ დასჭირდება ზღვის ფსკერიდან მარგალიტის ამოსატანად. საკმარისია მან მხოლოდ თავი დაიქნიოს, რომ მარგალიტი თვითონ ამოცურდება და ქვიშაზე მის წერწეტ ფეხებთან გაჩნდება.

ბენტ-ანატმა გაიცინა, ნეფერტს შუბლზე აკოცა და უთხრა:

— აჰ, როგორ გაღელვებს შენ ასეთი საუბარი, გონებას გიღვიძებს, ენას გიხსნის! როცა ორი სიმი ერთნაირადაა აწყობილი და მუსიკოსი ერთ-ერთს ეხება, მაშინ უეჭველად მეორეც აჟღერდება, ასე მასწავლიდა მუსიკის მასწავლებელი. მე რომ ჩემს სიყვარულზე გელაპარაკო, შენ ალბათ დილამდე შეგიძლია მისმინო. მაგრამ აივანზე ამისთვის როდი გამოვსულვართ. მომისმინე! მეც შენსავით მარტო ვარ, არც მე მწყალობს სიყვარულში ბედი. სეთის სახლში მძიმე განსაცდელს მიმზადებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ ვეპუები, არ ვკარგავ მხნეობასა და სიცოცხლის ხალისს.

— ჩვენ ხომ სხვადასხვანაირი ადამიანები ვართ, — უთხრა ნეფერტმა და მეგობარს საყვედურით შეხედა.

— მართლაც, — დაეთანხმა ბენტ-ანატი. — მაგრამ ორივენი ხომ ახალგაზრდები ვართ, ორივენი — ქალები და ორივეს ბედნიერება გვწადია. დედა ადრე გარდამეცვალა, არავინ მყავდა, ვინც ჭკუას დამარიგებდა. გარშემომყოფნი უკვე მაშინ მყავდნენ მორჩილებაში, როცა ყველაზე მეტად თავად მჭირდებოდა დამრიგებელი. შენ ხომ დედაშენმა გაგზარდა, მას ეამაყებოდა თავისი ლამაზი გოგონა, როცა შენ სულ პატარა იყავი. თამაშისა და ოცნების ნებას გაძლევდა, — ეს ხომ ძალიან უხდებოდა შენისთანა მშვენიერ გოგონას! — ბევრის ნებას გაძლევდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ შენზე დაინიშნა მენა. შენც თავდავიწყებით შეიყვარე იგი, მაგრამ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ის მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე მთვარეს იყო შენთან. დედაშენი თქვენსას დარჩა, მაგრამ შენ არც კი ამჩნევდი, როგორ განაგებდა შენს საკუთარ ოჯახს და თავის თავზე იღებდა მეურნეობის მთელ სიმძიმეს. შენ სათამაშო გქონდა და მასზე ფიქრში გაატარე ეს წლები — ეს იყო ფიქრები მენაზე და უსასრულო ოცნებები შორეულ სატრფო-

ზე. მე ეს ყველაფერი კარგად ვიცი, ნეფერტ! ყველაფერი, რასაც შენ ოცი მთვარის განმავლობაში ხედავდი, გესმოდა და გრძნობდი, აღსავსე იყო იმით და მხოლოდ იმით; რა თქმა უნდა, ეს ცუდი არ არის. აგერ ის ხვიარა ვარდი ჩემს აივანზე თვალს როგორ ახარებს, მაგრამ მებაღე ყოველდღიურად რომ არ სხლავდეს მას და პალმის ბოჭკოთი არ კრავდეს, მაშინ ის ამ ბარაქიან მიწაზე მაღლა გაექანებოდა და სულ მალე მოედებოდა ყველა კარსა და ფანჯარას, და მეც სიბნელეში მომიწევდა ჯდომა. მოისხი ეს შალი ბეჭებზე — ყვავილებს ცვარი დაედო, — მომისმინე შემდეგ! სიყვარულისა და ერთგულების ლამაზი გრძნობა შენს მეოცნებე გულში თავისუფლად, დაუბრკოლებლად აღმოცენდა გარეული მცენარესავით, და ახლა სულსა და გონებას გიბნელებს. ჭეშმარიტი სიყვარული, ჩემის აზრით, ხეხილს უნდა ჰგავდეს და არა ტანაყრილ სარეველას. მე შენ არ გკიცხავ, რადგან ისინი, ვინც შენი მებაღეები უნდა ყოფილიყვნენ, ვერ ამჩნევდნენ ან არ სურდათ შეემჩნიათ ის, რაც შენში ხდებოდა. შეხედე, ნეფერტ, მე თვითონ, სანამ კულულებიანი გოგონა ვიყავი, მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რაც მსიამოვნებდა. ოცნება არასოდეს მიტაცებდა, მაგრამ სამაგიეროდ სიამოვნებით ვმონაწილეობდი ჩემი ძმების დაუდგრომელ გართობებში: ცხენით ჯირითსა და შევარდნით ნადირობაში. ძმები ხშირად მეუბნებოდნენ, ბიჭის გული გაქვსო და მე თვითონაც დიდი სიამოვნებით ბიჭად გადავიქცეოდი.

— მე კი არასდროს, — ჩაიჩურჩულა ნეფერტმა.

— შენ ხომ ვარდი ხარ, საყვარელო, — განაგრძო ბენტანატმა. — ო, რომ იცოდე, როგორი სევდა და დაუკმაყოფილებლობა ვიგრძენი, მიუხედავად ჩემი დაუდგრომელი ხასიათისა, როცა თხუთმეტი წელი შემისრულდა, თუმცა ყველა

თავს მევლებოდა. ერთხელ, — ეს იყო ოთხი წლის წინათ, ცოტა ხნით ადრე მენასთან შენს ქორწინებამდე, მამამ მთხოვა, ნარდი მეთამაშეო.[114] ხომ იცი, როგორ იოლად ამარცხებს იგი ყველაზე გაწაფულ მოწინააღმდეგესაც კი; მაგრამ იმ დღეს რატომღაც დაბნეული იყო და ორჯერ ზედიზედ მოვუგე. სიხარულით აღსავსე ფიცხლავ წამოვხტი, ვაკოცე ლამაზ თავზე და წამოვიყვირე: „უდიდეს ღმერთს, უძლეველ გმირს, რომელსაც ქედს უხრიან უცხო ქვეყნების ხალხები,[115] რომელსაც თაყვანს სცემენ ქურუმები, გოგონამ მოუგო!“ მან მოწყალედ გაიღიმა და მიპასუხა: „ხშირად ციური ქალები თვით ცის მეუფესაც კი მონებენ, ხოლო ჩვენი გამარჯვების ქალღმერთი ნეჰებტი[116] — ქალია“. შემდეგ სახე სერიოზული გაუხდა, და მითხრა: „ისინი მე ღმერთს მეძახიან, შვილო, მაგრამ მე მხოლოდ ერთ რამეში ვგრძნობ ღმერთთან ჭეშმარიტ მსგავსებას:

---

[114] მედინეტ აბუში შემონახულია ფარაონის გამოსახულებები, თავის ქალიშვილს ნარდს რომ ეთამაშება. ჩვენ პირობით ვუწოდეთ ამ თამაშს „ნარდი“, რადგან ამჟამად შეუძლებელია ეგვიპტელთა თამაშის წესების აღდგენა. ბევრ აკლდამაში აღმოჩენილ იქნა სხვადასხვაგვარი სათამაშო დაფები და ფიგურები; ასევე ხშირია მოთამაშეთა გამოსახულებანიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს თამაშობანი მეტად გავრცელებული იყო ძველ ეგვიპტეში. (ავტ. შენიშვნა).

[115] მეტად გავრცელებული ფორმულა, რომელიც გვხვდება პატაკებში მტერთან გამარჯვების შესახებ. (ავტ. შენიშვნა).

[116] ნეჰებტი — ძერის სახით გამოსახული ქალღმერთი. არსებითად, მას არც გააჩნია განსაკუთრებული სახელი, ვინაიდან ნეჰებტი ნიშნავს, რომ იგი ეკუთვნის ზემო ეგვიპტის ძველ დედაქალაქს ნეჰებს. თავდაპირველად ფარაონის სასახლის ქალღმერთი, შემდგომ გახდა თვით ფარაონის მფარველიც და გამოისახებოდა ძერის სახით, რომელიც მის თავზე ლივლივებს და იცავს თავისი ფრთებით. ასეთივე მფარველი ქალღმერთი უტო, ანუ როგორც მას ბერძნები უწოდებდნენ — ბუტო, ჰყავდა ქვემო ეგვიპტის მეფესაც. ის გველის სახით იყო გამოსახული. ზემო და ქვემო ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ ერთი ფარაონის ხელისუფლების ქვეშ, ორივე ქალღმერთს ერთად გამოსახავდნენ და ამიერიდან ორივე შევიდა სამეფო ტიტულში.

ყველაზე დაძაბული მუშაობის დროსაც კი შემიძლია დავამტკიცო, რომ სარგებლობა მომაქვს, როცა ერთ შემთხვევაში ვაჩერებ, ხოლო მეორეში ვაჩქარებ.[117] ღვთისსწორი მარტო მე ვარ, რადგან მე ვქმნი და ვახდენ უდიდეს საქმეებს“. ეს სიტყვები ღრმად ჩამებეჭდა გულში, მე იმწუთშივე მივხვდი, რაც მაკლდა. ხოლო, როცა რამდენიმე კვირის შემდეგ მამაჩემი და შენი მეუღლე ასი ათასი მეომრით საომრად გაემართნენ, გადავწყვიტე, ჩემი ღვთისსწორი მამის ღირსეული შვილი გავმხდარიყავი და მეც სარგებლობა მომეტანა ხალხისთვის. შენ არაფერი იცი, ჩემი ხელმძღვანელობით რა ხდება იმ სახლებში, აი იქ, სასახლის უკან. სამასი ქალიშვილი წმინდა სელს ართავს და ბანდს ქსოვენ დაჭრილთათვის, ბავშვები და მოხუცები მთებში სამკურნალო ბალახებს აგროვებენ, ხოლო სხვები ექიმების მითითებით ახარისხებენ მათ; სამზარეულოებში ნადიმებისთვის როდი ამზადებენ სანოვაგეს, ახლა იქ შაქარში ხილს ხარშავენ ავადმყოფი მეომრებისთვის. იქ ამარილებენ, ახმობენ და ბოლში გამოჰყავთ ხორცი — მარაგად ლაშქრისათვის უდაბნოზე გადასვლის დროს. ღვინის სარდაფების მცველს ქეიფები აღარ ადარდებს, იგი ქვის დიდ ჭურებს ღვინით ავსებს. ჩვენ კი იქიდან ტიკებში ვასხამთ ჩვენი მეომრებისათვის, ხოლო თავი ღვინო კი — ბოთლებშია, რომლებსაც ფისით ვუცობთ თავს, რათა შორ გზას გაუძლოს და ძალა შეჰმატოს ჩვენს გმირებს. ამას ყველაფერს და კიდევ სხვა მრავალს მე ვხელმძღვანელობ და ამ მძიმე შრომაში გადის ჩემი დღეები. ამიტომ ღმერთები ღამღამობით სიზმრებს

---

[117] ფარაონის ქანდაკებებსა და ბევრ ღმერთს ხელში, როგორც წესი, ეპყრათ ძალაუფლების შემდეგი ემბლემები: მოკაუჭებული კვერთხი და მათრახი. ეტყობა, ისინი მიგვანიშნებენ მეფის ძირითად მოვალეობებზე: შეჩერებასა და დაჩქარებაზე. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

აღარ მიგზავნიან, რადგან მთელი დღის ჯაფით მოქანცულს გულის ძილით მძინავს. სამაგიეროდ, ვგრძნობ, რომ სარგებლობა მომაქვს და ამაყად თავაწეული დავდივარ და რაღაცით მაინც ვემსგავსები ჩემს დიად მამას. ხოლო როცა მეფეს მოვაგონდები, ვიცი, მას მეტად გაახარებს ქალიშვილის ნახელავი. აი, დავასრულე კიდეც ჩემი სათქმელი, ნეფერტ, ოღონდ ერთი რამ მინდა კიდევ გითხრა: გადმოდი ჩემთან, მომეხმარე, დამიმტკიცე, რომ შენც შეგიძლია გამოგვადგე ჩვენს საქმეში, და მაშინ მენაც ხშირად მოიგონებს თავის ცოლს არა მარტო სიყვარულით, არამედ სიამაყითაც.

ნეფერტმა ნელა დახარა თავი, კისერზე მოხვია ხელები მეფის ასულს და ბავშვივით დიდხანს ტიროდა მის მკერდზე თავმიდებული. ცოტა რომ დამშვიდდა, ბენტ-ანატს სთხოვა:

— გადმომიყვანე შენთან და მასწავლე, რა გავაკეთო ხალხის სასიკეთოდ.

— აკი ვიცოდი, შენ მხოლოდ ძლიერი ხელი გჭირდება, რომ გიხელმძღვანელოს, — გაიღიმა ბენტ-ანატმა. — დამიჯერე, სულ მალე შეძლებ შენს კაეშანს კმაყოფილების გრძნობა შეუთავსო. აბა, ახლა კი შინ წადი დედასთან, უკვე გვიანია; დედაშენს ალერსიანად მოექეცი, ასეთია ღმერთების ნება! ხვალ კი თავად მოვალ თქვენსა და ვთხოვ ქათუთის გამოგიშვას ჩემი გარდაცვლილი თანაშემწის ადგილას. ზეგ აქ გადმობარგდები, სასახლეში იცხოვრებ ჩემი თანაშემწის ოთახებში და მასავით მომეხმარები ჩემს საქმეებში. დაე, კურთხეულ იყოს ეს საათი!

თავი მეშვიდე

სანამ ორი ახალგაზრდა ქალი სასახლეში საუბრობდა, ნილოსის გაღმა, ნეკროპოლში, ეჭვებით შეპყრობილი ექიმი ნებსეხტი ქოხის წინ იჯდა და მოხუც პარასქიტს ელოდებოდა.

ბერიკაცზე ფიქრში ხან შიში აიტანდა, ხან სულაც გადაავიწყდებოდა ის საშიშროება, პარასქიტს ყოველ ნაბიჯზე რომ ელოდებოდა, და მხოლოდ თავისი სურვილის მალე აღსრულებაზე და იმ შესანიშნავ აღმოჩენებზე ოცნებობდა, რასაც ის უეჭველად მიაღწევდა ადამიანის გულის შესწავლით.

ზოგჯერ გონების თვალით უღრმავდებოდა მეცნიერებას, მაგრამ გულს ვერ უდებდა, რადგანაც ხან პარასქიტის ჯავრი ჰქონდა, ხან კი იმის ფიქრი არ ასვენებდა, რომ უარდა სულ ახლოს იყო მასთან.

საათობით ისხდნენ მარტონი — ის და უარდა, ვინაიდან გოგონას მამას და ბებიას უნდა ემუშავათ. როგორც უკვე ვიცით, მამამისი სამხედრო ტყვეებს უნდა გაჰყოლოდა ერმონტში, ხოლო დედაბერი, მას შემდეგ, რაც შვილიშვილი წამოეზარდა და უკვე თავადაც გაართმევდა თავს მათ მცირე მეურნეობას, მოზარედ მოეწყო. ეს ქალები თმას გაიშლიდნენ, შუბლსა და მკერდს ნილოსის შლამით მოითხუპნიდნენ, ნეკროპოლისკენ მიაცილებდნენ მიცვალებულს და გოდებითა და გულსაკლავი კივილით აყრუებდნენ არემარეს.

როცა მზე გადაიხარა, უარდა ისევ ფარდულის ქვეშ იწვა ქოხის წინ. სახე ფერმკრთალი ჰქონდა და მეტად დაღლილიც ჩანდა. ფაფუკი თმა ისევ გაშლოდა და ნამჯის საფენში გახ-

ლართულიყო. როგორც კი ნებსეხტი მიუახლოვდებოდა, უარდა მაშინვე ზურგს აქცევდა.

როცა მზეც მთებს მიეფარა, ნებსეხტი ისევ დაიხარა უარდასკენ:

— უკვე აგრილდა, — ალერსიანად უთხრა მან. — შინ ხომ არ შეგიყვანო?

— თავი დამანებე! — შეუბღვირა გულმოსულმა გოგონამ. — მე არა მცივა. გამშორდი. მე უკვე კარგად ვარ და რომ მინდოდეს, თავადაც შევიდოდი შინ. მოიცადე, ბებია და პაპა მალე მოვლენ.

ნებსეხტი განზე გადგა, უარდასგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, ქათმებისთვის განკუთვნილ დაწნულ კალათაზე ჩამოჯდა და ენის ბორძიკით ჰკითხა:

— უფრო შორს ხომ არ წავიდე?

— როგორც გინდა.

— ასე უგულოდ რად მექცევი? — ნაღვლიანად ჰკითხა ექიმმა.

— სულ მე მიყურებ, მე კი ეს არ მომწონს, — უპასუხა უარდამ. — ესეც არ იყოს, ძალიან ვწუხვარ — პაპა ამ დალას მთლად შეცვლილი იყო, სიკვდილზე ლაპარაკობდა, რაღაც უსაშველო თანხაზე, რომელსაც თურმე ჩემი მორჩენის საფასურად სთხოვენ... მერე შემეხვეწა, არ დამივიწყოო... ძალიან უცნაური იყო... მეტისმეტად ღელავდა... რატომ არ მოვიდა აქამდე? ოოჰ, ნეტა მალე მოვიდოდეს!

უარდა ჩუმად ასლუკუნდა. პარასქიტის ჯავრი არც ნებსეხტს ასვენებდა. სინდისი ქენჯნიდა. მან ხომ ადამიანის მთელი სიცოცხლე მოითხოვა იმის სანაცვლოდ, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი ვალი მოიხადა. მან კარგად იცოდა კანონები, იცოდა ისიც, რომ მოხუცს იქვე შხამით სავსე ფიალას

შეასმევდნენ, თუკი ადამიანის გულის მოპარვის მცდელობაზე წაასწრებდნენ.

ჩამობნელდა. უარდამ ტირილი შეწყვიტა და ექიმს ჰკითხა:

— პაპა ქალაქში ხომ არ წავიდოდა იმ ფულის სასესხებლად, რომელიც შენ თუ შენმა ტაძარმა მოითხოვეთ მკურნალობის საფასურად? ჩვენც ხომ გვაქვს მეფის ასულის ნაჩუქარი ოქროს სამაჯური, მამაჩემის ნადავლის ნახევარი, თანაც ბებიას ორი წლის მუშაობის გასამრჯელოც ხელუხლებლად დევს სკივრში, ნუთუ ეს ყველაფერი არ გეყოფოდათ?

ეს სიტყვები მეტად ღვარძლიანად იყო ნათქვამი, მაგრამ ექიმმა, რომელსაც, დიდი ხანია, გულმართლობა ჩვევად ექცა, გოგონას საყვედურს წაუყრუა. მას ხომ არ შეეძლო სიმართლე ეთქვა უარდასთვის. თავისი დახმარებისათვის მან გაცილებით მეტი მოითხოვა, ვიდრე ოქრო და ვერცხლია.

ახლაღა მოაგონდა პენტაურის გაფრთხილება, და როცა ტურებმა ყეფა ატეხეს, სასწრაფოდ დაავლო ხელი ცეცხლის გასაჩენ სამარჯვს და წინასწარ მომზადებული ფისის ნაჭრები აანთო; თან თავში ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა: რა ბედი ეწეოდა უარდას ბებიის, პაპისა და თავად ნებსეხტის გარეშე? და ფანტასტიკური გეგმა, რომელიც აი უკვე რამდენიმე საათია მის წარმოდგენაში ისახებოდა, ახლა უკვე თანდათან ხორცს ისხამდა. „თუ მოხუცი არ დაბრუნდება, — ფიქრობდა ექიმი, — კოლხიტებს ვთხოვ თავიანთ კასტაში მიმიღონ,[118] არა მგონია, უარი მითხრან, რადგანაც ჩემი ხელის სისწრაფეც იციან და ჩემი ცოდნაც“. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლად შეერთო უარდა; ისინი ადამიანებს მოშორებულნი იცხოვრებდნენ, და ნებსეხტი კი თავის ნიჭსა და უნარს შესწი-

[118] ეს კასტა ჯერ კიდევ რომის იმპერატორების დროს არსებობდა; ცნობები მის შესახებ მრავალ პაპირუსში გვხვდება. (ავტ. შენიშვნა).

რავდა ახალ ხელობას, რომელიც მას უამრავ მასალას მისცემდა კვლევისთვის. მას არ აინტერესებდა არც ცხოვრების პირობები, არც სიამოვნება და არც მაღალი თანამდებობა!

ის იმედოვნებდა, რომ გაუკვალავი გზით უფრო სწრაფად წავიდოდა წინ, ვიდრე ძველი, გატკეპნილი გზით. მას არც ახლა სურდა ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი აზრები, ელაპარაკა საკუთარ აღმოჩენებზე, რადგან ცოდნა საკმარისი ჰქონდა. ნებსეხტი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა თავის მოვალეობაზე სეთის სახლის წინაშე. უკვე სამი დღეა ტანსაცმელი არ გამოუცვლია, საპარსი არ მიჰკარებია მის სახესა და თავს, წვეთი წყალი არ მოხვედრია მის ხელებსა და ფეხებს. თავს თითქმის გაგარეულებულად თვლიდა, თითქოს მებალზამედ ან კოლხიტად გადაქცეულიყო უკვე ანდა ყველასგან მოძულებულ პარასქიტად. ქურუმის მოვალეობის უგულებელყოფა უცნაურ სიხარულს ჰგვრიდა, რადგან მისი წყალობით ნებსეხტი უარდას უტოლდებოდა, ხოლო ეს სუსტი და შეშინებული გოგონა, ნამჯაზე თმააწეწილი რომ წევს, სწორედაც რომ შეეფერება იმ მომავალს, რომელიც ექიმს ეხატებოდა.

— არაფერი გესმის? — მოულოდნელად ჰკითხა ქალიშვილმა.

ხეობისკენ შემობრუნდნენ და ორივემ ერთად მიაყურადა. ის იყო, ძაღლებმა დაიყეფეს და იმწუთშივე ქოხის ღობეს პარასქიტი და მისი ცოლი მოადგნენ. ისინი ბებერ ხექტს დაემშვიდობნენ, რომელსაც გზაში წამოეწივნენ, როცა ჯადოქარი თებედან ბრუნდებოდა.

— როგორ დაგაგვიანდათ! — წამოიძახა უარდამ, როცა მოხუცები მასთან მივიდნენ. — შიშისგან აღარ ვიყავი!

— ექიმი ხომ შენთან იყო, — უთხრა დედაბერმა ქოხში შევიდა სახელდახელო ვახშმის მოსამზადებლად. ბერიკაცი კი მის

გვერდით მუხლებზე დაეშვა და შვილიშვილს ისე ნაზად და მოწიწებით ეფერებოდა, თითქოს პაპა კი არა, მისი ერთგული მსახური ყოფილიყოსო.

შემდეგ წამოდგა და მღელვარებისგან აკანკალებულ ნებსეხტს უხეში ტილოს ტომსიკა მიაწოდა, რომელსაც მუდამ თან ატარებდა.

— შიგ გულია, -— ჩაუჩურჩულა მან. — ამოიღე და ტომსიკა დამიბრუნე, მასში დანებია, რომლებიც ძალიან მჭირდება.

ნებსეხტმა მღელვარებისგან ათრთოლებული ხელით ტომსიკიდან გული ამოიღო, თავისი წამლების ყუთიდან რამდენიმე კოლოფი გადააგდო და მათ ადგილას ფრთხილად მოათავსა გული, შემდეგ უბეში ხელი ჩაიყო, პარასქიტთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— აჰა, აიღე ჩემი ხელწერილი, ჩამოიკიდე კისერზე და როცა მოკვდები, წარჩინებული დიდებულივით სუდარაში მთელ წიგნს „გამოსვლა დღისით“ ჩაგიდებ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ჩემი ძმა საქმეში ჩახედული კაცია; იგი პროცენტებს მიხდის ქონებიდან, რომელიც მემკვიდრეობით მერგო. აგერ უკვე ათი წელია, ხელი არ მიხლია ამ შემოსავლისთვის; მთელ იმ ფულს შენ გაძლევ, დაე, შენ და შენს დედაბერს სიბერეში აღარაფერი გაგიჭირდეთ.

პარასქიტმა პაპირუსიანი ტომსიკა გამოართვა და წყნარად მოუსმინა ექიმს. შემდეგ მიუბრუნდა და ჩუმად, მტკიცედ უთხრა:

— ეგ ფული შენთვის შეინახე — ჩვენ ბარიბარსა ვართ. რასაკვირველია, თუკი გოგონა მორჩება, — მწარედ დაუმატა მან.

— ის... ის უკვე კარგადაა, — ბორძიკით ჩაილაპარაკა ექიმმა. — მაგრამ რატომ არ გინდა... არ გინდა...

— იმიტომ, რომ ჩემს დღეში არაფერი მისესხებია და არც არავის დავღრეჯივარ, — შეაწყვეტინა ბერიკაცმა, — და არც სიბერეში ვიზამ ამას. სიცოცხლე სიცოცხლის წილ! რა უნდა გითხრა კიდევ: იმის გადახდას, რაც დღეს გაგიკეთე, თვით რამზესიც კი ვერ შეძლებს თავისი აურაცხელი განძით!

ნებსეხტმა თავი დახარა, არ იცოდა, რა ეპასუხა.

ამასობაში დედაბერმა მამაკაცებს წინ დაუდგა ჯამით სახელდახელოდ გაცხელებული მოხარშული ოსპი, ბოლოკი და ხახვი.[119] მერე უარდა შემოიყვანა ქოხში, რადგან გოგონამ აღარ მოისურვა ხელში აყვანილი წამოეყვანათ. დედაბერი გამობრუნდა უკან და ნებსეხტი შეიპატიჟა. ისიც სიამოვნებით დათანხმდა, რადგან გუშინდელსაქეთ არაფერი ეჭამა.

როცა დედაბერი ისევ ქოხში შევიდა, ექიმმა პარასქიტს ჰკითხა:

— ვისი გული მომიტანე, ან კი როგორ იშოვნე?

— ჯერ ამიხსენი, რისთვის მაიძულე ასეთი მძიმე დანაშაული ჩამედინა? — სთხოვა ბერიკაცმა.

— მე მსურს შევისწავლო ადამიანის გულის აგებულება, — მიუგო ექიმმა, — რათა შევძლო ავადმყოფი გულის განკურნვა.

პარასქიტი კარგა ხანს მიწას ჩასჩერებოდა, შემდეგ კი იკითხა:

— მართალს ამბობ?

— დიახ! — გადაჭრით უპასუხა ექიმმა.

---

[119] ეგვიპტელის ერთგვარი საუზმე. ბოლოკი, ხახვი და ნიორი ძალიან ხშირადაა ნახსენები ძეგლებში. ჰეროდოტე გვარწმუნებს, რომ ხეოპსის პირამიდის მშენებლობისას 1600 ტალანტის ღირებულების ბოსტნეული შეიჭამა. (ავტ. შენიშვნა).

— მაშინ ეს მანუგეშებს, იმიტომ, რომ შენ ხალისით ეხმარები ღარიბ ხალხს, — ჩაილაპარაკა ბერიკაცმა.

— ისეთივე ხალისით, როგორც მდიდრებს! აბა, ახლა მითხარი, ვისი გული წამოიღე?

— მებალზამეთა სახლში მივედი, — დაიწყო ბერიკაცმა და წინ კაჟის ნატეხები დაილაგა, რათა მათგან დანები დაემზადებინა. — მივედი და იქ სამი გვამი დამხვდა. მათზე ჩემი კაჟის დანით ადათით დაჩესებული რვა ნასერი უნდა გამეკეთებინა. ისე, როცა ხის მერხზე შიშველი მიცვალებულები წვანან, მაშინ ყველანი თანასწორნი არიან. საცოდავი გლახა ისევე უძრავად წევს ჩემს წინ, როგორც ფარაონის საყვარელი ვაჟიშვილი. მაგრამ მე კარგად ვიცოდი, ვისი გვამებიც იყო. მოხუცის სხეული ხატშეფსუტის ტაძრის ახალგარდაცვლილ წინასწარმეტყველს ეკუთვნოდა, ხოლო მის გვერდით ნეკროპოლის ქვის მთლელისა და უცხოელთა კვარტლიდან ერთი ჭლექით მკვდარი გოგოს გაძვალტყავებული გვამები იდო. იმ წინასწარმეტყველს კარგად ვიცნობდი -— ასჯერ მაინც შემხვედრია თავისი მოოქრული ტახტრევნით. მას ყველა მდიდარ რუის ეძახდა. ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც წესი და რიგია, მერე, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, ქვები დამიშინეს და გამომაგდეს; ამის შემდეგ ჩემი ამხანაგების დახმარებით რიგის მიხედვით დავალაგე გარდაცვლილთა შიგნეული. წინასწარმეტყველის შიგნეულს ალებასტრის ლამაზ კანოპებში ინახავდნენ, ხოლო ქვის მთლელისა და გოგოს შიგნეული ისევ მათსავე სხეულში უნდა ჩაედოთ. აი სწორედ მაშინ ვკითხე საკუთარ თავს: რომელ მათგანს ვაწყენინო, რომლის გული წამოვიღო? მივედი ღარიბთა გვამებთან, ის იყო, იმ ცოდვილი გოგოს გვამთან შევჩერდი, რომ... უეცრად სულის ხმა ჩამესმა, რომელიც მთხოვდა: „ეს გოგო ღარიბი, აბუ-

ჩად აგდებული და შენსავით უბედური იყო, სანამ ჰებეს[120] სხეულში დაეხეტებოდა, შეიძლება მან კიდევაც ჰპოვოს პატიება და სიხარული საიქიო სამეფოში, თუ შენ ამ მკრეხელობას არ ჩაიდენ“. ხოლო, როცა ქვის მთლელის გამხდარ სხეულს შევხედე, ხელებზე ჩემზე მეტი კოჟრები რომ ჰქონდა, სულმა იგივე ჩამჩურჩულა. მაშინ კი წინასწარმეტყველ რუის მსუქანი სხეულის წინ შევჩერდი, სისხლის ჩაქცევით რომ მოკვდა, და თვალწინ წარმომიდგა ის პატივი და სიმდიდრე, რაც სიცოცხლეში ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ამ ქვეყანაზე ბედნიერება და სიხარული მაინც არ აკლდა. როგორც კი მარტო დავრჩი, მაშინვე დავავლე ხელი მის გულს, სწრაფად ჩავტენე ტომსიკაში, ხოლო მის ადგილას ცხვრის გული დავდე... შეიძლება მე ორმაგი ცოდვა ჩავიდინე, წინასწარმეტყველს ასეთი ოინი რომ ვუყავი.. მაგრამ ისინი ხომ მდიდარი რუის გვამს ათასგვარ ავგაროზს ჩამოჰკიდებენ, გულის მაგივრად წმინდა სკარაბეუსს ჩაუდებენ,[121] ნაკურთხ ზეთს წაუსვამენ და თან ისეთ სიგელებსაც გაატანენ, რომლებიც მას უბედურებისგან დაიცავენ ამენტის[122] გზაზე, იმ დროს, როცა ამ საცოდავ ღარიბებს არავინ მისცემს მხსნელ თილისმას. ჰოდა, მერე... შენ ხომ დაიფიცე, რომ საიქიოში ოზირისის წინაშე ჩემს დანაშაულს შენს თავზე აიღებ...

— ჰო, სწორედ ასე იყო, — კვერი დაუკრა ნებსეხტმა და ბერიკაცს ხელი გაუწოდა. — იცი, შენს ადგილზე მეც ზუსტად ასე

---

120 ჰებე — დედამიწის ღვთაება.

121 მუმიებში გულის ნაცვლად წმინდა ხოჭო-სკარაბეუსის გამოსახულებას დებდნენ. ასეთ ხოჭოებს სხვადასხვა მასალისგან ამზადებდნენ. დიდ სკარაბეუსებზე ძალიან ხშირად გამოსახული იყო 26-30-ე და 64-ე თავები „მიცვალებულთა წიგნიდან“, სადაც ლაპარაკია გულის შესახებ.

122 ამენტი — სიტყვასიტყვით „დასავლეთი“ ე. ი. ქვეყანა, სადაც გარდაცვლილები ცხოვრობენ.

მოვიქცეოდი. აჰა, აიღე ეს სითხე, გაყავი ოთხ ნაწილად და თითო ნაწილი მიეცი უარდას ყოველ საღამოს ოთხი დღის განმავლობაში. დღეიდანვე დაიწყე; ვფიქრობ, ამ სამ დღეში ის სრულიად გამოჯანმრთელდება. მალე ისევ მოვალ მის სანახავად. ახლა კი წადი, დაიძინე და მეც, შენის ნებართვით, სადმე აქვე მივწვები. ვიდრე იზიდას ვარსკვლავი[123] ჩაქრება, მე წავალ, რადგან უკვე დიდი ხანია ტაძარში მელოდებიან.

როცა მეორე დილას პარასქიტი ქოხიდან გამოვიდა, ექიმი უკვე წასულიყო. კოცონის ნარჩენებთან გაშლილი ხილაბანდის დანახვაზე, რომელსაც შუაში სისხლის დიდი ლაქა ემჩნეოდა, ბერიკაცი მიხვდა, რომ სულწასულმა ნებსეხტმა ვეღარ მოითმინა, უკვე დაათვალიერა წინასწარმეტყველის გული და, შესაძლოა, გაჭრა კიდეც.

პარასქიტს თავზარი დაეცა და, როცა მზის ღმერთი თავისი ოქროს ნავით ცაზე გამოჩნდა, შიშისგან აკანკალებული მუხლებზე დავარდა. მხურვალედ ლოცულობდა ჯერ უარდასთვის, შემდეგ თავისი სულის საცხონებლად, რომელსაც საშინელი სასჯელი ემუქრებოდა. ლოცვის შემდეგ მხნეობაც მოემატა და დარწმუნდა რა, რომ შვილიშვილი თავს გაცილებით უკეთესად გრძნობდა, დაემშვიდობა ქალებს, აიღო კაჟის დანები, ბრინჯაოს კაკვი[124] და წავიდა, რათა ხელახლა შესდგომოდა თავის ნაღვლიან ხელობას.

ნაგებობები, სადაც თებეს თითქმის ყველა მცხოვრებს სიკვდილის შემდეგ ბალზამირებას უკეთებდნენ და მუმიებად აქ-

---

[123] იზიდას ვარსკვლავი — ვარსკვლავი სირიუსი.

[124] ბრინჯაოს კაკვი — ჰეროდოტეს თანახმად (II, 68) ასეთი კაუჭის დახმარებით პარასქიტს ცხვირიდან გამოჰქონდა მიცვალებულის ტვინი; შემონახული მუმიების გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ცხვირის ცხავისებრი ძვალი ჩამტვრეული იყო.

ცევდნენ, პარასქიტის ქოხიდან შორს, ტიტველ უდაბნოში იდგნენ. ისინი სეთის სახლის სამხრეთით, ზედ მთის ძირში მთელ დიდ კვარტალს ქმნიდნენ, რომელსაც მზეზე გამომწვარი ნილოსის აგურის უხეში გალავანი ეკრა.

მიცვალებულები ნილოსის მხარეს მოთავსებული მთავარი ჭიშკრიდან შემოჰყავდათ, ხოლო ქურუმებისა, პარასქიტებისა, ტარიქევტებისა,[125] მქსოველებისა და სხვა მუშებისთვის, აგრეთვე უამრავი წყლის მზიდავისთვის, რომლებიც ნილოსის წყალს ეზიდებოდნენ აქეთ, გვერდითი შესასვლელი ჰქონდათ მოწყობილი.

ამ კვარტალის ჩრდილოეთით აღმართული იყო ლამაზი ხის შენობა ცალკე შესასვლელით, სადაც მიცვალებულია ჭირისუფლებისგან და ცოცხლებისგან, ვინც საკუთარი დასაფლავების თადარიგს წინასწარ იჭერდა, მათი გემოვნების მიხედვით იღებდნენ შეკვეთებს.

ამ სახლში მუდამ ბევრი ხალხი ირეოდა. ახლაც აქ ორმოცდაათამდე სხვადასხვა წოდების ქალი და კაცი იყო არა მარტო თებედან, არამედ ზემო ეგვიპტის პატარ-პატარა ქალაქებიდანაც; ისინი საყიდლებზე მოსულიყვნენ ან კიდევ იქვე მსხდომი მოხელეებისთვის საჭირო შეკვეთები უნდა მიეცათ.

მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი იყო ეს ბაზარი, სადაც მიცვალებულთათვის საჭირო საქონლით ვაჭრობდნენ. კედლების გასწვრივ ჩაემწკრივებინათ ნაირ-ნაირი კუბოები, უბრალო ყუთებით დაწყებული — მუმიის ფორმის მიხედვით დამზადებულ, მოოქრულ და ლამაზად მოხატულ სარკოფაგებამდე. ხის თაროებზე დასტებად ეწყო უხეში და წმინდა ტი-

[125] ტარიქევტი — გვამის დამბალზამებელი, აწარმოებს აგრეთვე მუმიების დამარილებასაც.

ლო, რომლისგანაც მუმიების სახვევებს ამზადებდნენ. საფეიქრო საქმის მფარველ ქალღმერთთა ნეითის, იზიდასა და ნეფტიდას ნებართვით ამ ტილოს ქსოვდნენ საბალზამო სახლის სპეციალური მქსოველები, ანდა შორიდან, უმთავრესად საისიდან, ჩამოჰქონდათ.

მომსვლელთ ასარჩევად სთავაზობდნენ სხვადასხვანაირი სარკოფაგებისა და შესახვევი ბინტის ნიმუშებს, ყელსაბამებს, სკარაბეუსებს, ჯედ— და უჯა-ავგაროზებს — მარადიულობისა და კეთილდღეობის სიმბოლოებს, აგრეთვე სხვა ავგაროზებს ბაფთების სახით, სასთუმლებს, სამკუთხედებს, კუთხედებს, გაპობილ რგოლებს, კიბეებსა და სხვა წმინდა სიმბოლოებს.[126]

ჩვეულებრივ ამ სიმბოლოებს პირდაპირ მუმიაზე ან სახვევებს შორის აწყობდნენ.

აქ მრავლად იყო აგრეთვე გამომწვარი თიხის ბეჭდები, რომლებსაც მიწაში ფლავდნენ; როცა საფლავის გამო დავა ატყდებოდა ხოლმე, ეს ბეჭდები უჩვენებდნენ საგვარეულო საძვალეს საზღვრებს. ბლომად იყო ღმერთების ფიგურებიც — მათ ქვიშაში ფლავდნენ, რათა განწმენდილიყო, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ქვიშა სეთხს ეკუთვნოდა; იყო უშებტის პატარა ქანდაკებები, რომელთაც თითო-თითოდ ან რამდენიმეს ერთად ყუთში აწყობდნენ, რათა ისინი გარდაცვლილს დახმარებოდნენ თოხნაში, თესლით სავსე ტომრების გადატანაში, ან როცა ის გუთანს მიჰყვებოდა ნეტარ წმინდანთა ყანაში.

---

[126] აქ ჩამოთვლილია ყველანაირი ავგაროზები, რომლებიც დიდი რაოდენობით ახლავს თან მუმიებს. სპეციალისტმა ეგვიპტოლოგებმა შეძლეს მათი უმრავლესობის ზოგჯერ მეტად უცნაური მნიშვნელობების ახსნაც კი, რამეთუ თითოეულ ავგაროზს ეძღვნება „მიცვალებულთა წიგნის“ ესა თუ თავი. (ავტ. შენიშვნა).

ხატშეფსუტის ტაძრის წინასწარმეტყველის, აწგარდაცვლილი რუის ქვრივი, რომელიც აქ თავისი სახლთუხუცესისა და ერთი წარჩინებული ქურუმის თანხლებით მოვიდა, გატაცებით ესაუბრებოდა მოხელეებს. მან მიცვალებული მეუღლისთვის ყველაზე ძვირფასი კუბო შეარჩია; ჩვეულებისამებრ, პაპირუსის ლენტებში გახვეულ მუმიას ხის ყუთში დებდნენ, ხოლო ყუთს — ქვის სარკოფაგში. მან უწმინდესი ტილო, მალაქიტის, ლილაქვის, ქალცედონის, სარდიონის, მწვანე მინდვრის შპატის ავგაროზები და საუცხოო ალებასტრის კანოპები ამოირჩია. მოხელეები განსაკუთრებულ ცვილის ფირფიტებზე იწერდნენ გარდაცვლილის სახელს, მის ტიტულებს, მშობლების, მეუღლისა და შვილების სახელებს. მიუთითებდნენ, როგორი ტექსტი უნდა დაეწერათ მის კუბოზე, თუ პაპირუსის გრაგნილებზე, რომლებიც მისთვის უნდა ჩაეყოლებინათ საფლავში. ხოლო, რაც შეეხება წარწერებს აკლდამის კედლებსა, მისი ქანდაკების კვარცხლბეკსა და სტელაზე, რომლებიც იქვე აკლდამაში უნდა აღემართათ, ეს ჯერ კიდევ გადასაწყვეტი იყო. ამ წარწერების შეთხზვა სეთის სახლის ერთ-ერთ ქურუმს დაავალეს. მასვე უნდა შეედგინა გარდაცვლილის სიკვდილშემდგომი გულუხვი შესაწირის სია. მაგრამ ამის გაკეთებას ქურუმი მოგვიანებით თუ შეძლებდა, რადგანაც მხოლოდ მემკვიდრეობის გაყოფის შემდეგ გახდებოდა ცნობილი მის მიერ დანატოვარი ქონების ღირებულება. მარტო მუმიის დამზადება საუკეთესო ზეთებისა და ესენციების გამოყენებით, თავისი სუდარებითა და ავგაროზებით, აგრეთვე კუბოებიც, ქვის სარკოფაგის გარდა, ერთი საპალნე ვერცხლი ჯდებოდა.[127]

---

[127] დიოდორეს თანახმად (I,91), პირველი თანრიგით დაბალზამება ერთი

ქვრივი გრძელ სამგლოვიარო სამოსელში იყო გამოწყობილი, შუბლზე ნილოსის შლამი ეცხო. მოხელეებთან ვაჭრობისას მათ მიერ დადებულ ფასებს გაუგონარსა და ყაჩაღურს უწოდებდა და დროდადრო გულსაკლავ ქვითინს ამოუშვებდა ხოლმე, როგორც ამას ადათი მოითხოვდა.

შედარებით თავმდაბალი ქალაქელები უფრო ნაკლებ დროს ანდომებდნენ თავიანთ შეკვეთებს, თანაც ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ოჯახის უფროსის, მამის ან დედის ბალზამირებას მთელი წლის შემოსავალსაც კი სწირავდნენ.

ღარიბთა დაბალზამება შედარებით იაფი ღირდა, უპოვარნი კი კოლხიტებს უფასოდ უნდა დაებალზამებინათ, ფარაონისთვის გამოსაღების ანგარიშში; ფარაონს აბარებდნენ აგრეთვე ტილოს განსაზღვრულ ნაწილს თავიანთი საქსოვი სახელოსნოებიდან.

თავისებური მისაღები ოთახი საგულდაგულოდ იყო გამოყოფილი დანარჩენი სათავსოებისაგან, სადაც არაკურთხეულთ სასტიკად ეკრძალებოდათ შესვლა. კოლხიტები მრავალი ათასი კაცისგან შეკრულ კასტას წარმოადგენდნენ, რომელსაც რამდენიმე ქურუმი ედგა სათავეში, ხოლო ეს უკანასკნელნი ირჩევდნენ თავიანთ მეთაურს. ქურუმები დიდი პატივით სარგებლობდნენ; ტარიქევტებს — თავად მებალზამეებსაც ჰქონდათ ქალაქის მცხოვრებთა შორის გამოჩენის უფლება, თუმცა თებეში ხალხი მათ მაინც გაურბოდა. მხოლოდ პარასქიტებს, რომლებიც უშუალოდ გვამებს კვეთდნენ, შემზარავი წყევლა-კრულვა სდევდათ თან, რაც მათ უწმინდურებად აქცევდა.

ტალანტი ვერცხლი ღირდა, მეორეთი — ოცი მინა. (ავტ. შენიშვნა).

თავისთავად ცხადია, რომ სათავსოები აქ მეტად პირქუში იყო. ქვით ნაგები დარბაზი, რომელშიც მიცვალებულებს კვეთდნენ, და ოთახები, სადაც მათი ბალზამირება ხდებოდა დაკავშირებული იყო სხვადასხვა საპრეპარატოროებთან, ლაბორატორიებთან და ყოველგვარი წამლების საწყობებთან.

ერთ-ერთ ეზოში, რომელსაც მზისგან მხოლოდ პალმის ტოტების საჩრდილობელი იცავდა, ქვით მოპირკეთებული დიდი აუზი იყო. შიგ სოდიან ხსნარში გვამებს ალბობდნენ და შემდეგ ქვის გვირაბში ხელოვნურად შექმნილი ცხელი ჰაერის ჭავლით აშრობდნენ.

მქსოველების, მეკუბოვეებისა და მლაქავების სახელოსნოები მრავალრიცხოვან ხის პატარა სახლებში იყო მოთავსებული, იმ შენობების შორიახლო, სადაც მათი ნაკეთობების ნიმუშები იყო გამოფენილი. ყველა ამ ნაგებობიდან მოშორებით იდგა დაბალი, უჩვეულოდ გრძელი ქვის შენობა, მაგარი და სქელი სახურავით: აქ პრეპარირებულ გვამებს ახვევდნენ სუდარებში, აყოლებდნენ ავგაროზებსა და ყოველივე აუცილებელს სხვა სამყაროში ხანგრძლივი მოგზაურობისთვის. ყველაფერი, რაც ამ სახლში ხდებოდა, სადაც არაკურთხეულთ მხოლოდ რამდენიმე წუთით უშვებდნენ, ისე იყო გასაიდუმლოებული, თითქოს თავად ღმერთები ამზადებენო მიცვალებულებს საიქიოში გასამგზავრებლად.

ვიწრო ფანჯრებიდან, რომლებიც გზას გადაჰყურებდნენ, დღე და ღამე ლოცვები, ჰიმნები და გულსაკლავი ქვითინი მოისმოდა. აქ მომუშავე ქურუმ მოხელეებს ქვესკნელის სამე-

ფოს ღმერთების ნიღბები ეკეთათ.[128] მათ შორის ხშირად შეხვდებოდით ტურისთავიან ღმერთ ანუბისს, ხოლო მას ემსახურებოდნენ ბიჭები, რომელთაც ჰორეს ეგრეთწოდებული შვილების სახეები ჰქონდათ. თითოეული მუმიის თავთან და ფეხთით იდგა ან ჩაცუცქულიყო ორი მოტირალი ქალი — ერთს თავზე ნეფტიდას ემბლემა ეკეთა, ხოლო მეორეს — იზიდას ემბლემა.

მიცვალებულის სხეულის თითოეული ასო ნაკურთხი ზეთების, ავგაროზებისა და გამონათქვამთა დახმარებით ეძღვნებოდა რომელიმე ღვთაებას. თითოეული კუნთისათვის სპეციალურად მომზადებული ჰქონდათ ქსოვილის ნაჭერი, თითოეული წამლისა და სუდარისათვის მადლობა უნდა შეეწირათ რომელიმე ღვთაებისათვის,[129] ხოლო ხმაშეუწყობელი გალობა, ნიღბიანი ადამიანების წინ და უკან სირბილი, ნაირნაირი ნელსაცხებლების მძაფრი სურნელება აბრუებდა იქ მყოფთ.

მებალზამეთა სახლი და მისი მიდამოები გაჟღენთილი იყო სხვადასხვა ფისის მძაფრი სუნით, ვარდის ზეთის, მუშკისა და სხვა ნელსაცხებლების ტკბილი სურნელებით.

---

[128] აკლდამათა კედლებზე აღმოჩენილ რელიეფებსა და სურათებზე ხშირადაა გამოსახული ეს რიტუალი; ახლახან აღმოჩენილი პაპირუსის მონაცემების საფუძველზე ცნობილი გახდი, რომ ეგვიპტელები დიდი ხნის წინათ იცნობდნენ ქაღალდის ნიღბების დამზადების ტექნიკას. მუმიისთვის განკუთვნილ ბევრ ყუთში თავის მხარეს ნაპოვნია განსვენებულთა ნიღბები, რომლებიც დამზადებული იყო მუყაოს მსგავსი მასალისგან. (ავტ. შენიშვნა).

[129] როგორც ჩანს, ბალზამირების პროცესი მეტად რთული იყო და დიდ დროსაც მოითხოვდა; კერძოდ, ჩვენამდე მოაღწია გარდაცვლილი ბავშვის დაბალზამების ხელშეკრულება, სადაც მითითებულია 72-დღიანი ვადა.

როცა სამხრეთ-დასავლეთის ქარი უბერავდა, მას ზოგჯერ ეს სურნელება ნილოსზე გადავლით თვით თებემდე მიჰქონდა, ეს კი ცუდ ნიშნად ითვლებოდა, თანაც არა უსაფუძვლოდ, რადგანაც სამხრეთ-დასავლეთის ქარი უდაბნოდან ქროდა; ის ხალხს ძალას ართმევდა, ხოლო ქარავნებს დაღუპვას უქადდა.

იმ სახლის წინ, სადაც ნიმუშები იყო გამოფენილი, ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი — ისინი მათ გარშემო შეკრებილიყვნენ, ვისთანაც სამძიმარის სათქმელად მოსულიყვნენ. მაგრამ აი კიდევ ერთი კაცი გამოჩნდა — ეს ამონის ტაძრის სამსხვერპლო სასაკლაოს მმართველი იყო. ეტყობა, იქ მყოფთა უმრავლესობა მას იცნობდა, რადგანაც დიდი პატივით ესალმებოდნენ. ვიდრე წინასწარმეტყველ რუის ქვრივს მიუსამძიმრებდა, მან შეძრწუნებულმა დამხვდურთ აუწყა, რომ ნილოსის გაღმა, ღმერთების მეფის, ამონის, ტაძარში საშინელი, უთუოდ უბედურების მომასწავებელი ამბავი მოხდაო.

ცნობისმოყვარე მსმენელებით გარშემორტყმულმა, მან აუწყა ხალხს შემდეგი: ეთიოპიაში თავისი ლაშქრის გამარჯვებით აღტაცებულმა ვეზირმა ანიმ ბრძანა, თებეს გარნიზონის ყველა მეომრისა და ტაძრის გუშაგებისთვის უხვად გაეცათ ღვინო; მაგრამ სანამ ისინი ნადიმობდნენ, ღმერთ ამონის წმინდა ცხოველთა სადგომში მგლები შეცვივდნენ. ბედად, რამდენიმე ცხოველი გადაურჩა მათ კლანჭებს, მაგრამ ის საუცხოო ცხვარი, რომელიც ომში მიმავალმა რამზესმა მენდესიდან[130] საჩუქრად გამოუგზავნა ტაძარს, გუშაგებმა

[130] წმინდა ვერძებს განსაკუთრებულად ქ. მენდესში სცემდნენ თაყვანს; მანსურის შორიახლოს, ნილოსის დელტაში აღმოჩენილი იყო უძველესი ქალაქის ნანგრევები, სადაც ნაპოვნია უამრავი წარწერა. ამ წარწერებში

დაგლეჯილი იპოვეს. ეს ვერძი, გარდა ამისა, ღმერთმა ამონმა თავისი სულის სათავსოდაც ამოირჩია. შიშისგან ჭკუადაკარგულებმა მაშინვე მთელ ქალაქს მოსდეს ეს სამწუხარო ამბავი. ეს კიდევ არაფერი — იმავე დროს მემფისიდან ცნობა მოვიდა, რომ საღვთო ხარი აპისი გარდაიცვალაო.

როგორც კი სამსხვერპლო სასაკლაოს მმართველმა თხრობა დაამთავრა, შეკრებილებმა ხმამაღალი ტირილი მორთეს, თავად მმართველმა და წინასწარმეტყველ რუის ქვრივმაც ბანი მისცეს მათ.

სახლებიდან ნოქრები და მოხელეები გამოცვივდნენ, საბალზამო დარბაზიდან — ტარიქევტები, პარასქიტები და მათი თანაშემწეები, საფეიქრო სახელოსნოებიდან — მქსოველები და ზედამხედველები. შეიტყვეს რა მომხდარი ამბავი, თავიანთი მწუხარების გამოსახატავად წივილ-კივილი ატეხეს, თავზე მტვერს იყრიდნენ და სახეზე ჭუჭყს ისვამდნენ.

საზარელი და ყურთწამღები ხმაური ატყდა.

როცა ხალხი დაშოშმინდა და ყველა დაიშალა, გარკვევით გაისმა აღმოსავლეთის გრილი ნიავის მიერ მოტანილი ნეკროპოლის მცხოვრებთა გოდება, შეიძლება ის თებეს მცხოვრებთა ხმებიც კი იყო ნილოსის გაღმიდან.

— აბა, ახლა ალბათ ფარაონისგან ცუდი ამბავიც მალე მოვა, — დაბეჯითებით თქვა სასაკლაოს მმართველმა. — ვერძის სიკვდილი, რომელსაც მისი სახელი დავარქვით, გაცილებით მეტად ეწყინება, ვიდრე აპისის გარდაცვალება. დიახ, ცუდის, ძალიან ცუდის მომასწავებელი ნიშანია ეს!

— ჩემმა ცხონებულმა მეუღლემ ოზირის-რუიმ დიდი ხნის წინათ იწინასწარმეტყველა ეს ყველაფერი, — თავმომწონედ

მოცემულია დაწვრილებითი ცნობები ვერძის კულტის შესახებ. (ავტ. შენიშვნა).

განაცხადა წინასწარმეტყველის ქვრივმა. — მე რომ თავს უფლება მივცე, ისეთ რამეს მოგიყვებით, რაც ბევრს არ ესიამოვნებოდა.

სასაკლაოს მმართველმა ჩაიცინა, რადგან იცოდა, რომ ხატშეფსუტის ტაძრის წინასწარმეტყველი დამხობილი დინასტიის თავგამოდებული დამცველი იყო.

— რამზეს-მზეს შეიძლება ღრუბელი გადაეფაროს, მაგრამ მის ჩასვლას ვერ მოესწრებიან ვერც ისინი, ვისაც მისი ეშინია, და ვერც ისინი, ვინც ამაზე ოცნებობს. — მრისხანედ წარმოთქვა მან.

იგი ცივად დაემშვიდობა ყველას და მქსოველთა სახლისაკენ გაემართა, სადაც საქმე ჰქონდა, ხოლო რუის ქვრივი თავის ტახტრევანზე დაბრძანდა, რომელიც ჭიშკართან ელოდებოდა.

მოხუცი პარასქიტი პინემი თავის ამხანაგებთან ერთად, იმის შემდეგ, რაც წმინდა ცხოველების დაღუპვის გამო თავისი მწუხარება გამოთქვა, ახლა გვამების გასაკვეთ დარბაზში, პირდაპირ ქვის იატაკზე იჯდა დანაყრების მოლოდინში, რადგან სადილობის დრო უკვე მოსული იყო.

ქვის დარბაზი, სადაც ის სადილობას აპირებდა, ძუნწად იყო განათებული. სინათლე აქ მხოლოდ სახურავში დატანებული ხვრელიდან აღწევდა; ახლა კი მზე ზენიტში იყო და მისი კაშკაშა სხივები მსჭვალავდნენ იქ გამეფებულ ბინდბუნდს, რომელშიც მტვრის უამრავი ნაწილაკი ციალებდა და დანავარდობდა. კედელთან იდგა ყუთები მუმიებისთვის, ხოლო გაპრიალებულ მაგიდებზე უხეში ქსოვილის ნაჭრებით გადაფარებული გვამები ეწყო. როგორც ღამღამობით, ისე დაშლიგინებდნენ იატაკზე ვირთხები, ხოლო იატაკის ფილებს შორის ფართო ღრეჩოებიდან ნელ-ნელა ამოდიოდნენ მორიელები.

მოხუცი პარასქიტი, უკვე დიდი ხანია, აღარ აქცევდა ყურადღებას იმ საშინელებებს, რასაც ყოველდღიურად იქ ხედავდა. წინ გაიშლიდა ხოლმე ძონძს, ზედ ნელ-ნელა დააწყობდა თავის მცირე ულუფას, რომელსაც დედაბერი ტომსიკით ატანდა: ნახევარ კვერს, ერთ კვნიტ მარილსა და ბოლოკს. მაგრამ ამჯერად ტომსიკაში მოულოდნელად კიდევ რაღაც აღმოჩნდა; გაოცებულმა ბერიკაცმა ხელი ჩაჰყო და ვაზის ფოთოლში შეხვეული ხორცის ნაჭერი ამოიღო. ეს ხომ ბებერმა ხექტმა თებედან უარდას ქურციკის მთელი ბარკალი მოუტანა და მხოლოდ ახლაღა მიხვდა ბერიკაცი, რომ ქალებმა ჩუმად ჩაუდეს იმ ბარკლის ნაჭერი, რათა მაძღრისად ესადილა. გულაჩუყებული უყურებდა ამ გულუხვ ნობათს და ხელის მიკარებასაც ვერ ბედავდა: მას ეგონა, თუ ამ ნაჭერს შეჭამდა, უარდას დააკლდებოდა. როცა თავის კვერსა და ბოლოკს ღეჭავდა, ისე გახედავდა ხოლმე ხორცის ნაჭერს, როგორც რაღაც ძვირფასეულს, ხოლო როცა რომელიღაც ბუზმა გაბედა მასზე დაჯდომა, აღშფოთებულმა ბერიკაცმა მაშინვე გასრისა იგი.

ბოლოს და ბოლოს, პინემმა ვეღარ გაუძლო ცდუნებას და ხორცი შეჭამა. ამ დროს თავისი უწინდელი ტრაპეზი მოაგონდა. რა ხშირად პოულობდა მაშინ ტომსიკაში ყვავილს, რომელსაც უარდა ჩაუდებდა ხოლმე სადილთან ერთად, რათა პაპასთვის ესიამოვნებინა. მოხუცის კეთილ თვალებს ცრემლები მოადგა, გული მადლიერებით აევსო შვილიშვილისადმი მისი ასეთი სიყვარულისთვის. თვალები ასწია და მისი მზერა შემთხვევით იმ მაგიდას მოხვდა, რომელზედაც გვამები ელაგა. „რა დამემართებოდა, — ეკითხებოდა იგი თავის თავს, — წინასწარმეტყველ რუის ადგილას, რომლის გულიც მოვიპარე, იქ იმ მაგიდაზე, უძრავად რომ წოლილიყო ჩემი სიბერის მანათობელი მზე — ჩემი შვილიშვილი“. ამ აზრისგან ბე-

რიკაცს ჟრუანტელმა დაუარა, და ისღა გაიფიქრა, რომ მისი საკუთარი გულიც კი არ იქნებოდა საკმარისი უარდას სიცოცხლის გადამრჩენი ექიმისათვის. მაგრამ მაინც... თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე იმდენი ჭირ-ვარამი და დამცირება აქვს გადატანილი, რომ მეტად ეძნელებოდა უარი ეთქვა საიქიოში უკეთესი ხვედრის იმედზე. ამ ფიქრებით შეწუხებულმა ამოიღო ხელწერილი, რომელიც ექიმმა ნებსეხტმა მისცა, ორივე ხელით მაღლა ასწია, თითქოს ღმერთებს უნდა აჩვენოსო და ქვესკნელის მეუფეთ, განსაკუთრებით კი იმ მსაჯულთ, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დარბაზში რომ სხედან, ლოცვა აღუვლინა, რათა ცოდვად არ ჩაუთვალონ ის, რაც მან სხვისი გულისთვის ჩაიდინა, და უარი არ თქვან წინასწარმეტყველის გამართლებაზე, რომელსაც მან გული მოჰპარა.

სწორედ იმ დროს, როცა მისი სული მორჩილი ლოცვებით ღმერთებთან ამაღლდა, სახლის წინ ხმაური ატყდა. მოხუცს მოესმა, თითქოს კარს იქით მის სახელს ახსენებენ, ის იყო, წამოდგა კიდეც, რათა ყური მიუგდო, რომ კარი ყურთამდე გაიღო, ტარიქევტი შემოვიდა და უბრძანა მას გაჰყოლოდა.

საბალზამო დარბაზების შესასვლელთან, სადაც ფისის სუნი და სხვადასხვანაირი სურნელება ტრიალებდა, ტარიქევტების მთელი ბრბო იდგა... ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ ალებასტრის თასში მოთავსებულ რაღაც საგანს. ბერიკაცს მუხლები მოეკვეთა, როგორც კი ცხვრის გული დაინახა, თავისი ხელით რომ ჩადო წინასწარმეტყველ რუის შიგნეულში.

უფროსმა ტარიქევტმა ჰკითხა, მან გაკვეთა თუ არა გარ დაცვლილი წინასწარმეტყველის გვამი. პინემმა ენის ბორძიკით დაუდასტურა.

— ეს გული ნამდვილად წინასწარმეტყველისაა? — კვლავ ჰკითხა უფროსმა ტარიქევტმა.

ბერიკაცმა თავი დაუქნია.

ამის შემდეგ ტარიქევტებს მოხუცი პარასქიტისთვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ერთ-ერთი მათგანი სადღაც გაიქცა; ცოტა ხანში ისევ დაბრუნდა თებეში ამონის ტაძრის სამსხვერპლო სასაკლაოს მმართველთან ერთად, რომელიც მქსოველთა სახლში ყოფილიყო. მათ ახლდა კოლხიტების უფროსიც.

— აბა, მაჩვენეთ გული, — თქვა ტარიქევტებთან მისულმა მმართველმა. — სიბნელეშიც კარგად გავარჩევ, რა რა არის. ყოველდღიურად, სულ ცოტა, ას გულს მაინც ვამოწმებ. აბა, მომაწოდეთ! ცისა და ქვესკნელის ყველა ღმერთს გეფიცებით, ეს ცხვრის გულია!

— ჩვენ კი რუის მკერდში ვიპოვეთ! — წამოიძახა ერთერთმა ტარიქევტმა. — გუშინ ის ჩვენი თანდასწრებით აი იმ გამოცდილმა პარასქიტმა გააკეთა.

— უცნაურია, — გაწელა მმართველმა. — რაღაც არა მჯერა. ჩემის აზრით, აქ რაღაც შეცდომა მოხდა. გუშინ ალბათ ცხვარი დაკალით და...

— ჩვენ ვმარხულობთ, — შეაწყვეტინა მთავარმა კოლხიტმა მმართველს. — რადგანაც ხეობის დღესასწაულისათვის ვემზადებით და, აგერ უკვე ათი დღეა, უფლება არა გვაქვს საჭმელად რაიმე ცხოველი დავკლათ. ამასთანავე საქონლის ბაკი და სასაკლაო აქედან შორს, საფეიქრო სახელოსნოების იქითაა...

— უცნაურია, — გაიმეორა მმართველმა. — გულდასმით შეინახე ეს გული, კოლხიტო, ან, უმჯობესია, კოლოფში ჩადე.

ამონის ტაძრის პირველ წინასწარმეტყველს წავუღოთ. აქ ნამდვილად რაღაც სასწაული მოხდა

— გული ნეკროპოლს ეკუთვნის, — შეეპასუხა მთავარი კოლხიტი, — და, ვფიქრობ, უფრო მართებული იქნებოდა, ის სეთის სახლის პირველ წინასწარმეტყველს — დიდ ამენის მივუტანოთ.

— ჰო, მაშ, კარგი, აქ ხომ შენ ხარ განმკარგულებელი, — დაეთანხმა მმართველი. — წავიდეთ ამენისთან!

რამდენიმე წუთის შემდეგ მმართველი და მთავარი კოლხიტი თავიანთი ტახტრევნებით ხეობისკენ გაემართნენ. მათ მიჰყვებოდა ორ ვირს შორის დამაგრებულ სკამზე მჯდომი ტარიქევტი, რომელსაც ფრთხილად ეჭირა ხელში სპილოს ძვლის კოლოფი ცხვრის გულით.

მოხუცმა პარასქიტმა დაინახა, როგორ მიეფარა ეს პროცესია იალღუმის ბუჩქებს; მას ერთი სული ჰქონდა, მათკენ გაქცეულიყო და ეღიარებინა ყველაფერი!

მოხუცს სინდისი ქენჯნიდა. თავი მატყუარად მიაჩნდა; სწრაფი აზროვნების უნარს მოკლებული, გონების თვალით ვერ გასწვდებოდა ყველა იმ შედეგს, რაც შეიძლება მოჰყოლოდა მის საქციელს, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ მის მიერ ჩაგდებული თესლიდან შეიძლება ყოველნაირი ცდომილება აღმოცენებულიყო. მას ეჩვენებოდა, რომ ყელამდეა ჩაფლული ცოდვასა და სიცრუეში; რომ ჭეშმარიტების ქალღმერთმა, რომელსაც პირნათლად ემსახურებოდა მთელი თავისი სიცოცხლე, ახლა ზიზღით აღსავსემ ზურგი შეაქცია. ყოველივე მომხდარის შემდეგ იმედი აღარ ჰქონდა, რომ საიქიოს მსაჯულნი შერაცხავდნენ ნეტარად, ყოველთვის მხოლოდ სიმართლეს რომ ლაპარაკობს. მაშ თვითაღკვეთამ და ლოცვებმა ფუჭად ჩაუარეს, მისმა ამდენი ხნის სიცოცხლემ

მიზანი დაკარგა! გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, ყურები უწიოდა, და თავში აზრები ერეოდა. ხოლო როცა ხელახლა მიუბრუნდა თავის სამუშაოს და გვამისთვის ფეხისგულები[131] უნდა მოეშორებინა, ხელები ისე უკანკალებდა, დანის დაჭერაც აღარ შეეძლო.

[131] პრაღის მუზეუმში დაცული ორი მუმიის გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ მათგანს მოჭრილი ფეხისგულები გულმკერდში ჰქონდა ჩადებული. „მიცვალებულთა წიგნის “ 125-ე თავში აღნიშნულია, რომ ეს შეგნებულად კეთდებოდა, რათა ოსირისთან საიქიოს სამსჯავროზე მიწვეულის ფეხებს არ წაებილწათ სასამართლო დარბაზის წმიდათაწმიდა იატაკი.

თავი მერვე

თებეში ღმერთ ამონის წმინდა ცხვრისა და მემფისში ხარის აპისის დაღუპვის ცნობამ, რა თქმა უნდა, სეთის სახლის კედლებამდეც მოაღწია, სადაც ისევე, როგორც ყველგან ამ სამწუხარო ამბავს წივილ-კივილით შეხვდა ტაძრის ყველა ბინადარი, ასტროლოგების მეთაურით დაწყებული და უმცროსი მოწაფეებით დამთავრებული.

ტაძრის მთავარი ქურუმი ამენი უკვე სამი დღეა თებეში იმყოფებოდა და მხოლოდ დღეს უნდა დაბრუნებულიყო. ბევრნი მოუთმენლად ელოდებოდნენ მას. ასტროლოგების მეთაურს, მაგალითად, ერთი სული ჰქონდა, სანამ დასასჯელად გადასცემდა ამენის მის მიერ დაჭერილ მოწაფეებს და დააბეზღებდა პენტაურსა და ბენტ-ანატს. კურთხეულთათვის ცნობილი იყო, რომ ნილოსის გაღმა იმჟამად მეტად მნიშვნელოვანი მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ხოლო აჯანყებულ მოწაფეებს კარგად ესმოდათ, რომ მკაცრი სასჯელი ელოდათ.

მეამბოხენი ერთ პატარა ეზოში ღია ცის ქვეშ ჰყავდათ ჩაკეტილი. მათ მხოლოდ პურისა და წყალს აძლევდნენ, ღამე კი ცარიელ საწყობში თავის თხელ ქვეშაგებზე ეძინათ, რადგან კარცერი მეტისმეტად პატარა იყო და ყველას ვერ დაიტევდა. მოწაფეები მეტად აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ გრძნობები, მათი ახალგაზრდა გულები რომ მოეცვა, როგორც წესი, სხვადასხვანაირად ვლინდებოდა.

ბენტ-ანატის ძმას, რამზესის ძეს — რამერის ისევე მოექცნენ, როგორც მის ამხანაგებს, ჯერ კიდევ გუშინ მხიარულად

რომ თამაშობდნენ მასთან; დღეს კი ყველას ცხვირები ჰქონდა ჩამოშვებული.

ეზოს ერთ კუთხეში სახეზე ხელაფარებული იჯდა პენტაურის საყვარელი მოწაფე, ყმაწვილი ანანა. რამერი მასთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— რაკი ეს დავიდარაბა ავტეხეთ, ავად იქნება თუ კარგად, ჩვენვე უნდა მოვუაროთ. ხომ იცი, ძაღლი ვინც მოკლას, იმანვე გადაათრიოსო. არა გრცხვენია, ყველაფერზე გეტირება, ეს წვეთებიც შენს თითებზე ღრუბლიდან ხომ არ დაგცემია. გრცხვენოდეს! შენ ხომ უკვე ჩვიდმეტი წლისა ხარ, რამდენიმე თვეში მწერალი გახდები და დამოუკიდებელი კაცი იქნები.

ანანამ მეგობარს შეხედა, თვალები სასწრაფოდ მოიწმინდა და მიუგო:

— მე ვიყავი წამომწყები. ამენი სკოლიდან გამაგდებს და იძულებული ვიქნები შერცხვენილი დედას დავუბრუნდე, მას ხომ ჩემს მეტი არავინ ჰყავს ამ ქვეყანაზე.

— საბრალო ბიჭი! — ნაღვლიანად წარმოთქვა რამერიმ. — მართლაც შავად გქონია საქმე! ნეტავი ჩვენი გამოხდომით დავხმარებოდით მაინც პენტაურს.

— ჩვენ კი მხოლოდ ზიანი მივაყენეთ! — ჩაილაპარაკა ანანამ. — თანაც მეტად უჭკუოდ ვმოქმედებდით!

რამერიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია; მცირე ხნით ჩაფიქრებული მიწას მისჩერებოდა, შემდეგ კი თქვა:

— იცი, ანანა, სულაც არ ყოფილხარ შენ მოთავე! აი ამ თავში დამებადა ჩვენი ბრიყვული გამოხდომის გეგმა. თქვენ კი მხოლოდ მხარი დამიჭირეთ მის განხორციელებაში. ამიტომაც ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. მე ფარაონ რამზესის ვაჟიშვილი ვარ და, ვფიქრობ, ამენი უფრო ლმობიერად მომექცევა, ვიდრე თქვენ!

— ის ყველას დაგვკითხავს, — შეეპასუხა ანანა. — რაც იქნება, იქნება, მე კი ტყუილს არ ვიტყვი!

რამერი გაწითლდა და წამოიძახა:

— ნუთუ ოდესმე გაგიგონია, რომ ჩემმა ენამ შესცოდა სიმართლის, ღმერთ რას ამ წმინდა ქალიშვილის წინაშე? ჰეი, თქვენ, მომისმინეთ! ანტეფ, ხაპი, სენთ, ყველამ! მიპასუხეთ კითხვაზე: ხომ მე წაგაქეზეთ ამ აჯანყებაზე? მე არ გირჩიეთ, პენტაური მოგვეძებნა? განა მე არ დაგემუქრეთ, მამაჩემს ვთხოვ-მეთქი, სეთის სახლიდან წამომიყვანოს? ეს საქციელი მე არ ჩაგადენინეთ? კი თუ არა? მაშ იცოდეს ყველამ და შენც, ანანა! მე ვარ მოთავე, და როცა დაკითხვას დაგვიწყებენ, პირველს სიტყვა მე მომეცით. ანანას სახელი არავინ ახსენოს, გესმით, არავინ! დაე, ჯოხითაც გვცემონ! დაე, შიმშილით ამოგვხოცონ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას გავიტანთ — ყველაფერში მე ვარ დამნაშავე!

— ყოჩაღ! — უთხრა ამონის ტაძრის პირველი წინასწარმეტყველის ვაჟმა და მაგრად მოუჭირა თითები რამერის მარჯვენაზე, რადგან მარცხენა ხელი მას ანანამ ჩამოართვა.

რამერიმ სიცილით გაინთავისუფლა ხელები და წამოიძახა:

— მოხუცი ახლა რომ მოვიდეს კიდეც, ჩვენ სრულ მზადყოფნაში დავუხვდებით. თუმცა მე მაინც არ შევცვლი ჩემს გადაწყვეტილებას და, რამერი არ ვიყო, თუ მამაჩემს არ ვთხოვო ხენუში ან ონში[132] გამაგზავნოს, ან არადა, პენტაური უკან დააბრუნონ.

---

[132] ონ — ბერძნულად ჰელიოპოლისი ანუ მზის ქალაქი, ეგვიპტის ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანი, განთქმული თავის დროზე ქურუმთა სკოლით.

— მაგრამ ის ხომ ისე მოგვექცა, როგორც უგუნურ ანცებს! — აღშფოთებით წამოიძახა მოწაფეთა შორის ყველაზე უფროსმა.

— მართალიც იყო, — შეეპასუხა რამერი. — და ამისათვის უფრო მეტად ვაფასებ. თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ მე ქარაფშუტა ბიჭი ვარ, მაგრამ მე საკუთარი მოსაზრებები მაქვს და სწორედ ახლა გადავწყვიტე გაუწყოთ დიდი სიბრძნე.

რამერის სახეზე კომიკური სერიოზულობა აღებეჭდა, მან ამხანაგებს გადახედა და ამენის ხმით ალაპარაკდა:

— დიდი ადამიანი არარაობისგან იმით განსხვავდება, რომ მას ყველაფერი სძაგს, რაც კი მის თავმოყვარეობას ეამება, და იმ წუთში სასიამოვნოდ ან სასარგებლოდაც კი ეჩვენება, თუ ეს არ ეთანხმება კანონს, რომელსაც ის აღიარებს და იმ ამაღლებულ მიზნებს, რომლებიც მან დაისახა, და რომელთაც ალბათ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ უწერიათ განხორციელება. მე ეს ნაწილობრივ მამაჩემისგან მაქვს გაგონილი, ხოლო დანარჩენს თვითონ მივხვდი. და აი თქვენ გეკითხებით: შეეძლო თუ არა პენტაურს, ამ დიდ ადამიანს, სხვანაირად მოგვქცეოდა?

— შენ ზუსტად ის თქვი, რასაც გუშინდელს აქეთ გული მეუბნება! — წამოიძახა ანანამ. — ჩვენ უგუნური ბავშვებივით მოვიქეცით და იმის მაგივრად, რომ ჩვენი გაგვეტანა, ზიანი მივაყენეთ საკუთარ თავსაც და პენტაურსაც...

უცებ მოახლოებული ეტლის ხმა მოისმა, რამერიმ ანანას შეაწყვეტინა და თქვა:

— აი ისიც! გამაგრდით, ბიჭებო! და გახსოვდეთ — მოთავე მე ვარ. ჩემი ჯოხით ცემის უფლება მას არა აქვს, თვალებით კი თუნდაც მიწასთან გამასწოროს!

ამენი სწრაფად ჩამოვიდა ეტლიდან. მეკარემ მოახსენა, რომ მას კოლხიტების მეთაური და ამონის ტაძრის სამსხვერ-პლო სასაკლაოს მმართველი კითხულობდნენ.

— დამელოდონ, — მოუჭრა პასუხი სეთის სახლის პირველ-მა წინასწარმეტყველმა. — ბაღში შეიყვანე. მთავარი ასტრო-ლოგი სადაა?

მეკარემ პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ მოხუცი ას-ტროლოგი მკვირცხლად გამოქანდა ჭიშკრისკენ იმ განზრახ-ვით, რომ ზუსტად ჩაეკაკლა ამენისთვის, რაც კი მის არყოფ-ნაში მოხდა. მაგრამ მთავარმა ქურუმმა ჯერ კიდევ თებეში შე-იტყო ყველაფერი.

ჩვეულებრივ, როცა კი სადმე მიემგზავრებოდა, მისი ბრძა-ნებით ყოველდილა მოახსენებდნენ ხოლმე იმას, რაც კი სე-თის სახლში მოხდებოდა. ამიტომაც, როგორც კი ასტროლო-გების მეთაურმა ლაპარაკი დაიწყო, ამენიმ მედიდურად შეაწ-ყვეტინა:

— ეს ყველაფერი კარგად ვიცი. პენტაურის მოყვარულმა მოწაფეებმა მისი გულისათვის უგუნურება ჩაიდინეს. ხატშეფ-სუტის ტაძარში მეფის ასული ბენტ-ანატი გინახავს პენტაურ-თან ერთად. გარდა ამისა, ქურუმს ნება დაურთავს ტაძარში შესულიყო უბრალო ქალი, რომელსაც არ ჰქონია ჩატარებუ-ლი განწმენდის წეს-ჩვეულება. ყველაფერი ეს მეტად მკაცრ სასჯელს იმსახურებს, მაგრამ დღეს ამისთვის არა გვცალია. დამშვიდდი! პენტაური სასჯელს ვერ გაექცევა; მაგრამ საქმე ისაა, რომ ის სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთ უკან სეთის სახ-ლში, რამეთუ ხვალ ხეობის დღესასწაულზე იქნება საჭირო. ხოლო, სანამ არ დაგვისჯი, ყველა ალერსიანად უნდა შევ-ხვდეთ; მე გთხოვ ამას და გავალებ, ყველას იგივე გადასცე.

მოხუცმა ასტროლოგმა დააპირა კიდეც აეწერა ამენისთვის ყველა ის საშინელება, რაც უეჭველად მოჰყვება ამ ნაადრევ ლმობიერებას, მაგრამ მთავარმა ქურუმმა შეაწყვეტინა და თავისი ბეჭედი მოითხოვა. შემდეგ ერთ ახალგაზრდა ქურუმს მოუხმო, გადასცა ძვირფასი ბეჭედი, უბრძანა ასულიყო მის ეტლში და მისი სახელით ებრძანებინა პენტაურისთვის, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო სეთის სახლში.

გულში ძლიერ ნაწყენი ასტროლოგი ბრძანებას დაემორჩილა, მაგრამ მაინც იკითხა:

— მოწაფეების დანაშაულიც დაუსჯელი დავტოვოთ?

— დიახ, — მშვიდად უპასუხა ამენიმ. — კი, მაგრამ, აზრად როგორ მოგივიდა, ამ ბავშვური გამოხდომისათვის დანაშაული გეწოდებინა? დაე, ყმაწვილებმა იხმაურონ და იხტუნაონ. აღმზრდელს შეუძლია სულ უბრალოდ დაღუპოს თავისი აღსაზრდელი, თუ ზოგჯერ თვალს არ დახუჭავს მის საქციელზე. ვიდრე ცხოვრება სერიოზული მოვალეობისკენ მოგვიწოდებდეს, მოჭარბებულ ძალ-ღონეს ძლივს ვიოკებთ. ბავშვი მას თამაშში ხარჯავს, ხოლო ოცნების ჩაქუჩითა და სატეხით შეიარაღებული ყმაწვილი კი მისგან ჯადოსნურ სამყაროს აგებს, ან უბრალოდ უგუნურ გამოხდომებზე ხარჯავს. შენ თავს აქნევ, სეფტა, მე კი ისევ და ისევ გიმეორებ: ანცი ბიჭის ოინები მომავალი ვაჟკაცის საგმირო საქმეების საწინდარია! ამ გამოხდომისათვის პასუხს მოვთხოვ მხოლოდ ერთ ყმაწვილს, ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ განსაკუთრებული მიზეზები მაიძულებს ჩამოვაშორო ის ჩვენს დღესასწაულს.

მოხუც ასტროლოგს მეტი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, რადგან კარგად იცოდა, რომ, როცა ამენის თვალები აუელვარდებოდა, ხოლო მის ყოველთვის თავშეკავებულ მიხრა-

მოხრას სიფიცხე დაეტყობოდა, — მაშასადამე, მნიშვნელოვანი ამბები იყო მოსალოდნელი.

მთავარმა ქურუმმა ასტროლოგს ცვლილება შეამჩნია:

— ჯერჯერობით ჩემი არ გესმის, — უთხრა მან. — მაგრამ ამ საღამოს, კურთხეულთა კრებაზე, ყველაფერს შეიტყობ. დიდი საქმეები წყდება! ამონის ტაძრის ქურუმები უარს ამბობენ იმაზე, რაც ჩვენ, თეთრ ტანსაცმელში შემოსილებს წმიდათაწმიდად მიგვაჩნია. ისინი გზაზე გადაგვიდგებიან, როცა მოქმედების დრო დადგება. ხეობის დღესასწაულზე ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდებით. ყველა თებელი მიიღებს მონაწილეობას ზეიმში, და აი მაშინ კი გამოჩნდება, ვინ უფრო ღირსეულად ემსახურება ღვთაებას — ჩვენ თუ ისინი. ჩვენ ალბათ მთელი ძალების დაძაბვა მოგვიხდება და, რა თქმა უნდა, პენტაურის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. ხვალ ის უნდა გამოვიდეს, როგორც ხერხები,[133] მაგრამ ეს მხოლოდ ერთ დღეს გასტანს, ზეგ კი სასამართლოს წინაშე წარსდგება. რამდენადაც ვიცი, იმ დაუდეგარ ბიჭებს შორის ჩვენი საუკეთესო მგალობლები არიან, მათ შორის ყმაწვილი ანანაც: გუნდში ის ყოველთვის სიმღერის წამომწყებია. მე დაუყოვნებლივ დავკითხავ მათ. მითხარი, რამზესის ვაჟიც იყო აჯანყებულთა შორის?

— მე მგონია, ის ერთ-ერთი მოთავეა, — უპასუხა ასტროლოგმა.

---

[133] ხერხები — ქურუმის ერთ-ერთი თანამდებობა, სწავლული ან წმინდა წიგნის მწერალი; ხერხებს იმ შემთხვევაში მოუხმობდნენ, როცა, მაგალითად, ფარაონის ვაჟისათვის სახელი უნდა დაერქმიათ. გარდა ამისა, სადღესასწაულო ცერემონიების დროს ხერხები კითხულობდა ძველ წმინდა გამონათქვამებს და წარმოთქვამდა ქადაგებას.

ამენიმ მოხუცს შეხედა, მრავალაზროვნად ჩაიცინა და თქვა:

— დიდებულ სახელს კი იხვეჭს ფარაონის მოდგმა! ჩვენ იძულებული გავხდით, მისი უფროსი ქალიშვილი როგორც წაბილწული და, ამასთან ერთად, მეტად ჭირვეული ზნის პატრონი ჩამოგვეშორებინა მორწმუნეებსა და ტაძარს! ახლა კი ალბათ მოგვიწევს მისი ვაჟის დათხოვნაც სკოლიდან. რა შეშინებული მიყურებ? აკი გითხარი, მოქმედების დრო დადგამეთქი. თუმცა ამაზე საღამოს ვილაპარაკოთ! ახლა კი აი ეს მითხარი: გაიგეთ თუ არა ამონის წმინდა ვერძის დაღუპვის ამბავი? ჰოო? ის ხომ ტაძარს თვით რამზესმა აჩუქა და ამიტომაც ფარაონის სახელი დაარქვეს. ეს ავისმომასწავებელი ნიშანია!

— კი მაგრამ, აპისიც რომ გარდაიცვალა, — თქვა ასტროლოგმა და ნაღვლიანად აღაპყრო ხელები.

— მისი ღვთიური სული სამყაროს სულის წიაღს დაუბრუნდა, — წარმოთქვა ამენიმ. — ჩვენ ახლა უამრავი საქმე გვაქვს და, უწინარეს ყოვლისა, მდინარის გაღმელ მოძმეთა ღირსეულ მოწინააღმდეგეებად უნდა გამოვჩნდეთ, რათა გადმოვიბიროთ თებეს მოსახლეობა. ხვალინდელი ზეიმი ჭეშმარიტად გრანდიოზული უნდა იყოს. ვეზირმა ამისათვის დიდძალი თანხა გამომიყო...

— ჩვენს სასწაულთმოქმედთ, — სიტყვა ჩამოართვა ასტროლოგმა, — მართლაც შეუძლიათ სასწაულების მოხდენა; აბა, ამონის ტაძრის უქნარებს კი არა ჰგვანან, ქეიფებს რომ არიან გადაყოლილი იმ დროს, როცა ჩვენ საკუთარი სრულყოფისათვის ვიღვწით.

ამენიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჩაიცინა:

— და ხალხსაც ჩვენ უფრო ვჭირდებით, ვიდრე ის ქურუმები. ისინი ხალხს მხოლოდ სიცოცხლეში მფარველობენ, ჩვენ კი სიკვდილის გზას ვუკვალავთ. სინათლეზე უფრო იოლია სიარული გამცილებლის გარეშე, ვიდრე ქვესკნელის წყვდიადში. აი ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, ღონეში გავეჯიბრებით ამონის ქურუმებს!

— ვიდრე შენ მიგვიძღვები წინ, ჩვენ არ შევდრკებით! — წამოიძახა ასტროლოგმა.

— და ვიდრე ამ ტაძარს ისეთი ჭკვიანი ხალხი ეყოლება, როგორიც თქვენა ხართ, — დასძინა ამენიმ და გადახედა ასტროლოგსა და სეთის სახლის მეორე წინასწარმეტყველს — მოხუცსა და, ცოტა არ იყოს, უხეშ გაგაბუს, რომელიც, ის იყო, მათთან მივიდა.

სამივენი ბაღისკენ გაემართნენ; იქ მთავარ ქურუმს ამონის ტაძრის სასაკლაოს მმართველი და კოლხიტების მეთაური ელოდებოდათ, რომლებსაც თან ცხვრის გული მოეტანათ.

ამენი ამონის ტაძრის სასაკლაოს მმართველს მედიდური გულითადობით მიესალმა, ხოლო კოლხიტების მეთაურს — მხოლოდ კეთილშობილური თავდაჭერილობით. მთავარმა ქურუმმა მოუსმინა მათ, ასტროლოგთან და გაგაბუსთან ერთად დაათვალიერა კოლოფში მოთავსებული გული, შემდეგ გაუბედავად აიღო ის თავისი თხელი თითებით, ჩაფიქრებულმა დახედა სხვადასხვა წამლებით დამუშავებულ გულს, რომელსაც მკვეთრი სუნი ასდიოდა, და სერიოზულად წარმოთქვა:

— შენ, კოლხიტო, ადასტურებ, რომ ეს ადამიანის გული არ არის, ხოლო შენ, ჩემო მოძმე ამონის ტაძრიდან, გვარწმუნებ, რომ ეს გული ცხვრისაა და ოზირის-რუის მკერდში აღმოჩნდა. თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენ ისეთი გამოცანის წინაშე ვდგა-

ვართ, რომლის გამოცნობა მხოლოდ ღმერთებს შეუძლიათ. მომყევით დიდ ეზოში! გაგაბუ, უბრძანე ოთხჯერ შემოჰკრან გონგს, რათა ყველა ჩვენი მოძმენი შეიკრიბონ.

გონგის მძლავრმა ხმამ უშველებელი ტაძრის ყველაზე დაშორებულ კუთხეებამდეც კი მიაღწია. კურთხეულებმა, წმინდა მამებმა და მოწაფეებმა სულ რაღაც რამდენიმე წამში აავსეს დიდი ეზო. მოვიდა ყველა, ვისაც კი ფეხზე დგომა შეეძლო, იმიტომ რომ გონგის ოთხი დაკვრა მეტად იშვიათი მოვლენა იყო, და სეთის სახლის უკლებლივ ყველა ბინადარს მოუხმობდა უეჭველად შეკრებილიყვნენ ტაძრის დიდ ეზოში. მოვიდა ექიმი ნებსეხტიც; როცა გონგს მეოთხედ შემოჰკრეს, იგი შეშფოთდა, ხანძარი ხომ არ გაჩნდაო.

ამენიმ განკარგულება გასცა ყველა პროცესიისათვის დაწყობილიყო; თავზარდაცემულ ღვთის მსახურთ აუწყა, რომ ხატშეფსუტის ტაძრის ღვთისმოსავი მეთაურის მკერდში ადამიანის გულის ნაცვლად ცხვრის გული აღმოჩნდა, და ბრძანა ყველა მას გაჰყოლოდა; დაე, თითოეულმა მუხლი მოიყაროს და ილოცოსო, თქვა მან. თავად კი ამასობაში გულს ტაძარში შეიტანდა და ღმერთებს ჰკითხავდა, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს სასწაული.

ამენი გულით ხელში სათავეში ჩაუდგა გრძელ პროცესიას და მალე ტაძრის ფარდებს მიეფარა. კურთხეულნი ტაძრის მომიჯნავე ექვსსვეტიან დარბაზში ლოცულობდნენ დანარჩენი ქურუმები და მოწაფეები კი — ფართო ეზოში, რომელიც დასავლეთის მხრიდან მწყობრი კოლონადითა და ტაძარში შემოსასვლელი ჭიშკრით იყო შემოვლებული.

ერთ საათამდე დაჰყო ამენიმ წმინდა სავანეში, საიდანაც საკმევლის კვამლი ბოლქვებად გამოდიოდა. ბოლოს კვლავ გამოჩნდა, ხელში ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს თასი

ეჭირა. ამენის მდიდრული ტანსაცმელი ემოსა. ქურუმი, რომელმაც თასი ჩამოართვა, მის წინ მიაბიჯებდა და მაღლა აშვერილი ხელებით ისე მიჰქონდა, თითქოს თასი თვითონ მიცურავსო ჰაერში. ამენი თვალს არ აცილებდა თასს, რომელსაც კვერთხზე დაყრდნობილი მიჰყვებოდა და დროდადრო მისალმების ნიშნად თავს დაბლა ხრიდა.

კურთხეულებმა ისე დაბლა დახარეს თავი, რომ შუბლით თითქმის შეეხნენ ეზოს ქვის ფილებს, ხოლო ქურუმებმა და მოწაფეებმა, დაინახეს რა, რომ მათი ამაყი მოძღვარი ასეთი მორჩილი და ღვთისმოსავი სახით გამოდიოდა ტაძრიდან, მიწაზე დაემხნენ. როცა ამენი შუა ეზოში გაჩერდა, შემდეგ კი კიბით ავიდა საკურთხევლამდე, სადაც უკვე იდგა ჭურჭელი შიგ მოთავსებული გულით, მხოლოდ მაშინ წამოდგნენ მლოცველები და სმენად გადაიქცნენ. მთავარმა ქურუმმა რიხიანი ხმით, აუჩქარებლად, დიდი ამბით აუწყა ყველას:

— ერთხელ კიდევ დაემხეთ პირქვე! გაიოცეთ, ილოცეთ და მადლი შესწირეთ! თებეში ამონის ტაძრის სამსხვერპლო სასაკლაოს კეთილშობილი მმართველი არ შემცდარა, რამეთუ ჩვენი რუის ღვთისმოსავ მკერდში ნამდვილად აღმოჩნდა ვერძის გული. აშკარად გავიგონე საკურთხეველში ღვთაების ხმა და სასწაულებრივი იყო მისი სიტყვები, აი ამ ყურებით რომ მოვისმინე. მგლებმა დაგლიჯეს ამონის წმინდა ვერძი ნილოსის გაღმა, მაგრამ ღვთიური ცხოველის გული ღვთისმოსავი რუის მკერდში გადასახლდა. უდიდესი სასწაული მოხდა, და ჭეშმარიტად ღირსეული ნიშანიც მოგვევლინა ჩვენ! ღვთაებას არ სურდა, რომ მისი გული არასაკმარისად წმინდა ვერძის სხეულში დარჩენილიყო; ის წმინდა ადგილს ეძებდა თავისთვის და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი რუის კეთილშობილურ მკერდსა და ამ ნაკურთხ ჭურჭელში ჰპოვა იგი. მასში

დარჩება წმინდა გული მანამ, სანამ უფრო ღირსეული ხელის მიერ შეწირული ახალი ვერძი არ შევა ღმერთ ამონის თავლაში. ამ გულს უმთავრეს რელიკვიად შევრაცხავთ: მას სნეულთა განკურნვის უნარი შესწევს. ეს სასიკეთო ამბავი წინასწარმეტყველის ხმამ გვამცნო, საკმევლის კვამლში რომ გაისმა. და, თქვენ, თქვენი ყურით სიტყვასიტყვით უნდა მოისმინოთ ის, რაც თქვა მან: „მაღალი კიდევ უფრო ამაღლდება, ხოლო ის, რამაც სიმაღლის მწვერვალს მიაღწია, მალე მიწასთან გასწორდება“. პასტოფორებო, ადექით! გამოიტანეთ წმინდა ქანდაკებები, დაე, პროცესიას წინ წაუძღვეს ეს ჭურჭელი შიგ მოთავსებული გულით, და ჩვენ კი სამადლობელი ლოცვით გარს შემოვუვლით ტაძარს. თქვენ კი, ნეოკორებო, აიღეთ კვერთხები და მთელ ქალაქს აუწყეთ უდიდესი სასწაული — ღვთაების მიერ ზეგარდმოვლენილი წყალობა!

როგორც კი პროცესიამ ტაძარს შემოუარა და ეზოში აღარავინ დარჩა, სამსხვერპლო სასაკლაოს მმართველმა მდაბლად დაუკრა თავი ამენის და მეტად ცივად, თითქმის მტრულადაც კი თქვა:

— ჩვენ ამონის ტაძარში უთუოდ პატივისცემით მოვეპყრობით იმას, რაც შენ საკურთხეველში გაიგონე. სასწაული აღსრულდა. რახან ასეა, დაე, ფარაონმაც შეიტყოს, როგორ მოხდა ყოველივე და რა სიტყვებით აუწყეს ხალხს ამის შესახებ.

— აუწყეს ღვთაების სიტყვებით, — ღირსეულად მიუგო მთავარმა ქურუმმა, თავი დაუკრა მმართველს და ქურუმთა ჯგუფს მიუბრუნდა, გატაცებით რომ მსჯელობდნენ ამ უდიდეს მოვლენაზე.

ამენიმ ჰკითხა მათ, თუ როგორ ემზადებიან ხვალინდელი დღესასწაულისათვის, ბრძანა მოეხმოთ ასტროლოგების მე-

თაური და განკარგულება გასცა აჯანყებული აღსაზრდელები სკოლის ეზოში გამოეყვანათ.

მოხუცმა პენტაურის დაბრუნება მოახსენა ამენის და მთავარ ქურუმთან ერთად განთავისუფლებული ტყვეებისკენ გაემართა. ამ დროს კი ყმაწვილები, უარესის მოლოდინში რომ იყვნენ, სიცილით იხოცებოდნენ, რადგანაც მეფისწულმა რამერიმ წინადადება შემოიტანა, თუკი შიშველი მუხლებით ცერცვის მარცვლებზე დააყენებდნენ, პირველ რიგში, მოეხარშათ ეს ცერცვი.

— ჩვენ გრძელი სატაცურით[134] გაგვიმასპინძლდებიან და არა ცერცვით, — თქვა ერთ-ერთმა მოწაფემ და ხელი ისე აიქნია, თითქოს ჯოხით სცემსო ვიღაცას.

ხელახლა გაისმა თავშეკავებული სიცილი, მაგრამ მაშინვე შეწყდა, რადგანაც მოწაფეებს ამენის კარგად ნაცნობი ნაბიჯების ხმა შემოესმათ.

ყმაწვილები შიშმა აიტანა, ხოლო როცა მათ წინ მთავარი ქურუმი წარსდგა, თვით რამერისაც კი ნირი წაუხდა. თუმცა ამენის თვალებში რისხვის ან მუქარის ნატამალიც კი არ ჩანდა, მისი გამოხედვა მაინც შიშის ზარს სცემდა ყველას, და თითოეული მათგანი ისე უყურებდა მთავარ ქურუმს, როგორც მსაჯულს, რომლის განაჩენის წინააღმდეგაც ამაოა ყოველგვარი თავისმართლება.

მაგრამ ყველას გასაკვირად ამენიმ დაუყვავა უგნურ ყმაწვილებს, შეუქო გრძნობა, რომელმაც ეს საქციელი ჩაადენინათ — სიყვარულმა თავიანთი ნიჭიერი მოძღვრისადმი. შემ-

---

[134] ეგვიპტელები იცნობდნენ სატაცურს; კერძოდ, პლინიუსის თქმით, კბილის ტკივილის დროს პირში სავლებად იყენებდნენ ღვინოს, რომელშიც მოხარშული იყო სატაცური. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

დეგ წყნარად და თავშეკავებულად აუხსნა მათ, როგორი უაზრო ხერხით მოიწადინეს მიზნის მიღწევა.

— წარმოიდგინე, — მიმართა მან ფარაონის ძეს, — რომ შენს მეფე მამას სირიიდან ეთიოპიაში გადაეყვანა რომელიმე მხედართმთავარი, ჩაეთვალა რა, რომ ის იქ უფრო საჭიროა და ამის გამო ამ სარდლის მეომრებიც მტრის მხარეზე გადასულიყვნენ. როგორ მოგეწონებოდა ეს?

რამდენიმე წუთს კიდევ საყვედურობდა მათ, შემდეგ კი უდიდესი სასწაულის აღსანიშნავად შეჰპირდა შემწყნარებლობა გამოეჩინა მათ მიმართ. თუმცა, რათა შემდგომში ჭკუა ისწავლონ, დასძინა მან, მათი დანაშაულის დაუსჯელად დატოვება მაინც არ შეიძლებაო. მთავარ ქურუმს სურს იცოდეს, ვინ არის ამ საქმის მოთავე; ვინც არ უნდა იყოს, დაისჯება მხოლოდ ის.

ამის თქმა და რამერის წინ გამოსვლა ერთი იყო.

— ჩვენ ვაღიარებთ, წმინდა მამაო, რომ უგუნური საქციელი ჩავიდინეთ, — დაიწყო მან, — და მე პირადად ორმაგად ვწუხვარ ამას, ვინაიდან მოთავე მე ვიყავი და დანარჩენები ავიყოლიე. მე ძალიან მიყვარს პენტაური და მიმაჩნია, რომ შენს შემდეგ მთელ სეთის სახლში მას ბადალი არა ჰყავს.

ამენი მოიღუშა და ბრაზმორეული ხმით შეეპასუხა:

— მოწაფეებს არა აქვთ უფლება თავიანთი დამრიგებლები განსაჯონ. ფარაონის შვილი რომ არ იყო, რომელიც ღმერთ რასავით მეფობს მთელ ეგვიპტეში, ასეთი წინდაუხედავი საქციელისათვის ლაზათიანად გაგჯოხავდი. მაგრამ ხელები შეკრული მაქვს, მაშინ, როცა ორივე ხელი ყოველთვის თავისუფალი უნდა მქონდეს, რათა ტანჯვა-წამება ავარიდო ათასობით ადამიანს, ჩემი ზედამხედველობის ქვეშ რომ იმყოფებიან.

— მე დამსაჯე მხოლოდ! — წამოიძახა რამერიმ. — რადგან სულელურად მოვიქეცი, ყველაფრისთვის პასუხიც მე უნდა ვაგო.

ამენიმ კმაყოფილებით შეხედა აღელვებულ ყმაწვილს. იგი სიამოვნებით ჩამოართმევდა კიდეც მას ხელს და ხუჭუჭა თმაზე ხელს გადაუსვამდა, მაგრამ სასჯელი, რომელიც რამერისთვის ჰქონდა ჩაფიქრებული, უმაღლესი მიზნების შესაბამისი უნდა ყოფილიყო, და ამიტომაც მთავარმა ქურუმმა გულში ჩაიხშო აღძრული გრძნობა, რათა მას ხელი არ შეეშალა მისი ჩანაფიქრის განხორციელებაში. მისი ხმა მკაცრად და სერიოზულად ჟღერდა, როცა ჭაბუკს ეუბნებოდა:

— მე უნდა დაგსაჯო და გავაკეთებ კიდეც ამას! გთხოვ დღესვე დატოვო სეთის სახლი!

რამერი გაფითრდა, მთავარი ქურუმი კი თავის სათქმელის განაგრძობდა:

— მე შერცხვენილს კი არ გაგდებ ჩვენი რიგებიდან, — ამენის ხმა თითქოს მოულბა კიდეც, — არამედ გულმოწყალედ გემშვიდობები. რამდენიმე კვირაში შენ ისედაც უნდა წახვიდე ჩვენი სკოლიდან — ასე ბრძანა რამზესმა, დაე, დღეგრძელობდეს, ჯანმრთელი და ძლიერი იყოს ფარაონი, და გაემგზავრო მეეტლეთა სასწავლო ბანაკში. ამიტომ არ შემიძლია სხვანაირად დაგსაჯო. ახლა კი ხელი მომეცი; შენგან ღირსეული ადამიანი დადგება და, შეიძლება, დიდი გმირიც!

გაოცებული და დაბნეული იდგა რამერი მთავარი ქურუმის წინაშე, მაგრამ გამოწვდილი ხელი არ ჩამოურთმევია. მაშინ ამენი თავად მიუახლოვდა და უთხრა:

— აკი თქვი, რომ მზად ხარ აიტანო საკუთარი უგუნურების ყველა შედეგი, მეფისწულის სიტყვა კი ურყევია. მაშ ასე, მზის ჩასვლამდე ტაძრიდან გაგისტუმრებთ.

მთავარი ქურუმი მკვეთრად შემობრუნდა და სკოლის ეზოდან გავიდა. რამერიმ მიმავალს თვალი გააყოლა; მკვდრის ფერი ედო მის ნორჩ ცოცხალ სახეს, გაცრეცილი ტუჩები მაგრად მოეკუმა.

არც ერთი ამხანაგი არ მიჰკარებია მას. თითოეულს კარგად ესმოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ამ ყმაწვილის გულში და იცოდა, რომ ყოველგვარი ჩარევა უადგილო იქნებოდა. კრინტი არავის დაუძრავს. ყველა უხმოდ შეჰყურებდა რამერის. მან თავიდანვე შეამჩნია ეს, შეეცადა თავი ხელში აეყვანა, ხელი გაუწოდა ანანასა და ერთ-ერთ მეგობარს, და წყნარად ჰკითხა:

— ნუთუ მე ისეთი ცუდი ვარ, რომ ასე სასწრაფოდ მაგდებენ აქედან და საჭიროდ თვლიან, მამაჩემს, ესოდენი გულისტკივილი მიაყენონ?

— შენ არ მოინდომე ამენისთვის ხელი ჩამოგერთმია! — წამოიძახა ანანამ. — ახლავე წადი, ბოდიში მოუხადე, სთხოვე, ასე სასტიკად ნუ მოგექცევა და მაშინ ეგებ დაგტოვოს კიდეც სკოლაში.

— არა!— მოუჭრა რამერიმ. და ეს „არა!“ ისე მტკიცედ წარმოთქვა, რომ ყველა, ვინც კი ამ ყმაწვილს იცნობდა, მაშინვე მიხვდა — სხვა გადაწყვეტილება არც იქნებოდა.

ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე რამერიმ დატოვა სკოლა, ამენიმ თავისი მოწაფე დალოცა და უთხრა, რომ დროთა განმავლობაში, როცა მას თვითონ მოუწევს მბრძანებლობა, ის გაუგებს თავის მოძღვარს, და ყმაწვილებს დართო ნება მეგობარი ნილოსის ნაპირამდე მიეცილებინათ. ჭიშკართან მას გულთბილად დაემშვიდობა პენტაური.

როცა რამერი კარისკაცთან ერთად მარტო დარჩა მოოქ-რული ორჩხომელის კაიუტაში, მან იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ნუთუ მეფისწული ტირის? — ჰკითხა კარისკაცმა.

— ეს საიდანღა მოიტანე? — მკვახედ უპასუხა ფარაონის ვაჟმა.

— მომეჩვენა, თითქოს ცრემლები დავინახე მეფისწულის თვალებზე.

— კი, კი, ცრემლები! ეს ხომ სიხარულის ცრემლებია, იმი-ტომ რომ, როგორც იქნა, თავი დავაღწიე ხაფანგს! — შესძახა რამერიმ, ნაპირზე გადახტა და რამდენიმე წუთში უკვე სასახ-ლეში, თავის დასთან ბენტ-ანატთან იყო.

თავი მეცხრე

მოვლენებით აღსავსე ამ დღემ ბევრი რამ მოულოდნელი მოუტანა არა მარტო მკვდართა ქალაქის ბინადართ, არამედ თებეს მცხოვრებთ და მათთან ერთად ჩვენი მოთხრობის გმირებსაც.

თეთრად გათენებული ღამის შემდეგ ქათუთი ალიონზე წამოდგა. ნეფერტი წუხელ ძალიან გვიან დაბრუნდა შინ, დედას ბოდიში მოუხადა დაგვიანებისთვის, მოკლედ უთხრა, ბენტანატთან შევყოვნდიო, მერე კი მორჩილად მიუშვირა შუბლი საკოცნელად.

როცა ქათუთიმ თავის საძილე ოთახში წასვლა დააპირა, ხოლო ნემუ ლამპის პატრუქს უკიდებდა, ქვრივს უცბად მოაგონდა ის საიდუმლო, რომლის საშუალებითაც მას პააკერი ვეზირის ხელში უნდა ჩაეგდო. მან ჯუჯას უბრძანა დაწვრილებით ეამბა ყველაფერი, რაც კი იცოდა. დიდი ყოყმანის შემდეგ ჯუჯამ გაანდო ქათუთის, რომ მახორმა პააკერმა სიყვარულის წამლის ნახევარი ნეფერტს დაალევინა, ხოლო მეორე ნახევარი ალბათ ისევ შენახული აქვსო. ნემუ უხალისოდ ლაპარაკობდა, რადგან ეშინოდა, დედამისს ხიფათი არ შეხვედროდა.

რამდენიმე საათის წინ ეს ახალი ამბავი ქათუთის საშინელ დღეში ჩააგდებდა და მასში უკიდურეს აღშფოთებასაც გამოიწვევდა; ახლა კი, თუმცა მახორს საქციელი არ მოუწონა, მაინც დაჟინებით დაუწყო ჯუჯას გამოკითხვა, არსებობს თუ არა სინამდვილეში ასეთი სასმელები და მართლა ჭრის ეს წამალი თუ არა.

— მხოლოდ მაშინ, — უპასუხა ჯუჯა», — როცა წამალს მთლიანად შესვამენ, ნეფერტმა კი მხოლოდ ნახევარი მიიღო.

უკვე გვიანი იყო, როცა ქათუთი თავის საძინებელში შევიდა; იგი პააკერის უგუნურ გატაცებასა, მენას ორგულობასა და ნეფერტის ხასიათში მომხდარ გარდატეხაზე ფიქრობდა. დიდხანს ტრიალებდა საწოლში ძილგატეხილი ქვრივი, ათასგვარი ვარაუდითა და შიშით შეპყრობილი. ყველაზე მეტად თავისი ქალიშვილის ქცევა აფიქრებდა. ეჭვს არ იწვევდა, რომ სწორედ ის გრძნობა — დედისადმი სიყვარული, რომელიც სამუდამოდ უცვლელად უნდა დარჩენილიყო, დაიჩრდილა მის გულში.

მზის ამოსვლისთანავე ქათუთი საოჯახო სამლოცველოში გაემართა, შესაწირი მიუტანა ოზირისის სახით გამოქანდაკებულ თავის აწგანსვენებულ მეუღლეს. შემდეგ ტაძარში შევიდა, ილოცა. შინდაბრუნებულს ქალიშვილი კვლავ არ დაუხვდა ღია დარბაზში, სადაც, ჩვეულებისამებრ, დედა-შვილი საუზმობდა.

დილაობით ქათუთის მარტო ყოფნა უყვარდა და ამიტომაც საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, რომ მის ქალიშვილს, ჩვეულებრივ, თითქმის შუადღემდე ეძინა ფარდაჩამოფარებულ ოთახში. როცა ქვრივი სალოცავად ტაძარში მიდიოდა, ნეფერტი ერთ ფინჯან რძეს მიირთმევდა საწოლში, შემდეგ მას აცმევდნენ, და ტაძრიდან დაბრუნებულ დედას ყოველთვის დარბაზში ეგებებოდა ხოლმე.

მაგრამ დღეს ქათუთი მარტო საუზმობდა. ნაჩქარევად წაიხემსა, მტვრისა და ბუზებისგან დასაცავად საგულდაგულოდ გადააფარა ხელსახოცი ქალიშვილის საუზმეს — ხორბლის

კვერსა და ცოტაოდენ ღვინოს, ვერცხლის სირჩით რომ იდგა, და ნეფერტის საძილე ოთახისკენ გაემართა,

როცა ნახა, რომ ქალიშვილი არც იქ იყო, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, მაგრამ მაშინვე მოახსენეს, რომ ნეფერტმა ბრძანა ჩვეულებრივზე ადრე წაეყვანათ ტაძარში. ქათუთიმ ღრმად ამოისუნთქა და ისევ დარბაზში შებრუნდა. აქ მას დისშვილი დაუხვდა ორი დიდი თაიგულით[135] — ყვავილები მონას მოჰქონდა, თან მამისეული ნაგაზიც წამოეყვანა. პააკერი ნათესავების მოსაკითხად მოსულიყო.

ერთი თაიგული, მისი თქმით, ნეფერტისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე დედამისს მიართვა.

ქათუთი, რომელმაც უკვე იცოდა, რომ პააკერმა სიყვარულის წამალსაც კი მიმართა, ახლა სულ სხვა, რაღაც შეუცნობელი გრძნობით უყურებდა მას.

აქამდე, თავის წრეში, არასოდეს შეხვედრია ახალგაზრდა, რომელიც ასე ძლიერად ყოფილიყო ქალით გატაცებული, როგორც ეს კაცია, რომელიც არაფერს ეპუება საკუთარი მიზნის მისაღწევად. მის თვალწინ გაზრდილმა მახორმა, მთელი თავისი სუსტი მხარეებით, ადამიანმა, რომელსაც იგი ყოველთვის ზემოდან დაჰყურებდა, მოულოდნელად შეიძინა სრულიად ახალი, მისთვის უცნობი სახე. თუ მეგობრის გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლესაც არ დაიშურებდა, იგი ამავე დროს სასტიკი და დაუნდობელი იყო მტრის მიმართ.

თუმცა სულ რამდენიმე წამი ფიქრობდა ამაზე ქათუთი. მან თვალი შეავლო დისშვილის ჩასკვნილ სხეულს და უცნაურად ეჩვენა, რომ ის სრულიად არ დამსგავსებოდა მის მაღალ-მა-

---

[135] ძეგლებზე შემონახული გამოსახულებების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ ეგვიპტეში, ისევე როგორც დღეს, თაიგულის მირთმევა მეგობრული დამოკიდებულების ნიშნად ითვლებოდა. (ავტ. შენიშვნა).

ღალსა და ტანად მამას. რა ხშირად ხიბლავდა მას თავის დროზე აწგარდაცვლილი სიძის მოხდენილი ხელები, თანაც რომ იცოდა, რა მაგრად ეჭირათ ამ თხელ თითებს მახვილი; მის ვაჟიშვილს კი კოტიტა ხელები ჰქონდა. სანამ პააკერი ლაპარაკობდა, რომ მალე სირიაში მოუხდება წასვლა, ქათუთი უნებლიეთ თვალს ადევნებდა მისი მარჯვენა ხელის უცნაურ მოძრაობას: პააკერი უნებურად წამდაუწუმ ისინჯავდა ქამარს, თითქოსდა ამოწმებდა, ხომ არ დამეკარგაო ის შენახული ნივთი — ფლაკონი სიყვარულის წამლით. ქათუთის ფერი ეცვალა. დეიდის მღელვარება არც მახორს დარჩენია შეუმჩნეველი.

— სახეზე გამჩნევ, რომ რაღაც გაწუხებს, — თანაგრძნობით გადაულაპარაკა მახორმა. — შენთან ალბათ უკვე იყო მენას ცხენსაშენის მმართველი ერმონტიდან? არა? უცნაურია! გუშინ ჩემთან მოვიდა და მთხოვა ნება დამერთო ჩემს რაზმს შემოერთებოდა. ძალიან უკმაყოფილოა შენით, მენას ოქროსფერი ცხენების რამდენიმე შებმა რომ გააყიდინე. ყველაზე კარგები კი მე ვიყიდე! საუკეთესო ცხენებია! ჰოდა, ახლა სურს მოძებნოს თავისი ბატონი, „რათა თვალები აუხილოს“, როგორც თვითონ თქვა. რა მოგივიდა, დეიდაჩემო! დაჯექი! ფერი მთლად დაკარგე!

მაგრამ ქათუთი არ დამჯდარა, მხოლოდ ოდნავ გაიღიმა, ხოლო როცა ლაპარაკი დაიწყო, მის ხმაში აღშფოთებაც იგრძნობოდა და მოკრძალებაც:

— ამ ბებერ რეგვენს მართლა ჰგონია, რომ თითქოს მარტო იმ ოქროსფერ ცხენებზე იყოს დამოკიდებული მთელი ჩვენი კეთილდღეობა. ნუთუ შენ მართლა მიგყავს იგი თან? ესე იგი მენას უნდა აუხილოს თვალები?! კი მაგრამ, მენასთვის ხომ ჯერ არავის დაუხუჭავს ისინი.

უკანასკნელი სიტყვები ძლივსგასაგონად წარმოთქვა და თვალები დახარა. პააკერმაც თავი ჩაღუნა და გაჩუმდა, მაგრამ მალე გონს მოეგო და ჩაიბურტყუნა:

— თუ ნეფერტი მალე არ დაბრუნდება, უმჯობესია წავალ...

— არა! არა! არ წახვიდე! — შეაწყვეტინა ქვრივმა. — ნეფერტს უნდოდა შენი ნახვა, წუთი წუთზე უნდა მოვიდეს, აი მისი საუზმეც ხელუხლებელი დგას.

მან გადასწია გადასაფარებელი ხელსახოცი, ვერცხლის სირჩა აიღო და თქვა:

— ერთი წუთით დაგტოვებ. წავალ ვნახავ, შეიძლება უკვე დაბრუნდა კიდეც ნეფერტი.

როგორც კი ქათუთი გავიდა, და პააკერი დარწმუნდა, რომ მას აღარავინ უყურებდა, ქამრიდან წამლიანი ფლაკონი გამოიძრო, მაღლა ასწია და მოკლე ლოცვა წარმოთქვა, რომელშიც მამამისს-ოზირისს მოუხმობდა დახმარებისათვის, შემდეგ კი მთელი სითხე სირჩაში ჩაასხა, რომელიც მაშინვე პირთამდე აივსო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნეფერტი შემოვიდა დედასთან ერთად. პააკერმა თაიგულს წამოავლო ხელი, რომელიც მონას იქვე სკამზე დაედო და გაუბედავად მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალს. ნეფერტს ისე თამამად და ქედმაღლურად ეჭირა თავი, რომ ქათუთიც კი დაუფარავი გაოცებით უყურებდა ქალიშვილს, პააკერი კი ფიქრობდა, რომ ასეთი ლმაზი და ნორჩი ნეფერტი ჯერ არასოდეს უნახავს. განა მას უყვარდა თავისი ქმარი, თუკი მისმა ღალატმა ოდნავადაც არ ატკინა გული? ან იქნებ ის ახლა სხვას ეტრფის? ნუთუ სიყვარულის წამალმა გასჭრა და მან მენას ადგილი დაიკავა ქალის გულში?

კი, კი! სწორედ აგრეა! მერედა ქალიც როგორ მიესალმა! ხელი შორიდანვე გაუწოდა და დიდხანს არ უშვებდა, გულითადად გადაუხადა მადლობა და ცამდე აიყვანა მისი გულკეთილობა და დიდსულოვნება.

შემდეგ მაგიდასთან მივიდა, პააკერს სთხოვა მის გვერდით დამჯდარიყო, კვერი გადატეხა და დეიდამისი სეთხემი მოიკითხა.

გულისფანცქალით ადევნებდნენ თვალყურს ქათუთი და პააკერი ნეფერტის ყოველ მოძრაობას.

აი, მან სასმისი ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ მაშინვე ისევ დადგა მაგიდაზე, რათა მახორის შენიშვნაზე ეპასუხა დაგვიანებული საუზმის გამო.

— დიახ, ამ ბოლო დროს ნამდვილად გავზარმაცდი, — თქვა ნეფერტმა და გაწითლდა. — მაგრამ დღეს ადრიანად ავდექი, რათა დილის სიგრილეში წავსულიყავი სალოცავად ტაძარში. თქვენ ალბათ უკვე შეიტყვეთ ამონის უბედური წმინდა ვერძის ამბავი? ეს საშინელებაა! ქურუმები მეტად აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ კეთილშობილმა ბეკ-ენ-ხონსუმ პირადად მიმიღო და ამიხსნა სიზმარი, რის შემდეგაც სრულიად დავმშვიდდი და გულზე მომეშვა!

— და ეს ყველაფერი უჩემოდ გააკეთე? — უსაყვედურა ქათუთიმ.

— არ მინდოდა შემეწუხებინე, — მიუგო ნეფერტმა. — გარდა ამისა, დილაობით ხომ არასოდეს დაგყავარ არც ქალაქში და არც ტაძარში, — დაუმატა მან ხანმოკლე დუმილის შემდეგ და წამოწითლდა.

აი სირჩა ისევ აიღო ხელში, ღვინოს შეხედა, მაგრამ არ მოსვა და თქვა:

— გინდა, პააკერ, გიამბო წუხელ სიზმარში რა ვნახე? ეს იყო უცნაური სიზმარი!

მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულმა მახორმა სთხოვა სიზმარი მოეყოლა:

— შენ წარმოიდგინე, — დაიწყო ნეფერტმა და თან სირჩას გაპრიალებულ ლანგარზე ამოძრავებდა, რომელიც სასმისიდან გადმოღვრილი ღვინით დასველებულიყო. — შენ წარმოიდგინე, პააკერ, მე დამესიზმრა საკმევლის ხე, აი ის, დიდ კასრში რომ დგას. მამაშენმა ჩამომიტანა პუნტის ქვეყნიდან, როცა ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი; მას შემდეგ, ხედავ, რამხელა გაიზარდა. მთელ ბაღში არც ერთი ხე ისე არ მიყვარს, როგორც ეს, რადგანაც მამაშენს მაგონებს — მამაშენი ხომ ყოველთვის მეფერებოდა და მანებივრებდა!

პააკერმა მხოლოდ თავი დაუქნია.

ნეფერტმა შეხედა მას და როგორც კი დაინახა, რომ ალმური ასდიოდა, მაშინვე შეწყვიტა თხრობა.

— ჩამოცხა, — თქვა მან. — ღვინოს ხომ არ მოსვამ, ან იქნებ წყალს?

მან სირჩა პირთან მიიტანა, თითქმის ნახევარი მოსვა ერთბაშად, მერე სასაცილოდ შეიჭმუხნა, მიუბრუნდა დედას, რომელიც მის სკამთან იდგა და სასმისი გაუწოდა:

— დღეს რაღაც ღვინო მეტად მჟავეა! ჰა, თვითონ გასინჯე! — უთხრა მან.

ქვრივმა ჩამოართვა სირჩა, ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ არ დაულევია. სასმისი მაგიდაზე დადგა და უცბად ეშმაკურად გაუღიმა მახორს, რომელიც აუწერელი შიშით უყურებდა მას. ქათუთის თავში ერთმა აზრმა გაუელვა: „ის, რომელსაც შენ ასე ელტვი, გიფრთხის.“ ბუნებით ქათუთი სასტიკი არასოდეს ყოფილა, მაგრამ საშინლად მოუნდა გადაეხარხარა, თუმცა

დღეს თავის ცხოვრებაში ყველაზე სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. ქათუთი მეტისმეტად გამხიარულდა, როცა ქალიშვილს სასმისს უბრუნებდა და ხუმრობით გადაულაპარაკა:

— მე, მართალია, უფრო ტკბილი ღვინოც დამილევია, მაგრამ მჟავე მეტად სასიამოვნოდ აგრილებს ადამიანს სიცხეში.

— ეს მართალია, — დაეთანხმა ნეფერტი, ბოლომდე დაცალა სასმისი და განაგრძო:

— მაგრამ მაინც ბოლომდე უნდა მოგიყვე ჩემი სიზმარი. ამრიგად, ნამდვილად ვნახე მამაშენის ნაჩუქარი საკმევლის ხე მთელი თავისი სილამაზით. მეჩვენებოდა, თითქოს მის სურნელსაც კი ვისუნთქავდი, — თუმცა, როგორც ჩემმა სიზმრის ამხსნელმა მითხრა, ეს შეუძლებელია, რადგანაც სიზმარში ადამიანი სუნს ვერ გრძნობსო. აღტაცებული იმ მშვენიერ ხესთან მივედი. უეცრად ჰაერში არანაკლებ ასმა ჩუგლუგმა მაინც გაიელვა და თითქოს მათ ვიღაცის უხილავი ხელი მართავსო, ისეთი ძალით დაიწყეს იმ უბედური ხის კაფვა, რომ მისი ტოტები აქეთ-იქით ცვიოდა და ბოლოს თვითონ ხეც მიწაზე დაეცა. თქვენ ნუ გგონიათ, რომ მე ძალიან შევწუხდი! თქვენ წარმოიდგინეთ, გამიხარდა კიდეც ამ მოელვარე ჩუგლუგებისა და აქეთ-იქით მიმოფანტული ნაფოტების დანახვა. როცა მოსაჭრელი აღარაფერი დარჩა მიწაში დარჩენილი ფესვების გარდა, ამ ხის გაცოცხლება მოვიწადინე. უცბად ნაზი ხელები მაგარი და ღონიერი გამიხდა, ფეხები კი — მარდი და მკვირცხლი; მე გუბურიდან წყლის ზიდვა დავიწყე, მომქონდა და ფესვებს ვუსხამდი. ის ყო, ძალ-ღონე გამომელია, რომ ვხედავ: გადაკაფულმა ხემ ამოიყარა; კვირტიდან მწვანე ფოთოლმა გამოიხედა, შემდეგ ყლორტმა დაიწყო ზრდა, სულ მალე ისიც გამაგრდა, გადაიქცა ხის ტანად, გამოიღო ტოტები, რომელთაგანაც ერთნი ფოთლებით შეიმოსა, ხოლო მე-

ორენი — თეთრი, წითელი და ცისფერი ყვავილებით დაიფარა. მერე საიდანღაც გამოჩნდნენ უამრავი ჭრელ-ჭრელი ჩიტები, ტოტებს მოედვნენ და დაიწყეს გალობა. ოჰ, რა ლამაზი იყო! ამის შემყურე მეც გულში ვმღეროდი და ჩემს თავს ვეუბნებოდი, უჩემოდ ეს ხე რომ დაიღუპებოდა და თავის აყვავებას მე უნდა მიმადლოდეს-მეთქი.

— მშვენიერი სიზმარია, — თქვა ქათუთიმ. — მან ის წლები გამახსენა, როცა შენ ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყავი და შუადღემდე თხზავდი ათასგვარ ზღაპრებს. და მერე როგორ აგიხსნა ქურუმმა ეს სიზმარი?

— ის რაღაცას შემპირდა, — ორჭოფულად უპასუხა ნეფერტმა. — სხვათა შორის, მან აღმითქვა, რომ ბედნიერება, რომელიც მიწერია, უხეში ხელყოფის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, იმ ხესავით აყვავდება.

— და ეს საკმევლის ხე შენ პააკერის მამამ გაჩუქა. — უთხრა ქათუთიმ და ბაღისკენ წავიდა.

— დიახ, მამაჩემმა აღმოსავლეთის შორეული საზღვრებიდან ჩამოგიტანა ეს ხე! — წამოიძახა პააკერმა, თითქოს ხაზი გაუსვაო ქვრივის ბოლო სიტყვებს.

— მეც სწორედ ეს მახარებს ყველაზე მეტად, — მიუგო ნეფერტმა. — იმიტომ რომ ის ჩემთვის მეტად ძვირფასი იყო, მშობელ მამასავით მიყვარდა. გახსოვს, ნავით რომ ვსეირნობდით გუბურაზე? ნავი გადაგვიბრუნდა და შენ უგრძნობელი გამომათრიე წყლიდან. ვერასოდეს დავივიწყებ იმ შესანიშნავი ადამიანის თვალებს, როცა გონს მოვედი და მის მკლავებში აღმოვჩნდი. ისეთი ჭკვიანი და ალალი თვალები მთელ ქვეყანაზე არ მინახავს!

— ის მეტად კეთილი იყო და შენ ძალიან უყვარდი, — უთხრა პააკერმა და თავადაც გაიხსენა ის დღე, როცა მან გაბედა ეკოცნა გრძნობადაკარგული ტურფა გოგონასათვის.

— როგორ მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, დადგა დღე, როცა ჩვენ ერთად შეგვიძლია ეს მოვიგონოთ, — თქვა ნეფერტმა. — როცა უკვე დავიწყებულია ის ძველი მტრობა, რომელიც ლოდივით მაწვა გულზე! ახლაღა გავიგე, რაოდენ გულკეთილი ყოფილხარ. გული ღრმა მადლიერებით მევსება, როცა ჩემს ბავშვობას ვიგონებ. იმ საუკეთესო და დაუვიწყარი წლებისთვის მე დიდად დავალებული ვარ შენგან და შენი მშობლებისგან. შეხედე შენს ძაღლს — ისე მელაქუცება, თითქოს უნდა მაგრძნობინოს, რომ არც მას დავვიწყებივარ! ყველაფერი, რაც თქვენს სახლთან არის დაკავშირებული, ტკბილ მოგონებებს მიღვიძებს!

— ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდი, — თქვა პააკერმა და ნაზად შეხედა ნეფერტს.

— და რა შესანიშნავად ვგრძნობდი თავს თქვენს ბაღში! ამ თაიგულს, შენ რომ მომიტანე, წყალში ჩავდგამ და შევეცდები დიდხანს გავაძლებინო, როგორც მოკითხვა იმ ადგილიდან, სადაც მე ასე უზრუნველად და ნეტარებით ვეძლეოდი თამაშსა და ოცნებას!

ამის თქმაზე ყვავილების ფერად-ფერად ფურცლებს ტუჩებით შეეხო, პააკერი კი მოულოდნელად წამოხტა, ქალს მაჯაზე სტაცა ხელი და თავდავიწყებით დაუწყო კოცნა მის თითებს. ნეფერტი შეკრთა და უკან დაიწია, მაგრამ პააკერმა ორივე ხელი გაიშვირა მისკენ, რათა მოხვეოდა. ის იყო, აკანკალებული თითებით შეეხო კიდეც ქალის მოხდენილ ტანს, რომ ბაღში უეცრად ხმამაღალი ყვირილი გაისმა და დარბაზ-

ში ჯუჯა ნემუ შემოვარდა, რათა ემცნო მეფის ასულის ბენტ-ანატის მობრძანება.

იმწამსვე დარბაზში ქათუთიც გაჩნდა, მას კი ფეხდაფეხ რამზესის საყვარელი ქალიშვილიც შემოჰყვა.

პააკერი მოშორდა ნეფერტს და ვიდრე ქალი მისი კადნიერებით აღშფოთდებოდა, მან დამშვიდობება და გასვლა მოასწრო.

ვნებით ალმოდებული პააკერი მთვრალივით ბარბაცით მივიდა თავის ეტლამდე. მას მტკიცედ სწამდა, რომ ფარაონის მეეტლის მეუღლეს იგი უყვარდა. სიხარულისგან გული საგულეში აღარ ეტეოდა. ჯერჯერობით კი, დრო რომ არ დაეკარგა, სასახლისაკენ გასწია, რათა ვეზირ ანისთვის ეთხოვა სირიაში გაეშვა. სწორედ იქ უნდა გადაწყვეტილიყო: ის თუ მენა...

თავი მეათე

ვიდრე აღშფოთებისა და შიშისგან გაოგნებული ნეფერტი დუმდა, რადგანაც ლაპარაკის თავიც კი აღარ ჰქონდა, მეფური ღირსებით აღსავსე ბენტ-ანატმა უკვე მოახსენა ქვრივს თავისი გადაწყვეტილება ნეფერტის მეფის ასულის პირველი მეგობრის საპატიო ადგილზე დანიშვნის თაობაზე. მან ბრძანა, რომ მენას მეუღლე დღესვე გადაბარგებულიყო მასთან სასახლეში.

ასეთი კილოთი ფარაონის ასულს ჯერ არასოდეს ულაპარაკია ქათუთისთან; თავის მხრივ, არც ქვრივს გამოჰპარვია ის ამბავი, რომ ბენტ-ანატმა განზრახ შეიცვალა დამოკიდებულება მის მიმართ.

„ნამდვილად ნეფერტმა მიჩივლა მასთან, — გაიფიქრა ქათუთიმ, — და ახლა უკვე აღარ მთვლის მეგობრული კეთილგანწყობილების ღირსად“.

ქვრივი მეტად გულნატკენი და შეშფოთებული იყო ამის გამო. თუმცა მშვენივრად ესმოდა, რა საფრთხით ემუქრებოდა მას ნეფერტის უეცარი თვალების ახელა, იმის გაფიქრებამაც კი, რომ სამუდამოდ კარგავდა საყვარელ ქალიშვილს, მძიმედ დაუკოდა გული. ამიტომ თვალებზე მომდგარი ცრემლი და ტკივილი, რომელიც მის ხმაში იგრძნობოდა, როცა მეფის ასულს ელაპარაკებოდა, სრულიად გულწრფელი იყო.

— ჩემი სიცოცხლის ნახევარს მთხოვ, — უთხრა ქათუთიმ, — მაგრამ ბრძანება შენი საქმეა, მე კი უნდა დაგემორჩილო.

ბენტ-ანატმა მედიდურად აიქნია მარჯვენა ხელი და ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ქვრივის ნათქვამს ადასტურებსო.

ნეფერტმა დედასთან მიირბინა, ხელები კისერზე შემოაჭდო და დიდხანს ტიროდა მის მკერდს მიხუტებული.

მეფის ასულსაც ცრემლი მოერია, როცა ქათუთიმ ქალიშვილი მიუყვანა და ერთხელ კიდევ აკოცა მაღალ შუბლზე.

ბენტ-ანატმა ნეფერტს ხელი ჩაჰკიდა და მანამდე არ გაუშვა, ვიდრე ქათუთი მონებს აბარებდა ქალიშვილის ტანსაცმელსა და მორთულობას.

— ზარდახშა არ დაგრჩეს გამხმარი ყვავილებით, ღმერთების პატარა ქანდაკებები და ავგაროზებიც, — გააფრთხილა ნეფერტმა. — ოჰ, რა სიამოვნებით წამოვიღებდი თან ბიძის მიერ ნაჩუქარ იმ საკმევლის ხესაც.

მის ფეხთით თეთრი კატა იატაკზე დავარდნილ, პააკერის მიერ მოტანილ თაიგულს ეთამაშებოდა. ნეფერტმა ხელში აიყვანა იგი და დრუნჩზე აკოცა.

— თან წამოიყვანე, — უთხრა მეფის ასულმა. — ეგ ხომ შენი საყვარელი სათამაშოა!

— არა! — წამოიძახა ნეფერტმა და სახე შეეფაკლა.

ბენტ-ანატი მიუხვდა მეგობარს და ალერსიანად ჩამოართვა ხელი. მერე ნემუზე მიუთითა და ჰკითხა:

— ჯუჯაც ხომ შენი საკუთრებაა, მოგყავს თან?

— მე მას დედას ვაჩუქებ, — უპასუხა ნეფერტმა.

ნეფერტმა მოწყალედ დართო ნება ჯუჯას მთხვეოდა მისი კაბის კალთასა და ფეხებს; ამის შემდეგ ერთხელ კიდევ გადაეხვია დედას და ფარაონის ასულთან ერთად ბაღში გავიდა.

როგორც კი ქათუთი მარტო დარჩა, მაშინვე სამლოცველოსკენ გაეშურა, თავის წინაპართა ქანდაკებებთან, რომლე-

ბიც მენას წინაპართაგან განცალკევებით იდგნენ. მან მუხლი მოიყარა გარდაცვლილი მეუღლის ქანდაკების წინ; ქმრისადმი მიმართულ სიტყვებში სამდურავიც ისმოდა და მადლიერებაც.

მართალია, როცა ქალიშვილთან განშორებაზე ფიქრობდა, გული ეკუმშებოდა, მაგრამ ეს განშორება ამავე დროს გამუდმებული შიშისგან ანთავისუფლებდა. გუშინდელს აქეთ თავს იმ მგზავრივით გრძნობდა, რომელიც უფსკრულის პირას მიდის, უკან კი ფეხდაფეხ მტერი მოსდევს. ამიტომაც მუდმივი საფრთხისაგან თავის დაღწევის გრძნობამ მალე გადასძლია დედის დარდს. პირდაღებული უფსკრული უკვე გამქრალიყო და მის წინაშე ახლა სწორი გატკეცილი გზა გადაშლილიყო, რომელსაც პირდაპირ მიზნისკენ მიჰყავდა.

ქათუთი გარეთ გამოვიდა და მეტისმეტი აღელვებისგან ბაღის ხეივნებში სირბილს მოჰყვა. ძნელი დასაჯერებელ იყო, რომ ეს სწორედ ის ქათუთია, რომელსაც ხალხში ყოველთვის ასე მედიდურად ეჭირა თავი. მხოლოდ დღეს, პირველად მას შემდეგ, რაც არმიიდან ის საშინელი წერილი მიიღო, ეღირსა მშვიდად მიეხედ-მოეხედა გარშემო და მოეფიქრებინა ის ყველაფერი, რაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეკეთებინა ანის.

ქათუთი არწმუნებდა თავს, რომ ყველაფერი კარგად მიდის და გაბედული და მტკიცე მოქმედების დროც დადგა.

როცა მეფის ასულის მიერ გამოგზავნილი ხალხი მოვიდა, მან ჩვეული სიმშვიდითა და თავდაჭერილობით შეაფუთინა და ჩაალაგებინა ყველა ნივთი, რომლის წაღებაც ნეფერტმა მოისურვა. შემდეგ ჯუჯა ნემუ ანისთან გაგზავნა, მასთან რომ მოსულიყო. მაგრამ ნემუმ ჭიშკარში გასვლაც ვერ მოასწრო, რომ გზაზე ვეზირის შიკრიკები გამოჩნდნენ, ხოლო მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ მისი ეტლი და მცველთა რაზმი. რამდენიმე

წუთის შემდეგ ქათუთი თავის უწარჩინებულეს მეგობართან ერთად უკვე ბაღის ხეივნებში სეირნობდა. მან აცნობა ვეზირს, რომ ბენტ-ანატმა თავისთან წაიყვანა ნეფერტი და გაანდო ყველაფერი, რასაც მის აქ მოსვლამდე ფიქრობდა.

— შენ მართლაც მამაკაცის ჭკუა გქონია, — უთხრა ანიმ, როცა ქათუთის რჩევა მოისმინა. — თუნდაც იმიტომ, რომ ამჯერად ტყუილად როდი მაქეზებ სიმტკიცისა და გამბედაობისკენ. ამენი უკვე მზადაა მოქმედებისთვის, პააკერი დღეს თავის რაზმს უყრის თავს, ხვალ სურს მონაწილეობა მიიღოს ხეობის დღესასწაულში, ხოლო ზეგ სირიაში მიდის.

— ის შენთან იყო? — ჰკითხა ქათუთიმ.

— მახორი სასახლეში პირდაპირ შენგან წამოვიდა, — უპასუხა ანიმ. — სახეზე ალმური ასდიოდა. გულდაჯერებულია და ფიქრადაც არ მოსდის, რომ უკვე ჩემს ხელთაა.

ამ ლაპარაკში ისინი ღია დარბაზში შევიდნენ, სადაც იმ დროს ნემუ მარტო იყო. როგორც კი მომავალნი შენიშნა, მცენარეებიანი კასრების უკან დაიმალა, რათა მათთვის მიეყურებინა. ისინი პატარა მაგიდასთან დასხდნენ, რომელზედაც სულ რამდენიმე საათის წინ ნეფერტი საუზმობდა, და ანიმ ჰკითხა ქათუთის, გაანდო თუ არა ნემუმ ჯადოქრის საიდუმლო. ქვრივმა თავი მოიკატუნა, ვითომ არაფერი იცოდა, ხელახლა მოისმინა სიყვარულის წამლის მთელი ამბავი და მეტად ოსტატურად გაითამაშა აღშფოთებული დედის როლი. ვეზირი, როგორმე რომ დაეწყნარებინა ქათუთი, მტკიცებას მოჰყვა, რომ არავითარი სიყვარულის წამალი არ არსებობსო, მაგრამ ქვრივი მას აღარ უსმენდა.

— ახლაღა მივხვდი, რატომ იქცეოდა ასე ჩემი ქალიშვილი! — წამოიძახა მან. — პააკერმა ალბათ ამ დილასაც ჩაუსხა ის წამალი ღვინოში. იმიტომ, რომ, როგორც კი ნეფერტმა სასმი-

სი გამოცალა, თითქოს რაღაცამ შეცვალაო. რამდენი სინაზე იგრძნობოდა მის სიტყვებში, როცა პარკერი ელაპარაკებოდა. თუ ისიც ასეთი ხალისით გემსახურება, მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებულია ჩემი ქალიშვილის სიყვარულში. დიახ, დიახ! კუდიანის წამალმა გაჭრა!

— მაშასადამე, ასეთი წამალი მაინც არსებობს! — თქვა ფიქრში წასულმა ანიმ. — მაგრამ ის ალბათ ქალების გულებს მხოლოდ ახალგაზრდა მამაკაცებისკენ იზიდავს. თუ ეს ასეა, მაშინ დედაბერი ცუდ საქმეს ემსახურება, რადგან სიყმაწვილე თავისთავად საოცრებაა, რომელიც სიყვარულს აღვიძებს. ეჰ, მე რომ პააკერივით ახალგაზრდა ვიყო! შენ გეღიმება, როცა უყურებ, როგორ ოხრავს მოწიფული მამაკაცი... ეჰ, სიცრუე რა მოსატანია, და — მოწიფული მამაკაცი კი არა, მოხუცი. სიცოცხლის საუკეთესო ხანა ხომ უკან მოვიტოვე. და მაინც, ქათუთი, ჩემო მეგობარო, ქალთა შორის უჭკვიანესო, ერთი რამ გამაგებინე. როცა მე ახალგაზრდა ვიყავი, ბევრს ვუყვარდი და ბევრმა ქალმაც მომანიჭა სიხარულის წუთები, მაგრამ ყველა ისინი ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ გასართობი იყო, ჩემი უდროოდ გარდაცვლილი მეუღლეც კი. ბოლოს მოვინდომე დავუფლებოდი ქალიშვილს, რომელსაც მამად ვეკუთვნი, მაგრამ არა იმისათვის, რომ მის ალერსში ნუგეში მეპოვა, არამედ გამომეყენებინა იგი საკუთარი მიზნებისათვის. ახლა კი, მისგან უარყოფილმა, უცბად საშინელი მღელვარება ვიგრძენი, შეშლილივით ვიქცევი, რომელიც... ცოტაც, და პააკერის დღეში ჩავვარდები, რომელიც ამ სიყვარულის წამალს გადაჰყვა!

— მაშ ბენტ-ანატს ელაპარაკე? — ჰკითხა ქვრივმა.

— დიახ, იმდენად გავბრიყვდი, რომ ხელმეორედ ვათქმევინე იგივე უარი, რომელიც შენი პირით შემომითვალა. —

უპასუხა ანიმ. — როგორც ხედავ, არც მე ვყოფილვარ მთლად დალაგებული ჭკუის!

— რა მიზეზით გითხრა უარი?

— რა მიზეზით? ნუთუ ბენტ-ანატს მიზეზი სჭირდება! მართალი გითხრა, ამ ქალს ჭეშმარიტად მეფური სიამაყე აქვს და სამართლიანობაში თვით დიად მაატსაც[136] არ ჩამოუვარდება. მე ამას გულახდილად ვაღიარებ. როცა მის წინაშე ვიდექი, მთელი ჩვენი საქმიანობა უბადრუკობად მეჩვენა. ჩემს ძარღვებში ხომ საკმარისადაა თუტმოსის სისხლი, და რაკი ცხოვრებამ თაყვანისცემა მასწავლა, წელიც იმიტომ მტკივა. არასოდეს ვყოფილვარ კმაყოფილი ჩემი მდგომარეობით და ჩემი მოღვაწეობით, რამეთუ თავი ყოველთვის უფრო დიდი მნიშვნელობისად მიმაჩნდა, ვიდრე ამის უფლება მქონდა, და ვაკეთებდი გაცილებით ნაკლებს, ვიდრე შემეძლო. მხოლოდ იმიტომ, რომ ნიადაგ პირქუში და უკმაყოფილო არ ვიყო, ყოველთვის ვიღიმები. სახეზე თანდაყოლილი მხოლოდ კანი მაქვს, მე კი მუდამ ნიღბის ტარება მიხდება. მე ვემსახურები კაცს, რომელიც წარმოშობით ჩემზე დაბლა დგას. მე მძულს რამზესი, ის კი, გულწრფელად თუ არა, თავის ძმას მიწოდებს და მეც თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს მისი სახელმწიფოს განმტკიცებას ვცდილობ, სინამდვილეში კი გულმოდგინედ ვუთხრი ძირს. მაშასადამე, მთელი ჩემი არსებობა სრული სიცრუეა!

— მაგრამ ის ჭეშმარიტებად იქცევა, — შეაწყვეტინა ქათუთიმ, — როგორც კი ღმერთები ინებებენ გახდე ის, ვინც უნდა იყო — ამ ქვეყნის კანონიერი მბრძანებელი!

---

[136] მაატი — ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ქალღმერთი.

— უცნაურია! — ჩაიცინა ვეზირმა. — თითქმის იგივე სიტყვები მითხრა დღეს მთავარმა ქურუმმა ამენიმ. ქურუმებისა და ქალების სიბრძნეს ბევრი რამ აქვს საერთო: თქვენ ხომ ერთნაირი იარაღით იბრძვით. მახვილის მაგივრად სიტყვებს იყენებთ, შუბის ნაცვლად — ყულფს, ხოლო ბორკილებს სხეულზე კი არა, არამედ სულზე ადებთ.

— შენ გვკიცხავ თუ გვაქებ? — ცბიერად ჰკითხა ქვრივმა. — ყოველ შემთხვევაში, უძლურნი როდი ვართ და ამიტომაც, ჩემის აზრით, ცუდი მოკავშირეები არ უნდა ვიყოთ.

— ეს ასეა, — დაეთანხმა ანი. — ამ ქვეყანაში სიხარულის თუ სიმწრის არც ერთი ცრემლი არ დაიღვრება ქურუმის ან ქალის მონაწილეობის გარეშე. ამას სერიოზულად ვამბობ, ქათუთი! ათიდან ცხრა უდიდეს მოვლენაში გარეული ხართ თქვენ, ქალები. შენ წამოიწყე ყველაფერი, რაც ახლა აქ მზადდება, და მერწმუნე, რომ რამდენიმე საათის წინ უარსაც ვიტყოდი ტახტის მოპოვებისკენ სწრაფვაზე, ბენტ-ანატს „არას“ მაგივრად „კი“ რომ ეთქვა.

— შენ მაფიქრებინებ, რომ სუსტი სქესი უფრო მტკიცე ნებისყოფითაა დაჯილდოებული, ვიდრე ძლიერი. ცოლქმრობაში ხომ თქვენ ცოლს „სახლის ქალბატონს“ უწოდებთ, ხოლო, როცა დაუძლურებულ მშობლებს აღარ ძალუძთ საკუთარი თავის რჩენა, ჩვენს ქვეყანაში მათი შენახვა ეკისრებათ ქალიშვილებსა და არა ვაჟიშვილებს. თუმცა ჩვენც, ქალებს, ბევრი სუსტი მხარე გაგვაჩნია, მათ შორის პირველ ადგილზეა ცნობისმოყვარეობა. შეიძლება გკითხო, რა საბაბით მოგიშორა თავიდან ბენტ-ანატმა?

— შენ ისედაც ბევრი იცი და გინდა ყველაფერი იცოდე. მეფის ასულმა მოწყალება მოიღო და ნება დამრთო, პირისპირ მელაპარაკა მასთან. ადრიანი დილა იყო და ისიც ახლახან

დაბრუნებულიყო ტაძრიდან, სადაც პირველმა წინასწარმეტ-ყველმა, იმ ავადმყოფმა მოხუცმა წაბილწვისგან განწმენდის წეს-ჩვეულება ჩაუტარა. ნორჩი, მშვენიერი და ამაყი, ვითარ-ცა ქალღმერთი, ისე შემომეგება. გული ყმაწვილივით ამიფან-ცქალდა და სანამ ყვავილებს მათვალიერებინებდა, ჩემს თავს ვეუბნებოდი: „შენ აქ მოხვედი, რომ მისი წყალობით ტახტის მოპოვების კიდევ ერთი უფლება განიმტკიცო; თუ ის ცოლობაზე დაგთანხმდება, მაშინ შენ რამზესის ერთგული ძმა და ვეზირი იქნები და ბენტ-ანატთან ერთად დატკბები სიმშვი-დითა და ბედნიერებით, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის. მაგ-რამ თუ უარით გამომისტუმრებს, მაშინ, დაე, ბედისწერამ გა-დაწყვიტოს: მშვიდობასა და სიყვარულს ვარჩევ იმ გვირგვი-ნისათვის ბრძოლას, ასე სამარცხვინოდ რომ წაართვეს ჩემს გვარს“. ის იყო, ჩემი ხვაშიადი უნდა გამემჟღავნებინა, რომ მან ლაპარაკი გამაწყვეტინა. კეთილშობილი კაცი და ღირ-სეული საქმრო მიწოდა, მაგრამ...

— და, მიუხედავად ყველაფრისა, მან თქვა „მაგრამ“?— ვე-ღარ მოითმინა ქათუთიმ.

— დიახ, თქვა, — დაუდასტურა ანიმ. — ხოლო ამ „მაგრამს“ მოჰყვა გულწრფელი და პირდაპირი „არა“. მე მოვითხოვე აეხსნა უარის მიზეზი, ის კი მეხვეწებოდა, ეს „არა“ მეკმარა. მე ჩემსას არ ვიშლიდი, ვიდრე არ გამოვტეხე, რომ მისი გული სხვას ეკუთვნოდა; ჩემთან ლაპარაკისას მის ამაყ მზერაში სიმტკიცე გამოსჭვიოდა. მაშინ იმ ბედნიერი კაცის სახელის გაგება მოვინდომე, მაგრამ ვერასგზით ვერ ვათქმევინე მისი ვინაობა. და აი, ძარღვებში სისხლი ამიდუღდა და იმ წუთიდან მისი დაუფლების დაუოკებელი სურვილი მომეძალა; და მე, რომელიც უარით გამომისტუმრეს, სასოწარკვეთილი, უკან

უნდა გამოვბრუნებულიყავი და გულის მომწყვლელი საწამლავის კიდევ ერთი წვეთი შემესვა.

— შენ ეჭვიანობ? -— ჰკითხა ქათუთიმ. — მაგრამ ვისზე?

— არ ვიცი, — უპასუხა ანიმ. — მაგრამ იმედი მაქვს, შენი შემწეობით დავადგენ ამას. ენით ვერ აგიწერ, გულზე რა ცეცხლიც მიკიდია. ერთს გეტყვი მხოლოდ: სასახლეში ყოყმანით შევედი, იქიდან კი მტკიცე გადაწყვეტილებით გამოვედი. ახლა წინ მივისწრაფი, რათა უკანდახევის შესაძლებლობა არ მქონდეს. ამიერიდან ჩემი დაჩქარება კი აღარ მოგიხდება, არამედ უმალ შეკავება. თითქოსდა ღმერთებმა ინებეს ჩემთვის გზა ეჩვენებინათ — შინდაბრუნებულმა გავიგე, რომ მთავარი ქურუმი ამენი და პააკერი მელოდებოდნენ. ამენი ეგვიპტეში დამეხმარება, ხოლო პააკერი — სირიაში. ხვალ, დილით ადრე, ეთიოპიიდან დაბრუნებული ჩემი ძლევამოსილი ლაშქარი ისე საზეიმოდ შემოვა თებეში, თითქოს მას თვით ფარაონი მოუძღოდესო წინ და მონაწილეობას მიიღებს ხეობის დღესასწაულში. მოგვიანებით მას ჩრდილოეთში გავაგზავნი და რაზმებს იმ ციხესიმაგრეებში დავაყენებ, რომლებიც ეგვიპტეს აღმოსავლეთის მტრისგან იცავენ: ტანისში, პელუსიონში, დაფნესა და მიგდოლში. როგორც იცი, რამზესი გვთხოვს, ტაძრის მიწათმოქმედთ შევასწავლოთ სამხედრო საქმე, და შემდეგ კი მას გავუგზავნოთ, როგორც დამხმარე ლაშქარი. მე კი ამ ხალხის ნახევარს გავუგზავნი, დანარჩენს ჩემი მიზნებისთვის გამოვიყენებ. რამზესის ერთგულ გარნიზონს მემფისიდან ნუბიაში გავუშვებთ, მას კი ჩვენი საიმედო ჯარით შევცვლით. ქურუმებს ხელში ჰყავთ გამოჭერილი თებეს მცხოვრებნი და ხვალ ამენი აჩვენებს მათ, ვინ არის მათი ნამდვილი მეფე, ვინ შესწყვეტს ომს, და ვინ გაანთავისუფლებს მათ გადასახადთა მძიმე ტვირთისაგან. ისინი დაინახა-

ვენ, ვის უფრო სწყალობენ ღმერთები: მეფეთა უძველესი დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელსა თუ ახლის საცოდავ ნაშიერს. რამზესის შვილებს ზეიმში მონაწილეობას არ მიაღებინებენ, რადგანაც ამენი ბენტ-ანატს ჯერ კიდევ შებილწულად თვლის და ანგარიშს არ უწევს თებეს ამონის ტაძრის პირველ წინასწარმეტყველს. ყმაწვილმა რამერიმ დანაშაული ჩაიდინა, და ამენიც, რომელსაც სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს ჩაფიქრებული, უეჭველად გააგდებს მას სეთის სახლიდან. ეს ყველაფერი კი დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ხალხზე! სირიაში რაც ხდება, შენც კარგად იცი. ხეთებმა და მათმა მოკავშირეებმა დიდი ზარალი მიაყენეს რამზესს. ათასობით მეომარს ყელში ამოუვიდა გაუთავებელი ომი, და ისინიც მოგვემხრობიან, როცა კი საქმე საქმეზე მიდგება. მაგრამ, ადვილი შესაძლებელია, თუკი პააკერი თავის მოვალეობას პირნათლად მოიხდის, ჩვენ სისხლის დაუღვრელადაც გავიმარჯვოთ. ამჟამად ჩვენი წარმატება, უწინარეს ყოვლისა, მოქმედების სისწრაფეზეა დამოკიდებული!

— მე ვეღარ ვცნობ უწინდელ გონებადამჯდარ და ფრთხილ კაცს, — გაიკვირვა ქათუთიმ.

— იმიტომ, რომ ფრთხილი მოქმედება ახლა გაუფრთხილებლობა იქნებოდა, — მიუგო ანიმ.

— ჰოდა, რამზესმა ვადაზე ადრე რომ შეიტყოს ყველა ფერი, რაც აქ მზადდება? — ჰკითხა ქათუთიმ.

— უწინ ამას მე ვამბობდი! — წამოიძახა ანიმ. — გამოდის, მე და შენ როლები შევცვალეთ!

— შენ ცდები, — შეეპასუხა ქათუთი. — მე ახლაც მოგიწოდებ წინ იარო, მაგრამ მაინც მინდა გაგაფრთხილო. უახლოესი კვირეების განმავლობაში ფარაონის ბანაკში შენი წერილების გარდა არც ერთი სხვა ცნობა არ უნდა მოხვდეს.

— შენი სიტყვები ისევ ემთხვევა ქურუმების ნათქვამს, — უთხრა ვეზირმა. — ამენიმაც იგივე მირჩია! რაც შეეხება პელუსიონსა და მეწამულ ზღვას შორის არსებული სიმაგრეების გავლით გაგზავნილ წერილებს, ყველა მათგანი შეჩერებული იქნება. რამზესამდე ჩააღწევენ მხოლოდ ჩემი პატაკები, რომლებშიც უდაბნოს მტაცებელ ბინადრებზე დავიჩივლებ, რომ ჩემს შიკრიკებს თავს ესხმიან.

— ჭკუასთან ახლოა, — დაეთანხმა ქვრივი. — გარდა ამისა, უბრძანე, თვალი ეჭიროთ მეწამული ზღვის ნავსადგურებზე და მწერლებზე. ხელში ჩავარდნილი წერილებიდან იმასაც გაიგებ, ვინაა შენი მოყვარე და ვინ — მტერი.

ანიმ უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— ასე მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, — შეეპასუხა იგი, — იმიტომ რომ, ახლა ფარაონის ერთგული ხალხი რომ დავსაჯო და ავამაღლო ისინი, ვინც მას უღალატა, მაშინ შემდგომში ორგული მსახურები მეყოლებოდა, ერთგული კი უნდა გამეყარა. ტყუილუბრალოდ წითლდები, ჩემო მეგობარო, ჩვენ ხომ ერთი გვარისანი ვართ და საქმეც საერთო გვაქვს.

ქათუთიმ ფიცხლავ ჩამოართვა ვეზირს გამოწვდილი ხელი და უთხრა:

— შენ მართალი ხარ, მე არავითარი ჯილდო არ მინდა, ოღონდაც კი ჩემს წინაპართა სამეფო გვარის აღდგენას შევესწრო.

— შეიძლება კიდეც შევძლოთ ეს, — ჩაილაპარაკა ანიმ. — მაგრამ დიდი ხნით განა, თუ... თუ... მოიფიქრე, ქათუთი, შენი ქალიშვილისგან გაიგე: ვინაა ის... ვინც... ხომ მიხვდი, ვისზედაც გელაპარაკები — ვინც ბენტ-ანატს უყვარს?

ქათუთი შეკრთა, რადგან ვეზირმა ბოლო სიტყვები მისთვის უჩვეულო სიფიცხით წარმოთქვა. მაგრამ მყისვე ისევ ღიმილი მოერია სახეზე, და ანის იმ რამდენიმე წარჩინებული ყმაწვილის ჩამოთვლა დაუწყო, რომლებიც ფარაონს ომში არ გაჰყვნენ და თებეში იმყოფებოდნენ.

— იქნებ ეს მისი ძმა ჰაემუსეთია? — იკითხა ქვრივმა ბოლოს. — მართალია, ის ბანაკშია, მაგრამ მაინც...

უეცრად მათ წინაშე ნემუ გაჩნდა, რომელმაც თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ბაღიდან შემოვიდა, სინამდვილეში კი ერთი სიტყვაც არ გამორჩენია მათი საუბრიდან.

— მაპატიეთ, ჩემო მბრძანებლებო! — წამოიძახა მან. — მაგრამ მე მეტად საკვირველი რამ გავიგე!

— თქვი, რა გაიგე! — თავი დაუქნია ქათუთიმ.

— კეთილშობილი მეფის ასული, რამზესის ღვთაებრივი ქალიშვილი ბენტ-ანატი თურმე, ამბობენ, სეთის სახლის ერთ ახალგაზრდა ქურუმს ჰყვარობსო.

— თავხედო! — ანიმ თვალები დაუბრიალა ჯუჯას. — დაამტკიცე, რომ მართალს ამბობ, ან არადა მაგ ენას ამოგაძრობ.

— უბრძანე ამომაძრონ ენა, კანონის თანახმად, როგორც ცილისმწამებელსა და სამშობლოს მოღალატეს, თუ ვცრუობდე, — უთხრა ნემუმ მორჩილად, თან კი ცბიერად ეცინებოდა. — მაგრამ ამჯერად სასჯელს გადავურჩები, რადგან შემიძლია პასუხი ვაგო ჩემს ნათქვამზე. როგორც იცით, ბენტ-ანატი შებილწულად იყო გამოცხადებული იმის გამო, რომ საათზე მეტხანს პარასქიტის ქოხში დაჰყო. სწორედ იქ ჰქონია დანიშნული პაემანი ქურუმთან, ხოლო მეორედ — დედოფალ ხატშეფსუტის ტაძარში, სადაც მათ სეთის სახლის მთავარმა ასტროლოგმა სეფტამ წაასწრო.

— ვინაა ის ქურუმი? — მოჩვენებითი გულგრილობით ჰკითხა ვეზირმა.

— მდაბიო წარმოშობის ადამიანია, რომელმაც განათლება სეთის სახლის უფასო სკოლაში მიიღო, — უპასუხა ნემუმ. — ამჟამად მან სახელი გაითქვა სიზმრების ახსნითა და ლექსებით. მას პენტაურს ეძახიან. მართლაც რომ, ლამაზი და წარმოსადეგი ვაჟკაცია. გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მახორ პააკერის განსვენებულ მამას — შენ ხომ გინახავს იგი, ჩემო მეუფეო?

ვეზირმა, რომელიც პირქუშად მიშტერებოდა იატაკს, თავი გადააქნია, ხოლო ქათუთიმ წამოიძახა:

— აჰ, რა სულელი ვარ! რაღა თქმა უნდა, ნემუ მართალია! ჩემი თვალით ვნახე, სახეზე როგორ მოედო ალმური, როცა რამერიმ თქვა, პენტაურის გულისათვის ამენის ავუჯანყდებითო. გასაგებია, ბენტ-ანატი მხოლოდ პენტაურზე ოცნებობს!

— ჰო, კარგი, კარგი, — ნელა წარმოთქვა ანიმ, — იმასაც ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს!

ამ სიტყვებით ქვრივს დაემშვიდობა და ბაღში გაუჩინარდა, ქათუთიმ კი ჩაილაპარაკა:

— დღეს მის სიტყვებში არნახული სიმტკიცე იგრძნობოდა, თუმცა ეჭვი აბრმავებს და მალე დარწმუნდება, რომ ჩემი გამჭრიახი თვალის გარეშე იოლად ვერ წავა.

ნემუც ფეხდაფეხ მიჰყვა ვეზირს და როცა ლეღვის ხესთან მოულოდნელად წინ გადაუდგა, თავი მდაბლად დაუკრა და სულმოუთქმელად ჩაუჩურჩულა:

— დედაჩემმა ძალიან ბევრი რამ იცის, დიდო მბრძანებელო; წმინდა იბისიც[137] ხომ ჭუჭყიან ჭაობში დაეხეტება, როცა საზრდოს ეძებს. მაშ, რატომ არ გინდა, ოქრო აიღო, რომელიც მტვერში აგდია? თუ გინდა, გასწავლი, საიდუმლოდ როგორ ელაპარაკო მას.

— თქვი, — მკვახედ ჩაილაპარაკა ანიმ.

— ერთი დღით დილეგში ჩააგდე, იქ დაჰკითხე, შემდეგ კი გამოუშვი; თუ კარგ სამსახურს გაგიწევს — დაასაჩუქრე, არადა — ლაზათიანად გაჯოხე. მაგრამ რაღაც საიდუმლოს კი უსათუოდ გამოსტყუებ, ხოლო კერძოდ რას — ამას მეც არ მეუბნება.

— კარგი, ვნახოთ, — მიუგო ჯუჯას ვეზირმა, რამდენიმე ოქროს ბეჭედი გადაუგდო და დიდკაცურად აბრძანდა თავის ეტლზე.

სასახლის წინ ისეთი ხალხმრავლობა იყო, რომ ვეზირს შიშისგან გული შეეკუმშა. მან მეეტლეს უბრძანა ცხენები შეეჩერებინა და მალემსრბოლთა კვალდაკვალ რამდენიმე ჯარისკაცი გააგზავნა. მაგრამ მას სასიხარულო ამბავი დაუხვდა, რადგან ხალხის შეძახილები სრულიად არ ჰგავდა გულსაკლავ ქვითინს, პირიქით, ეს იყო სიხარულის კიჟინა,

---

[137] წმინდა იბისი — დღეისათვის სრულებით გადაშენდა ეგვიპტეში. სხვადასხვა ადგილას ნაპოვნი მუმიების მიხედვით თუ განვსჯით, არსებობდა მათი ორი სახეობა და ღმერთ თოთის წმინდა ფრინველებად ითვლებოდნენ. „იბისი, — წერდა პლუტარქე, — ანადგურებს შხამიან გველებს და პირველად მან აჩვენა ადამიანებს, როგორ უნდა მოახდინონ კუჭ-ნაწლავის სამკურნალო დაცლა. შემჩნეული იყო, როგორ ისუფთავებდა კუჭ-ნაწლავს ნისკარტით აღებული წყლით. კეთილსინდისიერი ქურუმები ნაკურთხ წყალს იმ ადგილებში იღებენ, სადაც იბისი სვამდა, რადგან ის არასოდეს დალევს უვარგის ან შხამიან წყალს. უფრო მეტიც, საერთოდ არ გაეკარება იმ ადგილს“ (პლუტარქე, „იზიდასა და ოზირისისათვის“) (ავტ. შენიშვნა).

სასახლესთან მას სეთის სახლის ელჩები შემოეგებნენ, რომლებმაც ამენის დავალებით ამცნეს იქ მყოფთ, რომ მოხდა უდიდესი სასწაული: გარეული მხეცების მიერ დაგლეჯილი ამონის ვერძის გული განსვენებული ღვთისმოსავი წინასწარმეტყველის რუის მკერდში აღმოჩნდაო.

ანი იმწამსვე ჩამოვიდა ეტლიდან, ხალხისკენ შებრუნდა, მუხლი მოიყარა; მის მაგალითს დანარჩენებიც მიჰყვნენ, შემდეგ ხელები აღაპყრო და მჭექარე ხმით მადლობა შესწირა ღმერთებს. ეს ყველაფერი კარგა ხანს გაგრძელდა; ამის შემდეგ სასახლეში შესულმა ვეზირმა მონებს უბრძანა ხალხისთვის პური დაერიგებინათ.

— ჩვენი ვეზირი ხელგაშლილი ყოფილა. — გადაულაპარაკა ერთმა დურგალმა გვერდით მდგომ ქალს. — შეხედე, რა თეთრი კვერია. შევინახავ და ბავშვებს წავუღებ.

— ცოტა მომიტეხე, — დაიწრიპინა ვიღაც ტიტლიკანა ბიჭმა, დურგალს ხელიდან კვერი გამოსტაცა და ადამიანთა ფეხებს შორის გასხლტა.

— გველის წიწილი! — შეიგინა დურგალმა. — ამ მაწანწალებისგან საშველი აღარაა!

— დამშეულები არიან, — მიუგო ქალმა ქურდის გასამართლებლად. — მამები ომში ჰყავთ და დედებს კი პაპირუსის გულისა და ლოტოსის თესლის გარდა არაფერი გააჩნია.

— დაე, ჩაიტკბარუნოს პირი, — გულკეთილად დაეთანხმა დურგალი. — ახლა მარცხნივ გავიდეთ! აგერ, კიდევ ერთ მსახურს მოაქვს კვერები.

— როგორც ჩანს, ვეზირი ძლიერ გაახარა სასწაულმა, — შენიშნა მეჩექმემ. — ამიტომაც გამოიჩინა ასეთი ხელგაშლილობა.

— ამგვარი რამ ხომ კარგა ხანია არ მომხდარა! — ლაპარაკში მეგოდრეც ჩაერია. — ალბათ ანი განსაკუთრებით კმაყოფილია იმით, რომ სწორედ რუი გააბედნიერა წმინდა გულმა. რატომო, ალბათ მკითხავთ? ეჰ, რა სულელები ხართ! ხატშეფსუტი ხომ ანის წინაპარია!

— რუი კი მისი ტაძრის წინასწარმეტყველი იყო, — დასძინა დურგალმა.

— ნილოსის გაღმა ყველა ქურუმი ძველი სამეფო სახლის ერთგულია, მე ხომ ეს კარგად ვიცი, — ჩაურთო პურის მცხობელმა.

— განა ეს საიდუმლოა? — შესძახა მეჩექმემ. — რაც მართალია, მართალია, ძველად ხალხი უკეთესად ცხოვრობდა. ძვირად გვიჯდება ეს ომი, დარბაისელი ხალხიც კი ფეხშიშველა დადის, რადგან ტყავის ყიდვის საშუალება არა აქვთ. შარშან ნადავლიც უხეირო იყო. რა თქმა უნდა, რამზესი დიდი მეომარი და გმირია, ამასთანავე ღმერთ რას ვაჟიცაა, მაგრამ მარტო, ღმერთების გარეშე, რას გახდება, თუკი მათ თებე შეიძულეს — სხვანაირად, რაღა მაინცდამაინც მკვდართა ქალაქში, და ისიც ძველი... მომხრის მკერდში ჰპოვა თავისი ადგილი ვერძის წმინდა გულმა.

— ენას კბილი დააჭირე, — გააფრთხილა იგი მეგოდრემ. — აგერ ჩაფრები მოდიან.

— დროა საქმეს მივხედო, — აჩქარდა პურის მცხობელი. — დღესასწაულის წინა დღეა და საქმე ყელამდე მაქვს.

— მეც, — ამოიხვნეშა მეჩექმემ. — ვის ესიამოვნება ფეხშიშველა გაჰყვეს მკვდართა ქალაქში ღმერთთა შორის უპირველესს?

— თქვენ ალბათ კარგ ფულსაც გააკეთებთ! — წამოიძახა მეგოდრემ.

— ბევრს ვერაფერს, მომხმარე მაინც მყავდეს ვინმე, ყველა ქარგალი ომშია წასული და ამ უვარგის ბიჭებთან მიხდება ჯახირი. მერედა ეს ცოლებიც, ჩემმა დედაკაცმა პროცესიისათვის ახალი ტანსაცმელი შეიძინა, ბავშვებს, ყველაზე პატარებსაც კი, ყელსაბამები უყიდა. ჩვენ, მართალია, დიდ პატივს ვცემთ ჩვენს მიცვალებულებს და არც ისინი გვაკლებენ წყალობას, მაგრამ რად მიჯდება შესაწირავი — ენა ვერ იტყვის. ჩემი შემოსავლის ნახევარზე მეტი მასზე იხარჯება...

— მე კი ჩემი სახლის ქალბატონის სიკვდილმა ისე შემაძრწუნა, რომ შევფიცე, ყოველ ახალ მთვარეზე მცირე მსხვერპლი შევწირო, ხოლო წელიწადში ერთხელ— დიდი, — ვეღარ მოითმინა პურის მცხობელმა. — ქურუმებს დანაპირები არ ეთმობათ, ცუდი დროება დადგა. გარდა ამისა, იმ ცხონებულს არც ვუყვარვარ და უმადურიცაა, თუმცა სიცოცხლეშიც ასეთი იყო; როცა ჩემი ცოლი სიზმარში გამომეცხადება, კეთილი სიტყვითაც კი არ გამახარებს, პირიქით, ხშირად მაწვალებს ხოლმე.

— იგი ახლა ნათელი და ყოვლისმცოდნე სულია, — თქვა მეგოდრის ცოლმა, — შენ, რა თქმა უნდა, ალბათ ღალატობდი მას. ნეტარხსენებულებმა ხომ ყველაფერი იციან, რაც დედამიწაზე ხდება.

პურის მცხობელმა დაბნეულობისგან ამოიხვნეშა, ხოლო მეჩექმემ წამოიძახა:

— ქვესკნელის მეუფეს ანუბისს გეფიცებით, ჩემს დედაბერზე ადრე მინდა მოვკვდე! მან რომ საიქიოში ოზირისისგან შეიტყოს, რასაც მე დედამიწაზე ჩავდიოდი, მიიღებს იმ სახეს, რომელიც მოესურვება და ღამღამობით ისე გამომეცხადება, მაჯლაჯუნასავით დამაწვება და ჩქმეტით დამალილავებს.

— თუ ჯერ შენ მოკვდები, — უთხრა ქალმა, — ადრე თუ გვიან, სულ ერთია, ისიც ხომ მოხვდება ჯოჯოხეთში; იქ კი გნახავს, ვინცა ბრძანდები.

— ეს არც ისე საშიშია, — ჩაიცინა მეჩექმემ. — მაშინ მეც ხომ ნეტარი გავხდები და მისი ცხოვრება როგორც ხელისგულზე, ისე გადამეშლება წინ. მთლად უცოდველი არც ის იქნება, და თვითონ თუ ფეხსაცმელს მთხლეშს, მე ჩაქუჩს ჩავცხებ თავში.

— უმჯობესია, შინ წავიდეთ, — თქვა მეგოდრის ცოლმა და ქმარს სახელოზე მოსწია. — აქ ყოფნა ხეირს არ დაგვაყრის!

გარშემომყოფებმა ხარხარი ატეხეს, ხოლო პურის მხცობელმა წამოიძახა:

— მართლა, ჩემი წასვლის დროა! მკვდართა ქალაქში დაღამებამდე უნდა მივიდე და განკარგულება გავცე, რომ მაგიდა დამიდგან ხვალინდელი დღესასწაულისთვის. ჩემი დუქანი ზედ ხეობის შესასვლელში დგას. ხვალ შენს ბავშვებს თუ მომიყვან, მეჩექმევ, ტკბილეულით გაგიმასპინძლდებით. იქნებ ახლა ერთად გადავიდეთ მდინარეზე?

— ჩემმა უმცროსმა ძმამ უკვე გადაიტანა გადაღმა თავისი საქონელი, — უპასუხა მეჩექმემ. — ქვეყნის საქმე გვაქვს თებეში, მე კი აქა ვდგავარ და ვლაყბობ! ნეტავი ხვალ თუ გვაჩვენებენ წმინდა ვერძის სასწაულთმოქმედ გულს?

— უსათუოდ, — დაუდასტურა პურის მცხობელმა. — აბა, კარგად იყავი! აგერ, ჩემი კიდობანიც!

თავი მეთერთმეტე

მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიან იყო, პურის მცხობელთან ერთად ნილოსზე ასობით ადამიანი გადადიოდა. მათ ნება დართეს დღესასწაულის წინა ღამე იქ გაეტარებინათ ჩაფრების ზედამხედველობის ქვეშ, რათა წინასწარ მოემზადებინათ დახლები, მოეწყოთ ფარდულები, გაეშალათ კარვები და დაეწყოთ საქონელი, რადგანაც მეორე დღეს, მზის ამოსვლის შემდეგ, წმინდა მდინარეზე ყოველგვარი საქმიანი მიმოსვლა აკრძალული იყო. ამ დილას თებეს მხრიდან გადმოსვლა შეეძლო მხოლოდ სადღესასწაულოდ მორთულ ორჩხომელებსა და სხვა ხომალდებს, რომელთაც გაღმა გადაჰყავდათ მლოცველების მამაკაცები, ქალები, ბავშვები, ადგილობრივი მცხოვრებლები და ჩამოსულები, რათა ყველას მიეღო მონაწილეობა დიდ პროცესიაში.

სეთის სახლის დარბაზებსა და სახელოსნოებშიც ასევე უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა, თუმცა, სასწაულთმოქმედი გულის წმინდა რელიკვიად შერაცხვამ ცოტა ხნით მაინც შეაჩერა სადღესასწაულო მზადება. მაგრამ ახლა ყველაფერი კვლავ თავის რიგზე მიდიოდა: ერთგან გუნდები გალობაში ვარჯიშობდნენ, სხვაგან რელიგიური მისტერიის რეპეტიცია მიდიოდა, ხვალ რომ უნდა წარმოედგინათ წმინდა ტბაზე, სტოლისტები[138] მტვრისგან წმენდნენ ღმერთების ქანდაკე-

[138] სტოლისტები — ქურუმთა მაღალი თანამდებობა; სტოლისტებს უნდა შეემოსათ ღმერთების ქანდაკებები. ზოგიერთ ბარელიეფზე ქანდაკებებს კაუჭები ჰქონდათ, რითაც ტანსაცმელს ამაგრებდნენ. ღმერთების გახდა და ჩაცმა რიტუალით მკაცრად დაწესებული თანმიმდევრობით უნდა მომ-

ბებს და აცმევდნენ მათ, აახლებდნენ საღებავს წმინდა ემ-ბლემებზე. ყველგან ანიავებდნენ და აკერებდნენ ავაზის ტყა-ვებს, აგრეთვე ქურუმთა მორთულობის სხვა საგნებს, აპრია-ლებდნენ კვერთხებს, საცეცხლურებსა და სხვა ლითონის ნივ-თებს, რთავდნენ სადღესასწაულო ნავს, რომელიც საზეიმო სვლის დროს მიაქვთ ხოლმე. სეთის სახლის წმინდა წარაფში უმცროსი მოწაფეები მებაღის ხელმძღვანელობით წნავდნენ გირლანდებსა და გვირგვინებს ნავმისადგომისა, სფინქსების, ტაძრისა და ღმერთების ქანდაკებების მოსართავად. ბრინჯა-ოსწვეტიან ანძებზე პილონების წინ ალმები აღმართეს, ხო-ლო ეზოების თავზე მზისაგან დასაცავად მეწამული ტილო გა-დაჭიმეს.

უფროსი ქურუმი, რომელიც მსხვერპლის შეწირვას განა-გებდა, უკვე ტაძრის გვერდით ჭიშკარში იდგა და დაეწყო კი-დეც საქონლის, მარცვლეულისა და ხილის მიღება; მას ეხმა-რებოდნენ მწერლები, რომელთაც შესაწირავი დავთრებში შეჰქონდათ, მარჯვე ნეოკორები და მონა-მიწათმოქმედნი. ხე-ობის დღესასწაულის დღეს სეთის სახლი ჩვეულებრივ გუ-ლუხვ საჩუქრებს ღებულობდა.

ამენი ხან გუნდებთან გაჩნდებოდა, ხან სასწაულთმოქმე-დებთან, ხალხისთვის საოცარი გარდაქცევები რომ უნდა ეჩ-ვენებინათ, ხან ნეოკორებთან მივიდოდა, რომლებიც სავარ-ძლებს ალაგებდნენ ვეზირისა, ქვეყნის სხვა ქურუმთა საზოგა-დოებების წარგზავნილთა[139] და თებელ წინასწარმეტყველ-

---

ხდარიყო. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქ. აბიდოსის შვიდ სალოცავზე აღმოჩენილი წარწერები. (ავტ. შენიშვნა).

[139] სეთის სახლის აღმოსავლეთ ნაწილს კოლონადაზე არსებული წარწე-რები მიუთითებენ, რომ სეთის ტაძარში გამართულ დღესასწაულს ნილო-სის დელტის ქალაქების წარგზავნილებიც კი ესწრებოდნენ. (ავტ. შენიშ-ვნა).

თათვის, ხან ქურუმებთან, რომლებიც საკმეველს ამზადებ-დნენ, ხან მსახურებთან, რომლებიც სადღესასწაულო ღამის-თვის ათასობით ჩირაღდანს აკეთებდნენ — ერთი სიტყვით, ის ყველგან იყო; ზოგს აჩქარებდა, ზოგისთვის არც შექებას იშუ-რებდა. დარწმუნდა რა, რომ მზადება გაჩაღებული იყო, მან ერთ-ერთ წმინდა მამას უბრძანა მასთან პენტაური მოეხმო.

პენტაური, როგორც კი ტაძრიდან გაგდებულ რამერის და-ემშვიდობა, თავის მეგობარ ნებსეხტთან ერთად მის სამუშაო ოთახში წავიდა.

ახალგაზრდა ექიმი მოუსვენრად დადიოდა წინ და უკან თავის უთვალავ ჭურჭელსა და გალიას შორის. აღგზნებული, ხან ფეხით გადააგდებდა იატაკზე დავარდნილ ბალახის კო-ნას, ხან მაგიდას მუშტს დაარტყამდა და თან პენტაურს უყვე-ბოდა, თუ რა დღეში დაუხვდა იქაურობა, როცა პარასქიტის-გან დაბრუნდა. ლაპარაკის დროს იგი გამალებით იქნევდა ხელებს.

მისი საყვარელი ჩიტები შიმშილისგან დახოცილიყვნენ, გველები გალიებიდან გამოსულიყვნენ, ხოლო გველების ში-შით მაიმუნიც გარეთ გამოვარდნილიყო.

— იმ საზიზღარმა მხეცმა გადააყირავა ხოჭოებიანი ქოთნე-ბი, გახსნა ყუთი, რომელშიც ფრინველებისა და ჭიების საკვებ ფქვილს ვინახავდი, და ერთიანად იმ ფქვილში ამოიგანგლა. — წამოიძახა გაბრაზებულმა. — მან ფანჯრიდან გადამიყარა დანები, ნემსები, მაშები, საჭრისები, ფარგალი და კალმები. როცა ოთახში შემოვედი, მაიმუნი აი იმ კარადაზე იჯდა, მთლად ფქვილში ამოგანგლული იყო, როგორც ეთიოპი, რო-მელიც დღე და ღამე წისქვილის ქვას აბრუნებს; ხელში პაპი-რუსის გრაგნილი ეჭირა, სადაც ჩაწერილი მაქვს დაკვირვებე-ბი ცხოველთა აგებულების შესახებ — ჩემი ამდენი ხნის მუ-

შაობის ნაყოფი. თავი გვერდზე გადაეწია და დიდი ყურადღებით ჩასჩერებოდა ხელნაწერს. როცა გრაგნილის წართმევა დავუპირე, ხელიდან გამისხლტა და ფანჯარაში გადახტა. ჭასთან მოიკალათა და გააფთრებით დაუწყო პაპირუსს ჭმუჭვნა და ბოლოს ნაკუწებად აქცია. მეც გარეთ გამოვვარდი და მისკენ გავექანე, მაგრამ ის ბადიაში ჩაჯდა და ჯაჭვი მოსწია. დამცინავად გადმომიკარკლა თვალები და ჭაში გაუჩინარდა. როცა რის ვაი-ვაგლახით ამოვათრიე, გრაგნილის ნარჩენებთან ერთად წყალში გადაეშვა.

— და დაიხრჩო? — ჰკითხა პენტაურმა.

— ისევ ბადიით ამოვიყვანე და მზეზე დავტოვე გასაშრობად, მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად სხვადასხვა წამლებიც ჩაუყლაპავს და დღეს ნაშუადღევს, მადლობა ღმერთს, სულიც დალია. ჩემი ჩანაწერები კი დაიკარგა. მართალია, რაღაც-რაღაცები მაინც დამრჩა, მაგრამ ძირითადად ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. ხედავ, რა გამოდის — მაიმუნები, რომ მაიმუნებია, ისინიც კი მტრულად ეკიდებიან ჩემს საქმიანობას, ჩვენს ბრძენებზე რომ აღარაფერი ვილაპარაკოთ. აი ის გაიძვერა ყუთში დევს.

პენტაურიც, რომელიც მეგობრის ნაამბობზე გულიანად იცინოდა, მეტად შეწუხდა ასეთი მძიმე დანაკლისის გამო.

— ის ცხოველი აქაა? — ჰკითხა შეშფოთებულმა. — ნუთუ დაგავიწყდა, რომ ის ბიბლიოთეკასთან არსებულ ღმერთ თოთის სამლოცველოში უნდა მოგეთავსებინა? ეს მაიმუნი ხომ ძაღლისთავიანთა[140] წმინდა მოდგმას მიეკუთვნება, მას წმინ-

[140] ძაღლისთავიანი მაიმუნები ანუ კინოცეფალები ღმერთ თოთის წმინდა ცხოველებად ითვლებოდნენ. თებესა და ჰერმოპოლისში აღმოჩენილია მათი მუმიები; გარდა ამისა, არსებობს რელიეფები, სადაც მეტად რეალისტური მანერითაა ასახული ძაღლისთავიანი მაიმუნები, რომლებიც

დანობის ყველა ნიშანი აღმოაჩნდა, ბიბლიოთეკარმა კი შენ მოგანდო, რათა მისთვის სნეული თვალი მოგერჩინა.

— თვალი კი მოვურჩინე, — მიამიტად ჩაილაპარაკა ექიმმა.

— კი მაგრამ, დაბალზამებისთვის ხომ უვნებელ მაიმუნს მოგთხოვენ, — შეეპასუხა პენტაური.

— მომთხოვენო? — ჩაიბურტყუნა ნებსეხტმა და ისეთი სახით შეხედა მეგობარს, როგორც ბავშვმა, რომელსაც დიდი ხნის წინ შეჭმულ ვაშლს სთხოვდნენ უკან.

— შენ, გეტყობა, კიდევ რაღაც ჩაგიდენია?! — წამოიძახა, პენტაურმა და ალერსით დაუქნია თავი.

ექიმმა თავი დაუკრა.

— მაიმუნი გავკვეთე და მისი გული გამოვიკვლიე.

— შენ გულებზე ხომ არ ნადირობ? — აღშფოთდა პოეტი. — რა ბედი ეწია იმ გულს, მოხუც პარასქიტს რომ უნდა მოეტანა შენთვის?

ნებსეხტმა მოკლედ უამბო მეგობარს, რომ უარდას პაპის მიერ მოტანილი ადამიანის გული მან შეისწავლა და დაადგინა, რომ ის არაფრით არ განსხვავდებოდა ცხოველს გულისაგან.

— მაგრამ ის კი უნდა ვნახო, როგორაა დაკავშირებული გულის მუშაობა ადამიანის სხეულის სხვა ორგანოებთან! — აღელვებით თქვა მან ბოლოს. — მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი: სეთის სახლიდან მივდივარ, რათა კოლხიტებს ვთხოვო თავიანთ კასტაში მიმიღონ. თუ საჭირო იქნება, მე მზად ვარ ჯერჯერობით უბრალო პარასქიტის სამუშაოც კი შევასრულო.

ღრმააზროვნად ჩაჰკირკიტებენ წიგნს. აღმოჩენილია აგრეთვე ამ მაიმუნების მრავალი ქანდაკება. კუნძულ ფილეზე, ისიდას ტაძრის ბიბლიოთეკაში შესასვლელი ს ხელმარცხნივ, ნაპოვნია ასეთი ძაღლისთავიანი მაიმუნის შესანიშნავი გამოსახულება. (ავტ. შენიშვნა).

პენტაურმა აუხსნა ექიმს, რომ მაშინ, ამ უგუნური გადაწყვეტილების გამო, მას უკუღმა შემოუტრიალდებოდა საქმე, ხოლო როცა ნებსეხტი გაცხარებით შეეპასუხა, წამოიძახა:

— რაღაც არ მომწონს ეს დაკუწული გულები. განა თავად არა თქვი, ახალი არაფერი მისწავლიაო. შენ როგორ უყურებ ამ საქმეს: კარგია, თუ გინდა, მშვენიერიც კი, თუ მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლოა?

— ჩემთვის სულ ერთია, კარგია ის თუ ცუდი, რასაც მე ვაკვირდები, მშვენიერია თუ საზიზღარი, სასარგებლო თუ საზიანო, მე მხოლოდ მინდა ვიცოდე, რა ხდება და მეტი არაფერი.

— მაშასადამე, შენ მზადა ხარ მარტოოდენ ცნობისმოყვარეობას შესწირო მრავალი ათასი მოყვასის ნეტარება, აიკიდო ეს მწარე ხელობა და მიატოვო კეთილშობილური შრომის სავანე, სადაც ჩვენ სულიერ განწმენდასა და ჭეშმარიტებას ვაღწევთ.

ახალგაზრდა სწავლულმა ზიზღით ჩაიცინა.

პენტაურს მრისხანედ დაებერა ძარღვები მაღალ შუბლზე და მუქარის კილოთი ჰკითხა ნებსეხტს:

— ნუთუ შენ ფიქრობ, რომ შენმა ხელებმა და თვალებმა მიაგნეს იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც აგერ ათასი წელია ასე ამაოდ ეძებენ უკეთილშობილესი მოაზროვნენი? შენ უაზროდ იქექები მტვერში და ამის გამო ავხორც ადამიანებს ემსგავსები, და რაც უფრო მტკიცედ გწამს, რომ ჭეშმარიტებას დაეუფლე, მით უფრო გებნევა თავგზა!

— მე რომ მართლაც მეგონოს, რომ უკვე დავეუფლე ჭეშმარიტებას, მაშინ რაღაზე დავიწყებდი მის ძებნას? — შეეპასუხა ნებსეხტი. — რაც უფრო მეტს ვუკვირდები და შევიცნობ, მით უფრო მწვავედ ვგრძნობ ჩვენი შესაძლებლობისა და ცოდნის არარაობას.

— ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მეტად თავმდაბლურად არის ნათქვამი, — მიუგო პოეტმა, — მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ შენი სამუშაო თვითდაჯერებულობის საფუძველს გვაძლევს. ყველაფერი, რასაც თვალით ხედავ თუ თითებით ეხები, შენ უეჭველი გეჩვენება, ხოლო ქედმაღლურად და დაცინვით უწოდებ მცდარსა და ყალბს ყოველივე იმას, რაც შენი გრძნობადი შემეცნების ფარგლებში არ თავსდება. შემეცნების ამ ცდებს შენ ხომ გრძნობათა სფეროში აწარმოებ და ამ დროს სრულიად ივიწყებ, რომ სხვაგვარი საგნებიც არსებობენ.

— ჩემთვის ის საგნები უცნობია, — მშვიდად განუცხადა ნებსეხტმა.

— ჩვენ, კურთხეულნი კი, მთელ ყურადღებას მათზე ვამახვილებთ! — წამოიძახა პენტაურმა. — ვარაუდი მათ თვისებებსა და ხასიათზე გამოთქმული იყო ჩვენს წრეში ჯერ კიდევ რამდენიმე ათასწლეულის წინათ. მრავალი თაობის მიერ შემოწმებულმა და მოწონებულმა ამ ვარაუდებმა ჩვენამდე უკვე როგორც რწმენამ ისე მოაღწიეს. ვთქვათ, ჩვენი ცოდნა სრულყოფილი არ არის, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ წინასწარმეტყველებს ხომ მაინც ძალუძთ მომავლის განჭვრეტა, ბევრ უბრალო მოკვდავსაც აქვს მომადლებული სასწაულებრივი ძალა. მართალია, ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება გრძნობადი შემეცნების კანონებს, შენ კი მარტოოდენ მათ აღიარებ, ამასთანავე ყველაფერი მეტად ადვილად აიხსნება, თუ ჩვენ უფრო მაღალი რიგის საგნების არსებობას დავუშვებთ. ღვთაების სული როგორც ბუნებაში, ისე თითოეულ ჩვენგანში ცოცხლობს. ადამიანი, რომელსაც მარტო გრძნობადი შემეცნების უნარი აქვს, ცოდნის მხოლოდ უმდაბლეს საფეხურს აღწევს, ხოლო წინასწარმეტყველში მოქმე-

დებს უმაღლესი ღვთაებრივი თვისება, ანუ თავისი წმინდა ფორმით გამოვლენილი ყოვლისცოდნა; ამიტომაც სასწაულთმოქმედი ზებუნებრივ ქმედობას ასრულებს არა ადამიანური ძალის მეოხებით, არამედ ყოვლად შეუზღუდველი ღვთაების შემწეობით.

— მომაცილე ყველა ეს წინასწარმეტყველი და სასწაული! — წამოიძახა ექიმმა.

— მე კი ვფიქრობ, რომ, ბუნებაში ისეთი რიგის საგნებს, როგორსაც შენ აღიარებ, ყოველ წუთს განსაცვიფრებელი სასწაულები მოაქვს, — არ ცხრებოდა პენტაური. — დიახ, ერთიანი ღვთაება ზოგჯერ არღვევს კიდეც საგნების ჩვეულებრივ რიგს, რათა თავისი არსების ის ნაწილი, რასაც ჩვენ სულს ვუწოდებთ, იმ უმაღლეს მთლიანს მიაპყროს, რომელსაც თვითონვე ეკუთვნის, სხვა სიტყვებით, თავის თავს. შენ ხომ სწორედ დღეს ნახე, რომ წმინდა ვერძის გული...

— მოიცა, მოიცა! რა მიამიტი კაცი ყოფილხარ! — შეაწყვეტინა მეგობარს ნებსეხტმა. — ეგ წმინდა გული იმ უბადრუკ ცხვარს ეკუთვნის, რომელიც მუქთად იყიდა გადამყიდველისგან ერთმა ლოთმა მეომარმა და ვიღაც უწმინდურის კერასთან დაკლა, ხოლო საზიზღარმა პარასქიტმა იმ ცხვრის გული რუის ჩაუდო მკერდში და... და... — ამის თქმაზე ნებსეხტმა ყუთი გახსნა და იქიდან იატაკზე გადმოაგდო მაიმუნის გვამი, რაღაც ჩვრები, შემდეგ ამოიღო ალებასტრის თასი და პოეტს გაუწოდა. — აი, ეს კუნთები, რომლებიც ახლა მარილწყალში ტივტივებენ, ოდესღაც წინასწარმეტყველ რუის მკერდში ძგერდნენ, ხოლო ჩემი ვერძის გულით ხვალ პროცესიას გაუძღვებიან! მე მაშინვე მოგიყვებოდი ამას, მაგრამ აღთქმული მქონდა, კრინტი არ დამეძრა ბერიკაცის გულისათვის და მერე... ჰა, რა მოგდის?

პენტაურმა ზურგი შეაქცია მეგობარს, სახეზე ხელები აიფარა და, თითქოს მწვავე ტკივილისგანო, ამოიგმინა.

ნებსეხტს კარგად ესმოდა მეგობრის გულში რა ცეცხლიც ტრიალებდა. იმ ბავშვის მსგავსად, თავისი უსაქციელობისათვის დედას პატიებას რომ სთხოვს, პენტაურთან მივიდა, გაუბედავად გაჩერდა მის უკან, მაგრამ დალაპარაკება ვეღარ გაბედა.

გავიდა რამდენიმე მტანჯველი წუთი. უეცრად პენტაური წელში გაიმართა, გრძნობამორეულმა ხელები აღაპყრო და წამოიძახა:

— ჰოი, დიდო ღმერთო! თუმცა ზაფხულის ღამეს ციდან ვარსკვლავები გცვივა, მაგრამ შენი ძველისძველი და უცვლელი კანონი უმშვენიერეს ჰარმონიაში მაინც წარმართავს „მოუსვენართ“[141] მათ ორბიტებზე, შენ, სამყაროს განმსჭვალავო წმინდა სულო! ჰოი, შენ, რომელიც შთამაგონებ ზიზღს სიცრუისას, შემდგომაც ასევე იმოქმედე ჩემს ფიქრებში — როგორც გონების ჩირაღდანი, ჩემს ქცევაში — როგორც სიკეთე, ჩემს ნათქვამში — როგორც ჭეშმარიტება, მარტოოდენ ჭეშმარიტება!

პოეტი ამ სიტყვებს ისეთი გზნებით წარმოთქვამდა, რომ ნებსეხტს ისინი რომელიღაც შორეული და მშვენიერი სამყაროდან მოღწეულ ხმებად ეჩვენებოდა. სულის სიღრმემდე გულაჩუყებულმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მეგობრისკენ და ხელი გაუწოდა. მანაც ფიცხლად ჩამოართვა ხელი და ჩაილაპარაკა:

— ოო, ეს იყო მძიმე წუთები! შენ არ იცი, ვინ იყო ჩემთვის ამენი, ახლა კი... ახლა...

---

[141] „მოუსვენარნი“— ასე ეწოდებოდა პლანეტებს წმინდა ტექსტებში. (ავტ. შენიშვნა).

მან თქმაც ვერ მოასწრო, რომ ნაბიჯების ხმა გაისმა, ოთახში ახალგაზრდა ქურუმი შემოვიდა და ამენის სახელით უბრძანა, ორივე მეგობარი დაუყოვნებლივ კურთხეულთა საკრებულო დარბაზში გამოცხადებულიყვნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკვე ლამპებით გაკაშკაშებულ დარბაზში შედიოდნენ.

ამენი გრძელი მაგიდის წინ მაღალ ტახტზე დაბრძანებულიყო, მის ხელმარჯვნივ მოხუცი გაგაბუ იჯდა, ტაძრის მეორე წინასწარმეტყველი, ხოლო ხელმარცხნივ მესამე წინასწარმეტყველი. ამავე მაგიდასთან ისხდნენ ქურუმთა დაჯგუფებების უხუცესნი, მათ შორის იყო ასტროლოგების მეთაურიც. თეთრ ქათქათა სამოსელში გამოწყობილი დანარჩენი ქურუმები კი თავმომწონედ ისხდნენ სავარძლებში, ისეთნაირად, რომ ორმაგ ნახევარწრეს ქმნიდნენ, რომლის ცენტრშიც ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ქალღმერთის ქანდაკება იყო აღმართული.

ამენის ტახტის უკან ღმერთ თოთის შეფერადებული ქანდაკება იდგა; ეს ღმერთი ითვლებოდა ზომიერებისა და საგანთა რიგის დამცველად, იგი ბრძნულ რჩევა-დარიგებას აძლევდა არა მარტო ადამიანებს, არამედ ღმერთებსაც კი, და მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი იყო.

დარბაზის ბოლოში ერთ-ერთ ნიშში გამოსახული იყო თებეს სამება და ფარაონი რამზეს I თავის ვაჟიშვილ სეთისთან ერთად, რომლებმაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს ამ ტაძარს; მსხვერპლით ხელში ორივენი სამებას უახლოვდებოდნენ. ქურუმები თავიანთი წოდებისა და კურთხევის შესაბამისად ზუსტი თანამიმდევრობით ისხდნენ. პენტაურს მათ შორის ბოლო ადგილი ეკავა.

როცა პენტაური და ნებსეხტი შევიდნენ, სხდომა ჯერ არ დაწყებულიყო. ამენი ეკითხებოდა ქურუმებს და საჭირო მითითებებს აძლევდა მომავალ დღესასწაულთან დაკავშირებით.

თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო, გაითვალისწინეს ყოველი წვრილმანიც კი, ისე რომ დღესასწაულს შეუფერხებლად უნდა ჩაევლო. თუმცა ტაძრის მწერლები კი ჩიოდნენ, გლეხები, რომელთაც სამხედრო გადასახადები კისერზე აწევს, ცოტა საქონელს სწირავენო ტაძარს; გარდა ამისა, საზეიმო სვლაში არ იქნებოდნენ ისინი, ვისი მონაწილეობაც, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებდა მას. ესენი იყვნენ ფარაონი და მისი ოჯახი.

ეს ამბავი ზოგიერთი ქურუმის უკმაყოფილებასაც იწვევდა: მათი აზრით, მეტად საფრთხილო და სახიფათოც კი იქნებოდა ის ამბავი, რომ დღესასწაულზე არ დაეშვათ რამზესის ორივე შვილი, რომლებიც იმჟამად თებეში იმყოფებოდნენ. როგორც კი მათ თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს, ამენიც წამოდგა:

— ყმაწვილი რამერი, — დაიწყო მან, — ჩვენ ტაძრიდან დავითხოვეთ, ასევე იძულებული გავხდით წაბილწულად გამოგვეცხადებინა ბენტ-ანატი. და თუ თებეს ამონის ტაძრის გულჩვილმა და უნებისყოფო წინამძღვარმა ცოდვა ახსნა და განწმენდილად გამოაცხადა, დაე, ეგონოთ კიდეც განწმენდილი იქ, ნილოსის გაღმა, სადაც მარტო სიცოცხლეზე ფიქრობენ, მაგრამ ჩვენ, ვისაც სიკვდილისთვის სულის მომზადება გვაკისრია, ასე არ ვფიქრობთ. სამაგიეროდ, ტახტიდან ჩამოგდებული დიდი მეფეების შვილიშვილი, ვეზირი, წარუდგება ხალხს მთელი თავისი სიდიადით. თქვენს სახეებზე გაოცებას ვხედავ, ჩემო მეგობრებო! მაგრამ ახლა მხოლოდ ერთის

თქმა შემიძლია. დიდი საქმეები უნდა აღსრულდეს და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ომისგან დაძაბუნებულ ხალხს სულ მალე ახალი მოწყალე მზე ამოუბრწყინდეს. ჩვენ თვალწინ სასწაულები ხდება, და მეც სიზმარში ვიხილე მორწმუნე, ღვთისმოსავი ვაჟკაცი დედამიწაზე ღმერთი რას ნაცვალის ტახტზე. თითქოს ღმერთმა რამ შეისმინა ჩვენი ვედრება და მოგვცა ის, რაც დავიმსახურეთ: მან ყანებს დაუბრუნა ომში წასული მიწათმოქმედნი, მან უცხო ღმერთთა საკურთხევლები დაამხო და წმინდა მიწიდან გააძევა ბიწიერი უცხოელნი.

— შენ ვეზირ ანიზე ლაპარაკობ! — წამოიძახა ასტროლოგების მეთაურმა.

შეკრებილთ გამოცოცხლება დაეტყოთ, ამენი კი მშვიდად განაგრძობდა:

— შეიძლება ის, ვინც სიზმარში გამომეცხადა, ჰგავდა კიდეც მას, მაგრამ მთავარი კი ის იყო, რომ მას ღმერთ რას ჭეშმარიტი შთამომავლის თვისებები ჰქონდა. ამ შთამომავალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა წინასწარმეტყველი რუიც, რომლის მკერდში ვერძის წმინდა გულმა ჰპოვა თავშესაფარი. ღვთის წყალობის ამ საწინდარს ხვალ ხალხს ვუჩვენებთ და გარდა ამისა კიდევ სხვა რაღაცას გამოვუცხადებთ. ისმინეთ და მადლი შესწირეთ ღმერთებს წინასწარ განჭვრეტისათვის! ერთი საათის წინ შემატყობინეს, რომ ვეზირ ანის ნახირში, ერმონტში, აღმოჩენილა ახალი ხარი აპისი, რომელსაც გააჩნია ყველა წმინდა ნიშანი.

იქ მყოფნი კვლავ აღელდნენ.

ამჯერად ამენიმ აცალა ქურუმებს თავისუფლად გამოეხატათ გაკვირვება, შემდეგ კი წამოიძახა:

— ახლა ბოლო საკითხიც გადავწყვიტოთ! აქ დამსწრე ქურუმ პენტაურს სადღესასწაულო მქადაგებლის მოვალეობა

ჰქონდა დაკისრებული. მან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ, მე ვგონებ, მას ჩვენს სამსჯავროზე დღესასწაულის შემდეგ მოვიხმობთ, ვითვალისწინებთ რა მის წმინდა მისწრაფებებს, და ამიტომ ნუ ჩამოვართმევთ საპატიო მისიას. იზიარებთ თუ არ ჩემს აზრს? ყველა თანახმაა? მაშ თუ ასეა, წინ გამოდი, პენტაურ, შენ, ყველაზე ახალგაზრდა ჩვენს შორის, ვისაც ჩვენი წმინდა საზოგადოება ასეთ საპატიო საქმეს განდობს!

პენტაური ფეხზე წამოდგა, თვალი თვალში გაუყარა ამენის და მისი მოთხოვნით ლამაზად და მაღალფარდოვნად მოახსენა შინაარსი თავისი სიტყვისა, რომლითაც ხვალ უნდა წარმსდგარიყო ხალხისა და წარჩინებულთა წინაშე.

პენტაურის სიტყვამ საერთო მოწონება დაიმსახურა, ასე გასინჯეთ, მისი მოწინააღმდეგეებისაც კი. ამენიმ შეაქო იგი და დასძინა:

— ერთი რამ აკლია მხოლოდ შენს სიტყვას, — ის, რაზედაც განსაკუთრებული მჭევრმეტყველებით უნდა ილაპარაკო; მე იმ სასწაულზე მოგახსენებთ, რამაც ასე ააღელვა დღეს ჩვენი გულები. აუცილებელია ხალხს ვუამბოთ, წმიდა გული როგორ...

— ძალიან გთხოვ, — მოულოდნელად შეაწყვეტინა პენტაურმა მთავარ ქურუმს და გაბედულად შეხედა ამენის მრისხანე თვალებში, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ ხოტბას ასხამდა, — ძალიან გთხოვ, ნუ დამავალებ ამ ახალი სასწაულის მაუწყებლობას.

კურთხეულთა სახეებზე გაკვირვება გამოიხატა. ზოგიერთმა ერთმანეთსაც კი გადახედა, მერე ისევ პოეტს შეხედეს და ბოლოს, გაოცებულები, ამენის მიაშტერდნენ. ის კარგად იცნობდა პენტაურს და მაშინვე მიხვდა, რომ ეს უარი უბრალო

ახირება არ უნდა ყოფილიყო, მას როგორც ეტყობა, სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონოდა. ერთგვარი ღვარძლი, თითქოს ზიზღიც კი ისმოდა ახალგაზრდა ქურუმის სუფთა ხმაში, როცა მან წარმოთქვა სიტყვები: „ეს ახალი სასწაული“.

მას ეჭვი ეპარებოდა ღვთიური სასწაულის უტყუარობაში!

წინასწარმეტყველმა ამენიმ თავი ნელა ასწია და გამომცდელად შეხედა პენტაურს, შემდეგ კი უთხრა:

— შენ მართალი ხარ, ჩემო მეგობარო. ვიდრე განაჩენს არ გამოგიტანთ, და სანამ შენც არ დაგიბრუნდება უწინდელი სულიერი სიწმინდე, შენ ღირსი არა ხარ ღვთიური სასწაული ამცნო ხალხს. ღრმად ჩაიხედე შენს სულში და დაანახვე მორწმუნეთ ცოდვების მთელი საშინელება, უჩვენე მათ გულის განმანათებელი გზა, რომელსაც ამიერიდან შენც უნდა დაადგე. სასწაულს კი თავად ვაუწყებ ყველას!

ქურუმები სიხარულით შეხვდნენ თავიანთი მოძღვრის ბრძნულ გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ ამენიმ კიდევ რამდენიმე განკარგულება გასცა, უბრძანა ქურუმებს საიდუმლოდ შეენახათ ყოველივე გაგონილი, მისი ბრძნული სიზმარიც კი, და ყველა გაუშვა. მხოლოდ მოხუც გაგაბუსა და პენტაურს სთხოვა ცოტა ხანს დარჩენილიყვნენ.

როცა ქურუმები წავიდნენ, ამენიმ ჰკითხა პოეტს:

— რატომ ამბობ უარს ამცნო ხალხს არაჩვეულებრივი სასწაული, რომელმაც მკვდართა ქალაქის ყველა ქურუმს გული სიხარულით აღუვსო?

— განა შენ თვითონ არ მასწავლიდი, რომ ჭეშმარიტება შემეცნების უმაღლესი საფეხურია, იმის იქით აღარაფერი არსებობსო, — მიუგო პოეტმა.

— და მე ამას კიდევ ერთხელ გიმეორებ, — უთხრა ამენიმ. — სწორედ იმიტომ, რომ შენ ამ მოძღვრებას აღიარებ, მეც გე-

კითხები ღმერთ რას წმინდა ქალიშვილის სახელით: გეეჭვება თუ არა იმ სასწაულის ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ თვალწინ აღსრულდა?

— მეეჭვება! — მტკიცედ უპასუხა პოეტმა.

— მაშ დარჩი ჭეშმარიტების უმაღლეს საფეხურზე, — განაგრძო ამენიმ. — და გვამცნე მისი სიმაღლიდან, რა ეჭვები აცბუნებს შენს რწმენას?

— ჩემთვის ცნობილია, — წარმოთქვა შუბლშეკვრით პენტაურმა, — რომ გული, რომელთანაც ხვალ ხალხი დიდი მოწიწებით მივა, და რომლის წინაშეც კურთხეულნიც კი ისე დახრიან თავს, როგორც ღმერთ რას სულის ჭურჭლის წინაშე, ამოღებულია უბრალო ცხვრის სხეულიდან, და მოტყუებითაა ჩაგდებული იმ კანოპში, რომელშიც რუის შიგნეული ეწყო.

ამენიმ უკან დაიხია, ხოლო გაგაბუმ ხმამაღლა შესძახა:

— ვინ თქვა ეს? ვის შეუძლია ამის დამტკიცება? ნუთუ ამ სიბერეში ასეთ დაუჯერებელ ამბავსაც უნდა მოვესწრო?!

— მე უტყუარი საბუთი მაქვს, მაგრამ იმას, ვინც ეს მაცნობა, ვერ დაგისახელებთ.

— მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს ჩავთვალოთ, რომ შენ ცდები და ვიღაც არამზადამ გაგასულელა! — წამოიძახა ამენიმ. — ჩვენ შევიტყობთ, ვინაა იგი და სასტიკადაც დავსჯით! ღვთაების ხმის აბუჩად აგდება უდიდესი ცოდვაა, ხოლო ყველა, ვინც ყურს უგდებს სიცრუეს, შორსაა ჭეშმარიტებისაგან. წმინდა და სამგზის წმინდაა, თვალდავსებულო უგუნურო, ის გული, რომელსაც მე ხვალ აი ამ ხელებით ვაჩვენებ ხალხს, და რომლის წინაშე შენც თვითონ, ნებსით თუ უნებლიეთ, ლოცვით პირქვე დაემხობი! ახლა კი წადი, მოიფიქრე სიტყვები, რომლებითაც ხვალ ხალხის სული უნდა აღამაღლო. — ერთი რამ კი იცოდე: ჭეშმარიტებას უამრავი საფეხური აქვს, და

მრავალგვარადაც ვლინდება იგი, ისევე, როგორც ღვთაების გამოვლინების ფორმები. მსგავსად იმისა, როგორც მზე დაცურავს არათანაბარ ზედაპირზე და ვარსკვლავებიც ტალღისებური ბილიკით მოძრაობენ, რომელსაც ჩვენ გველის მეხენის[142] დაგრეხილ სხეულს ვადარებთ, ასევე რჩეულებს, რომელნიც დროსა და სივრცეს გასცქერიან, იმათ, ვის ხელშიცაა ადამიანის ბედ-იღბალი, არა მარტო ნებადართული, არამედ ნაბრძანებიც კი აქვთ იარონ რთული დახლართული გზებით, რათა უმაღლეს მიზნებს მიაღწიონ. არ გესმით რა მათი, შენ და შენისთანები თქვენივე უმეცრებით ფიქრობთ, თითქოს მათ ჭეშმარიტების გზიდან გადაუხვიეს. თქვენ მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობთ, ჩვენ კი ხვალინდელსაც ვხედავთ, ამიტომაც ის, რასაც ჩვენ ჭეშმარიტებას ვუწოდებთ, თქვენც უნდა იწამოთ და გჯეროდეთ მისი! და გახსოვდეს ისიც, რომ თუ სიცრუე შებღალავს სულს, ეჭვიანობა ერთიანად გაანადგურებს მას!

ყველაფერი ეს ამენიმ დიდი გზნებით წარმოთქვა, ხოლო როცა პენტაური წავიდა, და გაგაბუსთან მარტო დარჩა, უცებ წამოიძახა:

— რას ნიშნავს ეს? ვინ ამღვრევს ამ ნიჭიერი ყმაწვილის სუფთა, ბავშვურად მიამიტ გონებას?

---

[142] ტექსტში „იმაზე, რაც მიწის სიღრმეში იმყოფება“ (ანუ საიქიოში) ხშირადაა მოხსენიებული ტალღისებური გველი მეხენი, რომელიც სიმბოლურად ასახავს იმ გზის ხვეულებს, რომელიც მზემ უნდა განვლოს ღამის განმავლობაში ქვესკნელის სამეფოში მოგზაურობისას. მითოლოგიაში გველის სახეს ისევე ხშირად კეთილი აზრი აქვს, როგორც ბოროტი. წმინდა გველები ყველა ტაძარში ჰყავდათ, ხოლო თებეში რქიანი გველგესლას მუმიაც კი აღმოაჩინეს. პლუტარქეს თქმით, გველებს წმიდათაწმიდად თვლიდნენ იმიტომ, რომ ისინი არ ბერდებიან, და, ვარსკვლავების მსგავსად, ხელ-ფეხის გარეშე თავისუფლად დასრიალებენ. (ავტ. შენიშვნა).

— მე ვფიქრობ, ის თავადაა დამნაშავე. — მიუგო გაგაბუმ. — ის უარყოფს უძველეს კანონს, რამეთუ გრძნობს, რომ მის შეგნებაში აღმოცენდება ახალი.

— მაგრამ კანონები დაბურულ ტყესავით აღმოცენდებიან და იზრდებიან, მათ ადამიანი როდი ქმნის! — ფიცხლად შეეპასუხა ამენი. — მე მიყვარს ეს პოეტი, მაგრამ რამენაირად უნდა მოვარჯულოთ, ჭკუაზე მოვიყვანოთ, თუ არა და, აბობოქრებულ ნილოსს დაემსგავსება, რომელიც ხანდახან ჯებირებსაც კი ანგრევს. ხოლო ის კი, რაც სასწაულზე თქვა...

— ეჭვის საბაბი შენ ხომ არ მიგიცია? — ჰკითხა გაგაბუმ.

— ერთიან ღვთაებას ვფიცავარ, არა! — წამოიძახა ამენიმ.

— მაგრამ პენტაური გულმართალი და მიმნდობია, — შენიშნა ჩაფიქრებულმა მოხუცმა.

— ვიცი, — უპასუხა ამენიმ. — დავუშვათ, ყველაფერი მართლაც ისე იყო, როგორც თვითონ ლაპარაკობს, მაგრამ ვის შეეძლო ამის გაკეთება, და ვინ გაანდო ამ სამარცხვინო დანაშაულის საიდუმლო?

შეფიქრიანებული ქურუმები მდუმარედ მისჩერებოდნენ იატაკს, დუმილი ამენიმ დაარღვია:

— პენტაური აქ ნებსეხტთან ერთად მოვიდა, ისინი ხომ დიდი ხნის მეგობრები არიან! — თქვა მან. — სად იყო ექიმი, სანამ მე თებედან დავბრუნდებოდი?

— პარასქიტის შვილიშვილს მკურნალობდა, რომელსაც ბენტ-ანატმა გადაუარა ეტლით; ექიმმა სამი დღე დაჰყო მათთან ქოხში, — უპასუხა გაგაბუმ.

— პინემმა კი გარდაცვლილი რუის გვამი გაკვეთა! — წამოიძახა მთავარმა ქურუმმა. — ახლა კი ჩემთვის გასაგებია, ვინ შეურყია რწმენა პენტაურს. ეს ენაბლუ მეოცნების ნამოქმედარია, და ძვირადაც დაუჯდება ეს ყველაფერი. დღეს ხვა-

ლინდელ ზეიმზე ვიფიქროთ, ზეგ კი თავად დავკითხავ იმ ვაჟ-ბატონს და არაფრით არ დავინდობ.

— მე კი ვფიქრობ, რომ ნებსეხტი ჯერ საიდუმლოდ უნდა დაიკითხოს, — თქვა გაგაბუმ. — ის ხომ ჩვენი ტაძრის თვალია, ან რამდენი აღმოჩენა აქვს გაკეთებული, თანაც საქმის ღრმა მცოდნეა...

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, — მკაცრად შეაწყვეტინა ამენიმ. — ისედაც ქვეყნის საქმე გვაქვს.

— ჰო, ზეიმის შემდეგ ფიქრის დროც მეტი გვექნება, — უთხრა გაგაბუმ. — მეტად სახიფათო გზას დავადექით. შენ ხომ იცი, უწინდელი ხალისი და სიფიცხე კიდევ შემომრჩა, თუმცა კი დავბერდი. გაუბედაობა და ყოყმანი არა მჩვევია! მაგრამ რამზესი ძლევამოსილი კაცია, და მოვალეობა მაკისრებს, გკითხო: სიძულვილი ხომ არ გიბიძგებს ფარაონის წინააღმდეგ მეტად ნაჩქარევი და გაუფრთხილებელი მოქმედებისკენ?

— განა რატომ უნდა მძულდეს რამზესი? — თავშეკავებულად შეეპასუხა ამენი. — მას რომ თავზე გვირგვინი არ ედგას, მაშინ ეგებ მყვარებოდა კიდეც. მას ხომ ღვიძლი ძმასავით ვიცნობ და ყველაფერ დიდებულს ვაფასებ მასში, უფრო მეტიც, სიამოვნებით ვაღიარებ, რომ მას წვრილმანი ნაკლოვანებები არ გააჩნია. რომ არ ვიცოდე, რამდენად ძლიერ მოწინააღმდეგესთან მაქვს საქმე, მაშინ მცირედი ძალებითაც კი შევეცდებოდით ტახტიდან მის ჩამოგდებას. ყოველ შემთხვევაში, ორივესთვის ცხადია — ის ჩვენი მტერია! არა შენი და ჩემი მტერი, არა ჩვენი ღმერთების მტერი, არამედ მტერი სარწმუნოების ოდითგან აღიარებული დოგმებისა, რომელთა შესაბამისადაც უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. და თუ ეს ასეა, მაშინ ის, პირველ რიგში, იმათი მტერია,

ვინც მოწოდებულია აღასრულოს ძველი დროის წმინდა ანდერძი და გეზი მისცეს ქვეყნის მმართველს. მე ქურუმთა კასტაზე ვლაპარაკობ, რომლის სათავეშიც ვდგავარ, და რომლის უფლებებისთვისაც ვიბრძვი მთელი ჩემი გონებრივი შესაძლებლობებით. ამ ბრძოლაში, შენც კარგად მოგეხსენება, ჩვენი საიდუმლო კანონის თანახმად, თვით ღმერთები ჰფენენ ჭეშმარიტების წმინდა ნათელს ყველაფერ იმას, რაც სხვა შემთხვევაში წყევლა-კრულვის ღირსი იქნებოდა სიცრუეს, ღალატსა და მზაკვრობას. ისევე, როგორც ექიმი ავადმყოფის გადასარჩენად დანასა და ცეცხლს მიმართავს, ჩვენც უფლება გვაქვს საზარელი საქმენი ჩავიდინოთ მთლიანის გადასარჩენად, რომელსაც საფრთხე ემუქრება. აი ახლაც ხომ ხედავ, რომ მე ვიბრძვი ყველანაირი საშუალებებით, რამეთუ გულხელდაკრეფილნი უმოქმედობას რომ მივეცეთ, მაშინ სახელმწიფოს ხელმძღვანელებისგან ფარაონის მონებად გადავიქცევით.

გაგაბუმ თავი გადააქნია. ამენი თანდათან უფრო მგზნებარედ და მაღალფარდოვნად ლაპარაკობდა, როგორც მაშინ, როცა ტაძრის საკურთხევლიდან გამოსულმა ქურუმთა საზოგადოებას ღვთის ნება-სურვილი ამცნო.

— შენ, ჩემს მასწავლებელს, დიდად გაფასებ მე, ამიტომაც შენ უნდა გაგანდო ყველაფერი ის, რაც მამოძრავებს და რამაც შთამაგონა წამომეწყო ეს ულმობელი ბრძოლა. როგორც შენთვის ცნობილია, მე და რამზესი ერთად გავიზარდეთ ამ კედლებში, და სეთიმ მაშინ ბრძნულად გადაწყვიტა, შვილი რომ აქ მოიყვანა. ჩვენ ორივე — ტახტის მემკვიდრე და მე, პირველები ვიყავით ყველაფერში — თამაშში თუ სწავლაში. თუმცა მას ვერ შევედრებოდი ცოდნის ათვისების სისწრაფესა და გონების იშვიათ სიმკვირცხლეში; სამაგიეროდ, მე უფრო

მუყაითი ვიყავი და ღრმად ვწვდებოდი მეცნიერებას. ხშირად დამცინოდა, როცა სამუშაოს ჩავკირკიტებდი, მე კი მის ნიჭიერებას არაფრად ვაგდებდი. მე კურთხეული გავხდი, ხოლო მან ქვეყნის მართვა დაიწყო ჯერ მამასთან ერთად, მერე კი, როცა სეთი გარდაიცვალა, მარტომ. წლები გავიდა, მაგრამ ჩვენი სულები კვლავინდებურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მან გმირული ასპარეზი აირჩია, ქედი მოახრევინა ხალხებს და სისხლის ფასად არნახული დიდების შარავანდით შემოსა ეგვიპტე. მე კი შეუპოვარ შრომაში გავატარე ეს დრო. ვასწავლიდი ახალგაზრდებს და იმ რწმენას ვიცავდი, რომელისაც ადამიანთა სიცოცხლე ემყარება და ხალხის ღმერთებთან კავშირი ეფუძნება. დაუცხრომლად ვეუფლებოდი უძველესი წიგნების სიბრძნეს და ბევრი რამ სასარგებლოც გავიგე ბერებისაგან. შემდეგ აწმყოს ვადარებდი წარსულთან. რანი იყვნენ ქურუმები? რა გზით მიაღწიეს ძალაუფლებას? რა ბედი ეწეოდა ეგვიპტეს ჩვენ გარეშე? უჩვენოდ აქ ხომ არც მეცნიერება, არც ხელოვნება და არც ხელოსნობა იარსებებდა. ჩვენ ვაკურთხებდით მეფეებს, ღმერთებს ვუწოდებდით და ხალხსაც ვასწავლიდით პატივი ეცათ მათთვის, ვითარცა ღმერთებისათვის, რამეთუ ბრბოს არ ძალუძს იარსებობს ძლიერი ხელის გარეშე, რომელიც ხალხს შიშის ზარს უნდა სცემდეს, როგორც ყოვლისშემძლე ბედისწერის ხელი. ჩვენ სიამოვნებით ვემსახურებოდით ამ ღვთისსწორ მეფეს, სანამ ის ჩვენი დოგმების მიხედვით მართავდა სახელმწიფოს, ისევე როგორც განგება მართავს სამყაროს მარადიული კანონებით. ჩვენი წრიდან ირჩევდა მრჩევლებს, ჩვენ ვასწავლიდით, როგორ დაეცვა ქვეყნის ინტერესები, და ისიც ყოველთვის ყურად იღებდა ჩვენს რჩევა-დარიგებას. წინათ მეფე მხოლოდ და მხოლოდ ხელები იყო, ხოლო ჩვენ, ქურუმები —

თავი. ახლა კი, მამაო, რანი ვართ ჩვენ? ჩვენ კიდევ საჭირონი ვართ, რათა ხალხს რწმენა განვუმტკიცოთ, უკეთუ ის ღმერთების პატივისცემას დაკარგავს, მაშინ მეფეს როგორღა დაემორჩილება. სეთი გაბედული კაცი იყო და შვილიც ასეთივე ჰყავს, ამიტომაც ორივეს მამაზეციერის იმედი ჰქონდა. ღვთისმოსავია ფარაონი, შესაწირს არ იშურებს და ლოცვაც უყვარს. ჩვენ მას ვჭირდებით, როცა საცეცხლურს ვაქნევთ, ზვარაკს ვკლავთ, აღვავლენთ ლოცვებს, ვხსნით სიზმრებს, მაგრამ ჩვენს რჩევა-დარიგებას ყურს აღარ ათხოვებს. თავის დროზე მამაჩემმა-ოზირისმა, ჩემზე გაცილებით ღირსეულმა მთავარმა ქურუმმა, წინასწარმეტყველთა დიდი საბჭოს სახელით სთხოვა თავის ფარაონს ხელი აეღო მკრეხელურ გადაწყვეტილებაზე — გემთსავალი არხით შეერთებინა ჩრდილოეთის ზღვა უწმინდურ მეწამული ზღვასთან, რადგანაც მხოლოდ აზიელებს მოუტანდა სიკეთეს ეს განზრახვა[143], მაგრამ სეთიმ არ დაგვიჯერა. ჩვენ გვინდოდა ქვეყნის ძველი დაყოფა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ რამზესმა ახალი წესი შემოიღო, ისევ და ისევ ქურუმების საზიანოდ. ჩვენ ვაფრთხილებდით, რომ მოსალოდნელი იყო სისხლისმღვრელი ომები, ის კი ლაშქრობას ლაშქრობაზე აწყობდა. ჩვენ გვაქვს უძველესი კურთხეული სიგელები, რომელთა ძალითაც ჩვენი მიწათმოქმედნი თავისუფლდებოდნენ ჯარში სამსახურისგან, მაგ-

[143] მეწამული ზღვის სანაპირო ნავსადგურები ფინიკიელების ხელში იმყოფებოდა; აქედან ისინი ნელსაცხებლებისთვის სამხრეთისკენ — არაბეთში დაცურავდნენ. (ავტ. შენიშვნა).
ეგვიპტის ფარაონმა ნეხომ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 610—594 წ.) დაიწყო მეწამული ზღვის ნილოსის აღმოსავლეთ ტოტთან შემაერთებელი არხის გათხრა, მაგრამ აღარ დაამთავრა (ჰეროდოტე. II. 58), რადგან გააფრთხილეს, რომ ამ არხისგან მხოლოდ უცხოელები ნახავდნენ სარგებელს.

რამ, შენ იცი, რომ მან ეს უფლებაც მკრეხელურად გათელა. ოდითგან ჩვენში არავის ჰქონდა ნება აეგო უცხო ღმერთთა ტაძრები, რამზესი კი მფარველობს უცხო ქვეყნის შვილებს და არა მარტო ჩრდილოეთში, არამედ ოდითგანვე წმიდათაწმიდა მემფისში და ჩვენთანაც, თებეში, უცხოელთა კვარტალებში, ითმენს აღმოსავლეთის სისხლისმსმელ და თვალთმაქც ღმერთთა საკურთხევლებსა და ტაძრებს.[144]

— შენ წინასწარმეტყველივით ლაპარაკობ! — შესძახა გაგაბუმ. — და შენი სიტყვები თვით სამართლიანობაა! ჩვენ ჯერ კიდევ ქურუმები გვქვია, მაგრამ ვაი, რომ, ჩვენს რჩევას ყურს არავინ უგდებს. „თქვენი საქმეა, ღირსეული ხვედრი მოუმზადოთ იმქვეყნად ადამიანებს, — ამბობდა რამზესი, — ხოლო მათი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი ამქვეყნად მე ვარ!“

— დიახ, სწორედ ასე ამბობდა! — მაშინვე კვერი დაუკრა ამენიმ. — მარტო ესეც კმარა, რომ მას მსჯავრი დაედოს, მთელი თავისი ოჯახითურთ იგი ჩვენი უფლებებისა და ჩვენი წმიდათაწმიდა სამშობლოს მტერია. განა საჭიროა მოგაგონო მისი გვარიშვილობა? ადრე „შავ ჭირსა“ და „ყაჩაღებს“ ვუწოდებდით აღმოსავლეთიდან მოვარდნილ ბრბოს, რომელიც ურიცხვი კალიასავით ესხმოდა თავს ჩვენს ქვეყანას, ძარცვავდა და ქელავდა მას. ჰოდა, რამზესიც იმ ყაჩაღების მოდგმისაა. როცა ანის წინაპრებმა ჰიქსოსები განდევნეს, ეგვიპტის ახლანდელი მმართველის მამაცმა წინაპარმა შეწყალება და ნილოსის სანაპიროზე დარჩენის ნება ითხოვა. მისი შთამომავლები ფარაონის ლაშქარში მსახურობდნენ; თავიც გამოიჩინეს, რამზესთა შორის პირველმა კი, ბოლოს და ბო-

[144] ეგვიპტეში ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში იყო შეწყვეტილი. მაშინ როცა ფინიკიელები გვიანდელ ეპოქაშიც კი სწირავდნენ ადამიანებს თავიანთ ღმერთს მოლოხს.

ლოს, შეძლო ლაშქრის გადმობირება და ტახტიდან ჩამოაგ-
დო ღმერთ რას ჭეშმარიტ შვილთა უძველესი გვარი... სამწუ-
ხაროდ, უნდა გამოგიტყდე, რომ მართლმორწმუნე ქურუმებ-
მა, — მათ შორის ჩემი და შენი პაპებიც იყვნენ, — მხარი და-
უჭირეს ტახტის თავხედ მიმტაცებელს, რომელიც იმხანად
ძველისძველი მოძღვრების მიმდევარი იყო. ასამდე ჩემი წი-
ნაპარი, ისევე როგორც შენი და ბევრი სხვა ქურუმის მამა-პა-
პა, მოკვდა აქ, წმიდათაწმიდა ნილოსის ნაპირებზე, ხოლო
რამზესის წინაპრების მხოლოდ ათი თაობაა ჩვენთვის ცნობი-
ლი, და ყველამ იცის, რომ ისინი უცხო გვარისანი არიან, სა-
ზიზღარი ამუს ტომის ნაშიერნი. ის ისეთივეა, როგორც ყველა
სემიტი. ამ ხალხს ხეტიალი უყვარს, ჩვენ დაცინვით „მხვნე-
ლებს“ გვეძახიან და აბუჩად იგდებენ ბრძნულ კანონს, რომ-
ლის ძალითაც ჩვენ მიწას ვამუშავებთ და ალალი შრომით
ვცხოვრობთ სიკვდილის მარადიულ მხარეში გადასახლების
მოლოდინში. ისინი ხომ გამუდმებით მომთაბარეობენ, ლაშ-
ქრად დადიან ნადავლისათვის, მათი ნავები ზღვებს სერავენ,
და ამ ხალხისთვის უცხოა მშობლიური კერის სითბო. ისინი
სახლდებიან იქ, სადაც სარფიანი საქმე ეგულებათ, თუ სახეი-
როს ვერაფერს ნახავენ, მაშინ სხვაგან იდებენ ბინას. ასეთი
იყო სეთი. ასეთია რამზესიც! თითქმის წელიწადი თებეშია
ხოლმე, მერე კი საომრად უცხო ქვეყნებში მიეშურება.
ღვთისმოსაობა უცხო ხილია მისთვის და არც ბრძენთა რჩევა-
დარიგებას უგდებს ყურს. კვიცი გვარზე ხტისო! გაიხსენე
ბენტ-ანატის მკრეხელური საქციელი. წეღან გითხარი, რომ
ფარაონი პატივს სცემს უცხოელებს. გიფიქრია თუ არა იმაზე,
თუ რას ნიშნავს ეს ჩვენთვის? ჩვენ დიადი, კეთილშობილური
მიზნებისკენ მივისწრაფით და ხორციელ ვნებათა წინააღმდეგ
ბრძოლაში გავხდით სულთა მფარველნი. ღარიბი მშვიდად

ცხოვრობს კანონის კალთის ქვეშ და ჩვენი საშუალებით ეზიარება სულის საუნჯეს, ხოლო მდიდრებს ხელოვნებისა და მეცნიერების ამოუწურავ ფასეულობას ვაწვდით. ახლა კი უცხო ქვეყნებს გადახედე! აღმოსავლეთით და დასავლეთით, უდაბნოს ქვიშაში თავიანთი უბადრუკი კარვებითურთ დაეხეტებიან მომთაბარე ტომები. სამხრეთში პირუტყვის მსგავსთა ნაშიერნი თაყვანს სცემენ ფრინველის ფრთასა და მახინჯ კერპებს, რომელთაც გამეტებით სცემენ, თუკი ღმერთები მათ მოწყალე თვალით არ გადმოხედავენ. ჩრდილოეთით, მართალია, არსებობენ ორგანიზებული სახელმწიფოები, მაგრამ თავიანთ ხელოვნებასა და მეცნიერებას ჩვენ უნდა გვიმადლოდნენ, ხოლო მათ საკურთხევლებზე საღმრთოს შეწირვის საბაბით მაინც ადამიანის სისხლი იღვრება. მაშასადამე, უცხო ქვეყნებიდან მხოლოდ დაცემა-დაკნინება და გახრწნა მომდინარეობს. აი რატომ არ უნდა მოვექცეთ უცხოთა ზეგავლენის ქვეშ, აი, რატომ სძულთ ეს ჩვენს ღმერთებს. მეფე რამზესი კი სისხლით, სულითა და გარეგნობით უცხო გვარისაა. ფიქრით ის მუდამ სადღაც შორსაა — ეს ქვეყანა ევიწროება და ვერასოდეს ჩასწვდება იმას, თუ რაში მდგომარეობს მისი ხალხის კეთილდღეობა. მას არც ერთი მოძღვრება არა სწამს, მას ზიანი მოაქვს ეგვიპტისათვის, რაც უფლებას მაძლევს ვთქვა: „ძირს ფარაონი!“

— ძირს! — მკვირცხლად აყვა მოხუცი გაგაბუ. ამენიმ მღელვარებისგან აკანკალებული ხელი გაუწოდა მოხუცს, შემდეგ, ცოტა რომ დაწყნარდა, კვლავ განაგრძო:

— ვეზირი ანი ამ ქვეყნის ჭეშმარიტი შვილია, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან. მე მას კარგად ვიცნობ, ისიც ვიცი, რომ თუმცა მეტად ჭკვიანია, მაგრამ მშიშარაცაა. მიუხედავად ამისა, მან უნდა დაგვიბრუნოს ჩვენი მამაპაპისეული კანონიე-

რი უფლებები. მე უკვე გავაკეთე არჩევანი, დაწყებული საქმე კი ყოველთვის ბოლომდე მიმყავს. ახლა შენ ყველაფერი იცი და უნდა დამეხმარო.

— მე შენი ერთგული ვარ სულითა და ხორცით! — შესძახა გაგაბუმ.

— გაუმაგრე გულები ჩვენს თანამოძმეებსაც! — დამრიგებლური კილოთი თქვა მთავრმა ქურუმმა ამენიმ და მოხუცს დაემშვიდობა. — ყოველი კურთხეული ალბათ მიხვდება იმას, რაც ახლა ხდება, მაგრამ კრინტი არავინ დაძრას!

თავი მეთორმეტე

ნილოსის ადიდების მეორე თვის ოცდამეცხრე დღის მზე უკვე ამოვიდა.[145] თებეს ყველა მცხოვრები, მოხუცი თუ ახალგაზრდა, თავისუფალნი თუ მონები თავ-თავიანთ კვარტალებში, ტაძრების ჭიშკრებთან ქურუმების ხელმძღვანელობით ხოტბას ასხამდნენ ამომავალ მნათობს.

თებელები მთელი ოჯახებით პილონებთან იდგნენ და ქურუმთა პროცესიის გამოსვლას ელოდებოდნენ, რათა შეერთებოდნენ მას და ერთად წასულიყვნენ უზარმაზარი ტაძრისკენ; იქიდან კი სადღესასწაულოდ მორთული ორჩხომელებით ნილოსზე გადავიდოდნენ ნეკროპოლში.

დღეს, ხეობის დღესასწაულზე, თებეს უდიდესი ღმერთი ამონი ზარ-ზეიმით გადაჰყავდათ მკვდართა ქალაქში, რათა მას, როგორც ქურუმები ამბობდნენ, იქ მსხვერპლი შეეწირა საიქიოში მყოფი თავისი მშობლებისათვის. მას გზა დასავლეთისკენ ედო, სადაც მოკვდავთა ძვლები განისვენებდნენ; იქ, დასავლეთით, მილიონჯერ ჩამქრალა მზე, რათა მეორე დღეს ისევ ამობრწყინებულიყო ღამის წყვდიადიდან.

ახალი მნათობი, ამბობდნენ ქურუმები, არ ივიწყებსო ჩამქრალს, რომლისგანაც ის იშვა, და ხოტბას ასხამს მას ამონის

---

[145] ნილოსის ადიდების მეორე თვის ოცდამეცხრე დღე ანუ 29 პაოპი — ეგვიპტელებს წელიწადის სამი დრო ჰქონდათ, ანუ ტეტრამენია; თითოეულს კი — ოთხ-ოთხი თვე; ადიდების დროს, თესვის დრო და მკის დრო (შა, პერი და შემე). ნილოსის ადიდების მეორე თვეს პაოპი ეწოდება, ხოლო ამ თვის 29 რიცხვი, როცა ხეობის დღესასწაულს მართავდნენ, ჩვენი ამბის დროისათვის 8 ნოემბერს შეესაბამებოდა. (ავტ. შენიშვნა).

სახით, რათა გააფრთხილოს მორწმუნენი არ დაივიწყონ გარდაცვლილი მშობლები, რომლებმაც მათ სიცოცხლე აჩუქეს.

„მსხვერპლი შესწირე მამასა შენსა და დედასა შენსა, აკლდამათა ხეობაში რომ განისვენებენ, რადგან ასე ნებავთ ღმერთებს, რომლებიც ამ საჩუქრებს ისე მიიღებენ, ვითარცა მათთვის მორთმეულს; ხშირად ინახულე გარდაცვლილნი, რათა ის, რასაც მათთვის აკეთებ, შენმა შვილმა შენთვისაც გააკეთოს“, — გვასწავლის ერთ-ერთი წმინდა მცნება.

ხეობის დღესასწაული მკვდართა დღესასწაული იყო. მაგრამ ეს მწუხარების დღესასწაული როდი იყო, რომელსაც მუდამ თან ახლავს ტირილი და მოთქმა; ეს იყო სიხარული, ზეიმი, მიძღვნილი იმათი ხსოვნისადმი, ვინც ხალხს სიკვდილის შემდეგაც უყვარს და ადიდებს, როგორც ნეტარხსენებულთ. მკვდრებს სასოებით იხსენიებდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ და ნადიმობდნენ აკლდამებში თავშეყრილნი.

იმ დღეს ოჯახები ერთად იყვნენ: ცოლ-ქმარი და შვილები ერთი წუთითაც არ შორდებოდნენ ერთმანეთს. მაგ მიჰყვებოდნენ სანოვაგით დატვირთული მონები, რომელთაც ჩირაღდნებით უნდა გაენათებინათ მიწისქვეშა გზები.

ყველაზე ღარიბ-ღატაკიც კი დღესასწაულის წინა დღეს იპირებდა ადგილს ერთ-ერთ დიდ ნავზე, რომელთაც თებეს მცხოვრებნი გაღმა გადაჰყავდათ. თვალისმომჭრელად მოელვარე მდიდართა ნავები გამზადებულნი ელოდნენ თავის პატრონებსა და მათ ოჯახებს. ბავშვებს ღამღამობით ესიზმრებოდათ ამონის წმინდა სადღესასწაულო ნავი. ეს ნავი, როგორც დედა უყვებოდათ, თავისი სილამაზით არაფრით ჩამოუვარდებოდა მზის ღმერთის ოქროს ორჩხომელს, რომლითაც ის თავის თანამგზავრებთან ერთად დაცურავდა ცის ოკეანეში.

ამონის ტაძრის დიდ კიბეზე, რომელიც ნილოსისკენ ჩადიოდა, ქურუმები ირეოდნენ, მთელი სანაპირო ხალხით იყო სავსე, მდინარეზე უამრავი ნავი მოცურავდა. სადღესასწაულო მუსიკის ჰანგები ახშობდნენ ბრბოს ჟრიამულს. იყო ერთი ჯგლეთა, მტვერში გახვეული ადამიანები თავიანთი ნავებისა და ორჩხომელებისკენ იკვლევდნენ გზას. თებეს სახლები და ქოხები უკვე დაცარიელებულიყო, ხალხი ყოველ წუთს ელოდა ღმერთის გამოჩენას ტაძრის ჭიშკრიდან, მაგრამ სამეფო ოჯახის წევრები კი ჯერ კიდევ არ ჩანდნენ, თუმცა, ჩვეულებისამებრ, ამ დღეს ისინი ფეხით მოდიოდნენ ამონის უზარმაზარ ტაძარში. უკვე ერთმანეთსაც ეკითხებოდნენ, რამზესის მშვენიერი ასული ბენტ-ანატი აქამდე სად არისო, რატომ იგვიანებსო პროცესია გამოსვლას ტაძრის ჭიშკრიდან და სხვა. კედლის იქით, რომელიც ტაძრის ნაირფერად შეღებილ შენობებს ეფარებოდა, ქურუმებმა უკვე წამოიწყეს სადღესასწაულო ჰიმნები, ვეზირიც თავისი ბრწყინვალე ამალით უკვე შემობრძანდა ტაძრის ეზოში. ბოლოს, ჭიშკარიც ფართოდ გაიღო და გამოჩნდნენ ენქერიანი ბიჭები, რომლებსაც ყვავილებით უნდა მოეფინათ ღმერთის გზა; სურნელოვანი საკმევლის ბოლქვებიც უკვე ღმერთის მოახლოების მაუწყებელი იყო, მაგრამ რამზესის ქალიშვილი მაინც არ ჩანდა.

როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ახლაც ხალხში მაშინათვე ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმები გავრცელდა, მაგრამ ზუსტად მხოლოდ ერთი რამ იყო ცნობილი — ამას ტაძრის მსახურნიც ადასტურებდნენ: მეფის ასული პროცესიაში მონაწილეობას არ მიიღებდა, რადგანაც ხეობის დღესასწაულზე არ დაუშვეს.

ამ დროს კი ბენტ-ანატი თავის ძმასა და მენას მეუღლეს-თან ერთად სასახლის აივანზე იდგა და წმინდა ეტლზე ღმერ-თის ქანდაკების მოლოდინში მდინარეს გასცქეროდა.

წინა დღეს, დილაადრიანად, თებეს ამონის ტაძრის მთა-ვარმა ქურუმმა მოხუცმა ბეკ-ენ-ხონსუმ ახსნა ცოდვა. ხოლო საღამოს მანვე აცნობა, რომ ამენი უკრძალავს ნეკროპოლის მიწაზე ფეხის დადგმას, ვიდრე დასავლეთის ღმერთებსაც არ შესთხოვს ცოდვათა მოტევებას.

განწმენდამდე ბენტ-ანატი ქალღმერთ ხატორის ტაძარს ესტუმრა და, შეიძლება, ისიც წაბილწა თავისი იქ ყოფნით, ამიტომაც მკვდართა ქალაქის მკაცრ და სამართლიან მესვე-ურს უფლება ჰქონდა, აკი ბეკ-ენ-ხონსუმაც დაადასტურა ეს, საერთოდ აეკრძალა მისთვის დასავლეთ სანაპიროზე გადას-ვლა.

მაშინ ბენტ-ანატმა ანის მიმართა. თუმცა ვეზირი დაჰპირ-და კიდეც გამოსარჩლებოდა, მაგრამ საღამოს ხელმოცარუ-ლი დაბრუნდა და აცნობა, რომ მისი ყველანაირი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა — ულმობელი ამენის დაყოლიება შე-უძლებელი იყო. ვეზირს სახეზე სინანულიც კი გამოეხატა; მან მეფის ასულს ურჩია უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად არ წასულიყო ყველასგან პატივცემული ამენის სურვილის წი-ნააღმდეგ და არც დღესასწაულზე გამოჩენილიყო.

ქათუთიმ კი ჯუჯა ნემუს პირით შეუთვალა ქალიშვილს, მასთან ერთად მიეღო მონაწილეობა პროცესიაში და მსხვერ-პლიც შეეწირა წინაპართა აკლდამაში. მაგრამ ნეფერტმა უა-რით გამოისტუმრა ჯუჯა, რადგანაც მარტო ვერ დატოვებდა თავის მეგობარსა და მბრძანებელს.

ბენტ-ანატმა ყველა თავისი წარჩინებული კარისკაცი გაუშვა და სთხოვა არ დაევიწყებინათ იგი ამ მშვენიერი ზეიმის დროს.

როცა დაინახა, რომ ტაძართან ხალხი შეგროვილიყო, ხოლო მდინარეზე ნავები მიდი-მოდიოდნენ, ბენტ-ანატი თავის ოთახში შევიდა და ძმას მოუხმო, ამენიზე გულმოსული თავის აღშფოთებას ხმამაღლა რომ გამოხატავდა. როცა რამერი შემოვიდა, ბენტ-ანატმა მას ხელები ჩასჭიდა და უთხრა:

— ორივე დამნაშავე ვართ, ჩემო ძმაო, ამიტომ მოთმინებით მოვიხადოთ ჩვენი სასჯელიც და მოვიქცეთ ისე, თითქოს ჩვენ გვერდით მამა ყოფილიყოს.

— ის მხრებიდან ჩამოჰგლეჯდა ავაზას ტყავს ამ დიდგულა ქურუმს, მისი თანდასწრებით ასე რომ დაემცირებინე! — წამოიძახა რამერიმ.

რისხვისა და შეურაცხყოფის ცრემლები წასკდა მეფისწულს.

— კმარა, გეყოფა გაბრაზება, — ამშვიდებდა ბენტ-ანატი ძმას. — შენ სულ პატარა იყავი, როცა მამა უკანასკნელად მონაწილეობდა ხეობის დღესასწაულში.

— ო, მე ძალიან კარგად მახსოვს ის დილა და არც არასოდეს დამავიწყდება!

— რაღა თქმა უნდა, — მიუგო ბენტ-ანატმა. — არ წახვიდე, ნეფერტ, შენ ხომ ჩემი და ხარ! იცი, რა მშვენიერი დილა იყო! საზეიმოდ გამოწყობილი ბავშვები სასახლის დიდ დარბაზში შეგვკრიბეს. მერე ფარაონმა ამ ოთახებში მოგვიხმო, სადაც რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილი დედა ცხოვრობდა. ხელჩაკიდებული თითოეულ ჩვენგანს ეუბნებოდა, რომ ყველა ჩვენს ცელქობას გვაპატიებდა, თუკი გულახდილად მოვინანიებდით, და შუბლზე გვკოცნიდა. ამის შემდეგ მან ისე უბრა-

ლოდ გვითხრა, თითქოს ძლევამოსილი ფარაონი კი არა, ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოსო: „შეიძლება მეც გაწყენინეთ რომელიმეს, ან უსამართლე მოგექეცით. მე ვგონებ, დამნაშავე არ უნდა ვიყო, მაგრამ თუ ასე მოხდა, მე მაინც გულწრფელად ვწუხვარ!“ მამას მივცვივდით ყველა და გვინდოდა გვეკოცნა, მაგრამ ღიმმორეულმა მოგვიშორა და გვითხრა: „თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ერთ რამეში არც ერთი არ დამიჩაგრიხართ! მე მამაშვილურ სიყვარულზე ვლაპარაკობ, და ახლა ვხედავ, რომ თქვენ იმას მიბრუნებთ, რაც მე მოგეცით“. შემდეგ ჩვენი განსვენებული დედა მოგვაგონა და გვითხრა, რომ ყველაზე მოსიყვარულე მამაც კი დედას ვერ შეცვლის. შთამბეჭდავად აგვიწერა მისი თავდადება და წინადადება მოგვცა ყველას ერთად გველოცა მის აკლდამასთან, მსხვერპლი შეგვეწირა და მუდამ მისი ღირსეული შვილები ვყოფილიყავით არა მარტო დიდ საქმეებში, არამედ წვრილმანებშიც, ჩვენს ცხოვრებას რომ შეადგენენ ისევე, როგორც წელიწადი შედგება დღეებისა და საათებისგან. ჩვენ, უფროსებმა, ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და, მართლაც, მე არასოდეს ვყოფილვარ ისეთი კარგი, როგორც იმ დღეს, დედის საფლავთან!

ნეფერტმა ცრემლიანი თვალები ასწია და ამოიოხრა:

— ასეთი მამის ხელში, მე მგონია, ადვილია ყოველთვის კარგი იყო.

— კი მაგრამ, ნუთუ დედაშენი ამ საზეიმო დილას არ შეეცადა სული გაენათლებინა შენთვის? — ჰკითხა ბენტ-ანატმა.

— ჩვენი მორთულობის გულისათვის ყოველთვის ვაგვიანებდით, მერე კი უნდა ავჩქარებულიყავით, რომ ტაძარში დროზე მიგვესწრო, — უპასუხა სახეანთებულმა ნეფერტმა.

— მოდი, დღეს დედის მაგივრობას მე გაგიწევ! — წამოიძახა ბენტ-ანატმა, — დედაშენიც მე ვიქნები, რამერი! გახსოვს თუ არა, იმ დღეს როგორ სთხოვდა მამა პატიება კარისკაცებსა და მსახურებს, როგორ შთააგონებდა ყველას, რომ საჭიროა გულიდან ბოღმა ამოვიგდოთო? „დღეს, — ამბობდა მამა, — ადამიანს არა მარტო სუფთა ტანსაცმელი უნდა ეცვას, არამედ სულიც სუფთა უნდა ჰქონდეს“. ეს კი იმას ნიშნავს, ჩემო ძმაო, რომ ამენის ძვირს ნუღარ იტყვი, შესაძლებელია, კანონი აიძულებს მას, ასეთი მკაცრი იყოს. რა თქმა უნდა, მამა ყველაფერს გაიგებს და საკადრისსაც მიუზღავს ყველას. ჩემი გული ისედაც სავსეა და, ასე მგონია, ის ვეღარ დაიტევს ამ გრძნობებს. მაკოცე, ნეფერტ, შენც, ძმაო რამერი! ახლა კი ჩემს სამლოცველოს მივაშურებ, ჩვენი წინაპრების ქანდაკებებს, და ვიფიქრებ დედაჩემზე, ჩვენი საყვარელი ადამიანების ნეტარ სულებზე, რომელთაც დღეს მსხვერპლსაც კი ვერ ვწირავთ.

— მეც შენთან წამოვალ, — უთხრა რამერიმ.

— შენ კი, ნეფერტ, აქ დარჩი და იმდენი ყვავილი დაკრიფე, რამდენიც შენს გულს უნდოდეს, — უთხრა ბენტ-ანატმა. — ყველაზე ლამაზები აარჩიე! დაწანი დიდი გვირგვინი და როცა მზად იქნება, წყალგაღმა კაცს გავაგზავნით და სხვა საჩუქრებთან ერთად მასაც ჩავადებინებთ შენი მეუღლის დედის აკლდამაში.

როცა ნახევარ საათში ბენტ-ანატი და რამერი დაბრუნდნენ, ნეფერტს ხელში ორი გვირგვინი ეჭირა — ერთი მეფის ასულის გარდაცვლილი დედისათვის, მეორე კი მენას დედისათვის.

— მე თვითონ გადავიტან გაღმა ამ გვირგვინებს და აკლდამებში ჩავაწყობ! — წამოიძახა რამერიმ.

— ანიმ მითხრა, თქვენი გამოჩენა ხალხში არ შეიძლებაო, — შეაჩერა იგი ბენტ-ანატმა. — საეჭვოა, ვინმემ შეამ ნიოს, რომ მოწაფეებთან ერთად არა ხარ, მაგრამ...

— მე იქ წავალ არა როგორც რამზესის შვილი, არამედ როგორც მებაღის თანაშემწე, — შეეპასუხა რამერი. — გესმით, საყვირის ხმა ისმის! ახლა ტაძრიდან ღმერთს გამოიტანენ!

რამერი აივანზე გავიდა. ორივე ქალიც მას გაჰყვა და სამივემ ნავსაყუდელისკენ დაიწყო ყურება. მათი ახალგაზრდა მახვილი თვალი კარგად ხედავდა, თუ რა ხდებოდა იქ.

— მამაჩვენისა და ჩვენ გარეშე პროცესია მეტად საცოდავი იქნება, — თქვა რამერიმ. — ეს ცოტა მამშვიდებს კიდეც. რა ლამაზად გალობს გუნდი! აგერ მოდიან მარაოს მატარებლები და მგალობლები. აგერ, ამონის ტაძრის პირველი წინასწარმეტყველიც, მოხუცი ბეკ-ენ-ხონსუ, რა დიდი ამბით მოდის! მაგრამ, ეტყობა, არც ისე ულხინს იქ! აი ახლა გამოჩნდება ღვთაების ქანდაკებაც, უკვე ვგრძნობ წმინდა საკმევლის სუნს.

ამის თქმაზე რამერიმ მუხლი მოიყარა, ბენტ-ანატმა და ნეფერტმაც მას მიჰბაძეს. ტაძრის ჭიშკარში ჯერ დიდებული ხარი გამოჩნდა; მისი ღია ფერის პრიალა ტყავი მზეზე ბზინავდა, რქებს შორის სირაქლემას ქათქათა ფრთებით მორთული ოქროს დისკო უელვარებდა. შემდეგ, მარაოს მტარებლების ფეხდაფეხ, თვით ღმერთი ამონიც გამოჩნდა, რომელიც გრძელ ჯოხებზე დამაგრებულ, სირაქლემას შავი და თეთრი ფრთისგან დამზადებულ დიდ მარაოებში ხან გამოჩნდებოდა, ხან კი მიიმალებოდა ხოლმე. ამ მარაოებით ქურუმები იცავდნენ მას მზის მცხუნვარე სხივებისაგან.

მისი სახელივით იდუმალი იყო ამ ღმერთის საზეიმო სვლაც: ტაძრის ჭიშკრიდან ნელ-ნელა გამოცურდა თავისი

ძვირფასი ტახტიანად და მდინარისაკენ აიღო გეზი. მისი ტახტი აღმართული იყო თაიგულებითა და გირლანდებით შემკულ, მეწამული ოქროქსოვილი ფარჩით გადაფარებულ მაგიდაზე, რომელიც ნელი მწყობრი ნაბიჯით მიმავალ ქურუმებს მხრებზე დადებული მიჰქონდათ.

როგორც კი ღმერთის ქანდაკება საზეიმოდ მორთულ ნავზე დადგეს, რამერი, ბენტ-ანატი და ნეფერტი ფეხზე წამოდგნენ.

ამ დროს ტაძრის ჭიშკრიდან ქურუმები გამოვიდნენ, მათ მოჰქონდათ ყუთი ამონის მარადმწვანე წმინდა ხეებით. ხოლო როცა ჰიმნები ახალი ძალით გაისმა, და სურნელოვანი კვამლი ბოლქვებად ამოვიდა, ბენტ-ანატმა დაიჩურჩულა:

— აი, ახლა გამოვიდოდა მამა.

— და მასთან ერთად შენც! — წამოიძახა რამერიმ. — ხოლო თქვენს შემდეგ ნეფერტის მეუღლე მენა გვარდიელებით. შეხედეთ, ძია ანი ფეხით მიდის! რა უცნაურად აცვია, მთლად სფინქსივითაა, ოღონდ შებრუნებით!

— რატომ შებრუნებით? — ჰკითხა ნეფერტმა.

— იმიტომ, რომ სფინქსს, — გაიცინა რამერიმ, — სხეული ლომისა აქვს, თავი კი ადამიანის, ჩვენი ბიძიკო კი პირიქით — მშვიდობიანი ქურუმის ტანსაცმლით შემოსილა და თავზე მეომრის ჩაფხუტი დაუხურავს.

— აჰ, ახლა აქ რომ სიცოცხლის მომნიჭებელი ფარაონი იყოს, — ამოიოხრა ნეფერტმა. — მაშინ შენც მის მეჯინეთა შორის იქნებოდი, რამერი!

— რაღა თქმა უნდა! — თქვა რამერიმ. — მთელ საზეიმო სვლას სრულიად სხვა იერი აქვს, როცა მეომარი და გმირი მამა ამშვენებს ოქროს ტახტს, როცა მის უკან ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ქალღმერთის ფრთებგაშლილი ქანდა-

კებაა აღმართული; ფარაონის წინ ლომია — მისი ძლევამოსილი თანამებრძოლი, ხოლო მის თავს ზემოთ ნახტომისათვის გამზადებული გველებით მორთული ბალდახინი. ერთი შეხედეთ, ბოლო არ უჩანს ასტროლოგებსა და პასტოფორებს დროშებითა და ემბლემებით ხელში და სამსხვერპლო პირუტყვის ჯოგებს! აი, აგერ ქვემო ეგვიპტესაც გამოუგზავნია თავისი დესპანები ზეიმზე, თითქოს მამა აქ ყოფილიყოს. მე ნიშნებსაც კი ვხედავ დროშებზე.[146] იცანი თუ არა მეფის წინაპართა გამოსახულებანი, ბენტ-ანატ? ვერა? ვერც მე. თითქოს მომეჩვენა, რომ საზეიმო სვლას წინ უძღვის ჩვენი ბებიის წინაპრის, პირველი იახმოსის ქანდაკება, თავის დროზე ჰიქსოსები რომ განდევნა, და არა პაპა სეთისა, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია. აგერ მეომრებიც მოდიან! ეს სწორედ ის რაზმებია, რომლებიც ანიმ აღჭურვა. გამარჯვებულნი წუხელ დაბრუნდნენ ეთიოპიიდან. როგორ ესალმება მათ ხალხი! აკი დაიმსახურეს კიდეც ეს მამაცობისთვის მტერთან ბრძოლაში. წარმოიდგინე, რა სანახავი იქნება, როცა მამა ას დატყვევებულ მთავარს ჩამოიყვანს — ისინი მორჩილებით და თვინიერად გაჰყვებიან მის ეტლს, რომელსაც მენა წაიყვანს, მათ უკან კი თავიანთი საუცხოო ეტლებით ჩემი ძმები, დიდებულები და მცველები.

— ისინი ჯერ არც კი აპირებენ დაბრუნებას, — დანანებით თქვა ნეფერტმა.

---

[146] ეგვიპტის თითოეულ ნომს, (სულ ორმოცდაოთხი ნომი იყო) თავისი ნიშანი ჰქონდა, რომელიც ღერბს მოგვაგონებდა; სადღესასწაულო სვლის დროს ნიშანს დროშაზე ამაგრებდნენ. ამ ნიშნების სრულ სიას აბიდოსში ადგენდნენ ჯერ კიდევ სეთი I ეპოქაში (ჩვ. წელთაღრიცხვამდე 1330—1317 წ. წ.). (ავტ. შენიშვნა).

სანამ საზეიმო სვლას ვეზირის მეომართა სულ ახალი და ახალი რაზმები ემატებოდა, ორკესტრი, საოცარი მხეცები,[147] და ამონის სადღესასწაულო ნავი უკვე გავიდნენ ნავსადგურიდან.

ეს იყო უზარმაზარი, დიდებული, მბზინავი გაპრიალებული ხისგან დამზადებული და ოქროთი მდიდრულად ინკრუსტირებული ხომალდი. მისი ქიმი მინისგან ოსტატურად გაკეთებული ხელოვნური ზურმუხტითა და ლალით იყო მოოჭვილი,[148] მოოქრულ ანძაზე და ქანდარებზე მეწამული აფრები ფრიალებდნენ. ქურუმთა დასაჯდომები სპილოს ძვლისაგან იყო დამზადებული; მთელი ნავი, მისი ანძები და გემსართავი შროშანისა და ბალბის გირლანდებით მოერთოთ.

მას არ ჩამოუვარდებოდა ვეზირის ნილოსის ხომალდიც: მოვარაყებული ხის ნაწილები ოქროსფრად ბრწყინავდნენ, კაიუტა ფერად-ფერადი ბაბილონური ხალიჩებით იყო მოფენილი, ქიმზე კი, როგორც ოდესღაც დედოფალ ხატშეფსუტის საზღვაო ხომალდებზე, ლამაზად მოჩანდა ლომის ოქროს თავი, რომელსაც თვალების მაგივრად ორი უშველებელი ბადახში უელავდა.

---

[147] საოცარი მხეცები გამოჰყავდათ პტოლომე ფილადელფეს მიერ მოწყობილი სადღესასწაულო სვლის დროს (ჩვ. წელთაღრიცხვამდე 285–247 წწ.). ამგვარად, ლაგიდი ბაძავდა ჯერ კიდევ ძალიან ადრეულ ეპოქაში გავრცელებულ წეს-ჩვეულებას, რასაც წარჩინებულის რეხმირის (XVIII დინასტია 1570–1349 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) აკლდამის კედლებზე არსებული წარწერები მოწმობენ. (ავტ. შენიშვნა).

[148] ეგვიპტელები დახელოვნებულნი იყვნენ ყალბი ძვირფასი ქვების დამზადებაში, რომელთაც ნაირგვარ ფორმასა და ფერს აძლევდნენ. მრავალ კოლექციაში გვხვდება მოზაიკური მძივები, რომლებიც გაკეთებულია ისეთი ოსტატობით, რომ ჩვენს დროშიც საუკეთესო ოქრომჭედლებს უჭირთ მათი ასლების დამზადება. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

როცა ყველა ქურუმი ორჩხომელებში ჩაჯდა, ხოლო წმინდა ნავი კი ამასობაში გაღმა ნაპირს მიადგა, ხალხი თავთავიანთ ნავებს მიაწყდა. რამდენიმე წუთში მდინარეზე, თებედან მკვდართა ქალაქამდე მოყოლებული, ტევა აღარ იყო ათასობით გადატვირთული ნავისაგან, და მზეც მხოლოდ ხანდახან თუ გამოკრთებოდა წყლის ზედაპირზე.

— აი, ახლა კი რომელიმე მებაღეს ტანსაცმელს ვთხოვ და გაღმა გადავალ ჩემი გვირგვინებიანად, — ხმამაღლა თქვა რამერიმ.

— ჩვენ მარტო უნდა დაგვტოვო? — ჰკითხა ბენტ-ანატმა.

— გულს ნუ მიკლავ, დაო, ისედაც ცუდ დღეში ვარ, — შეევედრა რამერი.

— ჰო, კარგი, მაშინ წადი, — დაეთანხმა მეფის ასული, — მამა რომ აქ იყოს, რა სიხარულით წამოვიდოდი შენთან ერთად!

— მართლაც და, რა იქნება, თქვენც რომ ასევე მოიქცეთ? — წამოიძახა ყმაწვილმა. — მე ვფიქრობ, არ გამიჭირდება თქვენთვისაც ტანსაცმლის შოვნა

— სისულელეა, — შეშფოთდა ბენტ-ანატი და თან შემკითხველი მზერა მიაპყრო ნეფერტს, მან კი მხოლოდ მხრები აიჩეჩა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „შენი ნებაა, მეფის ასულო“.

მეგობრების ეს გადახედვა არ გამოჰპარვია გონებამახვილ ყმაწვილს.

— თქვენც ჩემთან ერთად წამოხვალთ! — წამოიძახა მან. — ამას თვალებზე გატყობთ! უკანასკნელი გლახაც კი აგდებს დღეს ყვავილს საერთო აკლდამაში, სადაც მამამისის გახრწნილი მუმია დევს, რამზესის შვილებსა და მისი მეეტლის ცოლს უფლებაც კი არ აქვთ, გვირგვინი მიუტანონ თავიანთ მიცვალებულებს?

— ჩემი მისვლით შეიძლება აკლდამა შევბილწო, — ჩაილაპარაკა სახეწამოწითლებულმა ბენტ-ანატმა.

— შენ?! — შეჰყვირა რამერიმ, დას მოეხვია და აკოცა. — შენ, საყვარელო, სულგრძელო ქმნილებავ, შენ შეგიძლია მხოლოდ სიმწარე შეუმსუბუქო და ცრემლი შეუშრო ადამიანს. შენ, მამის მსგავსო მშვენიერო ქმნილებავ, და უცებ უწმინდურო! უფრო ადვილად იმას დავიჯერებდი, რომ გედები იქ ქვემოთ ყორნებივით შავები არიან, ხოლო ეს ვარდები აივანზე შხამიანი ციკუტაა. ბეკ-ენ-ხონსუსთან ხომ განიწმინდე უკვე წაბილწვისაგან და თუ ამენი...

— მაგრამ ამენიც თავის მხრივ მართალია, — ალერსიანად უთხრა ბენტ-ანატმა. — ხომ გახსოვს, რაზე შევთანხმდით? ამენიზე ძვირი დღეს არ გამაგონო!

— ჰო, კარგი! აკი გვიჩვენა კიდეც თავისი სიკეთე და მოწყალება, — დამცინავად ჩაილაპარაკა რამერიმ, პირი ნეკროპოლისკენ ქნა და თავი მდაბლად დახარა, — კარგი, დავუშვათ, შენ უწმინდური ხარ. მაშინ ნურც აკლდამაში შეხვალ და ნურც ტაძარში, ჩვენთან ერთად იდექი ხალხში. გზებს წყალგაღმა ამით არაფერი დააკლდებათ, მათზე ყოველდღე ხომ უამრავი უწმინდური პარასქიტი დაიარება. ნუ ჯიუტობ, ბენტ-ანატ, წამოდი! გადაცმულები გაღმა ნაპირზე გადავალთ, გვირგვინებს დავაწყობთ, აკლდამის წინ ვილოცებთ, საზეიმო სვლას შევხედავთ, ჯადოქართა სასწაულებს, საზეიმო სიტყვასაც მოვისმენთ. შენ წარმოიდგინე, რომ ქურუმთა მტრობის მიუხედავად, პენტაური მაინც გამოვა სიტყვით. სეთის სახლს ხომ დღეს თავის გამოჩენა სწადია, ამენიმაც კარგად იცის, რომ პენტაურის მარტოოდენ ერთი დალაპარაკებაც კი უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს ყველაზე, ვიდრე თეთრად

შემოსილი ყველა ქურუმი ერთად, როცა ისინი წმინდა ჰიმ-ნებს გალობენ! წამოდი, წამოდი, ჩემო დაიკო!

— კარგი, რა გაეწყობა, შენი ნება იყოს! — გადაჭრით წარ-მოთქვა ბენტ-ანატმა.

თუმცა ამ სიტყვებმა გაახარეს რამერი, მაგრამ დის ამ ნაჩ-ქარევმა თანხმობამ, ცოტა არ იყოს, შეაშინა კიდეც. ნეფერ-ტმა გაოცებით შეხედა მეფის ასულს და მაშინვე დახარა თავი-სი დიდრონი თვალები. ახლა კი მიხვდა, ვინ იყო მისი მეგობ-რის რჩეული, და ერთი კი გაიფიქრა შეშფოთებულმა: „რით დამთავრდება ყველაფერი ეს?“

თავი მეცამეტე

ერთი საათის შემდეგ სადად ჩაცმული ტანწერწეტა ქალაქელი ქალი შავგვრემანი ყმაწვილისა და საოცრად ნაზი სახის ბიჭუნას თანხლებით ნილოსზე გადადიოდა. თუმცა, გაუწაფავი თვალიც კი ადვილად შეამჩნევდა, რომ მუქი ნაოჭები შუბლსა და ლოყებზე სრულიად არ შეეფერებოდა მის ცოცხალსა და ნორჩ სახეს.

და მაინც, მათში მეტად ძნელი შესაცნობი იყო ამაყი ბენტანატი, პირთეთრი რამერი და მშვენიერი ნეფერტი, რომელიც ქურუმთა სკოლის აღსაზრდელის თეთრ გრძელ სამოსშიც კი მეტად მომხიბვლელი იყო.

სასახლიდან მეფის ასულის ტახტრევნის ორი ძლიერი და ერთგული უფროსი მეჯინის თანხლებით გამოვიდნენ. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, ისეთი სახის გამომეტყველებით ევლოთ, თითქოს არაფერი ჰქონოდეთ საერთო თავის მბრძანებელსა და მის თანამგზავრებთან.

ნილოსზე გადასვლას დიდი დრო მოანდომეს, და ფარაონის შვილებმა პირველად გაიგეს, რაოდენ ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებათ უბრალო მოკვდავთ მიზნის მისაღწევად, მაშინ როცა გვირგვინოსან პირებს ყველაფერი თავისთავად მოსდით.

გზას არავინ უკვალავდა მათ, არც ერთ ორჩხომელს გვერდი არ აუქცევია, პირიქით, ყველა ჩქარობდა, უსწრებდნენ მათ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე გადასულიყვნენ გაღმა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, მეორე ნაპირს მიაღწიეს, საზეიმო სვლა უკვე მკვდართა ქალაქის შუაგულში იყო და სეთის სახლს უახლოვდებოდა. გუნდების თანხლებით, რომლებიც ჰიმნებს გალობდნენ, ამენი პროცესის შესახვედრად გამოვიდა და სალამი უძღვნა ღმერთს ნილოსის აქეთა ნაპირზე. ნეკროპოლის წინასწარმეტყველებმა თავისი ხელით აღმართეს ამონის ქანდაკება სეთის სახლის წმინდა ეტლზე, რომელიც ოსტატურად იყო გაკეთებული კედარის ხისა და ელექტრონისაგან[149] და ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი, ოცდაათმა პასტოფორმა მხრებზე შემოიდგა წმინდა კიდობანი, რომელიც სეთის სახლის საკურთხეველში მიჰქონდათ. ისინი სფინქსების ხეივანს გაუყვნენ, ნავმისადგომს ტაძართან რომ აკავშირებდა. ღმერთი ამონი იქ იმყოფებოდა სწორედ იმ დროს, როცა ეგვიპტის ყველა ნომიდან დღესასწაულზე ჩამოსული ხალხი ტაძრის წინა დარბაზში აწყობდა შესაწირავს. გზაში ამონს კოლხიტებმა გადაუსწრეს წინ, რათა უძველესი ადათის მიხედვით მის გზაზე ქვიშა დაეყარათ.

ერთი საათის შემდეგ პროცესია ისევ გამოვიდა ჭიშკრიდან და სამხრეთისკენ დაიძრა: პირველად ამენხოტეპ III უშველებელ ტაძარში შეისვენეს, რომლის წინ ორი გუშაგივით აღმართულიყო მთელ ნილოსის ხეობაში ყველაზე მაღალი ორი კოლოსი. შემდეგ უკვე დიდი თუტმოსის ტაძარში შეჩერდნენ, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობდა. იქიდან საზეიმო სვლა უკან მობრუნდა, ლიბიის მთების აღმოსავლეთ ფერდობის ძირში, უამრავ აკლდამასთან შეყოვნდა, აუყვა ჩვენთვის ნაცნობი ხატშეფსუტის ტაძრის ტერასებს და იქვე ახლო ძველი მეფეების აკლდამებთან გაჩერდა. მხოლოდ მზის ჩასვლი-

[149] ელექტრონი — ვერცხლისა და ოქროს შენადნობი.

სას თუ მიაღწევდა პროცესია იმ ადგილს, სადაც ნამდვილი დღესასწაული უნდა დაწყებულიყო — სეთის აკლდამის ხეობის შესასვლელთან, რომლის დასავლეთ ფერდობზე განლაგებული იყო დამხობილი დინასტიის ფარაონთა აკლდამები.

ნეკროპოლის ამ ნაწილში საზეიმო სვლა ჩვეულებრივ უკვე ფარნებისა და ჩირაღდნების შუქზე მიდიოდა; ეს ხდებოდა ღმერთის დაბრუნებამდე და შუაღამისას საზეიმო მისტერიის დაწყებამდე წმინდა ტბაზე, მკვდართა ქალაქის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში.

ღმერთის კვალდაკვალ მოჰქონდათ გრძელ ლატანზე დამაგრებული გამჭვირვალე ბროლის ჭურჭელი. იგი ოქროს ფოლგაში იყო გახვეული და შიგ ვერძის წმინდა გული იდო.

ფარაონის შვილებმა და ნეფერტმა ყველასგან შეუმჩნევლად დადეს გვირგვინი წინაპართა მდიდრულ საკურთხეველზე და საზეიმო სვლის ბოლოში მიმავალ ბრბოს შეუერთდნენ. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო. მენას წინაპართა აკლდამასთან ისინი ლიბიის მთების აღმოსავლეთ კალთაზე ავიდნენ. ეს აკლდამა ჯერ კიდევ ამონის ტაძრის წინასწარმეტყველმა, მენას დიდმა პაპამ ნეფერხოტეპმა ააგო. აკლდამის ვიწრო შესასვლელი ხალხით იყო გამოჭედილი იმიტომ, რომ კლდეში გამოკვეთილ ერთ-ერთ დარბაზში სადღესასწაულო დღეებში მომღერალი ქნარზე უკრავდა და სამგლოვიარო სიმღერას ამღერებდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი წინასწარმეტყველისა, მისი ცოლისა და დის პატივსაცემად. ეს სიმღერა ჯერ კიდევ იმ მომღერალმა შეთხზა, რომელიც თვით წინასწარმეტყველს ემსახურებოდა, ხოლო სიტყვები აკლდამის მეორე დარბაზის კედელზე იყო ამოკვეთილი. ნეფერხოტეპმა მკვდართა ქალაქის მმართველთ მიწის

დიდი ნაკვეთი უანდერძა იმ პირობით, რომ შემოსავალი ამ მიწიდან მოხმარდებოდა ქნარზე დამკვრელთა შენახვას, რათა მათ ემღერათ ყოველ მკვდართა დღესასწაულზე.

მეეტლე მენამაც იცოდა ეს პაპისეული სამგლოვიარო სიმღერა და ხშირად უმღეროდა მას ნეფერტს, რომელიც ბარბითზე უკრავდა. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან მხიარულების ჟამს ეგვიპტელები განსაკუთრებული სითბოთი იგონებდნენ თავიანთ მიცვალებულებს.

აი ახლაც ამდენი ხალხით გარშემორტყმული ნეფერტი და მისი თანამგზავრები სასოებით უსმენდნენ ამ სიმღერას:[150]

რა წმინდაა თვის სავანეში ეს დიდებული!
მაშ აღსდექ კვლავაც შენ დიადი საქმეებისთვის!
დიდი ღმერთების დროებიდან მოყოლებული
ხალხის წილხვედრად იქცა მათი გადაშენება:
ძველი გზას უთმობს მუდამ ახალს,
მზეც ხომ ახალი აღმოხდება ნიადაგ დილით,
როდესაც ძველი თვის სავანეს ჰპოვებს დასავლით.
ნათელმხილველო, ლხენა-სიამით აგვივსე ეს დღე!
ჩვენ შენ გთავაზობთ სურნელოვან ზეთებს და ფისებს
და გვირგვინებით შევუმოსავთ ტანსა და ხელებს
შენს საყვარელ დას, შენ მახლობლად რომ განისვენებს!
სიმღერებს ვიმღერთ და ქნარს დავუკრავთ
პატივსაცემად და სადიდებლად!
მაშ გადააგდე ეს საზრუნავი
და თავი მიეც მხიარულებას,
ვიდრე დრო არ არს დაადგე იმ გზას,

[150] ნეფერხოტეპის აკლდამა კარგადაა შემონახული. აქ მოცემულია იქ არსებული წარწერის ფრაგმენტის თარგმანი. (ავტ. შენიშვნა).

სად სამუდამო სავანეს ნახავ,
იმ სამყაროში დუმილი მეფობს.

როგორც კი მომღერალი გაჩუმდა, ხალხი აკლდამის დაბალ თაღებს მიაწყდა, რომ როგორმე შეეღწიათ შიგნით, სადაც წინასწარმეტყველის სამსხვერპლო საკურთხეველზე ყვავილები უნდა დაეწყოთ და ამით მადლიერება გამოეხატათ მშვენიერი სიმღერისათვის. ნეფერტმა და რამერიმ მოახერხეს შიგ შესვლა, და მენას მეუღლემაც, დიდი ხნის ჩუმი ლოცვის შემდეგ, რომელიც ქმრის განსვენებული დედის ნათელ სულს აღუვლინა, თავისი გვირგვინი იქ დადო, სადაც დედამთილის მუმია განისვენებდა.

სასახლის ბევრმა კარისკაცმა ჩაუარა გვერდით ფარაონის შვილებს, მაგრამ არავის უცვნია ისინი. ერთი სული ჰქონდათ, როგორმე მოედანზე გასულიყვნენ, სადაც ზეიმი მიმდინარეობდა, მაგრამ ისეთი ჯგლეთა შეიქნა, რომ ქალებს არაერთხელ მოუხდათ თავი აკლდამებისთვის შეეფარებინათ, რათა ბრბოს არ გადაექელა. ყოველი აკლდამის სამსხვერპლო საკურთხეველზე უამრავი შესაწირავი მოჩანდა, ყველგან მთელი ოჯახები შეკრებილიყვნენ. აქ ისინი შემწვარ ხორცსა და ხილს მიირთმევდნენ, სვამდნენ ღვინოსა და ლუდს, იხსენებდნენ თავიანთ მიცვალებულებს, როგორც იმ მგზავრებს, რომლებმაც თავიანთი ბედნიერება შორეულ მხარეში ჰპოვეს, და ამასთანავე მტკიცედ სჯეროდათ, რომ ადრე თუ გვიან შეხვდებოდნენ მათ.

მზე უკვე ჩადიოდა, როცა რის ვაი-ვაგლახით მოედანს მიაღწიეს.

აქ უამრავი მაგიდა იდგა ათასნაირი ტკბილეულით, ინდის ხურმით, ლეღვით, ბროწეულითა და სხვა ხილით, ყველაზე მეტი კი გემრიელი ნამცხვრები იყო ბავშვებისათვის.

მსუბუქი საჩრდილობლების ქვეშ იყიდებოდა სანდლები და ყველა ფორმისა და ფერის თავშლები, მორთულობანი, ავგაროზები, მარაოები და ქოლგები, ნელსაცხებლები და სხვა საქონელი, განკუთვნილი როგორც სამსხვერპლო საკურთხევლისთვის, ისე ტუალეტის მაგიდისათვის. მებაღეთა და მეყვავილეთა კალათები უკვე დაცარიელებულიყო, სამაგიეროდ ზარაფებს ყელამდე ჰქონდათ საქმე, ხოლო იმ მაგიდებთან, სადაც ღვინოს სვამდნენ და კამათელს აგორებდნენ, მხიარულება სუფევდა.

მეგობრები და ნაცნობები მისალმებისას ღვთისმოსავი გამონათქვამებით მიმართავდნენ ერთმანეთს, ხოლო ბავშვები ერთმანეთს ახალ სანდლებს უჩვენებდნენ, ტკბილ კვერებს, ნარდში მოგებულ თუ ნაჩუქარ სპილენძის პატარა ბეჭდებს, რომლებითაც დღესვე აუცილებლად უნდა ეყიდათ რაიმე.

ხალხს განსაკუთრებით მოსწონდა სეთის სახლის ჯადოქრები, რომელთა გარშემოც, ზედ მიწაზე, უამრავი მაყურებელი იჯდა. წინა ადგილები ბავშვებს ჰქონდათ დათმობილი.

იმ დროისათვის, როცა ჩვენმა მგზავრებმა ამ მოედნამდე მიაღწიეს, ზეიმის რელიგიური ნაწილი უკვე დამთავრებული იყო.

ჯერ კიდევ არ აეღოთ ბალდახინი, რომლის ჩრდილქვეშ, ჩვეულებისამებრ, ფარაონის ოჯახი უსმენდა ხოლმე საზეიმო სიტყვას. დღეს აქ სიგრილით ნასიამოვნები ვეზირი ანი დიდკაცურად დაბრძანებულიყო ტახტზე. ჯერ კიდევ არ აელაგებინათ დიდგვაროვანთა სავარძლები და გისოსები, რომ ლებიც

მოძალებულ ხალხს აკავებდნენ წარჩინებულთაგან, ქურუმთაგან და ტახტისაგან.

აქ, ამ მოედანზე ამენიმ თავად ამცნო მოზეიმე ხალხს საოცრება, რომელიც ღვთიურ ვერძს აღესრულა და აუწყა, რომ ვეზირის ნახირში ახალი აპისი გამოჩნდაო. ამ ღვთიური სასწაულის მისეული ახსნა-განმარტება ყველას პირზე ეკერა: ღმერთების რომელიღაც რჩეულის წყალობით ქვეყანას მშვიდობასა და ბედნიერებას ჰპირდებოდა. თუმცა ამენის იმ კაცის ვინაობა არ უთქვამს, მაგრამ ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს გამორჩეული ვეზირი ანი უნდა ყოფილიყო. აბა, რაღა თქმა უნდოდა, ანი ხომ დიდი ხატშეფსუტის შთამომავალია, ხოლო დედოფლის წინასწარმეტყველი კი წმინდა ვერძის გულის ღირსი გახდა!

იმ დროს, როცა ამენი საოცრებებზე ქადაგებდა, ყველა ანის მისჩერებოდა, რომელმაც დამსწრეთა თვალწინ შესწირა მსხვერპლი წმინდა გულს და მთავარი ქურუმის ლოცვა-კურთხევაც მიიღო.

პენტაურმაც დიდი ხანია დაამთავრა თავისი სიტყვა. ბენტანატმა გაიგონა, როგორ უთხრა ვიღაც ბერიკაცმა შვილს:

— ჩვენი ცხოვრება მძიმეა. ძალიან ხშირად იგი აუტანელ ტვირთად მეჩვენებოდა, რომელიც გულქვა ღმერთებმა აგვკიდეს ჩვენ საცოდავებს. მაგრამ ახლა კი, როცა სეთის სახლის ამ ახალგაზრდა ქურუმს მოვუსმინე, პირველად შევიგრძენი, რომ ღმერთები გულკეთილებიც ყოფილან, და ჩვენც ბევრს უნდა ვუმადლოდეთ

მათ მოშორებით ქურუმის ცოლი ელაპარაკებოდა თავის ვაჟს:

— ხომ კარგად დაინახე პენტაური, ხორუზა? ჰოდა, დაიმახსოვრე: ეს კაცი მდაბიოა, მაგრამ ჭკუითა და ნიჭით ბევრად აღემატება წარჩინებულთ და შორსაც წავა!

ვიღაც ქალიშვილი მეგობარს აზრს უზიარებდა:

— ეს მქადაგებელი ყველაზე ლამაზი მამაკაცია, როგორიც კი ჩემს ცხოვრებაში მინახავს, ხოლო მისი ხმა გალობასავით გაისმის!

— ან როგორ უბრწყინავდა თვალები, როცა ის სიმართლეს განადიდებდა და მას უმაღლეს სათნოებას უწოდებდა! — შეეხმიანა მეორე. — იცი, მის სულში ალბათ ღმერთები ბინადრობენ!

ამის გაგონებაზე ბენტ-ანატს ალმური მოედო. უკვე ბინდდებოდა კიდეც, და ძმას უთხრა, შინ წასვლის დრო დადგაო. მაგრამ რამერის ძალიან უნდოდა საზეიმო სვლას შეერთებოდა და ფარნებისა და ჩირაღდნების შუქზე მასთან ერთად გადაევლო დასავლეთი ხეობა, რათა მათი პაპის სეთის აკლდამაც ენახა.

მეფის ასული მეტად უხალისოდ დასთანხმდა ძმას. ამასთანავე მდინარემდე მიღწევა ახლა ძალიან ძნელი იყო, რადგანაც სანაპიროდან მოედნისკენ კვლავ ბევრი ხალხი მიიჩქაროდა, რათა პროცესიას არ ჩამორჩენოდნენ. ამიტომ და-ძმა და ნეფერტი შეერივნენ ბრბოს და მზის ჩასვლისას უკვე დასავლეთ ხეობაში ამოყვეს თავი. იმ ღამეს იქ არც ერთ მტაცებელს არ გაუჭაჭანებია: ყველა ტურა და აფთარი, ურიცხვი ჩირაღდნისა და ფარნის შუქით შეშინებული, უდაბნოს სიღრმეში გადაკარგულიყო.

ჩირაღდნების ბუღმა და ბოლმა, გზაზე ურიცხვი მგზავრისგან დაყენებულმა მტვრის კორიანტელმა ისე დაბურა არემარე, რომ აღარც ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა მოჩანდა.

ბენტ-ანატი, რამერი და ნეფერტი პარასქიტ პინემის ქოხს, გაუსწორდნენ და იძულებული გახდნენ აქ შეჩერებულიყვნენ, რადგანაც ჯოხებმომარჯვებული ჩაფრები ძლივს იგერიებდნენ მოწოლილ ბრბოს, რათა პროცესიისათვის გზა გაენთავისუფლებინათ.

— შეხედე, რამერი, — უთხრა ბენტ-ანატმა და პარასქიტის ეზოზე მიუთითა, რომელიც სულ რამდენიმე ნაბიჯით იყო მათგან დაშორებული. — აი აქ ცხოვრობს ის თეთრკანიანი გოგონა, რომელსაც ჩემი ეტლი დაეჯახა. ახლა ის უკეთაა. მიბრუნდი და შეხედე, ეკლიან ბუჩქებს იქით, კოცონთან პაპამისთან ერთად ზის.

რამერი თითის წვერებზე წამოიწია, უბადრუკ ეზოში გადაიხედა და ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა:

— რა მშვენიერი ქმნილებაა! კი მაგრამ, რას უშვრება მოხუცს? ის თითქოს ლოცულობსო, გოგონას კი ხან მის ტუჩებთან მიაქვს ცხვირსახოცი, ხან საფეთქლებს უზელს. რა შეშინებული სახე აქვს!

— ალბათ პარასქიტი ავად გახდა. — გადაწყვიტა ბენტ-ანატმა.

— ეგღა აკლია! ალბათ დღესასწაულთან დაკავშირებით ზედმეტი ღვინო გადაჰკრა, — გაიცინა რამერიმ. — ჰო, რა თქმა უნდა! ერთი შეხედე, ტუჩები როგორ უკანკალებს, ან თვალებს როგორ აბრიალებს! რა საზიზღარია! ნამდვილად შეშლილია.

— ის ხომ უწმინდურია, — ფრთხილად შენიშნა ნეფერტმა.

— მიუხედავად ამისა, მას საოცრად კეთილი გული აქვს და, საერთოდ, კარგი ადამიანია, — მკვირცხლად შეეპასუხა ბენტ-ანატი. — მისი ამბავი გამოვიკითხე და მითხრეს, რომ წესიერი

და პატიოსანი კაცია და არც სვამსო. რასაკვირველია, ის ავადაა და, არავითარ შემთხვევაში, მთვრალი!

— აი, გოგონა ადგა! — წამოიძახა რამერიმ და მოედანზე ნაყიდი ფარანი დაბლა დაუშვა. — გაიწიე, ბენტ-ანატ! ეტყობა, ვიღაცას ელოდება. ერთი მითხარი: ოდესმე გინახავს თუ არა ასეთი ქათქათა კანი და ასეთი მომხიბვლელი სახე? თმაც კი სეთხის საყვარელი ფერისა აქვს და როგორ ამშვენებს. მაგრამ შეხედეთ, თვითონაც როგორ ბარბაცებს. ალბათ ჯერ ისევ სუსტადაა! აგერ ისევ მოხუცის გვერდით დაჯდა და შუბლს უზელს. საცოდავი! ხედავ, როგორ ტირის. ახლავე ქისას გადავუგდებ!

— არ გინდა! — შეაჩერა ბენტ-ანატმა. — მე საკმაოდ გულუხვად დავასაჩუქრე იგი! ცრემლებს კი ოქრო ვერ შეუშრობს. ხვალ მოხუც ასნათს გამოვაგზავნი, რომ გაიგოს, რა მოხდა და რითი შემიძლია დავეხმარო. ოჰ, როგორ გვაწვება ეს ხალხი! როგორც კი ღმერთს ჩამოატარებენ, მაშინვე წავიდეთ შინ!

— მოდი წავიდეთ, თორემ ძალიან მეშინია! — შეევედრა ნეფერტი და ერთიანად აკანკალებული მეფის ასულს მიეკრო.

— შეხედეთ! შეხედეთ! — დაიყვირა რამერიმ, — აგერ ისინიც! მართლაც რა დიდებული სანახაობაა! წმინდა გული ვარსკვლავივით ელვარებს!

მთელმა ხალხმა და ბენტ-ანატმაც თავის თანამგზავრებთან ერთად მუხლი მოიყარეს.

ზუსტად მათ პირდაპირ პროცესია შეჩერდა, ყოველი ათასი ნაბიჯის შემდეგ ის მცირე ხნით ჩერდებოდა. წინ გამოვიდა ქადაგი და რიხიანი, ყველასათვის გასაგონი ხმით ხოტბა შეასხა უდიდეს სასწაულს, რომელმაც, ეს-ეს არის, ახალი საკ-

ვირველი თვისება გამოავლინა: დაბინდებისთანავე ვერძის წმინდა გულმა ნათება დაიწყო!

* * *

მებალზამეთა სახლიდან დაბრუნებულმა მოხუცმა პარასქიტმა ჭამაზე უარი განაცხადა, ხოლო გულგახეთქილი შინაურების შეკითხვებზე ხმაც არ ამოუღია.

უსიცოცხლო თვალები რაღაცისთვის მიეშტერებინა, გაშეშებული იჯდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა, თან წარამარა შუბლზე ივლებდა ხელს. რამდენიმე საათის წინ კი უეცრად საზარლად გადაიხარხარა, მაშინ კი შიშისგან გულგახეთქილი მისი ცოლი კისრისტეხით გავარდა სეთის სახლში ექიმ ნებსეხტის მოსაყვანად.

ამასობაში უარდამ იმ ფოთლებით დაუზილა საფეთქლები, ჯადოქარმა ხექტმა ჭრილობაზე რომ დაადო. უარდა ფიქრობდა, რადგან მას უშველა ამ ფოთლებმა, შეიძლება ახლაც გასჭრას წამალმა და ავი სული განდევნოსო.

როდესაც ათასობით ჩირაღდნითა და ფარნით გაკაშკაშებული საზეიმო სვლა პარასქიტის ქოხის ღობესთან შეჩერდა, რომელიც ღამის წყვდიადში არც კი მოჩანდა, ვიღაცამ ხმამაღლა დაიყვირა: აი ვერძის წმინდა გულიც გვიახლოვდებაო; მოხუცი შეკრთა, წელში გასწორდა და ბროლის ჭურჭელში მოელვარე სალოცავს მიაშტერდა. აკანკალებული ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე და თან კისერს წინ იგრძელებდა.

ქადაგი სასწაულის ხოტბის შესხმას შეუდგა.

და უცბად მოხდა წარმოუდგენელი რამ. იმ დროს, როდესაც მუხლმოყრილი ხალხი სასოებით უსმენდა ქადაგის საზეი-

მო სიტყვებს, მოხუცმა პარასქიტმა არც აცივა, არც აცხელა, ერთბაშად წინ გამოვარდა, თავში მუშტები წაიშინა, პირი წმინდა გულისკენ ქნა და მოულოდნელად შეშლილივით ახარხარდა. ეს შემზარავი ხარხარი მრავალჯერად ექოდ მოედო კლდოვან ხეობას.

ბრბო შიშმა მოიცვა. ყველა გამალებით ზეზე წამოიჭრა. შეშინდა ამენიც, რომელიც ამაყად მოსდევდა გულიან ჭურჭელს; უნებლიეთ შეკრთა და იქით გაიხედა, საიდანაც ეს საზარელი ხარხარი გაისმა. მას არასოდეს ენახა პინემი, მაგრამ კარგად იცოდა, თუ სად ცხოვრობდა იგი. როგორც კი იმ ბუღში ეზოში მკრთალად მოციმციმე კოცონი დაინახა, მაშინვე მიხვდა, რომ ისინი პარასქიტის სადგომთან გაჩერებულიყვნენ. მან ჩაფრების ერთ-ერთი უფროსი მოიხმო, თავიანთ ხალხთან ერთად პროცესიას ორივე მხრიდან რომ მიჰყვებოდნენ, და რაღაც ჩასჩურჩულა მას. შემდეგ ნიშანი მისცა და პროცესიაც ადგილიდან დაიძრა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოსო.

ბერიკაცის ავბედითი ხარხარი სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა. პარასქიტი წმინდა გულისკენ გაღწევას ლამობდა, მაგრამ ბრბომ უკან გამოაგდო. როცა საზეიმო სვლის ბოლო რიგებმა მის ეზოს ჩაუარეს, ბერიკაცი, რომელსაც ყოველი მხრიდან წყევლა-კრულვას აყრიდნენ, რის ვაი-ვაგლახით მილასლასდა თავისი ქოხის ზღურბლამდე და მიწაზე ზღართანი მოადინა. უარდა მას მივარდა, ბუღსა და წყვდიადში ხელის ცეცებით მოძებნა მისი უმოძრაო სხეული.

— ფეხქვეშ გავთელოთ დამცინავი!

— ნაფლეთებად ვაქციოთ!

— გადავწვათ უწმინდურთა ბუნაგი!

— გოგოსთან ერთად ცეცხლში ჩავაგდოთ! — სხვადასხვა ხმაზე ღრიალებდა მოკრძალების ექსტაზისგან უხეშად გამოღვიძებული გაშმაგებული ბრბო.

ორმა დედაბერმა ჯოხებს ფარნები მოაგლიჯა და საცემად მივარდა უბედურ მოხუცს, ხოლო რომელიღაც მეომარმა-ეთიოპმა უარდა თმით დაითრია.

სწორედ იმ წუთში პარასქიტის ცოლი და პენტაურიც გამოჩნდნენ. დედაბერმა ვერასგზით ვერ მოახერხა ნებსეხტის ნახვა, მაგრამ სამაგიეროდ პოეტს შეხვდა, რომელიც თავისი გამოსვლის შემდეგ სეთის სახლში დაბრუნებულიყო. ქალმა უამბო ავსულზე, რომელიც მისი ქმრის სხეულში ჩასახლებულიყო და შეევედრა შინ წაყოლოდა. პენტაური ერთი წუთითაც არ შეყოვნებულა, როგორც იყო საშინაო სამოსში, ისევე გაჰყვა დედაბერს; ქურუმის თეთრი სამოსელი არ წამოუსხამს, რადგანაც ჩათვალა, რომ ასეთ შემთხვევაში ის უადგილო იქნებოდა.

როცა ისინი პარასქიტის ქოხს მიუახლოვდნენ, პენტაურს ბრბოს ღრიალი და შიშისგან თავზარდაცემული უარდას გულსაკლავი კივილი შემოესმა.

იგი წინ გავარდა და ჩამქრალი კოცონისა და რამდენიმე ფარნის მკრთალ შუქზე დაინახა, შავკანიანი მეომარი თმაში როგორ ჩაჰფრენოდა უმწეო გოგონას. ერთი ელვისებური ნახტომი წინ — და პენტაურმა ძლიერი თითები ყელში წაუჭირა მეომარს. შემდეგ ეთიოპს ქამარში ჩაავლო ხელი და ერთი მოქნევით ქვასავით გადააგდო ღობის გადაღმა.

გააფთრებული ბრბო პენტაურს მივარდა. უეცრად პოეტს აქამდე მისთვის უცხო ბრძოლის ჟინი დაეუფლა. ერთბაშად ამოაძრო მიწიდან მძიმე ეთიოპური ხის მარგილი, რომელსაც ფარდული ეყრდნობოდა, მზრუნველმა პაპამ შვილიშვილის-

თვის რომ მოაწყო. ლერწმის ღეროსავით იქნევდა მას, და ბრბოც იძულებული გახდა, უკან დახეულიყო. მაშინ პენტაურმა უარდას დაუყვირა, რომ მისთვის ხელი ჩაეჭიდა.

— ვინც ამ გოგონას ხელს ახლებს, იმწუთასვე მოკვდება! — დაიღრიალა მან. — როგორ არა გრცხვენიათ, თავს ესხმით უძლურ ბერიკაცსა და უმწეო ბავშვს ამ წმიდათაწმიდა დღეს!

ხალხი გაირინდა, მაგრამ წუთსაც არ გაუვლია, რომ საზარელი წივილ-კივილით კვლავ შემოუტია:

— სიკვდილი უწმინდურებს! გადაწვით ბუნაგიანად!

რამდენიმე თებელი ხელოსანი პენტაურს მიაწვა, რადგან მასში ქურუმი ვერ შეიცნეს; მაგრამ სანამ ისინი ჯოხებს და მუშტებს დაუშენდნენ, მან მაინც მოასწრო მარგილის რამდენჯერმე მოქნევა და ყველანი მიწას დაანარცხა. მისი მრისხანე იარაღის ყოველ მოქნევაზე აუცილებლად ვიღაც ეხეთქებოდა მიწას. მაგრამ ეს უთანასწორო ბრძოლა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. რამდენიმე ახალგაზრდა ღობეს გადაევლო, რათა უკანიდან დასხმოდნენ თავს პენტაურს. ამის გაკეთება ძნელი არ იყო, რადგან პენტაური ახლა ყველა მხრიდან განათებული იყო ცეცხლმოდებული ქოხიდან ავარდნილი ალით. სახურავზე შეგდებულმა რამდენიმე ჩირაღდანმა ცეცხლი გაუჩინა პალმის ხმელ ფოთლებს. ალის უშველებელი ენები ტკაცატკუცით ბრიალებდნენ ღამის წყვდიადში.

პოეტმა ბიჭები შენიშნა, უკანიდან რომ ეპარებოდნენ. მარცხენა ხელი შიშისგან აცახცახებულ, მასზე მიკრულ გოგონას გადააფარა, მარჯვენათი კი გააფთრებით მოიქნია მარგილი. პენტაურს კარგად ესმოდა, რომ მათი დაღუპვა გარდაუვალი იყო, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაეცვა ამ მშვენიერი ქმნილების უმანკოება და სიცოცხლე. ყველაფერი ეს დიდხანს აღარ გაგრძელებულა, რადგან

ორმა მამაკაცმა იმარჯვა და მის მარგილს ჩაეჭიდა. კიდევ რამდენიმე კაცი მისცვივდა მათ დასახმარებლად და ერთიანი ძალით მარგილი ხელიდან გამოგლიჯეს პენტაურს. ამასობაში მისმა გაცოფებულმა, მაგრამ უიარაღო მოწინააღმდეგეებმა ნელ-ნელა დაიწყეს შეტევაზე გადმოსვლა ყოველი მხრიდან, თუმცა ჯერ კიდევ არ განელებოდათ შიში მისი არნახული ძალ-ღონის გამო.

სუნთქვაშეკრული, ქანცგაწყვეტილი ქურციკივით აცახცახებული უარდა გამწარებით ებღაუჭებოდა თავის ქომაგს.

უიარაღოდ დარჩენილმა, გაშმაგებულმა პენტაურმა ყრუდ დაიღრიალა. და უეცრად, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მის გვერდით ვიღაც ყმაწვილი გაჩნდა და მახვილი მიაწოდა, რომელიც დარეტიანებულ ეთიოპელ მეომარს გავარდნოდა ხელიდან და მის ფეხებთან ეგდო. ყმაწვილი და პოეტი ზურგშექცევით დადგნენ. პენტაური ამაყად გასწორდა წელში და ხმამაღლა საბრძოლო კიჟინა დასცა. ამ წუთში, ახალი იარაღით ხელში ის იმ უმამაცეს გმირს ჰგავდა, რომელიც უკანასკნელ, ჯერ კიდევ მტრისგან აუღებელ ციხესიმაგრეს იცავდა.

თვალებანთებული, იმ ლომივით იდგა, რომელიც ტურების ხროვას იგერიებს თავისი ნადავლის გადასარჩენად. როგორც კი მისმა მოწინააღმდეგეებმა დაინახეს, რომ მისმა თანამებრძოლმაც — ყმაწვილმა რამერიმ მუქარით აღმართა ჩუგლუგი, შეშინებულებმა კვლავ უკან დაიხიეს.

— ეს მშიშარა მკვლელები ჩირაღდნებს გვესვრიან! — შეჰყვირა რამერიმ. — ჩემთან მოდი, ქალიშვილო, კაბაზე ანთებული ფისი ჩაგიქრო.

მან ხელი ჩაავლო უარდას, თავისკენ მიიზიდა და კაბაზე მოდებული ცეცხლი ჩაუქრო, პენტაური კი ამ დროს მახვილით ხელში მას გადაეფარა.

ერთხანს ასე ზურგშექცევით იბრძოდნენ რამერი და პოეტი, რომ უცებ ვიღაცის მიერ გასროლილი ქვა პირდაპირ თავში მოხვდა პენტაურს. ის შებარბაცდა და ბრბოც ღრიალით მივარდა მას, მაგრამ სწორედ ამ დროს ღობე ჩაინგრა, თითქოს ვიღაცის მძლავრი ხელი მიაწვაო, და ბრძოლის ველზე უეცრად მაღალი ქალის ფიგურა გამოჩნდა.

— შეჩერდით! დაეხსენით მათ! — დაუყვირა მან გაშმაგებულ ბრბოს. — მე გიბრძანებთ! მე ბენტ-ანატი ვარ, ფარაონის ქალიშვილი!

გაოგნებულმა ხალხმა უკან დაიხია.

ქვის დარტყმისაგან დარეტიანებულ პენტაურს, რომელიც უკვე გონს მოსულიყო, იმ წუთში მოეჩვენა, თითქოს გონება უბნელდებოდა. ყველაფერს ხედავდა გარშემო და ყველაფერიც ესმოდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო — ცხადი იყო თუ სიზმარი. ჯერ დაუძლეველი სურვილი დაეუფლა მუხლი მოეყარა რამზესის ქალიშვილის წინაშე. მაგრამ ამენის სკოლაში სწრაფ აზროვნებას მიჩვეულმა გონებამ იმწამსვე უკარნახა, თუ რა საშინელ დღეში იყო ჩავარდნილი მეფის ასული, და იმის მაგივრად, რომ დაეჩოქა მის წინაშე, პენტაურმა შეჰყვირა:

— ჰეი, ხალხო! ვინც არ უნდა იყოს ეს ქალი, როგორც არ უნდა ჰგავდეს ბენტ-ანატს, მაინც ეს რამზესის ქალიშვილი არ არის. სამაგიეროდ მე, თუმცა თეთრი სამოსელი არ მაცვია, სეთის სახლის ქურუმი ვარ და ჩემი სახელი პენტაურია, დღევანდელ დღესასწაულზე სიტყვა წარმოვთქვი. განვედ, დიაცო! მე ამას ჩემი წმინდა წოდების სახელით გიბრძანებ!

მისმა სიტყვამ გაჭრა და ბენტ-ანატიც დაემორჩილა.

პენტაური გადარჩა. სანამ ბრბო გონს მოვიდოდა, ვიდრე პოეტის მიერ დაჭრილი ხალხი, მათი ნათესავები და მეგობ-

რები ახალი იერიშისათვის ემზადებოდნენ, ხოლო ერთი ყმაწვილი, რომელსაც პენტაურმა ხელის მტევანი გადაუმტვრია, გაცოფებული ყვიროდა: „ეს რა წმინდა მამაა, ეს მორკინალია ვიღაცაა! აკუწეთ ეგ მატყუარა!“ — ხალხში უცბად ხმა გაისმა:

— გზა მიეცით ჩემს თეთრ სამოსს! და დაეხსენით მქადაგებელ პენტაურს — ის ხომ ჩემი მეგობარია! ბევრი თქვენთაგანი ალბათ მიცნობს!

— შენ ექიმი ნებსეხტი ხარ, მოტეხილი ფეხი რომ მომირჩინე! — სიხარულით წამოიძახა რომელიღაც მეზღვაურმა,

— მე კი სნეული თვალი, — შეეხმიანა მას მქსოველი.

— ეს ლამაზი და მაღალი კაცი ნამდვილად მოქადაგეა, მე ის ვიცანი! — წკრიალა ხმით წამოიძახა უცებ იმ ქალიშვილმა, წეღან აღფრთოვანებით რომ ლაპარაკობდა პოეტზე, და მის საუბარს მოედანზე შემთხვევით ბენტ-ანატიც შეესწრო.

— ჩემი რა საქმეა, მოქადაგეა თუ ვინ არის! — დაიღრიალა ერთ-ერთმა ყმაწვილმა და წინ გამოვარდა, მაგრამ იგი დროზე შეაჩერეს. ხალხი პატივისცემით მიიწ-მოიწია, როცა ნებსეხტმა თხოვნით მიმართა დაშლილიყვნენ, რათა მას საშუალება ჰქონოდა დაჭრილები გაესინჯა.

პირველად მოხუცი პარასქიტისკენ დაიხარა და მაშინვე თავზარდაცემულმა შეჰყვირა:

— სირცხვილი თქვენ! ეს რა ჩაგიდენიათ! მოხუცი მოგიკლავთ!

— მე კი იძულებული გავხდი სისხლით შემეღება ჩემი მშვიდობიანი ხელები, რათა ასეთივე ხვედრისაგან გადამერჩინა მისი უმანკო შვილიშვილი. — თქვა პენტაურმა.

— ქვეწარმავლებო, მორიელებო! გველის წიწილებო! მტარვალებო! — ლანძღავდა ბრბოს ნებსეხტი და თან თვალებით უარდას ეძებდა.

ხოლო როცა ჯადოქარ ხექტის ფეხებთან საღ-სალამათი გოგონა დაინახა, შვებით ამოისუნთქა და დასახიჩრებულთა გასინჯვას შეუდგა.

— შენ მიყარ-მოყარე ამდენი ხალხი? — ჩაუჩურჩულა ექიმმა მეგობარს.

პენტაურმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გაიღიმა, მაგრამ ეს გამარჯვებული გულადი მეომრის ღამით კი არ იყო, არამედ იმ ბიჭუნას სირცხვილეული გაღიმება, რომელსაც დაჭერილი ჩიტი შემთხვევით შემოაკვდა ხელში.

ნებსეხტმა გაკვირვებით შეხედა და შეწუხებული ხმით ჰკითხა:

— მაშინვე რატომ არ თქვი შენი ვინაობა?

— იმიტომ, რომ როცა აი იმ არამზადამ თმით დაითრია უარდა, ჩემში უეცრად ომის ღმერთის სული ჩასახლდა, — ფიცხლად უპასუხა პენტაურმა. — ირგვლივ ვერაფერს ვხედავდი, აღარც არაფერი მესმოდა, მე...

— ნამდვილად სწორედ მოქცეულხარ, — შეაწყვეტინა ექიმმა. — მაგრამ რით დამთავრდება ეს ყველაფერი?

იმწამსვე ბუკის ხმა გაისმა — ამენის მიერ გამოგზავნილი მცველთა უფროსი თავისი ჯარისკაცებითურთ პარასქიტის დასაპატიმრებლად მოდიოდა. ეზოში შემოსვლისთანავე ხალხს უბრძანა, დაშლილიყვნენ. ვინც ბრძანებას არ დაემორჩილა, ძალით გაყარეს და რამდენიმე წუთში მთელი ხეობა დაიცალა გამხეცებული ბრბოსაგან, ხოლო პარასქიტის ცეცხლმოდებული ქოხი ჯარისკაცთა ალყაში მოექცა.

ბენტ-ანატი, მისი ძმა და ნეფერტიც იძულებული გახდნენ გასცლოდნენ იქაურობას. როგორც კი რამერი დარწმუნდა, რომ უარდას საფრთხე აღარ ემუქრება, ისიც დასთან მივიდა.

ნეფერტი, რომელსაც შიშისა და მღელვარებისგან მუხლები მოეკვეთა, ხელჩაკიდებული მოჰყავდათ მეფის ასულის მეჯინეებს. ასე დაადგნენ სახლის გზას — წინ მეჯინეებს ნეფერტი მიჰყავდათ, მათ კი ბენტ-ანატი და რამერი მიჰყვებოდნენ. ხმა არავის ამოუღია, ასე გასინჯეთ, რამერისაც კი, რომელიც ვეღარასოდეს დაივიწყებდა უარდას და მის უზომო მადლიერებით აღსავსე მზერას, რომელიც გოგონამ გამოაყოლა. დუმილი მხოლოდ ბენტ-ანატმა დაარღვია ერთხელ.

— პარასქიტის სახლი იწვის, — ჩუმად თქვა მან. — ნეტა სად დაიძინებენ ახლა ეს საწყლები?

როცა ხეობა დაცარიელდა, მცველთა უფროსი ეზოს სიღრმეში შევიდა, სადაც ჯადოქარ ხექტისა და უარდას გარდა პოეტიც ნახა; პენტაური ნებსეხტთან ერთად დახმარებას უწევდა დასახიჩრებულთ.

პენტაურმა მოკლედ უამბო იქ მომხდარი ამბავი და თავისი ვინაობაც გაუმხილა.

— რამზესს რომ სულ შენისთანა მეომრები ჰყავდეს თავის ლაშქარში, — უთხრა მცველმა პენტაურს და ხელი გაუწოდა, — მაშინ ომი ხეთებთან ძალიან მალე დამთავრდებოდა. მაგრამ შენ აზიელები კი არა, თებეს მშვიდობიანი მცხოვრებნი დახოცე. ამიტომ, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს ამბავი ჩემთვის, მაინც უნდა დაგაკავო და ამენის მიგგვარო.

— შენ შენს მოვალეობას ასრულებ. — თქვა პენტაურმა და თავი დახარა.

მცველთა უფროსმა თავის ხალხს უბრძანა პარასქიტის გვამი სეთის სახლში გადაეტანათ.

— იქნებ ქალიშვილიც უნდა დაგვეპატიმრებინა, — გაუბედავად ჩაილაპარაკა მან და პენტაურს გადახედა.

— ის ავადაა, — მიუგო პოეტმა.

— ის რომ ახლავე ლოგინში არ ჩაწვეს, დილამდე ვერ გაატანს, — საუბარში ჩაერია ექიმი. — თავი დაანებე — მას ხომ ბენტ-ანატი მფარველობს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ გადათელა თავისი ცხენებით.

— ჩემთან წავიყვან და მოვუვლი, -— თქვა ჯადოქარმა. — აგერ ბებიამისიც წევს, კვამლისგან კინაღამ რომ დაიხრჩო; ახლა აღარაფერი უჭირს. ადგილი საკმარისი მაქვს, ორივე დაეტევა.

— შენთან მხოლოდ ხვალამდე დარჩება, მერე კი თავშესაფარს ვუშოვი, — ჩაილაპარაკა ექიმმა.

დედაბერმა თვალი თვალში გაუყარა მას და უტიფრად ჩაიცინა.

— ბევრნი ხართ ასეთი მზრუნველები, — ჩაიბურტყუნა თავისთვის.

ჯარისკაცებმა უფროსის ბრძანებით წამოკრიფეს დაჭრილები, პარასქიტის გვამიც წაიღეს და პენტაურიც თან წაიყვანეს.

* * *

ფარაონის შვილებსა და ნეფერტს ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ, ვიდრე ნილოსის ნაპირს მიაღწევდნენ, სადაც მათ ნავი ელოდებოდათ. ერთი მეჯინე ნავის მოსაყვანად გაგზავნეს და თან გააფრთხილეს, აჩქარებულიყო, რადგანაც უკვე მოჩანდა მოახლოებული პროცესიის ჩირაღდნები

და ღმერთი ამონი უკან გადაჰყავდათ თებეში, თავის ტაძარში. მათ იცოდნენ, რომ თუ ახლავე, დაუყოვნებლივ, არ ჩასხდებოდნენ ნავში, მაშინ დიდი ხნის ლოდინი მოუწევდათ, რადგან ღამით, სანამ პროცესია მდინარეზე გადადის, არც ერთ გემს არა აქვს გასვლის უფლება.

და-ძმა მოუთმენლად ელოდა მათ მიერ გაგზავნილი მეჯინეს ნიშანს, რადგან ნეფერტი მეტად დასუსტებულიყო და წარამარა გული მისდიოდა. ბენტ-ანატი, რომელიც ნეფერტს ხელს აშველებდა, გრძნობდა, როგორ კანკალებდა იგი.

ბოლოს და ბოლოს მეჯინემ ნიშანი მისცა და უბრალო, მაგრამ სწრაფი ნავი, რომელსაც ჩვეულებრივ მხოლოდ სანადიროდ იყენებდნენ, ნავმისადგომისკენ გასრიალდა. რამერიმ მენიჩბეს ნიჩაბი გამოართვა და ნავი ბოგირთან მისწია.

ამ დროს მცველთა უფროსი მოვიდა და დაიყვირა:

— ეს უკანასკნელი ნავია ღმერთის გადაყვანამდე!

ბენტ-ანატი აჩქარებით გაემართა ნავისკენ და თან მის მკლავზე უღონოდ მისვენებული ნეფერტიც მიჰყავდა. ნავმისადგომისკენ მიმავალი კიბე ოდნავ იყო განათებული რამდენიმე ფარნით. მხოლოდ ღმერთის ქანდაკების მოახლოებისთანვე ერთბაშად აბდღვრიალდებოდა ყველა ჩირაღდანი და ფისით სავსე ფიალები. მეფის ასულმა ვერც კი მოასწრო ბოლო საფეხურამდე მისვლა, რომ მხარზე ვიღაცის მძიმე ხელი იგრძნო და პააკერის უხეში ხმა მოესმა:

— უკან, არამზადავ! ჯერ ჩვენ უნდა გადავიდეთ.

გუშაგებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ: მათ ძალიან კარგად იცოდნენ მახორის დაუნდობელი ხასიათი. პააკერმა კი პირში ორი თითი ჩაიდო და ყურთწამღებმა სტვენამ გააკეთა ღამის წყვდიადი.

იმწუთშივე ნიჩბების ტყლაშუნი გაისმა, და მახორმა თავის მეზღვაურებს დაუყვირა:

— ეს ნავი გვერდზე გაწიეთ! არაფერია, მოიცდიან.

მახორის უშველებელ ორჩხომელზე გაცილებით მეტი მენიჩბე იყო, ვიდრე ჩვენი მგზავრების საცოდავ ნავზე.

— აბა, სწრაფად ჩასხედით! — დაიყვირა რამერიმ.

ბენტ-ანატიც აჩქარდა, თან გაჩუმებული იყო, რომ მისი ვინაობა არავის გაეგო. პააკერმა გზა გადაუჭრა.

— თქვენ რა, ვერ გაიგეთ, არამზადებო? — დაიღრიალა მან, — დაგველოდეთ, სანამ გადავალთ! ჰეი, მონებო, გვერდზე გადააყენეთ ამ მათხოვრების ნავი!

ბენტ-ანატს ძარღვებში სისხლი გაეყინა. პააკერის უხეშ წამოყვირებას ნავმისადგომში აყალმაყალი მოჰყვა, თანაც რამერის ხმა ყველაზე ხმამაღლა ისმოდა. პააკერი არ ცხრებოდა.

— უყურე, ეს ნაძირალა კიდევ მეწინააღმდეგება! მე გასწავლით ჭკუას! დეშერ, აქეთ! აბა, წაიყვანე ეს ქალი და ეს ვაჟბატონი!

მის დაძახებაზე ყეფით გადმოხტა უშველებელი წითელი ნაგაზი, რომელიც პააკერს ყველგან თან დაჰყვებოდა.

ნეფერტმა შიშისაგან შეჰკივლა, მაგრამ ძაღლმა მაშინვე იცნო და გახარებულმა ლაქუცი დაუწყო.

პააკერი, რომელიც ამასობაში უკვე ორჩხომელთან ჩასულიყო, შემობრუნდა და გაკვირვებულმა დაინახა, რომ მისი ძაღლი ბიჭის ტანსაცმელში გამოწყობილ ნეფერტს ფეხებს ულოკავდა. მან გადაცმული ქალი ვერ იცნო, უკან ამოირბინა და დაიღრიალა:

— მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა შხამით ან ჯადოთი ძაღლის გაფუჭება!

მან მათრახს წამოავლო ხელი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბეჭებზე გადაუჭირა მენას მეუღლეს. ნეფერტმა გულსაკლავად შეჰკივლა და ბოგირზე დავარდა. მათრახის კიდევ ერთი მოქნევა, და მისმა ბოლომ საწყალი ქალის ლოყასთან გაიბზუილა — ბენტ-ანატმა დროზე აარიდა დარტყმა.

თავზარდაცემული, ზიზღისა და მრისხანებისგან ხმას ვერ იღებდა. რამერი ნეფერტის შემზარავი კივილის გაგონებაზე მყისვე ქალებთან გაჩნდა.

— ლაჩარი არამზადა! — შესძახა მან და ნიჩაბი მოუქნია, რომელიც ხელში ეჭირა. ბრძოლას ჩვეულ პააკერს წარბიც არ შეუხრია და სტვენით უხმო ძაღლს:

— აბა, ჩაავლე, დეშერ!

ნაგაზი რამერის მივარდა, მაგრამ ყმაწვილი არ დაბნეულა — ბავშვობიდანვე ხშირად დაჰყვებოდა ხოლმე მამას სანადიროდ — და გააფთრებულ ცხოველს ისე ჩასცხო დრუნჩში, რომ ძაღლმა ერთი ამოიხრიალა და ბოგირზე დაგორდა.

პააკერი თავის უერთგულეს მეგობრად თვლიდა ამ ძაღლს და გვერდიდან არ იშორებდა, ყველა ლაშქრობაში თან დაჰყავდა. ახლა კი იმის შემხედვარე, თუ როგორ იკრუნჩხებოდა იგი მის ფეხებთან, საშინლად გაშმაგდა, მათრახი მაღლა ასწია და ყმაწვილისკენ გაექანა. მაგრამ რამერი არც ახლა დაბნეულა. ამაღამდელი ამბებით მეტად აღგზნებულ, წინაპრების საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალულ, მოთმინებადაკარგულ მახორის უხეშობის გამო, შეურაცხყოფა რომ მიაყენა ქალებს, რომელთა ქომაგობაც მეფისწულის ვალი იყო, ყმაწვილს მაინც შესწევდა საიმისო ძალა, რომ ნებისმიერ შეურაცხმყოფელს გამკლავებოდა. მან ნიჩაბი ჩაარტყა მკლავში პააკერს და ხელიდან მათრახი გააგდებინა. პააკერმა ტკივილისაგან ამოიგმინა და მეორე ხელით სატევარი დააძრო.

მაშინ ბენტ-ანატმა ვეღარ მოითმინა, პააკერსა და რამერის შუაში ჩაუდგა და იმ საღამოს მეორედ ახსენა თავისი სახელი, ოღონდ ახლა უკვე ძმასთან ერთად. მან უბრძანა პააკერს შეეჩერებინა თავისი მეზღვაურები, ნავში გადაიყვანა ნეფერტი, რომლის ვინაობაც ბოლომდე არც გაუმხელიათ, თავადაც შიგ ჩაჯდა რამერისთან ერთად, და სულ მალე მშვიდობიანად გადმოსხდნენ ზედ სასახლესთან. პააკერსა და მის დედას სეთხემს კიდევ დიდხანს მოუხდათ ლოდინი ნავმისადგომთან. ნილოსის ორჩხომელი მან დედისათვის გამოიძახა; სეთხემი იქვე შორიახლო თავის ტახტრევანში იჯდა და თვალყურს ადევნებდა მთელ ამ ბობოქარ სცენას, მაგრამ არც სიტყვები ესმოდა და ვეღარც მოქმედ პირებს არჩევდა.

პააკერის ძაღლმა სული დალია, ხოლო მის პატრონს ნატკენი მკლავი მოსვენებას არ აძლევდა და თან ბოღმაც ახრჩობდა.

— რამზესის ჯილაგი! — ღვარძლიანად ბრდღვინავდა იგი. — თავგადასავლების მაძიებელნი! მე მათ კიდევ გავუსწორდები, მენა და რამზესი ერთი ჯგუფია. არც ერთს არ დავინდობ!

თავი მეთოთხმეტე

პააკერმა გადაწყვიტა თავისი ძაღლის გვამი გაეგზავნა კინოპოლისში — ქალაქში, სადაც ძაღლი წმინდა ცხოველად ითვლებოდა, სადაც მას დააბალზამებდნენ და დამარხავდნენ. როცა ორჩხომელი, რომელსაც დედამისი და მკვდარი ძაღლი მიჰყავდა, ბოლოს და ბოლოს, ნავმისადგომიდან გავიდა, პააკერი სეთის სახლისკენ გაემართა. ზეიმის ღამეს იქ, ჩვეულებრივ, დიდ ნადიმს აწყობდნენ ხოლმე ნეკროპოლისა და თებეს ტაძრების წარჩინებულ ქურუმთათვის. ნადიმზე იწვევდნენ აგრეთვე სხვა ნომების წარგზავნილებსა და რჩეულ დიდებულებს.

ოდესღაც მამამისიც, თუკი თებეში იმყოფებოდა, აუცილებლად ესწრებოდა ამ ნადიმს. თვითონ პააკერს კი დღეს პირველად ხვდა წილად ასეთი პატივი. ბევრნი ცდილობდნენ მიეღოთ მიწვევა — უმაღლესი წარჩინების ნიშანი, პააკერს კი, როგორც ამენიმ გუშინ აგრძნობინა, ასეთი პატივისათვის მადლობა პირადად ანისთვის უნდა გადაეხადა.

დედამ რამერის მიერ დასახიჩრებული ხელი შეუხვია. ტკივილი მეტისმეტად აწუხებდა, მაგრამ პააკერი არაფრის გულისათვის არ გამოაკლდებოდა ნადიმს სეთის სახლში, თუმცა იქაც ერთგვარი შიშით მიდიოდა. სიძველითა და წარჩინებით მისი გვარი არაფრით არ იყო ნაკლები ეგვიპტის სხვა წარჩინებულ გვარებზე, — უფრო მეტიც, სისხლის საწმინდით ის თვით ფარაონსაც კი არ ჩამოუვარდებოდა, და მაინც პააკერი ვერასოდეს ვერ გრძნობდა თავს თამამად წარჩინებულთა შორის.

ქურუმი იგი არასოდეს ყოფილა, თუმცა მწერლის წოდებას კი ატარებდა. ის მეომარი იყო, მაგრამ ფარაონის არმიის გმირებს ვერ გაუტოლდებოდა. ის მოვალეობისადმი მტკიცე ერთგულების სულისკვეთებით იყო აღზრდილი და გულმოდგინედაც ასრულებდა თავის საქმეს, მაგრამ მისი ცხოვრებისეული ჩვევები მკვეთრად განსხვავდებოდა იმ საზოგადოებაში მიღებული პირობითობისაგან, მამამისი, დიდსულოვანი ვაჟკაცი, ასე რომ ალამაზებდა.

პააკერი ძუნწი როდი იყო. მას არ ენანებოდა მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული განძეულობა და, ამასთან ერთად, ხელგაშლილიც კი ეთქმოდა. მაგრამ მისი სულის სიტლანქე თვალნათლივ სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე, როცა პააკერი გულუხვობას იჩენდა, რადგანაც მერე თავის სიკეთეს უეჭველად დაამადლებდა და უმადურობასაც დასწამებდა ხალხს, რომელსაც მისგან წყალობა ჰქონდა მიღებული. ამასთან ერთად იმასაც ფიქრობდა, რომ გულუხვობა უფლებას აძლევდა უხეშად მოპყრობოდა ამ ადამიანებს და მოეთხოვა მათგან ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდა. ამის გამო იყო, რომ პააკერის კეთილი სწრაფვები უფრო ხშირად მტრებს სძენდნენ მას, ვიდრე მეგობრებს.

პააკერი სრულიადაც არ გახლდათ კეთილშობილი ბუნების ადამიანი; ეს იყო ეგოისტი, რომელიც უმოწყალოდ გათელავდა ყვავილებსაც და უდაბნოს ქვიშასაც, ოღონდ კი მიზნისათვის მიეღწია. მისი ხასიათის ეს თვისება უკლებლივ ყველაფერში ვლინდებოდა: ხმაში, სახის უხეშ ნაკვთებში, მისი ჩასკვნილი სხეულის გაბღენძილ მიხრა-მოხრაში.

სამხედრო ბანაკში მას შეეძლო ისე მოქცეულიყო, როგორც მოესურვებოდა, მაგრამ სულ სხვა საქმე იყო მისი წრის ადამიანთა საზოგადოება. ამ მიზეზებისა და იმის გამოც, რომ

პააკერს არ ეხერხებოდა მსუბუქი და ძალდაუტანებელი საუბრის გაბმა, რაც ერთობ აუცილებელი იყო იმ საზოგადოებაში, ის თავს ყოველთვის უხერხულად გრძნობდა. შეიძლება ამენისთვის უარიც კი ეთქვა წასვლაზე, ამ მიწვევას მისი პატივმოყვარეობისათვის ასე რომ არ ეამებინა.

უკვე გვიან იყო, მაგრამ ნადიმი მხოლოდ შუაღამისას იწყებოდა; მანამდე კი სტუმრები წმინდა ტბაზე ფარნებისა და ჩირაღდნების შუქზე გამართულ წარმოდგენას უყურებდნენ. ამ წარმოდგენების ჩვეულებრივ სიუჟეტს იზიდასა და ოზირისის ღვთაებრივი ხვედრი შეადგენდა.

როცა პააკერი საზეიმოდ მორთულ დარბაზში შევიდა, ყველა სტუმარი უკვე შეკრებილიყო. ვეზირი ანიც მოსულიყო; იგი შუა მაგიდის თავში, ამენის ხელმარჯვნივ, საპატიო ადგილზე იჯდა. ამ მაგიდასთან ბევრი ადგილი თავისუფალი დარჩა, რადგან თებეს ამონის ტაძრის წინასწარმეტყველებმა და კურთხეულებმა წინასწარ მოიბოდიშეს, რომ ნადიმს ვერ დაესწრებოდნენ. ისინი რამზესისა და მასი ოჯახის ერთგული მომხრეები იყვნენ; მათ უხუცეს წინამძღვარს არ მოეწონა ამენის კადნიერება ფარაონის შვილების მიმართ, და გარდა ამისა, ვერძის გულის საოცარი გადაადგილების ამბავი მათ აღიქვეს, როგორც მტრული გამოხდომა ყველასაგან პატივცემული და თვით ფარაონის მიერ გულუხვად დასაჩუქრებული ამონის სახელმწიფო ტაძრის წინააღმდეგ.

მახორმა იმ მაგიდისკენ დააპირა წასვლა, სადაც ეთიოპიიდან დაბრუნებული ძლევამოსილი ლაშქრის სარდალი და სხვა სახელმოხვეჭილი მეომრები ისხდნენ. მხედართმთავრის გვერდით თავისუფალ ადგილზე უნდოდა დამჯდარიყო, მაგრამ რაკი შეამჩნია, რომ სარდალმა მეზობელს თავის დაქნევით ანიშნა მისკენ მიწეულიყო, მიხვდა, რომ იმ კაცს არ

სურდა მის გვერდით ჯდომა, ღვარძლიანად დააბრიალა თვალები და ზურგი შეაქცია სამხედროთა მაგიდას.

არავის უნდოდა პააკერთან ერთად მაგიდასთან ჯდომა, ხოლო მხედართმთავარმა ხმამაღლა ისიც კი თქვა, რომ ღვინო ძმრად მოეჩვენება, თუ ეს რეგვენი თვალში ჩაეჩხირება.

ყველა სტუმარი მახორს შესცქეროდა, რომელიც დარბაზში დაბორიალებდა და თავისუფალ ადგილს ეძებდა. როცა დაინახა, რომ არავინ ეპატიჟება, თავში სისხლი აუვარდა. დიდი სიამოვნებით წავიდოდა ახლა აქედან და თან ლაზათიანად შეუკურთხებდა კიდეც ყველას. ის იყო, გასასვლელისკენ შემობრუნდა, რომ უეცრად ვეზირმა დაუძახა, რომელმაც მანამდე ამენის რაღაც გადაულაპარაკა. ანიმ მახორს შესთავაზა დამჯდარიყო მისთვის მომზადებულ ადგილზე და თან იმ სკამზე მიუთითა, რომელიც სახელმწიფო ტაძრის პირველ წინასწარმეტყველს უნდა დაეკავებინა.

პააკერმა ვეზირს მდაბლად დაუკრა თავი და ისე დაჯდა ამ საპატიო ადგილზე, რომ ზემოთ ახედვაც კი ვერ გაებედა, რადგან ეშინოდა, დამცინავი ან გაკვირვებული სახეები არ დაენახა. და, მიუხედავად ამისა, მან მაინც წარმოიდგინა ახლომახლო მჯდომი პაპამისი ასა და მამა, როგორც ეს სინამდვილეში ხდებოდა ხოლმე.

განა ის მათი შთამომავალი და მემკვიდრე არ იყო? განა დედამისი სეთხემი სამეფო გვარის ჩამომავალი არაა? ნუთუ სეთის სახლი ვალდებული არ იყო მადლობა გადაეხადა მისი გულუხვი შესაწირავისთვის?

ერთმა მსახურმა გვირგვინი დაადგა ფართო ბეჭებზე, მეორე მსახურმა ღვინო და საჭმელი მიართვა. ახლაღა გაბედა პააკერმა ამოეხედა, მაგრამ იმწამსვე მის მოპირდაპირედ

მჯდომი მეორე წინასწარმეტყველის გაგაბუს ცბიერ თვალებს წააწყდა და მაშინვე თავი დახარა.

მაგრამ აი ვეზირი პააკერს გამოელაპარაკა, შემდეგ მონადიმეთ მიუბრუნდა და აუწყა, რომ მახორი ხვალ სირიაში მიემგზავრებოდა, სადაც კვლავ შეუდგებოდა თავისი მძიმე მოვალეობის შესრულებას. ამ დროს პააკერს ისიც მოეჩვენა, თითქოს ანი ბოდიშს უხდის ყველას, რომ მახორი ასეთ საპატიო ადგილზე დასვა. ბოლოს, თასი ასწია და დაზვერვის საქმეში მახორის ბრწყინვალე წარმატებისა და ყველა მომავალი ბრძოლის ძლევამოსილად დამთავრების სადღეგრძელო შესვა. მთავარმა ქურუმმაც მხარი დაუჭირა ვეზირს და სეთის სახლის სახელით ხმამაღლა მოახსენა მადლობა პააკერს საუკეთესო სახნავ-სათესი მიწისათვის, რომელიც მან ტაძარს შესწირა[151] ამ დილას სადღესასწაულო საჩუქრის სახით.

აქეთ-იქით მოწონების შეძახილები გაისმა, და პააკერი გაუბედაობის გრძნობამ თანდათან გაუარა. ხელი კი ძალიან აწუხებდა, ჭრილობა ისევ შეხვეული ჰქონდა.

— დაჭრილი ხარ? — ჰკითხა ვეზირმა და შეხვეულ ხელზე მიუთითა.

— ისე, არაფერია, — ჩაიბურტყუნა მახორმა. — დედას ვაცილებდი ნავში, ფეხი წამოვკარი და დავვარდი...

— დავვარდიო? — სიცილით გაიმეორა მისმა ყოფილმა თანასკოლელმა, ამჟამად თებეს საპოლიციო დაცვის უფროსმა,

---

[151] ფარაონების მიერ ტაძრისთვის მიწის ნაკვეთების ჩუქება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ძველ ეგვიპტეში, და ჩვენამდეც ათასობით ძეგლმა მოაღწია, სადაც მოხსენიებულია ეს ფაქტები. შედარებით იშვიათია შემთხვევები, როცა მდიდარი ქალაქები არა მარტო ჩუქნიდნენ მიწას ტაძრებს, არამედ დიდძალ თანხებსაც სწირავდნენ გასაფართოებლად.

მაღალი თანამდებობის პირმა. — არა, მის ხელს ნამდვილად ჯოხი ან ნიჩაბი მოხვდა.

— ოჰო! ნუთუ? — გაიკვირვა ვეზირმა.

— ვიღაც ყმაწვილმა გაიწია მასზე საცემრად, — განაგრძობდა დაცვის უფროსი. — ჩემმა ხალხმა დაწვრილებით მომახსენა ყველაფერი, რაც ნავმისადგომში მოხდა. იმ ბიჭს ჯერ ძაღლი მოუკლავს...

— როგორ, მშვენიერი დეშერი? — სინანულით იკითხა მონადირეთუხუცესმა. — მამაშენს, პააკერ, გარეულ ღორებზე სანადიროდ დაჰყავდა ხოლმე.

მახორმა მხოლოდ თავი დააქნია, მას ღრმად ჰქონდა შეგნებული თავისი პოსტის დიდი მნიშვნელობა; გუშაგთა უფროსი მშვიდად განაგრძობდა თხრობას და ვერც კი ამჩნევდა, ბოღმისგან როგორ აუჭარხლდა სახე პააკერს.

— და მერე, როცა ძაღლი უკვე მიწაზე ეგდო უსულოდ, იმ თავხედმა ხელიდან მათრახიც გააგდებინა.

— ჩხუბს არეულ-დარეულობა ხომ არ გამოუწვევია? — იკითხა ამენიმ.

— არა, — აღუთქვა დაცვის უფროსმა. — საერთოდ დღევანდელმა ზეიმმა საოცრად წყნარად ჩაიარა; იმ გადარეულ პარასქიტს რომ არ შეეშალა ხელი პროცესიისთვის, შეიძლება გვეთქვა, რომ ხალხი სანიმუშოდ იქცეოდა. იმ შფოთის ამტეხი ქურუმის გარდა, რომელიც აქ მოვიყვანეთ, კიდევ რამდენიმე ქურდი დავიჭირეთ; მაგრამ ყველა ისინი ქურდების კასტას ეკუთვნიან,[152] და ჩვენც მხოლოდ ნაქურდალი ჩამოვარ-

[152] დიოდორეს თანახმად (I. 80), ძველ ეგვიპტეში არსებობდა ქურდების კასტა. ყველა ქალაქელი რეგისტრაციაში უნდა გატარებულიყო სპეციალურ სიებში, სადაც ნაჩვენები იყო მათი არსებობის წყაროები; ეს ქურდებსაც ეხებოდა. კასტას ჰყავდა მამასახლისი, რომელსაც ყოველი ქურ-

თვით და გავუშვით. ერთი მითხარი, პააკერ, რა ღმერთი გაგიწყრა მაშინ ნავმისადგომთან, ის ყმაწვილი დაუსჯელად რომ გამოუშვი?

— ნუთუ მართლა გამოუშვი? — გაოცებით შესძახა გაგაბუმ. — შენ, ხომ ვიცით, არავის არაფერს შეარჩენ...

ამენიმ ისეთი წყრომით გადახედა მოხუცს, რომ მას ხმა ჩაუწყდა, ხოლო ამენიმ მახორს ჰკითხა:

— რაზე მოხდა ჩხუბი? ვინ იყო ის ყმაწვილი?

— ვიღაც თავხედები იყვნენ! — აღშფოთებით წამოიძახა პააკერმა. — თავიანთი ნავის დაყენება უნდოდათ ორჩხომელის წინ, რომელსაც დედაჩემი ელოდებოდა. ჰოდა, მეც თავი გამოვიდე. მაშინ ის ყმაწვილი მომვარდა, ძაღლი მომიკლა და, მამაჩემს ოზირისს გეფიცებით, რომელსაც ძალიან უყვარდა ის ძაღლი, ის ბიჭი ალბათ უკვე ნიანგების კერძიც გახდებოდა, ჩვენ შორის ვიღაც ქალი რომ არ ჩამდგარიყო. იმ ქალმა გამოაცხადა, რომ ბენტ-ანატი იყო. რამზესის ქალიშვილი! და მართლაც ის იყო, ხოლო ყმაწვილი — სწორედ ის რამერი, რომელიც თქვენ გუშინ დაითხოვეთ ამ სახლიდან.

— ოჰო! — აღმოხდა გაოცებულ მონადირეთუხუცესს. — განა შეიძლება ასე უპატივცემულოდ ლაპარაკი ფარაონის შვილებზე, პატივცემულო მახორო?

ფარაონის კიდევ რამდენიმე ერთგულმა მოხელემ ხმამაღლა დაგმო მახორის ნათქვამი, ხოლო ამენიმ პააკერს ჩაუჩურჩულა:

დი აღრიცხვაზე აჰყავდა და მისგანვე იბარებდა საქურდალს. დაზარალებული წარუდგენდა მამასახლისს მოპარული ნივთების სიას, მიუთითებდა დღესა და საათს, თუ როდის მოხდა ქურდობა. ამგვარად, მოპარული ნივთების პოვნა იოლი იყო, და ქურდების კასტის მამასახლისი უბრუნებდა მათ პატრონს მათი ღირებულების ერთი მეოთხედის გადახდის შემდეგ, რაც ქურდების შემოსავალს შეადგენდა.

— ჯერჯერობით იყუჩე! — შემდეგ კი ყველას გასაგონად დაუმატა: — შენ, ჩემო მეგობარო, დაუფიქრებლად ლაპარაკი ყოველთვის გჩვეოდა, დღეს კი გონებადაკარგულივით ბოდავ. მოდი აქ, გაგაბუ, დაათვალიერე პააკერის ჭრილობა: ეს ჭრილობა როდი არცხვენს მას — მახორი ხომ თავად ფარაონის ვაჟმა დაჭრა.

მოხუცმა გაუხსნა ნახვევი შეშუპებულ ხელზე და წამოიძახა:

— რა მაგრად დაურტყამს: სამი თითი მთლად დამტვრეულია, შეხედე, ზედ ეს ზურმუხტის ბეჭედიც მიუყოლებია.

პააკერმა დაიხედა თითებზე და შვებით ამოისუნთქა: გატეხილი იყო არა წინასწარმეტყველი ბეჭედი ზედ ამოკვეთილი თუტმოს III სახელით, არამედ ძვირფასი ბეჭედი, რომელიც ახლანდელმა ფარაონმა ოდესღაც მამამისს აჩუქა. ბეჭდის ოქროს ბუდეში გაპრიალებული ქვის მხოლოდ რამდენიმე ნატეხიღა გადარჩენილიყო. ფარაონის სახელიც ნამსხვრევებთან ერთად გამქრალიყო. მღელვარებისგან ტუჩებგაფითრებულ პააკერს თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ შინაგანი ხმა ჩასჩიჩინებდა: „თვით ღმერთები გვიჩვენებენ გზას! სახელი უკვე განადგურებულია, მას კი თავად მისი პატრონიც უნდა მიჰყვეს!“

— ბეჭედია დასანანი, — თქვა გაგაბუმ. — მაგრამ თუ არ გინდა, რომ ხელსაც იგივე ბედი ეწიოს, სმას თავი დაანებე, ექიმ ნებსეხტთან წადი და სთხოვე ძვლები ჩაგიგდოს.

პააკერი მაშინვე წამოდგა და ყველას დაემშვიდობა. ამენიმ მეორე დღისთვის სეთის სახლში მიიწვია, ხოლო ვეზირმა სასახლეში დაიბარა.

როცა მახორი დარბაზიდან გავიდა, სეთის სახლის ხაზინადარმა თქვა:

— დღევანდელი დღე მეტად არასასიამოვნო იყო მახორისთვის, მაგრამ სამაგიეროდ მომავალში ჭკუას ისწავლის. ჩვენთან, თებეში, ასეთი გაცეცხლება არ გაუვა, თავი ლაშქრობაში კი ნუ ჰგონია. დღეს მას კიდევ რაღაც შეემთხვა. გინდათ გიამბოთ?

— გვიამბე! — ერთხმად სთხოვა ყველამ.

— თქვენ ალბათ იცნობთ მოხუც სენის, — დაიწყო ხაზინადარმა. — ოდესღაც მდიდარი ყოფილა, მაგრამ მთელი თავისი ქონება ღარიბებისთვის დაურიგებია მას შემდეგ, რაც შვიდივე ვაჟი ერთმანეთის მიყოლებით დაღუპვია: ზოგი ომში, ზოგიც ავადმყოფობით. თავისთვის მხოლოდ პატარა სახლი დაუტოვებია ბაღით და უთქვამს: როგორც ღმერთები მიიღებენ საიქიოში ჩემს შვილებს, ისევე გულმოწყალე ვიქნებიო უბედურთა მიმართ დედამიწაზე. „დააპურეთ მშიერნი, დაარწყულეთ მწყურვალნი, შემოსეთ შიშველნი“ — გვასწავლის მცნება; და რადგანაც სენის უკვე აღარაფერი გააჩნია, რომ გასცეს, ის ქალაქში დაეხეტება, არც ერთ დღესასწაულს არ აკლდება, მშიერ-მწყურვალი, ჩამოკონკილი დადის და თავისი შვილობილებისათვის ანუ ღარიბ-ღატაკებისათვის მათხოვრობს. ყველა ჩვენგანს გაუკითხავს იგი, რამეთუ თითოეულმა კარგად იცის, ვისი გულისთვისაც იმცირებს თავს და ხელგაწვდილი დაიარება. დღესაც ყველას ჩამოუარა თავისი თოფრით და მისი კეთილი თვალები მოწყალებას თხოულობდნენ. დღესასწაულთან დაკავშირებით პააკერმა საუკეთესო სახნავ-სათესი მიწა გვაჩუქა; ეტყობა, ფიქრობს, ალბათ სამართლიანადაც, რომ ვალმოხდილია ჩვენ წინაშე. როცა სენიმ პააკერსაც სთხოვა დახმარება, მან უბოდიშოდ გამოაგდო. მაგრამ ბერიკაცი აღარ მოეშვა და მამის აკლდამამდე გამოჰყვა, მათ კი ცნობისმოყვარეთა მთელი ბრბო მისდევდა

უკან. ბოლოს მახორმა ერთხელ კიდევ დაუჭყივლა სენის, ხოლო როცა მოხუცმა მისი სამოსის კალთას ხელი ჩაავლო, მათრახი მოუქნია და ბეჭებზე გადაუჭირა, თან მიაყოლა: „ესეც შენი წილი! აი შენ! აი შენ!“ კეთილმა მოხუცმა მოთმინებით აიტანა ცემა, თვალცრემლიანმა გახსნა თავისი თოფრა და ჩაილაპარაკა: „ჩემი წილი უკვე მივიღე, ახლა კი ჩემს ღატაკებს შეეწიე!“ ყველაფერი ეს ჩემ თვალწინ მოხდა და კარგადაც დავინახე, რომ პააკერი სასწრაფოდ აკლდამაში მიიმალა, ხოლო დედამისმა სეთხემმა თავისი სავსე ქისა სენის გადაუგდო. ამის შემხედვარე ხალხმა მას მიბაძა. მოხუცს თავის დღეში ამდენი არ მოუგროვებია. დაე, ამისათვის ღარიბებმა მადლობა შესწირონ მახორს! აკლდამის წინ უამრავი ხალხი შეიკრიბა და მისი საქმე ძალიან ცუდად იქნებოდა, ჩაფრებს რომ არ გაეფანტათ ყველანი.

ყველა სმენად იყო ქცეული, რადგანაც, როგორც ცნობილია, ქედმაღალი კაცის, რომელიც არავის უყვარს, წარუმატებლობის ამბავს ყოველთვის დიდი სიამოვნებით უსმენენ ხოლმე. ამასობაში კი ვეზირი და მთავარი ქურუმი გაცხოველებით ჩურჩულებდნენ:

— მაშ, ეჭვგარეშეა, რომ ბენტ-ანატი მაინც ყოფილა დღესასწაულზე, — ეუბნებოდა ამენი.

— და ისევ შეხვდა იმ ქურუმს, რომელსაც შენ ასე თავგამოდებით იცავ, — გადაულაპარაკა ვეზირმა.

— საჭიროა პენტაური ამაღამვე დავკითხოთ, — თქვა მთავარმა ქურუმმა. — კერძები გამოაქვთ, ზედაშეს შეწირვაც უკვე იწყება. წავიდეთ, ახლავე დავკითხოთ პოეტი!

— კი მაგრამ, მოწმეები რომ არა გვყავს,— შეეპასუხა ანი.

— რად გვინდა მოწმეები, -— მიუგო ამენიმ. — პენტაურს ტყუილი არ ეხერხება.

— მაშინ წავიდეთ, — ჩაიცინა ვეზირმა. — ამ უცნაურმა კაცმა ახლა მეც გამიღვიძა ცნობისმოყვარეობა; ნეტა შეძლებს კი ეს მართალი კაცი ბოლომდე გულახდილი დარჩეს? თანაც არ დაგავიწყდეს, აქ ქალის ხელიც ურევია!

— როგორც ყოველთვის და ყველგან, — შენიშნა ამენიმ და გაგაბუ მოიხმო, რომელიც თავის ადგილზე დასვა და სთხოვა საუბარი გაეგრძელებინა, კარგად გამასპინძლებოდა სტუმრებს და დაუყოვნებლივ აღეკვეთა ყოველგვარი მითქმა-მოთქმა ფარაონზე, სახელმწიფოსა და ომზე.

— ხომ იცი, — უთხრა ამენიმ. — დღეს მარტონი არა ვართ. ღვინისგან კი ვის აღარ აეშლება ლაპარაკის საღერღელი! გახსოვდეს ეს! წინდახედულობა — სიფრთხილის დედაა!

ვეზირმა მეგობრულად მოუთათუნა მხარზე ხელი მოხუცს და დასძინა:

— დღეს ღვინის საწყობში ბლომად ადგილი გაგითავისუფლდებათ. შენზე ამბობენ, გულგრილად არ შეუძლიათ ვერც ცარიელი სასმისის დანახვა და ვერც სავსესი. დღეს კი თავშესაკავებელი არაფერი გჭირს! და როცა ჩათვლი, რომ შესაფერისი დრო დადგა, ანიშნე ჩემს სახლთუხუცესს, იქ კუთხეში რომ ზის. მან რამდენიმე კოკა თავანკარა ღვინო ჩამოიტანა ბიბლოსიდან[153] და ყველას მოგართმევთ. მე კი ისევ მალე გეახლებით გამოსამშვიდობებლად.

ამენი, ჩვეულებრივ, ნადიმს მაშინათვე ტოვებდა ხოლმე, როგორც სმა დაიწყებოდა. როცა ის ვეზირთან ერთად გავიდა, სტუმრებს ახალი გვირგვინები ჩამოჰკიდეს კისრებზე, თავები ლოტოსის ყვავილებით შეუმკეს და თასები ღვინით შეუვსეს. მუსიკოსებიც გამოჩნდნენ და ქნარზე, ბარბითზე და და-

[153] ბიბლოსი — ერთ-ერთი უმსხვილესი ფინიკიური ქალაქი; განთქმული იყო ვაზით, რომელსაც ძველ საბერძნეთში იცნობდნენ. (ავტ. შენიშვნა).

ირაზე მხიარული სიმღერები დაუკრეს. დირიჟორი ტაშის დაკ-ვრით გამოსახავდა ტაქტს, ხოლო როცა მონადიმენი გამხია-რულდნენ, ისინიც რიტმული ტაშით აჰყვნენ მას.

მკვირცხლმა და ხალისიანმა გაგაბუმაც იყოჩაღა და რო-გორც კარგმა თამადამ და მსმელმა ისახელა თავი.

მალე შუბლშეკრული ქურუმებიც გამხიარულდნენ, ხოლო სამხედრო პირები და კარისკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდ-ნენ წრეგადასულ მასხრობაში.

მაგრამ აი მოხუცმა ნიშანი მისცა და ტაძრის ყრმა მსახური შემოვიდა, რომელიც გვირგვინებით მორთულიყო და ხელში პატარა მოოქრული მუმია ეჭირა. მან მუმია მონადიმეებს გა-დასცა და თან შემოსძახა:

— შეხედეთ, შეხედეთ! იმხიარულეთ და სვით, სანამ ამ ქვე-ყანაზე იმყოფებით და ვიდრე ამ მუმიასავით არ გამხდარ-ხართ.[154]

გაგაბუმ ხელახლა მისცა ნიშანი და ვეზირის სახლთუხუ-ცესმა სტუმრებს ბიბლოსიდან ჩამოტანილი თავანკარა ღვინო მიართვა. ჯერ ანის შეასხეს ხოტბა, როგორც მწყალობელს, მერე კი ყველამ ერთხმად შეაქო საუცხოო სასმელი.

— რა ღვინოა! — შესძახა მუდამ თავშეკავებულმა პასტო-ფორების უფროსმა. — პირდაპირ საპონივითაა!

— ეს რა შედარებაა! — გადაიხარხარა გაგაბუმ. — აგვიხსე-ნი, გეთაყვა, მისი მნიშვნელობა!

---

[154] ამ ადათზე ჰეროდოტე მოგვითხრობს. ლუკიანეს თავად უნახავს, ნადი-მობისას როგორ გადასცემდნენ ხელიდან ხელში მუმიის გამოსახულებას. მოგვიანებით ეს წეს-ჩვეულება ბერძნებმაც გადაიღეს, მაგრამ იმისათვის, რათა ყველაფერ ამისთვის დახვეწილი ფორმა მიეცათ, მუმიები სიკვდი-ლის ფრთაშესხმული გენიის ქანდაკებით შეცვალეს (ავტ. შენიშვნა).

— ის საპონივით ჩამობანს გულიდან ყველა საზრუნავს! — უპასუხა პასტოფორმა.

— მშვენიერი შედარება, მეგობარო! — წამოიძახა გაგაბუმ. — რახან ასეა, თითოეულმა ქება შეასხას ამ კეთილშობილ სასმელს. დავიწყოთ შენგან, ამენხოტეპის ტაძრის პირველო წინასწარმეტყველო!

— ზრუნვა შხამია, — თქვა მან, — ეს ღვინო კი ზრუნვის შხამის გამაქარწყლებელი საშუალებაა!

— სწორია, სწორი! ახლა შემდეგი! შენი რიგია, ფარაონის საიდუმლო მრჩეველო.

— ყველა ნივთს გააჩნია თავისი იდუმალი საიდუმლოება, — მიუგო მრჩეველმა. — ღვინის საიდუმლოება კი მხიარულებაა.

— ახლა შენ, ბეჭდის მცველო!

— ღვინო ლუქავს მწუხარების კარს და უკეტავს ჭიშკარს საზრუნავს!

— სრული ჭეშმარიტებაა! სწორედ რომ მართლაც ასეა!

— აბა ახლა, შენ, ქალაქ ერმონტის ყოვლად ღირსო მმართველო, ჩვენ შორის უხუცესო!

— ღვინო, კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის — მოხუცებისთვისაა გაჩენილი და არამც და არამც თქვენთვის, ახალგაზრდებო!

— აბა, აგვიხსენი შენი სიტყვები! — დაიყვირა ვიღაცამ სამხედროთა მაგიდიდან.

— ის მოხუცებს აახალგაზრდავებს, ხოლო ყმაწვილებს ბავშვებად აქცევს. — სიცილით განუმარტა ოთხმოცი წლის მოხუცმა.

— ესეც თქვენ, ბიჭებო! — წამოიძახა გაგაბუმ. — ახლა შენი სიტყვაა, მთავარო ასტროლოგო!

— ღვინო შხამია! — ჩაიბურტყუნა ღვარძლიანმა მოხუცმა — ის ბრძენებსაც კი ასულელებს.

— ეს თუ ასეა, მაშინ მისი არ უნდა გეშინოდეს! — გაიცინა გაგაბუმ. — შემდეგი მონადირეთუხუცესია!

— თასის კიდე შეყვარებულის ტუჩებს ჰგავს: როცა მას შეეხები, გეჩვენება, თითქოს საცოლე გკოცნისო!

— აბა, მხედართმთავარო, შენი რიგია!

— მე ვინატრებდი, რომ ჩვენი ნილოსი წყლის მაგიერ ასეთი ღვინით ავსებულიყოს, მე კი ამენხოტეპის კოლოსის სიმაღლე ვყოფილიყავი, ხატშეფსუტის ყველაზე დიდი ობელისკი სასმისად მქონოდეს[155] და იმდენი დამელიოს, რამდენსაც მოვისურვებდი. ახლა კი შენც რამე გვითხარი, პატივცემულო გაგაბუ!

მეორე წინასწარმეტყველმა თასი აიღო, სიყვარულით შეხედა ოქროსფერ სითხეს, აუჩქარებლად გამოცალა სასმისი ბოლომდე, თითქოს ლოცულობსო, ისე აღაპყრო თვალები და წარმოთქვა:

— მეგობრებო, მე არ ვარ იმის ღირსი, რომ ღმერთებს ხოტბა შევასხა ასეთი წყალობისათვის!

— დიდებული ნათქვამია! — შესძახა ვეზირმა, რომელიც ყველას შეუმჩნევლად დარბაზში დაბრუნებულიყო. — ჩემს ღვინოს ლაპარაკი რომ შეეძლოს, ასეთი სიტყვებისათვის უეჭველად მადლობას გადაგიხდიდა!

— დიდება ვეზირ ანის! — შესძახეს მონადიმეებმა და მაღლა ასწიეს კეთილშობილი სასმელით სავსე თასები.

ვეზირმაც მათთან ერთად შესვა ღვინო, წამოდგა და თქვა:

---

[155] დღესაც აღმართულია კარნაკის ტაძრის წინ. მისი სიმაღლე 33 მეტრია, მაშინ როცა ფრანგების მიერ პარიზში გადატანილი და თანხმობის მოედანზე დადგმული ობელისკის სიმაღლე მხოლოდ 11 მეტრია. (ავტ. შენიშვნა).

— ყველას, ვისაც ეს ღვინო მოეწონა, ხვალ ჩემთან ვეპატიჟები. თითოეულ თქვენთაგანს ექნება საშუალება კიდევ ერთხელ იგემოს იგი და თუ მაშინაც მოეწონება, დაე, ის კაცი ჩემი სასურველი სტუმარი იყოს ყოველ საღამოს! ახლა კი ღამე მშვიდობისა, მეგობრებო!

დარბაზიდან გასულ ვეზირს სიხარულის შეძახილები მიადევნეს.

უკვე თენდებოდა, როცა, ბოლოს და ბოლოს, დარბაზიც დაცარიელდა. ასეთი ნადიმის შემდეგ ყველას როდი შეეძლო დამოუკიდებლად გაეცნო გზა ეზოდან; დანარჩენები კი მონებმა, გარეთ რომ ელოდებოდნენ, ბარდანებივით ზურგზემოკიდებულები მიიყვანეს თავ-თავიანთ ტახტრევნებთან. ამ დღეს ყველას შეეძლო დარჩენილიყო ღამის გასათევად სეთის სახლში, რადგანაც ღამით საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა.

* * *

სანამ სტუმრები ქეიფობდნენ, მთავარმა ქურუმმა ვეზირის თანდასწრებით დაკითხვა მოუწყო პენტაურს, რომელიც დაპატიმრებული ჰყავდათ სეთის სახლში.

მსახურებს, რომელთაც ამენიმ პოეტის მოყვანა დაავალა, იგი მუხლმოყრილი დაუხვდათ; ფიქრში წასულმა პოეტმა ვერც კი გაიგო მათი შემოსვლა. სულიერი წონასწორობა დაჰკარგვოდა, გონება ისე ჰქონდა არეული, რომ საკუთარ თავსაც ვერ იმორჩილებდა, რათა გარკვეულიყო იმ ახალ მხურვალე გრძნობაში, რომელმაც ასე მძლავრად იფეთქა მის გულში,

არასდროს ისე დასაძინებლად არ დაწვებოდა, რომ გასული დღის ამბებისათვის არ გადაევლო გონების თვალი. იგი ადვილად ანსხვავებდა ერთმანეთისგან თავის ყოველ კეთილსა და ბოროტ საქციელს.

დღეს კი თვალწინ წარმოუდგა ერთმანეთში არეული სურათების უწესრიგო მწკრივი; ამაოდ ცდილობდა ერთმანეთისგან მათ განცალკევებას ანდა მოწესრიგებას; პენტაურს განუწყვეტლივ ესახებოდა ბენტ-ანატი, რომელიც მის გულსა და გონებას დაუფლებოდა.

დღეს მან თავისი მშვიდობიანი ხელი ახლობლებზე აღმართა და მათი სისხლი დაღვარა; მას სურდა დამნაშავედ გამოეყვანა თავი და ეს ცოდვაც მოენანიებინა, მაგრამ... ვერ შეძლო. როგორც კი საკუთარი თავის გაკიცხვას შეეცდებოდა, უმალვე მის თვალწინ ბავშვის თმაში ჩაფრენილი ჯარისკაცის ხელი აღიმართებოდა. იგი ხედავდა მოწონებასა და აღტაცებას მეფის ასულის თვალებში და საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ სწორად მოიქცა და ხვალაც ზუსტად ასევე მოიქცეოდა, თუკი მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გრძნობდა, რომ ბევრგან უკვე გაარღვია ბედისწერის მიერ შექმნილი დაბრკოლება. მას კარგად ესმოდა, რომ ამიერიდან უკვე ვეღარასოდეს დაუბრუნდებოდა წყნარ, შეზღუდულ, მაგრამ უშფოთველ წარსულ ცხოვრებას.

პენტაური იმ უბრალო და ღვთისმოსავი ქალის ნათელ სულს ევედრებოდა, დედას რომ უწოდებდა, სულიერი სიმშვიდე და გამძლეობა მოენიჭებინა მისთვის, მაგრამ ამაოდ; რაც უფრო მეტხანს იდგა დაჩოქილი და მუდარით ხელებაპყრობილი, მით უფრო თამამი ხდებოდა მისი სურვილები და მით უფრო ნაკლებად თვლიდა თავს დამნაშავედ.

ამენის მიერ გამოგზავნილი მსახურების გამოჩენა პოეტს ხსნად მოევლინა; დილეგიდან გამოსულს შიშის ნატამალიც არ ჰქონდა გულში, თუმცა მკაცრი სასჯელის მოლოდინში კი იყო.

პენტაური დაემორჩილა მთავარი ქურუმის ბრძანებას და დაწვრილებით უამბო ყოველივე მომხდარი. მოუყვა, რომ რაკი ვერც ერთი ექიმი ვერ იპოვა, თვითონ გაჰყვა პარასქიტის ცოლს მოხუცთან, რომელიც თურმე აკი სულისგან იყო შეპყრობილი; შემდეგ, გოგონას გადასარჩენად, რომელსაც ბრბო არ დაინდობდა, როგორ აღმართა ხელი თავის მოძმეებზე და ადამიანები დაასახიჩრა.

— შენ ოთხი კაცი მოკალი და ორჯერ მეტი მძიმედ დაჭერი, — მრისხანედ უთხრა ამენიმ. — რატომ არ აუწყე ყველას, რომ შენ სწორედ ის ქურუმი ქადაგი იყავი, რომელიც ზეიმზე სიტყვით გამოვიდა? რატომ გადაწყვიტე ბრბოს ალაგმვა არა ტკბილი სიტყვით, არამედ უხეში ძალმომრეობით?

— ქურუმის სამოსელი არ მეცვა, — აუხსნა პენტაურმა.

— მაშინ ორმაგად დამნაშავე ყოფილხარ, — უთხრა ამენიმ. — როგორც მოგეხსენება, კანონი გვიკრძალავს ტაძრის კედლებს გარეთ თეთრი სამოსელის გარეშე გასვლას. მაგრამ ეს კიდევ არაფერია! ნუთუ დაგავიწყდა შენი სიტყვის ძალა? ნუთუ შენ გაბედავ სიტყვა შემომიბრუნო მაშინ, როცა დაბეჯითებით ვიტყვი, რომ უბრალო ტანსაცმელშიც კი შენ უფრო მეტის გაკეთებას შეძლებდი სიტყვით, ვიდრე სისხლისღვრით.

— იქნებ შევძლებდი კიდეც ამას, — შეეპასუხა პენტაური. — მაგრამ გამძვინვარებული ბრბოს წინაშე მოფიქრების დრო აღარ მქონდა. ხოლო, როცა ის არამზადა მოვისროლე, რომელმაც თმით დაითრია უდანაშაულო ბავშვი, ბრძოლის ჟინი

დამეუფლა, ჩემს თავზე აღარ ვფიქრობდი და მზად ვიყავი იმ ბავშვის გულისათვის ათასი კაცი მომეკლა!

— შენ ახლაც ისე გიბრწყინავს თვალები, თითქოს საგმირო საქმე ჩაგედინოს, — ჩაიცინა ამენიმ. — სინამდვილეში კი მხოლოდ და მხოლოდ ოთხი უმწეო ღვთისმოსავი მოქალაქე მოკალი, რომლებიც გაუგონარი მკრეხელობით იყვნენ აღშფოთებულნი. არ მესმის, მებაღის შვილსა და ღვთაების მსახურს, როგორ აღმოგაჩნდა ჯარისკაცის მეომრული ულმობელობა?

— აი როგორ! -— წამოიძახა პენტაურმა. — როცა ბრბო მომიახლოვდა, და მეც, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიგერიებდი მის შემოტევას, სწორედ მაშინ მართლაც დამეუფლა იმ მეომრის სიხარული, მტრისგან რომ იცავს მინდობილ დროშას. ეს გრძნობა, რა თქმა უნდა, ცოდვად ჩაეთვლება ქურუმს, და ამისთვის მზად ვარ სასჯელიც მივიღო, მაგრამ მე ხომ ის მაინც განვიცადე!

— დიახ, შენ ის განიცადე და ამისათვის ღირსეულადაც დაისჯები, — მრისხანედ წარმოთქვა ამენიმ. — მაგრამ შენ ბოლომდე არ გითქვამს სათქმელი. რატომ დაგვიმალე, რომ ბენტ-ანატი, რამზესის ქალიშვილი, ჩხუბში ჩაერია და შენ გადაგარჩინა, გამოუცხადა რა ბრბოს თავისი ვინაობა და აუკრძალა ყველას შენ შეგხებოდნენ? რატომ არ ამხილე ის ქალი სიცრუისათვის ხალხის წინაშე, თუკი მასში მართლაც ვერ შეიცანი ბენტ-ანატი? აბა, გვიპასუხე, შენ, შეგნების უმაღლეს საფეხურზე მდგომო და ჭეშმარიტების მედროშევ!

ამის გაგონებაზე პენტაურს ფერი ეცვალა, მან თვალებით ვეზირზე ანიშნა და თქვა:

— ჩვენ მარტონი არა ვართ.

— არსებობს მხოლოდ ერთი სიმართლე, — მკვახედ მოუჭრა ამენიმ. — ამიტომაც ამ წარჩინებულ კაცს, ფარაონის ნაც-

ვალს, სრული უფლება აქვს მოისმინოს ყველაფერი, რაც უნდა მითხრა. იცანი თუ არა შენ ბენტ-ანატი, ჰო თუ არა?

— ჩემი მხსნელი კიდევაც ჰგავდა მას და არც ჰგავდა, — უპასუხა პოეტმა და თან იგრძნო, რომ მოძღვრის დამცინავმა კილომ კვლავ აუმღვრია სისხლი. — და მეც ზუსტად რომ მცოდნოდა, ეს ნამდვილად მეფის ასულიაო, ისევე, როგორც, მაგალითად, ვიცი, რომ შენ ის ადამიანი ხარ, რომელიც ადრე მაფასებდა, ახლა კი ყოველნაირად ცდილობს დამამციროს, მე მაინც სწორედ ისე მოვიქცეოდი, რომ უსიამოვნება ამეცილებინა იმისათვის, ვისაც ქალი კი არა, ქალღმერთი შეიძლება უწოდო, რამეთუ იგი ჩემი უბედური თავის გადასარჩენად მაღალი ტახტიდან მტვერში დაეშვა.

— შენ ისევ სადღესასწაულო მქადაგებელივით ლაპარაკობ! — ჩაიცინა ამენიმ, ხოლო შემდეგ მკაცრად დასძინა: — გთხოვ მოკლედ და მკაფიოდ მიპასუხო. ჩვენ გვაქვს ზუსტი ცნობები, რომ უბრალო ქალის ტანსაცმელში გადაცმული ბენტ-ანატი ესწრებოდა ჩვენს დღესასწაულს და შენც მან გადაგარჩინა. მან თვითონ გაუმჟღავნა თავისი ვინაობა ფარაონის მახორს. იცოდი თუ არა, შენ, რომ მეფის ასულს გადაწყვეტილი ჰქონდა ნილოსზე გადასვლა?

— საიდან უნდა მცოდნოდა?

— მაგრამ შენ დაიჯერე, რომ შენ წინაშე ბენტ-ანატი იყო, როცა ის ჩხუბში ჩაერია?

— დიახ, დავიჯერე. — მცირე ყოყმანის შემდეგ აღიარა პენტაურმა და თვალები დახარა.

— მაშინ შენ უტიფრად მოქცეულხარ, როცა ფარაონის ქალიშვილი გააგდე და მატყუარა უწოდე.

— დიახ, ეს მართლაც უტიფრობა იყო, — უპასუხა პენტაურმა. — მაგრამ მან ხომ ჩემთვის, ჩემი გულისათვის საფრთხეში

ჩააგდო თავისი სამეფო სახელი და დიდებული მამის სახელიც, მე კი... როგორ არ უნდა შემეწირა ჩემი თავისუფლება და სახელი, რათა...

— კმარა! — შეაწყვეტინა ამენიმ. — ჩვენ ისედაც მეტისმეტად ბევრი მოვისმინეთ ამის შესახებ.

— მოიცა, — ჩაერია ვეზირი, — რა მოუვიდა გოგონას, რომელიც შენ გადაარჩინე?

— ბებერმა ჯადოქარმა, სახელად ხექტმა, პარასქიტის მეზობლად რომ ცხოვრობს, წაიყვანა ბებიასთან ერთად თავის მღვიმეში, — უპასუხა პოეტმა.

დაკითხვა დამთავრდა, და პენტაური მთავარი ქურუმის ბრძანებით ისევ სეთის სახლის დილეგში წაიყვანეს.

ის იყო, პენტაური გამოვიდა, რომ ვეზირმა შეჰყვირა:

— ეს მეტად საშიში კაცი ჩანს! მეოცნებეა! და თან რამზესის მგზნებარე მიმდევარიც!

— ასევე მისი ქალიშვილის, — გაიღიმა ამენიმ. — მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ მისი თაყვანისმცემელია. ნურაფრისა გეშინია, მე ვარ იმის თავდები, რომ მას კეთილი ზრახვები ამოძრავებს.

— მაგრამ ის მეტად ლამაზია, და მისი სიტყვები მსმენელზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ! — წამოიძახა ანიმ. — მე მოვითხოვ, გადმომეცეს იგი როგორც დამნაშავე, რადგან მან მოკლა ერთ-ერთი ჩემი ჯარისკაცი.

ამენი მოიღუშა.

— ჩვენთვის ბოძებული სიგელი, — დაიწყო მან მეტად სერიოზულად, — გვაუწყებს, რომ მხოლოდ ქურუმთა საბჭოს აქვს ამ ტაძრის მსახურთა გასამართლების უფლება. შენ კი, მომავალო ფარაონო, განა შენი ნებით არ შეგვპირდი მეწინა-

ვე მებრძოლებს შენი წმიდათაწმიდა უძველესი უფლებისათვის, რომ განუხრელად დაიცავ ყველა ჩვენს პრივილეგიას.

— ასეც იქნება, — განაცხადა ანიმ და თან მორჩილი ღიმილით გადახედა ამენის. — მაგრამ ეს კაცი საშიშია და იმედი მაქვს, დაუსჯელად არ დატოვებთ.

— ჩვენ მას მთელი სიმკაცრით გავასამართლებთ. — თქვა ამენიმ. — მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ამ ტაძრის კედლებში.

— კი მაგრამ, მან ხომ მკვლელობა ჩაიდინა და თანაც რამდენიმე ერთად. იგი სიკვდილით დასჯის ღირსია!

— მან ეს თავდაცვის მიზნით მოიმოქმედა, — შეეპასუხა ამენი. — გარდა ამისა, ასეთ ნიჭიერ ხალხს გაფრთხილება სჭირდება, შევუნდოთ უადგილო კეთილშობილება, რომელმაც ეს მცდარი ნაბიჯი გადაადგმევინა. გატყობ, ცუდი თვალით უყურებ მას. სიტყვა მომეცი, თუკი პატივს მცემ როგორც მოკავშირეს, რომ არ ხელყოფ მის სიცოცხლეს.

— სიტყვას გაძლევ! — გაიღიმა ვეზირმა და ხელი გაუწოდა მთავარ ქურუმს.

— მადლობას მოგახსენებ! — თავი დაუკრა ამენიმ. — სხვა მოწაფეთა შორის ყველაზე დიდ იმედს პენტაურზე ვამყარებდი, და ახლაც ვაფასებ მას, მიუხედავად მისი შეცდომებისა. როცა იმ ბრძოლის ჟინზე გვიყვებოდა, რომლითაც ის იყო აღვსილი, იმ წამს განა არ ჰგავდა დიდ ასას ან მის ვაჟიშვილს — უფროს მახორს, ჩვენი პააკერის მამა-ოზირისს?

— ეს მსგავსება მართლაც რომ გასაოცარია, — დაეთანხმა ვეზირი. — და ეს მით უფრო საკვირველია, რომ, როგორც ამბობენ, ის მდაბიო წარმოშობისაა. ვინ იყო დედამისი?

— ჩვენი მეკარის ქალიშვილი — ულამაზო, მშვიდი და წყნარი არსება.

— მე ისევ ნადიმს დავუბრუნდები, — მცირეოდენი ფიქრის შემდეგ თქვა ვეზირმა. — კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. როგორც უკვე გითხარი, არის ერთი საიდუმლო, რომლის წყალობითაც ხელში ჩავიგდებთ მახორ პააკერს. ჰოდა, ეს საიდუმლო იცის ბებერმა ჯადოქარმა ხექტმა, სწორედ იმან, ვინც პარასქიტის ცოლი და შვილიშვილი შეიფარა. მცველები გააგზავნე, უბრძანე დააპატიმრონ იგი და აქ მოიყვანონ. მე თვითონ დავკითხავ, რაც საშუალებას მომცემს ყველას შეუმჩნევლად გამოვტეხო ჯადოქარი.

ამენიმ იმწამსვე აფრინა რამდენიმე შეიარაღებული მცველი დედაბრის მოსაყვანად; ამის შემდეგ ჩურჩულით უბრძანა სანდო მსახურს ლამპები აენთო ეგრეთ წოდებულ დასაკითხ ოთახში და სავარძელი მოემზადებინა მისთვის მეზობელ ოთახში, კედლის უკან.

თავი მეთხუთმეტე

იმ დროს, როცა სეთის სახლის სტუმრები ჯერ კიდევ სუფრასთან ისხდნენ, ხოლო მცველები მეფეთა აკლდამების ხეობაში გაემართნენ, რათა ამენის სახელით ბებერი ხექტი წამოეყვანათ ტაძარში, სამხრეთ-დასავლეთიდან ცხელი ქარაშოტი მოვარდა, რომელიც მძიმე შავ ღრუბლებს მიერეკებოდა, ხოლო დედამიწაზე წითელი მტვრის კორიანტელს აყენებდა. ქარი მეომრის მიერ მოწეული მშვილდივით ღუნავდა პალმების სწორ ღეროებს; მოედანზე, სადაც დღესასწაული ჩატარდა, კარვების მარგილები ამოთხარა მიწიდან, ჩამოგლიჯა ტილოს მსუბუქი სახურავები, რომლებიც ბინდბუნდში უშველებელი მოჩვენებებივით ფრიალებდნენ; ქარი მანამ სცემდა ნილოსის წყნარ ზედაპირს, სანამ მისი მოყვითალო წყალი არ აიქოჩრებოდა და აღელვებული მლაშე ზღვისმსგავს ტალღებს არ ააგორებდა.

ასეთ ავდარში პააკერმა შიშისგან აკანკალებულ მენიჩბეებს უბრძანა გადაეყვანათ იგი მდინარეზე. ორჩხომელი რამდენჯერმე კინაღამ გადაყირავდა, მაგრამ მახორი თავად მართავდა საჭეს საღი ხელით, თუმცა დამტვრეული თითები საშინლად სტკიოდა ნავის რჩევისაგან. ბოლოს, ბევრი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მოახერხეს მიდგომოდნენ ნაპირს.

ქარიშხალმა ჩააქრო ფარნები ორჩხომელის ანძებზე, მსახურებს პააკერის დაბრუნებას რომ ატყობინებდნენ. ამიტომ ნაპირზე არც მონები დახვედრიათ და არც მეჩირაღდნეები. უკუნ ღამეში გამძაფრებულ ქართან ჭიდილში მიაღწია თავისი

სახლის მაღალ ჭიშკარს. ჩვეულებრივ, ძაღლის ხრინწიანი ყეფა ატყობინებდა ხოლმე მეკარეს პატრონის მოსვლას, დღეს კი მის თანმხლებ მეზღვაურებს დიდხანს მოუწიათ ჭიშკარზე ბრახუნი.

შინ დაბრუნებულ პააკერს ეზოც წყვდიადით მოცული დაუხვდა, ქარიშხალს აქაც ჩაექრო ფარნები და ჩირაღდნები, მხოლოდ დედამისის ფანჯრებიდან გამოკრთოდა შუქი.

აი ღია გალიებიდან ძაღლების ხმა შემოესმა; მძვინვარე ქარისგან შეშინებულ ცხოველებს ყეფის თავიც კი აღარ ჰქონდათ, ისინი საცოდავად წკმუტუნებდნენ. მათმა შესაბრალისმა ყმუილმა გული მოუკლა პააკერს, და მას უნებლიეთ მოკლული დეშერი გაახსენდა.

ხოლო როცა პააკერი თავის ოთახებში შევიდა, მოხუცმა ეთიოპელმა მონამ მისალმების მაგიერ ხმამაღლა დაიტირა ძაღლი, რომელიც მან ჯერ კიდევ პააკერის მამას გაუზარდა და ძალიან უყვარდა.

მახორი სკამზე დაეშვა და ბრძანა ცივი წყალი მოეტანათ, რათა ექიმ ნებსეხტის დარიგების თანახმად მასში ჩაეყო მტკივანი ხელი.

როგორც კი მოხუცმა პატრონის დამტვრეული თითები დაინახა, ისევ მწარედ აქვითინდა, ხოლო როცა პააკერმა შეუღრინა გაჩუმდიო, მონამ ჰკითხა:

— ნუთუ ცოცხალი დატოვე ის, ვინც ამ დღეში ჩაგაგდო და დეშერიც მოგიკლა?

პააკერმა მხოლოდ თავი დაუქნია, უსიტყვოდ ჩააშტერდა იატაკს და ხელი გრილ წყალში ჩაყო. უაღრესად უბედური იყო იმ წუთში და თავის თავს ეკითხებოდა: რატომ არ გადააბრუნა ქარიშხალმა მისი ორჩხომელი, ხოლო თვითონ ნილოსის ბობოქარმა ტალღებმა რატომ არ შთანთქეს. გამწარე-

ბულს ბავშვობა მოენატრა, რომ ტირილით გული ეჯერა. მაგრამ მალე სულ სხვა გუნებაზე დადგა; აჩქარებით სუნთქავდა და თვალებს აბრიალებდა. იგი ამწუთას სიყვარულზე როდი ფიქრობდა! არა! მარტოოდენ შურისძიება გამხდარიყო ახლა მისი ერთადერთი საფიქრალი, სიყვარულზე უტკბესი რომ ეჩვენებოდა.

— წყეულიმც იყოს რამზესის ჯილაგი! — კბილების ღრჭიალით წამოიძახა მან. — არც ერთს არ გაგახარებთ, ყველას მოგსპობთ — ფარაონსაც, მენასაც, მეფის ამაყ ძეებსაც! დამაცადეთ! ოღონდ ცოტა მადროვეთ!

დამუშტული მარჯვენა მაღლა ასწია და თავის მოწინააღმდეგეებს დაემუქრა.

ამ დროს ოთახის კარი გაიღო, და სეთხემი შემოვიდა; ქარიშხლის ზუზუნმა და სტვენამ დაფარა მისი ნაბიჯების ხმა. შვილს მიუახლოვდა, რომელიც შურისძიებაზე ფიქრს მისცემოდა, და ელდა ეცა, როდესაც მისი ბრაზისგან დაღმეჭილი სახე დაინახა. სეთხემმა ჩუმად დაუძახა შვილს.

პააკერი შეკრთა, მერე კი მოჩვენებითი გულგრილობით ჩაილაპარაკა:

— აა, ეს შენა ხარ, დედა! საცაა, გათენდება, და ჩემის აზრით, უმჯობესია გეძინოს, ვიდრე სეირნობდე.

— ადგილს ვერ ვპოულობ, — მიუგო მან. — თან ქარიც ასე შემზარავად ზუზუნებს; გულზე დარდი შემომაწვა, სწორედ ისე, როგორც მამაშენის სიკვდილის წინ.

— მაშინ აქ დარჩი, ჩემს საწოლზე დაწექი, — ცოტათი მოლბა პააკერი.

— აქ დასაძინებლად არ მოვსულვარ, — მტკიცედ უთხრა სეთხემმა. — რა საშინელი იყო ყველაფერი, რაც ნავმისადგომთან შეგემთხვა. რომ იცოდე, როგორ ავღელდი! არა,

არა, შვილო, შენს დამტვრეულ ხელზე როდი ვლაპარაკობ, თუმცა ძალიან კი მეცოდები. მე ფარაონზე ვფიქრობ, როგორ განრისხდება ალბათ, როცა ამ ამბავს შეიტყობს. ცხონებული მამაშენისგან განსხვავებით, შენ ცუდი თვალით გიყურებს — მე ეს კარგად ვიცი! ოჰ, რა შემზარავად ხარხარებდი, ისეთი საზარელი შესახედავი იყავი, როცა შემოვედი, რომ ელდა მეცა.

ერთხანს ორივენი დუმდნენ და აბობოქრებული ქარიშხლის ხმაურს უგდებდნენ ყურს. პირველმა ისევ სეთხემმა დაარღვია სიჩუმე:

— ერთი რამ მაწუხებს კიდევ, ვერაფრით ვერ დამივიწყებია დღევანდელი ქადაგი, ახალგაზრდა პენტაური. მისმა სახემ, მიხრა-მოხრამ, ხმამაც კი ცოცხლად წარმომისახეს მამაშენი, როგორიც იმ დიდი ხნის წინათ იყო, როცა ჯვარს ვიწერდით. მინდა ვირწმუნო, რომ ღმერთებმა ინებეს მისი სახით ერთხელ კიდევ ეხილათ ის რჩეული ადამიანთა შორის, რომელიც მათ ამ ქვეყნიდან წაიყვანეს.

— შენ მართალი ხარ, ქალბატონო! — შესძახა მოხუცმა ეთიოპმა. — ასეთი მსგავსება ჯერ არ უნახავს ადამიანის თვალს, მე ვნახე, როგორ იბრძოდა ის პარასქიტის ქოხის წინ, — მაშინაც კი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა განსვენებულს! დიახ, დიახ! ისე იქნევდა მარგილს, როგორც ჩემი ძველი ბატონი ჩუგლუგს ბრძოლის დროს.

— ხმა ჩაიკმინდე! — დაიღრიალა პააკერმა. — გაეთრიე აქედან, ჩერჩეტო! ის ქურუმი მართლა ჰგავს მამაჩემს, დედა, გეთანხმები, მაგრამ ის თავხედია, საშინლად გამლანძღა, და მეც ანგარიში უნდა გავუსწორო მას და ასევე სხვებსაც.

— მაინც რა ველური ხარ, — შეაწყვეტინა სეთხემმა. — ან ამდენი ღვარძლი საიდან გაქვს? მამაშენს კაცთმოყვარე გული ჰქონდა.

— განა მე კი ვუყვარვარ ვინმეს? — მწარედ გაეცინა მახორს. — ღმერთებიც კი არ მწყალობენ და ნარ-ეკალს მიფენენ გზაზე. მაგრამ მე ჩემი ხელით მოვიშორებ ამ ეკლებს და იმათი დახმარების გარეშე, იქ, მაღლა, რომ არიან, ავღგვი ყველაფერს, რაც ხელს შემიშლის მიზნის მიღწევაში!

— ღმერთების შემწეობის გარეშე ბუმბულსაც კი ვერ შევუბერავთო სულს! — თქვა სეთხემმა. — ასე ამბობდა მამაშენი. ის სულ სხვანაირი იყო, შენ კი არ გგავდა. შიში მიპყრობს, შენ რომ გიყურებ, მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც ჩემი ყურით გავიგონე ის საშინელი წყევლა-კრულვა, რომელსაც შენი მბრძანებლისა და ფარაონის, მამაშენის მეგობრის, შვილებს უთვლიდი.

— ის ჩემი მტერია! — წამოიძახა პააკერმა. — შენ ჩემგან კიდევ უარეს წყევლას გაიგონებ. დაე, რამზესის ჯილაგმა გაიგოს, რომ შენი მეუღლის შვილი ნებას არ მისცემს მათ განუკითხავად თავი დაასახიჩრებინოს და აბუჩად აგდებინოს. მათ უფსკრულში გადავუშვებ, მე კი ხარხარს დავიწყებ, — დიახ, დიახ! ხარხარს! — როცა ისინი ჩემ თვალწინ ჩაძაღლდებიან!

— არამზადა! — წამოიძახა გულმოსულმა სეთხემმა. — მე ქალი ვარ, მართალია, ხშირად ნაზსა და სუსტსაც მეძახდნენ, მაგრამ მერწმუნე: ისევე, როგორც განსვენებული მამაშენი მიყვარდა, რომელსაც შენ ისე ჰგავხარ, როგორც ეკალი პალმას, ასევე ამოვირეცხავ გულიდან შენს სიყვარულს, თუ შენ არ... არ... ახლა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია! ახლა კი ვიცი!... მიპასუხე, მკვლელო! რა იქნა ის შვიდი ისარი ზედ

ცოდვილი წარწერით, აქ რომ ეკიდა? სადაა ის ისრები, რომ-ლებსაც შენ დააფხაჭნე: „სიკვდილი მენას“?

სეთხემი მძიმედ სუნთქავდა, მღელვარებისგან სახე დაეღ-მიჭა; მახორმა უკან დაიხია, როგორც ბავშვობაში იცოდა, როცა დედა დასჯით ემუქრებოდა ცელქობისათვის. მაგრამ ის უკან გაჰყვა, შვილს ქამარში ხელი ჩაავლო და თან ჩახლეჩი-ლი ხმით ისევ იმას ეკითხებოდა.

პააკერს ბრაზისგან შეაჟრჟოლა, დედის ხელი ქამრიდან მოიშორა და გამომწვევად წამოიძახა:

— კაპარჭში ჩავაწყვე, ისინი გასართობად როდი მჭირდება. მაშ ასე, შენ უკვე ყველაფერი იცი!

აღშფოთებულმა სეთხემმა ისევ გაუწოდა ხელი შვილს, მაგრამ მან ხელი ჰკრა და თანაც დააყოლა:

— ბავშვი აღარა ვარ, ამ სახლის ბატონ-პატრონი მე ვარ. რასაც მინდა, გავაკეთებ, ასობით ქალმაც კი რომ ხელი შემი-შალოს!

და მან კარზე მიუთითა დედას. სეთხემი ხმამაღლა აქვი-თინდა და გაეცალა იქაურობას, მაგრამ ზღურბლთან მისული ერთხელ კიდევ შემობრუნდა შვილისკენ.

პააკერი მაგიდას მიუჯდა, რომელზედაც წყლიანი ჯამი იდ-გა, და თავი ჩაქინდრა. სეთხემის გულში გაუნელებელი ცეცხ-ლი ტრიალებდა. ცრემლმორეულმა ისევ ხელი გაუწოდა შვილს:

— აი ისევ შენ წინაშე ვდგავარ!.. მოდი გულში ჩაგიკრა! — ევედრებოდა ის. — გთხოვ, ხელი აიღე იმ საზარელ განზრახ-ვაზე.

პააკერი გაუნძრევლად იჯდა და ისე, რომ დედისთვის არც კი შეუხედავს, თავი გააქნია. სეთხემმა უღონოდ ჩამოყარა ხე-ლები და ძლივსგასაგონად წარმოთქვა:

— მაშასადამე დაგავიწყდა, მამა რასაც გასწავლიდა? უზენაესი სათნოება, გვასწავლის წმინდა მცნება, იმაში მდგომარეობს, რომ პატივი სცე შენს დედას ყველაფრისათვის, რაც მან გაგიკეთა, რათა მან ხელები არ აღაპყროს ღვთისკენ და არ შესჩივლოს მას.

ამ სიტყვების გაგონებაზე პააკერი ხმამაღლა ასლუკუნდა, მაგრამ დედისკენ მაინც არ შემობრუნებულა.

დედამ ისევ დაუყვავა, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია; ამ დროს სეთხემმა შემთხვევით მოჰკრა თვალი კაპარჭს, რომელიც სხვა იარაღთან ერთად სკამზე იდო. გული შეეკუმშა ისრების დანახვაზე და აკანკალებული ხმით წამოიძახა:

— მე გიკრძალავ ამ უგუნურ შურისძიებაზე ფიქრსაც კი, გესმის? ხელს აიღებ თუ არა ამაზე? შენ დუმხარ, არა?! ჰოი, უკვდავი ღმერთებო, რა ვქნა?

თავზარდაცემულმა ხელები აღაპყრო, მაგრამ მაშინვე დაუშვა, შეუპოვრად მივარდა კაპარჭს, იქიდან ერთი ისარი ამოაძრო და მისი გადატეხა სცადა.

ამის დანახვაზე პააკერი წამოხტა, დედას მივარდა და ისარი წაართვა. ისრის ბასრმა ბუნიკმა ოდნავ გაუკაწრა ხელი სეთხემს, და მუქი სისხლის რამდენიმე წვეთი ქვის იატაკზე დაეცა.

სისხლის დანახვაზე მახორს უნდოდა ხელი წაევლო მისი გაკაწრული ხელისთვის, მაგრამ სეთხემი, რომელსაც საერთოდ სისხლის დანახვა არ შეეძლო, გაფითრდა, შვილს უბიძგა და თან რაღაც უცხო, ყრუ, მისთვის ჩვეულ ალერსიან კილოს სრულიად რომ არ ჰგავდა, ისეთი ხმით ჩაილაპარაკა:

— დედის ეს გასისხლიანებული ხელი არ შეგეხება მანამ, სანამ საზეიმო ფიცს არ მომცემ, რომ თავიდან და გულიდან ამოიგდებ შურისძიებაზე და მკვლელობაზე ფიქრს, რათა

ჩირქი არ მოსცხო მამის სახელს! მე ასე გადავწყვიტე და დაე, მამაშენის ნათელმა სულმა მომანიჭოს ძალა, არ გავტეხო ჩემი სიტყვა და ჩემი მოწმეც ის იყოს!

პააკერი მუხლებზე დაეცა და ერთიანად მოიკრუნჩხა, ხოლო დედამისი კარისკენ გაემართა. ზღურბლზე ისევ შეჩერდა, შვილისკენ შემობრუნდა და ერთხანს ასე იდგა. ხმა არ ამოუღია, მაგრამ თვალებით პააკერს ეხვეწებოდა მასთან მისულიყო.

ამაოდ! და სეთხემი ოთახიდან გავიდა... ქარმა ზათქით მიაჯახუნა კარი მის ზურგსუკან. პააკერმა ჯანსაღი ხელი თვალებზე მიიფარა და ძალღონეგამოლეულმა ამოიკვნესა:

— ოო, დედაჩემო! მე არ შემიძლია უარი ვთქვა შურისძიებაზე. მე უკვე აღარა მაქვს ამის უფლება.

გამძვინვარებული ქარის ზუზუნმა ჩაახშო მისი სიტყვები, შემდეგ კი ერთმანეთის მიყოლებით ორი ძლიერი ყრუ დარტყმა გაისმა, თითქოს ციდან კლდის ლოდები ჩამოცვივდაო. პააკერი შეკრთა და მონების გასაღვიძებლად ფანჯარასთან მივიდა, საიდანაც ბინდბუნდში რიჟრაჟის სხივები გამოკრთოდა. მონებმა მყისვე მოირბინეს მის დაძახებაზე, ხოლო შიშისაგან თავზარდაცემულმა სახლთუხუცესმა შორიდანვე დაუყვირა:

— ქარიშხალმა მაღალი ანძები წააქცია ჭიშკართან!

— შეუძლებელია, — შესძახა პააკერმა.

— ნამდვილად! — არწმუნებდა სახლთუხუცესი. — ვიღაცას ძირში გადაუხერხია ისინი. ამას უთუოდ ჭილოფების მქსოველი გააკეთებდა, რომელსაც ლავიწი გადაუტეხე. მე დავინახე, როგორ გარბოდა ამ ავდარში.

— ძაღლები აუშვით! — დაიყვირა მახორმა. — ყველა, ვისაც ფეხზე დგომა შეუძლია, დაედევნოს იმ არამზადას! თავისუფლებასა და ხუთ მუჭა ოქროს მიიღებს, ვინც მას დაიჭერს!

* * *

სეთის სახლის ყველა სტუმარს უკვე გულის ძილით ეძინა, როცა მთავარ ქურუმ ამენის ჯადოქარ ხექტის მოსვლა მოახსენეს. იგი მაშინვე იმ დარბაზში წავიდა, სადაც ვეზირი დედაბერს ელოდებოდა.

მთავარი ქურუმის ნაბიჯების გაგონებაზე ანი ღრმა ფიქრებიდან გამოერკვა და მოუთმენლად იკითხა:

— მოვიდა?

რაკი დადებითი პასუხი მიიღო, ვეზირმა მზრუნველად გაისწორა პარიკის ჩამოჩეჩილი დალალები და საყელო-ყელსაბამი:

— იძახიან, რომ ეს ჯადოქარი ყოვლისშემძლეა. იქნებ შენმა ლოცვა-კურთხევამ დამიფაროს მისი გრძნეული ძალისაგან? მართალია, გულზე ჰორეს თვალი და აი ეს „იზიდას სისხლი“[156] მაქვს, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ...

— ჩემი იქ ყოფნა საიმედოდ დაგიცავდა, — მიუგო ამენიმ. — მაგრამ... არა, არა, არა! რას ვლაპარაკობ! მე ხომ ვიცი, მასთან პირისპირ გსურს შეხვედრა. მაშ ასე, იმ სავანეში შეიყვანონ, სადაც კედელზე დაწერილი წმინდა გამონათქვამები ყო-

---

[156] „იზიდას სისხლი“ მარყუჟის ფორმის ავგაროზი. ჩვეულებრივ ქალცედონისგან მზადდებოდა და მასზე ამოკვეთილი იყო „მიცვალებულთა წიგნის“ ამ ავგაროზისადმი მიძღვნილი 75-ე და 76-ე თავები. ამ ავგაროზს „იზიდას სისხლს“, „იზიდას გრძნებას“, „იზიდას სიბრძნეს“ უწოდებდნენ. (ავტ. შენიშვნა).

ველგვარი ჯადოსაგან დაგიცავენ. მშვიდობით, მე დასაძინებლად მივდივარ. წმინდა მამაო, — მიმართა მან ქურუმს, — ჯადოქარი ერთ-ერთ ნაკურთხ სავანეში შეიყვანე, შემდეგ მოაპკურე ზღურბლი და მიიყვანე იქ ჩვენი დიდი მფარველი ანი.

მთავარი ქურუმი გარეთ გამოვიდა და იმ დარბაზის მომიჯნავე პატარა ოთახში დაიმალა, სადაც ანის უნდა ესაუბრა ჯადოქართან. კედელში დატანებული სასმენი მილის წყალობით მკაფიოდ ისმოდა მეზობელ დარბაზში ჩურჩულითაც კი წარმოთქმული ყოველი სიტყვა.

ჯადოქრის დანახვაზე ანიმ შიშისგან უნებლიეთ უკან დაიხია — მისი გარეგნობა ამ შუაღამისას მართლაც შიშისმომგვრელი იყო. ქარიშხალმა ძონძებად უქცია ისედაც გაცვეთილი ტანსაცმელი, აუწეწა ჭაღარა, მაგრამ ჯერ კიდევ სქელი თმა, ბღუჯა-ბღუჯად რომ ჰქონდა ჩამოყრილი სახეზე.

თავკაუჭა ჯოხზე დაყრდნობილმა და მთელი ტანით წინ გადმოწეულმა ვეზირს შეანათა ჩაწითლებული და ქვიშით მოფიფქული თვალები; მთელი გზა ქარი მუჭა-მუჭად აყრიდა ქვიშას სახეში. დედაბერი იმ წუთში ჰგავდა აფთარს, რომელიც მსხვერპლს ეპარება. ანი დასუსხულივით შეკრთა, როცა იგი მიესალმა და უსაყვედურა, რომ მასთან სალაპარაკოდ ასეთი უცნაური დრო შეარჩია.

შემდეგ ჯადოქარმა მადლობა გადაუხადა სიგელის განახლებისათვის და თან ისიც დაუდასტურა, რომ პააკერმა ნამდვილად წაიღო მისგან სიყვარულის წამალი, ამის მერე დედაბერმა წესრიგში მოიყვანა თმა, რადგანაც უეცრად გაახსენდა, რომ ისიც ქალი იყო.

ვეზირი სავარძელში მიესვენა, ხოლო დედაბერი მის წინაშე იდგა. თუმცა შუაღამისას მგზავრობამ და ქარიშხალთან შებრძოლებამ ისე გააწამა მისი მიხრწნილი სხეული, რომ

დაჯდომის ნება ითხოვა, რადგან ანისთვის ერთი ისეთი ამბავი უნდა მოეყოლა, რომელიც მახორს სანთელივით დაარბილებდა.

ვეზირმა ოთახის ერთ კუთხეზე მიუთითა.

დედაბერი მიუხვდა და პირდაპირ ქვის იატაკზე მოიკეცა. სიჩუმე ჩამოვარდა. როცა ვეზირმა დანაპირები მოაგონა, ჯადოქარი კიდევ დიდხანს მისჩერებოდა უხმოდ იატაკს, შემდეგ ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს თავის თავს ეუბნება:

— მე გიამბობ ამას იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მეც მინდა მოვისვენო... არ მინდა დაბალზამების გარეშე დავრჩე, როცა მოვკვდები. ვინ იცის, იქნებ საიქიოში მართლაც არის რამე... ჰოდა, შემთხვევით მინდა ვისარგებლო; გარდა ამისა, ძალიან მინდა შევხვდე მას იქ, თუნდაც მდუღარე ქვაბში, სადაც ცოდვილებს ყრიან. მაშ, მომისმინე! მაგრამ ვიდრე ლაპარაკს დავიწყებდე, შემომფიცე, რომ, რაც არ უნდა შეიტყო, მშვიდად ცხოვრების უფლებას მომცემ და ჩემს დაბალზამებაზეც იზრუნებ, როცა მოვკვდები. სხვანაირად ხმასაც არ ამოვიღებ.

ანიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— არა, არა! — წამოიძახა დედაბერმა. — მე თვითონ გიკარნახებ ფიცის სიტყვებს: „თუ ხექტისთვის მიცემულ პირობას გადავალ, მახორი ხელში რომ უნდა ჩამიგდოს, დაე მაშინვე, ვიდრე ტახტზე ავიდოდე, გამისწორდნენ ის სულები, რომელთა მბრძანებელიც თვითონ არის!“ ნუ განრისხდები, ჩემო მეუფეო და თქვი „კი“. ყველაფერი, რასაც ახლა გაიგებ, გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე ერთი პატარა სიტყვა!

— ჰო, კარგი, თანახმა ვარ — კი! — ჩაილაპარაკა ვეზირმა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა მოესმინა ესოდენ მნიშვნელოვანი ცნობები.

დედაბერმა რამდენიმე გაუგებარი სიტყვა ჩაიბუტბუტა, მერე წელში გასწორდა, წვრილი კისერი დაიგრძელა, ელვარე თვალებით ვეზირს შეხედა და ჰკითხა:

— გსმენიათ თუ არა შენს ახალგაზრდობაში მომღერალი ბეკის სახელი? ხე-ხე, აბა, შემომხედე, — აი ის აქ ზის შენ წინაშე.

ამის თქმაზე მან ხრინწიანი ხმით გადაიხარხარა და ძონძებით დაიფარა დამჭკნარი მკერდი, რადგან თვითონვე რცხვენოდა თავისი საზიზღარი სხეულისა.

— დიახ, დიახ, — თქვა მან. — ყველა ტკბება ყურძნით, მისგან წვენს წურავენ, მაჭარს კი როცა სვამენ, ჭაჭას აგდებენ. აი, მეც გამოწურული ყურძენივით ვარ! ნუ მიყურებ ასეთი თანაგრძნობით! ოდესღაც მეც ვიყავი ფერხორციანი, თუმცა ახლა ყველა ზიზღით მიყურებს, წარსულს კი მაინც ვერავინ წამართმევს. ჩემი წილი ცხოვრება ყოველნაირი სიტკბოთი და სიმწარით, სიყვარულითა და სიძულვილით, სასოწარკვეთილებითა და შურისძიებით სავსე ფიალასა ჰგავს. ახლა კი თხრობას ვიწყებ. შენ იმ სავარძელში ჩაჯდომას მთავაზობ? არაა საჭირო, თავი დამანებე, დიდი ხანია, მივეჩვიე ასე ჯდომას. წინასწარ დარწმუნებული ვარ, რომ ბოლომდე მომისმენ; მე ეს ვიცოდი... ოდესღაც მეც ხომ თქვენს წრეს ვეკუთვნოდი! უკიდურესობანი ადვილად უნათესავდებიან ერთმანეთს. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე! უწარჩინებულესი დიდებულები ფეხქვეშ ეგებოდნენ უბრწყინვალეს მზეთუნახავს... დიახ, იყო დრო, როცა შენი წოდების ხალხს, როგორც მინდოდა, ისე ვატრიალებდი. სულ თავიდან დავიწყო? მაშ, კარგი. დღეს რაღაც უცნაურ ხასიათზე ვარ. ორმოცდაათი წლის წინათ ამ გუნებაზე სიმღერას დავიწყებდი, ჰო, სიმღერას! გაგიკვირდა ალბათ ასეთი ბებერი ყვავი და სიმღერა? აი როგორ იყო... მა-

მაჩემი, წარჩინებული გვარიშვილი, აბიდოსის ნომარქოსი იყო. ხოლო როცა პირველი რამზესი ტახტზე ავიდა, ის შენი წინაპრების სახლის ერთგული დარჩა. ამიტომ ახალმა ფარაონმა მამაჩემი თავისი ოჯახითურთ ეთიოპიაში, ოქროს საბადოებზე გადაასახლა, და ყველანი — მშობლები, დები და ძმებიც იქ დაიღუპნენ; მხოლოდ მე გადავრჩი რაღაც სასწაულით. რადგან ლამაზი ვიყავი და სიმღერაც მეხერხებოდა, ერთმა მუსიკოსმა თავის დასში მიმიღო და თებეში ჩამომიყვანა. ყოველთვის, როცა კი რომელიმე დიდებული ნადიმს მართავდა, აუცილებლად იქ ბეკის უნდა ემღერა. ყვავილები, ოქრო თუ ალერსიანი მოპყრობა, არაფერი მაკლდა იმხანად. მაგრამ მე მეტად ამაყი და გულცივი ვიყავი, რადგან უბედურებამ, რომელიც ჩვენს ოჯახს დაატყდა თავს, ულმობელი გამხადა ჯერ კიდევ იმ ასაკში, როცა ყველაზე მწკლარტე ღვინოსაც კი თაფლის გემო აქვს. და აი ბედმა მეც გამიღიმა. ყველაზე ლამაზი და ტანადი, ყველაზე ღირსეული და სერიოზული ახალგაზრდა ასა იყო — ძველი მახორის მამა, პოეტ პენტაურის პაპა... არა, მახორ პააკერის, უნდა მეთქვა. შენ ხომ იცნობდი მას? სადაც არ უნდა მემღერა, ის აუცილებლად უნდა დასწრებოდა, ჩემს პირდაპირ დაჯდებოდა ხოლმე და თვალმოუშორებლად მიყურებდა. მეც ვერ ვაცილებდი თვალს. დანარჩენს თვითონ მიხვდები! თუმცა არა, ვერ გაიგებ! იმიტომ, რომ ისე, როგორც მე ასა მიყვარდა, არ ჰყვარებია არასოდეს არც ერთ ქალს ამქვეყანაზე: რატომ არ გეცინება? მეტად სასაცილოა ალბათ, როცა ეს ბებერი კუდიანის უკბილო პირიდან გესმის! იგი, დიდი ხანია, მოკვდა. მთელი სულითა და გულით მეზიზღება ახლა, მაგრამ რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, ასე მგონია, დღემდე მიყვარს იგი. მაშინ ასასაც ვუყვარდი და მთელი ორი წელიწადი ერთად ვიყავით. მერე ფარაონ სეთისთან ერთად

ომში წავიდა და ძალიან დიდხანს აღარ ჩანდა, ხოლო როცა კვლავ ვნახე, უკვე ცოლად შეერთო წარჩინებული და მდიდარი გვარის ქალი. იმხანად ჯერ ისევ ძალიან მომხიბლავი ვიყავი, მაგრამ ის ჯიუტად მარიდებდა თვალს დღესასწაულებზე. ალბათ ორჯერ მაინც შევეცადე შევხვედროდი, მაგრამ ყოველთვის გამირბოდა კეთროვანივით. ბოლოს, უსაზღვრო დარდისგან ციებ-ცხელება დამემართა და ლოგინად ჩავვარდი. ექიმები მეუბნებოდნენ, რომ ჩემი დღეები დათვლილია; მაშინ წერილი გავუგზავნე, სადაც მხოლოდ ერთს ვთხოვდი: „მომაკვდავ ბეკის სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ უნდა ნახოს ასა“, ხოლო გრაგნილში მისი პირველი საჩუქარი — უბრალო ოქროს ბეჭედი ჩავდე. და რა პასუხი მივიღე? ერთი მუჭა ოქრო! დიახ, დიახ! ოქრო... ოქრო... მერწმუნე, ამის დანახვაზე თვალები ისე მეტკინა, თითქოს იმ შანთით დაედაღოთ, რომლითაც დამნაშავეს სჯიან! დღესაც კი, როცა ის წუთები მაგონდება, როგორც... ან კი რა იცით, რა არის დაკოდილი გული? თქვენ, მამაკაცებმა, წარჩინებულმა ბატონებმა, საკმარისია, ორი-სამი კაცი ერთად შეიკრიბოთ, და შენ უამბო ეს ამბავი, რომ თქვენ შორის ყველაზე ღირსეული დინჯად ჩაილაპარაკებს: „სწორად, ჭეშმარიტად სწორად მოქცეულა ის კაცი. ის ხომ ცოლიანია და ცოლიც მწარედ უსაყვედურებდა, მომღერალთან რომ მისულიყო“. მართალი ვარ თუ არა? ისიც კარგად ვიცი, ამ დროს არავის გაახსენდება, რომ მომღერალიც ადამიანია და გრძნობა მასაც გააჩნია; მერედა, ისიც ხომ ასას ცოლი იყო; არავინ ეტყვის თავის თავს, რომ ასეთმა საქციელმა ოჯახურ უსიამოვნებას გადაარჩინა, ხოლო ქალი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე. ასა საყვედურს გადაურჩა, მაგრამ სამაგიეროდ ათასობით წყევლა-კრულვა დაატყდა თავს მას და მთელ მის ოჯა-

ხს. საკუთარი თავი საოცრად სათნო ადამიანად მიაჩნდა, მაშინ როცა გული მოუკლა ქალს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მისდამი უსაზღვრო სიყვარულში ედებოდა ბრალი. მე ვიცი, სულ ერთია, მოვიდოდა, არავითარი გრძნობაც რომ არ ჰქონოდა ჩემს მიმართ; მაგრამ ეშინოდა საკუთარი თავისა, ეშინოდა, რომ მომაკვდავი ხელახლა გაუღვივებდა ძალით ჩამქრალ ალს. მე ყველაფერს ვაპატიებდი, მაგრამ იმას, რომ ოქრო გამომიგზავნა — არასოდეს. სწორედ ამ ამბავს შეეწირა მისი შვილიშვილი...

უკანასკნელი სიტყვები დედაბერმა ისე წარმოთქვა, თითქოს სიზმარში ლაპარაკობსო, ვეზირისთვის კი ყურადღებაც არ მიუქცევია.

ანის ნირი წაუხდა, მოეჩვენა, რომ მის წინ შეშლილა დგას, და უნებლიეთ სავარძლიანად განზე გაიწია.

დედაბერს ეს არ გამოჰპარვია, სული მოითქვა და განაგრძო:

— თქვენ, მწვერვალზე მცხოვრებმა წარჩინებულმა ბატონებმა, არც კი უწყით, რა ხდება უფსკრულში, მის ძირში და არც გინდათ იცოდეთ! თუმცა სიტყვა გამიგრძელდა; გამოვკეთდი, მაგრამ ლოგინიდან რომ ავდექი, ლანდს ვგავდი, ხმაც დავკარგე. ოქრო ბევრი მქონდა და ვინც კი თებეში ჯადოქრობას ეწეოდა, იმათგან წამლებს ვყიდულობდი, რომ ხელახლა გამეღვივებინა ასას გულში სიყვარული, ვალოცვინებდი, ჯადოსაც კი მივმართე მის მოსაკლავად. ამასთანავე ყოველ ღონეს ვხმარობდი, ხმა რომ დამებრუნებინა, მაგრამ ყველა წამალი, რასაც კი ვსვამდი, პირიქით უფრო მიუხეშებდა მას. ერთმა ქურუმმა, თავისი კასტიდან გამოძევებულმა და გრძნეულთა შორის ყველაზე სახელგანთქმულმა, შინ წამომიყვანა, და მეც ძალიან ბევრი ვისწავლე მისგან. როცა მისმა

უწინდელმა თანამოძმეებმა — იქ, წყალგაღმა — დევნა დაუწყეს, აქეთ, ნეკროპოლში გადმოვიდა და მეც თან წამომიყვანა. მაგრამ ქურუმი მაინც დაიჭირეს და ჩამოახრჩვეს, მე კი მის მღვიმეში დავრჩი და თავად დავიწყე ჯადოქრობა. ბავშვები თითს მიშვერენ, პატიოსანი ხალხი მერიდება, მე კი ადამიანები მეზიზღება და საკუთარი თავიც მძაგს. და ყველაფერ ამაში დამნაშავე მხოლოდ ერთი კაცია, თებეს ყველაზე ღირსეული მოქალაქე — კეთილშობილი ასა!

მრავალი წელია ჯადოქრობას ვეწევი და ფრიად კარგადაც დავეუფლე ყოველგვარ საიდუმლო ხელოვნებას. და, აი, ერთხელაც მებაღე სენტმა, რომელსაც სეთის სახლისგან იჯარით ჰქონდა აღებული მიწა, — მე წლების განმავლობაში ვყიდულობდი მისგან ბალახებს წამლებისათვის — მომიყვანა თავისი ახალშობილი ბიჭი, რომელსაც ექვსი თითი დაჰყოლოდა ფეხზე. ჩემი ხელობისა და წამლების საშუალებით ბავშვისთვის ეს ზედმეტი თითი უნდა მომეშორებინა. იმ ბალღის დედას მაშინ ციებ-ცხელება ჰქონდა, თორემ განა მისცემდა მამას ამის უფლებას. ბიჭი დავიტოვე, რადგან ასეთი რამეები მეხერხებოდა. მეორე დილას, მზის ამოსვლის შემდეგ, ჩემს მღვიმესთან რაღაც ხმაური გაისმა. ერთ-ერთი მდიდარი ოჯახის მოახლე მეძახდა; მის ქალბატონს თურმე მასთან ერთად წინაპართა აკლდამები მოუნახულებია და უეცრად იქვე ბიჭი გაუჩენია. ქალი უგონოდ იწვა და მოახლემ მთხოვა სასწრაფოდ მასთან წავსულიყავი და დახმარება აღმომეჩინა. ავიყვანე ექვსთითა ბავშვი, ლაბადაში შევახვიე, ვუბრძანე მონა ქალს წყალი წამოეღო და რამდენიმე წუთში აღმოვჩნდი, ალბათ მიხვდები, სად! ასას მამის აკლდამის წინ! ხოლო მშობიარე, მოკრუნჩხული რომ იწვა, მისი რძალი სეთხემი იყო. მაგარი და ჯანმრთელი ბიჭი კი დაიბადა, მაგრამ თვითონ სიკ-

ვდილის პირას იყო. მოახლე სეთის სახლში გავაგზავნე დახმარებისათვის. მანვე გადმომცა, რომ ბავშვის მამა ფარაონის მახორია, ამჟამად ომშია, მაგრამ ბავშვის პაპა, ფრიად პატივცემული ასა, სეთხემს აკლდამებთან უნდა შეხვედროდა, და სადაცაა, მოვაო. მოახლე წავიდა. ბავშვი განვბანე და საკუთარი შვილივით ვაკოცე. უეცრად ხეობიდან ნაბიჯების ხმა შემომესმა... და უცბად თვალწინ წარმომიდგა ის დრო, ლოგინად ჩავარდნილს ასამ ოქრო რომ გამომიგზავნა. მომაგონდა, როგორ შევაჩვენე მაშინ, ხოლო შემდეგ... ღმერთმანი, დღემდე არ ვიცი, როგორ მოხდა ეს... მონას ასას ახალშობილი შვილიშვილი მივაწოდე და ვუბრძანე ჩემს მღვიმეში წაეყვანა, მე კი ექვსთითა ბავშვი ძონძებში შევახვიე და კალთაში ჩავიწვინე. ასე ვიჯექი ასას მოლოდინში და თითოეული წუთი საათად მეჩვენებოდა. როცა ის გამოჩნდა, უკვე მთლად გათეთრებული, მაგრამ ჯერ კიდევ მშვენიერი და ტანადი, ჩემი ხელით მივაწოდე მებაღის ექვსთითა შვილი, და ამ დროს ჩემს გულში ათასი დემონი ზეიმობდა. მან ვერ მიცნო, მადლობა გადამიხადა და ისევ მთელი მუჭა ოქრო მომცა. მე ოქრო გამოვართვი; მესმოდა, სეთის სახლიდან მოსულმა ქურუმებმა ბედნიერება რომ უწინასწარმეტყველეს ახალშობილს, რომელიც, მათი აზრით, ბედნიერ დღეს დაიბადა. ჰოდა, მერე მღვიმეში დაბრუნებულს ხარხარი ამიტყდა. ვიცინოდი და თან ღაპაღუპით მდიოდა ცრემლი; ოღონდ არ ვიცი, სიცილისგან ვტიროდი მარტო?. რამდენიმე დღის შემდეგ მებაღეს ასას შვილიშვილი ჩავაბარე და ვუთხარი, რომ მეექვსე თითი მოვაცილე-მეთქი. იმ ბრიყვს ეჭვი რომ არ შეჰპარვოდა, ბავშვს ფეხზე წყლული ამოვუწვი. ასე გაიზარდა ასას შვილიშვილი, მახორის ვაჟი, მებაღის ოჯახში; მას სახელად პენტაური დაარქვეს, იგი სეთის სახლში აღიზარდა და ყველა ამჩნევდა მის

საოცარ მსგავსებას ასასთან. მებაღის ექვსთითა ბიჭი კი მახორ პააკერად იქცა. აი ესეც ჩემი საიდუმლო!

უხმოდ მოისმინა ანიმ დედაბრის შემზარავი ნაამბობი.

ყოველი ადამიანი, უნდა ეს თუ არა, ყოველთვის თავს დავალებულად გრძნობს იმის მიმართ, ვინც შემაძრწუნებელ, ამასთანავე ფრიად მნიშვნელოვან ამბავს აცნობებს. ამიტომ ვეზირს არც უფიქრია დედაბრის დასჯა მისი დანაშაულისთვის, პირიქით, რატომღაც ის მოაგონდა, როგორი აღტაცებით უყვებოდნენ უფროსი მეგობრები მომღერალ ბეკის ხმასა და სილამაზეზე. ერთხელ კიდევ შეხედა ბებერ ჯადოქარს და უცბად იგრძნო, როგორ გაუცივდა ხელფეხი.

— იცხოვრე შენთვის წყნარად, — უთხრა მან ბოლოს. — ხოლო როცა მოკვდები, მე ვიზრუნებ შენს დაბალზამებაზე; მაგრამ ჯადოქრობას თავი დაანებე. შენ მდიდარი უნდა იყო. თუ ეს ასე არ არის, მითხარი, რა გიჭირს. მართალია, ოქროს შემოთავაზებას ვერ გაგიბედავ, რამეთუ გძულს იგი.

— შენი ოქრო გამომადგება, ახლა კი გამიშვი!

მძიმედ წამოდგა იატაკიდან და, ის იყო, გასასვლელისკენ წალასლასდა, რომ ანიმ შეაჩერა.

— ერთი მითხარი, შენი შვილის, პატარა ნემეს, ქათუთის ჯუჯას მამა ასა ხომ არ იყო? — ჰკითხა მან.

ჯადოქარმა გულიანად გადაიხარხარა.

— ნუთუ ეს ბიჭი ასას ან ბეკის ჰგავს? მე ის უბრალოდ ავიყვანე, როგორც ბევრი სხვა ბავშვი.

— მაგრამ ის ძალიან ჭკვიანია, — თქვა ანიმ.

— მართალია! თავში უამრავი მზაკვრული გეგმა უტრიალებს და მთელი სულით და გულით ქათუთის ერთგულია: ის დაგეხმარება, რომ შენსას მიაღწიო, რადგან მასაც აქვს თავისი მიზანი.

— მაინც რა მიზანი აქვს?

— მას სურს, რომ ქათუთი შენი შემწეობით დიდი ქალი, ხოლო პააკერის წყალობით მდიდარი გახდეს; მახორი კი იმ გადაწყვეტილებით მიემგზავრება ხვალ, რომ დააქვრივოს ის ქალი, რომლის დაუფლებაც სწადია.

— შენ ძალიან ბევრი რამ გცოდნია, — ჩაილაპარაკა ფიქრმორეულმა ანიმ. — ერთი რამ მინდა გკითხო კიდევ, თუმცა შენი ნაამბობის მიხედვით თავად შევძლებდი პასუხის გაცემას. იქნებ ახლა შენთვის ნათელია ის, რაც საიდუმლო იყო ახალგაზრდობაში. არსებობს კი ნამდვილად სიყვარულის წამალი?

— არ მოგატყუებ, რადგან არ მინდა, რომ შენი სიტყვა გატეხო, — უთხრა ხექტმა. -- სიყვარულის წამალი ძალიან იშვიათად თუ გაჭრის, და ისიც, მხოლოდ მაშინ, თუ ქალს აქამდე ჯერ არავინ ჰყვარებია. მაგრამ თუ ამ წამალს იმ ქალს დაალევინებ, რომელსაც სხვა მამაკაცი უყვარს, მაშინ, პირიქით, მას მიჯნურის მიმართ გაუძლიერდება ვნება.

— და კიდევ ერთი კითხვა, — დასძინა ანიმ. — არის თუ არა საშუალება, რომ შორ მანძილზე მოკლა მტერი?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ხექტმა. — სულმდაბალი ადამიანები ცილისწამებას მიმართავენ, ძალაუფლების მქონე ადამიანები კი სხვებს აიძულებენ გააკეთონ ის, რისი გაკეთებაც თვითონ არ სურთ. ჩემმა ნაამბობმა მეტად აგაღელვა. გატყობ, პენტაური არ გიყვარს. გეღიმება? მაშ, კარგი. მე მუდამ თვალყურს ვადევნებ მას და ვიცი, ის ახლა ისეთივე ლამაზი და ამაყი ვაჟკაცია, როგორიც ასა იყო. ამასთანავე, საოცრად ჰგავს მას და მეც, თავის დროზე, მზად ვიყავი შემეყვარებინა ის, შემეყვარებინა ისე, როგორც კი ამას ჩემი უგუნური გული შეძლებდა. უცნაურია, არა? მაგრამ ბევრ ქალს, ჩემ-

თან რომ მოდიან, მთელი გულით უყვარს თავიანთი მიმტოვებელი ქმრების შვილები: ჩვენ, ქალები, კი ხომ ბევრ რამეში ვგავართ ერთმანეთს. მაგრამ არ მინდა მიყვარდეს ასას შვილიშვილი, მე მას ვუმტრობ და ხელს შევუწყობ ყველას, ვინც კი მას დევნას დაუწყებს; თუმცა ასა მკვდარია, მაგრამ ის, რაც მან გამიკეთა, სიკვდილამდე მემახსოვრება. მაშ ასე, დაე, აღსრულდეს პენტაურის ბედ-იღბალი! თუ მისი მოსპობა გინდა, ნემუს მოელაპარაკე. მასაც ეჯავრება პოეტი და ჩემს უბადრუკ შელოცვებსა და სულელურ წამლებზე უკეთესად ის მოგეხმარება. ახლა კი გამიშვი, შინ წავალ.

* * *

რამდენიმე საათის შემდეგ ამენიმ ვეზირი საუზმეზე მიიწვია.

— იცი თუ არა შენ, ვინ არის ჯადოქარი ხექტი? — ჰკითხა მას ანიმ.

— რა თქმა უნდა, ვიცი, ის სწორედ ის მომღერალი ბეკია, რომლისთვისაც ოდესღაც ყველა გიჟდებოდა თებეში. შეიძლება გავიგო, რა გიამბო მან?

ვეზირმა ამჯობინა არ გაემჟღავნებინა მთავარი ქურუმისთვის პენტაურის დაბადების საიდუმლო. ამიტომაც მიკიბულ-მოკიბულად უპასუხა. მაშინ ამენიმ ნება ითხოვა მოეხსენებინა ანისთვის ერთი საქმის თაობაზე, რომელშიც, სხვათა შორის, ჯადოქრის ხელიც ერია. და მან ისე უამბო რამდენიმე საათის წინ მალულად მოსმენილი ამბავი, თითქოსდა ეს ყველაფერი ადრეც იცოდა; ოღონდ თხრობის დროს ზოგიერთი რამ გამოტოვა ან შეცვალა. ანიმ თავი ისე მოაჩვენა, რომ ვი-

თომ ძალიან გაუკვირდა და სთხოვა ქურუმს ჯერჯერობით არ გაემხილათ პააკერისთვის მისი წარმომავლობის საიდუმლოება.

— პააკერი მეტად უცნაური კაცია, — თქვა ამენიმ. — და შეიძლება შარსაც გადაგვკიდოს, თუ თავის ვინაობას გაიგებს მანამდე, სანამ თავის საქმეს გააკეთებდეს.

* * *

ქარიშხალი ჩადგა და ცაც, რომელიც ჯერ კიდევ დილით ნაგლეჯ-ნაგლეჯი ღრუბლებით იყო დაფარული, თანდათან გადაიწმინდა.

უცებ აცივდა, მაგრამ მზის მცხუნვარე სხივებმა მალე ისევ გაახურეს თებეს ჰაერი.

ბაღებსა და ქუჩებში ძირიანად მოთხრილი ხეები ეყარა; ბევრი ქოხმახი და კარვების დიდი ნაწილი უცხოელთა კვარტალში ქარაშოტმა მიწასთან გაასწორა, ხოლო პალმის ტოტებისგან გაკეთებული მსუბუქი სახურავები ქარმა გაფანტა.

ვეზირი ამენის გაჰყვა თებეში; მთავარ ქურუმს სურდა საკუთარი თვალით ენახა, რა დაანგრია ქარიშხალმა მის ბაღში.

მდინარეზე პააკერის ორჩხომელი შეხვდათ. მახორს დააძახებინეს და ანიმ უბრძანა, სასწრაფოდ მისულიყო მასთან სასახლეში.

მთავარი ქურუმის ბაღი არც სიდიდითა და არც სილამაზით არ ჩამოუვარდებოდა მახორის ბაღს. მამული, რომელიც უხსოვარი დროიდან მის წინაპართ ეკუთვნოდა, მეტად ვრცელი იყო, ხოლო დიდებული სახლი კი სასახლეს მოგაგონებდათ.

თებეში ჩამოსული ამენი საუზმეს მიირთმევდა მოჩრდილულ ფანჩატურში ჯერ კიდევ ლამაზ ცოლთან და ეშხიან ქალიშვილებთან ერთად. მან დაუყვავა მეუღლეს და სთხოვა არ ეჯავრა იმ რაღაც უმნიშვნელო დაზიანების გამო, რაც ძლიერმა ქარიშხალმა გამოიწვია, ხოლო გოგონებს წაქცეული სამტრედის ნაცვლად უფრო ლამაზის აშენებას დაპირდა და თან ეხუმრებოდა.

სეთის სახლის უდრეკი წინასწარმეტყველი და ნეკროპოლის მკაცრი მეთაური თავის ოჯახში მეტად უწყინარი ადამიანი, ალერსიანი მეუღლე, მოსიყვარულე მამა, ყვავილებისა და ყოველნაირი შინაური ფრინველის ტრფიალი იყო.

როცა ამენი მაგიდიდან ადგა, უმცროსი ქალიშვილი მარჯვენა მკლავზე ჩამოეკიდა, უფროსი — მარცხენაზე, და ორივემ სთხოვა მამას მათთან ერთად საფრინველეში წამოსულიყო.

გზაზე მსახური წამოეწიათ და ამენის მოახსენა, რომ სეთხემს — პააკერის დედას სურს მისი ნახვა.

— დიასახლისთან მიიყვანე, — უბრძანა მან.

ხოლო როცა მონამ, რომელსაც ხელში გულუხვი გასამრჯელო ჩაებღუჯა, დაარწმუნა, რომ ძველი მახორის ქვრივს პირისპირ სურდა საუბარი, ამენიმ გაბრაზებით წამოიძახა:

— ნუთუ მე, ისევე როგორც ყველას, არა მაქვს უფლება დავისვენო? წადი, გადაეცი ქალბატონს სეთხემი მიიღოს და დამელოდოს. მე ხომ ახლა თქვენს, ქათმების, იხვებისანდა მტრედების განკარგულებაში ვარ? განა ეს ასე არ არის, შვილებო?

უმცროსმა ქალიშვილმა აკოცა მამას, უფროსი კი მკლავზე მოეფერა, და გოგონები მხიარული ლაპარაკით გაჰყვნენ მამას.

ერთი საათის შემდეგ ამენიმ ბაღში მიიწვია სეთხემი.

სასოწარკვეთილი და შეშინებული დედისთვის იოლი როდი იყო მთავარ ქურუმთან მოსვლა.

კეთილი თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, როდესაც მთავარ ქურუმს თავის გასაჭირს უამბობდა.

— შენ მისი მოძღვარი ხარ, — უთხრა სეთხემმა. — ხომ იცი, როგორ სცემს პატივს ჩემი შვილი სეთის სახლის ღმერთებს და რამდენ გულუხვ საჩუქარსა და შესაწირავს უძღვნის მათ. საკუთარ დედას აღარ უჯერებს, შენ კი ძალგიძს დაიმორჩილო მისი სული. რაღაც საშინელება აქვს განზრახული, და თუ შენ ღმერთების შეჩვენებით არ შეაშინებ, ის ხელს აღმართავს მენაზე და შეიძლება... შეიძლება თავად..

— ფარაონზეც, — მრისხანედ დაამთავრა ამენიმ. — მე ვიცი ამის შესახებ და მოველაპარაკები მას.

— უღრმეს მადლობას მოგახსენებ! — წამოიძახა გულაჩუყებულმა ქვრივმა და მთავარი ქურუმის სამოსელის კალთას ემთხვია. — როცა ჩემი ვაჟი გაჩნდა, განა შენ თვითონ არ აუწყე ჩემს მეუღლეს, რომ ის ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული და მისგან სანაქებო ვაჟკაცი დადგება ჩვენი გვარისა და მთელი ქვეყნის სადიდებლად. ახლა კი... ახლა მას უნდა უგუნურად დაიღუპოს თავი ამქვეყნადაც და საიქიოშიც.

— ის, რაც შენს ვაჟიშვილს ვუწინასწარმეტყველე, უცილობლად აღსრულდება, — საზეიმოდ წარმოთქვა ამენიმ. — თუმცა ზოგჯერ ღმერთებიც გვიბნევენ თავგზას.

— ოჰ, როგორ ესალბუნება ჩემს გაწამებულ სულს შენი სიტყვები! — შესძახა სეთხემმა. — რომ იცოდე, რარიგ თავზარდაცემული და სასოწარკვეთილი მოვდიოდი შენთან! მაგრამ შენ ჯერ კიდევ ყველაფერი არ იცი! კედარის ხეს მთლიანი ანძები, პააკერმა შორეული სირიიდან, ლიბანიდან, რომ ჩამოი-

ტანა, და მათზე ალმები აღმართა, ჩვენი ჭიშკრის დასამშვენებლად, დღეს, ალიონზე იმ საშინელმა ქარიშხალმა წააქცია.

— ზუსტად ასევე მოვახრევინებთ ქედს შენს თავნება ვაჟიშვილსაც. — წარმოთქვა ამენიმ. — შენ კი, თუ მოთმინებით იქნები, ახალი სიხარული მოგენიჭება.

— კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას! — უთხრა ქვრივმა. — კიდევ ერთი რამ დამრჩა სათქმელი. მე კარგად ვიცი, რაოდენ ძვირფასია შენთვის თითოეული წუთი, გატარებული საკუთარ ოჯახში და ისიც კარგად მახსოვს, ოდესღაც ჩემს მეუღლეს რომ ეუბნებოდი, აქ, თებეში იმ მუშა ცხენს ვგავარო, რომელსაც დიდი ჯაფის შემდეგ აკაზმულობას მოხსნიან და მწვანე ველზე მიუშვებენ საბალახოდ. ამიტომაც არ მინდა ბევრი დრო წაგართვა და ხელი შეგიშალო, მაგრამ ღმერთებმა ისეთი უცნაური სიზმარი გარდმომივლინეს... პააკერმა ყურიც არ მათხოვა, და მეტად დამწუხრებული ჩემს ოთახში განვმარტოვდი. და აი, როცა მზე ამოვიდა, სულ რამდენიმე წუთით ჩამთვლიმა. თვალწინ მქადაგებელი პენტაური წარმომესახა, რომელიც სახითა და ხმით ასე საოცრადა ჰგავს, ჩემს გარდაცვლილ მეუღლეს. ვითომ მის შესახვედრად გამოდის პააკერი, უშვერი სიტყვებით ლანძღავს და ბოლოს მუშტებმოღერებული მისკენ მიიწევს. ამ დროს ქურუმმა ხელები აღაპყრო, თითქოს ლოცვა უნდა წარმოთქვასო, ზუსტად ისე, როგორც გუშინდელი ზეიმის დროს; მაგრამ თურმე კი არ უნდა ილოცოს, არამედ ჩემს შვილთან საჩხუბრად ემზადება. ეს ორთაბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა, უეცრად პააკერი მოიკუნტა, დაპატარავდა, ადამიანის სახე დაკარგა, და ქურუმის ფეხთით ჩემი შვილი კი არა, სველი თიხის დიდი გუნდა დავარდა, ისეთი, რომლისგანაც მექოთნე ჭურჭელს აკეთებს.

— უცნაური სიზმარია! — ჩაილაპარაკა ამენიმ და მღელვარება დაეტყო. — უცნაური სიზმარია! — გაიმეორა მან, — მაგრამ შენთვის ეს კარგის მომასწავებელია. თიხა რბილია, სეთხემ, და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრე იმას, რასაც ღმერთები გამცნობენ. ღმერთებს სურთ, რომ უწინდელი შვილისაგან შენთვის წარმოიშვას ახალი, უკეთესი შვილი; როგორ მოხდება ეს, ჩემთვის უცნობია. მაშ წადი, მსხვერპლი შესწირე და მიენდე იმათ ბრძნულ გადაწყვეტილებას, ვინც სამყაროს განაგებს! აი, კიდევ რას გირჩევ: თუ პააკერი მოინანიებს და შენთან პატიებისთვის მოვა, გულში ჩაიკარი, მერე კი მე მიამბე, მაგრამ თავისი თუ არ მოიშალა, შენს პალატში ჩაიკეტე, დაე, შენგან დაულოცავად გაუდგეს გზას.

როცა მისი სიტყვებით გულდამშვიდებული სეთხემი წავიდა, ამენიმ ჩაილაპარაკა:

— იმ ხეპრეს სანაცვლოდ მშვენიერ შვილს მიიღებს, ოღონდ ახლა დასარტყმელად მომარჯვებული იარაღი არ უნდა დავაჩლუნგებინოთ! იშვიათად მჯეროდა სიზმრებისა, მაგრამ დღეს კი ყველა საფუძველი მაქვს ვირწმუნო! თუმცა დედის გული ამას სხვაზე უკეთესად გრძნობს.

ამენისგან წამოსულ სეთხემს ვეზირის სასახლესთან შვილის ეტლი შემოხვდა. ორივემ დაინახა ერთიმეორე, მაგრამ ერთმანეთს პირი აარიდეს, რადგან ტკბილად შეხვედრა არ შეეძლოთ და ცივად მისალმებაც არ უნდოდათ. მხოლოდ, როცა პააკერის ცხენებმა გვერდი აუარეს მის ტახტრევანს, დედამ შვილს გამოაყოლა თვალი, შვილმა კი დედას შეხედა. უნებლიეთ თვალი გაუსწორეს ერთმანეთს და იგრძნეს, როგორ ჩასწყდა ორივეს გული.

იმავე საღამოს პააკერმა ვეზირთან მოლაპარაკების შემდეგ ამენისგან ლოცვა-კურთხევა მიიღო, მამის აკლდამასთან მსხვერპლი შესწირა ღმერთებს და პირდაპირ სირიაში გაემგზავრა.

ის იყო, ეტლზე უნდა ასულიყო, რომ ჭილოფის მქსოველიც მოჰგვარეს, რომელსაც ანძები გადაეხერხა მის ჭიშკართან,

— თვალები დასთხარეთ! — ეს იყო პააკერის მიერ თავის სახლში წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები.

სეთხემი დიდხანს არ აცილებდა თვალს მიმავალ შვილს.

დედას გზა არ დაულოცავს, ახლა კი ღმერთებს შესთხოვდა გული მოელბოთ მისთვის, გადაერჩინათ ხიფათისა და ცოდვებისგან.

ნაწილი მესამე

თავი პირველი

სამი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც პააკერი სირიას გაემგზავრა. დილაადრიანვე მეფის ასულ ბენტ-ანატის სახელოსნოებში გაცხარებული მუშაობა გაეჩაღებინათ.

მრავალნაირი ამბებითა და მღელვარებით აღსავსე საზეიმო საღამოს შემდეგ, როცა გარეთ ქარიშხალი მძვინვარებდა, ნეფერტმა და მეფის ასულმა მთელი ღამე უძილოდ გაატარეს. დილით ნეფერტი ისეთი დასუსტებული და განაწამები ადგა, რომ მეგობარს სთხოვა, ერთი დღე მაინც დამასვენეო. მაგრამ ბენტ-ანატმა ყურადაც არ იღო მისი თხოვნა, პირიქით, გამხნევება და დარწმუნება დაუწყო, რომ კეთილი საქმის გადადება არ ვარგაო. დაბოლოს, ნეფერტიც იძულებული გახდა ისევ სახელოსნოში წაჰყოლოდა მას.

— ჩვენ ორივემ დარდი უნდა გავიქარვოთ, — უთხრა ბენტ-ანატმა. — იცი, ზოგჯერ უნებურად შევკრთები ხოლმე: მეჩვენება, თითქოს დაღი დამკრეს, თითქოს ბეჭი მეწვის მას შემდეგ, რაც პააკერის უხეში თითები შემეხო.

პირველ დღეს ნეფერტს ძალიან გაუჭირდა, მეორე დღეს დაწყებულმა საქმემ გაიტაცა, მესამე დღეს კი თავისი მცირე წარმატებებით ხარობდა.

ბენტ-ანატმა შესაფერისი საქმე შეურჩია; გოგონებისა და ქალების ხელმძღვანელობა დაავალა, სამკურნალო ბალახებს რომ არჩევდნენ. ისინი იმ თებელთა ქალიშვილები, ცოლები და ქვრივები იყვნენ, რომლებიც ფარაონის არმიაში იბრძოდნენ ან ბრძოლის ველზე დაცემულიყვნენ.

ქალები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ იატაკზე ცოცხალი ან გამხმარი ბალახის დიდი გროვის გარშემო. თითოეულ მათგანს წინ უკვე გარჩეული ძირების, ფოთლებისა და ყვავილების კონები ეწყო.

მენას მეუღლემ, რომელსაც ძალიან უყვარდა ყვავილები და ბავშვები, სწრაფად აითვისა ექიმის ყველა მითითება და დიდი ხალისით უხსნიდა გოგონებს ბალახების დანიშნულებას.

ნეფერტი მალე მიეჩვია თავის ხელქვეითებს, უკვე ერკვეოდა, ვინ ბეჯითი იყო და გულმოდგინედაც მუშაობდა, ვინ კი — ზარმაცი და დაუდევარი.

— ოჰ, ოჰ! — ეუბნებოდა იგი დიდრონნუშისთვალება გოგონას. — შეხედე, ყველაფერი აგირევია! შენ არა თქვი, მამაჩემი ომშიაო. აბა, დაფიქრდი და მითხარი: რა მოუვა მას, ისარი რომ მოხვდეს და ჭრილობაზე ეს ბალახი დაადონ, რომელიც მორჩენის მაგივრად უარესად დაუწყლულებს ჭრილობას. ეს ხომ საშინელება იქნება, არა?

გოგონამ თავი დაუქნია და ხელახლა დაუწყო ბალახის კონას გადარჩევა.

ნეფერტი კი ამ დროს უკვე მეორე გოგონას მიუბრუნდა და ტუქსავდა:

— ლაპარაკში გართულხარ და საქმეს კი არ აკეთებ! მამაშენიც ხომ ომშია! წარმოიდგინე, რომ ავად გახდა და წამალი არა აქვს; ღამე დაიძინებს და სიზმარში გნახავს, ასე უსაქმოდ რომ ზიხარ... რა თქმა უნდა, იტყვის: „ავად არ გავხდებოდი, ჩემს გოგონას რომ ვუყვარდე. ეტყობა, გულხელდაკრეფილი ჯდომა ურჩევნია, ავადმყოფი მამისთვის წამლის დამზადებას“.

შემდეგ ნეფერტი გოგონების დიდ ჯგუფთან მივიდა და იკითხა:

— იცით თუ არა, ბავშვებო, საიდან გაჩნდნენ ეს სასწაულმოქმედი სამკურნალო ბალახები? მშვენიერი ჰორე მამამისის მკვლელს სეთხს შეებრძოლა, და დაუნდობელმა მტერმა ცალი თვალი ამოთხარა. მაგრამ ოზირისის შვილმა მაინც დაამარცხა სეთი, რადგანაც კეთილი ყოველთვის იმარჯვებს ბოროტზე. როცა იზიდამ მისი საშინელი ჭრილობა დაინახა, შვილის თავი მკერდში ჩაიკრა და გული ზუსტად ისევე შეეკუმშა ტკივილისგან, როგორც უბრალო მოკვდავის დედას ემართება ხოლმე, როცა თავისი ტანჯული ყრმა უჭირავს ხელში. და იზიდამაც გაიფიქრა: „რა ადვილია ჭრილობის მიყენება, და რა ძნელი — მისი განკურნება!“ და თვალთაგან ღვარად გადმოსდინდა ცრემლი, ცრემლები ზედიზედ ეცემოდნენ მიწაზე და მათ ადგილას აი ეს სამკურნალო ბალახები აღმოცენდა.

— რა გულკეთილი ყოფილა იზიდა! — წამოიძახა ერთერთმა გოგონამ. — დედამ მითხრა, რომ მას ძალიან უყვარსო ბავშვები, როცა კარგად იქცევიან.

— სწორად უთქვამს დედაშენს, — დაუდასტურა ნეფერტმა. — ქალღმერთსაც ხომ ჰყავს საყვარელი შვილი — ჰორე. ყოველი ადამიანი, რომელიც სიცოცხლეში კეთილი იყო, სიკვდილის შემდეგ ბავშვად იქცევა; მაშინ ქალღმერთი იზიდა ხელში აიყვანს მას, გულში ჩაიხუტებს და თავის დასთან ნეფტიდასთან[157] ერთად ზრდის მას, ვიდრე იმხელა არ გახდება, რომ მამის მაგივრად ბრძოლა შეეძლოს.

ამ დროს ნეფერტმა უცბად შენიშნა, რომ მისი თხრობის დროს ერთ-ერთი ქალი ატირდა, მან გამოჰკითხა ქალს ტირილის მიზეზი და გაიგო, რომ მისი ქმარ-შვილი დაღუპულა: ერთი — სირიაში, მეორე კი ეგვიპტეში დაბრუნებისთანავე.

— დიახ, ძალიან უბედური ყოფილხარ, — დაუყვავა ნეფერტმა. — მაგრამ ახლა ძალ-ღონეს ნუ დაიშურებ და მზრუნველობა არ მოაკლო დაჭრილ მეომრებს! მე კი კიდევ რაღაცას მოგიყვები იზიდაზე. მასაც ძალიან უყვარდა თავისი მეუღლე ოზირისი, ალბათ ისე, როგორც შენ განსვენებული ქმარი, და მე ჩემი მენა, მაგრამ ოზირისი სეთხის მზაკვრობის მსხვერპლი გახდა. იზიდამ დაკარგული მეუღლის ცხედარი კი ვერ იპოვა, შენ კი ქმრის საფლავზე მაინც მიხვალ. მწარე ქვითინით გაუდგა გზას უბედური იზიდა საყვარელი მეუღლის ცხედრის საძებრად. ოჰ! რომ იცოდე, რას წარმოადგენდა იმხანად ეგვიპტე, რომელიც მხოლოდ ოზირისისგან ჰპოვებს ნაყოფიერებას! წმინდა ნილოსი დაშრა, მწვანე ბალახის ღერსაც

---

[157] ქალღმერთ იზიდას გამოსახავდნენ როგორც ჰორეს დედას, მის დას ნეფტიდას კი როგორც ჰორეს ძიძასა და გამდელს. ფილეს კუნძულზე არის ერთ-ერთი პტოლომეს გამოსახულება ყმაწვილი ღმერთის ჰორეს სახით, როცა ნეფტიდა ქნარზე დაკვრას ასწავლის. გადმოცემის თანახმად, ოზირისს ეს ორივე ქალღმერთი უყვარდა და ორივე, მტირალი, გამოსახულია მის სამგლოვიარო ტახტრევანთან თავთით და ფეხთით. მათ მიერ ოზირისის დატირება დაცულია ერთ-ერთ პაპირუსში (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

კი ვერ ნახავდით მის ხრიოკ ნაპირებზე. ამ სანახაობამ ფრიად დააღონა კეთილი ქალღმერთი, თვალთაგან ცრემლი გადმოედინა, დამშრალი კალაპოტი აივსო და მდინარეში წყალმა ადიდება იწყო. თქვენ ხომ იცით, რომ ნილოსის ყოველი ადიდება იზიდას ერთადერთი ცრემლიდან მოდის.[158] ამგვარად, ერთი ქვრივის მწუხარებამ კეთილდღეობა მოუტანა მილიონობით თაობებს.

ქალმა ყურადღებით მოუსმინა ნეფერტს, მერე კი უთხრა:

— ჰო, ყველაფერი ასეა, მაგრამ მე კიდევ ჩემი ვაჟის წვრილშვილი მყავს სარჩენი; ჩემი რძალი მრეცხავი იყო და ერთხელ, როცა სარეცხს ავლებდა მდინარეში, ნიანგმა მოიტაცა. ჩვენში მიღებულია, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა იფიქროს ადამიანმა. მეფის ასული რომ კარგად არ გვიხდიდეს, სხვის ჭრილობებზე არც კი ვიფიქრებდი, ჩემი სადარდებელიც მეყოფა. რითი ვარჩინო ოთხი მჭამელი!

ნეფერტი უნებურად შეკრთა ამის გაგონებაზე; პირველ ხანებში, როცა თავის ახალ საქმეს შეუდგა, ხშირად მოსდიოდა ასე. მან ბენტ-ანატს მიაშურა, რათა ეთხოვა დღიური გასამრჯელოს გადიდება ამ ქალისთვის.

— სიამოვნებით! — დაეთანხმა მეფის ასული. — განა შემიძლია უარი ვუთხრა შენისთანა თანაშემწეს? აბა, ახლა კი სამზარეულოში შევიაროთ; მამასა და ძმებისთვის ხილი უნდა შეეფუთათ. ალბათ მენასთვისაც მოიძებნება ერთი ყუთი.

ნეფერტი მეგობარს გაჰყვა და ნახა, რომ სწორედ იმ დროს ყუთში აწყობდნენ ამონის ოაზისიდან ჩამოტანილ ოქროსფერ

---

[158] თანამედროვე არაბებში დღემდე არსებობს რწმენა, რომ ნილოსი ადიდებას „ღვთის ცრემლისგან“ იწყებს, რომელიც მასში ეცემა. ბაუნეს (შეესაბამება ივნისს) მე-11 ღამეს, როცა ნილოსში წყალი თანდათან მატულობს, ახლაც „ცრემლის ღამეს“ უწოდებენ.

მკითხველთა ლიგა

ინდის ხურმას, ხოლო მეორეში — ნუბიურ მუქი ფერის ფინიკს, ფარაონს განსაკუთრებით რომ უყვარდა.

— მომეცით, მე თვითონ ჩავაწყობ! — წამოიძახა ნეფერტმა, მუშებს უბრძანა დაეცალათ ყუთები და თავისი ხელით ლამაზად ჩაალაგა ნაირფერი ფინიკები და სხვა დაშაქრული ხილი.

ბენტ-ანატი, მისდა უნებურად, თვალს ვერ აშორებდა მის მარჯვე თითებს და როცა ნეფერტმა დაამთავრა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ყველაფერი, რასაც კი შენი ხელი შეეხება, თვალსა და გულს ახარებს. მომაწოდე, გეთაყვა, აი ის პაპირუსი! მას ამ ყუთში ჩავდებ და ზედ დავაწერ: „ეს ყუთი ფარაონ რამზესისთვის მისი ქალიშვილის ბენტ-ანატის გულმოდგინე თანაშემწემ, მენას მეუღლემ ჩაალაგა“.

ნაშუადღევს, შესვენების შემდეგ, მეფის ასულს რაღაც საქმეზე დაუძახეს, ნეფერტი კი კიდევ რამდენიმე ხანს დარჩა თავის მუშებთან.

როცა მზე ჩავიდა და მუშაობით დაქანცული ქალები და გოგონები შინ წასასვლელად გაემზადნენ, ნეფერტმა შეაჩერა ისინი.

— ხედავთ მზის ნავი დასავლეთის მთების მიღმა უჩინარდება, — უთხრა მან. — მოდით ვილოცოთ ფარაონისა და ჩვენი ნათესავებისათვის, რომლებიც მასთან ერთად იბრძვიან. დაე, თითოეულმა თავისი ახლობლები შეავედროს ღმერთებს: შვილებმა — მამები, ქალებმა — შვილები, ხოლო ცოლებმა — ჩვენგან მოშორებული ქმრები. ვთხოვოთ ამონს, რომ ისინი ისევე უვნებელნი დაგვიბრუნდნენ, როგორც ეს მზე გვტოვებს ახლა, რომ ხვალ დილით კვლავ ამობრწყინდეს.

ამის თქმაზე ნეფერტმა მუხლი მოიყარა, და ყველა მუშამაც მას მიჰბაძა.

როცა ფეხზე წამოდგნენ, მენას მეუღლესთან მივიდა ერთი პატარა გოგონა. მან გაუბედავად წაავლო ხელი მისი კაბის კალთას და ჩუმად უთხრა:

— გუშინაც ამ ადგილას მოგვაყრევინე მუხლი, დღეს კი ჩემი დედიკო კარგად გახდება, მისთვის რომ ვილოცე?

— რა თქმა უნდა, ჩემო გოგონა, — მოეფერა ნეფერტი და ნაზად გადაუსვა ხელი შავ კულულებზე.

ბენტ-ანატი აივანზე იჯდა. ღრმად ჩაფიქრებული ნეკროპოლს გასცქეროდა, რომელიც თანდათან ღამის წყვდიადში იძირებოდა. ზურგსუკან ნეფერტის ნაბიჯების ხმა რომ შემოესმა, მეფის ასული შეკრთა.

— ხელი შეგიშალე, — უთხრა ნეფერტმა და უკან დაიხია.

— არა, არა! იყავი, — სთხოვა მეფის ასულმა. — მადლობა ღმერთებს, ჩემთან რომ ხარ, იმიტომ რომ ახლა გული მაქვს ძალიან დამძიმებული.

— მე ვიცი, ვისზეც ფიქრობ, — ჩუმად თქვა ნეფერტმა.

— ვისზე?

— პენტაურზე.

— მართალი ხარ, იმაზე ვფიქრობ, — თქვა ბენტ-ანატმა. — მაგრამ სხვა რამეც მიფორიაქებს სულს. ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ, ისეთ რამეზე ვფიქრობ, რაზედაც საერთოდ არ უნდა ვფიქრობდე, ვგრძნობ იმას, რასაც არ უნდა ვგრძნობდე, მაგრამ ძალაც არ შემწევს თავი დავაღწიო ამ საშინელ ფიქრებს და შეგრძნებებს. ასე მგონია, გული სისხლისგან დამეცლება, ისინი რომ ამოვიგდო. უძველესი ადათი დავარღვიე; უფრო მეტიც, კადნიერად მოვიქეცი და ახლა მძიმე ტვირთად მაწევს და არ მასვენებს. და შეიძლება ამის გამო ჩვენც დავშორდეთ

ერთმანეთს. დედაშენთან დაბრუნება მოგიწევს ალბათ, ნეფერტ!

— მეც შენთან დავრჩები, შენს ჭირს მეც გავიზიარებ, თავს არ დაგანებებ! — გზნებით წამოიძახა ნეფერტმა. — რას გემართლებიან? ნუთუ რამზესის ქალიშვილი აღარა ხარ?

— ხალხმა უბრალო ქალაქელის კაბაში გადაცმული მნახა და ამისთვის უნდა დავისაჯო კიდეც! — მიუგო ბენტ-ანატმა. — სულ ახლახან ჩემთან იყო თებეს ამონის ტაძრის მთავარი ქურუმი ბეკ-ენ-ხონსუ, და დიდხანს ვისაუბრეთ. ეს პატიოსანი და დარბაისელი კაცი ძალიან კარგად მეპყრობა, თანაც მამამ დამავალა ყოველთვის და ყველაფერში მხოლოდ მას დავუჯერო. სწორედ მან დამარწმუნა, რომ მძიმე დანაშაული ჩავიდინე, შებილწული მივედი ხატშეფსუტის ტაძარში, ნეკროპოლში; შემდეგ პარასქიტის ეზოში ერთხელ უკვე ნამყოფმა, რის გამოც ამენის რისხვა დავიმსახურე, ხელმეორედ ჩავიდინე იგივე. მათ ისიც კი ზუსტად იციან, დღესასწაულზე რაც შეგვემთხვა! და აი ახლა განწმენდის წეს-ჩვეულება უნდა აღსრულდეს! მე უნდა განვიწმინდო ამენისა და ყველა ქურუმის თანდასწრებით, დიდებულთა თვალწინ, თვით სეთის სახლში, ან არადა, მოსალოცავად უნდა ვეახლო ზურმუხტოვან ხატორს. მისი მფარველობის ქვეშ კლდეების წიაღიდან ამოაქვთ კეთილშობილი ქვები, მოიპოვებენ მადანს და ასუფთავებენ მას გამოდნობის გზით. ამ ქალღმერთმა, რომელსაც ხალასი ოქრო გამოჰყავს მინარევებისგან, როგორც მითხრეს, უნდა ამხსნას ცოდვა. იმ მაღაროებიდან ერთი დღის სავალზე, სინის წმინდა მთიდან, როგორც მას მენტიუს[159] ხალხი უწოდებს, ჩამოედინება წყალუხვი ნაკადული. სწორედ იმ ნაკადუ-

[159] მენტიუ — ასე უწოდებდნენ ეგვიპტელები სინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ სემიტებს.

მკითხველთა ლიგა

ლის პირას დგას ქალღმერთის ტაძარი, სადაც ქურუმები აღასრულებენ განწმენდის წეს-ჩვეულებას. ძალიან გრძელი გზაა იქამდე, უდაბნოსა და ზღვაზე გადის, მაგრამ ბეკ-ენ-ხონ-სუ მირჩევს გავბედო იქ წასვლა. მან ისიც მითხრა, რომ ამენი ცუდი თვალით მიყურებს, რადგან მე ჩვენი სარწმუნოების დოგმები დავარღვიე, რომელთაც სეთის სახლის მთავარი ქუ-რუმი ყველაზე მაღლა აყენებს. ის საჭიროდ თვლის ორმაგად მკაცრად მომექცეს, რამეთუ ხალხი იმას უყურებს, ვინც ყვე-ლაზე მაღლა დგასო, და თუ მე დაუსჯელად გამაქელინებენ ჩვენი რელიგიის კანონებს, მაშინ ხალხიც მე მომბაძავს. ამე-ნი ღმერთების სახელით მოქმედებს, ხოლო ისინი ყველა ადა-მიანის გულს ერთი საზომით ზომავენ. წმინდა წყრთაც ხომ სამართლიანობის ქალღმერთს[160] ეკუთვნის. მე ვგრძნობ, რომ ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ მაინც მეტად მიჭირს და-ვემორჩილო ქურუმის გადაწყვეტილებას — მე ხომ რამზესის ქალიშვილი ვარ!

— ნამდვილად ასეა! — შესძახა ნეფერტმა. — მამაშენი კი — ღმერთი!..

— მაგრამ მამაჩემიც, — შეაწყვეტინა ბენტ-ანატმა, — ყო-ველთვის მასწავლიდა წმინდა დოგმების პატივისცემას. მე და ბეკ-ენ-ხონსუმ კიდევ სხვა საკითხზეც ვილაპარაკეთ! იცი თუ არა, რომ მე უარით გაისტუმრე ვეზირი, რომელსაც ჩემი ცო-ლად შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი? ის, რა თქმა უნდა, გა-ნაწყენებულია ჩემზე. ვთქვათ, ამისი არ მეშინია, მაგრამ იგი ხომ ჩემი მეურვეა, რომელიც მამამ დამინიშნა, ესე იგი ჩემი დამცველიც; შემიძლია თუ არა მივმართო მას რჩევისა და

---

[160] სამართლიანობის ქალღმერთ მაატის სახელს სიგრძის საზომის წყრთის იეროგლიფითაც აღნიშნავდნენ. ჩვენამდე მოაღწია წმინდა საზო-მის წყრთის რამდენიმე უძველესმა ეტალონმა. (ავტ. შენიშვნა).

დახმარებისთვის? არა! მე ხომ მარტო ქალი არა ვარ, მე ხომ მეფის ასულიც ვარ. მირჩევნია ათასი უდაბნო გადავლახო, ვიდრე მამაჩემი დავამცირო მისი ქალიშვილის სახით. ხვალ დილამდე უნდა გადავწყვიტო და პასუხიც გავცე, მაგრამ მე მზად ვარ ამ წუთშივე წავიდე მოსალოცავად, როგორი ძნელიც არ უნდა იყოს მგზავრობა. შენ კი, ჩემო ძვირფასო, გულმშვიდად დარჩი აქ, მეტისმეტად ნაზი ხარ ამხელა გზისთვის; მე მინდოდა...

— არა, არა!— არ დაეთანხმა ნეფერტი. — მე შენ გამოგყვები თუნდაც ქვეყნის დასალიერამდე, იქამდე, სადაც ოთხი გოდოლია აღმართული. შენ ახალი ცხოვრება მომეცი, ხოლო ის გრძნობა, ახლა ჩემს გულში რომ გაღვივდა, ხელახლა ჩაკვდება, თუ დედასთან დავბრუნდები. ჩვენს სახლში ან ის უნდა იყოს დიასახლისი, ან მე, მე კი სახლში მხოლოდ და მხოლოდ მენასთან ერთად შევალ!

— მაშ ასე, გადაწყდა: მივემგზავრები! — თქვა მეფის ასულმა. — ეჰ, მამა რომ ასე შორს არ იყოს! მასთან დალაპარაკება მაინც რომ შემძლებოდა, უთუოდ რამეს მირჩევდა!

— ოჰ, ეს ომი, გაუთავებელი ომი! — მწარედ ამოიოხრა ნეფერტმა. — რატომ არის, რომ მამაკაცები არასოდეს კმაყოფილდებიან იმით, რაც აქვთ და ამაო დიდებას არჩევენ მშვიდობიანობას, რომელიც ესოდენ ალამაზებს ცხოვრებას?

— განა მაშინ მამაკაცები იქნებოდნენ? განა მაშინაც გვეყვარებოდნენ? — მკვირცხლად შეეპასუხა ბენტ-ანატი. — განა ღმერთების ზრახვებიც ომისაკენ არ იყო მიმართული? ოდესმე გინახავს კი იმაზე უფრო დიდებული სურათი, ვიდრე იმ საღამოს, როცა პენტაური თავგანწირვით იქნევდა უშველებელ მარგილს, რათა უმანკოება დაეცვა საფრთხისაგან?

— მე მხოლოდ ერთხელ გავბედე ეზოში შეხედვა, — ჩუმად თქვა ნეფერტმა. — მთლად ვკანკალებდი შიშისგან. მაგრამ მისი მჭექარე საბრძოლო ყიჟინა ახლაც ჩამესმის.

— მართლაც ეს გმირის საბრძოლო ყიჟინა იყო, შიშის ზარს რომ სცემს მტერს! — წამოიძახა ბენტ-ანატმა.

— დიახ, ის სწორედ ასეთია! — მოულოდნელად გაისმა რამერის ხმა, რომელიც ბინდბუნდში შეუმჩნევლად გამოსულიყო აივანზე.

— როგორ შემაშინე! — შეჰყვირა ბენტ-ანატმა.

— შენ შეგაშინე? — გაიკვირვა რამერიმ.

— ჰო, მე! ადრე არც კი ვიცოდი, შიში რა იყო, მაგრამ იმ საშინელი საღამოს შემდეგ ელდანაცემივით ხშირად შევკრთები ხოლმე, თავადაც არ ვიცი, რისგან. ასე მგონია, თითქოს ავმა სულმა შემიპყრო.

— შენ თვითონ იპყრობ ყველას, სადაც კი გამოჩნდები, — უთხრა რამერიმ. — უბრალოდ შენ იმ მღელვარებისა და აღშფოთების ტყვეობაში ხარ ისევ, ჯერ ხეობაში და მერე ნავმისადგომში რომ შეგვხვდა. მეც გულზე ვსკდები, როცა გამახსენდება, როგორ გამომაგდეს სკოლიდან და პააკერმა ძაღლი რომ მოგვისია. უნდა გითხრათ, რომ დღეს მე ძალიან ბევრი რამ ახალი შევიტყვე.

— ამდენ ხანს სად იყავი? — ჰკითხა ბენტ-ანატმა. — ბიძია ანიმ ხომ აგიკრძალა სასახლიდან გასვლა.

— მომავალ თვეში თვრამეტი წელი მისრულდება! — ფიცხლად წამოიძახა უფლისწულმა. — და არავისი მეურვეობა აღარ მჭირდება!

— მაგრამ მამამ ხომ... — ბენტ-ანატს ძმის გაფრთხილება უნდოდა.

— მამა, — მყისვე შეაწყვეტინა რამერიმ, — კარგად ვერ იცნობს ვეზირს. მაგრამ მე ყველაფერს მივწერ, რაც დღეს ხალხისგან შევიტყვე. ამბობენ, რომ ხეობის დღესასწაულზე ვეზირს ჭეშმარიტად მეფური პატივი მიაგეს, და ყველა აშკარად ლაპარაკობს, რომ იგი სამეფო გვირგვინის დაუფლებასა და ფარაონის დამხობას ცდილობსო. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს უაზრობაა, მაგრამ ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი უეჭველად არის მასში.

ნეფერტი გაფითრდა, შეშფოთებულმა ბენტ-ანატმა კი ძმას გამოკითხვა დაუწყო. რამერიმ ყველაფერი უამბო, რაც კი იცოდა, დაბოლოს, სიცილით დასძინა:

— ანი მამას ჩამოგდებას უპირებს! ეს ისევე უცნაურად გაისმის, როგორც ის, რომ მოვინდომო ციდან იზიდას ვარსკვლავის მოწყვეტა და ამ ვარსკვლავით იმ ლამპების ანთება, რომლებიც რატომღაც აქამდე არავის აუნთია.

— მე მგონია, საღამოს ბინდბუნდში სიტყვები უფრო გულითადად ჟღერს, — წყნარად წარმოთქვა ნეფერტმა.

— არა! უბრძანე შემოიტანონ ლამპები, — შეეპასუხა ბენტ-ანატი. — რა ჯობია, როცა საუბრის დროს მოსაუბრეს ხედავ, როცა შეგიძლია თვალებში ჩახედო მას. არც ერთი სიტყვისა არ მჯერა ამ ლაყბობიდან; მაგრამ შენ მართალი ხარ — საჭიროა ყველაფერი ვაცნობოთ მამას.

— მკვდართა ქალაქში კი მთლად უცნაური ლაპარაკი გავიგე, — თქვა რამერიმ.

— როგორ? შენ წყალგაღმა გადასვლაც გაბედე? ეს კი ძალიან ცუდია!

— ისევ გადაცმული ვიყავი... სხვათა შორის, კარგი ამბებიც მოგიტანეთ. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენი კარგი უარდა გაცილებით უკეთაა. შენი ყველა საჩუქარი მიუღია და ახლა

უკვე თავისი სახლიც აქვს. დამწვარი სადგომის გვერდით ნახევრად ჩამონგრეული ქოხი იდგა. ეს ქოხი მამამისს, ჟღალწვერა მეომარს, რომელიც ისევე ჰგავს უარდას, როგორც ზღარბი თეთრ მტრედს, მეგობრების დახმარებით საჩქაროდ მოუყვანია წესრიგში. მე შევთავაზე სასახლეში მოსულიყო, რათა სხვა გოგონებთან ერთად ემუშავა შენთან და კარგ ჯამაგირსაც მიიღებდა, მაგრამ მან უარი მითხრა, რადგან ავადმყოფი ბებია ჰყავს მოსავლელი. გარდა ამისა, ეტყობა, ამაყიცაა და არ სურს ვინმეს ემსახუროს.

— როგორც ჩანს, იმ უწმინდურთან ყოფილხარ ამდენი ხანი, — უსაყვედურა ბენტ-ანატმა. — მე კი იმედი მქონდა, რომ ყველაფერი, რაც გადამხდა, შენთვის ჭკუის სასწავლებელი იქნებოდა!

— ვითომ შენზე ნაკლები რად უნდა ვიყო, — მკვირცხლად წამოიძახა ყმაწვილმა. — ესეც არ იყოს, პარასქიტი ხომ მოკვდა, უარდას მამა კი ალალ-მართალი მეომარია და არავისი წაბილწვა არ შეუძლია. ჰოდა, დედაბრისგან კი, რაც შეიძლებოდა, შორს ვიყავი. ხვალაც წავალ იქ, შევპირდი, მოვალმეთქი.

— ვის შეჰპირდი? — ჰკითხა ბენტ-ანატმა.

— ვისა და უარდას! თურმე ძალიან უყვარს ყვავილები, და იმ ვარდის შემდეგ, შენ რომ მიუტანე, აღარც ჰქონია. მებაღეს ვუბრძანე, ხვალ დილისთვის მომიმზადოს მთელი კალათა ვარდები, და მე თვითონ წავუღებ.

— არა, შენ ამას არ იზამ! — აღშფოთდა ბენტ-ანატი. — ჯერ ერთი, იმიტომ რომ, შენ თვითონაც თითქმის ბავშვი ხარ; და მეორეც, თუნდაც თვითონ იმ გოგონას გულისთვის, ხელი უნდა აიღო ამ განზრახვაზე.

— ჩვენ მხოლოდ ვსაუბრობთ ერთად, — შეეპასუხა რამერი და უეცრად ალმური მოედო. — მე... მე იქ ვერავინ ვერ მცნობს. მაგრამ თუ შენ მაინც წინააღმდეგი ხარ, მაშინ ვარ-დებიან კალათას აღარ წავიღებ და ისე, უბრალოდ, წავალ. არა, არა, ჩემო დაიკო, ამას კი ვეღარ ამიკრძალავ! ის ისეთი მშვენიერია, ისეთი ნაზი და ხმაც ისეთი ლამაზი და წკრიალა აქვს! ფეხები კი... აბა, როგორ გითხრათ... ნეფერტის ხელები-ვით პატარა და კოხტა! უფრო მეტად პენტაურზე ვლაპარაკობ-დით, მამამისს, მებაღესაც, კარგად იცნობს და, საერთოდ, ბევრი რამ იცის მის შესახებ. წარმოიდგინეთ, მან მითხრა, რომ პენტაური სულაც არ არის თავისი მშობლების შვილი, არამედ ის დედამიწაზე ჩამოსული კეთილი სულია ან იქნებ ღმერთიც კი. თავდაპირველად მორცხვობდა. მაგრამ, საკმა-რისი იყო, პენტაურზე ჩამომეგდო სიტყვა, რომ იმწუთშივე გა-მოცოცხლდებოდა და მისი გაუბედაობაც უკვალოდ ქრებოდა! უარდა ლამის აღმერთებს მას, რამაც, გამოგიტყდებით, ძა-ლიან გამაბრაზა.

— შენც გინდა, რომ გაღმერთებდეს? — ღიმილით შენიშნა ნეფერტმა.

— სრულიადაც არა! — ფიცხლად შეეპასუხა რამერი. — მაგ-რამ მეც ხომ ვმონაწილეობდი მის გადარჩენაში! საერთოდ, ძალიან მსიამოვნებს, როცა მის გვერდით ვზივარ, ხვალ კი — უკვე გადაწყვეტილი მაქვს — ჩემი ხელით ჩავუწნავ თმაში ყვა-ვილს. თუმცა წითური თმა აქვს, მაგრამ შენსავით ფაფუკი, ბენტ-ანატ; ალბათ, რა სასიამოვნო იქნება მისი შეხება და ხე-ლის გადასმა...

ქალებმა მრავლისმეტყველად გადახედეს ერთმანეთს, და მეფის ასულმა მტკიცედ უთხრა ძმას:

— ხვალ მკვდართა ქალაქში არ წახვალ, ჩემო შვილობილო!

— ამას კიდევ ვნახავთ, ჩემო მეურვე ქალბატონო! — ხუმრობით მიუგო რამერიმ, მაგრამ მაშინვე სერიოზული სახე მიიღო და განაგრძო: — მე ველაპარაკე ჩემს ამხანაგს — ანანას. სეთის სახლში ისევ უსამართლობაა გამეფებული! პენტაური დილეგში ჰყავთ ჩამწყვდეული, გუშინ საღამო გაუსამართლებიათ. ჩვენი კეთილი ბიძიკოც ესწრებოდა თურმე იმ სასამართლოს და გააფთრებით ესხმოდა თავს პოეტს, მაგრამ, როგორც ამბობენ, ამენიმ თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანაო პენტაური. საბოლოოდ რა გადაწყვიტეს, მოწაფეებმა ეს უკვე ველარ გაიგეს; კარგს არაფერს უნდა ველოდეთ, რადგან ხაზინადრის შვილს გაუგონია, სასამართლოს შემდეგ ამენი რომ ეუბნებოდა გაგაბუს: „დასჯის ღირსი კი არის, მაგრამ დასაღუპავად ვერ გავიმეტებ!“ ცხადია, ეს მხოლოდ პენტაურს ეხებოდა. ხვალ ისევ წავალ იქ და შევეცდები, უფრო მეტი გავიგო. ჩემი აზრით, რაღაც საშინელება ელის. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წლით პატიმრობას მაინც მიუსჯიან!

ამის გაგონებაზე ბენტ-ანატს სახეზე მკვდრისფერი დაედო.

— ყველაფერში დამნაშავე კი მე ვარ! — აღშფოთებით წამოიძახა მან. — ჰოი, თქვენ, ყოვლისმძლე ღმერთებო! მიხედეთ მას და მეც მომხედეთ, იყავით მოწყალენი ჩვენს მიმართ!

მან სახეზე ხელები აიფარა და გავიდა. გაკვირვებულმა რამერიმ ნეფერტს ჰკითხა:

— რა მოუვიდა ჩემს დას? რა უცნაურია იგი დღეს, და შენც ველარ გცნობ, ისეთი არა ხარ, როგორც ყოველთვის!

— ჩვენ ორივე კარგად უნდა გავერკვეთ საკუთარ გრძნობებში.

— ეს რაღას ნიშნავს?

— ამისი ახსნა არ შეიძლება, მაგრამ გატყობ, რომ შენც ძალიან მალე გამოცდი ამას საკუთარ თავზე. პარასქიტებთან ნუღარ წახვალ, რამერი!

თავი მეორე

მეორე დღეს, დილაადრიანად, ჯუჯა ნემუმ, გრძელ სადა ტანსაცმელში გამოწყობილი კაცის თანხლებით, რომელიც წარჩინებული ოჯახის სახლთუხუცესს ჰგავდა, უარდას ახალ ქოხს გვერდით ჩაუარა და ჯადოქარ ხექტის გამოქვაბულისკენ გაემართა.

— აი აქ, ქვემოთ, გთხოვთ დამელოდოთ, დიდო მბრძანებელო, სანამ დედაჩემს თქვენს მობრძანებას ვამცნობდე, — უთხრა ჯუჯამ.

— ეს მთლად კეთილშობილურად ჟღერს, — შენიშნა მისმა თანამგზავრმა, — კარგი, შენი ნება იყოს. მხოლოდ გახსოვდეს: დედაბერმა არც ჩემი სახელი უნდა ახსენოს და არც ტიტული. საუბრის დროს სახლთუხუცესი დამიძახოს, თორემ ხომ იცი... თუმცა, ვფიქრობ, ამ ტანსაცმელში ვერავინ მიცნობს.

ნემუ გამოქვაბულისკენ გაემართა და შესასვლელში დედა დაინახა, რომელმაც შორიდანვე დაუძახა:

— ბატონს ნუ აცდევინებ! მე მაშინვე ვიცანი.

ნემუმ ტუჩებზე ხელის მიდებით ანიშნა, გაჩუმდიო.

— სახლთუხუცესი დაუძახე, — შეშინებულმა ჩასჩურჩულა დედაბერს.

— ჰო, კარგი, — ჩაიბურტყუნა ხექტმა. — ხომ იცი, სირაქლემაც ფრთის ქვეშ მალავს თავს და ჰგონია, ვერავინ მამჩნევსო.

— რამზესის ყმაწვილი კიდევ დიდხანს იყო ატუზული უარდასთან გუშინ?

— შე ბრიყვო, შენა! — სიცილით შეუტია ჯადოქარმა. — ისინი ხომ ბავშვები არიან და ერთმანეთს ეთამაშებიან. რამერი ხომ მთლად ურქო ბატკანია, მაგრამ გრძნობს უკვე იმ ადგილს, სადაც დროთა განმავლობაში რქები უნდა ამოუვიდეს, უფრო მეტიც, ცდილობს კიდეც მათ გამოყენებას. პენტაური კი შენთვის შეიძლება ბევრად საშიში აღმოჩნდეს. იჩქარე, ასეთ სახლთუხუცესებს დიდხანს არ ალოდინებენ.

და ხექტმა ხელი ჰკრა ჯუჯას. ისიც ანისკენ გაიქცა, ამასობაში კი დედაბერმა საჩქაროდ შემოიყვანა გამოქვაბულში ფიცარზე საცოდავად გაკრული პატარა შერაუ და ყავისფერი ტომარა გადააფარა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვეზირი უკვე ჯადოქრის წინაშე იდგა. ხექტმა მდაბლად და იმავე დროს ისე კეკლუცად დაუკრა თავი, რომ ასეთი მისალმება უფრო მომღერალ ბეკის თუ შეეფერებოდა, ვიდრე ბებერ ჯადოქარს, და შესთავაზა დამჯდარიყო მის ერთადერთ სკამზე.

როცა მან მედიდურად ანიშნა, რომ დაჯდომა არ სურს, დედაბერმა უთხრა:

— არა, არა, დაჯექი, თორემ ხეობიდან გამოჩნდები! ძალიან ცუდი დრო აგირჩევია აქ მოსასვლელად!

— ვიცი, მაგრამ ამ საქმის გადადება არ შეიძლება, — მიუგო ანიმ. — ესეც არ იყოს, საღამოს შეიძლება ვიღაც მცველმაც გამაჩეროს. ამიტომ ეშმაკურად მოვიქეცი: ამ ტანსაცმლის შიგნით ჩემი ჩვეულებრივი სამოსელი მაცვია. აქედან ჩემი წინაპრების აკლდამამდე მივალ, გავიხდი ზედა ტანსაცმელს, რომელშიც ვერავინ ვერა მცნობს, და დაველოდები ჩემს ეტლს. მეეტლე უკვე გაფრთხილებული მყავს, იქ მოვა ჩემს წასაყვანად. ხალხს კი ვეტყვი, რომ აღთქმა მაქვს დადებული ფეხით შემოვიარო ნეკროპოლი და თანაც ამალის გარეშე.

— გონიერი აზრია, — ჩაიბურტყუნა დედაბერმა.

ანიმ ჯუჯაზე მიუთითა და მოკრძალებით ჰკითხა:

— ეს შენი მოწაფეა?

უნდა ითქვას, რომ მათი უკანასკნელი საუბრის შემდეგ ხექტი მისთვის უკვე უბრალო ბებერი ჯადოქარი აღარ იყო. ხექტი ხვდებოდა ამას და სწორედ ამიტომაც დიდის ამბით მიესალმა ვეზირს; ამან კი იქვე მოსეირნე მოშინაურებული ყორანი ისე განაცვიფრა, რომ მან ფართოდ გააღო შავი ნისკარტი და რიხიანად დაიჩხავლა. დედაბერმა ყველის ნაჭერი გადაუგდო, და ყორანიც, რომელსაც ცალი ფრთა მოტეხილი ჰქონდა, ხტუნვა-ხტუნვით გაეცალა იქაურობას.

— პენტაურზე უნდა მოგელაპარაკო, — დაიწყო ანიმ.

დედაბერს თვალები გაუბრწყინდა და მკვირცხლად იკითხა:

— კი, მაგრამ, რაშია საქმე?

— ყველანაირი საფუძველი მაქვს, ის საშიშ კაცად ჩავთვალო, — განმარტა ვეზირმა. — მან გზა გადამიღობა, არა ერთი ბოროტმოქმედება და მკვლელობაც კი ჩაიდინა, მაგრამ... სეთის სახლში მას სწყალობენ და ქურუმებიც სიამოვნებით დატოვებენ მას დაუსჯელად. ქურუმებს აქვთ უფლება ერთმანეთი გაასამართლონ, მე კი არაფერი შემიძლია. პენტაურს ქვის სატეხში, ხენუს ახლოს,[161] უპირებენ გაგზავნას. მე ყურიც კი არ მათხოვეს, ასე რომ... ნემუ, წადი და ამენხოტეპის აკლდამასთან დამელოდე! მინდა დედაშენს პირისპირ ველაპარაკო ერთ მეტად მნიშვნელოვან საქმეზე.

---

[161] ხენუს ქვის სატეხს ძალიან დიდი ტერიტორია ეკავა; თითქმის მთელ ქვიშაქვას ზემო ეგვიპტის ტაძრების ასაშენებლად ამ ქვის სატეხიდან ეზიდებოდნენ.

ნემუმ თავი დაუკრა და ხეობისკენ თავქვე დაეშვა. მართალია, განაწყენებული დარჩა, რომ გამოაგდეს, მაგრამ მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მოგვიანებით მაინც ყველაფერს გაიგებდა, რაზედაც ვეზირი და დედამისი ლაპარაკობდნენ.

როგორც კი ჯუჯა წავიდა, ანიმ ჯადოქარს ჰკითხა:

— ხარ თუ არა უწინდებურად ერთგული ძველი სამეფო გვარისა, რომლის გულისთვის თავი დადეს შენმა მშობლებმა?

დედაბერმა თავი დაუქნია.

— კარგი! მაშინ მხარში უნდა ამომიდგე, რომ ჩემი სახით აღვადგინოთ მისი დიდება! ალბათ, გესმის, როგორ მჭირდება ახლა ქურუმების მხარდაჭერა; ამიტომაც შევფიცე მათ, რომ არ ხელვყოფ პენტაურის სიცოცხლეს, მაგრამ კიდევ გიმეორებ: გზა გადამიღობა! სეთის სახლში ჯაშუშები მყავს, რომლებმაც გამაგებინეს, რას ნიშნავს ქვის სატეხში პოეტის გადასახლება. თავდაპირველად მას მართლაც აიძულებენ ქვიშაქვა ამტვრიოს, მაგრამ ეს უფრო გააკაჟებს მას: ხენუში, როგორც მოგეხსენება, ქვის სატეხის გარდა ქურუმების დიდი სკოლაც არსებობს, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს სეთის სახლთან. როცა წმინდა მდინარე ადიდებას დაიწყებს, ხენუში ზეიმი გაიმართება ნილოსის დიდ დღესასწაულთან დაკავშირებით,[162] და ამ დღეს იქაურ ქურუმებს ნება ეძლევათ ამოირ-

---

[162] ხენუსთან, სადაც ნილოსის ნაპირები ვიწროვდება, რამზეს II და მისი მემკვიდრის მერნეპტას დროს აღმართეს დიდი სტელები, რომლებზედაც ამოკვეთილი იყო ნილოსის სახოტბო ჰიმნები და ზეიმის დღეებში ფარაონების შეწირულებათა ნუსხა. ამ სტელების მიხედვით შეიძლება იმის განსაზღვრა, რომ ჯერ კიდევ რამზეს II დააწესა ნილოსის ორი დღესასწაული და თანაც ორივემ, მკვლევართა აზრით, ჩვენამდე მოაღწიეს, თუმცა რამდენადმე შეცვლილი სახით. ეს დღესასწაულები დაკავშირებულია მდინარეში წყლის ადიდებასთან. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

ჩიონ და წამოიყვანონ ქვის სატეხიდან სამი დამნაშავე. თავისთავად ცხადია, მომავალ წელს პენტაურს აირჩევენ და გაანთავისუფლებენ კიდეც, მე კი მშრალზე დავრჩები.

— ეშმაკურად კი მოუგონებიათ! — პირქუშად ჩაიბუტბუტა დედაბერმა.

— ბევრი ვიფიქრე, როგორ მოვქცეულიყავი, — განაგრძო ანიმ. — ქათუთის და ნემუსაც ვეთათბირე, ოღონდ ყველაფერი, რაც მოვიფიქრეთ, შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ მეტად თვალშისაცემია და აუცილებლად ეჭვსაც აღძრავს, ეს კი მინდოდა თავიდან ამეცილებინა. შენ რას მირჩევ?

— ასას ჯილაგი უნდა ამოწყდეს! — კუშტად მიუგო დედაბერმა. შემდეგ მიწას ჩააშტერდა და დადუმდა. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ისევ ალაპარაკდა.

— უბრძანე ორჩხომელის ძირი გახვრიტონ, ხენუმდე ვერც მიაღწევს, გზაშივე ჩაიძირება თავისი ტუსაღებიანად.

— არა, არა! ამაზე მეც ვიფიქრე, და ნემუმაც ასე მირჩია! — წამოიძახა ანიმ. — მრავალჯერ უქნიათ ასე; მაგრამ არ მინდა, ამენიმ ფიცის გამტეხად ჩამთვალოს — ხომ შევპირდი, რომ პენტაურს არაფერს დავუშავებ-მეთქი.

— ჰო, რა თქმა უნდა! პირობა მიგიცია, სიტყვის გატეხა კი ვაჟკაცს არ ეკადრება, — გესლიანად ჩაიქირქილა დედაბერმა. — მაშ კარგი, მოიცა, ასე რომ გავაკეთოთ: შენ აგზავნი ორჩხომელს ხენუში, კაპიტანს კი საიდუმლო ბრძანებას აძლევ ღამით გვერდი აუაროს ქვის სატეხს და, რაც შეიძლება, დიდი სიჩქარით გასწიოს ეთიოპიისკენ. უბრძანე სუანიდან ტუსაღები უდაბნოს გავლით გარეკონ ოქროს საბადოებში. ისე გაირბენს ოთხი კი არა, რვა კვირაც, ვიდრე აქ რაიმეს შეიტყობენ. თუკი ამენი საჩივრით მოგმართავს, შენც ისეთი სახე მიიღე, ვითომ უსაზღვროდ განრისხებული ხარ ასეთი ურ-

ჩობითა თუ შეცდომით, შეგიძლია დაიფიცო კიდეც ცისა და ქვესკნელის ყველა ღმერთი, რომ შენ არც გიფიქრია პენტაურის დაღუპვა. სანამ მიიკითხ-მოიკითხავენ, კიდევ რამდენიმე კვირა გაივლის. ამასობაში პააკერიც გააკეთებს თავის საქმეს, შენ კი — შენსას, და შენ ფარაონი გახდები. ხოლო როცა კვერთხი ხელში გიპყრია, მე ვფიქრობ, ფიცის გატეხაც შეიძლება. მაგრამ თუ მაინცდამაინც სიტყვის პატრონი გინდა იყო, პენტაური ოქროს საბადოებში დატოვე, და ამით მორჩება ყველაფერი. იქიდან ცოცხალი ჯერ არავინ დაბრუნებულა! მამაჩემისა და ძმების ძვლებიც ხომ იქ გამოხუნდნენ მზეზე.

— კი მაგრამ, ამენი არაფრით არ დაიჯერებს, რომ ეს შეცდომით მოხდა, — შეაწყვეტინა ჯადოქარს შეშინებულმა ვეზირმა.

— მაშინ აღიარე, რომ შენ უბრძანე კაპიტანს ეთიოპიამდე წასულიყო! — გული მოუვიდა დედაბერს. — აუხსენი, რომ გაიგე, თუ რას უპირებდნენ პენტაურს ხენუში, ამიტომაც, თუმცა კი სიტყვა შეასრულე, არ შეგეძლო დამნაშავე დაუსჯელად დაგეტოვებინა. მაგრამ თუ პენტაურის ადგილსამყოფელს მაინც მიაკვლიეს და ასას შვილიშვილი ცოცხალი იპოვეს, თავის მართლებასაც რამენაირად მოახერხებ. მიიღე ჩემი რჩევა, თუ გინდა გახდე შენი სამფლობელოს ჭეშმარიტი ბატონ-პატრონი და საქმიანად შეძლო სახელმწიფოს მართვა.

— არა, ასე არ ვარგა, — მტკიცედ განაცხადა ვეზირმა. — ამენის დახმარება მარტო დღეს კი არა, ხვალაც მჭირდება. არ მინდა ბრმა იარაღი ვიყო მის ხელში, მაგრამ ჯერჯერობით ასეთ იარაღად უნდა ვეგულებოდე.

დედაბერმა მხრები აიჩეჩა, გამოქვაბულში შევიდა და რაღაც ფლაკონი გამოიტანა.

— აიღე, — უთხრა მან. — ოთხი წვეთი საკმარისია, რომ კაცი ჭკუაზე შეცდეს. ღვინოში შეურიე და რომელიმე მონაზე გამოცადე, თავად დარწმუნდები, რა საოცარი ძალა აქვს.

— მე რად მინდა ეს? — ჰკითხა საგონებელში ჩავარდნილმა ვეზირმა.

— რათა ამენის წინაშე თავი იმართლო! — გადაიხარხარა ჯადოქარმა. — როგორც კი ორჩხომელის კაპიტანი დაბრუნდება, შენთან დაიბარებ, ღვინით გაუმასპინძლდები და... ამენი კი გიჟს როცა დაინახავს, უთუოდ შენ დაგიჯერებს, რომ ჭკუაშეშლილმა კაპიტანმა ხენუს ჩაუარა.

— ეშმაკობაც ასეთი უნდა! მართლაც რომ შესანიშნავია! — შესძახა ანიმ. — არაჩვეულებრივი ადამიანი ნებისმიერ ვითარებაში არაჩვეულებრივი რჩება! შენ უდიდესი მომღერალი იყავი, ახლა კი ბრძენთა ბრძენი ხარ ქალებს შორის, ძვირფასო ბეკი!

— ბეკი აღარა ვარ, ახლა ხექტს მეძახიან, — მკვახედ მოუჭრა დედაბერმა.

— როგორც გინდა! თავის დროზე ბეკის სიმღერაც რომ მომესმინა, მაშინ ალბათ უფრო უხვად უნდა დამეჯილდოვებინა, ვიდრე მარტო ხექტი, — ჩვეული ღიმილით მიუგო ანიმ. — მაგრამ ვიდრე აქედან წავიდოდე, თებეს უჭკვიანეს ქალს კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან კითხვას მივცემ: მითხარი, გაქვს თუ არა წინასწარჭვრეტის ნიჭი? ხომ არ გაგაჩნია რაიმე საშუალება, რომელიც წინასწარ გაგვაგებინებდა: მივაღწევთ მიზანს თუ ეს უზარმაზარი და სახიფათო წამოწყება მარცხით დამთავრდება. ალბათ ხვდები რაზეც გელაპარაკები?

ხექტმა თვალები დახარა და მცირე ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემ, მაგრამ, როგორც ჩანს, შენი საქმე კარგად მიდის. შეხედე იმ ორ ქორს, ძეწკვი რომ აბიათ ფეხებზე: საჭმელს მხოლოდ ჩემი ხელიდან იღებენ. აი ის, ბუმბული რომ სცვივა და ახლა თვალდახუჭული ზის, — რამზესია; მეორეს კი თვალები უელვარებს და ბუმბული უბზინავს — ეს შენა ხარ! ახლა საქმე ისაა, რომელი მათგანი უფრო მეტხანს იცოცხლებს. ჯერჯერობით, როგორც თვითონაც ხედავ, უპირატესობა შენს მხარეზეა.

ანიმ ღვარძლიანად შეხედა ავადმყოფ ქორს — ფარაონს, ხექტი კი განაგრძობდა:

— ორივეს ერთნაირი მოპყრობა სჭირდება, რადგან ბედისწერა ძალდატანების უფლებას არ იძლევა.

— კარგად აჭამე ორივეს! — სთხოვა ვეზირმა. კალთაში ოქროთი სავსე ქისა ჩაუგდო და თან დაუმატა: — თუ ერთერთს რამე დაემართოს, მაშინვე შემატყობინე ნემუს პირით.

ამის შემდეგ ანი ხეობაში ჩავიდა და თავის წინაპართა აკლდამისკენ გაემართა. ხექტმა თვალი გააყოლა მიმავალს და ქირქილით ჩაილაპარაკა:

— ახლა უკვე ეს ბრიყვი თავისი ფრინველის გულისთვის დამიცავს. და ეს სულმოკლე და უნიჭო კაცი, სულ რომ იკრიჭება, ეგვიპტის მბრძანებელი უნდა გახდეს?! ნუთუ მე მართლა ბრძენთა ბრძენი ვარ, თუ მოხუც ხექტთან მხოლოდ ბრიყვები მოდიან რჩევისთვის? კი მაგრამ, ეს ანი ხომ თვითონ რამზესმა დასვა ვეზირად. შეიძლება ეს იმიტომ გააკეთა, რომ უჭკუო კაცი ნაკლებად საშიში იქნებოდა მისთვის? თუკი ის მართლა ასე ფიქრობდა, მაშინ ანგარიშში მოტყუებულა, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ არავინ არიან ისე თვითდაჯერებული და უტიფარი, როგორც უგუნურები!

თავი მესამე

ერთი საათის შემდეგ ვეზირმა, რომელიც წინაპართა აკლდამიდან უკვე მდიდრულად ჩაცმული გამოვიდა, ბრწყინვალე ეტლით ჩაუარა დედაბერ ხექტის გამოქვაბულს და უარდას ქოხს.

ნემუ ჯუჯებისათვის ჩვეულ ადგილზე — საფეხურზე ჩამოჯდა. ამ პატარა კაცუნამ უარდას ქოხისკენ გაიხედა და კბილები გააკრაჭუნა, როცა უარდას გვერდით ვიღაც ყმაწვილი შეამჩნია, რომლის თეთრი სამოსი მკაფიოდ მოჩანდა მესერში.

უარდას სტუმარი კი კვლავ უფლისწული რამერი იყო: ხაზინადრის მწერლის თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი დილაადრიან ნილოსზე გადმოვიდა, რათა პენტაურის ამბავი გაეგო და... უარდას თმა ლამაზი ვარდით შეემკო.

ეს უკანასკნელი, მართლაც, უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ პირველი საქმის დაწყება უფრო გვიანაც შეიძლებოდა. ასეთ თანმიმდევრობას რამერი მეტად დამაჯერებლად ასაბუთებდა: ჯერ ერთი, ტანსაცმლის ნაკეცებში საგულდაგულოდ დამალული ვარდი უეჭველად დაჭკნებოდა, სანამ იგი თავის ამხანაგებს დაელოდებოდა სეთის სახლთან; გარდა ამისა, მათთან საუბრის შემდეგ იქნებ მოუწევდა კიდეც თებეში სასწრაფოდ დაბრუნება, დაბოლოს, უფლისწული დარწმუნებული არ იყო, რომ ბენტ-ანატი არ დაადევნებდა კარისკაცს, ამიტომ უმნიშვნელო დაყოვნებაც კი მთელ გეგმებს ჩაუშლიდა.

ყმაწვილს გული უფანცქალებდა არა მარტო გოგონას სიახლოვის განცდისაგან, არამედ იმის შეგნებისგანაც, რომ მძიმე დანაშაულს ჩადიოდა.

ადგილი, სადაც მიდიოდა, უწმინდურად ითვლებოდა. გარდა ამისა, მან უარდას ტყუილი უთხრა, რაც თავის სიცოცხლეში პირველად მოუვიდა. მან თავისი თავი ბენტ-ანატის ამალის ერთ-ერთ წევრად წარუდგინა, და რაკი კაცმა ერთხელ იცრუა, იძულებულია ბოლომდე იცრუოს. როცა უარდამ მისი გვარიშვილობა იკითხა, რამერიმ მიუკიბ-მოუკიბა მშობლებისა და თავისი ცხოვრების შესახებ.

ნუთუ აქ, ამ უწმინდურ ადგილას ბოროტებას მეტი ძალა აქვს, ვიდრე სეთის სახლში ან სასახლეში? დიახ, ალბათ ეს ასეა, იმიტომ, რომ ყოველგვარი მღელვარება ბუნებასა და ადამიანის გულში — სეთხის ნაწილაკია, მას კი გული ისედაც ამოვარდნაზე ჰქონდა!

მაგრამ განა ეს შესაძლებელია? მას ხომ უარდასათვის მხოლოდ სიკეთე უნდოდა! გოგონა ხომ ესოდენ მშვენიერი და საყვარელია, პირდაპირ ღმერთების შვილია; ეს პირთეთრი გოგონა უთუოდ ვიღაცას მოსტაცეს, და არაფრით არ შეიძლება ამ უწმინდურების სისხლი და ხორცი იყოს.

როცა რამერი ეზოში შევიდა, უარდა არსად ჩანდა, მაგრამ სულ მალე ღია კარიდან მისი ხმა მოისმა. ძაღლის ყეფაზე თვითონაც გამოვიდა. რამერი რომ დაინახა, შეეშინდა.

— შენ ისევ აქა ხარ, — უსაყვედურა მან. - ხომ გაგაფრთხილე, ბებიაჩემი პარასქიტის ცოლია-მეთქი.

— მერე, მე იმასთან ხომ არ მოვსულვარ, მე შენთან, მხოლოდ შენთან მოვედი, — მიუგო რამერიმ. — შენ კი მათთან საერთო არაფერი გაქვს. მე ყველაფერი კარგად მოვიფიქრე! უდაბნოში ვარდი არ ხარობს!

— და მაინც მე მამაჩემის შვილი და ჩემი უბედური, მოკლული პაპის შვილიშვილი ვარ, — მტკიცედ უპასუხა უარდამ. — ეჭვიც არ მეპარება, რომ ამ ოჯახში ვარ დაბადებული, ხოლო ვინც მას ცუდი თვალით უყურებს, მე ნუღარ გამეკარება.

ამის თქმაზე შებრუნდა და ქოხში შესვლა დააპირა, მაგრამ რამერიმ ხელი ჩასჭიდა და უთხრა:

— რა ბრაზიანი ყოფილხარ! მე მხოლოდ შენი გადარჩენა მინდოდა. შენთან მანამდე მოვედი, ვიდრე გავიფიქრებდი, რომ შენ... შენ სრულებითაც არ ჰგავხარ იმ ადამიანებს, ვისაც ნათესავებს უწოდებ. ცუდად ნუ გამიგებ, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი მაშინებს, რომ შენ, ასეთი ლამაზი და შროშანივით თეთრი, მთელი შენი სიცოცხლე შერისხული უნდა იყო, რამეთუ საშინელი წყევლა-კრულვა სამუდამოდ თან სდევს თქვენს ოჯახს. შენ ყველას ხიბლავ, ჩემს მბრძანებელს, ბენტანატსაც, და მე ვერც კი წარმომიდგენია, რომ...

— რომ უწმინდურთ ვეკუთვნი; ჰო, ბოლომდე სთქვი სათქმელი, — ძლივსგასაგონად თქვა უარდამ და თავი ჩაქინდრა. შემდეგ თავი უცბად ასწია და მკვირცხლად განაგრძო: — მაგრამ ეს შეჩვენება უსამართლოა, მე ამას გეუბნები, რამეთუ მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა ჩემს უბედურ პაპაზე უკეთესი ადამიანი!

და უარდას ცრემლები ჩამოუგორდა.

— მე მჯერა შენი, — მხურვალედ დაემოწმა რამერი. — რა ძნელია, ალბათ, კეთილი და კარგი იყო, როცა ზიზღით გიყურებენ, გამცირებენ და გლანძღავენ! თუნდაც მე, საყვედურით ვერაფერს გამაკეთებინებ, მაგრამ, საკმარისია, ვინმემ შემაქოს, ყველაზე კეთილშობილურ საქციელს ჩავიდენ. ოღონდ ხალხიც პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს ჩემს ახლობლებსაც და თავად მეც.

— ჩვენ კი აბუჩად გვიგდებენ, — შეაწყვეტინა უარდამ უფლისწულს, რომელსაც კინაღამ არ წამოსცდა ყველაფერი. — მოიცა, აი, რა უნდა გითხრა: თუ იცი, რომ შენ თვითონ სამართლიანი და კეთილი ხარ, განა მაშინ სულ ერთი არ არის, აბუჩად გიგდებენ თუ პატივს გცემენ? ჩვენ თქვენზე მეტი უფლება გვაქვს ვიამაყოთ, რამეთუ, თქვენ, წარჩინებულნი, ხშირად იძულებული ხართ აღიაროთ, რომ გაცილებით უარესნი ხართ, ვიდრე გთვლიან; ხოლო ჩვენ ვიცით, რომ გაცილებით უკეთესნი ვართ, ვიდრე ბევრს ჰგონია.

— სწორედ ასეთად მყავდი წარმოდგენილი! — წამოიძახა რამერიმ. — იცოდე, ამ ქვეყანაზე არსებობს ადამიანი, რომელიც აღიარებს შენს ღირსებას, — და ეს მე ვარ! ასე რომ არ იყოს, განა ვიფიქრებდი შენზე დღე და ღამე?

— მეც ვფიქრობდი შენზე, — ჩუმად თქვა უარდამ. — წეღანაც ვფიქრობდი, ავადმყოფ ბებიასთან რომ ვიჯექი. უეცრად აზრი მომივიდა, რა კარგი იქნებოდა, ასეთი ძმა რომ მყოლოდა. იცი, რას ვიზამდი, ჩემი ძმა რომ იყო?

— რას იზამდი? — ჰკითხა რამერიმ.

— ეტლსა და ცხენებს ვიყიდდი და ფარაონის მეეტლეებთან ერთად ომში გაგიშვებდი.

— ნუთუ ასე მდიდარი ხარ?

— ოო, რა თქმა უნდა! — უპასუხა უარდამ. — თუმცა, ერთი საათიც კი არ არის, რაც გავმდიდრდი. კითხვა თუ იცი?

— რასაკვირველია!

— წარმოგიდგენია, როცა ავად ვიყავი, სეთის სახლიდან ექიმი გამომიგზავნეს. ის მეტად დახელოვნებული იყო თავის საქმეში, მაგრამ ამასთან ერთად, ძალიან უცნაურიც... ხშირად ისეთი თვალებით მიყურებდა, თითქოს მთვრალიაო, ხოლო როცა ლაპარაკს დაიწყებდა, ენა ებმებოდა.

— ნებსეხტი ერქვა?

— დიახ, დიახ, ნებსეხტი. მას რაღაც გაუგებარი საქმე ჰქონდა პაპაჩემთან... ხოლო იმ ღამეს, როცა ბრბო თავს დაგვესხა, შენ და პენტაური საშველად მოხვედით, ისიც გამოგვესარჩლა. მას შემდეგ აღარ მინახავს. მალე მეც გამოვკეთდი. ჰოდა, დღეს, ორიოდე საათის წინ, უეცრად ძაღლმა ყეფა ატეხა, შემდეგ კი ვიღაც ხანში შესული კაცი მომიახლოვდა და მითხრა, რომ ნებსეხტის ძმა იყო და ჩემთვის ძალიან ბევრი ფული ჰქონია შენახული. ბეჭედი მომცა და თან დასძინა, ფულს იმას გადავცემ, ვინც ამ ბეჭედს შენი სახელით მომიტანსო. მერე აი ეს წერილი წამიკითხა.

რამერიმ წერილი გამოართვა და კითხვა დაიწყო:

„ნებსეხტისაგან — მშვენიერ უარდას.

ნებსეხტი მიესალმება უარდას და აცნობებს, რომ მართებს ათასი ოქროს ბეჭედი მისი პაპის — ოზირისისა, რომლის სხეულს კოლხიტები ახლა ისე აბალზამებენ, როგორც დიდებულს შეეფერება. მან თავის ძმას ტეტას დაავალა ეს ბეჭდები უარდას გადასცეს, რაწამსაც კი ის მოისურვებს. უარდა ენდოს ტეტას, რადგან ის პატიოსანი კაცია, და როცა კი ფული დასჭირდება, მას მიმართოს. უპრიანი იქნებოდა, თუკი უარდა ტეტას დაავალებდა იმ ფულით ეყიდა მისთვის სახლი და მიწის ნაკვეთი, სადაც ბებიასთან ერთად უზრუნველად იცხოვრებდა. ერთი წლის განმავლობაში უარდა არ უნდა გათხოვდეს. ნებსეხტს ძალიან უყვარს უარდა, და თუ ცამეტი თვის შემდეგ ის არ გამოცხადდება მასთან, მაშინ დაე უარდამ ამოარჩიოს ქმრად ის, ვინც სურს, მხოლოდ მანამდე ფარაონის თარჯიმანს აჩვენოს ძვირფასი ნივთი, რომელიც დედისგან ერგო“.

— საოცარია! — წამოიძახა რამერიმ. — აბა, ვინ იფიქრებდა, ეს ექიმი, მუდამ დაუდევრად რომ აცვია, ასე დიდსულოვანი თუ აღმოჩნდებოდა?

უარდამ საკინძი გაიხსნა და მზეზე რაღაცამ გაიბრჭყვიალა.

— ეს ხომ ბრილიანტია! რა ლამაზია! — აღმოხდა ყმაწვილს. — აი აქ, შუაში, ონიქსის ნახევარმთვარეში მკაფიოდ მოჩანს წარწერა. მე ვერ ამოვიკითხავ, ალბათ მართლა თარჯიმანს უნდა ვაჩვენოთ! ამ ნივთს დედაშენი ატარებდა?

— მამამ შეხსნა, როცა მოკვდა, — უპასუხა უარდამ. — ეგვიპტეში ტყვედ ჩამოუყვანიათ, მასაც ჩემსავით თეთრი კანი ჰქონდა თურმე, მაგრამ მუნჯი ყოფილა და თავის სადაურობას, რა თქმა უნდა, ვერ იტყოდა.

— როგორც ჩანს, დიდგვაროვანი იყო, წარმოშობა ხომ დედიდან მოდის! — მკვირცხლად წამოიძახა რამერიმ. — შენ ნამდვილად მეფის ასული ხარ, უარდა! როგორ მიხარია და როგორ მიყვარხარ, უარდა!

გოგონას გაეღიმა:

— ახლა კი ნუღარ შეგეშინდება უწმინდურს შეეხო.

— რა სასტიკი ყოფილხარ! — უსაყვედურა რამერიმ. — გინდა გითხრა, რა გადავწყვიტე გუშინ, რაზე ვფიქრობდი მთელი ღამე და რისი გულისთვის მოვედი აქ?

— აბა, თქვი.

რამერიმ ტანსაცმლის ნაკეცებიდან ლამაზი თეთრი ვარდი გამოიღო.

— მართალია, ყველაფერი ეს ბავშვობაა, მაგრამ მე ვოცნებობდი, ჩემი ხელით გამეკეთებინა შენთვის ეს ვარდი თმაში, რომელიც აგრერიგად ბრწყინავს მზის შუქზე. შეიძლება?

— რა მშვენიერი ვარდია! ასეთი ლამაზი ყვავილი არასოდეს მინახავს.

— ის ხომ ჩემს ამაყ მეფის ასულს ეკუთვნის! მაშ, ნება მომეცი, შეგამკო ამ ვარდით. შენი თმა ტირას აბრეშუმსა ჰგავს და გედის ბუმბულივითაა; რა ლამაზად ბზინავს და ოქროსფერი ვარსკვლავების სხივებივით ციაგებს. აი, ასე კარგი იქნება. არა, არა, ხელი არ ახლო! ახლა შვიდივე ხატორმა რომ დაგინახოს, უეჭველად შეშურდებოდათ, რადგან შვიდივეს სჯობიხარ.

— როგორ მეპირფერები! — დაირცხვინა უარდამ და სახეანთებულმა ბედნიერებისგან გაბრწყინებული თვალებით შეხედა ყმაწვილს.

— აჰ, უარდა! — წამოიძახა რამერიმ და მისი ხელი მკერდზე მიიკრა. — ერთი სურვილი მაქვს კიდევ. ხელი დამადე, როგორ ძგერს და მიფართხალებს გული! მე მგონია, მანამ არ დამშვიდდება, ვიდრე შენ... მართლა უარდა... სანამ ნებას არ მომცემ გაკოცო, მხოლოდ ერთად-ერთხელ!

გოგონამ უკან დაიხია და მკაცრად უთხრა:

— არა! ახლა კი მივხვდი, თურმე რა მიზანი გქონია: მოხუცი ხექტი კარგად იცნობს ადამიანებს, და არაერთხელაც გავუფრთხილებივარ კიდეც.

— ეს ხექტი ვიღაა? ან რა უნდა იცოდეს ჩემზე?

— მან მითხრა, რომ დადგება დრო, როცა მამაკაცი მომიახლოვდება. თვალებში ჩამხედავს, და თუ მეც მის მზერას ვუპასუხე, მაშინ კოცნას მოინდომებს. მაგრამ მე ამის ნება არ უნდა მივცე, რადგან თუ მისი კოცნა სიხარულს მომანიჭებს, მაშინ ის დაეპატრონება ჩემს სულს და სავსებით წამართმევს მას. და მეც მომიწევს ამქვეყნად უსულოდ ხეტიალი იმ ბობოქარი სულების მსგავსად, რომელთაც გამორიყავს მორევი,

მირეკ-მორეკავს ქარი, არ დაედგომებათ არც ხმელეთზე და არც ზეცაში. წადი, თვალით აღარ დამენახო, რამეთუ არ მინდა უარი გითხრა კოცნაზე, მაგრამ არც უსულოდ ხეტიალი მინდა სამუდამოდ!

— მითხარი: შესახედავად კარგია ის დედაბერი, რომელმაც ეს ყველაფერი გითხრა?

უარდამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ასეც ვიცოდი, არც შეიძლება, კარგი ყოფილიყო! — შესძახა რამერიმ. — იმიტომ, რომ მოგატყუა. მე შენი სულის წართმევას კი არ ვაპირებ, პირიქით, ჩემი მინდა გაჩუქო, ჩვენი სულები შეერთდებიან და ამით ჩვენ კი არ გავღარიბდებით, არამედ გავმდიდრდებით!

— როგორ მინდა დაგიჯერო, — ჩაილაპარაკა ფიქრმორეულმა უარდამ. — მსგავსი აზრები მეც მომსვლია თავში. სანამ ავად გავხდებოდი, საღამოობით ხშირად ჩავდიოდი ხოლმე წყლის ამოსატანად ნილოსზე, იმ ადგილას, სადაც ნავმისადგომთან წყლის დიდი ბორბალი დგას. ათასობით წვეთი იფრქვეოდა თიხის ხაპებიდან, და თითოეულში თითო მთვარე ირეკლებოდა, ცაზე კი მხოლოდ ერთი მთვარე ანათებდა. მაშინ გავიფიქრე, ალბათ ასევე ემართება-მეთქი სიყვარულსაც ადამიანის გულში. სიყვარული ერთია მხოლოდ, ჩვენ კი მას უამრავ გულში აღვძრავთ, და ისიც არ ქრება, ძალა არ ეკარგება. აქამდე ჩემს მოხუცებზე, მამაზე, პატარა შერაუზე, ღმერთებზე და პენტაურზე ვფიქრობდი. ახლა კი მინდა შენც გარგო ამ სიყვარულის წილი!

— მხოლოდ ერთი წილი? — ჰკითხა რამერიმ.

— ის ხომ მთლიანად აისახება შენში, ისევე, როგორც მთვარე თითოეულ წვეთში.

— ასეც იქნება! — წამოიძახა ფარაონის ვაჟიშვილმა, ხელი შემოაჭდო გოგონას წერწეტ და მთრთოლვარე ტანზე და ორივე ნორჩი არსება მხურვალე და უმანკო კოცნით შეირწყა.

— ახლა კი წადი, — ჩასჩურჩულა უარდამ,

— ნება მომეცი ცოტა ხანს კიდევ დავრჩე — სთხოვა რამერიმ. — აი აქ, ქოხის წინ ჩამოვჯდეთ სკამზე. მესერს მოვეფაროთ გამვლელებისგან, თუმცა ამ დროს ხეობაში ხომ ადამიანის ჭაჭანებაც არ არის.

— ეტყობა, ჩვენ მაინც ცუდ რაღაცას ვჩავდივართ, — ფიქრიანად თქვა უარდამ. — სხვანაირად ხომ არ დაგვჭირდებოდა ხალხისგან დამალვა.

— განა შენ ცუდად მიგაჩნია ის, რასაც ქურუმი ტაძარში აკეთებს? — ჰკითხა რამერიმ. — ესეც ხომ დაფარულია ხალხის თვალისგან.

— როგორ დამაჯერებლად ლაპარაკობ, — ღიმილით უთხრა უარდამ. — ეს ყველაფერი იმიტომ, რომ წერა-კითხვა იცი. შენ ხომ მისი მოწაფე იყავი.

— დიახ, ვიყავი! — წამოიძახა რამერიმ. — შენ ხომ პენტაურზე ლაპარაკობ? ის მუდამ ჩემი საყვარელი მასწავლებელი იყო. მაგრამ იმაზე კი გული მომდის, რომ პენტაურს ისე იგონებ, თითქოს მასზე ძვირფასი ამქვეყნად არავინ გყავდეს. აკი თქვი, პენტაური ის წვეთიაო, რომელშიც შენი სიყვარული აირეკლება? მე კი არა მსურს ჩემი სიყვარული სხვას გავუზიარო!

— როგორ ბედავ ამის თქმას! — შეაწყვეტინა უარდამ. ნუთუ პატივს არ სცემ მამას ან ღმერთებს? შენსავით არავინ მიყვარს, და ის საოცარი შეგრძნება, შენი კოცნით რომ მომანიჭე, სულაც არ ჰგავდა მთვარის შუქს; არა, ამ გრძნობამ შუადღის მზესავით დამწვა. საკმარისია, შენზე ვიფიქრო, მოსვენე-

ბას ვკარგავ. უნდა გამოგიტყდე, რომ ამ დილას ოცჯერ მაინც გამოვიხედე კარიდან და ერთთავად ვეკითხებოდი ჩემს თავს: „ნუთუ არ მოვა ჩემი მხსნელი, ჩემი საყვარელი, ალერსიანი და თმახუჭუჭა ბიჭი, თუ აბუჩად მიგდებს საწყალ გოგოს?“ მაგრამ შენ მოხვედი, და მეც ისეთი ბედნიერი ვარ, რომ სიხარულისგან გული საგულეში აღარ ეტევა. უწინდებურად ალერსიანი იყავი, თორემ ქოჩორს სულ აგიწეწავ!

— რა გაეწყობა, — დაეთანხმა რამერი. — შენი პატარა ხელები ვერაფერს დამაკლებენ, მაგრამ მე უფრო შენი სიტყვებისა მეშინია. რა თქმა უნდა, პენტაური ჩემზე ჭკვიანია და ბევრადაც მჯობია, თანაც შენ დავალებული ხარ მისგან, მაგრამ მაინც ვისურვებდი...

— ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ! — შეაწყვეტინა ქალიშვილმა და სახე დაუდინჯდა. — ის სულ სხვანაირი ადამიანია. მას რომ ჩემი კოცნა მოენდომებინა, იმწამსვე ფერფლად ვიქცეოდი, ხოლო მისი ტუჩებისა ისევე შემეშინდებოდა, როგორც ლომის ხახისა. თუმცა შენ გეცინება, მაგრამ მე მტკიცედ მწამს, რომ იგი ღმერთია. მამამისმა მითხრა, რომ უდიდესი სასწაული მოხდა მისი დაბადების მეორე დღესვე. დედაბერი ხექტი ხშირად მაგზავნიდა ხოლმე მებაღესთან პენტაურის ამბის გასაგებად. მამამისი უხეში კაცია, მაგრამ თან გულკეთილიც. თავიდან მეტად ცივად შემხვდა, მაგრამ, როცა ნახა, როგორ მომწონდა მისი ყვავილები, შემიყვარა და საქმესაც კი მაძლევდა ხოლმე; გვირგვინებს ვწნავდი, თაიგულებს ვკრავდი და მყიდველებთან დამქონდა. ხოლო როცა მოჭრილ ყვავილებს ვახარისხებდით, თავის შვილზე მიყვებოდა, მის სილამაზეზე, ნიჭზე და გულკეთილობაზე. ბავშვობიდანვე ლექსების თხზვა დაუწყია, კითხვა კი თვითონ უსწავლია, სხვის დაუხმარებლად. როცა ეს მთავარ ქურუმს ამენის შეუტ-

ყვია, ბიჭი სეთის სახლში წაუყვანია, სადაც მებაღისდა გასაოცრად გაიზარდა კიდეც. ამას წინათ მე და ბერიკაცი ყვავილების კვლებს შორის დავდიოდით, და ჩვეულებისამებრ, ისიც მხოლოდ პენტაურზე ლაპარაკობდა, მერე კი უეცრად საოცრად ლამაზ, ფართოფოთლებიან ბუჩქთან შეჩერდა და თქვა: „ჩემი ბიჭი ამ ბუჩქს ჰგავს, რომელიც თავადაც არ ვიცი, როგორ გაჩნდა აქ. წყალგაღმა, თებეში ნაყიდ სხვა თესლებთან ერთად ესეც დავთესე, და ახლა არავინ უწყის, სადაურია ეს მცენარე, მაგრამ ის ჩემია, მე მეკუთვნის! და ეგვიპტური რომ არ არის, ეს კი ცხადია! განა პენტაურმა სიმაღლეში არ გაგვასწრო ყველას — მეც, დედამისს, და-ძმას, ისევე, როგორც ამ ბუჩქმა დანარჩენ ბუჩქებს. ყველანი გამხდრები და ტანმორჩილები ვართ, ის — ტანწერწეტა და მაღალია; ჩვენ შავგვრემნები ვართ, ის პირთეთრი. ჩვენი მეტყველება ტლანქია, პენტაური პირიქით, ენამზიანია. ჰო, მე სწორედ აგრე ვფიქრობ — ის ღმერთების შვილია, და იმათ მომიგდეს ჩემს საწყალ სახლში. ვინ ჩასწვდება მათ ზრახვას?“ დღესასწაულზე რამდენჯერ მეც მინახავს პენტაური და აკი ვამბობ კიდეც: „სეთის სახლის სხვა რომელი ქურუმი შეედრება მას თვალტანადობითა და მიხრა-მოხრით?“ იგი ყოველთვის ღმერთად მიმაჩნდა, მას შემდეგ კი, რაც სიკვდილს გადამარჩინა, როცა არაადამიანური ძალით უკუაგდო ბრბო, განა შემიძლია თაყვანი არ ვცე ამ უზენაეს არსებას? ამიტომაც ქვემოდან ზევით ვუყურებ, მაგრამ პირდაპირ თვალებში ჩახედვას, აი როგორც ახლა შენ გიყურებ, ვერასოდეს გავუბედავ! მას რომ თვალი გავუსწორო, სისხლი კი არ ამიჩქროლდება, პირიქით, ძარღვებში გამეყინება. როგორ აგიხსნა კიდევ? ჩემი სული შენ გპოულობს მუდამ, როცა კი წინ ვიყურები, მაგრამ იმის საპოვნელად კი ის ცამდე უნდა ამაღლდეს. შენ ჩემთვის ცოცხა-

ლი ვარდების გვირგვინი ხარ, რომელიც მამკობს და მამშვენებს, ის კი წმინდა დაფნის ხეა, რომლის წინაშეც თავს ვხრი!

რამერი უხმოდ უსმენდა და მერე უთხრა:

— მე ახალგაზრდა ვარ და ჯერ ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი, მაგრამ მოვა დრო, როცა მეც შევხედავ, ოღონდ არა დაფნის ხესავით, არამედ როგორც სიკომოროს, რომლის ჩრდილშიც ტკბილ სავანეს ჰპოვებს კაცი. ჩემი სიხარული უკვე გაქრა, და ახლა მივდივარ, რათა ერთ მეტად მნიშვნელოვან საქმეს შევუდგე. პენტაური უკვე მოწიფული კაცია, მე კი მხოლოდ ვისწრაფი ასეთი გავხდე. და შენც ვარდების გვირგვინი იქნები და გაალამაზებ ჩემს ცხოვრებას. მამაკაცები, რომელთაც ყვავილებს ადარებენ, მეჯავრებიან.

უფლისწული წამოდგა და მარჯვენა ხელი არდას გაუწოდა.

— რა ძლიერი ხელი გქონია, — უთხრა ქალიშვილმა, — შენც შესანიშნავი ადამიანი გახდები და შენი მარჯვენით ბევრ კეთილსა და დიად საქმეს გააკეთებ. შეხედე: ხელი ისე ჩამომართვი, რომ თითები სულ დამიწითლდა. თუმცა არც ეს თითებია მთლად უსარგებლო. მართალია, მათ სიმძიმე არასოდეს აუწევიათ, მაგრამ ყველაფერი, რასაც კი უვლიდნენ, პაპაჩემის თქმისა არ იყოს, შესანიშნავად ხარობდა; „ბედნიერი“ ხელები გაქვსო, ხშირად მეუბნებოდა. შეხედე ამ ლამაზ შროშანებს, ან ბროწეულის ბუჩქს აგერ კუთხეში. მიწა პაპაჩემმა ჩამოზიდა ნილოსის ნაპირიდან, თესლები პენტაურის მამამ მაჩუქა; ყოველ ღივს, სანამ გაიხარებდა, თავს ვევლებოდი, დიდი გაჭირვებით ვრწყავდი, რადგან წყალს თვითონ ვეზიდებოდი პატარა დოქით; ჰოდა, შრომაც დამიფასდა; აჰა, აიღე ბროწეულის ყვავილი! ეს პირველი ყვავილია, რომელიც ჩემმა ბუჩქმა გამოისხა: ის არაჩვეულებრივია. როცა მაგარი კოკორი გაიკეთა, რომელიც თანდათან დამრგვალდა და მო-

წითალო ფერი მიიღო, ბებიამ მითხრა: „ჰო, ალბათ შენი გულიც მალე კოკორს გამოიღებს და გაიფურჩქნებაო“, ახლა მივხვდი, რაზე ფიქრობდა ის მაშინ, და ამიტომ ორივე პირველი ყვავილი შენ გეკუთვნის — აი, ეს წითელი, ბროწეულის ბუჩქიდან მოწყვეტილი, და მეორე — მართალია, არ ჩანს, მაგრამ უფრო კაშკაშაა.

რამერიმ ყვავილი ტუჩებზე მიიდო და უარდას ხელი გაუწოდა. მაგრამ უეცრად გოგონა გვერდზე გადახტა, რადგან მესერში ვიღაც შემოძვრა.

ეს პატარა შერაუ იყო, რომელიც ხექტის ნებით ჯუჯა უნდა გამხდარიყო. ლამაზი სახე სირბილისაგან ასწითლებოდა, სულს ძლივს ითქვამდა. არ იცოდა, რითი დაეწყო სათქმელი და ერთხანს შეშინებული უყურებდა რამერის.

უარდამ ბიჭს შეხედა და მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც უჩვეულო ამბავმა მოიყვანა აქ. ალერსიანად დაუკრა თავი, ხოლო როცა ბიჭმა უთხრა, რომ პირისპირ სურდა ლაპარაკი, აუხსნა, რომ რამერი მისი საუკეთესო მეგობარი იყო და შიში ნუ ექნებოდა.

— კი მაგრამ, საქმე მარტო მე და შენ როდი გვეხება, არამედ კეთილ წმინდა მამას პენტაურსაც, რომელიც მაშინ ალერსიანად მომეპყრო, შენ კი სიცოცხლე გაჩუქა.

— მე ძალიან მიყვარს პენტაური, — წამოიძახა უფლისწულმა. — შერაუს თამამად შეუძლია ილაპარაკოს ჩემი თანდასწრებით, ხომ მართალია, უარდა!

— მართლა? — ჰკითხა ბიჭმა. — კიდევ უკეთესი. გამოქვაბულიდან გამოვიპარე. ხექტიც წუთი წუთზე უნდა დაბრუნდეს, ადგილზე თუ არ დავუხვდი, ტყავს გამაძრობს და საჭმელსაც აღარ მომცემს.

— ვინ არის ეგ საზიზღარი ხექტი? — აღშფოთდა რამერი.

— მაგას სხვა დროს უარდა მოგიყვება, — სხაპასხუპით ჩაილაპარაკა ბიჭმა. — ახლა კი მომისმინეთ. ხექტმა ფიცარზე გამაკრა გამოქვაბულში, ზემოდან ტომარა გადამაფარა, და ამ დროს მასთან ჯერ ნემუ, მერე კი ვიღაც კაცი მოვიდა. დედაბერი „სახლთუხუცესს“ უწოდებდა მას. რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. თავიდან არ ვუსმენდი, მერე უეცრად პენტაურის სახელი გავიგონე. მაშინ ტომრიდან თავი გამოვყავი და ყველაფერი მოვისმინე. სახლთუხუცესმა თქვა, რომ პენტაური ბოროტი კაცია და ყველაფერში ხელს უშლის; შემდეგ ხექტს უამბო, რომ მთავარ ქურუმს ამენის გადაწყვეტილი აქვს პენტაური ხენუს ქვის სატეხში გაგზავნოს; იმ კაცმა ისიც თქვა, რომ ეს მეტად მცირე სასჯელიაო. მაშინ ხექტმა ურჩია, საიდუმლოდ უბრძანოს კაპიტანს, რომ ხენუს ჩაუაროს და გემი პირდაპირ ეთიოპიაში წაიყვანოს, იმ საშინელ მაღაროებში, რომელთა შესახებაც ხშირად მიყვებოდა ხოლმე დედაბერი, და სადაც სული ამოხდათ მამამისსა და ძმებს.

— იქიდან ჯერ არავინ დაბრუნებულა! — შეჰყვირა რამერიმ. — მერე, მერე, განაგრძე!

— მერე ყველაფერი ვერ გავიგე, მაგრამ ხექტმა რაღაც წამალი ახსენა, რომელიც თურმე აგიჟებს ადამიანს. ო, რამდენი რამის მოსმენა და ნახვა მიწევს! დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი გაკრული ფიცარზე მთელი სიცოცხლე, მაგრამ ყველაფერი ეს საშინელებაა... ოჰ, უმჯობესია, მოვკვდე!

და ბიჭი მწარედ ატირდა.

უარდას ფერი ეცვალა; ბიჭს ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი, რამერიმ კი წამოიძახა:

— ეს საშინელებაა! გაუგონარი ამბავია! ვინ იყო ის სახლთუხუცესი? მისი სახელიც ვერ გაიგე? თავი შეიკავე, ბიჭუნა, გეყოფა ტირილი! აქ ლაპარაკია ადამიანის სიცოცხლეზე! ვინ

იყო ის არამზადა? ნუთუ ერთხელ მაინც არ მიმართა სახელით? აბა, მოიგონე!

შერაუმ ტუჩი მოიკვნიტა და შეეცადა დაწყნარებულიყო. მართლაც, ცოტა ხანში ცრემლები გაუშრა, მან დაგლეჯილი პერანგის უბეში ჩაიყო ხელი. და მოულოდნელად წამოიძახა:

— მოიცათ, შეიძლება კიდეც გამოიცნოთ, მე ის გამოვძერწე.

— რა გამოძერწე? — ვერ გაიგო რამერიმ.

— მე ის გამოვძერწე, — გაიმეორა პატარა მოქანდაკემ და უბიდან ფრთხილად ამოიღო რაღაც ჩვარში შეხვეული. — მხოლოდ მის თავს ვხედავდი კარგად, როცა ლაპარაკობდა, გვერდით კი თიხის გუნდაც აღმომაჩნდა. როცა აფორიაქებული ვარ, აუცილებლად რაღაც უნდა გამოვძერწო. ჰოდა, მეც სასწრაფოდ ძერწვა დავიწყე. რაკი შევატყვე, რომ კარგად გამომივიდა, უბეში შევინახე, რომ მერე ოსტატისთვის მეჩვენებინა, როცა ხექტი წავიდოდა.

ბიჭმა აკანკალებული თითებით გახსნა ჩვარი და თიხის გუნდა უარდას გაუწოდა.

— ანი! — სახტად დარჩა რამერი. — რა თქმა უნდა, ის არის! ვინ მოიფიქრებდა? რას ერჩის პენტაურს? ან ქურუმმა რა დაუშავა?

წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ თავში ხელი შემოირტყა და წამოიძახა:

— აჰ, რა ბრიყვი ვარ! რა ბავშვი ვარ! სხვანაირად არც შეიძლება მიწოდოს კაცმა! ყველაფერი გასაგებია. ანიმ ბენტ-ანატს ხელი სთხოვა, მან კი... უარდა, შენ რომ შეგიყვარე, მხოლოდ მაშინ გავიგე, რა ხდება ჩემი დის გულში. შორს ტყუილი! მეტად აღარ ვიცრუებ! მე სრულებითაც არა ვარ წარჩინებული ახალგაზრდა ბენტ-ანტის ამალიდან — მე მისი ძმა

ვარ და თვით ფარაონის, რამზესის ღვიძლი შვილი. სახეს ნუ მალავ, უარდა! დედაშენისეული ძვირფასეულიც რომ არ მენახა, და მე ფარაონის შვილი კი არა, თვით ჰორე, იზიდას ვაჟიშვილი ვყოფილიყავი, მაინც, სულ ერთია, შენ შეგიყვარებდი. მაგრამ ახლა ლოლიაობის დრო არ არის — საჭიროა ვიმოქმედოთ, და მეც ვაჩვენებ ყველას, რომ უკვე ბიჭი აღარა ვარ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, პენტაური უნდა ვიხსნათ! მშვიდობით, უარდა, არ დამივიწყო!

რამერი უნდა გაქცეულიყო, მაგრამ შერაუმ შეაჩერა და გაუბედავად ჩაილაპარაკა:

— შენ ამბობ, რომ რამზესის შვილი ხარ. ფარაონზეც რაღაცას ეჩურჩულებოდა ხექტი იმ კაცს და მამაშენი ჩვენს ბუმბულგაცვენილ ქორს შეადარა.

— მალე საკუთარ თავზე გამოცდიან არწივის ბრჭყალებს! — შესძახა რამერიმ. — კიდევ ერთხელ მშვიდობით!.

მან ხელი გაუწოდა უარდას, გოგონა ეამბორა, მაგრამ ყმაწვილმა აღარ აცალა, შუბლზე აკოცა და მოკურცხლა.

გაფითრებული უარდა მდუმარედ უყურებდა მიმავალ უფლისწულს; დაინახა, როგორ ჩაურბინა რამერიმ ვიღაც კაცს, რომელშიც მაშინვე მამამისი შეიცნო და მის შესახვედრად გაექანა. მეომარი თურმე შვილთან გამოსამშვიდობებლად მოდიოდა, რადგან მას ტუსაღებით დატვირთული ორჩხომელის გაცილება დაავალეს.

— ხენუში? — მოუთმენლად იკითხა უარდამ.

— არა, ჩრდილოეთში, — უპასუხა ჟღალწვერა მეომარმა.

მაშინ გოგონამ ყველაფერი უამბო, რაც კი შერაუსაგან შეიტყო, და მამას ჰკითხა, შეეძლო თუ არა დახმარებოდა მის მხსნელ ქურუმს.

— ფული რომ მქონდეს! — ჩაილაპარაკა მეომარმა.

— ფული გვაქვს! — მიუგო უარდამ, და მოუყვა ნებსეხტის გულუხვ საჩუქარზე და თან დაატანა: — შენ ოღონდ ნილოსზე გადამიყვანე, და ორ საათში უცბად გაგამდიდრებ.[163] თუმცა არა, ავადმყოფ ბებიას ხომ ვერ დავტოვებ! ეს ბეჭედი აიღე და გახსოვდეს: მათ პენტაურის დასჯა სურთ იმისათვის, რომ ჩვენ გამოგვექომაგა.

— მე უკვე გავიგე. — თქვა მეომარმა. — სიცოცხლეს არ დავიშურებ მის გადასარჩენად და თავსაც ვანაცვალებ. ნაირ-ნაირი გეგმების მოფიქრება არ მეხერხება, მაგრამ რაღაც-რაღაცები მეც გამეგება, და, თუ ბედმა გამიღიმა, მაშინ ოქროს საბადოებამდე მისვლა არც დასჭირდება. აი ამ ღვინიან ბოთლს აქ დავდგამ და მხოლოდ ერთ ყლუპ წყალს დავლევ! რამდენიმე საათს ფხიზლად უნდა ვიყო.

— აჰა, წყალი, მაგრამ ცოტა ღვინოს მაინც გავურევ. იმედი მაქვს, შინ მობრუნდები და ამბავს შემატყობინებ.

— ეს შეუძლებელია, რადგან შუაღამეზე უკვე გავდივართ. მაგრამ თუ ვინმემ ეს ბეჭედი მოგიტანოს, იცოდე, რომ ფანდმა გასჭრა.

უარდა ქოხში შევიდა, მამაც თან შეჰყვა ავადმყოფ დედასთან გამოსამშვიდობებლად, ხოლო როცა ისევ ეზოში დაბრუნდნენ, ქალიშვილს უთხრა:

— ჩემს ჩამოსვლამდე ფარაონის ასულის საჩუქრები უნდა იმყოფინოთ, მე კი იმ ფულის ნახევარი დამჭირდება მხო-

---

[163] შევნიშნავთ, რომ ძველ ეგვიპტეში ქალებს უფლება ჰქონდათ საკუთარი ქონების ბატონ-პატრონები ყოფილიყვნენ. ასე, მაგალითად, ერთ პაპირუსში მოვალის ქალიშვილმა და გამსესხებლის ვაჟიშვილმა დადეს ხელშეკრულება; ორივე იმავე სოციალური ფენის წარმომადგენელია, როგორც უარდა (ავტ. შენიშვნა).

ლოდ, ექიმმა რომ მოგცა. ჰო, ბროწეულის ყვავილი რაღა იქ-ნა?

— მოვწყვიტე და საიმედო ადგილას შევინახე.

— უცნაური ხალხი ხართ ეს ქალები! — ჩაიბუტბუტა წვერო-სანმა მეომარმა, ქალიშვილს შუბლზე ეამბორა და ნილოსის-კენ გაემართა.

* * *

ამასობაში რამერიმ სანაპიროსაც მიაღწია. ნეკროპოლის ნავსადგურში, საიდანაც ჩვეულებრივ ღამღამობით გადიოდ-ნენ გემები ტუსაღებითურთ, მან გაიგო ხენუში მიმავალი ორ-ჩხომელის ადგილსამყოფელი. შემდეგ ნილოსზე გადავიდა და ბენტ-ანატთან გაეშურა. და და ნეფერტი ძლიერ აღელვე-ბულები დაუხვდნენ, რადგან ერთგულმა კარისკაცმა ანის ამალაში მყოფი სანდო ხალხის მეშვეობით შეიტყო, რომ ვე-ზირმა დააკავა სირიაში გაგზავნილი ყველა წერილი, მათ შო-რის ფარაონის შვილების ბარათებიც კი.

ერთ-ერთმა მსახურმა ბენტ-ანატს ისეთი ცნობები მიაწო-და, რომ უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა ვეზირის პატივმოყ-ვარულ გეგმებში. გარდა ამისა, ურჩიეს, რომ ნეფერტთან სიფრთხილე მართებდა, რადგან დედამისი ანის ერთგული მრჩეველი იყო.

ამ გაფრთხილებაზე ბენტ-ანატს უნებლიეთ გაეღიმა და მა-შინვე მსახურის პირით შეუთვალა ვეზირს, რომ მზად არის მოსალოცავად წავიდეს ზურმუხტოვან ხატორთან და შეასრუ-ლოს განწმენდის წეს-ჩვეულება მის ტაძარში.

მას განზრახული ჰქონდა იქიდან შიკრიკი გაეგზავნა მამასთან და, თუკი მოახერხებდა, გადასულიყო კიდეც მის ბანაკში. ეს გეგმა მეგობარსაც გაუზიარა. ნეფერტი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც მეუღლის ნახვა ღირსებოდა.

რამერისაც დაუყოვნებლივ გაანდეს ყველაფერი; მან კი, თავის მხრივ, ბენტ-ანატს უამბო, რისი გაგებაც შეძლო; თანაც აგრძნობინა, რომ ხვაშიადს მიუხვდა. ამ ანცმა ყმაწვილმა ლაპარაკში და მიხრა-მოხრაში მოულოდნელად იმდენი ღირსება და სერიოზულობა გამოავლინა, რომ ბენტ-ანატმა გუნებაში გაიფიქრა: „საფრთხემ, ჩვენს ოჯახს რომ ემუქრება, როგორ უცბად გარდაქმნა ბიჭი მოწიფულ ვაჟკაცად“.

ბენტ-ანატმა ძმას ჩანაფიქრი მოუწონა. რამერის კი გადაწყვეტილი ჰქონდა მზის ჩასვლისთანავე, ერთგულ მსახურთან ერთად, ფიცხი ცხენებით გამგზავრებულიყო კანოპს, იქიდან უდაბნოს გავლით მისულიყო მეწამულ ზღვასთან. აქედან კი დაქირავებული ფანიკიური ხომალდით აილუში ჩავიდოდა. შემდეგ ფიქრობდა გადაელახა სინის ნახევარკუნძულის კლდოვანი მთები და, რაც შეიძლება, სწრაფად მიეღწია ეგვიპტელთა ლაშქრამდე, რომ მამისთვის ეცნობებინა ანის ხრიკების შესახებ.

ბენტ-ანატს განზრახული ჰქონდა ერთგული კარისკაცის დახმარებით პენტაურის გადარჩენა. ფული საკმარისი ჰქონდათ, რადგან ხაზინადარიც სანდო კაცი იყო. საქმე ის იყო, როგორმე დაეყოლიებინათ კაპიტანი, ხენუში შეჩერებულიყო.. იქ პოეტი მეტ-ნაკლებად გასაძლის პირობებში აღმოჩნდებოდა. ერთდროულად უნდა გაეგზავნათ საიმედო შიკრიკი წერილით ხენუს მმართველთან და ფარაონის სახელით ებრძანებინათ მისთვის, დაეკავებინა ხენუს შორიახლო ვიწროებში გამავალი ყველა გემი, და, რადაც უნდა დასჯდომოდა,

ხელი შეეშალა ეთიოპიაში იმ დამნაშავეთა გადაყვანისათვის, რომელთაც მის ქალაქში, ქვის სატეხში ჰქონდათ მისჯილ მუშაობა.

რამერი ქალებს გამოემშვიდობა და მალე შეუმჩნევლად დატოვა თებე.

ბენტ-ანატი სამლოცველოში წავიდა და მუხლმოყრილი დიდხანს იდგა გარდაცვლილი დედის, ქალღმერთ ხატორისა და ფარაონის ოჯახის მფარველი ღმერთების ქანდაკებების წინ, ვიდრე კარისკაცი არ დაბრუნდა და აცნობა, რომ დაიყოლია კაპიტანი ანისგან მალულად ხენუში შეჩერებულიყო.

მეფის ასულმა შვებით ამოისუნთქა. მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, თუკი ერთგულ მსახურს არაფერი გამოუვიდოდა, თვითონ გადასულიყო ნეკროპოლში, შეეჩერებინა გემი, და, უკიდურეს შემთხვევაში, მამამისის სახელით დაერაზმა ხალხი ანის წინააღმდეგ.

მეორე დღეს ქათუთიმ სთხოვა მეფის ასულს ნება დაერთო ქალიშვილს დალაპარაკებოდა. ბენტ-ანატი მათ საუბარში არ ჩარეულა. ქათუთი ძალიან ცდილობდა რამენაირად გადაეთქმევინებინა შვილისთვის მეგობართან ერთად გამგზავრება და შინ წაყვანაც კი დაუპირა, მაგრამ ნეფერტის გადაწყვეტილება მაინც უცვლელი დარჩა.

ქათუთიმ ქალიშვილის უარი შეურაცხყოფად მიიღო. გულმოსული და შეშფოთებული ანისთან გაექანა და სთხოვა ძალით დაეტოვებინა შინ ნეფერტი, მაგრამ აქაც ვერაფერს გახდა. ვეზირი მოერიდა ამ ამბის გახმაურებას და ამჯობინა ბენტ-ანატი ისე გამგზავრებულიყო, რომ აზრადაც არ გაევლო მისი მუხანათობა.

— ნუ ღელავ, — უთხრა ქვრივს, — ქალებს საიმედო რაზმს ვატან, რომელიც იმდენ ხანს შეაჩერებს მათ ზურმუხტოვან

ხატორთან, ვიდრე აქ ყველაფერი არ გადაწყდება. აი, მაშინ შეგეძლება მიჰგვარო ნეფერტი იმ ხეპრე პააკერს, თუ, რა თქმა უნდა, კიდევ მოისურვებ მის სიძეობას. ხოლო რაც შემეხება მე, ბოლოს და ბოლოს, ქედს მოვახრევინებ ჩემს ამაყ ძმისშვილს. დაე, ვიყო მისი მეორე სიყვარული, მერე რა, ჩემთვისაც ხომ ის პირველი არ არის!

დილაადრიან ქალები გზას გაუდგნენ.

ანიმ გზა დაულოცა მათ. ისინი კი ცივი თავაზიანობით გამოემშვიდობნენ.

ამონის ტაძრის ქურუმებმა მოხუც ბეკ-ენ-ხონსუს მეთაურობით ნავსადგურამდე მიაცილეს ქალები. სანაპიროზე თავმოყრილი ხალხი ბენტ-ანატის სახელს გაჰყვიროდა და გზას ულოცავდა, მაგრამ აქა-იქ დამცინავი შეძახილებიც გაისმოდა.

მომლოცველთა ნილოსის გემს „მათ დასაცავად“ მეომრებით სავსე ორი ხომალდი მიჰყვებოდა.

სამხრეთის ქარმა იალქნები დაბერა და სწრაფად გააქანა ხომალდი დინების მიმართულებით. მეფის ასული გემბანზე იდგა და ჩაფიქრებული შეჰყურებდა ხან თავისი წინაპრების სასახლეს, ხან კი ნეკროპოლის აკლდამებსა და ტაძრებს. ბოლოს თვალს მიეფარნენ ამენხოტეპის კოლოსები და თებეს უკანასკნელი სახლებიც. ყმაწვილმა ქალმა მწარედ ამოიოხრა და ლოყაზე კურცხალი ჩამოუგორდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ბრძოლის ველიდან დამარცხებული გამორბოდა, მაგრამ თავი ვაჟკაცურად ეჭირა და მომავალი გამარჯვების იმედს არ ჰკარგავდა.

ის იყო, კაიუტაში შებრუნდა, რომ გზა საბურველში გახვეულმა გოგონამ გადაუღობა. მან სახე გამოაჩინა და ბენტ-ანატს მიმართა:

— მაპატიე, მეფის ასულო, მე უარდა ვარ, რომელსაც ეტ-ლით გადაუარე, შემდეგ კი ესოდენ გულუხვად დააჯილდოვე. ბებიაც მომიკვდა, და სულ მარტოდმარტო დავრჩი. შენს მო-ახლეებთან ერთად შემოვიპარე აქ, რათა თან გეახლო და გა-ვაკეთო ყველაფერი, რასაც კი მიბრძანებ. მხოლოდ გეხვეწე-ბი, ნუ გამაგდებ!

— დარჩი, ჩემო გოგონა, — ალერსიანად უთხრა ბენტ-ანატ-მა და თავზე ხელი გადაუსვა.

გოგონას სიტურფით მოხიბლულ მეფის ასულს ძმა გაახ-სენდა და მისი გულის წადილი — ვარდით შეემკო უარდას ოქ-როსფრად მოელვარე თმა.

თავი მეოთხე

ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც პენტაური დააპატიმრეს და ბენტ-ანატი თებედან გაემგზავრა.

სინის ნახევარკუნძულის დასავლეთ მხარეს ანტ-ბაბას ხეობაში ხალხისა და საპალნიან პირუტყვთა გრძელი მწკრივი მიედინებოდა.[164]

ზამთარი იყო, მაგრამ შუადღის მზე ძლიერ აცხუნებდა და შიშველი კლდეები მის ალმურს ირეკლავდნენ.

მწკრივს წინ მიუძღოდა ლიბიის მსროლელთა რაზმი, ზუსტად ასეთივე რაზმი მისდევდა ბოლოშიც. თითოეული მეომარი შეიარაღებული იყო სატევრით, საომარი ჩუგლუგით, ფარითა და შუბით და, როგორც ეტყობოდა, მზად იყო ყოველ წუთს გამოეყენებინა იარაღი. საქმე ის იყო, რომ მაფკატის სამთო მაღაროებიდან წამოყვანილ კატორღელებს ახლა ბადრაგით მიერეკებოდნენ მეწამული ზღვის სანაპიროსკენ. მათი მაღაროდან ამოღებული ლითონი მიჰქონდათ, ხოლო უკან დაბრუნებისას ეგვიპტიდან ჩამოტანილი სურსათი უნდა წამოეღოთ და მაღაროს საწყობში გადაეტანათ.

უზომოდ მძიმე ტვირთისგან წელში მოხრილები, დასიცხულები და ქანცგაწყვეტილები საცოდავად მიჩანჩალებდნენ ხეობის ქვიშიან ძირზე; კოჭებზე ყველას სპილენძის ნაჭედი ჯაჭ-

---

[164] ვითარება და ფონი, რომელზედაც აქ აღწერილი მოვლენები იშლება, შევეცადეთ, რაც შეიძლება ზუსტად აგვეწერა სინამდვილესთან შეფარდებით. ვინც კი ოდესმე ყოფილა ამ თავისებურ მთიან უდაბნოში, ის ვერასოდეს დაივიწყებს მას. ხეობას, რომელსაც დღეს „ბაბა“ ჰქვია, ასევე უწოდებდნენ ფარაონების დროსაც. (ავტ. შენიშვნა).

ვი ჰქონდა ჩამოცმული, თეძოებზე შემოხვეული დაგლეჯილი ძონძებიღა იცავდნენ მათ მზისა და ღამის სუსხისაგან.

ტვირთის სიმძიმისაგან ძალღონეგამოცლილნი უაზროდ მიწას მისჩერებოდნენ და მდუმარედ მიაბიჯებდნენ წინ.

თუ რომელიმე მათგანი არაქათგამოლეული გზაზე ჩაიკეცებოდა, მას მაშინვე ერთ-ერთი ცხენოსნის მათრახი გამოაფხიზლებდა; მხედრები კატორღელთა მწკრივს ორივე მხრიდან მიჰყვებოდნენ.

ხმას არავინ იღებდა, არც პატიმრები და არც მებადრაგენი; ისინიც კი, ვისაც მათრახს უტყლაშუნებდნენ, კრინტს არ ძრავდნენ, ყველას ისე გაშრობოდა ყელი, რომ ენას ვერ ძრავდნენ. ხოლო მებადრაგეებს გულში იოტისოდენა სიბრალულიც კი აღარ შერჩენოდათ, ისევე, როგორც შიშველ კლდეებს თუნდაც ერთი მწვანე ბალახის ღერი.

ჩრდილების პროცესიას ჰგავდა ეს ნაღვლიანი სვლა; მხოლოდ დროდადრო რომელიმე ტანჯულის მკერდიდან აღმომხდარი გმინვა მეტყველებდა იმაზე, რომ ყველა ისინი მაინც ადამიანები იყვნენ. ფეხები უხმოდ ეფლობოდათ ქვიშაში, მთებიც ვერ იმეტებდნენ მხსნელი ჩრდილის ნაგლეჯსაც კი, თაკარა მზე უწყალოდ აცხუნებდა; ყველაფერი უსიცოცხლო და ულმობელი იყო ირგვლივ. არც ჭია, არც ბალახის ღერი არ ჩანდა ამ მურა ფერდობებზე. ცაში ფრინველის ჭაჭანებაც კი არ იყო, რომ საცოდავ ტვირთაკიდებულ ადამიანებს ზევით აეხედათ.

გუშინ ნაშუადღევს გამოვიდნენ ისინი თავიანთი ტვირთით ყურედან, სადაც ნავსადგური მდებარეობს. ორი საათი ნაპირ-

ნაპირ მიჰყვებოდნენ მეწამულ ზღვას,[165] რომლის მომწვანო ლურჯი წყალი სასიამოვნოდ ელვარებდა მზეზე; უკან მოიტოვეს კლდის შვერილი და დაბლობის ვიწრო ზოლი. მაღაროსკენ მიმავალი ხეობის თავში ღამის გასათევად შეჩერდნენ. ზედამხედველებმა და მეომრებმა კოცონი დაანთეს, მის გარშემო განლაგდნენ და მალე კლდის შვერილის ქვეშ დაწვნენ დასაძინებლად. კატორღელები კი ხეობის შუაგულში, პირდაპირ მიწაზე გაიშხლართნენ. დასაფარებელი არაფერი გააჩნდათ, და როცა დღის პაპანაქება ღამის სუსხმა შეცვალა, ისინი ცახცახმა აიტანა. გათოშილები დღის დამაძაბუნებელ პაპანაქებას ნატრობდნენ, იმ წუთში ხსნად რომ ეჩვენებოდათ, მაშინ, როცა სულ რამდენიმე საათის წინ დასვენებასა და ღამის სიგრილეზე ოცნებობდნენ.

დილით, ვიდრე გზას გაუდგებოდნენ, პატიმრები კარგად დააპურე ოსპის შეჭამანდით და გამხმარი კვერებით, მაგრამ წყალი მხოლოდ რამდენიმე ყლუპი დაალევინეს. ამის შემდეგ კოლონა კვლავ დაიძრა ხეობაში, რომელიც თანდათან სულ უფრო ხურდებოდა მზისგან. ყოველ ამ ქვაბულთან ისე მოჩანდა, თითქოს აქ ბილიკი წყდებოდა, მაგრამ კლდის უწყვეტ კედელში გასასვლელი მოჩანდა, ხოლო მის შემდეგ გრძელი უსასრულო ბილიკი იშლებოდა — უბედურ ტანჯვასავით გაუთავებელი.

აქ ქვაბულების უზარმაზარი კლდოვანი კედლები ისეთი შესახედავი იყო, თითქოს უხეშად გათლილი ფილებისგან

---

[165] მეწამულ ზღვას — ძველ ებრაულად „ლერწმის ზღვას“ — საოცარი მომწვანო-ლურჯი ფერი აქვს. ანტიკური ავტორების მონაცემების მიხედვით, მას წითელსაც უწოდებდნენ ან მისი მოწითალო ნაპირების ანდა მის სანაპიროზე მცხოვრები ერითრეელების (ბერძნ. „წითელი“) გამო. უძველესი სამეფოს ეპოქის ერთ-ერთ წარწერაში, მას „წითელი მიწის წყალსაც“ უწოდებდნენ .(ავტ. შენიშვნა).

აუგიათო. მაგრამ მხოლოდ ერთი კატორღელი აკვირდებოდა ამ უცნაურ ქვების გროვას, თავის გამოვლინებაში დაუშრეტელი ბუნების ნამოქმედარს.

ამ ახოვან კაცს გაცილებით ძლიერი ბეჭები ჰქონდა, ვიდრე მის ამხანაგებს, ამიტომ ტვირთიც ისე არ ემძიმებოდა, „ალბათ აქ, ამ ველურ უდაბნოში, რომელმაც მბრძანებლურად ჩაუკეტა ადამიანებს თავისი სამფლობელოს მისადგომები, ხნუმებს, რომლებმაც დედამიწა შექმნეს, თავი აღარ შეუწუხებიათ ნაპრალების ამოვსებითა და კლდეების მომრგვალებით, — ფიქრობდა იგი, — მაშ როგორღა მოხდა, რომ ეს მკაცრი მხარე, სადაც ადამიანების გულებიც კი სისასტიკისგან ქვავდებიან, კეთილ ქალღმერთ ხატორს მიუძღვნეს?[166] ან იქნებ ამ მიწა-წყალს ყველაზე უფრო მეტად ესაჭიროება კეთილი ქალღმერთის სიყვარული და მოწყალება?“

— მწკრივიდან ნუ გამოდიხარ, ხუნი! — გაისმა ზედამხედველის ხმამაღალი შეძახილი.

ის, ვისაც ეს უთხრეს, თავის მეზობელს — სულშეხუთულსა და ოფლში გაღვრილ ექიმ ნებსეხტს მიეკრა.

ეს იყო პენტაური, რომელიც მაღაროში ხუნის სახელით შეიტანეს სიაში; ასეც უწოდებდნენ აქ.

კატორღელები წინ მიიწევდნენ; კლდოვანი ბილიკიც სულ უფრო ციცაბო ხდებოდა. მასზე წითელი და შავი ნამსხვრევების მთელი გროვები იყო აჩხორილი; გეგონებოდათ, ეს უწვრილესი ნამტვრევები ადამიანის ხელმა დაამსხვრიაო.

გზაზე ახალი ქვაბული აღიმართა, მაგრამ ამჯერად უკვე იქიდან ვეღარ გამოვიდოდნენ.

---

[166] სინის ნახევარკუნძულის უძველეს მაღაროებში შემონახული ძეგლები მოწმობენ, რომ იქ ქალღმერთ ხატორის კულტი იყო გაბატონებული. (ავტ. შენიშვნა).

— ვირებს შეუმსუბუქეთ ტვირთი! — გასცა განკარგულება კოლონის უფროსმა.

ტვირთი, რომელიც ვირებს მოხსნეს, მისივე ბრძანებით ადამიანებს აჰკიდეს.

ქანცგაწყვეტილი კატორღელები ძლივძლივობით მიბობღავდნენ ზევით ციცაბო ფერდობზე.

პენტაურის წინ მიმავალი გაძვალტყავებული ბერიკაცი ტვირთიანად წაიქცა. ზედამხედველმა, რომელიც ამ ადგილას ვერაფრით ვერ გადაუსწრებდა მებარგულებს, ქვები დაუშინა მოხუცს, რათა აეძულებინა ამდგარიყო და წასულიყო.

ბერიკაცმა გულსაკლავად შეკივლა, და პენტაურს უნებურად მოხუცი პარასქიტი გაახსენდა, რომელიც გამძვინვარებული ბრბოს მსხვერპლი გახდა, მოაგონდა აგრეთვე ჩხუბი და ბენტ-ანატი. უცბად თავი ჯან-ღონით სავსე იგრძნო, მისი გული უბედური მოხუცისადმი სიბრალულით განიმსჭვალა. სწრაფი და მტკიცე მოძრაობით ბერიკაცს მხრებიდან ტომრები ჩამოხსნა, ზურგზე მოიკიდა და მოხუციც წამოაყენა. ამის შემდეგ ხალხი და პირუტყვი მშვიდობიანად გავიდნენ მთაზე.

პენტაურს სისხლი ხმაურით უჩქეფდა საფეთქლებში, სული ეხუთებოდა. ხოლო როცა მწვერვალიდან უკან მოიხედა, უნებურად შეკრთა ქვაბულის დანახვაზე, რომელსაც გარშემო თეთრი, რუხი, გოგირდივით ყვითელი, სისხლისფერი და შავი ფრიალო კლდეები შემორტყმოდა.

თებეში ქალღმერთ მუთის[167] წმინდა ტბა გაახსენდა, რომლის ირგვლივაც კვარცხლბეკებზე აღმართულიყო ამ ლომის-

---

[167] ქალღმერთი მუთი — ზეცის მბრძანებელი; მას განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს თებეში, სადაც ის ამონთან და ხონსუსთან ერთად თებეს სამებას შეადგენდა. ეგვიპტურად მისი სახელი „დედას“ აღნიშნავს, და მას მზის დედად თვლიდნენ. ჩვეულებრივ კი იგი, ისევე როგორც სოხმეტი,

თავიანი ქალღმერთის შავი ბაზალტისგან გაკეთებული ასობით ქანდაკება. და უფსკრულის გარშემო შემოჯარული კლდეები მან იმ ქანდაკებებს მიამსგავსა; ისინი უეცრად გაცოცხლდნენ, ამოძრავდნენ და საზარელი ხახა დააღეს. ყურთწამღებ, განუწყვეტელ ხმაურში თითქოს მათი მრისხანე ბრდღვინვა ჩაესმოდა, ხოლო მისთვისაც კი უზომოდ მძიმე ორმაგი ტვირთი იმ საზარელი ურჩხულების მოხვევად ეჩვენებოდა.

ფერდობის დაძლევა კი მაინც მოახერხა.

კატორღელებმა მხრებიდან ტვირთი მოიხსნეს და დასასვენებლად მიწვნენ, პენტაურმა ანგარიშმიუცემლად მიჰბაძა მათ. იგი უკვე მშვიდად სუნთქავდა, კოშმარული ზმანებაც გაუქრა, თვალის სინათლე და სმენა დაუბრუნდა, გონებაც ძველებურად უჭრიდა. ბერიკაცი და ნებსეხტი მის ფეხებთან მოკალათებულნი ისვენებდნენ.

ბერიკაცი ფრთხილად იზელდა კისერზე დაბერილ ძარღვებს და ღმერთებს შესთხოვდა წყალობის თვალით გადმოეხედათ მისი დიდსულოვანი მხსნელისთვის, მაგრამ კოლონის უფროსმა, გვერდზე რომ ჩაუარა, უხეშად შეაწყვეტინა მოხუცს:

— შენ სამი კაცის ძალ-ღონე გქონია, ხუნი, ამიერიდან უფრო მძიმე ტვირთს აგკიდებთ.

— ეტყობა, შენმა მოსიყვარულე ღმერთებმა კარგად შეისმინეს ღვთისმოსავი ლოცვა-ვედრება და კეთილ საქმეს ჯილდოს მიაგებენ! — ჩაიბურტყუნა ბრაზმორეულმა ნებსეხტმა.

— მე ჩემი ჯილდო მივიღე, — მიუგო პენტაურმა და ალერსით გადახედა საცოდავ მოხუცს. — შენ კი, მუდამ სხვას რომ

ბრძოლის ქალღმერთად ითვლებოდა, და ამიტომაც მას ლომისთავიანად გამოსახვდნენ.

დასცინი, სულ მთლად გაფითრებულხარ. როგორ გრძნობ თავს?

— ისე, თითქოს, აი ის ვირი ვიყო. — უპასუხა ექიმმა. — მუხლები იმათსავით მიკანკალებს, თავშიც იმდენივე აზრი მიტრიალებს და სურვილიც ერთი გვაქვს: მეც სიამოვნებით წამოვწვებოდი ბაგაზე.

— რაკი ფიქრის უნარი კიდევ შემოგრჩა, მაშ, არც ისე ცუდად გქონია საქმე.

— მე ერთი ბრძნული აზრიც კი დამებადა იმ დროს, როცა შენ შეშლილივით სივრცეს მისჩერებოდი. ქურუმები გვასწავლიან, რომ გონება მარადიული მსოფლიო გონის მოციალე სუნთქვა, ხოლო ჩვენი სული კი მატერიის იმ ნაწილაკის ფორმაა, რასაც ადამიანს უწოდებენო. მე ამ გონს თავდაპირველად გულში ვეძებდი, შემდეგ ტვინში, ახლა კი ვიცი, რომ ის ხელ-ფეხში მქონია, რადგანაც მას შემდეგ, რაც ფიზიკურად უსაზღვროდ ვიღლები, აზროვნების უნარიც დავკარგე. ახლა მეტისმეტად დაღლილი ვარ და ლაპარაკის თავიც არა მაქვს, მაგრამ ამიერიდან უფრო დიდი პატივისცემით მოვეპყრობი ფეხებს.

— თქვენ ისევ დავობთ? ჰეი, ხალხნო, ადექით! — დაიყვირა ზედამხედველმა.

დაქანცული პატიმრები ნელ-ნელა წამოდგნენ, საპალნიან პირუტყვს ხელახლა აჰკიდეს ბარგი, და საცოდავი კატორღელები ბორძიკით წალასლასდნენ წინ, რათა მზის ჩასვლამდე მისულიყვნენ მაღარომდე.

მათ ორ მთას შორის მოქცეულ ფართო ხეობამდე უნდა მიეღწიათ, რომელსაც ეგვიპტელები ტა-მაფკას, ხოლო იუდეველები დოფკას უწოდებდნენ. ამ ხეობის სამხრეთი ფერდობი სულ მთლად გრანიტისა იყო, ხოლო ჩრდილოეთი, სადაც მა-

ღაროებში ფირუზს იღებდნენ, წითელი ქვიშაქვისგან შედგებოდა. ცოტა მოშორებით, მთაგრეხილის გამყოფ ხეობაში, სპილენძის საბადოები მდებარეობდა. ამ ვრცელი ხეობის შუაგულში, გალავნით გარშემორტყმულ ბორცვზე, ქვის სახლებში ცხოვრობდნენ მცველები, ზედამხედველები და პატიმრები. ძველი ადათის თანახმად, პატიმართა სახლებს სახურავი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ღამის სუსხისგან ხალხი ხშირად ავადმყოფობდა და იხოცებოდა კიდეც, მათ სადგომებს უხეიროდ ხურავდნენ ახლომდებარე ამალეკიტელთა[168] ოაზისიდან ჩამოტანილი პალმის ფოთლებით.

ბორცვის მოშიშვლებულ მწვერვალზე იდგნენ სადნობი ღუმლები და სახელოსნო, სადაც მწვანე მინას ამზადებდნენ და „მაფკატის“ ანუ ზურმუხტის სახელწოდებით ჰყიდდნენ. ნამდვილ ზურმუხტს კი უფრო სამხრეთით, მეწამული ზღვის დასავლეთ სანაპიროზე იღებდნენ, და ის მეტად ძვირადაც ფასობდა ეგვიპტეში.

ჩვენი მეგობრები თვეზე მეტხანს ცხოვრობდნენ მაფკატის ხეობის მაღაროს მუშებთან, და პენტაურმა აქამდე არ იცოდა, როგორ მოხდა, რომ ხენუს ქვის სატეხის ნაცვლად მან აქ ამოყო თავი და თანაც ნებსეხტთან ერთად.

მას ახლა უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ამ ამბავში უარდას მამის ხელი ერია და სწამდა უხეში, მაგრამ ალალმართალი მეომრისა, რომელიც მუდამ მის შორიახლოს ტრიალებდა, თუმცა კი მასთან მხოლოდ ერთხელ მივიდა თებედან წამოსვლის შემდეგ.

---

[168] ამალეკიტელები — ძველი ბედუინთა ტომი, ალბათ არაბული წარმოშობისა; რამზეს II დროს მათ ეკავათ ოაზისები უდაბნოს ზოლში, რომელიც გადაჭიმული იყო პალესტინის სამხრეთ ნაწილიდან ეგვიპტის საზღვრამდე.

იმ ღამეს ის ჩუმად მიიპარა პენტაურთან და ჩაუჩურჩულა:

— მე ვზრუნავ შენზე! აქ ექიმ ნებსეხტს შეხვდები, მაგრამ თუ არ გინდათ ერთმანეთს დაგაშორონ, ისე მოიქეცით, ვითომ მტრები ხართ.

პენტაურმა ეს სიტყვები მეგობარს გადასცა, და ექიმიც როგორც კი შეეძლო, მიჰყვა მეომრის რჩევას.

მას ქვეცნობიერად სიამოვნებდა ის, თუ ცხოვრება რა ულმობლად ურყევდა პენტაურს ღმერთების მოწყალებისა და სამართლიანობის რწმენას, ღმერთებისა, რომლებიც ადამიანთა ბედს მართავენ, და რაც უფრო სიძნელეში ვარდებოდნენ ის და პოეტი, მით უფრო მწარედ და ზოგჯერ აუტანელი სარკაზმით ესხმოდა თავს ეს წყნარი და უენო მკვლევარი თავის აღფრთოვანებულ მეგობარს.

მას სულითა და გულით უყვარდა პენტაური იმისათვის, რომ პოეტი გულში ინახავდა გასაღებს იმ ლამაზი სამყაროსი, რომელიც მისი ბუნებისათვის სრულიად უცხო იყო და მაინც, მიუხედავად ამისა, მას სულაც არ უჭირდა თავისი როლის შესრულება, როცა ამჩნევდა, რომ უთვალთვალებდნენ, და ისეთი სიტყვებით ამკობდა პოეტს, რომლებიც ზედამხედველებს თუმცა უაზრობად ეჩვენებოდათ, მაგრამ სამაგიეროდ გულიანად კი ხარხარებდნენ ნებსეხტის ენაბლუობაზე.

„ღვთაებრივი თვითშეგნების ფრთაშესხმული გარსი“, „სამართლიანობის პირაკრული ქომაგი“, „თვალთმაქცი, რომელიც ამაოდ ცდილობს კარგი მხრიდან წარმოიდგინოს ეს სამყარო, ყველაზე უარესი, როგორიც კი შეიძლება არსებობდეს“, „თავისი დალურჯებული ადგილების მშვენიერი ფერების აღფრთოვანებული მოტრფიალე“ — ნებსენტი სალანძღავი სიტყვების დაუცხრომელი გამომგონებელი იყო, მათი აზრი მხოლოდ მას და მის მეგობარს ესმოდა, და ისიც საქმეში

ჩაუხედავი კაცისთვის გაუგებრად, მაგრამ მეტად გონებამახვილურად პასუხობდა.

ხშირად სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ნამდვილ პაექრობაში გადადიოდა. ასეთ კამათს მეგობრებისთვის ორმაგი სარგებლობა მოჰქონდა: ერთის მხრივ, ღრმა და სერიოზულ აზროვნებას მიჩვეულმა მათმა გონებამ შეინარჩუნა სიცოცხლე და გამჭრიახობა კატორღის მომაკვდინებელ პირობებში, და მეორეს მხრივ — ისინი მართლაც ერთმანეთის მტრები ეგონათ.

ორივეს ერთ ეზოში ეძინა, და ღამღამობით ზოგჯერ ახერხებდნენ კიდეც ერთმანეთთან დალაპარაკებას. დღისით ნებსეხტს ფირუზის ამოსაღებად გზავნიდნენ, ხოლო პენტაური სპილენძის მაღაროში მუშაობდა. ნებსეხტს მთის ქანებიდან ძვირფასი ქვის ფრთხილად გამორჩევა ეხერხებოდა, ხოლო ძალოვან პენტაურს გაქვავებული მადანი უნდა ეჩეხა.

ზედამხედველებს ხშირად უკვირდათ, როცა ამ გოლიათს უყურებდნენ, როგორი გამჭარებით ურტყამდა მიწას წერაქვს, და აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ამ გაცხარებული მუშაობის დროს პოეტის თავში დიდებული სურათები იხატებოდა; არავინ იცოდა, რა საშინელი და ამავე დროს მომხიბვლელი ხმები ჩაესმოდა მას. ჩვეულებრივ, მის აღგზნებულ წარმოსახვაში მტრის ურდოებით გარშემორტყმული ბენტ-ანატი ისახებოდა, და როცა ქვის ლოდს ამტვრევდა, ეგონა, თითქოს წერაქვის ყოველი დარტყმით იმ მტერს ანადგურებდა. ზოგჯერ შუა მუშაობაში უცბად განზე გადადებდა წერაქვს, ხელებს ცისკენ აღაპყრობდა, მაგრამ მაშინვე კვნესით დაუშვებდა მკლავებს და ოფლით გახვითქულ სახეს მოიწმენდდა.

ზედამხედველებმა არც იცოდნენ, რა ეფიქრათ ამ ახალგაზრდა კაცზე, — ის ბალღივით კეთილი და სალმიანი იყო;

მაგრამ მასში ალბათ უკვე დაიწყო ჩასახლება იმ ბოროტმა დემონმა, რომელიც ადრე თუ გვიან თითქმის ყველა კატორღელის სულს დაეუფლება ხოლმე.[169]

მას თვითონაც უცნაურად ეჩვენებოდა საკუთარი თავი. სეთის სახლის მყუდრო სავანეში აღზრდილ მებაღის შვილს განა საიდან უნდა ჰქონოდა ესოდენ დაუოკებელი ბრძოლის ჟინი?

მზე ჩავიდა, და გაწამებულმა კატორღელებმა ძილს მისცეს თავი. მარტო მაღაროს მმართველის სახლის წინ ჯერ კიდევ გიზგიზებდა კოცონი. მის გარშემო პირდაპირ მიწაზე ისხდნენ ზედამხედველები და დაცვის უფროსები.

— ახლა კი მოლხენას თავი დავანებოთ, — თქვა მმართველმა. — უნდა ვითათბიროთ. გუშინ ვეზირის ბრძანებით დაცვის ნახევარი პელუსიონში გავგზავნე, იქ მეომრები სჭირდებათ. აქ ისე ცოტანი დავრჩით, პატიმრებმა ეს რომ გაიგონ, ალბათ, იოლად გაგვისწორდებიან კიდეც. ძირს ქვები ბლომადაა, დღისით კი ყველას ხელში სატეხი და ურო უჭირავს. ყველაზე ცუდად იუდეველებთან, სპილენძის მაღაროში გვაქვს საქმე: ხომ იცით, მეტად ჯიუტი და უხიაგი ხალხია, რაც შეიძლება, მკაცრად უნდა მოვექცეთ. მე ხომ კარგად მიცნობთ: საერთოდ არაფრისა მეშინია, მაგრამ ახლა კი ერთი საზრუნავი მაწუხებს. ამ კოცონზე ბოლო ნახშირი იწვის, სადნობი ღუმლების ჩაქრობა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძ-

[169] ეგვიპტელი მაღაროელების შემაძრწუნებელი ხვედრი დაწვრილებით აქვს აღწერილი დიოდორეს; მართალია, ის მოგვითხრობ არა იმ მაღაროებზე, არამედ ოქროს საბადოებზე ეთიოპიაში, რაზედაც უკვე არაერთხელ გვქონდა საუბარი. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

ლება. ხვალვე უნდა ვაფრინოთ ხალხი რეფიდიმში,[170] რათა ამალეკიტელებს ნახშირი მოვთხოვოთ. ჩვენი ასი საპალნე ნახშირი მართებთ. თითოეულ პატიმარს სპილენძი რამდენიმე ძელაკი აჰკიდეთ, რომ ქანცი გაუწყდეთ, ხოლო ოაზისის მცხოვრებთ გული მოულბოთ. ახლა კი მოვიფიქროთ, რა ღონე ვიხმაროთ, რომ მეტისმეტადაც არ შევასუსტოთ დაცვა და საწადელსაც მივაღწიოთ.

დიდხანს ითათბირეს და ბოლოს გადაწყვიტეს ყოველ დილას გაეგზავნათ კატორღელების პატარ-პატარა ჯგუფები რამდენიმე მეომრის ბადრაგით, რათა ერთი დღის სამყოფი ნახშირი წამოეღოთ. ვიღაცამ წინადადება წამოაყენა, ყველაზე ღონიერი პატიმრები წყვილ-წყვილად გადაეჯაჭვათ და მებარგულებად გაეხადათ. მაგრამ მმართველმა მიუგო, რომ გადაჯაჭვული პატიმრები მით უფრო საშიშნი იქნებიან, თუ პირს შეკრავენ.

— მაშინ ძლიერთან სუსტი უნდა გავუშვათ, — ურჩია მოანგარიშემ, რომელსაც ყველა „ლითონების მწერალს“ ეძახდა. — თანაც ერთი ჯაჭვით ისეთები გადააბით, ვინც ერთმანეთს მტრობს.

— მაგალითად, ბრგე ხუნი იმ ავყია ენაბლუ ბეღურასთან ნებსეხტთან! — წამოიძახა ერთ-ერთმა დაბალი ჩინის უფროსმა.

— მეც სწორედ იმათზე მოგახსენებთ, — ჩაიცინა მწერალმა.

ჯერ ხუმრობაში გაატარეს, მერე კი ჭკუაში დაუჯდათ ეს აზრი და შეარჩიეს კიდეც სამი წყვილი, თანაც ბადრაგში უარდას მამაც მოხვდა.

---

[170] რეფიდიმი — სინის ნახევარკუნძულზე ახლანდელი ოაზისი ფირანი, სადაც ბედუინები ცხოვრობენ; ძველად ის ამალეკიტელებით იყო დასახლებული. ეს ოაზისი მოხსენიებულია ბიბლიაში. (ავტ. შენიშვნა).

მეორე დილას ნებსეხტი სპილენძის ჯაჭვით გადააბეს პენტაურთან, და როცა მზე უკვე შუბის ტარზე იყო, სპილენძის მძიმე ძელაკებით დატვირთული ოთხი წყვილი პატიმარი ექვსი მეომრის თანხლებით, რომლებსაც პარასქიტის ჟღალწვერა ვაჟი მეთაურობდა, ამალეკიტელთა ოაზისის გზას დაადგნენ სადნობი ღუმლების საწვავის საშოვნელად.

ალუსთან მცირეხნის შესვენების შემდეგ მათ გზა გააგრძელეს მომწვანო-მურა ფერის პორფირიტის ცადაზიდულ ციცაბო ტიტველ მთებს შორის; დროდადრო რომელიღაც უზარმაზარი მთის დაკბილული მწვერვალი გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ მძიმე ტვირთისგან წელში მოხრილი მგზავრები მას ვერ ამჩნევდნენ.

მზე ჩადიოდა, როცა ზურმუხტოვანი ხატორის ტაძრის შორიახლო გაიარეს.

რამდენიმე რუხი და შავი ჩიტი მხიარული ჟღურტულით მათ შესახვედრად გამოფრინდა, და პენტაურმაც სიხარულით გააყოლა თვალი. რამდენი ხანია, არ ენახა ჩიტები და არც მათი ხმა გაუგონია! ნებსეხტმა კი დასძინა:

— რახან ჩიტებია, მაშასადამე, წყალს ვუახლოვდებით.

მალე პირველი პალმაც გამოჩნდა. მოისმა ნაკადულის რაკრაკიც და ეს ძლივსგასაგონი ხმაური ისე მიესალბუნა გაწამებული მგზავრების გულებს, როგორც გამხმარ ბალახზე დაცემული ნამი.

ნაკადულის ხელმარცხნივ ფართო ნახევარწრედ დაბანაკებულიყო ეგვიპტელ ჯარისკაცთა რაზმი. ბანაკის ცენტრში წითელ და ლურჯზოლებიანი ძვირფასი ოქროქსოვილის სამი დიდი კარავი იდგა.

ამ კარვების პატრონები არ ჩანდნენ, მაგრამ როცა ტუსაღებმა გვერდით ჩაუარეს და მებადრაგეები გუშაგებს მიესალ-

მნენ, კარვიდან გრძელ ეგვიპტურ კაბაში ჩაცმული ქალიშვილი გამოვიდა და დაჟინებით დააცქერდა კატორღელებს.

შეშინებული პენტაური განზე გახტა, თითქოს მოჩვენება გამოეცხადაო, ხოლო ნებსეხტმა გაკვირვებისგან ხმამაღლა შესძახა.

იმწამსვე ერთ-ერთმა მცველმა ბეჭებზე ორივეს მათრახი გადაუჭირა და სიცილით დაუყვირა:

— ჰეი, თქვენ! ენით რამდენიც გინდათ, ეჩხუბეთ ერთმანეთს, ხელები კი დაიმოკლეთ!

შემდეგ ის თავის ამხანაგს მიუბრუნდა:

— კარვის წინ ლამაზი გოგო რომ იდგა, დაინახე?

— მერედა, ჩვენ რა! — გამოეპასუხა იგი. — ის მეფის ასულის ამალიდანაა; სამ კვირაზე მეტია, რაც ზურმუხტოვანი ხატორის ამ ტაძარში მოვიდნენ.

— ეტყობა, მძიმე დანაშაული ჩაუდენია, — შენიშნა პირველმა. — ეჰ, რას იზამ, ჩვენისთანა უბრალო ხალხს ასეთ ოქროს კარვებს, აბა, ვინ აღირსებს; მაღაროში ნიჩაბს დაგვაჭერინებდნენ ხელში ან საღებავებს გვანაყინებდნენ. ჰო, მართლა, ჩვენი ჟღალწვერა რა იქნა?

უარდას მამა ცოტა ჩამორჩა, რადგან ქალიშვილმა თავის დაქნევით მოიხმო და რაღაც გადაულაპარაკა.

— მაშ, შენ ჯერ კიდევ ყურადღებას აქცევ ლამაზმანებს, ჰა? — ჰკითხა ჟღალწვერას ყველაზე ახალგაზრდა მეომარმა, როცა იგი დანარჩენებს წამოეწია.

— ფარაონის ქალიშვილის მოახლე იყო, — უპასუხა ჟღალწვერამ ოდნავ დარცხვენით. — წერილის წაღება გვთხოვა ხვალ ჩვენს „ლითონების მწერალთან“, სამაგიეროდ ღვინით გამასპინძლებას შეგვპირდა, თუკი მათი კარვიდან შორს არ დავბანაკდებით.

— ამ ჟღალწვერას დამიხედეთ! - შესძახა ახალგაზრდა მეომარმა. — ღვინის სუნს ისე იღებს, როგორც მელა ბატის გეშს! მოდით, მართლაც აქ შევისვენოთ! ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორ შეგვხვდება მენტიუს ტომი, თან უფროსმაც გვიბრძანა მათი ოაზისისგან მოშორებით დაბანაკდითო. ჰეი, თქვენ! ბარგი მოიხსენით! აქ წყაროს წყალიცაა და შეიძლება ცოტაოდენი ფინიკი და ტკბილი მანანაც კი დაუმატოთ თქვენს ხმელ კვერებს. ოღონდ ჭკვიანად იყავით, თქვენ გეუბნებით, მოჩხუბარო მამლაყინწებო, ხუნი და ნებსეხტ!

* * *

დიდხანს მოუნდა ბენტ-ანატი თავის თანამგზავრებთან ერთად ზურმუხტოვანი ხატორის ტაძრამდე მისვლას. კანოპამდე ნილოსზე მოცურავდნენ; შემდეგ უდაბნო გადაჭრეს და მეწამული ზღვის სანაპიროზე საპორტო ქალაქს მიადგნენ, სადაც უმთავრესად ფინიკიელები ცხოვრობდნენ. აქ ბენტ-ანატი მთელი კვირა ელოდებოდა გემს, რომელმაც ისინი ბოლოს და ბოლოს მეთევზეთა სოფელ ფარანში მიიყვანა. აქედან მთები გადაიარეს და ოაზისამდე მიაღწიეს, რომლის ჩრდილოეთ ნაწილშიც იმყოფებოდა ზურმუხტოვანი ხატორის ტაძარი.

ქალღმერთის მსახურმა მოხუცმა ქურუმებმა დიდი მოწიწებით მიიღეს რამზესის ქალიშვილი. ყოველდღე აღასრულებდნენ ისინი ბენტ-ანატის განწმენდის წეს-ჩვეულებას მთის ნაკადულის ანკარა ცივი წყლით, ამალეკიტელთა პალმებს რომ რწყავდა. საკმევლის კმევით, ღვთისმოსავი გამონათქვამებითა და მრავალი სხვა ცერემონიებით. ბოლოს ქალღმერთმა

ნიშანი მისცა მათ, რომ კმაყოფილია. ის იყო, ბენტ-ანტმა ჩრდილოეთისკენ, მამამისთან წასვლა დააპირა, რომ მისი თანმხლები რაზმის უფროსმა, ბრძოლებში გამობრძმედილმა მეომარმა, რომლის შვილებსაც ანიმ მაღალი სამხედრო წოდებები უბოძა, კარისკაცს განუცხადა, რომ მას ნაბრძანები აქვს მანამდე გააჩეროს ოაზისში ფარაონის ქალიშვილი, ვიდრე თავად ვეზირი არ დართავს მას გამგზავრების ნებას. მთელ იმედს ბენტ-ანატი მამაზე ამყარებდა, რომელიც დღედღეზე უნდა მოსულიყო მის საშველად, თუკი მის ძმას რამერის გზაში ფათერაკი არ შეემთხვა. მაგრამ იგი ამაოდ ელოდა!

შავ დღეში იყო მეფის ასული, რადგანაც ახლა უკვე ცხადად ხედავდა, რომ მახეში შეიტყუეს და ტყვესავით ექცევიან. ყველაფერ ამას ისიც დაერთო, რომ მათი მცველები — ეთიოპელი მეომრები არბევდნენ ოაზისის მოსახლეობას, რის გამოც ყოველდღე შეტაკებები ხდებოდა, ძალიან ხშირად კი საქმე სისხლის ღვრამდეც მიდიოდა.

ბენტ-ანატი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. სად გაქრა მისი მძლავრი ფრთები, რომ მაღლა, ხალხის თავზე ელივლივა, რა იქნა მისი მეფური სიამაყე, მისი ნათელი და გამჭრიახი გონება? იგი გრძნობდა, რომ, თუკი ერთხელ შეიყვარა ვიღაც, სხვას უკვე ვეღარასოდეს შეიყვარებდა; ის, რომელიც ოცნებაში არასოდეს არაფერს ეძებდა და ყოველთვის ყველაფერს პოულობდა სინამდვილეში, ახლა მზად იყო ფუჭი ოცნებისათვის მიეცა თავისი არსების საუკეთესო ნაწილი. ცოცხალივით ედგა თვალწინ პენტაური. მისი ხატება სულ უფრო მეტ დიდებულებასა და სრულყოფილებას იძენდა. მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო მეფის ასულისათვის. ეგვიპტედან მხოლოდ ერთი წერილი მიიღეს — ქვრივი ქათუთი ქალიშვილს სწერდა.

იგი ნეფერტს ისეთ ცნობებს ატყობინებდა, რომლებიც ადასტურებდა, რომ მენამ ნამდვილად წამოიყვანა თავის კარავში სამხედრო ნადავლის ნაცვლად ტყვე მეფის ასული. წერილში ისიც იყო ნათქვამი, რომ კატორღამისჯილმა პოეტმა პენტაურმა ქვის სატეხამდე ვერ მიაღწია, გზაში გარდაიცვალაო.

ნეფერტს მტკიცედ და ურყევად სწამდა, რომ ქმარს უწინდებურად უყვარდა და მისი ერთგული იყო. მან შეძლო შეენარჩუნებინა მთელი თავისი მომხიბვლელობა, დიდი და წმინდა გრძნობა, რომელიც საოცარ სულიერ სიმტკიცეს ანიჭებდა იმ მძიმე დღეებში.

თითქოს მან და ბენტ-ანატმა როლები შეცვალეს. ნათელი იმედებით აღსავსე ნეფერტი ყოველ ცისმარე დღეს წინასწარმეტყველებდა ფარაონის ლაშქრის მოახლოებას. თანაც დარწმუნებული იყო, რომ, თუ მენა რამერისგან შეიტყობდა მის აქ ყოფნას ბენტ-ანატთან ერთად, იგი უეჭველად მოვიდოდა მის წამოსაყვანად, თუკი საშუალება ექნებოდა.

ამ სასიხარულო მოლოდინში ცდილობდა კიდეც წარმოედგინა, როგორ განლაგდებოდნენ, ვინ დარჩებოდა ბენტ-ანტთან, როცა მას მენა წაიყვანდა, ოაზისის რომელ ადგილას აჯობებდა მათი კარვის დადგმა, და კიდევ ბევრი სხვა ფიქრები უტრიალებდა თავში.

ნეფერტის აზრით, უარდა კარგად გაუწევდა მის მაგივრობას ბენტ-ანატს. მგზავრობის განმავლობაში გოგონამ თავი გამოიჩინა. ბენტ-ანატის მიერ ნაჩუქარი ლამაზი ტანსაცმელი ისე მოიხდინა, თითქოს თავის სიცოცხლეში იმაზე ნაკლები არაფერი სცმიაო; მოწიწებით ყურის გდება სჩვეოდა, იცოდა ოთახიდან რა დროს უნდა გასულიყო და მომსყიდველი მიმზიდველობით მიეღო მონაწილეობა საუბარში. არაფერი ისე არ ამშვიდებდა ბენტ-ანატს, როგორც უარდას კისკისი.

ორივე მეგობარს ძალიან მოსწონდა, უარდა რომ მღეროდა, თუმცა ის რამდენიმე სიმღერაც, რომელიც გოგონამ იცოდა, მეტად სევდიანი იყო. ეს სიმღერები ბებერ ხექტთან ჰქონდა მოსმენილი, რომელიც საღამოობით ხშირად უკრავდა ბარბითზე და მღეროდა. როცა ჯადოქარმა გაიგო, რომ უარდამ დაიხსომა მისი ნაღვლიანი სიმღერები, თვითონ ასწავლიდა ხოლმე. „ოდესმე ამასაც ჩავიგდებ კლანჭებში, — ფიქრობდა ხექტი, — და რაც უფრო კარგად იმღერებს, მით უფრო დიდ გასამრჯელოსაც მივიღებ“.

ბენტ-ანატი ცდილობდა წერა-კითხვა ესწავლებინა უარდასთვის, ხოლო პატარა მოწაფე დიდი გაჭირვებით ითვისებდა ანბანს. მაგრამ ფარაონის ასული თავის განზრახვას მაინც არ იშლიდა. იძულებითი უმოქმედობა აქ, ამ უზარმაზარი მთის ძირას, რომლის მწვერვალსაც ძრწოლითა და სევდით შეჰყურებდა, უფრო და უფრო უმძიმებდა გულს; სულ უფრო ძლიერ იპყრობდა ის გრძნობა, რომლისგანაც ასე ლამობდა განთავისუფლებას. უარდამ კარგად იცოდა თავისი მბრძანებლის კაეშნის მიზეზი და წმინდანივით აღმერთებდა მას. ხშირად უყვებოდა ხოლმე მეფის ასულს ყველაფერს, რაც კი პენტაურსა და მამამისზე იცოდა, ბენტ-ანატი კი ვერ ხვდებოდა, რომ უარდამ ყველაფერი იცოდა მისი სიყვარულის შესახებ.

როცა კატორღელები ბენტ-ანატის კარავთან გაატარეს, მეფის ასული და ნეფერტი, ჩვეულებისამებრ, ამ წყნარ საღამოსაც ფარაონზე, მის მეეტლე მენაზე, რამერიზე და პენტაურზე ლაპარაკობდნენ.

— პენტაური ცოცხალია, — არწმუნებდა ნეფერტი. — დედა ხომ იწერება, ზუსტად არავინ იცის, სად გაქრაო იგი. თუ გაიქცა, მაშინ უეჭველად ფარაონის ბანაკისკენ წავა, და თუკი ჩვენც იქ მოვხვდებით, მას მამაშენის გვერდით ნახავ.

ბენტ-ანატი ნაღვლიანად იყურებოდა ძირს.

ნეფერტმა ნაზად შეხედა მეგობარს და გაუბედავად ჰკითხა:

— ხომ არ გავიწყდება, რომ შენ და შენი რჩეული ჩამომავლობით დიდად განსხვავდებით?

— ვისაც კი მე ხელს გავუწვდი, მაშინვე წარჩინებული გახდება, — მტკიცედ მიუგო ბენტ-ანატმა. — პენტაური მთელი სამყაროს მბრძანებლადაც რომ გავხადო, სულ ერთია, ის მაინც უწინდებურად ჩემზე დიდი და უკეთესი დარჩება.

— მამაშენი? — გაუბედავად ჰკითხა ნეფერტმა.

— ჩვენ მეგობრები ვართ. იმედი მაქვს, მომისმენს და გამიგებს. როცა შევხვდები, ყველაფერს თვითონ მოვუყვები.. მას კეთილი გული აქვს!

დიდხანს უხმოდ ისხდნენ. მერე ბენტ-ანატმა ბრძანა კელაპტრები აენთოთ, რათა ხელსაქმე დაემთავრებინათ. მენას მეუღლე წამოდგა, კართან მივიდა. იქ უარდა ელოდებოდა. მან ნეფერტს ხელი ჩასჭიდა და კარვიდან ჩუმად გაიყვანა.

— რა დაგემართა, ჩემო გოგონა? ასე რად კანკალებ? — უთხრა ნეფერტმა.

— მამაჩემია აქ, — სულმოუთქმელად მიუგო უარდამ. — კატორღელებს მიჰყვება მაფკატის მაღაროებიდან. მათ შორის ორი გადაჯაჭვული მამაკაცია; მათში ერთ-ერთი — ოღონდ არ შეგეშინდეს! — პოეტი პენტაურია. მოიცა! ღვთის გულისათვის, დარჩი და მომისმინე! უკვე ორჯერ ვნახე მამაჩემი და ველაპარაკე კიდეც, როცა კატორღელებთან ერთად მოდიოდა. დღეს პენტაურს გაანთავისუფლებენ, მაგრამ ბენტ-ანატმა ეს არ უნდა იცოდეს, რადგანაც თუ ჩემი გეგმა ჩაიშალა...

— ჩემო გოგონა! — ფიცხლად შეაწყვეტინა ნეფერტმა. — მითხარი, რით შემიძლია დაგეხმარო?

— ფარაონის ასულის სახელით უბრძანე, მებადრაგეებს მთელი რუმბი ღვინო მისცენ, და ბენტ-ანატის სამგზავრო აფთიაქიდან ამოიღე ფლაკონი დასაძინებელი წამლით... აი ის, რომელსაც მეფის ასული, მიუხედავად შენი თხოვნისა, ყოველთვის ესოდენ აგდებულად უარყოფს. მე აქ დაგელოდები, შეიძლება ის წამალი დამჭირდეს!

ნეფერტმა იმწამსვე დაუძახა მსახურს და უბრძანა ღვინით სავსე რუმბით გაჰყოლოდა უარდას. მერე კი კარავში შებრუნდა და სამგზავრო აფთიაქი გახსნა.[171]

— რას ეძებ მანდ? — ჰკითხა ბენტ-ანატმა.

— გულის ფრიალის წამალს, — უპასუხა ნეფერტმა და ჩუმად ამოიღო საჭირო შუშა; რამდენიმე წუთის შემდეგ წამალი უკვე უარდას ეჭირა.

გოგონამ მსახურს სთხოვა რუმბი გაეხსნა და მისთვის გაესინჯინებინა. ამასობაში მან შეუმჩნევლად ჩაასხა ღვინოში დასაძინებელი წამალი და უბრძანა ბენტ-ანატის ეს საჩუქარი ყელგამშრალი მებადრაგეებისათვის მიერთმიათ. თვითონ კი სამზარეულო კარვისკენ გაემართა; იქ მეფის ასულის მსახურთა შორის მიწაზე მჯდომი ამალეკიტელი ყმაწვილი მოძებნა, რომელმაც, როგორც კი უარდა დაინახა, ფეხზე წამოხტა და უთხრა:

— დღეს ოთხი ჩინებული კაკაბი მოვიტანე, თვითონ მოვკალი. შენ კი აი ეს ფირუზი, ჩემმა ძმამ იპოვა კლდეში, ამ ქვას ბედნიერება და თან მტერზე გამარჯვებაც მოაქვს. იგი სასარგებლოა თვალებისთვის და ცუდ სიზმრებს აქარწყლებს.

— მადლობელი ვარ, — უთხრა უარდამ, ცისფერი ქვა გამოართვა და ყმაწვილი კარვიდან გამოიხმო.

---

[171] ასეთი აფთიაქი, რომელიც გაცილებით უფრო ძველ დროს განეკუთვნება, ვიდრე რამზეს II ეპოქაა, ინახება ბერლინის მუზეუმში. (ავტ. შენიშვნა).

— მომისმინე, სალიხ! — წაიჩურჩულა გოგონამ. — შენ ხომ კარგი ბიჭი ხარ. მოსამსახურე ქალები ამბობენ, შენ გითქვამს, რომ მე ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი ვარ, რათა ქალად ვიქცე. ასე მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, ვინც უყვართ. შენს კეთილ გრძნობას ყოველდღე მორთმეული ყვავილებით მიმტკიცებ, როცა სახლთუხუცესთან მამაშენის მიერ დახოცილი გარეული ფრინველი მოგაქვს. გსურს თუ არა დიდი სამსახური გაგვიწიო მეცა და მეფის ასულსაც? კი? გააკეთებ ამას? ასეც ვიცოდი! მაშ კარგი, მომისმინე! ამაღამ აქ მოვა ჩვენი დიდი ბენტ-ანატის მეგობარი, რომელიც ერთი ან რამდენიმე დღე მდევრებს უნდა დაემალოს. შეიძლება თუ არა, რომ მან ან მათ, რადგან ისინი ალბათ ორნი იქნებიან, თავი შეაფარონ მამაშენის სახლში, მაღლა, წმინდა მთაზე რომ მდებარეობს?

— ის, ვისაც კი მამას მივუყვან, საპატიო სტუმარი იქნება, — ამაყად მიუგო ყმაწვილმა. — ჩვენ ჩვეულებად გვაქვს, ჯერ სტუმარი დავიცვათ, მერე კი საკუთარი თავი. სად არიან ის უცნობები?

— ისინი აქ რამდენიმე საათში იქნებიან. შეგიძლია მოიცადო, ვიდრე მთვარე ამოვა?

— მანამდე შემიძლია ლოდინი, ვიდრე იმ ათასი მთვარიდან, ამ მთების იქით რომ ქრებიან, უკანასკნელი არ ჩავა.

— მაშ, კარგი. ნაკადულის გაღმა დაიცადე და შინ წაიყვანე ისინი, ვინც სამჯერ დამიძახებს. ჩემი სახელი ხომ იცი?

— მე ვერცხლის მთვარეს გიწოდებ, ისინი კი ალბათ უარდას გეძახიან, — უპასუხა ყმაწვილმა და თავი კარვისკენ გაიქნია.

— იმ ხალხს შინ მიიყვან, და თუ მამაშენი შეიხიზნავს, მაშინვე დაბრუნდი და ამბავი მომიტანე. მე აქვე დაგელოდები

კარვის შესასვლელთან. სამწუხაროდ, ღარიბი ვარ და ვერა-ფერს გაჩუქებ, მაგრამ ფარაონის ასული მამაშენს მეფურად დაასაჩუქრებს. ფრთხილად იყავი, სალიხ!

გოგონა გამოემშვიდობა მას და კატორღელების მცველ მეომრებთან მივიდა, კარგი დროს ტარება უსურვა მათ და ბენტ-ანატისკენ გაეშურა. როცა კარავში მის ფეხთით დაჯდა, ბენტ-ანატმა ხელი გადაუსვა ფაფუკ თმაზე და ჰკითხა, თუ რა-ტომ იყო უარდა ასე ფერმკრთალი.

— შენ უნდა დაწვე, — ალერსიანად უთხრა მეფის ასულმა. — ეტყობა, ციებ-ცხელება დაგეწყო. შეხედე, ნეფერტ, როგორ უჩქეფს სისხლი საფეთქლების ცისფერ ძარღვებში?!

ამ დროს კი მებადრაგეები თავდავიწყებით ქეიფობდნენ, მეფეს ღვინოს უქებდნენ და ადიდებდნენ ამ ბედნიერ დღეს, როცა ბედმა გაუღიმათ. როცა უარდას მამამ თქვა, თითო-თი-თო ყლუპი კატორღელებსაც მივცეთო, მისმა ერთ-ერთმა ამ-ხანაგმა გულარხეინად წამოიძახა:

— ჯანი გავარდეს, თანახმა ვარ! გაუშვი ამ პირუტყვებმაც მოილხინონ!

ჟღალწვერამ სავსე თასი ჯერ ყალბი საბუთების გამკეთე-ბელს მიაწოდა, იმ კაცთან რომ იყო გადაჯაჭვული, რომელ-მაც დაასმინა. შემდეგ პენტაურთან მივიდა და ჩასჩურჩულა:

— არც დალიო და არც დაიძინო!

იგივე ნებსეხტისთვისაც უნდა ეთქვა, მაგრამ ერთ-ერთმა მებადრაგემ დაასწრო, ნებსეხტს სავსე ფიალა გაუწოდა და თან დააყოლა: აბა, შაშვო, დალიე. არა, ერთი შეხედეთ, რო-გორ ყლურწავს! აქ უკვე მისი ურჩი ტუჩები ანგარიშმიუცემ-ლად ამოძრავდნენ.

თავი მეხუთე

მებადრაგეებმა მშვენივრად მოილხინეს, მაგრამ სულ მალე ძილიც მოეკიდათ. როცა მთვარე ამოვიდა, ყველას გულის ძილით ეძინა ჟღალწვერასა და პენტაურს გარდა.

ჟღალწვერა ჩუმად წამოდგა, ყური მიუგდო ამხანაგების ხვრინვას, პენტაურთან მივიდა და უხმოდ გაუხსნა ჯაჭვის რგოლები, რითაც პოეტი ნებსეხტთან იყო მიჯაჭვული. ექიმის გაღვიძებასაც შეეცადა, მაგრამ... არაფერი გამოვიდა.

— მომყევი, — ჩაუჩურჩულა პენტაურს, ნებსეხტი ზურგზე წამოიკიდა და ნაკადულთან დათქმული ადგილისკენ გაემართა.

სამჯერ წარმოთქვა თავისი ქალიშვილის სახელი, და მაშინვე ახალგაზრდა ამალეკიტელიც გამოჩნდა.

— გაჰყევი! — უბრძანა მეომარმა პენტაურს. — ექიმზე თავად ვიზრუნებ.

— მე მას ვერ მივატოვებ! — მტკიცედ განუცხადა პენტაურმა. — იქნებ ცივმა წყალმა გამოაფხიზლოს?

რამდენჯერმე ჩააყურყუმელავეს წყალში, თითქოს გაეღვიძა კიდეც, მაგრამ გონს მაინც ვერ მოვიდა. ხან თანამგზავრებს ეყრდნობოდა, ხან მათ მხრებზე ჩამოკიდებული, ბარბაცით უაზროდ მილასლასებდა ქვიან ბილიკზე. ჯერ შუაღამეც არ იყო გადასული, რომ უკვე ადგილზე იყვნენ — მათ წინ ამალეკიტელის ქოხი იდგა.

მოხუც მონადირეს დიდი ხანია ეძინა, მაგრამ შვილმა გააღვიძა და ყველაფერი გადასცა, რაც კი უარდამ უთხრა. არც დაყოლიება დასჭირვებიათ, არც დაპირება, რომ მოხუც მთიელში სტუმარმასპინძლობის გრძნობა გაეღვიძებინათ. გული-

თადად შეხვდა იგი პოეტს, მოეხმარა ჭილოფზე ექიმის დაწვენაში, რომელსაც ისევ ღრმად ჩასძინებოდა, და პენტაურსაც გაუმზადა საწოლი ტოტებისა და ნადირის ტყავისგან. შემდეგ ქალიშვილს დაუძახა და პენტაურს ფეხები დააბანინა, ხოლო როცა მის კონკებს შეხედა, თავისი სადღესასწაულო ტანსაცმელი მისცა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, პენტაური წამოწვა ამ უბადრუკ საწოლზე, და, თუმცა იგი ბევრად უფრო რბილი მოეჩვენა, მდიდრულ სამეფო ლოგინთან შედარებით, დაძინება მაინც ვერ შეძლო. მეტისმეტად ძლიერი და ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები დაუფლებოდნენ მის არსებას.

ვარსკვლავები ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყვნენ ცაზე, როცა პენტაური უნებლიეთ წამოხტა, ტყავზე ნებსეხტი გადმოაწვინა და ჩუმად გამოვიდა გარეთ, ზედ მონადირის ქოხთან კლდის ნაპრალიდან ცივი მთის წყარო მოჩუხჩუხებდა. პენტაური წყალთან მივიდა, ყინულივით ცივ ნაკადს ჯერ სახე და შემდეგ მთელი ტანი შეუშვირა. მისი აზრით, განბანა თვით სულამდეც კი სჭირდებოდა, არა მარტო მტვრისაგან, რომელიც მთელ სხეულში ჩასჯდომოდა, არამედ ბოროტებისა და სევდისგანაც, სირცხვილისა და სიმწრისგანაც, მანკიერებისა და ადამიანთა სულმდაბლობისგანაც.

როცა პენტაური ქოხში შებრუნდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ისეთივე სუფთაა, როგორც იმ საზეიმო დილას სეთის სახლში, როცა ბანაობის შემდეგ ქათქათა ახალ სამოსელს იცვამდა. მან მონადირის სადღესასწაულო ტანსაცმელი ჩაიცვა და ისევ გამოვიდა ქოხიდან.

შავი საავდრო ღრუბლების მსგავსად ბუნდოვნად მოჩანდნენ უზარმაზარი კლდეები, ხოლო მათ თავზე უთვალავი მო-

კიაფე ვარსკვლავით მოჭედილი მუქი ლურჯი ცა იყო გადაშლილი.

სისუფთავისა და თავისუფლების სანეტარო გრძნობას აღავსო მისი სული გამოუთქმელი ბედნიერებით, ხოლო ჰაერი, რომელსაც ხარბად ისუნთქავდა, ისეთი კამკამა იყო, რომ მთის მწვერვალისკენ ციცაბო ბილიკით სწრაფად მიმავალ პენტაურს ეჩვენებოდა, თითქოს ფრთები გამოესხა ან ცის უხილავი ხელი ეწეოდა.

დამფრთხალი ქურციკი გვერდზე გადახტა და თავის მეგობართან ერთად აბობღდა ციცაბო ფერდობზე. პენტაურმა მიაძახა მათ:

— ნუ გეშინიათ, ხელს არ გაძლებთ!

მწვერვალზე პატარა მოედანს რომ მიაღწია, რომელიც უამრავი ნაპრალით იყო დასერილი, შეჩერდა. აქაც ისმოდა წყაროს ბუტბუტი, ხოლო დღისით ნამიანი ბალახი ახლა თხელი ყინულით იყო დაფარული, და მოკიაფე ვარსკვლავები ალმასებივით ირეკლებოდნენ მასში.

ის შესცქეროდა მოუსვენარ და ამასთანავე მარად მშვიდ ციურ მნათობებს, მთის მწვერვალს, ჩასჩერებოდა მის ფეხქვეშ პირდაღებულ უფსკრულს და გასცქეროდა შორეთს.

მალე ინათა კიდეც; უზარმაზარი მთის მოხაზულობა უფრო და უფრო მკაფიო ხდებოდა. კოცონის კვამლივით მსუბუქ ღრუბლებში გახვეული მთის მწვერვალი განათდა. ოაზისიდან და ახლომახლო ხეობებიდან რძისფერი ნისლი ამოდიოდა, რომელიც ჯერ ბოლქვებად, შემდეგ კი მსუბუქ ღრუბლებად სულ უფრო მაღლა მიიწევდა ცისკენ.

შორს, ქვემოთ, ფრთებგაშლილი არწივი დალივლივებდა ჰაერში — ერთადერთი ცოცხალი არსება იმ არემარეში.

საზეიმო და ღრმა მდუმარებას დაესადგურა პენტაურის გარშემო. როცა არწივი თვალს მიეფარა, და ნისლიც გაიფანტა, პოეტმა წარმოიდგინა, რომ ახლა ის ყველა არსებაზე მაღლა დგას და ყველაზე ახლოსაა ღვთაებასთან.

მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, თავს ისევე გრძნობდა, როგორც იმ დღეს, როცა აკურთხეს და პირველად შეიყვანეს წმიდათაწმიდა ტაძარში. მაგრამ ახლა სრულიად სხვა განცდა დაუფლებოდა. საკმევლის გამაბრუებელი სურნელების ნაცვლად კამკამა, მაცოცხლებელ ჰაერს ისუნთქავდა; და ქურუმების გალობაზე უფრო ღრმად ჩასწვდა სულში მთის მწვერვალების საზეიმო სიჩუმე. გეგონებოდათ, ღვთაებას აქ ჩქამიც არ გამოეპარებოდა, მაგრამ პენტაურის გული ისე სავსე იყო მოწიწებითა და მადლიერებით, რომ უეცრად დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო, ჰიმნებში გადმოეღვარა მოძალებული გრძნობები.

მაგრამ ტუჩები მოკუმული დარჩა, და მან უსიტყვოდ მოიყარა მუხლი, რათა ლოცვას მისცემოდა და მადლი შეეწირა ღვთაებისათვის. პენტაურმა მოწიწებით მოავლო თვალი იქაურობას.

რომელ მხარესაა აღმოსავლეთი, მშობლიურ ეგვიპტეში გრძელი მთაგრეხილით რომ არის ასე მკაფიოდ გამოკვეთილი? აგერ იქ, ოაზისის თავზე, სადაც ცა განათდა? მაშასადამე, მარჯვნივ სამხრეთი ყოფილა, ნილოსის წმიდათაწმიდა სამშობლო და ნილოსის ჭორომების ღმერთები; აქ ხომ მდინარე მდორედ მიედინება. სად ჩნდებიან აქ ოზირისი და იზიდა, აგრეთვე პაპირუსის ბარდებში ლოტოსის ყვავილიდან აღმოცენებული ჰორე ანდა მკის ღმერთი რენუტი და სიუხვის ქალღმერთი ცეფა? რომელს გაუწოდოს ხელები?

ნიავმა დაუბერა, ნისლმა გრძნეულის ჯადო სიტყვებისგან აწრიალებული აჩრდილებივით გაფანტვა იწყო და გამოჩნდა სინის წმინდა მთის დაკბილული მწვერვალი, ძირს კი თანდათანობით გამოიკვეთა ხეობის ხვეულები და მოლივლივე ზღვის მუქი ზედაპირი.

ყველაფერი გარინდულიყო. ჯერ არაფერს შეხებოდა აქ ადამიანის ხელი. ყველაფერი, რაც ახლა პენტაურის თვალწინ გადაშლილიყო, სამყაროს კანონებს დამორჩილებული, გაერთიანებულიყო დიდებულ და უზარმაზარ მთლიანობად და აღსავსე იყო თავად ღვთაებით.

მას უნდოდა მადლიერებით აღეპყრო ხელები გზის მაჩვენებელი ღმერთის აპუატისკენ, მაგრამ... ვერ შეძლო. მეტად უბადრუკად ეჩვენა ახლა ის ღმერთები, რომელთაც ესოდენ შთაგონებით ხშირად ასხამდა ხოლმე ხოტბას ხალხის წინაშე. მხოლოდ ნილოსის ნაპირებზე ჰქონდათ მათ აზრი, სამშობლო და ძალაუფლება.

— თქვენდამი კი არ აღვავლენ ლოცვასა ჩემსას, — ჩურჩულებდნენ მისი ბაგენი. — აქ, სადაც ჩემი თვალი ღვთაებასავით უკიდეგანო სივრცეებს სწვდება, ვგრძნობ ერთ მთლიან განგებას, რომელიც ახლოსაა, მე ვევედრები მას და მინდა მადლი შევწირო!

მან კვლავ აღაპყრო ხელები და ხმამაღლა თქვა:

— ჰოი, ერთო და მთლიანო განგებავ!

ამის მეტი აღარაფერი უთქვამს, მაგრამ მის მკერდში მთელი ძალით ჟღერდა სამადლობელი სიმღერა. როცა ფეხზე წამოდგა, ტანმაღალი კაცი შენიშნა, რომელსაც გამჭოლავი თვალები ჰქონდა; მას მწყემსის უბრალო ტანისამოსი ეცვა, მაგრამ მეფურად ეჭირა თავი.

— მშვიდობა შენდა, — წარმოთქვა დაბალი ხმით უცნობმა. — შენ ჭეშმარიტ ღმერთს ეძებ?

პენტაურმა გამომცდელად შეხედა მას.

— გიცანი, შენ მესუ ხარ, — უთხრა მან. — პატარა ბიჭი, ვიყავი, სეთის სახლიდან რომ წამოხვედი, მაგრამ შენი სახე სამუდამოდ ჩამებეჭდა გულში. შენც ჩემსავით ამენიმ გაზიარა ერთიანი ღვთაების მოძღვრების საიდუმლოებას.

— მან თვითონაც არ იცის ის, — მიუგო ფიქრმორეულმა მესუმ და თან აღმოსავლეთს გასცქეროდა, რომელიც თვალისმომჭრელად გიზგიზებდა.

ცა მეწამულისფრად აკაშკაშდა, და ყინულის თხელ ქერქში გახვეული მთის მწვერვალი მზეზე შავი ალმასივით აელვარდა. დღის მნათობი ამოვიდა. პენტაური მისკენ შებრუნდა და, ჩვეულებისამებრ, ლოცვა დაიწყო, ხოლო როცა წამოდგა, დაინახა, რომ მუხლმოყრილი მესუ მზესთან ზურგშექცევით იდგა. როცა მან ლოცვა დაამთავრა, პენტაურმა ჰკითხა:

— რატომ შეაქციე ზურგი მზის ღმერთის სახეს? ჩვენ ხომ გვასწავლეს, რომ მას პირდაპირ ვუყუროთ, როცა გვიახლოვდება?

— იმიტომ, რომ მე სხვა ღმერთზე ვლოცულობ, — დინჯად მიუგო მესუმ. — მზე და ვარსკვლავები მის ხელში საბავშვო ბურთებს ჰგვანან, დედამიწა მისი კვარცხლბეკი, ქარიშხალი — სუნთქვა, ხოლო ზღვა მის თვალწინ ნამის წვეთია ბალახის ღერზე.

— მაშ, მასწავლე ამ უდიდესის შეცნობა, რომელსაც შენ თაყვანს სცემ! — წამოიძახა პენტაურმა.

— ეძიე და პოვებ მას, — უპასუხა მესუმ. — რამეთუ უკვე დააღწიე თავი სიმწარესა და დარდს. ის კი სწორედ ამ ადგილას გამომეცხადა ასეთივე დილას, როგორც ახლაა.

მესუ წავიდა, სულ მალე კლდესაც მიეფარა. მარტო დარჩენილი პენტაური კი ჩაფიქრებული სივრცეს გაჰყურებდა.

ფიქრმიცემული პოეტი ნელ-ნელა დაუყვა დაღმართს ხეობისკენ, სადაც მონადირის ქოხი ეგულებოდა. უცებ შეჩერდა, რადგან ადამიანების ხმა შემოესმა; კლდე ეფარებოდა, რომ მომავალნი დაენახა, მაგრამ აი მონადირის ვაჟიც გამოჩნდა; მას ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ ეგვიპტურ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი, მაღალი ქალი, მის გვერდით ახალგაზრდა გოგონა, დაბოლოს, კიდევ ერთი ქალი, რომელიც ტახტრევნით მოჰყავდათ მონებს.

პენტაურს სიხარულისგან გული აუფანცქალდა: მან მომავალთა შორის ბენტ-ანატი შეიცნო. თვალის დახამხამებაში ისინი ქოხს მიეფარნენ, მაგრამ პენტაური არც განძრეულა. თითქოს კლდოვან კედელს შეეზარდაო, ისე მჭიდროდ მიეკრა მას და ასე იდგა ძალიან დიდხანს გაუნძრევლად და სულმოუთქმელად ქლოშინებდა.

მას არ გაუგონია მოახლოებული მსუბუქი ნაბიჯები, არც ის შეუმჩნევია, თუ როგორ დაშორდნენ ისინი, არც მზის მცხუნვარება უგრძვნია და არც მასთან მოახლოებული ქალი შეუნიშნავს. მაგრამ უეცრად სმენადაბრუნებული ყრუსავით შეკრთა, როცა თავისი სახელი გაიგონა და ამ სახელის წარმომთქმელის ხმა იცნო.

— პენტაურ! — შესძახა ბენტ-ანატმა.

პოეტმა ფართოდ გაშალა მკლავები და ფარაონის ასული გულში ჩაიკრა.

* * *

ამასობაში ბენტ-ანატის თანამგზავრები მონადირის ქოხთან დაბანაკდნენ.

— მე დავინახე, როგორ ჩაეხუტა მას ბენტ-ანატი, —— თქვა ჩაფიქრებულმა უარდამ. — ეს არასოდეს დამავიწყდება! თითქოს ზღვის ვერცხლისფერი ტალღები აიქოჩრნენ და წმიდა-თაწმიდა მთა შთანთქეს!

— ასეთი აზრები საიდან გაქვს, ჩემო გოგონა? — გაიკვირვა ნეფერტმა.

— გულის გულიდან, — მიუგო აღტაცებისგან თვალები გაბრწყინებულმა უარდამ. — ო, რა ბედნიერი ვარ!

— შენ გადაარჩინე იგი, კეთილშობილური საქციელისთვის მიუზღე — სწორედ ეს უნდა განიჭებდეს ბედნიერებას.

— არა მარტო ეს! — ფიცხლად გამოეხმაურა გოგონა. — ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი... მაგრამ ახლა კი დავრწმუნდი, რომ ღმერთები მოწყალენი და კეთილნი ყოფილან.

მენას ცოლმა თავი დაუქნია და მძიმედ ამოიოხრა:

— მართლაც რომ ორივენი ბედნიერები არიან!

— ღირსნიც არიან ამ ბედნიერებისა! — წამოიძახა უარდამ. — ბენტ-ანატი სამართლიანობის ქალღმერთს ჰგავს, ხოლო პენტაურს მთელ ეგვიპტეში ბადალი არ ჰყავს.

ნეფერტი ერთხანს დუმდა, შემდეგ კი ჩუმად იკითხა:

— მენა ხომ არ გინახავს?

— სად ვნახავდი, — ნაღვლიანად უპასუხა უარდამ. — ცოტაც მოიცადე, შენი დროც მოვა. ასე მგონია, დღეს წინასწარმეტ-

ყველივით ვხედავ მომავალს. ახლა კი, მოდი, ვნახოთ, ექიმი ნებსეხტი რასა იქმს. წამალი, რომელიც ღვინოში გავურიე, ეტყობა, ძალიან ძლიერი ყოფილა.

— ჰო, რა თქმა უნდა, — მიუგო ნეფერტმა და უარდასთან ერთად შევიდა ქოხში.

ექიმს კვლავ მკვდარივით ეძინა.

უარდამ მის გვერდით დაიჩოქა, სახეში ჩახედა და თქვა:

— მეტად ჭკვიანია და ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ რა ბრიყვული გამომეტყველება აქვს ახლა! უნდა გავაღვიძო.

მან ჩალის საგებიდან ერთი ღერი გამოაძრო და მძინარეს ცხვირში შეუღიტინა.

ნებსეხტმა წამოიწია, ერთი მაგრად დააცემინა, ტყავზე დავარდა და ისევ ძილი გააგრძელა, უარდა კი გულიანად კისკისებდა. მერე უცბად სახე წამოენთო და ჩაილაპარაკა:

— ეს კი არ უნდა მექნა. იგი ხომ ასეთი კეთილი და სულგრძელია.

მან მძინარე ექიმის ხელი ტუჩებთან მიიტანა, შემდეგ კი შუბლზე ოფლი მოსწმინდა. ნებსეხტმა თვალები გაახილა და ნამძინარევმა ჩაიბუტბუტა:

— უარდა, ძვირფასო უარდა...

გოგონა განზე გახტა და ქოხიდან გავარდა.

ნეფერტიც უკან გამოჰყვა.

როცა ნებსეხტი წამოდგა დ მიიხედ-მოიხედა, აღმოჩნდა, რომ სრულიად მარტო იყო უცნობი მონადირის ქოხში. გარეთ გამოვიდა და ბენტ-ანატის ამალაც დაინახა. ისინი ცხოვლად ლაპარაკობდნენ თუ რა გადახდენოდათ თავს და იმაზე, თუ წინ კიდევ რა ელოდათ.

თავი მეექვსე

იმ ოაზისის მცხოვრებლებმა, სადაც ფარაონის ასული და მისი თანამგზავრები იძულებით შეაჩერეს, რამდენიმე საუკუნის წინ სცნეს ფარაონის ძალაუფლება და ხარკს უხდიდნენ. ამისათვის მათ პრივილეგიაც კი მიიღეს: არც ერთ ეგვიპტელ მეომარს არ ჰქონდა უფლება უნებართვოდ ფეხი დაედგა მათ მიწაზე.

ამიტომ ფარაონის ასულის თანმხლებმა ეთიოპელებმა, ასევე კატორღელების მებადრაგეებმაც კარვები ოაზისის მისადგომებთან გაშალეს. მიუხედავად ამისა, უსაქმო მეომრებისა და ამალეკიტელებს შორის ყოველდღე შეტაკებები ხდებოდა, ძალიან ხშირად კი საქმე სისხლის ღვრამდეც მიდიოდა. მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, როცა ერთ საღამოს შეზარხოშებული მეომრები წყალზე წასულ ამალეკიტელ ქალებს დაესხნენ თავს.

დილაადრიან, როცა ერთ-ერთმა გამოფხიზლებულმა მებადრაგემ აღმოაჩინა, რომ პენტაური და ნებსეხტი იქ აღარ არიან, საჩქაროდ გააღვიძა ამხანაგები, მათ შორის უარდას მამაც, რომელსაც უკვე მოესწრო დაბრუნება. გაცოფებული მცველები ეთიოპელი მეომრების მეთაურთან გაქანდნენ, აცნობეს ორი ტუსაღის გაპარვა და თან უთხრეს, ისინი ალბათ ამალეკიტელებმა შეიფარესო.

როცა ლტოლვილების დაბრუნება მოითხოვეს, რომელთა შესახებაც ამალეკიტელებმა არაფერი იცოდნენ, მეომრებმა პასუხად მხოლოდ დაცინვა მიიღეს. ამ ამბავმა ისე გააცოფა მათი მეთაური, რომ გადაწყვიტა ძალა ეხმარა და ოაზისის

ყველა კუთხე-კუნჭული გადაეჩხრიკა. როცა მოსალაპარაკებ-ლად გაგზავნილი კიდევ ერთი მეომარიც ხელმოცარული დაბრუნდა, მეთაური თავისი რაზმის დიდი ნაწილით შეიჭრა ამალეკიტელთა თავისუფალ მიწა-წყალზე.

უდაბნოს შვილებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი, მაგრამ უკან დაიხიეს ეგვიპტელ მეომართა მწყობრის წინაშე, თავდაჯერებულები რომ სდევნიდნენ მათ. ბოლოს, იმ ადგილზე აღმოჩნდნენ, სადაც ხეობა განივრდება და ორი მხრიდან ერტყმის კლდოვან ბორცვს. სწორედ ამ ბორცვის უკან იყო ჩასაფრებული ამალეკიტელთა მთავარი ძალები. როგორც კი ეთიოპელებმა, რომლებსაც ფიქრადაც კი არაფერი მოსვლიათ, ამ ბორცვს ჩაუარეს, ამალეკიტელებმა ზურგიდან დასცხეს, ხოლო ოაზისის იმ მცხოვრებლებმა, რომლებსაც ეთიოპელები სდევნიდნენ, გაოგნებულ მეომრებს სეტყვასავით დაუშინეს ხელშუბები და ისრები; მხოლოდ რამდენიმეღა გადარჩა ცოცხალი. მათ შორის მეთაურიც იყო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მსუბუქად დაჭრეს.

მარცხისგან გაცოფებული მეთაური ბენტ-ანატის მცველი მეომრების წამოსაყვანად დაბრუნდა, შეუერთა მათ მებადრაგეები და ხელახლა შეიჭრა ოაზისში. მას არც კი უფიქრია, რომ მეფის ასულს ამასობაში გაქცევა შეეძლო. მაგრამ როგორც კი უკანასკნელი ჯარისკაცი ბანაკიდან გავიდა, ბენტ-ანატმა თავის კარისკაცსა და თანამგზავრებს გამოუცხადა, გაქცევის დრო დაგვიდგაო.

მეფის ასულის ერთგულ მსახურებს უკვე რამდენიმე წუთში ჩალაგებული ჰქონდათ სამგზავროდ აუცილებელი ნივთები, ტახტრევნები და საპალნიანი პირუტყვიც მზად იყო, და სანამ ოაზისში გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა, ყმაწვილმა სალიხმა ისინი სინის მთაზე, მამამისის ქოხისკენ წაიყვანა.

გზაში უარდამ ნელ-ნელა მოამზადა ბენტ-ანატი იმ შეხვედრისათვის, რომელიც მონადირის ქოხთან ელოდა, ხოლო ის, თუ როგორ იპოვა ბენტ-ანატმა პოეტი პენტაური, ჩვენ უკვე ვიცით.

ხელიხელგაყრილები მთის ბილიკზე მიდიოდნენ, სანამ კლდის შვერილს არ მიაღწიეს და მის ჩრდილს შეაფარეს თავი. პენტაურმა მიწაზე ხავსი დააგო, ისინი ჩამოსხდნენ და ერთმანეთს გული გადაუშალეს. უამბეს ერთმანეთს თავიანთი სიყვარულის, ტანჯვის, ხეტიალისა და სასწაულებრივი გადარჩენის ამბავი.

შუადღე იქნებოდა, როცა მონადირის ქალიშვილმა ხელადით თხის რძე მოუტანა. ბენტ-ანატი რძით ავსებდა გოგრისგან სახელდახელოდ გაკეთებულ სასმისს და სატრფოს აწვდიდა. ამ დროს გული პენტაურისადმი სიამაყის გრძნობით ევსებოდა, ხოლო პენტაურს მხოლოდ ერთი რამ ეწადა: მზად იყო მისი გულისთვის წვეთ-წვეთად დაეღვარა საკუთარი სისხლი, თავი ენაცვალებინა მისთვის!

აქამდე, როცა კი წარსულსა და აწმყოზე ლაპარაკობდნენ, მომავალზე ფიქრიც კი არ შეეძლოთ. მრავალჯერ უმეორებდნენ ერთმანეთს იმას, რაც ორივემ დიდი ხანია იცოდა; მაგრამ ის კი, რომ საფრთხე ემუქრებოდათ, სულ გადაავიწყდათ.

ცოტა რომ დანაყრდნენ, პენტაურს რამდენადმე გაუნელდა ის აღტაცება, დილის ლოცვის დროს რომ დაეუფლა. თუკი აქამდე ეგონა, რომ ჰაერში დალივლივებდა, ახლა უკვე გრძნობდა, რომ მისი ფეხები მიწას ეხებიან, და ბენტ-ანატთან ერთად დიდი ფიქრი მართებთ, თუ რა იღონონ ახლო მომავალში. ლაპარაკში გართულები, უფრო საქმიან თათბირს რომ ჰგავდა და არაფრით არ ეხამებოდა მათი თვალების

ბედნიერ ბრწყინვას, სტუმართმოყვარე მონადირის ქოხამდე ჩამოვიდნენ.

მათ მასპინძელი გამოეგებათ თავისი ქალიშვილითურთ, მათთან ერთად ვიღაც უცნობიც იყო: მაღალ-მაღალი, ტანადი კაცი, გამოწყობილი ამალეკიტელების ბელადის საომარ ტანსაცმელში. ორივე მამაკაცმა თაყვანი სცა და ბენტ-ანატისა და პენტაურის ფეხთით მიწას ემთხვია. მათ მხოლოდ ახლა შეეტყოთ, რომ ფარაონის ასული ოაზისში ძალით დაუკავებიათ. უდაბნოს შვილთა ბელადმა აბოხარაბმა[172] სიამაყით აღსავსემ აცნობა, რომ მისმა მეომრებმა მუსრი გაავლეს ეთიოპელებს, ხოლო ვინც ცოცხალი დარჩა, ტყვედ წამოიყვანეს. თან ისიც აღუთქვა ბენტ-ანატსა და პენტაურს, რომელიც ფარაონის შვილად ჩათვალა, რომ თვითონ და მთელი მისი ტომი რამზესის ერთგულნი არიან, რომელიც მუდამ დიდ პატივს სცემდა მათ უფლებებს.

— ისინი მშიშარა შავ ძაღლებთან ბრძოლას არიან მიჩვეულნი, — თქვა მან ეთიოპელ მეომრებზე. — ჩვენ კი ნამდვილი ვაჟკაცები ვართ და ლომურადაც ვიბრძვით, როცა ჩვენს ხეობებს მტრისაგან ვიცავთ. თუ მტრის ძალები ჩვენსას აღემატება, მაშინ ქურციკებივით კლდოვან ხეობებში ვიმალებით.

ამ მამაცმა მეომარმა, მოელვარე თვალები და კეხიანი ცხვირი რომ ჰქონდა და მახვილისნაჭრევიან შავგვრემან ლოყაზე ჯერ კიდევ სისხლი ჩამოსდიოდა, ბენტ-ანატზე ნამდვილად ღირსეული შთაბეჭდილება მოახდინა. მან აღუთქვა ბელადს, რომ სთხოვდა მამას მოწყალე ყოფილიყო მისი და

---

[172] ეს გამოგონილი სახელი როდია; ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნის გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსის პროკოპის ცნობით, სარკინოზების ბელადმა აბოხარაბმა იმპერატორ იუსტინიანეს უბოძა პალმების წარაფი სინის ნახევარკუნძულზე.

მისი ტომის მიმართ. გარდა ამისა, ისიც აგრძნობინა, რომ პენტაური მისი მომავლი მეუღლეა და სურვილი გამოთქვა, რომ პენტაურს რაც შეიძლება მალე წაეყვანა იგი მამამისის ბანაკში.

სანამ ქალი ლაპარაკობდა, ბელადი თვალს არ აშორებდა არც მას და არც პენტაურს, ხოლო როცა ბენტ-ანატმა დაამთავრა, ასე უთხრა:

— შენ, ფარაონის ასულო, მთვარის სადარი ხარ, ხოლო შენი თანამგზავრი — ვითარცა მზის ღმერთი დუსარე. აბოხარაბისა და მისი მეუღლის გარდა, — ბელადმა მჯიღი ჩაირტყა, — არასოდეს მინახავს ასეთი მშვენიერი წყვილი, როგორიც თქვენა ხართ! ჰებრონამდე[173] მე გაგაცილებთ ნარჩევი მეომრების რაზმით. ოღონდ უნდა ავჩქარდეთ, იმიტომ რომ მანამდე უნდა დავბრუნდე, ვიდრე ის მოღალატე, ახლა ეგვიპტეს რომ მართავს და თქვენ გდევნით, ახალ რაზმებს გამოგზავნიდეს ჩვენს წინააღმდეგ. ძირს ჩადით! თქვენს კარვებში, ოაზისთან, ყველაფერი ხელუხლებლად დაგხვდებათ. ხვალ კი, ალიონზე, გზას გავუდგეთ!

ქოხის კართან პენტაურს ფარაონის ასულის თანამგზავრები გამოეგებნენ, თუმცა კი კარისკაცი მეტად შეშფოთებული ჩანდა; მართალია, სალაშქროდ წასულმა ფარაონმა კი დაუბარა ყველაფერში დედოფალივით ბენტ-ანატს დამორჩილებოდა, მაგრამ მომავალი მეუღლის ასეთი არჩევანი, რა თქმა უნდა, გაუგონარი ამბავი იყო. რას იტყვის თავად რამზესი?..

ნეფერტი აღფრთოვანებით უყურებდა პენტაურს და ყველას არწმუნებდა, რომ ის საოცრად ჰგავდა მის განსვენებულ

---

173 ჰებრონი — პალესტინის უძველესი ქალაქი.

მკითხველთა ლიგა

ბიძას, პააკერის მამას, თითქოს მისი უმცროსი ძმა ყოფილიყოსო.

უარდა ხან მას შეჰხაროდა და ხან კი თავის ქალბატონს, თან ორივეს თვალს ვერ აშორებდა. მართალია, პენტაური უკვე ზეადამიანურად აღარ მიაჩნდა, მაგრამ ამ წყვილის ბედნიერება, მისი აზრით, ნეფერტსაც მიანიჭებდა სიხარულს, და შესაძლებელია, თავად მასაც.

მათგან მოშორებით იდგა თავისთვის ექიმი ნებსეხტიც. თავის ტკივილი, აქამდე რომ აწუხებდა, მთის კამკამა ჰაერმა გაუყუჩა. როცა პენტაური მასთან მივიდა და ხელი გაუწოდა, მან წამოიძახა:

— ბოლო მოეღო ჩვენს უაზრო შეხლა-შემოხლას! მაინც რა უცნაურად აეწყობა ხოლმე ადამიანთა ბედი! ამიერიდან ჩვენს კამათში მე ყოველთვის დამარცხებული გამოვალ, რადგან შენი ცხოვრების ყველა უთანხმოება ოსტატურად გააქარწყლა მელოდიის იმ დიდმა შემოქმედმა, რომელსაც შენ მიმართავ ლოცვებში.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ნანობ. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შენი საქმეც კარგად შემოტრიალდება.

— საეჭვოა, — შეეპასუხა ექიმი. — ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ყოველი ადამიანი, ვიდრე დაიბადებოდეს, მუსიკალურ საკრავს წააგავს, რომელიც უცნობ სახელოსნოშია დამზადებული კარგი ან ცუდი ხისგან მარჯვე ან გაუწაფავი ხელით. რაღაც ან ვიღაც, სულ ერთია, რას ვუწოდებთ იმას, თითოეულ საკრავზე უკრავს და, იმისდა მიხედვით, თუ როგორაა გაკეთებული, წმინდა ან ყალბ ხმას გამოაღებინებს. შენ ეოლოსის ქნარი ხარ და ჯადოსნურ ჰანგებს გამოსცემ, როცა ბედისწერის მსუბუქი ქროლვა შეგეხება. მე კი მხოლოდ და მხოლოდ ფლუგერი ვარ და ვცდილობ სწორად ვუჩვენო, სა-

იდან უბერავს ქარი, მაგრამ ისე ყურთწამღებად ვჭრიალებ, რომ მეც ვწვალობ და სხვებსაც ვაწუხებ. სრულიად კმაყოფილი ვარ, როცა მენავე ჩემი მითითებით სწორად დააყენებს ხოლმე იალქნებს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ესეც სულ ერთია ჩემთვის. ჰოდა, მეც ვიტრიალებ და ვუჩვენებ ქარის მიმართულებას, თუნდაც სხვამ ეს არც კი შეამჩნიოს; რას იზამ, ასე ყოფილა!

* * *

პენტაური და ბენტ-ანატი თავისი ამალიანად გამოემშვიდობნენ სტუმართმოყვარე მონადირეს, მანამდე კი გულუხვად დაასაჩუქრეს იგი, და გზას გაუდგნენ. საღამო ხანი იყო. მთის დაკბილული მწვერვალი მზის სხივებისგან მეწამულისფრად გიზგიზებდა.

მეორე დილას ბენტ-ანატი თავისი თანამგზავრებით ფარაონ რამზესის ბანაკისკენ დაიძრა. მათ ახლდათ ამალეკიტელთა ბელადი აბოხარაბი. მის მეომრებს შორის უარდას მამაც აღმოჩნდა, რომელიც ოაზისში შეტაკების დროს ტყვედ წამოიყვანეს, ახლა კი ბენტ-ანატის თხოვნით გაანთავისუფლეს.

პირველივე შესვენების დროს ჟღალწვერა მეომარს სთხოვეს მოეყოლა, თუ როგორ მოახერხა პენტაურის გაგზავნა ხენუს ქვის სატეხის ნაცვლად სინის ნახევარკუნძულზე სამთო მაღაროებში. მანაც უბრალოდ და უეშმაკოდ დაიწყო თხრობა.

— უარდასაგან შევიტყვე, სად უნდა გაეგზავნათ კაცი, რომელმაც ჩვენი გულისთვის თავი საფრთხეში ჩაიგდო. „მე უნდა ვიხსნა იგი“, ვეუბნებოდი ჩემს თავს, მაგრამ რაიმე გეგმის

მოფიქრება კი არ შემეძლო. ამიტომაც ვიცოდი, ალბათ ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდებოდი ძალა მეხმარა! საქმე ცუდადაც დამთავრდებოდა, ერთ კაცს სწორ გზაზე რომ არ დავეყენებინე. ეს ჯერ კიდევ მანამდე იყო, ვიდრე უარდა პენტაურის გასაჭირის შესახებ მომიყვებოდა. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: კატორღამისჯილი პატიმრები ნილოსზე უნდა გადამეყვანა ნეკროპოლის ნავსადგურამდე. ისინი მაფკატის მაღაროებში მიჰყავდათ. მდინარის გაღმა, თებეში, მათ ნება დართეს გამომშვიდობებოდნენ ნათესავებსა და მეგობრებს. ათასჯერ შევსწრებივარ ამ ამბავს, მაგრამ ვერაფრით შევეჩვიე... იმ დროს, როცა ბევრი რაღაცის მიმართ, ბოლოს და ბოლოს, გულგრილი ხდები! ხმამაღალი ტირილი და შემზარავი გოდება — ეს კიდევ არაფერი. ისინი, ვინც ყველაზე ხმამაღლა მოთქვამს, როგორც შევნიშნე, უფრო ჩქარა ეჩვევიან და ურიგდებიან ბედს; ხოლო როცა ვუყურებ იმათ, ვისაც მკვდრისფერი ადევს სახეზე, და კრიჭაშეკრულები ცრემლგამშრალი თვალებით სივრცეს გასცქერიან, ყოველთვის გული მეწვება ხოლმე მათი სიბრალულით. ამჯერადაც ბევრი სიმწარე ვნახე, მესმოდა გულსაკლავი ყვირილი, ვხედავდი უსიტყვო ტანჯვას. მაგრამ ყველაზე მეტად მებრალებოდა ერთი კაცი, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობდი. მას ხუნის ეძახდნენ; ის ამონის ტაძარში მსახურთა ზედამხედველად იყო, წმინდა ვერძს რომ უვლიან. ადრე ხშირად ვხვდებოდი, როცა უზარმაზარი სვეტებიანი დარბაზების მოპირკეთება მთავრდებოდა. ყველა პატივს სცემდა, საქმესაც კეთილსინდისიერად ასრულებდა. მაგრამ ერთხელ მაინც დაუშვა შეცდომა. ეს იყო სწორედ იმ ღამეს, როცა მგლები ტაძარში შეცვივდნენ, ვერძი დაგლიჯეს და მისი წმინდა გული სასწაულებრივად წინასწარმეტყველ რუის მკერდში გადასახლდა. ვიღაც ხომ უნდა დას-

ჯილიყო ამისთვის, და არჩევანი უბედურ ხუნის ხვდა წილად. დაუდევრობისათვის საწყალს კატორღა მიუსაჯეს მაფკატის მაღაროებში. ახლა კი მისი შემცვლელი ას თვალს გამოიბამს! არავის გაუცილებია საწყალი ხუნი, თუმცა ვიცოდი, რომ მას ცოლი ჰყავდა და წვრილშვილის პატრონიც იყო. ასე იჯდა იქ მარტოდმარტო, სახეზე მიწისფერი ედო და ეტყობოდა, რომ დარდი გულს უღრღნიდა. მივედი და ვკითხე, რატომ არავინ აცილებდა. მიპასუხა, ჩემიანებს შინ დავემშვიდობე, რათა ბავშვებს ქურდებსა და მკვლელებს შორის არ ვენახეო. რვა მშიერი და საცოდავი ბავშვი დედის ანაბარა დარჩენილა, ამას, საუბედუროდ, ისიც დაერთო, რომ რამდენიმე ხნის წინ ხანძარმა ყველაფერი გაუნადგურათ, რაც კი ებადათ. სახლში ნამცეცსაც კი ვერ იპოვი, რომ შიმშილისგან ატირებული ბავშვი გააჩუმოო; ყველაფერი ეს ერთბაშად არ მოუყოლია, ნება-ნება ლაპარაკობდა, ასე მეგონა, ეს შემზარავი სიტყვები დახეული ტომრიდან ფინიკებივით ცვივაო. „რა გაეწყობა, დაე გადამასახლონ ოქროს საბადოებზე, — მითხრა გაბოროტებულმა, როცა შემატყო, რომ თანავუგრძნობდი. — მაგრამ ჩემს შვილებს შიმშილისა და სიცივისგან სული რომ ამოხდებათ — ეს!... ეს!..“ სათქმელი აღარ დაამთავრა და შუბლზე მუშტი დაირტყა. მე კი უარდასთან გამოსამშვიდობებლად წამოვედი, მთელი გზა მისი ხმა ჩამესმოდა და თვალწინ მედგა მისი საცოდავი ცოლშვილი. „ეჰ, მდიდარი რომ ვიყო, ხომ მივეხმარებოდი“, ვფიქრობდი ჩემთვის. მივედი ჩემს გოგონასთან, მან კი მოულოდნელად ფულზე დამიწყო ლაპარაკი, რომელიც ექიმ ნებსეხტს უჩუქებია, და ამ ფულის საშუალებით პენტაური უნდა გადავარჩინოთო. და უცებ ერთი აზრი მომივიდა თავში: რა იქნება, რომ ფული ხუნის ბავშვებს მივცე, თავად ის კი სანაცვლოდ ეთიოპიაში წავიდეს! ნავსადგურში ხუ-

ნის მოველაპარაკე, რომელიც ხალისით დამთანხმდა, ფული მის ცოლს გადავეცი; ღამით გემზე მისი და პენტაურის ადგილების შეცვლაც მოვახერხე. ამგვარად პენტაური ჩემს ორჩხომელზე მოხვდა ხუნის სახელით, ხოლო ხუნი, რომელსაც ამიერიდან პენტაური უნდა რქმეოდა, სამხრეთისკენ წავიდა. მე არც დამიმალავს მისთვის, რომ ხენუში კი არა, ოქროს საბადოებზე მოხვდებოდა. საკვირველი ამბავია: მეტად სასიამოვნოა, როცა გაიძვერას ან მდიდარს გააცურებ ხოლმე, მაგრამ ვის ეყოფა გამბედაობა ბავშვი ან ავადმყოფი მოატყუოს? რა თქმა უნდა, ხუნი ულაპარაკოდ ადუღებულ კუპრშიც კი ჩახტებოდა, ოღონდ ბავშვები გადაერჩინა; ამიტომაც მხიარული და დიდად კმაყოფილი დამშორდა. ჰოდა, დანარჩენი თქვენც კარგად იცით. სირიაში ამ დროს წვიმები იცის, და ალბათ გაგიჭირდებათ. მე იმ ქვეყანას კარგად ვიცნობ, რადგანაც ბევრი ჯერ წამომიყვანია იქიდან ეგვიპტეში ტყვეები; თანაც ხუთი წელი დიდი მახორის — პააკერის მამის რაზმში გავატარე.

ბენტ-ანატმა მადლობა გადაუხადა მამაც მეომარს, ხოლო პენტაურმა და ნებსეხტმა თავიანთი თავგადასავალი უამბეს ყველას.

— მგზავრობის დროს ძალიან ვწუხდი პენტაურზე, — თქვა ნებსეხტმა, — ვატყობდი, რომ დარდისგან ჩამოხმა. მაგრამ როგორც კი უდაბნოს გზას დავადექით, თავს მოერია და, როცა ვისვენებდით ხოლმე, ხშირად მღეროდა კიდეც ჩუმად მშვენიერ სიმღერებს, თავად რომ თხზავდა გზაში.

— საოცარია! — წამოიძახა ბენტ-ანატმა. — მეც ხომ სწორედ უდაბნოში მომეშვა გულზე!

— წაგვიკითხე ლექსი ყვავილ ბეიტრანზე. — სთხოვა პოეტს ნებსეხტმა.

— შენ იცნობ ამ ყვავილს? — მიმართა პენტაურმა ფარაონის ასულს. — ის აქაც ხარობს, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება: აი ისიც! უსუნე, როგორი სურნელება აქვს, როცა მის ფურცლებს თითებს შორის მოსრისავ. ჩემი ლექსი მეტად უბრალოა, სიმღერების შემდეგ შევთხზე, ისინი კი ყველა კარგად იცი.

— და ყველა სიმღერაში ერთ ქალღმერთს უმღერის, — ღიმილით შენიშნა ნებსეხტმა.

— მაშ, წაგვიკითხე ის ლექსი, — სთხოვა ბენტ-ანატმა.

პოეტი ერთხანს დუმდა, შემდეგ კი ჩუმი ხმით კითხვა დაიწყო:

უდაბნოს გზებზე, სისხამ დილით თუ საღამოთი,
ხშირად მინახავს მე ყვავილი მწვანე სამოსით.
მისაახლებლად გიწვევს თითქოს, როცა უცქერი,
ნაზ სურნელებას აკმევს მისი ყველა ფურცელი.

აქ, მშრალ ქვიშაში ყლორტი როგორ ამოიყარა
ან უცვარნამოდ როგორ გაძლო, როგორ იხარა?
რა მემართება! ვერ ვისვენებ, გული მიღელავს
და მიკარნახებს აქამომდე უთქმელ სიმღერას.

— უდაბნოს ხომ არ უმადლი შთაგონებას, სიყვარულმა რომ მოგანიჭა? — ჰკითხა ნეფერტმა.

— ორივეს მადლობელი უნდა ვიყო; უნდა ითქვას, რომ უდაბნო უებარი წამალია სნეული სულისა. ხსნას გარემომცველი ერთფეროვნებისგან უნებურად ჩვენს თავში ვეძებთ. ყველა გრძნობა აქ მიძინებულია, და ჩვენც სრულიად მშვიდად, დაუბრკოლებლივ შეგვიძლია განვსაჯოთ ყოველგვარი აზრი, შევიგრძნოთ სულის თითოეული მოძრაობა მის უფაქი-

ზეს ელფერამდე. ქალაქებში ადამიანი მარტოოდენ ნაწილია ერთი უზარმაზარი მთლიანობისა, რომელზედაც ის სავსებით არის დამოკიდებული, უდაბნოში კი მგზავრი მხოლოდ თავის თავს ეკუთვნის; ადამიანებს მოშორებული, საკუთარ „მეს“ უნდა დასჯერდეს და მასში ეძიოს მთელი ცხოვრების აზრი და არსი. აქ, სადაც აწმყო მოკრძალებულად უკან იხევს, მოაზროვნე გონებას სრული თავისუფლება ენიჭება შორეულ მომავალზე იფიქროს.

— დიახ, უდაბნოში მართლაც კარგად ფიქრობს ადამიანი, — დაუდასტურა ნებსეხტმა. — მაგალითად, მე აქ ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაზედაც ეგვიპტეში მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა.

— მაინც, რა? — ჰკითხა პენტაურმა.

— ჯერ ერთი ის, რომ მე და ჩვენ ყველამ სინამდვილეში არაფერი არ ვიცით, მეორეც, ის, რომ ვირს მართლაც შეუძლია ვარდი შეიყვაროს, მაგრამ ვარდს ვირი — არასოდეს; მესამეზე კი კრინტსაც არ დავძრავ. ეს ჩემი საიდუმლოა. თუმცა, მართალია, ის ყველას ეხება, მაგრამ მისთვის არავის სცალია. პატივცემულო კარისკაცო, მიპასუხე ერთ კითხვაზე: შენ ხომ ზუსტად იცი, მდგომარეობისდა მიხედვით ვინ როგორ უნდა სცეს თაყვანი მეფის ასულს, მაგრამ იოტისოდენა წარმოდგენაც კი არა გაქვს ადამიანის ხერხემლის აგებულებაზე. განა ასე არ არის?

— რაში მჭირდება ამის ცოდნა? — კითხვითვე უპასუხა კარისკაცმა. — ჩემი მოვალეობაა გარეგნობას მივაქციო ყურადღება, შენ კი, გეტყობა, დღე და ღამე იმის ცდაში ხარ, როგორმე შიგნით ჩაიხედო. ასე რომ არ იყოს, თმა მუდამ აწეწილი როდი გექნებოდა და ტანსაცმელი — დალაქავებული!

* * *

მგზავრებმა უფათერაკოდ მიაღწიეს უძველეს ქალაქ ჰებრონამდე, საიდანაც გამოემშვიდობნენ რა აბოხარაბსა და მის მეომრებს, ეგვიპტის საიმედო რაზმების თანხლებით ჩრდილოეთისკენ დაიძრნენ. პენტაურიც აქვე დაემშვიდობა ფარაონის ქალიშვილს, და ბენტ-ანატმაც ვაჟკაცურად გადაიტანა ეს განშორება.

უარდას მამას ჯერ კიდევ ძველ მახორთან სამსახურის დროს შემოვლილი ჰქონდა მთელი სირია, ამიტომაც იგი პენტაურს გაჰყვა, ხოლო ექიმი ნებსეხტი ქალებთან დარჩა. თითქოს მას შემდეგ, რაც პენტაური მათგან წავიდა, ჩვენს მგზავრებს ბედი აღარ სწყალობდათ, რადგან სირიის მთებში მათ ზამთრის კოკისპირულმა წვიმამ მოუსწრო. გზები გაფუჭდა, კარვები სველდებოდა, და მგზავრებიც იძულებულნი იყვნენ მალ-მალე შეჩერებულიყვნენ. მეგიდოში[174] შესაფერისი პატივით დაუხვდათ ეგვიპტის გარნიზონის სარდალი, მაგრამ აქ დარჩენა მოუხდათ, რადგან ნეფერტი, რომელიც ყველაზე მეტად ჩქარობდა, მოულოდნელად ავად გახდა, და ნებსეხტმა აუკრძალა მგზავრობა ცუდი ამინდის გამო.

უარდა დღითიდღე ფერმკრთალდებოდა და დაღონებულიც ჩანდა. შეშფოთებული ბენტ-ანატი უყურებდა, როგორ გაიცრიცა მისი საყვარელი გოგონა. მაგრამ რამდენჯერაც კი სევდის მიზეზი ჰკითხა, უარდა ყოველთვის პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა. უარდას ბენტ-ანატის თანდასწრებით არასოდეს უხსენებია რამერი და არც დედისეული ძვირფასი საჩუქარი უჩვენებია მისთვის; ის გრძნობდა, რომ ყველაფერი, რაც

[174] მეგიდო — პალესტინის უძველესი ქალაქი.

მკითხველთა ლიგა

მას და ბენტ-ანატის ძმას შორის მოხდა — საიდუმლო იყო და მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნოდა. მას სხვა მიზეზიც ჰქონდა. უარდას ძალიან უყვარდა ბენტ-ანატი და დარწმუნებული იყო, რომ, თუკი მეფის ასული მის საიდუმლოს გაიგებდა, რამერის გაკიცხავდა, ანდა სულაც სასაცილოდ აიგდებდა მათ სიყვარულს, ბავშვურ გატაცებად ჩათვლიდა. ეს რომ ასე მოხდეს, ფიქრობდა უარდა, მაშინ ის სამუდამოდ შეიძულებს რამერის დას.

პირველი სასაზღვრო ციხესიმაგრიდან ცხენოსანი შიკრიკი გაგზავნეს ფარაონის ბანაკში, რათა რამზესს ებრძანებინა საით და რომელი გზით წამოსულიყო მეგიდოდან მისი ქალიშვილი თავისი ამალითურთ. მალე შიკრიკიც დაბრუნდა, თან მოკლე, მაგრამ ალერსიანი ბარათი მოიტანა, რომელიც ფარაონის ხელით იყო დაწერილი. რამზესი კატეგორიულად უკრძალავდა ქალიშვილს მეგიდოდან წამოსვლას. ქალაქი, რომელიც მისი არმიის მომარაგების ცენტრს წარმოადგენდა და კარგად იყო გამაგრებული და დაცული ძლიერი გარნიზონის მიერ, განლაგებული იყო ჩრდილოეთი და ცენტრალური პალესტინის მისადგომებთან ზღვის მხრიდან. ფარაონი სწერდა, რომ მზადდება გადამწყვეტი ბრძოლები, ეგვიპტელებს კი ლაშქრობაში ცოლ-შვილი თან არასოდეს მიჰყავთ, რადგანაც უფრთხილდებიან, როგორც უმაღლეს ჯილდოს დაზავებას შემდეგ.

სანამ ბენტ-ანატი თავისი ამალით მეგიდოში იმყოფებოდა, პენტაური ჟღალწვერა მეომრისა და ჰებრონის სარდლის მიერ გამოგზავნილი მცირე ცხენოსანთა რაზმის თანხლებით სწრაფად მიიწევდა ჩრდილოეთისკენ.

საოცარი ის იყო, რომ პენტაურს მშვენივრად ეჭირა თავი უნაგირზე, თუმცა თავის სიცოცხლეში პირველად დაჯდა ცხენ-

ზე, თითქოსდა გაწაფულ მხედრად იყო დაბადებულიო. მან ხელად ისწავლა თანამგზავრებისგან, როგორ მოქცეოდა ცხენს, გაიგო თავისი ცხენის ხასიათი და დიდ სიამოვნებასაც ჰგვრიდა ფიცხი ბედაურის ხან მოთვინიერება და ხან ნებაზე მიშვება.

ქურუმის სამოსელი ეგვიპტეში დატოვა. მეომრის ტანსაცმელში გამოწყობილიყო, მახვილი და საომარი ჩუგლუგი ეჭირა. კატორღაში მოშვებული წვერი, რომელიც მკერდზე ეფინა, თავისი კასტის ადათის მიუხედავად, არ მოუპარსია.

უარდას მამა ხშირ-ხშირად გადახედავდა პენტაურს და გაკვირვებული იტყოდა ხოლმე:

— შენ რომ გიყურებ, ასე მგონია, მახორი-ოზირისი, რომელთანაც ერთად მრავალჯერ გვივლია ამ გზით, მკვდრეთით აღსდგა-მეთქი. სახითაც ძალიან გგავდა, ზუსტად ასევე ლაპარაკობდა და სხვებსაც შენსავით დაუცაცხანებდა ხოლმე, უნაგირზეც შენსავით იჯდა, როცა ეტლი ცუდ გზაზე მიდიოდა,[175] და სადავეც ზუსტად ასევე ეჭირა.

ყველა, ვინც კი პენტაურს ახლდა, ჟღალწვერას გარდა, მისთვის უცხო ადამიანები იყვნენ, ამიტომაც მარტო ყოფნა ერჩივნა; წინ მიდიოდა ხოლმე და თან წარსულზე ფიქრობდა, უფრო იშვიათად — მომავალზე, და, ჩვეულებისამებრ, მის ფხიზელ თვალს გზაში არაფერი გამოეპარებოდა.

მალე ლიბანის მთებს მიაღწიეს. მთებსა და ანტილიბანს შორის გზა ღრმა ხეობის, ეგრეთწოდებული სირიის ღრმულის ძირზე გადიოდა. პენტაურს გულწრფელად უხაროდა, რომ შე-

---

[175] მზვერავები (მახორები) გარემოს დასაზვერად ეტლით მიემგზავრებოდნენ. ცნობა ამის შესახებ მოცემულია ერთ-ერთ პაპირუსში, სადაც ხატოვნადაა აღწერილი მთელი ის სიმძიმე, რომელსაც აწყდებოდა სირიაში დაზვერვაზე მყოფი მახორი (ავტ. შენიშვნა).

ეძლო საკუთარი თვალით ეხილა მზეზე მოელვარე დათოვ-ლილი მთები, რომელთა შესახებაც ბევრი სმენია ნაცადი მებ-რძოლებისაგან.

მდიდარი და ნაყოფიერი იყო ეს ქვეყანა, მოქცეული ორ მაღალ მთაგრეხილს შორის, რომელთა ფერდობებიდან გა-მალებით ეშვებოდნენ ჩანჩქერები და მოექანებოდნენ ბობო-ქარი მთის მდინარეები. მათ ნაპირებზე მდებარე სოფლები და ქალაქები ომს დაერბია. გლეხებს საქონელი წაართვეს, მწყემსებს — მთელი ფარები, ხოლო როცა რომელიმე მევენა-ხე მოახლოებული ცხენების თქარათქურს გაიგებდა, უკან-მოუხედავად გარბოდა ტყიან ხეობაში.

მიწას კავისა და ბარის ნაკვალევი ემჩნეოდა, მაგრამ ამჟა-მად მინდვრები დაუმუშავებელი იყო, რადგან ახალგაზრდა გლეხები ომში წაიყვანეს. ბაღები და მდელოები მეომრებმა გადათელეს, სახლები და ქოხები კი დარბეული ან დამწვარი იყო. ყველაფერს გამანადგურებელი ომის კვალი ეტყობოდა, მხოლოდ მუხისა და კედარის ტყეები შრიალებდნენ ამაყად მთების ფერდობებზე. ბამბუკის ხეები და ჭადრები ლამაზ წა-რაფებს ქმნიდნენ, ხეობებსა და კირქვიანი მთების ნაპრალებ-ში კი მარადმწვანე ბუჩქები იზრდებოდნენ.

წლის ამ დროს არემარე მწვანედ ხასხასებდა, წყალიც უხ-ვად იყო. როცა პენტაური ამ ქვეყანას ეგვიპტესთან ადარებ-და, ამჩნევდა, რომ შრომის იგივე შედეგებს აქ სულ სხვა სა-შუალებებით აღწევდნენ. ყოველ დილას სინის მთა აგონდე-ბოდა და თავისთვის იმეორებდა: „აქ სხვა ღმერთები ბატონო-ბენ. მართალი იყვნენ ჩვენი ძველი მოძღვრები, წყევლა-კრულვას რომ უთვლიდნენ უცხოელებს, მათ უღმერთოებს უწოდებდნენ და ერთიანი ღვთაების საიდუმლოებაში ჩაუწ-ვდომელთ მოუწოდებდნენ არ დაეტოვებინათ სამშობლო“.

რაც უფრო უახლოვდებოდა ფარაონის ბანაკს, მით უფრო ხშირად აგონდებოდა ბენტ-ანატი, ხოლო რამზესთან მალე შეხვედრის ფიქრი გულს უჩქროლებდა. უფრო ხშირად გული სასიხარულო იმედის გრძნობით ევსებოდა, რომელიც თავად უგუნურებად მიაჩნდა, მაგრამ მასთან ბრძოლა კი არ ძალუძდა.

ამენის არაერთხელ გაუკიცხავს პენტაური იმისათვის, რომ იგი მეტისმეტი თავმდაბლობის გამო, პატივმოყვარეობას მოკლებული, ხშირად სხვას უთმობდა ადგილს. პოეტი ამას ღიმმორეული იგონებდა, და სულ უფრო ნაკლებად ესმოდა საკუთარი თავისა; თუმცა კი ათასჯერ შთაუგონებია თავის თავისთვის, რომ ის მარტოოდენ ერთი უბრალო, ღატაკი და ამასთანავე შერისხული ქურუმია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც რაღაც გამოუცნობი გრძნობა ჩასჩურჩულებდა, რომ უფლება ჰქონდა ბენტ-ანატი ცოლად შეერთო.

მაგრამ ფარაონმა უარით რომ გამოისტუმროს და კადნიერებისთვის სიცოცხლესაც რომ გამოასალმოს?

პენტაური ღრმად იყო დარწმუნებული, რომ წარბსაც არ შეიხრიდა ბასრი ჩუგლუგის ქვეშ და მოკვდავთა შორის უბედნიერესი იქნებოდა, რამეთუ ის, რაც ფარაონის ქალიშვილმა აჩუქა, მარტო მას ეკუთვნოდა, და ღმერთებსაც კი არ ძალუძდათ წაერთმიათ მისთვის ბენტ-ანატის სიყვარული!

თავი მეშვიდე

პენტაურსა და მის მეომრებს რამდენჯერმე მოუხდათ მტრულად განწყობილი მთიელების მოგერიება, რომლებიც მოულოდნელად ესხმოდნენ თავს ტყიანი ფერდობებიდან.

ხოლო როცა მიზანთან უკვე სულ ახლოს იყვნენ, დიდი შეტაკება მოუხდათ მტრის მზვერავ რაზმთან, რომელიც, როგორც ეტყობოდა, რომელიღაც ლაშქრის მიერ იყო გამოგზავნილი.

ამ ბრძოლის შემდეგ ჟღალწვერა, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქადეშის მისადგომებს, დასაზვერად წავიდა და ბანაკში მეტად შეშფოთებული დაბრუნდა: გზაზე, რომლითაც უნდა ევლოთ, ხეთების დიდი რაზმები უნახავს. როგორ გაჩნდა მტერი აქ, ეგვიპტის არმიის ზურგში? ნუთუ რამზესი დამარცხდა?

ჯერ კიდევ გუშინ გზაში ეგვიპტელი მეომრები ხვდებოდნენ, რომელთაგანაც შეიტყვეს, რომ ფარაონი ჯერჯერობით ისევ თავის ბანაკში იმყოფებოდა, მაგრამ უახლოეს დღეებში დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი; მაგრამ ასე მალე ხომ არ დამთავრდებოდა, თანაც არც ერთი გამოქცეული ეგვიპტელი არ უნახავთ.

— თუ კიდევ ორ საათს ვერავინ შეგვამჩნევს, მაშინ მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ, — თქვა უარდას მამამ. — ერთი ხეობა მეგულება, წინათ იქიდან ბილიკი მთის გადავლით პირდაპირ ვაკეზე ჩადიოდა. მახორისა და მისი ერთგული მეომრების გარდა მისი არსებობა არავინ იცოდა. იმ დაბლობამდე ასე შუაგზაზე მოფარებულ ადგილას ერთი გამოქვაბულია, სადაც ხში-

რად რამდენიმე დღეს ვიმალებოდით ხოლმე. ხეთებს მახორი უჩინმაჩინი ეგონათ: როგორც კი ამ გზაზე ჩაგვისაფრდებოდნენ, უკვალოდ ვქრებოდით, თითქოს მიწამ გვიყოო პირი. ჩვენ კი უბრალოდ იმ გამოქვაბულს ვაფარებდით თავს. თუ შენ მთებში სიარული არ გიჭირს და შეგიძლია ცხენი სადავით წამოიყვანო, მაშინ იმ გზას გაჩვენებ, და ხვალ საღამოს უკვე ფარაონის ბანაკში ვიქნებით.

პენტაურმა უყოყმანოდ უბრძანა ჟღალწვერას წაეყვანა რაზმი. მშვიდობიანად მიაღწიეს ვიწრო ხეობას, რომლის ფსკერზეც წვიმისაგან ადიდებული ნაკადული მიედინებოდა.

ჟღალწვერა კაშტა ცხენიდან ჩამოხტა, მას უსიტყვოდ მიჰყვნენ პენტაური და სხვა მეომრებიც. ცხენები წყალში შეიყვანეს, ჟღალწვერამ კი გულდასმით მოასწორა მიწა, რომ გზას ცხენებისა და ადამიანების ნაკვალევი არ დასტყობოდა. შემდეგ რაზმს წინ გაუძღვა და თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში მუხლამდე წყალში მიტოპავდნენ ნაკადულის ზემო წელისკენ. ბოლოს კაშტა ოლეანდრის ხშირ ბუჩქთან შეჩერდა და რაღაცას ძებნა დაუწყო; როცა ბილიკი იპოვა, ტოტები ფრთხილად გადასწია და წინ გაუძღვა რაზმს. მისმა თანამგზავრებმა, რომლებსაც დაღლილი ცხენები მოჰყავდათ, ძლივძლივობით გაიკვლიეს გზა და სულ მალე ცადაზიდული კედარების ტევრში გაუჩინარდნენ.

აქ ჩამოქცეულ კლდეებს შორის გაძვრნენ, სადღაც ზევით აცოცდნენ და ქვაყრილზე დაეშვნენ, სადაც ცხენები ფეხს ძლივს იკიდებდნენ, ხელახლა გაძვრნენ ხშირ ბუჩქებში და ზამთრის წვიმებისგან ადიდებული რამდენიმე ნაკადულიც გადალახეს.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო უარესდებოდა გზა; ამასობაში ბინდიც ჩამოწვა, ცა მრუმე ღრუბლებით დაეფარა და წვიმა დაიწყო.

— ცოცხლად, ნუ ჩამორჩებით! — დაიყვირა ჟღალწვერამ. — ნახევარი საათის სავალიღა დაგვრჩა, იქ კი გავშრებით, თუ გზა არ ამერია.

უცებ ერთი ცხენი წაიქცა, მგზავრებმა რის ვაი-ვაგლახით ისევ ფეხზე წამოაყენეს, წვიმა კი თანდათან ძლიერდებოდა, ირგვლივ უკუნი ჩამოწვა. უარდას მამა მალ-მალე ჩერდებოდა და მიწას ხელით სინჯავდა. ორჯერ კიდევაც იფიქრა, ალბათ გზა ამერიაო. მაგრამ კვლავ ეძებდა, ვიდრე ხელახლა ბილიკს არ დაადგებოდა. ბოლოს შეჩერდა და პენტაური მოიხმო.

— გამოქვაბული აქ სადღაც უნდა იყოს, — ჩუმად უთხრა მას. — ხელი მომკიდე. ადვილი შესაძლებელია, აქ მახორ პაკერის ხალხს შევხვდეთ. მამამისის დროს აქ მუდამ იყო სურსათის მარაგი და კვეს-აბედი. ხომ მხედავ? ტანისამოსში მაგრად ჩამეჭიდე, დაიხარე და ისე იარე, სანამ არ გეტყვი, გასწორდი-მეთქი. ჩუგლუგიც მზად გქონდეს: გამოქვაბულში შეიძლება ხეთები იმალებოდნენ ან იქნებ ნადირიც იყოს. თქვენ კი აქ მოგვიცადეთ! მალე დაგიძახებთ და ტანსაცმელსაც იქ გაიშრობთ.

პენტაური თავის მეგზურს გაჰყვა, ჯერ სველ ბუჩქებში გაძვრა ძლივძლივობით, შემდეგ რომელიღაც დაბალ საძრომში — და ერთ პატარა მოედანზე ამოყო თავი.

— ფრთხილად! — უთხრა ჟღალწვერამ. — მარცხნივ იარე, მარჯვნივ უფსკრულია. კვამლის სუნი მცემს! ჩუგლუგი მოამზადე! გამოქვაბულში ნამდვილად ხალხია. აქ იყავი, ჩვენებს მოვიყვან.

ჟღალწვერა უკან გაფოფხდა, ხოლო პენტაურმა იმ მხარეს მიაყურადა, საიდანაც, მისი აზრით, კვამლის სუნი მოდიოდა: ისიც კი მოეჩვენა, თითქოს იქიდან სინათლე გამოკრთოდა, შემდეგ გარკვევით გაიგონა ვიღაცის საცოდავი ხმა, მერე ლანძღვაც შემოესმა. მის ხელმარცხნივ ხორკლიან კედელს მოეჭიდა და სინათლის სხივს გაჰყვა. სინათლის ზოლი სულ უფრო კაშკაშა ხდებოდა, თითქოს შუქი კარის ღრიჭოდან გამოდიოდა.

ამასობაში ჟღალწვერაც დაბრუნდა და ორივე სმენად იქცა. პენტაურმა ჩაუჩურჩულა:

— ეგვიპტურად ლაპარაკობენ, რამდენიმე სიტყვა გავარჩიე.

— მით უკეთესი, — ჩურჩულითვე გამოეხმაურა უარდას მამა. — ალბათ აქ პააკერია ან ვინმე მისი რაზმიდან. კარი მთლიანია და თანაც ჩაკეტილი, თუ ჩვენ ოთხჯერ ხმამაღლა და სამჯერ ჩუმად დავაკაკუნებთ, უნდა გაგვიღონ. გესმის რაზე ლაპარაკობენ?

— ვიღაც იხვეწება, რომ გაანთავისუფლონ, — უთხრა პენტაურმა. — თან ვიღაც მოღალატეს აგინებს. მეორეს უხეში ხმა აქვს და ერთთავად იმეორებს, რომ თავის ბატონს უნდა დაემორჩილოს. აგერ, პირველი ატირდა... გესმის? ახლა ის მამის სულს აფიცებს, ხელები გაუხსნან... საშინელი სასოწარკვეთილება ისმის მის ხმაში! დააბრახუნე, კაშტა, ვფიქრობ, სწორედ დროზე მოვედით, დააბრახუნე, გეუბნები!

ჟღალწვერამ ჯერ ოთხჯერ დააკაკუნა ხმამაღლა, მერე კი სამჯერ უფრო ჩუმად. გამოქვაბულიდან შემზარავი ქვითინი მოისმა, შემდეგ მძიმე და ალბათ დაჟანგული ურდულის ღრჭიალი, ტლანქად შეკრული კარი ყურთამდე გაიღო და ხრინწიანმა ხმამ იკითხა:

— შენ ხარ, პააკერ?

— არა, — უპასუხა ჟღალწვერამ. — კაშტა ვარ. შენ რა, ვეღარ მცნობ, ნუბი?

მათ წინაშე მოხუცი ეთიოპი, პააკერის მონა იდგა.

— ცოცხალი ხარ, კაშტა? — წამოიძახა განცვიფრებულმა. — აქ რამ მოგიყვანა?

— ჩემი ბატონი თვითონ გეტყვის ყველაფერს, — უპასუხა კაშტამ, უკან დაიხია და პენტაური წინ გაუშვა.

პოეტი მონასთან მივიდა და გამოქვაბულში ანთებული ცეცხლის ალმა მისი სახე გაანათა.

მოხუცმა შეხედა მას და შეძრწუნებული უეცრად განზე გახტა, შემდეგ მიწაზე პირქვე დაემხო და იმ ძაღლივით დაიღმუვლა, რომელსაც გულმოსული პატრონი პანღურს ამოჰკრავს ხოლმე.

— მან გვიბრძანა, ასე გვიბრძანა, გეფიცები, მახორის სულო! — იმეორებდა თავზარდაცემული მონა.

პენტაური გაშრა, ხმა ვეღარ ამოიღო, კოცონიდან კი მისკენ ხელფეხშეკრული ყმაწვილი მოცოცავდა.

— მიხსენი, მახორის სულო, მიხსენი, მამა! — სასოწარკვეთილმა შეჰღაღადა და მის ხმაში იმდენი სინაზე მოისმოდა, რომ პენტაურს უნებლიეთ გული შეეკუმშა.

— მე მიცვალებულის სული არა ვარ, — დაილაპარაკა პოეტმა. — მე ქურუმი პენტაური ვარ და შენც გიცნობ, ყმაწვილო. შენ ჰორე, პააკერის ძმა ხარ, მე და შენ ერთად ვიზრდებოდით სეთის სახლში.

აკანკალებული ტყვე ახლოს მიცოცდა პენტაურთან, დააცქერდა და შესძახა:

— ვინც უნდა იყო, მამაჩემს ძალიან ჰგავხარ სახით და ხმით. გამიხსენი ბორკილები, გამანთავისუფლე! საშინელი,

გაუგონარი, შემზარავი ღალატი გვემუქრება ყველას, ფარაონს და მთელ ეგვიპტეს.

პენტაურმა სატევარი ამოაძრო და ღვედები გადაჭრა, რომლებითაც ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული ყმაწვილს. მან შვებით ამოისუნთქა და დაბუჟებული კიდურების დაზელვას შეუდგა, თან მადლობას სწირავდა ღმერთებს.

— თუ ეგვიპტე გიყვარს და ფარაონის ერთგული კაცი ხარ, გამომყევი! — მიმართა უეცრად პენტაურს, — იქნებ მოვასწროთ და ხელი შევუშალოთ, მოღალატეებს.

— უკუნი ღამეა, თანაც გზა ხეობაზე მეტად საშიშია, — უთხრა კაშტამ.

— კიდევაც რომ დავიღუპოთ, მაინც უნდა წამომყვეთ! — ყმაწვილმა ყურადღებაც კი არ მიაქცია მეომარს, ხელი ჩაავლო პენტაურს და გასასვლელისკენ წაიყვანა.

როგორც კი ეთიოპი მონა დარწმუნდა, რომ პენტაური მისი გარდაცვლილი ბატონის სული კი არ იყო, არამედ სწორედ ის ქურუმი სეთის სახლიდან, რომელიც პარასქიტის ქოხთან შეჯახების დროს ნახა, გაპარვა დააპირა, მაგრამ ჰორემ დროულად შეამჩნია და ხუჭუჭ თმაში ჩაავლო ხელი.

ეთიოპმა ხმამაღლა და გულსაკლავად დაიკვნესა, შემდეგ კი მოთქმას მოჰყვა.

— შენ რომ გაიქცე, პააკერი მომკლავს. ასე დამემუქრა.

— მოიცადეთ! — დაიყვირა ყმაწვილმა, მონა გამოქვაბულის სიღრმეში შეათრია, კარი დაკეტა და დიდი მორი მიაყუდა.

როგორც კი გარეთ გამოძვრნენ, ძლიერმა ქარმა დაჰკრათ.

— რა სწრაფად მიქრიან ღრუბლები ცაზე, — თქვა ჰორემ. — მალე ქარიშხალი გაფანტავს მათ. უბრძანე, ცხენები მოგვიყვანონ, პენტაურ, არც ერთი წუთი არ უნდა დავკარგოთ.

პოეტმა უარდას მამას უბრძანა რაზმი წაეყვანა, მაგრამ კაშტა შეეპასუხა:

— ცხენები და ადამიანები დაიქანცნენ, სიბნელეში კი ისედაც ნელა ვივლით. უმჯობესია, ცხენებს აჭამონ, ამასობაში ხალხიც დანაყრდება და გათბება. დასვენებული ცხენებით, თანაც მთვარის შუქზე სამჯერ უფრო ჩქარა ვივლით.

— კაშტა მართალია, — დაეთანხმა ჰორე და მეგზური პატარა გამოქვაბულისკენ წაიყვანა, სადაც ქერი, ფინიკი და რამდენიმე რუმბი ღვინო ინახებოდა.

მალე კოცონიც აბრიალდა, სანამ ზოგი მეომარი ცხენებს აჭმევდა, ხოლო დანარჩენები ცხელ საჭმელს ამზადებდნენ, ჰორე და პენტაური ბოლთას სცემდნენ გამოქვაბულის წინ.

— შენ უკვე ხელფეხშეკრული იყავი, ჩვენ რომ მოვედით? — ჰკითხა პენტაურმა.

— ჩემმა ძმამ გუშინვე გამთოკა, — მიუგო ჰორემ. — ახლა უკვე შორს იქნება წასული და მისი დაწევა შეუძლებელია. თუ ის ხეთებთან მისვლას მოასწრებს, ჩვენ კი განთიადამდე ფარაონის ბანაკს არ მივაღწიეთ, მაშინ ყველაფერი დაღუპულია.

— მაშასადამე, პააკერს ფარაონისა და სამშობლოს ღალატი ჰქონია განზრახული?

— რა თქმა უნდა! თანაც საშინელი, გაუგონარი ღალატი, — წამოიძახა ჰორემ. — ოი, მამაჩემო ოზირისო!

— ჩემთან გულახდილი იყავი, — უთხრა პენტაურმა და ყმაწვილს მიუახლოვდა, რომელსაც სახეზე ხელები აეფარე-

ბინა. — მითხარი, რა განუზრახავს პააკერს? რა მოხდა ასეთი, რომ ალალი ძმა მტრად გადაგეკიდა?

— ის ოჯახის უფროსია, — დაიწყო ჰორემ მღელვარებისგან აკანკალებული ხმით. — როცა მამა კვდებოდა, მე ახალდაბრუნებული ვიყავი მაშინ სეთის სახლიდან, სიკვდილის წინ მიანდერძა, პატივი მეცა პააკერისთვის, როგორც ოჯახის უფროსისთვის. ჩემს ძმას მბრძანებლობა უყვარს, უხეშია, ვერ იტანს, როცა სიტყვას უბრუნებენ. მეც ყველაფერს მოთმინებით ვიტანდი, ყველაფერში მაინც ვემორჩილებოდი, თუმცა ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი. ორი წელი ვცხოვრობდი მასთან, შემდეგ თებეში წავედი, იქ დავქორწინდი და ახლა ჩემი ცოლ-შვილი დედასთან ცხოვრობს. თექვსმეტი მთვარის წინ სირიაში დავბრუნდი და ხელახლა დავიწყეთ აღმა-დაღმა სიარული ამ ქვეყანაში. მაგრამ ახლა უკვე აღარ მინდოდა ბრმა იარაღი ვყოფილიყავი ძმის ხელში; მეც უფრო ამაყი გავხდი: ჩემი ბიჭის მამა, ვფიქრობდი მე, არ უნდა იყოს მოსამსახურე, თუნდაც თავისი ღვიძლი ძმისა. მძიმე ცხოვრება გვქონდა, მაგრამ როცა ორი თვის წინ პააკერი თებედან დაბრუნდა, სულ მთლად აუტანელი გახდა. ისედაც გულღვარძლიანი პააკერი უფრო გაბოროტდა და შემიჯავრა კიდეც, როცა ფარაონმა აგრძნობინა, რომ ჩემი პატაკები უფრო მოსწონდა. ბავშვობიდანვე რბილი ხასიათი მქონდა, — მეუბნებოდნენ, დედას ჰგავხარო, — მაგრამ ის, რასაც უფროსი ძმისგან ვიტანდი... პირდაპირ წარმოუდგენელი იყო...

ჰორეს ხმა ჩაუწყდა, და პენტაური მიხვდა, რაოდენ იტანჯებოდა ეს ახალგაზრდა.

— ეგვიპტეში თავს რა გადახდა ჩემს ძმას, არ ვიცი, მეტად გულჩათხრობილია საერთოდ, არც ამხანაგი უნდა ჭირსა თუ ლხინში. მაგრამ ერთხელ შემთხვევით წამოსცდა, რომ არა

მარტო მენა ეჯავრებოდა, რომელიც მართლაც ცუდად მოექცა, არამედ ფარაონიც. მე იგი მხოლოდ ერთხელ გავაფრთხილე, რადგან მის რისხვას საზღვარი არა აქვს, როცა მოთმინებიდან გამოდის, ესეც არ იყოს, ის ხომ ჩემი უფროსი ძმაა. უკვე რამდენიმე დღეა, ფარაონის ბანაკში გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან, ჩვენც ნაბრძანები გვქონდა დაგვეზვერა მოწინააღმდეგის პოზიციები და ძალები. დაზვერვის პატაკის დაწერა ფარაონმა მე დამავალა, სწორედ მე და არა პააკერს. გუშინ დილაადრიან დავამთავრე და რუკებიც დავხაზე. პააკერმა მითხრა, პატაკს თავად მივიტანო ბანაკში, მე კი აქ უნდა დავლოდებოდი. მე არ დავთანხმდი იმიტომ, რომ რამზესი მე მომთხოვდა პატაკს და არა იმას. მაშინ პააკერი გაცოფდა, შეშლილივით დაიწყო ყვირილი, ვითომ და მე მისი არყოფნით ვისარგებლე და ფარაონის ნდობა დავიმსახურე, ბოლოს კი ჩვენი განსვენებული მამის სახელით მომთხოვა დავმორჩილებოდი, როგორც გვარის უფროსს. მერე ცხენების მოსაყვანად გავიდა, მე კი მარტო დავრჩი გამოქვაბულში და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. უეცრად თვალში პააკერის ნივთები მომხვდა, ეთიოპი მონა რომ ალაგებდა, რათა ცხენზე აეკიდათ. მათ შორის პაპირუსის გრაგნილი შევნიშნე. ჩემი მეგონა, გავშალე და რა დავინახე... კინაღამ ძვირად დამიჯდა ხეთების ბანაკში შეპარვა; იქ აღმოვაჩინე, რომ მათი ძირითადი ძალები თავმოყრილია მთებში ჩამალულ ხეობაში, რომელიც ორონტუს განივადაა განლაგებული ქადეშის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო პაპირუსში პააკერის ხელით ეწერა, რომ ეს ხეობა საერთოდ თავისუფალია მტრის ჯარებისაგან, მასზე გამავალი გზა კი ფართო და მოხერხებულია ფარაონის საბრძოლო ეტლებისათვის. დანარჩენი ცნობებიც არასწორი იყო. ხოლო როცა მისი ნივთები გავჩხრიკე,

კაპარჭში ვიპოვე ისრები წარწერით: „სიკვდილი მენას“ და კიდევ რაღაც გრაგნილი. ხელი დავავლე, გავშალე — და სისხლი გამეყინა ძარღვებში, როცა ვნახე, ვის სწერდა!

— ხეთების მეფეს?

— მის მთავარ მსახურს ტიტურეს.[176] როცა პააკერი დაბრუნდა, შუა გამოქვაბულში ვიდექი ამ გრაგნილებით ხელში. „მოღალატე!“ — შევყვირე მე, მან კი იმწამსვე ქამანდი მესროლა, ცხენებს რომ იჭერდა ხოლმე, ხოლო როცა ყულფისგან მოგუდული მიწაზე დავეცი, ხელ-ფეხი შემიკრა იმ ეთიოპის დახმარებით, რომელიც ძაღლივით უჯერებს ყველაფერს! მონა დარაჯად დამიყენა, გრაგნილებს დაავლო ხელი და გაქუსლა. შეხედე, აი ვარსკვლავები გამოჩნდა, მალე მთვარეც ამოვა.

— ადექით, ხალხნო! — დაიყვირა პენტაურმა. — სამი საუკეთესო ცხენი მომგვარეთ, ჰორესთვის, ჩემთვის და კაშტასთვის. დანარჩენები აქ დარჩებიან!

როცა ჟღალწვერამ ცხენები მოიყვანა, მთვარე უკვე ანათებდა; ერთი საათის სიარულის შემდეგ მგზავრებმა გაივაკეს, ცხენებს შემოახტნენ და ქადეშის ტბისკენ გაქუსლეს.

მზე უკვე ამოიწვერა, როცა ისინი ტბას მიადგნენ. შორიდანვე დაინახეს, რომ მოტიტვლებულ დასავლეთ ნაპირზე უამრავი ხალხი ირეოდა. ჰაერში ბუღი ტრიალებდა. აქა-იქ გაიელვებდა ხოლმე საომარი საჭურველი.

— ბრძოლა უკვე დაწყებულა! — არაადამიანური ხმით დაიღრიალა ჰორემ და აქვითინებული ცხენის კისერს მიეკრა.

— ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არაა! — მიუგო პოეტმა, რომელიც დაქანცულ ცხენს მიერეკებოდა. თანამგზავ-

[176] ტიტურე — ეს სახელი გვხვდება რამესეიში რელიეფებზე, რომლებიც ხეთებთან ბრძოლას ასახავენ. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

რებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ, მაგრამ ჯერ კაშტას ცხენი წაიქცა, შემდეგ კი ჰორესი.

— ახლა მხოლოდ ჩვენი ჯარების მარცხენა ფრთა თუღა გვიხსნის! — შესძახა ჰორემ. — მე იქით გავიქცევი. შენ მდინარეს გაჰყევი, ქვის ხიდთან ადვილად იპოვი ფარაონს. თავდასხმა განივ ხეობაში უნდა მოხდეს, ხეობის ჩრდილოეთ მხარეს ათასი ნაბიჯის მოშორებით, სიმაგრის ჩრდილოდასავლეთით. ეცადე როგორმე გააღწიო და რამზესი გააფრთხილო! ეგვიპტელების პაროლია მისი საყვარელი ქალიშვილის სახელი — ბენტ-ანატი. ფრთებიც რომ შეგესხას და დროზე მიხვიდე, სულ ერთია, ჩვენებს მაინც გაანადგურებენ, თუკი მარცხენა ფრთას მტრის ზურგში ვერ შევიყვან.

პოეტმა წინ გასწია, მაგრამ მისი ცხენიც წაიქცა. მაშინ პენტაური ფეხზე წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა; თან პაროლს ყვიროდა: „ბენტ-ანატ!“ ამ სახელის ბგერა ძალას უათკეცებდა. იგი მირბოდა მანამდე, ვიდრე მტრის ცხენოსან შიკრიკს არ გადააწყდა. ხანმოკლე შეტაკების შედეგად პენტაურმა მოწინააღმდეგე ცხენიდან ძირს ჩამოაგდო, მის ცხენს შემოახტა და ისეთი სისწრაფით გაქუსლა ბრძოლის ველისკენ, თითქოს საკუთარ ქორწილში მიიჩქარისო.

თავი მერვე

იმ ღამეს, როცა ჩვენი მეგობრები ფარაონის ლაშქრისკენ გაღწევას ლამობდნენ, მის ბანაკში არავის ეძინა.

ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე ეგვიპტის ჯარები ბანაკიდან უნდა გამოსულიყვნენ და საბრძოლო პოზიციები დაეკავებინათ; ეს ბრძოლა უკვე დიდი ხანია მზადდებოდა.

პააკერმა პირადად გადასცა თავისი პატაკი ფარაონს; იმ წუთშივე მოიწვიეს სამხედრო საბჭო, რომელმაც თითოეულ რაზმს მიუჩინა სამოქმედო ასპარეზი.

სამხრეთიდან, შაბატუნის გავლით, მოდიოდა მზის ღმერთის რას სახელობის კორპუსი. ამ კორპუსს აღმოსავლეთიდან უნდა შემოევლო ტბა და მოწინააღმდეგის ფლანგში დაერტყა. ქვემოეგვიპტელებისგან შემდგარი სეთხის კორპუსი, რომელიც არნამიდან მოვიდა, არმიის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. თვითონ ფარაონმა მეეტლეთა ნარჩევი რაზმებითურთ გადაწყვიტა იმ ხეობით ევლო, რომელიც მდინარე ორონტის დაბალ ნაპირს ემიჯნებოდა და, პააკერის თქმით, საკმაოდ ფართო და მოხერხებული იყო ეტლებისთვის. ამგვარად, ფიქრობდა ფარაონი, სანამ დანარჩენი კორპუსები მტრის ძალებს მიიზიდავდნენ, ის ამასობაში თავისუფლად მოასწრებდა ორონტის ფონს გასვლას და ზურგიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან, შემოუტევდა ქადეშის ციხესიმაგრეს. ზურგის დასაცავად ფარაონს ეთიოპიის დამხმარე ჯარებთან ერთად უკან უნდა გაჰყოლოდა ამონის კორპუსი. მათ ნაბრძანები ჰქონდათ სხვა გზით წასულიყვნენ, რომელიც მახორის გამცემლური პატაკის თანახმად, თითქოსდა გადაკვეთავდა

ფარაონის გზას. პთას კორპუსი თადარიგში უნდა დარჩენილიყო მარცხენა ფრთაზე.

ბრძოლის წინა ღამეს მეომრებს არ სძინებიათ. მძიმედ შეიარაღებულ გუშაგებს, ცალ ხელში ნახევარი კაცის სიმაღლის ფარები რომ ეპყრათ, მეორეში კი ნამგლისებური ან ფართო და მოკლე მახვილები, ბანაკს იცავდნენ, მეომრები მთელი ღამე თვალმოუხუჭავად ისხდნენ მოგიზგიზე კოცონებთან. ერთგან ხელიდან ხელში გადადიოდა ღვინით სავსე თასი, მეორეგან ხის შამფურებზე მწვადებს წვავდნენ, სხვები ზარს თამაშობდნენ სამხედრო ნადავლის მომავალ წილზე. მხიარული ხორხოცი იდგა — გუშაგებს ბევრჯერ უხდებოდათ გაცხარებული მოკამათეების გაშველება.

ცხენების ბაკებთან გულმოდგინედ მუშაობდნენ მჭედლები: ბევრი ცხენი უნდა დაეჭედათ, მრავალი შუბი წაემახათ.

მეეტლეთა მსახურებსაც ყელამდე ჰქონდათ საქმე: ეტლების უმეტესობა მთებზე გადმოსვლის დროს ნაწილებად დაშალეს და საპალნიან პირუტყვს აჰკიდეს; ახლა კი სასწრაფოდ აწყობდნენ და ზეთავდნენ.

ბანაკის აღმოსავლეთ მხარეს, ბალდახინის გვერდით, რომლის ქვეშ დროშები ინახებოდა, მრავალრიცხოვანი ქურუმები მეომრებს ლოცავდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ და წმინდა ჰიმნებს გალობდნენ. მათ გალობას დროდადრო ახშობდა მოთამაშეებისა და ლოთების ხმამაღალი ყვირილი, უროს ცემა, ვირების შემზარავი ყროყინი და ცხენების ჭიხვინი. ხანდახან ფარაონის საბრძოლო ლომების ბრდღვინვაც ისმოდა, მუდამ თან რომ დაჰყავდა ბრძოლებში. დღეს კი განგებ არაფერი აჭამეს, რათა უფრო გააფთრებულიყვნენ.

ბანაკის შუაგულში ფარაონის კარვები იდგა, რომლებიც გვარდიელებითა და მეეტლეებით იყო გარშემორტყმული.

დამხმარე ჯარები ცალ-ცალკე განლაგებულიყვნენ, ყოველი ეროვნება განცალკევებით იდგა, ხოლო მათ შორის ჩამდგარიყვნენ მძიმედ შეიარაღებულ ეგვიპტელ მეომართა და მშვილდოსანთა რაზმები. აქ შეხვდებოდით შავკანიან ეთიოპელებს, რომლებსაც ნაბადივით მოთელილ თმაში ბუმბული გაერჭოთ. შორიახლოს ერთობოდნენ ლამაზი და ტანადი „უდაბნოს შვილები“ არაბეთის უდაბნოდან, რომელსაც მეწამული ზღვა ჰყოფს ეგვიპტისგან. თეძოების თამაშითა და შუბების რხევით საომარ ცეკვას ასრულებდნენ. მათ მეზობლად ისვენებდნენ რკინისმუზარადიანი, უშველებელი მახვილებით შეიარაღებული ღიაფერისკანიანი სარდინიელები; თეთრკანიანი ლიბანელები, მოსვირინგებული ხელებითა და კეფაზე დამაგრებული სირაქლემას ფრთის კონებით; წაწვეტებულწვერიანი შავგვრემანი არაბები; ისინი არასოდეს ტოვებდნენ თავიანთ ცხენებს, ლოცულობდნენ ციურ მნათობებზე, და ბრძოლაში შუბებითა და მშვილდ-ისრებით მიდიოდნენ. დამხმარე რაზმების ამ მებრძოლთა სალაპარაკო ენაც ისეთივე სხვადასხვაგვარი იყო, როგორც მათი გარეგნობა, მაგრამ ყველა ისინი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ ფარაონს.

ფარაონის კარვის შუაში მსუბუქი საკურთხეველი იდგა თებეს ღმერთებისა და რამზესის წინაპართა ქანდაკებებით: საკურთხეველი საკმევლის კვამლში იყო გახვეული, რადგან ბრძოლის წინა საღამოდან მოყოლებული მის დამთავრებამდე ქურუმებს მსხვერპლი უნდა შეეწირათ ღმერთების მეფე ამონისთვის, გამარჯვების ქალღმერთ ნეხებტისთვის და ომის ღმერთ მონტუსთვის.

ფარაონის საძილე კარვის გვერდით ლომების გალია იდგა, ხოლო სამხედრო საბჭოს კარვის წინ აღმართულ ანძაზე ალმები ფრიალებდა. ახლა ამ ფართო კარავში სიჩუმე იყო

გამეფებული. სამაგიეროდ, სამზარეულო კარვებსა და მათ მომიჯნავე ღვინის საწყობებში ჟრიამული ისმოდა.

გრძელი მართკუთხედის ფორმის უშველებელი კარავი, რომელზედაც უამრავი ფერად-ფერადი ფარნები ეკიდა, და სადაც სადილობდა და ვახშმობდა რამზესი თავის ამალასთან ერთად, გაჩახჩახებული იყო. შესასვლელში ამოწვდილი მახვილით ხელში გარინდულიყვნენ მცველები — სარდინიელები, ლიბანელები და ეგვიპტელები. ისინი ისე იყვნენ გატაცებული თავისი საპასუხისმგებლო და საპატიო საქმით, რომ ყურადღებასაც არ აქცევდნენ ლანგრებზე დაწყობილ ნუგბარ კერძებსა და ღვინით სავსე ჭურჭელს, ფარაონის მსახურები, ეგვიპტის უწარჩინებულესი ოჯახიშვილები, შესასვლელთან რომ ართმევდნენ მზარეულებსა და მერიქიფეებს.

ამ მდიდრული საველე კარვის დამრეცი სახურავი და კედლები, რომელთა დაშლა-აწყობა იოლი საქმე იყო, შედგებოდა მკვრივი ხალიჩებისგან, რომლებიც მემფისში მოქსოვეს, ტანისში კი ფინიკიელებმა ისინი მეწამულისფრად შეღებეს. საისელ ოსტატებს ამ ძვირფას ქსოვილზე ოქრომკედით ამოექარგათ გამარჯვების ფერის ასობით გამოსახულება, რაც ქალღმერთ ნეხებტის ერთ-ერთ განსახიერებას წარმოადგენდა. კედარის ბოძებს, რომლებსაც კარავი ეყრდნობოდა, ოქროს ფოლგა ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ბაგირები კი ვერცხლისა და აბრეშუმის ძაფისგან დაეწნათ.

კარავში მდგარ ოთხ მაგიდასთან ასზე მეტი ადამიანი ვახშმობდა; სამ მაგიდაზე გაშლილ სუფრას მხედართმთავრები, ქურუმთა დიდკაცობა და რამზესის მრჩევლები უსხდნენ. ცოტა მოშორებით დადგმულ მეოთხე მაგიდასთან ფარაონის ვაჟიშვილები ისხდნენ, ხოლო თავად რამზესი ტახტზე დაბრძანებულიყო განსაკუთრებულ მაგიდასთან, რომლის ოქროს

ფეხებზე ტყვე აზიელები იყო გამოჩუქურთმებული. ეს მაგიდა და სამეფო ტახტი ავაზის ტყავებით მოფარდაგებულ, საფეხურებიან შემაღლებაზე იდგა; მაგრამ უამისოდაც ახოვანი რამზესი მაინც ყველაზე მაღალი ჩანდა თანამეინახეთა შორის.[177]

ფართო კარავი გაჩახჩახებული იყო.

ტანბრგე ფარაონს შუბლმაღალ ამაყ თავზე დიადემა ჰქონდა შემორტყმული, რომლის შუაგულშიც გამოსახული იყო ორი ოქროს ურეოსი ზემო და ქვემო ეგვიპტის გვირგვინებით. ძვირფასი ქვების ყელსაბამი საყელო მკერდს ნახევრამდე უფარავდა, ქვემოთ კი ფართო სარტყელი ჰქონდა შემოხვეული. შიშველ მკლავებს ოქროს სალტეები უმშვენებდა. მისი ლამაზი კუნთმაგარი სხეული ბრინჯაოსგან ჩამოსხმულს ჰგავდა, გლუვი კანი კი სპილენძისფრად უბზინავდა.

თავისი კარისკაცებით გარშემორტყმული ფარაონი მამაშვილურად გადახედავდა ხოლმე ვაჟებს.

ლომი ისვენებდა, მაგრამ იგი ლომი იყო მოცალეობის ჟამსაც და ყველამ იცოდა, რაოდენ საშიში იქნებოდა, თუ მისი ძლიერი ხელი, რომელიც ახლა მშვიდად ამტვრევდა კვერს, მუშტად შეიკვრებოდა.

ამ კაცში ყველაფერი დიდებული იყო. მაგრამ შიშს არავის ჰგვრიდა, თუმცა კი თვალები მბრძანებლურად უელავდა, სამაგიეროდ, საოცრად ალერსიანი გამოხედვა ჰქონდა, ხოლო დაბალი ხმა, რომელიც მისი ფართო მკერდიდან ამოდიოდა

---

[177] თუ ჩვენამდე მოღწეული რამზეს II მუმიისა და მისი ურიცხვი ქანდაკებების (ცნობილია სამ ათასამდე ქანდაკება) მიხედვით ვიმსჯელებთ, ის ძალიან მაღალი და საოცრად ლამაზი ყოფილა. ფარაონის შესახებ უამრავი ისტორიული ცნობის საფუძველზე ვგებულობთ, რომ ქვეყანას მართავდა სამოცდაშვიდი წელიწადი, გარდაიცვალა ოთხმოც წელს გადაცილებული, ჰყავდა სამოცდათოთხმეტი ცოლი, ას თერთმეტი ვაჟიშვილი და სამოცდარვა ქალიშვილი.

და ზოგჯერ ბრძოლის გრგვინვასაც კი ფარავდა, ალერსიანად და გულითადად ისმოდა.

მას მშვენივრად ჰქონდა შეგნებული თავისი ძალაუფლება და სიდიადე, მაგრამ მაინც ყოველთვის ადამიანად რჩებოდა და მისთვის არ იყო უცხო უბრალო გულისწუხილი.

რამზესის უკან ახლგაზრდა იდგა და ღვინით სავსე სასმისს აწვდიდა, ოღონდ წინასწარ თვითონ უსინჯავდა გემოს. ეს იყო მენა — ფარაონის მეეტლე, რამზესისთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანი.

ეს კაცი ტანადი, ძლიერი და მოქნილი იყო, ამასთანავე ღირსებით აღსავსე, ნათელი თვალები ჰქონდა და მის ლამაზ სახეში სიამაყე და სიკეთე ერწყმოდნენ ერთმანეთს. მისგან საქმიან რჩევას ვერ მიიღებდა კაცი, მაგრამ სამაგიეროდ მუდამ მზრუნველ, გაბედულ და ერთგულ მეგობრად რჩებოდა.

ყველაზე ახლოს ფარაონთან მისი უფროსი ვაჟი ჰაემუსეთი იჯდა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ მემფისის მთავარი ქურუმის მაღალი წოდება მიიღო. ტყვეობიდან განთავისუფლებული რამერი, ფარაონის ბანაკში მომავალი რომ შეიპყრეს, როგორც ყველაზე უმცროსი, მაგიდის ბოლოში თავის ძმასთან მერნეპტასთან[178] ერთად იჯდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, ეს უბრალო ბრალდება არ არის! — განაგრძო ფარაონმა თავისი საუბარი. — თითოეული თქვენთაგანი, როგორც ბრალმდებელი, მართალს ამბობს, მაგრამ ჩემდამი სიყვარული გაბრმავებთ. ყველაფერი, რაც ვეზირის შესახებ რამერიმ მაცნობა, მომწერა ჩემმა ქალიშვილმა ბენტ-ანატმა და მენას ცხენსაშენის მმართველმა მომახსენა,

---

[178] მერნეპტა — ფარაონ რამზეს II მეცამეტე ვაჟიშვილი და ტახტის მემკვიდრე; ტახტზე ავიდა უკვე ხანში შესული 1225 წელს და მართავდა 1215 წლამდე ჩვ. წელთაღრიცხვამდე.

დიდად არ მაწუხებს. ანის კარგად ვიცნობ, ვიცი, რომ ტახტი დროებით დაიკავა და შეიძლება უბოდიშოდაც შეიფეროს თავისი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ შინ დავბრუნდებით და ისიც დასჯერდება თავის უბრალო სავარძელს. დიდი გეგმები და საგმირო საქმეები მისი მოწოდება არ არის, მაგრამ ბრძანებების შესრულება უდავოდ შეუძლია. სწორედ ამიტომაც ვუბოძე ვეზირობა.

— მაგრამ, როგორც ჩანს, ამენიმ გაუღვიძა პატივმოყვარეობის გრძნობა და, ალბათ, რჩევა-დარიგებებსაც არ აკლებს, — თქვა ჰაემუსეთმა და მოწიწებით დახარა თავი მამის წინაშე. — სეთის სახლის მეთაური გაბედული და ბრძენი კაცია, თან ქურუმების უმრავლესობა მის მხარეზეა.

— ეს ჩვენთვის ცნობილია, — დინჯად მიუგო რამზესმა. — ქურუმებმა ამითვალწუნეს, რადგან მათ გლეხებს მოვუწოდე იარაღი აეღოთ ხელში. მეომრებიც ასეთი უნდა! ისეთი ხალხი გამომიგზავნეს, ისრის პირველსავე გასროლაზე გონებას კარგავენ. ეგენი ხვალ ბანაკის მცველებად დავაყენოთ. ამ საქმისთვის კიდევ გამოდგებიან, მითუმეტეს, თუ შევაგნებინებთ, რომ მოწინააღმდეგე, როცა კარვებს ხელში ჩაიგდებს, პურს, ხორცს და ღვინოსაც თან გაიყოლებს. აი ქადეშს ავიღებთ, მაშინ კი ნილოსის ტაძრები ნადავლის საუკეთესო ნაწილს მიიღებენ. შენ კი, მემფისის ახალგაზრდა მთავარო ქურუმო, უნდა აუხსნა შენს მოძმეებს, რომ თუ რამზეს ღმერთების მსახურებისგან რაიმეს აიღებს, ერთიასადაც დაუბრუნებს.

— ამენის უკმაყოფილებას უფრო ღრმა ფესვები აქვს, -— შეეპასუხა ჰაემუსეთი. — შენი ბუმბერაზი გონება ეძებს და პოულობს კიდეც თავის გზას...

— ხოლო ქურუმები, — შეაწყვეტინა რამზესმა, — მიეჩვივნენ, მეფეებიც კი დაარიგონ. რა გაეწყობა, ოღონდაც! მე

ვმართავ ქვეყანას, როგორც უმაღლესი ღვთაების ნაცვალი, მაგრამ თავად ღმერთი როდი ვარ, თუმცა კი ღვთიურ პატივს არ მაკლებენ. მორჩილი გულითა და სიამოვნებით გადავცემ მათ ჩემს ხალხსა და ღმერთებს შორის შუამდგომლობის უფლებას, მაგრამ საერო საქმეებს, ცხადია, ჩემი შეხედულებისამებრ განვაგებ. თუმცა კმარა ამაზე! მეძნელება ეჭვით შევხედო მეგობრებს, არ შემიძლია ნდობის გარეშე, თუნდაც ოდესმე მოტყუებულიც რომ დავრჩე.

ფარაონმა თავი გააქნია, და მენამ ღვინით სავსე ფიალა მიაწოდა, რამზესმა ბოლომდე გამოცალა იგი. ერთხანს პრიალა სასმისს უყურებდა, შემდეგ ამოიხედა და მის მზერაში უკვე სიმკაცრე იგრძნობოდა. ფარაონმა თქვა:

— კიდევაც რომ მატყუებდნენ, და ათმა ასეთმა ანიმ და ამენიმ ჩემი ქვეყნის დაღუპვა მოინდომონ... შინ დავბრუნდები და საზიზღარ გველაძუებს მიწასთან გავასწორებ!

როცა ის ბოლო სიტყვებს ამბობდა, მისი დაბალი ხმა ქადაგის ხმას დაემსგავსა, უკვე მომხდარს რომ ამცნობს ხალხს. ის გაჩუმდა, და კარავშიც სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა; ყველა გაირინდა.

მაგრამ აი ფარაონმა კვლავ ასწია სასმისი და მხიარულად შესძახა:

— აბა, ბრძოლის წინ ნაღვლიანი ფიქრები მოიშორეთ! დიდებით შევიმკეთ თავი; შორეულმა ხალხებმა იწვნიეს ჩვენი მკლავის ძალა, მათი მდინარეების ნაპირებზე გამარჯვების სტელები აღვმართეთ, ხოლო მათ კლდეებზე ჩვენი საგმირო საქმეების ხოტბაა ამოკვეთილი.[179] ყველა მეფეზე მაღლა

[179] ჰეროდოტე (II, 102–106) მოგვითხრობს იმ გამოსახულებებზე, რომელთა ამოკვეთაც ბრძანა რამზეს II მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების კლდეებზე ფარაონის გმირობის უკვდავსაყოფად. ორი ასეთი გამოსახუ-

თქვენი მბრძანებელი დგას ღვთისა და თქვენი, ანუ მამაცი თანაშემწეების წყალობით. დაე ხვალინდელმა ბრძოლამ ახალი დიდება მოგვიტანოს, ღმერთების შემწეობით ამ ომსაც მალე დავამთავრებთ! მაშ შევსვათ გამარჯვებისა და სამშობლოში ძლევამოსილად დაბრუნების სადღეგრძელო!

— გამარჯვება! გამარჯვება! დღეგრძელობდეს, ჯანმრთელი და ძლიერი იყოს ფარაონი! — გაისმა რამზესის თანამებრძოლთა აღტაცების შეძახილები, ფარაონი კი შემაღლებიდან ჩამობრძანდა და ხმამაღლა თქვა:

— იზიდას ვარსკვლავის ჩასვლამდე დაისვენეთ, მერე კი ერთად აღვუვლინოთ ლოცვა ღმერთ ამონს და შემდეგ ბრძოლაში გადავეშვათ!

მებრძოლებმა ხელახლა დასცეს სიხარულის ყიჟინა, რამზესი კი ხელს ართმევდა შვილებს და ალერსიანი სიტყვებით ამხნევებდა.

ორ უმცროსს, მერნეპტასა და რამერის, უბრძანა თან გაჰყოლოდნენ; შემდეგ მენას თანხლებით სამივე ფარაონის კარვისკენ გაემართნენ, რომელსაც რჩეული რაზმი იცავდა რამზესის ერთ-ერთი ვაჟის მეთაურობით. წინ გვარდიელები და კარისკაცები მიდიოდნენ, რომელთაც ხელში ოქროს შროშანებითა და სირაქლემას ფრთებით მორთული კვერთხები ეჭირათ.

სანამ კარავში შევიდოდა, რამზესმა ხორცი მოატანინა და თავისი ხელით აჭამა ლომებს, რომლებიც კატასავით გაიტრუნნენ, როცა ფარაონმა ხელი გადაუსვა. შემდეგ საჯინიბოშიც შეიხედა, თავის საყვარელ ცხენებს ლამაზ კისრებზე და

ლება ჰეროდოტემ თავად ნახა; ერთ-ერთმა მათგანმა ჩვენამდეც მოაღწია — ეს არის კლდეზე არსებული რელიეფი ბეირუთის ახლოს (ავტ. შენიშვნა).

მბზინვარე გავაზე ხელი მოუთათუნა და მეჯინიბეს განკარგულება მისცა, დილით საბრძოლო ეტლში ნურუ და „თებეს გამარჯვება“[180] შეებათ.

ბოლოს, კარავში შესულმა კარისკაცებიც დაითხოვა. შემდეგ თავის დაკვრით ანიშნა მენას მისთვის მორთულობა და იარაღი ჩამოეხსნა, და უმცროს ვაჟიშვილებს მოუხმო, რომლებიც მოკრძალებით იდგნენ შესასვლელში:

— იცით თუ არა, რატომ გიბრძანეთ გამომყოლოდით? — მკაცრად ჰკითხა მან.

ორივე დუმდა. რამზესმა კითხვა გაუმეორა.

— ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ შორის სრული თანხმობა არ არის, — მიუგო რამერიმ. — ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს...

— და კიდევ იმიტომაც, რომ მინდოდა, — შეაწყვეტინა ფარაონმა, — რომ ჩემს ვაჟიშვილებს შორის ერთსულოვნება და მშვიდობა სუფევდეს. ხვალ საკმარისად გეყოლებათ მტრები, რათა შეებრძოლოთ, ხოლო მეგობრების შეძენა არც თუ ისე იოლია, და ყველაზე ხშირად მათ ბრძოლებში ვკარგავთ. თუ რომელიმე თქვენგანი ბრძოლის ველზე დაეცემა, ძმის გულისჯავრი ნუ გაჰყვება და სიყვარულით დაელოდოს საიქიოში. მითხარი, რამერი, რამ ჩამოაგდო თქვენ შორის უთანხმოება?

— მე უკვე აღარ ვბრაზობ, — უპასუხა რამერიმ. — ამას წინათ შენ ხომ აი ის მახვილი მაჩუქე, ახლა მერნეპტას ქამარზე რომ ჰკიდია, როცა თავი გამოვიჩინე ხეთებთან ბოლო შეტაკებაში. როგორც იცი, ორივეს ერთ კარავში გვძინავს. ჰოდა, როცა გუშინ ქარქაშიდან მახვილი ამოვიღე, რათა ოსტატური

[180] „ნურუ“, „თებეს გამარჯვება“ — ასე უწოდებდნენ სინამდვილეში რამზესის ეტლში შებმულ ცხენებს ქადეშთან ბრძოლაში. (ავტ. შენიშვნა).

ნახელავით დავმტკბარიყავი, აღმოჩნდა, რომ ეს სულ სხვა იარაღი იყო, თანაც უფრო ბლაგვი.

— ხუმრობით შევუცვალე, — ვერ მოითმინა შეცბუნებულმა მერნეპტამ. — მაგრამ მას ხუმრობა არ ესმის და მეუბნება: დაე ეს მახვილი შენ გქონდეს, რომ დაუმსახურებელი პატივით იტრაბახო, მე კი შევეცდები ახალი ვიშოვნოო, და მერე...

— საკმარისია, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია! — შეაწყვეტინა ფარაონმა. — ორივენი ცუდად მოქცეულხართ. მერნეპტა, ხუმრობითაც კი არავისი მოტყუება არ შეიძლება. ერთხელ მეც ასე მომივიდა და ახლავე მოგიყვებით ამ ამბავს ჭკუის სასწავლებლად. ჩემმა კეთილშობილმა, ნეტარხსენებულმა დედამ ტუიამ მთხოვა, როცა პირველად ფინიკიას მივემგზავრებოდი, მისთვის კენჭი ჩამომეტანა ზღვის ნაპირიდან ბიბლოსის შორიახლოს, იქ, სადაც ტალღებმა ოზირისის ცხედარი გამორიყეს. მაგრამ მე, სამწუხაროდ, სულ გადამავიწყდა, და უკვე თებეში ჩამოსულს მხოლოდ მაშინ უეცრად მომაგონდა მისი თხოვნა. დაუფიქრებლად, როგორც ყმაწვილებს სჩვევიათ, მიწიდან ერთი კენჭი ავიღე და ქამრის ქვეშ შევინახე. ხოლო როცა დედამ დანაპირები მომთხოვა, უსიტყვოდ გავუწოდე თებეში ნაპოვნი ქვა. მას ძალიან გაუხარდა, დებსაც აჩვენა ჩემი საჩუქარი და საკურთხეველზე დადო, ქანდაკებების გვერდით. სირცხვილი მაწუხებდა, სინდისი მქენჯნიდა და, ბოლოს და ბოლოს, ჩუმად მოვიპარე კენჭი და წყალში გადავაგდე. რა მოხდა, რომ იცოდეთ! დედამ ყველა მსახური შეკრიბა და სასტიკი გამოძიება ჩაატარა, რათა წმინდა ქვის ქურდი ეპოვნა. მე ვეღარ გავუძელი და ყველაფერი ვაღიარე. რა თქმა უნდა, არავის დავუსჯივარ, მაგრამ ამაზე სასტიკი გაკვეთილი ცხოვრებაში არ მიმიღია! მას აქეთ ხუმრობითაც არ ვღალატობ სიმართლეს. ნუ დაივიწყებ, მერნეპ-

ტა, ამ გაკვეთილს, რომელიც ცხოვრებამ მისცა მამაშენს! შენ კი, რამერი, დაიბრუნე შენი მახვილი და გწამდეს, ცხოვრებაში იმდენად ბევრია დიდი და სერიოზული სიძნელე, რომ პატარაობიდანვე უნდა შეეჩვიო წვრილმანებზე თვალის დახუჭვას, თუ არ გინდა ისეთივე პირქუში და კუშტი იყო, როგორიც მახორი პააკერია. მე კი მგონია, რომ შენ ამისთვის სულაც არა ხარ გაჩენილი. აბა, ახლა ხელი ჩამოართვით ერთმანეთს.

ძმებმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს ერთმანეთისკენ, მაგრამ რამერიმ ვერ მოითმინა, კისერზე შემოეხვია ძმას და აკოცა.

— ახლა კი წადით და დაისვენეთ, — ჩაილაპარაკა მამამ და შვილებს ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი. — ხვალ კი ორივემ საპატიო საჩუქარი უნდა დაიმსახუროთ.

როცა ვაჟიშვილები კარვიდან გავიდნენ, რამზესმა მეეტლე მენას მიმართა:

— შენთანაც სალაპარაკო მაქვს ბრძოლის წინ. მე მაგ თვალებში მთელს შენს სულს ვხედავ; შენი ცხენსაშენის მმართველის მოსვლის დღიდან ვეღარ გცნობ, გატყობ, რაღაც გაწუხებს. მითხარი, რა ამბავია თებეში?

მენამ თვალი თვალში გაუყარა ფარაონს.

— ჩემი სიდედრი ქათუთი უხეიროდ უძღვება ჩემს მეურნეობას: მიწებს აგირავებს, პირუტყვს ყიდის, — ნაღვლიანად უპასუხა მენამ.

— ეს არაფერია, ყველაფერი გამოსწორდება, — გულკეთილი ღიმილით მიუგო ფარაონმა. — ხომ გახსოვს, ნებისმიერი სურვილის შესრულებას დაგპირდი, თუ აღმოჩნდება, რომ ნეფერტიც ასევე უსაზღვროდ გენდობა, როგორც შენ ფიქრობ. მაგრამ მე ვგონებ, თავიდათავი მიზეზი მაინც ნეფერტია, რად-

განაც აქამდე ჯერ არ მინახავს, ასე რომ წუხდე ფულზე და მამულზე. გამანდე შენი მწუხარების მიზეზი, ხომ იცი, მამასავით გეპყრობი და მინდა, არაფერმა დაბინდოს იმ კაცის გული და თვალები, რომელიც ჩემი საბრძოლო ეტლის ცხენებს მართავს.

მენა რამზესის სამოსის კალთას ეამბორა და თქვა:

— ნეფერტი შინიდან წამოსულა და, როგორც თავად იცი, შენს ქალიშვილთან ბენტ-ანატთან ერთად სინის წმინდა მთისკენ გაემგზავრა, ხოლო იქიდან მეგიდოში.

— ჩემის აზრით, ეს არც ისე ცუდია, — შენიშნა რამზესმა. — ბენტ-ანატს შესწევს უნარი თავი დაიცვას, მას მცველები არ სჭირდება, შენი ცოლი კი ჩემს ქალიშვილზე უკეთეს მფარველს ვერსად იპოვის.

— რასაკვირველია! — ფიცხლად მიუგო მენამ. — მაგრამ ვიდრე დედისგან წამოსულა, ერთი უსიამოვნო ამბავი მომხდარა. როგორც იცი, ვიდრე ნეფერტს შევირთავდი, ის მახორ პააკერის საცოლე იყო; და ახლაც, თებეში ყოფნისას, მახორი ხშირი სტუმარი ყოფილა თურმე ჩემს სახლში. მან მისცა ქათუთის დიდძალი ფული, რათა ჩემი ფუქსავატი ცოლისძმის ვალები დაეფარა. ჩემი ცხენსაშენის მმართველს საკუთარი თვალით უნახავს, თუ როგორ მიართვა პააკერმა ყვავილები ნეფერტს!

ფარაონს გაეღიმა, მხარზე დაადო ხელი თავის მეეტლეს, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— მაშასადამე, შენს ცოლს ბრმად უნდა სჯეროდეს შენი, მიუხედავად იმისა, რომ კარავში უცხო ქალი წაიყვანე. შენ კი ეჭვიანობ მხოლოდ იმის გამო, რომ დეიდაშვილმა ყვავილები მიართვა! ნუთუ ეს გონივრულია და სამართლიანია? შენ იმას მაფიქრებინებ, რომ ყველაზე მეტად იმ ურჩხულზე ეჭვიანობ,

რომელიღაც ავი სულის მზაკვრობით ცხონებული კეთილშობილი მახორის ოჯახში რომ გაჩნდა.

— არა, მე არ ვეჭვიანობ, — შეეპასუხა მენა. — ეჭვის ნატამალიც არ ეკარება ჩემს გულს, მაგრამ ერთი ფიქრი მტანჯავს, მოსვენებას არ მაძლევს: იმ პააკერს, რომელიც შხამიანი ობობასავით მეზიზღება, მასთან საჩუქრები მიაქვს, თავისი დაჭყეტილი თვალებით შეჰყურებს, და ეს ყველაფერი ჩემს სახლში ხდება!

— ვინც თავის მიმართ ნდობას მოითხოვს, კიდევაც უნდა ენდოს სხვას. — თქვა ფარაონმა. — განა მე მოთმინებით არ ვუგდებ ყურს და გაჩუმებული ვარ, როცა უკანასკნელი არამზადები ფარისევლურად ქება-დიდებას არ იშურებენ ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ? აბა, ჩქარა შუბლი გაიხსენი და იფიქრე გამარჯვებაზე, მშვიდობით დაბრუნებასა და იმაზე, რომ შენ პააკერის წინაშე უფრო დამნაშავე ხარ, ვიდრე ის შენს წინაშე. ახლა კი წადი, ცხენებს მიხედე, დილას კი მხნე და მხიარული, როგორიც მიყვარხარ, ეტლში გვერდს დამიმშვენებ!

კარვიდან გამოსული მენა საჯინიბოსკენ გაემართა. იქ რამერი დახვდა, რომელიც მას ელოდებოდა. მკვირცხლი და გულწრფელი ყმაწვილი მეეტლეს გამოუტყდა, რომ აქამდე ძალიან უყვარდა და უაღრესად დიდ პატივსაც სცემდა, გმირობისა და მამაცობის სხივმოსილ მაგალითადაც ესახებოდა იგი, მაგრამ მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ თებეს უმშვენიერესი და ყველაზე ღირსეული ქალის ქმარმა, მენამ, თავის კარავში ტყვე ქალი წაიყვანა, მისი რწმენა შეირყა.

— მე ძმის მაგიერი ვიყავი მისთვის, — უთხრა რამერიმ, — გეუბნები, ნეფერტი მოკვდება, რომ გაიგოს, როგორი შეურაცხყოფა მიაყენე! დიახ, დიახ, სწორედ შეურაცხყოფა, რამეთუ ცოლქმრული ერთგულების დარღვევა არცხვენს და შე-

ურაცხყოფს ეგვიპტელის მეუღლეს! მაპატიე გულახდილობა, მაგრამ, ვინ იცის, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე, მე კი არ მინდა და არც მაქვს უფლება წავიდე ბრძოლაში შენზე ცუდი შეხედულებით!

მენამ ბოლომდე მოუსმინა რამერის, არც შეპასუხებია, ხოლო როცა ყმაწვილი გაჩუმდა, თქვა:

— შენ მამაშენივით გულწრფელი ხარ, მან კი ალბათ ისიც გასწავლა, რომ ყოველთვის, ვიდრე განაჩენს გამოუტანდე, გულდასმით მოუსმინო მსჯავრდებულს. უცხო ქალს, დანაელთა ბელადის[181] ასულს, მართლაც სძინავს ჩემს საწოლზე, მე კი რამდენიმე თვეა მამაშენის კარვის შესასვლელში მძინავს; მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ერთხელაც არ შევსულვარ ჩემს კარავში, სადაც ტყვე ქალიშვილი ცხოვრობს. ახლა კი ახლოს დამიჯექი და მე გიამბობ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი! როცა ქადეშთან დავბანაკდით, მე უსაქმოდ დავრჩი, რადგან დაჭრილი რამზესი ლოგინიდან ვერ დგებოდა. დროის მოკვლის მიზნით ხშირად ვნადირობდი ხოლმე ტბის ნაპირებზე. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ მშვილდისრით შეიარაღებული, ჩემი მწევრებით კურდღელზე სანადიროდ წავედი. შუა ნადირობაში ვიყავი, რომ უეცრად დანაის რაზმი დამესხა თავს, გამთოკეს და თავიანთ ბანაკში მიმიყვანეს. იქ კი გამასამართლეს, როგორც ჯაშუში და განაჩენიც გამომიტანეს. ის იყო, კისერზე მარყუჟი ჩამომაცვეს, რომ უეცრად გამოჩნდა მათი ბელადი თუ მეფე, და თავად დამკითხა. მე ვუამ-

---

[181] დანაელებს ძველად უწოდებდნენ არგოსის მცხოვრებლებს მათი მითური მბრძანებლის დანაეს სახელის მიხედვით. იმის გამო, რომ ტროის ომში ბერძნები არგოსის მეფის აგამემნონის მეთაურობით იბრძოდნენ, ჰომეროსმა ყველა ბერძენს დანაელი უწოდა. ამავე მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „ დანაელები“ რომანშიც.

ბე, რომ მისმა მეომრებმა შემიპყრეს არა როგორც მტერი, არამედ — უბრალო მონადირე. მეფემ დამიჯერა და არა მარტო სიცოცხლე, არამედ თავისუფლებაც მაჩუქა. მან ჩემში წარჩინებული გვარიშვილი შეიცნო და სუფრასთანაც კი მიმიწვია. როდესაც შინ გამომიშვა, დავიფიცე მისი დიდსულოვნებისთვის სიკეთით გადამეხადა. ერთი თვის შემდეგ კი მოულოდნელად დავესხით თავს ხეთების დაქირავებულთა ბანაკს, და ჩვენმა ლიბანელმა მეომრებმა დანაელთა ბელადის კარვიდან სხვადასხვა ძვირფასეულობასთან ერთად მისი ქალიშვილიც მოიტაცეს. ახლა კი მე მომეცა საშუალება თავი გამომეჩინა; როგორც კი საქმე ნადავლს გაყოფაზე მიდგა, ფარაონმა პირველს მე მიბოძა არჩევანის უფლება. წუთითაც არ შევყოყმანებულვარ, ჩემი მხსნელის ასულს ხელი მოვკიდე და ჩემს კარავში წამოვიყვანე. ახლაც იქ ცხოვრობს თავის მსახურებთან ერთად, სამშვიდობოსაა და ზავის დადების შემდეგ მამამისს ჩავაბარებ.

— მაპატიე! — შესძახა რამერიმ და ხელი გაუწოდა მეეტლეს. — ახლა კი მესმის, ასე დაჟინებით რატომ ცდილობდა მამა გაეგო, ეჭვიანობდა თუ არა ნეფერტი!

— მერედა, შენ რა უთხარი?

— ის, რომ დღე და ღამე ნეფერტი შენზე ფიქრობს და ერთი წუთითაც კი არ ეპარება ეჭვი შენს ერთგულებაში. მე ვფიქრობ, ამან მეტად გაახარა მამა, იმიტომ რომ ჰაემუსეთს უთხრა: მაშინ მოგებული ის არისო.

— ფარაონი დამპირდა, ჩემს წყალობას არ მოგაკლებ, თუკი ნეფერტი, გაიგებს რა, რომ კარავში უცხო ქალი წამოგიყვანია, მაინც შენ გენდობაო, — აუხსნა მენამ. — რამზესი ამას თითქმის შეუძლებლად თვლის, მაგრამ მე ვიცი, რომ მოვიგებ. ნეფერტს უნდა სჯეროდეს ჩემი!

თავი მეცხრე

ბრძოლის დაწყებამდე ყოველ რაზმში იგალობეს სალოცავი ჰიმნები და ზვარაკი დაკლეს. მეომართა მწყობრის წინ საზეიმოდ მორთული ეტლებით ღმერთების ქანდაკებები ჩამოატარეს; მეომრებს აჩვენებდნენ სასწაულმოქმედ რელიკვიებს. ქადაგებმა გამოაცხადეს, რომ ფარაონის მიერ შემოწირული საკლავის შიგნეულში მთავარმა ქურუმმა ბედნიერების მომასწავებელი ნიშანი აღმოაჩინა, ჰოროსკოპები კი დიად გამარჯვებას გვიწინასწარმეტყველებენო.

ეგვიპტელები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ დროშებს, რომლებზედაც წმინდა ცხოველები და იმ ნომის ემბლემა იყო გამოსახული, საიდანაც მათი გვარი მოდიოდა; გარდა ამისა, ყველას ჰქონდა თავ-თავისი თილისმა და ავგაროზი, რომლებიც მათ ყოველგვარი უბედურებისგან იცავდნენ. ერთნი კისერზე ან ხელზე ატარებდნენ ავგაროზს, რომელშიც ჩაკერებული იყო მხსნელი გამონათქვამები; ზოგს ჯადოთვლები ჰქონდა, უმრავლესობა კი ბეჭდებს ატარებდა წმინდა სკარაბეუსის გამოსახულებით. ბევრნიც რომელიმე წმინდა ცხოველის ბალნისა ან ფრთის წყალობით თავს უვნებლად თვლიდნენ; ისეთებიც იყვნენ, ვინც თავის ბედ-იღბალს ცოცხალ გველს ან ხოჭოს მიანდობდა, რომლებსაც თეძოზე შემოსახვევის ან წინსაფრის ნაკეცებში, ანდა საჭმლის ტომრებით ატარებდნენ.

მაგრამ აი ფარაონიც გამოვიდა. მის წინ თებეს სამება, ომის ღმერთი მონტუ და გამარჯვების ქალღმერთი ნეხებტი

მოჰქონდათ. ოცდაოთხ წარჩინებულ ახალგაზრდას ტახტრევ-ნით მოჰყავდა რამზესი; ფარაონი თავის ლაშქარს ათვალიე-რებდა. როგორც კი ის გამოჩნდა, ყველამ მუხლი მოიყარა და არ ამდგარა, ვიდრე რამზესი ტახტრევნიდან არ ჩამოვიდა, ყველას თვალწინ საკმევლის კმევით საკლავი და ზედაშე არ შესწირა ღმერთებს. და მისმა შვილმა, მემფისის მთავარმა ქურუმმა ჰაემუსეთმა ღმერთების სახელით სიცოცხლისა და ძალაუფლების სიმბოლოები არ ჩააბარა. შემდეგ მგალო-ბელთა გუნდმა მზის ღმერთის რას, მისი შვილის და დედამი-წაზე მისი ნაცვლის — ფარაონის პატივსაცემად საზეიმო ჰიმ-ნები იგალობეს.

როცა ლაშქარი დაიძრა, აქამდე მოღრუბლულ ცაზე მკრთალი ვარსკვლავები გამოჩნდა. ესეც კარგად ენიშნათ ქურუმებს და გამოაცხადეს, რომ, როგორც ღმერთმა რამ გა-ფანტა ღრუბლები ცაზე, ასევე რამზესიც გაფანტავს მტრის ლაშქარს.

ქვეითი ჯარი ჩუმად, ბუკისა და ნაღარის გარეშე, რათა მტრის ყურადღება არ მიეპყრო, წინასწარ დადგენილი წესრი-გით მიიწევდა წინ, ხოლო მეეტლეები, თითოეული მათგანი მსუბუქ ორთვალებზე, რომლებშიც ორ-ორი ცხენი ება, ერთ მწკრივად მოეწყვნენ ფარაონ რამზესის წინამძღოლობით.

მისი მოოქრული ეტლის ორივე მხარეზე ძვირფასი ქვებით მოოჭვილი კაპარჭები ბზინავდნენ მშვილდ-ისრისათვის. ჩი-ნებული რაშები მდიდრულად იყვნენ მორთულნი: კისერსა და ზურგს ფირუზით ნაქსოვი მეწამული ჩული უფარავდათ; თავზე მოფრიალე სირაქლემას ფრთების გვირგვინის მსგავსი მორ-თულობა უელვარებდათ; აბანოზის ხელნებზე მომცრო ზომის ცალუღები იყო დამაგრებული. ცხენები, რომლებსაც თავიან-

თი ტვირთი არად უჩნდათ, კოხტა ფლოქვებს მიწაზე აბაკუ-ნებდნენ და ლამაზად იღერებდნენ კისრებს.

მენა თავისი მბრძანებლის უკან იდგა. ფარაონს თავზე ზე-მო და ქვემო ეგვიპტის გვირგვინი ედგა; ჯავშანი[182] ეცვა, რო-მელზეც მეწამული სამხარიღლიეები ჰქონდა გადაჯვარედინე-ბული. მეეტლეს მარცხენა ხელით სადავეები ეჭირა, მარჯვე-ნათი კი ფარს ეყრდნობოდა, რომლითაც ბრძოლის დროს გა-დაეფარებოდა ხოლმე ფარაონს.

ფარაონი და მისი მეეტლე ფესვმაგარ მუხას, ქარიშხალს რომ არ ეპუება, და ტანწერწეტა იფანს ჰგავდნენ.

როცა ბანაკიდან გამოდიოდნენ, აღმოსავლეთით განთია-დის ალისფერი ზოლი აინთო. გალავნიდან რომ გამოვიდნენ, ფარაონთან პააკერი მივიდა, ეტლიდან ჩამოხტა, მის წინაშე მუხლი მოიყარა და მიწას ემთხვია. ფარაონის შეკითხვას, თუ სად იყო მისი ძმა, პააკერმა უპასუხა, რომ ჰორე მოულოდნე-ლად ავად გახდა. გათენების ბინდბუნდში რამზესი ვერ და-ინახავდა სიცრუეს მიუჩვეველი მახორის სახეს, რომლის სი-წითლეც უეცრად მკვდრისფერმა შეცვალა.

— მოწინააღმდეგე რასა იქმს? — ჰკითხა რამზესმა.

— მისთვის ცნობილია, რომ სულ მალე ბრძოლა დაიწყება, — უპასუხა პააკერმა, — მტრის ურიცხვმა ურდოებმა ქალაქის სამხრეთით და აღმოსავლეთით მოიყარეს თავი. თუკი ქადეშ-ში ზურგიდან, ესე იგი ჩრდილოეთიდან მოახერხე შეჭრა, ხო-ლო ქვეითი ჯარი ამასობაში აზიელთა ბანაკს სამხრეთიდან შემოუტევს, დღესვე შეძლებ ციხესიმაგრის აღებას. მთის გზა,

---

[182] ასეთი ჯავშნის ნაშთები შეშონკ I (XXII დინასტიის მამამთავრის) ეპოქას განეკუთვნება და ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. ის დამზადებულია ბრინ-ჯაოს ქერცლით დაფარული ტყავისგან. (ავტ. შენიშვნა).

რომლითაც შეუმჩნევლად გახვალ, ფართოა და მოხერხებული.

— შენც შენი ძმასავით ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ფარაონმა. — ხმა გიკანკალებს.

— ასე კარგად თავი არასოდეს მიგრძვნია, — სწრაფად მიუგო მახორმა.

— წინ გაგვიძეხი! — უბრძანა ფარაონმა.

პააკერი უსიტყვოდ დაემორჩილა.

მდუმარედ მიდიოდნენ ისინი ურიცხვი ეტლების წინ და დილის სიგრილით ტკბებოდნენ; გზა ვაკიდან თანდათან მთაში ადიოდა. მშვილდ-ისრითა და მახვილით შეიარაღებული რას კორპუსი ავანგარდში მიდიოდა. დამშრალი მდინარის კალაპოტს იქით მათ წინ ფართო ხეობა გადაიშალა, რომელიც მარცხნიდან და მარჯვნიდან მთის ფერდობებით იყო გარშემორტყმული.

— კარგი გზაა, — გადაულაპარაკა რამზესმა მენას. — ბოლოს და ბოლოს მახორმაც ისწავლა მამამისისგან თავისი საქმე. თანაც ცხენებიც კარგი ჰყავს — აგერ გზას უჩვენებს მეწინავე რაზმს და იმწამსვე ისევ ჩვენთანაა.

— ის ოქროსფერი ცხენები ჩემი ცხენსაშენიდანაა, — კბილებში გამოცრა მენამ და შუბლზე ძარღვები დაებერა. — მმართველმა მიამბო, თურმე ქათუთის უბრძანებია გაეგზავნათ ისინი პააკერისთვის წამოსვლის წინ. მე კი ნეფერტის ეტლში ვფიქრობდი მათ შებმას. მახორიც დღეს ჩემს ჯიბრზე დააჭენებს მათ.

— შენ ცოლი წაართვი, დაე, მას ცხენები მაინც ჰყავდეს, — დაამშვიდა მენა ფარაონმა.

იმავე წამს დილის მყუდროება ბუკის გამაყრუებელმა ხმამ გაარღვია. საიდან მოდიოდა ეს ხმა — ვერ გაეგოთ, მაგრამ სადღაც ძალიან ახლოს კი უკრავდნენ.

რამზესი წამოიმართა და საბრძოლო ჩუგლუგს დაავლო ხელი. მისმა ცხენებმაც ყურები ცქვიტეს.

— ეს ხეთების ბუკია, — თქვა მენამ. — მე კარგად ვიცნობ მის ხმას.

მათ უკან მოჰყვებოდათ დახურული ოთხთვალა ეტლი, რომელშიც რამზესის საბრძოლო ლომები ჰყავდათ.

— ლომები გამოუშვით! — ბრძანა რამზესმა, როგორც კი საბრძოლო ყიჟინა გაიგონა და დაინახა, თუ როგორ შედრკა მისი მეწინავე რაზმი იერიშზე გადმოსული მტრის წინაშე, უკან, ხეობისკენ, დაიხია და ფარაონის შესახვედრად გამოიქცა.

მხეცები ფაფარის რხევითა და მრისხანე ბრდღვინვით, უშველებელი ნახტომებით მიჰყვებოდნენ ფარაონის ეტლს. მენამ მათრახი მოიქნია და ცხენები უკუქცეულებისკენ გაქანდნენ, რომლებსაც ახლა ვეღარაფერი შეაჩერებდათ; მათ მტრის ეტლები მოსდევდნენ.

— პააკერი სად არის? — იკითხა რამზესმა.

მახორი თავის ეტლიანად გაქრა, თითქოს მიწამ უყო პირიო.

უკუქცეული ეგვიპტელები და მტრის ეტლები, რომლებიც მათ მუსრს ავლებდნენ, უკვე სულ ახლოს იყვნენ. მიწა ზანზარებდა მათ ფეხქვეშ. ცხენების თქარათქური და ბორბლების რახრახი ისე ყურთწამღებად ისმოდა, როგორც ჭექა-ქუხილი უეცარი გაავდრების ჟამს.

მაშინ რამზესმა საბრძოლო ყიჟინა დასცა; ეს ყიჟინა ბუკის ხმასავით გაისმოდა და არემარეს ედებოდა. მეეტლეებმაც გა-

იმეორეს მისი ყიჟინა. ქვეითი ჯარი წამით შეჩერდა, მაგრამ მაშინვე ისევ უკუიქცა, ვინაიდან მოწინააღმდეგის ყვირილი და ბუკის ხმა ახლა უეცრად ფარაონის ზურგს უკან გაისმა. განივი ხეობიდან, რომელიც რამზესმა ადრე ვერ შენიშნა, და სადაც პააკერი მიიმალა, მტრის ურიცხვი მეეტლე გამოცვივდა. სანამ ფარაონი გონს მოვიდოდა, მათ გაარღვიეს მისი ეტლების რიგები და გზა გადაუჭრეს მთავარი ძალებისკენ.

რამზესს ესმოდა, როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ მის ზურგს უკან; ხედავდა, როგორ მირბოდნენ და ეცემოდნენ მეომრები, ხედავდა, როგორ მოეძალათ მტერი, რომელიც სულ უფრო გაშმაგებით უტევდა.

ახლა კი უკვე ნათლად ხედავდა ფარაონი, რომ სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა. ის წამოიმართა, თითქოს სურდა შეემოწმებინა, ეყოფოდა თუ არა ძალ-ღონე შებმოდა ღირსეულ მოწინააღმდეგეს, და დაჭექა ისე, რომ მისმა ძახილმა დაფარა მეომრების ყვირილი და კვნესა, ბრძანების სიტყვები, ცხენების ჭიხვინი, ნაფოტებად ქცეული ეტლების ლაწანი, ფარებსა და ჩაფხუტებზე შუბებისა და მახვილების ყრუ დარტყმები — ერთი სიტყვით, ბრძოლის მთელი გამაყრუებელი ხმაური. რამზესმა მშვილდი მოზიდა და პირველივე ისრით ხეთების ერთ-ერთი მხედართმთავარი განგმირა.

რამზესის ლომები წინ გადახტნენ და დიდი არეულობა შეიტანეს მოიერიშეთა რიგებში; დამფრთხალი ცხენები მხეცების მრისხანე ბრდღვინვაზე ყალყზე დგებოდნენ, აყირავებდნენ და ამტვრევდნენ ეტლებს, რაც მტრის შეტევას ხელს უშლიდა.

რამზესი ისარს ისარზე უშენდა, მენა კი მას ფარით იცავდა.

ბოლოს, ფარაონის ეტლმა მტრის რიგებსაც მიაღწია და ჩუგლუგის პირველივე დარტყმებით რამზესმა რამდენიმე

აზიელი დასცა ძირს. მამის მხარდამხარ იბრძოდნენ რამერი და მისი სამი ძმა, წინ კი გამძვინვარებული ლომები შიშის ზარს სცემდნენ ხეთებს...

თავგანწირვით ეკვეთნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი. გააფთრდნენ მებრძოლნი, გამაყრუებელი ყიჟინა დასცეს: ეს ყიჟინა ზღვის ტალღების ღრიალს ჰგავდა, ქარიშხლის დროს ნაპირებს რომ აწყდებიან.

მენას მარცხენა ხელში სადავეები ეჭირა და ცხენებს იქით წარმართავდა, საითაც ბრძოლა მოითხოვდა, ხოლო მარჯვენათი ფარი ეპყრა და ფარაონისკენ წამოსულ ყველა ისარს იგერიებდა. თვალი და ხელი უჭრიდა, წარბსაც კი არ იხრიდა, როცა ფარაონი თავის ლომებზე უფრო მეტად გამძვინვარებული, თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევდა და ხმამაღალი ყიჟინით სულ უფრო ღრმად იჭრებოდა მოწინააღმდეგის რიგებში.

სამი ისარი, რომლებიც ამჯერად არა ფარაონს, არამედ თვით მეეტლეს ესროლეს, ფარში გაიჩხირა და მენამ უეცრად ამოიკითხა ერთ-ერთ მათგანზე ეგვიპტური წარწერა: „სიკვდილი მენას“.

იმავე წამს ჰაერში მეოთხე ისარმაც გაიზუზუნა.

მენამ უნებლიეთ იქით გაიხედა, საიდანაც ეს ისარი მოფრინდა, ხოლო როცა მეხუთე ისარმა მხარში გაუარა, ფარაონს დაუყვირა:

— ღალატია! შეხედე! პააკერი ხეთების მხარეზე იბრძვის!

მახორმა ხელახლა მოზიდა მშვილდი და ფარაონის ეტლთან ისე ახლოს მივიდა, რომ გარკვევით მოისმა, როგორი გააფთრებით დაიღრიალა:

— ახლა კი გაგისწორდები, შე ქურდო და ავაზაკო! ჩემი საცოლე ჯერ ისევ შენს ცოლად ითვლება, მაგრამ ამ ისრით მენას ქვრივზე დავქორწინდები!

ისარი ძლიერად მოხვდა მეეტლის ჩაფხუტს. მენას ფარი ხელიდან გაუვარდა და დარტყმისგან დარეტიანებულმა ორივე ხელი თავში იტაცა. ყურები უწიოდა, პააკერის ღვარძლიანი ხარხარი ჩაესმოდა, გრძნობდა, როგორ გაუგმირა მტრის ახალმა ისარმა ხელის მტევანი... ანგარიშმიუცემლად მოისროლა სადავეები, ჩუგლუგს ხელი სტაცა და მახორისკენ გაექანა, ისე რომ სულ გადაავიწყდა თავისი მოვალეობა.

პააკერი შემართული მახვილით დაუხვდა მენას: ტუჩები გაფითრებოდა, თვალები ჩასისხლიანებოდა, ფართო ნესტოები ქანცგაწყვეტილი ცხენივით ებერებოდა; პირზე დუჟმომდგარი წივილ-კივილით ეკვეთა თავის მოსისხლე მტერს.

ფარაონმა დაინახა, როგორ შეიბნენ, მაგრამ ჩარევა არ შეეძლო, რადგან მენას მიერ გადაგდებული სადავეები მიწაზე ეთრეოდა და ნებაზე მიშვებული ცხენები ეტლიანად ლომების ფეხდაფეხ გაქანდნენ. ბევრი ეგვიპტელი დაიღუპა, ხელჩართული ბრძოლა იყო ფარაონის ირგვლივ, მაგრამ ის ბრძოლის ველზე სალი კლდესავით იდგა, თავს მენას ფარით იცავდა, ჩუგლუგით კი მუსრს ავლებდა მტერს.

უეცრად ფარაონმა რამერი დაინახა, რომელიც მისკენ გამოღწევას ლამობდა. ყმაწვილი გმირული შემართებით იბრძოდა და რამზესმა შესძახა:

— ყოჩაღ, სეთის შვილიშვილო!

— ახალი მახვილი მინდა დავიმსახურო! — მიუგო რამერიმ და თავი გაუჩეხა ერთ-ერთ ხეთს.

მაგრამ აი ის კვლავ მტრის ალყაში მოექცა. მამა ხედავდა, როგორ გადააბრუნეს რამერის ეტლი დანაელმა მეომრებმა,

როგორ შემოაბრუნეს ცხენები მისმა ამხანაგებმა, მათ შორის საუკეთესო მებრძოლებმაც კი, და გაიქცნენ.

იმავე წამს შუბით განგმირული ერთ-ერთი ლომი საშინელი ღრიალით მიწაზე დაეცა. ვერც ფარაონი გადაურჩა მტრის დარტყმებს, მტრის მახვილმა ფარი დაუმტვრია, ისრებიც შემოელია.

რამზესი მუსრს ავლებდა მტერს, მაგრამ უკვე გრძნობდა, როგორ ახლოვდებოდა მისი აღსასრული. ისე, რომ ბრძოლისთვის თავი არ დაუნებებია, ხმამაღლა შესთხოვდა ღმერთ ამონს მოწყალე თვალით გადმოეხედა მისთვის. ლოცვის უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმაც კი ვერ მოასწრო, რომ უცებ მის წინ ვიღაც მაღალი ეგვიპტელი გაჩნდა, სწრაფად აკრიფა სადავეები, მდაბლად დაუკრა თავი ფარაონს და მის ეტლს შემოახტა.

ცხოვრებაში პირველად რამზესი შიშისგან აკანკალდა.

ნუთუ სასწაული მოხდა? ნუთუ ამონმა შეისმინა მისი ვედრება? როცა რამზესმა გაუბედავად გადახედა თავის ახალ მეეტლეს, მოეჩვენა, რომ სახით ის ძალიან ჰგავდა განსვენებულ მახორს, მოღალატე პააკერის მამას. რამზესმა იფიქრა, ალბათ თავად ამონმა მიიღო განსვენებულის სახე და გადასარჩენად მოევლინა მას.

— მაშველი რაზმები ახლოსაა! — შესძახა ახალმა მეეტლემ. — ცოტა კიდევ უნდა გაუძლო — მაშინ შენც გადარჩები და შენს მეომრებსაც გამარჯვებისკენ წაუძღვები!

ამ სიტყვების გაგონებაზე რამზესმა ხელახლა დასცა საბრძოლო ყიჟინა, და მასთან მოახლოებული პირველივე ხეთი თავგაჩეხილი მიწას დაენარცხა, ამასობაში კი უცნაური მეეტლე ხან ფარით გადაეფარებოდა ხოლმე მას, ხან კი ხმლით კუწავდა ირგვლივ მტერს.

გააფთრებული ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა.

უეცრად ბუკის ხმამ გააყრუა არემარე. რამზესმა იცნო: ეს ეგვიპტური ბუკი იყო. ხელმარჯვნივ, მთის დამრეც ფერდობზე, უგზო-უკვლოდ მიექანებოდა რამდენიმე ათასი მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი პტას კორპუსიდან, მათ მოწინააღმდეგის ეტლების ფრთისკენ ჰქონდათ გეზი აღებული.

რაწამს ეგვიპტელებმა ფარაონი დაინახეს, მიხვდნენ, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა.

სიკვდილს არ შეეპუენ, მტერს ეკვეთნენ, მეეტლეები უკუაგდეს და სულ მალე ბეწვზე გადარჩენილი ფარაონი უკვე თავისი ლაშქრით იყო გარშემორტყმული.

ის იდუმალი მხსნელი კი, განსაცდელში ჩავარდნილ ფარაონს რომ მოევლინა, ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც მოვიდა. მას ისარი მოხვდა და ეტლიდან გადმოვარდა, მაგრამ ასე ხომ მხოლოდ ადამიანებს ემართებათ. რამზეს კი მტკიცედ სწამდა, რომ მისი მხსნელი თვით ამონი იყო!

ხანმოკლე შესვენების შემდეგ, როცა თვით ფარაონმა, მისმა მეომრებმა და ცხენებმა სული მოითქვეს, რამზესი უკან შემობრუნდა და თავს დაესხა მტერს, რომელმაც ბრძოლის დასაწყისშივე იგი მთავარ ძალებს მოწყვიტა; ზურგიდან შეუტია იმ დროს, როცა ისინი ჯერ კიდევ მის მეეტლეებს ებრძოდნენ, და ტყვედ წამოიყვანა აზიელების დიდი ნაწილი, ეგვიპტელებს რომ გადაურჩნენ.

ხელახლა შეუერთდა რა თავის ლაშქარს, ფარაონმა დაბლობი გადაიარა და სულზე მიუსწრო ეგვიპტის მძიმედ შეიარაღებული კორპუსის მეომრებს, რომლებიც ხეთების ცხენოსან რაზმებსა და მეეტლეებს ეომებოდნენ, და მოწინააღმდეგე მდინარე ორონტსა და ქადეშის ტბაში მოამწყვდია.

ღამის წყვდიადი ჩამოწვა, და ბრძოლაც შეწყდა. მაგრამ მეორე დილას კვლავ სისხლისღვრა იყო მოსალოდნელი.

სასოწარკვეთილებამ მოიცვა აზიელების მოკავშირე ლაშქარი, სრული გამარჯვების რწმენით რომ დაიწყეს ბრძოლა, მახორმა პააკერმა ხომ თავის მეფეს უღალატა! როცა ფარაონი ბანაკიდან გამოვიდა, ხეთების საუკეთესო მეეტლეები ქალაქის გალავანს იყვნენ ამოფარებულნი; შემდეგ კი ისინი ჩრდილო გასასვლელით ფარაონის შესახვედრად გაგზავნეს, მაშინ, როცა სხვა რჩეული რაზმები — ორი ათას ხუთასი ეტლი — განივი ხეობიდან, რომელიც ჯერ კიდევ ღამით დაიკავეს, თავს უნდა დასხმოდნენ მის ფრთას.

თითქოსდა ხეთებმა ყველაფერი გაითვალისწინეს და მთლიანადაც განახორციელეს თავიანთი გეგმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასტიკი მარცხი განიცადეს და სახელოვანი გმირებიც დაკარგეს. ბრძოლის ველზე დაეცნენ ხაზინადარი ტიტურე და ხეთების მეფის მემატიანე ჰიროპასარე; ის ისევე კარგად ხმარობდა ხმალს, როგორც ლერწმის კალამს, და მომავალი თაობებისთვის აზიელების დიდი გამარჯვება უნდა აღეწერა.

ერთი მათგანი საკუთარი ხელით დასცა რამზესმა, ხოლო მეორე — მისმა იდუმალმა თანამებრძოლმა. იმათ გარდა ბრძოლის ველზე დაღუპულთა შორის ხეთების ბევრი ბელადი და მოკავშირე ტომების მხედართმთავრებიც იყვნენ.

ფარაონს ბანაკში აღტაცების შეძახილებითა და სახოტბო ჰიმნებით შეხვდნენ, როგორც თვით ღმერთს.

ანის მიერ მოსყიდული ტაძრის მიწათმოქმედნი და ჯარში იძულებით დაქირავებული ზემოეგვიპტელებიც კი, ომის გაჭიანურებით რომ იყვნენ უკმაყოფილონი, საერთო სიხარულ-

მა მოიცვა. ისინი ადიდებდნენ ძლევამოსილ გმირს რამზესს და აღტაცებაში მოდიოდნენ მისი საბრძოლო მიღწევებით.

ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა შეგროვება დაიწყეს. დაჭრილთა შორის აღმოჩნდა მენაც.

რამერი ვერსად ვერ იპოვეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა, რომ ტყვედ ჩაუვარდა მტერს, და იგი მაშინვე გაცვალეს დანაელთა მეფის ასულზე, რომელიც მენას კარავში ცხოვრობდა.

პააკერი უკვალოდ გაქრა. მისი ოქროსფერი ცხენები, რომლებითაც ბრძოლის დღეს გამოვიდა, დამტვრეულ და სისხლით მოსვრილ ეტლთან იპოვეს.

ეგვიპტელები ქადეშს დაეუფლნენ, და ხეთების მეფემ მუთალუმ თავისი და მოკავშირეების სახელით მშვიდობიანი მოლაპარაკება შესთავაზა ფარაონს, მაგრამ რამზესი მოლაპარაკების წინააღმდეგი იყო. იგი მარტო ერთს მოითხოვდა: ზავს ხელს მოაწერდა მხოლოდ და მხოლოდ ეგვიპტის საზღვარზე, და არა აქ.

დამარცხებულებს სხვა გზა არ ჰქონდათ; ხეთების მეფის ელჩები — თავად მეფე მძიმედ იყო დაჭრილი — ფარაონის წინააღმდეგ გაერთიანებული დიდი ტომების თორმეტ ბელადთან ერთად მორჩილად შეუერთდნენ რამზესის საზეიმო სვლას. მათ დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ, მეფურად ეპყრობოდნენ, მაგრამ მაინც ისინი მხოლოდ და მხოლოდ ფარაონის ტყვეები იყვნენ.

ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილ რამზესს დროის დაკარგვა არ უნდოდა. მიუხედავად გამარჯვებისა, ეს სიცოცხლით სავსე კაცი მეტად დაღონებული ჩანდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ეგვიპტელმა, ფარაონის დაახლოებულმა პირმა, მუხანათურად უღალატა მას. პააკერის საქციელმა

ძლიერ შეურყია რწმენა ადამიანების მიმართ, და, გარდა ამისა, ხეთების მეფე, რომელიც თავის უსტარში დაზავებას სთხოვდა რამზესს, იმასაც აგრძნობინებდა, რომ თავის ქვეყანაშიც ფარაონს იარაღით მოუხდებოდა ზოგიერთი რამის მოწესრიგება.

ფარაონს გაცილებით ძლიერად მიაჩნდა საკუთარი თავი ანიზეც, ქურუმებზეც და ყველა დანარჩენებზეც მთელ ეგვიპტეში, მაგრამ ადამიანებისადმი უნდობლობის აუცილებლობა აწვალებდა, ყოველგვარი გაურკვევლობა კი მისთვის დარდზე უმძიმესი იყო.

მაგრამ მაინც გული შინ, ეგვიპტეში მიუწევდა.

და კიდევ ერთმა გარემოებამ ჩაუმწარა ფარაონს გამარჯვების სიხარული: მენა, რომელიც ღვიძლი შვილივით უყვარდა, რომელსაც ყოველი მისი მოძრაობა ესმოდა და ეტლზე ასული თითქოს მისი არსების ნაწილიც კი ხდებოდა, უკვე აღარ მართავდა მის ცხენებს. ჯარების მეთაურის ბრძანებით ის გადაყენებული იქნა ამ თანამდებობიდან. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ რამზესმა პირადად დაამტკიცა ეს განაჩენი, სამართლიანი და ამასთანავე მეტისმეტად ლმობიერიც კი; რამეთუ კაცი, რომელმაც პირადი შურისძიების გულისათვის ბედის ანაბარად მიატოვა თავისი მბრძანებელი, სიკვდილით დასჯას იმსახურებს.

მენასა და პააკერის შებმის შემდეგ რამზესს აღარ უნახავს თავისი მძიმედ დაჭრილი მეეტლე, მაგრამ ყოველთვის თანაგრძნობით მოიკითხავდა ხოლმე მას.

საგონებელში ჩავარდნა ყოველთვის უცხო იყო ფარაონის მხიარული, მტკიცე და მხნე ბუნებისათვის. მეტისმეტად დაღლილ-დაქანცულიც არასოდეს უნახავთ მჭმუნვარე. ახლა კი კაეშნიანი თვალებით ხშირად გასცქეროდა შორეთს, და რო-

ცა ვინმე მიუახლოვდებოდა, უეცრად ისე შეკრთებოდა ხოლმე, თითქოს ძილი დაუფრთხესო. მრავალჯერ შეუხედავს თვალებში სიკვდილისთვის და არასოდეს შემდრკალა, ისევე, როგორც უშიშრად შებრძოლებია ყველა სხვა მტერსაც. მაგრამ ახლა კი უკვე იგრძნო, რომ იმ ყოვლისშემძლე მტერმა თავისი ყინულის ხელი გულზე მოუჭირა. მას ვეღარ დაეღწია თავი საკუთარი უმწეობის შეგრძნებისათვის, უნებურად რომ დაეუფლა მაშინ, როცა ქარისგან ატაცებული ფოთოლივით მიაქროლებდნენ ნებაზე მიშვებული ცხენები, და მხოლოდ სასწაულებრივად გადარჩა სიკვდილს!

სასწაულებრივად, თუ? ნუთუ თვით ამონი გამოეცხადა ადამიანის სახით? ნუთუ ის ნამდვილად მზის ღმერთის შვილია, და მის ძარღვებში ღვთაებრივი სისხლი ჩქეფს?

ღმერთებმა განსაკუთრებული წყალობა ზეგარდმოუვლინეს მას, ის კი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია, რასაც თუნდაც ის ადასტურებს, რომ ჭრილობა აწუხებს და ღალატიც, რომელსაც ემსხვერპლა კინაღამ. დიახ, აკი თავის თავს გამოუტყდა კიდეც, რომ საჯალათო კუნძზე შეწყალებულივით გრძნობს თავს. ის ადამიანი იყო, ისეთივე, როგორც სხვები, და სურდა კიდეც ასეთი ყოფილიყო. მას ახარებდა წყვდიადი, რომლითაც მისი მომავალი იყო მოცული, სიამოვნებდა, რომ მასაც ისევე სჭირდა ზოგიერთი სისუსტე, როგორც მის საყვარელ ადამიანებს, და ბოლოს, ახარებდა იმის შეგნება, რომ სხვა თანაბარ პირობებში იგი მაინც სხვაზე მეტს აკეთებდა.

სულ მალე გამარჯვების შემდეგ, როცა სირიის ყველა მნიშვნელოვანი უღელტეხილი და სიმაგრე მის ჯარებს ეკავა, რამზესი დაპყრობილი ხალხების მბრძანებლების თანხლებით ეგვიპტისკენ დაიძრა.

ორი ვაჟიშვილი ბენტ-ანატთან გაგზავნა მეგიდოში, რათა თავიანთი და ზღვით ჩაეყვანათ პელუსიონში. ის დარწმუნებული იყო მისი სახელმწიფოს აღმოსავლეთ მხარეში მდებარე სასაზღვრო ციხესიმაგრის პორტის მხედართმთავრის ერთგულებაში, და ამიტომაც უბრძანა გადაეცათ მისი ქალიშვილისთვის, რომ მის მოსვლამდე გემიდან არ ჩამოსულიყო, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ბენტ-ანატი ასე უფრო დაცული იქნებოდა ვეზირის შესაძლებელი ხელყოფისგან.

ასევე ზღვით ეგვიპტეში გაგზავნეს სამხედრო მარაგის, საჭურვლისა და დაჭრილთა მნიშვნელოვანი ნაწილიც.

თავი მეათე

თითქმის სამი თვე გავიდა ქადეშთან გადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ.

პელუსიონში, ეგვიპტის ამ კარიბჭეში, რომელიც ქვეყანას აღმოსავლეთიდან მომავალი მტრისგან იცავდა, ფარაონს ელოდებოდნენ, რომელიც ძლევამოსილი ლაშქრით შინ ბრუნდებოდა.

გამარჯვებით დაბრუნებასთან დაკავშირებით რამზესს ბრწყინვალე შეხვედრას უმზადებდნენ, და ამ საზეიმო მზადებას, მიუხედავად მისთვის ჩვეული უხალისობისა, დიდის გულმოდგინებით ხელმძღვანელობდა ფარაონის ვეზირი ანი.

მის ეტლს ნახავდით ყველგან; ხან ტრიუმფალურ თაღებთან, მუშები ყვავილებით რომ ამკობდნენ, ხან მონებთან გამოჩნდებოდა, რომლებიც საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის აგებულ ხის ლომებს რთავდნენ გირლანდებით; მაგრამ ყველაზე მეტ ხანს ჰიქსოსების ყოფილი ბანაკის ადგილზე სახელდახელოდ აღმართულ უშველებელ ხის სასახლესთან ჩერდებოდა, სადაც საზეიმო შეხვედრა უნდა მომხდარიყო. აქვე უნდა ეცხოვრა ფარაონს თავისი ოჯახითურთ.

ვეზირმა რამდენიმე ათას მუშას მოუყარა აქ თავი და შეძლო რაღაც სამიოდე კვირაში აღემართა ეს ულამაზესი სასახლე. გათვალისწინებული იყო ყველაფერი, რაც კი ფარაონის თვალს გაახარებდა, ასე ძალიან რომ უყვარდა ბრწყინვალება და ფუფუნება.

ფართო სადარბაზო კიბე დიდი ბაღიდან, რომელიც ცარიელ ადგილზე გაეშენებინათ, ოთახების ანფილადაში ადიოდა, რომელთა უკანაც უზარმაზარი დარბაზი მოჩანდა.

ამ საოცრად მაღალი დარბაზის ჭერი კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედილ ლურჯ ცას გამოხატავდა და უშველებელ სვეტებს ეყრდნობოდა. ზოგიერთი მათგანი ფინიკის პალმა მოგაგონებდათ, ზოგიც ლიბანის კედარს. პალმის ფოთლები და კედარის წიწვები ოსტატურად იყო დამზადებული გაფერადებული ქსოვილისგან. მოცისფრო ქსოვილის კრეტსაბმელები ირხეოდნენ სვეტებს შორის მთელი დარბაზის გაყოლებაზე. უკანა, აღმოსავლეთ კედელთან კი ასეთივე ფარდა ნაკეცებად იყო შეკრული ნიჟარასავით, რომელიც მწვანე და ლურჯი მძივებით, სადაფით, ქარსის გამჭვირვალე ფირფიტებით იყო მორთული და მაღალი ტახტის თავისებურ ბალდახინს ქმნიდა; თვით ტახტი კი ფარს წარმოადგენდა, ორი ლომი რომ დარაჯობდა. ეს ლომები ამავე დროს სავარძლის სახელურებიც იყო, ხოლო ტახტის ფეხები ოთხი ხელფეხშეკრული აზიელი ტყვის სახით იყო გაკეთებული, რომლებიც წელში წყდებოდნენ ფარის სიმძიმით.

იატაკზე გაფენილი მძიმე ხალიჩები ზღვის ფსკერს გამოხატავდნენ: ცისფერ ფონზე მოჩანდნენ უცნაური ნიჟარები, თევზები და ზღვის მცენარეები. დიდებულებისა და მხედართმთავრებისთვის ფაქიზად ნაკეთები მაგიდების გარშემო სამასი სავარძელი იყო დადგმული.

ეზოში შროშანისა და ტიტას ფორმის ათასობით ლამპა ეკიდა; კიბესთან ვარდებით სავსე უშველებელი კალათები იდგა. როგორც კი ფარაონი სასახლეში შემოვიდოდა, მის ფეხთით იატაკი ვარდებით უნდა მოეფინათ.

ფარაონისა და მისი ოჯახის საძილე ოთახებიც ბრწყინვალედ იყო მორთული და გაწყობილი. კედლებს ოქრომკედით ნაქსოვი მეწამული ქსოვილი ფარავდა. ოდნავ მოცისფრო, ჰაეროვანი თეთრი ქსოვილი ჭერზე იყო გაკრული, ხოლო იატაკი ხალიჩების ნაცვლად ჟირაფის ტყავებით იყო მოფარდაგებული.

ქალაქთან ახლოს განლაგებული იყო სადგომები გვარდიელებისა და პირადი დაცვისთვის, ხოლო ბაღის გადაღმა მოთავსებული იყო საჯინიბოები.

ოქროსფრად მოელვარე, ყვავილებით მორთული პავილიონი განკუთვნილი იყო იმ ცხენებისთვის, ქადეშთან ბრძოლის დროს ფარაონის ეტლში რომ იყვნენ შებმული, რამზესმა ისინი მზის ღმერთს უძღვნა.

ვეზირი ანი ქათუთისთან ერთად ათვალიერებდა ამ სახელდახელოდ აგებული შენობის დიდებულ პალატებს.

— ჩემი აზრით, ყველაფერი საუკეთესოდ გამოვიდა, — შენიშნა ქვრივმა.

— ერთი არ მესმის მხოლოდ, — თქვა ანიმ. — რა უფრო უნდა მიკვირდეს: შენი გამომგონებლობა, თუ შენი დახვეწილი გემოვნება?

— ამას თავი დავანებოთ, — გაეღიმა ქათუთის, — თუ ჩემში რამეა საქებარი, ეს მხოლოდ ჩემი გულმოდგინებაა შენს სამსახურში. რა არ მოვიფიქრეთ, გამოვიგონეთ თუ გავითვალისწინეთ ამ საძაგელ ჭაობიან ადგილზე, სადაც უამრავი საზიზღარი მწერი ირევა, ვიდრე ამ სასახლის აგებას მოვახერხებდით! მაგრამ აი, ყველაფერი დამთავრდა. ნეტა დიდი ხნით კი?

ანიმ იატაკს დახედა, ამოიოხრა და გაიმეორა:

— დიდი ხნით კი? — მერე მცირე ხნით დაფიქრდა და განაგრძო: — ერთი სახიფათო საქმე ჩაგვეშალა. ამენიც რაღაც მიჩუმდა. ლაშქარი, რომელზეც მთელ იმედებს ვამყარებ, შეიძლება ჯერ კიდევ ჩემი ერთგულიც იყოს, მაგრამ მეტად მცირერიცხოვანია. აქაურ იუდეველ მწყემსებს, რომლებიც მაინც გადმოვიბირე იმით, რომ იძულებითი სამუშაოებიდან გავანთავისუფლე, არასდროს სჭერიათ ხელში იარაღი. ხალხი კი — თავადაც კარგად მოგეხსენება! — დიდებით მოსილ გმირს ფეხებს უკოცნის, თუნდაც მათი შვილების სისხლში მუხლებამდე იდგეს. არა, ხალხს ვერ ვენდობი! გარდა ამისა... ერთი ამბავიც მადარდებს... ერთი სიტყვით, ქორი, ბებერმა ხექტმა რომ გამომიზარდა, ავადაა და სწორედ დღეს ძალიან მოიწყინა...

— ხვალ კი უფრო ამაყად ასწევს თავს, თუკი ბოლომდე გამოიჩენ ვაჟკაცობას, — თქმა აღარ აცალა ქათუთიმ და თვალები ბოროტად აუელვარდა. — უკან დასახევი გზა აღარა გაქვს. აქ, პელუსიონში, სადაც რამზესს ღმერთივით ხვდები, ზეიმზე ზურგს აღარ შეგაქცევს. ფარაონს კარგად ვიცნობ! ის მეტისმეტად ამაყია, რომ არ ენდოს, და მეტისმეტად ქედმაღალი იმისათვის, რომ საკუთარ თავს გამოუტყდეს, რომ ადამიანში მოტყუვდა, სულ ერთია, მეგობარი იქნება თუ მტერი. ხოლო იმ კაცის დაძრახვას, რომელიც თავის ნაცვლად დანიშნა და მთელ ქვეყანაში ყველაზე ღირსეულად გამოაცხადა, არ მოინდომებს. დღეს მისი ყურები შენკენაა მოპყრობილი, ხვალ კი — შენი მტრებისკენ. თებეში კი ძალიან ბევრი რამ მოხდა, რასაც აღარაფერი ეშველება. შენ ახლა იმ ლომს ჰგავხარ, რომელიც მომთვინიერებელსა და გალიას შორის დგას. თუ ამ შემთხვევით არ ისარგებლებ, გალიაში აღმოჩნდები; მაგრამ, თუკი დღეს მაინც იყოჩაღებ, მაშინ შენს მომთვინიერებელს ბოლო მოეღება!

— აი შენ აღარ მეშვები, — ჩაიბურტყუნა ანიმ. — მაგრამ ვაითუ ამ მარცხის მერე შენს გეგმასაც იგივე ბედი ეწიოს?

— მაშინაც კი შენი მდგომარეობა ახლანდელზე უარესი არ იქნება, — წყნარად შეეპასუხა ქათუთი, — ღმერთები და არა ადამიანები მართავენ სტიქიას! აბა, ვის მოუვა თავში, რომ შენ ასე გულმოდგინედ მხოლოდ იმიტომ აგებდი ამ მშვენიერ სასახლეს, რომ მერე დაგეწვა? ჩვენ ამ საქმეში თანამონაწილე არა გვყავს და არც გვჭირდება!

— კი მაგრამ, ვინ წაუკიდებს ცეცხლს იმ სათავსოს, სადაც ნემუმ და ჩემმა მუნჯმა მონამ თივა და ფისი შეზიდეს?

— მე, — მტკიცედ განაცხადა ქათუთიმ. — და ჩემთან ერთად ისიც, ვინც არაფერს კარგავს და არაფერს კარგს არ ელის რამზესისგან.

— ვინ არის ის?

— პააკერი!

— მახორი აქ არის? — შეშინებულმა წამოიძახა ვეზირმა:

— შენ ხომ თვითონ ნახე.

— შენ გეშლება, — უთხრა ანიმ. — მე...

— მოიგონე ჭაღარა ცალთვალა ზანგი, გუშინ ჩემი წერილი რომ გადმოგცა. სწორედ ის იყო, ჩემი დისშვილი პააკერი!

ვეზირმა თავში იტაცა ხელი და შემკრთალმა ჩაიბუტბუტა:

— უბედური!

— დიახ, საშინლად შეცვლილია, — განაგრძო ქათუთიმ. — კანის შეღებვაც არ დასჭირვებია, მშობელი დედაც კი ვეღარ იცნობდა. მენასთან შებმისას თვალი დაუკარგავს, გარდა ამისა, მეეტლემ ცალი ფილტვიც დაუზიანა, და ახლა ძლივს ლაპარაკობს და სუნთქავს. ფართო მხარბეჭის პატრონი ძვალტყავად იქცა. ძლიერი ფეხებიც, ყოველთვის თავი რომ მოსწონდა, ზანგზე უფრო დაუწვრილდა. არც დავფიქრებულვარ,

ისე ავიყვანე მსახურად. მან ჯერ არ იცის ჩემი ჩანაფიქრი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რადაც უნდა დაუჯდეს, დაგვეხმარება. ღვთის გულისათვის, სძლიე ამ გაუბედაობას! ჩვენ ხეს დაგირხევთ, შენ ოღონდ ახლომახლოს იყავი, ვინიცობაა ხვალ ჩამოყრილი ნაყოფის აკრეფა მოგიხდეს. მხოლოდ ერთსა გთხოვ: მეღვინეთუხუცესს უბრძანე ღვინო არ დაიშუროს, რომ გვარდიელებმა და სარდინიელმა მცველებმა შარს არ გადაგვკიდონ. გავიგე, ხუთიდან მხოლოდ სამი გემის გადმოტვირთვა გიბრძანებია, შენი ღვინო რომ ჩამოიტანეს. ჩემი აზრით, ეგვიპტის მომავალ მეუფეს არ ეკადრება მშიშარა ძუნწი იყოს!

ქათუთიმ უკანასკნელი სიტყვები ტუჩაბზუებით წარმოთქვა, რაც არც ანის გამოჰპარვია.

— მე შენ გაუბედავი გგონივარ, — უთხრა მან, — დიახ, მე ვაღიარებ ამას და ბედნიერიც ვიქნები, რომ არ გამეკეთებინა ბევრი რამ ისეთი, რაც უკვე შენი წაქეზებით მოვიმოქმედე. სიამოვნებით ავიღებდი ხელს შენს ახალ გეგმაზეც, რომლის განხორციელებისთვის საგულდაგულოდ მოვემზადეთ, როცა ამ სასახლეს საძირკველს ვუყრიდით. ღვინო კი სრულებითაც არ მენანება. მართალია, იქ ჯერ კიდევ მამაჩემის დროინდელი ღვინოა ჭურებში, უთხარით, სულ გამოიყენონ. შენ მართალი ხარ. დიდ ამბავს გამოიწვევს ფარაონის რისხვა! ჭკვიანი ქალი ხარ, ქათუთი. როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ზეიმის შემდეგ ღამის გასათევად ბანაკში წავალ ჩემი ეთიოპელების თანხლებით.

— სწორედ ისინი გამოგაცხადებენ ფარაონად, როგორც კი ეს წინამასწარები ცოცხლად დაიწვებიან! — წამოიძახა ქათუთიმ. — საკმარისია, ერთმა დაიყვიროს, რომ ყველა მას აჰყვება; და თუმცა შენ ამენი განარისხე, შენ უფრო სიამოვნებით

შემოგფიცავს ერთგულებას, ვიდრე რამზესს. აგერ, ისიც მოდის; ხედავ, უკვე ალმები აღმართეს!

— გვიახლოვდებიან, — მისუსტებული ხმით ჩაილაპარაკა ვეზირმა და დაბნეულმა განაგრძო: — ჰო, აი კიდევ რა: იზრუნე, რომ ფარაონის ასულმა ბენტ-ანატმა მისთვის განკუთვნილი პალატი დაიკავოს... ის არ უნდა დაიწვას!

— გეტყობა, ჯერ არ დაგვიწყებია იგი! — ცბიერად, მაგრამ ამავე დროს მწარედ ჩაიცინა ქათუთიმ, — ეგ ნუ გადარდებს: ჯერ ერთი, მისი ოთახები დაბლაა, და მეორეც, ის გაფრთხილებული იქნება.

ანი დაემშვიდობა ქვრივს.

ვეზირმა უკანასკნელად შეხედა უშველებელ დარბაზს და მძიმედ ამოიოხრა.

— გული მაქვს დამძიმებული! როგორ მინდა, რომ დღევანდელი დღე და ღამე გავლილი იყოს!

— შენ სადღესასწაულოდ მორთულ ჩვენს დარბაზს მაგონებ, — ჩაეცინა ქათუთის. -— ახლა ის ცარიელია და თითქმის ავბედითად გამოიყურება, მაგრამ ამ საღამოს, როცა სტუმრებით აივსება, ყველაფერი სხვანაირად გამოჩნდება. შენ მეფედ ხარ დაბადებული, მაგრამ ძალაუფლება ჯერ ხელთ არა გაქვს. შენ მეფე მხოლოდ მაშინ გახდები, როცა გვირგვინი და სამეფო კვერთხი ხელთ გექნება.

ანიმ მადლიერებით გაუღიმა და წავიდა. მარტო დარჩენილმა ქათუთიმ ჩაიბუტბუტა:

— ბენტ-ანატიც სხვებთან ერთად დაიწვება. სულაც არა მსურს, რომ მასზე ბატონობაში ვინმე შემეცილოს.

* * *

პელუსიონს ეგვიპტის ყველა კუთხიდან მოაწყდნენ მამაკაცები და ქალები, რათა ძლევამოსილ გმირსა[183] და მის ჯარს სახელმწიფოს საზღვარზე დახვედროდნენ.

თითოეულმა ცოტათი მაინც მნიშვნელოვანმა ქურუმთა საზოგადოებამ გამოგზავნა თავისი წარმომადგენლები რამზესის შესახვედრად; თებეს ნეკროპოლის დეპუტაცია ხუთი კაცისგან შესდგებოდა. მთავარი ქურუმის ამენისა და სეთის სახლის მეორე წინასწარმეტყველის მოხუცი გაგაბუს მეთაურობით.

თეთრად შემოსილი ღვთის მსახურები საზეიმო სვლით მიემართებოდნენ ხიდისკენ.

ნილოსის აღმოსავლეთ, პელუსიონის ტოტზე გადებული ეს ხიდი ეგვიპტის მიწაწყალზე შემოსასვლელ თავისებურ ჭიშკარს წარმოადგენდა.

ქურუმთა სვლას წინ მოუძღოდა განსაკუთრებით პატივცემული მემფისის პტას ტაძრის დეპუტაცია, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ჯერ კიდევ ზემო და ქვემო ეგვიპტის გვირგვინის მატარებელმა, პირველმა მეფემ მინამ დააარსა. ამ ტაძრის მეთაურად, როგორც უკვე ვიცით, დანიშნული იყო რამზესის უფროსი ვაჟიშვილი — ჰაემუსეთი. შემდეგ მოდიოდნენ ჰელიოპოლისის არანაკლებად საპატიო ტაძრის ქურუმე-

[183] სირიიდან დაბრუნებული რამზეს II მამის საზეიმო შეხვედრის სცენა შესანიშნავად არის ასახული კარნაკის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე. (ავტ. შენიშვნა).

ბი, ხოლო მათ უკან — თებეს სახელმწიფო ტაძრისა და ნეკ-როპოლის წარმომადგენლები.

ამ ქურუმთა დეპუტატთაგან ბევრს როდი ემოსა ღვთაების მსახურთა სადა თეთრი ტანსაცმელი; თითქმის ყველას ავაზას ტყავი ჰქონდა წამოსხმული, როგორც წინასწარმეტყველებს. თითოეულს ხელში ვარდებით, შროშანებით და მწვანე ფოთ-ლებით მორთული გრძელი კვერთხი ეჭირა; ბევრ მათგანს ოქროსგან ჩამოსხმული ხელის მტევნები მიჰქონდა, რომელ-თა ხელისგულებზეც ფარაონის მოახლოებისას საკმეველი უნდა ანთებულიყო.

თებეს ამონის ტაძრის ქურუმთა შორის ამ ღმერთის კულ-ტის მსახური წარჩინებული ქალებიც იყვნენ.[184] მათთან ერ-თად ქათუთიც მიდიოდა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ მათი მონაწილე გახდა ვეზირის განსაკუთრებული თხოვნით.

ღრმად ჩაფიქრებული ამენი წინასწარმეტყველ გაგაბუს გვერდით მიდიოდა.

— ხომ ხედავ, ყველაფერი მთლად ისე არ გამოვიდა, რო-გორც ვფიქრობდით და გვინდოდა, — გადაულაპარაკა მოხუც-მა მთავარ ქურუმს. — ჭეშმარიტად იმ შიკრიკებს ვგავართ, დალუქული წერილები რომ მიაქვთ, და ღმერთმა უწყის, შიგ რა წერია.

— მე პირადად წრფელი გულით მივესალმები რამზესს, — თქვა ამენიმ. — ყოველივე იმის შემდეგ, რაც ქადეშთან შეემ-თხვა, ის სულ სხვანაირი ბრუნდება შინ, ვიდრე ომში მიდი-

[184] ეგრეთ წოდებული პალაკიდები (ქალები-ქურუმები), ყველაზე ხშირად ღმერთ ამონის კულტის აღწერისას გვხვდებიან, თუმცა ქალღმერთებსაც ჰყავდათ ქურუმი ქალები, მაგალითაც იზიდას. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ წარწერაში მათ „ქალწულები“ ეწოდებათ, ქათუთის მაინც შეეძ-ლო გამხდარიყო ასეთი ქურუმი ქალი, ვინაიდან უფრო მოგვიანებით ბევ-რი პალაკიდა გათხოვილი იყო.

ოდა. მე ვიცი, ის ახლა ვალშია ამონის წინაშე! თავისი საყვარელი ვაჟიშვილი უკვე დააყენა მემფისის ღვთაების მსახურად. მან ხომ აღუთქვა დიდებული ტაძრების აგება და ღმერთებისთვის მდიდრული შესაწირავის გაღება; ფარაონი კი თავისი სიტყვის პატრონია, განა შეედრება აგერ იმ ეტლში მჯდომ უნებისყოფო კაცს, სულ რომ იკრიჭება.

— ძალიან მაშინებს ანის ხვედრი, — თქვა გაგაბუმ.

— ნუ გეშინია, ფარაონი მას არ დასჯის, — მიუგო მთავარმა ქურუმმა. — მას არაფერი აქვს საფრთხილო, რადგანაც იმ ლერწამივითაა, რომელსაც ძლიერი და საიმედო საყრდენი არ გააჩნია, და ქარის სათამაშოდ გამხდარა.

— კი მაგრამ, შენ თვითონ ხომ ბევრს მოელოდი მისგან!

— მისგან კი არა, მისი საშუალებით და ჩვენი წარმართვით, — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ შეეპასუხა ამენი. — ის თვითონაა დამნაშავე, ზურგი რომ შევაქციე. მან არაფრად ჩააგდო ჩვენი პირველივე მოთხოვნა — ეპატიებინა პოეტ პენტაურისთვის. ფიცის გატეხვისაც კი არ შეეშინდა, ოღონდ კი ჩვენ მოვეტყუებინეთ, და მოესპო ღმერთების ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილება, როგორიც პოეტი იყო, მისდამი წვრილმანი ბოღმის გულისათვის. ცბიერ და ეშმაკურ უძლურებასთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე დაუფარავი, აშკარა ძლიერების წინააღმდეგ. ღირს კი, გვირგვინით დავაჯილდოვოთ კაცი, რომელმაც მუხანათურად მოგვტაცა პენტაური? მარტოხელა კაცისთვის ძნელია გადაუხვიოს ერთი გზიდან, რათა აირჩიოს მეორე — უფრო უკეთესი, ძნელია უარი თქვას ნახევრადგანხორციელებულ გეგმაზე — სხვა, უფრო ღირსეულის გულისათვის, — ყოველივე ამას დაუფიქრებლობაში ჩამოართმევენ. ჩვენ კი არავის ვუყურებთ, ვიღვწით მთლიანისთვის, არ ვიფარგლებით მარტოოდენ კანონებით და ზნე-ჩვეულებებით,

რომელთა ტყვეობაშიც არიან მოქცეული ადამიანები. ჩვენ, თითქმის მიზანს მიღწეულნი, უკანვე ვიხევთ, არ ვინდობთ იმას, ვინც ჩვენვე განვადიდეთ, მიუწვდომელ სიმაღლეზე აგვყავს ის, ვინც მიწასთან გავასწორეთ. ერთი სიტყვით, აგერ უკვე რამდენიმე ათასწლეულია, ვიცავთ წესს: ყოველგვარი გზა სწორია, თუკი მას მივყავართ უმაღლესი მიზნისკენ — სახელმწიფოში ქურუმთა ბატონობის უზრუნველყოფისკენ. სასწაულებრივად გადარჩენილმა რამზესმა აღუთქვა ტაძრების აგება. ის ახლა მოღვაწეობის წადილს შეისრულებს არა როგორც მეომარი, არამედ როგორც მშვიდობიანი აღმშენებელი. ჩვენ მას დავჭირდებით, ხოლო ვისაც ვჭირდებით, ყოველთვის შევძლებთ, რომ ის ჩვენს ჭკუაზე ვატაროთ. ამიტომაც ახლა მე გულწრფელი სიხარულით ვხრი თავს სეთის შვილის წინაშე.

ამასობაში ხიდთან აღმართულ ანძებზე დროშები აფრიალდა, მოპირდაპირე მხრიდან მტვრის კორიანტელი ავარდა და ბუკის საზეიმო ხმა გაისმა.

აგერ ცხენებიც გამოჩნდნენ, ბრძოლის დროს ფარაონის ეტლი რომ დაჰყავდათ. სადავეები თავად რამზესს ეჭირა, და როცა ხიდის იქით თავმოყრილი ეგვიპტელები აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდნენ, მას თვალები გაუბრწყინდა. ათასობით თვალცრემლიანი ადამიანი დაიძრა მისკენ, და ყვავილის კოკრების, მწვანე ფოთლებისა და პალმის რტოების — ეგვიპტის ურიცხვ ბაღთა ნობათის — მთელი ზღვა გადაიშალა მის ფეხთით.

დამხვდურთ წინ მიუძღოდა ანი.

იგი მორჩილად დაემხო მტვერში ფარაონის ეტლის წინ, თაყვანი სცა და მბრძანებელს აბრეშუმის ბალიშით გაუწოდა მინდობილი სამეფო კვერთხი.

ფარაონმა მოწყალედ მოიხმო იგი, ხოლო როცა ანი მისი სამოსელის კალთას ემთხვია, რამზესი დაიხარა, თავის ვეზირს შუბლზე ეამბორა, შესთავაზა ეტლზე ამოსულიყო და ცხენები წაეყვანა.

მადლიერებით აღსავსე ფარაონს თვალები სიხარულის ცრემლებით დაენამა.

დიახ, ის მოტყუებული არ იყო!

მას, როგორც ყველასთვის საყვარელ მწყალობელსა და არა როგორც დამსჯელ მბრძანებელს, შეეძლო შესულიყო ქვეყანაში, რომლის სიდიადე და აყვავება შეადგენდა მისი ცხოვრების აზრს.

გულაჩუყებულმა მიიღო ქურუმთა მისალმება და ილოცა მათთან ერთად ხალხის წინაშე.

შემდეგ ნება დართო წაეყვანათ მშვენიერი სასახლისკენ, რომელიც საგანგებოდ მისთვის იყო აგებული. მკვირცხლად ავიდა სადარბაზო კიბეზე და ზემოდან მიესალმა სასახლის გარშემო თავმოყრილ ერთგულ ქვეშევრდომებს. აქედან კარგად მოჩანდა ყვავილებით მდიდრულად მორთული ორი ათასი ხარი და ამდენივე შინაური ანტილოპა, რომლებიც მსხვერპლად უნდა შეეწირათ ღმერთებისთვის მის ბედნიერად დაბრუნებასთან დაკავშირებით. ფარაონის წინ ჩაატარეს მოშინაურებული ლომები და ლეოპარდები, საოცარი ხეები ტოტებზე ჭრელ-ჭრელი ჩიტებით, ჩაიარეს ჟირაფებმა და ჩაიქროლეს სირაქლემაშებმულმა ეტლებმა. განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდებოდა ფარაონი ნავსადგურის მხრიდან მომავალ პროცესიას; სვლას წინ მოუძღოდა ბენტანატის ტახტრევანი.

შეკრებილთა თვალწინ ჩაიკრა გულში ქალიშვილი რამზესმა. მისი აზრით, მის ქვეშევრდომებსაც უნდა გაეზიარები-

ნათ მასთან ერთად ის ბედნიერება და გულითადი მადლიერება, იმ წუთში მთელ მის არსებას რომ მოეცვა. მისი საყვარელი ასული ასე ლამაზი, როგორც დღეს, არასოდეს მოჩვენებია, და აღელვებულს უნებურად განსვენებული მეუღლე მოაგონდა, რადგან ქალიშვილი უფრო და უფრო დედას ემსგავსებოდა.

ნეფერტი თავისი უწარჩინებულესი მეგობრის სხვა დაახლოებულთა შორის იყო და მარაოთი ხელში მოსდევდა უკან; ახლაც, როცა მამა ქალიშვილთან შეხვედრით ხარობდა, ისიც იქვე იდგა მუხლმოყრილი.

მაგრამ აი რამზესმაც შენიშნა იგი, უბრძანა ამდგარიყო და ალერსიანად უთხრა:

— რამდენი რამ განვიცადე დღეს! იმას, რასაც უმაღლეს ბედნიერებად ვთვლიდი, თურმე საზღვარი არ ჰქონია. ახლა კი ვხედავ, რომ მშვენიერებასაც შეუძლია თავის თავს გადააჭარბოს. მენას ვარსკვლავიდან თვალისმომჭრელი მზე გაზრდილა!

ამის თქმაზე რამზესს თავისი მეეტლე მოაგონდა. წამიერად შუბლი შეიკრა, თვალები ნელ-ნელა დახარა და თავი ჩაქინდრა.

ბენტ-ანატი კარგად იცნობდა მამის ამ მოძრაობას. ეს ხომ მის გამხიარულებას მოასწავებდა, მის ოინებსა და ოხუნჯობას, რითაც ასე უყვარდა თავის ახლობლების გაკვირვება.

მაგრამ ამჯერად ჩვეულებრივზე მეტხანს იდგა გაუნძრევლად. ბოლოს თავი ასწია და ალერსიანად, ღიმილით მიმართა შვილს.

— რა თქვა შენმა მეგობარმა ქალმა, როცა გაიგო, რომ მისმა მეუღლემ კარავში ლამაზი უცხოელი ტყვე მიიყვანა და

რამდენიმე თვეს თავისთან ჰყავდა? მართალი მითხარი, ბენტ-ანატ!

— მე მადლობელი უნდა ვიყო მენასი ასეთი საქციელისთვის, რამაც მისი მეუღლე ჩემთან მოიყვანა. — მიუგო ბენტ-ანატმა. — როგორც ვხედავ, მენამ დაიმსახურა პატიება, რადგანაც ღიმილით ლაპარაკობ მასზე. ნეფერტის დედა მკაცრად კიცხავდა მენას, ნეფერტს კი სჯეროდა მისი და შინიდანაც იმიტომ წამოვიდა, რომ აღარ შეეძლო ესმინა, როგორ სწამებდნენ მის მეუღლეს ღალატს.

— მართლა? — ჰკითხა რამზესმა.

ნეფერტმა ლამაზი თავი დახარა, და აწითლებულ ლოყებზე ორი კურცხალი ჩამოუგორდა.

— რაოდენ კარგი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ღმერთებმა ასეთი ბედნიერებით დააჯილდოვეს! — წამოიძახა ფარაონმა. — დარბაზთუხუცესო! უბრძანე მენას დღეს სუფრაზე მომემსახუროს, როგორც მაშინ, ქადეშთან ომის წინ. გახურებული ბრძოლის დროს მან სადავე მომიგდო, როცა თავისი მოსისხლე მტერი დაინახა. დაე, გაფრთხილდეს, სასმისსაც ისე არ მოექცეს, როცა მისი მშვენიერი ქალბატონი თვალს გაუსწორებს. თქვენ, ქალებმაც, უნდა მიიღოთ მონაწილეობა ნადიმში!

ნეფერტმა მადლიერებით მოიყარა მუხლი ფარაონის წინაშე, მაგრამ ის უკვე მის შესახვედრად მოსულ დიდებულებს ესალმებოდა. ამის შემდეგ ტაძარში წავიდა, რათა მსხვერპლშეწირვას დასწრებოდა და ქურუმებისა და მთელი ხალხის წინაშე საზეიმოდ გაემეორებინა კიდევ ერთხელ თავისი აღთქმა — სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენის სამადლობლად თებეში აეგო დიდებული ტაძარი.

სადაც კი გამოჩნდებოდა რამზესი, ყველგან არნახული პატივით ხვდებოდნენ. მას ნავსადგურისთვის უნდა ჩაევლო, ჩამწკრივებულ კარვებს შორის, სადაც ეგვიპტეში ზღვით ჩამოყვანილი დაჭრილები მოეთავსებინათ. თავისი ეტლიდან ფარაონი განსაკუთრებული გულითადობით ესალმებოდა ყველას. ეტლი ისევ ანის მიჰყავდა. ის იყო, ნელი ნაბიჯით ჩაუარეს გამოჯანმრთელებულთა რიგებს, რომ უეცრად ანიმ ისე გაშმაგებით მოზიდა სადავეები, რომ ცხენები ყალყზე შედგნენ, და ვეზირმა ძლივს შეძლო მათი მოთოკვა.

რამზესმა გაოცებით მიიხედ-მოიხედა და მოეჩვენა, თითქოს თავისი მხსნელი დაინახა, ქადეშთან რომ გამოეცხადა. ფარაონი უნებურად შეკრთა. ეგებ ღვთაების სახემ შეაშინა მისი ცხენები ანდა უბრალოდ თვალმა მოატყუა? იქნებ მისი მხსნელი ჩვეულებრივი მოკვდავია და ახლა სხვა დაჭრილებთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა?

კაცს, რომელიც ეტლზე მის გვერდით იდგა, შეეძლო ეპასუხა მის კითხვაზე, რადგან ანიმ პენტაური იცნო და სწორედ მოულოდნელობისგან მოზიდა სადავეები.

თავი მეთერთმეტე

მზე უკვე ჩასული იყო, როცა ფარაონის ეტლი კვლავ ხის სასახლესთან გაჩერდა.

გაჩახჩახებულ დარბაზში ჟრიამული იდგა. სტუმრები ფარაონს ელოდებოდნენ. რამზესიც გამოჩნდა, და იქ მყოფნი, თავ-თავიანთი წოდებისა და დაკავებული თანამდებობის მიხედვით, თავდახრილები გაირინდნენ. მალე ფარაონი უკვე ტახტზე იჯდა შვილებით გარშემორტყმული და ანიშნა, რომ ქვეშევრდომები ნადიმის დაწყებამდე რიგრიგობით მასთან მისულიყვნენ. ზოგს თავაზიანად მოიკითხავდა, ზოგს კი მხოლოდ ალერსიანად გადახედავდა. ყველასთვის მოწყალე, იგი თითოეულში სიხარულსა და იმედს აღვიძებდა.

— ღმერთს ნამდვილად მხოლოდ იმით ვგავარ, რომ ადვილად შემიძლია გავაბედნიერო ადამიანი. ჩვენმა წინაპრებმა მეფის ძალაუფლების სიმბოლოდ კობრას გამოსახულება აირჩიეს, რამეთუ მეფეებს ისევე ელვისებურად შეუძლიათ სიკვდილი თესონ, როგორც გველს, მაგრამ ხალხს რომ ბედნიერება მიანიჭო, ჩვენი ხელები და თვალებიც საკმარისია, მაშინ როცა დასასჯელად იარაღიც გვჭირდება. ურეოსიანი გვირგვინი მომხსენით და ყვავილების გვირგვინი დამადგით, — თქვა მან და მაგიდას მიუჯდა.

მისალმების ცერემონიალის დროს დარბაზიდან ორი კაცი გაქრა: ვეზირი ანი და მთავარი ქურუმი ამენი.

პირველმა მცველებს უბრძანა ნავსადგურში დაჭრილთა შორის მოეძებნათ ქურუმი პენტაური, მის კარავში წამოეყვანათ და იქ ჰყოლოდათ დაცვის ქვეშ. ვეზირს კიდევ შემორჩე-

ნოდა ჯადოქარ ხექტის წამალი, რომელიც კაპიტნისთვის იყო განკუთვნილი; ახლა კი ის აპირებდა დახვედროდა პოეტს როგორც სტუმარს და არა ტყვეს, და ღვინით გამასპინძლებოდა... პენტაურს შეეძლო ევნო მისთვის მიუხედავად იმისა, განხორციელდებოდა თუ ჩაიშლებოდა ქათუთის გეგმა.

ხოლო რაც შეეხება ამენის, ის სასახლიდან გამოვიდა, რათა მოხუცი გაგაბუ ენახა. ფარაონის საზეიმო მიღების დროს მოხუცი მზის გულზე იდგა, და ახლა უგრძნობელი მიიყვანეს კარავში. ქურუმთა სადგომი კი სულ რამდენიმე ნაბიჯით იყო დაშორებული ვეზირის დიდებული კარვიდან.

ამენი რომ მივიდა, მოხუცი უკვე კარგად იყო. ის იყო, ეტლში ავიდა და უკვე სასახლისკენ წასვლაც დააპირა, რომ ვეზირის მცველებმა მის გვერდით პენტაური ჩაატარეს. ამენიმ შორიდანვე შეამჩნია მაღალი და ტანადი პატიმარი. პოეტმაც იცნო თავისი ყოფილი მოძღვარი და დაუძახა მას. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკვე ხელს ართმევდნენ ერთმანეთს. როცა მცველებს მოუსვენრობა დაეტყოთ, ამენიმ მათ თავი წარუდგინა.

მას გულწრფელად უხაროდა თავის საყვარელ მოწაფესთან შეხვედრა, რადგანაც საღ-სალამათს ხედავდა იმას, ვინც ამდენი ხანი დაღუპული ეგონა. მამობრივი სინაზით გადახედა ამ ვაჟკაცს და მცველებს უბრძანა, თავდახრილები რომ იდგნენ მისი მაღალი წოდების წინაშე, მისი მეგობარი არა ანისთან, არამედ ქურუმთა კარავში წაეყვანათ.

პენტაურს მოხუცი გაგაბუ შეეგება, რომელიც სიხარულის ცრემლებს ვეღარ იკავებდა. ყველაფერი, რაც კი ოდესღაც სასაყვედურო ჰქონდათ ახალგაზრდა პოეტის მიმართ, თითქოსდა დავიწყებას მიეცა. ამენიმ იმწამსვე განკარგულება გასცა ახალი ქათქათა ტანსაცმლით შეემოსათ იგი და ვერ

ძღებოდა მისი ცქერით, დროდადრო ბეჭებზე ხელს დაჰკრავდა ხოლმე ისეთი სიხარულითა და სიამაყით, თითქოს საკუთარი შვილი დაკარგა და ხელახლა იპოვაო.

პენტაურს დაუყოვნებლივ უნდა მოეყოლა თავისი თავგადასავალი: კატორღის შესახებ, თუ როგორ დააღწია მას თავი სინის წმინდა მთასთან, ბენტ-ანატთან შეხვედრაზე, იმაზე, თუ როგორ მონაწილეობდა ქადეშთან ბრძოლაში და ისრით მძიმედ დაჭრილი უარდას მამამ გადაარჩინა. არაფერი უთქვამს მხოლოდ თავის გრძნობაზე ფარაონის ქალიშვილის მიმართ, და იმაზე, თუ როგორ გადაარჩინა რამზესი.

— დაახლოებით ერთი საათის წინ, — დაასრულა თხრობა პენტაურმა, — ვიჯექი ჩემთვის კარავში და გაჩახჩახებულ სასახლეს გავცქეროდი. უცებ მცველები გამომეცხადნენ და გადმომცეს ბრძანება დაუყოვნებლივ გავყოლოდი მათ ვეზირის კარავში. რა უნდა ჩემგან? მე ვფიქრობ, ბოროტი რამ აქვს განზრახული.

გაგაბუმ და ამენიმ ერთმანეთს გადახედეს, და მთავარი ქურუმი სასწრაფოდ გამოემშვიდობა მათ, რადგანაც ისედაც დიდხანს შეყოვნდა აქ. სანამ ეტლზე ავიდოდა, მცველებს უბრძანა თავიანთ ადგილებზე დაბრუნებულიყვნენ, ვეზირს კი თავად ეტყოდა, რომ მისი სტუმარი ზეიმის ბოლომდე დარჩებოდა ამ კარავში.

მცველები უსიტყვოდ დაემორჩილნენ და თავ-თავიანთ საგუშაგოებს დაუბრუნდნენ.

ამენი სასახლეში იმათზე ადრე მივიდა და დარბაზში სწორედ იმ დროს შევიდა, როცა ვეზირს უკვე დაესვა სტუმრები თავ-თავიანთ ადგილებზე. მთავარი ქურუმი პირდაპირ მისკენ წავიდა, თავი დაუკრა და წყნარად უთხრა:

— მაპატიე, რომ დავიგვიანე; გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ შემაყოვნა. ალბათ იცი, რომ პოეტი პენტაური ცოცხალია და როგორც სტუმარი ახლა ჩემს კარავშია, რათა წინასწარმეტყველ გაგაბუს მიხედოს.

ვეზირს ფერი ეცვალა, მისი უცვლელი ღიმილი უეცრად გაქრა, და შეშლილივით შეხედა ამენის; მაგრამ მალე თავს მოერია და დამშვიდდა.

— აი ახლა ხომ ხედავ, როგორ დაუმსახურებლად მომაყენეს შეურაცხყოფა უსაფუძვლო ეჭვიანობით, — თქვა მან. — მე თვითონ ვაპირებდი ხვალ მომეყვანა თქვენთან თქვენი საყვარელი მოწაფე.

— მაშინ გვაპატიეთ, რომ დაგასწარით, — მიუგო ამენიმ და აღუშფოთველად დაიკავა თავისი ადგილი ფარაონის ახლოს.

დარბაზში ასობით მონა შემოცვივდა ლამაზი და ძვირფასი ჭურჭლით. ურიკებით შემოაგორეს უნატიფესად ნაკეთები ოქროსა და ვერცხლის დატვიფრული უშველებელი ჭურჭლები ღვინის შესარევად, და მერიქიფეთა მაგიდებზე დადგეს. ჭერში ჩამოკიდებულ ხის ნიჟარებში და ლოტოსის ყვავილებში, სვეტებს შორის გადაჭიმული გამჭვირვალე ქსოვილის ქვეშ ბავშვები ისხდნენ და მონადიმეთა მაგიდებზე ვარდებსა და იებს ისროდნენ. უჩინარი ნიშებიდან ქნარის ნაზი ჰანგები და სიმღერა მოისმოდა. დარბაზის შუაგულში აღმართული მოოქრული საკურთხეველი საკმევლის გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევდა.

ფარაონი, რომელიც ყველა მის წოდებულებასთან ერთად „მზის შვილადაც“ იწოდებოდა, თვით მზის ღმერთივით გაბრწყინებულიყო. შვილებით გარშემორტყმულს უწინდებურად ისევ მენა აწვდიდა სასმისს, ხოლო რამზესის გარშემო შემოკრებილი დიდებულები ხმამაღლა გამოხატავდნენ მისი გამარ-

ჯვებითა და მშვიდობიანად დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს. მის პირდაპირ ქალები ისხდნენ, წინ კი მამის გულის გამხარებელი — ბენტ-ანატი და ნეფერტი.

ფარაონის რჩევა, რომ მენას ხელიდან არ გაეშვა სასმისი, სწორედაც რომ ზედმეტი არ ყოფილა, რადგან მეეტლეს მალიმალ გაურბოდა თვალი თავისი მშვენიერი მეუღლისკენ. ისინი ხომ ჯერ არც კი მისალმებოდნენ ერთმანეთს, მენა მეუღლის ხელსაც კი არ შეხებოდა ჯერ.

დარბაზში საზეიმო განწყობილება სუფევდა.

რამზესი ქადეშთან ბრძოლის შესახებ ჰყვებოდა, ხოლო ჰელიოპოლისის მთავარმა ქურუმმა შენიშნა:

— პოეტები მრავალი საუკუნის მანძილზე შეასხამენ ხოტბას შენს გმირობას.

— არა ჩემი გმირობა უნდა ადიდონ მათ, — შეეპასუხა ფარაონი, — არამედ წყალობა ღვთაებისა, სასწაულებრივად რომ გადაარჩინა თქვენი მბრძანებელი, და ეგვიპტურ იარაღს გამარჯვება მოაპოვებინა მტერთა უთვალავ ურდოებზე.

— ნუთუ შენი თვალით ნახე ღმერთი? რა სახით მოგევლინა იგი? — ჰკითხა ბენტ-ანატმა.

— როგორ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, მაგრამ ის საოცრად ჰგავდა მოღალატე პააკერის განსვენებულ მამას, — დინჯად მიუგო რამზესმა. — ჩემი მხსნელი ტანადი და თვალადი იყო. მისი ხმა გულშიჩამწვდომად ჟღერდა, ხოლო საომარ ჩუგლუგს სათამაშოსავით იქნევდა.

ამენი ყურადღებით უსმენდა ფარაონს, მერე წამოდგა, მდაბლად დაუკრა თავი და მოკრძალებით მიმართა:

— უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, ალბათ თვითონაც მოვინდომებდი აქვე, ამ ნადიმზე, როგორც ეს ჩვენს მამებს ჰქონდათ წესად, ხოტბა შემესხა ღვთაების სასწაულებრივი

გამოცხადებისა და მისი დიადი შვილისთვის. მაგრამ წლები გადის და ხმაც ჭკნება, ყურიც უფრო ახალგაზრდა მომღერალს ეძებს. ყველაფერი გაქვს ამ ზეიმზე, გულუხვო ანი, არა გყავს მხოლოდ მგოსანი, რომელიც შთაგონებული სიტყვებით სიმთა ხმაზე ქებათა ქებას შეასხამდა ჩვენი მბრძანებლის დიად გმირობას. თუმცა აქვე ახლოს იმყოფება ღმერთთაგან დაჯილდოებული პენტაური, უკეთილშობილესი სეთის სახლის აღზრდილთა შორის.

ბენტ-ანატი გაფითრდა. გახარებულმა და გაკვირვებულმა ქურუმებმა, მთელს ეგვიპტეში სათაყვანებელ პოეტს რომ დასტიროდნენ, ჟრიამული ატეხეს.

ფარაონს ხშირად სმენია თავისი შვილებისგან, მეტადრე კი რამერისგან, ბევრი საქებარი სიტყვა პენტაურზე; ამიტომაც სიამოვნებით დათანხმდა, როცა ამენიმ ნება ითხოვა მოეყვანათ პოეტი, რომელიც აგრეთვე იბრძოდა ქადეშთან, რათა მას საზეიმო სიმღერა ემღერა.

გაფითრებული და შეშინებული ვეზირი თავის სასმისს მისჩერებოდა, მთავარი ქურუმი კი წამოდგა, რათა პირადად მოეყვანა პოეტი ფარაონთან.

ამენის არყოფნაში ახალი კერძები შემოიტანეს. თითოეულ სტუმარს უკან ვარდისწყლიანი ვერცხლის ტაშტი ედგა, სადაც დროდადრო ქონიან თითებს იბანდა. იქვე მდგარი მონები ლამაზად მოქარგულ პირსახოცებს აწვდიდნენ. სხვა მსახურები მონადიმეებს თავიდან და მხრებიდან დამჭკნარ გვირგვინებსა და ყვავილწნულებს ხსნიდნენ და ახალს უკეთებდნენ,

— შენ რაღაც ფერმიხდილი ხარ, ჩემო გოგონა, — უთხრა რამზესმა ქალიშვილს. — თუ დაიღალე, ვფიქრობ, ბიძაშენი არ გეტყვის უარს წასვლაზე. თუმცა, კარგი იქნებოდა, რომ

დარჩენილიყავი, სანამ ეს ნაქები პოეტი თავის სიმღერას გვიმღერებდეს. ხომ იცი, ვისაც მეტისმეტად აქებენ, ხშირად უჭირს ხოლმე მსმენელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. კი მაგრამ, შენ რაღა მოგდის, ჩემო გოგონა, ცოტა არ იყოს, შემაშინე კიდეც. წასვლა გინდა?

მაშინ ვეზირი წამოდგა თავისი ადგილიდან და ბენტ-ანატს მიმართა:

— შენი აქ ყოფნით დიდი პატივი დასდე ჩვენს ზეიმს, მაგრამ თუ დაიქანცე, გთხოვ, ნება მომცე შენს ქალებთან ერთად მიგაცილო შენთვის განკუთვნილ სავანემდე.

— დავრჩები, — ძლივგასაგონად, მაგრამ მტკიცედ უპასუხა ბენტ-ანატმა და თვალები დახარა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო, როცა პენტაურის გამოჩენაზე დარბაზში მოწონების შეძახილები გაისმა.

როგორც ყოველთვის, თავმდაბალი და ოდნავ დარცხვენილი ფუფუნებისაგან, თავის გარშემო რომ ხედავდა, პოეტი ამენის თანხლებით წარსდგა ფარაონის წინაშე.

მას სეთის სახლის ქურუმის გრძელი თეთრი სამოსი ეცვა, შუბლს უმშვენებდა სირაქლემას ფრთები — კურთხეულთა განმასხვავებელი ნიშანი.

ფარაონისგან ორ ნაბიჯზე გაჩერდა, თვალები ასწია და მუხლი მოიყარა ადგომის ნებართვის მოლოდინში.

მაგრამ რამზესი არ ჩქარობდა. ახალგაზრდა პოეტს უყურებდა და გულს ეჭვი უღრღნიდა. ეს ხომ არ არის მოჩვენებითი ღმერთი? ეს ხომ არ არის მისი გადამრჩენი? ნუთუ ეს საოცარი მსგავსებაა? ან იქნებ ყველაფერი სიზმარია?

მონადიმეები უხმოდ შეჰყურებდნენ გარინდულ რამზესსა და პოეტს, სულგანაბული რომ იდგა მის წინ მუხლმოყრილი. ბოლოს, ფარაონმა თავი დაუკრა, პენტაური წამოდგა და სა-

ხეზე ალმური მოედო, როგორც კი იქვე ახლოს ბენტ-ანატი დაინახა.

— შენ ქადეშთან იბრძოდი? — მღელვარებისგან აკანკალებული ხმით ჰკითხა ფარაონმა.

— დიახ, — უპასუხა პენტაურმა.

— ამბობენ, ცნობილი პოეტი ყოფილხარ. — განაგრძო ფარაონმა. — ჩვენ სიამოვნებით მოვისმენდით, როგორ შეასხამ ქებას ჩემს სასწაულებრივ გადარჩენას. თუ თანახმა ხარ, ქნარს მოგიტანენ.

პოეტმა მდაბლად დახარა თავი და მოახსენა:

— ჩემი ნიჭი მეტად მოკრძალებულია, მაგრამ მე შევეცდები ვუმღერო სახელოვან საგმირო საქმეს თვით გმირის წინაშე, ღმერთების შემწეობით რომ აღასრულა.

რამზესმა ანიშნა, და ამენიმ ბრძანა დიდი მოოქრული ქნარი მოეტანათ. პენტაური ოდნავ შეეხო სიმებს და თავი ქნარისკენ დახარა. რამდენიმე ხანს ჩაფიქრებული შორეთს გასცქეროდა, მერე გასწორდა, სიმებს თითები ჩამოჰკრა და დარბაზის მაღალ თაღებს ქვეშ მჭექარე საომარი ჰანგები გაისმა. მაგრამ აი, მუსიკა შეწყდა, მიჩუმდნენ უკანასკნელი აკორდები. მგოსანმა კვლავ აჟღერა საკრავი და მსმენელებს ამცნო, თუ როგორ დაბანაკდა რამზესი ქადეშთან, როგორ დააწყო ლაშქარი და ხეთების მოკავშირეების — აზიელების წანააღმდეგ წაიყვანა. უფრო და უფრო ძლიერად გაისმოდა მისი ხმა, სულ უფრო საზეიმო ხდებოდა აკორდები, როცა ის ბრძოლის გადამწყვეტ წამებს -— მტრის ალყაში მოქცეულა რამზესის ხსნას უმღეროდა. გამართული და ოდნავ წინ წამოწეული უსმენდა ფარაონი პოეტის სიტყვებს.

ჯაჭვის პერანგი გადაიცვა, იარაღს დასწვდა

და აღდგა რამზეს მოზეიმე, ფრიად მრისხანე,
ვაალს წააგავს, როს საომრად მიემართება,
თან ჰყავს ძლიერი საომარი თვისი ცხენები.
ერთს ჰქვია „თებეს გამარჯვება“, ხოლო მეორეს
„კმაყოფილ ნურუს“ უხმობს იგი, ორივე ცხენი
ბრდღვინვა-ჭიხვინით გამოფრინდა საჯინიბოდან.
ქვეყნის მბრძანებელს, ამონის მზის ღმერთის რჩეულს,
რამზეს ფარაონს ხეთებისკენ გამოჰყავს ეტლი
და მსწრაფლ იჭრება მარტოდმარტო მტრების ბანაკში,
არც მეეტლე ჰყავს, არც მცველები ახლავან თვისი.
სუყველას თვალწინ გადაეშვა ფიცხელ ბრძოლაში.
მაგრამ უეცრად მეფის ირგვლივ შემოკრბენ ეტლნი —
ორ-ნახევარი ათასია მთელი ლაშქარი
ხეთებისა და სხვათა იმათ მოკავშირეთა:
მიზიელები, პისიდები, არადის რაზმი...
სამი მებრძოლი თითო ეტლზე, ფიცით შეკრულნი.
„გვერდით არ მყვანან ახლობელნი, არცა მცველები,
ჩემმა სარდლებმა დიაცურად იბრუნეს პირი,
ქვეითმა ჯარმაც მიმატოვა და უკუიქცა,
თვით საკუთარი მეეტლეც კი გამექცა სადღაც!“
ასე ამბობდა გმირთა გმირი და სთხოვდა უფალს:
„მამავ ამონო, მომისმინე და მექმენ შემწედ!
ნუთუ მშობელი დაივიწყებს თვის საკუთარ შვილს,
რომელიც მარად ერთგულია თავისი მამის?
ო, მე ხომ შენი უყოყმანოდ ვიყავ მორჩილი?
შენს დაძახილზე ხომ მაშინვე შენკენ მოვრბოდი,
ეგვიპტის მოკვდავ მბრძანებლებში ყველაზე დიდი,
მაგრამ მაგ ნათელ სიდიადის მუდამ უღირსი,
ვით ვინმე მწირი, სალოცავად უდაბნოდ მდგარი.

შენ წინაშე ხომ აზიელნიც არარად ჩანან,
შენ ხომ ბიწიერთ საშინელი უძლურებით სჯი.
მე კი რამდენი შემოგწირე, უფალო, მსხვერპლი!
ან რაოდენი მოგიძღვენი, ღმერთო, ტყვეები!
მე ხომ ტაძარიც აგიშენე, მკვიდრო ზეცისავ,
საუკუნეებს რომ გაუძლებს, ამაყად მდგარი.
განძით აგივსე, მეუფეო, საკურთხევლები,
სამფლობელოთა საზღვრებიც ხომ შორს გადავწიე
და ათასობით ზარიც დავკალ წმინდა კოცონზე.
შენს სადიდებლად ავაშენე ბევრი პილონი
და მათ წინ, ღმერთო, ცათამბრჯენი დავდგი ანძები.
შენთვის აბუდან წამოვიღე ობელისკები
და ეგვიპტეში საუკუნო ქვები დაგიდგი.
ოკეანეებს სერავს ჩემი ბევრი ხომალდი,
უცხო ქვეყნებში გიგროვებენ შენ ძვირფას ძღვენებს.
ასე ვიქმოდი მე მუდამჟამ, რამეთუ ყველა
ამ წესის დამრღვევს მიეგება მძიმე სასჯელი.
და მაინც შენ ხომ ამ ქვეყანას განაგებ გულით.
ამონ, შენ გიხმობ, როგორც მამას განსაცდელის ჟამს!
მოჰხედე შენს შვილს, სასიკვდილოდ ახლა მომწყვდეულს
ამ შენთვის უცხო ურდოების მხეცურ კლანჭებში.
შეხედე ერთი, როგორ აღდგა ხალხი ბოროტი
და მიმატოვეს მარტოდმარტო მტრების ბანაკში.
ქვეითმა ჯარმა მიმატოვა, შედრკა, გაიქცა,
მეეტლემაც კი თავს უშველა, დამტოვეს მარტო.
დიდხანს ვუხმობდი, მაგრამ არავინ მათხოვა ყური.
მაგრამ მე მჯერა, რომ ამონის სიტყვა და ნება
მეტს იზამს, ვიდრე უამრავი ქვეითი ჯარი,
ვიდრე მეეტლე რიცხვით სამჯერ ასი ათასი

ვიდრე ღვიძლი ძმა ათასი თუ ათი ათასი
ანდა ჭაბუკი ვაჟიშვილი, ჯან-ღონით სავსე.
ო, რა მცირეა ნახელავი ადამის მოდგმის, —
ნაღვაწის შენის უბადრუკი ჩრდილია მხოლოდ.
ბაგეთა შენთა მომივლინეს ზეციდან სჯული,
და შენს წინაშე მუხლმოდრეკით ვლოცულობ, ამონ,
შენ გვედრებ, ეგებ წარმოთქმული სიტყვები ჩემი
ქვეყანას გასცდნენ და შენამდე მოვიდნენ ზეცად!“
როდესაც ქალაქ ერმონტს მისწვდა მისი ძახილი,
ჩაესმა ამონს განწირული რამზესის ლოცვა
და გაუწოდა მან ფარაონს მარჯვენა თვისი.
მყის აღტაცების შეძახილი აღმოხდა რამზესს.
და რქვა ამონმა: „მფარველობას ელოდე ჩემგან,
თავად ვიქნები, ფარაონო, მეეტლე შენი.
შენ ჩემს ხელთა ხარ, შვილო ჩემო, და დახმარებას
მიიღებ ჩემგან ათასობით მებრძოლთ უაღრესს.
გმირობა მიყვარს, მე ხომ მძლე ვარ მძლეველთა შორის.
მე გმირი ვპოვე, მას აროდეს არ გავეყრები
და აღვასრულებ ჭეშმარიტად ნებასა ჩემსას“.
მაშინ რამზესმა მონტუს მსგავსად აიღო მშვილდი,
მარჯვენა ხელით მყის ისარნი აფრინა მტრისკენ,
ხოლო მარცხენით უმარჯვებდა მომხდურებს ჩუგლუგს.
ისე ჩეხავდა, ვით ვაალი, გასული ბრძოლად.
და ორი ათას-ნახევარი ეტლიდან მაშინ
ვეებერთელა ნამსხვრევები გადარჩა მხოლოდ.
მეეტლეები ხეთებისა შეიპყრო შიშმა,
თითქო ხელ-ფეხი შეუბორკა ვიღაცამ თოკით,
აღარცერთ მათგანს აღარ ძალუძს მოზიდვა მშვილდის,
არც შუბის ტყორცნა, არც ხმარება მძიმე ჩუგლუგის.

ბოლოს სუყველა გადაყარა რამზესმა წყალში...[185]

სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო საზეიმოდ მორთულ ვრცელ დარბაზში, როცა ეს სიმღერა ჟღერდა. რამზესი ისე უყურებდა პოეტს, თითქოს უნდოდა სამუდამოდ გულში ჩაჰ-ბეჭდვოდა მისი სახე, რათა სულის კუნჭულებში შეედარებინა იგი სხვა, ქადეშთან ბრძოლის დღიდან დაუვიწყარ ხატებას-თან. არა, ეჭვგარეშეა, მის წინაშე მისი მხსნელი იდგა!

სიხარულით აღტყინებულმა რამზესმა შეაწყვეტინა პენ5ტა-ურს სიმღერა, რომელმაც სულის სიღრმემდე შესძრა, და სტუმრებს მიმართა:

— ხოტბა შეასხით ამ კაცს, რამეთუ ღვთაებამ მას მიანდო თქვენი მბრძანებლის გადარჩენა, როცა ის მარტოდმარტო დარჩა უთვალავი მტრის პირისპირ!

— დიდება პენტაურს! — დაიქუხა დარბაზის თაღებს ქვეშ.

მაშინ წამოდგა ნეფერტი და სახეგაწითლებულმა მიაწოდა პოეტს ყვავილების თაიგული, რომელიც აქამდე მკერდზე ჰქონდა მიკრული.

რამზესმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია, შემდეგ კი შემკითხველი მზერა მიაპყრო თავის ქალიშვილს. ბენტ-ანატი მიუხვდა მამას, ბავშვური უშუალობით წამოდგა, ფუმფულა თმიდან ყვავილების გვირგვინი მოიხსნა, პენტაურთან მივიდა და თავზე დაახურა. ასე მხოლოდ სადედოფლო ადგამს გვირ-გვინს თავის საქმროს ქორწილის წინ. რამზესი გაოცებული უყურებდა ქალიშვილს, ხოლო სტუმრებმა აღფრთოვანებული შეძახილებით მოუწონეს საქციელი. მაგრამ მტკიცე და მკაც-

[185] ლექსები თარგმნა გივი ციცქიშვილმა.

მკითხველთა ლიგა

რი იყო რამზესის გამოხედვა, ბენტ-ანატსა და მის წინ მდგომ ყმაწვილს თვალს რომ არ აშორებდა.

სულგანაბული სტუმრები ფარაონსა და პენტაურს მისჩერებოდნენ. რამზესს თითქოს გადაავიწყდა პენტაურის არსებობა და ფიქრს მისცემოდა.

მაგრამ, აი, ფარაონს შუბლი გაეხსნა, თითქოს მზის კაშკაშა სხივებმა მოჰფინესო ნათელი მის სახეს, როცა კვლავ ამოიხედა, ნათელი და სიხარულით გასხივოსნებული მზერა ჰქონდა. ბენტ-ანატიც მიხვდა, თუ რატომ შეხედა მამამ ალერსიანად ჯერ მას, მერე კი ყვავილებით შემკულ ახალგაზრდა პოეტს გადახედა.

შემდეგ რამზესი სტუმრებს მიუბრუნდა და თქვა:

— უკვე შუაღამე გადავიდა, უნდა დაგტოვოთ, გეპატიჟებით ყველას და, განსაკუთრებით, შენ, პენტაურ, ხვალ საღამოს ამავე დარბაზში. კიდევ ერთხელ შეავსეთ სასმისები, და შევსვათ სადღეგრძელო ხანგრძლივი მშვიდობისა, — მან ჩვენი გამარჯვება უნდა დააგვირგვინოს, ღმერთების შემწეობით რომ მოვიპოვეთ. მადლობა მოვახსენოთ აგრეთვე ჩემს მეგობარს ანის, რომელიც ასე გულუხვად გაგვიმასპინძლდა, ხოლო ჩვენი აქ არყოფნის დროს ესოდენი თავდადებითა და მზრუნველობით მართავდა ქვეყანას!

სტუმრებმა ჟრიამულით დაუჭირეს მხარი ფარაონს, ხოლო თვით რამზესმა კი მაგრად ჩამოართვა ხელი ვეზირს. ამის შემდეგ კვერთხის მტვირთველთა და სასახლის კარისკაცთა თანხლებით გასასვლელისკენ გაემართა, თან თავის დაკვრით უბრძანა ანის, რომ მენა და ქალები თან გაჰყოლოდნენ.

ნეფერტმა, როგორც იქნა, მოახერხა მისალმებოდა მენას, მაგრამ ისინი მაშინვე დაშორდნენ ერთმანეთს; დედამ სთხო-

ვა, იმ ღამეს მასთან დარჩენილიყო სალაპარაკოდ. ქათუთის ეტლმა თვალის დახამხამებაში მიიყვანა ნეფერტი დედის კარვამდე.

სასახლის წინა დარბაზში, რომელსაც რამზესის პალატთან დერეფანი აერთებდა, ფარაონი ოჯახის წევრებს დაემშვიდობა.

როგორც კი მთელი ამალა თვალს მიეფარა, მან ბენტ-ანატს მოუხმო და ალერსიანად ჰკითხა:

— რას ფიქრობდი, როცა პოეტს თავზე გვირგვინს ადგამდი?

— იმას, რასაც ყოველი ეგვიპტელი ქალიშვილი ფიქრობს, როცა ასე იქცევა, — გულახდილად უპასუხა ბენტ-ანატმა.

— კი მაგრამ, მამაზე თუ იფიქრე?

— მამაჩემმა იცის, რომ მე მისი დამჯერე ვიქნები მაშინაც კი, როცა ყველაზე სამძიმო საქმეს მომთხოვს — შევწირო საკუთარი ბედნიერება. მაგრამ მე მწამს, რომ ის... რომ მე გიყვარვარ, და მეც არასოდეს დამავიწყდება შენი ნათქვამი, რომ დედის სიკვდილის შემდეგ გინდა მისი მაგივრობა გამიწიო, და შენც ისევე გამიგებ, როგორც დედა გამიგებდა. თუმცა რად გვინდა ამდენი ლაპარაკი! პენტაური მიყვარს, დიდი ხანია, მიყვარს, ის ჩემი გულის პირველი სიყვარულია! იგი უდიდესი პატივის ღირსი გახდა, მაგრამ არარაობაც რომ ყოფილიყო, შენი ქალიშვილის ხელი მიანიჭებდა მას ძალას და ჩვენი ქვეყნის ყველა დიდებულზე მაღლა დააყენებდა.

— დიახ, ბენტ-ანატს აქვს ეს ძალა, და, დაე, მან ისარგებლოს კიდეც ამით! — წამოიძახა რამზესმა. — შენ შენი თავის ერთგული დარჩი და ჩვეული გულახდილობა შეინარჩუნე მამასთან და მფარველთან განშორების დროსაც კი. მე დედაშენის ხატება მიყვარს შენში, მისგან კი ვიცი, რომ ქალის პატიო-

სანი გული უკეთესად ირჩევს მართალ გზას, ვიდრე მამაკაცის ჭკუა. ახლა კი წადი დასაძინებლად და ხვალინდელი საღამოსთვის ახალი გვირგვინი შეუკვეთე — ის აუცილებლად დაგჭირდება, ჩემო საყვარელო გოგონა!

თავი მეთორმეტე

პელუსიონის დაბლობის თავზე, მოწმენდილ ცაზე მთვარე კაშკაშებდა და უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებდა. მთვარის შუქზე დათოვლილი ბორცვებივით თეთრად ანათებდნენ ათასობით კარვების მსუბუქი სახურავები. ზოგ კარვებში ომიდან დაბრუნებულ მეომრებს ეძინათ გულის ძილით, დანარჩენებში კი— ქვეყნის ყველა მხრიდან ფარაონის დასახვედრად ჩამოსულ ეგვიპტელებს.

საღამო ხანს მეომართა ბანაკში წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. კარვების ქალაქის ქუჩებში, ოცდაათ-ოცდაათ ხარშებმული სამი ოთხთვალათი ყვავილებით მორთული სამი უშველებელი რუმბი დაჰქონდათ, საიდანაც ყოველი ბიძგის დროს ღვინო წვეთავდა. როცა დაღამდა, ბანაკში ბევრგან მაგიდები დადგეს, და ვეზირის მსახურები გულუხვად უმასპინძლდებოდნენ ფარაონის მეომრებს თეთრი და წითელი ღვინით.

რამზესის დასახვედრად ჩამოსული ეგვიპტელების კარვები ბრწყინვალე სასახლიდან მარტოოდენ სახელდახელოდ გაშენებული, ღობეშემოვლებული ბაღით იყო გამოყოფილა.

ვეზირის უშველებელი კარავი თავისი სილამაზითა და ზომით გამოირჩეოდა. მარჯვენა მხარეს ქურუმთა საზოგადოებების წარმომადგენლების მსუბუქი კარვები ჩამწკრივებულიყო, მარცხნივ კი — სადგომები ვეზირის ამალისათვის. იქვე ქვრივ ქათუთის კარვებიც იდგა: მოზრდილი — საკუთრივ მისი, და რამდენიმე პატარა მსახურთათვის.

ანის კარვის უკან, ტილოს ფარდაშემოვლებულ კარავში ცხოვრობდა დედაბერი ხექტი, რომელიც ანიმ საიდუმლოდ მოიყვანა თავისი ორჩხომელით. მხოლოდ ქათუთიმ და ყველაზე საიმედო მსახურებმა იცოდნენ, ვინ იმყოფებოდა იმ უცნაურ კარავში.

იმ დროს, როცა სტუმრები ვეზირის მიერ აგებული სასახლის ვეებერთელა დარბაზში ქეიფობდნენ, ჯადოქარი თავისი ვიწრო სადგომის მიწურ იატაკზე იჯდა, ტილოს წვეტიანი სახურავი რომ ჰქონდა. სუნთქვა ეკვროდა — დიდი ხანია გული აწუხებდა, მაგრამ ბოლო დროს სასტიკი შეტევები უფრო გაუხშირდა.

მის წინ, პირდაპირ იატაკზე, პატარა, წითელი თიხისგან გაკეთებული ლამპა ენთო, კალთაში კი ავადმყოფი ქორი ეჯდა აფხორილი. მტაცებელი ფრინველი დროდადრო აცახცახდებოდა ხოლმე და თვალებს ლულავდა; მაგრამ, საკმარისი იყო, დედაბერს ხელში აეყვანა და მოღუნულ ნისკარტზე სული შეებერა, რომლითაც მზად იყო ჩასაფრენად, რომ თვალები ბოროტად აუელვარდებოდა.

ჯადოქრის ფეხთით, ჭილოფზე პატარა შერაუს ეძინა.

მაგრამ აი ხექტმა ბიჭს ფეხი წაჰკრა, და როცა ნამძინარევი ბავშვი შეშინებული წამოხტა, უთხრა:

— შენ მახვილი სმენა გაქვს, ისე მეჩვენება, თითქოს ანის კარავში ქალი ყვირის. გესმის რამე?

— მესმის, — მიუგო ბიჭმა. — თითქოს ვიღაც ტირის, აი ახლა კი ყვირილი ისმის, მხლოდ ანის კი არა, ნემუს კარვიდან.

— აბა, გაცოცდი იქით და გაიგე, რაშია საქმე, — უბრძანა დედაბერმა.

ბიჭი უსიტყვოდ დაემორჩილა, ჯადოქარი კი ისევ ქორს მიუბრუნდა. ის უკვე აღარ იჯდა, ახლა გვერდზე დაწოლილიყო,

მაგრამ ბრჭყალები მაინც გამოაჩინა, როგორც კი დედაბერმა ხელში აიყვანა.

— სულს ღაფავს, — ბუტბუტებდა დედაბერი. — ის რომელსაც რამზესი დავარქვი, დღითი დღე სუქდება. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ მაინც.. მაინც... ვეზირის თამაში წაგებულია! აგერ ქორი გაიჭიმა, თავი ჩაქინდრა... ნისკარტით ისევ კაბას მიწიწკნის... აი, მოკვდა კიდეც!

რამდენიმე ხანს კიდევ მუხლებზე ედო ფრინველი, მერე გაბრაზებულმა კარვის კუთხეში მოისროლა და თან მიაძახა:

— ტკბილად იძინე, ანი; სამეფო გვირგვინს ვეღარ ეღირსები!

ამის შემდეგ დედაბერი ჩაფიქრებული დიდხანს ჩასცქეროდა იატაკს და თან თავისთვის ბუტბუტებდა:

— ნეტა კიდევ რა მოიგონეს? ალბათ ოცჯერ მაინც მკითხა, განხორციელდება თუ არა მისი ჩანაფიქრი. თითქოს მასზე უკეთესად ვიცოდე! ნემუც ქარაგმულად ლაპარაკობს, რატომღაც არ სურს გულახდილი ლაპარაკი. იქ ნამდვილად რაღაც ხდება, მე კი... მე... ოჰ! ისევ შეტევა მეწყება...

დედაბერმა გულზე წაივლო ხელი, თვალები დახუჭა და ტკივილისგან დაიღმიჭა. მას არ დაუნახავს დაბრუნებულ შერაუ, არც მისი ძახილი გაუგონია. ბიჭი კი, ხმა რომ აღარ გასცეს, ისევ უკან გაიქცა.

თითქმის ერთი საათი იწვა ხექტი უგრძნობლად, ხოლო როცა გონს მოვიდა, მოეჩვენა, თითქოს ძარღვებში თბილი სისხლის ნაცვლად ცივი წვეთები ჟონავენ.

— ჩემთვისაც რომ მყოლოდა ქორი, — გულისტკივილით ჩაიჩურჩულა, — ისიც ალბათ მალე მიჰყვებოდა თავის მოძმეს. ნეტა შეასრულებს ანი თავის დანაპირებს და უბრძანებს დამაბალზამონ? რა თქმა უნდა, არა, მაგისთვის სცხელა ახ-

ლა, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია! ჩამაგდებენ ორმოში, დავლპები და არც საიქიო ცხოვრება მექნება, და არც ასასთან შეხვედრა მიწერია ალბათ.

დედაბერი დიდხანს დუმდა; შემდეგ ხელახლა დაიწყო ბუტბუტი და თან კუშტად იყურებოდა:

— სიკვდილს ხსნა მოაქვს, ამ მწარე მოგონებებისგან მაინც მიხსნის. მაგრამ საიქიოშიც ხომ არის სიცოცხლე! იმედს არ ვკარგავ! არა, არა! არ მინდა! ამბობენ, იქ მიცვალებულები თანასწორნი არიან და ერთ კანონს ემორჩილებიანო. ნეტა სად ვიპოვი იქ ასას, ნეტართა თუ შერისხულთა შორის? და მე? მე თვითონ? აჰ, განა სულ ერთი არ არის! რაც უფრო ღრმა იქნება ის უფსკრული, სადაც ჩამაგდებენ, მით უკეთესია. ნუთუ ასა, თუკი ის ნეტარია, შეძლებს წმინდანად დარჩეს, როცა დაინახავს, სადამდე მიმიყვანა? ყველა ყველა, მაგრამ აუცილებლად უნდა დამაბალზამონ! უნდა დამაბალზამონ!.. დალპობა, გაქრობა და არარაობად ქცევა არ მინდა!

ამასობაში კარავში უხმაუროდ შემოძვრა ჯუჯა ნემუ. როცა შერაუმ გულწასული ხექტი დაინახა, ჯუჯასთან გაიქცა და უთხრა, დედაშენი იატაკზე აგდია და კვდებაო.

როგორც კი ნემუ დაინახა, დედაბერმა თქვა:

— კარგია, რომ მოხვედი. მზის ამოსვლამდე ალბათ სულს დავლევ.

— დედა! — შეჰყვირა შეშინებულმა ჯუჯამ, — შენ უნდა იცოცხლო, უწინდელზე უკეთესად იცხოვრებ: დიადი საქმე უნდა აღსრულდეს.

— ვიცი, ვიცი, — უთხრა ჯადოქარმა. — წადი აქედან, შერაუ! შენ კი, ნემუ, ყურში ჩამჩურჩულე, რა ხდება იქ, თქვენთან.

ნემუს არ ძალუძდა წინააღმდეგობის გაწევა მისი მბრძანებლური კილოსთვის, დედას მიუახლოვდა და ჩუმად უთხრა:

— სასახლე, სადაც ახლა ფარაონს თავისი ოჯახით სძინავს, ხისაა. კედლებს შორის და იატაკქვეშ ფისგადასხმული თივაა ჩატენილი. როგორც კი ყველა დაიძინებს, პატრუქს ავანთებთ. გუშაგები გალეშილები არიან. ღვინით და მკვდრებივით სძინავთ.

— კარგია, — ჩაიბუტბუტა დედაბერმა. — შენ მოიფიქრე ?

— ჩვენ, მე და ჩემმა ქალბატონმა, — ამაყად მიუგო ნემუმ.

— მოფიქრება კი გეხერხებათ, — უთხრა ჯადოქარმა, — მაგრამ ჩანაფიქრის აღსრულება კი მაინცდამაინც არ გემარჯვებათ. საიდუმლოს შენახვა თუ შეძელით? ჭკვიანი თანამოაზრეები თუ გყავთ მაინც?

— ჩვენი განზრახვის შესახებ არავინ იცის ქათუთის, პააკერისა და ჩემ გარდა. ჩვენვე ავანთებთ პატრუქებს, სადაც საჭიროა: — მე — ბენტ-ანატის ოთახებთან; ქათუთი, რომელსაც ყველგან თავისუფლად შეუძლია შესვლა, — მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან; მერე კი ზამბარას ხელს დააჭერს და კიბეც ჩაინგრევა. პააკერი კი თავად ფარაონის საძინებელი ოთახის იატაკს წაუკიდებს ცეცხლს.

— კარგია! კარგია! ეს შეიძლება გამოვიდეს, — დაიკვნესა დედაბერმა. — ერთი მითხარი, ქალის კივილი რაღას ნიშნავდა შენს კარავში?

ჯუჯა უცებ დაიბნა, მაგრამ ჯადოქარმა დაამშვიდა:

— თქვი, ნუ გეშინია. მკვდარი ქალები ვეღარაფერს იტყვიან.

მღელვარებისგან აკანკალებულმა ნემუმ სხაპასხუპით ჩაილაპარაკა:

— დაკარგული უარდა, პარასქიტ პინემის შვილიშვილი, ვიპოვე და ჩემს კარავში შევიტყუე. ის უეჭველად ჩემი ცოლი უნდა გახდეს, როცა ანი გამეფდება, ხოლო აღზევებული ქათუ-

თი ქონებას მიბოძებს და გამანთავისუფლებს. ამჟამად უარდა ფარაონის ქალიშვილის ბენტ-ანატის მოახლედ არის და მისი საძინებლის გვერდით სძინავს, მაგრამ ის არ უნდა დაიწვას თავის ქალბატონთან ერთად. თავგამოდებით ცდილობს სასახლეში დაბრუნდეს. სულელი! ფარვანასავით მიფრინავს ცეცხლისკენ! მაგრამ ის იქ არ უნდა დაიღუპოს, ამიტომაც მაგრად შევუკარი ხელ-ფეხი.

— ნუთუ წინააღმდეგობა არ გაუწევია? — გაუკვირდა დედაბერს.

— გაშმაგებით იცავდა თავს, — მიუგო ჯუჯამ, — მაგრამ მე ვეზირის მუნჯი მონა მეხმარებოდა, რომელსაც ვეზირმა უბრძანა უსიტყვოდ დამმორჩილებოდა. პირში ჩვრები ჩავუტენეთ, რომ მისი წკმუტუნი არავის გაეგო.

— მას მარტო დატოვებთ, სასახლის დასაწვავად რომ წახვალთ? — ჰკითხა ჯადოქარმა.

— მამამისი დარჩება მასთან.

— ჟღალწვერა კაშტა? — გაოცებით წამოიძახა დედაბერმა. — როგორ, აქამდე ჯერ კიდევ ცოცხლები ხართ მის ხელში?

— მას თითის განძრევის თავიც კი არა აქვს! — გადაიხარხარა ნემუმ. — ისე დავათვრე ანის ძველი ღვინით, რომ ახლაც მუმიასავით დევს. სწორედ მისგან გავიგე, თუ სად იყო უარდა, და გოგო კარავში შევიტყუე, ვითომ კაშტა ავად გამხდარიყო და შვილის ნახვა უნდოდა. ფეხმარდი ქურციკივით მომსდევდა უკან, ხოლო როცა ჟღალწვერას უძრავი სხეული დაინახა, მივარდა მას და სასწრაფოდ წყალი მოითხოვა, რომ მისთვის შუბლი დაესველებინა. მთვრალი კი ბოდავდა, რომ ვირთხები და თაგვები ესხმოდნენ თავს. რომ დაღამდა, უარდამ თავის ქალბატონთან მოინდომა წასვლა... აი სწორედ მაშინ მოგ-

ვიხდა ძალის გამოყენება. რომ იცოდე, როგორ გალამაზებულა! შენ ვერც კი წარმოიდგენ!

— ვიცი, ვიცი, — ჩაიბურტყუნა დედაბერმა, — როცა შენი გახდება, სულ დარაჯად უნდა უდგე.

— ცივ ნიავსაც არ მივაკარებ, ისე შევინახავ, როგორც დიდებულის მეუღლეს შეეფერება! — წამოიძახა ნემუმ. — მის სადარაჯოდ ქალებს დავიქირავებ! მაგრამ, ეს-ეს არის, ქათუთიც დაბრუნდა შინ მენას მეუღლესთან ერთად; ვარსკვლავები უკვე მკრთალდებიან და მალე... აი, ეს პირველი ნიშანია! როცა ქათუთი მესამეჯერ დაუსტვენს, საქმეს შევუდგებით. მომეცი შენი აბედის კოლოფი, დედა, ჩემსას ის სჯობია.

— აიღე, მე ალბათ მეტი აღარ დამჭირდება, — თქვა დედაბერმა, — ჩემი სიცოცხლე დამთავრდა! როგორ გიკანკალებს ხელები! კოლოფი მაგრად დაიჭირე, თორემ დაკარგავ და ცეცხლსაც ვეღარ გააჩაღებ.

ჯუჯა დედას გამოემშვიდობა. ხექტმა ნება მისცა ნემუს ეკოცნა მისთვის. როცა ჯუჯა გავიდა, დედაბერი ხვნეშით წამოდგა და ყური მიუგდო ღამეულ ხმებს. ჭკვიანი თვალები უელავდა და დაუცხრომელ ტვინში უამრავი აზრი უტრიალებდა.

როცა ქვრივის ვერცხლის სასტვენის ხმა მეორეჯერ გაისმა, იგი წელში გასწორდა და ჩურჩულს მოჰყვა:

— ეს ბედუკუღმართი პააკერი, მისი პატივმოყვარე დეიდა და ჯუჯა — სამივე ერთად მძინარე რამზესსაც კი ვერ შესწვდება. ანის ქორი ჩაძაღლდა; ვეზირს საიმედო აღარაფერი დარჩა ბედისწერისგან, მე კი — ანისგან. მაგრამ რამზესმა რომ მოინდომოს, თუკი ნამდვილი ფარაონი ჩემგან დავალებული იქნება... მაშინ, ჰო, მაშინ ჩემი დაძაბუნებული სხეული!.. კი, კი... ასეც უნდა იყოს!..

დედაბერი ძლივძლივობით წამოდგა, მთელი სხეული უკანკალებდა; ჯოხზე დაყრდნობილი შუა კარვამდე მილასლასდა, უბეში რაღაც შუშა და დანა ჩაიდო, ხოლო როცა მესამეჯერ დაუსტვინეს, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ნემუს კარვისკენ წაჩანჩალდა. იქ ხელფეხშეკრული უარდა და მამამისი ნახა; გალეშილი კაშტა ცხედარივით ეგდო კუთხეში. ჯადოქრის დანახვაზე გოგონა შიშისგან შეკრთა, ხოლო უარდას გვერდით ჩაცუცქულმა პატარა შერაუმ, თითქოს შველას სთხოვსო, მუდარით გაუწოდა ხელები.

— აიღე დანა, ბიჭიკო, — უთხრა ჯადოქარმა. — თოკი გადაჭერი და გაათავისუფლე ეს საწყალი. პაპირუსის ბაწარი ძალიან მაგარია,[186] დანით უნდა გადაიხერხოს.

სანამ გახარებული ბიჭუნა ძალ-ღონეს არ იშურებდა მისი ბრძანების შესასრულებლად, დედაბერმა თან წამოღებული შუშიდან რაღაც სითხით დაუზილა ჟღალწვერას საფეთქლები და რამდენიმე წვეთიც პირში ჩაასხა. კაშტა გონს მოვიდა, გაიზმორა და გაკვირვებულმა მიმოიხედა. ბებერმა ჯადოქარმა წყალი მიაწოდა, ხოლო როცა ბორკილებისგან განთავისუფლებული უარდა უკვე მის წინ იდგა, უთხრა:

— თეთრკანიანო გოგონა, შენ აგირჩიეს დიადი საქმისთვის ღმერთებმა. ყურადღებით მოისმინე, რასაც ბებერი ხექტი გეტყვის: ფარაონისა და მისი შვილების სიცოცხლეს საშინელი საფრთხე ემუქრება. მე მინდა მათი გადარჩენა და სანაცვლოდ მხოლოდ ერთს ვითხოვ — რამზესმა ბრძანოს, კარგად დაბალზამონ ჩემი ცხედარი და თებეში დამმარხონ. დაიფიცე, რომ ჩემს თხოვნას გადასცემ მას, როცა გადაარჩენ!

---

[186] პაპირუსი ძველ ეგვიპტეში უნივერსალურ მასალად ითვლებოდა და მარტოოდენ საწერად როდი გამოიყენებოდა, მისგან გრეხდნენ ბაწარს, ქსოვდნენ ჭილოფებსა და სანდლებს.

მკითხველთა ლიგა

— ღვთის გულისათვის! მითხარი, რა უნდა მოხდეს?

— დაიფიცე, რომ იზრუნებ ჩემს დამარხვაზე, — დაჟინებით მოითხოვდა დედაბერი.

— ვფიცავარ! — წამოიძახა უარდამ. — მაგრამ გემუდარები...

— ქათუთის, პააკერს და ნემუს გადაწყვეტილი აქვთ ახლავე სამ ადგილას წაუკიდონ ცეცხლი სასახლეს, სადაც მშვიდად სძინავს რამზესს. გესმის, კაშტა? გაიქეცით ორივე, მიასწარით მათ, ფეხზე დააყენეთ მსახურები და როგორმე გადაარჩინეთ ფარაონი.

— ჩქარა, მამა, — დაიყვირა გოგონამ, და ღამის წყვდიადმა შთანთქა ორივე.

— უარდა არ მომატყუებს, სიტყვას შეასრულებს, — ჩაიბუტბუტა დედაბერმა. მან კარავში დაბრუნება დააპირა, მაგრამ შუა გზაში ძალ-ღონემ უმტყუნა. პატარა შერაუმ სცადა მისი დაჭერა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მეტისმეტად სუსტი გამოდგა საამისოდ. ხექტმა ზედ მტვრიან გზაზე მოადინა ზღართანი და თვალები შორეთს მიაპყრო. უეცრად მან დაინახა მსუბუქი ღრუბელი სასახლის თავზე, რომელიც სიბნელეში მუქ უფორმო მასად მოჩანდა, შემდეგ ღრუბელი თანდათან განათდა და იქიდან შავი კვამლის ბოლქვები ამოვარდა, სასახლე ალში გაეხვია და ჰაერში უთვალავი მოელვარე ნაპერწკლის გუნდები გაიფანტა.

ჯადოქარმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და შერაუს დაუძახა:

— ბანაკში გაიქეცი, ბიჭიკო! იყვირე „ხანძარი!“ და ყველა გააღვიძე.

შერაუ ხმამაღალი ყვირილით გაექანა ბანაკისკენ. დედაბერმა კვლავ გულზე წაივლო ხელი.

— აი, ისევ, ისევ! — ამოიგმინა მან. — იქ, საიქიოში... ასა... ასა!... — და მისი მთრთოლვარე ტუჩები საუკუნოდ დადუმ-დნენ.

თავი მეცამეტე

ქათუთი თავის უიღბლო დისშვილს მსახურთა ერთ-ერთ კარავში მალავდა.

ქადეშთან მძიმედ დაჭრილმა, საშინლად დატანჯულმა მახორმა მხოლოდ მისთვის ცნობილი ბილიკებით მიაღწია იმ გამოქვაბულამდე, რომელიც ჟღალწვერამ უჩვენა პენტაურს. ამისთვის მან სირიელი გლეხისგან ვირი იყიდა. გამოქვაბულში პააკერს თავისი ერთგული ეთიოპელი მონა დაუხვდა. მოხუცი მანამდე უვლიდა, სანამ პატრონი ფეხზე არ დააყენა, რათა მას ეგვიპტეში დაბრუნება შეძლებოდა.

აქლემების გამრეკი ისმაილიტელის[187] ტანსაცმელში გადაცმულ მახორს გზაში ბევრი ფათერაკი შეემთხვა, ვიდრე პელუსიონამდე მიაღწევდა. მონა, რომელსაც უნებურად შეეძლო მისი ვინაობის გაცემა, პააკერმა გამოქვაბულში დატოვა.

ხმელთაშუა და მეწამული ზღვის გამყოფ ყელთან, იმ სიმაგრეებთან, რომლებიც ეგვიპტეს მოხეტიალე ასუს ტომებისგან იცავენ, პააკერი მკაცრად დაჰკითხეს. სხვათა შორის, ისიც ჰკითხეს, ხომ არ შეხვედრია გზაში მოღალატე მახორი, და დაწვრილებით აღუწერეს კიდეც საკუთარი გარეგნობა. ამ ცალთვალა, ღონემიხდილსა და ჭაღარა აქლემების გამრეკში

---

[187] ძველი ებრაული ლეგენდის თანახმად, აბრამის ვაჟიშვილი ისმაილი, რომელიც მამამისს სარას ერთ-ერთი მონა ქალისგან ჰყავდა, საკუთარმა მამამ უარჰყო და სახლიდან გააძევა, როცა სარას შვილი შეეძინა. ისმაილი უდაბნოში დასახლდა და ცოლად ეგვიპტელი ქალი შეირთო. მისი ცხოვრება ბედუინთა ცხოვრების უძველეს მაგალითს წარმოადგენდა; ის უდაბნოს შვილთა თორმეტი ტომის წინაპრად ითვლებოდა, რომლებიც საკუთარ თავს ისმაილიტებს უწოდებდნენ.

სავსებით შეუძლებელი იყო მხარბეჭიანი და თავდაჯერებული ფარაონის მახორის შეცნობა.

ძნელად საცნობი რომ გამხდარიყო, მან ერთი ექიმისგან იმხანად მეტად გავრცელებული თმის საღებავი იყიდა[188] და მთელი სხეული და სახე გაიშავა.

პააკერზე ბევრად ადრე, ვეზირ ანისთან ერთად პელუსიონში ჩამოვიდა ქათუთი, რათა სასახლის მშენებლობისთვის ეხელმძღვანელა. პააკერმა გადაწყვიტა მათთან მისულიყო როგორც მათხოვარი ზანგი პალმის ტოტით ხელში. ქათუთიმ გლახა გაიკითხა, მერე კი მისი ვინაობა იკითხა, რადგანაც ყოველნაირად ცდილობდა თავისკენ მიემხრო განურჩევლად ყველა, ვინც კი შეხვდებოდა. მან მოჩვენებითი ყურადღებითა და თანაგრძნობით მოისმინა მახორის პასუხები, მაგრამ მაინც ვერ იცნო, მხოლოდ მეორე დღეს გაბედა მახორმა ქათუთისთან მისვლა და თავისი ვინაობაც გაუმხილა.

ქვრივი გულგრილად როდი მოეკიდა დისშვილის მიერ გადატანილ უბედურებას. თუმცა მან კარგად იცოდა, რომ მოღალატესთან კავშირისთვის ანი მას სიკვდილით დასჯიდა, მაგრამ მაინც აიყვანა სამსახურში. ქათუთის მშვენივრად ესმოდა, რომ სწორედ ახლა უპრიანია ფარაონისა და მისი სი ძის დაუძინებელი მტრის გამოყენება.

დასახიჩრებული, ყველასგან შერისხული და დევნილი პააკერი გულჩათხრობილი გახდა, თავი შორს ეჭირა სხვა მსახურებისგან და უწინდებური ქედმაღლობით სძულდა ისინი.

---

[188] ებერსის პაპირუსში მრავლადაა რეცეპტები თმის შესაღებ საშუალებათა დასამზადებლად; ერთ-ერთ ასეთ საღებავს მიაწერენ ვინმე შეშს — ეგვიპტის პირველი ფარაონის მენესეს სიდედრს. ამგვარად, საქმე გვაქვს თმის შეღებვის ერთ-ერთ უძველეს სახელმძღვანელოსთან. (ავტ. შენიშვნა).

ქათუთის ქალიშვილი იშვიათად აგონდებოდა, ნეფერტი უკვე რაღაც აჩრდილისებრ ზმანებად გამხდარიყო, რადგან სიძულვილმა სრულიად გამოდევნა მისი გულიდან სიყვარული. მხოლოდ ერთი იმედიღა ასულდგმულებდა — რომ ისიც მიიღებდა მონაწილეობას მტერთან ანგარიშის გასწორებაში და ორივეს სიკვდილის მოწმე გახდებოდა.

ქათუთის მისი სახით მშვენიერი იარაღი ეგულებოდა თავისი მიზნების მისაღწევად. ხოლო როცა დაინახა, როგორ იელვა პააკერის ერთადერთმა თვალმა, როგორც კი მან სასახლის დაწვის ბრძანება გაიგო, მისთვის ნათელი გახდა, რომ მახორი მისი საიმედო თანაშემწე იქნებოდა.

ჯერ კიდევ რამზესის ჩამოსვლამდე პააკერმა გულდასმით შეისწავლა ის ადგილები, სადაც ქათუთის გეგმის მიხედვით უნდა ემოქმედა. დაახლოებით ორმოცი წყრთის სიმაღლეზე მიწიდან, ფარაონისთვის განკუთვნილი პალატის ფანჯრებქვეშ გაკეთებული იყო ვიწრო ლავგარდანი. მის ქვეშ დაწყობილ კოჭებზე მოთავსებული იყო ფისით გაჟღენთილი და ნამჯით დაფარული გისოსები, რომლებზედაც იატაკი იყო დაგებული. ნახვრეტები, სადაც ანთებული პატრუქი უნდა ჩაედო, პააკერმა ისე კარგად იცოდა, რომ, მეორე თვალიც რომ ამოეთხარათ, მაინც იპოვიდა.

მისცეს თუ არა პირველი ნიშანი, იგი მაშინვე თავის ადგილზე აცოცდა. არავის დაუძახია მისთვის, რადგან სასახლესთან მდგომი გუშაგები ვეზირის სარდაფიდან ამოტანილი მაგარი ღვინით გალეშილები ეყარნენ. პააკერი მაგრად ჩაეჭიდა ჩუქურთმებს, რომლებიც სასახლის გარე კედელს ამშვენებდნენ და ორი ადამიანის სიმაღლეზე აცოცდა. აქ თოკის კიბე იყო დაბმული, რომლის საშუალებითაც სულ ადვილად

აღმოჩნდა ფარაონის პალატის ფანჯრებთან ლავგარდანზე, რომლის ქვეშაც უნდა ჩაედო ანთებული პატრუქი.

რამზესის საძილე ოთახი გაჩახჩახებული იყო. პააკერმა ფანჯარაში შეიხედა; მას თითოეული სიტყვა ესმოდა, თავად კი ყველასთვის შეუმჩნეველი რჩებოდა.

ღრმად ჩაფიქრებული ფარაონი სავარძელში იჯდა. მის წინ ვეზირი ანი იდგა, მოშორებით, ლოგინთან, — მეეტლე მენა; მას ფარაონის ღამის სამოსი ჰქონდა მკლავზე გადადებული.

უცებ ფარაონმა თავი ასწია, ვეზირს ალერსიანად შეხედა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ნება მომეცი, ღირსეულად დავასრულო ეს დღე, ანი! მე შენში ერთგულ მეგობარს ვხედავ, ცოტა ხნის წინ კი ლამის დავუჯერე უზომოდ ეჭვიან ხალხს, ვინც შენზე ძვირს ამბობდა. უნდობლობა უცხოა ჩემი სულისთვის, მაგრამ ზოგიერთმა ამ-ბავმა მეტად დამაღონა, და რახან ასეა, მაშასადამე, მე უსა-მართლო ვიყავი შენს მიმართ. მე ძლიერ ვწუხვარ, ვწუხვარ მთელი სულითა და გულით, და არც მრცხვენია პატიება გთხოვო იმისათვის, რომ ეჭვი მეპარებოდა შენს კეთილ განზრახვებში. შენ მეგობრად მეგულები, ხოლო იმაში, რომ მეც შენი მეგობარი ვარ, თვითონ დარწმუნდება! აი, ჩემი ხელი. მივცეთ ხელი ხელს, და დაე, მთელმა ეგვიპტემ იცოდეს, რომ ისე უსაზღვროდ, როგორც თავის ვეზირს ანის რამზესი არა-ვის ენდობა. შენ გავალებ ჩემი განსასვენებლის ღამის ყარაუ-ლის საპატიო საგუშაგოს. დღეს ამ ოთახს ორნი გავიყოფთ: მე აქ დავწვები, შენ კი აგერ იმ ბალიშებზე მოეწყვე!

ანიმაც გაუწოდა ხელი რამზესს; ვეზირს მკვდრისფერი და-ედო, პააკერი ამ დროს პირდაპირ სახეში უყურებდა ანის და ძლივს შეიკავა თავი, რომ ღვარძლიანად არ გადაეხარხარა.

რამზესს ყურადღებაც კი არ მიუქცევია ვეზირის შეცბუნებისთვის, თავის დაქნევით მან მენა მოიხმო.

— სანამ დავიძინებდე, შენთანაც მინდა ანგარიში გავასწორო, — უთხრა მან, — შენ მძიმე განსაცდელში ჩააგდე შენი მეუღლის რწმენა შენდამი, და მხოლოდ იმიტომ, რომ თავგანწირვით უყვარხარ, და თვითონ არ უწყის, თუ რა არის ღალატი, წმინდა ბავშვური გულუბრყვილობით, რაც ზოგჯერ ბრძენთა მსჯელობაზე უფრო ჭკვიანურიც კი არის, ის გულწრფელად გენდობოდა. მე შეგპირდი, რომ ნებისმიერ სურვილს აგისრულებდი. მითხარი, რას ისურვებდი!

მენამ მუხლი მოიყარა რამზესის წინ, მისი სამოსის კალთას ემთხვია და შეჰღაღადა:

— პატიებას, მხოლოდ პატიებას გთხოვ! ვიცი, მძიმე იყო ჩემი დანაშაული, მაგრამ მე ის მოღალატის ღვარძლიანმა დაცინვამ ჩამადენინა. გავიგე, რომ მან თავისი უტიფარი ხელი ჩემს უმანკო ცოლს გაუწოდა, რომელსაც, ახლა კი ზუსტად ვიცი, ისევე სძაგს იგი, როგორც გომბეშო!

— რა არის? — უეცრად ყურები დაცქვიტა ფარაონმა. — თითქოს კვნესა მომესმა აი, იქიდან.

ფარაონი ფანჯარასთან მივიდა, გარეთ გაიხედა, მაგრამ პააკერი ვერ შეამჩნია, ვინაიდან ის თვალყურს ადევნებდა რამზესის თითოეულ მოძრაობას, და როცა მახორს უნებურად კვნესა აღმოხდა, ლავგარდანს გაეკრა. როცა ფარაონი მენასკენ შემობრუნდა, მეეტლე ისევ მუხლებზე იდგა.

— მაპატიე! — გაიმეორა კვლავ. — ნება მომეცი, ისევ შენს გვერდით დავდგე ეტლზე და წავიყვანო შენი ცხენები! მხოლოდ შენს გვერდით აქვს აზრი ჩემს სიცოცხლეს, მხოლოდ შენი წყალობით, ო, ფარაონო, ჩემო მბრძანებელო, ჩემო მამავ!

რამზესმა მოწყალედ დაუქნია თავი თავის გამორჩეულს, რომ ფეხზე ამდგარიყო.

— შენი თხოვნა უკვე მანამდე იყო დაკმაყოფილებული, ვიდრე იტყოდი, — უთხრა ფარაონმა. — მე თვითონ ვარ დამნაშავე შენსა და შენი უმწიკვლო მეუღლის წინაშე! ნეფერტს უნდა უმადლოდე, და არა მე. მოდით, ყველამ ერთად შევწიროთ მადლი ღმერთებს ასეთი წყალობისთვის. რამდენი რამ მომიტანა დღევანდელმა დღემ! დამიბრუნა თითქოს უკვე დაკარგული მეგობრები, დაბოლოს, მაჩუქა კიდევ ერთი ვაჟიშვილი.

ღამის სიჩუმეში ძლივსგასაგონი სტვენა გაისმა — ეს ქათუთის მესამე ნიშანი იყო.

პააკერმა პატრუქი გააღვივა, ჩადო ლავგარდანის ქვეშ, შემდეგ წელში გასწორდა და კვლავ მიაყურადა.

— გთხოვ გამიშვა დღეს, — ეუბნებოდა ამ დროს ფარაონთან ახლოს მისული ვეზირი. — მე მეტად ვაფასებ შენს წყალობას, მაგრამ ბოლო დღეების დაძაბულობამ გამტეხა; ფეხზე ძლივს ვდგავარ, და ამიტომ საპატიო საგუშაგოს...

— დაიკავებს მენა! — შეაწყვეტინა რამზესმა. — მშვიდად დაიძინე, ჩემო მეგობარო. დაე, ყველამ დაინახოს, როგორ ვიშორებ თავიდან შენს მიმართ უნდობლობას! მომაწოდე ღამის პერანგი, მენა! ჰო, კიდევ ერთი რამ: რას იზამ, ახალგაზრდობა ახალგაზრდობისკენ ილტვის, ანი. ბენტ-ანატმა ღირსეული მეუღლე — ჩემი მხსნელი, პოეტი პენტაური აირჩია. მას დაბალი წარმოშობის კაცად თვლიდნენ — სეთის სახლის მებაღის შვილად. მაგრამ, იცი, რა მიამბო დღეს მთავარმა ქურუმმა ამენიმ? თურმე პენტაური განსვენებული კეთილშობილი მახორის შვილია, ხოლო უნამუსო არამზადა და მოღალატე პააკერი — უბრალო მებაღის შვილი. თურმე ვიღაც ჯადოქარს ნეკროპოლში ბავშვები შეუცვლია! ეს მართლაც საუკე-

თესო საჩუქარია დღეს, იმიტომ რომ ცხონებული მახორის ქვრივი, კეთილშობილი სეთხემი, უკვე მოიყვანეს აქ, და მე მომიხდებოდა ორიდან ერთი განაჩენის გამოტანა: ის, როგორც გაქცეული ავაზაკის დედა, ეთიოპიის ქვის სატეხში გამეგზავნა, ან საჯაროდ თავი მოეკვეთათ მისთვის... კი მაგრამ, ეს რაღა არის?

ფანჯარაში მამაკაცის ძლიერი ყვირილის ხმამ შემოაღწია, ამას ყრუ ბრაგვანი მოჰყვა, თითქოს რაღაც მძიმე სხეული დაეცაო მიწაზე.

რამზესი და მენა ფანჯარას მივარდნენ, მაგრამ იმწამსვე შეშინებულებმა უკან დაიხიეს: ქვემოდან კვამლის სქელი ბოლქვები ამოვარდა.

— გუშაგებს დაუძახეთ! — ბრძანა რამზესმა.

— ქვევით გაიქეცი, ანი! — დაუყვირა მენამ. — ახლაც ხომ საფრთხეში მარტო ვერ დავტოვებ ჩემს მბრძანებელს.

ვეზირი ფარაონის პალატიდან ისე გამოვარდა, როგორც დილეგიდან თავდაღწეული პატიმარი, მაგრამ შორს წასვლა მაინც ვერ მოახერხა. ის იყო, ერთადერთ კიბეზე ფეხის დადგმა დააპირა, რომ ის მის თვალწინ ჩაინგრა. როცა ქათუთი სასახლის შიგნით ნამჯას ანთებდა, ზამბარაზე ხელის დაჭერით კიბეც ჩამოანგრია. ანიმ თვალი შეასწრო მის აფრიალებულ ტანსაცმელს, მუშტები მოიღერა და გაქცეულ ქალს დაუძახა... მაგრამ უკვე გვიან იყო! მაშინ თავგზააბნეული ანი გრძელი დერეფნით გაიქცა, სადაც ფარაონის ოთახები გამოდიოდა.

ჩამონგრეული კიბის გრუხუნზე საძილე ოთახიდან ფარაონი და მისი მეეტლე გამოცვივდნენ.

— კიბე ჩაინგრა. როგორც ჩანს, საქმე ცუდად შემოტრიალდა, — მშვიდად წარმოთქვა რამზესმა, ოთახში შებრუნდა და

ფანჯარასთან გაჩერდა, რათა შეეფასებინა მოსალოდნელი საფრთხე.

სასახლის ჩრდილოეთ მხრიდან უკვე ავარდა ალის ენები და განთიადის ბინდბუნდი ნათელმა დღემ შეცვალა. სამხრეთის მხრიდან ჯერ კიდევ არაფერი ჩანდა.

უცბად მენამ ლავგარდანი შენიშნა, საიდანაც პააკერი ჩავარდა. ფანჯრის რაფას გადაევლო და სიმაგრე გაუსინჯა, ლავგარდანი სავსებით გაუძლებდა რამდენიმე ადამიანს, მეეტლემ გაფაციცებით მიმოიხედა ირგვლივ, თან დაჟინებით აკვირდებოდა შენობის სამხრეთ ფრთას, რომელსაც ცეცხლი ჯერ არ შეხებოდა, და უეცრად შეჰყვირა:

— აი, თურმე ვინ გვიკიდებს ცეცხლს! შეხედე! აი, იქ ვიღაც ზის და კედელში ანთებულ პატრუქს ტენის!

მენა ფიცხლად გადახტა უკვე კვამლით ავსებულ ოთახში, კედლიდან ფარაონის კაპარჭი და მშვილდი ჩამოგლიჯა, გულდასმით დაუმიზნა, და ცეცხლის წამკიდებელი შემზარავი კივილით მიწაზე დაეცა.

მოგვიანებით სასახლის სამხრეთ კედელთან მკვდარი ჯუჯა ნემუ იპოვეს, მენას ნასროლ ისარს პირდაპირ გულში გაევლო. მას შემდეგ, რაც ჯუჯამ ბენტ-ანატის ოთახებს წაუკიდა ცეცხლი, მას სურდა სასახლის ის ფრთაც დაეწვა, სადაც უარდას მეგობარს — ფარაონის ვაჟიშვილს რამერისა და მის ძმებს ეძინათ.

მენა ხელახლა გადმოხტა ფანჯრიდან და ერთხელ კიდევ მოსინჯა ლავგარდანის სიმაგრე. ამასობაში ფარაონის საძილე ოთახი მთლიანად ბოლით აივსო, ხოლო იატაკის ღრიჩოებში ალის ენები გამოჩნდა.

სასახლეში და მის გარშემო ხალხი უკვე აჩოჩქოლდა.

— ხანძარი! ხანძარი! ცეცხლის წამკიდებლები! გვიშველეთ! იხსენით ფარაონი! — ყვიროდა ჟღალწვერა კაშტა. მას გამოფხიზლებული გუშაგების გუნდი მოსდევდა. უარდა კი პირდაპირ სასახლეში შევარდა ბენტ-ანატის გასაღვიძებლად; მან იცოდა, სად იყო მეფის ასულის ოთახები.

ფარაონი მენასთან ერთად ჩამოვიდა ლავგარდანზე და სასახლის ეზოში შემოცვივნულ მეომრებს დაუყვირა:

— ნაწილი სასახლეში შედით, მეფის ასული გადაარჩინეთ; დანარჩენებმა სცადეთ ცეცხლისგან დაიცვათ სამხრეთი ფრთა. ეგებ თავადაც გავაღწიო იქით!

მაგრამ, როგორც გამოირკვა, ნემუს უკვე მოესწრო თავისი საქმის გაკეთება, და ცეცხლი იქაც გაჩნდა. მეომრები ძალღონეს არ იშურებდნენ მის ჩასაქრობად. მათი ხმამაღალი შეძახილები უერთდებოდა აბრიალებული ცეცხლის ტკაცანსა და გუგუნს, გაშმაგებით რომ ნთქავდა გამომშრალ ხეს, ირეოდა ბუკის ხმასა და დოლების ბრაგაბრუგში, რამაც მთელი ლაშქარი ფეხზე დააყენა.

აგერ ფანჯრებში რამზესის ვაჟიშვილებიც გამოჩნდნენ. მათ ლაბადები ერთმანეთს გადააბეს და მათი საშუალებით ძირს ეშვებოდნენ. რამზესი ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდა მათ, მაგრამ თვითონ, ლავგარდანზე გავლისას, მოულოდნელად გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდა. ლავგარდანი, მართალია, საკმაოდ ფართო იყო და მთელ სასახლეს ჰქონდა შემოვლებული, მაგრამ ყოველი ათი ნაბიჯის შემდეგ წყდებოდა. გარდა ამისა, ხანძრის ალი თანდათან მატულობდა, და ფარაონი სულ მალე ნაპერწკლების კორიანტელში გაეხვია; ნაპერწკლები ისე ცვიოდა, როგორც ხორბლის გამნიავებლის ნიჩბიდან ბზე.

— ნამჯა გამიფინეთ დაბლა! — ბრძანა რამზესმა. — უნდა ჩამოვხტე; სხვა გზა არ არის!

ამ დროს ცეცხლის მთელი კონა გამოვარდა ფარაონის საძილე ოთახიდან — იქ დაბრუნებაზე ახლა ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, მაგრამ რამზესსა და მენას წარბიც არ შეუხრიათ.

როცა მენამ დაინახა, რომ ფარაონის მეთერთმეტე ვაჟიშვილიც მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე, ხელები პირზე მიიდო და რამერის დაუყვირა, რომელსაც ბოლოს უნდა გამოეყენებინა ერთმანეთზე გადაკვანძული ლაბადები:

— ლაბადები ზემოთ ასწიე და ცეცხლს მოარიდე, ვიდრე შენამდე მოვაღწევ!

რამერიმ შეასრულა მისი თხოვნა და, სანამ რამზესი მის შეჩერებას მოასწრებდა, მენა ლავგარდანის ერთი ბოლოდან მეორეზე გადახტა. ფარაონსა და მის ვაჟიშვილებს, რომლებიც ქვემოდან ადევნებდნენ თვალყურს, ძარღვებში სისხლი გაეყინათ, როცა მენამ მეორე თავგანწირული ნახტომიც გააკეთა. ერთი უმნიშვნელო შეცდომა, და გულადი ვაჟკაცის სიცოცხლეც ისევე დამთავრდებოდა, როგორც დალია სული მისმა დაუძინებელმა მტერმა პააკერმა.

იმ დროს, როცა სუნთქვაშეკრული მაყურებლები მას შეჰყურებდნენ, ხოლო ირგვლივ მხოლოდ ცეცხლის გუგუნი, ფიცრებიდან გამოცვენილი როკების ტკაცატკუცი, ჩამონგრეული კოჭების ყრუ ბრახუნი და ქურუმთა შორეული გალობა ისმოდა, ხანძარზე რომ მოიჩქაროდნენ ბანაკის მხრიდან, პატარა შერაუს განწირული კივილით გამოღვიძებული ნეფერტი მუხლმოყრილი თავდავიწყებით ევედრებოდა ღმერთებს მეუღლის გადარჩენას. ნეფერტი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მის თითოეულ მოძრაობას და ტუჩებს იკვნეტდა, რომ არ დაეყვირა. ის გრძნობდა, რომ მისი მეუღლე გა-

უგონარ გმირობას სჩადიოდა. ეს ფარაონის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო, მაგრამ იმასაც აშკარად ხედავდა, რომ ერთი უმართებულო მოძრაობა მის დაღუპვას ნიშნავდა.

მაგრამ აი, მენა უკვე რამერის გვერდითაა, გადაბმული ლაბადების ერთი ბოლო წელზე შემოიხვია. რამერიმ ერთი ხელი ლაბადებს ჩავლო, მეორეთი ფანჯრის რაფას ჩაეჭიდა, ხოლო მენა ნახტომისთვის მოემზადა. როგორც კი ნეფერტმა დაინახა, რომ მენა ოდნავ ჩაცუცქდა, ორივე ხელი პირზე აიფარა, რომ არ დაეყვირა და თვალები დახუჭა; როცა გაახილა, დარწმუნდა, რომ პირველი ნახტომი გამოუვიდა, შემდეგ მეორეც, მესამეზე რამზესმა ხელი გაუწოდა და გადავარდნას გადაარჩინა. მერე მეეტლემ წელიდან ლაბადა მოიხსნა და ფარაონის დახმარებით კოჭზე მიაბა.

რამერიმ ხელი გაუშვა თავის ბოლოს და მენას გაჰყვა. გაბედულ ყმაწვილს, რომელმაც ჯერ კიდევ სეთის სახლში მიაღწია დიდ წარმატებას ტანვარჯიშში, არ გასჭირვებია გადახტომა, სულ მალე ფარაონიც უკვე მიწაზე იდგა. მაშინ რამერიმაც მას მიჰბაძა, დაბოლოს, მენაც დაეშვა მიწაზე. მისმა ერთგულმა ცოლმა ოფლი მოსწმინდა გამურულ შუბლზე.

რამზესი იმწამსვე სასახლის ჩრდილოეთ ფრთისკენ გაეშურა, სადაც ქალიშვილის პალატი ეგულებოდა. ბენტ-ანატი უკვე სამშვიდობოს იყო, მაგრამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხელებს იმტვრევდა, რადგან ნორჩი უარდა, რომელმაც გააღვიძა და მამამისთან ერთად განსაცდელისგან იხსნა, ცეცხლმა შთანთქა. კაშტა ხან აქეთ მიაწყდებოდა აბრიალებულ კედელს, ხან იქით, და სიმწრისგან თმას იგლეჯდა; ხან ხმამაღლა ეძახდა თავის გოგონას, ხან კი სულგანაბული ყურს მიუგდებდა ხოლმე.

ალმოდებულ სასახლეში ალალბედზე შესვლა აშკარა უაზრობა იყო, ფარაონმა უბედური მამის დანახვაზე მებრძოლთა მთელი რაზმი ჩააბარა მას და უბრძანა კედელი იმ ადგილას გაენგრიათ, სადაც ბენტ-ანატის ოთახები იყო მოთავსებული, იმ იმედით, რომ უარდას იპოვიდნენ.

კაშტამ ჩუგლუგი მოითხოვა და ხელში შემართული ეჭირა. უეცრად მოეჩვენა, თითქოს ქვემო სართულის ერთ-ერთი დარაბის იქით ვიღაც აკაკუნებდა. ყველა დარაბა, ქათუთის განკარგულებით, მაგრად იყო ჩაკეტილი. კაშტა პირდაპირ იმ ფანჯრისკენ გაექანა.

კაკუნი განმეორდა. საეჭვო აღარაფერი იყო!

ჟღალწვერა მეომარმა ჩუგლუგი კედელსა და დარაბას შორის ჩადო და მთელი ძალითა მოსწია. დარაბა ძირს ჩამოვარდა, ფანჯრიდან შავი კვამლის ბოლქვები ავარდა, და ბოლში ადამიანი გამოჩნდა, რომელიც ძლივს იდგა ფეხზე და მკლავებზე უარდა ეწვინა.

კაშტა ერთი ნახტომით შევარდა ცეცხლმოდებულ ოთახში, სადაც ჭერიდან ნაკვერცხლების სეტყვა ცვიოდა, და ძლივს მოასწრო კვამლისგან გაგუდული მხსნელის ხელებიდან, უკვე გონს რომ კარგავდა, შვილი გამოეტაცა. თავისი უძვირფასესი ტვირთიანად უმალვე გარეთ აღმოჩნდა. მამა ტუჩებით ოდნავ შეეხო თვალდახუჭული უარდას ქუთუთოებს. ამ პირქუშ მეომარს ცრემლი მოერია: იმ წუთში მის თვალწინ ამ გოგონას დედის სახე გაცოცხლდა; როგორც ეულმა პალმამ, ისე გაულამაზა მას იმ ქალმა ცხოვრების გზა, მანამდე უსიცოცხლო უდაბნოს რომ ჰგავდა.

სულ რამდენიმე წამს იდგა კაშტა ასე უეცარ მოგონებათა მორევში, ბენტ-ანატმა ხელიდან გამოართვა უარდა და იგი კვლავ ალში გახვეული სასახლისკენ გაექანა.

კაშტამ მაშინვე იცნო თავისი ქალიშვილის მხსნელი, ქურუმი ნებსეხტი. მას შემდეგ, რაც ის და პენტაური სინის მთასთან შეხვდნენ ბენტ-ანატს, ნებსეხტი, როგორც ექიმი, თან ახლდა ფარაონის ქალიშვილს. როცა კაშტამ დარაბა ჩამოგლიჯა, ფანჯარაში სუფთა ჰაერის ნაკადი შევარდა, და ახლა უკვე მთელი ოთახი აბრიალდა. ნებსეხტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო — მისი კვნესა გარკვევით მოისმოდა ცეცხლმოდებული ხის ტკაცატკუცში. კაშტა ფანჯარას მივარდა იქვე მდგომმა ადამიანებმა დაინახეს, რომ ჭერის კოჭებმა ჩამოზნექა დაიწყეს და გამაფრთხილებელი შეძახილებიც გაისმა. რამზესმაც შენიშნა ეს და მაშინვე უბრძანა კაშტას გამობრუნებულიყო, მაგრამ ჟღალწვერა მეომარი უკვე რაფაზე იჯდა და ძირს მდგომთ გადმოსძახა:

— მე ამ კაცის ვალში ვარ! ორჯერ გადამირჩინა სიკვდილს ქალიშვილი და ახლა ვალი უნდა დავუბრუნო!

და იგი ცეცხლსა და კვამლში გაუჩინარდა.

სულ მალე კაშტა ისევ გამოჩნდა ფანჯარასთან ნებსეხტით ხელში. ქურუმის თეთრ სამოსს უკვე ცეცხლი მოსდებოდა. ჩანდა, როგორი წვალებით მოიწევდა მეომარი ფანჯრისკენ. ასამდე მეომარი და მათთან ერთად პენტაური გაექანენ სასახლისკენ, რათა კაშტას მოხმარებოდნენ; მეომარმა რაფაზე გადადო ცოცხალ-მკვდარი ექიმი, და მათაც გამოართვეს. ხოლო, ის იყო, თვითონაც დააპირა ფანჯრიდან გადმოხტომა, რომ კოჭები ზათქით ჩამოიქცა და პარასქიტის ალალმართალი შვილი ნანგრევებში მოჰყვა.

პენტაურმა მეგობარი კარავში გადააყვანინა და ექიმებს მიეხმარა ჭრილობებისა და დამწვარი ადგილების შეხვევაში.

როცა დაიყვირეს, ხანძარიო, პოეტი მთავარი ქურუმის კარავში იჯდა, სადაც ერთად მივიდნენ ნადიმის შემდეგ. ამენიმ

პენტაურს უთხრა, რომ იგი მებაღის შვილი კი არა, არამედ ქვეყნის ერთ-ერთი უწარჩინებულესი გვარის შთამომავალია. ეს კი ერთბაშად ცვლიდა მისი ცხოვრების მთელ გარეგან მხარეს. ამენის სიტყვებს ის სიღატაკის წუმპიდან სასახლის ბრწყინვალე დარბაზებში გადაჰყავდა. მაგრამ პენტაური ამას არც გაუოცებია და არც გაუხარებია. იგი სიხარულსაც შესჩვეოდა და სიმწარესაც, და შეეძლო გარეგნულად არ შეემჩნია და მხოლოდ თავისი სულიერი განცდის პრიზმაში გაეტარებინა.

ხმაურზე იგი ალმოდებული სასახლისკენ გაექანა, და როცა დაინახა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა რამზესს, სათავეში ჩაუდგა ბანაკიდან მოცვენილ მეომრებს, და ფარაონის საშველად მათ შენობაში შეაღწიეს. მასთან ერთად წამოსულ მეეტლეებს შორის ქათუთის ქარაფშუტა ვაჟიშვილიც იყო. ყმაწვილმა თავი ისახელა ქადეშთან ბრძოლაში და გადაწყვიტა ესარგებლა შესაძლებლობით, კიდევ ერთხელ ეჩვენებინა თავისი გამბედაობა და სიმამაცე. ჩამონგრეული კედლები გზას უხერგავდნენ გულად მეომრებს, რომლებმაც მხოლოდ მაშინ დაიხიეს უკან, როცა ბევრი მათგანი კვამლში დაიხრჩო ან ცეცხლმოდებულმა კოჭებმა გასრისეს. იმათ შორის, ვისაც გამბედაობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა, ერთ-ერთი პირველთაგანი ნეფერტის ძმა, ქათუთის ვაჟიშვილი იყო.

უარდა უახლოეს კარავში გადაიყვანეს. მისი პატარა ლამაზი თავი ბენტ-ანატის მუხლებზე ესვენა, ნეფერტი კი რაღაც მაგარი ესენციით საფეთქლებს უზელდა, რათა გულწასული გოგონა მოესულიერებინა. უარდას ტუჩები ოდნავ შეუტოკდა. მას თვალწინ ცოცხლად წარმოესახა ყოველივე, რაც კი ამ უკანასკნელ ერთ საათში გადაიტანა და განიცადა. გაახსენდა, მამასთან ერთად როგორ მირბოდა კარვების ქალაქში, რო-

გორ მივარდნენ ბენტ-ანატის პალატს და მამამ როგორ შეამ-ტვრია ქათუთის მიერ ჩაკეტილი კარი. ხელახლა ხედავდა თავზარდაცემულ ფარაონის ქალიშვილს, რომელიც თავისი ამალიანად ფეხდაფეხ გამოჰყვა მას სასახლიდან. როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, ისე მოაგონდა, როგორ შეიპყრო შიშმა, როცა უკვე სამშვიდობოს გასულს, უეცრად გაახსენდა, რომ სკივრში დარჩა ერთადერთი ძვირფასი ნივთი, დედის სახსოვარი და მაშინვე შებრუნდა უკან, და ეს მხოლოდ ექიმმა ნებსეხტმა შენიშნა.

კიდევ ერთხელ განიცადა ის საშინელი წუთები, როცა სკივრში ეძებდა, ის ელდა, როცა ცეცხლის ენებმა და სქელი კვამლის ბოლქვებმა გზა გადაუღობეს, ნაპოვნი ნივთით უკან რომ ბრუნდებოდა. ძალღონეგამოლეულს მოეჩვენა თითქოს, თეთრად შემოსილმა უცნაურმა ქურუმმა ხელში აიყვანა. კი-დევ ერთხელ ამოუტივტივდა თვალწინ ქურუმის სახე, უსაზ-ღვრო სინაზით რომ შესცქეროდა. ტუჩებზე მადლიერების ღი-მილმა გადაურბინა, მაგრამ ამასთანავე უკმაყოფილებაც გა-მოეხატა სახეზე, როცა ის ფრთხილი კოცნა მოაგონდა, მის ტუჩებს რომ მოსწყდა, ვიდრე მამის ძლიერ მკლავებში აღ-მოჩნდებოდა.

— რა მშვენიერია, — უთხრა ფიქრმორეულმა ბენტ-ანატმა ნეფერტს. — ეტყობა, საწყალი ნებსეხტი არ ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ ამის დედა ნამდვილად უცხოელი დადებულის ქალიშვილი იყოო. გინახავს ოდესმე ასეთი მოხდენილი ხელ-ფეხი? კანი კი ფინიკიური მინანქარივით გამჭვირვალე აქვს.

თავი მეთოთხმეტე

სანამ მეგობრები უგრძნობელ უარდას დასტრიალებდნენ თავს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა სიცოცხლე დაებრუნებინათ მისთვის, ქათუთი მოუსვენრად ბოლთას სცემდა თავის კარავში.

იმის შემდეგ, როცა ქვრივი შეუმჩნევლად გამოვიდა კარვიდან სასახლის დასაწვავად, მისი ქალიშვილი პატარა შერაუს სასოწარკვეთილმა ყვირილმა გააღვიძა. ხოლო როცა თავისი დანაშაულებრივი საქმე აღასრულა და ჭვარტლისგან გაშავებული ხელებით, ერთიანად აკანკალებული, შინ დაბრუნდა, ნეფერტის საწოლი ცარიელი დაუხვდა.

და აი ახლა იგი ამაოდ ელოდა ნემუსა და პააკერს.

სახლთუხუცესი, რომელიც უკვე რამდენიმეჯერ გაგზავნა ვეზირთან, ყოველთვის ხელცარიელი ბრუნდებოდა, რადგან ანი ჯერ კიდევ არ მისულიყო თავის კარავში. უკანასკნელად კი ამბავი მოიტანა, რომ დედაბერი ხექტი მკვდარი ეგდოო შუა გზაში.

ქათუთის გული აუტოკდა, ცუდმა წინათგრძნობამ ჩაიბუდა მის სულში, ცეცხლმოდებული სასახლის გარშემო მოფუსფუსე ხალხის ყვირილი რომ გაიგონა. ფარაონის საშველად წამოსულ მეომართა ბუკის ხმამ და დოლების განუწყვეტელმა ბრაგაბრუგმა ხომ მთლად თავზარი დასცა.

უეცრად ქვრივს ჩამონგრეული კედლებისა და კოჭების გრუხუნი შემოესმა; თხელ ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა და გაიფიქრა: „აი, ახლა კი ნამდვილად სასახლის ნანგრევებში ფარაონი და ჩემი ძვირფასი სიძეც მოჰყვნენ. რა გაეწყობა,

რაკი სირცხვილის მსხვერპლნი არ გავხდით, ეს მისი დამსახურება როდია. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ქადეშთან მოხდა, ის თავის მბრძანებელს ისევე მიეტმასნებოდა, როგორც ხბო მობალახე ძროხას“.

იმედმა და მხნეობამ ხელახლა ფრთები შეასხა მას და უკვე ეთიოპელი მეომრების სიხარულის შეძახილებიც კი ელანდებოდა, ვეზირს ფარაონად რომ აცხადებენ. წარმოიდგინა ზემო და ქვემო ეგვიპტის გვირგვინოსანი ანი რამზესის ტახტზე და თავისი თავი მის გვერდით, სადა, მაგრამ დიდი გემოვნებით შეკერილ ძვირფას კაბაში. ხედავდა, თავის ქალ-ვაჟთან ერთად როგორ დაეუფლა მენას მამულს, რომელსაც, რა თქმა უნდა, ანი გააფართოებს და ვალებისგანაც გაანთავისუფლებს; და იმავე წუთში ქვრივს თავში ბრწყინვალე გეგმა დაებადა, რომელმაც ახალი იმედები ჩაუსახა გულში. შეიძლება სწორედ ამ წუთში ნეფერტიც დაქვრივდა; მაშ, რატომ არ შეიძლება მოელაპარაკოს ვეზირს ცოლად შეირთოს მისი ქალიშვილი — უმშვენიერესი ქალი მთელ ეგვიპტეში? მაშინ ქათუთი დედა-დედოფალი იქნება, ეს კი მას ხელშეუხებელსა და ყოვლისშემძლეს გახდის. რაც შეეხება მახორ პააკერს, ქვრივი მას უკვე დიდი ხანია უვარგისი და გადაგდებული იარაღივით უყურებს, აღარაფერში რომ გამოადგება. მისი ქონებაც დროთა განმავლობაში იქნებ ქათუთის ვაჟიშვილს დარჩეს, რომელმაც ასე ისახელა თავი ქადეშთან, და რომელიც ანიმ თავის მეეტლედ, ანდა სულაც, ყველა მეეტლის მეთაურადაც დანიშნოს.

ასეთი გეგმებით აღტაცებული ქათუთი გამალებული დარბოდა წინ და უკან და სრულიად გადაავიწყდა წეღანდელი შიში.

უეცრად კარავში სახეარეული სახლთუხუცესი შემოვარდა, რომელიც კიდევ ერთხელ იყო ამბის გასაგებად და ქვრივს აცნობა, რომ ფარაონი და მისი მეეტლე, ყოველი მხრიდან ცეცხლის ალით გარშემორტყმულნი, ვიწრო ლავგარდანზე არიან მომწყვდეულნი და უთუოდ დაიღუპებიან, თუ სასწაული არ მოხდა. ამბობენ სასახლეს ვიღაც ბოროტმოქმედებმა წაუკიდეს ცეცხლი და ისიც, სახლთუხუცესი, სასწრაფოდ იმიტომ გამოიქცა, რათა მისთვის ეცნობებინა ეს საშინელი ამბავი, წეღან კი მის გვერდით ჩაუტარებიათ მახორ პააკერის დასახიჩრებული გვამი და ისრით გულგანგმირული საწყალი ნემუ.

ქათუთი დადუმდა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და იკითხა:

— რამზესის ვაჟიშვილები როგორღა არიან?

— მადლობა ღმერთებს, მათ ერთმანეთზე გადაბმული საბელებით მოახერხეს მიწაზე დაშვება. ჰო, მართლა, ჩემი წამოსვლის დროისათვის უკვე ბევრნი იყვნენ გადარჩენილნი!

ქათუთის სახე დაეღმიჭა და ხელახლა გააგზავნა სახლთუხუცესი ამბის გასაგებად.

მოლოდინისგან გული გადაელია. ხან უეცარი მღელვარებისგან მკერდი გამალებით აუდ-ჩაუდიოდა, ხან კი სუნთქვაშეკრული თვალებს ხუჭავდა და ზაფრანაცემს თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა.

მზე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა სახლთუხუცესი ისევ დაბრუნდა, გაფითრებული და აკანკალებული, ენას ძლივს იმორჩილებდა. იგი ქვრივის წინ იატაკზე დაემხო და საცოდავად აქვითინდა:

— ოჰ, რა საშინელი ღამე იყო! გამაგრდი, ქალბატონო! დაე, იზიდამ განუგეშოს, რომელმაც თვითონ ნახა, როგორ დაეცა მისი შვილი ბრძოლის ველზე მამისა და მეფის გულის-

თვის! დაე, თებეს უდიდესმა ღმერთმა ამონმა ძალ-ღონე მოგანიჭოს! ჩვენი სიამაყე, ჩვენი იმედი — შენი ვაჟი ჩამონგრეული კოჭების ქვეშ დაიღუპა!

ამ სიტყვების გაგონებაზე ქათუთის მკვდრისფერი დაედო და სახე გაუქვავდა, მაგრამ თვალებიდან ერთი ცრემლიც კი არ გადმოვარდნია.

ერთხანს უხმოდ იდგა, შემდეგ ყრუდ იკითხა:

— რამზესი როგორღაა?

— ღმერთები მაინც მოწყალენი არიან! — წამოიძახა სახლთუხუცესმა. — გადარჩა. შენმა სიძემ მენამ გადაარჩინა.

— ვეზირი?

— დაიწვა! გვამი უპოვიათ, ისე ძლიერ ყოფილა დამწვარი, ვერც კი უცვნიათ. მხოლოდ დიადემით შეიცნეს თურმე, ზეიმის დროს თავზე რომ ეკეთა.

ქათუთი უსიცოცხლო თვალებით უაზროდ ჩაშტერებოდა მიწას. სახლთუხუცესმა შიშისგან უკან დაიხია, როცა, იმის მაგივრად, რომ ცრემლად დაღვრილიყო, ქვრივმა ბეჭდებით მორთული, წვრილი თითები დამუშტა, ხელები მაღლა ასწია და ავბედითად გადაიხარხარა. მაგრამ თავისივე ხმისგან შეშინებულმა უეცრად თავი ჩაქინდრა და დადუმდა.

მას არ დაუნახავს და არც გაუგონია, როგორ გადაიწია კარვის კალთა, და კარავში პოლიციის უფროსი შემოვიდა, „ფარაონის თვალსა და ყურს“ რომ ეძახდნენ, რამდენიმე მცველისა და მწერლის თანხლებით. მან ხმამაღლა წარმოთქვა ქათუთის სახელი. ქალი კი, თითქოს ღრმა ძილიდან გამოფხიზლდაო, მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა გულგახეთქილი სახლთუხუცესი ხელით შეეხო.

— რა გინდა ჩემს კარავში? -— ამაყად წელში გამართულმა ჰკითხა პოლიციის უფროსს.

— თებეს მთავარი მოსამართლის სახელით, — საზეიმოდ წარმოთქვა მან, — მე გაპატიმრებ და გიბრძანებ გამომყვე უმაღლეს სასამართლოში, რამეთუ ბრალი გედება სახელმწიფო ღალატში, ფარაონს სიცოცხლეზე ხელყოფასა და სასახლის დაწვაში.

— მე მზად ვარ, -— მშვიდად მიუგო ქვრივმა და დამცინავად გაეღიმა.

შემდეგ ჩვეული ღირსებით სკამზე მიუთითა და უთხრა:

— დაჯექი, სანამ ჩავიცვამდე!

პოლიციის უფროსმა თავი დაუკრა, მაგრამ არ დაჯდა, ისევ ფეხზე იდგა შემოსასვლელთან. ქვრივმა თავისი შავი თმა წესრიგში მოიყვანა, ჯიღა გაიკეთა, ნელსაცხებლის ყუთი გახსნა და იქიდან შეუმჩნევლად ამოიღო სწრაფადმომქმედისაწამლავიანი შუშა. ეს საწამლავი რამდენიმე თვის წინ ნემუმ მოუტანა ჯადოქარ ხექტისგან.

— ჩემი სარკე. — უბრძანა მან კარვის კუთხეში შიშისგან მოკრუნჩხულ მოახლეს.

ქათუთიმ სარკე ისე მიიფარა სახეზე, რომ პოლიციის უფროსი ვეღარ ხედავდა მას. შუშა ტუჩებთან მიიტანა და საწამლავი სწრაფად გადაკრა. სარკე ბრახუნით გაუვარდა ხელიდან, ქვრივი შეტორტმანდა, სიკვდილის წინა კრუნჩხვამ აიტანა მისი სხეული. მასთან პოლიციის უფროსმა მოირბინა. ქალმა სიკვდილისგან დაბინდული თვალები მიაპყრო პოლიციელს და წარმოთქვა:

— მე წავაგე, მაგრამ ამენის უთხარი, დიახ, დიახ, ამენის, რომ მასაც არაფერი მოუგია!

ამ სიტყვებით ქათუთი მოწყვეტით დავარდა იატაკზე, რამდენჯერმე ჩურჩულით გაიმეორა ნეფერტის სახელი, ერთი შეჰკივლა და სული დალია.

* * *

თუ ბედნიერების წყარო, რომელსაც უნდა დაეწაფოს ადამიანი, გამჭვირვალე ჰგონია, მაშინ ბედისწერა უთუოდ შეუშვებს მასში სიმღვრივის წვეთს. მაგრამ, დაე, ადამიანი ნუ გაუწყრება ამისთვის! რამეთუ სწორედ ეს წვეთი აფრთხილებს მას, რომ მან სასოებითა და დაუხარბებლად იგემოს ამქვეყნიური ყოფიერების სიკეთე.

მართალია, ქათუთის საშინელმა სიკვდილმა ჩაუმწარა უსაზღვრო სიხარული მენასა და ნეფერტს, მაგრამ მხოლოდ ახლაღა იგრძნეს მათ სიყვარულის მთელი სიღრმე.

მენას ახლა მეუღლისთვის ძმობაც და დედობაც უნდა გაეწია, აგრეთვე უნდა გამოესწორებინა ბევრი რამ, რაც განსვენებულმა გააკეთა.

ისინი მიხვდნენ, რომ არა მარტო ავხორცული ხვევნისათვის შეხვდნენ ერთმანეთს, არამედ მათ ამიერიდან მხარდამხარ უნდა იარონ ცხოვრების გზაზე.

ღმერთებისადმი უდიდესი მადლიერებით აღსავსე იმისათვის, რომ მათ არ გაწირეს თავად და მისი ოჯახი, რამზესმა მიატოვა სასახლის მხრჩოლავი ნანგრევები. ფარაონმა ბრძანა დაეკლათ ურიცხვი ხარი და მთელ ქვეყანაში ეზეიმათ მისი გადარჩენა. თუმცა კი ღალატი, რომლის მსხვერპლიც თვითონ გახდა, გულს უკლავდა. ჯავრმორეული ყოველთვის მარტო ყოფნას ამჯობინებდა ხოლმე, და ამიტომაც მისთვის სახელდახელოდ გაწყობილ სალაშქრო კარავში წავიდა. ანის მდიდრული კარვის დაკავება არ შეეძლო — ეს კარავი კეთროვანის სადგომად ეჩვენებოდა, მუხანათობითა და სიცრუით

რომ იყო მოწამლული. მთელი საათი დაყო მარტომ, გუნებაში ადარებდა ადამიანების მიერ მიყენებულ ბოროტებას სიკეთესთან, რომელიც მათვე გაუკეთეს და, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კეთილი მაინც ყოველთვის სძლევს ბოროტს. წუთობით აღადგინა მეხსიერებაში იმ დილას მომხდარი ამბები და უსაზღვრო მადლიერებით მოიგონა არა მარტო ღმერთები, არამედ თავისი მეგობრებიც. „ჯერ კიდევ დედა გასწავლიდა, არასოდეს დაგვიწყებოდა მადლობის გადახდა, — ეუბნებოდა თავის თავს, — და შენც ხომ ამასვე ასწავლი შვილებს. ღვთისმოსავია ადამიანი, რომელიც ღმერთების მადლობელია, მაგრამ ნამდვილად კეთილია მხოლოდ ის, ვისაც ადამიანები ახსოვს“.

რამზესს კაეშანმა უკვე გაუარა, როცა კარავში ბენტ-ანატი და პენტაური მოიხმო. მან ქალიშვილს სთხოვა ეამბა, თუ როგორ გაუღვივდა გულში პოეტის სიყვარული. მამა ხშირად აწყვეტინებდა თხრობას და თან ხან შეაქებდა, ხან კი გაკიცხავდა შვილს. ხოლო როცა თავისი საყვარელი ქალიშვილისა და პოეტის ხელები ერთმანეთს შეუერთა, გული მამობრივი სიყვარულის გრძნობით აღევსო.

ბედნიერებისგან გაბრწყინებული ბენტ-ანატი მკერდზე მიეკრა ასას შვილიშვილს, მაგრამ ნაკლებად ბედნიერი არც მაშინ იქნებოდა, თუ მებაღის შვილს — პენტაურს ჩაეხუტებოდა.

— შენ ახლა ჩვენიანი ხარ, — უთხრა რამზესმა პოეტს და სთხოვა დარჩენილიყო, თვითონ კი მაცნეებს, ელჩებსა და თარჯიმნებს უბრძანა მოეხმოთ მასთან აზიელი ხელმწიფეები, რომლებიც ნილოსის გაღმა თავიანთ კარვებში ელოდნენ რამზესთან მოლაპარაკებას, რათა ხანგრძლივი დროით დაედოთ ზავი.

ამასობაში რამზესის კარავში მისი შვილებიც შემოვიდნენ, და ფარაონმა უამბო მათ, თუ რა სახელოვანი გვარის შთამომავალია პენტაური. ახლა კი ბენტ-ანატის წყალობით მათ კიდევ ერთი ძმა შეიძინეს. სულითა და გულით მიულოცეს მშვენიერ წყვილს, განსაკუთრებით გახარებული კი მაინც ახალგაზრდა რამერი იყო.

ფარაონმა უბრძანა რამერის წინ გამოსულიყო და მადლობა გადაუხადა დილანდელი გმირობისათვის. ჯერ კიდევ ქადეშთან ბრძოლის დაწყებამდე მან რამერის უბოძა „ყმაწვილი კაცის სამოსელი“[189], ახლა კი მეეტლეთა ერთ-ერთი რაზმის მეთაურად დანიშნა და საკუთარი ხელით ჩამოჰკიდა ყელზე ლომის ორდენი.[190] რამერიმ მუხლი მოიყარა და ისე მოახსენა მადლობა მამას. რამზესმა ორივე ხელი მოხვია ხუჭუჭა თავზე და უთხრა:

— შენ მიერ გადარჩენილი მამაშენი ბედნიერია შეგაქოს გმირობისთვის. მაგრამ ფარაონს, რომელიც კანონიერების სადარაჯოზე დგას და ხელთ მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი უპყრია, უნდა განრისხებულიყო და იქნებ დაგსჯიდა კიდეც! გავიგე, სკოლის კანონები დაგირღვევია, სადაც მორჩილებას ვსწავლობთ, რათა მერე მბრძანებლობა შევძლოთ. გარდა ამისა; შენ თურმე ეგვიპტე დატოვე და ჩვენი ბრძანების მიღებამდე ჯარს გაჰყევი. გამბედავი და ძლიერი ყოფილხარ, მაგ-

---

189 „ყმაწვილი კაცის სამოსელი“ — ფლოტის უფროსი იახმოსი თავის ბიოგრაფიულ წარწერაში, რომელიც მის აკლდამაშია შემონახული, მოგვითხრობს, რომ იგი ჯერ შემოსეს ახალგაზრდა კაცის ტანსაცმლით; შემდეგ მან „აიღო სახლი“ ანუ მოაწყო მეურნეობა, ანუ სხვა სიტყვებით დაოჯახდა(ავტ. შენიშვნა).

190 „ლომის ორდენი“ — წარჩინების ეს ნიშანი მიიღო მაგალითად, ფარაონ თუტმოს III ერთ-ერთმა მხედართმთავარმა, რასაც შესაბამისი წარწერა გვაუწყებს. (ავტ. შენიშვნა).

რამ შენ, თავზეხელაღებულ ბიჭს, მამაცი გვარის ნაშიერს, გონივრული წინდახედულების შეთვისება უფრო გაგიძნელდა, ვიდრე გმირული სიმამაცისა. ტუჩებზე ჯერ რძე არ შეგშრობია, თავი კი უკვე სამხედრო ხელოვნების მცოდნედ წარმოიდგინე? და აი შედეგიც — ორჯერ ჩაუვარდი ხელში მტერს და ორივეჯერ შენი გამოსყიდვა მომიხდა. დანაელთა ტომის ბელადმა შენი თავი თავისი ქალიშვილის სანაცვლოდ დამიბრუნა, რომელიც მენას ჰყავდა კარავში. ის, რა თქმა უნდა, უსაზღვროდ გახარებულია ქალიშვილის დაბრუნებით, მაგრამ ჩვენ კი ხელიდან გამოგვეცალა ყველაზე ქმედითი საშუალება, რითაც მტკიცე და ხანგრძლივ ზავს გამოვტყუებდით ამ მბრძანებელს ამაყი ზღვაოსნებისა, რომლებიც დიდი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსა და კუნძულებზე სახლობენ; რაც დრო გადის, ეს კაცი სულ უფრო ძლიერი და ძლევამოსილი ხდება. ჩემი თვალით ვნახე, რომ ბიჭის წინდაუხედავი თავდაჯერებულობის მიზეზად დიდი საქმე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მისი კეთილად დაბოლოება კი მეტად აუცილებელია. მიმძიმს სწორედ დღეს, როცა ამდენს გაქებთ, გული გატკინო გაკიცხვით, მაგრამ დასჯას არ გიპირებ; მინდა მხოლოდ რჩევა მოგცე და გაგაფრთხილო მომავლისთვის. ქვეყნის მართვა იმ მანქანების ბორბლების მოქმედებას ჰგავს, ნილოსიდან წყალს რომ ხაპავენ. ერთი ბორბალიც რომ ჩაიჭედოს, მთელი მანქანა გაჩერდება, რაც უნდა ძლიერი ხარები ატრიალებდნენ ჯალამბარს. ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ, რომ თითოეული თქვენგანი რთული სახელმწიფო მანქანის ამძრავი ბორბალია და მხოლოდ იმ შემთხვევაშია საჭირო, როცა უყოყმანოდ ემორჩილება მის მოძრაობაში მომყვან ძალას. აბა, ახლა კი იდექი! ვიმედოვნებ, მძევლები არ

დაგვჭირდება დანაელთა მბრძანებელთან საიმედო გარანტიის მისაღწევად.

ამ დროს კარავში მაცნეები შემოვიდნენ და გამოაცხადეს, ხეთების მეფის ელჩები და მისი მოკავშირე მთავრები ფარაონს ელოდებიანო, რამზესმა ბრძანა ზემო და ქვემო ეგვიპტის გვირგვინი დაედგათ მისთვის და სამეფო ტანსაცმელი ჩაეცვათ. დარბაზთუხუცესი, მეფის ძალაუფლების ნიშნების მტვირთველნი და სირაქლემას ფრთებით მორთული მწერალთა უფროსები წინ მიდიოდნენ, ხოლო ფარაონის შვილები, მხედართმთავრები და თარჯიმნები უკან მიჰყვებოდნენ.

რამზესი ტახტზე დაბრძანდა. ყოველთვის მკაცრი და დინჯი მეფე ახლა მოწყალედ ეგებებოდა დამარცხებულ მთავრებს. ისინი მორჩილად ემთხვივნენ მიწას რამზესის ფერხთით, დანაელთა ბელადმა კი მხოლოდ თავი დაუკრა.

რამზესმა უკმაყოფილოდ შეხედა მას და ბრძანა თარჯიმნის საშუალებით ეკითხათ, თვლის თუ არა იგი თავს დამარცხებულად. დანაელთა ბელადმა უპასუხა, რომ ფარაონთან როგორც ტყვე ისე არ მოსულა, ხოლო ის, რასაც რამზესი მისგან მოითხოვს, მისი სამშობლოს კანონების მიხედვით, არცხვენს ყველა თავისუფალ მამაკაცს, რამეთუ დანაელები მხოლოდ თავიანთ ღმერთებს სცემენ თაყვანს. ის იმედოვნებს გახდეს ეგვიპტის მბრძანებლის მოკავშირე და თავის მხრივ ეკითხება: ნუთუ ფარაონს სურს მეგობრად შერცხვენილი კაცი ჰყავდეს?

— მე მზად ვარ ზავი შევკრა მხოლოდ ისეთ მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც მორჩილად ხრიან თავს ჩემი ორმაგი გვირგვინის წინაშე. თუ ამ წესს არ დაემორჩილები, მაშინ შენი ხალხი მონაწილეობას ვერ მიიღებს იმ ხელშეკრულებებში, რომელთა დადებაც განზრახული მაქვს შენს მოკავშირე-

ებთან, — მკაცრად მიუგო ფარაონმა და ამაყ დანაელს ახედ-დახედა.

როცა დანაელთა ბელადს ფარაონის სიტყვები გადაუთარ-გმნეს, მან ღირსებით აღსავსე, მაგრამ ყოველგვარ ქედმაღ-ლობას მოკლებული პოზა შეინარჩუნა, თანაც დასძინა, რომ აქ იმ განზრახვით მოვიდა, რადაც უნდა დაუჯდეს, დაზავებას მიაღწიოს. ქედს კი თავისი ნებით არ მოიხრის არც გვირგვი-ნისა და არც ადამიანის წინაშე. მან განაცხადა, რომ ხვალ წა-ვა აქედან, მაგრამ თავისი და თავისი ქალიშვილის სახელით — ისიც გაუგონია, რომ ეგვიპტელები ქალს პატივს სცემენ — ერთადერთი სათხოვარი აქვს. ფარაონმა უთუოდ უნდა იცო-დეს, რომ მისი ქალიშვილი მეეტლე მენას როგორც ტყვე კი არ ჰყავდა თავის კარავში, არამედ როგორც ღვიძლი და; პრაქსილას სურს დაემშვიდობოს კეთილშობილ მენას და მადლობა გადაუხადოს მას და მის მეუღლეს ასეთი დიდსუ-ლოვნებისთვის. ამიტომაც სთხოვს რამზესს, ნება დართოს წასვლამდე კიდევ ერთხელ გადავიდეს ხიდზე და ქალიშვილ-თან ერთად მოინახულოს მეეტლე თავის კარავში ნილოსის გაღმა.

დანაელმა ფარაონის თანხმობა მიიღო და როგორც კი კარვიდან გამოვიდა, მოლაპარაკება დაიწყო და რამდენიმე საათში დამთავრდა კიდეც, ვინაიდან ეგვიპტელმა და აზიელ-მა მოხელეებმა ჯერ კიდევ ეგვიპტის საზღვრებისკენ ხან-გრძლივი მოგზაურობისას თითქმის ყველაფერზე მოითათბი-რეს. რამზესის ქალაქ ტანისში, რომელსაც იქ დასახლებული სემიტები ცოანს უწოდებდნენ, ეს ხელშეკრულება საგულდა-გულოდ უნდა მოეფიქრებინათ, შემდეგ პაპირუსზე გადაეტა-ნათ და ხელი მოეწერათ.

მოლაპარაკების შემდეგ აზიელ მთავრებს ნება დართეს დასწრებოდნენ სადილს ფარაონთან. ისინი ცალკე მაგიდასთან დასვეს, რადგან ეგვიპტელები თავს შებილწულად ჩათვლიდნენ, თუ უცხოელებთან ერთად მიუსხდებოდნენ სუფრას,

რამზესი უკმაყოფილო იყო. თუ დანაელი მასთან შეუთანხმებლად წავიდოდა, მაშინ ზავი, რომელიც ფარაონს ესოდენ ეწადა, კვლავაც მხოლოდ მოკლევადიანი აღმოჩნდებოდა. ამასთანავე რამზესი გრძნობდა, რომ დანარჩენ დამარცხებულთა პატივისცემით მაინც არ უნდა დაემცირებინა დანაელთა ბელადი, რომლის ვაჟკაცური საქციელი, ისევე როგორც მის ხელქვეით მეომართა მამაცობა, მოსწონდა, თუმცა კა უფლება ჰქონდა, მკაცრად მოპყრობოდა კიდეც.

მზე უკვე ჩადიოდა, როცა მენა, რომელიც რამზესმა ცოლთან გაუშვა, მღელვარებისგან სახეგაწითლებული სწრაფად შემოვიდა კარავში, უცხოელ მთავართა მაგიდას მიუახლოვდა და ითხოვა ფარაონისთვის მოეხსენებინათ, რომ მეტად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა აცნობოს მას. რამზესმა თავი დაუქნია, მეეტლე მასთან მივიდა და ხმადაბლა, მაგრამ გაცხოველებით დაიწყეს რაღაცაზე ლაპარაკი.

ბოლოს, რამზესი წელში გაიმართა ტახტზე, ბენტ-ანატს მიუბრუნდა და ხმამაღლა უთხრა:

— ესოდენ შემზარავად დაწყებული დღევანდელი დღე სასიხარულო ამბით მთავრდება. ის საყვარელი გოგონა, რომელმაც დღეს გადაგარჩინა და კინაღამ თავად დაიღუპა ცეცხლში, თურმე წარჩინებული გვარიშვილია.

— იგი სამეფო გვარს ეკუთვნის! — თავისი შეძახილით რამერიმ კადნიერად სიტყვა შეაწყვეტინა მამას.

— ჩვეულებრივ, ჩემი ვაჟიშვილები ჩუმად არიან, როცა არაფერს ვეკითხები, — მკაცრად მიუგო რამზესმა და გამკიცხავად შეხედა შვილს.

რამერის სახე აუჭარხლდა და თვალები დახარა. ფარაონი წამოდგა, თავის დაკვრით მოიხმო ბენტ-ანატი და პენტაური, სტუმრებს მოუბოდიშა, რომ იძულებული იყო მცირე ხნით დაეტოვებინა ისინი და კარვიდან გასვლა დააპირა. მაშინ კი ბენტ-ანატმა მავედრებელი მზერა მიაპყრო მამას და რაღაც გადაუჩურჩულა. ამ სიტყვებმა გაჭრა: რამზესი შეჩერდა, ერთხანს ჩაფიქრებული და თვალდახრილი იდგა, მერე თავის თმახუჭუჭა ვაჟს გადახედა, სირცხვილისგან გაწითლებული ადგილზევე რომ გაშეშებულიყო; დაუძახა მას და ანიშნა, თან გაჰყოლოდა.

თავი მეთხუთმეტე

ჯერ კიდევ ხანძრის დროს, როცა ბენტ-ანატი ცდილობდა გონს მოეყვანა გადარჩენილი უარდა, რამერიმ ექიმები მოიწვია კარავში, სადაც კვამლისგან გაგუდული ქალიშვილი იმყოფებოდა. იგი კვლავ უგონოდ იწვა, მაგრამ დაშავებული არ იყო. რამერიმ ნაზი მზრუნველობით ჩახედა უარდას სახეში, აიღო მისი პატარა ხელი და ტუჩებთან უნდა მიეტანა, მაგრამ ბენტ-ანატმა გოგონა მოარიდა. მაშინ რამერი აღელვებით შეეხვეწა და კარვიდან არ გაეგდო, და ჩურჩულით უამბო, როგორ შეუყვარდა უარდა იმ დღეს, როცა მკვდართა ქალაქში ბრძოლა გაიმართა, და სირიიდან წამოსვლის შემდეგ დღე და ღამე მასზე ფიქრობს და მის ცოლად შერთვას ოცნებობს.

ბენტ-ანატი გაოცებული და, ცოტა არ იყოს, შეშინებულიც კი დარჩა, ძმამ ასე რომ გადაუშალა გული. მან შეახსენა ძმას ის საშინელი წყევლა, რომელიც ოდითგანვე თან სდევს უარდას მამის — პარასქიტის შვილის მოდგმა, და რომელმაც თვითონ მას რამდენი უბედურება მოუტანა, მაგრამ ყმაწვილმა დამთავრებაც აღარ დააცალა და წამოიძახა:

— ეგვიპტეში ადამიანის წარმომავლობას ხომ დედას მხრიდან განსაზღვრავენ და მამაცი კაშტას განსვენებული ცოლი...

— ვიცი, — შეაწყვეტინა ბენტ-ანატმა. — ექიმმა ნებსეხტმა უკვე გვიამბო, რომ უარდას დედა მუნჯი ტყვე ქალი ყოფილა. თავადაც მინდა დავიჯერო, რომ იგი წარჩინებული გვარიშვილია, — იმდენი კეთილშობილებაა მის მიხრა-მოხრაში.

— კანი კი ყვავილის ფურცელივით ნაზი და ხავერდოვანი აქვს, — აღფრთოვანებით დასძინა რამერიმ. — ხმაც ოქროსა-

ვით და... შეხედე, შეხედე! გაინძრა! უარდა! თვალი გაახილე, უარდა! როცა მზე ამოდის, ხოტბას ვასხამთ ღმერთებს...თვალი გაახილე! რა ბედნიერი და მადლობელი ვიქნები, ორივე მზე ერთად რომ ამოვიდოდეს!

ღიმმორეულმა ბენტ-ანატმა ძმა განზე გაიყვანა, უარდამ კი უკვე ღრმად და თანაბრად დაიწყო სუნთქვა. კარავში შემოსულმა ექიმმა თქვა, რომ სამკურნალო ბალახების აბაზანა მზად იყო, რაც უთუოდ ძალ-ღონეს შეჰმატებდა ავადმყოფს.

ფარაონის ასულმა უბრძანა მსახურებს ექიმს მიხმარებოდნენ უარდას გადაყვანაში და, ის იყო, თვითონაც უნდა წასულიყო მათთან ერთად, რომ უეცრად ფარაონის შიკრიკი გამოცხადდა და რამზესის კარავში იხმო, ბენტ-ანატი მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ეს მიწვევა, და იქ მყოფნი დაითხოვა, რათა სადღესასწაულოდ მორთულიყო, უარდას მოვლა კი თავის მეგობარ ნეფერტს დაავალა.

— ის მეტად ალერსიანი და კეთილია, ამასთან ერთად ძალიან კარგად იცნობს უარდას,— უთხრა ძმას ბენტ-ანატმა. — მის გულს, რომელიც წლების განმავლობაში სიყვარულის ბედნიერებას იყო მოკლებული და სასოწარკვეთილებასა და იმედს შორის ბორგავდა, არგებს კიდევ ამ მშვენიერ ქმნილებაზე ზრუნვა. მამამ რამდენიმე დღით დაითხოვა მენა, მეც გავუშვი ნეფერტი, რადგან ახლა ისე ძალიან აღარ ვჭირდებით ერთმანეთს. მე ვფიქრობ, რამერი, მას შემდეგ, რაც იმ საშინელ ხანძარს გადავურჩით, ჩვენც ისე მოგვივიდა, როგორც ჩიტს ბენუს — ის ჰელიოპოლისში მოფრინავს, რათა იქ დაიწვას; ფერფლიდან ხელახლა აღმსდგარი კი ახალგაზრდა და ლამაზია, ბედნიერებით აღსავსე, სხვასაც გულუხვად ასაჩუქრებს.

მარტო დარჩენილმა ბენტ-ანატმა მუხლი მოიყარა დედის ქანდაკების წინ და დიდხანს ლოცულობდა, შემდეგ დაასხა სურნელოვანი ზეთი ქალღმერთ ხატორის პატარა საკურთხეველს, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა, და გულდაჯერებულმა ბრძანა მოერთოთ იგი მამასთან და — მეფის ასული არ მალავდა ამას — პენტაურთან შესახვედრად. შემდეგ ნეფერტს გაუარა, სთხოვა უარდასთან დარჩენილიყო და მამასთან წავიდა, რომელმაც, როგორც უკვე ვიცით, ოცნებები განუხორციელა.

დის კარვიდან გამოსულმა რამერიმ დაინახა, რომ მცველებს ვიღაც ბიჭუნა დაეჭირათ. რამერიმ მტირალ ბავშვში მაშინვე შეიცნო პატარა მოქანდაკე შერაუ, რომელმაც თავის დროზე ვეზირის მზაკვრობა გაუმჟღავნა. რამერის მოეჩვენა, თითქოს ხანძრის დროსაც დაინახა ბიჭი. ბენტ-ანატის გუშაგებმა უკვე მერამდენედ გააგდეს შერაუ, მაგრამ იგი მაინც აქეთ მოიწევდა. სწორედ ბიჭის ასეთმა სიჯიუტემ დააეჭვა საგუშაგოს უფროსი, ვინაიდან ხანძრის შემდეგ ბანაკში დაირხა ხმა შეთქმულებასა და მზაკვრობაზე ფარაონის ოჯახის წინააღმდეგ.

რამერიმ გაანთავისუფლა პატარა პატიმარი, რომელმაც უამბო, რომ დედაბერმა ხექტმა სიკვდილის წინ ჟღალწვერა კაშტა და მისი ქალიშვილი ფარაონის გადასარჩენად გააგზავნა, თავად შერაუ კი ამ დროს მეომრებს აღვიძებდა. ისიც უთხრა, რომ ამქვეყნად არავინ გააჩნია და უარდასთან უნდა ყოფნა. რამერიმ თვითონ მოუყვანა ბიჭი ნეფერტს და სთხოვა მის დაბრუნებამდე შერაუ მსახურებთან დაეტოვებინა.

ექიმების ვარაუდი გამართლდა. უარდა აბაზანაშივე მოსულიერდა, ხოლო როცა სუფთა ტანსაცმელში გამოაწყვეს, სხვადასხვა წამლებით მოამჯობინეს, რომლებსაც აყნოსვი-

ნებდნენ და აყლაპებდნენ, შემდეგ კი ნეფერტის კარავში გადაიყვანეს. მენა, რომელმაც პირველად დაინახა, განცვიფრებული იყო მისი მომხიბლავი სილამაზით.

— როგორ ჰგავს დანაელთა ბელადის ქალიშვილს, ჩემს კარავში რომ ცხოვრობდა! — წამოიძახა მან, — ოღონდ ეს უფრო ახალგაზრდაა და ლამაზი.

პატარა შერაუს მოსვლამ ძლიერ გაახარა უარდა, თუმცა კი მაინც მეტად დამწუხრებული იყო. ნეფერტი ყოველნაირად ცდილობდა დარდი შეემსუბუქებინა მისთვის, მაგრამ ფიქრში წასულ უარდას დროდადრო კურცხალი ჩამოუგორდებოდა ხოლმე ლოყაზე.

— შენ მამა დაკარგე, მე კი დედაც და ძმაც ერთ დღეს, — ცდილობდა ენუგეშებინა ნეფერტი.

— კაშტა უხეში, მაგრამ მეტად გულკეთილი იყო, — თქვა უარდამ. — მე მას ყოველთვის სიყვარულით მოვიგონებ. ის ქოქოსის კაკალს ჰგავდა, რომელიც ძვალივით მაგარია, მაგრამ ვინც გატეხავს, ნახავს, რომ გული ტკბილი აქვს. ის უკვე მკვდარია. დედა, ბებია და პაპა კი უფრო ადრე დაიხოცნენ. ახლა მე იმ ეულ ფოთოლს ვგავარ, ზღვის ტალღებში რომ შევნიშნე, როცა გემით აქეთ მოვცურავდით. რა ნაღვლიანი სანახავი იყო! უთვისტომო, მარტოდმარტო დაცურავდა უცხო სტიქიაში, სადაც არასოდეს არაფერი ხარობდა და ვერც გაიხარებს.

ნეფერტმა უხმოდ აკოცა შუბლზე უარდას.

— შენ მეგობრები გყავს, — უთხრა მან. — ისინი მარტო არასოდეს დაგტოვებენ.

— ვიცი, — ჩაილაპარაკა ფიქრმორეულმა უარდამ. — მაგრამ მხოლოდ ახლა ვიგრძენი ასე მარტოდმარტოდ თავი. სანამ ჯერ კიდევ თებეში ვიყავი, ხშირად გავცქეროდი ხოლმე

გარეული გედების გუნდს: რამდენიმე ფრინველი ყოველთვის წინ მიფრინავს, მათ კვალდაკვალ დანარჩენები მიჰყვებიან, მოშორებით კი ჩამორჩენილები არიან. მაგრამ მათ შორის უკანასკნელსაც კი მარტოხელას ვერ უწოდებ, ის ხომ თავის წინ მაინც ხედავს თანამოძმეთ. ხოლო როცა მონადირე რამდენიმე გედს მოკლავს, დაბლა რომ დაფრინავენ, და ერთადერთიღა რჩება, რომელსაც აღარ ძალუძს გუნდს დაეწიოს, ვეღარც ხედავს მას და იცის, რომ ვეღარასოდეს დაეწევა თავისიანებს, აი სწორედ ეს გედია შეცოდების ღირსი. იმ საშინლად დაღლილი ფრინველივით მტკივა გული, იმიტომ რომ დღეს იმ გედივით დავკარგე ჩემიანები. ახლა მარტო ვარ და მათ ვეღარასოდეს ვნახავ...

— შენ უფრო კეთილშობილი ოჯახები მიგიღებს, ვიდრე ის, რომელშიც დაიბადე, — უთხრა ნეფერტმა.

უარდას თვალები გაუბრწყინდა და ამაყად, თითქმის კადნიერადაც უპასუხა:

— ჩემი ოჯახი დედაჩემის ოჯახია, ის კი მდაბიოთა გვარისა როდი იყო. ამ დილას რისთვის დავბრუნდი უკან ალმოდებულ ოთახში, როცა შემეძლო მაშინვე გამოვსულიყავი სუფთა ჰაერზე? მზად ვიყავი თავი გამეწირა დედის სახსოვარის გულისთვის, ჩემს სადღესასწაულო ტანსაცმელთან ერთად რომ მქონდა შენახული, ვიდრე იმ ბოროტ ნემუს გავყვებოდი ბანაკში. სიკვდილს შევეჯიდე, რათა ეს პატარა ნივთი გადამერჩინა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ოქროსია და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, — მე სიმდიდრე არ მჭირდება, კვერის ნატეხი, ერთი მუჭა ფინიკი და ერთი ფიალა წყალიც მეყოფა, — არამედ იმიტომ, რომ მასზე ვიღაცის სახელი წერია გაუგებარ ენაზე. მე მეგონა, რომ ამ ნივთის მეშვეობით გავიგებდი

დედაჩემის სადაურობას. ახლა კი ისიც დავკარგე და მასთან ერთად ჩემი ოჯახი, იმედები და ბედნიერება...

უარდა აქვითინდა. ნეფერტი მისკენ დაიხარა და გულში ჩამწვდომი, სიყვარულით და თანაგრძნობით აღსავსე ხმით ჰკითხა:

— ჩემო საცოდავო ბავშვო, ნუთუ შენი საუნჯე ცეცხლმა შთანთქა?

— არა, არა! — ჩაილაპარაკა ცრემლმორეულმა უარდამ. — სკივრიდან მისი ამოღება მოვასწარი, მაგრად მეჭირა, როცა ნებსეხტმა ხელში ამიყვანა; თან მქონდა, როცა მამამ ცეცხლიდან გამომიყვანა და ალმოდებულ სასახლესთან დამაწვინა, სადაც ბენტ-ანატი ჩემს მოსულიერებას ცდილობდა. მერე რამერიც მოვიდა, რომელსაც ბუნდოვნად ვხედავდი, მაშინაც ვგრძნობდი ხელში ჩემს ძვირფას ნივთს.

— მაშასადამე, გზაში დაგეკარგა?

უარდამ თავი დაუქნია. ამ დროს მის გვერდით იატაკზე მჯდომი პატარა შერაუ წამოხტა, ნაზად შეხედა გოგონას და კარვიდან გამოიპარა.

დრო გადიოდა. უარდა იწვა და უხმოდ შესცქეროდა ჭერს. ნეფერტი მენას მიჰკრობოდა და თავის დაღუპულ ნათესავებზე ფიქრობდა. კარავში ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს სევდამ დაჩრდილა ხელახლა შეხვედრილ მეუღლეთა ბედნიერება. ფარაონის კარვიდან დროდადრო ბუკის ხმა მოისმოდა. პირველად ბუკს მაშინ დაჰკრეს, როცა აზიელი მბრძანებლები ფარაონს ეახლნენ, მეორედ — როცა დანაელი წავიდა. დაბოლოს, როცა ფარაონი დამარცხებულთა თანხლებით სადილად წაბრძანდა.

მეეტლე ფიქრობდა თავის მბრძანებელზე, ცოლის ნდობის წყალობით ხელახლა შეძენილ საპატიო მდგომარეობაზე და მადლობის ნიშნად ეალერსებოდა ნეფერტის ხელს.

უეცრად გარეთ ხმაური გაისმა და კარავში ერთ-ერთი მხედართმთავარი შემოვიდა. მან მოახსენა, რომ დანაელთა ბელადი თავის ქალიშვილთან ერთად, ფარაონის მცველთა თანხლებით, მენასა და მისი მეუღლის სანახავად მოვიდა.

კარვის კალთა გადაიწია.

უარდა მოკრძალებით კუთხეში მიდგა, ხოლო მენა და ნეფერტი, ხელიხელჩაკიდებულნი, მოულოდნელ სტუმრებს გამოეგებნენ.

დანაელთა ბელადი ხანში შესული იყო, წვერსა და სქელ თმაში ჭაღარა ჰქონდა გარეული, მაგრამ მის ყოველ მოძრაობას ახალგაზრდული სიმკვირცხლე შემორჩენოდა, თუმცა არც ღირსება და კეთილშობილება აკლდა. მისი ლამაზი და ვაჟკაცური სახე ნაოჭებს დაეღარა; დიდი ცისფერი თვალები ნათლად და მხიარულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ტუჩების გარშემო ნაოჭები მის გულში დაფარულ ღრმა სევდას ამჟღავნებდნენ.

გვერდით ქალიშვილი მოჰყვებოდა. ქალს მეწამული ფერის არშიაშემოვლებულ, გრძელ თეთრ სამოსზე ოქროს ქამარი ჰქონდა შემორტყმული; ღია ფერის თმა, წინიდან დიადემით შემოვლებული, მსხვილ კულულებად ეყარა მხრებზე.

საშუალო ტანისა იყო, და თავი ისევე ღირსეულად ეჭირა, როგორც მამას. ქალს ვიწრო ნათელი შუბლი და კოხტა ცხვირი ჰქონდა; ალისფერ ტუჩებზე ალერსიანი ღიმილი დასთამაშებდა. აუწერელი სილამაზის სახე და თეთრი ქათქათა კისერი ჰქონდა.

მათთან ერთად თარჯიმანიც შემოვიდა, რომელიც ნეფერტთან და მენასთან მათი საუბრის ყოველ სიტყვას თარგმნიდა. უკან ორი მამაკაცი და ორი ქალი მოსდევდათ: კაცებს მენასთვის განკუთვნილი საჩუქარი მოჰქონდათ, ხოლო ქალებს — მისი მეუღლისათვის.

დანაელმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა მეეტლეს კეთილშობილური საქციელისთვის და თავისი სიტყვა შემდეგნაირად დაამთავრა:

— შენ დამიმტკიცე, რომ ერთგულება და საკუთარი ქვენა გრძნობების შეკავების უნარი ეგვიპტელებსაც ახასიათებთ. თუმცა კი უნდა გამოგიტყდე: როცა შენი მეუღლე ვნახე, შენი საქციელი აღარ გამკვირვებია; ის, ვინც ესოდენ მშვენიერ არსებას ფლობს, ადვილად შეძლებს ჩაიხშოს ლამაზი ქალიშვილის ხელში ჩაგდების სურვილი.

ნეფერტს ალმური მოედო და მაშინვე შეეპასუხა:

— შენი დიდსულოვნებით შენს ქალიშვილს ჩაგრავ, მე კი მეტისმეტად მამკობ. იქნებ, ჩემს ქმარსაც სიყვარულმა უბიძგა ასეთივე უსამართლობისკენ. დაე, ეს ყველაფერი გვაპატიოს შენმა მშვენიერმა ასულმა.

პრაქსილა ნეფერტთან მივიდა, მადლობა გადაუხადა ცოლ-ქმარს, თავად მას კი ძვირფასი დიადემა, ოქროს სამაჯურები და იშვიათი სილამაზის მარგალიტი გადასცა. მენას კი დანაელთა მეფემ ჯავშანი და ვერცხლის ზარნიშით ოსტატურად მოპირკეთებული ფარი უბოძა. შემდეგ ორივე კარვის შუაში გაშლილ მაგიდასთან მივიდა, და მენა გულუხვად გაუმასპინძლდა სტუმარს ღვინითა და ტკბილეულით.

სანამ დანაელი და მენა ერთმანეთს სადღეგრძელოებს ეუბნებოდნენ, პრაქსილამ თარჯიმნის დახმარებით უამბო ნეფერტს, თუ რა საშინელი წუთები გადაიტანა, როცა ეგვიპტე-

ლებმა შეიპყრეს. მთელ სამხედრო ნადავლთან ერთად ისიც დააყენეს შუა ბანაკში და რომელიღაც ხანში შესულმა მხედართმთავარმა დააპირა კიდეც თავისთან წაეყვანა, მაგრამ იმავე წამს მენამ მხარზე ხელი დაადო და თან წამოიყვანა. მის კარავში პრაქსილას ისე უვლიდნენ, თითქოს მისი საკუთარი ქალიშვილი ყოფილიყოს. თარჯიმანსაც კი გადაედო ის მღელვარება, მის ხმაში რომ გაისმოდა, როცა თავის თავგადასავალს ჰყვებოდა. პრაქსილამ თხრობა შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

— შენ მაშინ მიხვდები, რაზომ მადლიერი ვარ მისი და რაოდენ ბედნიერი, როცა გიამბობ, თუ როგორ დაჭრეს ჩემ თვალწინ ჩემი საქმრო, ჩვენს ბანაკს რომ იცავდა; ახლა ის უკვე კარგადაა, და სამშობლოში დაბრუნებისთანავე ვიქორწინებთ.

— კურთხეულ იყოს თქვენი კავშირი! — წამოიძახა დანაელმა. — პრაქსილა ხომ ჩვენი გვარის უკანასკნელი შთამომავალია! ჩემი შვილები — ოთხი ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი, ვიდრე დაოჯახდებოდნენ, სისხლისმღვრელ ომს შეეწირნენ, უფროსი ქალიშვილის ქმარი დიდი ხნის წინ ეგვიპტელებთან ომში დაეცა, მისი ცოლი კი ახალშობილ ბიჭთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა თქვენებს. ამგვარად პრაქსილა, ჩემი უმცროსი ქალიშვილი, სულ მარტო დარჩა, მხოლოდ ისღა დამიტოვეს შურიანმა ღმერთებმა.

ამ დროს გარედან გუშაგთა ყვირილი და ბავშვის წკრიალა ხმა გაისმა. უეცრად კარავში პატარა შერაუ შემოვარდა, მას მაღლა აწეულ ხელში რაღაც ეჭირა.

— ვიპოვე, ვიპოვე! — ყვიროდა იგი.

უარდა, რომელიც ფარდის უკან, საძილე ოთახში იმალებოდა, დანაელის თითოეულ სიტყვას იჭერდა და, ჭუჭრუტანას

მიკრული, თვალს არ აშორებდა თეთრკანიან და ქერათმიან პრაქსილას. ბავშვის ყვირილის გაგონებაზე თავს ვეღარ მოერია, სამალავიდან გამოიჭრა და შერაუს თავისი ძვირფასეულობა გამოართვა. მას უნდოდა დანაელისთვის ეჩვენებინა დედის სახსოვარი, რადგანაც, როცა პრაქსილას უყურებდა, ეჩვენებოდა, თითქოს სარკეში თავის თავს ხედავსო, და გულში ბუნდოვანი წინათგრძნობა ჩაესახა: იქნებ დედამისიც დანაელი იყო?

გული გაშმაგებით უცემდა, როცა მათხოვარივით თავდახრილი დანაელს მიუახლოვდა და დედისეული ნივთი გაუწოდა.

ყველამ გაოცებით შეხედა მოხუც გმირს, როცა ეს მაღალი და ჭარმაგი კაცი უეცრად შეტორტმანდა, ორივე ხელი ისე გაიშვირა, თითქოს უარდასგან თავს იცავსო, გასასვლელისკენ დაიხია და ძლიერად შეჰყვირა:

— ქსანტა! ქსანტა! ნუთუ ქვესკნელის სამეფო თავისუფლებას ანიჭებს იქ დასახლებულ აჩრდილებს? ჩემს წასაყვანად ხომ არ მოსულხარ?

შეშინებულმა პრაქსილამ მამას შეხედა, შემდეგ უარდას გადახედა და გაოცებისგან გაშეშდა. უეცრად მისი გულშემზარავი კივილი გაისმა. მან კისრიდან ძეწკვი ჩამოიგლიჯა, უარდას მივარდა და შეჰყვირა:

— აგერ აი! აი ჩემი საწყალი დის ქსანტას სამკაულის მეორე ნახევარი!

შეუძლებელი იყო ამ დროს აუღელვებლად გეცქირათ მოხუცი დანაელისთვის; როგორ წვალობდა, როგორ ცდილობდა თავს მორეოდა, მისი თვალები კი გამოუთქმელი სინაზით შესცქეროდნენ უარდას. ძალუმი ხელები უკანკალებდა, როცა პრაქსილას სამკაულს უარდას სამკაულთან აერთებდა. ორი-

ვე სრულიად ერთნაირი იყო! თითოეულ მათგანს არწივის ფრთის ფორმა ჰქონდა და წარწერიან ნახევაროვალზე იყო დამაგრებული. როცა ორივე ნახევარი შეაერთეს, ფრთებგაშლილი არწივის გამოსახულება მიიღეს, რომლის მკერდზეც ამოტვიფრული პწკარები ერთმანეთს დაემთხვა და შესაძლებელი გახდა იდუმალი გამონათქვამის ამოკითხვა:

ერთი უმნიშვნელო ნივთი ვერაფერი სამკაულია,
მეორესთან შეერთებული კი ზევსის წყალობას უდრის.

დანაელი ერთი შეხედვითვე დარწმუნდა, რომ ხელში სწორედ ის სამკაული ეჭირა, თავისი ხელით ყელზე რომ ჩამოჭკიდა ქსანტას მისი ქორწილის დღეს. მეორე ნახევარი კი იმ დროს დედამისს ეკეთა და მისი სიკვდილის შემდეგ პრაქსილას გადაეცა. ეს სამკაული ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, დანაელის მეუღლისა და მისი უდროოდ გარდაცვლილი ტყუპისცალი დისთვის იყო დამზადებული.

დანაელი ჯერ არც დალაპარაკებოდა უარდას, არც უკითხავს რაიმე, ორივე ხელი თავზე დაადო, სახით თავისკენ შემოაბრუნა და ისე გამომცდელად დააცქერდა მის ნაზ ნაკვთებს, თითქოს იმ წიგნს კითხულობს, რომელშიც თავისი ცხოვრების უბედნიერესი წუთების აღწერას ეძებსო. გოგონა თამამად უყურებდა თვალებში და არც ცდილობდა მისი ხელებიდან განთავისუფლებას, ხოლო მაშინ კი, როცა დანაელმა ტუჩები შუბლზე მიადო, უარდამ დანამდვილებით იგრძნო, რომ ეს კაცი მას სისხლით ენათესავებოდა.

დანაელმა თარჯიმანს ნიშანი მისცა და უარდას სთხოვეს მოეყოლა ყველაფერი, რაც კი დედის შესახებ იცოდა. მანაც უამბო, რომ დედამისი, როგორც სამხედრო ნადავლი, თებეში

ჩამოიყვანეს თოთო ბავშვთან ერთად, რომელიც მალე დაიღუპა. ის იყიდა კაშტამ, ცოლად შეირთო და, მიუხედავად იმისა, რომ მუნჯი იყო, მაინც ძლიერ შეიყვარა. ახლა კი დანაელმა საბოლოოდ ცნო უარდა თავის შვილიშვილად. პრაქსილამ გულში ჩაიკრა დისშვილი, მამამ კი ნეფერტსა და მენას უამბო შემდეგი: ოცი წლის წინ დანაელთა ბანაკზე ეგვიპტელების თავდასხმის დროს დაიღუპა მისი სიძე, ხოლო ქალიშვილი ქსანტა, რომელსაც ასე საოცრად ჰგავს უარდა, ჩვილ ბავშვთან ერთად მოიტაცეს. დანაელთა მეფის მეუღლე, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე პრაქსილა შეეძინა, დარდს გადაჰყვა. ქსანტასა და მისი შვილის ყოველგვარმა ძებნამ უშედეგოდ ჩაიარა; თუმცა დანაელს კარგად ახსოვდა, რომ, როცა ეგვიპტელებს ძალიან დიდი თანხა შესთავაზა შვილის გამოსასყიდად, მათ ჰკითხეს, მუნჯი ხომ არ იყოო, და მან უარყოფითად უპასუხა. ქსანტას ალბათ შიშმა და გაჭირვებამ დააკარგვინა მეტყველების უნარი. უსაზღვრო იყო დანაელის სიხარული, ვერც უარდა ძღებოდა მისი და მისი ქალიშვილის ცქერით. შემდეგ უარდამ თარჯიმანს ჰკითხა:

— როგორ არის „მე ძალიან ბედნიერი ვარ?“

როცა პასუხი მიიღო, ღიმილით გაიმეორა ნათქვამი და ხელახლა იკითხა:

— როგორაა: „უარდა მთელი გულით შეგიყვარებთ?“

ესეც გაიმეორა, და უცხო ენაზე გაჭირვებით წარმოთქმული სიტყვები ისე გულწრფელად გაისმა და ისეთი ღრმა გრძნობით იყო გამთბარი, რომ დანაელმა მხურვალედ ჩაიკრა გულში.

ნეფერტს მღელვარებისგან თვალები ცრემლით აევსო, და როცა უარდა ჩაეხუტა, უთხრა:

— ხედავ? ჩამორჩენილმა გედმა იპოვა თავისი გუნდი, ხოლო ობოლმა ფოთოლმა თავისი ხე. მაშ, ბედნიერი იყავი, ჩემო გოგონა.

საათზე მეტი დრო გავიდა.

დანაელი წასასვლელად მოემზადა, თან უარდას წაყვანაც სურდა. მაგრამ მენამ სთხოვა, ნება დაერთო ყოველივე მომხდარი ფარაონისა და მისი ასულისთვის ეცნობებინათ; ბენტ-ანატმა უარდა მას ჩააბარა, ხოლო მისი თანხმობის გარეშე გოგონას ვერსად გაუშვებდა.

მენა დანაელის პასუხს არც დაელოდა, ისე სწრაფად გავიდა გარეთ; ფარაონის კარისკენ გაემართა და, როგორც უკვე ვიცით, რამზესი ბენტ-ანატსა და რამერისთან ერთად იმწამსვე მას გამოჰყვა.

გზაში მენამ ცოცხლად აღწერა მის თვალწინ მომხდარი ამბავი, ხოლო რამზესმა ბენტ-ანატს გადახედა და ვაჟიშვილს ჰკითხა:

— შეგიძლია გამოასწორო შენი შეცდომა და დანაელთა ამაყი მეფე გადმოიბირო მის შვილიშვილზე დაქორწინებით?

რამერიმ მამას ვეღარაფერი უპასუხა, სამაგიეროდ მკლავზე ჩაეჭიდა და ისეთი გაშმაგებით დაუწყო ხელზე კოცნა, რომ რამზესმა ხელი გამოსტაცა, თითი დაუქნია და წამოიძახა:

— მგონი, შენ დაგვასწარი კიდეც და ჩვენ ზურგს უკან აგვარებ სახელმწიფო საქმეებს!

თავის ამაყ მოწინააღმდეგეს ფარაონი მენას კარავთან შეხვდა. ის იყო, ხელი უნდა გაეწოდებინა მისთვის, რომ უეცრად დანაელი ძირს დაემხო, როგორც ამას წინათ სხვა დამარცხებული მბრძანებლები მოიქცნენ, და უთხრა:

— შემომხედე არა როგორც მეომარსა და მეფეს, არამედ როგორც უბედურ მამას. ზავი შევკრათ, და ნება მომეცი თან წავიყვანო სამშობლოში ეს გოგონა, ჩემი შვილიშვილი.

რამზესმა მოხუცი წამოაყენა, ხელი გაუწოდა და მოწყალედ უთხრა:

— შენი თხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ შემიძლია შევასრულო. როგორც ეგვიპტის მბრძანებელი, სულით და გულით გთავაზობ მტკიცე კავშირსა და ხანგრძლივ მშვიდობას. ხოლო რაც შეეხება ამ მშვენიერ ასულს, მის შესახებ ჩემს შვილებს უნდა მოელაპარაკო; პირველ რიგში, ჩემს ქალიშვილს, რადგან უარდა მის ამალაშია, მერე კი შენს ყოფილ ტყვეს, ჩემს ვაჟს რამერის, რომელსაც სურს ცოლად შეირთოს იგი.

— უარდაზე ჩემს უფლებებს ჩემს ძმას გადავცემ, — თქვა ბენტ-ანატმა. — მითხარი, ჩემო გოგონა, გსურს თუ არა, რომ რამერი შენი მეუღლე გახდეს?

უარდამ თავი დახარა და დანაელს ისეთი მზერა მიაპყრო, რომ იგი უთარჯიმნოდაც მიხვდა ყველაფერს.

— მე შენ კარგად გიცნობ, — მიმართა მან რამერის. — ბრძოლის დროს პირისპირ აღმოვჩნდით, და კიდეც დაგატყვევე, როცა ჩემი მახვილით დარეტიანებული ეტლიდან გადმოვარდი. ჯერ მეტისმეტად ფიცხი ხარ, მაგრამ შენნაირ მამაც გმირებში ამ ნაკლს დრო ასწორებს. მომისმინე! შენ კი, დიდო ფარაონო, ნება მომეცი რამდენიმე სიტყვა გითხრა! ქორწინებით შევაერთოთ ეს ბავშვები, დაე, მათმა შეუღლებამ განამტკიცოს ჩვენი კავშირი. მაგრამ მანამდე უფლება მომეცი, ერთი წლით უარდა ჩემთან წავიყვანო, რათა დავტკბე მისი ცქერით და მისგან მესმას ენა მისი დედისა, რომელიც თქვენ წამართვით. ორივენი სულ მთლად ახალგაზრდები არიან, ჩვენი ქვეყნის ადათ-წესების მიხედვით კი, სადაც მამაკაცები და

ქალები შედარებით უფრო გვიან მწიფდებიან, მეტისმეტად ახალგაზრდები იმისათვის, რომ სერიოზულად ვიფიქროთ მათს ქორწინებაზე. ამასთანავე, არის კიდევ ერთი გარემოება, ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც უნდა დაგარწმუნოთ იმაში, რომ ერთი თხოვნა შემისრულოთ. წარჩინებული გვარის შთამომავალი უარდა შეუფერებელ გარემოცვაში გაიზარდა. მას აქ არც სახლი აქვს, არც სამშობლო. შენმა შვილმა თითქოსდა გზაში გაიცნო, მაგრამ თუ იგი დამიჯერებს, მაშინ შეძლებს ხელმწიფის სასახლის ზღურბლს გადააბიჯოს როგორც სასიძომ, მე კი ჭეშმარიტად მეფურ ქორწილს გადავუხდი.

— შენი მოთხოვნა სამართლიანი და გონივრულია, — მიუგო რამზესმა. — წაიყვანე შენი შვილიშვილი, როგორც ჩემი ვაჟის საცოლე და ჩვენი მომავალი ქალიშვილი. ერთმანეთს ხელი მიეცით, შვილებო! მოლოდინი მარგებელი იქნება თქვენთვის. რამერი ერთ წელს ეგვიპტეში დაჰყოფს, და ეს შენთვისაც ხელსაყრელი იქნება, ძვირფასო უარდა, რამეთუ ჯარში მორჩილებას ისწავლის, რითაც თავის დროზე კმაყოფილი იქნება მისი მეუღლეც. შენ კი, რამერი, ზუსტად ერთი წლის შემდეგ — ვფიქრობ, დაიმახსოვრებ დღევანდელ დღეს, — პელუსიონში მოგართმევენ საიმედო ხომალდს ფინიკიელთა ეკიპაჟით. გემი დანაელთა ქვეყანაში წაგიყვანს საქორწილოდ.

— დაე, აგრე იყოს! — წამოიძახა მოხუცმა. — ვფიცავ ზევსს, რომელიც ყოველგვარ ფიცს ამტკიცებს, თქვენს შვილს არასოდეს ვეტყვი უარს ქსანტას ქალიშვილის ხელის თხოვნაზე.

როცა რამერი კარავში დაბრუნდა, რიგრიგობით ჩაეხუტა ყველა ძმას, ხოლო ბუზღუნა და პირქუშ კარისკაცთან მარტო რომ დარჩა, ბერიკაცს თავიდან პარიკი მოაძრო, მაღლა აის-

როლა, შემდეგ პატივცემულ მოხელეს კისერზე მოუთათუნა ხელი და ტიტველ თავზე ხელახლა ჩამოაფხატა პარიკი.

თავი მეთექვსმეტე

უარდა პაპასა და პრაქსილასთან ერთად მათ ბანაკში გაემგზავრა ნილოსის პელუსიონის ტოტის გადაღმა. ხოლო მეორე დილას ისევ ეგვიპტელთა ბანაკში დაბრუნდა, რათა მეგობრებს დამშვიდობებოდა და მამის დაკრძალვაზე ეზრუნა.

გოგონას არც ბებერი ხექტის უკანასკნელი თხოვნა დავიწყებია. ბენტ-ანატი მამას მოელაპარაკა, და როცა ფარაონმა გაიგო, რომ სწორედ ჯადოქრის წყალობით გადარჩა ცოცხალი, ბრძანა წარჩინებული ქალივით დაებალზამებინათ ხექტი.

ვიდრე უარდა ფარაონის ბანაკიდან წამოვიდოდა, პენტაურმა მოაკითხა და სთხოვა მისი მომაკვდავი მხსნელის — ექიმ ნებსეხტის — სიცოცხლის უკანასკნელი წუთები დაემშვენებინა. ამისათვის საკმარისია, უთხრა მან, მხოლოდ ერთხელ ინახულოო იგი. ქალიშვილს სახეზე ალმური მოედო, და თხოვნის შესრულებას შეჰპირდა. პოეტი, რომელიც მთელი ღამე მომაკვდავი ექიმის სასთუმალთან იჯდა, წინ წავიდა, რათა ავადმყოფი შეხვედრისთვის შეემზადებინა.

მძიმე ჭრილობები და დამწვრობა სასტიკად სტანჯავდა ნებსეხტს, ლოყებზე ცეცხლი ედებოდა. ექიმებმა პენტაურს უთხრეს, ავადმყოფი უიმედოა და დიდხანს ვერ გაატანსო.

პოეტმა მეგობარს ხელი დაადო გავარვარებულ შუბლზე და ალერსიანად გამოელაპარაკა. პასუხად ნებსეხტმა ჩვეულებისამებრ ირონიულად ჩაიცინა იმ ადამიანივით, რომელმაც სხვაზე უკეთესად იცის ყველაფერი, და გაჭირვებით თქვა:

— კიდევ რამდენიმე ამოსუნთქვა და ყველაფერი დაწყნარდება — აქაც და იქაც. — თან ჯერ გულზე, მერე კი თავზე მიიდო ხელი.

— ეს არც ერთ ჩვენთაგანს არ ასცდება, — მიუგო პენტაურმა. — მაგრამ იქნებ ჩვენ მხოლოდ იმისთვის უნდა ვიყოთ მშვიდად, რომ ყოფიერების მიღმა დაუცხრომლად ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ. თუკი ღმერთები ადამიანებს მართლა რაღაცისთვის აჯილდოებენ, ეს, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტებისკენ პატიოსანი მისწრაფებისთვის და სასარგებლო შრომისთვის. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ, უთუოდ შენი სული შეერწყმება ღვთაების მსოფლიო სულს და გააღწევს იმ საბურველში, რომელიც ყოფიერების საიდუმლოებას გიმალავდა.

— მე ყოველთვის ვისწრაფოდი ამისკენ, — ამოიოხრა ნებსეხტმა. — და აი, როცა მეგონა, თითქოს, ბოლოს და ბოლოს, ვიხილე კიდეც ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი, სიკვდილმა თავისი უხეში ხელი გამომიწოდა, რათა მზე დამიბნელოს. რა სიკეთეა იმაში, რომ ღვთაების თვალებით ვუჭვრიტო სამყაროს და გავიზიარო მისი ყოვლისმცოდნეობა? ადამიანს იზიდავს არა ჭეშმარიტების ჭვრეტა, არამედ მისი ძიება, და მეც მზად ვარ ჩემი სიცოცხლე შევწირო მას აქაც და იქაც...

ნებსეხტს ძალ-ღონე გამოელია და დადუმდა, პენტაურმა სთხოვა დაწყნარებულიყო და ეფიქრა იმ ბედნიერ წუთებზე, ცხოვრებაში რომ ჰქონდა.

— ბედნიერი წუთები, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მქონდა, — ამოიხვნეშა ექიმმა. — აი, როცა დედა მკოცნიდა და ფინიკს მაძლევდა... და კიდევ, როცა დაუბრკოლებლად, მარტოდმარტოს შემეძლო დაკვირვება, მუშაობა, როცა თვალი ამიხი-

ლე და შენი ნაირფერად შემკული სახეების სამყარო დამანახვე... რა მშვენიერი იყო!

— მოიგონე, რამდენ ადამიანს შეუმსუბუქე ტანჯვა და ცუდი არავისთვის გაგიკეთებია!

ნებსეხტმა საშინლად დაიკვნესა და თქვა:

— მოხუცი პარასქიტიც ხომ ჩემი მიზეზით გაგიჟდა და მოკვდა.

ამ სიტყვების შემდეგ დიდხანს დუმდა. შემდეგ თვალები გაუბრწყინდა და თითქოს გამოცოცხლდა კიდეც:

— მაგრამ ეს იმიტომ ხომ არ მიქნია, რომ ტანჯვა მიმეყენებინა მისთვის! სხვათა შორის, მის მსხვერპლს ფუჭად არ ჩაუვლია! სირიაში, მეგიდოში შესაძლებლობა მქონდა შეუფერხებლად მემუშავა. ახლა ჩემთვის ცნობილია ის ორგანო, რომლის საშუალებითაც ვაზროვნებთ. გული! რა არის გული? ადამიანის და ცხვრის გული ერთსა და იმავე სამუშაოს ასრულებს. ორივე სიცოცხლის ბორბალს ატრიალებს, ორივე ძალუმად ძგერს შიშისა თუ სიხარულის დროს, რამეთუ შიშისა და სიხარულის განცდა ერთნაირი გვაქვს ჩვენცა და ცხოველებსაც. მაგრამ აზროვნება, ეს ღვთიური ძალა, რომელსაც საზღვარი არა აქვს და უნარს გვანიჭებს სწორი დასკვნები გავაკეთოთ, თავშია მოთავსებული, აი აქ, შუბლის ქვეშ, ტვინში!

ძალა გამოელია, და დადუმდა.

პოეტმა იფიქრა, ნებსეხტი ბოდავსო და გამაგრილებელი სასმელი მიაწოდა. ამასობაში ორი ექიმი გარშემო უვლიდა მის საწოლს და ლოცვებს გალობდა. ხოლო როცა ნებსეხტმა კვლავ ძალ-ღონის მოზღვავება იგრძნო და წამოიწია, პენტაურმა უთხრა:

— ყველაზე ბედნიერი შეხვედრა შენს ცხოვრებაში, ვფიქრობ, მაინც იმ მომხიბვლელ ქალიშვილთან იყო; მისმა სახემ,

როგორც მაშინ გამომიტყდი, აღმოგაჩენინა ორგანო, რომელსაც მშვენიერების აღქმის უნარი აქვს. როგორც ჭეშმარიტმა გმირმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად, სიკვდილს გამოჰგლიჯე კლანჭებიდან. იცი, რომ უარდამ თავისი ნათესავები იპოვა? უსაზღვროდ ბედნიერია ახლა, მადლიერია თავისი მხსნელისა, და სურს ერთხელ კიდევ ნახოს იგი, ვიდრე შორეულ მხარეში წავიდოდეს.

— შემოვიდეს, — ჩაიჩურჩულა ნებსეხტმა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ. — ოღონდ შორიდან მინდა ვუყურო.

პენტაური გამოვიდა და მალე უარდასთან ერთად დაბრუნდა. სახეატკრეცილი და თვალცრემლიანი ქალიშვილი კართან გაჩერდა. ექიმმა თავი მოაბრუნა და დიდხანს თვალს არ აცილებდა გოგონას. ხოლო როცა ალაპარაკდა, მის ხმაში მუდარა და ალერსი გაისმოდა.

— მიიღე ჩემი უღრმესი მადლობა და... და ბედნიერი იყავი.

უარდას უნდოდა ახლოს მისულიყო ნებსეხტთან, მაგრამ მას მოუსვენრობა დაეტყო, და გაფრთხილების ნიშნად შეხვეული მარჯვენა ხელი მაღლა ასწია:

— ახლოს ნუ მოხვალ, — სთხოვა ექიმმა. — ცოტა ხანს კიდევ იდექი. თვალები ცრემლიანი გაქვს! მე ვარ ამის მიზეზი, თუ მარტოოდენ ჩემი ტანჯვა?

— შენ, შენ, კეთილო და კეთილშობილო ადამიანო, ჩემო მეგობარო და მხსნელო! -— მგზნებარედ მიუგო უარდამ. — შენ, ძვირფასო, უბედურო ნებსეხტ!

ამის გაგონებაზე ექიმმა თვალები დახუჭა, ხოლო როცა გოგონა გაჩუმდა, მან ისევ გაახილა თვალი და დიდხანს ნაზად და აღფრთოვანებით შესცქეროდა უარდას, შემდეგ კი ჩუმად წარმოთქვა:

— საკმარისია! ახლა კი მინდა მოვკვდე!

უარდა კარვიდან გამოვიდა. პენტაური ნებსეხტთან დარჩა და დამწუხრებული უგდებდა ყურს სულთმობრძავის ხრიალს.

უეცრად ნებსეხტმა წამოიწია:

— მშვიდობით, მეგობარო! მოგზაურობა იწყება... მაგრამ, ვინ იცის, საით?

— ოღონდ არა არარაობაში, არა სიცარიელეში! — მგზნებარედ წამოიძახა პენტაურმა.

ექიმმა თავი გადააქნია:

— რა თქმა უნდა, მეც ხომ რაღაც ვიყავი, და რაღაცისგან კი არაფრის მიღება არ შეიძლება. ბუნება მომჭირნე და ძუნწია, სულ უმნიშვნელო მცირედსაც კი იყენებს; ჩემითაც, ალბათ, ისარგებლებს საჭიროებისდა მიხედვით. ის ყველაფერს ზომისა და რაოდენობის შესაბამისად აკეთებს; ეს ენება ჩემს ცხოვრებას ამქვეყნად და საიქიოშიც. ხსნა არ არის. ყოველი ნივთიდან წარმოდგება ის, რაც უნდა იყოს... ჩვენ არავინ გვეკითხება... ოო, ჩემო თავო!.. როგორც კი აქ, ზემოთ, ტვინი შემეკუმშება, აზრებიც მაშინვე ქრება! ახ, ნეტავი შემძლებოდა კვლევა... კვლევა...

მისი სიტყვები ძლივსღა ისმოდა, ბოლოს სუნთქვა შეეკრა, და რამდენიმე წუთის შემდეგ თავზარდაცემულმა პენტაურმა თვალები დაუხუჭა...

კარვიდან გამოსული პენტაური მთავარ ქურუმს ამენის შეხვდა, რომელსაც პოეტი სწორედ აქ ეგულებოდა. ორივენი მიცვალებულის სარეცელთან მიბრუნდნენ. ყოველთვის წყნარი და თავშეკავებული ამენი ამჯერად მეტისმეტად აღელვებული ჩანდა. მან სხაპასხუპით ჩაიჩურჩულა რამდენიმე ლოცვა ნებსეხტის სულის საცხონებლად, შემდეგ კი პენტაური თავის კარავში წაიყვანა.

გზაში ამენიმ მისთვის ჩვეული თავაზიანობით შეამზადა პოეტი მოსალოდნელი შეხვედრისათვის. ეს შეხვედრა, როგორც მან უთხრა, პენტაურს უფრო დაამწუხრებს, ვინემ გაახარებს; ყოველ შემთხვევაში, ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენს პოეტზე.

თებეს მსაჯულნი იძულებულნი გახდნენ მიესაჯათ სეთხემისთვის, როგორც სახელმწიფო მოღალატის დედისთვის, მაღაროებში გადასახლება.[191] თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, მისი თხოვნის გარეშეც, ნება დაერთოთ ფრიად პატივცემული ქვრივისთვის მცველების თანხლებით წამოსულიყო ფარაონის შესახვედრად, და ეგვიპტის მიწაზე გადაეცა მისთვის შეწყალების თხოვნა. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის და არა პააკერისთვის; ამის თაობაზე იგი საგანგებოდ იყო გაფრთხილებული. თუმცა კი სეთხემი სწორედ იმ გადაწყვეტილებით ამოვიდა გემზე, რომ შვილისთვის ეთხოვა პატიება.

როცა განაჩენი გამოიტანეს, ამენი თებეში აღარ იყო, თორემ იგი უთუოდ ჩაერეოდა საქმეში და მოსამართლეებს აცნობებდა სიმართლეს პენტაურისა და პააკერის დაბადების შესახებ. მას შემდეგ, რაც ვეზირის მხარდაჭერაზე ხელი აეღო, საჭიროდ აღარ მიაჩნდა ჯადოქარ ხექტის საიდუმლოს შენახვა.

სეთხემის მგზავრობა გაჭიანურდა, რადგან ქარიშხლის დროს გემი დაზიანდა; პელუსიონამდე მან მხოლოდ ფარაონის ჩამოსვლის შემდეგ ჩააღწია. ამგვარად, პატიების თხოვნის მომენტი უკვე დაკარგული იყო.

---

[191] დიოდორეს თანახმად, ოქროს საბადოებში გადასახლებას დამნაშავის მთელ ნათესავებსაც კი უსჯიდნენ. (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

ნილოსის ტოტზე, რომელიც ამ ქალაქ-სიმაგრესთან ზღვას ერთვოდა, ვეზირისა და მისი ამალის გემების, ფარაონის შესახვედრად ჩამოსულთა ნავებისა და ორჩხომელების ტევა არ იყო. ამის გამო ქვრივის გემს ღუზის ჩაშვება ქალაქიდან მოშორებით მოუხდა. მისმა თანმხლებმა სახლთუხუცესმა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მოახერხა ამენისთან დალაპარაკება,

სეთხემი მეტად შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში. თვალები, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ერთ წამში რომ მოავლებდა ხოლმე თებეს უშველებელ მეურნეობას, ახლა დაღლილი გულგრილობით იმზირებოდნენ. თუმცა სეთხემი უწინდებურად მსუქანი იყო, მისი ადრინდელი სიდინჯე გამქრალიყო, და იგი მძიმე ავადმყოფივით გამოიყურებოდ: ბაგეები, მრავალი გონივრული სიტყვა რომ წარმოუთქვამთ თავის დროზე, ახლა მაგრად მოეკუმა და მხოლოდ მაშინ თუ ათრთოლდებოდნენ, როცა ქალი ლოცულობდა, ან მისი რომელიმე მეგობარი პააკერის სახელს წარმოთქვამდა.

მას კარგად ესმოდა, რომ შვილის საქციელი დასაძრახისი იყო, და არც უცდია მისი გამართლება: დედის გული ხომ ისედაც ყველაფერს აპატიებს შვილს.

დღე და ღამე ერთთავად შვილზე ფიქრობდა, გაწითლებული თვალები სულ ცრემლით ჰქონდა სავსე.

გემმა, რომლითაც სეთხემი მოდიოდა, სწორედ იმ დროს ჩაუშვა ღუზა, როცა ცეცხლმოდებული სასახლიდან ავარდნილმა ალმა ღამის წყვდიადი გაანათა. ხანძრის ელვარებამ და ხალხის ყვირილმა გემბანზე გამოიყვანა, მაშინ გაიგო, რომ ვეზირის მიერ რამზესისთვის აგებული დიდებული სასახლე იწვოდა. ფარაონის სიცოცხლე საფრთხეშია, ლაპარაკობდნენ ირგვლივ, ცეცხლი ვიღაც მოღალატეებმა წაუკიდესო.

როცა გათენდა, იმ წყევლა-კრულვაში, გარშემო რომ ისმოდა, მის ყურამდე სულ უფრო ხშირად აღწევდა პააკერისა და ქათუთის სახელები.

სეთხემი არავის არაფერს ეკითხებოდა, არც რამის მოსმენა სურდა, მაგრამ გული უგრძნობდა საზარელ ჭეშმარიტებას. კაიუტაში ჩაკეტილი იმეორებდა სიტყვას „ღალატი“, და საშინელი ფიქრებით დამძიმებულ თავში აუტანელ ტკივილს გრძნობდა, ხოლო ტანში ჟრუანტელი უვლიდა.

მთელი დღე კაიუტაში იწვა თვალდახუჭული და საჭმელს არ მიჰკარებია. ამასობაში მისმა სახლთუხუცესმა სამწუხარო ამბავი შეიტყო: სასახლის დაწვაში მისი ყოფილი პატრონის ხელიც ერია. უკვე ნათელი იყო, რომ მისი ქალბატონის საქმე საბოლოოდ წაგებულია, მაგრამ მან მაინც დაიწყო ამენის ძებნა. რადგან მთავარი ქურუმი ფარაონის დაახლოებულ პირთა შორის იმყოფებოდა, და მასთან შეხვედრა შეუძლებელი იყო, სახლთუხუცესმა მხოლოდ მეორე დღეს მოახერხა ამენისთან საუბარი.

ამენიმ გაამხნევა სახლთუხუცესი, თავისი ეტლით ნავსადგურში წაიყვანა, გემზე ავიდა, რათა შეემზადებინა სეთხემი იმ უდიდესი სიხარულისთვის, რომელიც ესოდენ მძიმე მწუხარების შემდეგ ელოდა, მაგრამ მას უკვე დააგვიანდა; უბედური დედა გაგიჟებულიყო. უხალისოდ უსმენდა ქურუმს, ხოლო როცა ამენი მის გამხნევებას ცდილობდა, სთხოვდა, თავს მორეოდა, სეთხემი დროდადრო აწყვეტინებდა და ეკითხებოდა: „ნუთუ მან ეს გააკეთა?“ ან „ცოცხალია თუ არა?“ ბოლოს, როგორც იქნა, ამენიმ დაითანხმა ბანაკში წამოსულიყო, სადაც ნამდვილი შვილი უნდა ენახა. პენტაური საოცრად ჰგავდა მის განსვენებულ მეუღლეს, და ამენი იმედოვნებდა, რომ მის დანახვაზე ქალი გონს მოვიდოდა.

ამენიმ თავის კარავშივე უამბო სეთხემს, თუ როგორ შეუცვალეს შვილი. ქალი ყურადღებით უსმენდა მთავარ ქურუმს, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს სრულიად უცხო ადამიანის ამბავს უყვებიანო. ხოლო როცა ამენიმ პოეტს ჭკუა-გონება და ნიჭი შეუქო, და თანაც განსვენებულ მახორთან მისი მსგავსება აღნიშნა, ქვრივმა ჩაიბუტბუტა:

— ვიცი, ვიცი, შენ ხომ იმ მქადაგებელზე ლაპარაკობ, რომელსაც სულგანაბულები უსმენდნენ ხეობის დღესასწაულზე...

და მაშინვე ისევ იკითხა: ცოცხალი იყო თუ არა პააკერი, თუმცა არაერთხელ გაეგონა მისი დაღუპვის შესახებ. ბოლოს მთავარი ქურუმიც წამოვიდა, რათა პენტაური მოეძებნა.

როგორც უკვე ვიცით, პენტაური იმ კარავთან დაუხვდა, სადაც, ის-ის იყო, გარდაიცვალა ნებსეხტი.

როცა ამენი და პენტაური, რომელიც მძიმე სენით შეპყრობილ თავის ნამდვილ დედას უნდა შეხვედროდა, მთავარი ქურუმის კარავში შევიდნენ, ქალი იქ აღარ დაუხვდათ. მსახურებმა აცნობეს, რომ სეთხემმა სთხოვა კეთილ მოხუც გაგაბუს წაეყვანა პააკერის ცხედრის სანახავად.

ამენი განრისხდა. მას ეშინოდა, რომ სეთხემი ახლა მთლად დაიღუპავს თავს, და მაშინვე პენტაური დაადევნა.

ზედ ნახანძრალთან გაშლილ კარავში ესვენა ყოფილი მახორის ნეშტი. ცხედარზე უბრალო ქსოვილის ნაჭერი გადაეფარებინათ, ხოლო ჩამოვარდნისას უვნებლად დარჩენილი, მაგრამ გამურული სახე ღია ჰქონდა. მიცვალებულის გვერდით მუხლმოყრილი იდგა მისი უბედური დედა.

სეთხემი ამენის დაძახებაზე არც მობრუნებულა. მაშინ ქურუმი მასთან მივიდა, მხრებზე შეეხო, ცხედარზე მიუთითა და უთხრა:

— ის მებაღის შვილი იყო. შენ დედობრივი ვალი აღასრულე და ღვიძლი შვილივით გაზარდე იგი. მაგრამ შენი კეთილშობილი მეუღლის ჭეშმარიტი მემკვიდრე, ბავშვი, რომელიც მუცლით ატარე, აი ეს ყმაწვილია — პენტაური. ღმერთებმა მიანიჭეს მას არა მარტო გარეგანი მსგავსება მამასთან, არამედ კეთილშობილი მახორის ჭკუა და უნარიც. შენი გულკეთილობის გულისთვის შევუნდოთ ამ მიცვალებულს თავისი ცოდვები, ხოლო შენი სიყვარული ამიერიდან უნდა მიმართო შენი ქმრის ნამდვილი შვილის, ამ კეთილშობილი ადამიანისკენ, ქადეშთან სიკვდილს რომ გადაარჩინა ფარაონი.

მთავარ ქურუმს რომ მოუსმინა, სეთხემი წამოდგა, პენტაურთან მივიდა, ბრმასავით მოუთათუნა ხელი სახესა და მკერდზე და ჩაილაპარაკა:

— ის არის! კურთხეულ იყოს!

პენტაურს უნდოდა დედა გულში ჩაეკრა, მაგრამ ქალმა უკან დაიხია, თითქოს ეშინოდა, შვილს არ ვუღალატოო, საკაცის გვერდით დაეცა და ჩაიჩურჩულა:

— საწყალი, საწყალი პააკერი...

— დედა! დედა! იწამე საკუთარი შვილი! — წამოიძახა აღელვებულმა პენტაურმა.

სეთხემმა თავი მოაბრუნა მისკენ.

— ეს მისი ხმაა! ის არის, — ყრუდ ჩაილაპარაკა მან.

შემდეგ წამოდგა, ხელახლა მივიდა პენტაურთან, ჩაეხუტა მას, თავზე მოეხვია, მაგრად აკოცა ტუჩებზე და თქვა:

— კურთხეულ იყავ!

და უეცრად კვლავ ცხედართან დაიჩოქა, თითქოს რაღაც დააშავაო პააკერის წინაშე.

ასევე დარჩა მდუმარედ მუხლმოყრილი, მხოლოდ დროდადრო ნაზად გადაუსვამდა ხოლმე ხელს გაშეშებულ ცხე-

დარს, სანამ ისევ გემზე არ წაიყვანეს. კაიუტაში შესვლისთანავე საწოლზე დაწვა და ჭამაზე უარი განაცხადა. ხანდახან ტუჩები შეუტოკდებოდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— საბრალო პააკერი! საბრალო პააკერი!

პენტაური ერთი წუთითაც არ შორდებოდა, მაგრამ სეთხემი უკვე ვეღარ ცნობდა მას, და მალე ჩუმად და შეუმჩნევლად გაჰყვა საიქიოში თავის ულმობელ აღზრდილს.

თავი მეჩვიდმეტე

მეორე დღეს ფარაონის ბანაკი აიყარა და რამზესი ჯარის დიდი ნაწილის თანხლებით ქალაქ ტანისისკენ ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, „რამზესის ქალაქისკენ“ დაიძრა.

ახალმოსახლე იუდეველები, რომლებიც ვეზირმა ანიმ, ოღონდ კი მას მიმხრობოდნენ, იძულებითი სამუშაოებიდან გაანთავისუფლა, ახლა უკლებლივ ყველა სასახლისა და სიმაგრეთა მშენებლობაზე გაიწვიეს. ტანისში კი ხელმოწერილი იყო მშვიდობიანი ხელშეკრულება, თანაც ხეთების მეფის ტარტისებუს ელჩმა თავისი ხელმწიფის სახელით ფარაონს მიართვა ვერცხლის ფირფიტაზე ამოკვეთილი ამ ხელშეკრულების ტექსტი.[192]

მას შემდეგ, რაც პენტაურმა თვალები დაუხუჭა დედამისს და ნეშტი დასაბალზამებლად ჰელიოპოლისში გადაასვენა, ისიც ტანისში წავიდა. ჰელიოპოლისიდან სეთხემის მუმია თებეში უნდა გაეგზავნათ, რათა იქ საზეიმოდ დაეკრძალათ საგვარეულო აკლდამაში. დედასა და, საერთოდ, მიცვალებულზე ზრუნვა ეგვიპტელებისთვის ყოველთვის წმიდათაწმიდა საქმედ ითვლებოდა, ამიტომაც არც პენტაურსა და არც ბენტანატს გულშიც კი არ გაუვლიათ ქორწილზე ფიქრი, ვიდრე სეთხემს არ დაასაფლავებდნენ.

---

[192] ამ მეტად თვალსაჩინო დოკუმენტმა ჩვენამდე მოაღწია კარნაკის ტაძრის სამხრეთ ნაწილში მოთავსებული წარწერის დიდი ფრაგმენტის სახით. ვერცხლის ფირფიტა, რომელზედაც ის იყო ამოკვეთილი, და მისი გადაცემა ფარაონ რამზესისთვის მოხსენიებულია წარწერის მეოთხე ბწკარში; იქვე ვპოულობთ მის გამოსახულებასაც — კვადრატის ფორმისა იყო და ზედა ნაწილში ჩამოსაკიდებელი ყუნწი ჰქონდა (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

რამზესის მმართველობის ოცდამეერთე წლის 21 ტიბის,[193] მშვიდობიანი ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს, დამწუხრებული პენტაური ტანისში დაბრუნდა. თურმე მებაღე, პააკერის მამა, რომელიც პენტაურს მშობელ მამასავით უყვარდა, თებეში მის დაბრუნებამდე სულ მცირე ხნით ადრე გარდაცვლილიყო. საწყალმა ბერიკაცმა ვერ გადაიტანა პოეტის სიკვდილის ცნობა, რადგან ძალიან უყვარდა იგი და თაყვანსაც სცემდა, როგორც უმაღლეს არსებას, რომელიც ღმერთებმა განსაკუთრებული წყალობით მოუვლინეს მას.

პელუსიონში მომხდარი ხანძრიდან შვიდი თვის შემდეგ ფარაონის თებეს სასახლეში დიდი ამბით გადაიხადეს პენტაურისა და ბენტ-ანატის ქორწილი. უნდა ითქვას, რომ ყველა გასაჭირმა უფრო შეაკავშირა პენტაური და ბენტ-ანატი. ფარაონის ასული გრძნობდა, რომ პენტაური მასზე ძლიერი და ნიჭიერი იყო, მაგრამ თავისი სიყვარულით ისიც ეხმარებოდა პოეტს. სიხარულით ხედავდა, როცა მზის სხივივით, რომელიც ღამით დახურულ ყვავილის ფურცლებს აიძულებს გაიხსნან, მისი სიახლოვე ახალ ძალას შთაბერავდა სიმწრით დამძიმებულ მის გულს.

მძიმე ბრძოლასა და განსაცდელში მათ დაკარგეს და ხელახლა იპოვეს ერთმანეთი, და თითოეულმა იწამა, რაოდენ ძვირფასნი არიან ერთმანეთისთვის. ზრუნვა საყვარელ არსებაზე მათი ცხოვრების მიზანი გახდა; იმაში დარწმუნებულებმა, რომ ორივე მათგანისთვის უფრო მაღალი არაფერია ქვეყნად, ვიდრე სამართლიანობა და სიწმინდე, მათ სულის განმწმენდი კავშირით მოიპოვეს ბედნიერება. პენტაური მას უზიარებდა სანუკვარ აზრებს, მძიმე წუთებში რჩევას ეკითხე-

[193] 21 ტიბი, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დათარიღების საფუძველზე შეესაბამება 29 იანვარს (ავტ. შენიშვნა).

მკითხველთა ლიგა

ბოდა, ხოლო როცა მათ სახლში ბავშვების ჟრიამული გაისმა, ბენტ-ანატმა მადლიერებით გაიზიარა მასთან ერთად ადამიანური ცხოვრების ეს უდიდესი სიხარული.

ფარაონისგან გულუხვად დასაჩუქრებულმა პენტაურმა მამაპაპეული მამული თავის ძმას ჰორეს დაუტოვა. თვითონ ჰორე კი ქადეშთან ბრძოლაში მამაცობისთვის პირველ მახორად დაინიშნა და ფარაონისგან მდიდრული საჩუქარიც მიიღო. რაც შეეხება გადახერხილ სვეტებს, უწინ პააკერის სახლის ჭიშკართან რომ იყვნენ, ჰორემ ისინი უფრო სადა ანძებით შეცვალა.

პენტაურმა უბედური ხუნიც მოძებნა, ვისი სახელითაც სინის ნახევარკუნძულის მაღაროებში მუშაობდა, გაანთავისუფლა იგი ხენუს ქვის სატეხიდან, გულუხვად დაასაჩუქრა და შინ გაუშვა.

სულ მალე ფარაონი ბენტ-ანატის მეუღლის შესანიშნავ ნიჭშიც დარწმუნდა. ბენტ-ანატი კი, მიუხედავად იმისა, რომ ფარაონმა მშვიდობის განმტკიცების მიზნით ხეთების მეფის ასული შეირთო ცოლად, მაინც გამორჩეულად უყვარდა ღრმა მოხუცებულობამდე. რამზესმა პენტაური თავის მრჩევლად დანიშნა და ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს ავალებდა.

ანის კარავში აღმოჩენილი ქაღალდებიდან და სხვა ცნობების საფუძველზე, რომლებიც ყოველი მხრიდან მოდიოდა, ფარაონმა შეიტყო, რომ სეთის სახლის მეთაური და მასთან ერთად ქურუმების დიდი ნაწილი ერთ დროს ვეზირთან ერთობლივად მოქმედებდნენ. ჯერ უნდოდა სასტიკად გასწორებოდა მათ, მაგრამ პენტაურმა და თავისმა ვაჟიშვილმა ჰაემუსეთმა სთხოვეს უფრო ლმობიერი, მაგრამ ამასთანავე გადამჭრელი ზომები მიეღო. რამზესს სურდა რელიგიის მფარველი ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ იმ რელიგიისა, რომელიც, მისი

რწმენით, იმედით ავსებდა ბედკრულთა ცხოვრებას და სულიერ შინაარსს ანიჭებდა მას; რელიგიისა, რომელიც მას, როგორც ფარაონს, აუცილებლად მიაჩნია სიცოცხლის უმაღლესი მნიშვნელობის შესანარჩუნებლად; ; რელიგიისა, რომელიც წმიდათაწმიდაა, როგორც წინაპართა მემკვიდრეობა, და სასარგებლო, როგორც მორჩილების სკოლა ხალხისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობა ესაჭიროება.

იმავე დროს მას მიაჩნდა, რომ კანონს, რომლის დამცველადაც თვლიდა საკუთარ თავს, და რომელსაც თვითონაც კი, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ემორჩილებოდა, ეგვიპტეში უნდა დამორჩილებოდა ყველა — და ქურუმთა სათავეში მდგომთ არავითარი უფლება არა აქვთ, დაარღვიონ კანონი ან წინაღუდგნენ მას.

ჯერ კიდევ ტანისში ყოფნისას რამზესმა აგრძნობინა ამენისა და მასთან დაახლოებულ პირთ, რომ მხოლოდ ფარაონი მართავს ქვეყანას. ასე, მაგალითად, მან აქ დიდებული ტაძარი აუგო სეთხს. ამ ღმერთისთვის, რომელსაც სემიტები ჯერ კიდევ ჰიქსოსების დროიდან ყველა ღმერთზე მაღლა აყენებდნენ, ძველთაგანვე აკრძალული იყო ტაძრების აღმართვა ნილოსის ნაპირებზე, რადგან მას უცნობ ღმერთად თვლიდნენ. რამზესმა ეს გააკეთა, მიუხედავად ქურუმთა წინააღმდეგობისა, თავიანთ თავს „ჭეშმარიტ მორწმუნეებს“ რომ უწოდებენ. რამზესმა ამით გამოავლინა სამართლიანობა ეგვიპტეში მცხოვრებ მრავალრიცხოვან უცხოელთა რელიგიურ მოთხოვნათა მიმართ. ამ საქმეში კიდევ უფრო შორს წავიდა და აკრძალა უცხო ღმერთების ტაძრების ხელყოფა. ამასთან ერთად ყველანაირად ისწრაფოდა დაემტკიცებინა თავისი პატივისცემა ეგვიპტის ღმერთებისადმი, რასაც გულუხვი მსხვერპლშეწირვით გამოხატავდა. მან ბრძანა დიდ ქალაქებ-

ში მათ სადიდებლად აეგოთ ტაძრები, გააფართოვა ღმერთ პტას ტაძარი მემფისში და ხანძრისგან მისი სასწაულებრივი გადარჩენის აღსანიშნავად მისი პილონების წინ უზარმაზარი კოლოსები აღმართა.

თებეს ნეკროპოლში, ქადეშთან ბრძოლის დროს სასწაულებრივი ხსნის უკვდავსაყოფად, გასაოცარი ნაგებობა — ეგრეთ წოდებული რამესეი აღმართა, რომელიც დღესაც ხიბლავს მნახველს თავისი პროპორციების ჰარმონიით. მისი პილონების საუცხოო ბარელიეფებზე გამოსახულია ქადეშთან ბრძოლა, ვეებერთელა დარბაზის არქიტრავზე კი ამოკვეთილი წარწერა მოგვითხრობს, თუ როგორ გადაურჩა ფარაონი სიკვდილს, როცა „მარტო აღმოჩნდა ათასის პირისპირ“.

სიმღერა, რომელიც პენტაურმა პელუსიონში შეასრულა, მის მიერ იყო ჩაწერილი თვით რამზესის ბრძანებით. სიმღერის ნაწყვეტები შემონახულია სამ ტაძარში და რამდენიმე პაპირუსში, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. შემდგომში, მას წილად ხვდა გამხდარიყო ეროვნული ეპოსი, თავისებური ეგვიპტური „ილიადა“.

პენტაურს დაკისრებული ჰქონდა უმაღლესი სკოლის გადაყვანა სეთის სახლიდან ახალ ტაძარში, რომელსაც „რამზესის სახლი“ ეწოდა, და ახლებურად მისი მოწყობა, ვინაიდან რამზესი გრძნობდა, რომ აუცილებელი გახდა ქურუმთა სხვანაირი თაობის აღზრდა, ახალი ღვთისმსახურები სიყრმიდანვე უნდა მიჩვეულიყვნენ საკუთარი სურვილების დამორჩილებას კანონებისა და მათი დამცველის და განმმარტებლის — ფარაონის ბრძანებებისთვის.

ამ ახალ სკოლას პენტაური ჩაუდგა სათავეში. სკოლის ბიბლიოთეკას, რომელსაც „სულის ჯანმრთელობის კერას“ უწოდებდნენ, ბადალი არ ჰყავდა. ახალი „აკადემიის“ კედ-

ლებში, მოგვიანებით ალექსანდრიის სახელგანთქმული მუ-ზეუმის ნიმუშად რომ იქცა, აღიზარდნენ ისეთი მეცნიერები და პოეტები, რომელთა ნაწარმოებებმა საუკუნეებს გაუძლეს და ნაწილობრივ ჩვენამდეც კი მოაღწიეს. მათ შორის ყველაზე ცნობილი პენტაურის საყვარელი მოწაფის ანანას ჰიმნები და ორი ძმის ზღაპარი იყო. ეს ზღაპარი ეკუთვნოდა მოხუცი გაგა-ბუს შვილიშვილის კალამს, პაპის სახელი რომ ერქვა.

ამენი თებეში აღარ დარჩა. რამზესმა გაიგო თუ არა, რო-გორ გამოიყენა მთავარმა ქურუმმა წმინდა ვერძის დაღუპვა, რომელიც ფარაონმა თავად შესწირა ღმერთ ამონს, და რო-გორ მოექცა იმ ვერძის გულს, ამენი მენდესში გადაიყვანა და თავისი წოდება და შემოსავალი შეუნარჩუნა. ნილოსის დელ-ტაში განლაგებული წმინდა ვერძის ეს ქალაქი, მწარედ შე-ნიშნა რამზესმა, უფრო შესაფერისი იქნება ამენისთვის ამ წმინდა ცხოველისადმი მისწრაფების გამო. ამენიმ მენდესშიც დიდი გავლენა მოიპოვა. სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობ-და იგი პენტაურთან, თუმცა ხშირად მათი აზრები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ.

რამზესის სახლის გარე ეზოში მნახველთა ყურადღებას დღემდე იპყრობს მსოფლიოში უდიდესი, თუმცა შუაზე გადა-ტეხილი კოლოსი. მთლიანი გრანიტის ქვისგან გამოკვეთი-ლი, ის ბევრად აღემატება მემნონის ცნობილ კოლოსებს. ეს კოლოსი დიდ რამზესს გამოსახავს.[194]

---

[194] რამზეს II ქანდაკებები ყველაზე დიდი, მონოლითური ქვის ქანდაკებე-ბი, შექმნილი ადამიანის ხელით. კერძოდ, ტანისის ქანდაკების სიმაღლე 27 მეტრი იყო, 900 ტონას იწონიდა და გამოკვეთილი იყო ქვის ერთი ნაჭ-რისაგან. რომანში მოხსენიებული ქანდაკება 1000 ტონამდე იწონიდა.

ეს კოლოსი და კიდევ ეგვიპტის უდიდესი მბრძანებლის სხვა მრავალი ქანდაკება პატარა შერაუმ შექმნა, რომელიც პენტაურის დახმარებით გახდა მოქანდაკე.

პელუსიონის ხანძრიდან ერთი წლის შემდეგ რამერი დანაელთა ქვეყანაში გაემგზავრა, უარდასთან იქორწინა და მეუღლის სამშობლოში დარჩა. უარდას პაპის სიკვდილის შემდეგ რამერი ხმელთაშუა ზღვის მრავალი კუნძულის მეფე გახდა და დასაბამი მისცა დიდსა და სახელოვან მოდგმას. უარდას სახელი დიდხანს დარჩა ხალხის ხსოვნაში, რადგან, გაჭირვებასა და სიმწარეში გაზრდილს, ყველაზე უკეთესად შეეძლო დახმარებოდა ღარიბ-ღატაკებს, ისე რომ მათი ადამიანური ღირსება არ შეელახა, და ბევრი მადლიც ჰქნა უბედურთათვის.